

VII



„კულტურათაშორისი დიალოგები“

VII

შრომები

„INTERCULTURAL DIALOGUES“

TRANSACTIONS

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Iakob Gogebashvili Telavi State University

ISSN: 2233-3401

E-ISSN 2667-999X

2023

თბილისი - Tbilisi
2023

შრომები

2233-3401



9 772233 134000 0

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Iakob Gogebashvili Telavi State University



E-ISSN 2667-999X

ISSN: 2233-3401

<https://journals.4science.ge/index.php/IDW>

DOI: <https://doi.org/10.52340/idw>

„კულტურათაშორისი დიალოგები“

VII

შრომები

„INTERCULTURAL DIALOGUES“

TRANSACTIONS

გამომცემლობა „მერიდიანი“

თბილისი -Tbilisi

2023



ინდექსირებულია WORLDCATALOG-ის ბაზაში



DIRECTORY OF RESEARCH JOURNALS INDEXING



ORCID
Connecting Research
and Researchers



CROSSREF (DOI)



სარედაქციო კოლეგია და ექსპერტ-რეცენზენტთა საბჭო

ნუნუ გელდიაშვილი - კოლეგიის თავმჯდომარე, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დეპარტამენტი, რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, თელავი (საქართველო)

მანანა ღარიბაშვილი - თავმჯდომარის მოადგილე, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დეპარტამენტი, თელავი (საქართველო)

შალვა ჭკადუა - სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის დეპარტამენტი, უნივერსიტეტის რექტორი, თელავი (საქართველო)

ირმა შიოშვილი - სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის დეპარტამენტი, რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში, თელავი (საქართველო)

ნინო კახაშვილი - სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის დეპარტამენტი, თელავი (საქართველო)

ნინო გიორგაძე - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დეპარტამენტი, თელავი (საქართველო)

თამარ ნადირაძე - საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტი, თელავი (საქართველო)

ნინო კოჭლოშვილი - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დეპარტამენტი (საქართველო)

ნანა რინკიაშვილი - სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის დეპარტამენტი, თელავი (საქართველო)

მაგდა დავითაშვილი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტი, თელავი (საქართველო)

ზაურ გუმაშვილი - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დეპარტამენტი, თელავი (საქართველო)

სედა ასატუროვი - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დეპარტამენტი, თელავი (საქართველო)

შორენა ლაზვიაშვილი - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დეპარტამენტი, თელავი (საქართველო)

მარიამ ზაქარიაშვილი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტი, თელავი (საქართველო)

ნინო ვეფხიშვილი - სოფლის მეურნეობის და ქიმიის დეპარტამენტი, თელავი (საქართველო)

ელენე ფილაშვილი - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დეპარტამენტი, თელავი (საქართველო)

ნინო გოგიაშვილი - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დეპარტამენტი, თელავი (საქართველო)

ნინო ნახუცრიშვილი - განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტი, თელავი (საქართველო)

ლალი ელანიძე - სოფლის მეურნეობის და ქიმიის დეპარტამენტი, თელავი (საქართველო)

მაია ალადაშვილი - სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის დეპარტამენტი, თელავი (საქართველო)

თემურ ჯაგოდნიშვილი - საქართველოს სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი (საქართველო)

ციური ახვლედიანი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი (საქართველო)

ნათელა მაღლაკელიძე - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი (საქართველო)

დალი ბახტაძე - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი (საქართველო)

ხათუნა თუმანიშვილი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი (საქართველო)

გიორგი გოგოლაშვილი - არნოლდ ჩიქობავას ინსტიტუტის ქართველურ ენათა განყოფილების გამგე, თბილისი (საქართველო)

მანანა მიქაძე - ჰუმანიტარულ და პედაგოგიკურ მეცნიერებათა განვითარების ფონდის პრეზიდენტი, აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი (საქართველო)

ნათელა დოდონაძე – შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, თბილისი (საქართველო)

დავით ჭიოტაშვილი - გორის სასწავლო უნივერსიტეტი, გორი (საქართველო)

მანანა რუსიეშვილი – ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი (საქართველო)

მანანა ტაბიძე - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, თბილისი (საქართველო)

მაია ბარამიძე – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი (საქართველო)

მაია კიკვაძე – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი (საქართველო); თურქეთის რიზეს რეჯეფ ტაიპ ერდოღანის უნივერსიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის განყოფილება, რიზე (თურქეთი)

რუსუდან საღინაძე –აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი (საქართველო); თურქეთის რიზეს რეჯეფ ტაიპ ერდოღანის უნივერსიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის განყოფილება, რიზე (თურქეთი)

ხატია ხატიაშვილი – ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი (საქართველო)

ლელა აბდუშელიშვილი - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, თბილისი (საქართველო)

ეკატერინე შაკიაშვილი - საქართველოს სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, (საქართველო)

მანანა ქაჯაია - საქართველოს სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, (საქართველო)

ქეთევან ჯაში – სევილიის უნივერსიტეტის მკვლევარი; სევილია (ესპანეთი)

მარინე ლევიძე – შუა აღმოსავლეთის ამერიკული უნივერსიტეტი (ქუვეითი)

ტრევორ კარტლეჯი - ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი (საქართველო)

შერლი ვეიდ მაკლოულინი - კინ სთეითის კოლეჯი, პროფესორი ნიუ-ჰემფშირი (ამერიკა)

ლორენცო ვენცი - ტუმას უნივერსიტეტი, ტუმა (იტალია)

ჰარუნ ჩიმქე - რეჯეფ ტაიფ ერდოღანის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი; რიზე (თურქეთი)

ჯონ ნიკერსონ ვენდელი – დოკიოს უნივერსიტეტი, დოკიო (იაპონია)

ირენა კუდლინსკა – ბიძგცკას ეკონომიკის უნივერსიტეტი, ბიძგცკა (პოლონეთი)

ირინა სოლენიცკა - ლომონოსოვის სახელობის კვბის მრეწველობის სასწავლო-სამეცნიერო ტექნოლოგიური ინსტიტუტი, ოდესა (უკრაინა)

ოქსანა ტკაჩენკო - ლომონოსოვის სახელობის კვბის მრეწველობის სასწავლო-სამეცნიერო ტექნოლოგიური ინსტიტუტი, ოდესა (უკრაინა)

ვალენტინა ვერემენკო - პუშკინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ლენინგრადი (რუსეთი)

შოხრუთ ფაიზიევი - იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი (უზბეკეთი)

მთავარი რედაქტორი – პროფესორი **ნუნუ გელდიაშვილი**
nunu.geldiashvili@tesau.edu.ge

რედაქტორი - პროფესორი **მანანა ღარიბაშვილი**
manana.gharibashvili@tesau.edu.ge

სამუშაო ენები: ქართული, ინგლისური, რუსული

კრებული რეფერირებადია

სტატიები ქვეყნდება პლაგიატზე შემოწმებისა და ფარული რეცენზირების შედეგად

წინამდებარე შრომების კრებული შედგენილია **SCOPUS**-ის სამეცნიერო ჟურნალების კლასიფიკატორის მიხედვით

ავტორის პოზიცია შეიძლება არ დაემთხვეს სარედაქციო კოლეგიის მეცნიერულ აზრს.
ავტორი პასუხს აგებს ნაშრომის ხარისხსა და შინაარსზე

უაკ (UDC) 008.1
9772233340000 კ - 899

ISSN 2233-3401 ISSN: 2233-3401
<https://journals.4science.ge/index.php/IDW>

ჟურნალის DOI: <https://doi.org/10.52340/idw>

გარეკანის დიზაინის ავტორი - **თამარ ხახუტაშვილი**

© **ნუნუ გელდიაშვილი, მანანა ღარიბაშვილი**

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქ. თელავი, 2200 ქართული უნივერსიტეტის ქუჩა N1

გამომცემლობა „მერიდიანი“, 2023
E-mail: meridiani777@gmail.com

EDITORIAL BOARD AND EXPERT REVIEW BOARD

Nunu Geldiashvili – **Chairman of the Editorial Board**, Department of Humanities, Vice Rector for the Scientific Field, Telavi (Georgia)

Manana Garibashvili - **Vice Chairman of the Editorial Board**, Department of Humanities, Telavi, (Georgia)

Shalva Tchkadua - Department of Social Sciences, Business and Law, Rector of Iakob Gogebashvili Telavi State University, Telavi (Georgia)

Irma Shioshvili – Department of Social Sciences, Business and Law, Telavi (Georgia)

Nino Kakhashvili – Department of Social Sciences, Business and Law, Telavi (Georgia)

Nino Giorgadze - Department of Humanities, Telavi (Georgia)

Tamar Nadiradze – Department of Natural Sciences and Information Technologies, Telavi (Georgia)

Nino Kotchloshvili - Department of Humanities Telavi, (Georgia)

Nana Rinkiashvili – Department of Social Sciences, Business and Law, Telavi (Georgia)

Magda Davitashvili - Department of Natural Sciences and Information Technologies, Telavi (Georgia)

Zaur Gumashvili - Department of Humanities, Telavi (Georgia)

Seda Asaturova - Department of Humanities, Telavi (Georgia)

Shorena lazviashvili - Department of Humanities, Telavi (Georgia)

Mariam Zakariashvili - Department of Natural Sciences and Information Technologies, Telavi (Georgia)

Nino Vepkhishvili – Department of Agriculture and Chemistry, Telavi (Georgia)

Elene Pilashvili – Department of Humanities, Telavi (Georgia)

Nino Gogiashvili - Department of Humanities, Telavi (Georgia)

Nakhutsrishvili Nino - Department of Education Sciences, Telavi (Georgia)

Lali Elanidze - Department of Agriculture and Chemistry, Telavi (Georgia)

Maia Aladashvili - Department of Social Sciences, Business and Law (Georgia)

Temur Jagodnishvili – Doctor of Philological Sciences, Professor of Georgian Technical University, Tbilisi, Georgia

Tsiuri Akhvlediani – Doctor of Philology, Professor Emeritus of Ivane Javakhishvili State University, Tbilisi, Georgia

Natela Maghlakelidze – Doctor of Pedagogical Sciences, Professor of Ilia State University, Tbilisi, Georgia

Dali Bakhtadze – Doctor of Philology, Honorable Professor of Ilia State University, Tbilisi, Georgia

Khatuna Tumanishvili – Doctor of Philology, Orientalist, Professor in Arabic Philology, Ivane Javakhishvili State University, Tbilisi, Georgia

Giorgi Gogolashvili – Doctor of Philology, Professor, Head of the Department of Kartvelian Languages, Arnold Chikobava Institute of Linguistics, Tbilisi, Georgia

Manana Mikadze – Head of the Foundation for Development of Art and Pedagogical Sciences, Doctor of Pedagogical sciences, Professor of Akaki Stereteli State University, Kutaisi, Georgia

Natela Doghonadze – Vice Rector of International Black Sea University, Doctor of Pedagogical Sciences, Doctor of Pedagogical Sciences, Professor, Tbilisi, Georgia

Davit Tshiotashvili – Doctor of Economics, Professor, Gori State Teaching University, Gori, Georgia

Manana Rusieshvili – Doctor of Philological Sciences, Professor, Department of English Philology, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Tbilisi, Georgia

Manana Tabidze – Doctor of Philological Sciences, Professor, Saint Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia, Tbilisi, Georgia

Maia Baramidze – Doctor of Philological Sciences, Associated Professor, Head of the Department of the Georgian Philology, Batumi Shota Rustaveli State University, Batumi, Georgia

Maia Kikvadze – Doctor of Philological Sciences, Associated Professor, Batumi Shota Rustaveli State University, Batumi Georgia; Associated Professor, Department of the Georgian Language and Literature, Recep Tayyip Erdogan University, Rize, Turkey

Rusudan Saghinadze – Doctor of Philological Sciences, Professor, head of the Field of the Georgian Philology, Akaki Tsereteli Kutaisi State University, Kutaisi, Georgia; Professor, Department of the Georgian Language and Literature, Recep Tayyip Erdogan University, Rize, Turkey

Khatia Khatiashvili – Doctor of Philological Sciences, Invited Lecturer in the field of the Russian Language, Center of Languages, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Tbilisi, Georgia

Lela Abdushelishvili – Doctor of Educational Sciences, Professor, International Black Sea University, Tbilisi, Georgia

Ekaterine Shakiashvili - Doctor of Philology, Professor of Georgian Technical University, Tbilisi, Georgia

Manana Kajaia - Doctor of Philology, Assoc. Professor of Georgian Technical University, Tbilisi, Georgia

Ketevan Djachy– Doctor of Philological Sciences, Professor, Researcher of the University of Seville (Spain); Seville, Spain

Marine Levidze - Doctor of Philology, American University of Middle East (Kuwait)

Trevor Cartledge – Doctor of Microbiology, Professor, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Tbilisi, Georgia

Shirley Wade McLoughlin – PhD in Educational Administration, Professor in Educational Sciences, Keene State College, new Hampshire, USA

Lorenzo Venci – Doctor in Economics and Agro-Economics, Honorable professor of University of Tuscia (Italy)

Harun Cimke - Doctor of Philology, Head of the Department of Georgian Philology, Recep Tayyip Erdogan State University, Rize (Turkey)

John Nickerson Wendel – Professor Emeritus, Dokkyo University, Dokkyo (Japan)

Irena Kudlinska - Head of the Department of English Philology and Applied Linguistics, University of Economics in Bydgoszcz (Poland)

Iryna Solonytska - Assoc. Professor, Director of Educational and Scientific Institute of Food Industry named after M. Lomonosov, Odessa, Ukraine

Oksana Tkachenko- Professor, Doctor of Technical Sciences, Odessa, Ukraine

Shokhrud Fayziev - Doctor of Law (Uzbekistan)

Yusif Yusibov - Rector of Ganja State University (Azerbaijan)

Alexander Melnichuk - Vice-Rector for Research and International Relations, Nizhyn State University named after Nikolai Gogol (Ukraine)

Parvin Kerimzade - Vice-Rector of Ganja State University (Azerbaijan)

Pravin R. Chhoubhe - Assistant Professor, Dr. D.Y. Patil Institute of Technology Pune (India)

Artur V. Atanesyan - Department of Sociology, Yerevan State University (Armenia)

Alexander Samoilenko - Rector of Nikolai Gogol Nizhyn State University, Nikolai Gogol Nizhyn State University (Ukraine)

Volume Editor in chief – Professor **Nunu Geldiashvili**

nunu.geldiashvili@tesau.edu.ge

Volume Editor – Professor **Manana Garibashvili**

manana.gharibashvili@tesau.edu.ge

Languages of the Journal: **Georgian, English, Russian**

PEER REVIEWED JOURNAL

All submitted manuscripts in the refereed journal undergo check for plagiarism and double-blind peer review process before publication.

The present proceedings is compiled according to **SCOPUS** classification system of scientific journals.

The views of authors may not coincide with the positions of the Editorial Board
Author is responsible for the quality and content of the article.

უკუ (UDC) 008.1
9772233340000 3 - 899

ISSN 2233-3401 ISSN: 2233-3401

<https://journals.4science.ge/index.php/IDW>

Journal DOI: <https://doi.org/10.52340/idw>

Cover design by **Tamar Khakhutashvili**

© **Nunu Geldiashvili, Manana Garibashvili**

Iakob Gogebashvili Telavi State University

Address: N1, Kartuli Universiteti Str., 2200 Telavi

Publishing House „**MERIDIANI**”, 2023

E-mail: meridiani777@gmail.com

1100 აგრარული და ბიოლოგიური მეცნიერებები (ყველა)

დავითაშვილი მაგდა, ზუროშვილი ლამარა, მარგალიტაშვილი დარეჯან, აზიკური გელა ბრუცელოზის შემთხვევათა ანალიზი კახეთისა და ქართლის რეგიონებში	28
ვარშანიძე ნათელა, ჯაყელი ეთერ, თურმანიძე ნაზი, დარჩიძე მათა აჭარაში გავრცელებული ფლავონოიდების შემცველი სამკურნალო მცენარეების მრავალფეროვნება და გამოყენების თავისებურებანი	32
ელანიძე ლალი ხოსიტაშვილი თეა საფერავის ღვინის, როგორც ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერების გამოყენების პერსპექტივა პურპროდუქტების წარმოებაში	39
ერაძე ნინო ნადირაძე თამარ პასტუხოვის სურო (<i>Hedera pastuchovii</i> Woronow) საქართველოს ფლორის იშვიათი და ეკონომიკური მნიშვნელობის მცენარე	45
ზარნაძე ნანა, ალასანია ნარგიზ, მანჯგალაძე სოფიკო ბოლქვაძე ციალა, ჭელიძე ნატო ქართული ლიმონის <i>in vitro</i> კულტურაში შეყვანა და გამრავლების თავისებურებების შესწავლა	52
ზირაქაშვილი ნინო ვეფხიშვილი ნინო ქართული Pet-Nat -ის დამზადება და მისი თვისებების შესწავლა	58
Matchutadze Izolda, Goradze Rezo, Tetemadze Natela Cheishvili Tamar, Bagrationi Guranda Habitats of Kolkheti lowland, ecotourism and recreational potential	63
Mchedluri Tea Koptonashvili Lali Impact of Desertification on the Biodiversity of Arid and Semiarid zone in Georgia	67
ნადირაშვილი ნინო ამირანაშვილი ლია ტენილი ყველის დამზადების განსხვავებული ტექნოლოგიები და მისი უვნებლობა	71

შავაძე ლევან, კველიშვილი მანანა დადოლიშვილი მზია, შილდელაშვილი ირა მეჩხერიანობის აღმოფხვრა ვენახში და მისი გავლენა ყურძნის პროდუქტიულობაზე	78
---	----

ჩოხელი ნონა, ლლიღვაშვილი ვასილ მსხილაძე ანტონინა, კაჭარავა თამარ ერთიანი ჯანმრთელობა და ფრინველთა კეთილდღეობის საკითხები -----	85
--	----

1200 ხელოვნება და ჰუმანიტარული მეცნიერებები (ყველა)

1202 ისტორია

გოგენია ზაალ სამართლის ზოგიერთი თეორიული საკითხი ალფონსო X-ის „Siete Partidas“ მიხედვით	92
--	----

გუმაშვილი ზაურ ჩრდილო კავკასიელთა კულტურა და ყოფითი ასპექტები XIII-XV საუკუნეებში	100
---	-----

კარალიძე ჯემალ რუსეთის გეოპოლიტიკა XVIII საუკუნეში და მისი გავლენა ქართულ- ჩრდილოკავკასიურ ურთიერთობებზე	106
---	-----

მანაგაძე ანა რუსული ჯარის უნიფორმა კავკასიის ომის დროს (XIX საუკუნე)	114
--	-----

ოსაძე ივანე ქართული ტოლერანტობის ისტორიიდან	119
---	-----

სიმაშვილი თენგიზ თელავი - როგორც კულტურული და ტურისტული რესურსი	127
---	-----

ჯავახია ბეჟან ბიზანტიური მემკვიდრეობა და საბჭოთა სისტემა	133
--	-----

1203 ენა და ენათმეცნიერება

Асатурова Сед К вопросу о супплетивном формообразовании и словообразовании в разносистемных языках (На примере русского и грузинского языков)	141
--	-----

ახვლედიანი ციური ბურჩაკ-აბრამოვიჩი მარია მეტაფორათა შემფასებელი როლი ფრანგულ და ქართულ ფრაზეოლოგიაში	148
--	-----

ბოლაშვილი მაია ბიბლიური ალუზია, როგორც ინტერტექსტუალობის მნიშვნელოვანი ასპექტი და მისი ტრანსფორმაცია ქართულ ენაზე (დ.ჰ. ლორენსის „ინგლისი, ჩემი ინგლისის“ მიხედვით) -----	153
გელდიაშვილი ნუნუ ღვინის შეფასების პარამეტრები და მათში გამოხატული ქართული ეროვნული მენტალობა	161
გოგია თამარ დეტერმინანტთა სინტაქსური კატეგორია ქართულსა და მეგრულში (ტრადიციული და წარმომშობი გრამატიკის საკითხების შეჯერების ცდა)	167
დანელია ვაჟა ქართული რიცხვითი სახელის მეტყველების ნაწილად ჩამოყალიბებისათვის XVIII-XIX საუკუნეთა გრამატიკებში	176
დეკანოზიშვილი ციური თარგმანი, როგორც კულტურათშორისი კომუნიკაციის აქტი	182
John Wendel Kumkapı, Istanbul: Immigrant Waves and ‘For Rent’ Signs in the Linguistic Landscape	186
ზექალაშვილი რუსუდან ემოციურ-ექსპრესიული ლექსიკა მიმართვებში და ქართული სამეტყველო ეტიკეტი	195
თუმანიშვილი ხათუნა ინდივიდუალური ასპექტები ზეპირსიტყვიერ მცირე ფორმათა ფოლკლორიზაციის პროცესში (სირიულ დიალექტური არაბული ანდაზების კორპუსზე ქართული შესატყვისებით)	201
კიკონიშვილი მარიამ ჭუმბურიძე ნინო ზედსართავ მცირე-ს ლექსიკური ველი ქართული ენის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე	210
ლობჯანიძე ივლიტა ერთი თეატრალური ტერმინის შესახებ	216
ლოლაძე ნანა ნეოლოგიზმები XXI საუკუნის ქართულში	221
ლომია მაია ქურდაძე რამაზ მარგიანი ქეთევან ჭუმბურიძე ნინო ჰიპოტაქსური მოდელები ზეპირმეტყველებაში – კომუნიკაციის ძირითადი წყარო	226

მახარობლიძე თამარ რიცხვითი სახელის შესახებ ქართულ ჟესტურ ენაში	234
მიქაძე მანანა ლინგვოკულტურული ფენომენი და საგაზეთო სათაური	239
მიქელაძე ნაილე ტოპონიმ „გულების“ გენეზისისათვის	243
მოდებაძე ცისანა ლურჯი ფერის სიმბოლიკისა და სტრუქტურისათვის გერმანულ ენაში	248
Nakhutsrishvili Ekaterine Dzamiashvili Elene Analysis of Informal Food-related Idioms and Idiomatic Expressions in the English Language	254
ომიაძე სალომე ბაგრატ ბატონიშვილის სამზარეულოს წიგნი ლინგვოკულტუროლოგიური ასპექტით	260
ფაღავა მამია ზარამიძე მაია ტოპონიმთა სუფიქსური წარმოების რამდენიმე შემთხვევა კლარჯეთიდან	267
ფილაშვილი ელენე რაკი კავშირიანი დამოკიდებული წინადადების ფუნქციური ნაირსახეობანი	276
Garibashvili Manana Tkemaladze Inga Kochauri Maka Linguistic Understanding of the Image of “Mother” in the English and French Literature	283
წიგნაძე შორენა გოდერძი ჩოხელის შემოქმედების ფერთა პალიტრა	288
წულაია ნინო სხულუხია თამუნა Flex (Field Works Language Explorer) პროგრამის გამოყენება მეგრული ტექსტებისთვის	294

1208 ლიტერატურა და ლიტერატურის თეორია

ბაკურიძე მარიამ მტრობისა და შურისძიების ამსახველი ლექსები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში -----	301
---	-----

გელოვანი ნინო ისტორიული რეპრეზენტაცია და რეჟისორ სტენლი კუბრიკის პეპლუმში ფილმში „სპარტაკი“	306
გოგიაშვილი ნინო ანდაზის „ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსა“ რეცეფცია ზოგიერთ ქართულ ხალხურ ზღაპარში	311
გოგოლაძე თამარ ბარბაქაძე ქეთევან დედაშვილობის კონცეპტი ერთ თანამედროვე მხატვრულ ტექსტში (გ. სოსიაშვილის „დედის დრო“)	317
გულედანი ლალი პატრიოტიზმი ისრაელში გამოცემულ 70-იანი წლების პოეზიის ნიმუშებში	321
ერემაშვილი მანანა კოლექტიური მეხსიერებისა და ტრავმის რეპრეზენტაცია მარიო ვარგას ლიოსასა და შორენა ლებანიძის ტექსტებში („ვაცის ნადიმი“ და „თუ საჭიროა, გათქმევინებთ“)	331
კობეშავიძე მარინე ჭრიკიშვილი ნინო კარდინალი სისნეროსი და მისი მოღვაწეობის მნიშვნელობა ესპანეთში	338
კობიაშვილი ნინო ოტია იოსელიანის ნოველათა კულტურულ-რელიგიური დისკურსი	343
კობიაშვილი მაია სიყვარულის ალუზიები ბარათაშვილისა და ბაირონის ლირიკაში	350
კოჭლოშვილი ნინო დია ჩიანელის ერთი ნოველის ინტერპრეტაციისათვის	357
კუტივაძე ნესტან გაზეთ „ქართულ აზრში“ თამარ პაპავას ერთი პუბლიკაციის შესახებ („ქართველი ქალი ჩვენს მატთანში“)	361
პაიჭაძე თამარ ადმოსავლური და ევროპული კულტურული ორიენტაცია - გამოწვევები ქართული ლიტერატურული პროცესისათვის	367
პატარიძე სალომე მოგონება და ტრავმული გამოცდილება ზაირა არსენიშვილის მოთხრობაში „როცა მძვინვარებს შიში და ძრწოლა“	375
სიხარულიძე ქეთევან კავკასიელთა სამონადირო ტრადიციების სემანტიკისთვის	382

სურმანიძე სოსლან რელიგიური ნაკადის რამდენიმე მაგალითი ილია ჭავჭავაძის მხატვრულ მემკვიდრეობაში	388
ქაჯაია მანანა XIX საუკუნის 70-იანი წლების სალიტერატურო კრიტიკა და გიორგი წერეთელი	393
ქესქინი მეჰმეთ ალი „ბერობანა“ ბაზგირეთში	401
შაიშმელაშვილი თამარ „მზისა და მთვარის ყაბალახი“ – მეფე ერეკლეს სიმბოლური სახეხატი	407
შარაბიძე თამარ ოთარ ჩხეიძის რომანი „ბურუსი“ და ჩვენი თანამედროვეობა	413
ჩოხარაძე მალხაზ ბალაძე მალხაზ ფრიდონ ხალვაშის ბალადა ახმედ მელაშვილზე	419
ძობუაშვილი თინათინ გარემოს აღწერა, როგორც ნატურალისტური აღწერის მეთოდი გიორგი წერეთლის „პირველ ნაბიჯში“	425
ძნელაძე სოფიკო „ილია ჭავჭავაძის უკანასკნელი დღე“ (პოსტმოდერნისტული გააზრება) -----	437
წურწუმია კობა გიორგაძე ნინო „ბეოვულფი და „ვეფხისტყაოსანი“ - ტიპოლოგიური ანალიზი	442
ჯაგოდნიშვილი თემურ დიდი ეროვნული მოღვაწე (რაფიელ ერისთავის დაბადების 200 წლისთავის გამო)	454
ჯობაძე გრიგოლ ოსიპ მანდელშტამი დემოკრატიულ საქართველოში და - პირიქით (ნარკვევ „დაბრუნების“ მიხედვით)	460
1400 ბიზნესი, მენეჯმენტი და ბუღალტრული აღრიცხვა (ყველა)	
1401 ბიზნესი, მენეჯმენტი და ბუღალტრული აღრიცხვა (სხვადასხვა)	
მოსიაშვილი ვალერი მცირე ბიზნესის სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის ოპტიმიზაციის მიმართულებები საქართველოში	468
ჯიმშიტაშვილი ია კრაფტ მეწარმეობა (უცხოური და ეროვნული გამოცდილება)	475

1409 ტურიზმის, დასვენებისა და მასპინძლობის მენეჯმენტი

თამარაშვილი თამარ

ტურიზმის განვითარების ასპექტები სამხრეთ კავკასიაში - წარსული და აწმყო 480

1700 კომპიუტერული მეცნიერება (ყველა)

ოხანაშვილი სვიმონ

კომპიუტერული გრაფიკა და მანერ პროგრამები 488

ზაქარიაშვილი მარიამ

ვირტუალურიდან რეალურ მოდელებამდე - Arduino UNO 494

2000 ეკონომიკა, ეკონომეტრიკა და ფინანსები (ყველა)

არჩაია ქეთევან

ჯანდაცვის დაფინანსების მოდელის ზოგიერთი ასპექტი 502

ალადაშვილი მაია

ხიზანიშვილი ნანული

ციკლულარულ ეკონომიკაზე გადასვლის პროცესი საქართველოში 506

ვეზირიშვილი-ნოზაძე ქეთევან

ფანცხავა ელენე

შავი ზღვის წყალქვეშა კაბელი - გზა საქართველოს ეკონომიკური გაჯანსაღებისკენ ... 511

მჭედლიშვილი მანანა

ტაბატაძე ნაირა

ბუღალტრული აღრიცხვის განვითარების შესაძლებლობები თანამედროვე

ეტაპზე 517

რინკიაშვილი ნანა

მცირე ინოვაციური ფირმების როლი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში 523

ჩაგელიშვილი-აგლაძე ლალი

გონაშვილი მაია

დალაქიშვილი-ჭიჭინაძე რუსუდან

რეგიონის მდგრადი განვითარების კონცეპტუალური საკითხები 528

ჭიოტაშვილი დავით

ჩიტაძე ხალიანა

დაგროვებითი საპენსიო სისტემის რეგულირება და გამოწვევები საქართველოში 534

ხორგუაშვილი თეა	
ხორგუაშვილი ნათია	
შიდა აუდიტის ფუნქციონირების პრობლემები საჯარო სექტორში	540

3200 ფსიქოლოგია (ყველა)

ქრისტინაშვილი ეკატერინე	
აგრესიის სოციალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორი მოზარდებსა და ზრდასრულებში თანამედროვე საზოგადოებაში	547

ჩაქიაშვილი-კალმახელიძე ია	
მშობლების როლი ტრანზიციის პროცესში	555

3300 საზოგადოებრივი მეცნიერებები (ყველა)

3301 საზოგადოებრივი მეცნიერებები (სხვადასხვა)

ბრეგაძე მაია	
პუბლიცისტური დისკურსის მედიატექსტებში ასახვის თავისებურებები - პარალელები თანამედროვეობასთან /1918 წლის სამთავრობო გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკისა“ და საქართველოს სოციალ-ფედერალისტების პარტიული გაზეთის „სახალხო საქმის“ მიხედვით/	562

სურმავა მარინე	
ტოლერანტობა და კულტურათაშორისი დიალოგები	570

შამილიშვილი ინგა	
საბაშვილი გვანცა	
სოციალური მედიის როლი საზოგადოების აზრის ფორმირებაზე	575

ძამუკაშვილი ლალი	
ინფორმაცია vs დეზინფორმაცია: გლობალური გამოწვევები	580

3302 არქეოლოგია

ყიფშიძე შორენა	
შულავერის ნეოლითური კულტურა აღმოსავლეთ საქართველოში	586

3304 განათლება

გიგილაშვილი ნინო	
თათულიშვილი სალომე	
ყურაშვილი ნინო	
საერთაშორისო მობილობის მონაწილე პერსონალის თვისებრივი კვლევა თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში	592

დგებუაძე მარინე სამეცნიერო სტილის ტექსტების შექმნის სწავლების მეთოდები მაგისტრატურის სტუდენტებისთვის	597
ვაყელიშვილი ნინო პროექტზე დაფუძნებული სწავლება, მისი როლი და მნიშვნელობა	603
Yuryeva Kateryna Civil and Intercultural Education in the Conditions of Martial Law in Ukraine: Experience of a Master's Educational Program	608
კენკეაშვილი ქეთევან საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკების როლი უნივერსიტეტის სამეცნიერო - კვლევითი დარგის განვითარებაში	615
კობიაშვილი ეკა მედიაწიგნიერება ფორმალურ განათლებაში-მედიაწიგნიერება და სხვადასხვა ტიპის ისტორიული წყაროების კრიტიკული ანალიზი	621
McLoughlin Shirley Wade New Language Acquisition for Refugees: A Key to Effective Transitioning	628
მაღლაკელიძე ნათელა „ახალი სკოლის მოდელისა“ და კომპლექსური დავალებების ისტორიიდან	634
მაღლაკელიძე ელენე ქართული წერა-კითხვის სწავლებასთან დაკავშირებული ზოგიერთი სირთულე	639
მუჯირი სოფიო აუდიო ტექსტების გაგებისა და რეპროდუცირების ტექნიკები	644
მახარაშვილი გიორგი კულტურათაშორისი მიმართულებანი ძველი საქართველოს განათლებაში	650
ნახუცრიშვილი ნინო სსსმ მოსწავლეების ტრანზიციის მხარდამჭერი მექანიზმები სკოლაში და დირექტორის როლი ამ პროცესში	654
ორჯონიკიძე ნინო ახვლედიანი მაია აბდალაძე ლალი სკოლამდელ დაწესებულებებში თამაშის ხელმძღვანელობისას აღმზრდელის მზაობა გენდერული მიდგომებისადმი	662
ფიროსმანაშვილი თამარ ტყეზუჩავა მიმოზა საშინაო დავალების მოცულობა მათემატიკაში და მისი გავლენა აკადემიურ მოსწრებაზე	668

შაშვიაშვილი ქეთევან
ავტენტური ვიდეომასალების გამოყენების ზოგიერთი ასპექტი დარგობრივი ინგლისური ენის სწავლების პროცესში674

მამუკაშვილი შორენა
მიქელაძე თამარ
სკოლაში ტრანზიციაზე პასუხისმგებელი პირის როლი და სამუშაოს კვლევა679

ჯოხაძე ხათუნა
დისტანციური სწავლების დანერგვის სოციო-კულტურული ასპექტები686

3308 სამართალი

გორგოშაძე მურმან
საბჭოთა რეჟიმის მასობრივი რეპრესიების მსხვერპლი იურისტები აჭარიდან691

3320 პოლიტიკური მეცნიერება და საერთაშორისო ურთიერთობები

ფარეშიშვილი გიორგი
ცივილიზაციების დიალოგის მნიშვნელობა მსოფლიოში696

ქარელი თეიმურაზ
ნეოპატრიმონიალიზმის კვლევის მეთოდოლოგიური პრობლემები701

ხატიაშვილი ხატია
ჭანტურია გვანცა
შეპირისპირებითი ანალიზი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტების უფლებებზე საქართველოსა და ევროპის რამდენიმე ქვეყნის მაგალითზე708

C O N T E N T S

1100 Agricultural and Biological Sciences (all)

Davitashvili Magda, Zuroshvili Lamara Margalitashvili Darejan, Azikuri Gela Analysis of brucellosis cases in Kakheti and Kartli regions	28
Varshanidze Natela, Jakeli Eter Turmanidze Nazi, Darchidze Maya Variety of medicinal plants containing flavonoids common in Adjara and features of use	32
Elanidze Lali Khositashvili Tea The prospect of using Saferavi wine as a biologically active substance in the production of bread products	39
Eradze Nino Nadiradze Tamar Hedera Pastuchovii (Hedera pastuchovii Woronow) A Rare and Economically Important Plant of the Flora of Georgia	45
Zarnadze Nana, Alasania Nargzi, Manjgaladze Sofiko Tchelidze Nato, Bolkvadze Thiala Introduction and Micropropagation study of Georgian lemon in vitro culture	52
Zirakashvili Nino Vepkhishvili Nino Making Georgian Pet Nat and studying its properties	58
Matchutadze Izolda, Goradze Rezo, Tetemadze Natela Cheishvili Tamar, Bagrationi Guranda Habitats of Kolkheti lowland, ecotourism and recreational potential	63
Mchedluri Tea Koptonashvili Lali Impact of Desertification on the Biodiversity of Arid and Semiarid zone in Georgia	67
Nadirashvili Nino Amiranashvili Lia Different technologies of making Tenili Cheese and its safety	71
Shavadze Levan, Kevlishvili Manana Ghaghlishvili Mzia, Shildelashvili Ira Eradication of Sparseness in the Vineyard and its Influence on the Productivity of Grapes	78

Chokheli Nona, Ghlighvashvili Vasil Mskhiladze Antonina, Kacharava Tamar	
Holistic Health and Poultry Welfare Issues	85

1200 ARTS AND HUMANITIES (ALL)

1202 HISTORY

Gogenia Zaal	
Some theoretical issues of law according to Alfonso X's Siete Partidas	92
Gumashvili Zaur	
Culture and living aspects of the North Caucasians in the XIII-XV centuries	100
Karalidze Jemal	
Russian geopolitics in the 18th century and its impact on Georgian-North Caucasian Relations	106
Managadze Ana	
Uniforms of the Russian Army during the Caucasian War (19th century).....	114
Osadze Ivane	
From the history of Georgian tolerance	119
Simashvili Tengiz	
Telavi - As a Cultural And Tourist Resource	127
Javakhia Bejan	
Byzantine heritage and Soviet system	133

1203 LANGUAGE AND LINGUISTICS

Асатурова Седа	
К вопросу о супплетивном формообразовании и словообразовании в разносистемных языках (На примере русского и грузинского языков)	141
Akhvlediani Tsiuri	
Burchak-Abramovichi Maria	
The evaluative role of metaphors in French and Georgian phraseology	148
Bolashvili Maia	
Biblical Allusion As the Important Aspect of Intertextuality and Its Transformation in the Georgian Language (According to D.H. Lawrence's „England, My England”)	153

Geldiashvili Nunu Evaluation of Wine Parameters and the Georgian National Mentality Expressed in Them	161
Gogia Tamar Syntactic Category of Determiners in Georgian and Mingrelian (Combining Descriptive rules of Georgian Traditional Grammar and Formal of Generative Grammar)	167
Danelia Vazha For establishing the Georgian numerical name as a part of speech in the grammars of the XVIII-XIX centuries	176
Dekanozishvili Tsiuri Translation as an Act of Intercultural Communication	182
Wendel John Kumkapı, Istanbul: Immigrant Waves and ‘For Rent’ Signs in the Linguistic Landscape	186
Zekalashvili Rusudan Emotional-Expressive Lexis in Addressing and in Georgian Speech Etiquette	195
Tumanishvili Khatuna Individual Aspects in the Process of Folklorization of Minor Verbal Forms (Based on the analysis of Sirian dialect Arabic proverbs with Georgian Parallels)	201
Kikonishvili Mariam Tchumburidze Nino The Lexical Field of the Adjective მცირე mtsire “Small” on Different Stages of Development of the Georgian Language	210
Lobjanidze Ivli About one theatrical term	216
Loladze Nana Neologisms in Modern Georgian	221
Lomia Maia Kurdadze Ramaz Margiani Ketevan Tchumburidze Nino Hypotactic Patterns in Oral Speech – the Key Source of Communication	226
Makharoblidze Tamar On numerals in Georgian Sign language (GESL)	234
Mikadze Manana Lingvo-Cultural phenomenon and Newspaper Headline	239

Mikeladze Naile For the Genesis of Toponym “Gulebi”	243
Modebadze Tsisana For the symbolism and structure of blue colour in German language	248
Nakhutsrishvili Ekaterine Dzamiashvili Elene Analysis of Informal Food-related Idioms and Idiomatic Expressions in the English Language	254
Omiadze Salome Prince Bagrat’s Cookery Book from the Linguoculturological Perspective	260
Mamia Paghava Maia Baramidze A few cases of suffix production of toponyms from Clarjet	267
Philashvili Elene Functional Verieties of a Dependent Sentence with the Conjunction “რაცო”	276
Garibashvili Manana Tkemaladze Inga Kochauri Maka Linguistic Understanding of the Image of “Mother” in the English and French Literature	283
Tsignadze Shorena The Colorful Palette of Goderdzi Chokheli’s Prose	288
Tsulaia Nino Skhulukhia Tamuna Using Flex (Field Works Language Explorer) program for Megrelian texts	294

1208 LITERATURE AND LITERARY THEORY

Bakuridze Mariam Poems depicting enmity and revenge in the mountains of Eastern Georgia	301
Gelovani Nino Historical representation and director Stanley Kubrick’s peplum in the movie “Spartacus”	306
Gogiashvili Nino Reception of the proverb – “Wittiness defeats strength, if a man has it” – in certain Georgian folktales	311
Gogoladze Tamar Barbakadze Ketevan The Concept of Motherhood in a Modern Fiction Text (Mother’s Time by G. Sosiashvili)	317

Guledan Lali	
Patriotism in Samples of Poetry Published in Israel in the 1970s	321
Eremashvili Manana	
Representation of Collective Memory and Trauma in the Texts of Mario Vargas Llosa and Shorena Lebanidze “The Feast of the Goat” and “Tu Sachiroa, Gatqmevinebt” (If necessary, I Will Make You Speak”)	331
Kobeshavidze Marine	
Chrikishvili Nino	
Cardinal Cisneros and the importance of his work in Spain	338
Kobiashvili Nino	
Cultural-religious discourse of Otia Yoseliani’s novels	343
Kobiashvili Maia	
Love allusions in Baratashvili’s and Byron’s lyrics	350
Kotchloshvili Nino	
For the interpretation of one of Dia Chianelli,s novels	357
Kutivadze Nestan	
On One Publication by Tamar Papava (“Georgian Woman in Our Chronicle”) in the Newspaper “Kartuli Azri”	361
Paichadze Tamar	
Eastern and European cultural orientation - challenges for the Georgian literary process	367
Pataridze Salome	
Memory and Traumatic Experience in Zaira Arsenishvili’s Story “When Fear and Dismay Rage”	375
Sikharulidze Ketevan	
For the semantics of Caucasian hunting traditions	382
Surmanidze Soslan	
Some examples of religious flow in the artistic heritage of Ilia Chavchavadze	388
Kajaia Manana	
Literary Criticism of the 1870s and Giorgi Tsereteli	393
Keskin Mehmet Ali	
“Berobana” in Bazgireti	401
Shaishmelashvili Tamar	
“Kabbalah of the Sun and the Moon” – symbolic images -icons of King Heraclius	407
Sharabidze Tamar	
Otar Chkheidze’s Novel The Mist and Our Modernity	413

Chokharadze Malkhaz	
Baladze malkhaz	
Fridon Khalvashi’s ballad about Ahmed Melashvili	419
Dzodzuashvili Tinatini	
Description of the environment as a method of naturalistic in Giorgi Tsereteli’s „The First Step“	425
Dzneladze Sopiko	
The last day of Ilia Chvachavadze (interpret of postmodernizm)	437
Tsurtsunia Koba	
Giorgadze Nino	
A Typological Analysis of “Beowulf” and “Knight in the Panther’s Skin’	442
Jagodnishvili Temur	
A great national figure (due to the 200th anniversary of the birth of Rafiel Eristavi)	454
Jokhadze Grigol	
Osip Mandelstam in Democratic Georgia and Vice Versa (According to essay “Homecoming”)	460
1400 Business, Management and Accounting (all)	
<hr/> <hr/>	
1401 Business, Management and Accounting (miscellaneous)	
<hr/> <hr/>	
Mosiashvili Valeri	
Directions for optimization of state support for Small Businesses in Georgia	468
Jimshitashvili Ia	
Craft entrepreneurship (foreign and national experience)	475
1409 Tourism, Leisure and Hospitality Management	
<hr/> <hr/>	
Tamarashvili Tamar	
of tourism development in the South Caucasus: past and present	480
1700 Computer Science (all)	
<hr/> <hr/>	
Okhanashvili Svimon	
Cyber security and malware	488
Zakariashvili Mariam	
From virtual to real models – ARDUINO UNO	494

2000 Economics, Econometrics and Finance (all)

Archaia Ketevan Some Issues of the healthcare financing model	502
Aladashvili Maya Khizanishvili Nanuli The process of transition to circular economy in Georgia	506
Veirishvili-Nozadze Ketevan Pantskhava Elene Black Sea submarine cable - the way to Georgia's economic recover	511
Mchedlishvili Manana Tabatadze Naira Opportunities for the development of accounting at the modern stage	517
Rinkiashvili Nana The role of small innovative firms in the economic development of the country	523
Chagelishvili-Agladze Lali Gonashvili Maya Dalakishvili-Chichinadze Rusudan Conceptual Issues of Sustainable Development of the Region	528
David Tchiotashvili Khaliana Chitadze Regulation of Cumulative Pension System and Challenges in Georgia.....	534
Khorguashvili Tea Khorguashvili Natia Internal audit functioning problems in the public sector	540

3200 Psychology (all)

Kristinashvili Catherine Socio-Psychological Factor of Aggression among Adolescents and Adults in Modern Society.	547
Chakiashvili-Kalmakhelidze Ia Perent's role in the process of transition	555

3300 Social Sciences (all)

3301 Social Sciences (miscellaneous)

Bregadze Maia Peculiarities of reflection of journalistic discourse in media texts, parallels with modernity ...	562
--	-----

Surmava Marine	
Tolerance and intercultural Dialogues	570
Shamilishvili Inga	
Sabashvili Gvantsa	
The role of social media in shaping public opinion	575
Dzamukashvili Lali	
Information vs Misinformation: Global Challenges	580
3302 Archaeology	
<hr/>	
Khipshidze Shorena	
Shulaveri Neolithic Culture in Eastern Georgia	586
3304 Education	
<hr/>	
Gigilashvili Nino	
Tatulishvili Salome	
Kurashvili Nino	
Qualitative Survey of International Mobility Participant Staff at Telavi State University	592
Dgebuadze Marine	
Teaching methods of creating scientific style texts for master students	597
Vakelishvili Nino	
Project-based learning, its role and importance	603
Yuryeva Kateryna	
Civil and Intercultural Education in the Conditions of Martial Law in Ukraine: Experience of a Master's Educational Program	608
Kenkebashvili Ketevan	
The role of university libraries in the development of the scientific and research field of the university	615
Kobiashvili Eka	
Media literacy in formal education- Media literacy and critical analysis of different types of historical sources	621
McLoughlin Shirley Wade	
New Language Acquisition for Refugees: A Key to Effective Transitioning	628
Maglakelidze Natela	
About Modern Methods of Georgian Language Teaching	634
Maglakelidze Elene	
Some Problems of Teaching the Georgian Literacy	639

Mujiri Sophie Techniques of comprehension and reproduction of audio texts	644
Makharashvili Giorgi Intercultural relations in the education of ancient Georgia	650
Nakhutsrishvili Nino Mechanisms to support transition to pupils with special educational needs (SEN) at school and the role of headmaster in this process	654
Orjonikidze Nino Akhvlediani Maia Abdaladze Lali Educator’s readiness for gender approaches in leading the game in preschool institutions	662
Firosmanashvili Tamar Tkebuchava Mimoza The amount of homework in mathematics and its effect on academic performance	668
Shashviashvili Ketevan Some Aspects of Using Authentic Video Materials in ESP Courses	674
Dzamukashvili Shorena Mikeladze Tamar The Study of the Role and Work of the School Transition Responsible Person in Supporting Students with Special Educational Needs	679
Jokhadze Khatuna Socio-cultural aspects of the introduction of distance learning	686

3308 Law

Gorgoshadze Murman Victim lawyers of massive repressions of the Soviet regime from Adjara	691
---	-----

3320 POLITICAL SCIENCE AND INTERNATIONAL RELATIONS

Pareshishvili Giorgi The importance of the dialogue of civilizations in the world	696
Kareli Teimuraz Methodological problems of neopatrimonialism research	701
Khatiashvili Khatia Chanturia Gvanca Comparative Analysis of the Rights of Students with Disabilities on the Examples of Georgia and Some European Countries	708

ბრუცელოზის შემთხვევათა ანალიზი კახეთისა და ქართლის რეგიონებში

დავითაშვილი მაგდა, ზუროშვილი ლამარა, მარგალიტაშვილი დარეჯან, აზიკური გელა

იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი

DOI: <https://doi.org/10.52340/idw.2023.01>

აბსტრაქტი. საქართველოში, კერძოდ კახეთისა და ქართლის რეგიონებში, 2013-2022 წლებში ჩატარდა ბრუცელოზით დაავადების ეპიდემიოლოგიური ანალიზი. დადგინდა, რომ საქართველოში ჯერ კიდევ ფართოდ არის გავრცელებული ზოონოზური დაავადებები. უფრო ხშირად გვხვდება კახეთში (საგარეჯოში, ახმეტაში, თელავში, დედოფლისწყაროში), ახასიათებს გაზაფხულ-ზაფხულის სეზონურობა, ძირითადად ავადდებიან 20-40 წლის ადამიანები (47%), აღინიშნება დაავადების მატება მოზარდებში (14%) და დიასახლისებში (13%). ბრუცელოზის ეპიდემიური პროცესი ხასიათდება ტალღური მიმდინარეობით. 2013-2022 წლებში აღინიშნებოდა ზრდის გამოხატული ტენდენცია. რეალური ეპიდემიოლოგიური სურათის დასადგენად საჭიროა მოსახლეობის გამოკვლევა ადგილზე. დაავადების აღმოსაფხვრელად აუცილებელია სამედიცინო და ვეტერინალურ სამსახურებს შორის თანამშრომლობა. ბრუცელოზის პრევენციისთვის წამყვანად გვევლინება იმ ცხოველების ანტიბრუცელოზური ღონისძიებები, რომლებიც იმყოფებიან ამ ინფექციისთვის არახელსაყრელ ფერმებში: დაავადებული ცხოველების იზოლაცია, ფერმის გაჯანსაღება, ზაფხულის და ზამთრის საძოვრებისთვის მარშრუტების გამოყოფა ცხოველების გადასარეკად, ხორცის და რძის პროდუქტებზე შესაბამისი კონტროლის დაწესება.

საკვანძო სიტყვები: ბრუცელოზი, ზოონოზური, ეპიზოოტური, პრევენცია, ინფექციის წყარო, ავადობა.

შესავალი

საქართველოში, განსაკუთრებით კი კახეთისა და ქართლის რეგიონებში, ბრუცელოზი ყველაზე უფრო გავრცელებული ზოონოზური დაავადებაა (1,2). ბრუცელოზის შესწავლას დიდი ხნის ისტორია აქვს, მაგრამ მისი ავადობის აღკვეთა რთულია განსახორციელებლად. ბრუცელოზის ეპიდემიური და ეპიზოოტური პროცესი შესწავლას მოითხოვს. დაავადების პრევენციაში წამყვანია ვეტერინალური და სამედიცინო სამსახურის ურთიერთშეთანხმებული მუშაობა [1, 3, 6].

კვლევის მიზანს წარმოადგენდა საქართველოში 2013-2022 წლებში ბრუცელოზით ავადობის ანალიზი: მისი დინამიკის შესწავლა, გავრცელების, ეპიდემიოლოგიური მაჩვენებლების, ინფექციის წყაროსა და გადაცემის მექანიზმისა და რისკის ჯგუფების დადგენა.

მასალები და მეთოდები. გამოყენებულ იქნა რეტროსპრექტული ანალიზის მეთოდი [2, 5], დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის, პარაზიტოლოგიისა ინსტიტუტის მონაცემები - ავადმყოფთა ისტორიები, აღრიცხვის სტანდარტული 60/A ჟურნალი, ეპიდემიოლოგიური გამოკვლევის კითხვები.

კვლევის შედეგები და მათი განხილვა. საქართველოში 2013-2022 წლებში რეგისტრირებულია ბრუცელოზით დაავადების 997 შემთხვევა. ავადობის განაწილება წლების

მიხედვით მოცემულია პირველ ცხრილში.

ცხრილი 1. ბრუცელოზით ავადობა ადამიანებში 2012-2022 წლებში

წელი	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022
შემთხვევათა რიცხვი	34	112	63	62	64	70	188	153	104	147
მაჩვენებელი	0,63	2,08	1,17	1,15	1,39	1,52	4,30	3,49	2,38	3,43

ბრუცელოზით ავადობის მრავალწლიანი დინამიკის შესწავლამ გვიჩვენა, რომ ამ ინფექციის ეპიდემიური პროცესი ხასიათდება ტალღისებური მიმდინარეობით. ამ პერიოდში აღინიშნა მატების გამოხატული ტენდენცია, მატების ტემპია 11.77%, საშუალო წლიური ნაზარდი 0,24.

ბრუცელოზით დაავადების რეალური შემთხვევები გაცილებით მეტია, თუმცა ეკონომიური მდგომარეობის გამო, შემცირებული იყო მიმართვები სამედიცინო დაწესებულებებში.

დაავადების უმეტესი შემთხვევებია აღმოსავლეთ საქართველოში - კახეთსა და მთათურეთში, სადაც მისდევენ მეცხოველეობას, მეცხვარეობას, განსაკუთრებით იმ რაიონებში, სადაც განვითარებულია მომთაბარე მეცხოველეობა: საგარეჯო, ახმეტა, დედოფლისწყარო, თელავი, გურჯაანი, გარდაბანი, ბოლნისი.

დასავლეთ საქართველოში კი ავადობა მცირეა, რაც დაკავშირებულია მეცხოველეობის ტიპთან, იქ მცირე რაოდენობითაა ცხვარი - ბრუცელოზის ძირითადი წყარო [4]. ამასთან არ არის მომთაბარე მეცხოველეობის აუცილებლობა. შესაბამისად ნაკლებია კონტაქტი ცხოველებს შორის.


ცხრილი 2. ბრუცელოზის შემთხვევათა განაწილება საქართველოს რაიონებში

რაიონი	საშუალო წლიური მაჩვენებელი
საგარეჯო	38.24
ახმეტა	29.21
დედოფლისწყარო	21.49
თელავი	15.08
გურჯაანი	12.85
გარდაბანი	7.17
ბოლნისი	5.73

ბრუცელოზით ავადობის დინამიკის წლიურმა შესწავლამ გამავლინა, რომ შემთხვევათა რიცხვის მატება იწყებოდა გაზაფხულზე და პიკს აღწევდა ივნისში. ავადობის სეზონური აწევა ემთხვეოდა მეცხოველეობაში მასობრივი დოლისა და ინტესიური წველის პერიოდს [4].

ბრუცელოზით ავადობის ასაკობრივმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ დაავადების მეტი რაოდენობა მოდიოდა 20-40 წლის ასაკზე (47%), რაც განპირობებულია საყოფაცხოვრებო პირობებით და მათი დასაქმებით მეცხოველეობაში.

კერძო და ოჯახური ფერმების განვითარების გამო, დაავადებამ იმატა მოზარდებში (14%), დიასახლისებში (13%).



დიაგრამა 1. ბრუცელოზით ავადობის წლიური დინამიკა 2013-2022 წლებში

ბრუცელოზის ინფექციის წყაროს დადგენა ძნელია, თუ 2013-2016 წლებში ინფექციის სავარაუდო წყაროდ ასახელებენ ცხვარს, უკანასკნელ წლებში იმის გამო, რომ გახშირდა შერეული ფერმები (ცხვარი, ძროხა), სადაც ძროხის, როგორც ინფექციის მნიშვნელობა იზრდება [4], ინფექციის წყაროდ სახელდება როგორც ცხვარი, ისე ძროხა (43%). ინფექციის გადაცემის ძირითადი მექანიზმია კონტაქტური და კონტაქტურ-ალიმენტური, რაც აქამდეც მრავალმა ავტორმა აღნიშნა [1, 5, 6].

ცხრილი 3. ბრუცელოზის შემთხვევები მსხვილფეხა რქოსან პირუტყვში რაიონების მიხედვით

რაიონი	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022
საგარეჯო	0	6	0	0	10	2	10	22	7	6
ახმეტა	7	6	0	10	6	0	66	294	167	140
თელავი	4	27	0	27	17	7	108	388	135	225
გურჯაანი	17	0	0	30	2	19	46	61	45	47
დედოფლისწყარო	0	31	0	41	37	40	208	265	175	137
სიღნაღი	0	37	0	15	2	0	15	33	20	1
გარდაბანი	127	79	0	42	84	3	29	48	35	175

სურსათის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, ბრუცელოზის მხრივ ეპიზოტოლოგიური სიტუაცია დამაბულია მსხვილფეხა რქოსან პირუტყვში. მათში 2013-2022 წლებში 10-ჯერ და მეტჯერ გაიზარდა ბრუცელოზის გამოვლინება ახმეტის, თელავის, დედოფლისწყაროს და გარდაბნის რაიონებში.

ამრიგად, კვლევებმა აჩვენა, რომ 1. საქართველოში ბრუცელოზი კვლავ ფართოდ გავრცელებული ზოონოზური დაავადებაა. იგი უმეტესად გავრცელებულია კახეთის რაიონებში (საგარეჯო, ახმეტა, დედოფლისწყარო, თელავი), გაზაფხულის სეზონურობით, უმეტესი შემთხვევებით 20-40 წლის ასაკში (47%). იმატა დაავადების ხვედრითმა წილმა მოზარდებსა (14%) და დიასახლისებში (13%).

2. ბრუცელოზის ეპიდრომული პროცესი ხასიათდება ტალღისებური მიმდინარეობით,

მასში 2013-2022 წლებში აღინიშნება მატების გამოხატული ტენდენცია. რეალური ეპიდემიური სურათის დასადგენად, მოსახლეობის გამოკვლევა უნდა მოხდეს ადგილზე.

3. მჭიდრო ურთიერთკავშირი უნდა იყოს სამედიცინო და ვეტერინალურ სამსახურებს შორის. ბრუცელოზით დაავადების თითოეული შემთხვევის ურთიერთშეტყობინება განაპირობებს როგორც დაავადებული ადამიანის, ისე ცხოველის ადრეულ გამოვლინებას.

4. ბრუცელოზის პრევენციაში წამყვანია არაკეთილსაიმედო ფერმის ცხოველებში ამ დაავადების საწინააღმდეგო ღონისძიებათა ჩატარება: დაავადებულ ცხოველთა იზოლაცია, ფერმების გაჯანსაღება, გადასაყვანი ტრასების გამოყოფა, სათანადო კონტროლის დაწესება რძის და ხორცის პროდუქტებზე.

ლიტერატურა:

1. ბაბაკიშვილი, ჯ., და ბაბაკიშვილი, თ. (2012). *ეპიდემიოლოგია (ეპიზოოტოლოგია) და ცხოველთა ინფექციური დაავადებები*. თბილისი.
2. ლომინეიშვილი, მ. (2001). *ბრუცელოზი და მისი საწინააღმდეგო ღონისძიებები*. თბილისი.
3. მარუაშვილი, გ. (1983). *ბრუცელოზი*. თბილისი.
4. Akhvlediani, T., Bautista, C. T., Garuchava, N., Sanodze, L., Kokaia, N., Malania, L., & Trapaidze, N. (2017). Epidemiological and clinical features of brucellosis in the country of Georgia. *PLoS One*, 12(1), e0170376.
5. Corbel, M. J. (2020). Brucellosis: epidemiology and prevalence worldwide. In *Brucellosis: clinical and laboratory aspects* (pp. 25-40). CRC Press.
6. Franco, M. P., Mulder, M., Gilman, R. H., & Smits, H. L. (2007). Human brucellosis. *The Lancet infectious diseases*, 7(12), 775-786.

Analysis of brucellosis cases in Kakheti and Kartli regions

**Davitashvili Magda, Zuroshvili Lamara,
Margalitashvili Darejan, Azikuri Gela**
Iakob Gogebashvili State University, Telavi

Abstract

Epidemiological analysis of Brucellosis morbidity in Georgia, in particular Kakheti and Kartli regions, was conducted in 2013-2022. It was stated, that Brucellosis in Georgia is still a widely spread zoonotic disease. It is mainly spread in Kakheti regions (Sagarejo, Akhmeta, Telavi, Dedoplistskaro), during spring and summer period. Mostly people from 20 to 40 years get ill (47%). The increased level of morbidity takes place among the children (14%) and housewives (13%). Epidemic process of brucellosis is characterized as wavy-like dynamic. In 2013-2022 the level of morbidity is increased. In order to get real epidemic picture, the population should be inspected locally. In order to prevent the disease, it's essential to cooperate with medical and veterinary services. Leading factor for brucellosis prevention is holding anti brucellosis events which are in inconvenient farms: isolation of infected animals, improvement of the farms, setting the routes for transportation of animals, setting proper control over milk and meat products.

Keywords: brucellosis, zoonotic, epizootic, prevention, source of infection, morbidity.

**აჭარაში გავრცელებული ფლავონოიდების შემცველი
სამკურნალო მცენარეების მრავალფეროვნება და გამოყენების
თავისებურებანი**

**ვარშანიძე ნათელა, ჯაყელი ეთერ,
თურმანიძე ნაზი, დარჩიძე მაია**

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი

DOI: <https://doi.org/10.52340/idw.2023.02>

აბსტრაქტი. ნაშრომში განხილულია აჭარის ფლორისტულ რაიონში გავრცელებული ფლავონოიდების შემცველი სამკურნალო მცენარეების ტაქსონომიური მრავალფეროვნება, სასიცოცხლო ფორმები, გავრცელებისა და წარმოშობის თავისებურებები და მედიცინაში გამოყენების თავისებურებანი. ნაშრომის შესასრულებლად გამოყენებული იქნა მარშრუტული ექსპედიციის, მცენარეთა რკვევა-იდენტიფიკაციის, ადგილობრივი მოსახლეობის გამოკითხვის მეთოდი. მოძიებული ინფორმაციებით დადგენილი იქნა, რომ აჭარის ფლორისტულ რაიონში გავრცელებულია ფლავონოიდების შემცველი 59 სახეობა, რომლებიც გაერთიანებულია 53 გვარში და 32 ოჯახში. სასიცოცხლო ფორმების მიხედვით ერთწლოვანი ბალახია - 5, მრავალწლოვანი ბალახია- 30, ორწლიანი- 4, ლიანა- 3, ხე- 7, ბუჩქი- 10 სახეობა. გამოყენების მიხედვით: იმუნოსტიმულატორია-4, ანთების საწინააღმდეგო- 15, სასუნთქი გზების სამკურნალოა 6, ანტიმიკრობული 4, სპაზმოლიტური-2, შარდმდენი-4, კუჭ-ნაწლავის დაავადებების სამკურნალო 10, ნერვული სისტემის სამკურნალო 5, ტკივილგამაყუჩებელი-3, მატონიზირებელი-2, ანტიპირეტული 1, გულ-სისხლძარღვების სამკურნალო- 3 სახეობა. შესწავლილ 59 სახეობას შორის 4 სახეობა ენდემურია: ჭოროხის მუხა-აჭარა-ლაზეთის ენდემია, კავკასიური შროშანა -კავკასიის ენდემია, კოლხური სურო- კოლხეთის ენდემია და პოპოვის ჩაწყობილა ბაია (*Ficaria popovii*)- აჭარის ენდემია.

საკვანძო სიტყვები: სამკურნალო მცენარეები, აჭარა, ენდემური სახეობები, ფლავონოიდები.

ნაშრომის მიზანს წარმოადგენს აჭარის ფლორისტულ რაიონში გავრცელებული ფლავონოიდების შემცველი სამკურნალო მცენარეების ტაქსონომიური მრავალფეროვნების, სასიცოცხლო ფორმების, წარმოშობის, გავრცელების არელების და გამოყენების თავისებურებების შესწავლა, აღნიშნული საკითხი დღემდე სრულყოფილად არ არის შესწავლილი. მათი რიცხვი საკმაოდ დიდია. ფლავონოიდები წარმოადგენენ მცენარეული წარმოშობის მეორადი მეტაბოლიზმის პროდუქტებს, საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში ფლავონოიდები ცნობილი იყო, როგორც მცენარეული პიგმენტები. პირველი ნაშრომი ადამიანის ორგანიზმში ფლავონოიდების შესაძლო როლზე გამოაქვეყნა [ნობელის პრემიის ლაურეატმა ალბერტ დე სენტ-გიორგემ](#) 1936 წელს. [მან აღნიშნა, რომ უნგრული წითელი წიწაკისგან](#) გამოყოფილი ფლავონოიდი ხელს უწყობს [სისხლძარღვების](#) მტვრევადი კედლების გაძლიერებას. მან გამოთქვა ვარაუდი, რომ ეს ნაერთი მიეკუთვნება ვიტამინებს და მას უწოდა სახელი-ვიტამინი P-რუტინი. (ერისთავი 2005). ფლავონოიდების მიმართ ინტერესის ახალი ტალღა 1990-იან წლებში დაიწყო, რაც [დაკავშირებული იყო ფლავონოიდების ანტიოქსიდანტური](#) თვისებების აღმოჩენასთან და მათ უნართან გაანეიტრალონ თავისუფალი რადიკალები (ზაპრომეტოვი. 1974). დადგინდა, რომ ფლავონოიდებს ახასიათებს 20-ზე მეტი მიმართულების ფარმაკოლოგიური მოქმედება. მთავარია P-ვიტამინური და ანტიოქსიდანტური აქტივობა, სედაციური, სპაზმოლიზური, 41 დიურეზული, გულ-სისხლძარღვთა და ანტიმიკრობული მოქმედება. ფლავონოიდების აღმოსაჩენად მიმართავენ ციანიდურ სინჯს.(

ფენოლოგიური ნაერთების ბიოქიმია(1968).

ფლავონოიდების შემცველი მცენარეების მრავალფეროვნების შესასწავლად დამუშავებული იქნა შესაბამისი ლიტერატურული წყაროები (ვარშანიძე, 2013. ვარშანიძე 2014. საქართველოს მცენარეთა სარკვევი 1954, 1969. ტ. I,II. Дмитриева1990.I-II. მემიაძე, 2003. 2004).

კვლევის პროცესში გამოყენებული იქნა მარშრუტული ექსპედიციის, მცენარეთა რკვევა-იდენტიფიკაციის, ადგილობრივი მოსახლეობის გამოკითხვის მეთოდები.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ აჭარაში გავრცელებულია ფლავონოიდების შემცველი 59 სახეობა (ერისთავი 2005, Manvelidze 2008, 2013, Varshanidze 2018, Jakeli The Plant List 2013) რომლებიც გაერთიანებულია 32 ოჯახში და 53 გვარში. მათ შორის ევროპული წარმოშობისაა 23, აზიური-18 სახეობა ევრაზიული-18 სახეობა, კავკასიურია-9, სახეობა აფრიკულია-2სახეობა, ხმელთაშუაზღვისპირეთის-5სახეობა, სამხრეთ ამერიკული სახეობა1, ჩრდ. ამერიკული -1, არქტიკული -1, ავსტრალიური-1 სახეობა. ენდემურია 4 სახეობა: ჭოროხის მუხა, კოლხური სურო, კავკასიური შროშანა და პოპოვის ჩაწყობილა ბაია (მემიაძე, მანველიძე 2008, მემიაძე 2003, 2004, Jakeli, 2018). სასიცოცხლო ფორმების მიხედვით ერთწლოვანი ბალახია - 5სახეობა, მრავალწლოვანი ბალახია- 30, ორწლიანი- 4, ლიანა- 3, ხე- 7, ბუჩქი- 10 სახეობა. (Дмитриева 1959, 1990).

ზღვისპირა დაბლობებსა და ფერდობებზე გავრცელებულია 24სახეობა, მთის შუა სარტყელში 8სახეობა, მთის ზედა და სუბალპურ სარტყელში 14 და ყველა სარტყელში 13 სახეობა. სამედიცინო პრაქტიკაში ანთებითი პროცესების საწინააღმდეგოდ გამოიყენება 15 სახეობა, გულ-სისხლძარღვოვანი დაავადებების სამკურნალო 3, იმუნომასტიმულირებელი 4, სასუნთქი გზების დაავადებების სამკურნალოდ 6 სახეობა, ანტიბაქტერიულია 4 სახეობა, შარდმდენის 4 სახეობა, კუჭ-ნაწლავის დაავადებების სამკურნალოდ გამოიყენება 10 სახეობა, ნერვული სისტემის სამკურნალოდ 5 სახეობა, მატონიზირებელია 2 სახეობა, სპაზმოლიტურია 2, ტკივილგამაყუჩებელი 3 სახეობა (<https://agrokavkaz.ge/samkurnalo-mcenareebi>) შედეგები წარმოდგენილია ცხრილი 1 სახით.

ცხრილი 1. აჭარაში გავრცელებული ფლავონოიდების შემცველი სამკურნალო მცენარეების ანოტირებული სია

	ოჯახი, გვარი, სახეობა	ქართული სახელწოდება	წარმოშობა	სასიცოცხლო ფორმა	გავრცელება აჭარაში	გამოყენება
	Actinidia deliciosa	კივი	აღმ. აზია	ორსახლიანი ლიანა	ზღვისპირა დაბლობები და ფერდობები	იმუნოსტიმულატორი
	Rhus coriaria	თუთუბო	მცირე აზია	ბუჩქი	„_____“	ანთებისსაწინააღმდეგო
	Ammi visnaga Lam	ამი კბილის	ევრაზია, აფრიკა	ორწლიანი ბალახი	„_____“	ანთებისსაწინააღმდეგო
	Petroselinum sativum Hoffm.	ობრახუმი	ევრაზია, აფრიკა	ორწლიანი ბალახი	ყველა სარტყელი	ანტიბიოტიკოზული
	Sanicula europaea L.	ქრისტესეპქედა	ევროპა	მრავალწლიანი ბალახი	ყველა სარტყელი	ხველის საწინააღმდეგო
	Calanchoe pinnata L.	კალანხოე	აფრიკა	მრავალწლიანი ბალახი	საოთახე კულტურა	ანტიბაქტერიული
	Artemisia absinthium	აბზინდა	ჩრ. აფრიკა და ევრაზია	მრავალწლიანი ბალახი	ზღვისპირა დაბლობები და ფერდობები	კუჭ-ნაწლავის სამკურნალო
	A. vulgaris	ჩვეულებრივი აბზინდა (მამულა)	აღმ. აზია	მრავალწლიანი ბალახი	„_____“	ანთებისსაწინააღმდეგო
	Matricaria chamomilla L.	სამკურნალო მატრიკარია	ევროპა	ერთწლიანი ბალახი	„_____“	ანთების საწინააღმდეგო
	Tanacetum coccineum	წითელი გვირილა	აზია	მრავალწლიანი ბალახი	სუბალპური	ანტიბაქტერიული
	Solidago virgaurea L.	ოქროწყველა	ევროპა	მრავალწლიანი ბალახი	მთელი ტყის სარტყელი	შარდმდენი
	Helichrysum graveolens (M.Bieb.) Sweet	უკვდავა (ნეგო)	ევროპა, კავკასია	მრავალწლიანი ბალახი	სუბალპური სარტყელი	კუჭ-ნაწლავის სამკურნალო
	Hedera colchica (K. Koch)	კოლხური სურო	კოლხეთის ენდემი	მარადმწვანე ლიანა	ყველა სარტყელი	ანთებისსაწინააღმდეგო
	Betula litwinowii Doluch	არყი	კავკასია	ფოთო ლმცვენი ხე	მთის ზედა და სუბალპური	ნაღვლდამდენი, ამოსახველე ბელი
	Sedum acre L.	მწვავე ფუნთუშა	ჩრდილოეთი აფრიკა, დას. აზია	მრავალწლიანი ბალახი	ზღვისპირა დაბლი და ფერდობებ	ეპილეფსიის საწინააღმდეგო
	Datisca cannabina L.	დათვის კანაფი	აზია	მრავალწლოვანი ბალახი	მთის ზედა სარტყელი	შარდმდენი, სიცხის დამწვევი,
	Hippophae rhamnoides L.	ქაცვი	ევროპა, აზია ³⁴	ბუჩქი	ზღვისპირა დაბლ.ფერდ.	ანთებისსაწინააღმდეგო

Gleditsia triacanthos L.	გლედიჩია	ჩრ. ამერიკა	ფოთოლ მცვენი ხე	„_____“	კუჭ-ნაწლავის დაავ.
Pueraria strict Kurz	პუერარია	აღ. აზია	მერქნიანი ლიანა	„_____“	იმუნოსტიმულატო
Ononis arvensis	ფშნის ეკალი	ევრაზია, ცენტრ. ევროპა	მრავალწლოვანი ბალახი	„_____“	დიურეზული
Quercus dshorochensis K. Koch	ჭოროხის მუხა	აჭარა-ლაზეთის ენდემი	ფოთოლ მცვენი ხე	მთის ქვედა და შუა სარტყელი	კუჭ-ნაწლავის დაავ.
Aesculus hippocastanum L.	ცხენისწაბლა	ბალკანეთი	ფოთოლ მცვენი ხე	ზღვისპირა დაბლობები. ფერდობ.	ანტითრომბული
Juncus effusus L.	ჭილი	ჩრ. ამერიკა, ევროპა, აზია	მრავალწლიანი ბალახი	„_____“	შარდმდენი, სიცხის დამწვევი
Trachysteron orientalis (L.) G. Don	ანჩხლა	ბულგარეთი თურქეთამდე	მრავალწლიანი ბალახი	მთის ყველა სარტყელი	ანტიფუნგალური
Mentha piperita L.	ბადის პიტნა	ევრაზია, აფრიკა	მრავალწლიანი ბალახი	მთის ქვედა და შუა სარტყელი	გულსისხლმ დაავადებებ
M. longifolia L.	გრძელფოთოლა პიტნა	ევროპა, დას. და ცენტრ. აზია	მრავალწლიანი ბალახი	მთის შუა სარტყელი	დამამშვიდებელი
Convallaria majalis	კავკასიური შროშანა	კავკასიის ენდემი	მრავალწლიანი ბალახი	მთის შუა სარტყელი	გულის დაავ.
Allium cepa L.	ხახვი	კულტივირ. საბოსტნ. კულტურა	ერთწლი. კულტურა	ყველა სარტყელი	ბრონქიტი, ასთმა
Scutellaria galericulata L.	მუზარადა	ევროპა, აზია	მრავალწლიანი ბალახი	მთის ზედა სარტყელი	მატონიზირებელი
Stachys sylvatica L.	ტყის დედაფუტკარა	მაკარონეზია, ევროპა	მრავალწლიანი ბალახი	მთის ქვედა სარტყელი	სპაზმოლიტური
Lamium album L.	ჭინჭრის დედა	ევრაზია	მრავალწლიანი ბალახი	მთელი ტყის სარტყელი	სპაზმოლიტური
Magnolia grandiflora L.	დიდყვავილა მაგნოლია	ჩრდილოეთი ამერიკა	მარადმწვანე ხე	ზღვისპირა დაბლობები დობ	ეპილეფსიის სამკურნ.
Feijoa sellowiana Berg.	ფეიჯოა	ბრაზილია, ურუგვაი, პარაგვაი	მარადმწვანე ბუჩქი	„_____“	ანთების საწინააღმდეგო
Fraxinus excelsior L.	ჩვეულებრივი იფანი	ევროპა	ფოთოლ მცვენი ხე	მთის ზედა და შუა სარტყელი	კუჭნაწლავის დაავად.
Chamerion. angustifolium (L.) Holub	თხაწართხალა	კანადა, აშშ	მრავალწლოვანი ბალახი	სუბალპური	იმუნომასტიმულირებელი
Plantago major L.	მრგვალფოთოლა	ევრაზია	ორწლიანი ბალახი	მთელი ტყის	ტკივილგამაყუჩებელი

		მრავალმარღვა			სარტყელი	
	Polygonum. aviculare L.	ჩვეულებრივი მათიტელა	ევრაზია	მრავალწლოვანი ბალახი	ზღვისპირა დაბლობები და ფერდობები	ზედა სასუნთქი გზების სამკურნალო
	P. persicaria L.	ბოსტნის წალიკა	ევროპა, აზია	ერთწლიანი ბალახი	„_____“	შეშუპების საწინააღმდეგო
	P. carneum K. Koch	დვალურა	კავკასიური	მრავალწლიანი ბალახი	მთის ზედა და სუბალპური	კუჭ-ნაწლავის სამკურნალო
	Rumex crispus L.	ჩვეულებრივი ღოღო (ღვალო)	კოსმოპოლი ტური	მრავალწლოვანი ბალახი	ყველა სარტყელი	ატონიური შეკრულობა
	Persicaria hydropiper (L.) Delabre	წყლის მათიტელა	ავსტრალია, ევროპა, აზია	ერთწლიანი ბალახი	ზღვის პირა დაბლობებ, ფერდობ	სპაზმოლიტური
	Thalictrum foetidum L.	სამატლე	აზია, ევროპა	მრავალწლიანი ბალახი	მთის ზედა და სუბალპ.	ეპილეფსიის სამკურნ.
	Rhamnus cathartica L.	ხეშავი	ევროპა, აზია	ფოთოლ მცვენი ბუჩქი	„_____“	შეკრულობის დროს
	Galium verum L.	მინდვრის ნემსა	აზია	მრავალწლიანი ბალახი	მთის ზედა და შუა	ეპილეფსიის სამკურნ.
	G. odoratum (L.) scop	ტყის ჩიტისთვლა	ევროპა	მრავალწლიანი ბალახი	მთელი ტყის სარტყელი	შარდმდენი
	Citrus limon (L.) Burm. f.	ლიმონი	აღმ. აზია	მარადმწვანე ხე	ზღვისპირა დაბლობებ. ფერდობებ	იმუნოსტიმულატორი
	Rubus caesius L.	ძალღმაცვალა	კავკასია	ფოთოლ მცვენი ბუჩქი	„_____“	ანთებისსაწინააღმდეგო,
	R. idaeus L.	ჟოლო	ევროპა	ფოთოლ მცვენი ბუჩქი	მთის შუა, ზედა და სუბალპური	ანთებისსაწინააღმდეგო
	Potentilla erecta (L.) Reusch.	ოთხფურცელა მარწყვაბალახი	ევროპა	მრავალწლოვანი ბალახი	ზღვისპირა დაბლობებ. და ფერდ.	კუჭის წყლულის სამკურნ.
	Alchemilla persica Rothm.	მარმუჭი	კავკასია	მრავალწლოვანი ბალახი	მთის ზედა და სუბალპური	ანთების საწინააღმდეგო
	Rosa canina L.	ასკილი	ევრაზია	ფოთოლ მცვენი ბუჩქი	„_____“	პოლივიტამინური
	Veronica officinalis L.	დედოფლისთითა	ევროპა, აზია	მრავალწლოვანი ბალახი	მთელი ტყის სარტყელი	ამოსახველე ბელი
	Verbascum Thapsus L.	ქერიფქლა, ბამბიქულა	კავკასია	ორწლოვანი ბალახი	ზღვისპირა დაბლობები ფერდობები	კუჭ-ნაწლავის დაავადებ

Tribulus terrestris L.	კუროსთავი	ევრაზია, აფრიკა	ერთწლიანი ბალახი	ზღვისპირა სილნარები	მატონიზირებელი
Viola arvensis Murray	მინდვრის ია	ევროპა, დას. აზია	ერთ ან ორწლიანი ბალახი	მთის შუა და ზედა	ამოსახველე ბელი
Vaccinium myrtillus L.	ჩვეულებრივი მოცვი	ჩრდ. ევროპა, ჩრდ. აზია	ფოთოლმცვენი ბუჩქი	მთის ზედა და სუბალპურ	ანტიბაქტერიული
V. uliginosum L.	ცისფერი მოცვი	ევრაზია	ფოთოლმცვენი ბუჩქი	“-----“	ანტიოქსიდანტი
V. vitis-idaea L.	წითელი მოცვი	ტუნდრა	მარადმწვანე ბუჩქი	სუბალპური	ცისტიტის სამკურნა
Ficaria popovii	პოპოვის ჩაწყობილა ბაია	აჭარის ენდემი	მრავალწლოვანი ბალახი	ზღვისპირა დაბლობებ. ფერდობ.	შარდმდ., სისხლ. გამწმენდი, ჭრილობ.

ლიტერატურა:

- ერისთავი ლ. ფარმაკოგნოზია (სამკურნალო მცენარეები). გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“. თბილისი. 2005. გვ. 170-171
- ვარშანიძე ნ. აჭარაში გავრცელებული სამკურნალო მცენარეების სახეობრივი მრავალფეროვნება. გამომცემლობა „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ ბათუმი. 2013.
- ვარშანიძე ნ., ასანიძე ნ., და სხვა აჭარაში გავრცელებული სამკურნალო მცენარეები და მათი ბიოეკოლოგია. გამომცემლობა „უნივერსალი“. თბილისი 2014.
- ზაპრომეტოვი M.N. ფენოლოგიური ნაერთების ბიოქიმიის საფუძვლები, მ., 1974 წ.
- მემიაძე ნ. აჭარა-ლაზეთის ენდემების ბოტანიკურ-გეოგრაფიული მიმოხილვა. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „მოამბე“. 169, #2, 2004. გვ. 141-143.
- მემიაძე ნ. აჭარის ენდემური ფლორის მრავალფეროვნება/საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის ბოტანიკური ბაღის „მოამბე“. 2003. გვ. 54-61.
- საქართველოს მცენარეთა სარკვევი. ტომი I. „მეცნიერება“. თბილისი. 1964.
- საქართველოს მცენარეების სარკვევი. ტომი II. „მეცნიერება“. თბილისი. ტ-II. 1969.
- ფენოლოგიური ნაერთების ბიოქიმია. J. Harborn M.: Mir, 1968 წ.
- Дмитриева А. Определить растений Аджарии. „Мецниереба“. Тбилиси, т.I. 1990. .
- Дмитриева А. Определить растений Аджарии. „Мецниереба“. Тбилиси, т.II. 1990.
- Jakeli, E., Varshanidze, N., Diasamidze I., Dolidze K., Zarnadze N. (2018). Biodiversity of medicinal plants of wild flora in Ajara-South Colchis and their usage in folk medicine. 3-rd International Science Symposium “New Horizons in Science”, Proceeding Book., At Pristina, Cosovo. 80-96.
- Manvelidze, Z., Memiadze, N., Kharazishvili, D., Varshanidze N. (2008). Diversity of floral area of Adjara. (List of wild grown plants species). Annalis of Agrarian science, 6 (2), 91-93.
- The Plant List a working list of all plant species. 2013 (www.the plant list.org*2013)

Variety of medicinal plants containing flavonoids common in Adjara and features of use

**Varshanidze Natela, Jakeli Eter
Turmanidze Nazi, Darchidze Maya
SHota Rustaveli State University, Batumi**

Abstract

The paper discusses the taxonomic diversity of medicinal plants containing flavonoids distributed in the floristic region of Adjara, their life forms, the peculiarities of distribution and origin, and the peculiarities of their use in medicine. The method of route expedition, identification

of plants, survey of local population was used to perform the work. Based on the obtained information, it was determined that 59 species containing flavonoids are distributed in the floristic region of Adjara, which are grouped into 53 genera and 32 families. According to life forms, annual grass - 5, perennial grass - 30, biennial - 4, liana - 3, tree - 7, shrub - 10 species. According to use: immunostimulator-4, anti-inflammatory-15, respiratory tract treatment 6, antimicrobial 4, spasmolytic-2, diuretic-4, gastrointestinal diseases treatment 10, nervous system treatment 5, pain reliever-3, tonic-2, antipyretic 1, cardiovascular treatment - 3 types. Among the 59 studied species, 4 species are endemic: Chorokhi oak-endemic of Adjara-Lazeti, Caucasian lily-endemic of Caucasus, Kolkhur ivy-endemic of Kolkheti, and Popov's nesting baia (*Ficaria popovii*)-endemic of Adjara.

Key words: medicinal plants, Adjara, endemic species, flavonoids.

საფერავის ღვინის, როგორც ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერების
გამოყენების პერსპექტივა პურპროდუქტების წარმოებაში

ელანიძე ლალი
ხოსიტაშვილი თეა

იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი

DOI: <https://doi.org/10.52340/idw.2023.03>

აბსტრაქტი. ჩატარებულია ყურძნის წიპწის ფქვილით და საფერავით გამდიდრებულ პურში გადასული საერთო ფენოლების და ანტოციანების კვლევა. 20 მლ საფერავის დამატების საერთო ფენოლების რაოდენობამ შეადგინა 52 მგ/ლ, ანტოციანები არ დაფიქსირდა. 30 მლ საფერავის დამატებისას საერთო ფენოლების რაოდენობამ შეადგინა 103 მგ/ლ, ხოლო ანტოციანების რაოდენობა კი 15 მგ/ლ-ია. აღნიშნულ ნიმუშებში ღვინის დამატების ეფექტი ორგანოლექტიურად უფრო გამოისახა გემოს, სუნსა და ფერში, ვიდრე ღვინიდან გადასული ქიმიური პარამეტრების რაოდენობაში. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ანტოციანების გადმოსვლამ ღვინიდან პურში, პროდუქტს შესძინა ანტიოქსიდანტური კვებითი ღირებულება და გამოკვეთილი ტექნოლოგიური ღირსება. საფერავის ღვინიდან პურში გადასული ფენოლური ნაერთები, პურში შემავალი სხვა ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებთან ერთად განაპირობებენ პურის მაღალ ბიოლოგიურ აქტივობას და შესაბამისად, ფუნქციურ დანიშნულებას სამკურნალო-პროფილაქტიკური და პრევენციული თვალსაზრისით.

საკვანძო სიტყვა. ყურძნის წიპწის ფქვილი, საფერავი, ფენოლური ნაერთები, პური, ბიოლოგიური აქტივობა.

საკვების ხარისხს ყველა ეპოქაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და გამორჩეული ადგილი უკავია. სწორედ, საკვების საშუალებით ხდება ადამიანის ორგანიზმში ყველა საჭირო საკვები ნივთიერების თუ სხვა ბიოლოგიურად აქტიური კომპონენტის მიწოდება. დაბალანსებული კვების თეორიის თანახმად, ადამიანის ორგანიზმის ფიზიოლოგიურ ჩარჩოებში ნორმალური ფუნქციონირებისთვის საჭიროა არა მხოლოდ ცილების, ცხიმების და ნახშირწყლების მიღება, არამედ აუცილებელია ისეთი ნივთიერებებიც, როგორცაა შეუცვლელი ამინომჟავები, ვიტამინები, მინერალები და სხვა ბიოლოგიურად აქტიური ბუნებრივი ნივთიერებების მთელი არსენალი, რომლებიც სულ რაღაც მიკროგრამების ოდენობითაა საჭირო, მაგრამ ამ ნუტრიენტების გარეშე, ადამიანის დღეგრძელობა და ჯანმრთელობის შენარჩუნება შეუძლებელია. ამ ყველაფერთან ერთად, ვფიქრობ ძალიან მნიშვნელოვანია გემოების აღქმა და მისი გავლენა ჩვენს სენსორულ სისტემაზე და რაც ასევე არანაკლებ მნიშვნელოვანია, ჩვენს ემოციებზე - მსოფლიოში ცნობილმა შეფ-მზარეულმა თქვა ასეთი ფრაზა - არც ერთი საკვები არ არის სრულყოფილი, თუ არ არის შეზავებული ლამაზი მითით.

თანამედროვე ეპოქაში, ამ სტრესულ და პანდემიურ საუკუნეში, მთელი მსოფლიოს მეცნიერების და მეწარმეების წინაშე დადგა გლობალური ამოცანა - ადამიანის ორგანიზმის ფიზიოლოგიური მოთხოვნების დაკმაყოფილება უმაღლესი ხარისხის, ბიოლოგიურად სრულფასოვანი და უსაფრთხო კვების პროდუქტებით. სწორედ ამის საფუძველზე დაიბადა ახალი კონცეფცია - ფუნქციური კვების მიმართულება. როგორც ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია აცხადებს - მსოფლიოში სიკვდილიანობის დაახლოებით 75% და პირველ ადგილს გულ-სისხლძარღვთა დაავადებები და კიბო იკავებს. ასეთი ვერაგი დაავადებების პრევენციის

აუცილებლობის გათვალისწინებით, კვების მრეწველობაში უნდა დაინერგოს ბიოლოგიურად ღირებული საკვები პროდუქტების ახალი წყაროების იდენტიფიცირება.

ახალი COVID -19 ინფექციის პრობლემამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ 21-ე საუკუნის ფაქტობრივი მიმართულებაა ბუნებრივი ბიოლოგიურად აქტიური ნაერთების გამოყენება და, მათ საფუძველზე, კვების პროდუქტების წარმოების უახლესი ტექნოლოგიის შემუშავება თერაპიული და პროფილაქტიკური მოქმედებით.

ჩვენს წინაპრებს უთქვამს - პური ქართლისა, ღვინო კახისა, ყველი თუშისა, ერბო ფშავისაო. ყველა ეს პროდუქტი ქართველებისთვის მნიშვნელოვანია არა მარტო როგორც საკვები, არამედ საკრალური მნიშვნელობაც კი აქვს. ამ პროდუქტებიდან მაინც გამორჩეული პური ჩვენი არსობისაა, რადგან პური წარმოადგენს ადამიანის კვების რაციონის ძირითად პროდუქტს და სწორედ ამიტომ, პურის შემადგენლობის დაბალანსების უზრუნველყოფა და კვებითი ღირებულების გაზრდა მეტად აქტუალური და მნიშვნელოვანი საკითხია თანამედროვე ყოფაში.

პურპროდუქტებში სხვადასხვა ბუნებრივი ინგრენდიენტების დამატების ხარჯზე შესაძლებელია პურის შენახვის ვადის გახანგრძლივება, ტექსტურის გაუმჯობესება, დიეტური და სამკურნალო-პროფილაქტიკური დანიშნულების პროდუქტის მიღება და ასევე, რაციონში არასაკმარისი საკვები ნივთიერებების დეფიციტის შევსება [4]. როგორც წესი, პურს აქვს ფართო დიაპაზონის გემო, რაც იძლევა ბევრი ვარიაციის საშუალებას, რაც შესაბამისად, არის შესაძლებლობა იყოს მიმღები სხვადასხვა ბუნებრივი, ჯანსაღი კომპონენტების და გახდეს ფუნქციური დანიშნულების საკვები პროდუქტი. მეცნიერთა მიერ შესწავლილი იქნა ხილით და ბოსტნეულით გამდიდრებულ პურში ფენოლური ნაერთების რაოდენობა და ანტიოქსიდანტური აქტივობა. დადასტურდა, რომ აღნიშნულ პურში მნიშვნელოვნად გაიზარდა ფენოლური ნივთიერებების საერთო რაოდენობა და ანტიოქსიდანტური აქტივობის მაჩვენებელი [1, 2]. მეცნიერული კვლევებით დადასტურებულია, რომ ყველით გამდიდრებული პური არის ნატრიუმის, სპილენძის და თუთიის წყარო, ასევე დაფიქსირებულია კალციუმის, ფოსფორის და მაგნიუმის მაღალი შემცველობა [7]. მეცნიერთა მიერ შესწავლილი იქნა მეღვინეობის ნარჩენის, კერძოდ კი ყურძნის გამშრალი გამონაწნხის, რომელიც აღებული იყო სპირტული დუღილის დამთავრების შემდეგ, დადებითი გავლენა პურის ისეთ ფუნქციურ თვისებებზე, როგორიცაა ტექსტურა, სენსორული და ფიზიკურ-ქიმიური მაჩვენებლები. დადგინდა, რომ პურპროდუქტების წარმოებაში ყურძნის გამონაწნხი წარმოადგენს მნიშვნელოვან გამამდიდრებელ ინგრედიენტს, რადგან საბოლოო პროდუქტში აღნიშნება საკვები ბოჭკოების, ანტიოქსიდანტური აქტივობის და ფენოლური ნაერთების რაოდენობის ზრდა [9].

მეცნიერული კვლევებით დადასტურებულია, რომ ფენოლურ ნაერთებს აქვთ ძალიან ძლიერი ანტიოქსიდანტური, ანტიბაქტერიული, ანტივირუსული ეფექტი და ბიოლოგიური აქტივობის სხვადასხვა მიმართულება. ბოლო კვლევებმა აჩვენა, რომ ფენოლური ნაერთები ეფექტურია Covid 19-ის წინააღმდეგ ბრძოლაში, დამატებითი საშუალების სახით კოვიდ პაციენტების მკურნალობისას, როგორც მწვავე პერიოდში, ასევე პოსტ-კოვიდ სინდრომის დროს [8].

ყურძნის წვენსა და ყურძნის მყარ ნაწილებში ნაპოვნი ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები წარმოადგენს მდიდარ ნედლეულს მათი მაღალი ანტიოქსიდანტური და სხვა ბიოლოგიური აქტივობის გამო. ფენოლური ნივთიერებები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ სამიზნე პროდუქტის თერაპიული და პროფილაქტიკური ღირებულების ფორმირებაში. ისინი წარმოადგენილია ფლავონოიდური (ოლიგომერული და პოლიმერული პროციანიდინები, კატექინები, ფლავონოლები, ანტოციანები) და არაფლავონოიდური (ფენოლმჟავები, სტილბენოიდები და სხვ.) ჯგუფებით. აღსანიშნავია, რომ ყურძნის ფენოლური ნივთიერებები ხასიათდება მაღალი ბიოლოგიური აქტივობით სხვადასხვა მიმართულებით და მათი შემცველობა ღვინოებსა და ყურძნისეული წარმოშობის სხვა პროდუქტებში განსაზღვრავს ამ პროდუქტების ფუნქციურ დანიშნულებას თერაპიული და პროფილაქტიკური თვისებების თვალსაზრისით [3,10,11]. მეცნიერთა მიერ ექსპერიმენტულად დადგენილია, რომ

პროდუქტებს, რომლებშიც პოლიფენოლების ჯამურ შემადგენლობაა, ახასიათებთ ანტიოქსიდანტური აქტივობის სინერგიზმი [5].

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პურის წარმოების დროს აქტუალური და მნიშვნელოვანია ყურძნისეული კომპონენტების გამოყენება. ამის საფუძველზე, სამუშაოს კვლევის მიზანს წარმოადგენდა, გამომეკვლია საფერავის ღვინით და ყურძნის წიპწით გამდიდრებულ პურში გადასული ზოგიერთი ფენოლური ნივთიერება.

კვლევის ობიექტები და მეთოდები. კვლევის ობიექტებად გამოყენებული იყო:

- საკონტროლო ნიმუში (I)
- ყურძნის წიპწის ფქვილით გამდიდრებული პური (II)
- საფერავით და ყურძნის წიპწის ფქვილით გამდიდრებული პური (III)
- ღვინო საფერავი

საკვლევი ნიმუშები მომზადდა შპს „მზეთამზე - გემოვანი პურის“ ბაზაზე. პირველი ნიმუში დამზადდა საკონტროლო, მეორე ნიმუში - ყურძნის წიპწის ფქვილით გამდიდრებული, ხოლო მესამე ნიმუში კი საფერავის და ყურძნის წიპწის ფქვილის დამატებით. ყველა ნიმუში - საკონტროლო და საკვლევი ნიმუშები, დამზადდა საწარმოში მიღებული ტექნოლოგიური ოპერაციების თანმიმდევრობისა და შესრულების რეჟიმის დაცვის პირობებში.

განისაზღვრა პურის ცხობისას გამოყენებული საფერავის ღვინის, საერთო ფენოლები და ანტოციანები.

საკვლევი ნიმუშების კანსა და გულში საერთო ფენოლები და თავისუფალი ანტოციანები განისაზღვრა გლორიას მეთოდის შესაბამისად [6], სპექტოფოტომეტრის (HACH / DR / 3900) 420 და 520 ნმ ტალღის სიგრძეზე (ცხრილი 3). ყურძნის წიპწის ტანინების აღმოჩენის მიზნით მათი რაოდენობა განისაზღვრა 280 ნმ ტალღის სიგრძეზე მოდელოური ხსნარების სხვადასხვა (3.2-1.0) pH -ის მქონე ნატრიუმის ბისულფიტი ანდა წყლიან საცდელ ნიმუშებში.



პურის საკონტროლო და საკვლევი ნიმუშებში განსაზღვრული იქნა ორგანოლექტიკური მაჩვენებლები, მათ შორის: ფერი, სუნი, გემო და არომატი, ზედაპირი, ანატეხის სახე, ფორიანობა. კვლევის შედეგები მოცემულია ცხრილი 1.

შედეგები და მათი განსჯა

ცხრილი 1. პურის საკონტროლო და საკვლევი ნიმუშების ორგანოლექტიკური მაჩვენებლები

ხარისხის მაჩვენებლები	კვლევის შედეგები		
	საკონტროლო ნიმუში I	საკვლევი ნიმუში	
		ყურძნის წიპწის ფქვილით გამდიდრებული პური II	საფერავით და ყურძნის წიპწის ფქვილით გამდიდრებული პური III

ზედაპირი	უმნიშვნელო უთანაბრობებით, ნაპრალების და ნახეთქების გარეშე, ერთგვაროვნად შეფერილი ქერქით	ერთგვაროვანი, ნახეთქების და ნაპრალების გარეშე, ერთგვაროვნად შეფერილი ქერქით.	სწორი, ერთგვაროვანი, ნახეთქების და ნაპრალების გარეშე, ერთგვაროვნად შეფერილი ქერქით.
ანატების სახე	კარგად გამომცხვარი, განივ ჭრილში არ ფიქსირდება მოუხელავი ცომის კვალი, თხელკედლიანი, თანაბარი ფორიანობით, სიცარელეების გარეშე.	კარგად გამომცხვარი, განივ ჭრილში არ ფიქსირდება მოუხელავი ცომის კვალი, თხელკედლიანი, თანაბარი ფორიანობით და სიცარელეების გარეშე	კარგად გამომცხვარი, განივ ჭრილში არ ფიქსირდება მოუხელავი ცომის კვალი, თხელკედლიანი, ფორიანობით და სიცარელეების გარეშე
ფერი	მოყავისფერო - კრემისფერი	ღია მოყავისფერო	მოყავისფერო, მოწითალო, ღვინისფერი შეფერილობით
ფორიანობა	კარგად გამომცხვარი, თხელი კედლებით, პურის გული ფორიანი, ელასტიური, თითის მსუბუქად დაჭერის შემდგომ, იღებს საწყის ფორმას. ხელით შეხებისას წებოვნებისა და ტენიანობის შეგრძნებას არ ტოვებს.	თხელი კედლებით, პურის გული ფორიანი, ელასტიური, დაწოლის შემთხვევაში ფორმას ადვილად აღიდგენს. ხელით შეხებისას წებოვნებისა და ტენიანობის შეგრძნებას არ ტოვებს.	თხელი კედლებით, პურის გული ფორიანი, ელასტიური, დაწოლის შემთხვევაში ფორმას ადვილად აღიდგენს. ხელით შეხებისას წებოვნების შეგრძნებას არ ტოვებს. ზომიერად ტენიანია.
სუნი	გამონატული პურის სურნელით, ძალიან მსუბუქი, ჰარმონიული მომჟავო სუნით.	საფერავის ძალიან მსუბუქი სურნელით და ჰარმონიული სუნით.	საფერავის სპეციფიური, მსუბუქი სურნელით და ჰარმონიული მომჟავო სუნით.
გემო და არომატი	ცეხვილი პურისთვის დამახასიათებელი გამოკვეთილი ხორბლის არომატით, მსუბუქი მომჟავო გემოთი	ცეხვილი პურისთვის დამახასიათებელი გამოკვეთილი ხორბლის გემოთი, ძალიან მსუბუქი, საფერავის არომატით.	ცეხვილი პურისთვის დამახასიათებელი გამოკვეთილი ხორბლის გემოთი, მსუბუქი, ჰარმონიული საფერავის არომატით.

ცხრილი 2. ყურძნის წიპწის ფქვილით, საფერავით და ყურძნის წიპწის ფქვილით გამდიდრებულ პურში გადასული საერთო ფენოლები და ანტოციანები

დასახელება	საერთო ფენოლები (მგ/ლ)	ანტოციანები (მგ/ლ)	ორგანოლექტიკა
ღვინო საფერავი	3335,5	402	დამახასიათებელი ჯიშური არომატი
100გრ ფქვილი, ბუნებრივი საფუარი, მარილი, წყალი (დამატებითი ინგრედიენტების გარეშე)	-	-	ტიპური
100 გრ ფქვილი, 5 გრ(5%) ყურძნის წიპწის ფქვილი, ბუნებრივი საფუარი, წყალი, მარილი	-	-	გამოკვეთილი არომატის და გემოს გარეშე, სასიამოვნო

100 გრ ფქვილი, 7 გრ(7%) ყურძნის წიპწის ფქვილი, ბუნებრივი საფუარი,მარილი, წყალი	52	-	გამოკვეთილი არომატის და გემოს გარეშე, სასიამოვნო
100 გრ ფქვილი, 5 გრ(5%) ყურძნის წიპწის ფქვილი, ბუნებრივი საფუარი, მარილი, საფერავი (20მლ), წყალი(40მლ)	103	15	საფერავის მცირე ტონი
100 გრ ფქვილი, 5 გრ (5%) ყურძნის წიპწის ფქვილი, ბუნებრივი საფუარი, მარილი, საფერავი (30მლ), წყალი(30მლ), მარილი.	12	-	საფერავის გამოკვეთილი არომატი და შესამჩნევი წითელი ფერი.

საკვლევი ნიმუშების ანალიზმა აჩვენა, რომ წარმატებული სტრატეგიაა პურის ანტიოქსიდანტური და გამაჯანსაღებელი თვისებების გასაუმჯობესებლად ღვინის მცირე დოზების გამოყენება გარკვეული სენსორული მახასიათებლების, მათ შორის ტექსტურის, ფერის და სუნის განვითარების მიზნით. 20 მლ ღვინის დამატებისას პურის ნიმუშში იგრძნობოდა საფერავის მცირე, მაგრამ სასიამოვნო არომატი, პურის გული ხასიათდებოდა ღია მოწითალო შეფერილობით; აღნიშნულ ნიმუშში საერთო ფენოლების რაოდენობამ შედგინა 52 მგ/ლ. რაც შეეხება 30 მლ საფერავის ღვინის დამატებულ ნიმუშს, მასში გამოიკვეთა საფერავის ჯიშური არომატი და მკვეთრად შესამჩნევი იისფერი-მოწითალო შეფერილობა, სასიამოვნო გემო და ოდნავ მომეტებული ტენიანობა. საერთო ფენოლების რაოდენობამ აღნიშნულ ნიმუშში შეადგინა 103 მგ/ლ, ხოლო ანტოციანების რაოდენობა 15 მგ/ლ-ია (ცხრილი 2).

აღნიშნულ ნიმუშებში ღვინის დამატების ეფექტი ორგანოლექტიკურად უფრო გამოისახა გემოს, სუნსა და ფერში ვიდრე ღვინიდან გადასული ქიმიური პარამეტრების რაოდენობაში. თუმცა თამამად შეიძლება ითქვას, რომ ანტოციანების გადმოსვლამ ღვინიდან პურში, მას შესძინა ანტიოქსიდანტური კვებითი ღირებულება და გამოკვეთილი ტექნოლოგიური ღირსება.

ამიტომ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია შემდგომში სიღრმისეულად შევისწავლოთ აღნიშნული დანამატების გავლენა პურის შენახვის ხანგრძლივობაზე და მის კვებით ღირებულებაზე.

ამრიგად, კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მიზანშეწონილია ღვინო საფერავი გამოყენებული იქნას პურის კვებითი ღირებულების გასაზრდელად, მზა პროდუქციის ხარისხის გასაუმჯობესებლად, საგემოვნო თვისებების დასახვეწად და პურის ასორტიმენტის გასაფართოებლად. პური საფერავით წარმოადგენს შემანიშნავ კომბინაციას, რომელიც ერთმანეთს ავსებს არა მარტო საგემოვნო თვისებებით, არამედ სხვადასხვა ბუნებრივი ინგრედიენტებისგან მომზადებულ პროდუქტში შემავალი სასარგებლო ნივთიერებები ერთად განაპირობებს საბოლოო პროდუქტის მაღალ კვებით ღირებულებას. საფერავის ღვინიდან პურში გადასული ფენოლური ნაერთები, პურში შემავალი სხვა ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებთან ერთად განაპირობებენ პურის მაღალ ბიოლოგიურ აქტივობას და შესაბამისად, ფუნქციურ დანიშნულებას სამკურნალო-პროფილაქტიკური და პრევენციული თვალსაზრისით.

ლიტერატურა:

1. Betoret, Ester, Rosell, Cristina M. (2019) Enrichment of bread with fruits and vegetables: trends and strategies to increase 1 functionality. CEREAL CHEMISTRY Special Issue: Cereal Grains for Nutrition and Health Volume97, Issue1, Pages 9-19 <https://doi.org/10.1002/cche.10204>
2. Czubaszek, A.; Czaja, A.; Sokół-Łęćtowska, A.; Kolniak-Ostek, J.; Kucharska, A.Z. (2021). Changes in Antioxidant Properties and Amounts of Bioactive Compounds during Simulated In Vitro Digestion of Wheat Bread Enriched with Plant Extracts. Molecules **2021**, 26, 6292. <https://doi.org/10.3390/ molecules 26206292>

3. Elanidze, L. (2022). Enrichment of biologically active supplement with phenolic components of grapevine scrap extract. *ISJ Theoretical & Applied Science*, 11 (115), 642-647. *Soi*: <http://s-o-i.org/1.1/TAS-11-115-50>
Doi: <https://dx.doi.org/10.15863/TAS> *Scopus ASCC*: 1106.
4. Isaac Amoah, Carolyn Cairncross, Emmanuel Ofori Osei, Jacqueline Afua Yeboah, Jesse Charles Cobbinah, Elaine Rush (2022) Bioactive Properties of Bread Formulated with Plant-based Functional Ingredients Before Consumption and Possible Links with Health Outcomes After Consumption- A Review Plant. *Foods for Human Nutrition* (2022) 77:329–339
5. Kanner J., Frankel E., Grant R., German B., Kinsella JE. (1994). Natural Antioxidants in Grapes and wines. *Journal of Agricultural and Food Chemistry*. 1994; 42 (1): 64–69.
6. Maturité Phénolique (méthode Glories) , 1960.
7. Rodrigo Barbosa Monteiro CAVALCANTEI, Marcelo Antônio MORGANO, Maria Beatriz Abreu GLÓRIA, Maurisrael de Moura ROCHA, Marcos Antônio da Mota ARAÚJO, Regilda Saraiva dos Reis MOREIRA-ARAÚJO (2019) Mineral content, phenolic compounds and bioactive amines of cheese bread enriched with cowpea *Food Sci. Technol, Campinas*, 39(4): 843-849, Oct.-Dec. 2019 DOI: [Dhttps://doi.org/10.1590/fst.11718](https://doi.org/10.1590/fst.11718)
8. Thirumalaisamy Rathinavel, Bhuvaneshwari Meganathan, Suresh Kumarasamy, Subramanian Ammashi, Selvankumar Thangaswamy, Yuvarajan Ragunathan, Srinivasan Palanisamy. (2021) Potential COVID-19 Drug from Natural Phenolic Compounds through In Silico Virtual Screening Approach. *Biointerface Research in Applied Chemistry*. 2021; 11(3):10161 – 10173. <https://doi.org/10.33263/BRIAC113.1016110173>
9. Tolve, R.; Simonato, B.; Rainero, G.; Bianchi, F.; Rizzi, C.; Cervini, M.; Giuberti, G. (2021) Wheat Bread Fortification by Grape Pomace Powder: Nutritional, Technological, Antioxidant, and Sensory Properties. *Foods* 2021, 10, 75. <https://doi.org/10.3390/foods10010075>
10. ელანიძე, ლ. (2019) ყურძნისეული წარმოშობის ბიოლოგიურად აქტიური კვებითი დანამატის „Georgian Vitae rimas XXI“ ტექნოლოგია. მონოგრაფია. გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი
11. ხოსიტაშვილი, თ. (2020) აბორიგენული და ინტროდუცირებული ვაზის ჯიშების წითელ ყურძენში ფენოლური სიმწიფის ინდექსის შესწავლა და გავლენა წითელი ღვინის ხარისხზე. მონოგრაფია. გამომცემლობა „ჩოხი“. თბილისი.

The prospect of using Saferavi wine as a biologically active substance in the production of bread products

Elanidze Lali
Khositashvili Tea

Iakob Gogebashvili State University, Telavi

Abstract

A study of total phenols and anthocyanins in bread enriched with grape seed flour and Saperavi has been conducted. The amount of total phenols added to 20 ml of Saperavi wine amounted to 52 mg/l, anthocyanins were not observed. When adding 30 ml of red wine, the amount of total phenols was 103 mg/l, and the amount of anthocyanins was 15 mg/l. In the mentioned samples, the effect of adding wine was expressed organoleptically more in taste, smell and color than in the amount of chemical parameters transferred from the wine. However, it should be noted that the transfer of anthocyanins from wine to bread has added antioxidant nutritional value and distinct technological value to the product. The phenolic compounds transferred from the Saperavi wine to the bread, along with other biologically active substances contained in the bread, determine the high biological activity of the bread and, accordingly, its functional purpose from a curative-prophylactic and preventive point of view.

keyword. Grape seed flour, coloring, phenolic compounds, bread, biological activity.

პასტუხოვის სურო (Hedera pastuchovii Woronow) საქართველოს ფლორის იშვიათი და ეკონომიკური მნიშვნელობის მცენარე

ერაქე ნინო

საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი, თბილისი

ნადირაძე თამარ

იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი

DOI: <https://doi.org/10.52340/idw.2023.04>

აბსტრაქტი. შრომაში განხილულია მესამეული პერიოდის შემორჩენილი ჰირკანულ-კავკასიური (ჰირკანულ-აღმოსავლეთ კავკასიური) დენდროფლორის რელიქტის, პასტუხოვის სუროს (*Hedera pastuchovii Woronow*) გავრცელება, ბუნებრივი განახლება, ზოგიერთი ბიოეკოლოგიური თავისებურება და ფიტოცენოზებში მათი მონაწილეობის ხასიათი.

კვლევა ჩატარდა საგურამოს ქედის ჩრდილოეთ კალთებზე და სამხრეთის ექსპოზიციის დაქანებულ ფერდობებზე ზომიერად დატენიანებულ ნიადაგებზე ზღვის დონიდან 800 - 1400 მ ფარგლებში და ლავოდების ნაკრძალის ჩრდილოეთ კალთებზე, ჩრდილო-დასავლეთის ფერდობებსა და სამხრეთ ექსპოზიციის მშრალ ფერდობებზე ზღვის დონიდან 500-1200 მ. სიმაღლეზე.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ საგურამოს ქედის ტყეებში პასტუხოვის სურო იშვიათია. გვხვდება დაჩრდილულ ტყეებში მცირე ჯგუფების სახით. გამრავლება ძირითადად ვეგეტატიურად ხდება. სახელობრ, მიწაზე გართხმული ყლორტების დაფესვიანებით.

საგურამოს ქედისგან განსხვავებით, ლავოდების ნაკრძალში გვხვდება მათი ვეგეტატიურად (თესლით) გამრავლებული ეგზემპლარები. აღმონაცენები იზრდება ძირითადად დაჩრდილულ ნიადაგებზე, სადაც ბალახოვანი საფარი ან არ არის განვითარებული ან მეჩხერია.

პასტუხოვის სუროს გადარჩენის აუცილებელ პირობად მიგვაჩნია მისი *in situ* და *ex situ* კონსერვაცია.

საკვანძო სიტყვები: ფლორა, რელიქტი, რეფუგიუმი, ენდემი, ეკონომიკური, პასტუხოვის სურო.

შესავალი

საქართველოს ფლორა მდიდარია უძველესი რელიქტური, ენდემური, და ეკონომიკური მნიშვნელობის მცენარეებით. ბოლო ათეულ წლებში ბუნებრივ კომპლექსებზე მკვეთრად გაზრდილი ანთროპოგენური ზემოქმედებისა და სტიქიური მოვლენების გაძლიერების პირობებში განსაკუთრებული პრაქტიკული მნიშვნელობა ენიჭება ბუნებრივი ფლორის ფუნქციების შეფასებასა და ეკოსისტემების თანამედროვე მდგომარეობის განსაზღვრას. მნიშვნელოვანია, ბუნებრივი ფლორის იმ ეკონომიკური (დეკორატიული, სამკურნალო, საკვები და სხვა) მცენარეთა გენოფონდის დაცვას, რომლებიც პირველ რიგში დგებიან განადგურების წინაშე, რის გამოც აუცილებელია ბიომრავალფეროვნების *ex situ* შენარჩუნება, მათი ინტენსიფიკაცია და მდგრადი გამოყენება ბუნებრივ ეკოსისტემაში, რაც სასურველია მოხდეს გენეტიკური რესურსების წარმოშობის არეალში.

კვლევის მიზანი. ჩვენი კვლევის მიზანს შეადგენდა შეგვესწავლა უძველესი მესამეული პერიოდის ფლორის რელიქტი პასტუხოვის სურო (*Hedera pastuchovii Woronow*). შესწავლილ

იქნა მისი გავრცელება, ბუნებრივი განახლება, ზოგიერთი ბიოეკოლოგიური თავისებურება, ფიტოცენოზებში მონაწილეობის ხასიათი და თანამედროვე მდგომარეობა.

კვლევის ობიექტი და მეთოდები: აღნიშნული საკითხის შესწავლის მიზნით, კვლევა ჩატარდა, მცხეთის მუნიციპალიტეტში-საგურამოს ქედზე და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში - ლაგოდეხის ნაკრძალში.

პასტუხოვის სურო (*Hedera pastuchovii Woronow*) 15 მ-მდე სიგრძის მარადმწვანე ლიანაა. ივითარებს ორი ტიპის ყლორტებს: ნიადაგზე გართხმულსა და ხეზე მცოცავს. ნიადაგზე გართხმული ყლორტები უნაყოფოა. ხეებზე მცოცავი-სანაყოფე. უნაყოფო ყლორტების ფოთლები კვერცხისებრ მომრგვალო ფორმისაა. მეტწილად გულისებრი ფუძით. მთლიანი ან ოდნავ დანაკვეთული. სანაყოფე ყლორტების ფოთლები რომბისებრია, წვერზე ოდნავ წაწვეტებული. ყვავილობს სექტემბერ-ოქტომბერში, მწიფდება დეკემბრიდან შემდეგი წლის გაზაფხულამდე-ნაყოფი შავია, მრგვალი. თაფლოვანი და სამკურნალო მცენარეა.

იზრდება დაბლობის, მთის ქვედა და შუა სარტყლის ფოთლოვან ტყეებში, ტყისპირებზე, ველობებზე; ხეებზე ასული ლიანა ბუჩქებია.

პასტუხოვის სურო გვხვდება: ქართლი: საგურამოს ქედი ზედაზენის გზაზე და მონასტერთან, კახეთი: მდ. ახტალას ხეობა; ლოპოტას ხეობა; ლაგოდეხის ნაკრძალი; თუშ-ფშავ-ხევსურეთი და ქიზიყი.

საქართველოს ფარგლებს გარეთ გავრცელებულია: ირანი, დაღესტანი, აზერბაიჯანი (თალიში) [4].

პასტუხოვის სურო (*Hedera pastuchovii Woronow*) კოლხურ სუროსთან (*Hedera colchica* (C.Koch) C.Koch) მორფოლოგიურად და გენეტიკურად ახლომდგომი სახეობაა. მისგან განსხვავდება უფრო პატარა ზომის დანაკვეთული ფოთლებით. გარდა კოლხური სუროსი (*Hedera colchica* (C.Koch) C.Koch), პასტუხოვის სუროსთან (*Hedera pastuchovii Woronow*) ახლომდგომი სახეობები გავრცელებულია ჰიმალაის მთებში, ჩინეთსა და ინდოჩინეთში [6].

სამიზნე სახეობაზე პირველი კვლევა ჩატარდა საგურამოს ქედზე. აღსანიშნავია, რომ საგურამოს ქედი მიეკუთვნება მთავარი კავკასიონის ქედის კახეთის მთების სისტემის განშტოებას, რომელიც მიემართება ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ. არის განედური მიმართულების წყალგამყოფი სერი, გაწოლილია მდინარე მტკვრისა და იორის ხეობებს შორის. მისი ქვედა საზღვარი მდებარეობს ზღვის დონიდან 550- 600 მ-ზე, ზედა - 1400 მ-დე. აქ მკვეთრად გამოხატული მიკროკლიმატის ორი თავისებური ფორმა: სამხრეთი ფერდობი, რომელიც ხასითდება ნალექების (შედარებით) სიმცირით, ხშირი ქარებით და ზაფხულში მაღალი ტემპერატურით. ჩრდილო ფერდობი, რომელიც მეტი ნალექებით, იშვიათი ქარებით და ზაფხულში შედარებით დაბალი ტემპერატურით გამოირჩევა [1,2].

ბოტანიკური თვალსაზრისით გამორჩეული რეფუგიუმის - საგურამოს ქედის ფლორა მეტად მდიდარი და მრავალფეროვანია, რაც განპირობებულია, ერთის მხრივ თვითონ საგურამოს ქედის მდებარეობით, რომლის შედეგად ვითარდება თავისებური ერთიმეორისაგან განსხვავებული მიკროკლიმატი, ხოლო მეორეს მხრივ, ისტორიულ წარსულში მესამეული პერიოდის (მეზოციკლი) და შუა აზიის (ქსეროციკლი) ფლორის გავლენით, რის შედეგადაც განვითარებულია მეტად საინტერესო, ფლორისტულად მდიდარი და ნაირფეროვანი მცენარეული საფარი.

აქ ჩამოყალიბებული თავისებური მიკროკლიმატი განაპირობებს აგრეთვე ამ ტერიტორიაზე კოლხური ელემენტების შენარჩუნებას, რაც საგურამოს ქედის ფლორას მეტად საინტერესოს ხდის.

საგურამოს ქედი „კოლხეთის ტყის კუნძულის“ სახელითაცაა ცნობილი, სადაც წარმოდგენილია ასევე მესამეული პერიოდის კოლხეთის ტიპის რელიქტების 19 სახეობა

(ჰყორი - *Ilex colchica*, მოცვი-*Vaccinium myrtillus*, კოლხური სურო - *Hedera colchica*, პასტუხოვის სურო - *Hedera pastuchowii*, კოლხური ბზა - *Buxus colchica*, უთხოვარი - *Taxus baccata*, კატაბარდა - *Clematis vitalba*, ეკალიჭი- *Smilax excelsa*, ჯონჯოლი - *Staphylea pinnata*, კოლხური ჯონჯოლი - *Staphylea colchica*, უსურვაზი-*Vitis silvestris* და სხვ.), რაც მისი დენდროფლორის 38% შეადგენს [3,5].

საგურამოს ქედზე კოლხური ელემენტების მონაწილეობით წარმოქმნილია ტყის შემდეგი ტიპები: წიფლნარ-რცხილნარი, სუროიანი- *Fageto-Carpinetum hederosum* (*Carpinus caucasica* + *Fagus orientalis* + *Hedera pastuchovii*), რცხილნარი კოლხურ-სუროიანი - *Carpinetum hederosum* (*Carpinus caucasica* + *Hedera colchica*), რცხილნარ-თხილნარ- იფნარ-ხახიანი - *Carpineto-Coryleto-Fraxinetum pachyphragmosum* (*Fraxinus excelsior* + *Corylus iberica*+ *Carpinus caucasica* + *Pachyphragma macrophyllum*), რცხილნარ-წიფლნარი -*Carpineto – Fagetum*, რცხილნარ-მუხნარი-*Carpineto-Quercetum*, მუხნარები -*Querceta* (*Quercus iberica*) წიფლნარი ჰყორიანი - *Fagetum ilexosum* (*Fagus orientalis* +*Ilex colchica*), წიფლნარი სუროიანი - *Fagetum hederosum* (*Fagus orientalis* + *Hedera pastuchovii* + *Hedera colchica*), წიფლნარი მოლოზანიანი -*Fagetum viburnosum* (*Fagus orientalis* + *Viburnum orientale*), წიფლნარი ჩიტისთვალისანი -*Fagetum asperulosum* (*Fagus orientalis* + *Asperula odorata*), წიფლნარი მაყვლიან-ჩადუნისანი - *Fagetum rubosodryopteridosum* (*Fagus orientalis* + *Rubus caucasicus* +*Dryopteris filix-mas*), და სხვ.

საგურამოს ქედის ჩრდილოეთ კალთებზე, მთის მწვერვალზე, სხვადასხვა ექსპოზიციებში ზ.დ. 850- 1400 მ ფარგლებში ყველაზე ფართოდაა გავრცელებული კოლხური ტიპის წიფლნარები (*Fageta*; *Fagus orientalis*), პასტუხოვის სუროს (*Hedera pastuchovii*), კოლხური სუროს (*Hedera colchica*), ჩვეულებრივი სუროს (*Hedera helix*), ჰყორის (*Ilex colchica*), ჩიტისთვალას (*Asperula odorata*), ხახიას (*Pachyphragma macrophyllum*), მაყვლისა (*Rubus caucasicus*) და გვიმრის (*Dryopteris filix-mas*) საფარით.

ქედის ჩრდილო დაქანებებზე წიფლის ტყეებს ქვეტყეში ერევა კოლხური ფლორის ელემენტების ისეთი წარმომადგენლები, როგორცაა: უთხოვარი (*Taxus baccata*), კოლხური ბზა (*Buxus colchica*), ბამგი (ჰყორი) (*Ilex colchica*), იელი (*Rhododendron luteum*), ჩვეულებრივი ჯონჯოლი (*Staphylea pinnata*), კოლხური ჯონჯოლი (*Staphylea colchica*), მოლოზანა (*Viburnum orientale*), უზანი (*Viburnum lantana*), ძახველი (*Viburnum opulus*), წყავი (*Laurocerasus officinalis*), ეკალიჭი (*Smilax excelsa*), მელიქაური (*Daphne pontica*), ტაბლაყურა (*Euonymus latifolia*), მაყვალი (*Rubus caucasicus*), მაჯალვერი (*Daphne mezereum*), თავვისარა (*Ruscus aculeatus*), თხილი (*Corylus avellana*) და სხვ.

საგურამოს ქედის ჩრდილო კალთაზე, ზ.დ. 800-1000 მ სიმაღლეზე, დატენიანებულ ნიადაგებზე წიფლნარ-რცხილნარებია- *Fageto-Carpinetum* გავრცელებული, პასტუხოვის სუროს (*Hedera pastuchovii*) საფარით და შემდეგი დამახასიათებელი სახეობებით: თხილი (*Corylus avellana*), შინდი (*Cornus mas*), მეჭეჭიანი ჭანჭყატი (*Euonymus verrucosus*), წერწა (*Lonicera caucasica*), ჯიქა (*Lonicera caprifolium*), ზღმარტლი (*Mespilus germanica*) და სხვ.

სამხრეთის ექსპოზიციის დაქანებულ ვერდობებზე, ზომიერად დატენიანებულ ნიადაგებზე წარმოდგენილია რცხილნარები-*Carpineta* (*Carpinus caucasica*), სადაც პასტუხოვის სუროს ადგილს იკავებს კოლხური სუროს (*Hedera colchica*) საფარი. რომლებსაც ერევა ქართული მუხა (*Quercus iberica*), წიფელი (*Fagus orientalis*), ცაცხვი (*Tilia cordata*), ქართული თხილი (*Corylus iberica*), მინდვრის ნეკერჩხალი (*Acer campestre*), ქორაფი (*Acer cappadocicum*), იფანი (*Fraxinus excelsior*), ბალამწარა (*Cerasus silvestris*), ბალლოჯი (*Cerasus mahaleb*) და სხვ. ქვეტყეში აღინიშნება: შინდი (*Cornus mas*), ქართული ცხრატყავა (*Lonicera iberica*), ჟასმინი (*Jasminum fruticans*), სამხრეთული შინდანწლა (*Swida australis*), ქართული შინდანწლა (*Swida iberica*), კვიდო (*Ligustrum vulgare*), კიდობანა (*Euonymus europaeus*), მეჭეჭიანი ჭანჭყატი (*Euonymus verrucosus*), ტაბლაყურა (*Euonymus latifolius*), უცვეთელა (*Philadelphus caucasicus*), ტყემალი (*Prunus divaricata*), ჩვეულებრივი კოწახური (*Berberis vulgaris*), სირვამლა (*Cotoneaster*

integerrima), ზღმარტლი (*Mespilus germanica*) და სხვ.

საგურამოს ტყეებში ჩვენს მიერ ჩატარებული გამოკვლევები შემდეგ სურათს იძლევა: პასტუხოვი სურო აქ იშვიათია. გვხვდება მცირე ჯგუფების სახით. მეტწილად იზრდება დაჩრდილულ ტყეებში, მიწაზე გართხმული სახით ან ხეების ნაპირებსა და კლდეებზე.

აღსანიშნავია, რომ სურო მსხმოიარობს მაშინ, როცა იგი ხეზე აცოცდება და მცენარის ვარჯს ზემოდან მოექცევა. სუროს ასეთი ეგზემპლარები საგურამოს ტყეში ჩვენს მიერ აღრიცხული არ არის, ამიტომ არც მისი ნაყოფმსხმოიარე მცენარეები არ შეგვხვდებოდა, როგორც ჩანს აქ მისი გამრავლება ძირითადად ვეგეტატიურად ხდება. სახელდობრ, მიწაზე გართხმული ყლორტების დაფესვიანებით. გართხმული ყლორტების სიგრძე სხვადასხვაა და საშუალოდ 4-5 მეტრის ფარგლებში მერყეობს; სიმაღლე-5-10 მმ-ია.

კარგ პირობებში გვხვდება მისი მცირე ზომის ხალიჩები, რომლებიც ისე მჭიდროდ ფარავს ნიადაგს, რომ მასში ტყის ბალახოვანი მცენარეები თითქმის ვერ ხარობს.

ის გარემოება, რომ პასტუხოვის სურო საგურამოს ტყეებში წარმოდგენილია მცირე ჯგუფების სახით, გაბნეულად, მრავლდება ვეგეტატიურად და არ ადის მაღალ ხეებზე (რასაც, როგორც ჩანს ხელ უშლის ჰაერის სიმშრალე და ქარები) მიუთითებს, რომ აქ იგი შემორჩენილია რელიქტური სახით (ვეგეტატიური ფორმით).

პასტუხოვის სუროს მთებში ვერტიკალური გავრცელებისა და გამრავლების შესწავლის მიზნით დაკვირვებები ჩავატარეთ ლაგოდეხის ნაკრძალში.

ლაგოდეხის ნაკრძალი მდებარეობს კავკასიონის სამხრეთ კალთებზე. კახეთის კავკასიონის უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილში. ნაკრძალის ტერიტორია მოიცავს ოთხი მთავარი მდინარის-ნინოსწყლის, შრომისწყლის, ლაგოდეხისწყლის და მაწიმისწყლის (მარჯვენა სანაპირო) აუზს [2].

რთული მთიანი რელიეფი, ზღვის დონიდან სიმაღლეების დიდი ამპლიტუდა (450-3500 მ), სხვადასხვა დაქანების და ექსპოზიციის ფერდობები, ღრმა ხეობები მდინარეებით განსხვავებულ და რთულ ბუნებრივ ფიზიკურ-გეოგრაფიულ პირობებს ქმნის, რაც განაპირობებს მცენარეული საფარის მრავალფეროვნებას.

ლაგოდეხის ნაკრძალში მკვეთრად არის გამოსახული ტყის სარტყელი (ზ.დ 450-2300 მ-მდე) ქართული მუხის მუხნარებით და აღმოსავლური წიფლის წიფლნარებით და ალპური სარტყელი (ზ.დ.2300-3500 მ) მდელობით, “ხალებით“ და დეკიანებით. ამ სარტყლებს შორის განლაგებულია სუბალპური მეჩხერი (მაღალმთის მუხისა და ზოკვის) და ტანბრეცილი (არყის) ტყეების სარტყელი (ზღვის დონიდან 1700-2300 მ). ალპური სარტყლის მაღლა სუბნივალური სარტყელია (ზღვის დონიდან 3000 მ) ძლიერ მეჩხერი ბალახნარით.

გამოკვლევები ცხადყოფს, რომ კახეთის კავკასიონის მთების კალთებზე პასტუხოვის სურო გავრცელებულია 300 მეტრიდან 1200 მეტრამდე. აღნიშნული ადგილებისათვის დამახასიათებელია ნალექების მეტი სიუხვე, ვიდრე საგურამოს ნაკრძალში. ატმოსფერული ნალექების წლიური რაოდენობა აქ 900-1200 მმ-ია. ნიადაგები კარგად განვითარებული, ტყის ყომრალი ტიპისაა.

შიდა კახეთში პასტუხოვის სურო მეტწილად გავრცელებულია ფოთლოვანი ტყეების სხვადასხვა ფორმაციებში, რომლებიც ეკოლოგიურად ერთმანეთისგან რამდენადმე განსხვავდება.

მთის ქვედა ზონის ქართული მუხის ფორმაციები. ეს ფორმაცია შედარებით ტყის ყომრალი ტიპებითაა წარმოდგენილი. ქართულ მუხასთან ერთად აქ გვხვდება ჯაგრცხილა (*Carpinus orientalis*), მინდვრის ნეკერჩხალი (*Acer campestre*), ქორაფი (*Acer cappadocicum*), ჩვეულებრივი ივანი (*Fraxinus excelsior*), შინდი (*Cornus mas*), უფრო იშვიათად ცაცხვი (*Tilia begoniifolia*) და რცხილა (*Carpinus caucasica*).

პასტუხოვის სურო ასეთი ტიპის ტყეებში უფრო ჩრდილოეთისა და ჩრდილო-დასავლეთის ფერდობებს ირჩევს და თითქმის არასოდეს არ გვხვდება სამხრეთ ექსპოზიციის მშრალ ფერდობებზე.

ღრმა ხეობებისა და მდინარეთა ნაპირების ფართოფოთლოვანი ტყეები. ტყის ეს ფორმაცია ნათლადაა გამოსახული ლაგოდების ნაკრძალში. იგი აქ გასდევს მდინარეთა ნაპირებს. სიგანე იშვიათად აღემატება 200-300 მ-ს. მეტწილად კი რამდენიმე ათეული მეტრით განისაზღვრება. ფორმაციის ძირითადი შემადგენელი სახეობებია: შავი მურყანი (*Alnus glutinosa*), ლაფანი (*Pterocarya pterocarpa*), დიადი ბოკვი (*Acer velutinum*), ლეკის ხე (*Acer platanoides*), კაკალი (*Juglans regia*) და სხვ. შერეული სახით გვხვდება: რცხილა (*Carpinus caucasica*), წიფელი (*Fagus orientalis*), წაბლი (*Castanea sativa*) და სხვ. ქვეტყეში ჩვეულებრივი თხილი (*Corylus avellana*) და სხვადასხვა სახეობის მაცყალი (*Rubus ssp.*), კარგადაა გამოსახული ბალახოვანი საფარი, რომელიც მეტწილად გვიმრებიტაა წარმოდგენილი.

პასტუხოვის სურო, როგორც წესი ეტანება გამეჩხერებულ კორომებს, ტყის ფანჯრებს, მდინარეთა ნაპირებსა და ცალკ-ცალკე მდომ ხეებს. საყრდენ ხეებად იყენებს დიად ბოკვს (*Acer velutinum*), ცაცხვს (*Tilia begoniifolia*) და წაბლს (*Castanea sativa*). უფრო იშვიათად შავ მურყანს (*Alnus glutinosa*), ლაფანს (*Pterocarya pterocarpa*) და სხვა.

აქაც, პასტუხოვის სურო ძირითადად ვეგეტატიურად მრავლდება, მაგრამ საგურამოს ნაკრძალისგან განსხვავებით, აქ ხშირია მისი თესლით გამრავლების შემთხვევები. აღმონაცენი ვითარდება დაჩრდილულ ნიადაგებზე, იქ სადაც ბალახოვანი საფარი ან სულ არ არის განვითარებული ან ძლიერ მეჩხერია.

ასეთ პირობებში დედა მცენარესთან ახლოს, ან იმ ხეების ქვეშ, რომელზედაც ჩიტები ბუდობენ (სუროს თესლი ძირითადად ფრინველებით ვრცელდება) აღმონაცენის რაოდენობა ზოგჯერ 1 კვ.მ-ზე 50-60 აღწევს.

აღმონაცენი თავდაპირველად ორ მოპირისპირედ განლაგებულ ლეზანს ივითარებს, რომლებიც ფოთლის ფუნქციებს ასრულებენ. ფორმით ისინი მომრგვალო კვერცხისებრია, სიგრძე და სიგანე 10-15 მმ. ისინი ერთი ან ორი წლის განმავლობაში ასიმბლირებენ. ერთწლიან აღმონაცენს წლის ბოლომდე უვითარდება 1-2 ნამდვილი ფოთოლი, რომლებიც მომრგვალო კვერცხისებრია, ტალღოვანი კიდეებით ან ოდნავ დანაკვეთული. ფოთლის ფირფიტა საშუალოდ 3 სმ სიგრძისაა და 2,5 სმ სიგანის. ღეროს სიგრძე საშუალოდ 3,5-4 სმ-ია. ორწლიანი მოზარდის სიგრძე საშუალოდ 8-9 სმ-ია, რომელსაც 4-5 ფოთოლი აქვს, რომლის ფოთლები ზრდასრულ მცენარის ფოთლებზე რამდენადმე პატარაა. 1-2 წლიანი მცენარეები აღმამდგომი და დაუტოტავია. 3-წლიანი მოზადი სიგრძით უკვე 20-25 სმ-ს აღწევს, მიწაზე წვება და იტოტება. სურო მიწაზე გართხმული იზრდება მანამ, სანამ რამე საყრდენს იპოვის და ზედ აცოცდება.

მთის კალთების წილნარები. წიფლნარები კარგადაა გამოხატული მთის ფერდობებზე. წიფლნარებში შერეული სახით იზრდება ცაცხვი (*Tilia begoniifolia*), რცხილა (*Carpinus caucasica*), ნეკერჩხალი (*Acer campestre*) და სხვ. ქვეტყე სუსტადაა წარმოდგენილი.

ასეთ პირობებში პასტუხოვის სურო მცირე რაოდენობით გვხვდება და 1100-1200 მეტრამდე ვრცელდება, სადაც მისი აღმონაცენი ჩვენს მიერ აღრიცხული არ არის. როგორც ჩანს მისი თესლი აქ ფრინველების საშუალებით ვრცელდება.

კვლევის შედეგები:

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ საგურამოს ქედის ეკოსისტემური მრავალფეროვნება თავის გამოხატულებას პოულობს მცენარეული საფარის მრავალფეროვნებაში. პასტუხოვის სურო აქ ძირითადად გავრცელებულია მცირე ჯგუფების სახით და შედარებით იშვიათად. იგი ძირითადად იზრდება დაჩრდილულ ტყეებში, მიწაზე გართხმული სახით ან ხეების ნაპირებსა და კლდეებზე. შედარებით „კარგ პირობებში“ გვხვდება მისი მცირე ზომის ხალიჩები, რომლებიც ისე მჭიდროდ ფარავს ნიადაგს, რომ მასში ტყის ბალახოვანი მცენარეები თითქმის

ვერ ხარობს, არ გვხვდება მათი ნაყოფმსხმოიარე ინდივიდები და გამრავლება ძირითადად მხოხავი (ხვიარა) ღეროს საშუალებით ანუ ვეგეტატიურად ხდება.

ლაგოდების ნაკრძალში პასტუხოვის სურო ძირითადად გავრცელებულია ფოთლოვანი ტყეების სხვადასხვა ფორმაციებში, რომელიც ეკოლოგიურად ერთმანეთისგან რამდენადმე განსხვავდება. საგურამოს ნაკრძალისგან განსხვავებით ლაგოდების ნაკრძალში გვხვდება, როგორც მხოხავი ღეროს ისე თესლით გამრავლების შემთხვევები. აღმონაცენი ვითარდება ძირითადად დაჩრდილულ ადგილებზე, იქ სადაც ბალახოვანი საფარი არ არის განვითარებული ან ძლიერ მეჩხერია.

დასკვნა:

პასტუხოვის სუროს გადარჩენის აუცილებელ პირობად მიგვაჩნია მისი დაცვა, როგორც *in situ* ისე *ex situ* პირობებში.

აუცილებელ პირობად მიგვაჩნია, შევინარჩუნოთ და დავიცვათ თითოეული ტაქსონი და მისი ძირითადი ადგილსამყოფელი, რომელიც გავრცელებულია ამ ტერიტორიებზე და შედის განსაზღვრული თანასაზოგადოების შემადგენლობაში. ცალკეული სახეობის დაცვის აუცილებლობიდან გამომდინარე, საჭიროა მცენარეული საფარის ნაკვეთების კომპლექსური დაცვა, რადგანაც მცენარეული საფარის თითოეული ნაკვეთი, შეიძლება წარმოადგენდეს რამდენიმე ან მრავალი სახეობის ადგილსამყოფელს.

ბუნებრივ პირობებში კონსერვაციისათვის საჭირო რეჟიმს უზრუნველყოფს დაცული ტერიტორიების ადეკვატური ქსელი, რომლის ფარგლებში სახეობებისათვის იქმნება პირვანდელი ადგილსამყოფლის საზღვრებს გარეთ გავრცელებისა და მდგრადი არსებობის პირობები.

ბიბლიოგრაფია:

1. კორძახია მ., ჯავახიშვილი შ. (1970). თბილისისა და მისი მიდამოების ჰავა. საქართველოს ბუნების დაცვა. ნაკვ. IV. თბილისის მიდამოები. თბილისი. „მეცნიერება“.
2. მარუაშვილი ლ. (1964). საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია. თბილისი. „მეცნიერება“.
3. მამისაშვილი კ. (1970) თბილისისა და მისი მიდამოების ძეგლები და ნაკრძალები. საქართველოს ბუნების დაცვა. ნაკვ. IV. თბილისის მიდამოები. თბილისი. „მეცნიერება“.
4. საქართველოს ფლორა. (1984). ტ. IX, თბილისი, „მეცნიერება“.
5. ქვაჩაკიძე რ. (2001). საქართველოს ტყეები. ძირითადი ასოციაციები (ტყის ტიპები). თბილისი. „მეცნიერება“.
6. Полетико О.М. (1960). Род *Hedera* L. Деревья и Кустарники. СССР, т. V, 154.

Hedera Pastuchovii (Hedera pastuchovii Woronow) A Rare and Economically Important Plant of the Flora of Georgia

Eradze Nino

National Botanical Garden of Georgia, Tbilisi

Nadiradze Tamar

Iakob Gogebashvili State University, Telavi

Abstract

This paper discusses the distribution, natural renewal, and various bioecological features of Pastukhov's ivy (*Hedera pastuchovii*), a preserved Hircanian-Caucasian (Hircanian-East Caucasian) dendroflora relic from the Tertiary period. It also explores the plant's participation in phytocenoses, providing insights into its ecological role. The study was conducted on the northern slopes of the

Saguramo ridge, as well as on the moderately moistened soils of the southern exposure, ranging from 800-1400 m above sea level. Additionally, observations were made in the Lagodekhi Nature Reserve, specifically on the northwestern and dry slopes of the southern exposure at an altitude of 500-1200 m above sea level. The findings highlight the rarity of Pastukhov's ivy in the Saguramo range, where it occurs in small groups within shady forests. Vegetative propagation, through the rooting of shoots on the ground, is the primary means of reproduction. In contrast, the Lagodekhi Nature Reserve features specimens that propagate by seeds. Sprouts primarily emerge in shaded soils with limited grass cover. The paper emphasizes the importance of conserving *Hedera pastuchovii* in situ and ex situ for its survival.

Key words: flora, relict, refugium, endemic, economic, Pastukhov's ivy

ქართული ლიმონის *in vitro* კულტურაში შეყვანა და გამრავლების თავისებურებების შესწავლა

ზარნაძე ნანა*, ალასანია ნარგიზ*, მანჯგალაძე სოფიკო*

ბოლქვაძე ციალა*, ჭელიძე ნატო**

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი

DOI: <https://doi.org/10.52340/idw.2023.05>

აბსტრაქტი. კლონური მიკროგამრავლება უსქესო ვეგეტატიური გამრავლებაა მცენარეთა უჯრედების, ქსოვილებისა და ორგანოთა *in vitro* კულტურაში, რომლის დროსაც მიღებული მცენარეები გენეტიკურად იდენტურია საწყისი დედა-მცენარის. მიკროგამრავლების პროცესი რეგულირდება ზრდის რეგულატორებით. ისინი ასტიმულირებენ მცენარეების ზრდა-განვითარებას, ზრდიან მათ პროდუქტიულობას და წინააღმდეგობას დაავადებების მიმართ. მცენარეებზე მათი მოქმედების მექანიზმები ინდივიდუალურია და ცალკეული კულტურებისთვის საჭიროა სპეციფიკური მეთოდის შერჩევა. ნაშრომში შესწავლილია 2-იზოპენტილადენინის (7; 14; 20მკმ) და ნაფტილმმარმჟავას (3;5მკმ) აქტივობა და ურთიერთქმედება ქართული ლიმონის *in vitro* კულტურაზე.

საკვებ არედ გამოყენებული იყო გამზორგის (B_5) ფორმულით მომზადებული საკვები არე 30 გ/ლ საქაროზას და 8 გ/ლ ფიტაგარის შემცველობით, არის pH- 5,8. ასეპტიკური კულტურის მისაღებად პირველად მასალად შერჩეულ იქნა თესლები. ექსპერიმენტის შედეგად დადგინდა, რომ ზედაპირული სტერილიზაცია წარმატებულად ჩატარდა 0.1% ვერცხლისწყლის ქლორიდის წყალხსნარის გამოყენებით; აპიკალური კვირტწარმოქმნა აქტიური იყო საკვებ არეზე 7 მკმ 2-იზ და 3 მკმ ნმმ კონცენტრაციათა თანაფარდობით, ხოლო ადვენტური კვირტების ფორმირება და განვითარება ინტენსიურად აღინიშნა 20 მკმ 2-იზ და 3 მკმ ნმმ კონცენტრაციათა თანაობისას.

საკვანძო სიტყვები: კალუსი; მორფოგენზი; ნაფტილმმარმჟავა; 2-იზოპენტილადენინი.

შესავალი

მცენარის გამრავლების მეთოდებია: სქესობრივი (თესლოვანი) და უსქესო (ვეგეტატიური) გამრავლება. ორივე ფორმა ფართოდაა გავრცელებული მცენარეებში. ამ მეთოდებს აქვთ დადებითი და უარყოფითი მხარეები. სქესობრივი გამრავლების უარყოფითი მხარე უნდა მიეწეროს მიღებული სარგავი მასალის გენეტიკურ მრავალფეროვნებას და იუვენილური პერიოდის ხანგრძლივობას. ვეგეტატიური გამრავლება კი ინარჩუნებს დედა მცენარის გენოტიპს და იუვენილური პერიოდის ხანგრძლივობა მცირდება (Бутенко 1999).

კლონური მიკროგამრავლება უსქესო ვეგეტატიური გამრავლებაა მცენარეთა უჯრედების, ქსოვილებისა და ორგანოთა *in vitro* კულტურაში, რომელის დროსაც მიღებული მცენარეები გენეტიკურად იდენტურია საწყისი დედა მცენარის (Chiacome et al. 2013; Pérez-Tornero 2009; Hazienda 2021).

ამ ბოლო პერიოდში მცენარეთა უჯრედებს, რომლებიც ხასიათდებიან მორფოგენეტიკური ცვლილებებით, ხატოვნად ღეროვან უჯრედებს უწოდებენ, რომელთა ტოტიპოტენტურობა მკაფიოდ ჩანს მცენარეული თუ ცხოველური ორგანიზმის ინდივიდუალური განვითარების ნებისმიერ ეტაპზე. ტოტიპოტენციის კონცეფციის გაგებასთან ერთად, შემოვიდა ცნება - ღეროვანი უჯრედების პლური- და მულტიპოტენცია. ამ კონცეფციის

მიხედვით მულტიპოტენტური უჯრედების გაყოფის შედეგად წარმოიქმნება ერთი ან რამდენიმე სახის უჯრედი. მულტიპოტენციას ფლობს რეგიონალური ღეროვანი უჯრედები. პლურიპოტენტური უჯრედები განლაგებულია კვირტის და ფესვის აპიკალურ მერისტემებში. მათი მერისტემატური აქტივობა შემოიფარგლება მხოლოდ ფესვის და კვირტის ქსოვილის უჯრედების წარმოშობის უნარით. პლურიპოტენტური უჯრედებისაგან სომატური ემბრიოიდები არ წარმოიქმნება (Ezhova 2003).

სომატური უჯრედები, იზოლირებული ინტაქტური მცენარეიდან ხვდებიან რა ინდუქციური სიგნალების (საკვები არე, ჰორმონები) მოქმედების ქვეშ, იძენენ მორფოგენური კალუსის, უშუალოდ სომატური ემბრიოიდების ჩამოყალიბების ან პირდაპირი ორგანოგენეზის უნარს. ამრიგად, ტოტიპოტენტური უჯრედები არიან ცალკეული ერთეული უჯრედები, რომლებიც ახორციელებენ სომატური ემრიოგენეზის რეალიზაციის გზას, ხოლო პლურიპოტენტური - ორგანოგენეზის გზას (Ezhova 2003), რომელსაც მიკროგამრავლებას ან მთლიანი მცენარის რეგენერაციას უწოდებენ. მცენარის რეგენერაცია კლონური მიკროგამრავლების საფუძველია (Бутенко 1999).

ციტოკინინების ზემოქმედება მცენარეთა კლონური მიკროგამრავლების ინდუქტორებია, რადგან ისინი განსაზღვრავენ გამრავლების ინტენსივობას, ცლორტების სიმძლავს, ასევე გენეტიკური ვარიაციების გაჩენის სიხშირეს (ზარნაძე 2019). გარდა ამისა, თავად მიკროგამრავლების ეტაპის მიმდინარეობის წარმატება და ეფექტურობა დამოკიდებულია საწყისი მცენარის გენოტიპის მახასიათებლებზე, საკვები არის მინერალური შემადგენლობასა და კულტივირების ფიზიკური ფაქტორების (სინათლე, ტემპერატურა, ტენიანობა) ზემოქმედებაზე (Бутенко 1999; Pérez-Tornero 2010; Hazardi 2021).

ზრდის რეგულატორები ფართოდ გამოიყენება მრავალი სასოფლო-სამეურნეო კულტურების და დეკორატიული მცენარეების სარგავი მასალის დიდი რაოდენობით მიღებისთვის. ისინი ასტიმულირებენ მცენარეების ზრდას და განვითარებას, ზრდიან მათ პროდუქტიულობას და წინააღმდეგობას დაავადებების მიმართ. მცენარეებზე მათი მოქმედების მექანიზმები ინდივიდუალურია და ცალკეული კულტურებისთვის მათი თავისებურებები საკმარისად არ არის შესწავლილი. აქედან გამომდინარე, ჩნდება პრობლემა ფიტოჰორმონების გავლენის და მათი ურთიერთქმედების შესწავლის შესახებ. ამის საფუძველზე, ამ სამუშაოს მიზანი იყო შესწავლილიყო სხვადასხვა ფიტოჰორმონების, როგორც მცენარეთა ზრდის რეგულატორების აქტივობა და ურთიერთქმედება ლიმონის კულტურაზე. მიზნის შესაბამისად საჭირო იყო ლიმონის *in vitro* კულტურაში შეყვანა და მიკროგამრავლების ეტაპზე სხვადასხვა კონცენტრაციის და თანაფარდობის ციტოკინინის - 2-იზოპენტილადენინის და აუქსინის - ნაფტილმმარმჟავას შერჩევა.

ექსპერიმენტული ნაწილი

კვლევის ობიექტი: კვლევის ობიექტს წარმოადგენდა ქართული ლიმონი (*Citrus Limon L. Burm*). ლიმონი სამკურნალო თვისებების მქონე სუბტროპიკული კულტურაა. მისი ნაყოფები მდიდარია C ვიტამინით და ორგანული მჟავებით, სხვა ჯიშებთან შედარებით უფრო მწკლარტა. იგი მარადმწვანე ხე-მცენარეა ღია მწვანე ფოთლებით. ფოთლის კიდეები კიდედაკბილულია, ტოტები ეკლიანია. ყვავილები სურნელოვანია და ერთეულ ან პატარა მტევან ყვავილედადაა შეკრებილი. ვითარდებიან ფოთლის ილღიაში. გვირგვინის ფურცელი თეთრია, ჯამის ფურცლები დაკბილული, მტვრიანები მრავლობითი. ნაყოფი სხვადასხვა ზომისა და წონისაა, კვერცხისებური, წაგრძელებული. ზოგიერთი ბოლოვდება ბლავვი ძუძუკით. რბილობი უხვწვნიანია, გემო მომჟავო, თესლი კი - მრავალი.

ექსპლანტის მომზადება: პირველად მასალად გამოვიყენეთ ქართული ლიმონის ნაყოფები, რომლებიც აღებული იქნა ზრდასრული, კარგად ვეგეტირებადი ლიმონის კერძო პლანტაციიდან დეკემბერში. დედა მცენარეები გაშენებული იყო აჭარისთვის დამახასიათებელ ალუვიალურ ნიადაგზე - დაბა ჩაქვში. ნაყოფები ინახებოდა ცივ, შედარებით ბნელ ადგილას სარდაფში, ხოლო გამოყენებამდე რამდენიმე დღით ადრე მოვათავსეთ მაცივარში +4°C ტემპერატურაზე.

ექსპლანტის იზოლაცია და სტერილიზაცია: ასეპტიკური კულტურის მისაღებად კულტურაში შევიყვანეთ ნაყოფიდან იზოლირებული თესლები იანვრის განმავლობაში და თებერვლის დასაწყისში. ნაყოფები გაირეცხა გამდინარე წყალით დეტერგენტ Tween -80 -ით. წყლის ჭავლის ქვეშ დავტოვეთ 1 საათის განმავლობაში, რასაც მოჰყვა 70% ეთანოლით დამუშავება 1 წუთის განმავლობაში. დანარჩენი მოქმედებები ჩატარდა ლამინარ-ბოქსში ასეპტიკურ პირობებში. მასტერილებელ ნივთიერებად შევარჩიეთ 0.1% ვერცხლისწყლის ქლორიდის წყალხსნარი. ნაყოფები ხსნარში მოვათავსეთ 5 წუთის განმავლობაში, სტერილიზაციის დასრულების შემდეგ გავავლეთ სტერილური დისტილირებული წყალი 3-ჯერ და ბოლო ულუფაში დავტოვეთ 15 წთ. ნაყოფი დავჭერით ფრაგმენტებად და გამოვათავისუფლეთ თესლები. იზოლირებული თესლები დავთესეთ საკვებ არეზე.

საკვები არე და კულტივირების პირობები: პირველადი ექსპლანტების კულტივირებისთვის გამოვიყენეთ გამბორვის ფორმულით მომზადებული საკვები არე. წინასწარ მომზადდა მაკრო- და მიკრო- მინერალური მარილების, ვიტამინების კონცენტრული დედა ხსნარები, რომელთაგან საკვები არის მომზადებისას აღებული იქნა შესაბამისი რაოდენობები, საკვებ არეს ვუმატებდით 30 გ/ლ საქაროზას, 8 გ/ლ ფიტაგარს, ჰორმონების სხვადასხვა კონცენტრაციასა და თანაფარდობას. საშუალო pH დარეგულირდა HCl-ით და KOH-ით 5,8 -მდე. ავტოკლავირებული იქნა 1 ატმოსფერული წნევის ქვეშ 121°C ტემპერატურაზე 20 წუთით. კულტურების ინკუბაცია მიმდინარეობდა ზრდის კამერაში - ფიტოტრონიში, სადაც ჰაერის ტემპერატურა საშუალოდ იყო $25 \pm 2^{\circ}\text{C}$. 16/8 სინათლის და ბნელი ფოტოპერიოდისა და სინათლის 3 კილოლუქსი ინტენსივობის ქვეშ. ფიტოკამერაში განათება უზრუნველყოფილი იყო თეთრი ფლუორესცენტური ნათურებით.

თესლებიდან კვირტების ინდუქცია: თესლების ზედაპირული სტერილიზაციის ექსპერიმენტმა გვიჩვენა, რომ იზოლირებული ყველა თესლი აღმოჩნდა სტერილური, სტერილიზაციის კოეფიციენტი შეადგენდა 100%-ს. მიღებული სტერილური თესლების სიცოცხლისუნარიანობა იყო მაქსიმალურად მაღალი და თითქმის ყველა აღმოცენდა. აღმოცენების საერთო მაჩვენებელი იყო 98%.

შედეგები და მსჯელობა

კვირტების რეგენერაცია და პროლიფერაცია აპიკალური და აქსილარული კვირტიდან: ნულოვანი სუბკულტივირების საკვები არე შეიცავდა 2-იპ-ს მინიმალური რაოდენობით (3მკმ), რის გამოც მიღებული აღმონაცენები მე-8 დღეს გადავიტანეთ საექსპერიმენტო ვარიანტებზე. საკუთრივ მიკროგამრავლების პროცესის შემუშავებისთვის შერჩეულ იქნა 6 ვარიანტი თითოეული ვარიანტი შეიცავდა 2-იპ-ს და ნძმ-ს სხვადასხვა კონცენტრაციითა და თანაფარდობით.

მცენარეთა in vitro კულტურაში გამრავლებისთვის და მათი ტოტიპოტენტურობის რეალიზაციისთვის აუცილებელ და შეუცვლელ ფაქტორს წარმოადგენს ფიტოჰორმონები. ჰორმონალური სისტემა მცენარეებში რეგულირებისა და კონტროლის ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია. როგორც წესი, ფიტოჰორმონები წარმოიქმნება მცენარის ერთ ქსოვილში და მოქმედებენ მეორეში, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში ისინი ფუნქციონირებენ იმავე უჯრედებში, სადაც წარმოიქმნებიან. ფიტოჰორმონების დამახასიათებელი თვისება, რაც მათ სხვა ფიზიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებისგან (ვიტამინები, მიკროელემენტები) განასხვავებს, არის ის, რომ ისინი ახორციელებენ ფიზიოლოგიურ და მორფოგენეტიკურ პროგრამებს ორგანიზმში, როგორცაა კვირტების და ფესვების ფორმირება, ყვავილობა, ნაყოფის მომწიფება და ა.შ. ნებისმიერ ფიტოჰორმონს აქვს რამდენიმე საერთო თვისება: ისინი სინთეზირდება თავად მცენარეში და წარმოადგენს ფიზიოლოგიური პროგრამების მაღალეფექტურ რეგულატორებს. ფიტოჰორმონების მოქმედება ვლინდება უკიდურესად დაბალ კონცენტრაციებში მათი განსაკუთრებული მგრძობელობის გამო. ჩვენი ექსპერიმენტის მიზანს სწორედ ფიტოჰორმონების კონცენტრაციების შერჩევა წარმოადგენდა მასიური რეგენერაციის მისაღებად.

როგორც ექსპერიმენტის მიმდინარეობამ გვიჩვენა პირველ სუბკულტივირების პერიოდში პირველ ვარიანტის საკვებ არეზე მიკროკვირტების ზრდის დასაწყისი დაფიქსირდა

დარგვიდან 1,5 კვირის შემდეგ, მეორე და მესამე ვარიანტზე კი - ერთი კვირის შემდეგ. პირველი ფოთლის გამოჩენა პირველ ვარიანტზე აღინიშნება 12 დღეში, ხოლო მეორე და მესამე ვარიანტზე - მე-8-9 დღის განმავლობაში. მე-4 ვარიანტში მოცულობაში გაიზარდა ექსპლანტის ბაზალური ნაწილი, ხოლო მე-5-6 ვარიანტში ექსპლანტის ზრდა შეფერხდა საკვებზე დარგვიდან 5-7 დღე. ღეროს ეპიკოტიალური ნაწილის გამსხვილება აქაც შეინიშნებოდა და მე-10 დღიდან ექსპლანტების უმეტესობაზე ამ ვარიანტში განვითარდა მორფოგენეტიკური პროცესები. ზემოთ აღნიშნული ფაქტები მიუთითებენ მორფოგენეტიკური პროცესების მდორედ მიმდინარეობაზე. ჩვენი შეხედულებით ნულოვანი სუბკულტივირების პერიოდის შემცირებამ განაპირობა ინტროდუქციული პროცესის გახანგრძლივება პირველ სუბკულტივირებაში. ახალ საკვებ არეზე გადატანა ხორციელდებოდა ყოველ 25 დღეში და ამ დროში კულტურებმა ვარიანტებში შეტანილი ფიტოჰორმონების გავლენით შეძლეს თავიანთი პროლიფერაციული პოტენციალის გამოვლენა. მეორე სუბკულტივირებამ გვიჩვენა, რომ მიკროკალმების ინიცირება სხვადასხვა ინტენსივობით განხორციელდა სხვადასხვა ჰორმონალური შემცველობის საკვებ არეზე. 2-იპ და ნმმ კონცენტრაციით 7:3 გამოიწვია ძირითადი ექსპლანტის ზრდა სიმალეში, სუბკულტივირების ბოლოს შეადგენდა 48,0 მმ-ს. პარალელურად ბაზალურ ფუძესთან ქვედა რიგის ილლიური მერისტემის გააქტიურებას მოჰყვა კვირტის ფორმირება ექსპლანტზე, რომელთაც ახასიათებდა აპიკალური ზრდა. თანდათანობით ინდუცირდა სხვა მერისტემების პროლიფერაცია და სუბკულტივირების ბოლოს გამრავლების კოეფიციენტი გაიზარდა ილლიური კვირტწარმოქმნის ხარჯზე.

რაც შეეხება ნმმ-ს მატებას 5 მკმ-მდე საკვებ არეში 2-იპ 7 მკმ კონცენტრაციასთან თანაფარდობაში გამოიწვია პირველადი ექსპლანტის ჰიპოკოტიალური ნაწილის გამსხვილება და კალუსის მსგავსი სტრუქტურის წარმოქმნა. მასზე კულტივირების ბოლოს გაჩნდა კვანძები, რომელიც ადვენტური კვირტწარმოქმნის საფუძველი გახდა, თუმცა ილლიური მერისტემების გაღვიძებასაც ჰქონდა ადგილი.

მე-2 და მე-4 ვარიანტში 2-იპ-ას მომატებამ 14 მკმ კონცენტრაციამდე შეცვალა ექსპლანტების მორფოგენეტიკური პოტენციალი. აპიკალური დომინირება გარკვეულ წილად დაითრგუნა, მაგრამ ადვენტური კვირტების წარმოქმნა დაჩქარდა და მესამე და მეოთხე სუბკულტივირების განმავლობაში ინტენსიური გახდა (ცხრილი 1). ამ ვარიანტებში ჯერ კიდევ აღინიშნებოდა აპიკალურად მზარდი კვირტები ექსპლანტზე და შეადგენდა 28,5 (2 ვარიანტი) და 15,0 (4 ვარიანტი) ერთეულს. De novo წარმოქმნილი კვირტების რაოდენობა. შედარებით მაღალი იყო ნმმ-ს 3 მკმ კონცენტრაციის ზემოქმედებისას 2-იპ-თან ერთად. ადვენტური კვირტების ფორმირება და განვითარება კიდევ უფრო თვალსაჩინო იყო საკვებ არეებზე, რომელშიც შეტანილი იყო 2-იპ 20 მკმ და 5 მკმ ნმმ კონცენტრაციათა თანაფარდობით (სურ.1). ორგანოგენური ქსოვილის ჩამოყალიბება ენერგიულად მიმდინარეობდა, რასაც ხელს უწყობდა ნმმ-ს შერჩეული კონცენტრაციები. კვირტის ჰიპოკოტიალური უბნებში კალუსური ქსოვილის წარმოქმნა და შემდეგი მერისტემატიზაცია მორფოგენური უბნების დეტერმინაციით სტიმულირდებოდა ორივე გამოყენებული ჰორმონის ერთობლივი მოქმედებით.

დასკვნები: ამრიგად ექსპერიმენტის შედეგად დადგინდა, რომ *in vitro* ტექნოლოგია ეფექტურია ლიმონის მიკროგამრავლებისთვის; ასეპტიკური კულტურის მიღება შესაძლებელია ექსპლანტის სახით თესლის გამოყენებით; ზედაპირული სტერილიზაცია მეტად წარმატებულად იქნა მიღწეული 0.1% ვერცხლისწყლის ქლორიდის წყალხსნარის გამოყენებით;

გამბორვის მიხედვით მინერალური მარილებით შედგენილი საკვები არე კარგად ესადაგებოდა მიკროკალმების ინდუქციას. მიკროგამრავლების ეტაპი სტიმულირდება ციტიკინინებისა და აუქსინების ერთობლივი მოქმედებით. საუკეთესო შედეგი მივიღეთ 2-იპ-ას 20 მკმ და ნმმ-ს 5 მკმ კონცენტრაციების თანაფარდობათა ზემოქმედებით.

ცხრილი 1. ჰორმონების გავლენა ლიმონის მიკროგამრავლებაზე

2- იპ	ნმმ	კვირტების საშუალო რაოდენობა ექსპლანტზე	აპიკალური კვირტების საშუალო სიგრძე (მმ)	ფოთლების საშუალო რაოდენობა ყლორტზე	მერისტემული კვირტების რაოდენობა
7	3	6.2	48,0	5,0	6.0
14	3	15.3	28,5	4,0	15.2
20	3	24,8	10,0	2,0	25.5
7	5	10,0	32,0	4,0	18,2
14	5	18,0	15,0	2,0	22.1
20	5	27.9	11,5	2,0	28,4

ლიტერატურა:

1. Бутенко, Р.Г. (1999) Биология клеток высших растений in vitro и биотехнологии на их основе / Р.Г. Бутенко. – М. : ФБК-Пресс, 160 с.
2. ნ.ზარნაძე, ქ.დოლიძე, ც.ბოლქვაძე, ჟ.ჭითანავაი (2019) ემბრიოგენეზის ინდუქცია და რეგენერაციული პოტენციალის შესწავლა ლიმონის in vitro კულტურაში. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „კულტურათაშორისი დიალოგები“, შრომების კრებული, თელავი, საქართველო, 197-200 გვ.
3. Chiancone B, Germanà MA. (2013), Micropropagation of Citrus spp. by organogenesis and somatic embryogenesis. *Methods Mol Biol.* 2013; 11013:99-118. doi: 10.1007/978-1-62703-074-8_8. PMID: 23179693
4. Ezhova TA. (2003), Geneticheskii kontrol' totipotentnosti rastitel'nykh kletok v kul'ture in vitro [Genetic control of totipotency of plant cells in vitro]. *Ontogenez.* Jul-Aug;34(4):245-52. Russian. PMID: 12942734.
5. Pérez-Tornero O, Tallón CI, Porras I, Navarro JM. (2009), Physiological and growth changes in micropropagated Citrus macrophylla explants due to salinity. *J Plant Physiol.* 2009 Nov 15;166(17):1923-33pp. doi: 10.1016/j.jplph.2009.06.009
6. Pérez-Tornero, O., Tallón, C.I. & Porras, I. (2010), An efficient protocol for micropropagation of lemon (*Citrus limon*) from mature nodal segments. *Plant Cell Tiss Organ Cult* **100**, 263–271 (2010). <https://doi.org/10.1007/s11240-009-9643-6>
7. Najwa Amalina Haradzi, Soo Ping Khor, Sreeramanan Subramaniam, Bee Lynn Chew, (2021), Regeneration and micropropagation of Meyer lemon (*Citrus x meyeri*) supported by polymorphism analysis via molecular markers, *Scientia Horticulturae*, Volume 286; ISSN 0304-4238, <https://doi.org/10.1016/j.scienta.2021.110225>

Introduction and Micropropagation study of Georgian lemon in vitro culture

Zarnadze Nana*, Alasania Nargzi*, Manjgaladze Sofiko*

Bolkvadze Thiala*, Tchelidze Nato**

Shota Rustaveli State University, Batumi, Georgia

Sokhumi State University, Tbilisi, Georgia

Abstract

Clonal micropropagation is asexual vegetative propagation. In in vitro culture of plant cells, tissues and organs, the resulting plants are genetically identical to the original mother plant. The process of micropropagation is regulated by growth regulators. They stimulate the growth and development of plants, increase their productivity and resistance to diseases. The

mechanisms of their action on plants are individual, and a specific method needs to be selected for individual crops. The activity and interaction of 2-isopentyladenine (7; 14; 20 μm) and naphthylacetic acid (3; 5 μm) on the in vitro culture of Georgian lemon is studied.

The nutrient medium prepared by the Gamborg (B5) formula was used, it contained 30 g/l sucrose and 8 g/l phytoagar, the pH of the food was 5.8. Seeds were selected as the primary material for aseptic culture. As a result of the experiment, it was determined that surface sterilization was successfully carried out using a 0.1% mercuric chloride aqueous solution; Apical bud formation was active in the nutrient area at the ratio of 7 μM 2-IP and 3 μM NAA concentrations, while the formation and development of adventitious buds was intensively noted at the ratio of 20 μM 2-IP and 3 μM NAA concentrations.

Key words: *Callus; Morphogenesis; naphthylacetic acid; 2-Isopentyladenine.*

ქართული Pet-Nat -ის დამზადება და მისი თვისებების შესწავლა

ზირაქაშვილი ნინო

ვეფხიშვილი ნინო

იაკობ გოგებაშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი

DOI: <https://doi.org/10.52340/idw.2023.06>

შესავალი. ბოლო წლების განმავლობაში ღვინის ბაზარზე უფრო და უფრო მეტად იზრდება მომხმარებლის მოთხოვნა ნაკლები ჩარევითა და ნაკლები ენოლოგიური მანიპულაციით დამზადებული, ნატურალური ღვინოების მიმართ. ამ ტენდენციის წყალობით, ცქრიალა ღვინის ყველაზე ადრეული წინაპარი - პეტ-ნატი ანუ ბუნებრივად, ნატურალურად ცქრიალა ღვინო (petillant naturel) - სულ უფრო დიდ პოპულარობას იხვეჭს როგორც მის სამშობლოში - საფრანგეთში, ასევე, მის გარეთ, მათ შორის, საქართველოშიც. ტექნოლოგია, რომლის მიხედვითაც ეს ცქრიალა სასმელი ერთი ალკოჰოლური ფერმენტაციით მიიღება, მე-16 საუკუნეში შეიქმნა, ხოლო 21-ე საუკუნეში ხელახლა აღორძინდა და გავრცელდა.

პეტ-ნატი ყველაზე ძველი მეთოდით დამზადებული ცქრიალა ღვინოა. კლასიკური ცქრიალა ღვინის შემთხვევაში, რეზერვუარში ჩატარებულ ალკოჰოლურ დუღილს, ბოთლებში ღვინის ჩამოსხმის შემდეგ, მეორადი დუღილი მოსდევს იმ საფუარისა და შაქრის წყალობით, რომელიც ამ ღვინოშია შეტანილი. დუღილისას წარმოქმნილი ნახშირორჟანგის გაზი სითხეში რჩება, სადაც იგი ქმნის წნევას (პუტცი, ჰ., 2018, <https://matsne.gov.ge>). პეტ-ნატი კი მიიღება ერთი ფერმენტაციით, რომელიც გარკვეულ ეტაპამდე რეზერვუარში მიმდინარეობს, ხოლო შემდეგ დახურულ ბოთლში გრძელდება და აქვე მთავრდება. ამ ტექნოლოგიური ოპერაციითაც ბოთლში წარმოქმნილი ნახშირორჟანგი გარკვეულ წნევას ქმნის სითხეში.

ცქრიალა ღვინო ვარგდება ლექთან ერთად და წარმოიქმნება ბრიოშის, ტოსტის, თხილეულის ტონები (Jackson, R.S., 2008). პეტ-ნატი კი არ ვარგდება და მისთვის ცინცხალი ხილის არომატებია დამახასიათებელი.

ყველაზე ადრინდელი პერიოდის პეტ-ნატები ცნობილია ლიმოს მიდამოებში - ესაა ქალაქი სამხრეთ დასავლეთ საფრანგეთში, პირინეის მთებში. 1500-იან წლებში ბენედიქტელმა ბერმა სენტ-ჰილარის სააბატოში, შეამჩნია, რომ ბოთლებში ჩამოსხმულ ღვინოს ბუმტუკები ჰქონდა. ამ ღვინომ სიცივეზე გააჩერა, გაზაფხულზე კი, როცა გარემოს ტემპერატურა აიწია, კვლავ განაახლა დუღილი. ასე დაიბადა წინაპრების მეთოდი და პეტ-ნატი.

პირველი ადგილწარმოშობა, რომელიც ბუნებრივად ცქრიალა ღვინის სახელწოდებას ატარებდა, იყო Montlouis Pétillant Naturel AOC. ის შეიქმნა 2007 წელს წინაპრების მეთოდით წარმოებული ცქრიალა ღვინისთვის შენინ ბლანის ყურძნისგან Loire Valley-ში. ლუარა ველი არის პეტ-ნატის აღორძინების ცენტრი.

პეტ-ნატი დღესაც ყველაზე მასშტაბურად ისევ საფრანგეთში მზადდება, თუმცა, რადგანაც მომხმარებლის ინტერესი იზრდება მინიმალური ჩარევით დამზადებული ღვინოების მიმართ, ამიტომ სხვა ქვეყნებშიც დაიწყო მისი წარმოება.

პეტ-ნატისთვის შეიძლება გამოყენებულ იქნას ყურძნის მრავალი ჯიში. მნიშვნელოვანია, რომ ყურძენს არ ჰქონდეს ვეგეტატიური ტონები, ანუ კარგად იყოს დამწიფებული, თუმცა - არა გადამწიფებული.

პეტ-ნატის დაყენებისას აუცილებელია ტემპერატურის კონტროლი. ფერმენტაციისთვის ოპტიმალურია 14-16 °C. როცა სამიზნე ალკოჰოლის მაჩვენებლამდე, დაახლოებით, 3% იქნება დარჩენილი, რეკომენდებულია ღვინის ტემპერატურის დაწევა 8 °C-მდე, რათა შეფერხდეს დუღილი და შემცირდეს ლექის მოძრაობა. ლექის ზედმეტი მოძრაობა გამოიწვევს საფუარის

ტონს ღვინოში, რაც არ უნდა ახასიათებდეს პეტ-ნატს.

პეტ-ნატის წარმოების წინაპრების მეთოდი არ ითვალისწინებს შაქრის დამატებას მეორადი დუღილისთვის და ღვინო არ იფილტრება, რის გამოც პეტ-ნატი, სხვა ცქრიალა ღვინოებთან შედარებით, უფრო ნატურალურად ითვლება.

მეღვინის გადაწყვეტილების მიხედვით, პეტ-ნატი შეიძლება იყოს მსუბუქად შუმუნა სტილის ღვინო, ნახევრად-ცქრიალა ღვინო ან ცინცხალი ცქრიალა ღვინო. ღვინოები 2,5 ბარამდე წნევით შედის ნახევრად-ცქრიალას კატეგორიაში, ხოლო 3 და მეტი ბარი წნევის მქონე პეტ-ნატები - ცქრიალას კატეგორიაში. პეტ-ნატების უმეტესობა ცქრიალაა - 3,5 ბარზე მეტი წნევა აქვს.

ზოგიერთი მწარმოებელი პეტ-ნატს რემუაჟსა და დეგორჟაჟსაც უტარებს, კლასიკური ცქრიალა ღვინის ტექნოლოგიის მსგავსად (ნავარი, კ., 2004). რადგან პეტ-ნატი მხოლოდ ერთ ფერმენტაციას გადის, მასში შედარებით დაბალია ალკოჰოლის შემცველობა, დაახლოებით 11-12%. ხშირად აქვს ცოტაოდენი სიტკბო, ნარჩენი შაქრის წყალობით, რომელიც დაუშლელი რჩება.

მეორადი ფერმენტაციის არარსებობა ნიშნავს, რომ ეს ღვინო ნაკლებად შუმუნანა, ვიდრე შამპანურის მეთოდით დამზადებული ღვინოები. რადგან პეტ-ნატები, ძირითადად, არ იფილტრება, ისინი, როგორც წესი, არის შებურული, ბოთლის ძირზე წარმოქმნილი ლექით.

წინამდებარე სტატიაში წარმოდგენილი კვლევის მიზანს წარმოადგენდა იმერეთის რეგიონის ციცქას ჯიშის ყურძნისგან (გოცირიძე ვ., 2009 წ.) ცქრიალა ღვინის უძველესი სახეობის, დღეს ძალიან პოპულარული პეტ-ნატის დამზადება და მისი ტექნოლოგიური, ფიზიკურ-ქიმიური და ორგანოლექტიკური თვისებების შესწავლა; დამზადებული პეტ-ნატის თვისებების, მათ შორის, არომატული ნაერთების შედარება კლასიკური, ბოთლური მეთოდით იმავე ნედლეულისაგან დამზადებული ცქრიალა ღვინის ტექნოლოგიურ, ქიმიურ და ორგანოლექტიკურ მახასიათებლებთან.

ექსპერიმენტი, კვლევის ობიექტები, მეთოდები და შედეგები. ექსპერიმენტი ჩატარდა „მეღვინეობა ხარებას“ (<https://winery-khareba>) თერჯოლის საწარმოში. „მეღვინეობა ხარებას“ ერთერთი დიდი ქართული ღვინის კომპანიაა.


დამზადებულ ღვინოებს ანალიზი ჩატარდა წარმოების ლაბორატორიასა და აგრარულ უნივერსიტეტთან არსებულ კვლევით ცენტრში „Test-Lab“.

კვლევის ობიექტს წარმოადგენდა ციცქას ყურძნის ტკბილი, მისგან დამზადებული პეტნატი და ცქრიალა ღვინო, ჩამოყალიბების სხვადასხვა სტადიაზე. კვლევის მეთოდებად გამოყენებულ იქნა საქართველოში ღვინის ანალიზისათვის აპრობირებული მეთოდები და არომატული ნივთიერებების - უმაღლესი სპირტების, ესტერების, ალდეჰიდების - განსაზღვრისათვის - გაზური ქრომატოგრაფიის მეთოდი ([ლუდუშაური ც., 2008](#)).

ექსპერიმენტის ფარგლებში ცქრიალა ღვინო კლასიკური ბოთლური და პეტ-ნატი ორი განსხვავებული მეთოდით დამზადდა ციცქას ერთი და იმავე პარტიის ყურძნისგან. პეტ-ნატის ერთ ნაწილს ჩატარდა რემუაჟისა და დეგორჟაჟის ტექნოლოგიური ოპერაციები, მეორე ნაწილს კი - არა.

ნედლეული მოიკრიფა სოფელ სვირის ვენახებში: ცქრიალა ღვინისათვის: შაქრიანობით - 18,8 %; საერთო მჟავიანობით - 7,5 გ/ლ; პეტ-ნატის დასამზადებლად: შაქრიანობით - 21 %, ხოლო საერთო მჟავიანობით - 6,5 გ/ლ.

ორივე ტკბილის დუღილი მიმდინარეობდა 15-18°C-ზე. პეტ-ნატისთვის განკუთვნილი მადუღარი ტკბილი ბოთლებში ჩამოისხა მაშინ, როდესაც ტკბილში შაქრიანობამ 2,4 %-ს ანუ 24 გ/ლ-ს მიაღწია. დეგორჟაჟირებული პეტ-ნატის მისაღებად ბოთლებში ჩასასხმელად განკუთვნილ ტკბილს დაემატა თხევადი ბენტონიტი, რათა რემუაჟის დროს ლექი გამკვრივებულიყო. ბოთლში აფრომეტრის საშუალებით იზომებოდა დაგროვილი ნახშირორჟანგისაგან წარმოებული წნევა, რომელმაც ბოლოს 4 ბარს მიაღწია:



გრაფიკი 1.


მადულარ ტკბილში წნევის ზრდის დინამიკა

ექსპერიმენტის ფარგლებში დაყენებული ღვინოების ორგანოლექტიკური მახასიათებლების შესწავლამ აჩვენა, რომ მათ შორის ძირითადი განსხვავება არის გამჭვირვალობასა და არომატებში.

ციცქას ჯიშის ყურძნისგან დაყენებულ ცქრიალა ღვინოში ჭარბობს პურ-ფუნთუშეულის, საფუარის ტონები, შედარებით მცირე ინტენსივობითაა ციტრუსოვანი ხილის არომატები. ყვავილოვანი და ხილის არომატების გადასვლა უფრო კომპლექსურ, დამწიფებული პურის, საფუარის ტონებში საფუარის ავტოლიზის ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ეფექტია. ეს დაკავშირებულია საფუარის მეტაბოლიზმის თანაური არომატული პროდუქტების (მაგ. ეთილ-ესტერებისა და ეთილ-აცეტატების) დეგრადაციასთან და ოქსიდაციური არომატული ნაერთების (მაგ. ალდეჰიდების) რაოდენობის ზრდასთან.

დეგორჟაჟირებული პეტ-ნატი არომატების ყველაზე დაბალი ინტენსივობით გამოირჩევა. შეიგრძნობა დეგორჟაჟის გარეშე დაყენებული პეტ-ნატის მსგავსი არომატები, თუმცა, ბევრად უფრო ნაკლები სიმძაფრით. არადეგორჟაჟირებულ პეტ-ნატში, ბოთლის გახსნის მომენტში, არომატების დაბალი კონცენტრაცია შეინიშნება, თუმცა, ნახშირორჟანგის გამოთავისუფლებასთან ერთად, თანდათან უფრო იზრდება ხილის ტონების ინტენსივობა. ჭიქაში დასხმისას ყველაზე ძლიერ ქაფდება დეგორჟაჟის გარეშე დაყენებული პეტ-ნატი და ბოთლის გახსნისას ქაფი სითხესთან ერთად გადმოიფრქვევა.

ცქრიალა ღვინისა და პეტ-ნატების ორგანოლექტიკური შეფასების შედეგების მიხედვით, აიგო არომატების დიაგრამები:



დიაგრამები: **დამზადებული ცქრიალა ღვინის, დეგორჟაჟირებული და არადეგორჟაჟირებული პეტნატების არომატული პროფილი.**

როგორც დიაგრამებიდან ჩანს, ექსპერიმენტის ფარგლებში დამზადებული ცქრიალა ღვინისათვის დამახასიათებელია ციტრუსოვანი ხილისა და პურ-ფუნთუშეულის, ასევე, მოზრაწული, გახუხული პურის ტონები. დაბალი ინტენსივობით აღიქმება თხილეულის არომატიც.

პეტ-ნატში, რომელსაც ჩაუტარდა დეგორჟაჟი, გვხვდება მწვანე და ყვითელი ხილის, კერძოდ, ვაშლისა და მსხლის ტონები, ასევე, მწიფე ხილისთვის დამახასიათებელი არომატები. შედარებით, დაბალია ციტრუსოვანი ხილის არომატის შეგრძნება.

არადეგორჟაჟირებულ პეტ-ნატშიც ყველაზე ინტენსიურად აღიქმება მწვანე ვაშლისა და მსხლის ტონები, ასევე, დეგორჟაჟირებულთან შედარებით, უფრო მაღალია ლიმონის, ლაიმისა და სხვა ციტრუსოვანი ხილის არომატები. დაბალი ინტენსივობით შეიმჩნევა კარამელის ტონი.

როგორც ჩანს, პეტ-ნატში ჭარბობს უფრო მეტად მწვანე და ციტრუსოვანი ხილის არომატი, მაშინ როცა ცქრიალა ღვინოში ყველაზე მაღალი ინტენსივობით პურ-ფუნთუშეულის და გახუხული პურის ქერქის ტონები აღიქმება.

ცქრიალა ღვინოსა და პეტ-ნატს შორის არსებული არომატული განსხვავებების ლაბორატორიულ დონეზე ასახსნელად, შესწავლილ იქნა ნიმუშების შესაბამის ღვინის სპირტში არომატული ნაერთების შემცველობა საგამოცდო ლაბორატორია „TestLAB“-ში, გაზური ქრომატოგრაფიის მეთოდით.

ცხრილი 1. დამზადებული ღვინოების არომატული ნაერთები

#	პარამეტრი	ცქრიალა ღვინო	არადეგორჟირებული ღვინო
1	ეთილის სპირტის მოც. წილი, %	12,2	12,2
2	უმაღლესი სპირტების მ.კ. მგ/მლ		
	-2-ბუთანოლი	-----	-----
	-1-პროპანოლი	0,08	0,08
	-იზობუთანოლი	-----	0,063
	-1-ბუთანოლი	-----	-----
	-ამილი	-----	-----
	-იზოამილი	0,44	0,48
3	ეთერების მ.კ.,მგ/მგ/მლ		
	-აცეტალი	-----	-----
	-ეთილაცეტატი	0,18	0,15
4	ალდეჰიდები ,მგ/მლ		
	-აცეტალდეჰიდი	0,065	-----
5	მეთილის სპირტი, მგ/მლ	0,18	0,12

როგორც ლაბორატორიული ანალიზის შედეგებიდან ჩანს, ექსპერიმენტის ფარგლებში ციკქას ჯიშის ყურძნისგან დამზადებული ცქრიალა ღვინო და პეტ-ნატი მცირე რაოდენობით შეიცავს უმაღლეს სპირტებს, მათ შორის, 1-პროპანოლსა და იზოამილს; პეტ-ნატი, დამატებით, შეიცავს იზობუთანოლსაც. დაახლოებით, მსგავსი კონცენტრაციითაა ნიმუშებში ეთილაცეტატი. რაც შეეხება ალდეჰიდებს, ცქრიალა ღვინისგან განსხვავებით, აცეტალდეჰიდი პეტ-ნატში არ გვხვდება.

ამრიგად, „მეღვინეობა ხარებაში“ ჩატარებული ექსპერიმენტის შედეგად ქართული ჯიშის ყურძნის ციკქასგან პირველად დამზადდა უძველესი ცქრიალა, სასიამოვნო და მიმზიდველი სასმელი პეტ-ნატი ორი მეთოდით - რემუაჟისა და დეგორჟაჟის გამოყენებით და მათ გარეშე. პარალელურად, შესადარებლად, იმავე ნედლეულისაგან დამზადდა ცქრიალა ღვინო კლასიკური, ბოთლური მეთოდით. თუმცა, სამივე ღვინო ცქრიალას კატეგორიას ეკუთვნის, მაგრამ ტექნოლოგიურ ოპერაციების სხვადასხვაობამ განაპირობა ღვინოებს შორის

ორგანოლეპტიკური სხვაობა და დიდი როლი ითამაშა მათი მახასიათებლების, განსაკუთრებით, არომატული პროფილის ჩამოყალიბებაზე.

ლიტერატურა:

- 1) პუტცი, ჰ.,(2018). *მელვინეობა*. გამომც:GIZ. თბილისი
- 2) კობახიძე, თ. (2014) - *ვაზის ქართული ჯიშების ცნობარი*. თბილისი
- 3) Jackson, R.S.,(2008). *Wine Science*, Third edition. გამომც:Academic Press.
- 4) ნავარი, კ.,ლანგლადი, ფ., (2004). *ენოლოგია*. გამომც:TEC&DOC. პარიზი
- 5) გოცირიძე ვ., გოდაბრელიძე ა., (2009 წ.), *მევენახეობა*, თბილისი, საგამომცემლო სახლი;
- 6) ლუდუშაური ც., (2008) ანალიზის ფიზიკურ-ქიმიური მეთოდები, თბილისი, სტუ-ს გამომცემლობა
- 7) <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3711533?publication=1>
- 8) <https://winery-khareba.com/ka/company/about>

Making Georgian Pet Nat and studying its properties

Zirakashvili Nino

Vepkhishvili Nino

Iakob Gogebashvili State University, Telavi

Abstract

The article shows the opportunity of making the earliest ancestor of sparkling wine Pet –Nat - naturally sparkling wine petillant naturel – with the ancient French method from the Georgian grape variety Tsitska. This is the technology according to which the sparkling drink is obtained through single alcoholic fermentation.

The aim of the research was to study the technological, physical – chemical and organoleptic properties of two types of Pet Nat (degorged and non -degorged) made from Tsitska, to compare the properties of the produced Pet Nat, including the content of aromatic compounds to the technological, chemical and organoleptic properties of the sparkling wine made with the same raw materials by classic, bottling method.

It has been determined that the variety of technological operations caused the organoleptic difference between wines and played a great role in the development of their properties, especially the aromatic profile.

Key Words: sparkling wine, fermentation, remuage, degorgement, organoleptics, aromatics.

Habitats of Kolkheti lowland, ecotourism and recreational potential

Matchutadze Izolda¹, Goradze Rezo¹, Tetemadze Natela¹
Cheishvili Tamar², Bagrationi Guranda¹

¹Shota Rustaveli State University, Batumi

²Tsereteli State University, Kutaisi

DOI: <https://doi.org/10.52340/idw.2023.07>

Abstract. *There are 36 critical hotspots of biodiversity in the world (Conservation International). The Caucasus hotspot, which spans 532,658 km² is one of them. Consequently, Georgia with the admired Kolkheti lowland surrounded by the Greater and Lesser Caucasus Ranges belongs to this hotspot region. Because of its climatic and geographic situation, the Kolkheti lowland represents a centre of biodiversity and human activity on the transition of Europe and Asia.*

The main habitats in the Kolkheti lowland are the relict Kolkheti relict forests, the peatlands, the wetlands, coastal sand zones, river mouths, open fresh and salt water areas. The main habitats in the Kolkheti lowland are the relict Kolkheti forests, the peatlands, the wetlands, coastal sand zones, river mouths, open fresh and salt water areas. Habitats of Kolkheti lowland such as: Relict Forest and Sphagnum mire are under the UNESCO WNH nomination since 2021 (Feasibility...2019).

Tourist and recreational potential. The tourist and recreational potential of the territory is determined by the attractive natural environment: rivers, wildlife and seascapes, peatlands, migratory birds, rich historical and cultural values. The protected area has the potential to develop a variety of tourist products. These are: boating, fishing (amateur fishing), bird watching tourism, cultural-historical, educational, scientific-research and rural tourism.

Key word: *Kolkheti, habitat, endemic, relict.*

Introduction.

There are 34 critical hotspots of biodiversity in the world (Conservation International). The Caucasus hotspot, which spans 532,658 km² is one of them. Consequently, Georgia with the admired Kolkheti lowland surrounded by the Greater and Lesser Caucasus Ranges belongs to this hotspot region. Because of its climatic and geographic situation, the Kolkheti lowland represents a centre of biodiversity and human activity on the transition of Europe and Asia. Kolkheti lowlands belongs to (Ganidze, R.1996): World: - Oldest Mediterranean; Region – Sub -Mediterranean; Province – (*Colchis*) Kolkheti or eastern euxinus; District – (*Colchis*) Kolkheti lowland and foothills.

During the last Glacial Maximum, Kolkheti lowland constituted an important refuge for the flora of the Europe (Tarasov et.al.2000), where many plant species have preserved that used to be wide-spread in Europe before and disappeared. For example, the Kolkheti mires currently harbour – next to Tertiary relict species like *Rhododendron ponticum* – many sub-Mediterranean, temperate, and boreal relict species. Globally extraordinary habitats in the Kolkheti lowland are the relict Kolkheti forests and the percolation bogs only existing here.

The Kolkheti forests are unique ecosystems of characteristic warm-humid broad-leaved deciduous mixed forests with evergreen understory, rich in endemic and relict tertiary species, which are mostly spread on the Kolkheti lowland and the adjacent foothills of the Lesser Caucasus Range (Matchutadze 2019).

The peatlands of the Kolkheti lowland with their luxurious *Sphagnum* vegetation form a structural and functional transition between the peatlands of the boreal and those of the tropical zones. The special character of the area and its peatlands brought to the distinction of a special

Kolkheti peatland region within Eurasia.

There is interdependence between the species and its habitat. Relicts and endemic plants can develop in their historically established habitats. The habitat is a micro-ecological environment, created by its plants.

In order to protect the endangered species, it is necessary to protect their habitats as well. In Georgian law of environment do exist law about fauna but there is no law similar to this about habitats (კოლხეთის...2019, Matchutadze et.all. 2010, მაჭუტაძე ... 2009, მაჭუტაძე ... 2010).

Objective is habitats of Kolkheti lowland from Sarpi to Anaklia coast line. The different habitats and their vegetation were studied during the period of 1998-2008. The vegetation mapping with the determination of the cover of the vascular plant and moss species followed the abundance method after DAFOR (D –Dominant, - Abundant, F – Frequent, O-Occasional, R-Rare).

Research methodology of vertebrate animals in wetlands.

Large mammals were identified by footprints, sleeping/resting locations, burrows, tail tracks /lines and excrement. Medium and small mammals were caught and released safely using special traps and bait. Birds were observed with binoculars and a telescope, identified visually and with an identification guide. The attraction and capture of reptiles was done with tin boxes of various construction, using solar energy. Amphibians were grouped in specific traps, using insects and special and other bait. Fish was sampled using the cast nets and gill nets, various types of traps, hooks, spinning and “Gori” type seine nets. After identification they were subsequently live released back to their living environment (Goradze et al., 2002, 2009).

Wetland habitats of Kolkheti are internationally important because they provide for the migrant and the resident nutrition, their families, species, subspecies and populations interactivity. Wetland ecosystems are "maintenance stations" for migratory and waterfowl, recreation and for nutrition, which is the benefit of these areas at the global level It is expressed and for the purpose of conservation of biodiversity It has a special value. Migration routes to the north pass here between Europe and Africa. Habitats of Kolkheti lowland such as: Relict forest and Sphagnum mire are under the UNESCO WNH nomination since 2021 (Feasibility...2019). The main habitats in the Kolkheti lowland are the relict Kolkheti forests, the peatlands, the wetlands, coastal sand zones, river mouths, open fresh and salt water areas (Matchutadze ...2008, Matchutadze 2009, Matchutadze 2010, Matchutadze 2010).

Tourist and recreational potential. The tourist and recreational potential of the territory is determined by the attractive natural environment: rivers, wildlife and seascapes, peatlands, migratory birds, rich historical and cultural values. The protected area has the potential to develop a variety of tourist products. These are: boating, fishing (amateur fishing), bird watching tourism, cultural-historical, educational, scientific-research and rural tourism.

<i>Habitats of Kolkheti lowland</i>					
No.	Habitat	IUCN	Definition/ Description		Example
1	Sea littoral		Littoral/benthos with <i>Zostera marina</i>		Grigoleti, Tskaltsminda
2	Coastal sand dunes	VUL	Significant areas in Chorokhi delta and Anaklia-Churia coastline are still unpolluted. Dominated by: <i>Pancratium maritimum</i> , <i>Convolvulus persicus</i>	high	Kobuleti, Chaqvi, Piti, Grigoleti
3	Juncetum		Areas dominated by <i>Juncus</i> sp. (but without peat) often inundated	med	Ispani II mires, Imnati
4.	Permanent freshwater ponds	KE	Dominant species is <i>Trapa colchica</i> , <i>Trapa maleevi</i> , <i>Trapa hyrcana</i> <i>Potamogeton</i> sp. <i>Ceratophyllum demersum</i> , <i>Egeria denca</i> (as invasive species) <i>Nymphaea alba</i> , <i>Nymphaea colchica</i> and <i>Nuphar lutea</i>	high	Chorokhi delta, Grigoleti, Tskaltsminda, Narionali. Narionali, Grogoleti, Anaklia, Imnati, Chorokhi
5.	Peatland		Peatland is an area with or without vegetation with a naturally accumulated peat layer at the surface		
5.1.	Percolation mire	VUL	bog which is fed by rain water or precipitation (ombrogenous) Raised above surrounding landscape. Percolation bogs are found in landscapes where water supply is large and evenly distributed all over the year. With regard to the bog the water supply only arises from the precipitation. The water table in the mire is almost constant. Species like <i>Sphagnum imbricatum</i> , <i>Sphagnum papillosum</i> , <i>Molinia litoralis</i> are dominating. Peat is presented with under moss layer from overgrown plants remnants, alive roots.	high	Ispani II, Imnati, Grigoleti
5.2	Fen	VUL	Fens (geogenous), are fed by groundwater water from the surroundings. Situated in depressions. After peat extraction which was carried out by dredging open water remained.	high	Anaklia-Churia
6	Meadow		Agricultural used land (formed after drainage and deforestation)		
6.1	Pasture land		Used for hay-meadow Pastureland dominated by: <i>Paspallum thunbergii</i> , <i>Polygonum thunbergii</i> .	low	Grigoleti, Anaklia-churia, chorokhi
6.2	Arable land		Used for growing of monoculture (<i>Zea mays</i>)	low	Guria, Kobuleti, Anaklia-chiria
7.	Relict Kolkheti forest	VUL	mires of Kolkheti are unique for the fact that they are naturally transformed into the fragmentally presented Kolkheti forests characteristic warm-humid broad-leaved deciduous forests with evergreen understory, rich in endemic and relict tertiary species: <i>Pterocaria pterocarpa</i> , <i>Quercus hartwissiana</i> , <i>Buxus colchica</i> , <i>Carpinus betulus</i> , <i>Morus nigra</i> , <i>Crataegus macrophylla</i> , <i>Humulus lupulus</i> , <i>Salix caprea</i>	high	Churia, Imnati, Ispani I and Ispani II

notes: ° At the moment for Georgia

References:

1. კოლხეთის ეროვნული პარკის მენეჯმენტის გეგმა, 2019, ბათუმი
2. მაჭუტაძე ი., 2009., სამხრეთ კოლხეთის (აჭარის) ეკოსისტემათა ბიომრავალფეროვნება, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საერთაშორისო კონფერენციის „სამხრეთ კოლხეთის ბიომრავალფეროვნება“ კონფერენციის მასალები, გვ.34-39
3. მაჭუტაძე, მ. გვილაგა, 2010 კოლხეთის დაბლობის რელიქტური ტყეების აღდგენის აუცილებლობა www.bsu.edu.ge
4. Gagnidze R., Phytogeography of Georgia, 1996
5. Rezo Goradze, Izolda Machutadze and Iracli Goradze. 2009. Directory of Georgian Coastal Wetlands.
6. Black Sea Regional Activity Centre for Biodiversiti Conservation. Batumi, Georgia. PP.46-75 In Book
7. Directory of Azov-Black Sea Coastal Wetlands. Wetlands International Kyiv, 2002, 2009 235 P.
8. Matchutadze I., 2008., Kolkheti Relict forest: past, present, future., Batumi, 44 p.;
9. Matchutadze , I.Goradze, M. Tsinaridze, E.Jakeli, “Inventory of height conservation value forest in Ajara, 2010, 1st International Turk-Japan conference in Trabzon, vol.1., pp.33-65
10. Matchutadze,, T. Qurkhuli, M. Tsinaridze, 2010. “Why kolkheti relict forest is so valuable and significant”, 1st International Turk-Japan conference in Trabzon, vol..3, pp. 45-49
11. Matchutadze I., Tsinaridze M., 2013, “IUCN critically endangered woody plant species of Kolkheti relict forest” , International forestry symposium of Caucasus eco region”
12. Matchutadze I., Bakuradze T., 2009, Habitats of Kolkheti Lowland, poster presentation, ICMG Scientific Congress;
13. Feasibility assessment for a World Heritage nomination of the Colchic Forests and Wetlands under the natural criteria

კოლხეთის დაბლობის ჰაბიტატები, რეკრაციული და ეკოტურისტული პოტენციალი

იზოლდა მაჭუტაძე¹, რეზო გორაძე¹, ნათელა ტეტემაძე¹,
თამარ ჭეიშვილი², გურანდა ბაგრატიონი¹

¹ შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტი, ბათუმი

² აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი

აბსტრაქტი

მსოფლიოში ბიომრავალფეროვნების 34 კრიტიკული ცხელი წერტილია (Conservation International). ერთ-ერთი მათგანია კავკასიის ცხელი წერტილი, რომელიც მოიცავს 532,658 კმ²-ს. შესაბამისად, საქართველო, კოლხეთის დაბლობით, რომელიც გარშემორტყმულია დიდი და მცირე კავკასიონის ქედებით, მიეკუთვნება ამ ცხელ წერტილს. კოლხეთის დაბლობი თავისი კლიმატური და გეოგრაფიული მდგომარეობიდან გამომდინარე წარმოადგენს ბიომრავალფეროვნებისა და ადამიანის საქმიანობის ცენტრს ევროპისა და აზიის გასაყარ გზაზე. კოლხეთის დაბლობზე ძირითადი ჰაბიტატებია კოლხეთის რელიქტური რელიქტური ტყეები, სფაგნუმისანი ტორფნარები, სანაპირო ქვიშისანი დიუნები, მდინარეთა შესართავები, მტკნარწყლიანი ბუნებრივი ტბორები. კოლხეთის დაბლობის ჰაბიტატები, როგორცაა: რელიქტური ტყე და სფაგნუმური ტყე, 2021 წლიდან იუნესკოს WNH-ის ნომინაციაშია (მიზანშეწონილობა...2019).

ტურისტული და რეკრეაციული პოტენციალი. ტერიტორიის ტურისტულ და რეკრეაციულ პოტენციალს განსაზღვრავს მიმზიდველი ბუნებრივი გარემო: მდინარეები, ველური ბუნება და ზღვის პეიზაჟები, ტორფნარები, გადამფრენი ფრინველები, მდიდარი ისტორიული და კულტურული ფასეულობები. დაცულ ტერიტორიას აქვს მრავალფეროვანი ტურისტული პროდუქტის განვითარების პოტენციალი. ესენია: ნავით სეირნობა, თევზაობა (სამოყვარულო თევზაობა), ფრინველებზე დაკვირვების ტურიზმი, კულტურულ-ისტორიული, საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევითი და სოფლის ტურიზმი.

საკვანძო სიტყვები: კოლხეთი, ჰაბიტატი, ენდემი, რელიქტი

Impact of Desertification on the Biodiversity of Arid and Semiarid zone in Georgia

Mchedluri Tea

Iakob Gogebashvili State University, Telavi

Koptonashvili Lali

Shota Rustaveli State University, Batumi

DOI: <https://doi.org/10.52340/idw.2023.08>

Abstract. Georgia's arid and semiarid regions are especially sensitive to desertification. The process of desertification caused by climate change is the greatest ecological and socio-economic problem of our time. It is already recognized - along with habitat degradation, resource overexploitation, environmental pollution, and invasive species - as the fifth driver of biodiversity loss [1]. According to the forecast, an increase in temperature and a decrease in rainfall are expected in some regions of Georgia. As a result, significant changes will occur in the distribution of these ecosystems, plant communities, and species of flora and fauna [9].

Different regions of Georgia respond differently to climate changes. The landscapes of Eastern Georgia are particularly sensitive to modern climate change. An area of almost 3,000 km² in the south-east of Georgia, which is located in the semi-desert zone, is continuously damaged by droughts and wind erosion and suffers from degradation/desertification as well as soil salinization. The process of desertification in the territory of Alazni Valley stems from both natural and anthropogenic factors.

The landscapes of eastern Georgia are more sensitive to modern climate change than the humid subtropics of western Georgia. The fight against desertification is important for maintaining the existing biological and landscape diversity.

The region of Kakheti (Dedoplistskaro, Sighnaghi, Sagarejo) represents regions facing the threat of desertification. This process is especially reflected in the territory of Dedoplistskaro municipality located in the Alazni valley. Therefore, we consider it urgent to pay great attention to the problems caused by desertification in the mentioned area and their negative impact on local ecosystems and biodiversity. It is necessary to take complex monitoring and preventive measures.

Key words : desertification, biodiversity, arid and semi-arid ecosystems climate change

Introduction : South-eastern part of Georgia - Dedoplistskaro, Sighnaghi, Sagarejo, Shida Kartli regions are particularly sensitive to desertification processes. The landscapes of eastern Georgia are more sensitive to modern climate change than the humid subtropics of western Georgia. The fight against desertification is important for maintaining the existing biological and landscape diversity.

The geographical location of Georgia determined the diversity of its nature. The specific natural conditions of the region determine the presence of characteristic flora and fauna. Different types of vegetation are found here: desert and semi-desert type vegetation, arid clear forests, steppe and deciduous forest elements. In addition, there are rocky xerophytes, floodplain forests along rivers, and foothill scrub. Such diversity of vegetation within a small area is generally characteristic of the Caucasus region.

Research results: the process of desertification is expressed in large areas of the ecosystem of the arid and semi-arid territory - in the Iori steppe, the Tchatchuna steppe, the Eldar plain, the foothills of the southern slope of the Kotsakhura ridge, the foothills of the western part of the Kotsakhura ridge, etc. A tendency to desertification is observed in the form of small fragments in the frankincense trees clear forest complex, and even in floodplain forests - the invasion of desert elements. A large part of arid and semi-arid ecosystems in itself represents a rare biotope for Georgia, which is why certain species are found only here in Georgia.

24 species of insects common in the region are included in the Red Book, including: *Papilio machaon*, *P. alexanor orientalis*, *Inphichlides podalirius*, *Utethesia pulchra*, *Arctia caja*, *Coenonimpha saadi*, etc. Among the rare species of vertebrates, it is worth noting some species of the Red Book of Georgia, such as: *Pelobates syriacus*, *Eryx jaculus*, *Eumeces scheineri*, *Elaphe longissima*, *Haliaeetus albicilla*, *Aythya nyroca*, *Perdix perdix*, *Mesocricetus brandti*, *Suncus etruscus*, *hyaena*, *Lynx lunx*, *Gazella subgutturosa*, *Cervus elaphus*. Among the small mammals, rare and endangered species are as follows : *Sorex volnuchini*, *Crocidura leucodon*, *Allactaga elater*, *Cricetulus migratorius*, *Allactaga willamsi* end etc. Some species of birds and small mammals are rare even on a global scale and are included in the IUCN Red List. for example: *Phalacrocorax pygmeus* – LR; *Aegyptius monach* – LR; *Haliaeetus albicilla* – LR; *Aquila heliaca* – VU; *Tetrax tetrax* – LR; *Aythya nyroca* – VU; *Rhinolophus ferrumequinum* – LR. cd; *Rhinolophus hipposideros* – VU.A2c; *Barbastella barbastellus* – VU.A2c; *Dromomys nitedula* – LR.nt, [9]

Indicators of desertification identified in arid and semi-arid areas are: impoverishment in the flora and fauna, degradation of plant communities. Expansion of semi-desert and desert plant species (*Salsola* spp, *Artemisia fragans*, *Gamantus pilosus*, etc.) and plant communities (*Artemisietum*, *Artemisieto-salsoletum*, *Botrichloeto-artemisietum*, etc.); Animal - the disappearance of some insectivores and rodents, for example, *Crocidura leucodon*, *Microtus socialis*, *Sorex volnuchini*, *Allactaga* spp, which are characteristic of the desert landscape; Edafur - removal of upper layers of soils, salinization of soils, sodification [6]

Among Geological processes, Strong earthquakes and landslides, which are characteristic of Dedoplistskaro municipality, can cause landscape change. As for climate change, by the end of the current century, natural landscapes are threatened by significant changes. Typical subtropical subarid landscapes will be transformed into subtropical arid landscapes if the average annual air temperature increases by 2-3°C and atmospheric precipitates decrease by 200 mm. Biodiversity will decrease. In particular, steppes covered with shibliak, Feather grass and dandelion will gradually give way to deserts and semi-deserts covered with fragrant absinthium and saltwaort [8].

Anthropogenic causes of natural landscape change can be divided into four main groups: overgrazing; cutting down windshields; burning of pastures and fields; Plowing of pastures and floodplain forests.

The problem of overgrazing is more or less severe in 80% of the pastures of the Dedoplistskaro region. In many places, the beginning of the desertification process is already clearly visible. Illegal cutting of windshields took a large-scale character in the 90s of the last century. These strips have been practically completely destroyed today. In the conditions of increasing frequency of strong winds, there was an increase in wind erosion of the land surface, which, together with overgrazing, activated the processes of desertification in some areas of natural pastures. The deforestation of the forest cover was accompanied by species impoverishment of the fauna. The forest loses its function as a habitat for large mammals, which leads to their extinction or migration. As a result of the ploughing of floodplain forests, their wind-retaining and embankment functions are reduced, which contributes to the process of desertification, taking into account the established trends of climate change.

It should be noted that the protected areas in the Dedoplistskaro area are currently the least affected by anthropogenic influences. The vegetation cover presented here, as an indicator, can be successfully used to assess the impact of climate change on the environment. In particular, the predominance of species characteristic of arid steppes and semi-deserts in the existing vegetation cover of the steppes will be an additional sign of the beginning of desertification processes in the area. The same is true for the animal world, which will also become scarce if the vegetation is depleted [5]

Conclusion: Thus, the issue is very important and relevant. Much attention should be paid to the problems caused by desertification and soil degradation in the Dedoplistskaro area in the Alazani Valley and their negative impact on local ecosystems and biodiversity. It is necessary to develop a strategy for mitigating negative consequences and/or appropriate adaptation; Complex research, monitoring and preventive measures of the causes of degradation of soils, especially

agricultural fields and their pastures.

Bibliography

1. Second National Action Program to Combat Desertification 2014 Tbilisi
2. Gegechkori, Arn. 2008. Biogeography
3. Badridze, I. (2000). The modern state of species diversity of the animal world of Georgia. Tbilisi.
4. Gegechkori, Arn. 2008. Biogeography
5. Gvarishvili, N. (2013) "Terrestrial Ecosystems" Batumi
6. Climate Change and Disaster Reduction Adaptation Plan of Dedoplistskaro Municipality (2013). Tbilisi.
7. The impact of climate change on Dedoplistskaro region (2008) Tbilisi
8. Kodiashvili A. (2007) The process of desertification in Dedoplistskaro and its mitigation measures. Department of Protected Areas Dedoplistskaro.
9. Biodiversity Strategy of Georgia and Action Plan (2014-2020) Shavliashvili L., Kordzakhia G., Elizbarashvili E., Kuchava G. (2012) Same aspects of land resources degradation on Georgia due to temporary climate change – Annals of agrarian science, v.10, #4.,.
10. Mchedluri, T., Vepkhvadze, A., Lali Shavliashvili, L. „The impact of global climate changes on biodiversity of Kakheti region” . International conference, Ganja. 2017, 4-5 may
11. Mchedluri, T., Vepkhvadze, A., Shavliashvili, L. „Research on the Salinity Level of Alazani Valley Soils and Their Impact on Agrobiodiversity of the Region” European Researcher - Sochi 2017, 2(1)
12. Shavliashvili L., Kordzakhia G., Elizbarashvili E., Kuchava G. (2012) Same aspects of land resources degradation on Georgia due to temporary climate change – Annals of agrarian science, v.10, #4.,.

გაუდაბნობის გავლენა საქართველოს არიდული და სემიარიდული ზონის ბიომრავალფეროვნებაზე

მჭედლური თეა

იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი
კობტონაშვილი ლალი

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი

აბსტრაქტი

საქართველოს არიდული და სემიარიდული რეგიონები გაუდაბნობისადმი ყველაზე მგრძობიარე ტერიტორიებს წარმოადგენენ. კლიმატის ცვლილებით გამოწვეული გაუდაბნობის პროცესი თანამედროვეობის უმნიშვნელოვანეს ეკოლოგიურ და სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემას წარმოადგენს. ის უკვე აღიარებულია - ჰაბიტეტის დეგრადაციასთან, რესურსების ჭარბ გამოყენებასთან, გარემოს დაბინძურებასა და ინვაზიურ სახეობებთან ერთად, როგორც ბიომრავალფეროვნების შემცირების მეხუთე ფაქტორი [1] პროგნოზის მიხედვით, საქართველოს ზოგიერთ რეგიონში მოსალოდნელია ტემპერატურის მატება და ნალექების კლება. შედეგად, მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდება ამ ეკოსისტემების, მცენარეთა თანასაზოგადოებების, ფლორისა და ფაუნის სახეობების გავრცელებაში [9]

საქართველოს სხვადასხვა რეგიონი განსხვავებულად რეაგირებს კლიმატის ცვლილებებზე. აღმოსავლეთ საქართველოს ლანდშაფტები, განსაკუთრებით მგრძობიარენი არიან კლიმატის თანამედროვე ცვლილების მიმართ. საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთში თითქმის 3 000 კმ² ფართობის ტერიტორია, რომელიც მოქცეულია ნახევრად უდაბნოს ზონაში განუწყვეტილ ზიანდება გვალვებისა და ქარისმიერი ეროზიისგან, განიცდის დეგრადაცია/გაუდაბნობას, ნიადაგის დამლაშებას. ალაზნის ველის ტერიტორიაზე გაუდაბნობის პროცესი გამოწვეულია როგორც ბუნებრივი, ისე ანთროპოგენური ფაქტორების ზემოქმედების შედეგად. აღმოსავლეთ საქართველოს ლანდშაფტები, დასავლეთ საქართველოს ნოტიო სუბტროპიკებთან შედარებით უფრო მგრძობიარენი არიან თანამედროვე კლიმატის ცვლილების მიმართ. გაუდაბნობის წინააღმდეგ ბრძოლა, მნიშვნელოვანია არსებული ბიოლოგიური და ლანდშაფტური მრავალფეროვნების შენარჩუნებისათვის.

კახეთის რეგიონი (დედოფლისწყარო, სიღნაღი, საგარეჯო), წარმოადგენს გაუდაბნობის

საფრთხის წინაშე მდგარ რეგიონებს. ეს პროცესი განსაკუთრებით აისახება ალაზნის ველზე მდებარე დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. ამიტომ, აქტუალურად მიგვაჩნია დიდი ყურადღება დაეთმოს აღნიშნულ ტერიტორიაზე გაუდაზნოების გავლენით გამოწვეულ პრობლემებს და მათ უარყოფით გავლენას ადგილობრივ ეკოსისტემებსა და ბიომრავალფეროვნებაზე. აუცილებელია, ხდებოდეს კომპლექსური მონიტორინგი და პრევენციული ღონისძიებების გატარება.

საკვანძო სიტყვები: გაუდაზნობა, ბიომრავალფეროვნება, არიდული და სემიარიდული ეკოსისტემები, კლიმატის ცვლილება.

Влияние опустынивания на биоразнообразие аридной и семиаридной зоны Грузии

Мчедлური Tea

Телавский государственный университет имени Якоба Гогобашвили

Лალი Коптонашвили

Батумский государственный университет имени Шота Руставели

Аннотация: аридные и семиаридные регионы Грузии особенно чувствительны к опустыниванию. Процесс опустынивания, вызванный изменением климата, является важнейшей экологической и социально-экономической проблемой современности. Уже доказано, что наряду с деградацией среды обитания, чрезмерным использованием ресурсов, загрязнением окружающей среды и инвазивными видами, пятым фактором утраты биоразнообразия [1], по прогнозу, будет считаться повышение температуры и уменьшение количества осадков в некоторых регионах Грузии. В результате, произойдут значительные изменения в распределении этих экосистем, растительных сообществ и видов флоры и фауны [9].

Различные регионы Грузии по-разному реагируют на изменения климата. Ландшафты Восточной Грузии особенно чувствительны к современным изменениям климата. На юго-востоке Грузии, территория, расположенная в полупустынной зоне, площадью почти 3000 км², постоянно страдает от засух и ветровой эрозии, подвергается деградации/опустыниванию, засолению почв. Процесс опустынивания на территории Алазнинской долины обусловлен воздействием как природных, так и антропогенных факторов. Ландшафты Восточной Грузии более чувствительны к современным изменениям климата, чем влажные субтропики Западной Грузии. Борьба с опустыниванием важна для сохранения существующего биологического и ландшафтного разнообразия. Регионы в Кахетии: Дедофлистскаро, Сигнахи, Сагареджо находятся под угрозой опустынивания. Этот процесс особенно проявляется на территории муниципалитета Дедописцкаро, расположенного на Алазнинской долине. Поэтому, мы считаем, что необходимо уделить большое внимание проблемам, вызванным опустыниванием в указанной местности, и их негативному влиянию на местные экосистемы и биоразнообразие. Необходимо проводить комплексный мониторинг и профилактические мероприятия.

Ключевые слова: опустынивание, биоразнообразие, аридные и полуаридные экосистемы, изменение климата.

ტენილი ყველის დამზადების განსხვავებული ტექნოლოგიები და მისი უვნებლობა

ნადირაშვილი ნინო
ამირანაშვილი ლია

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი

DOI: <https://doi.org/10.52340/idw.2023.09>

აბსტრაქტი. სამცხე-ჯავახეთის სიამაყე - ტენილი ყველი, ერთადერთი ყველია საქართველოში, რომელსაც აქვს როგორც გეოგრაფიული აღნიშვნის, ასევე, არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი. კვლევის ფარგლებში შესწავლილ იქნა მისი დამზადების ტექნოლოგია. აღმოჩნდა, რომ დღეისათვის ტრადიციულად შენარჩუნებული ტენილი ყველის დამზადების ტექნოლოგიის ზოგიერთი მნიშვნელოვანი ეტაპის (გამოყენებული რძე, მოსამწიფებელი ჭურჭელი და სხვ.) ცვლილება მოხდა მომზადების პროცესის გამარტივების მიზნით. ტენილი ყველის დასამზადებლად გამოიყენება არაპასტერიზებულ რძე, შესაბამისად, მასზე ვრცელდება საქართველოს მთავრობის დადგენილება N581 „სურსათის მიკრობიოლოგიური მაჩვენებლების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“; მისი შესრულება მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს უვნებელი პროდუქტის წარმოებისათვის. ტენილი ყველის დამზადების ტექნოლოგიების (ტრადიციული, არატრადიციული) შესწავლისას გამოვლინდა ორი მნიშვნელოვანი ეტაპი, რაც გავლენას ახდენს საბოლოო პროდუქტის უვნებლობაზე. ესენია მარილწყლის გამოყენების ეტაპი (მარილწყალი, ხშირ შემთხვევაში, მრავალჯერადად გამოიყენება სხვადასხვა პარტიის ტენილი ყველის დასამზადებლად) და ნაღების შერევის ეტაპი (ნედლი რძის მოხდით მიღებული ნაღები თერმული დამუშავების გარეშე, შემთხარაი ერევა ტენილ ყველს). კვლევამ, ასევე, დაადასტურა ტენილი ყველის შესწავლისა და პოპულარიზაციის საჭიროება, ვინაიდან ის, ძირითადად, სამცხე-ჯავახეთის მხოლოდ ორ სოფელში იწარმოება და გაქრობის პირასაა. შესაბამისი კვლევების ჩატარების შემდეგ მიღებული შედეგების ფართო საზოგადოებისთვის მიწოდება, ხელს შეუწყობს ტენილი ყველის წარმოების გაფართოებასა და აგრარული ტურიზმის განვითარებას. მსოფლიოში არ არსებობს ტენილი ყველის დამზადების ტექნოლოგიის ანალოგი, რაც ხაზს უსვამს მის უნიკალურობას და მნიშვნელოვან პოტენციალს წარმოადგენს რეგიონის განვითარებისათვის, მით უფრო, რომ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 9 იანვრის დადგენილება N14 „სურსათის/ცხოველის საკვების არაორგანიზებული წარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“, ხელს უწყობს ოჯახურ წარმოებებს და ათავისუფლებს მათ გარკვეული ვალდებულებებისაგან, რაც მანამდე ხელისშემშლელ ფაქტორს წარმოადგენდა მათი პროდუქტების რეალიზაციისათვის.


საკვანძო სიტყვები: გეოგრაფიული აღნიშვნა, ტენილი ყველი, ტექნოლოგია, ოჯახური წარმოება, პასტერიზაცია, უვნებლობა.

შესავალი

ძროხის რძე მსოფლიოში ყველაზე ფართოდ მოიხმარება. მისი წილი მსოფლიო რძის წარმოების 90%-ია, რასაც მოსდევს თხისა და ცხვრის რძე 3% და 2%-ით, შესაბამისად (Lambrini et al., 2021). მსოფლიოში მიღებული რძის 35% გამოიყენება ყველის წარმოებაში და შეადგენს დაახლოებით 19×10^6 ტონას წელიწადში. ძირითადად, მისი წარმოება ხორციელდება ევროპაში, ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკაში (Fox et al., 2017). მეთვრამეტე საუკუნემდე ყველის წარმოება მხოლოდ მცირე მეურნეობებში მიმდინარეობდა. პირველი ინდუსტრიული ყველის წარმოების

ქარხანა გაიხსნა 1851 წელს აშშ-ში და 1870 წელს დიდ ბრიტანეთში (Cogan et al., 2004). საქართველოში რძის მეურნეობის ახალი ერა დაიწყო 1864 წელს, როდესაც საქართველოს ტერიტორიაზე პირველი ყველის ქარხანა დაარსდა (დემურიშვილი, 1930).

ყველის წარმოების თითოეული ეტაპი, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საბოლოო პროდუქტის გემოს, არომატსა და ტექსტურაზე; მაგ., დამწიფების ხანგრძლივობა (ზოგიერთი ყველი წლობით მწიფდება ზოგს თვეები სჭირდება, ზოგი კი მოიხმარება დამზადებისთანავე), დელამოს მიღების მეთოდი, დამარილება და ა.შ. (Drake et al., 2017). დღეისათვის მსოფლიოში აღწერილია ყველის მრავალი სახეობა (400-დან 1000-მდე) და, შესაბამისად, მათი კლასიფიკაციის მრავალი გზა არსებობს (Fox et al., 2017). ერთ-ერთ კლასიფიკაციას საფუძვლად უდევს ყველის ჯგუფებად დაყოფა კოაგულაციისა და დამწიფების მეთოდების მიხედვით.



სურ. 1. ყველის კლასიფიკაცია კოაგულაციისა და დამწიფების მეთოდების მიხედვით (Fox et al., 2017)

პასტა-ფილატა იტალიურ სიტყვათა კომბინაციაა, რაც ნიშნავს დაწნულს (ცნობილია, ასევე, როგორც „გაწელილი“ ან „პლასტმასის“). ასეთი სახეობის ყველებს აქვთ საერთო უნიკალური ბოჭკოვანი სტრუქტურა, რომელიც იქმნება ყველის მასის გაწელების ეტაპზე (Fox et al., 2004). მათი გემო მნიშვნელოვნად განსხვავდება, ყველის სხვა სახეობებისაგან. აღნიშნული ტიპის ყველი ძირითადად იწარმოება იტალიის ხმელთაშუა ზღვის რეგიონში, საბერძნეთში, ბალკანეთში, თურქეთსა და აღმოსავლეთ ევროპაში (Kindstedt, 2002).

საქართველოს ყველა კუთხის მოსახლეობის კვებითი კულტურა გამოირჩევა თავისი ორიგინალობით. ეს, თავის მხრივ, განპირობებულია ქვეყნის ლანდშაფტით, ბუნებრივ-გეოგრაფიული, კლიმატური თავისებურებებითა და სამეურნეო ცხოვრების მრავალფეროვნებით.

სამცხე-ჯავახეთში მრავალი სახეობისა და დასახელების ყველს ამზადებდნენ; მათ შორისაა მესხური ყველი ტენილი, უძველესი ქართული ტრადიციული ყველი, რომელიც პასტა ფილატას სახეობის ყველთა კატეგორიას მიეკუთვნება და რომელსაც მესხური სამზარეულოს სიამაყეს უწოდებენ. მას ასევე მოიხსენიებენ როგორც „ჯადოქრობას თიხის ქოთანში“

(მირიანიშვილი, 2017). ტენილი ყველის დამზადების გეოგრაფიულ არეალს წარმოადგენს სამცხე-ჯავახეთის რეგიონი, სადაც ხორციელდება ყველის დასამზადებლად საჭირო რძის მიღება და გადამუშავება. დღეს სულ უფრო და უფრო ცოტა ადამიანი ამზადებს ამ ტიპის ყველს. ტენილი ყველის წარმოება ძირითადად სამცხე-ჯავახეთის ორ სოფელში - ჭობარეთსა და ანდრიაწმინდაში ხორციელდება. საქართველოს დანარჩენ რეგიონებში ნაკლებად იცნობენ ტენილ ყველს. პირველად იგი ფართო საზოგადოებას 2010 წელს ასოციაცია მზიანეთმა წარუდგინა ყველის ფესტივალზე (სავანელი, 2011).

ტენილი ყველის დამზადების ტექნოლოგიას აქვს გეოგრაფიული აღნიშვნის სტატუსი 2012 წლის 24 იანვრიდან. საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტი“-ის ვებგვერდზე, მითითებულია ტენილი ყველისა და მის დასამზადებლად გამოყენებული რძის პარამეტრები, რომლებიც დაცული უნდა იყოს ტენილი ყველის წარმოებისას.

ცხრილი 1. მოთხოვნები ტენილი ყველისა და მის დასამზადებლად გამოყენებული რძისათვის (https://www.sakpatenti.gov.ge/ka/state_registry/#)

რძის წარმომავლობა	ხვედრითი წონა, არანაკლებ	უცხიმო მშრალი ნივთიერების შემცველობა, არანაკლებ (%)	ცხიმინობა, არანაკლებ (%)	მჟავიანობა, არაუმეტეს (°T)
ძროხის	1.027	8.1	4	18
ცხვრის	1.031	11.5	7	26
ტენილი ყველი				
ტენიანობა	არაუმეტეს 60%			
მარილის შემცველობა	2-4%			
ცხიმინობა მშრალ ნივთიერებაში	არანაკლებ 45%			

ტენილი ყველის დამზადების გამორჩეულ ტექნოლოგიას ეროვნულ დონეზე აქვს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი 2013 წლის 15 ნოემბრიდან, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის ბრძანება #03/207-ის მიხედვით (<https://www.heritagesites.ge/uploads/files/6229f9466269c.pdf>).

მიუხედავად ტენილი ყველის აღიარებისა, როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო ასპარეზზე, დღეისათვის საქართველოში არ არსებობს ქართულენოვანი მეცნიერული კვლევა მისი დამზადების შესახებ. სწორედ, ამიტომ, კვლევის მიზანი იყო ტენილ ყველის დამზადების ტექნოლოგიური ეტაპების შესწავლა სურსათის უვნებლობის ჭრილში.

კვლევის შედეგები

კვლევის მიზნის მისაღწევად ჩატარდა შეხვედრები ჭობარეთისა და ანდრიაწმინდას სოფლის მოსახლეობასთან, რომლებიც დღემდე ამზადებენ ტენილ ყველს. შეხვედრები იყო როგორც ინდივიდუალური (წარმოების მსვლელობის უშუალოდ დაკვირვებით), ასევე, ჯგუფური, საქართველოს ბიზნესის განვითარების ცენტრი „კავკასია“ ახალციხის ოფისის და ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“-ს ორგანიზებით გამართულ შეხვედრებზე 24.11.2022 და 23.06.22. კვლევის პროცესში გამოვლინდა, ტენილი ყველის დამზადების ორი მნიშვნელოვნად განსხვავებული ტექნოლოგია, როგორც ადგილობრივები მოიხსენიებენ - ტრადიციული და არატრადიციული.

ტრადიციული დამზადების ტექნოლოგია. ახლადმოწველილი რძე ტარდება

სეპარატორში, მიღებული ნაღები თავსდება მაცივარში (პლიუს ტემპერატურაზე), ხოლო რძე ყოვნდება ოთახის ტემპერატურაზე მთელი ღამის განმავლობაში. მეორე დღეს დილით მოწველილი რძე ისევ ტარდება სეპარატორში, ერევა წინა დღის დაყოვებულ შემჟავებულ რძეს. შესამოწმებლად, არის თუ არა რძე მზად ყველის დასამზადებლად, სინჯავენ გემოს - რძეს უნდა ჰქონდეს მჟავე არომატი; რძე ძალიან თუ გადამჟავდა, იგი აღარ გამოიყენება; გარდა ამისა, გადამოწმების მიზნით, პატარა ჯამში ისხმევა და ცეცხლზე იდგმება. ჯამში მიღებული მასა თუ კარგად გაიწელა („გახასდა“), იგი მზადაა ყველის დასამზადებლად, თუ ადუღდა - ნიშნავს, რომ ჯერ „ტკბილია“ და დრო სჭირდება. მას შემდეგ, რაც დარწმუნდებიან, რომ რძე მზადაა ყველის დასამზადებლად, ცხელდება 40 °C-მდე („ხელს უნდა კბენდეს“). ტრადიციული ტექნოლოგიით დამზადებისას რძე ისეა შემჟავებული, რომ, ხშირ შემთხვევაში, ჩასაკვეთად კვეთს არც კი იყენებენ.

ჩაკვეთის შემდეგ იჭრება მიღებული მასა და ისევ ყოვნდება 30 წუთით. მიღებული მასის მორევის შემდეგ გადააქვთ ახალ ჯამში, შემდეგ კი ეტაპობრივად ემატება ცხელი შრატი (80 °C) და იწყება ყველის მასის ხელით დამუშავების ეტაპი. რგოლის ფორმის ყველის მასა იწელება და ნელ-ნელა იჭიმება თოკივით ისე, რომ ხელის თანაბარი მოძრაობით მიღებული მასა გადაადგილდება ცხელი შრატის მიმართულეობით.



სურ. 2. ყველის მასის ხელით დამუშავების ეტაპი (ავტორის ნ. ნადირაშვილის ფოტო)

შრატის გაცივების შემთხვევაში, ის ისევ ცხელდება და ამ მეთოდით დამუშავება გრძელდება თმის ღერის სისქის ძაფების მიღებამდე, რომლებიც არ უნდა გაწყდეს ხელით დამუშავებისას და, საბოლოოდ, ტენილი ყველის განსაკუთრებულ ვიზუალს განაპირობებს. ეს საკმაოდ ხანგრძლივი და რთული პროცესია, რაც დიდ ნებისყოფას, გამძლეობასა და ადამიანურ რესურსს მოითხოვს. შემდეგ ეტაპზე ყველის ძაფები თავსდება ცივ წყალში 16 °C ორი წუთის განმავლობაში ყველის ძაფების ერთმანეთთან მიწებების თავიდან ასაცილებლად; ცივი წყლის შემდეგ გადააქვთ 18 % მარილწყალში 3 წუთის განმავლობაში ყველის ძაფების გასამაგრებლად; მარილწყლიდან ამოღების შემდეგ, გაშრობის მიზნით, თავსებენ ხის ჯოხებზე.



სურ. 3. მარილწყალში განთავსებული და ხის ჯოხებზე გაფენილი ყველის ძაფები (ავტორის ნ. ნადირაშვილის ფოტო)

სამი დღის შემდეგ, ყველის გამშრალ ძაფებს უსვამენ საწყისი რძის სეპარირებით მიღებულ

51 °C-მდე გაცხელებულ ნაღებს. ნაღებიან ყველის მასას ისევ ათავსებენ ჯოხებზე, რათა შრატისგან მაქსიმალურად გათავისუფლდეს და 3 დღის შემდეგ ათავსებენ თიხის ქოთნებში. თავზე ნაჭრის დაფარების შემდგომ, ორი დღის განამავლობაში აყოვნებენ პირადმა და შემდეგ პირქვე დამხობილ მდგომარეობაში ათავსებენ სარდაფში, ნაცარზე დასამწიფებლად (12-16 °C).



სურ. 4. თიხის ქოთნებსა და შუშის ქილებში განთავსებული ტენილი ყველი (ავტორის ნ. ნადირაშვილის ფოტო)

ტენილი ყველის დამზადების არატრადიციული ტექნოლოგია ტრადიციული ტექნოლოგიისაგან განსხვავდება ზოგიერთი ეტაპით. არატრადიციული ტექნოლოგიის მიხედვით:

1. იყენებენ მხოლოდ მოუხდელ რძეს ან ნაწილობრივ მოხდილ რძეს;
2. რძის ჩაკვეთისთვის იყენებენ კვეთს, რომელსაც თავად ამზადებენ;
3. მზადდება ყველის თავები, რომლებიც ყოვნდება 12 სთ, დაყოვნებისას ყველს უჩნდება თვლები და ცხელ წყალში მისი პატარა ნაჭრის ჩაგდებით მოწმდება მზაობა ტენილის მოსამზადებლად (ყველი უნდა გაიწელოს);
4. ყველის თავები იჭრება ცხელ წყალში და შემდეგ მუშავდება ხელით (ტრადიციული ტექნოლოგიის მსგავსად) ცხელ წყალში;
5. მარილწყლის, გაშრობისა და ნაღებით დამუშავების ეტაპები ისეთივეა, როგორც ტრადიციული ტექნოლოგიის შემთხვევაში;
6. ტენილი ყველის დასამწიფებლად იყენებენ შუშის ქილებს.

საქართველოს მთავრობის დადგენილება N581 „სურსათის მიკრობიოლოგიური მაჩვენებლების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ ადგენს სურსათის უვნებლობის მაჩვენებლებს – მიკრობიოლოგიურ მაჩვენებლებს და ასევე განსაზღვრავს ბიზნესოპერატორის მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ჰიგიენის წესის შესრულების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებებს ყველთა ისეთი კატეგორიებისათვის, რომელთაც არ გაუვლია პასტერიზაცია. კერძოდ, ნედლი რძისგან დამზადებული ყველისთვის და პასტერიზაციის ტემპერატურაზე დაბალ ტემპერატურაზე თერმულად (თბურად) დამუშავებული რძისაგან დამზადებული ყველისთვის. სწორედ ასეთ ყველს წარმოადგენს ტენილი ყველი.

ტრადიციულ და არატრადიციულ ტექნოლოგიურ პროცესებში იკვეთება ორი ეტაპი, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ საბოლოო პრდუქტის მიკრობულ მრავალფეროვნებაზე და უვნებლობაზე: ტენილი ყველის ძაფების მარილწყალში განთავსება (ტენილი ყველის დამზადებისას ხშირ შემთხვევაში მარილწყალი გამოიყენება მრავალჯერადად, რაც ხელსაყრელ პირობებს ქმნის ყველის უვნებლობის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი მიკროორგანიზმების განვითარებისათვის) და ყველის მასაში ნაღების შერევა (საქართველოს მთავრობის დადგენილება N90 „ცხოველური წარმოშობის სურსათის ჰიგიენის სპეციალური წესის შესახებ“, აღწერს პასტერიზაციის სხვადასხვა მეთოდებს, რომელთაგან არც ერთი არ გამოიყენება ტენილი ყველის დასამზადებლად განკუთვნილი ნაღებისათვის, რომელიც შემთბარ მდგომარეობაში ერევა ყველის ძაფებს დასამწიფებლად ჭურჭელში განთავსებამდე).

ტენილი ყველის დამზადება ძირითადად მცირე რაოდენობით და ოჯახურ წარმოებებში

ხორციელდება. სწორედ, მსგავსი ტიპის წარმოებების ხელშეწყობის მიზნით საქართველოს მთავრობის მიერ 2020 წლის 9 იანვარს მიღებულ იქნა დადგენილება N14 „სურსათის/ცხოველის საკვების არაორგანიზებული წარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“, რომლის მიხედვითაც ოჯახური წარმოებისას ფიზიკური პირი, რომელსაც ჰყავს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით იდენტიფიცირებულ-რეგისტრირებული 5 სული მსხვილფეხა საქონელი და მისგან მიღებული რძით ამზადებს რძის ნაწარმს (მათ შორის, ტენილ ყველს), თავისუფლდება ზოგიერთი ვალდებულებისაგან. ესენია: სახელმწიფო კონტროლი, ბიზნესოპერატორის აღიარება, ჰიგიენის წესები, მომხმარებლისათვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების წესები. რაც შეეხება დამზადებული სურსათის მიკვლევადობას, პროდუქტს თან უნდა ახლდეს სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ ოჯახური წარმოების სუბიექტისადმი გაცემული რეგისტრაციის ნომერი. ეს დადგენილება მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მცირე ფერმერული მეურნეობების განვითარებას და ტენილი ყველის წარმოების გაფართოებას.

შესაბამისი კვლევების ჩატარების შედეგად მიღებული შედეგების ფართო საზოგადოებისთვის მიწოდება, ხელს შეუწყობს უვნებელი პროდუქტის წარმოებას, აგრარული ტურიზმის განვითარებას, რაც პირდაპირ კავშირშია, ადგილობრივი მოსახლეობის სოფლად შენარჩუნებასთან და სამცხე-ჯავახეთის რეგიონში კომერციულად მომგებიანი საქმიანობის განვითარებასთან.

ლიტერატურის/წყაროების სია:

1. დემურიშვილი, მ. (1930). ქარხნული თუშური ყველის კეთება. თბილისი, საქართველოს მერქობა-მესაქონლეობის კავშირი, 3-11;
2. მირიანიშვილი, თ. (2017). უწყვეტი მესხური ძაფები. შპს „გაზეთი ბათუმელები“, 7, 116-118;
3. სავანელი, რ. (2011). „ალპია“, „ჰამო“, „ბატისტა“ და მესხური ყველის დეფილე. გაზეთი Weekend მარანი. 28(75), 27;
4. Cogan, M. T., Beresford, P.T. (2004). Dairy microbiology handbook, Microbiology of hard Cheese. New York, John Wiley & Sons, inc, 515-560;
5. Drake, M., Delahunty, C. (2017). Sensory Character of Cheese and Its Evaluation Symrise, Asia. Singapore, Pacific Pte. Ltd., 517-545;
6. Fox, F. P., Guinee, P. T., Cogan, M. T., Sweeney, L. H. P. (2017). Fundamentals of Cheese Science, Second Edition. New York, Springer, 803 p.;
7. Fox, F. P., Sweeney, L.H. P. Cogan, M. T., Guinee, P. T. (2004). Cheese Chemistry, Physics and Microbiology. Third Edition, London, Elsevier, 469 p.;
8. Kindstedt, P.S. (2002). Pasta-Filata Cheeses Encyclopedia of Dairy Sciences, Cheese, 386-391;
9. Lambrini, K., Aikaterini, F., Konstantinos, K., Christos, I., Ioanna, V.P., Areti, T. (2021). Milk Nutritional Composition and Its Role in Human Health. Journal of Pharmacy and Pharmacology, 9, 10-15;
10. საქართველოში რეგისტრირებული გეოგრაფიული აღნიშვნები, https://www.sakpatenti.gov.ge/ka/state_registry/# უკანასკნელად გადამოწმდა 10.06.2023;
11. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, <https://www.heritagesites.ge/uploads/files/6229f9466269c.pdf> უკანასკნელად გადამოწმდა 10.06.2023;
12. გეოგრაფიული აღნიშვნები ევროკავშირის არაწევრი ქვეყნებიდან დაცული ევროკავშირში, https://commission.europa.eu/documents_en?wt-search=yes უკანასკნელად გადამოწმდა 10.06.2023;
13. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3049236?publication=4> უკანასკნელად გადამოწმდა 10.06.2023;
14. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე <https://matsne.gov.ge/document/view/4770152?publication=0> უკანასკნელად გადამოწმდა 10.06.2023;
15. BBC travel <https://www.bbc.com/travel/article/20200108-the-woman-saving-georgias-lost-cheeses> უკანასკნელად გადამოწმდა 10.06.2023.

Different technologies of making Tenili Cheese and its safety

Nadirashvili Nino

Amiranashvili Lia

Georgian Technical University, Tbilisi

Abstract

The pride of Samtskhe-Javakheti - Tenili Cheese is the only cheese in Georgia that has the status of a geographical indication and an intangible cultural heritage. As part of the research, the technology of its production was studied. Within research turned out that some important stages of traditionally kept Tenili Cheese technology (used milk, ripening material, etc.) have been changed to simplify the preparation process. Non-pasteurized milk is used to make Tenili Cheese, therefore it is subject to the Georgian Government's Resolution N581 "On Approving the Technical Regulations on Microbiological Indicators of Food"; Its implementation has an essential role in producing a safe product. During the study of Tenili Cheese production technologies (traditional, non-traditional), two important stages were identified which have a huge impact on the final product's safety. These stages are using brine (mostly the same brine is used multiple times to make different batches of Tenili Cheese) and the cream for mixing (cream obtained from raw milk without heat treatment, mixed with Tenili Cheese). The study also confirmed the necessity of research and popularisation of Tenili Cheese since it is mainly produced in only two villages of Samtskhe-Javakheti and it is in danger of disappearing. Providing the results to the general public after the relevant research will help to expand the production of Tenili Cheese and develop agrarian tourism. There is no analogue of Tenili Cheese-making technology in the world, which emphasizes its uniqueness and represents a significant potential for the development of the region, especially since the Resolution of the Government of Georgia dated January 9, 2020 N14 "On approval of the rule for unorganized production of food/animal feed" supports family production and frees them from certain obligations, which previously represented an obstacle of family production products realization.

Key words: Geographical indication, Tenili cheese, Technology, Family production, pasteurization, safety.

მეჩხერიანობის აღმოფხვრა ვენახში და მისი გავლენა
ყურძნის პროდუქტიულობაზე

შავაძე ლევან, კველიშვილი მანანა

ღაღოლიშვილი მზია, შილდელაშვილი ირა

იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი

DOI: <https://doi.org/10.52340/idw.2023.10>

აბსტრაქტი: მევენახეობის აგროტექნოლოგიის უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენს ვაზის სარგავი მასალით უზრუნველყოფა, ვენახების გაშენება თანამედროვე აგროტექნოლოგიური რეგლამენტის შესაბამისად და სხვა. მათ შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მეჩხერიანობის წინააღმდეგ ბრძოლა.

სიმეჩხერე საგრძნობლად ამცირებს ყურძნის მოსავალს და უარყოფით გავლენას ახდენს წარმოებული პროდუქციის თვითღირებულებაზე. ვენახში ყოველწლიურად იღუპება ნარგაობის გარკვეული რაოდენობა, რაც იწვევს მეჩხერიანობას, ეს კი ყურძნის მოსავალზე უარყოფითად მოქმედებს. გარდა ამისა ზედმეტად იხარჯება მზამქიმიკატები და ნიადაგის დამუშავებაზე გაწეული შრომა.

ჩვენ მიერ მომზადდა და განხორციელდა სამეცნიერო კვლევითი პროექტი - „მეჩხერიანობის აღმოფხვრა ვენახში და მისი გავლენა ყურძნის პროდუქტიულობაზე“, რომელიც დაფინანსდა იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან, აღნიშნული პროექტის განხორციელება დაიწყო 2021 წლის ოქტომბრიდან.

კვლევა ხორციელდება იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის კვლევითი დანიშნულების ნაკვეთზე, თელავის რაიონში, სოფელ გულგულაში, ალუვიური ნიადაგების აგროეკოლოგიურ გარემოში, აღნიშნულ ნაკვეთზე არ არის სარწყავი პირობები.

კვლევის მეთოდის შესაბამისად ვეგეტაციის ბოლოს ჩატარებულმა აღრიცხვებმა აჩვენა, რომ მეჩხერ ადგილებზე დარგული მცენარეების საერთო გახარება 15 % შეადგინა, ე.ი. 1211 ნერგიდან, სულ 182 -მა ნერგმა მიაღწია ვეგეტაციის ბოლომდე.

მიღებული შედეგების დამუშავების შედეგად გამოიკვეთა, რომ: გამეჩხერებული ვენახი უნდა შეივსოს ნამყენი ნერგის გამორგვით, ნერგები უნდა დაირგას წინასწარ ღრმად დამშავებულ, ლაბორატორიული ანალიზის პასუხების შედეგად აღდგენილი ნაყოფიერების მქონე ნიადაგში, შემოდგომა, ზამთრის ან ადრე გაზაფხულზე. ვეგეტაციის აქტიურ პერიოდში უნდა განხორციელდეს ახლად დარგულ ნერგებზე ყლორტების დანორმება და ინდივიდუალურ საყრდენზე აკვრა/ახვევა. კლიმატური პირობების შესაბამისად უნდა განხორციელდეს მცენარეთა დაცვის ღონისძიებები. გვალვების საწინააღმდეგოდ უნდა მოირწყას ვენახი.

საკვანძო სიტყვები: ვენახი, ვაზი, ყურძენი გამეჩხერებული ადგილი ვენახში, ვაზის ნამყენი ნერგი

შესავალი. მევენახეობა-მეღვინეობა სოფლის მეურნეობის მნიშვნელოვანი დარგია, მისი განვითარებისათვის თანამედროვე პირობებში ყურადღება უნდა მიექცეს მევენახეობის აგროტექნოლოგიის საკითხების დაზუსტებას, რასაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანს ხდის კლიმატის ცვლილების უარყოფითი გავლენა, საბაზრო მოთხოვნებიდან გამომდინარე ხარისხიანი პროდუქციის წარმოების აუცილებლობა და სხვა. **Shavadze, 2020**

მევენახეობის აგროტექნოლოგიის უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენს ვაზის სარგავი მასალით უზრუნველყოფა, ვენახების გაშენება თანამედროვე აგროტექნოლოგიური რეგლამენტის შესაბამისად და სხვა. მათ შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მეჩხერიანობის წინააღმდეგ ბრძოლა. **Shavadze, 2020**

სიმეჩხერე საგრძნობლად ამცირებს ყურძნის მოსავალს და უარყოფით გავლენას ახდენს წარმოებული პროდუქციის თვითღირებულებაზე. ვენახში ყოველწლიურად იღუპება ნარგავობის გარკვეული რაოდენობა, რომლის ძირითადი მიზეზიც შეიძლება იყოს: არასწორად მომზადებულ ნიადაგში ნერგის დარგვა; მოვლის წესების დარღვევა; არახელსაყრელი გარემო-პირობები (ყინვები, გვალვა, სეტყვა და სხვა.); დაავადებები და მავნებლები; მექანიკური დაზიანებები - სასოფლო-სამეურნეო მექანიზაციით და სხვა.

ზემოაღნიშნული მიზეზები იწვევს მეჩხერიანობას, რაც ყურძნის მოსავალზე უარყოფითად მოქმედებს. გარდა ამისა ზედმეტად იხარჯება შხამქიმიკატები და ნიადაგის დამუშავებაზე გაწეული შრომა.

ლიტერატურული მიმოხილვა

ლიტერატურული წყაროების მიხედვით მოსავლიან ვენახში მეჩხერიანობის წინააღმდეგ ბრძოლის ძირითადი ღონისძიებებია - გაცდენილი ადგილების შევსება ნამყენი ნერგის გამორგვით და ვაზის გადაწვენის სხვადასხვა წესის გამოყენებით. **Shavadze, 2021**

ვაზის გამორგვა მოსავლიან ვენახში იმ შემთხვევაში უნდა გამოვიყენოთ, როდესაც მწკრივს თანმიმდევრობით რამდენიმე ვაზი აკლია. ამ შემთხვევაში, მოცდენილ ადგილას გაკეთდება ზოლებრივი პლანტაჟი, ამოიღება 50-60 სმ სიღმის ორმო. ორმოს ფსკერზე, 20-30 სმ სიმაღლეზე, ჩაიყრება განოციერებული ფხვიერი მიწა, კარგად განვითარებულ ერთ-ორ წლიან დაპარაფინებულ ნერგს შეეკვეცება ფესვები 10-12 სმ -ის სიგრძეზე და ორმოში განლაგდება თავისი მიმართულებით. მიეყრება ფხვიერი მიწა და დაიტკეპნება. დარგვის შემდეგ ვაზი აუცილებლად უნდა მოიწიწას. **Kevlishvili, 2022**

უკეთეს შედეგს იძლევა ვეგეტაციის პირველ ეტაპზე ტორფნემომპალიან ქილაში გამოყვანილი მწვანე ნერგის გამორგვა. ახალგამორგულ ნერგს მიედგმება ჭიგო. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს წამლობას მავნებელ-დაავადებათა წინააღმდეგ, სარეველების მოსპობისა და სხვა ღონისძიებებს. **Shavadze, 2022**

სრულმოსავლიან ვენახში გაცდენილი ადგილის შევსების მიზნით მაღალეფექტურია მწვანე ყლორტის გადაწვენა; რეკომენდირებულია აგრეთვე, მეჩხერი ადგილების შევსება მომწიფებული რქის, ვაზის მთლიანი გადაწვენით, აღსანიშნავია, რომ მოცემული მეთოდების გამოყენებას ვაზის მავნებლის - ფილოქსერის არსებობის პირობებში რეკომენდაცია არ უნდა მიეცეს. **Shavadze, 2018**

კვლევის მეთოდოლოგია

ზემოაღნიშნული პრობლემები საქართველოში აქტუალურ საკითხს წარმოადგენს, აქედან გამომდინარე ჩვენს მიერ მომზადდა და განხორციელდა სამეცნიერო კვლევითი პროექტი - „მეჩხერიანობის აღმოფხვრა ვენახში და მისი გავლენა ყურძნის პროდუქტიულობაზე“, რომელიც დაფინანსდა იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან, აღნიშნული პროექტის განხორციელება დაიწყო 2021 წლის ოქტომბრიდან.

კვლევა ხორციელდება იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის კვლევითი დანიშნულების ნაკვეთზე, თელავის რაიონში, სოფელ გულგულაში, ალუვიური ნიადაგების აგროეკოლოგიურ გარემოში, აღნიშნულ ნაკვეთზე არ არის სარწყავი პირობები.

საკვლევ ნაკვეთზე ვენახი გაშენებულია 2019 წელს, აქ წარმოდგენილია ქართული ვაზის ჯიშები: საფერავი, რქაწითელი, მწვანე კახური, ხიხვი და ქისი. ვენახი გაშენებულია ვაზის დარგვის სხვადასხვა სქემით, 2,5 X 2, 2,5 X 1,5 და 2,5 X 1,25 მეტრი სქემებით კერძოდ, თითოეული ვაზის ჯიში წარმოდგენილია 6 მწკრივად, ხოლო აქედან თითოეულ ვარიანტს წარმოადგენს 2 მწკრივი. შესაბამისად კვლევა ტარდება ჯიშისა და გაშენების სქემების ფარგლებში.

დაკვირვებისა და აღრიცხვის პარამეტრები:

მეჩხერ ადგილებზე დარგული ნერგების გახარებისა და ზრდის პოტენციალის განსაზღვრა:

როგორც ცნობილია მევენახეობაში მეჩხერიანობის წინააღმდეგ ბრძოლა დიდ ყურადღებას იპყრობს და არსებობს ზოგადი რეკომენდაციები რომლის თანახმადაც: ახალშენ ვენახში მოცდენილი ადგილების შევსება უნდა განხორციელდეს გაშენების პირველსავე სავეგეტაციო წელს და დასრულდეს მეორე წელს. ჩვენ ვიკვლევდით 3 (სამი) წლის გაშენებულ ვენახში მოცდენილი ადგილების შევსების ეფექტს.

მიუხედავად იმისა, რომ საკვლევ ნაკვეთზე მუდმივ ადგილზე დარგული ნერგების გახარებამ ვეგეტაციის პირველ პერიოდში 96 % - ს მიაღწია, ვეგეტაციის დასასრულისათვის აღნიშნული შედეგი სრულიად შეიცვალა.

მინდვრის ცდის პირობებში, კვლევის მეთოდოლოგიის შესაბამისად ვეგეტაციის დასასრულისათვის ჩავატარეთ საველე აღრიცხვები.

ცხრილი 1

ვეგეტაციის დასასრულს ჩატარებული აღრიცხვის შედეგები - დარგული მცენარეების გახარების შედეგები გაშენების სქემის გათვალისწინებით

ვაზის ჯიში	გაშენების სქემა	დარგული ნერგების რაოდენობა	გახარებული მცენარე ვეგეტაციის ბოლოს
რქაწითელი	2.5 X 2	11	0
	2.5 X 1.5	11	0
	2.5 X 1.25	14	1
მწვანე კახური	2.5 X 2	33	2
	2.5 X 1.5	52	4
	2.5 X 1.25	70	18
ხიხვი	2.5 X 2	94	11
	2.5 X 1.5	113	16
	2.5 X 1.25	127	18
ქისი	2.5 X 2	92	3
	2.5 X 1.5	98	9
	2.5 X 1.25	107	13
საფერავი	2.5 X 2	96	20
	2.5 X 1.5	133	30
	2.5 X 1.25	160	37

რქაწითელის ჯიშის გახარება ვეგეტაციის დასასრულისათვის 2.5 X 2 და 2.5 X 1.5 მ. სქემების პირობებში 0 % -ია. ამავე ჯიშის გახარების შედეგი 2.5 X 1.25 მ. სქემის პირობებში 7 %-ს შეადგენს.

მწვანე კახურის გახარების შედეგი 2.5 X 2 მ. სქემის პირობებში 6 %. 2.5 X 1.5 მ. სქემის პირობებში 7.6 %, ხოლო 2.5 X 1.25 მ.-ის პირობებში 25.7 %-ს შეადგენს.

ხიხვის გახარება 2.5 X 2 მ. სქემის პირობებში 11.7 % - ია, 2.5 X 1.5 მ. - ისა და 2.5 X 1.25 მ. პირობებში კი 14.1 % - ს შეადგენს.

ქისის ჯიშის საკვლევ დანაყოფზე გახარების შედეგი 2.5 X 2 მ. - ის პირობებში 3.2 %-ია, 2.5 X 1.5 მ.-ის პირობებში 9.1%, ხოლო ამავე ჯიშის შედეგი 2.5 X 1.25 მ.-ის პირობებში 12.1% - ს შეადგენს.

საფერავის ჯიშის საკვლევ დანაყოფზე 2.5 X 2 მ. სქემით გაშენების შემთხვევაში ნერგების

გახარება 20.8 % - ს შეადგენს, 2.5 X 1.5 მ. სქემის პირობებში 22.5 % - ია, ხოლო 2.5 X 1.25 მ. სქემის პირობებში 23.1 % - ს შეადგენს.

ვეგეტაციის ბოლოს აღრიცხვებმა აჩვენა, რომ დარგული მცენარეების საერთო გახარებამ 15% შეადგინა, ე.ი. 1211 ნერგიდან, სულ 182 -მა ნერგმა მიაღწია ვეგეტაციის ბოლომდე რაც სრულიად არადამაკმაყოფილებელი შედეგია.

როგორც მიღებული შედეგებიდან ჩანს გაშენების სქემის ან/და ჯიშის ფარგლებში რაიმე სახის მკაფიო კორელაცია არ არის გამოხატული.

ყურძნის მოსავლიანობის გაზრდის პროგნოზი გამეჩხერებული ადგილების შევსების შედეგად:

საპროგნოზო მონაცემების გაანგარიშებისათვის ყველა ჯიშისათვის საშუალო მოსავალი ავიღეთ 10 000 კგ/ჰა. ჯიშის ფარგლებში გაშენების სქემისა და მოცდენილი ადგილების შესაბამისად სტატისტიკური მეთოდოლოგიით გამოთვლის შედეგები წარმოდგენილია ცხრილის სახით.

ცხრილი 2

ვაზის ჯიში	გაშენების სქემა	დარგული ნერგების რაოდენობა	გახარებული მცენარე ვეგეტაციის ბოლოს	მოსავლის მოსალოდნელი ზრდა 100 % - ის მიღების შემთხვევაში (კგ)	მოსავლის ზრდა ფაქტობრივი შედეგის 15 % - ის გახარების პირობებში (კგ)
რქაწითელი	2.5 X 2	11	0	55	0
	2.5 X 1.5	11	0	41.4	0
	2.5 X 1.25	14	1	43.7	3.1
მწვანე კახური	2.5 X 2	33	2	165	10
	2.5 X 1.5	52	4	192.4	14.8
	2.5 X 1.25	70	18	217	55.8
ხიხვი	2.5 X 2	94	11	320	55
	2.5 X 1.5	113	16	418.1	59.2
	2.5 X 1.25	127	18	393.7	55.8
ქისი	2.5 X 2	92	3	460	15
	2.5 X 1.5	98	9	362.6	33.3
	2.5 X 1.25	107	13	331.7	40.3
საფერავი	2.5 X 2	96	20	480	100
	2.5 X 1.5	133	30	492.1	111
	2.5 X 1.25	160	37	496	114.7

საკვლევი ობიექტის მაგალითზე 100 % შედეგის მიღების შემთხვევაში მოსალოდნელი იყო მოსავლის ზრდა 140.1 კგ -ით, ხოლო მიღებული შედეგი 3.1 კგ-ს არ ლემატება.

მწვანე კახურის ჯიშის დანაყოფზე მცენარეთა გახარების 100 % შედეგის მიღების შემთხვევაში მოსალოდნელი იყო მოსავლის ზრდა 574.4 კგ-ით, მიღებული შედეგი 80.6 კგ-ს შეადგენს.

ხიხვის ჯიშის საკვლევი დანაყოფზე მცენარეთა გახარების 100 % შედეგის მიღების შემთხვევაში მოსალოდნელი იყო მოსავლის ზრდა 1131.8 კგ-ით, მიღებული შედეგი 170 კგ-ს შეადგენს.

ქისის ჯიშის საკვლევი დანაყოფზე მცენარეთა გახარების 100 % შედეგის მიღების შემთხვევაში მოსალოდნელი იყო მოსავლის ზრდა 1154.3 კგ-ით, მიღებული შედეგი 88.6 კგ-ს შეადგენს.

საფერავის ჯიშის საკვლევი დანაყოფზე მცენარეთა გახარების 100 % შედეგის მიღების

შემთხვევაში მოსალოდნელი იყო მოსავლის ზრდა 1468.1 კგ-ით, მიღებული შედეგი 325.7 კგ-ს შეადგენს.

მიღებული ყურძნის ხარისხობრივი პარამეტრები:

საღვინე ნედლეულის ხარისხობრივ მაჩვენებლებს შორის უპირველესი ყურადღება ექცევა ყურძნის წვენში შაქრებისა და მჟავების შემცველობას. აღნიშნულის გათვალისწინებით რთვლის პერიოდში ღვინომასალებში ჯიშების მიხედვით, ლაბორატორიული მეთოდოლოგიით განვსაზღვრეთ შაქრებისა შემცველობას (%-ში) და ტიტრულ მჟავიანობას (გ/ლ).

ცხრილი 3

ვაზის ჯიში	შაქრების შემცველობა (%)	ტიტრული მჟავიანობა (გ/ლ)
რქაწითელი	24	6.3
მწვანე კახური	25	5.9
ხიხვი	25	6.5
ქისი	24	5.8
საფერავი	26	5.3

მიღებული შედეგებიდან ჩანს, რომ რქაწითელსა და ქისში შაქრების შემცველობა 24 %-ს შეასვენს, მწვანე კახურსა და ხიხვში 25 %-ს, ხოლო საფერავში შაქრების შემცველობა 26 %-ია.

ტიტრული მჟავიანობა რქაწითელში 6.3 გ/ლ, მწვანე კახურში 5.9, ხიხვში 6.5, ქისში 5.8 ხოლო საფერავში 5.3 გ.ლ-ია.

მოცემულ შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ მიღებული ნედლეულიდან შესაძლებელია დამზადდეს მაღალხარისხოვანი ღვინოები.

დასკვნები:

1. ვეგეტაციის ბოლოს აღრიცხვებმა აჩვენა, რომ მეჩხერ ადგილებზე დარგული მცენარეების საერთო გახარებამ 15 % შეადგინა, ე.ი. 1211 ნერგიდან, სულ 182 -მა ნერგმა მიაღწია ვეგეტაციის ბოლომდე;
2. კვლევის პროცესში ნათლად გამოიკვეთა კლიმატის ცვლილების უარყოფითი გავლენა სოფლის მეურნეობაზე და მევენახეობაზე, რადგან ვეგეტაციის დასაწყისში, გაზაფხულზე როდესაც ტემპერატურა და ნიადაგის ტენიანობა მცენარისათვის დამაკმაყოფილებელ ფარგლებში იყო ახალად დარგული ნერგების გახარებამ 96 % - ს მიაღწია, ზაფხულის დადგომისას, როდესაც ჰაერის ტემპერატურამ მოიმატა, ხოლო ნალექები და შესაბამისად ნიადაგის ტენიანობა შემცირდა, გახარებულმა ნერგებმა დაიწყო ხმობა და ვეგეტაციის ბოლოს გახარებული ნერგების საერთო რაოდენობამ 15 % შეადგინა. ყოველივე ზემოთხსენებულიდან გამომდინარე წარმოებას რეკომენდაცია უნდა მიეცეს მოეწყოს სარწყავი სისტემები ვენახებში, რათა გამეჩხერებულ ადგილზე დარგული ნერგები უზრუნველყოფილი იქნას ტენით და მათი გახარება, ზრდა-განვითარებამ დამაკმაყოფილებელ შედეგს მიაღწიოს;
3. მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს ნერგების გახადებაზე გაბატონებული ქარები, რაც ნიადაგის ზედაპირის სწრაფად გამოშრობას იწვევს, ამიტომ აუცილებელია მოეწყოს ქარსაფარი ზოლები, რათა ახალშენი და სრულმოსავლიანი ვენახები დაცული იყოს ქარების უარყოფითი ზემოქმედებისაგან და შესაბამისად გამეჩხერებული ადგილების შევსების დროს ნერგების გახარებისა და ზრდა-განვითარების ეფექტი გაიზარდოს;
4. კახეთის რეგიონის სოფლის მეურნეობაზე მკვეთრად უარყოფით გავლენას ახდენს სეტყვა, რომელსაც დიდი ზარალი მოაქვს მევენახეობისათვის, მან შეიძლება დააზიანოს მოსავალი ან/და სრულიად გაანადგუროს, ის აგრეთვე ნეგატიურად მოქმედებს ვაზის ვეგეტატიურ ორგანოებზე და საგრძნობი ზიანოს მომტანია ახალშენი ვაზისათვის. მიუხედავად იმისა,

რომ სხვადასხვა მეთოდებით ებრძვიან სეტვის უარყოფით ზემოქმედებას, წარმოებას უნდა მიეცეს რეკომენდაცია მოეწყოს სეტყვაამრიდი სისტემები (სეტყვის საწინააღმდეგო ბადეები), რაც 97 %-ზე მეტად დაიცავს, როგორც მოსავალს ისე მცენარეს და ახალშენ ვაზს;

5. გამეჩხერებული ვენახი უნდა შეივსოს ნამყენი ნერგის გამორგვით, ნერგები უნდა დაირგას წინასწარ ღრმად დამშავებულ, ლაბორატორიული ანალიზის პასუხების შედეგად აღდგენილი ნაყოფიერების მქონე ნიადაგში, შემოდგომა, ზამთრის ან ადრე გაზაფხულზე. ვეგეტაციის აქტიურ პერიოდში უნდა განხორციელდეს ახლად დარგულ ნერგებზე ყლორტების დანორმება და ინდივიდუალურ საყრდენზე აკვრა/ახვევა. კლიმატური პირობების შესაბამისად უნდა განხორციელდეს მცენარეთა დაცვის ღონისძიებები. გვალვების საწინააღმდეგოდ უნდა მოიწიქვას ვენახი, სასურველია წინასწარ მოწყობილი წვეთოვანი სარწყავი სისტემის გამოყენებით.

ლიტერატურა:

1. Kevlishvili, M. Shavadze, L. (2022). Development of the Vineyard Cultivation Scheme for the Kakheti Region Using Modern Technologies. CENTRAL ASIAN JOURNAL OF INNOVATIONS ON TOURISM MANAGEMENT AND FINANCE. pp. 58-63.
2. Shavadze, L. Kevlishvili, M. Gagolishvili, M. Shildelashvili, I. (2022). Modern Methods of Phylloxera-resistant Rootstock Vine Growth and Formation. International Research Journal of Engineering, IT and Scientific Research pp. 49-56;
3. Shavadze, L. (2018). Determine the optimal scheme for the cultivation of phylloxera resistant vines. SCOPE ACADEMIC HOUSE B&M PUBLISHING. pp. 12-15;
4. Shavadze, L. Kevlishvili, M. (2021). EFFECTS OF PHYLLOXERA-RESISTANT VINE CULTIVATION ON BROWN FOREST SOILS. E-Conference Globe, 5th Global Congress on Contemporary Sciences & Advancements. pp. 172-175.
5. Shavadze, L. Ichukaidze, N. (2020). Test Results of the Technology Accelerating the Fructification of Rkatsiteli Vine. TRANSACTIONS OF TELAVI STATE UNIVERSITY.
6. Shavadze, L. Papunashvili, V. (2020). Develop Efficient Rational Methods to Manage Missing Plants in Vineyards Giving Full Crop. Published in the Slovak Republic Winemaking: Theory and Practice. pp. 11-15.

Eradication of Sparseness in the Vineyard and its Influence on the Productivity of Grapes

**Shavadze Levan, Kevlishvili Manana
Ghagholishvili Mzia, Shildelashvili Ira**
Iakob Gogebashvili State University, Telavi

Abstract

The most important part of the agro technology of viticulture is providing vine with the planting material, growing vineyards in accordance with modern agro – technological regulations and others. Fighting against sparseness draws special attention among them.

Sparseness significantly reduces grape harvest and negatively affects the initial cost of the products produced. Every year certain number of crops is ruined in the vineyard, resulting in the sparseness, which in turn, affects the grape harvest negatively. Moreover, toxic chemicals and the labor provided for the soil cultivation are wasted.

We prepared and implemented a scientific research project – “Eradication of Sparseness in the Vineyard and its Influence on the Productivity of Grapes”, which was funded from the budget of Telavi Iakob Gogebashvili State University. The implementation of this project started from October 2021.

The research is carried out on the research plot of Telavi Iakob Gogebashvili State University, in the village of Gulgula, Telavi district, in the agro – ecological area of alluvial soils. There are no irrigation conditions provided on the given plot.

The calculations made according to the research methodology at the end of the vegetation showed that the overall growth of the plants planted in sparse areas consisted 15%, i.e. 182 seedlings out of 1211 reached vegetation to the end.

Based on the obtained results, the following was decided: the sparse vineyard should be filled by planting the grafted seedlings. The seedlings should be planted in winter or early spring in the deep pre cultivated soil, the fertility of which should be based on the results of laboratory analysis. During the active period of vegetation, the sprouts on newly planted seedlings should be normalized and tied up to an individual support. Plant protection measures should be taken in accordance with climate conditions. The vineyard should be irrigated against droughts.

Key Words: Vineyard, Vine, Grape, sparse place in the vineyard, grafted seedling of vine

ერთიანი ჯანმრთელობა და ფრინველთა კეთილდღეობის საკითხები

ჩოხელი ნონა*, ლლიღვაშვილი ვასილ*
მსხილაძე ანტონინა**, კაჭარავა თამარ*

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი*

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი**

DOI: <https://doi.org/10.52340/idw.2023.11>

აბსტრაქტი. ფრინველის კეთილდღეობა განიხილება ფრინველის ფიზიკურ და ემოციურ მდგომარეობად. ფიზიკური მაჩვენებლები მოიცავს საკვებისა და წყლის მოხმარებას, ტემპერატურულ მაჩვენებელს, ჰაერის და დაბინძურების ხარისხს, დასმის სიმჭიდროვეს და ყოველდღიურ წონამატს. ხოლო ემოციური მაჩვენებელი გამოწვეულია სტრეს ფაქტორებით, ეს არის ფრინველის დაჭერა, ტრანსპორტირება და ზოგიერთი ვეტერინარულ ზოოტექნიკური პროცედურები. გამომდინარე ზემოთ განხილული მასალებიდან ჩვენ დავისახეთ მიზნად შეგვესწავლა ბროილერის კეთილდღეობის ზოგიერთი გაზომვადი პარამეტრი განსხვავებული მოვლა - შენახვის პირობებში ნივრის შემცველი ფიტოდანამატის vitlöksflörter-ს გამოყენებისას, ვინაიდან ერთიანი ჯანმრთელობის საკითხი მსოფლიოში ერთ- ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. აღსანიშნავია, რომ ეს ფიტოდანამატი ბოლო წლებში გავრცელებული COVID-19 პანდემიის ფონზე რეკომენდირებულია შვედეთის ფარმაციის მხრიდან ადამიანის საერთო ჯანმრთელობის და რეზისტენტობის ასამაღლებლად. ამავდროულად იგი არ არის გამოცდილი პროდუქტიულ მეცხოველეობაში. ამდენად ფაქტიურად ჩვენ მსოფლიოში პირველად ვიყენებთ აღნიშნულ დანამატს პროდუქტიულ (ფერმის) ცხოველებზე. კერძოდ, ბროილერის კეთილდღეობისა და სახორცე პროდუქტიულობაზე გავლენის შესასწავლად. დასახული ამოცანების მისაღწევად ლიტერატურული წყაროებისა და მსოფლიოს სხვა ქვეყნებში კვლევების ანალიზის შედეგად შევადგინეთ კვლევის სქემა. მისაღები ფიტოდანამატის დოზირებისთვის შერჩეული იქნა მინიმალური 0.5% და საშუალო 1,5% ნივრის ფხვნილის დამატების ეფექტის შესაბამისად. ვინაიდან ფიტოდანამატ vitlöksflörter-ში ნივრის შემცველობა 43 %-ია, 0.5% -ის შემთხვევაში მოხდა 11,76 გრამის დამატება 1 კილოგრამზე, ხოლო 1,5% - ინის შემთხვევაში 36,14 გრ /კგ-ზე. კვლევისთვის შერჩეული იქნა 1 დღიანი 150 ბროილერ Ross 308-ს წიწილა. რომელიც გადანაწილდა სამ ჯგუფად, თითოეულში 50 ფრთა. შვედეთში მიღებული საშუალო დაკვლის ასაკიდან გამომდინარე ექსპერიმენტის ხანგრძლივობამ შეადგინა 45 დღე. პირველი ჯგუფი (T) იყო საკონტროლო ჯგუფი, ხოლო მეორე (T1) და მესამე (T2) საცდელი. დაგეგმილი კვლევები მიმდინარეობს წარმატებით, მიღებული მონაცემები იქნება დამუშავებული ბიომეტრიული სტატისტიკის მეთოდების გამოყენებით და გამოქვეყნდება შემდეგ პუბლიკაციებში.

საკვანძო სიტყვები: ფრინველი, ბროილერი, ქცევა, კეთილდღეობა, ფიტოდანამატი, ნიორი.

ქათმის ხორცი ჯანმრთელი კვების უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. ეს არის მაღალი ხარისხის, ადვილად ასათვისებელი ცილების, ვიტამინების, ამინომჟავების და მინერალური ნივთიერებების შეუცვლელი წყარო ნებისმიერი ასაკის ორგანიზმისთვის, მისი ზრდისა და განვითარებისთვის. მოსახლეობის ზრდასთან ერთად იზრდება მოთხოვნილება ფრინველის ხორცზე. 2021 წელს მსოფლიოში დაახლოებით 132,3 მილიონი ტონა ფრინველის ხორცი მოიხმარეს, რაც მას ყველაზე მოხმარებად სახეობად აქცევს. ამასთან რაც უფრო იზრდება ინდუსტრიული ფერმების რაოდენობა, იზრდება უხეშობა ქათმების მიმართ, მიუხედავად

იმისა რომ მწარმოებლები იძულებულნი არიან ფრინველებს შეუქმნან კომფორტული პირობები.

არსებითად ფრინველის კეთილდღეობა ნიშნავს მათი საჭიროებების ყოველდღიურ დაკმაყოფილებას:

- საკვებისა და წყლის ადვილად ხელმისაწვდომობა;
- გაადადგილების, დგომის, შემობრუნების, გაჭიმვის, ჯდომის და წოლის თავისუფლება.
- ფრინველებს შეეძლოთ ერთმანეთის დანახვა(ვიზუალური კონტაქტი სახეობის სხვა წევრებთან).
- საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფა.
- დავადებების, ტრამვის და მანკების პრევენცია.

ფრინველის კეთილდღეობა განიხილება ფრინველის ფიზიკურ და ემოციურ მდგომარეობად. ფიზიკური მაჩვენებლები მოიცავს საკვებისა და წყლის მოხმარებას, ტემპერატურულ მაჩვენებელს, ჰაერის და დაბინძურების ხარისხს, დასმის სიმჭიდროვეს და ყოველდღიურ წონამატს. ხოლო ემოციური მაჩვენებელი გამოწვეულია სტრეს - ფაქტორებით, ეს არის ფრინველის დაჭერა, ტრანსპორტირება და ზოგიერთი ვეტერინარულ - ზოოტექნიკური პროცედურები.

დადგენილია, რომ წყალი სასიცოცხლო მინიშვნელობის მკვებავი ელემენტია, რომელიც რეგულარულად უნდა გაანალიზდეს, რათა დავრწმუნდეთ რომ იგი შეესაბამება მიღებული ხარისხის სტანდარტებს, რათა ოპტიმიზირებული იყოს ფრინველის ჯანმრთელობა და კეთილდღეობა. გარდა ამისა წყლის მოხმარება (როგორც ყოველდღიურად, ისე თითო ციკლში) არის ფრინველის კეთილდღეობის ერთერთი მთავარი მაჩვენებელი.

წყლის იდეალური ტემპერატურა უნდა იყოს 18°C დან 21°C მდე. მის მისაღებად ორ მეტრზე გავლა არ უნდა უწევდეს (ცხრ.1). ფრინველის ჯანმრთელობისთვის და უსაფრთხოებისთვის ხდება წყლის ხარისხის განსაზღვრაც (ცხრ.2).

ცხრილი 1. წყლის რეკომენდებული რაოდენობა

ფრინველის ასაკი	წყლის მიღება
0-7 დღე	20 მლ /წთ
7-21 დღე	60-70 მლ/ წთ
>21 დღე	70-100 მლ/ წთ

ფრინველის ჯანმრთელობისთვის და უსაფრთხოებისთვის ხდება წყლის ხარისხის განსაზღვრაც (ცხრ.2).

ცხრილი 2. წყლის კონცენტრაციის იდეალური კრიტერიუმი

კრიტერიუმები	კონცენტრაცია (PPM)
სულ გახსნილი	0-1000
PH	5-8
სულფატები	50-200
ქლორიდი	250
კალიუმი	<300
მაგნიუმი	50-125 წწ
ნიტრატები	10 მაქსიმალური დონე
ნიტრიტები	კვალი

ფტორი	2 მაქსიმალური დონე
კალციუმი	600 მაქსიმალური
ნატრიუმი	50-300

ფრინველის ორგანიზმის რეაგირება კვებისა და მოვლა-შენახვის სხვადასხვა პირობებში - ფრინველი ახდენს მიცემული საკვების შეფასებას, რის შედეგადაც უპირატესობას აძლევს საკვების ამა თუ იმ სახეს. ესაა მხედველობითი და გემონებითი აღქმების შედეგი. საკვების გემონებით თვისებებთან ერთად გასათვალისწინებელია კვებისათვის საჭირო დრო, ეს კი დამოკიდებულია საკვების თვისებებზე. ფქვილოვანი საკვების მიღებაზე (საჭირო რაოდენობით) ინდაურები და ქათმები ხარჯავენ უფრო მეტ დროს, ვიდრე მარცვლოვან და გრანულირებულ საკვებზე. დაკვირვებებითი ქრონომეტრაჟით ეს სიდიდე შეადგენს ინდაურების მაგალითზე 136 წუთს ფქვილოვანი საკვებისათვის და მხოლოდ 16 წუთს გრანულებისათვის. ცალკეული სახის ფრინველებს ფილოგენეზურად ჩამოუყალიბდათ სპეციფიკური ფორმის ნისკარტი საკვების უკეთ მოპოვების მიზნით(ცხრ.3).

ცხრილი 3; იდეალური საკვების ფორმა და ზომა ასაკის მიხედვით.

ასაკი	საკვების ტიპი	ნაწილაკების ზომა
0 დან	Sieved-crumble	1,5-3,0 მმ დიამეტრი
10 დღემდე	მინი გრანულები	1,6-2,4 მმ დიამეტრი სიგრძე 1,5-3,0 მმ
11-18 დღე	მინი გრანულები	1,6-2,4მმ დიამეტრი სიგრძე 4,0-7,0 მმ
18 დღიდან დასრულებამდე	მარცვლები	3,0-4,0 მმ დიამეტრი სიგრძე 5,0-8,0 მმ

მთავარი გასათვალისწინებელი ფაქტორია - გარემო არეს მდგომარეობა და პირველ რიგში ჰაერის ტემპერატურული რეჟიმი. 42°C და ზევით ქათმები თავს ანებებენ საკვების მიღებას. გასათვალისწინებელია ტექნოლოგიური ფაქტორებიც. გალიური შენახვისას ხდება საკვებურებში მოძრავი ლენტის (რაზედაც საკვები ყრია) პერიოდული ჩართვა-გამორთვა. ფრინველი ისე ეჩვევა ამ პერიოდულობას, რომ საკვებს არ კენკავს სანამ ლენტი არ ამოძრავდება. მასზე საკვები რომც იყოს გაჩერებულ მდგომარეობაში.

გარემო არე, კერძოდ ჰაეროვანი გარემო ორგანიზმზე ახდენს მრავალმხრივ ზეგავლენას. ეს ხდება ისეთი ფაქტორების კომპლექსური ზემოქმედებით, როგორცაა ჰაერის ფიზიკურ-ქიმიური თვისებები, მტვეროვანი შედგენილობა და მასთან შეწონილი მიკრობები. ყველა ეს მაჩვენებელი შესაძლებელია გაერთიანდეს ორ ჯგუფად: აბიოტურ და ბიოტურ ფაქტორებში. ფრინველების პროდუქტიულობის გასაუმჯობესებელ საქმიანობაში ერთ-ერთი უმთავრესია ამ მაჩვენებლების, ანუ მიკროკლიმატის ოპტიმიზაცია. ჰაეროვანი გარემოს აღნიშნული ფაქტორები სხვადასხვა თანაფარდობით გვხვდება, მათი პარამეტრები ცვალებადობას განიცდის, რაც განპირობებულია თავად ატმოსფერული მაჩვენებლებით, ანუ ბუნებრივ-კლიმატური პირობებით, შენობების ტიპებით, სამშენებლო მასალების თბოტექნიკური თვისებებით, შენახვის სისტემებით, შენახვის პირობებით, სიმჭიდროვის მაჩვენებლითა და ა.შ. შესაძლებელია ჰაეროვანმა გარემომ ხელი შეუწყოს და გააუმჯობესოს ორგანიზმის ფუნქციონირება, ჯანმრთელობა, ან პირიქით, გააუარესოს, გამოიწვიოს სხვადასხვა პათოლოგია და დააქვეითოს პროდუქტიულობა. აღნიშნული ასპექტები მეტად საყურადღებოა მეფრინველეობაში, ვინაიდან ფრინველი მეტად მგრძობიარე და მომთხოვნია მიკროკლიმატის

ფაქტორებისადმი. ფრინველი, განასკუთრებით კი მოზარდი საჭიროებს ოპტიმალურ ტემპერატურულ ტენიანობის რეჟიმს. საფრინველეში აუცილებელია იყოს სითბო, სიმშრალე და კარგი ვენტილაცია (ცხრ.4).


ცხრილი 4. ოპტიმალური ტემპერატურა შენობასა და სხეულში

ასაკი	სხეულის ტემპერატურა	შენობის ტემპერატურა
0-13	34-35°C	31-32°C
14 დაწ	31-32°C	24-25°C

იმისათვის რომ შევძლოთ ფრინველის კეთილდღეობის შეფასება, უნდა მოვახდინოთ მისი გაზომვა. კეთილდღეობის გაზომვა გვამღევს საშუალებას ვიცოდეთ, რა დონის მიღწევაა შესაძლებელი ფერმაში და რა გავლენას ახდენს განხორციელებული მართვის პრაქტიკა ფრინველებზე. ბროილერისთვის ეს მაჩვენებლებია:

1. ფრინველის რაოდენობა ფერმაში, 2. ჰაერის ხარისხი, 3. სუნთქვის სიხშირე, 4. სიბინძურე, 5. ზოგადი ჯანმრთელობა, 6. სიარულის უნარი (20%-დან აღებული ნიმუშების შეფასებით), 7. სიკვდილიანობა და მკვდარი ფრინველების რაოდენობა, 8. ქცევა, 9. დერმატიტები და დამწრობები, 10. ანტიბიოტიკის მოხმარების ჩანაწერები.

მეკვრცხული მიმართულების ფრინველისთვის დამატებით მაჩვენებელს წარმოადგენს ბუმბულის დაკარგვა, რომელიც ერთ ერთი მთავარი მაჩვენებელია ქათმის კეთილდღეობაში, ბუმბულის დაკარგვის საორიენტაციო ინსტრუმენტი შეიქმნა AssuReWel პროექტის მიერ, რომელიც ფერმერებს საშუალებას აძლევს ჩაწერონ და შეადარონ ბუმბულის დაკარგვის სიმძიმე სხვა ფერმებთან (სურ.1), (ცხრ.6).



სურ.1 შემუშავებული შეფასების სისტემების ვიზუალური წარმოდგენა როგორც თეთრი, ასევე ყავისფერი ბუმბულიანი ფრინველებისთვის: ქულა 0 (a, d), ქულა 1(b, e), ქულა 2(c, f).

ცხრ.6. ქულების სისტემა, რომელსაც იყენებენ ადგილზე ბუმბულის მდგომარეობისა და ფერმაში არებული ბუმბულის დაზიანების რაოდენობის შესაფასებლად, სხეულის ზომები შემოიფარგლება ზურგი/კუჭი თითო ფრთაზე 50 ფრინველის ნიმუშზე.

ქულა	სხეულის მდგომარეობა
0	ხელუხლებელი ბუმბულის საფარი, არ არის ან ოდნავ ცვეთაა, აკლია მხოლოდ ერთი ბუმბული.
1	დაზიანებულია ბუმბული ან მელოტია, ჩანს 2 ევროიანი მონეტაზე ნაკლები
2	მელოტი ადგილი სადაც ჩანს 2 ევროიანი მონეტაზე დიდი

გაზომვადი პარამეტრების ღონისძიების გატარებით ტემპერატურის კონტროლი ხდება როგორც შენობაში, ასევე უშუალოდ წიწილაში. წიწილის იდიალური ტემპერატურა გამოჩეკვიდან პირველი 4-5 დღის განმავლობაში არის 39,4-40,8°C. წიწილის ტემპერატურის გაზომვა Chick Vent ხდება მინიმუმ 10 წიწილაზე, ფერმაში 5 სხვადასხვა ადგილიდან, პირველი 4-5 დღის განმავლობაში. განსაკუთრებული მნიშვნელობა ექცევა შენობის ცივ და ცხელ ადგილებს. ნაზად იღებენ წიწილას და თერმოსკანს ადებენ შიშველ კანზე, უკანა ნაწილთან.(სურ.20).



სურ.2 ტემპერატურის გაზომვა წიწილაში

მოსვენებულ მდგომარეობაში ორივე სქესის წიწილში გულისცემა მერყეობს 200-300 დარტყმა/წუთში. ყველაზე დაბალი 192 დარტყმა წუთში აღინიშნება აილენდის წითელ მამრში, ხოლო ყველაზე მაღალი 396 - მდე თეთრი ლეგჰორნის მდედრში. ფრინველის ძალიან მაღალი პულსის სიხშირის გამო, პულსის სიხშირის გაზომვა ძალიან რთულია და საჭიროა სტეტოსკოპი. ერთი პიროვნება იკავებს ფრინველს, ხოლო მეორე ზომავს.

წლების განმავლობაში სულ უფრო ცხადი ხდება, რომ ცხოველთა კეთილდღეობისთვის ერთი და იგივე სექტორის სპეციფიკური წესების გამოყენება ყოველთვის არ იძლევა სასურველ შედეგს მეურნეობის სისტემების მრავალფეროვნების და კლიმატური პირობების გამო. სექტორის სპეციფიკურ წესებთან შეასბამისობის პრობლემები მიუთითებს იმაზე ფიქრის აუცილებლობაზე, შეიძლება თუ არა მიდგომა „ერთი საზომი ყველასთვის“.

ტექნოლოგიური განვითარება იძლევა ახალ შესაძლებლობებს. ახლახანს შემოგვთავაზეს ახალი მიდგომა კომერციული ბროილერის და ინდაურის ფარების კეთილდღეობის შეასაფასებლად, რომელიც დაფუძნებულია ხაზის ტრანსექტებზე. ტრანსექტის მეთოდი აფასებს ფრინველის გადაადგილებას კონკრეტულად განსაზღვრულ ბილიკზე სპეციალური სენსორის საშუალებით, რომელიც დაყენებულია სარწყულბელთან ან საკვებურთან. ამ აპლიკაციით შემფასებელს საშუალება ეძლევა ადვილად ჩაწერონ გადაადგილების სიხშირე, კოჭლობა, უმოდრაობა, ავადმყოფი ფრინველის რაოდენობა. ეს არის i-Watchbroiler აპლიკაცია, რი და მატერიალური სახსრების არაკეთილსინდისიერი განკარგვა;

მცირე ბიზნესის სტიმულირების უ მსოფლიო პოლიტიკა, რომელიც ძირითადად მსოფლიო პოლიტიკა, რომელიც ძირითადად მიმართულია ფრინველის ხორცისა და კვერცხის გაზრდისკენ, ტარდება დიდი წარმატებით, მაგრამ გარკვეულ ფასად

ფრინველისთვის. მეცნიერების მუშაობა ინდუსტრიასთან და მომხმარებელთან, ტექნოლოგიების განვითარება, ახალი პოლიტიკის და პრაქტიკის შემუშავება, რომელიც დაიცავს ფრინველის ფიზიკურ ჯანმრთელობას და მისცემს ქცევითი საჭიროების გამოხატვის საშუალებას, მსოფლიოს უფრო ჰუმანურს გახდის და ამასთანვე შესაძლებელი იქნება ჯანსაღი პროდუქტის წარმოება.

გამომდინარე ზემო განხილული მასალებიდან ჩვენ დავისახეთ მიზნად შეგვესწავლა ბროილერის კეთილდღეობის ზოგიერთი გაზომვადი პარამეტრი: განსხვავებული მოვლა - შენახვის პირობებში ნივრის შემცველი ფიტოდანამატის vitlöksflörter-ს გამოყენებისას, ვინაიდან ერთიანი ჯანმრთელობის საკითხი მსოფლიოში ერთ ერთი პრიორიტეტული მიმართულება. აღსანიშნავია, რომ ეს ფიტოდანამატი ბოლო წლებში გავრცელებული COVID-19 პანდემიის ფონზე რეკომენდირებულია შვედეთის ფარმაციის მხრიდან ადამიანის საერთო ჯანმრთელობის და რეზისტენტობის ასამაღლებლად. ამავდროულად იგი არ არის გამოცდილი პროდუქტიულ მეცხოველეობაში. ამდენად ფაქტიურად ჩვენ მსოფლიოში პირველად ვიყენებთ აღნიშნულ დანამატს პროდუქტიულ (ფერმის) ცხოველებზე, კერძოდ ბროილერის კეთილდღეობისა და სახორცე პროდუქტიულობაზე გავლენის შესასწავლად.

დასახული მიზნის მისახწევად ჩვენ დავისხეთ შემდეგი ამოცანების განხორციელება: შეგვესწავლა ამ კონკრეტული დანამატის გავლენა ბროილერის კეთილდღეობის პარამეტრებზე და მათ პროდუქტიულობაზე განსხვავებულ კლიმატურ პირობებში. მეთოდოლოგიურად დაიგეგმა პარამეტრების შესწავლა წიწილის დასმიდან მე-2 ;4 და მე-6 კვირას.

ჩვენი კვლევა წარმართა შემდეგი პარამეტრების შესასწავლად:

- პულსი;
- სხეულის ტემპერატურა;
- სიკვდილიანობა (დაცემულ ინდივიდთა რაოდენობა მოცემული პერიოდისთვის) - დათვლილია მოცემული პერიოდისთვის დაცემული სულადობის რაოდენობა;
- საერთო წონამატი და წონამატი ექსპერიმენტის პერიოდების მიხედვით - საერთო წონამატი განისაზღვრება დასმული წიწილის ც/მ და დაკვლის წინა ცოცხალი მასის შეფარდებით, წონამატი პერიოდების მიხედვით განისაზღვრა ინდივიდთა აწონვით ექსპერიმენტის პერიოდების მიხედვით;
- დაკვლის წინა ცოცხალი მასა განისაზღვრა - აწონვით უშუალოდ დაკვლის წინ;
- დადგინდა ნაკლავის გამოსვალი;
- განისაზღვრა ფხვნილის გამოყენების ეფექტურობა გაწეული დამატებითი ხარჯისა და მიღებული შედეგების გაანალიზებით.

იქიდან გამომდინარე რომ შვედეთი არის ერთ ერთი მოწინავე ქვეყანა ფრინველთა კეთილდღეობის და ერთიანი ჯანმრთელობის კუთხით, სადაც საერთოდ აკრძალულია ანტიბიოტიკების, ზრდის სტიმულატორების, გენმოდულიფიცირებული სოიოს და სხვა ქიმიური ნივთიერებების გამოყენება, სწორედ ამიტომ კვლევის პირველი ეტაპისას მიღებული შედეგები იძენს განსაკუთრებულ მნიშვნელობას.

აღსანიშნავია, რომ დასახული ამოცანების მისაღწევად ლიტერატურული წყაროების ანალიზის შედეგადად შევადგინეთ კვლევის სქემა. მისაცემი ფიტოდანამატის დოზირებისთვის შერჩეული იქნა მინიმალური 0.5% და საშუალო 1,5% ნივრის ფხვნილის დამატების ეფექტის შესაბამისად. ვინაიდან ფიტოდანამატ vitlöksflörter-ში ნივრის შემცველობა 43%-ია 0.5% -ის შემთხვევაში მოხდა 11,76 გრამის დამატება 1 კილოგრამზე, ხოლო 1,5% - ინის შემთხვევაში 36,14 გრ /კგ-ზე. კვლევისთვის შერჩეული იქნა 1 დღიანი 150 ბროილერ Ross 308-ს წიწილა, ისინი გადანაწილდნენ სამ ჯგუფად - თითოეულში 50 ფრთა. შვედეთში მიღებული საშუალო დაკვლის ასაკიდან გამომდინარე ექსპერიმენტის ხანგრძლივობამ შეადგინა 45 დღე. პირველი ჯგუფი (T) იყო საკონტროლო ჯგუფი, ხოლო მეორე (T1) და მესამე (T2) საცდელი.

დაგეგმილი კვლევები მიმდინარეობს წარმატებით, მიღებული მონაცემები იქნება დამუშავებული ბიომეტრიული სტატისტიკის მეთოდების გამოყენებით და გამოქვეყნდება შემდეგ პუბლიკაციებში.

ლიტერატურა:

1. ლლიღვაშვილი ვ., ფირცხალაშვილი თ., ლლიღვაშვილი გ. (2020) ეკოლოგიური ეთიკა და მეცხოველეობის წინაშე მდგარი პრობლემები. სახელმძღვანელო. თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.
2. კაჭარავა თ. (2020) - საქართველოს სამკურნალო არომატული, საღებარი, თაფლოვანი, სანელებელი და შხამიანი მცენარეების ბიომრავალფეროვნება, სახელმძღვანელო, გამომც. „უნივერსალი“, უაკ: 633.88.+615.322, კ-367, ISBN 978-9941-26-728-4, 462 გვ.
3. <https://www.farmhealthonline.com/veterinary-questions/welfare-assessment/>
4. <https://www.sciencedirect.com/science/article/pii/S0032579119317444>
5. <https://www.poultrywelfare.org/>
6. https://scholar.google.se/scholar?q=poultry+welfare+worldwide&hl=en&as_sdt=0&as_vis=17oi=scholar
8. <https://www.globalfoodgroup.eu/animal-welfare/?lang=en>

Holistic Health and Poultry Welfare Issues

Chokheli Nona*, **Ghlighvashvili Vasil***
Mskhiladze Antonina**, **Kacharava Tamar***
Georgian Technical University, Tbilisi*
Sokhumi State University**

Abstract

Poultry welfare is considered the physical and emotional state of the bird. Physical indicators include feed and water consumption, temperature index, air and pollution quality, stocking density and daily weight gain. And the emotional rate is caused by stress factors, it is bird catching, transportation and some veterinary zootechnical procedures. Based on the materials discussed above, we set out to study some measurable parameters of broilers' well-being in various storage conditions when using Witloxflerter - a herbal supplement containing garlic, since the issue of uniform health is one of the priority areas in the world. It is worth noting that this phytosupplement is recommended by the Swedish pharmacy to increase the general health and resistance of a person in the background of the spread of the COVID-19 pandemic in recent years. At the same time, it has not been tested in productive animal husbandry. Thus, in fact, we are the first in the world to use this supplement on productive (farm) animals. In particular, to study influence on broiler welfare and meat productivity. To achieve the set goals, we compiled a research scheme as a result of the analysis of literary sources and researches in other countries of the world. A minimum of 0.5% and an average of 1.5% of garlic powder were selected for the dosage of the phytosupplement to be administered. Since the content of garlic in phytosupplement vitlöksflörter is 43%, in the case of 0.5% there was an addition of 11.76 grams per 1 kilogram, and in the case of 1.5% - 36.14 g / kg. 150 Ross 308 broiler chicks were selected for the study, which was divided into three groups of 50 wings each. Based on the average slaughter age in Sweden, the duration of the experiment was 45 days. The first group (T) was the control group, and the second (T1) and the third (T2) were the experimental group. Planned studies are being successfully conducted, obtained data will be processed using biometric statistics methods and will be published in the following publications.

Keywords: Poultry, Broiler, Behavior, Welfare, Phytosupplement, Garlic.

სამართლის ზოგიერთი თეორიული საკითხი
ალფონსო X-ის „Siete Partidas“ მიხედვით

გოგენია ზაალ

ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი

DOI: <https://doi.org/10.52340/idw.2023.12>

აბსტრაქტი. კანონთა კრებული „Siete Partidas“ (შვიდი ნაწილი) წარმოადგენს შუა საუკუნეების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ეროვნულ სამართლებრივ ძეგლს. ის შეიქმნა კასტილიის მეფე ალფონსო X-ის ბრძანებით და უშუალო მონაწილეობით. პარტიდები აერთიანებდა იმ დროისთვის არსებულ სამართლის ყველა დარგს. არსებითად კრებული წარმოადგენდა გიგანტურ სამართლებრივ ენციკლოპედიას და აქ მოცემული ინფორმაცია იმდროინდელი ლეგისტის აბსოლუტურად ყველა ინტერესს აკმაყოფილებდა.

XIII საუკუნე ცნობილია როგორც „სწრაფი რეკონკისტის“ პერიოდი. სამხედრო წარმატებები და კასტილიის სამეფოს პოლიტიკური აღმავლობა მოითხოვდა შესაბამის ნაბიჯებს კანონმდებლობის სფეროში. ალფონსო X-ის საკანონმდებლო საქმიანობა იყო უაღრესად აქტიური სწორედ იმიტომ, რომ ის განხორციელდა როგორც სამეფოს მთელი პოლიტიკური და სოციალურ ურთიერთობათა სისტემის კარდინალური გადაწყობა უმაღლესი კეთილდღეობის პრინციპების შესაბამისად. ის თანმიმდევრულად მიიწევდა წინ კანონმდებლობის უნიფიკაციისკენ, თუმცა სამართლებრივმა აზრმა ბევრად გადაასწრო სამართლებრივ პრაქტიკას.

პარტიდების ტექსტის სტრუქტურა როგორც დასახელებიდან ჩანს შვიდი ნაწილისგან შედგება და დალაგებულია თემატური პრინციპით. ნაწილი (პარტიდა) დაყოფილია თავებად (ტიტული) რომელიც თავის მხრივ შედგება კანონებისგან.

ზოგად თეორიული საკითხებიდან ჩვენთვის საინტერესოა სამართლის წყაროს საკითხი. პირველი ნაწილის მეორე თავში მოცემულია სოციალური ნორმების სამწევროვანი კლასიფიკაცია. ამ სქემაში ყველაზე დაბალ საფეხურზე დგას ჩვეულება (Uso), შემდეგ მოდის ადათი (Costumbre) და მას ასრულებს ფუერო (Fuero). ჩვეულების და ადათის ინსტიტუტებს (Uso y Costumbre) გააჩნდა საკვანძო მნიშვნელობა ალფონსო X-ის იურისტებისთვის სამართლის წყაროების მათ მიერ აგებული იერარქიისთვის.

პარტიდებში პირველყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ყურადღებას იპყრობს ჩვეულების, ადათის და ფუეროს გენეტიკური კავშირი, რაც ხაზგასმულია კიდევ კანონმდებლის მიერ. აღნიშნულ ტრიადაში სამართლის სრულფასოვანი და დამოუკიდებელი წყარო არის მხოლოდ ფუერო. ჩვეულების „შექმნაში“ ჩართულია სუბიექტურ ნებელობით ელემენტი. ის დადგენილია სენიორის მიერ ან მოიწონებს არსებულს. ამას ემატება ის დეტალიც, რომ ჩვეულება უნდა დადგინდეს საყოველთაო სარგებლისთვის, რაც ზოგადად წითელ ხაზად გასდევს ალფონსო ბრძენის საკანონმდებლო საქმიანობას.

ჩვეულება პარტიდებში არასდროს სახელდება როგორც სამართალი, თუმცა მისგან შეიძლება გამომდინარეობდეს სამართლებრივი ქცევის ნორმები, მაშინ როცა ადათი უკვე წარმოადგენს სამართალს, მას სხვა სამართლებრივი ნორმებისგან განსხვავებს მხოლოდ ზეპირი ფორმა.

საძიებო სიტყვები: კანონთა კრებული, სამართალი, ჩვეულება, ადათი, ალფონსო X, კასტილია.

კანონთა კრებული „Siete Partidas“ (შვიდი ნაწილი) წარმოადგენს შუა საუკუნეების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ეროვნულ სამართლებრივ ძეგლს და თუმცა ფორმალურად დგას ისეთი ძეგლების გვერდით როგორებიცაა „Sachsenspiegel“ (საქსონური სარკე) და „Coustumes de Beauvoisis“ (ბოვეზის ჩვეულებითი სამართალი) ფაქტობრივად აღემატება მათ შემცველობით და შემუშავების თეორიულ-დოქტრინალური სიღრმით. ის შეიქმნა კასტილიის მეფე ალფონსო X-ის ბრძანებით და უშუალო მონაწილეობით. პარტიდები აერთიანებდა იმ დროისთვის არსებულ სამართლის ყველა დარგს. არსებითად კრებული წარმოადგენდა არა „Corpus iuris“ ამ სიტყვის ზუსტი მნიშვნელობით, არამედ გიგანტურ სამართლებრივ ენციკლოპედიას, შუა საუკუნეების ცოდნის კომპენდიუმს და აქ მოცემული ინფორმაცია იმდროინდელი ლეგისტის აბსოლუტურად ყველა ინტერესს აკმაყოფილებდა.

XIII საუკუნე სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია როგორც „სწრაფი რეკონკისტის“ პერიოდი. სამხედრო წარმატებები და კასტილიის სამეფოს პოლიტიკური აღმავლობა მოითხოვდა შესაბამის ნაბიჯებს კანონმდებლობის სფეროში. ჯერ კიდევ ფერნანდო III აპირებდა საერთო ეროვნული კანონთა კრებულის მომზადებას, მამის კურსი მონარქიის შემდგომი განმტკიცების საქმეში გააგრძელდა ალფონსო X-მ და ძირითადი მიმართულება გახდა ახალი სამართლის კრებულების შემუშავება, კანონმდებლობის უნიფიკაცია. მეფე ფერნანდო III-მ იზრუნა რომ ტახტის მემკვიდრეს მიეღო იმ დროს საუკეთესო განათლება მათ შორის იურისპრუდენციის, კერძოდ „ius commune“-ს სფეროში (Gonzales Jimenez M. 2004: 13-42). იმ დროს წარმოუდგენელი იყო ინფანტის გაგზავნა დიდი ხნით სასწავლებლად საზღვარგარეთ ამიტომ მოწვეულ იქნა უცხოელი პროფესორები. საკანონმდებლო საქმიანობა ალფონსო X-ის მიერ აღიქმებოდა როგორც სამეფოში „საყოველთაო კეთილდღეობის“ მიღწევის ინსტრუმენტი. ეს წარმოდგენა ბუნებრივია, რამდენადაც ბოლონისა და მონპელიეს სკოლებში განათლება მიღებული კასტილიელი ლეგისტები სამართალს აღიქვამდნენ რომელი იურისტებისთვის დამახასიათებელი გაგებით როგორც „სწავლება სიკეთის და სამართლიანის შესახებ“ („Ut eleganter celsus definit ius est ars boni et aequi“). სწავლება საკმაოდ უტოპიური იყო XIII საუკუნის კასტილიის რეალიზებთან მიმართებაში და მაინც მან დიდი გავლენა მოახდინა ალფონსო ბრძენის პოლიტიკურ და სამართლებრივ პრაქტიკაზე. ალფონსო X-ის საკანონმდებლო საქმიანობა იყო უადრესად აქტიური სწორედ იმიტომ, რომ ის განხორციელდა როგორც სამეფოს მთელი პოლიტიკური და სოციალურ ურთიერთობათა სისტემის კარდინალური გადაწყობა უმაღლესი კეთილდღეობის პრინციპების შესაბამისად. ის თანმიმდევრულად მიიწვედა წინ კანონმდებლობის უნიფიკაციისკენ, თუმცა სამართლებრივმა აზრმა ბევრად გადაასწრო სამართლებრივ პრაქტიკას.

თავისი მმართველობის პირველივე წელს ალფონსო X-მ ბრძანა სამეფოს ყველა ქალაქისთვის საერთო სამართლის კრებულის შედგენა და უკვე 1256 წელს შეიქმნა „Fuero Real“ (სამეფო ფუერო), ამის პარალელურად ლეგისტები მუშაობდნენ სხვა სერიოზულ კრებულზე რომელიც ცნობილია სახელით „[El Espéculo](#)“ (სარკე). მთავარი სხვაობა ამ ორ სამართლის ძეგლს შორის იყო იმაში, რომ ამ უკანასკნელის შემუშავებაში უფრო აქტიურადაა გამოყენებული რომის სამართლის წყაროები ვიდრე ადგილობრივი ტექსტები და ჩვეულებითი სამართალი. „[El Espéculo](#)“-ზე მუშაობა დასრულებული არ იყო, როცა მეფემ დაიწყო ახალი კანონთა კრებულის „Siete Partidas“ შემუშავება. მისი ეს გადაწყვეტილება მკვლევრებს შორის დიდი დისკუსიის საგანია და ამ ძეგლის დათარიღების კონტექსტში განიხილება. ვიზიარებთ მიღებულ თვალსაზრისს იმის შესახებ, რომ მეფის ასეთი გადაწყვეტილება იმპერატორის ტახტის დაკავების მცდელობას უკავშირდება. პრაქტიკულად ალფონსო X პრეტენზიას აცხადებდა შეექმნა ახალი „საიმპერიო“ კანონთა კრებული რომელიც აღემატებოდა ყველა ადრე შექმნილ ნიმუშებს მათ შორის იუსტინიანეს კრებულსაც.

თავიდან ნაშრომი ატარებდა სახელს „El libro del fuero de las leyes que fizo el noble don Alfonso“ ამ სახელით გვხვდება ის უძველეს მანუსკრიპტში რომელიც შენახულია ბრიტანეთის ბიბლიოთეკაში. შემდეგ ეწოდა მას „შვიდი ნაწილი“ მასში შემავალი ნაწილების რაოდენობის

მიხედვით.¹

ძეგლი თარიღდება დაახლოებით 1265-1272 წლებით, არსებობს უამრავი სხვა ვერსიაც. უცნობია ავტორები, თუმცა ზოგან კონკრეტული სახელებიც სახელდება (Ballesteros y Beretta A. 1922: 433) ასევე უცნობია რა დოზით მონაწილეობდა მეფე მის შექმნაში.

სულ არსებობს პარტიდების სრული ტექსტის 3 გამოცემა, შესრულებული ალონსო დიას დე მონტალვოს (1405-1498), გრეგორიო ლოპესის (1496-1560) და ბოლოს ისტორიის სამეფო აკადემიის კოლექტივის მიერ. სტატიაში ვსარგებლობთ გრეგორიო ლოპესის გამოცემით (Las Siete Partidas 1843). ლოპესის ვერსიას თან ახლავს დაწვრილებითი კომენტარები (გლოსარი) ის გამოიცა 14-ჯერ. ლოპესმა თუ მის სიტყვებს დავიჯერებთ გამოცემის მომზადებისას გულდასმით შეადარა რამდენიმე ხელნაწერი და გამოცემა ერთმანეთს, სხვადასხვა წყაროს შესწავლა გვაფიქრებს, რომ როგორც ჩანს ლოპესი ძირითადად მონტალვოს ტექსტს მიჰყვება და ხელნაწერებს იყენებს მხოლოდ მაშინ როცა აშკარა შეცდომასთან ჰქონდა საქმე. პარტიდების ამ გამოცემის ძირითადი ფასეულობა არის არა იმდენად ტექსტში, რამდენადაც კომენტარებში. ამიტომაც კარლოს I-მა 1555 წელს ცალკე პრაგმატიკით ლოპესის გლოსარს დამოუკიდებელი კანონის ძალა მიანიჭა.

ტექსტის სტრუქტურა როგორც დასახელებიდან ჩანს შვიდი ნაწილისგან შედგება და დალაგებულია თემატური პრინციპით. ნაწილი (პარტიდა) დაყოფილია თავებად (ტიტული) რომელიც თავის მხრივ შედგება კანონებისგან. კანონები არ იყოფა პარაგრაფებად ან პუნქტებად, ის რამდენიმე ნორმის ნაკრებია, ამასთან ერთი კანონის ფარგლებში თითოეული ნორმის წყარო შეიძლება იყოს სრულიად სხვადასხვა: იუსტინიანეს დიგესტები, კანონიკური სამართლის კრებულები, თუ საკუთრივ ალფონსო X-ის საკანონმდებლო „ნოველები“.

ლეგისტების მუშაობის შედეგად მიღებულმა ტექსტმა დიდად გაუსწრო თავის დროს, ალფონსო X იძულებული გახდა მოეხდინა პარტიდების დეროგაცია და 70 წლით მან დაკარგა სამართლის წყაროს სტატუსი. 1348 წელს ალფონსო X ის შვილთაშვილის ალფონსო XI-ის მიერ გამოცემულმა ალკალის ძეგლისდებამ მიანიჭა პარტიდებს სამართლის დამხმარე წყაროს სტატუსი (Mapeñ A. 2014: 70). ეს სტატუსი კრებულმა შეინარჩუნა ესპანეთში სამოქალაქო და სისხლის სამართლის კოდექსების მიღებამდე, XIX სკ I ნახევარში, ხოლო ლათინური ამერიკის ქვეყნებში როგორც ყოფილ ესპანეთის კოლონიებში XIX საუკუნის ბოლომდეც კი. 1974 წელს გამოქვეყნებული პარტიდების წინასიტყვაობაში ნახსენებია - ესპანეთის სასამართლო პრაქტიკაში 1960-იანი წლის ბოლომდე კრებულის გამოყენების გასაოცარი ფაქტი

პირველი ნაწილის (პარტიდა), მეორე თავის (ტიტული) პროლოგი იწყება შემდეგი სიტყვებით: „არაფერს ძალუძს ჰქმნას ისე, რომ კანონმა დაკარგოს ძალა... სამი რამის გარდა, რომელთაგან პირველი არს ჩვეულება, მეორე ადათი ხოლო მესამე ფუერო“. ამ სიტყვებით კასტილიელი კანონმდებელი გვაძლევს სოციალური ნორმების სამწევროვან კლასიფიკაციას, რომლებიც ფლობენ უნარს დაუკარგონ ძალა კანონს. ამ სქემაში ყველაზე დაბალ საფეხურზე დგას ჩვეულება (Uso), შემდეგ მოდის ადათი (Costumbre) და მას ასრულებს ფუერო (Fuero). (Partidas I.2.pr.).

ადათის ინტერპრეტაციის წყაროს, ისევე როგორც აღნიშნული თავის პროლოგში განცხადებული სხვა იდეებისა, რომელი იურისტის საღვიუს იულიანეს თხზულების ფრაგმენტი წარმოადგენს, რომელიც ჩართულია იუსტინიანეს დიგესტებში (Schiller A.A. 1978: 563), ასევე მისი უამრავი კომენტარი შედგენილი შუასაუკუნეების ბოლონის სკოლის იურისტების მიერ. თუმცა არც იულიანეს ტექსტში და არც შუასაუკუნეების გლოსარებში არ გამოიყენება ლათინური ცნება „უზუსი“. სხვათა შორის აშკარაა, რომ ჩვეულების და ადათის ინსტიტუტებს (Uso y Costumbre) გააჩნდა საკვანძო მნიშვნელობა ალფონსო X-ის იურისტებისთვის სამართლის წყაროების მათ მიერ აგებული იერარქიისთვის.

ტერმინი „უზუსი“ როგორც ამას აღნიშნავს თავის მონოგრაფიაში სამართლის ისტორიის

¹ მისტიკით გატაცებული მეფისთვის რიცხვი 7 დიდი დატვირთვას ატარებდა. თითოეული ნაწილი კრებულის იწყება ერთ-ერთი იმ 7 ასოდან რომლისგანაც შედგება მეფის სახელი A-I-f-o-n-s-o ამასთან პირველი და ბოლო ასო განმარტებულია როგორც ალფა და ომეგა ანუ „დასაწყისი და დასასრული“

არგენტინელი მკვლევარი პაოლა მისელი არცერთხელ არ გამოყენებულა ძველი რომის სამართლებრივ ტექსტებში „ჩვეულების“ აღსანიშნავად, რომელიც ფლობდა აუცილებელ იურიდიულ ძალას (Miceli P. 2012: 28-29). ერთადერთი გამონაკლისი როგორც მკვლევარი აღნიშნავს არის იმპერატორ კონსტანტინე I-ის კონსტიტუციის ფრაგმენტი, შესული იუსტინიანეს კოდექსის შესაბამის თავში (Miceli P. 2012: 29).² ამ ტექსტში *Usus* გამოიყენება როგორც ტერმინ *Consuetudo*-ს სინონიმი, ხოლო ეს უკანასკნელი როგორც წესი იურიდიულ ლათინურში ადათის აღსანიშნავად გამოიყენება. ამან მკვლევრებს მისცა საფუძველი, რომ გამიჯნონ ეს ორი ტერმინი და ამტკიცონ, რომ ჩვეულება (*Usus*) არ წარმოადგენს თვითფასეულ სამართლებრივ ინსტიტუტს და ის არის მხოლოდ ადათის ანუ *consuetudo*-ს დაუსრულებელი ფორმა (მაგალითად იტალიელი ავტორი ბოვე). სხვები უზუსტეს აიგივებენ ცნებასთან - *mos* (წესი, წეს-ჩვეულება) და ამ გზით აკავშირებენ მას *consuetudo*-ს. (Morin A. Cucchi S. 1997: 107 - 121). მოცემული თვალსაზრისი პირველყოვლისა ეყრდნობა გრაციანის დეკრეტის პირველ ფრაგმენტს რომელშიც მოცემულია ისეთი ცნებების განსაზღვრებები როგორებიცაა, კანონი, ადათი და ა.შ. დეკრეტებში კი ეს განსაზღვრებები თავის მხრივ ნასესხები იყო „ისიდორე სევილიელის ეტიმოლოგიიდან (Garcia Gallo A. 1961: 133 - 141). რუსი მკვლევარი ალექსანდრე მარეის მტკიცებით პარტიდების ტექსტთან მიმართებაში არცერთი ზემოთმოყვანილი თვალსაზრისი არ შეიძლება კორექტულად მივიჩნიოთ, ვინაიდან აქ მოყვანილი ჩვეულების (*uso*) და ადათის (*costumbre*) კონცეფციები ძლიერ განსხვავდება როგორც გვიანანტიკური ისე ადრე შუასაუკუნეების ეპოქაში შემუშავებული ადათის თეორიისგან (Mapeñ A. 2014: 68).

პარტიდებში პირველყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ყურადღებას იპყრობს ჩვეულების, ადათის და ფუეროს გენეტიკური კავშირი, რაც ხაზგასმულია კანონმდებლის მიერ: „ისინი იბადება ერთი მეორისგან და შეიცავს თავისთავში ბუნებით სამართალს . . . და ისევე როგორც ასოებისგან იბადება სიტყვა, სიტყვისგან მეტყველების ნაწილები და მათგან კიდევ მეტყველება (არსი), ამდაგვარად დროიდან იბადება ჩვეულება, ჩვეულებიდან - ადათი და ადათიდან ფუერო“ (Partidas I.2. pr). ამრიგად აღნიშნულ ტრიადაში სამართლის სრულფასოვანი და დამოუკიდებელი წყარო არის მხოლოდ ფუერო – რომელიც ამგვარად ჩამწკრივებულ მეტაფორაში შეესაბამება არსს (*razon*) გაჩენილი სხვადასხვა მნიშვნელობის სიტყვების შეხამებისგან, მაშინ როცა ჩვეულება შეესაბამება სიტყვას (*verbo*) ხოლო ადათი – ნაწილს (*parte*). მაგრამ ეს სრულად არ შეესაბამება კასტილიელი ლეგისტების თვალსაზრისს რამდენადაც ადათი ფლობს, როგორც ამას ქვემოთ ვნახავთ, კანონის ძალას და შესაბამისად კანონის დამდგენ და კანონის გამაუქმებელ თვისებებს.

მიმართავს რა ჩვეულების (*uso*) გაჩენის პრობლემას (კანონი 1) კანონმდებელს მისი საწყისი ადამიანის სიტყვის და საქმისგან გამოჰყავს. ერთი შეხედვით ეს ეწინააღმდეგება იმავე კანონში გამოთქმულ აზრს, რომლის თანახმადაც ჩვეულება იქმნება დროისგან (*tiempo*). თუმცა ეს წინააღმდეგობა ქრება იმის მტკიცების ხარჯზე, რომ კანონმდებლის თანახმადაც ხალხის სიტყვის და საქმისგან ჩამოყალიბებულმა ჩვეულებამ უნდა იარსებოს დიდი დროის (*gran tiempo*) განმავლობაში, რომ მიიღოს სამართლის წყაროს ძალა (Partidas I.2.1).³ ცნება „დიდი დრო“ დაკონკრეტებულია განსახილველ თავში მხოლოდ ადათთან მიმართებით. იმისთვის, რომ ის ძალაში შევიდეს საჭიროა ვადა 10 დან 20 წლამდე (Partidas I. 2.5), მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ იგივე ვადები მოქმედებს ჩვეულებასთან მიმართებაშიც. ამრიგად როგორც ჩანს კანონმდებელი პარტიდებში იცავს ტრადიციულ თვალსაზრისს ჩვეულების ბუნებასთან დაკავშირებით, რომლის მიხედვით ჩვეულების ლეგიტიმაციისთვის საჭიროა მხოლოდ ხანგრძლივი დროის გასვლა.

შემდეგ კანონებში ეს სურათი იცვლება, ამჯერად ჩვეულების „შექმნაში“ ჩართულია სუბიექტურ ნებელობით ელემენტი. ჩვეულებასთან მიმართებაში კანონის ტექსტში

² *Consuetudinis usque longaevis non vilis auctoritas est, verum non usque adeo sui valitura momento, ut aut rationem vincat aut legem*

³ კანონის ორიგინალი ტექსტი: „*Uso es cosa que nasce de aquellas cosas que hombre dice e face, e sigue continuadamente por gran tiempo e sin embargo ninguno*”

გამოიყენებული კონსტრუქცია ლექსიკის დონეზეც კი განამტკიცებს აზრს იმის შესახებ, რომ ჩვეულება არა მხოლოდ იბადება და ვითარდება არამედ ის უნდა იყოს დადგენილი (Partidas I.2.2.). მსგავსი კონსტრუქცია როგორც წესი მოიაზრებს მოქმედების სუბიექტის არსებობას რომლის ობიექტი არის სწორედ ჩვეულება. მოცემულ სიტუაციაში ასეთი სუბიექტი არის სენიორი (სუვერენი) რომელიც ადგენს ჩვეულებას თავის ქვეშევრდომებისთვის ან მოიწონებს უკვე არსებულს და ამით აძლევს მას ძალას (Partidas I.2.3.). სენიორის ქვეშ ბუნებრივია მოიაზრება მხოლოდ და მხოლოდ მეფე რომელიც პარტიდების მიხედვით ექსკლუზიურად ფლობს სამართალშემოქმედებით პრივილეგიას (Partidas II.1.5-6).

ჩვეულების ამ სახით დალაგებულ იდეას - დადგენილი ან დამტკიცებული მეფის მიერ - ემატება კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვანი დეტალი. პირველ ყოვლისა ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ ჩვეულება უნდა დადგინდეს საყოველთაო სარგებლისთვის (pro comunal) „ჩვეულება უნდა დადგინდეს იმგვარად, რომ ემსახუროს საყოველთაო სარგებელს და არ მოიტანოს ზიანი. და ის არ უნდა დადგინდეს არც მოტყუებით არც ფარულად, არამედ ისე რომ ის იყოს ცნობილი და ახარებდეს გონიერ და სამართლის მცოდნე ხალხს“ (Partidas I.2.2). ეს კონცეპტი ექვგარეშე უნდა ვაღიაროთ ალფონსო X-ს მთელი პოლიტიკური და სამართლებრივი თეორიისთვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესად. სწორედ საყოველთაო სარგებლით აიხსნება მთელი სამართლის არსებობის მიზანი, მისით საბუთდება კანონის ცნება და ბოლოს სწორედ მისი არსებობით და დაცვით განისაზღვრება სამეფო მმართველობის ხარისხი. პრინციპში ეს საერთოა მთელი „ius commune“-ს იდეოლოგიური და სამართლებრივი სისტემისთვის, რომელიც დამყარებულია არისტოტელეს ფილოსოფიურ მემკვიდრეობაზე და რომის სამართლის პრინციპებზე ამდენად ამაში არაფერია ორიგინალური. მაგრამ ორიგინალურს მოცემულ მომენტში წარმოადგენს ის, რომ ჩვეულება და შესაბამისად ადათი ასევე საყოველთაო სარგებელს „ემორჩილება“ და შესაბამისად დგება სამართლის წყაროების ერთიან იერარქიაში მეფის კანონებთან ერთად.

ბოლოს ჩვეულების სამართლის წყაროს სისტემაში ჩართვა გამყარებულია იმითაც, რომ მან შეიძლება მიიღოს სამართლის ძალა მხოლოდ იქნება რა განხილული და დამტკიცებული „გონიერი და სამართლის მცოდნე“ ხალხის მიერ, ანუ მეფის იურისტების მიერ. ამასთან ცნებას ასე ახლავს ემოციური კომპონენტი: მიუხედავად იურისტებს შორის განხილვის და მეფის მხრიდან დამტკიცების აუცილებლობისა რაზედაც იყო საუბარი, ჩვეულების მთავარ ძალას და მთავარ არსს ალფონსო X-ის ლეგისტები ხედავდნენ იმაში, რომ ხალხი მიყვება მას და ხალხს უყვარს იგი (Partidas I.2.7). თუ რომელიმე ჩვეულება არ იწვევს ხალხში დადებით გრძნობებს ის მალე ქრება და წყვეტს თავის არსებობას. იმ შემთხვევაში თუ ჩვეულება მოსწონს ხალხს და იყენებს მას დიდი ხნის მანძილზე ის გადაიქცევა ადათად (costumbre) და ამით გადადის თავისი განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე.

ადათი ალფონსო X-ის იურისტების მიერ განისაზღვრება როგორც „სამართალი ან ფუერო რომელიც არაა ჩაწერილი, რომლითაც ხალხი ხელმძღვანელობდა დიდი ხნის განმავლობაში, ეყრდნობოდა მას სხვადასხვა საქმესა და გარემოებაში“ (Partidas I.2.4). ჩვეულების და ადათის განმასხვავებელი ნათლად ფორმულირებული კრიტერიუმების არარსებობის პირობებში ეს განსაზღვრება ადგენს მკაფიო საზღვრებს ჩვეულებას და ადათს შორის. ჩვეულება პარტიდებში არასდროს სახელდება როგორც სამართალი, თუმცა მისგან შეიძლება გამომდინარეობდეს სამართლებრივი ქცევის ნორმები, მაშინ როცა ადათი უკვე წარმოადგენს სამართალს, მას სხვა სამართლებრივი ნორმებისგან განსხვავებს მხოლოდ ზეპირი ფორმა.

ადათის „დაწესების“ პროცედურათა რეგლამენტაციისას ალფონსო X-ის იურისტებმა რომაელი იურისტებისგან განსხვავებით, რომლებიც ადათის სამართლის წყაროდ აღიარებისთვის მხოლოდ ერთ კრიტერიუმს - ხანგრძლივობას - ასახელებენ (ადათი უნდა იყოს ძველი *consuetudo inveterata*) ჩამოაყალიბეს ოთხი კრიტერიუმი. პირველი - ადათმა უნდა გააერთიანოს ან მთელი ხალხი ან მისი დიდი ნაწილი, მეორე - მისი „ასაკი“ უნდა გაიზომოს 10 ან 20 წლით, მესამე - ის უნდა დადასტურდეს როგორც მინიმუმ ორი სასამართლო გადაწყვეტილებით, საჯაროდ, აღნიშნული ვადის განმავლობაში, მეოთხე - მეფემ ის უნდა

დაამტკიცოს ან უკიდურეს შემთხვევაში არ გამოვიდეს მის წინააღმდეგ (Partidas I.2.5). სხვა მოთხოვნები ადათისადმი ემთხვევა ანალოგიურ მოთხოვნებს რომელიც წაეყენება ჩვეულებას. ადათი უნდა დადგენილიყო ხანგრძლივი და სერიოზული განხილვის შემდეგ, ის არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ბუნებით სამართალს, სამეფოს საყოველთაო სარგებელს, სუვერენის ხელისუფლებას, წმინდა წერილის ნორმებს (Partidas I.2.5). აღნიშნული კრიტერიუმების განხილვისას პირველყოვლისა ყურადღება უნდა მიექცეს ცნებას ხალხი (pueblo), რომელმაც უნდა გამოხატოს თავისი ნება და გამოიყენოს ადათი ხანგრძლივი დროის განმავლობაში. ეს ცნება ალფონსო X-ის მიერ აგებული ყველა პოლიტიკურ სამართლებრივი კონცეფციისთვის პრინციპული მნიშვნელობისაა. უბრუნდება რა რამდენიმეჯერ ხალხის თემას კასტილიელი კანონმდებელი ხაზს უსვამდა მის ორგანულ კავშირს მეფესთან, რა დროსაც ხალხი წარმოადგენს სხეულს, ხოლო მეფე თავს, გულს და სულს (Partidas II.1.5). ამასთან პარტიდების ტექსტში მოცემულია „ხალხის“ ორი პირდაპირი განსაზღვრება, რომლის მიხედვითაც ის წარმოადგენს სამეფოს მთელი მცხოვრებლების გაერთიანებას მიუხედავად სქესის, ასაკის, ქონებრივი ან სოციალური სტატუსისა. ორჯერ, კრებულში უბრუნდებიან რა ამ ცნების განსაზღვრებას (Partidas I.2.5, Partidas II.10.1), ალფონსოს იურისტები პირველ შემთხვევაში აქცენტს აკეთებს იმაზე, რომ ხალხში მოიაზრება როგორც მამაკაცები ისე ქალები, როგორც საერო ისე სასულიერო პირები. მეორეში ცალკე მითითებულია, რომ ხალხი აერთიანებს ადამიანებს სხვადასხვაგვარი ქონებრივი შესაძლებლობით ღარიბიდან მდიდრამდე (Partidas I.2.5; Partidas II.10.1). პარტიდების აღნიშნულ ფრაგმენტებში ხალხის ნება პირდაპირ არაა ნახსენები, მაგრამ როგორც მკვლევარი ალექსანდრე მარეი აღნიშნავს ამ შემთხვევაში ეს ზედმეტია (Mapeñ A. 2014: 75). ასევე უნდა შევჩერდეთ მეფის თანხმობაზე რომელიც ადათის ლეგიტიმაციისთვის მნიშვნელოვანია. როგორც ჩვეულების შემთხვევაში მეფის თანხმობა ადათს რთავდა სამართლის წყაროების იერარქიაში და მეტიც ადასტურებდა იდეოლოგიკურ მეფის და ხალხის ორგანული ნათესაობისა. მხოლოდ მეფეს ესმის და გულთან ახლოს მიაქვს რა თავისი ხალხის გასაჭირი თუ სურვილი, შეუძლია დაამკვიდროს ახალი ადათი ან შეცვალოს ძველი, ისევე როგორც მას შეეძლია გამოსცეს ახალი კანონები ან გააუქმოს უკვე არსებული. სავარაუდოდ სწორედ მეფის უფლებამოსილება რომელიც საშუალებას აძლევს დაადგინოს და გააუქმოს არა მხოლოდ კანონები არამედ ადათები დაფიქსირებულია მეორე პარტიდის ცნობილ ფორმულაში რომლის თანახმადაც მეფე იკავებს ღმერთის ადგილს იმისთვის, რომ ქმნას მართლმსაჯულება და სამართალი სამეფოში (Partidas II.1.7).

პარტიდებში რეგლამენტირებული ადათის ფუნქციების საკითხთან დაკავშირებით შეიძლება აღინიშნოს რამდენიმე მნიშვნელოვანი მომენტი. პირველი სწორად დადგენილ ადათს რომელიც არ ეწინააღმდეგება ბუნებით სამართალს და წმინდა წერილის კანონებს, შეეძლო გაეუქმებინა მასზე ადრე გამოცემული კანონი (Partidas I.1.6). ამასთან ავტორები ანსხვავებენ ადათებს: საერთო (generales) რომელიც აერთიანებს მთელ სამეფოს და კერძო (speciales) რომელიც გამოიყენება რომელიმე ცალკეულ პროვინციაში. ამ გაყოფის შესაბამისად აღინიშნება, რომ საერთო ადათს შეუძლია შეცვალოს კანონი მაშინ როცა კერძო ადათს შეუძლია მხოლოდ შეაჩეროს მოქმედება ამა თუ იმ აქტის მოცემული ადათის გავრცელების ტერიტორიაზე. ასევე ცალკე კეთდება აქცენტი იმაზე, რომ ადათს შეუძლია შეცვალოს მხოლოდ კანონები გამოცემული მის დადგენამდე, მაშინ როცა მოცემული ადათის გაჩენის შემდეგ გამოცემული და დამტკიცებული კანონების შეცვლა მას უკვე არ შეუძლია, პირიქით შეიძლება თვითონ იქნეს შეცვლილი მათი დახმარებით (Partidas I.1.6).

სამართლის გამაუქმებელი ფუნქციის გარდა ადათი კასტილიელი ლეგისტების თანახმად ფლობს სამართლის დამდგენ ფუნქციასაც. მოქმედ კანონმდებლობაში ხარვეზის შემთხვევაში გაწერილი იყო დავების გადაწყვეტა ადათის საფუძველზე, რომელსაც ამასთან აქვს კანონის ძალა (Partidas I.1.6). ბოლოს ადათის მესამე ფუნქცია რომელიც გამოყოფილია იურისტების მიერ ეს არის სამართლის განმარტება. ადათს კრებულის შემდგენელთა თანახმად შეუძლია განმარტოს კანონი („interpretar las leyes“) იმ შემთხვევაში როცა ჩნდება ეჭვი თუ როგორ უნდა იყოს გამოყენებული.

ადათის შეცვლა პარტიდების მიხედვით შეეძლო მხოლოდ სამეფოს სენიორს, რომელსაც

ამ მიზნის მისაღწევად ორი მექანიზმი გააჩნდა: ან დაედგინა ახალი ადათი რომელიც ეწინააღმდეგებოდა ძველს, ან გამოეცა კანონი ან ფუერო რომელიც იმეორებს ძველ ადათს ან ეწინააღმდეგება მას. ამ შემთხვევაში ადათი უდავოდ იცვლებოდა რამდენადაც ახალ დადგენილებას ჰქონდა პრიორიტეტი ძველზე. სახასიათოა, რომ სამეფო იურისტებმა მეფეს დაუმტკიცეს არა მხოლოდ და არა იმდენად ადათის დადგენის უფლება (ის შეიძლებოდა დადგენილიყო მათ შორის სენიორის პასიური თანხმობით რაიმე აქტიური მოქმედების გარეშე) რამდენადაც მისი გაუქმების უფლება, რითაც სამეფოს მთელ ადათობრივ სამართალს მონარქის კონტროლ ქვეშ აყენებდა.

ლიტერატურა:

1. История Испании, Том 1, С древнейших времен до конца XVII века (2012). Москва.
2. Марей А. (2014): Обыкновение и обычай в кастильской правовой доктрине XIII в.//„Aequum ius”, Москва.
3. Ballesteros y Beretta A. (1922): Historia de España y su influencia en la Historia Universal. V3. Barcelona.
4. [Bernal](#) Sánchez-Arcilla J. (2008-2009): La "teoría de la ley" en la obra legislativa de Alfonso X el Sabio//„[Alcanate: Revista de estudios Alfonsíes](#)”, N°. 6. 81-123
5. Craddock J. (1990): The Legislative Works of Alfonso el Sabio // „Emperor of Culture: Alfonso X the learned of Castile and his Thirteenth-Century Renaissance”. Philadelphia, 182 - 197
6. Garcia Gallo A. (1961): San Isidoro, jurista // „Isidoriana”. Estudios sobre San Isidoro de Sevilla en el XIV Centenario de su nacimiento. Leon, 133 - 141
7. Gonzales Jimenez M., (2004): Alfonso el Sabio, Barcelona.
8. Las Siete Partidas del muy noble rey Don Alfonso el Sabio / glosadas por Gregorio López. Volume 1. Madrid, 1843
9. Miceli P. (2012): Derecho consuetudinario y memoria. Practica juridica y costumbre en Castilla y Leon (siglos XI- XIV). Madrid
10. Morin A., Cucchi S. (1997): El tratamiento de la costumbre en la Primera Partida de Alfonso El Sabio // „Anales de Historia Antigua y Medieval”, No. 30, 107 – 121
11. Sanchez Perez Jose A. (1935): Alfonso X el Sabio. Madrid.
12. Schiller Arthur A. (1978): Roman Law. Mouton Publishers.

Some theoretical issues of law according to Alfonso X's Siete Partidas

Gogenia Zaal

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Tbilisi

Abstract

The statutory code "Siete Partidas" (Seven Parts) is one of the most important national legal monuments of the Middle Ages. It was created by order and with the direct participation of King Alfonso X of Castile. The „Partidas” united all branches of law existing at that time. Essentially, the collection represented a giant legal encyclopedia, and the information provided here satisfied absolutely all the interests of the legists of that time.

The 13th century is known as the period of "Rapid Reconquest". Military successes and the political rise of the Kingdom of Castile required corresponding steps in the field of legislation. The legislative activity of Alfonso X was extremely active precisely because it was carried out as a cardinal reorganization of the entire system of political and social relations of the kingdom in accordance with the principles of the highest welfare. He steadily moved towards the unification of the law, although legal opinion far outstripped legal practice.

The structure of the „Siete Partidas”, as the name suggests, consists of seven parts and is arranged according to the thematic principle. Part (Partida) is divided into chapters (Title) which in

turn consists with laws (norms).

The second chapter of the first part provides a three-part classification of social norms. At the lowest level in this scheme is the tradition (Uso), followed by the custom (Costumbre) and is performed by the Fuero. The institutions of „Uso” and „Costumbre” were of key importance to the jurists of Alfonso X for the hierarchy of sources of law they constructed.

First of all, it should be noted in the Partidas that the genetic connection of Tradition, Custom and Fuero attract attention, which is also emphasized by the legislator. Fuero is the only full-fledged and independent source of law in the mentioned triad. An element of subjective negligence is included in the "creation" of custom. It is prescribed by a senior or approves of an existing one. Added to this is the detail that the custom must be established for the common prosperity, which generally redlines the legislative activity of Alfonso the Wise.

„Uso” in Partidas is never named as law, although norms of legal behavior can be derived from it, while „Costumbre” already represents law, it is distinguished from other legal norms only by its oral form.

Key words: Statutory Code, law, Tradition, Custom, Alfonso X, Castile

ჩრდილო კავკასიელთა კულტურა და ყოფითი ასპექტები XIII-XV საუკუნეებში

გუმაშვილი ზაურ

იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი

DOI: <https://doi.org/10.52340/idw.2023.13>

აბსტრაქტი. XIII-XV საუკუნეებში ჩრდილო კავკასიის ხალხების კულტურა და ყოფითი მომენტები მრავალგვარი და მრავალფეროვანია. ამ პერიოდისათვის ყველაზე მსხვილ დასახლებულ პუნქტებს წარმოადგენდნენ ქალაქები: მაჟარი, ტიუმენი, ზემო და ქვემო ჯულათი და სხვა. აღნიშნული საკითხის შესწავლისას განსაკუთრებული აქცენტი არის გაკეთებული საცხოვრებელი პირობების, გადაადგილების საშუალებების, იარაღისა და ჩაცმულობის კულტურის თაობაზე, რომელთა შესახებაც გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალები.

აღსანიშნავია, რომ ძალზე მწირია მონაცემები ჩრდილო კავკასიელი ხალხების ოჯახური და საზოგადოებრივი ყოფის შესწავლის მიმართულებით. თუმცა ის შედარებით მცირე, მაგრამ ფრაგმენტული მონაცემები გვაძლევს საშუალებას გარკვეული წარმოდგენა შეგვექმნას შესასწავლი პერიოდის საყოფაცხოვრებო ასპექტების თაობაზე. შედარებით ნათელ სურათს გვაძლევს ჩრდილო კავკასიის ხალხების დასავლეთით მცხოვრები მოსახლეობის შესახებ არსებული მასალები, რომლებიც იძლევა დასკვნების გაკეთების საშუალებას ამ მხარეში ოჯახის შექმნის ტრადიციულ მომენტებზე, სტუმრის მიღებასა და მისდამი პატივისცემის გამოხატვის, ასევე, ზოგიერთ შემთხვევებში სტუმრისადმი თავის გაწირვის შემთხვევებზეც კი.

ამას გარდა, საინტერესოა ოჯახური თანაცხოვრებისა და დაკრძალვის ტრადიციები, რომლებიც ჩრდილო კავკასიის სხვადასხვა მხარეში აშკარად განსხვავებული იყო.

საკვანძო სიტყვები: ჩრდილო კავკასია, ოჯახური ყოფა, ტრადიციები, საცხოვრებელი პირობები, არქეოლოგიური წყაროები.

ჩრდილო კავკასიის ყველაზე მსხვილ დასახლებულ პუნქტებს XIII-XV საუკუნეებში წარმოადგენდნენ ქალაქები: მაჟარი, ტიუმენი, ზემო და ქვემო ჯულათი და სხვა. ჩრდილო კავკასიელთა საცხოვრებლები არ იყო ერთგვაროვანი. კავკასიის აღმოსავლეთ და ცენტრალურ ზონაში მშენებლობის ყველაზე გავრცელებულ მასალას წარმოადგენდა ქვა, მთისწინა მხარეში აგური, ხოლო დასავლეთ კავკასიაში ან თიხით შელესილი კარკასი, ან კიდევ გათლილი ხე-მასალა.

ჩრდილო კავკასიაში საცხოვრებელი სახლები იყო სწორკუთხოვანი გეგმით აშენებული, რომლებიც შედგებოდა რამდენიმე ოთახისგან, მიწური იატაკებით. აღმოსავლეთ და ცენტრალურ კავკასიაში სახურავები იყო თიხამიწით შელესილი-დახურული, ხოლო დასავლეთით სხვადასხვა მცენარეები გამოიყენებოდა სახურავად. იატაკში ამოშენებული იყო ორმოები მარცვლეულის შესანახად. ოთახის ცენტრალურ ნაწილში მოწყობილი იყო ცეცხლის დასანთები, ხოლო დაღესტანში ზოგან ამ მიზნით გამოყენებული იყო კედელთან მიშენებული ღუმელი.

ჩვენამდე მოღწეული მონაცემებით ჩრდილო კავკასიის აღმოსავლეთით გამოიყენებოდა სასანთლე შანდლები, სკივრები, აკვნები ბავშვებისთვის, ხალიჩები, მუთაქები, გადასაფარებლები, ხის ჩაიდნები, სპილენძის ან ფაიფურის ჭურჭელი, ქვის ტაფები, ხელის

ნამგლები, მაკრატლები, დანები, დიდი ჩანგლები ქილიდან ხორცის ამოსაღებად და მრავალი სხვა საჭირო ნივთი.

ტრანსპორტი. ჩრდილო კავკასიის ხალხთა გადაადგილების ძირითად საშუალებად გამოიყენებოდა ურემი, რომელშიც შებმული იყო ხარები ან კამეჩები. მალღვივად გადაადგილებისათვის გამოყენება ხდებოდა ცხენის ან აქლემის, ზოგიერთი მკვლევარის აზრით ჩრდილო კავკასიის მთიელები, როგორც მონღოლ-თათრები არ ნალავდნენ ცხენებს.

ზოგიერთი მონაცემის თანახმად ცხენის იმჟამინდელი აღჭურვილობა რამდენადმე განსხვავდებოდა წინამორბედისაგან. ცნობილია, აგრეთვე, რომ ოქროს ურდოში მნიშვნელოვან მაგისტრალზე ორგანიზებული იყო საფოსტო სამსახურები. ამ თვალსაზრისით გამონაკლისი არც ჩრდილო კავკასია იყო. საფოსტო სამსახური, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ორგანიზებული იყო დერბენტში.

შავი ზღვის, აზოვის ზღვის და კასპიის ზღვის სანაპიროებზე მოძრაობდნენ პატარა ზომის იალქნიანი გემები, რომელთა მფლობელები იყვნენ არა მარტო უცხოელები, არამედ ადგილობრივებიც. ჩვენამდე მოაღწია ცნობებმა ადიღეელთა არაერთი თავდასხმის შესახებ გენუელთა გემებზე შავ ზღვაში და მათ შორის გამართული საზღვაო შეტაკების შესახებ. დერბენტშიც იყო პატარა გემები, რომლებიც ასტრახანში მიემართებოდნენ სავაჭრო მიზნებით.

იარაღი და ჩაცმულობა. XIII-XV საუკუნეებში ჩრდილო კავკასიის მთიელთა ჩაცმულობაზე გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის არა მარტო მოგზაურთა გადმოცემები, არამედ შემორჩენილი სკულპტურული ძეგლები, ფრესკები და არქეოლოგიური მონაპოვრები.

იმ დროის თანამედროვენი ამტკიცებენ, რომ ადიღეთა მამაკაცები, მაღალი ჩამომავლობის გარდა არ ატარებდნენ ძვირფასი ძაფისგან მოქსოვილ ტანსაცმელს. მაგრამ „მდიდრულ“ სამარხებში ქალაქ ბელორეჩენსკის მახლობლად იმ დროის კაბის ნაკვალევს მიაკვლიეს, რომელიც მოქსოვილია ძალზე წვრილი ძაფით. შესაკრავად გამოყენებულია პატარა ღილები. შიდა კაბის ზემოდან ორივე სქესის წარმომადგენელთა სამარხებში ნაპოვნი მუხლებამდე ჩამავალი მოკლე ბეშმეტები (ზედა ჩასაცმელი). ეს ბეშმეტები შესაძლოა ყოფილიყო ამ პერიოდის სადღესასწაულო ჩასაცმელი, რადგანაც არც თუ იშვიათად ხდებოდა მათი ქსოვა აბრეშუმის ძაფისგან, ოქროს ან ვერცხლის ღილებით.

ასეთივე ბეშმეტები მოპოვებულია XIV-XVII საუკუნეების ყაზარდოულ სამარხებში დასახლება ზმეისკოეს მახლობლად. ზოგიერთ სამარხში ბელორეჩენსკის ყორღანებში ბეშმეტებს ზემოდან ჩაცმულები იყვნენ ხალათებში. ამავე ყორღანებში ზოგიერთ სამარხებში, რომლებიც მდებარეობთ სქესის წარმომადგენლებს ეკუთვნოდათ, აღმოჩენილია გარეული თხის ქურქის ნარჩენები.

ყარაჩაიში მიკვლეულია ბავშვების ნაქსოვი ხელთათმანები, რომლებიც თარიღდება XIV-XV საუკუნეებით, ხოლო ჩეჩნეთში იმავე პერიოდის ზამთრის ფეხსაცმელები, სამწუხაროდ სხვა ჩრდილოკავკასიელ ხალხთა ჩაცმულობის შესახებ მონაცემები უმნიშვნელოა. არსებობს მხოლოდ ის მონაცემები, რომლებიც საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ იმის შესახებ, თუ რა მასალა იქნა გამოყენებული ამა თუ იმ ტანსაცმლის მოქსოვის დროს. მომზადებული ტანსაცმლის შესაქმნელად ხდებოდა ადგილობრივი წარმოების მასალის გამოყენება - ძაფის, ტყავის და სხვა.

ოჯახური და საზოგადოებრივი ყოფითი მომენტები. სამწუხაროდ ჩრდილო კავკასიის ხალხთა ოჯახური და საზოგადოებრივი ყოფის ამსახველი მონაცემები არც თუ მრავალრიცხოვანია. ის უფრო ფრაგმენტულია და მიეკუთვნება უპირატესად ჩრდილო დასავლეთ მხარეს.

გამუდმებული და დაუსრულებელი ურთიერთთავდასხმები და გარეშე მტრების შემოსევები თითოეული მთიელისაგან მოითხოვდა მუდმივ საბრძოლო მზადყოფნას. გ. ინტერიანოს ცნობით ადიღეთა ფეოდალები იძინებენ იარაღთან ერთდ. ხშირად მაღალი ფენის წარმომადგენლები ორგანიზებას უკეთებდნენ მეზობლებზე თავდასხმებს, ტყვეებად მიჰყავდათ გლეხები, ხოლო შემდეგ ჰყიდდნენ მათ ზღვისიქითა ვაჭრებზე, სამუდამო მონობისთვის. განსაკუთრებით ბევრი მონები გაჰყავთათ ქალაქ ქაიროში, ეგვიპტეში, სადაც როგორც ზემოთ აღვნიშნა, ისინი ავსებდნენ სულთანის გვარდიის შემადგენლობას (მამლუქები). ასეთივე მუდმივ საბრძოლო მზადყოფნაში იმყოფებოდნენ ჩრდილო კავკასიის სხვა ხალხებიც (მამაკაცები).

ჩრდილო კავკასიელი მთიელების მკვეთრად გამორჩეულ დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენდა პიროვნული გულუხვობა და სტუმრის მაღალი კულტი, რომელიც თითოეულ მთიელს თავის ვალდებულებად მიაჩნდა არა მხოლოდ თავისი თანატომელის ან ნათესავის მიმართ, არამედ უცხო ტომელის მიმართაც. ამის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს მთიელი მმართველის ფულადის მიერ 1395 წელს თემურ ლენგის მიერ გაგზავნილი ელჩებისადმი გაცემული პასუხი, რომელიც ეხებოდა ოქროს ურდოს ერთ-ერთი სამხედრო სარდლის უდურკუ პულახის მათთვის გადაცემას. არ შეუშინდა რა მოსალოდნელ შედეგს, მან კატეგორიული უარი განუცხადა მათ: „უდურკუმ ჩვენთან მომეხნა მყუდრო ადგილი, სანამ პირში სული მიდგას მე ვერ გავცემ მას და ამ სულისგან სანამ ერთი ამოსუნთქვაც შემეძლება, მე დავიცამ მას“. როგორც ჩვენ ზემოთ ვნახეთ, მან თავისი სიტყვა შეასრულა.

ჩრდილო კავკასიის თითქმის ყველა ხალხი მისდევდა მრავალცოლიანობას. აქ გამონაკლისს არ წარმოადგენდა არც მოსახლეობის ის ნაწილი, რომლებიც ეწეოდნენ ქრისტიანულ აღმსარებლობას. XIII საუკუნის 30-იანი წლების შუა ხანებისათვის ტამანის ნახევარკუნძულზე ადიღეთა ფეოდალთან სტუმრად მყოფი იულიანი ამბობს, რომ იმ პერიოდისათვის ფეოდალს 100 ცოლი ჰყავდა. მაგალითად ადიღეებში არსებობდა ტრადიცია ლევირატისა, რაც იმას ნიშნავდა, რომ თუ კი ქალი დაქვრივდებოდა, მაშინ იგი ხდებოდა უფროსი მაზლის მეუღლე. საკმაოდ რთული და სხვადასხვანაირი იყო ქორწილის პროცესი. აუცილებელ მოთხოვნად რჩებოდა, რომ საპატარძლო ყოფილიყო „სუფთა ქალიშვილი“, წინააღმდეგ შემთხვევაში ქორწინება არშემდგარად ითვლებოდა. ქალის მშობლებისთვის ეს დიდი დამცირება იყო და ისინი ვალდებულები იყვნენ უკან დაებრუნებინათ თავიანთი ქალიშვილი. შემდგომ რელიგიური მესვეურები და ავტორიტეტული ადამიანები ცდილობდნენ მოეგვარებინათ საქმე. ისინი სთხოვენ საქმროს მშობლებს, რათა მათ მოუწოდონ და ჰკითხონ თავიანთ ვაჟს, რომ თანახმაა თუ არა იგი, რომ აღნიშნული გოგო დარჩეს მის მეუღლედ. დადებითი პასუხის შემთხვევაში ამ საქმეში მონაწილე ადამიანებს მოჰყავთ საპატარძლო საქმროს ოჯახში. „წინააღმდეგ შემთხვევაში ახდენენ მათ გაყრას და საქმრო ვალდებულია დაუბრუნოს ქალს მზითევი, ამასთანავე საპატარძლო უბრუნებს მას საქორწილო კაბას და სხვა ნაჩუქარ ძვირფასეულობას. ყოველივე ამის შემდეგ მხარეებს შეუძლიათ შეუდგნენ ახალი ქორწინებისათვის მოქმედებას“.

ადიღელი ქალები ახლად დაბადებულ ბავშვს მთავრებინებენ მდინარესთან და აბანავებენ მასში, ყურადღებას არ აქცევენ ყინვას ან სიცივეს. ახლად დაბადებულს არქმევენ იმ გარემო პიროვნების სახელს, ვინც მისი დაბადების შემდეგ პირველი შემოდგამს ოჯახში ფეხს. და თუ ის ბერძენია, ან სხვა საზღვარგარეთულ სახელს ატარებს, ყოველთვის მის სახელს ამატებენ „უკს“. მაგალითად: პეტრო - პეტრუკი.

XIV-XV საუკუნეების ჩრდილო კავკასიის ხალხებში განსხვავებული იყო დაკრძალვის მომენტები. აღნიშნული პერიოდისათვის დამახასიათებელია განსხვავებულ დაკრძალვებთან ერთად უბრალო გრუნტი დაკრძალვები როგორც სტეპებში, ასევე მთიან მხარეში მთელი ჩრდილო კავკასიის გაყოლებით. ამას გარდა, დაღესტანში და ცენტრალური კავკასიის მთიან ზოლში რამდენადმე გავრცელებული იყო დასაფლავება ქვის ყუთებში, ასევე ცენტრალური კავკასიის მთიანეთში გვხვდება გვიანალანური კატაკომბური დაკრძალვები. სტეპურ ზოლში, რომელსაც ფლობდნენ ნოღაელები და ასევე დაღესტნის მთიან ნაწილსა და ცენტრალურ კავკასიაში გვხვდება მიწისქვეშა და ნახევრად მიწისქვეშა სარდაფები და მავზოლეუმები. ასეთი დიდი და მნიშვნელოვანი განსხვავებები ნათლად მიგვითითებს დაკრძალვის რიტუალების სხვადასხვაობაზე ჩრდილო კავკასიის რეგიონში მცხოვრებ ხალხთა შორის. ამიტომაც, ერთი რომელიმე ხალხისათვის დამახასიათებელი ტრადიციის გავრცელება სხვა ჩრდილო კავკასიელთა მიმართაც ყოველად დაუშვებელია.

სახვითი ხელოვნება. XIII-XV საუკუნეებში ჩრდილო კავკასიაში შემდგომი განვითარება ჰპოვა სახვითმა ხელოვნებამ, ხეზე და ქვაზე ჭედურმა გამოსახვამ, მხატვრულმა კერამიკამ, მეტალის მხატვრული ფორმებით დამუშავებამ, სხვადასხვაგვარი გაფორმებით ხალიჩებისა და ფარდაგების დამზადებამ და სხვა.

აღსანიშნავია, რომ დაღესტანში ასეთმა ჭედურმა და სახვითმა ხელოვნებამ

განსაკუთრებულ მაღალ მხატვრულ სიმაღლეებს მიაღწია მეტალისგან დამზადებულმა ჭურჭელმა, საბრძოლო იარაღმა, ძვირფასეულობამ, რომლებიც დამზადებული იყო დარგოელთა სოფელ ქუბაჩის სახელოსნოებში საიუველირო ხელოვნების მწვერვალებს მიაღწია და საყოველთაო აღფრთოვანება გამოიწვია. დაღესტნის, ცენტრალური კავკასიისა და ყუბანისიქითა მხარის კერამიკული ხელოვნება გამოირჩეოდა ფერთა მრავალფეროვნებითა და შეხამებით. დაღესტნისა და ნაწილობრივ ვაინახთა ხის არქიტექტურული ძეგლების დეტალები, ასევე ხის ჭურჭელი გაფორმებული იყო გეომეტრიული ფორმებით. ასეთთა შორის განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ თაბასარანისა და აგულის მეჩეთები.

ჭედური და რელიეფური გამოსახულებები კედლებზე (ადამიანების, ცხოველების და სხვა) გვხვდება ჩრდილო ოსეთში, ჩეჩნეთსა და ინგუშეთში.

XIII-XV საუკუნეებში ჩრდილო კავკასიაში ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს მრავალი არქიტექტურული ძეგლის დასრულებისათვის. ციხე-სიმაგრეებისა და საბრძოლო კოშკების უმრავლესობა ცენტრალურ კავკასიასა და აღმოსავლეთ კავკასიაში აშენებულია ამ პერიოდში. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულად გამოირჩევა ინგუშეთი, სადაც კოშკების კომპლექსები, ე.ი. კოშკების დიდი პანთეონია შემორჩენილი: პილინგი, ერზი, ბარახი, თარგიმი და სხვა. ასეთივე კომპლექსები შემორჩენილია ჩეჩნეთსა და დაღესტანში. ამას გარდა, მიმდინარეობდა დიდი რაოდენობით მეჩეთების მშენებლობა (სოფლებში - წახურში, მიშელეგში, რუტულში, ქუბაჩში, მიკრახში; ქალაქებში - ხამიში, ხიეჯში, ხუნდახში, დერბენტში, სამხრეთ ჯულათში, მაჯარში).

შესაძლოა ითქვას, რომ თავისებურ არქიტექტურულ ძეგლებად იქცნენ მავზოლეუმები და სარდაფები. XIV საუკუნეში აშენებული იქნა მავზოლეუმი მაჯარში და ესენტუკის მახლობლად. ჩვენამდე მოღწეული სულთან-ბეგის მავზოლეუმი, ასევე, ინგუშეთის სოფელ პლიევოში თარიღდება 1405-1406 წლებით. სხვა ასეთივე მავზოლეუმი, რომელიც ეკუთვნოდა შეიხ ჯუნეი-და ას-სეფევის აშენებულია 1544-1545 წლებში. იგი მდებარეობს ლეზგინთა სოფელ ხაზრიში. ყველა მავზოლეუმს აქვს კვადრატული ან მრავალკუთხოვანი საძირკველი, რომლის ანალოგი მოიძებნა შუა და წინა აზიაში. რამდენადმე განსხვავებული ტიპის მავზოლეუმ-სარდაფი ჰქონდათ ცენტრალური კავკასიის მთიელებს. მათ შორის ძირითადი განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ კარების ნაცვლად მათ გააჩნდათ ფანჯარა. ასეთი მავზოლეუმების გავრცელების შემთხვევები სხვაგან არ გვხვდება.

ხალხური ზეპირსიტყვიერება. ჩრდილო კავკასიის ხალხებმა შექმნეს ხალხური ზეპირსიტყვიერებისა და მუსიკალური ფოლკლორის მრავალფეროვანი ნაწარმოებები. არც ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა არ მიმდინარეობდა მუსიკისა და ცეკვის გარეშე. არსებობს პერიოდულად წყვეტილი, მაგრამ მაინც უცილობლად ფაქტობრივი მონაცემები ჩრდილო კავკასიის ხალხთა ხალხური ხელოვნების შესახებ. ისტორიკოსების ერთი ნაწილი მოგვითხრობს ადიღეთა ცეკვების შესახებ. ჩეჩნეთის სოფელ სოვეტსკოესთან სამარხში აღმოჩენილ იქნა ზურნის მსგავსი მუსიკალური საკრავი საშუალების ნარჩენები, ე.ი. სალამური (ზ.გ). შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ასეთი სახის ინსტრუმენტები გავრცელებული იყო ჩრდილო კავკასიის სხვა რაიონებშიც. ამ დროის ჩრდილო კავკასიის თითქმის ყველა ხალხში გავრცელებული იყო ნართების ეპოსი, რომელიც წარმოადგენს ჩრდილო კავკასიის ხალხების მიერ შექმნილ მსოფლიო კულტურის უძვირფასეს საგანძურს. შეიძლება დადასტურებით ითქვას, რომ XII-XIV საუკუნეებში ნართების სიმღერები კი არ ჩაკვდა და ისტორიის კუთვნილებად გადაიქცა, პირიქით, მათ თანამედროვე საზოგადოების გარემოცვაში ახალი შინაარსი შეიძინეს. ჩრდილო კავკასიის თითქმის ყველა კუთხეში არსებობდა განუსაზღვრელი რაოდენობის თქმულებები, რომლებიც მოგვითხრობენ ხალხთა წარმოშობის შესახებ, რომლის დროსაც პირველწინაპრის როლში გვევლინება გმირი პერსონა. ამ ლეგენდებსა და თქმულებებში გადმოცემულია ჩრდილო კავკასიელთა გმირობების შესახებ, მათი გმირული ბრძოლის შესახებ დამპყრობთა წინააღმდეგ. განსაკუთრებით დიდი კვალი დატოვა და ეს საგმირო ეპოსშიც ნათლად და გამოკვეთილად ჩანს, რეალურმა ფაქტებმა თათარ-მონღოლებისა და თემურ-ლენგის შემოსევების შესახებ. განსაკუთრებული და გამოკვეთილია ეს პროცესები ვაინახურ ეპოსში. ნართები აქ ასახიერებენ კეთილ, დაჩაგრულთა ინტერესების დამცველ რაინდებს, რომლებიც მზად არიან შეებან ბოროტ ძალებს. ხშირ შემთხვევაში გოლიათ, უდიდესი ძალის ფიზიკური მქონე შარიან ერსთხოელებს,

რომლებიც ქართული ზღაპრული დევების მსგავსად ხალხის ხარჯზე ცხოვრობენ.

როცა ვსაუბრობთ ნართ-ერსთხოელთა მითოლოგიაზე, ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ვაინახების ლეგენდა ფჰარმათის შესახებ. მითი, რომელიც მთავრდება ფჰარმათის მიერ ცეცხლის მოტაცების შემდეგ კლიმატური ცვლილებების აღწერით: იმ დროიდან მთების მაღალი მწვერვალები მარადიული თოვლითაა დაფარული, მუდმივი ქარი ქრის იმისათვის, რომ ფჰარმათი სითბოს და ცეცხლის ნატრული იყოს. სამაგიეროდ იგი კმაყოფილია იმით, რომ მან ადამიანებს უბოძა სითბო, ბარაქა, სინათლე, თვითონ კი ბაშლამის წვერზეა მიჯაჭვული, მაგრამ არ კვდება, რადგან გმირი უკვდავია. მითი ფჰარმათის შესახებ აშკარად ეხმიანება მითს ამირანის შესახებ, რაც ვაინახთა და ქართველთა მენტალური შეხედულებების თანხვედრაზე მეტყველებს.

არქიეპისკოპოსმა იოანემ დაღესტანში მოისმინა თქმულება იმის შესახებ, რომ ალექსანდრე მაკედონელმა ააშენა დერბენტის კედლები იმისათვის, რომ ქვეყნის სამხრეთი მხარე დაეცვა სასწაულმოქმედ იაჯუჯისა და მაჯუჯისაგან. ავტორი წერს, რომ დაღესტნელები დარწმუნებულები არიან ამ თქმულების ჭეშმარიტებაში. 1462 წლის წარწერა დერბენტში წარმოდგენას გვიქმნის იმ ფოლკლორული გმირების შესახებ, რომლებიც გახდნენ საყოველთაო აღიარებული ფირდოუსის პოემის „მაჰ-ნამეს“ პერსონაჟები. ესენი იყვნენ გივი, რუსტამი და გუ-დარზი.

წერილობითი ძეგლები. იულიანის და ინტერიანოს ცნობით XIII-XV საუკუნეების დასაწყისში ადიღებს ჰქონდათ ბერძნულ ენაზე დაწერილი საღვთო წიგნები. ამ რეგიონში ბერძნული დამწერლობის გავრცელების თაობაზე მიგვანიშნებს XI-XVI საუკუნეების ეპიტაფიები, რომლებიც შესრულებულია ბერძნულ ენაზე. ისინი აღმოჩენილია ყუბანისიქითა მხარესა და შავი ზღვის სანაპიროზე, ყაბარდოსა და ოსეთში. ინტერიანოს ცნობით „როცა ამის აუცილებლობა დღის წესრიგში დგებოდა, რაც ძალზე იშვიათად ხდებოდა, ადიღები უმეტესწილად ებრაელებს მიმართავდნენ და საჭიროებისათვის ებრაულ დამწერლობას იყენებდნენ.

ჩრდილო კავკასიის ტერიტორიაზე ინგუშეთში, ოსეთსა და ავარეთში (დაღესტანი) აღმოჩენილია მრავალი ძეგლი ქართული დამწერლობით, რომელთა შორის ნაწილი XIV საუკუნით თარიღდება. კავკასიისწინა სტეპურ ზოლში, განსაკუთრებით დაღესტანში მიკვლეულია დიდი რაოდენობის ქვები არაბული წარწერებით, რომლებიც თარიღდება XIII-XV საუკუნეებით. დერბენტში არსებობს წარწერები სპარსულ, ხოლო მაჟარში - თურქულ ენაზე.

აღსანიშნავია, რომ ჩრდილო კავკასიის მოსახლეობა დამწერლობისათვის იყენებდა არა მარტო სხვათა ენებს. არსებობს ცალკეული შემთხვევები, როცა ადგილი ჰქონდა ზოგიერთი ტექსტების ადგილობრივ ხალხთა ენაზე ჩაწერისა. ამ თვალსაზრისით კვლავ მნიშვნელოვანია არქიეპისკოპოს იოანეს მტკიცებულება იმის შესახებ, რომ „ადიღებს გააჩნიათ საკუთარი ენა და დამწერლობა“. ჩვენამდე მოაღწია ცნობამ ძეგლის შესახებ, რომელიც დაწერილია ადგილობრივ ენაზე. სოფელ წახურში (დაღესტანი) დაახლოებით 1275 წელს ადგილობრივ ენაზე გადათარგმნილი იქნა ორი არაბული თხზულება: „კომპენდიუმ მუზანი“ და „იმამ აშ-შაფის წიგნი“. ავარეთში აღმოჩენილია ორენოვანი ქართულ-ავარიული წარწერები, რომლებიც შესრულებულია ქართული ასოებით XIV საუკუნეში.

დაღესტანში ზოგიერთ მეჩეთებთან ფუნქციონირებდა მედრესე, სადაც ხდებოდა არაბული ენის და ისლამური რელიგიის შესწავლა, ასევე ზოგიერთი საერო საგნების სწავლებაც მიმდინარეობდა. XIII საუკუნეში სოფელ წახურში (დაღესტანი) ფუნქციონირებდა განაგრძობდა მედრესე, რომელიც გაიხსნა ჯერ კიდევ XI საუკუნეში. 1404-1405 წლებში მედრესე გაიხსნა სოფელ ქობაჩში, ხოლო 1474-75 წლებში დერბენტში. ამას გარდა, მედრესეები არსებობდა სხვა ადგილებშიც.

ჩრდილო კავკასიელ ხალხთა შორის დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ ულემები, ე.ი. ის ხალხი, ვინც ისლამურ დოგმატიკას კარგად ფლობდა. ასევე, ის ხალხი, რომელთაც კარგად იცოდნენ ისტორიული ტრადიციები და ფლობდნენ სხვა მეცნიერებებს. 1405 წელს ლაკების სოფელ ყუმუხში გარდაიცვალა იურიდიული თხზულების ავტორი, წარმომობით იემენელი იბრაჰიმის ვაჟი ახმედი. ლაკელმა ალიმ ყუმუხიდან, რომელიც გარდაიცვალა 1528 წელს დატოვა

არაბულ ენაზე დაწერილი ხელნაწერი სახელწოდებით „კონსპექტი“.

დაბეჭდვით შეიძლება ვთქვათ, რომ XIII-XV საუკუნეებში დაღესტანში შეიქმნა ისტორიული ქრონიკები, რომლებიც გახდა საფუძველი ისეთი ფასეული თხზულებისა, როგორცაა ანონიმური „დერბენტ-ნამე“ და მუჰამედ საფის „ტარიხ-დაღესტანი“. პირველი წარმოადგენს დერბენტის ისტორიისა და ისლამიზაციის, აგრეთვე, ამ თემაზე ფოლკლორული ვერსიისა და დინასტიური გადმოცემების შესახებ არაბი ავტორების ნაშრომების გადმოცემას, ხოლო მეორე ქრონიკა მოგვითხრობს 1240 წელს ყუმუხში მონღოლების შემოსევისა და შამხალის მიერ ხარკის აკრეფის შესახებ. ორივე ეს თხზულება თარიღდება XIV-XVI საუკუნეებით.

ლიტერატურა:

1. Иоанн де-Галонифонтибус. Сведения о народах Кавказа. 1404/ пер З.М. Буниятова, Баку, 1980.
2. Рашид ад-Дин. Сборник летописей. М; Л; Т. 3. С. 189.
3. АКАК. Тифлис, 1868 т. 2 с.1076.
4. Лавров Л. И. Эпиграфические памятники Северного Кавказа на Арабском, Персидском и Турецком языках М. 1966. Ч. 1. С. 87.
5. СМОМПК. Тифлис, 1903. Вып. 32. С. 50.
6. Рассказ Римско-Католического миссионера доминиканца Юлиана о путешествии в страну приволжских Венгерцев/ ЗОИДР. Одесса, 1863. Т. 5. С. 999-1000.
7. Епископа Феодора, “Аланское послание” // ЗОИДР. Одесса, 1898. Т. 21 с. 26.
8. Византийский временник, СПб 1898. Т. 5, Вып. 1-2.
9. Барбаро и Контарини о России. С. 17.
10. Карачаевцы. Черкесск. 1978 с. 24.
11. Ноемов Ш. Б. История Адигейского народа. Налчик 1947. С. 54.
12. Институт рукописей Грузии. Ф. „А“. д. 1469. Л. 10-13-11.
13. Тарихи Дербент-наме. Тифлис, 1898. Прил IX. С. 167.
14. Путешествие Ивана Шильтенберга по Европе, Азии и Африке с 1394-1427 г. 1867 т. 1 с. 59-60.

Culture and living aspects of the North Caucasians in the XIII-XV centuries

Gumashvili Zaur

Iakob Gogebashvili State University, Telavi

Abstract

In XIII-XV centuries, the culture, and moments of existence of North Caucasus people stands out with diversity and difference. For this period the largest settlements had been Towns: Majar, Tyumen, Upper Julat, Lower Julat etc. When studying the mentioned issue, special emphasis is placed on living conditions, means of transportation, tools, and clothing culture. Some materials obtained as a result of archeological excavation also give us certain idea about this issue.

It should be noted that, there is a scares data on the study of the family and public life of the North Caucasus people. However, relatively small but fragmentary data allows us to form a certain idea about the household aspects of the study period. Relatively clear picture is given on the bases of existing materials about the population living in the west of North Caucasus, that gives us an opportunity to make conclusion about traditional moments of creating a family in this area and showing respect to him as well as even sacrificing oneself to a guest in some cases.

In addition, worth paying attention traditions of family cohabitation and burial, which were clearly different in different parts of the North Caucasus.

Key words: North Caucasus, Family life, traditions, living conditions, Archeological sources.

რუსეთის გეოპოლიტიკა XVIII საუკუნეში და მისი გავლენა ქართულ- ჩრდილოკავკასიურ ურთიერთობებზე

კარალიძე ჯემალ

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი

DOI: <https://doi.org/10.52340/idw.2023.14>

აბსტრაქტი. კავკასია განსაკუთრებული გეოსტრატეგიული მდებარეობის გამო უხსოვარი დროიდან იყო მსოფლიოში ჰეგემონობისათვის მებრძოლი დიდი სახელმწიფოების პირველხარისხოვანი სამიზნე. კავკასიაზე გავლენისათვის ბრძოლაში თავისი ცენტრალური მდებარეობის გამო გადამწყვეტი როლი საქართველოს ენიჭებოდა. ამიტომაც ყველა ძალა, რომელიც კავკასიის დაუფლებისათვის იბრძოდა, პირველ რიგში საქართველოს დაპყრობა-დამორჩილებას ცდილობდა. საქართველო მიუხედავად დიდი განსაცდელისა, მუდმივად ინარჩუნებდა კავკასიის პოლიტიკური, ეკონომიკური თუ კულტურული ცენტრის ფუნქციას. XV-XVI სს-დან კავკასიაში გაბატონებისათვის სამი დიდი სახელმწიფოს: ოსმალეთის, ირანისა და რუსეთის ინტერესები გადაიკვეთა, რომლებიც დაჟინებით ცდილობდნენ კავკასიაში საკუთარი გავლენის გაფართოებას თუ სრული უპირატესობის მოპოვებას. ამ დაპირისპირებას უფრო ამწვავებდა კავკასიაში შექმნილი პოლიტიკური ვითარება. XV ს. მეორე ნახევრიდან, ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის დაშლის შემდეგ, კავკასიაში აღარ არსებობდა ცენტრალიზებული სახელმწიფო.

XVIII საუკუნე გარდამტეხი პერიოდი კავკასიაზე გეოპოლიტიკური გავლენისათვის ბრძოლაში. ამ დროიდან ევროპის წამყვანი სახელმწიფოების გეოპოლიტიკაში დიდი მნიშვნელობა შეიძინა ახლო და შუა აღმოსავლეთში უპირატესი გავლენის მოპოვების საკითხმა. აშკარად მწვავდებოდა მეტოქეობა ინგლისს, საფრანგეთს, ავსტრიასა და რუსეთს შორის დასუსტებული ირანისა და ოსმალეთის სამფლობელოების ხელში ჩასაგდებად. ამ კონტექსტში განსაკუთრებით გამძაფრდა კავკასიაზე ჰეგემონობისათვის ბრძოლა.

XVIII ს. დასაწყისიდან ირანის ღრმა კრიზისმა დღის წესრიგში დააყენა კასპიისპირეთში გავლენის გადანაწილებისათვის ბრძოლის საკითხი. რუსეთმა ქართლის მეფე ვახტანგ VI მოკავშირეობით სცადა ამიერკავკასიაში შემოღწევა, მაგრამ სხვა ფაქტორებთან ერთად ოსმალეთის მძაფრმა რეაქციამ აიძულა უკან დაეხია. კავკასიაზე გავლენისათვის ბრძოლა გადამწყვეტ ფაზაში შევიდა XVIII საუკუნის მეორე ნახევარში.

XVIII საუკუნის ბოლოს საფრანგეთის ბურჟუაზიულმა რევოლუციამ რამდენიმე აღწლეულით განსაზღვრა საერთაშორისო ურთიერთობების განვითარება. ამან არა თუ გამოიწვია ინგლისისა და რუსეთის არამედ გარკვეულ ეტაპზე დაუნდობელი მეტოქეების - რუსეთსა და ოსმალეთის დაახლოებაც.

რუსეთმა მოხერხებულად გამოიყენა შექმნილი ვითარება კავკასიაზე სრული გავლენის დასამყარებლად.

საკვანძო სიტყვები: კავკასია, საქართველო, გეოპოლიტიკა, რუსეთი, ოსმალეთი, ყაზარდო, დაღესტანი

კავკასია განსაკუთრებული გეოსტრატეგიული მდებარეობის გამო უხსოვარი დროიდან იყო მსოფლიოში ჰეგემონობისათვის მებრძოლი დიდი სახელმწიფოების პირველხარისხოვანი სამიზნე. კავკასიაზე გავლენისათვის ბრძოლაში თავისი ცენტრალური მდებარეობის გამო

გადამწყვეტი როლი საქართველოს ენიჭებოდა. ამიტომაც ყველა ძალა, რომელიც კავკასიის დაუფლებისათვის იბრძოდა, პირველ რიგში საქართველოს დაპყრობა-დამორჩილებას ცდილობდა. საქართველო მიუხედავად დიდი განსაცდელისა, მუდმივად ინარჩუნებდა კავკასიის პოლიტიკური, ეკონომიკური თუ კულტურული ცენტრის ფუნქციას. რთული მისახვედრი არ იყო, რომ მრავალრიცხოვანი მომხდურის მოგერიება კავკასიის მცირერიცხოვან ერებს მხოლოდ კოორდინირებული და გააზრებული მოქმედების შემთხვევაში შეეძლოთ. საქართველოს ოდითგანვე მჭიდრო ურთიერთობები ჰქონდა მეზობლებთან, განსაკუთრებით კი ჩრდილოეთი კავკასიის ხალხებთან. ეს ურთიერთობები დასტურდება ჯერ კიდევ ქართული სახელმწიფოების გარიჟრაჟზე - ფარნავაზის ეპოქაში. კავკასიელებთან ურთიერთობას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ფარსმან ქველის, ვახტანგ გორგასლის, ბაგრატ IV თუ სხვა ქართველ ხელისუფალთა საგარეო პოლიტიკაში. ქართულ-კავკასიური ურთიერთობები თავისი ინტენსიურობითა და ხასიათით ყოველთვის როდი იყო ერთგვაროვანი. იგი იცვლებოდა როგორც საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობისა და ინტერესების, ისე საერთაშორისო ვითარების შესაბამისად. ამ მიმართებით ძალიან მნიშვნელოვანი აღმოჩნდა XV საუკუნის შემდგომი პერიოდი, ბიზანტიის დაცემას და აგრესიული ოსმალეთის გამეზობლებას მოჰყვა სეფიანთა ირანის ჩამოყალიბება, რომელიც კავკასიაში იმთავითვე დაპყრობით პოლიტიკას ატარებდა. მალე ჩრდილოეთიდან მოგვიახლოვდა რუსეთის (მოსკოვის) სახელმწიფო, რომელსაც კავკასიის მიმართ ასევე აშკარა ექსპანსიონისტური ინტერესები გააჩნდა. ასეთ რადიკალურ ცვლილებებს საერთაშორისო ურთიერთობებში, რასაც მძიმე შედეგები ჰქონდა ჩვენთვის, დაემთხვა საქართველოს ერთიანი ფეოდალური მონარქიის დაშლა, რამაც მკვეთრად და თვისობრივად შეცვალა საქართველოს შესაძლებლობები, შესაბამისად ქართველი და კავკასიელი ხალხების ინტერესები, რასაც მოჰყვა მათი ურთიერთობის ხასიათის შეცვლა. XV-XVI სს-დან კავკასიაში გაბატონებისათვის სამი დიდი სახელმწიფოს: ოსმალეთის, ირანისა და რუსეთის ინტერესები გადაიკვეთა, რომლებიც დაჟინებით ცდილობდნენ კავკასიაში საკუთარი გავლენის გაფართოებას თუ სრული უპირატესობის მოპოვებას. XVI-XVII საუკუნეებში კავკასიის ხალხები ირანისა და ოსმალეთის მხრიდან მუდმივი აგრესიის წინაშე აღმოჩნდნენ, რომელთა მიზნების განხორციელება საფრთხის ქვეშ აყენებდა კავკასიელთა არა მარტო სუვერენიტეტს, არამედ თვითმყოფადობასა და ფიზიკურ არსებობასაც კი. მხოლოდ საკუთარი ძალებით წინ აღდგომოდნენ აგრესორთა შემოტევას, კავკასიელ ხალხებს არ შეეძლოთ. პირიქით, გაზრდილი საგარეო საფრთხის პირობებში, ხშირად გარე ძალების პროვოცირებითაც, თანდათან ღრმავდებოდა ეთნოპოლიტიკური თუ შინაფეოდალური, დაპირისპირებები, რომლებიც ხშირად ხანგრძლივ, სისხლისმღვრელ ბრძოლებში გადაიზრდებოდა ხოლმე, ეს კი კიდევ უფრო ზღუდავდა საგარეო საფრთხის აღსაკვეთად კავკასიელთა ისედაც შეზღუდულ შესაძლებლობებს. აღნიშნული ურთულესი სიტუაციიდან ერთადერთ რეალურ გამოსავალს კავკასიელები საგარეო მოკავშირის ან მფარველის მოძიებაში ხედავდნენ. სწორედ ამით აიხსნება XVIII ს. მანძილზე რუსეთისადმი არა მარტო ქრისტიანი ქართველებისა და სომხების, არამედ კავკასიის თვით მაჰმადიანი ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენელთა გარკვეული კეთილგანწყობაც.

გადაჭარბების გარეშე XVIII საუკუნე გარდამტეხი პერიოდი კავკასიაზე გეოპოლიტიკური გავლენისათვის ბრძოლაში. ამ დროიდან ევროპის წამყვანი სახელმწიფოების გეოპოლიტიკაში დიდი მნიშვნელობა შეიძინა ახლო და შუა აღმოსავლეთში უპირატესი გავლენის მოპოვების საკითხმა. აშკარად მწვავედებოდა მეტოქეობა ინგლისს, საფრანგეთს, ავსტრიასა და რუსეთს შორის დასუსტებული ირანისა და ოსმალეთის სამფლობელოების ხელში ჩასაგდებად. ამ კონტექსტში განსაკუთრებით გამაფრდა კავკასიაზე ჰეგემონობისათვის ბრძოლა.

XVIII საუკუნის დასაწყისში რუსეთისათვის უმთავრეს სტრატეგიულ მიზანს ყირიმის სახანოს მხრიდან მომდინარე საფრთხის აღკვეთა და შავ ზღვაზე გასასვლელის მოპოვება წარმოადგენდა. აღნიშნული პრობლემების გადაჭრა პირდაპირ იყო დაკავშირებული კავკასიაში გავლენის საკითხთან.

გამეფებისთანავე პეტრე I ერთ-ერთ მთავარ საზრუნავს ყირიმისა და შავი ზღვის პრობლემების გადაჭრა წარმოადგენდა. ამ საკითხის გადაწყვეტა კი ოსმალეთთან ომის გარეშე

შეუძლებელი იყო. XVII საუკუნის დამლევს რუსეთმა პირველი ნაბიჯი გადადგა ჩრდილოეთი შავიზღვისპირეთის დაპყრობის მიზნით. ამ პერიოდისათვის აღმოსავლეთი და ჩრდილოეთი შავიზღვისპირეთი ოსმალეთს ეპყრა. ოსმალეთის გარნიზონები იდგა აჭარაში, გურიაში, სამეგრელოსა და აფხაზეთის სანაპიროებზე: ბათუმში, ციხისძირში, შეკვეთილში, ფოთში, ანაკლიაში, სოხუმში, ანაკოფიაში და სხვ., ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთსა და აზოვისპირეთში: ანაპაში, აზოვში, ტაგანროგში, ენიკალეში, ქერჩში, კაფაში, სუდაკში, ბალაკლავაში, იკერმანში, პერეკოპში, ოჩაკოვში, კინბურნში და სხვ.(სილაგაძე, გურული 2011 : 265) სწორედ ამიტომ რუსეთი 1695 წ. „საღვთო ლიგას“ შეუერთდა. იმავე წელს მოეწყო პირველი ლაშქრობა აზოვზე, რომელიც წარუმატებელი აღმოჩნდა. ამის მიზეზი იყო ის, რომ რუსეთს არ ჰყავდა ფლოტი, რომლითაც შეძლებდა აზოვის ზღვიდან ბლოკირებას. პეტრე I სათანადო დასკვნა გააკეთა. იმისათვის რომ დამკვიდრებულიყო აზოვის ზღვაზე და დაუფლებოდა შავ ზღვას აუცილებელი იყო ძლიერი ფლოტის შექმნა, თანაც რაც შეიძლება სასწრაფოდ.(Бодисов,1904:83).

შავ ზღვაზე გასასვლელის მოსაპოვებლად აუცილებელი იყო ანტიოსმალური კოალიციის გაფართოება. სწორედ ამ მიზნით გადაწყდა ევროპაში „დიდი ელჩობის“ მოწყობა.

მალე „დიდი ელჩობისათვის“ და უპირველესად პეტრე I ცხადი გახდა, რომ „საღვთო ლიგის“ გაძლიერებასა და შესაბამისად ოსმალეთის წინააღმდეგ ევროპის ქვეყნების მხარდაჭერის მოპოვება იმჟამად არარეალური იყო. „შავ ზღვაზე დამკვიდრების სურვილი არ შეესატყვისებოდა არსებულ რეალობას“ (история внешней полити России 2000 : 32).

რუსეთის ხელისუფლება საბოლოოდ დარწმუნდა რა ოსმალეთის წინააღმდეგ ომის გაგრძელების შეუძლებლობაში, აქტიურად შეუდგა „ჩრდილოეთის ომისათვის“ სამზადისს.

ჩრდილოეთის ომის წარმატებით დამთავრების შემდეგ რუსეთის საგარეო პოლიტიკაში ცენტრალური ადგილი კვლავ შავიზღვისპირეთის საკითხმა დაიკავა. შავი ზღვის პრობლემა უშუალოდ იყო დაკავშირებული ყირიმის სახანოსა და კავკასიის საკითხთან. ამიტომ პეტრე I ფიზიკურად ადევნებდა თვალს კავკასიაში განვითარებულ მოვლენებს. კავკასიაში გავლენისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ყაზარდო-დაღესტან-საქართველოს ერთგვარ სამკუთხედს, ამიტომ რუსეთი, ირანი და ოსმალეთი თითოეულ მათგანზე გავლენის მოპოვებას დაჟინებით ცდილობდა. ყირიმის სახანოდან მომდინარე საფრთხის გამო რუსეთსა და ყაზარდოს შორის მჭიდრო ურთიერთობა ჯერ კიდევ XVI ს-დან დამყარდა. ეს ურთიერთობები შენარჩუნდა XVIII ს. დამდეგამდე რუსეთმა, გამომდინარე თავისი საგარეო-პოლიტიკური ამოცანებიდან , მიუხედავად მისთვის საქართველოს მნიშვნელობისა, საერთო კავკასიურ პოლიტიკაში ჯერ უპირატესობა მაინც ყაზარდო-დაღესტანს მიანიჭა (ბოცვაძე 1990:141)

ყაზარდო ისევ განიცდიდა მუდმივ მუქარას ყირიმის სახანოს მხრიდან. ამიტომ ყაზარდოელები სთხოვდნენ რუსეთის მთავრობას მათ ტერიტორიაზე ციხის ჩადგმას და რუსული გარნიზონის ჩაყენებას.

ამგვარად, პეტრესდროინდელი რუსეთისა და ყაზარდოს ურთიერთობიდან ჩანს, რომ ყაზარდოელებს, პირველ ყოვლისა, რუსეთის მხრიდან თურქეთის, ყირიმის და მრავალრიცხოვანი და მტრულად განწყობილი მეზობლებისაგან თავდასაცავად დახმარების აღმოჩენა სურდათ. (კოპალიანი 2000: 58)

XVIII ს. დასაწყისში ირანის დასუსტებით ოსმალეთმა სცადა სარგებლობა. ოსმალეთს სურდა აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში გაბატონება და კასპიისპირეთის დაუფლება. ოსმალეთის ამ მისწრაფებას არ შეიძლებოდა რუსეთის შემფოთება არ გამოეწვია კასპიისპირეთში გაბატონებით იგი რუსეთის სამხრეთ-აღმოსავლეთის ნაკლებად დაცულ საზღვრებს ემუქრებოდა. მეორე, რუსეთი დაკარგავდა ყოველგვარ გავლენას კავკასიაში, მესამე , ოსმალეთის გაბატონებას კასპიისპირეთში მოჰყვებოდა რუსეთის აღმოსავლური ვაჭრობის სრული ჩაშლა.

მთავარი ის იყო, რომ რუსეთი მთელი თავისი ეროვნული ინტერესებით შავი და კასპიის ზღვების აუზში პოზიციების განმტკიცებისაკენ ისწრაფვოდა, ამიტომ, სისხლხორცეულად იყო დაინტერესებული საქართველოთი, რადგან საქართველო ამოღენა რეგიონში ერთადერთ ქრისტიანულ ქვეყანად რჩებოდა, რომელსაც სახელმწიფოებრიობა შენარჩუნებული ჰქონდა და,

შესაბამისად, პოლიტიკურ დასაყრდენად გამოდგებოდა. საქართველოს რუსეთისათვის სტრატეგიული პლაცდარმის ფუნქცია უნდა შეესრულებინა წინა აზიაში პოლიტიკურ-ეკონომიკური გაბატონების დასახული ამოცანის განხორციელების პროცესში. სხვა რეალური მოკავშირე, რეალური დასაყრდენი მას ამ რეგიონში არ გააჩნდა. (სამსონაძე 1988: 26-27).

რუსეთის განვითარების ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესები, ევროპული სახელმწიფოებისგან განსხვავებით, გამორიცხავდნენ ირან-ოსმალეთთან მორიგებას, მეტიც რუსეთი თავისი მიზნებით უპირისპირდებოდა, ევროპელებსაც. საქართველო და მასთან ერთად სომხეთიც მუდმივად რჩებოდა რუსეთის პოტენციურ მოკავშირედ და მოხერხებულ პლაცდარმად მის აღმოსავლურ პოლიტიკაში. ვახტანგ VI-ის მიერ პეტრე I-თან ირანის წინააღმდეგ სამხედრო-პოლიტიკური კავშირის შეკვრა (1722წ.) სტრატეგიული შეცდომა იყო. პროირანული ორიენტაცია აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში რუსეთის იმპერიის პასიური პოლიტიკის პირობებში ერთადერთი სწორი ორიენტაცია იყო. ვახტანგ VI-ს თავის სასარგებლოდ უნდა გამოეყენებინა ავღანელების შეტევის შედეგად ირანში შექმნილი უმძიმესი ვითარება. ქართლის მეფე კი პირიქით მოიქცა. (გურული,2009:22)

ნ. ბერძენიშვილის შეფასებით, მართლაც, XVIII ს. მთელ სივრცეზე რუსეთმა არა ერთხელ გამოამჯღავნა სისუსტე ამიერკავკასიის ქრისტიან ხალხთა „მფარველობის“ საქმეში, აღმოჩნდა, რომ მას, ისე როგორც ადრე, არც ამჟამად გააჩნდა საკმაო ძალა ირან-ოსმალეთთან სამეტოქეოდ და პეტრე I-მა საქართველო ოსმალეთს დაუთმო. (ბერძენიშვილი,1965 : 160)

კავკასიური ლაშქრობის მოშლით თვით რუსეთი დიდად არ დაზარალებულა. რუსეთმა აღიარა ქართლისა და კახეთის სამეფოების ოსმალეთის ხელში გადასვლა. ვახტანგი იძულებული გახდა, ქართლი დაეტოვებინა (გურული, 2011ა:28;გურული,2011ბ:6-19).

XVIII ს. პირველ ნახევარში რუსეთის, ოსმალეთისა და ირანის ხელახალი დაპირისპირების ფონზე ჩრდილო და სამხრეთ კავკასიის ქვეყნები კვლავ მოვლენათა ეპიცენტრში მოექცნენ. კავკასიაში გასაბატონებლად ოსმალეთი ყაზარდო-შირვან-დაღესტანში, ირანი კი ქართლ-კახეთში საკუთარი ძალაუფლების განმტკიცებას მიიჩნევდა აუცილებელ პირობად. რუსეთს ამ მხრივ გაცილებით ფართო გეგმები ჰქონდა, სადაც, იმ დროისთვის ჩრდილო-კავკასიაში თურქეთისა და ყირიმის სახანოს სამხედრო-პოლიტიკური გააქტიურების პირობებში ყაზარდოს საკითხს დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ამ მხრივ პრიორიტეტული იყო ყაზარდოზე გამავალი სტრატეგიული დანიშნულების გზები (კავკასიის ისტორი, I,2023: 599)

დაპირისპირება კავკასიაში უპირატესობის მოსაპოვებლად გადამწყვეტ ფაზაში შევიდა XVIII ს. მეორე ნახევარში უშუალო მეტოქეების - ირანისა და ოსმალეთის დასუსტება რუსეთს გაბედული ნაბიჯების გადადგმისაკენ უზიდავებდა. ამ თვალსაზრისით აქტიური იყო ეკატერინე II საგარეო პოლიტიკა. XVIII ს. 60-იან წლებში ინგლის-რუსეთის დაახლოებამ საფრანგეთსა და რუსეთს შორის ურთიერთობის დამაბზვა გამოიწვია. სწორედ საფრანგეთის წაქეზებით 1768 წლის 18 ნოემბერს ოსმალეთმა ომი გამოუცხადა რუსეთს. რუსეთისათვის ეს ომი მოსალოდნელი იყო და ამისათვის ემზადებოდა კიდევ. „შვიდწლიანი ომის შემდეგ რუსეთის სამხედრო რესურსები ევროპის ქვეყნებთან შედარებით საუკეთესო მდგომარეობაში იყო, არმიამ მიიღო მნიშვნელოვანი გამოცდილება“. შესაძლებელია ეს ჰქონდათ მხედველობაში ეკატერინე II, როცა ომის დაწყების შესახებ გრაფ სალტიკოვს თვითდაჯერებით სწერდა: „პირველად არ არის რუსეთმა გაიმარჯვოს მტრებზე“ (История России, 1998, 251). რუსეთმა სწრაფი და ეფექტური ნაბიჯები გადადგა წარმატების მოსაპოვებლად: შეძლო ამიერკავკასიაში ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოების ოსმალეთის წინააღმდეგ გამოყვანა; საბერძნეთსა და ჩერნოგორიაში ანტიოსმალური მოძრაობის გასაძლიერებლად ემისრები მიავლინა; ბალკანეთში ანტიოსმალური მოძრაობის მხარდასაჭერად ბალტიის ზღვიდან ხმელთაშუა ზღვაში აღმირალ გ. სპირიდონოვის დიდი ესკადრა გაიგზავნა. ამასთანავე რუსეთმა შეძლო ცენტრალური და ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის მოსახლეობის უდიდესი ნაწილის მხარდაჭერის შენარჩუნება. „ყაზარდოს ფეოდალთა უმრავლესობამ დაიცვა რუსეთის ერთგულება. ომის მსვლელობაში რუსეთთან დაახლოებას ცდილობდნენ ასევე ოსებიც“ (История народов Северного кавказа 1988,440) 1769-1770 წწ. სამხედრო მოქმედებებში ხმელეთსა და ზღვაზე რუსეთის წარმატებებმა შეაფუთა ევროპის სახელმწიფოები.

ოსმალეთი იძულებული გახდა ზავი ეთხოვა, რომელიც გაფორმდა სოფ. ქუჩუკ-კაინარჯში 1774 წლის 10 ივლისს. ზავის პირობები შეესაბამებოდა რუსეთის წარმატებებს: ყირიმის სახანო დამოუკიდებლად ცხადდებოდა. ციხესიმაგრეები: ქერჩი, ენი-კალე და კინბურნი მდ. ბუგსა და დნესტრს შორის მდებარე მიწებით გადაეცემოდა რუსეთს, მასვე უბრუნდებოდა ყაზარდო, შავი და მარმარილოს ზღვები რუსეთის სავაჭრო გემებისთვის ღიად ცხადდებოდა. რაც შეეხება ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოებს, ოსმალეთი ვალდებულებას კისრულობდა რომ არ შეავიწროვებდა მის ტერიტორიაზე მცხოვრებ ქრისტიანებს. სხვა მხრივ, ქართველთა მონაწილეობა ამ ომში არ დაფასებულა. „გამოიყენა რა თავისი მიზნებისთვის ქართველი მეფეები, რუსეთმა მათ ფაქტიურად არავითარი დანაპირები არ შეუსრულა. პირიქით, კრიტიკულ მომენტში მარტო დატოვა მოძალეხული მტრის რკალში, იმედგაცრუებულ მეფეებს კვლავ საკუთარი ძალების მაქსიმალური დამაბვის ფასად უხდებოდათ მტრების მოგერიება“ (ბულიეშვილი, 1991: 96-97).

ამ შედეგებიდან ქართველ ხელისუფლებს სათანადო დასკვნები უნდა გაეკეთებინათ. ცხადი იყო, რომ რუსეთი კავკასიელებს და მათ შორის ერთმორწმუნე ქართველებსაც მხოლოდ საკუთარი ინტერესებისათვის იყენებდა. ამ რეალობის პასუხად უნდა მივიჩნიოთ ერეკლე II როგორც დიპლომატიური ნაბიჯები, ისე სამხედრო ხასიათის ღონისძიებები. სწორედ ქუჩუკ-კაინარჯის ზავის გაფორმების შემდეგ დაიწყო ერეკლე II „მორიგე ჯარის“ ჩამოყალიბება და სამხედრო რესურსის გასაზრდელად ჩრდილო-კავკასიელი ყაზარდოელების ჩამოსახლების გეგმის განხორციელება.

„შუა საუკუნეების ეპოქაში ადიღელთა ნაწილი საქართველოს პოლიტიკური გავლენის ქვეშ იყო, ხოლო მოგვიანებით XVIII ს. ქართლ-კახეთის მეფეები ხშირად მიმართავდნენ მათ დამხმარე ძალის მისაღებად (კავკასიის ისტორი, I, 2023: 597).

მაგრამ რუსეთს ხომ კავკასიის ერთეულების, მათ შორის ქართლ-კახეთის დასუსტება და ხელში ჩაგდება ჰქონდა განზრახული.

ასეთ ვითარებაში, ბუნებრივია, რუსეთი ყველაფერს გააკეთებდა, რათა ჩაეშალა ერეკლეს ცდები ჩრდილო კავკასიიდან, კერძოდ კი ყაზარდოდან მოსახლეობის ნაწილის გადმოყვანა საქართველოში. საქმე ისაა, რომ ერეკლემ, ისარგებლა რა XVIII ს. 60-70-იან წლებში ყაზარდოელთა უკმაყოფილებით, სცადა ეს გარემოება თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა, ამ მიზანს ემსახურებოდა ერეკლეს მიერ 1778 წლის ნოემბერში სპეციალური ელჩობის გაგზავნა დიდ ყაზარდოში, რომელიც სხვათა შორის, იმთავითვე ცნობილი შეიქნა რუსული მმართველობისთვის.

ერეკლე II-ის ელჩები იმავე 1778 წელს რუსი მოხელეების მიერ მოზდოკში იქნენ დაკავებულნი, რამაც აიძულა ყაზარდოელი ფეოდალები განზრახვაზე ხელი აეღოთ. 1782 წელს ერეკლემ, სხვათა შორის, კიდევ სცადა თითქოს უფრო საიდუმლოდ ყაზარდოელთა საქართველოში გადმოსახლება, მაგრამ ამჯერადაც რუსეთის აქტიური ჩარევით მისი ეს ცდაც მარცხით დამთავრდა (ბოცვაძე, 1990:224-225).

ამის შემდეგ რუსეთმა აქტიურად ამოქმედა დიპლომატიაც, რასაც 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის გაფორმება მოჰყვა. ყირიმის შეერთების შემდეგ 1783 24 ივლისს ქართლ კახეთის სამეფოსთან გეორგიევსკის ტრაქტატის გაფორმებით რუსეთმა ამიერკავკასიაშიც მტკიცედ შემოღდა ფეხი.

კავკასიონის სამხრეთ რაიონებში რუსეთს უფრო კეთილშობილური მოტივი ამომრავებდა. ცხადია, ამბიციები და პოლიტიკური გამორჩენა ამ შემთხვევაშიც მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო, მაგრამ ქართველური ტომებით დასახლებული ქრისტიანული სახელმწიფოების - საქართველოს (კახეთი და ქართლი), იმერეთის, სამეგრელოსა და გურიის გადარჩენა სრული განადგურებისაგან, რითაც დაუნდობელი თურქეთი და კიდევ უფრო ვერაგი სპარსეთი უქადდა ამ ქვეყნებს, მათი პოლიტიკური და სამხედრო დახმარება გახლდათ- ერთადერთი და სამართლიანი გადაწყვეტილება. გარემოებათა გამო, რუსეთი წარმოადგენდა ერთადერთ ქრისტიანულ ძალას, რომელსაც შეეძლო და ვალდებული იყო ეს პრობლემა გადაეჭრა (ბედლი, 2012:55)

ცხადი იყო, რომ რუსეთი „საქართველოს დაპატრონებით მთელ ამიერკავკასიასაც

ჩაიგდებდა ხელში, მით უფრო, როცა დაღესტნისა და ამიერკავკასიის სახანოები თავის მხრივ ითხოვდნენ რუსეთის მფარველობაში მიღებას... ეს კი იმას ნიშნავდა, რომ რუსეთი მთელ კავკასიაში გაბატონდებოდა, ხოლო თუ იგი შეჩერებული არ იქნებოდა, შეიძლება სულაც ირანს დაპატრონებოდა“ (თ ბოცვაძე, 1990, 244). ირანი, ოსმალეთი და ჩრდილო კავკასიის მუსლიმი მფლობელები ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის აღმოსავლური პოლიტიკის ფორპოსტად მიიჩნევდნენ და ყოველნაირად ეცდებოდნენ წინ აღდგომოდნენ რუსეთის შემოჭრას სამხრეთ კავკასიაში. ყოველივე ამან XVIII საუკუნის 80 იან სწლებში კიდევ უფრო გაამწვავა წინააღმდეგობები რუსეთს, ოსმალეთსა და ირანს შორის ახლო აღმოსავლეთში გაბატონებისათვის. ოსმალეთის დასუსტება, არასტაბილურობა ირანში და რუსეთის მზარდი ძლიერება „გარდაუვალს ხდიდა „ძველის“ დარღვევას და „ახალი“ ბალასნის ჩამოყალიბებას კავკასიაში“ (Внешняя политика России, 1960,40)

ეკატერინე II ხელისუფლება ჯერ კიდევ 60-იანი წლებიდან გეგმაზომიერად ცდილობდა კავკასიის ათვისებას, აგებდა ციხესიმაგრეებს, ეწეოდა კოლონიზაციას. დაიწყო კავკასიის ხაზის მშენებლობა, რომელშიც ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი კახაკური დასახლებების შექმნას ენიჭებოდა.

სამხრეთში ექსპანსიისათვის რუსეთის ხელისუფლება ეფექტურად იყენებდა კავკასიელი ხალხების სირთულეებსა და ინტერესებს. „ოსებთან რუსების მიერ დამყარებულმა კავშირებმა ჩრდილო კავკასიაში რუსების პოზიციები კიდევ უფრო განამტკიცა. ამიერიდან რუსებს შეეძლოთ შეუფერხებლად გადაადგილება სამხრეთ კავკასიაში, საქართველოში, რომელიც მათ კავკასიაში გავლენიან მოკავშირედ ეგულებოდათ“ (კვიციანი, 2017:161)

საქართველოსთვის და საერთოდ კავკასიისათვის არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა „ლევკიანობას“ და დაღესტნის საკითხს.

ჭარ-ბელაქნის საკითხმა, ლეკურმა პრობლემამ არათუ განსაზღვრა ქართულ-დაღესტნური ურთიერთობის ხასიათი, არამედ XVIII ს. მეორე ნახევარში არსებითად განაპირობა ქართლ-კახეთის რუსეთზე ორიენტაციაც.

სწორედ ამ ორიენტაციის შედეგი იყო 1783 წლის 24 ივლისს გაფორმებული გეორგიევსკის ტრაქტატი. ამ ხელშეკრულებამ გაამწვავა ურთიერთობა როგორც ირანთან და ოსმალეთთან, ისე კავკასიის მაჰმადიანურ პოლიტიკურ ერთეულებთან. გახშირდა მათი თავდასხმები. ქართული ლაშქარი ვერ ახერხებდა ლეკთა განუწყვეტელი თავდასხმების მოგერიებას. განსაკუთრებული იყო თავისი მასშტაბითა და შედეგებით ავარიის მმართველის ომარ-ხანის 1785 წლის თავდასხმა საქართველოზე.

რამდენიმე თვის განმავლობაში ომარ-ხანი ქართლსა და კახეთში თავისუფლად დათარეშობდა და მხოლოდ მას შემდეგ გაეცალა საქართველოს, როცა აღმოსავლეთ საქართველოს სამეფო კარი იძულებული გახდა ომარ-ხანისათვის ყოველწლიური „ჯამაგირი“ – 500 თუმანი დაენიშნა და ერთჯერადად 10 000 მანეთი მიეცა ლეკთა ბელადებისათვის დასარიგებლად (კოპალიანი, 2014, 234)

სამწუხაროდ, საქართველოს პოლიტიკური წრეები ერეკლე მეორის მეთაურობით ვერ აფასებდნენ შექმნილ საერთაშორისო ვითარებას და კვლავ რუსეთის იმედად რჩებოდნენ, რაც 1795 წლის სექტემბერში კრწანისის კატასტროფით დამთავრდა. მაგრამ, ვერც ევროპის დიპლომატიის იმედი გამართლდა, რომელიც იმედოვნებდა, „რომ რუსეთი ღრმად ჩაეფლობოდა აღმოსავლეთის საქმეებში... ამაზე მეტყველებდა იმ დროს რუსეთის სამეფო კარის გულცივი დამოკიდებულება საქართველოსადმი და აღმოსავლეთში გართულებებზე თავის შეკავება“ (ჩხეიძე, 2002, 243)

რუსეთის სახელმწიფომ კარგად ისარგებლა XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე შექმნილი საერთაშორისო ვითარებით და საქართველო დაიპყრო.

საქართველოს დაპყრობით რუსეთმა ხელსაყრელი პოზიციები შეიქმნა მთლიანად კავკასიაზე გაბატონებისათვის.

ლიტერატურა:

1. ბერძენიშვილი ნ. (1965), საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. II, თბილისი

2. ზედლი ჯ. ფ. (2012), რუსეთის მიერ კავკასიის დაპყრობა, თბილისი
3. ზოცვაძე თ. (1990) ჩრდილო კავკასიის ხალხები საქართველოს საგარეო პოლიტიკაში (XV-XVIII სს.), თბილისი
4. ზულიბიძე მ. (1991), ქართული ეკლესიის მსახურები რუსეთ-საქართველოს დიპლომატიურ ურთიერთობაში, თბილისი
5. გურული ვ. (2009), საქართველო-რუსეთის ურთიერთობა (1483-1801), თბილისი
6. გურული ვ. (2011), საქართველო-რუსეთის ურთიერთობა(1483-1921), თბილისი
7. კავკასია (2023), კავკასია, ტ. I, თბილისი
8. კვიციანი ჯ. (2017), კავკასია, თბილისი
9. კოპალიანი ე. (2000), რუსეთის ურთიერთობა ჩრდილო-დასავლეთ კავკასიასთან XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, თბილისი
10. კოპალიანი ე. (2014), ჩრდილო კავკასიის ხალხთა ისტორია, თბილისი
11. სამსონაძე მ. (1988), საქართველოს გაერთიანების პრობლემა და საგარეო ორიენტაცია XVIII საუკუნეში , თბილისი
12. სილაგაძე ა., გურული ვ. (2011), ირან-ოსმალეთ-რუსეთის დიპლომატია ცენტრალური და სამხრეთ კავკასიის კონტექსტში XVI-XVIII საუკუნეებში, ქართული დიპლომატია, 14, თბილისი
13. ქართული დიპლომატიის ისტორია (2022), ქართული დიპლომატიის ისტორია, თბილისი
14. ჩხეიძე ა. (2002), საქართველო რუსეთის, საფრანგეთისა და ინგლისის აღმოსავლურ პოლიტიკაში XVIII ს. დასასრულს, ქართული დიპლომატია, 9, თბილისი
15. Водовозов В.И (1904), очерки русском истории XVIII века, с-петербургъ
16. История России (1998), История России (1687-1861), Москва
17. История народов Северного Кавказа (1988), Москва
18. История внешней политики России (2000), (XVIII век), Москва
19. Внешняя политика России (1960), документы Российского министерство иностранных дел) т.1, Москва

Russian geopolitics in the 18th century and its impact on Georgian-North Caucasian Relations

Karalidze Jemal

Shota Rustaveli State University, Batumi

Abstract

Due to its special geostrategic location, the Caucasus has been a primary target of the great powers fighting for hegemony in the world since time immemorial. Due to its central location, Georgia was assigned a decisive role in the struggle for influence on the Caucasus. That's why all the powers that fought for the control of the Caucasus, first of all, tried to conquer and subjugate Georgia. Despite the great ordeal, Georgia constantly maintained the function of the political, economic, and cultural center of the Caucasus. From the 15th-16th centuries, the interests of three great states: Ottoman, Iran, and Russia, which persistently tried to expand their influence in the Caucasus or gain a complete advantage, intersected to dominate the Caucasus. This confrontation was exacerbated by the political situation in the Caucasus. 15th century From the second half, after the collapse of the unified Georgian feudal monarchy, there was no longer a centralized state in the Caucasus.

The 18th century was a turning point in the struggle for geopolitical influence in the Caucasus. Since that time, the issue of gaining a dominant influence in the Middle Middle East has gained great importance in the geopolitics of the leading European states. The rivalry between England, France, Austria, and Russia for control of the weakened Iran and Ottoman dominions was intensifying. In this context, the struggle for hegemony over the Caucasus intensified.

18th century From the beginning, the deep crisis in Iran put the issue of the struggle for

redistribution of influence in the Caspian region on the agenda. Russia, in alliance with King Vakhtang VI of Kartli, tried to enter Transcaucasia, but the strong reaction of the Ottomans, along with other factors, forced them to retreat. The struggle for influence in the Caucasus entered a decisive phase in the second half of the 18th century.

At the end of the 18th century, the French bourgeois revolution defined the development of international relations for several decades. This not only led to the rapprochement of England and Russia but at a certain stage, ruthless rivals - Russia and Ottomans.

Russia conveniently used the created situation to establish full influence on the Caucasus.

Key words: Caucasus, Georgia, geopolitics, Russia, Ottoman, Kabardino, Dagestan

რუსული ჯარის უნიფორმა კავკასიის ომის დროს (XIX საუკუნე)

მანაგაძე ანა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი

DOI: <https://doi.org/10.52340/idw.2023.15>

აბსტრაქტი. სტატიაში განხილულია ცალკე კავკასიური კორპუსის ჯარების სპეციფიკურ იერსახესთან დაკავშირებული პრობლემები. აღნიშნულია, რომ მუნდირმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა კავკასიურ პოლკებში კორპორატიულობის სულისკვეთების, ერთიანობის განსაკუთრებული განცდის ჩამოყალიბებაში. უნიფორმა განსაკუთრებულ შინაარსობრივ დატვირთვას ატარებდა, ის იყო სამხედრო ნაწილის ინდივიდუალურობის სიმბოლო. თუმცა რუსული ჯარების უნიფორმა და აღჭურვილობა თავდაპირველად არ იყო ადაპტირებული კავკასიის რეგიონში ომისთვის. ცალკე კავკასიური კორპუსის სამხედრო სამოსისა და აღჭურვილობის არსისა და ხარისხის განმსაზღვრელი ფაქტორები იყო მთა-ტყის ომი, მობილური მტერი, კლიმატი და მომარაგების სისტემის ნაკლოვანებები. წესდების დარღვევა იძულებითი ხასიათის იყო, აუცილებლობით იყო გამოწვეული. კავკასიის სამხედრო ნაწილებში „უნიფორმის“ ცნებამ ძალზე მოქნილი ინტერპრეტაცია მიიღო. „ნამდვილი კავკასიელის“ იმიჯი აისახა რუსი ოფიცრების მემუარებში.

საკვანო სიტყვები: რუსეთის იმპერია, მუნდირი, კავკასიური სამოსი, კავკასიური ომი

მსჯელობა:

ცალკეული კავკასიის კორპუსი რუსული ჯარის ერთ-ერთ ყველაზე ბრძოლისუნარიან, საომარი მოქმედებების მდიდარი გამოცდილების მქონე შენაერთად ითვლებოდა. ის სამხედრო სამსახურის განსაკუთრებული პირობებით გამოირჩეოდა. კავკასიის რეგიონში გამართულმა სამხედრო მოქმედებებმა აქ მყოფი და მებრძოლი რუსი ჯარის ცხოვრების და საბრძოლო საქმიანობის სხვადასხვა მხარეებზე მოახდინეს გავლენა. ეს გამოყოფდა მათ რუსული არმიის მთელი დანარჩენი მასისაგან, ქმნიდა კავკასიელი ჯარისკაცის თავისებურ ტიპს, რომელიც ჩინებული საბრძოლო თვისებებით და გარეგნობით გამოირჩეოდა.

უნდა გავამახვილოთ ყურადღება იმდროინდელი ჯარისკაცებისა და ოფიცრების გარეგნობის აღწერაზე. თითოეულ ჩამოსულს, განსაკუთრებით კი პეტერბურგიდან, სადაც მუშტრა და მარშირება ბატონობდა, კავკასიაში ოფიცრებსა და ჯარისკაცებში მხედრული გამართულობის არარსებობა აოცებდა. რუს ოფიცერი იხსენიებს გრაფ პასკევიჩის ცნობილ გამოხმაურება-შეფასებას იმ პირველ უკიდურესად არახელსაყრელ შთაბეჭდილებასთან დაკავშირებით, რომელიც დედაქალაქის ალღუმების ამ გმირზე კავკასიის ჯარებმა მოახდინა. რამდენიმე თვის შემდეგ ამ „არაფრად ვარგისმა“ ჯარების რაზმმა, არაუმეტეს 5-6 ათასი მეომრის ოდენობით, შამქორთან ახას-მირხას ორმოცათასიანი სპარსული რაზმი გაანადგურა. იმავე ჯარებმა მოუტანეს თავად პასკევიჩს „ერივანსკის“ ტიტული და შემდეგ მის თვალწინ მთელი რიგი სხვა გამარჯვებები მოიპოვეს. პავლეს სკოლის ფრონტელმა ბოლოსდაბოლოს აღიარა, რომ გარეგნული მხედრული გამართულობის არარსებობა სრულიად არ უშლის ხელს კავკასიის არმიის გამორჩეულ სამხედრო ღირსებებს (რუკევიჩი 1914:791).

რუკევიჩი აღწერს ერივინის პოლკის ჯარისკაცების გარეგნულ სახეს, მათ ჩაცმულობას: „ჯარისკაცები მოუქნელები იყვნენ, დადიოდნენ ბაჯბაჯით, თავზე ფაფახი ეხურათ, რომელიც ან კეფისკენ იყო გადაწეული ან კიდევ თვალებზე ჰქონდათ ჩამოფხატული, ხშირად ფორმის

გარეშე იყვნენ, პერანგებში, ჯუბებში, ფლოსტებში ჩექმების ნაცვლად; მათ სამწყობრო სიარულს არ ჰქონდა ის სიმტკიცე, რომელსაც მაშინ ითხოვდნენ, თოფით გამკლავების ილეთები არ იყო ზუსტი; ჯარისკაცები არც თუ ისე სწრაფად და იხრიდნენ ქედს უფროსობის წინაშე, როგორც ეს ცენტრებში კეთდებოდა, მაგრამ ოფიცრები ყოველთვის წინ მიუძღვოდნენ და ჯარისკაცები მათ ცეცხლშიც მიყვებოდნენ და წყალშიც. კავკასიაში ჯარისკაცი გაცილებით ახლო იყო ოფიცერთან, ვიდრე რუსეთში (რუკევიჩი 1914 :790)

პოლკოვნიკი ბარტოლომეი, ნიკოლოზ I-ის რწმუნებული პირი, რომელიც 1827 წელს კავკასიაში ინსპექციით გაიგზავნა, თავის რაპორტში, გრაფაში „სამსახურის წესი“ ლაკონურად აღნიშნავდა: „საერთოდ არ არსებობს“, და შემდგომ მიწერილი ჰქონდა: „...ადამიანები აქ არ გამოირჩევიან გამართულობით, განსწავლულობით და მხოლოდ მუნდირი, რომლსაც იშვიათად იცვამენ (მეტწილად აქ გახეული შინელებით დადიან, ნაბადებში, ახალუხებში, ჩერქეზულ ქულებში და ა.შ.) ზოგჯერ მიგვახვედრებს, რომ ეს სავარაუდოდ ჯარისკაცები არიან“ . მომარაგების ბაზებისგან და მაღალი უფროსობის მკაცრი მზერისგან სიშორე, ადგილობრივი პირობების მიმართ ადაპტაციის აუცილებლობა და ასევე თითქმის მუდმივი საბანაკო ყოფა გახდა მიზეზი იმისა, რომ კავკასიაში ომის უკვე პირველ წლებში ჯარის ფორმაში გამოწყობა მიახლოებით თუ გვაგონებდა წესდებით განსაზღვრულს. ევროპულ კამპანიებში ბრძოლებს შორის ხანგრძლივი შესვენებების დროს ჯარისკაცები ახერხებდნენ უნიფორმის დაკარგული ნაწილების აღდგენას. კავკასიაში კი თავად ომის რიტმი გამორიცხავდა ასეთ პაუზებს. გარდა ამისა, ადგილობრივი მეთაურობა შეგნებულად ზერელედ უყურებდა ფორმის ჩაცმულობის დარღვევებს, განსაკუთრებით კი იმ დეტალებს, რომლებსაც პრაქტიკული მნიშვნელობა არ ჰქონდა (ფილიპსონი 1884:354). „გახეული, გახუნებული და დამწვარი შინელი არ იყო რაიმე განსაკუთრებული კავკასიური პეჩის ნიშანი, თუმცა ასეთი რამეების ეპატაჟისათვის გამოყენების მოყვარულებიც გვხვდებოდნენ... მოკლედ, კავკასიელები გარეგნულად შეუხედავები იყვნენ, არც ალღუმები უყვარდათ, მათი დათვალიერებები, როგორც წესი, წარუმატებელი იყო, მაგრამ ეს სრულიად არ უშლიდა მათ სასწაული სიმამაცის და გამძლეობის გამოჩენაში“ – წერდა ტენგინსკის პოლკის ისტორიოგრაფი (რაკოვიჩი 1900:128-129).

ცვლილებები პოლკების ფორმის ჩაცმულობაში და აღჭურვილობაში იმ ეპოქაში საკმაოდ ხშირი იყო, განსაკუთრებით თავსაბურავებში და ამუნიციის მორგებაში. 1828 წელს სამწყობრო ჩინებისთვის დადგენილი ტანსაცმლის ფორმა 1848 წლამდე უცვლელი რჩებოდა.

უმწყობრო ჩინებს კი 1828 წლის 24 აპრილის ბრძანებულებით დაუწესდა ერთბორტიანი მუქი-მწვანე სერთუკები, ნაცრისფერი პანტალონები ბეწვის წითელი ღარით გვერდით ნაკერებზე; ხელოსნებს და ლაზარეთის მოსამსახურეებს მუნდირების ნაცვლად ქურთუკები და ნაცრისფერი პანტალონები ეცვათ. ოფიცრებს სერთუკების წითელი ყოშები მუქი-მწვანეებით შეუცვალეს (1829 წ.).

ნაცვლად გლუვი ღილებისა მუნდირებსა და შინელებზე შემოღებული იქნა ღილები გრენადის ამოხნეილი გამოსახულებით და ციფრით, როგორც გერბზე იყო (1829 წლის 26 დეკემბერი). შემდეგ გააუქმეს მაუდის ნახევარშტიბლეტები (1833 წ. 3 იანვარი) და ყველა სამწყობრო ჩინს დაურიგეს ახალი ფორმები – საზაფხულო პანტალონები საჩეხის გარეშე და იმავე რაოდენობის ფლამის ნაქსოვი ტილო (1833წ. 20 თებერვალი). ერივნის პოლკის სამხრეულებზე ოფიცრებს და დაბალ ჩინებს უნდა ჰქონოდათ ლიტერა 3 (1833წ. 28 იანვარი), რომელიც შემდგომ კურსივის 2-თი იყო შეცვლილი (1843 წ. 8 აპრილი).

შავი ზღვის ნაპირებისკენ, აფხაზეთში, კარაბინერთა ლაშქრობის წინ მთელ პოლკს მიწერილობით დაევალა მხრებს ზემოთა ჩექმების და ჯუბაჩების დამზადება დაზოგილი თანხების ხარჯზე (ბრძანება №25 1837 წლის 1 თებერვალი).

ზურგჩანთები იგივე იყო: ხბოს ტყავის, შავი ტყავისვე არშიებით. კივერების და საპატრონე ჩანთების შალითები გაუქმებულ იქნა (1833). ოფიცრებს დაშნების ნაცვლად დაევალათ ნახევარხმლების ტარება. მათ ულვაშების ტარების ნებაც დართეს (1832 წ. 8 ივნისი). ოფიცრებს ახალი ტიპის შარფები მიეცათ (1839 წ. 15 ივლისი).

კავკასიის კორპუსის ჯარები, ვინაიდან წლის უმეტეს ნაწილში ლაშქრობებში, მუშაობასა და გადაადგილებებში ატარებდნენ, მუნდირებს გაცილებით უფრო დიდხანს ინახავდნენ,

ვიდრე შინელებს; ეს უკანასკნელი უკვე ლაშქრობების მეორე წელს ძველდებოდა, ხოლო მესამე წელს ძონძებად იქცეოდა (ბობროვისკი 1895:260-261).

კავკასიის კარგი მცოდნე გენერალი რ.ა. ფადეევი საერთოდ თვლიდა, რომ ამ მხარეს ვერც კი დაიპყრობდნენ, ჯარისკაცებისათვის რომ არ მიეცათ საკუთარი ხარჯით ჩაცმის უფლება (ფადეევი 2010 ა:573).

იმ მიზეზთა შორის, რომლებიც უბიძგებენ სამხედრო ჩამცმულობის წესიდან გადახვევისკენ, მთავარი კონკრეტულ გარემოებებთან შეწყობა იყო. კავკასიაში რუსი ჯარის კოსტუმისა და აღჭურვილობის ევოლუციის განმსაზღვრელ ფაქტორებს სამთო-სატყეო ომი, მოძრავი მოწინააღმდეგე და კლიმატი წარმოადგენდა. ტანისამოსის ფორმა და აღჭურვილობა, რომლებიც თავდაპირველად არ იყო შეწყობილი მთებში საომარ მოქმედებებთან, ადგილობრივი პირობების და სამხედრო-სალაშქრო გარემოებების გათვალისწინებით იცვლებოდა. სამთო ტანისამოსის და აღჭურვილობის მახასიათებელი ელემენტები კავკასიის სახაზო და შავი ზღვის კაზაკებმა ადგილობრივი მაცხოვრებლებისგან ისესხეს.

ოფიცერი სიმანოვსკი თავის მოგონებებში წერს: *„დილის 10 საათზე ველიამინოვი შემოუვლიდა ბანაკს, ჯარები ასეულების მიხედვით იყვნენ ჩამწკვრივებული ბატალიონის კოლონებში (ჯარისკაცები – შინელებსა და ფორმის ქუდებში, ოფიცრები – სერთულეებში, ფორმის ქუდებში და ხმლებით). ველიამინოვის წინ სამი მეხაზე მოდიოდა, შემდეგ თავად ველიამინოვი ამალით და უკან მცველთა რაზმი, რომელიც 50 სახაზო კაზაკისგან შედგებოდა. მათი კოსტუმი ძალიან მომწონს: ისინი ჩერქეზებივით არიან ჩაცმული და შეიარაღებული, ხოლო ბრძოლაში სიმარჯვით და დახელოვნებით თავად ჩერქეზებსაც კი ბევრად აღემატებიან, მათი ტანისამოსი მსუბუქი და მოხერხებულია როგორც ცხენოსნებისთვის, ისე ქვეითთათვის, ბევრი მათგანი „გაჭენებულ ცხენზე მჯდარი მიწიდან მანეთიანს სწევს“, ისინი ახოვანები და კარგი აგებულების იყვნენ“ (სიმანოვსკი 2000 : 189).*

იმ დროს ოფიცრის სამხრეულები არ არსებობდა. ეპოლეტების გარდა, ჩინებს შორის გამორჩევის სხვა არავითარი ნიშანი არ იყო. ოფიცრები და კაზაკები ერთნაირად, უბრალო ჩოხებში იყვნენ გამოწყობილნი და ვერც კი გაარჩევდი, რომელია ოფიცერი და რომელია ჯარისკაცი. არც ერთი ოფიცერი არ იტარებდა გამორჩევის სხვა ნიშნებს, ანუ ჯვრებს; ყველაფერი ეს ერთადერთი სამუნდირე ტანისამოსს მიეკუთვნებოდა, რომელსაც უპირატესად ალღუმების ან უფროსობის წინ წარდგენისას იცვამდნენ, რაც წელიწადში ერთხელ ან ორჯერ ხდებოდა, ამიტომ მათ შორის სხვების დამსახურებების მიმართ არანაირი შური არ იყო. ხასიათის ეს განმასხვავებელი თვისება – სამსახურის მოვალეობის შესრულება აუცილებელი ვალდებულების და არა რაიმე ჯილდოს მიღების მიზნით ყველას აიძულებდა პატივი ეცა მათთვის (ვოსპომინანია 1879 :12).

როგორც შედეგი, ოფიცერთა და ჯარისკაცთა იდენტიფიკაცია პირველ რიგში სწორედ პოლკისადმი მათი კუთვნილების მიხედვით ხდებოდა: კურინსკის პოლკის წარმომადგენლები საკუთარ თავს კურინელებს უწოდებდნენ, აფშერონის პოლკის – აფშერონელებს, შირვანის – შირვანელებს და ა.შ., იმ ქვედანაყოფების წარმომადგენლებს, რომლებიც გაუპიროვნებელ ფორმალისტურ სახელწოდებას ატარებდნენ, თავისი საკუთარი არაფორმალური დასახელება ჰქონდათ, მაგალითად, პირველი კავკასიური სასროლო ბატალიონის წევრებს, გომბორში შტაბ-ბინის განლაგების ადგილის მიხედვით, გომბორელებს უწოდებდნენ. კავკასიის ომის მსვლელობისას ხდებოდა პოლკების სახელების გადარქმევა იმ სახელოვანი გენერლების სახელთა მიხედვით, რომლებიც მათი შეფები ხდებოდნენ. ასე, 79-ე ეგერთა კურინსკის პოლკი „გენერალ-ადიუტანტ თავად ვორონცოვის ქვეითი“ პოლკი გახდა, მე-80 ეგერთა ყაზარდული პოლკი – „გენერალ-ადიუტანტ თავად ჩერნიშოვის ყაზარდულ პოლკად“ იქცა, ხოლო შემდეგ „გენერალ-ფელდმარშალ თავად ბარიატინსკის ქვეით პოლკად“. მიუხედავად ხელახლა გადარქმევისა პოლკების წევრები კვლავაც თავის თავს ძველი ტერიტორიული სახელწოდებებით მოიხსენიებდნენ. თუმცა, შირვანელებს, რომელთა პოლკს ხელახლა „გენერალ-ფელდმარშალ გრაფ პასკევიჩ-ერივანსკის ქვეითი პოლკი“ გადაარქვეს, ალტერნატიული დასახელება – „გრაფელები“ განუმტკიცდა (გიზეტტი 1896).

დასკვნა:

XIX საუკუნის დასაწყისიდან არაერთხელ გაკეთდა წინადადებები ტანსაცმლისა და აღჭურვილობის გამარტივებისთვის, აღჭურვილობის მთელი რიგი დეტალების შესაცვლელად. ზოგიერთმა კავკასიელმა სამხედრო მეთაურმა, გააცნობიერა რა წესდების მკაცრი დაცვის არარეალურობა, სალაშქრო-საბრძოლო ვითარების გათვალისწინებით, დაუშვა მისგან გადახვევები (პ.გ. ლიხაჩოვმა, პ.დ. ციცინაოვმა, ფ.ო. პაულუჩმა, განსაკუთრებით ა.პ. ერმოლოვმა). 1840-იანი წლების მეორე ნახევარი ხასიათდება ახალი მიდგომებით ცალკე კავკასიური კორპუსის სამხედრო მოსამსახურეების უნიფორმასთან მიმართებაში. წინა პლანზე წამოიწია საბრძოლო მიზანშეწონილობის მიზეზებმა, რეგიონის კლიმატურმა და გეოგრაფიულმა თავისებურებებმა და კავკასიაში სამხედრო სამსახურის სანიტარიულ-ჰიგიენურმა პირობებმა. 1846-1850 წლებში ცალკე კავკასიური კორპუსისათვის შეიქმნა სრულიად ახალი ჭრის უნიფორმისა და აღჭურვილობის კომპლექსი (ნახევარკაფტანი და ფაფახი. კავკასიური კორპუსის ქვედანაყოფების პრაქტიკული და მოსახერხებელი ფორმა იყო მთელი არმიის ერთიანი რეფორმის მოდელი (1855-1856). მთის ტანსაცმლისა და აღჭურვილობის დამახასიათებელი ელემენტები ადგილობრივი ხალხებისგან კავკასიის კაზაკებმა აიღეს. ანალოგიური პროცესები მიმდინარეობდა ასევე ცალკე კავკასიური კორპუსის რეგულარული ქვედანაყოფების სამხედრო მოსამსახურეებს შორის. მაგალითად, ბევრი ოფიცერი და დაბალი ჩინის წარმომადგენლები (უფრო აქტიურად 1810-იანი წლებიდან) აერთიანებდა უნიფორმის ელემენტებს ჩრდილოეთ კავკასიის ეროვნული კოსტუმებისა და იარაღის ელემენტებთან. ეს კომპლექსი იდეალურად იყო ადაპტირებული ადგილობრივ კლიმატურ და საბრძოლო პირობებთან, აღმოჩნდა უკიდურესად რაციონალური მისი შემადგენელი ელემენტების შედარებითი სიმარტივით. ეს იყო მისი განსაკუთრებული პოპულარობის მიზეზი ცალკე კავკასიური კორპუსის სამხედრო პერსონალს შორის. ამავე დროს, ადგილი ჰქონდა ადგილობრივი ხალხების ადათ-წესების გადაჭარბებულ (თუმცა ზედაპირულ) მიბაძვას. ისტორიოგრაფიაში დაპირისპირებული მხარეების უკიდურესი ურთიერთგავლენის ფენომენმა „ნამდვილი კავკასიელის“ სახლწოდება მიიღო.

ლიტერატურა:

1. გიზეტტი 1896: [Гизетти А. Л. Хроника кавказских войск. — Тифлис: Тип. Канцелярии Главноначальствующего гражданской частью на Кавказе, 1896. — 598 с.](#)
2. ბობროვსკი 1895: [Бобровский П. О. История 13-го Лейб-гренадерского Эриванского Его Величества полка за 250 лет \(1642—1892\): в 5 частях.](#) — СПб.: Тип. В. С. Балашева, 1892—1898. Том 4, 1895.
3. ვოსპომინანია 1879 : Воспоминания из военной Кавказской жизни. Рассказ 1-й // Историческая библиотека, №8, 1879
4. რაკოვიჩი 1900: Ракович Д. В. [Тенгинский полк на Кавказе. 1819—1846](#) / Под. ред. В. А. Потто. — Тф.: Тип. Канц. Глав. гражд. частью на Кавказе, 1900.
5. რუკევიჩი 1914: Рукевич А. Ф. Из воспоминаний старого эриванца. (1832—1839 гг.). Исторический Вестник. 1914г. Т.137.
6. სიმანოვსკი 1999 : Симановский Н.В. Дневник. 2 апреля - 3 октября 1837 г., Кавказ. Звезда.-1999.-№9.
7. ფადეევი 2010 : Ростислав Фадеев. Шестьдесят лет Кавказской войны. Государственный порядок. Россия и Кавказ, , Москва, 2010
8. ფილიპსონი 1884: Воспоминания Григория Ивановича Филиппсона // Русский архив, 1884, часть

Uniforms of the Russian Army during the Caucasian War (19th century)

Managadze Ana

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Tbilisi
Abstract

The article deals the problems associated with the specific appearance of the troops of the

Separate Caucasian Corps. It is noted that the military uniform played a significant role in the development in the Caucasian regiments of the spirit of corporatism, a special sense of unity. The uniform carried a special semantic load, it was a symbol of the individuality of the military unit. But the uniform and equipment of the Russian troops were not originally adapted for war in the Caucasus region. The determining factors for the essence and quality of the military suit and equipment of the Separate Caucasian Corps were the mountain-forest war, the mobile enemy, the climate and the disadvantages of the supply system. Violation of the charter was forced, it was caused by necessity. The concept of “Uniform” in the Caucasian units received a more than flexible interpretation. The image of a “Real Caucasian” was reflected in the memoirs of Russian officers.

Key words: Russian Empire, Uniform, Caucasian clothes, Caucasian War

ქართული ტოლერანტობის ისტორიიდან

ოსაძე ივანე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი

DOI: <https://doi.org/10.52340/idw.2023.16>

აბსტრაქტი. „ჩვენ“ და „ისინი“ საქართველოს ტერიტორიაზე ადრიდანვე ცხოვრობდნენ და მათ შორის ურთიერთობები სხვადასხვა ხასიათისა იყო. „უცხონი“ აქ სხვადასხვა გზით და სხვადასხვა დროს მოდიოდნენ და სახლდებოდნენ. ზოგიერთმა საუკუნეების მანძილზე კომპაქტური დასახლება შეინარჩუნა, ზოგმა ქართულ კულტურულ-პოლიტიკურ სამყაროში ასიმილაცია განიცადა.

უცხოთა მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება მხოლოდ იმ შემთხვევაში მჟღავნდება, თუ მათგან ქვეყანას საფრთხე ემუქრება. სახელმწიფოსადმი მათი ლოიალობის შემთხვევაში „უცხოსადმი“ დამოკიდებულება პოზიტიური ხდება.

ფეოდალურ საქართველოში ტოლერანტობის შედეგად ხშირია „უცხოს“ გადაქცევა მკვიდრად, „თვისად“ და სახელმწიფოს ერთგული სამსახური.

„რჯულთშემწყნარებლობის“ ვითარებაში წარმოიშვა „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც თავისუფლების, სიყვარულის, მეგობრობისა და ტოლერანტობის პრინციპებს ეფუძნება.

ქართველი მეფეები და ხელისუფალნი თვითონ უწყობდნენ ხელს არაქართული ეთნიკური წარმომავლობის ადამიანთა ჯგუფების ჩამოსახლებას და მათთვის ცხოვრების ნორმალური პირობების შექმნას.

დავით აღმაშენებელი, ერეკლე II, სამეგრელოს მთავარი ლევან II დადიანი, თავიანთ ტერიტორიებზე ასახლებდნენ ებრაელებს, ყივჩაღებს, სომხებს და სხვებს.

ქართველთა ტოლერანტობამ განაპირობა არაქართველთა ლოიალობის არაერთი ფაქტი: მუსლიმთა რჩევით, ქართველებმა კვლავ აიღეს თბილისი 1227 წელს, მტრის მოულოდნელი შემოსევისაგან გორი იხსნა სომეხმა ტერტერამ სააკაშვილმა და სხვა.

დავით აღმაშენებელმა თბილისელ მუსლიმებს შეუნარჩუნა ყადის ინსტიტუტი, მას საერთოდ სხვა ეროვნების ხალხისა და სარწმუნოების მიმართ ტოლერანტული პოლიტიკა გაუტარებია.

ქართული სამეფო კარის ტოლერანტული პოლიტიკა უზრუნველყოფდა სხვადასხვა ეროვნების ადამიანთა მშვიდობიან თანაცხოვრებასა და სამსახურს სახელმწიფოსადმი.

ქართველთა ეთნოფსიქოლოგიის ტოლერანტული ბუნება კარგად აისახა პოეტურ და პროზაულ ფოლკლორში.

ფეოდალური ხანის ქართულმა საზოგადოებამ თავისი ტოლერანტული პოლიტიკის საფუძვლად ფართო რჯულთშემწყნარებლობისა და კავკასიის ხალხთა მშობის იდეა გამოაცხადა. ეს იყო რეალური ვითარებიდან გამომდინარე, საშინაო და საგარეო ფაქტორებით განპირობებული პოლიტიკა, რომელიც სინამდვილემ მისი სიცოცხლისუნარიანობის უმნიშვნელოვანეს ფაქტორად აქცია.

საქართველოს ისტორიული ცხოვრების ამ ფენომენმა თავისი ასახვა ჰპოვა ხალხის ფსიქიკაშიც, რამაც მნიშვნელოვანწილად განაპირობა ქართველთა ეთნოფსიქოლოგიის ტოლერანტული ბუნება.

საკვანძო სიტყვები: ტოლერანტობა, საქართველო, ეთნოფსიქოლოგია, მეფე, ისტორიული

„ჩვენ“ და „ისინი“ საქართველოს ტერიტორიაზე ადრიდანვე ცხოვრობდნენ და მათ შორის ურთიერთობები სხვადასხვა ხასიათისა იყო. „უცხონი“ აქ სხვადასხვა გზით და სხვადასხვა დროს მოდიოდნენ და სახლდებოდნენ. ზოგიერთმა საუკუნეების მანძილზე კომპაქტური დასახლება შეინარჩუნა, ნაწილი ქალაქის ვაჭრებისა და ხელოსნების ფენებს შეერია, ზოგმა ქართულ კულტურულ-პოლიტიკურ სამყაროში ასიმილაცია განიცადა.

უცხოთა მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება მხოლოდ იმ შემთხვევაში მჟღავნდება, თუ მათგან ქვეყანას საფრთხე ემუქრება. ამ დროს უცხო ეთნოსის სახელები ნეგატიური შინაარსით გამოიყენება. მაგალითად, თამარის ისტორიკოსის გადმოცემით: „შემოვიდა უცხო რამე და უმსგავსი საქმე... შევიდა სატანა გულსა სუე უბედურისა რუსისასა, სკვით – რამე სახელდებულისა“ („ქართლის ცხოვრება“, 1996:331). დავითის ისტორიკოსთან გვხვდება ტერმინი „თურქობა“, რუსთაველთან – „ნათურქალი“.

„უცხოს“ ყოველთვის უარყოფითი მნიშვნელობა არა აქვს და უცხოთა მიმართ დამოკიდებულება პოზიტიური ხდება სახელმწიფოსადმი მათი ლოიალობის შესაბამისად. ხშირია „უცხოს“ გადაქცევა მკვიდრად და „თვისად“. ამისათვის საკმარისი იყო ადგილობრივი კულტურის მიღება და სახელმწიფოს ერთგული სამსახური. მეფეც კი, შეიძლება უცხო ეთნიკური წარმომავლისა ყოფილიყო. სრულიად არ უშლის ხელს არაქართული წარმომავლობა ქართლის მეფე მირიანს, მას შემდეგ რაც ივიწყებს ყოველივე სპარსულს და შეიყვარებს ყოველივე ქართულს.

სომხური წარმომავლობის მიუხედავად, ავტორის სიმპათია შუშანიკის მხარეზეა, რომელიც საქართველოს ეკლესიამ წმინდანად შერაცხა.

საქართველოში ქრისტიანულ ფილოსოფიასა და საგანმანათლებლო სისტემაში თავისუფლების, კაცთმოყვარეობისა (ჰუმანიზმის) და ტოლერანტობის იოანე პეტრიწისეული იდეების ქადაგებამ წარმოშვა შუა საუკუნეების გენიალური პოეტის, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც თავისუფლების, სიყვარულის, მეგობრობისა და ტოლერანტობის პრინციპებს ეფუძნება. ეს არის ფეოდალური ეპოქის საქართველოს პოეზიის, ფილოსოფიის, საზოგადოებრივი აზროვნებისა და საგანმანათლებლო სისტემის მწვერვალი (ხონელიძე, 2011:48).

უცხოთა მიმართ დამოკიდებულებაში ხელისუფლება მოქმედებს სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვის პრინციპიდან გამომდინარე. ტოლერანტობა ვრცელდება იმ ზომით და იმ ფარგლებში, ვიდრე ის საფრთხეს შეუქმნის საქართველოს ძლიერებას. ამის თვალსაჩინო მაგალითად გამოდგება დამოკიდებულება ოსების და სომხების მიმართ (აბდალაძე, 1982:180-181; აბდალაძე, 1988:71-133).

ქართველი მეფეები და ხელისუფალნი ხშირ შემთხვევაში თვითონ უწყობენ ხელს უცხო ეთნიკურ წარმომავლობას ადამიანთა ჯგუფების ჩამოსახლებას და მათთვის ცხოვრების ნორმალური პირობების შექმნას. დავით აღმაშენებელი, ერეკლე II, სამეგრელოს მთავარი ლევან II დადიანი, თავიანთ ტერიტორიებზე ასახლებდნენ ებრაელებს, ყივჩაღებს, სომხებს და სხვებს. ერეკლე II სომხებს აზნაურთა და თავადთა წოდებებსაც ანიჭებდა და თანამდებობებზეც ნიშნავდა. სამეგრელოს მთავარმა ლევან დადიანმა „მრავალი უცხო ხალხი მოიწვია, განსაკუთრებით სომხები და ებრაელები, რომლებიც ძლიერ ეტანებიან ვაჭრობას, თავის სამთავროში დადიანი დიდის წყალობით იზიდავს უცხოელებს, განსაკუთრებით ხელოსნებს. მოსული რომ აღარ წავიდეს აქედან, მთავარი აძლევს სახლს, მიწა ადგილს და ყოველსავე, რაც შეეფერება მოსულის წოდებას და მდგომარეობას“ (ლამბერტი, 1938:147).

ქართველთა ტოლერანტობის შედეგად უნდა მივიჩნიოთ არაქართული ეთნოსის წარმომადგენელთა ლოიალობის არაერთი ფაქტი. ამის ნათელი მაგალითია, მუსლიმთა რჩევით, 1227 წელს ქართველთა მიერ თბილისის კვლავ აღება (ჯაფარიძე, 1995:242-255). მტრის მოულოდნელი შემოსევისგან გორი იხსნა სომეხმა ტერტერამ (მღვდელმა) სააკაშვილმა („საქართველო და ქართველები“, 2013: 304) და სხვა.

აღსანიშნავია, რომ დავით აღმაშენებელმა თბილისელ მუსლიმებს ყადის ინსტიტუტი შეუნარჩუნა, მას საერთოდ, სხვა ეროვნების ხალხთა სარწმუნოების მიმართ ტოლერანტული პოლიტიკა გაუტარებია. ამ მხრივ საგულისხმო ცნობებს გვაწვდის არაბი მწერალი ალ-ფარიკი:

„დაადგინა, რომ ქალაქის (ე. ი. თბილისის) იმ ნაწილში, სადაც მუსლიმანები ცხოვრობდნენ, არავის ყოლოდა ღორი და არავის დაეკლა იგი მათ შორის. მან მოჭრა მათთვის ფული ხალიფასა და სულტნის სახელით და მისცა მათ უფლება აზანისა (ლოცვაზე მოწოდებისა) და თავისუფლად ლოცვისა. დაუდო მათ პირობა, აგრეთვე, რომ არც ქართველი, არც ებრაელი და არც სომეხი არ შევიდოდა ისმაილის (მუსლიმანების) აზანოში... იგი (ე. ი. დავითი) ისე კეთილად ეპყრობოდა მუსლიმანებს და აგრეთვე მათ სარწმუნოებას, მეცნიერებას, ხალხსა და სუფიებს, როგორც მათ არ ჰქონდათ თვით მუსლიმანებს შორის (მესხია, 1972:134). მეორე არაბი ავტორი იბნ-ალ-ჯაუზი კი დასძენს: დავითი ყოველ პარასკევს შედიოდა მეჩეთში, მასთან ერთად იყო ხოლმე მისი დიმიტრი, ისმენდა ხუტბასა და ყურანის კითხვას და აძლევდა ხატიბსა და მუეზინებს მრავალ ოქროს. მან ააშენა ქარვასლები სტუმართათვის და სახლები მქადაგებელთათვის, სუფიებისა და პოეტებისათვის (იქვე,135). ტოლერანტობის იშვიათ მაგალითად შეიძლება მივიჩნიოთ თამარ მეფის დროს სხვადასხვა რელიგიის აღმსარებელთა ერთობლივი თანამშრომლობის ფაქტი ქართულ სასამართლოში. აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის სამართლიანი შენიშვნით, „ასეთი მოვლენის მარტო შესაძლებლობაც კი დიდი მნიშვნელობის ფაქტია იმდროინდელ საქართველოში ეროვნებათაშორისი ურთიერთობის ხასიათის შესაფასებლად (ჯავახიშვილი, 1948:307-308).

იმდენად დიდი იყო მუსლიმური მოსახლეობის მიმართ ტოლერანტობის გრძნობა და იმდენად „ფართო“ უფლებები ჰქონდათ მინიჭებული მათ, რომ ზოგჯერ არაქართული ეთნოსის წარმომადგენელთა უკმაყოფილებასაც იწვევდა. მაგალითად, მხითარ გოში თავის სომხურ სამართალში მკვეთრად ილაშქრებს საქართველოს ქრისტიანი და მაჰმადიანი მოსახლეობის უფლებრივი გათანასწოების წინააღმდეგ. მისი კონცეფციის მიხედვით, ქრისტიანები უფრო მაღლა უნდა იდგნენ მაჰმადიანებზე. ამიტომ საქართველოს ხელისუფალთა პოლიტიკას მუსლიმანებთან დაკავშირებით არასწორად და უსამართლოდ მიიჩნევს (Гош, 1954:147-148, 240). საქართველოს სამეფო ხელისუფლება „თურქობის“ წინააღმდეგ ბრძოლაში სომხებსაც მფარველობდა, მაგრამ პატივით ეპყრობოდა მუსლიმანურ რელიგიას და სასულიერო პირებს. თბილისში და საქართველოს სხვა ქალაქებში ისლამის მიმდევრები თავს სრულუფლებიან მოქალაქეებად გრძნობდნენ და არანაკლებ კარგად ცხოვრობდნენ ვიდრე ბაღდადსა თუ თავრიზში. ნიკო ბერძენიშვილი მართებულად აღნიშნავს, რომ „ქართული სახელმწიფო კარის პოლიტიკა ამ შემთხვევაში მიმართული იყო თურქობისა და არა მაჰმადიანობის წინააღმდეგ. ამ ბრძნული პოლიტიკის შედეგი ის იყო, რომ საქართველომ თავიდან აიცილა საშიში იზოლაცია და მტერთა მრავალჯისი საამისო ცდანი ბრწყინვალედ გააქარწყლა“ (ბერძენიშვილი,1966:159).

XII-XIII სს-ის ქართული სახელმწიფოს ტოლერანტული დამოკიდებულება კავკასიის ხალხებთან, სულ სხვა საფუძველზე იყო აგებული. ქართული ფეოდალური მონარქია მნიშვნელოვანწილად ამიერკავკასიის ხალხთა თანამშრომლობასა და მხარდაჭერასაც ეყრდნობოდა, ამიტომ ამ ხალხთა სარწმუნოებრივი თუ ეროვნული ინტერესების პატივისცემას ქართველ ხელისუფალთა პოლიტიკაში სერიოზული ადგილი ეკავა. უპირველეს ყოვლისა, ასეთ პოლიტიკას ატარებდნენ ქართველი ხელისუფალნი სომხების მიმართ. ამიტომ აქებენ სომეხი მემატრიანეები ქართველ მეფეებს. მათთვის ურჰაეცი გადმოგვცემს: „დავით მეფე (აღმაშენებელი) იყო წმინდა და სათნო, ყოვლად შემკული ღვთის მოსავობით და სამართლიანობით; ის აღმოჩნდა მიძღები და მოყვარე სომეხთა ტომისა... მან ქართველთა ქვეყანაში ააშენა ქალაქი, რომელშიც მრავალი ეკლესია-მონასტერი დააფუძნა... დიდი სიხარულით და აღფრთოვანებით ექცეოდა მას მთელი სომეხი ხალხი“ (დავლიანიძე, 1966:247-248). დავით აღმაშენებლის თანამედროვე „ქართლის ცხოვრების“ სომეხი მთარგმნელი კი, თავის მხრივ, დასძენს, რომ დავითს „უყვარდა სომეხთა ტომი, ეკლესიები და ვინმე რიტორი (მონასტრის) წინამძღვარი ჰახბატ, სახელად სარკავაგი, აღუარებდა მას თავის შეცოდებებს, დაუდრეკდა პატიოსან თავს და მისგან მიიღებდა კურთხევას“. („ქართლის ცხოვრების“ ძველი სომხური თარგმანი, 1953:255).

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ფეოდალთა რომელიმე ჯგუფის მიერ პრივილეგიების მოპოვება და პოლიტიკურ სარბიელზე დაწინაურება დამოკიდებული არ იყო მათ ეთნიკურ წარმოშობაზე ან კონფესიურ კუთვნილებაზე. ამ მხრივ განსაზღვრული იყო მათი როლი და მნიშვნელობა ქვეყნის წინსვლის საქმეში. საყურადღებოა, რომ ქართული სახელმწიფოს

რელიგიურ-იდეოლოგიური პოლიტიკის ყველაზე აქტიური მოღვაწენი ამ დროისათვის კულტურული გაგებით არაქართული წარმოშობის ქართველი ფეოდალები იყვნენ. მართებულად აღნიშნავს სომეხი მეცნიერი, აკადემიკოსი ი. ორბელი, რომ ამ დროისათვის, შეინიშნებოდა სომეხი საერო ფეოდალების მისწრაფება ქართველ ფეოდალებთან სულ უფრო მზარდი ნიველირებისადმი (Орбели, 1968:236); ქართული ფეოდალური მონარქიის ზრდა-განვითარებასთან ერთად კიდევ უფრო მეტად იშლებოდა რელიგიური და ეროვნული ზღუდეები, საერთო ინტერესები ხალხებს უფრო მეტად აკავშირებდა, ვიდრე ეთნიკური ნიშნები თიშავდათ.

საერთო ინტერესებით იყვნენ დაკავშირებული ქართულ სახელმწიფოსთან სხვადასხვა ეთნიკური წარმოშობის ვაჭარ-ხელოსანთა წრეები, რომელთაც მეტად სურდათ ქვეყნის ერთიანობა და ძლიერი ცენტრალური ხელისუფლება. ამ თვალსაზრისით საინტერესო დასკვნების საშუალებას იძლევა საქართველოში არსებული ამქრული წყობის ანალიზი. „არავითარი ტომობრივი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა ფეოდალურმა საქართველომ არ იცოდა“ (ბერძენიშვილი, 1975:415). ეს, კი იმასაც უნდა ნიშნავდეს, რომ ტოლერანტობის საფუძველზე აგებული სხვადასხვა ეთნიკური კუთვნილების ხალხთა მიმართ წარმოებული სახელმწიფო პოლიტიკა წარმატებულად ხორციელდებოდა კავკასიაში XII - XIII საუკუნეებში.

ეს ვითარება კარგად აქვს დანახული ცნობილ სომეხ ისტორიკოსს ს. ერემიანს. იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „როცა სომხური მიწები საქართველოს ფეოდალური მონარქიის შემადგენლობაში იყო, ზეგავლენა მოახდინა თანამედროვეთა გონებაზე, მომდევნო თაობებზე და შემდგომშიც (XVIII ს.), როცა სომეხი ხალხის პოლიტიკურ წრეებში განიხილებოდა რუსული იარაღის დახმარებით სომხური მიწების განთავისუფლებისა და სომხური სახელმწიფოს აღდგენის საკითხი, ის მხოლოდ გაერთიანებული სომხურ-ქართული სახელმწიფოს ფარგლებში გაიაზრებოდა“ (Еремян, 1979:9).

ქართული სახელმწიფოებრიობა და კავკასიის ხალხთა მონათესაობისა და ძმობის იდეაზე აგებული ურთიერთობა საოცრად გამძლე და სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა. გაუარესებულ პოლიტიკურ ვითარებაში კავკასიელი ხალხების სოლიდარობამ კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა შეიძინა. მიუხედავად იმისა, რომ დამპყრობლებმა კავკასიელი ხალხები პოლიტიკურად ერთმანეთისგან გათიშეს და თანდათან ჩამოაცილეს საქართველოს, ისინი მაინც აქტიურად უჭერდნენ მხარს ქართველთა მეთაურობით წარმოებულ განმათავისუფლებელ ბრძოლას.

1260 წელს მონღოლთა ბატონობის წინააღმდეგ ქართველთა აჯანყებას მხარი დაუჭირა შირაკის, გელარქუნიქის, ხაჩენისა და სხვა სომხური თემების მოსახლეობამ. («История Армянского народа», 1951:198).

XV-XVI საუკუნეებში ქართველებთან ერთად იბრძოდნენ შირვანელები თურქმენებისა და ყიზილბაშების წინააღმდეგ. თეიმურაზ I-ის მეთაურობით, 1615 წელს, ქართველ-აზერბაიჯანელთა ლაშქარმა კახეთისა და შირვანის ციხეები გაწმინდა ყიზილბაშებისაგან (Петрушевский, 1949:249). ქართველთა ლაშქარში კვლავ მსახურობდნენ საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნების ხალხებიც.

საერთო საფრთხე აერთიანებდა ამ ხალხებს და ადგილს ადარ ტოვებდა კონფესიური წინააღმდეგობებისათვის, XIV-XV საუკუნეების და შემდგომი ხანის საისტორიო წყაროებში თითქმის ადარ ასახულა კონფესიური დაპირისპირებანი. პირიქით, მონოფიზიტი ავტორები ქართული ეკლესიის სიმტკიცეს ნატრობენ. ეს მათი მფარველი სახელმწიფოს გაძლიერებას უწყობდა ხელს და, ამდენად, მათ ინტერესებსაც შეესაბამებოდა („სომხურ ხელნაწერთა ანდერძების ცნობები საქართველოს შესახებ (XIV-XV სს)“, 1978:55-151.)

საქართველოს სამეფო ხელისუფლება, თანამიმდევრულად ატარებდა რელიგიური ტოლერანტობისა და არაქართული ქრისტიანული მოსახლეობის მფარველობის ტრადიციულ პოლიტიკას. სომხურ ეკლესიებს სწირავდა მამულებს და სომეხი მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის ზრუნავდა.

შუა საუკუნეების საქართველოში ხალხთა ტოლერანტული, კულტურული თანაცხოვრების თვალსაჩინო მაგალითად, თამამად შეიძლება მოვიყვანოთ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი

ქართული რელიგიურ-კულტურული ცენტრის დავით გარეჯის უდაბნოს მრავალენოვანი ეპიგრაფიკა. ეს პოლიგლოტური ეპიგრაფიკა XIII საუკუნიდან XIX საუკუნემდე გრძელდება. დავით გარეჯის წარწერების შესწავლის საფუძველზე ლეონ მელიქსეთ-ბეგმა სწორად დაასკვნა, რომ საქართველოში არსებული სარწმუნოებრივი განსხვავება ვერ ბორკავდა ტომთა და ხალხთა შორის მეგობრულ ურთიერთობას, რაც ვლინდებოდა ხატებში სალოცავად ერთობლივ სიარულში, ხოლო ქალაქებში ამქრულ ორგანიზაციებში არსებული სოლიდარობით (მელიქსეთ-ბეგი, 1940:153-174). დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ანალოგიური მოვლენა იმ დროის ევროპისა და აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის საერთოდ წარმოუდგენელი იყო.

ცნობილი ფრანგი მოგზაური, იუველიერი ჟან შარდენი, რომელმაც ჩვენს ქვეყანაში იმოგზაურა XVII საუკუნეში, აღწერს იმ დროის საქართველოში არსებულ ტოლერანტულ ვითარებას: „თავისუფლება საქართველოში ყველას აქვს მინიჭებული; იცხოვრო შენი სარწმუნოებით და ადათებით, იმჯელო მასზე და დაიცვა იგი. აქ შეხვდებით სომხებს, ბერძნებს, ებრაელებს, ოსმალებს, სპარსელებს, ინდოელებს, თათრებს, მოსკოველებს და ევროპელებს („ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ“, 2018:294-295).

ერეკლე მეორის დროს ქართული სახელმწიფოებრიობის გავლენა მთელ აღმოსავლეთ ამიერკავკასიას გადასწვდა. ამ დროის (XVIII საუკუნის მეორე ნახევარში) ქართლ-კახეთის სამეფოს ხელისუფლების ტოლერანტული პოლიტიკა არაქართველთა მიმართ განსაკუთრებულ შინაარსს იძენს. ერეკლე II ძალისხმევას არ იმურებდა ქვეყნის ევროპულ ყაიდაზე გარდაქმნისათვის, საქალაქო ცხოვრების შემდგომი განვითარების ინტერესები რჯულთშემქნარებლობის გაფართოებასთან ერთად, ეთნიკურად მრავალფეროვანი ქართული ქალაქების მოსახლეობის სულიერ - კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებასაც ითხოვდნენ, მეორე მხრივ, სახელმწიფო ხელისუფლების ცენტრალიზაციისა და ქვეყნის ერთიანობის ამოცანები ამ საზოგადოების კულტურულ-იდეოლოგიური ნიველირებას საჭიროებდნენ, რომელთა გადაჭრის შესაძლებლობანი ახალ სოციალურ-პოლიტიკურ პირობებში საკმაოდ ძნელი იყო.

ამ რთულ პერიოდში ქართული სახელმწიფოს დამოკიდებულება ქვეყანაში მცხოვრები არაქართული მოსახლეობისადმი გარკვეულწილად აისახა XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის დასაწყისში შექმნილ ქართული სამართლის ძეგლებში. მაგალითად, შეიძლება დავასახელოთ დავით ბატონიშვილის სამართალი, უპირველეს ყოვლისა, მისი ისტორიულ-სამართლებრივი თხზულება: «Обозрение Грузии по части прав и Законоведения» (ბაგრატიონი, 1959; „სამართალი ბატონიშვილის დავითისა“, 1964). ორივე ეს ძეგლი შეიცავს როგორც XVIII საუკუნის დამლევის ქართლ-კახეთში მოქმედ ნორმებს, ისე ქართულ სამართლებრივ მემკვიდრეობას.

დავით ბატონიშვილი თავის «Обозрение»-ში აღნიშნავს: საქართველოში ყველა რელიგიისათვის დაშვებულია თავისუფალი ღვთისმსახურება. ხელისუფლება კანონით კრძალავს რომელიმე აღმსარებლობის ყოველგვარ უპატივისმცემლობას, ლანძღვასა და საყვედურს მეორის საპირისპიროდ («Обозрение», პარაგრაფები 3, 4).

ფართო რჯულთშემქნარებლობის პოლიტიკა მთავარი და განმსაზღვრელი იყო ქართლ-კახეთის სამეფო ხელისუფლების დამოკიდებულებაში ეთნიკურად ჭრელი მოსახლეობისადმი. ეს პოლიტიკა, ამ ხალხების ქართული სახელმწიფოს გარშემო კონსოლიდაციას ისახავდა მიზნად და არა მათ ერთმანეთისგან გათიშვას. ამ დროისათვის ქართლ-კახეთის სამეფო ატარებს კავკასიურ ხასიათს, მაგრამ სომეხი მეცნიერის ა. იოანისიანის მოსწრებული შენიშვნით: „ერეკლე II ქართული სახელმწიფოს აშენებისათვის იღვწოდა და არა „კავკასიის ხალხთა ექსპერიმენტული ფედერაციისათვის“ (Иоанисян, 1945:131). ამის შესაბამისად ახორციელებდა სამეფო ხელისუფლება პრაქტიკულ ღონისძიებებს იდეოლოგიასა და სწავლა-განათლების სფეროში. XVIII საუკუნის 60-იანი წლების სომეხთა განმათავისუფლებელი მოძრაობის ცნობილი მოღვაწის, იოსებ ემინის გადმოცემით, ერეკლე მეორის ქართული და სომხური ეკლესიების გაერთიანება ჰქონია განზრახული, საუბარში მეფეს უკმაყოფილება გამოუთქვამს, რომ რელიგიურმა განხეთქილებამ მოძმე ხალხები ერთმანეთს დააცილა, რითაც მხოლოდ

მტრებმა ისარგებლეს. ახლა მათ შესაკავშირებლად საკმარისი იქნებოდა, ორივე მხარეს უარი ეთქვა ზოგიერთ ზედმეტ და უვარგის რიტუალზე (იქვე, 143). განათლების ორგანიზაციაც ითვალისწინებდა ამიერკავკასიელ ხალხთა სულიერ მოთხოვნილებების ქართული სახელმწიფოს ინტერესებთან შესაბამისობას. დავით ბატონიშვილის «Образование»-ში აღნიშნულია: „სხვა აღსარების მიმდევრებისათვის თბილისში არსებობდა კერძო სასწავლებლები. მაგალითად, კათოლიკების, სომხებისა და მაჰმადიანებისათვის“. ამასთან, განმარტებულია, რომ „სასწავლო საგნების შერჩევა შეესაბამებოდა თითოეული ერის მოვალეობას“ («Образование», პარაგრაფები 181, 182).

ქართული სამეფო კარის რელიგიური ტოლერანტობის პოლიტიკა უზრუნველყოფდა სხვადასხვა ეროვნების ადამიანთა მშვიდობიან თანაცხოვრებასა და მათს სამსახურს სახელმწიფოსადმი. ყაზახ-ბორჩალოსა და შამშადილუს მაჰმადიანი მოსახლეობა ისეთივე ერთგულებით ემსახურებოდა ერეკლე მეორეს, როგორც ქართული ქალაქების ეთნიკურად და რელიგიურად ჭრელი მოსახლეობა. ისინი ცენტრალური ხელისუფლებისადმი ერთგულებით ზოგჯერ ქართულ ფეოდალურ არისტოკრატისავე კი უპირისპირდებოდნენ (მესხია, 1982:396-397) და სხვა.

ვფიქრობ, საქართველოში ფართო რჯულშემწყნარებლობის ფაქტორიც იყო გათვალისწინებული, როცა სომეხთა განმათავისუფლებელი მოძრაობის საზღვარგარეთული ცენტრების ხელმძღვანელები ერეკლე მეორეს ქართულ-სომხური ფედერაციული სახელმწიფოს შექმნის პროექტებს სთავაზობდნენ, იმავე გარემოების გამო, კონფესიურად ჭრელი ახლო აღმოსავლეთის ჩაგრული ხალხები (იეზიდები, ქურთები, ანტოლიელი სომხები, სირიელები) ქართლ-კახეთის სამეფოსა და მისი სახელოვანი მეფის ერეკლე მეორის გაძლიერებაზე ამყარდნენ თავიანთი ხსნის იმედებს და მასთან შეერთებას ცდილობდნენ („იესე ბარათაშვილის ცხოვრება -ანდერძი“, 1950:67-68).

ფეოდალურ საქართველოში ტრადიციულმა რელიგიურმა ტოლერანტობამ და ამ საფუძველზე ეროვნებათაშორისო ურთიერთობის ხასიათმა ძლიერი ზეგავლენა მოახდინა ქართველი ხალხის ეთნოფსიქოლოგიაზე, სადაც ტოლერანტულმა სულისკვეთებამ ერთ-ერთი უმთავრესი ადგილი დაიკავა. ვფიქრობ, ასეთ ვითარებაში სრულიად კანონზომიერი იყო, რომ ქართულ ფეოდალურ სინამდვილეში, ტოლერანტული სულისკვეთებით ძლიერ გამსჭვალული დიდი პოეტური ქმნილება – „ვეფხისტყაოსანი“ შეიქმნა.

საყურადღებოა, რომ, მაშინაც კი, როცა მახლობელი აღმოსავლეთის დესპოტურმა სახელმწიფოებმა თავისი ქვეშევრდომი მუსლიმი ხალხები „სადვთო ომის“ საბაბით საქართველოს გასანადგურებლად ამოქმედეს, ქართველთა ეთნოფსიქოლოგიის ტოლერანტული კომპონენტი არ შესუსტებულა. ამის მკაფიო დადასტურებად, შეიძლება, მივიჩნიოთ, შესანიშნავი ხალხური ლექსი „წუთისოფელი“:

„ყველა ადამის შვილი ვართ,
თათარიც ჩვენი ძმა არი,
ჩვენსა და სომხებ შუა
განყოფილება რა არი?“

ქართული ხასიათის ტოლერანტულ ბუნებას უცხოელი ავტორებიც აღნიშნავენ. XV საუკუნის სომეხი სასულიერო მოღვაწე მატეოს ჯულაეცის დახასიათებით, ქართველები „მოწყალენი, კაცთმოყვარენი და სტუმართმოყვარენი“ არიან. იგი მიიჩვენს, რომ ამ თვისებებს გადაურჩენია ქართველთა სამეფო დაღუპვისაგან. („სომხურ ხელნაწერთა ანდერძების ცნობები საქართველოს შესახებ“, 1978:138). ჟან შარდენიც აღნიშნავს ქართველთა „თავაზიან და კაცთმოყვარე“ ხასიათს; საყურადღებოა, რომ ფრანგი მოგზაურის აზრით, „ქართველთა ეს თვისებები მათ ქვეყანაში არსებული ტრადიციული სარწმუნოებრივი თავისუფლების შედეგად უნდა იყოს“ („ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ)“, 2018:297).

შეიძლება ითქვას, რომ ქართული ხასიათის ტოლერანტული ბუნება ქართველთა საზოგადოებრივი ცხოვრების სპეციფიკით და ამ ხალხის ისტორიის მდიდარი ტრადიციებით იყო განპირობებული.

აღმავალი ხანის ქართულმა ფეოდალურმა საზოგადოებამ თავისი ტოლერანტული პოლიტიკის საფუძვლად ფართო რჯულთმემწნარებლობისა და კავკასიის ხალხთა ძმობის იდეა გამოაცხადა.

საქართველოს ისტორიული ცხოვრების ამ ფენომენმა თავისი ასახვა ჰპოვა ხალხის ფსიქიკაშიც, რამაც მნიშვნელოვანწილად განაპირობა ქართველთა ეთნოფსიქოლოგიის ტოლერანტული ბუნება.

ლიტერატურა:

1. აბდლაძე, ა. (1982). „ქართლის ცხოვრება“ და საქართველო-სომხეთის ურთიერთობა“. თბილისი.
2. აბდლაძე, ა. (1988). „ამიერკავკასიის პოლიტიკურ ერთეულთა ურთიერთობა IX- XI სს-ში“. თბილისი.
3. ბაგრატიონი, დ. (1959). საქართველოს სამართლისა და კანონმცოდნეობის მიმოხილვა, აპოლონ როგავას რედაქციითა და გამოკვლევით. თბილისი.
4. ბერძენიშვილი, ნ. (1966). „საქართველოს ისტორიის საკითხები“. III. თბილისი: „მეცნიერება“.
5. ბერძენიშვილი, ნ. (1975). საქართველოს ისტორიის საკითხები“. VIII. თბილისი.
6. დავლიანიძე, ლ. (1966). „მათე ურჰაელის ცნობები დავით აღმაშენებლის შესახებ“, კრ.: „საქართველო რუსთაველის ხანაში“. თბილისი: „მეცნიერება“, 247-252.
7. ლამბერტი, ა. (1938). „სამეგრელოს აღწერა“. თბილისი.
8. მელიქსეთ-ბეგი, ლ. (1940). გარეჯის „მრავალმთის“ სომხური ეპიგრაფიკა და პოლიგლოტური წარწერა ქართულ-სომხურ-სპარსულ-უიღურული. აკად. ნ. მარის სახელობის ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის „მომამბე“, V-VI: 153-174. თბილისი.
9. მესხია, შ. (1972). „ძლევაი საკვირველი“. თბილისი.
10. მესხია, შ. (1982). „საისტორიო ძიებანი“. 1. თბილისი.
11. „იესე ბარათაშვილის ცხოვრება-ანდერძი“, (1950). ა. იოსელიანის გამოცემა. თბილისი.
12. „სამართალი ბატონიშვილის დავითისა“, (1964). ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო დ. ფურცელაძემ. თბილისი.
13. „საქართველო და ქართველები“. (2013). ზაზა აბაშიძის რედაქციით, თბილისი.
14. „სომხურ ხელნაწერთა ანდერძების ცნობები საქართველოს შესახებ (XIV-XV სს)“. (1978). ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, კომენტარები და შენიშვნები დაურთო ა. აბულაძემ. თბილისი.
15. „ქართლის ცხოვრება“ (1996). II. თბილისი.
16. „ქართლის ცხოვრების“ ძველი სომხური თარგმანი, (1953). თბილისი.
17. „ქან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ)“, (2018). ფრანგულიდან თარგმნეს და შესავალი წერილი და კომენტარები დაურთეს მზია მგალობლიშვილმა და გიორგი ისაკაძემ. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.
18. ხონელიძე, ზ. (2021). „მშვიდობის ქართული პარადიგმა“. თბილისი.
19. ჯავახიშვილი, ივ. (1948). „ქართველი ერის ისტორია“. II. თბილისი.
20. ჯაფარიძე, გ. (1995). „საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო. XII -XIII ს-ის პირველ მესამედში“. თბილისი.
21. Гош М. (1954). «Армянский судебник». Ереван.
22. Еремян, С. (1979). «Общность судеб и культурно – политическое содружество народов Закавказья в IX - XIII вв», В кн. «Кавказ и Византия. Ереван.
23. Иоанисян. А. (1945). «Иосиф Эмин». Ереван.
24. «История Армянского народа», (1951). I. Ереван.
25. Орбели, И. (1968). «Избранные Труды». I. Москва.
26. Петрушевский, П. (1949). «Азербайджан в XVI-XVII вв, Сборник статей по истории Азербайджана». вып. I. Баку.

From the history of Georgian tolerance

Osadze Ivane

Georgian Technical University, Tbilisi

Abstract

"We" and "they" have been living on the territory of Georgia since early times, and the relations between them were of different nature. "Foreigners" came and settled here in different ways and at different times. Some of them maintained a compact settlement for centuries, some of them mixed with the rank of merchants and craftsmen of the city, some of them experienced assimilation in the Georgian cultural – political world.

Negative attitude towards foreigners is revealed only if the country is in danger of them. In case of their loyalty to the state, the attitude towards "foreigner" becomes positive.

As a result of tolerance in feudal Georgia, it is common to turn a "foreigner" into a native, "their own" and a loyal servant to the state.

In the situation of "religious tolerance", "The knight in the panther's skin" was born, which is based on the principles of freedom, love, friendship and tolerance.

Georgian kings and rulers themselves promoted resettling groups of the people of non-Georgian ethnic origin and created normal living conditions for them.

David the Builder, Erekle II, Levan II Dadiani, the chief of Samegrelo, used to resettle Jews, Kipchaks, Armenians and others in their territories.

The tolerance of Georgians led to many facts of loyalty of non-Georgians: on the advice of Muslims, the Georgians took Tbilisi again in 1227, Gori was saved from the sudden invasion of the enemy by Armenian Tertera Saakashvili and others.

David the builder preserved the Qadis' Institution for the Muslims of Tbilisi, he generally pursued a tolerant policy towards people of other nationalities and faiths.

The tolerant policy of the Georgian royal court ensured peaceful coexistence of the people of different nationalities and service to the state.

The tolerant nature of Georgian ethnopsychology was well reflected in poetic and prose folklore.

The Georgian society of the feudal age declared the idea of broad religious tolerance and brotherhood of the peoples of the Caucasus as the basis of its tolerant policy. It was a policy resulting from the real situation, conditioned by domestic and foreign factors, which reality turned into the most important factor of vitality of the Georgian feudal society.

This phenomenon of the historical life of feudal Georgia found its reflection in the psyche of the people, which significantly determined the tolerant nature of the ethnopsychology of the Georgians.

key words: Tolerance, Georgia, Ethnopsychology, King, Historical

თელავი - როგორც კულტურული და ტურისტული რესურსი

სიმაშვილი თენგიზ

იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი

DOI: <https://doi.org/10.52340/idw.2023.17>

აბსტრაქტი. ქალაქ თელავს საქართველოს ქალაქებს შორის თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიით ერთ-ერთი განსაკუთრებული ადგილი უკავია. თელავის ტურისტული პოტენციალი უნიკალურია. მას დიდი კულტურული და ტურისტული რესურსი გააჩნია. ამისი დამადასტურებელია თელავის ისტორიის სხვადასხვა პერიოდის გამოყენებით, ჩვენს მიერ შექმნილი ალტერნატიული ტურისტული ტურები.

თანამედროვე თელავის განაშენიანების დიდი წილი შვიდ გორას მოიცავს: „ზუზუმბოს გორა“, „დაბახნების გორა“, „ყადორის გორა“, „ღვთაების გორა“, „ბატონის ციხის გორა“, „ფიქრის გორა“, ისტორიულ-რეკრეაციული „გიგოს გორა“. თელავის ალტერნატიული ტურისტული მარშრუტების უმეტესობა სწორედ ამ გორებზე მდებარე ისტორიულ შენობებს, აქ განვითარებულ მოვლენებს ეხება. მათ შორის აღსანიშნავია „დაბახნების“ გორა, სადაც ხელოსნობის რამოდენიმე დარგი იყო განვითარებული. აქვე გამავალ, ბიძინა ჩოლოყაშვილის სახელობის ქუჩაზე დღესაც შემორჩენილია ხელოსნების სახლების, მათი სამუშაო ოთახების ნაშთები. საუბარია ე.წ. „დარაბებიან“ სახლებზე, სადაც ხელოსნები მუშაობდნენ და ასევე თავის საქონელს ჰყიდნენ. „ყადორის გორაზე“ მდებარეობს კახეთის მეფე კვირიკე III დიდის, რომელმაც თელავი კახეთის დედაქალაქად აქცია, დროინდელი ციხე-გალავნის ნაშთები. თელავის მნიშვნელოვან ტურისტულ რესურსს წარმოადგენენ ეკლესიები და მათთან დაკავშირებული ისტორიები, მათ შორისაა საბჭოთა პერიოდში დანგრეული ეკლესიების მემორიალური ტური. საბჭოთა პერიოდში გეგმაზომიერად ხდებოდა საბჭოთა რეპრესიების კვალის წაშლა, თუმცა ქალაქი თელავი მაინც „ინახავს“ მათ კვალს. ამისი მაგალითია, 1924 წლის აგვისტო-სექტემბრის მოვლენებთან დაკავშირებული „საქართველოს საგანგებო კომისიის (ჩეკას)“ ადგილობრივი ორგანოს „თელავის მაზრის პოლიტიკური ბიურო“-ს შენობის არსებობა თელავში. აღსანიშნავია, რომ 1930-იანი წლების „წითელი ტერორის“ კვალი თელავში - 1937-1938 წლების დიდი ტერორი და დახვრეტილთა და რეპრესირებულთა პერსონალური ისტორიები, რეპრესირებულთა სახლები, მოგონებები, შესანიშნავი წყაროა თელავში ტურიზმის სხვადასხვა მიმართულებით დაინტერესებული გიდებისთვის. გარდა ამისა, თელავში ცალკე ტურისტულ ტურად შესაძლებელია განვიხილოთ „გერმანული კვალი თელავში“, როგორც თელავში მაცხოვრებელი ეთნიკური გერმანელების, ასევე გერმანელი ტყვეების ისტორიების სახით.

საკვანძო სიტყვები: თელავის ისტორია, ტურიზმი, ხელოსნობა, ტურები, წითელი ტერორი, გერმანული კვალი თელავში

ტექსტი:

ქალაქ თელავს საქართველოს ქალაქებს შორის თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიით ერთ-ერთი განსაკუთრებული ადგილი უკავია. თელავის ტურისტული პოტენციალი უნიკალურია, რასაც ადასტურებს მისი ბუნებრივი და კულტურული რესურსების

მრავალფეროვნება.

თელავი კახეთში, ცივ-გომბორის ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთის კალთის ფერდობზე და მდინარე ალაზნის მარჯვენა მხრის სამხრეთით მდებარეობს. არქეოლოგიური კვლევები ადასტურებენ, რომ დღევანდელი თელავის ტერიტორიაზე პირველი დასახლება გვიანდელი ბრინჯაოს ეპოქაში გაჩნდა, ხოლო ელინიზმის პერიოდში იგი კიდევ უფრო გაიზარდა და განვითარდა. გვიანდელ ანტიკურ ხანაში კი, მის ბაზაზე წარმოიქმნა ქალაქური ტიპის დასახლება. სხვადასხვა წყაროების მიხედვით თელავი X საუკუნის ქალაქების რიცხვში მოიხსენიება.

თანამედროვე ქალაქ თელავის განაშენიანების დიდი წილი შვიდ გორას მოიცავს:

1. „ზუზუმბოს გორა“
2. „დაბახნების გორა“
3. „ყადორის გორა“
4. „ღვთაების გორა“
5. „ბატონის ციხის გორა“
6. „ფიქრის გორა“
7. ისტორიულ-რეკრეაციული „გიგოს გორა“ [ვახტანგიშვილი, თ., სიმაშვილი, თ., 2020:14]

ზემოჩამოთვლილი ადგილები მნიშვნელოვან კულტურულ და ტურისტულ რესურსს წარმოადგენს. მაგალითად, „ზუზუმბოს გორაზე“, რომელიც ქალაქ თელავის დასავლეთით მდებარეობს, 2018 წელს არქეოლოგიური გათხრები ჩატარდა. აქ გვიანი ბრინჯაოს და ადრე რკინის ხანის ძველი წელთაღრიცხვის II ათასწლეულის დასასრულით და I ათასწლეულის დამდეგით დათარიღებული, სავარაუდოდ წარჩინებული მეომრის სამარხი იპოვეს. მასში ადამიანის ჩონჩხის ნაწილები, რკინის დანა და თიხის საყოფაცხოვრებო ჭურჭელი აღმოჩნდა. აქვე „ზუზუმბოს გორის“ ძირში თელავის „წმინდა ბარბარეს“ სახელობის ეკლესია მდებარეობს. [ალადაშვილი, მ., თამარაშვილი, თ., სიმაშვილი, თ., 2021:23]

„დაბახნების გორა“ აღმოსავლეთიდან ესაზღვრება „ზუზუმბოს გორას“. მის კალთაზე აღმოჩენილია ჩვენი წელთაღრიცხვის V-VII საუკუნეებით დათარიღებული, თელავში რიგით მეხუთე ციხე-კოშკის ნაშთები, რომელსაც იმ პერიოდში თავდაცვითი მნიშვნელობა ჰქონდა. „დაბახნების გორის“ თავზე ასევე მდებარეობს სხვადასხვა ნაგებობის ნანგრევები, რომლებიც IX-XI საუკუნით არის დათარიღებული. აქედან იშლება შესანიშნავი ხედი თელავზე და „ზუზუმბოს გორაზე“, მოჩანს ასევე ალავერდის ულამაზესი ტაძარი.

„დაბახნების“ უბნის „კვირაცხოვლის“ სახელობის ეკლესია, რომლის აგების თარიღი უცნობია, ითვლება „დაბახნების“ და „მაწანწრის“ უბნის მოსახლეობის სალოცავად. აქ დაცულია რუსეთის იმპერიის პერიოდში შეთეთრებული კედლების კვალი, ასევე საბჭოთა პერიოდში გაკეთებული წარწერები. „დაბახნების“ უბანი „ზუზუმბოს გორის“ განშტოებაა და ემიჯნება „ყადორის გორას“. [ალადაშვილი, მ., თამარაშვილი, თ., სიმაშვილი, თ., 2021:26]

სახელი „დაბახანა“ მომდინარეობს სიტყვა „დაბალი“- დან, რაც ტყავის გამომყვანს ნიშნავს. ამ უბანში მდებარეობდა დაბალების სახელოსნოები - „დაბახანები“. [მარგველაშვილი, ა., სიმაშვილი, თ., სიხარულიძე, თ., 2022:172] აქვე ცხოვრობდნენ ტყავის გამომყვანი ოსტატები (დაბალები). სავარაუდოდ, „დაბახნების“ უბანში უნდა ყოფილიყო „დაბალების“ ამერის სამყოფელი. [აბესაძე, 1979:45-50; ნანობაშვილი, 1963:511-513]

„დაბახნების გორის“ მოსაზღვრედ თელავის ერთ-ერთი დიდი და მჭიდროდ დასახლებულ „ყადორის გორა“ მდებარეობს. „ყადორის გორაზე“ შემორჩენილია კახეთის მეფე კვირიკე III დიდის დროინდელი ციხე-გალავნის ნაშთები. ამის გამო მას „ძველი გალავნის“ უბანსაც ეძახიან, განსხვავებით „ახალი გალავნისაგან“, რომელსაც დღევანდელი თელავის ცენტრში მდებარე, მეფე ერეკლე II-ის მიერ განახლებულ „ბატონის ციხეს“ ეძახდნენ.

„ძველი გალავნის“ შიდა ტერიტორიაზე დგას წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის ნანგრევები. სავარაუდოდ, იგი კახეთის მეფე კვირიკე III დიდის კარის ეკლესიის ადგილზეა ხელახლა აშენებული XVIII საუკუნეში.

ამ ეკლესიას „გორიჯვარსაც“ უწოდებდნენ. იოანე ბატონიშვილის „კალმასობის“

მიხედვით, სწორედ აქ იყო დასვენებული სვეტიცხოვლის წმინდა ძეგლის დარჩენილი მასალისგან დამზადებული ჯვარი, რაც ამ ადგილს საკმაოდ დიდ საკრალურ მნიშვნელობას სძენდა თელაველებისთვის. [ვახტანგიშვილი, თ., სიმამვილი, თ., 2020:50]

„ყადორის გორის“ სამხრეთ ტერიტორიაზე გამავალი მთავარი ქუჩა „ბიძინა ჩოლოყაშვილის“ სახელს ატარებს. საბჭოთა პერიოდში მას „პირველი მაისის“ სახელი ერქვა. „ბიძინა ჩოლოყაშვილის“ სახელობის ქუჩა XIX საუკუნის ქალაქის ქუჩის შთაბეჭდილებას ტოვებს. აქ მცხოვრები ადამიანების მთავარ საქმიანობას ვაჭრობა და ხელოსნობა წარმოადგენდა. ამ ქუჩაზე განლაგებული ორსართულიანი სახლების უმეტესობას ადგილობრივი ხელოსნების მიერ დამზადებული დეკორით შემკული აივნები ჰქონდა.

ამ ქუჩის მთელ სიგრძეზე საცხოვრებელი ბინების უმეტესობას პირველ სართულზე აქვს დარბაზები, სადაც განლაგებული იყო მათი მფლობელების – ხელოსნების და ვაჭრების სახელოსნოები, სავაჭრო ადგილები და დუქნები. [ვახტანგიშვილი, თ., სიმამვილი, თ., 2020:50]

თელავში მცხოვრები ხელოსნები ძირითადად იყვნენ: მკერავები - „დერციკები“ (თერძები), ხარაზები (ფეხსაცმლის მკერავები და შემკეთებლები), მეწაღეები (მეჩექმეები), დურგლები (ხის მასალაზე მომუშავენი), კალატოზები (ქვით ხუროები, სახლის მშენებლები), მჭედლები (რკინის საყოფაცხოვრებო იარაღის და ნივთების დამამზადებლები), ოქრომჭედლები (ოქროსა და ვერცხლის ლითონისაგან ბეჭდებისა და სამკაულების დამამზადებელი), მეჭურჭლეები (მეთუნეები - თიხისაგან საოჯახო ჭურჭლის დამზადების ოსტატები, მეთონე-მეჭვევრეები), რომლებიც იმის გამო რომ ფლობდნენ ჭურჭლის გამოსაწვავ ქურებს ითავსებდნენ მესაკირეობასაც, თუმცა ასევე იყვნენ მხოლოდ კირის გამოწვის ოსტატებიც, ანუ საკირეების მშენებლები და სპეციალური საკირე ქვების კირად ქცევის - გამოწვის ოსტატები, მეკრამიტეები(სახლის გადახურვის მასალის დამამზადებლები), დაბალები (ტყავის დამამზადებლები), მეუნაგირეები, მექვაბეები (სპილენძის ლითონისაგან საოჯახო და არყის სახდელი ქვაბების დამამზადებელი), ჭონები (საქონლის ტყავისგან თასმების მკეთებელი) ნალბანდები (შინაურ პირუტყვზე ცხენისა და ხარის ფეხებზე ნალების დამკვრელი), მეკუპრეები(ღვინის ტიკების (რუმბების) დამამზადებლები), თოკის მგრეხელები, მეუნაგირე, და სხვ. მუშაობდა ფურნეები, საკონდიტროები, აგურის, კრამიტისა და ჭურჭლის ქარხნებიც. [ვახტანგიშვილი, თ., სიმამვილი, თ., 2020:27]

„ყადორის გორა“ მოქცეულია „მაწანწარის ხევს“ და „თელავის ხევს“, იგივე „თელავის რიყეს“ შორის. „თელავის ხევი“ სათავეს ცივის მთიდან იღებს და ქალაქს ორ ნაწილად ყოფს. ამჟამად არსებული კაპიტალური ხიდი, რომელსაც თელაველები „ფიქრის ხიდს“ ეძახიან, 1950-1960-იან წლებში აშენდა. მანამდე „თელავის ხევზე“, თითქმის XX საუკუნის 40-იან წლებამდე, ხის ხიდი იყო, რომელსაც წყალდიდობები ხშირად ანგრევდა. XIX საუკუნეში და XX-ის დასაწყისშიც კი, „თელავის ხევზე“ გადებული ხიდის სიახლოვეს, ასევე ხევშიც, ხშირად იმართებოდა თელავის სხვადასხვა უზნის ახალგაზრდებს შორის ტრადიციული მუშტი-კრივი. უპირატესად ასეთი „შერკინებები“ ხდებოდა ხალხური დღესასწაულების - „ყეენობის“ და „ბერიკაობის“ დროს. [ალადაშვილი, მ., თამარაშვილი, თ., სიმამვილი, თ., 2021:44]

თელავის ხევის ხიდის აღმოსავლეთით და „ღვთაების გორის“ დასავლეთით მდებარეობდა ციცაბო ფერდობი, სადაც XX საუკუნის 50-იან წლებში ბეტონის სქელი და მაღალი კედელი აშენდა. აქ, „ფიქრის ხიდის“ აღმოსავლეთით, არსებობდა ძველი „საკოლმეურნეო ბაზარი“ და განთავსებული იყო სასწორი თავის ფარდულთან ერთად. ბაზარში ინახებოდა და იყიდებოდა გლეხების მიერ გასაყიდად მიტანილი პროდუქტი. XIX საუკუნის მეორე ნახევარში აქვე 7-8 მეტრის სიმაღლის ხის ანძა იდგა ალმით (დროშით). ალამს ანძაზე დილით აღმართავდნენ და დღის 12 საათამდე, სანამ ალამი დაეშვებოდა, პროდუქცია იყიდებოდა მხოლოდ ქალაქელებზე, შემდეგ კი იწყებოდა თავისუფალი ვაჭრობა. ასეთი ანძა ალმით აუცილებელი ატრიბუტი იყო იმ პერიოდის ბაზრებისთვის. [ვახტანგიშვილი, თ., სიმამვილი, თ., 2020:65]

თელავის ცენტრში, თელავის ხევის ხიდის აღმოსავლეთით, ასევე მდებარეობს საკმაოდ საინტერესო შენობა - ე.წ. ძველი ფოსტა. შემორჩენილ შენობის ფასადზე არის მოთავსებული საათის გამოსახულება, სადაც წერია მისი აშენების თარიღი - 1900 წელი. ფასადზე ასევე საათია

გამოსახული - დიდი საათი აჩვენებს 8.17, შედარებით მომცრო 12 საათს და მესამე მცირე საათი - 4 საათს. საათის აქეთ იქით ხელები და წარწერა გ.ს.ო. ამ წარწერების სავარაუდო ახსნა: 1900 აშენების წელია; დიდი საათი 8.17 - დამთავრების დრო რიცხვი და თვე -17 აგვისტო; მომცრო საათის 12 საათი - წელიწადს აღნიშნავს, ხოლო მცირე საათი კი ანიშნებს რომ 4 წელი შენდებოდა. [ალადაშვილი, მ., თამარაშვილი, თ., სიმამიშვილი, თ., 2021:50]

თელავის ცენტრში მდებარეობს „ღვთაების გორა“, რომელმაც სახელი მიიღო აქ არსებული „ღვთაების“ (უფლის ფერისცვალების) სახელობის ეკლესიის სახელიდან გამომდინარე. ეს ეკლესია საუკუნეების განმავლობაში თელავის სილუეტის მთავარ სახეს წარმოადგენდა. „ღვთაების“ ეკლესია სამნავიანი ბაზილიკაა და თარიღდება V-VI სს-ით. მეცნიერთა აზრით, ეკლესია გადაკეთებულია XVI ს-ში. [ალადაშვილი, მ., თამარაშვილი, თ., სიმამიშვილი, თ., 2021:54]

„ღვთაების გორის“, მიმდებარე ტერიტორიაზე, აღმოსავლეთით მდებარეობს ძველი სახლი, სადაც პანკისის ხეობაში მცხოვრები ქისტების დიდი განმანათლებელი და საზოგადო მოღვაწე მათე ალბუთაშვილი ცხოვრობდა. იგი იყო მწერალი, ფოლკლორისტი, პედაგოგი, ქართული პრესის ერთ-ერთი პირველი ქისტი თანამშრომელი, წერდა „ქისტი ჩობანის“ ფსევდონიმით. ეს სახლი მდებარეობს ქუჩაზე, რომელსაც ადრე „მღებავების“, შემდეგ „რემედასის“ სახელს ეძახდნენ, ამჟამად მას „ზაირა კიკვიძის“ სახელი ეწოდება. ზაირა კიკვიძე იყო მათე ალბუთაშვილის შვილიშვილის მეუღლე. ქალბატონი ზაირა 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიის მსხვერპლი იყო. ამიტომაც მიენიჭა მისი სახელი ზემოაღნიშნულ ქუჩას. [ვახტანგიშვილი, თ., სიმამიშვილი, თ., 2020:70]

საბჭოთა პერიოდში გეგმაზომიერად ხდებოდა საბჭოთა რეპრესიების კვალის წაშლა, თუმცა ქალაქი თელავი მაინც „ინახავს“ მათ კვალს. ამისი მაგალითია, 1924 წლის აგვისტო-სექტემბრის მოვლენებთან დაკავშირებული „საქართველოს საგანგებო კომისიის (ჩეკას)“ ადგილობრივი ორგანო „თელავის მაზრის პოლიტიკური ბიურო“-ს შენობის არსებობა. ამ შენობის პირველ, მეორე და მესამე სართულებზე თითქმის ხელუხლებლადაა შემორჩენილი საკნები, სარდაფები, სადაც ხდებოდა პატიმრების დახვრეტები და კედლებს დღესაც ამჩნევია ნატყვიარები. შემორჩენილია საკნები, სადაც პატიმრების მიერ კედლებზე გაკეთებული წარწერებია. ეს შენობა საუკეთესო ტურისტული ობიექტი და თვალსაჩინოებაა ტურისტული ტურების ჩატარებისას. თელავში მდებარეობს სხვა რამოდენიმე ადგილიც, რომელებიც უშუალოდ დაკავშირებულია საბჭოთა რეპრესიებთან. [სიმამიშვილი, თ., 2020:41-53]

„თელავის მაზრის პოლიტიკური ბიუროს“ შენობაში დახვრეტილი ადამიანების შგვამები ცხენებზემძული ეტლებით ე.წ. „სამხედრო დროგებით“ მიჰქონდათ „თელავის გოლგოთაზე“ - „გიგოს გორაზე“, სადაც მათ სახელდახელოდ გათხრილ ორმოებში ყრიდნენ და მიწას აყრიდნენ.

თავისთავად, საინტერესოა თელავის მუზეუმის ექსპოზიციების ნახვა, ასევე ბატონის ციხე და მის ტერიტორიაზე მდებარე შენობების, საბჭოთა პერიოდში მეფე ერეკლე II-ის ძეგლის დადგმის ისტორია, თითქმის 1000-წლიანი ჭადარი და მასთან დაკავშირებული ლეგენდები და მოგონებები. [ალადაშვილი, მ., თამარაშვილი, თ., სიმამიშვილი, თ., 2021:102]

აღსანიშნავია, რომ თელავს გააჩნია საკმაოდ საინტერესო „რევოლუციური წარსული“, ვგულისხმობთ 1900-1917 წლებში მიმდინარე მოვლენებს. ძალიან საინტერესოა ასევე თელავის ისტორია საქართველოს პირველი რესპუბლიკის პერიოდში (1918-1921). თელავი და საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაცია კი შესაძლებელი ცალკე ტურისტულ ტურად განვიხილოთ. მით უმეტეს, რომ მოიძიება უამრავი ფოტო და დოკუმენტური მასალები იმის დასადასტურებლად, რომ თელაველი მოსწავლეებიც კი, ებრძოდნენ წითელი არმიის საოკუპაციო ნაწილებს 1921 წლის თებერვალში ე.წ. „ლაგოდების“ და „გურჯაანის“ ფრონტებზე. სწორედ მათი თავდადების შედეგი იყო, ის რომ წითელი არმიის საოკუპაციო ნაწილები თელავში მხოლოდ 1921 წლის 27 თებერვალს შევიდნენ.

აღსანიშნავია, ასევე 1930-იანი წლების „წითელი ტერორის“ კვალი თელავში. ამ დროს დახვრეტილთა და რეპრესირებულთა პერსონალური ისტორიები, რეპრესირებულთა სახლები, მოგონებები, შესანიშნავი წყაროა თელავში ტურიზმის სხვადასხვა მიმართულებით დაინტერესებული გიდებისთვის.

გარდა ამისა, თელავში ცალკე ტურისტულ ტურად შესაძლებელია განვიხილოთ

„გერმანული კვალი თელავში”, როგორც თელავში მაცხოვრებელი ეთნიკური გერმანელების, ასევე გერმანელი ტყვეების შესახებ მოძიებული ისტორიების სახით. 1943-1945 წლებში გერმანელი ტყვეები განსახლებული იყვნენ თელავის ცენტრში მდებარე „ბატონის ციხის“ ტერიტორიაზე. თელავში მათი ყოფნა დადასტურებულია სხვადასხვა ინფორმაციებით და მასალებით. ქალაქში დღესაც ცხოვრობენ ადამიანები, ვისაც ახსოვთ გერმანელი ტყვეების საქმიანობა თელავში. მათი გადმოცემით გერმანელი ტყვეები მუშაობდნენ ქალაქის ინფრასტრუქტურის შესაკეთებლად.

სხვადასხვა ზეპირი მოგონებებიდან ირკვევა, რომ 1944 წელს გერმანელ ტყვეებში ტიფი გაჩენილა. ავადმყოფი გერმანელი ტყვეები გადაყვანილი ყოფილან თელავში, „წმინდა ნინოს“ სასწავლებლის ყოფილ შენობაში მდებარე სამხედრო ჰოსპიტალში, სადაც მათ ქართველი ექიმები უვლიდნენ. 1990-იანი წლების მეორე ნახევარში უკვე დამოუკიდებლობა მოპოვებულ საქართველოში, თელავში ჩამოვიდა ერთ-ერთი ყოფილი გერმანელი ტყვე, რომელმაც თელავში მდებარე ჰოსპიტალის ის ექთანი მოიძია, რომელმაც გადაარჩინა სიკვდილს და შეხვდა კიდევ მას. თელავში ასევე შესაძლებელია საბჭოთა პერიოდში დანგრეული ეკლესიების - ე.წ მემორიალური ტურების ჩატარება.

ამრიგად, თელავის ტურისტული პოტენციალი საკმაოდ მრავალფეროვანი და საინტერესოა

ლიტერატურა:

აბესაძე, ნ. (1979). ქალაქ თელავის ხელოსანთა ამქარი, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XX. თბილისი. გამომცემლობა „მეცნიერება“

ალადაშვილი, მ., თამარაშვილი, თ., სიმაშვილი, თ., (2021) თელავის ინოვაციური ტურისტული მარშრუტები, *გზამკვლევი, თბილისი, გამომცემლობა სათემო განვითარების ცენტრის* ახტანგიშვილი, თ., სიმაშვილი, თ. (2020) თელავი - წარსული და თანამედროვეობა. თბილისი. გამომცემლობა „მერიდიანი“

მარგველაშვილი, ა., სიმაშვილი, თ., სიხარულიძე, თ. (2022) ჩემი ქუჩა, ჩვენი ქალაქი - მაწანწრის უბნის ამბები, თელავი. გამომცემლობა „სათემო განვითარების ცენტრი“

ნანობაშვილი, ი. (1963) საამქრო ნაგებობანი თელავში. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტომი II, თბილისი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“

სიმაშვილი, თ., (2020) საბჭოთა რეპრესიები კახეთში 1921-1924 წლები, ნაწილი I, გამომცემლობა მერიდიანი

Telavi - As a Cultural And Tourist Resource

Simashvili Tengiz

Iakob Gogebashvili State University, Telavi

Abstract

The city of Telavi occupies a special place among the cities of Georgia with its centuries-old history. The tourist potential of Telavi is unique. It has large cultural and tourist resources. This is confirmed by alternative tourist tours of different content based on the history of Telavi.

Most of the construction of the modern city of Telavi is made up of seven hills: "Zuzumbos Gora", "Dabaxnebis Gora", "Kadoris Gora", "Rvtaebis Gora", "Batoni Tsihixis gora", "Piqris Gora", historical and recreational "Gigos Gora". Alternative tourist routes Telavi refers to historical buildings located on these hills, and events that took place here.

Among them, it is worth noting the "Dabaxnebis Gora", where several craft industries were developed. On the street named after Bidzina Cholokashvili passing here, the remains of artisans' houses and their working premises are still preserved. We are talking about the so-called "Darabebi", where the craftsmen worked, and also sell their goods.

The remains of the fortress wall from the time of the Kakhetian king Quirikj III the Great, who made Telavi the capital of Kakheti, have been preserved on "Kadoris Gora".

An important tourist resource of Telavi is churches and the histories associated with them, including a memorial tour of churches destroyed in the Soviet period.

In the Soviet period, the traces of Soviet repressions were gradually erased, although the city of Telavi still "keeps" their traces. An example of this is the existence of the Politburo building in Telavi-Mazra, the local body of the "Georgian Extraordinary Commission VChK", connected with the events of August-September 1924.

It is also worth noting the presence in Telavi of traces of the Red Terror - the Great Terror of 1937-1938 and personal stories of those shot and repressed, repressed houses, memories that are a great source for tour guides interested in various areas of tourism in Telavi.

In addition, it is possible to consider «German track in Telavi» as a separate tourist tour of Telavi, both in the form of stories of ethnic Germans living in Telavi and German prisoners of war.

Key words: History of Telavi, Tourism, Handicrafts, Tours, Red Terror, German Trace in Telavi

ბიზანტიური მემკვიდრეობა და საბჭოთა სისტემა

ჯავახია ბექან

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი

DOI: <https://doi.org/10.52340/idw.2023.18>

აბსტრაქტი. ჩვენს ინტერესს წარმოადგენს, განვიხილოთ ბიზანტიის სახელმწიფო იდეოლოგია და მისი შედარება საბჭოთა სისტემასთან. თუ როგორ გააგრძელა რუსეთის თვითმპყრობელმა სახელმწიფომ ბიზანტიური თვითმპყრობელობა, სადაც სწორედ იყო ერთი მთავარი იდეოლოგია: ერთი ღმერთი-ერთი იმპერატორი; ღმერთი ყოვლისმპყრობელი, პანტოკრატორი და იმპერატორი ავტოკრატორი, თვითმპყრობელი.

ბიზანტიური მემკვიდრეობა ყველაზე ნათლად გამოვლინდა საბჭოთა ეპოქაში, საბჭოთა ერთიოლოგიურ საზოგადოებაში, სადაც მარქსიზმი იყო წმინდა იდეოლოგია და ბელადი მისი დამცველი და განმახორციელებელი. მართალია ამ იდეოლოგიას საფუძელი ვლადიმერ ლენინის დროს ჩაეყარა საფუძველი და განსაკუთრებით ღიად და ნათლად გამოჩნდა იოსებ ბესარიონის ძე სტალინის მმართველობის ჟამს.

ბიზანტიის მსგავსად საბჭოთა სახელმწიფო იყო იდეოლოგიური იმპერია, ერთი განსაზღვრული იდეოლოგიით და მისი მოქალაქე, სწორედ იყო საბჭოთა, როგორც ბიზანტიაში, მისი მოქალაქე იყო რომელი. თვით ქვეყნის მეთაურის როლი, რომელიც მსგავსად იმპერატორისა თავისთავში აერთიანებდა, როგორც ქვეყნის მეთაურის, ასევე იდეოლოგიური მოძღვრების დამცველი. საბჭოთა კავშირში ასევე მთავარი ადგილი დაიკავა პიროვნების კულტმა სტალინის სახით და მისმა იდეოლოგიამ ჰომო სოვეტიკუსის შესაქმნელად, ყოველგვარი ნაციონალური ღირებულებების გარეშე.

ასეთი მსჯელობები მეტად საინტერესოა, მსგავსების დანახვა კი შეიძლება არა მხოლოდ რუსეთისა და საბჭოთა კავშირის მაგალითზე. საერთოდ, ამ შემთხვევაში ავტორები უფრო იმპერიის მაგალითზე საუბრობენ და, როგორც ვხედავთ, აქ იმპერიაში გაერთიანებული თუ დაპყრობილი სხვადასხვა ხალხებისა თუ ეროვნებებისთვის საერთო შემაკავშირებლის შექმნაზე საუბარი. შეიძლება, არ დავეთანხმოთ ავტორთა ასეთ მსჯელობას, როდესაც ისინი ცდილობენ, მართლმადიდებლური ეკლესია, კერძოდ, კონსტანტინოპოლის საპატრიარქო წარმოადგინოს ერთადერთ რელიგიურ ორგანიზაციად, კომუნისტური პარტიის მსგავსად, რომელიც აბსოლუტურ ჭეშმარიტებაზე აცხადებდა პრეტენზიას, შეუწყნარებელი იყო მწვალებლობების თუ სხვა მოძღვრებათა მიმართ. პრეტენზია აბსოლუტური ჭეშმარიტებისა, ანუ უნივერსალურობისა და, აქედან გამომდინარე, მწვალებლობასთან და განსხვავებულ აზროვნებასთან ბრძოლა დამახასიათებელია შუა საუკუნეებში ნებისმიერი დიდი რელიგიისათვის, შესაძლებელია, უფრო რადიკალური მეთოდებით, ვიდრე ეს ხდებოდა ბიზანტიაში.

საკვანძო სიტყვები: ბიზანტია, საბჭოთა სისტემა, მემკვიდრეობა, იმპერია, სტალინი, პარტია

მიუხედავად იმისა, რომ ბიზანტია, მსოფლიოს ერთერთი უძლიერესი ქრისტიანული სახელმწიფო, დღეს მსოფლიო რუკაზე არ არსებობს, მაგრამ ბიზანტინიზმი რჩება სხვადასხვა სახელმწიფოთა პოლიტიკურ დოქტრინაში. ბიზანტინიზმი უფრო მეტად გაიაზრება, როგორც პოლიტიკური, იმპერიული აზროვნება, თუმცა თვით ეს საკითხი სრულიად საპირისპიროდ არის განსაზღვრული სხვადასხვა დროს, სხვადასხვა მეცნიერის მიერ. ბიზანტინიზმის მთავარ მა-

ხასიათებლად მიჩნულია ბიზანტიელთა მტკიცე ერთგულება მართლმადიდებლობისადმი და ეკლესიისადმი.

დასავლეთის სამეცნიერო წრეებში მეტად დიდია ინტერესი ბიზანტიური მემკვიდრეობის შესწავლის მიმართ. ასევე განსაკუთრებულია ამ საკითხით დაინტერესება რუსულ სამეცნიერო ლიტერატურასა და პოლიტიკურ აზროვნებაში. უნდა აღინიშნოს, რომ ბიზანტიური მემკვიდრეობისადმი ინტერესი აშკარად არის გამოკვეთილი რუს კულტურის მოღვაწეთა შემოქმედებაში. არსებობს რამდენიმე ფილმი⁴ ბიზანტიის ისტორიისა და ხელოვნების შესახებ, სადაც აშკარად იკვეთება რუსეთის პოლიტიკური ამბიციები ბიზანტიის მემკვიდრეობის მიმართ. სავსებით შესაძლებელია, რომ ეს ყოფილიყო რუსეთში ბიზანტიის ისტორიისადმი განსაკუთრებული ყურადღების ერთ-ერთი მთავარი მოტივი, რომელმაც, მიუხედავად ყველაფრისა, მოგვცა ბიზანტინისტთა ერთ-ერთი საუკეთესო სკოლა მსოფლიოში.

პროტოპრესვიტერის იოანე მეიენდორფის აზრით, ბიზანტინიზმის და ბიზანტიური მემკვიდრეობის შესასწავლად ძალიან მნიშვნელოვანია, უპირველესად, გავერკვეთ თვითონ ბიზანტინიური საზოგადოების ფორმებსა და ბიზანტიური ცივილიზაციის მახასიათებლებში: “როდესაც რუსეთში ბიზანტინიზმზე ვსაუბრობთ, ძალიან მნიშვნელოვანია, თუ როგორ ესმით ამ ავტორებს თვითონ ბიზანტინიზმი, ანუ როგორია მათი წარმოდგენები ბიზანტიურ კულტურაზე, ბიზანტიურ იდეოლოგიასა და სახელმწიფო სტრუქტურაზე”⁵.

ი. მეიენდორფს მაგალითად აქვს დასახელებული ვ. ვალდენბერგისა და რ. ჯენკინსის შეფასებები რუსეთში ბიზანტიური მემკვიდრეობის შესახებ. ვ. ვალდენბერგის დასაბუთებით, რუსეთმა გადმოიტანა ბიზანტიელებისაგან იმპერატორის ხელისუფლების შეზღუდვის იდეა და მისი დამორჩილება მაღალი რელიგიური ღირებულებებისადმი, რომელსაც იცავდა ეკლესია. განსხვავებულად ესმოდა ბიზანტია და მისი გავლენა რუსეთზე რ. ჯენკინსონს⁶. ის თვლიდა, რომ ბიზანტიაში იმპერატორი ფლობდა აბსოლუტურ ძალაუფლებას, რაც გადმოიღეს რუსებმა.

ამჯერად ჩვენს ინტერესს წარმოადგენს, განვიხილოთ ბიზანტიის სახელმწიფო იდეოლოგია და მისი შედარება საბჭოთა იდეოლოგიასთან. როგორ გააგრძელა რუსეთის თვითმპყრობელმა სახელმწიფომ ბიზანტიური თვითმპყრობელობა. სადაც სწორედ იყო ერთი მთავარი იდეოლოგია: ერთი ღმერთი-ერთი იმპერატორი; ღმერთი ყოვლისმპყრობელი, პანტოკრატორი და იმპერატორი ავტოკრატორი, თვითმპყრობელი.

ბიზანტიური მემკვიდრეობა ყველაზე ნათლად გამოვლინდა საბჭოთა ეპოქაში, საბჭოთა ერთიოლოგიურ საზოგადოებაში, სადაც მარქსიზმი იყო წმინდა იდეოლოგია და ბელადი მისი დამცველი და განმახორციელებელი. მართალია ამ იდეოლოგიას საფუძველი ვლადიმერ ლენინის დროს ჩაეყარა საფუძველი და განსაკუთრებით ღიად და ნათლად გამოჩნდა იოსებ ბესარიონის ძე სტალინის მმართველობის ჟამს.

ისე ცნობილია, რომ ბიზანტინისტები სტალინს ხშირად ცბიერ ბიზანტიელს უწოდებდნენ, და ეს გამოთქმა, ზოგიერთის აზრით უინსტონ ჩერჩილს ეკუთვნის და ფიქრობენ კიდევაც, რომ აქ იგულისხმებოდა სტალინის ავანტიურისტული დიპლომატია, რაც ასევე იყო დამახასიათებელი ბიზანტიური დიპლომატიისათვის, მაგრამ უფრო მეტად უნდა ვიგულისხმოთ : ის სახელმწიფო სისტემა, რომელიც ჩამოაყალიბა სტალინმა. ეს არის საბჭოთა სისტემა.

საბჭოთა სისტემა, როგორც ამბობენ იყო “ბიზანტინიზმის გადმოყირავებული სახე”. საბ-

⁴ Византия прикровенная империя. Автор сценария и ведущий Ю Воробьевский, Видеоприложение к книге Ю. Воробьевского « Наступить на аспиду», 2000, Видеофильм, 2005; Гибель Империи, Византийский урок. Автор сценария и ведущий Архимандрит Тихон (Шевкунов), Режиссер-постановщик Димитрий Зинченков, Телеканал Россия, 2008.

⁵ Протоиерей Иоанн Мейендорф,(2003) Византия и Московская Русь. – История церкви и восточно-христианская мистика, М., Православный Свято-Тихоновский богословский институт , с.411

⁶ Jenkins R. J. H. (1967) De Administrando omperio Dumbarton Oaks Text. I-II, Washington D.C. 1967, PP. 45. jsror. org/sici?sici=0075; www. the-orb.net/bizantinewesk. html.; Constantine Porphyrogenitus , (1967) De administrando imperio /; Greek text edited by Gy. Moravcsik ; English translation by R.J.H. Jenkins, Washington, D.C. : Dumbarton Oaks Center for Byzantine Studies

ჭოთა სახელმწიფო თითქოს უფრო მეტი იყო, ვიდრე საერო სახელმწიფო. ის თითქოს არც იყო საერო ინსტიტუტი. ის “ეკლესია” იყო თავისი პაროდული თავით – ბელადითურთ, კომუნიზმის მშენებელთა საკრებულო, პარტია, როგორც ეკლესია. იქ ქრისტეს ეკლესია, აქ ბელადის პარტია. იქ ქრისტე და ეკლესია, როგორც ერთი სხეული, აქ ბელადისა და პარტიის ერთიანობა.”⁷

ბიზანტიის იმპერია იდეოლოგიური სახელმწიფო იყო. რასაკვირველია იდეოლოგია ქრისტიანული მოძღვრება იყო. ის დაუპირისპირდა ამით წარმართულ საზოგადოებას, რომელსაც სხვათაშორის არ ჰქონდა ერთი სავალდებულო იდეოლოგია . იმპერატორის, როგორც უმაღლესი ხელისუფალის და ღვთისმსახურისა, (ამას ცეზაროპაპიზმს უწოდებენ) მთავარი ამოცანა და მიზანი იყო მართლმადიდებელ სარწმუნეობაზე განემტკიცებინა მთელი დასახლებული სამყარო. ბიზანტიის მოქალაქე მხოლოდ მაშინ იყო სრულუფლებიანი, თუ ის მართლმადიდებლურ სარწმუნეობას აღიარებდა. მოქალაქე გაიგივებულიყო სარწმუნეობასთან და ეროვნული კუთვნილება არავიტარ როლს არ თამაშობდა.

ერთი იდეოლოგიის გაბატონების, ან კიდევ მართლმადიდებლური იდეოლოგიის შედარება კომუნისტურ იდეოლოგიასთან გვხვდება უფრო ადრეც, დასავლელ ავტორებთან. ეს არის ქრისტიანული დღესასწაულების შედარება ერთპარტიულ სისტემაში დადგენილ პარტიულ ღონისძიებებთან, ასევე ხატებისა – პოლიტიკურ ლოზუნგებთან. ფრიად საინტერესოა ეკლესიის ფრესკების შედარება იდეოლოგიურ პლაკატებთან, როგორც პროპაგანდის საშუალებებისა. ასეთი მაგალითი აქვს დამოწმებული მიუნხენელ პროფესორ ლეოპოლდ კრეტცენბახერს, როდესაც მან გამოაქვეყნა კიბის აღმწერლის ხატი და ბულგარეთის კომუნისტური პარტიის პლაკატი. პლაკატი შესრულებულია ბულგარელი გრაფიკოსის მიერ ვ. მაიაკოვსკის რევოლუციური ლექსის “აფეთქების მისტერიისათვის” – “Мистерия Вуфѣ”⁸.

მსგავსადვე საბჭოთა სახელმწიფო იყო იდეოლოგიური იმპერია, ერთი განსაზღვრული იდეოლოგიით და მოქალაქე, სწორედაც იყო საბჭოთა. თვით ქვეყნის მეთაურის როლი , რომელიც მსგავსად იმპერატორია თავისთავში აერთიანებდა, როგორც ქვეყნის მეთაურის , ასევე იდეოლოგიური მოძღვრების დამცველი. ასეთი იყო სტალინის პიროვნება. საბჭოთა კავშირში ასევე მთავარი ადგილი დაიკავა პიროვნების კულტმა სტალინის სახით და მისმა იდეოლოგიამ ჰომო სოვეტიკუსის შესაქმნელად, ყოველგვარი ნაციონალური ღირებულებების გარეშე.

ასეთი მსჯელობები მეტად საინტერესოა, მსგავსების დანახვა კი შეიძლება არა მხოლოდ რუსეთისა და საბჭოთა კავშირის მაგალითზე. საერთოდაც, ამ შემთხვევაში ავტორები უფრო იმპერიის მაგალითზე საუბრობენ და, როგორც ვხედავთ, აქ იმპერიაში გაერთიანებული თუ დაპყრობილი სხვადასხვა ხალხებისა თუ ეროვნებებისთვის საერთო შემაკავშირებლის შექმნაზეა საუბარი. შეიძლება, არ დავეთანხმეთ ავტორთა ასეთ მსჯელობას, როდესაც ისინი ცდილობენ, მართლმადიდებლური ეკლესია, კერძოდ, კონსტანტინოპოლის საპატრიარქო წარმოადგინოს ერთადერთ რელიგიურ ორგანიზაციად, კომუნისტური პარტიის მსგავსად, რომელიც აბსოლუტურ ჭეშმარიტებაზე აცხადებდა პრეტენზიას, შეუწყნარებელი იყო მწვალებლობების თუ სხვა მოძღვრებათა მიმართ. პრეტენზია აბსოლუტური ჭეშმარიტებისა, ანუ უნივერსალურობისა და, აქედან გამომდინარე, მწვალებლობასთან და განსხვავებულ აზროვნებასთან ბრძოლა დამახასიათებელია შუა საუკუნეებში ნებისმიერი დიდი რელიგიისათვის, შესაძლებელია, უფრო რადიკალური მეთოდებით, ვიდრე ეს ხდებოდა ბიზანტიაში.

ასევე მსგავსი იყო საბჭოთა იდეოლოგიაში, ნებისმიერი იდეოლოგიური გადახრის წინააღმდეგ ბრძოლა, რაც გვაგონებს სექტანტების წინააღმდეგ ბრძოლას. ასევე დევნას განახორცილებს მსგავსად ცეზაროპაპი იმპერატორისა, ამჯერად სახელმწიფოს მეთაური - სტალინი. ყბადაღებული „ინაკომისლიე“ ასევე მსგავსი იყო, ეს სიტყვა წარმომავლობითაც ბიზანტიურია. ბიზანტიურ საზოგადოებაშიც ასე იყო: „მწვალებელია“ და მისი ადგილი

⁷ ზ. კიკნაძე, ბიზანტიური მემკვიდრეობა I. - ეკლესია გუმბინ, დღეს და ხვალ, თბ., 2002, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 176.

⁸ Kretzenbacher L. (1981) Die Himmelsleiter zur Socialismis – Sohne, -Sud-Ost forschungen, 40, München , S. 224-228.

საზოგადოებაში არ არის. სხვა აზრი, განსხვავებული იდეოლოგია შეუწყნარებელია.

ასევე საინტერესოა საეკლესიო მოძღვრების თანახმად, სტალინს, რომელსაც ჰქონდა სასულიერო განათლება მის კომუნისტურ იდეოლოგიასაც გააჩნია ურყვი საფუძვლები. ანუ მისი კლასიკური განმარტება „სამი წყარო და სამი შემადგენელი ნაწილი“. ასევე მსგავსად არავითარი სხვა წყარო, დანარჩენი წარმართობაა. უბრალოდ ტერმინი, ცოდვა შეცვალა შეცდომამ.

იდეოლოგიური მსგავსება ბიზანტიანიზმისა სტალინურ მოძღვრებაში გამოიხატა ასევე არქიტექტურაში. საბჭოთა ორთოდოქსულ მოძღვრებაში ჩაიწერა ასევე, მშენებლობა გარდაქმნიდა ადამიანს. ასეთი იყო ე. წ. სტალინური მაღლივი შენობები –“ვისოკიე ზდანია“

ასევე კომუნიზმის ესქატოლოგიური მნიშვნელობა- საბჭოთა ადამიანი მაშინ გახდება ჭეშმარიტი ადამიანი, როცა ის კომუნიზმის მწვერვალებს დაიპყრობს. ანუ ეს სხვა არაფერია თუ არა სამოთხე, რომელიც წარმოდგენილია ბიზანტიურ იდეოლოგიაში.

საბჭოთა სახელმწიფოში პარტია ცდილობდა ის ადგილი დაეჭირა ქვეყანაში, რაც ეკავა ბიზანტიაში ეკლესიას.

დღეს როდესაც იხსენებენ სტალინმა გახსნა ეკლესიები, ფაქტია აქაც ეკლესიის გამოყენება სურდა თავისი პოლიტიკური მიზნებისათვის. ასევე არსებობდა ბიზანტიურ სივრცეში ანტიკურობა, ანუ ბერძნული მითებიც, რომელთაც მიეცათ ქრისტიანული ფორმა. ის გამოიყენებოდა ქადაგებებში, როგორც მორალური საკითხავები ქრისტიანობის განსამტკიცებლად. მსგავსივე იყო სტალინური მიზნები ეკლესიის მიმართ. სტალინმა იცოდა ეკლესიის სულიერი პოტენციალი და მოინდომა მისი ჩაყენება რეჟიმის სამსახურში, მაგრამ როდესაც მას იმედები გაუცრუვდა მიახურა კიდევაც.

მსგავსად ბიზანტიისა, სადაც ეკლესია განსჯიდა იმპერატორს, იქ ქრისტეს ეკლესია იყო განმსჯელი. აქ კი ბელადის იმპერიაში, პარტია იყო მხოლოდ განმსჯელი. იქ ქრისტეს ეკლესია იყო ერთი სხეული აქ კი ბელადის პარტია. თუ იქ იყო განმსაზღვრელი, რომ იმპერატორი იყო თვითმპყრობელი, და ქრისტეს ყოვლის მპყრობელია, ამ საბჭოთა იდეოლოგიაში, ეს როლი შემდეგნაირად გადაწაწილდა: სტალინი არის ბელადი და თვითმპყრობელი, რომელიც ორთოდოქსი დამცველია იმპერატორის მსგავსად, სახელმწიფო იდეოლოგიის. ასე რომ საბჭოთა სისტემაშიც დაიწყო განხორციელება ბიზანტიური იდეოლოგიის -ერთი ღმერთი ერთი იმპერატორი. აქაც მსოფლიო პროლეტარიატის იდეა და მისი ბელადი, ახალი ე.წ. „წითელი იმპერატორი“. მსგავსად ბიზანტიის იმპერატორების კანონიკური ფრესკებისა, აქაც გაჩნდა ბელადის პორტრეტები, ისევე, როგორც იმპერატორები ეკლესიის მაკეტებით ხელში, ასევე ბელადი, სახელმწიფოს მეთაური ახალი კომუნისტური ხუთწლედებითა და მშენებლობებით აისახებოდა.

ბიზანტიური საიმპერატორო კარის მოწყობის მსგავსად, რომელიც მშვენივრად არის ასახული, როგორც კონსტანტინე პორფიროგენეტის ნაშრომებში, ასევე იტალიელი მოღვაწის ლიუტფრიდ დე კრემონას აღწერებში, საბჭოთა სინამდვილეში, ასევე მკვიდრდება კულტი ახალი სახელმწიფოს მეთაურის, რომელიც მსგავსად იმპერატორისა განასახიერებდა, როგორც იდეოლოგიურ ასევე პოლიტიკურ ლიდერს. აქაც ბელადისა და პარტიის ერთიანობა. მსგავსად ბიზანტიური ტახტის აღწერილობისა, საბჭოეთშიც ბელადის პორტრეტები, კანონიკური, რომელსაც გამოასვენებდნენ დიდი დღესასწაულებზეც.

სტალინური კულტის ნიმუშად ქართველო პოეტის სიტყვებსაც მოვიტანდი, რათა გასაგები იყოს ბელადის კულტი, მსგავსად ბიზანტიური ავტოკრატორისა, რომელიც ღმერთს ნების განმხორციელებელი იყო ამ ქვეყანაზე. სახელდობრ ი. ნონეშვილის სიტყვები: „მამავ ძვირფასო ჩვენზე ზრუნვით გათეთრებულ“. ან კიდევ იქვე სიტყვები, რომ სტალინი მზეზე მეტია, რადგანაც მზე მხოლოდ დღე ანათებს, სტალინი კი ღამეც.

ფრიად საინტერესოა, სტალინი, როგორც სამხედრო მეთაური, მისი ტაქტიკა და იდეოლოგია ომის შესახებ, რაც იდენტურია ბიზანტიური იდეოლოგიისა. ბიზანტიაში თუ იმპერატორი იბრძვის მხოლოდ ქრისტიანული სახელმწიფოს განმტკიცებისათვის, სხვაგვარად მოაზროვნეების წინააღმდეგ და ქრისტიანული ერთიანობისათვის, ასევე სტალინის მოძღვრება ბრძოლა პროლეტარიატთა ერთიანობისათვის, სხვაგვარად მოაზროვნეების წინააღმდეგ. აქაც

ნაკლებად არის წარმოდგენილი, რაიმე ნაციონალური იდეა, მსგავსად ბიზანტიისა. სტალინი იბრძვის მსოფლიო პროლეტარიატისათვის.

საბჭოთა სახელმწიფოს მმართველი ორგანო, თავის შიდა ბრძოლებითა და ინტრიგებით ძალიან ჰგავს ბიზანტიური საიმპერატორო კარის. აქაც მსგავსად ბიზანტიისა შესაძლებელია უგვანოთა აღზევება, რაც ნაკლებად ახასიათებს შუა საუკუნეების ნაციონალურ სახელმწიფოებს.

ასე რომ, ძალიან შორს წაგვიყვანდა მსგავსი მაგალითების მსჯელობა ბიზანტინიზმსა და სტალინიზმზე, ეს აისახა სახვით ხელოვნებაშიც, სოციალისტური რეალიზმის სახით, რომელიც ემსგავსებოდა ბიზანტიურ შეზღუდვას ხელოვნებაში. ანუ იდეოლოგიურად დატვირთული ხელოვნება.

დღესაც, რაც მოკლედ გვინდა წარმოვადგინოთ სტალინის და ბიზანტინიზმის იდეების გაგრძელებას წარმოდგენს რუსულ სახელმწიფოში უპირველესი იდეა. ესაა მსოფლიო ლიდერობის იდეა, ანუ ბიზანტია, როგორც მეორე რომი და მსოფლიო იმპერია, რუსულ სინამდვილეშიც არსებობს ახალი, თუმცა ნაკლებად განხორციელებადი იდეა –რუსეთის როგორც ახალი ბიზანტიისა. ეს მოძღვრება რუსეთის გვიანი შუა საუკუნეებიდან არსებობს, თუმცა სხვადასხვა სახეობით.

თანამედროვე რუსეთი, თავის სახელმწიფო იდეოლოგიაში ისევ ცდილობს დაეყრდნოს ბიზანტიურ იმპერიულ იდეოლოგიას, რისთვისაც ის ყველა საშუალებას იყენებს. თუ ადრე საბჭოთა რუსეთი იმპერიული ამოცანების განსახორციელებლად იყენებდა სოციალიზმის მარქსისტულ თეორიას, ამჯერად ის ენერგომატარებლებით მანიპულირებს. ან კიდევ, რუსული შოვინიზმის და რუსი ხალხის გამათავისუფლებლის თუ ე. წ. ნაკლებად განვითარებული ხალხებზე ზრუნვის ყალბი მოტივით, ის ატარებს, რომის ძველი იმპერიისა თუ “გერმანელი ერის რომის საღვთო იმპერიის” Drang nach Osten-ის მსგავსად, დამპყრობლურ პოლიტიკას. ასეთია მისი იდეოლოგია ჩრდილოეთ კავკასიის და სხვა ხალხების მიმართ, როგორც თავის ქვეყნის ტერიტორიის შიგნით, ისე მის გარეთ. რუსეთი ცდილობს ამ პროცესში გამოიყენოს ბიზანტიური იარაღი მართლმადიდებლური სარწმუნეობის სახით. ამდენად, ხშირად რუსეთის სახელმწიფო რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის სიძლიერით მანიპულირებს. რუსეთი ცდილობს, დასუსტებული კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ფონზე, წინ წამოწიოს რუსეთის ეკლესია და, ამავე დროს, დაუსახოს მას პოლიტიკური ამოცანები. ეს იყო ერთ-ერთი მთავარი მამოძრავებელი იდეა, როდესაც რუსეთმა განსაკუთრებული ფონი შექმნა რუსეთის ახალი პატრიარქის არჩევის დროს, 2009 წლის დამდეგს. ამ პროცესში რუსული პოლიტიკური წრეების ჩართვა რუსეთის მხრიდან მესამე რომის იდეოლოგიის აღდგენის მცდელობას ჰგავს.

მართლმადიდებლურ ქრისტიანობის იდეოლოგიურ და პოლიტიკურ იარაღად გამოყენების აღორძინება უკანასკნელი პერიოდის რუსეთის პოლიტიკურ ელიტასა და კულტურულ წრეებში აშკარაა. ამის მაგალითი იყო 2008 წლის 31 იანვარს, მოსკოვში, პრეზიდენტ-ოტელში ჩატარებული სამცნიერო საღვთისმეტყველო კონფერენცია თემაზე “მოსკოვის – მესამე რომი, ერთანობისა და შერიგების ფორმულა”. უმაღლეს სამღვდელთაგანთან ერთად, კონფერენციას ესწრებოდა დუმის ვიცე სპიკერი ლიუბოვ სლისკა. სავსებით საკმარისია, ამ კონფერენციის იდეასთან ერთად, დავასახელოთ “პოლიტიკური ჟურნალის” საერთაშორისო პოლიტიკის, პოლიტოლოგიისა და სოციოლოგიის განყოფილების რედაქტორის, დიმიტრი დანილოვის მოხსენების სათაური – “ერთა მართლმადიდებლური თანამეგობრობა, როგორც XXI საუკუნის მეტაპოლიტიკური პროექტი”⁹.

⁹ Данилов Д. Православное содружество наций как метаполитический проект XXI века. თანამედროვე რუსეთში განვითარებულ ახალ იდეოლოგიას აშკარას ხდის დ. დანილოვის მოხსენების ძირითადი თეზისები: 1) Упразднение статуса субъектов Российской Федерации, имеющих национально-территориальное деление (республики, округа, и прочие «–станы»). Малые народы России должны иметь не административно-юридические привилегии, а национально-культурные. 2) В системе взаимоотношений с малыми народами России следует подчеркнуть государствообразующий статус русского народа, как лидера содружества народов Третьего Рима. Русский народ должен стать гарантом безопасности *Русского Мира* как всей исторически сложившейся совокупности социальных,

ასევე ბიზანტიზმი უდევს საფუძვლად სტალინის შესახებ ხშირად თანამედროვე ტოტალიტარულ სახელმწიფოებში სტალინის შესახებ დღეს სექმნილ მითებსა და ლეგენდებს ამ მითების შესაბამისად იქმნება ახალი კულტი - მსგავსად ბიზანტიის იმპერატორისა, რომელიც განასახიერებდა ერთიანული ბიზანტიური სივრცეს, ქრისტიანულ სამყაროს. ასევე იქმნება სტალინის სახე, როგორც სიმბოლო დიდი საბჭოთა სივრცისა, რომლის დაბრუნებისთვის ბრძოლა წარმოადგენს რუსულ ტოტალიტარული სახელმწიფოს იდეოლოგიასაც. ხშირად ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილი თანამედროვე რუსი პოლიტიკოსებისა ცდილობს ამ იდეის გამოყენებას, მასებზე მანიპულაციისათვის.

ამის კლასიკური ნიმუშია - როგორც უკვე ვთქვით რუსეთის , როგორც მეოთხე , თუ მეხუთე რომის იდეა, რომელსაც მსგავსად ბიზანტიისა სურს იარსებოს სხვა რომად. ანუ თუ ამერიკა არის ახალი რომი, მაშინ რუსეთი არის სხვა რომი.

როდესაც თანამედროვე ისტორიკოსები და პუბლიცისტები წერენ ამერიკის შეერთებულ შტატებზე, როგორც “ახალ რომზე”, ამის ერთ-ერთი უმთავრესი საფუძველი არის ის, რომ ამერიკა წარმოადგენს ზესახელმწიფოს, რომლის სამხედრო ძალა აჭარბებს მის მომდევნო ძლიერ ოცი სახელმწიფოს სამხედრო ძალას, ერთად აღებულს. თანაც ის არის დღეისათვის იმ საწყის მდგომარეობაში, როგორც ყოველი ახალი რომი იყო თავისი დაფუძნების ეტაპზე, სახელდობრ, როდესაც რომი თავისთავად გახდა ერთადერთი იმპერია, ასევე ბიზანტია, რომელიც VIII საუკუნემდე ინარჩუნებდა ერთადერთობას. ეს იმპერიები, ანუ ახალი რომები, აღმოცენდნენ დაპირისპირებაში სხვა ადრეულ ძლიერ იმპერიებთან და შემდეგშიც ჰყავდათ მეტოქენი სხვა ახალი იმპერიების სახით: ძველი რომის მოწინააღმდეგეები იყვნენ ეგვიპტე და საბერძნეთი; ბიზანტიისა - ფრანკები და გერმანიის რომის საღვთო იმპერია. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ასეთი ძალა ამერიკის შეერთებული შტატების საპირისპიროდ დღეს არ არსებობს¹⁰.

ბოლო პერიოდში რუსი პოლიტოლოგების ნაშრომებში აშკარად გამოიკვეთა “მესამე რომის” რუსული ამბიციები. ცნობილი რუსი მოღვაწის ა. პანარინის მოსაზრებები შემდეგნაირად არის ჩამოყალიბებული: სამყარო მთლიანობაში არის მეტისმეტად მრავალფეროვანი იმისათვის, რომ მოხდეს მისი ორგანიზება ერთი შაბლონის მიხედვით, ერთი ცენტრის ირგვლივ. ისევე, როგორც ძველი რომი თავისი განვითარების გარკვეულ პერიოდში, IV საუკუნეში, იძულებული აღმოჩნდა, გამოეყო თავისი გავლენის სფეროდან აღმოსავლეთ რომი - კონსტანტინოპოლი, ასევე შეერთებულმა შტატებმა ახლა უნდა აღიაროს გაყოფა თავისი პასუხისმგებლობისა მსოფლიო წესრიგის მიმართ სხვა ცენტრთან. ევრაზიის ტერიტორიაზე ეს შეიძლება იყოს მოსკოვი, ხოლო ატლანტიკის აუზისთვის უნდა დარჩეს ვაშინგტონი. მოსკოვი ყველაზე მეტად გამოდგება ამერიკის ცივილიზაციურ პარტნიორად ახალი წესრიგის შექმნისათვის, ცივი ომის დამთავრების შემდეგ. რუსეთი უნდა გახდეს მეორე რომი, წინააღმდეგ შემთხვევაში აღმოჩნდება რომანტიკულ ირაციონალიზმსა და ფატალისტურ პესიმიზმში, რომელმაც შეიძლება მიიყვანოს იქამდე, რომ მარტო დარჩეს. ამასთან დაკავშირებით, დასავლეთმა უარი უნდა თქვას რუსეთის იმპერიის სივრცის დაყოფის პროექტზე და ამ ტერიტორიაზე არსებული ქვეყნების სახელმწიფო ნაციონალური კონცეპციის პროპაგანდაზე¹¹.

ასე, რომ ჩვენ მაინც უფრო პოლიტიკურ იდეოლოგიას შევხებით სტალინური მემკვიდრეობისა, ისე კი უფრო მეტად საინტერესო იქნებაოდა სტალინური კულტი, რომელიც

административных, политических и духовно-культурных инфраструктур. Малые народы должны хорошо понимать, что без защиты русского народа в эпоху глобализации и борьбе за природные ресурсы их уничтожат или превратят в экономических рабов другие нации и другие цивилизации. <http://www.pravaya.ru/dailynews/15015?print=1>

¹⁰Maresch R. (2002)Das neue Byzanz,; Murphy C. (2006) The New Rome? The Fall of an Empire and the Fate of America, Mariner Books;

¹¹Новак А. (2003) «Бедная империя, или второй Рим» - Соблазны имперского дискурса в современной русской мысли – Европа, Журнал политического института международных дел, т. 3, №2 (7), , с. 111-146. <http://www.pism.pl/pdf/Europa%207%20Nowak.pdf>

თანამედროვეობაში ხშირად არის წარმოდგენილი, როგორც იმპერიისთვის, თავისი რწმენისთვის ტანჯული ადამიანი და ლამისაა იქმნება სტალინის ცხოვრების ჰაგიოგრაფიული ტექსტი. აქ მნიშვნელოვანია, ისევე როგორც ბიზანტიურ ჰაგიოგრაფიაში წმინდანის უკანასკნელი დღეები, ასევე დიდი ბელადის, სტალინის უკანასკნელი დღეები. სტალინის შესახებ შექმნილი მითი მისი მოკვლისა და მოწამვლისა, ანუ სტალინი არის მსგავსად შუა საუკუნეების „წმინდა მეფეის კულტისა“, რომელნიც ევენ და ეწამენ თავიანთი ხალხისა და რწმენისათვის. ასეთი სახის მცდელობა სტალინის კულტისა ხშირია პოსტსაბჭოთა ქვეყნებში.

აქ ერთი რამაც არის ღირსშესანიშნავი უკანასკნელი პერიოდის განსაკუთრებული ინტერესისა რუსულ საზოგადოებაში ბიზანტიური მემკვიდრეობის შესახებ, მშვენივრად არის წარმოდგენილი რუსული ამბიციები „ ბიზანტია- ისტორიის გაკვეთილი“ ასეთ ფილმში რუსული ინტერესი ბიზანტიური მემკვიდრეობის მიმართ.

ასევე ინტერეს მოკლებული არაა ისიც, რომ ბოლო პერიოდში გამოცემულ წიგნებში თითქმის ყველა ბიზანტიის იმპერატორის წმინდანად მოხსენიება.

ვფიქრობთ, მაინც რომ სტალინის სახე დღევანდელ პოსტსაბჭოთა იდეოლოგიაში ისევე იმპერიული ამბიციებისათვის გამოიყენება და მას მიზანდასახულად იყენებენ შოვინისტური და იმპერიალისტური ძალები.

ლიტერატურა:

კიკნაძე ზ. (2002)ბიზანტიური მემკვიდრეობა I. - ეკლესია გუმბირ, დღეს და ხვალ, ილიას უნივერსიტეტის გამომცემლობა

ჯავახია ბ. (2009) ბიზანტინიზმი და ბიზანტიური მემკვიდრეობის საკითხი, თბილისი, პოლიტოლოგიის ინსტიტუტი

Constantine Porphyrogenitus , (1967) De administrando imperio /; Greek text edited by Gy. Moravcsik ; English translation by R.J.H. Jenkins, Washington, D.C. : Dumbarton Oaks Center for Byzantine Studies

Mango C., 2008, Byzantium's role in World history, Byzantine Studies, ed. Elizabeth Jefferies, John Haldon, Robin Cormack, Oxford University press, 957-962

Jenkins R. J. H. (1967) De Administrando imperio Dumbarton Oaks Text. I-II, Washington D.C., PP. 45. www.jstor.org/sici?sici=0075; www.the-orb.net/bizantinewesk.html.

Kretzenbacher L. 1981, Die Himmelsleiter zur Socialismis – Sohne,-Sud-Ost forschungen, 40, München

Maresch R. (2002) Das neue Byzanz, Frankfurt am Main

Murphy C. (2006.)The New Rome? The Fall of an Empire and the Fate of America, Icon Books

Runciman St.(1959) Byzantine Civilization, London, Meridian Books;

Vasiliev A. (1927) Byzantine Studies in Russia, Past and Present Source: The American Historical Review, Vol. 32, No. 3 (Apr.), pp. 539-545 Published by: American Historical Association Stable URL: <http://www.jstor.org/stable/1837746>

Данилов Д. Православное содружество наций как метаполитический проект XXI века. <http://www.pravaya.ru/dailynews/15015?print=1>

Новак А. (2003)«Бедная империя, или второй Рим» - Соблазны имперского дискурса в современной русской мысли – Европа, Журнал политического института международных дел, т. 3, №2 (7), с. 111-146. <http://www.pism.pl/pdf/Europa%207%20Nowak.pdf>

Протоиерей Иоанн Мейендорф,(2003) Византия и Московская Русь. – История церкви и восточно-христианская мистика, М. Православный Свято-Тихоновский богословский институту

Byzantine heritage and Soviet system

Javakhia Bejan

Ilia State University, Tbilisi

Abstract

The study of the history of the great Byzantine Empire, stretching across the whole Eurasia during the Middle Ages, has a great importance in itself, but quite often it becomes the subject of the study of political scientists, both as a part of the history of political thought and a realm of imperial structure and its general characteristics.

There is a great interest towards the study of the Byzantine legacy in the western scientific circles. The problem is actual both in the Russian political thought as well as among the Russian scientists. The interest is remarkable in the political doctrine of the Russian Church and the creations of the Russian cultural figures. There are several films on the Byzantine history and arts, where the Russian political ambitions and pretenses towards the Byzantine legacy are openly staged.

The newly born Byzantine, born as the New Rome, i.e. the new empire, was capable to live through in its young body, but later, being weakened and enfeebled, was unable to maintain the old face, the ambition of being sole empire of the God. The attempt was very unnatural and quite often even comic. Exactly this type of Rome could be called Bizantinism. The same is true in respect with Russia, which tried to import Rome in its state from the second half of the 15th century, starting to call Moscow as the third Rome. Although these actions could be seen as the early steps of the Russian Renaissance, but the Renaissance came later, with the western type Russia of the Peter the Great.

It is of our interest to consider the study of the Byzantine state ideology and its comparison with the soviet ideology. Where like the Byzantine Empire, there was one main ideology: one God – one Emperor; God - Pantocrator and Emperor - Autocrator

Similarly, the Soviet state was an ideological empire, with one defined ideology. The role of the head of the country, wich is like an emperor, included both the head of country and defender of ideological doctrine . Such was Stalin's personality. In the Soviet Union, the cult of personality in the form of Stalin and his ideology to create homo soveticus, without any national values, also took central stage. The Soviet system, as they say, was "the inverted face of Byzantinism". The Soviet state seemed to be more than a secular state. It was not even a secular institution. It was a "Church" with its parodic head - leader, Communism builders council, party as a church. There is the Church of Christ, here is the leader's party. There Christ and the Church as one body, here the unity of the leader and the party

Key words: Byzantine, Soviet Sistem, Heritage , Imperia, Stalin, Party

К вопросу о супплетивном формообразовании и словообразовании в разносистемных языках (На примере русского и грузинского языков)

Asaturova Seda

იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი

DOI: <https://doi.org/10.52340/idw.2023.19>

Абстракт. *Вопрос супплетивизма привлекал внимание исследователей различных направлений и школ. Этот вопрос рассматривался и обсуждался во многих работах, связанных с данной проблемой. Явление супплетивизма распространено во многих языках, в том числе, в русском и грузинском.*

В данной работе рассматриваются вопросы супплетивного формообразования и словообразования в русском и грузинском языках. В обоих исследуемых языках супплетивные пары наблюдаются у одних и тех же частей речи, однако их происхождение не является тождественным, поскольку русский язык относится к индоевропейской семье языков, а грузинский – к иберийско-кавказским языкам, в частности, к картвельским.

Проведенный анализ позволяет сделать следующие выводы:

1. Супплетивные формы существительных имеются в обоих исследуемых языках (корова – теленок, овца – ягненок, курица – цыпленок; ძროხა - ხბო, ცხვარი - ბატკანი, ქათამი - წიწილა), однако (коза – козленок, თხა - თოკახი).

В русском языке имеем также супплетивные пары (ребенок – дети, человек – люди), которых нет в грузинском.

2. Супплетивные пары прилагательных (хороший лучше, плохой – хуже; კარგი უკეთესი, ცუდი - უარესი).

3. В русском языке формы именительного падежа местоимений **и, я, е** были вытеснены местоимениями **он, она, оно**. В результате образовались супплетивные пары (**он – его, ему; она – её, ей**). В грузинском языке местоимение 3 лица (**ის, იგი/ он, она**) в косвенных падежах замещается корнем **მ-**.

4. Наблюдаются супплетивные пары глаголов несовершенного и совершенного вида (**говорить – сказать, искать-найти; ლაპარაკი - თქმა, ძებნა - პოვნა** и др.). В грузинском языке супплетивность глаголов связана с категорией числа и ряда.

В одной статье невозможно затронуть и описать весь спектр вопросов, связанных с образованием супплетивных пар. Наше исследование будет продолжено.

Ключевые слова: супплетивизм, супплетивные пары, супплетивное формообразование, чередование корней.

Введение. Вопрос супплетивизма привлекал внимание исследователей различных направлений и школ. Этот вопрос рассматривался и обсуждался во многих работах, связанных с данной проблемой. «Соединение в одну грамматическую пару (или один грамматический ряд) разнокорневых или разноосновных слов, когда, несмотря на различие корней или основ, лексическое значение не меняется, а «различие слов» служит лишь грамматическим способом различения грамматических значений, называется супплетивизмом. ..при супплетивизме два разных корня выступают в одной и той же парадигме, взаимно исключая друг друга (**брать** употребляется как глагол несовершенного вида, а **взять** – как совершенного, и оба они образуют формы одного глагола)» (Реформатский А.А., 2004).

Следует отметить, что «факты проявления супплетивизма описаны в числе "неправильностей" русского языка уже в "Русской грамматике" М.В.Ломоносова... изначально объектом внимания ученых был не только супплетивизм в грамматических (словоизменительных) парадигмах, но и "аномалии", "неправильности", проявляющие это свойство на фоне регулярных морфологических

рядов в сфере наименований)» (Косова В.А., 1995) Вопрос о супплетивизме как грамматическом (морфологическом) явлении рассматривается в работах многих современных лингвистов; понятие супплетивизма подробно объясняется в некоторых вузовских учебниках и учебных пособиях. Этому вопросу посвящен ряд специальных исследований. Тем не менее Немченко В.Н. подчеркивает, что «многие вопросы, относящиеся к данной проблеме, остаются спорными, дискуссионными». (Немченко В.Н., 2000)

Работа Г. Остгофа «Vom Suppletivwesen der indogermanischen Sprachen» является первым исследованием, специально посвященным проблем/е супплетивизма

Обсуждение. Первоначально вопрос супплетивизма стал рассматриваться в связи с исследованием проблемы генетического родства индоевропейских языков. Выявляя одинаковые явления в одних и тех же словах разных языков, основоположники сравнительно-исторического метода «использовали явление супплетивизма для определения отношения родства и других отношений между языками. (Н.С.Жукова, 2006.).

Таим образом, явление супплетивизма распространено в разных индоевропейских языках, в том числе и в русском.

И в русском, и в грузинском языках грамматические формы в отдельных случаях образуются от разных корней или основ, т.е. имеют супплетивные формы. Поскольку супплетивные формы одного и того же слова отмечаются не только в близкородственных, но и во многих разнотипных языках мира, мы заинтересовались, имеются ли аналогичные супплетивные пары в русском и грузинском языках, имеют ли они одинаковое происхождение. Все это определило цель данного исследования.

Цель нашей работы – сопоставить супплетивные грамматические пары, имеющиеся в таких разнотипных языках, как русский и грузинский, выяснить специфику их происхождения,

В работе использованы методы контрастивного анализа, качественный метод, элементы описательно-исторического метода.

Супплетивные формы имен существительных

Супплетивные формы имеют разное происхождение. Одним из способов их появления является объединение в одну парадигму форм, принадлежащих разным словам, в частности форм существительных. В современном языке имеются налицо супплетивные формы единственного и множественного числа существительных с разными корнями. <https://russkiyazyk.ru/chastirechi/suppletivnye-formyi-slov-primeryi.html>

Так «слова **ребенок** и **человек** образуют формы множественного числа от супплетивных основ **дет-** и **люд-**и» (Русская грамматика (1980). Том I. Москва: Наука. С.503). Словоформа **дети** восходит к слову **дитя**, которое «образовано от исчезнувшего в русском языке **деть** со значением, вероятно, «ребенок мужского пола». (Шанский Н.М. (1975) Краткий этимологический словарь русского языка. Москва: Просвещение. С.125-126). Существительное «человек» потеряло форму множественного числа «человеки». Эта форма употребляется только шуточно или иронически (Русская грамматика, 503). Форма **люди** представляет собой форму множественного числа исчезнувшего ныне существительного «**людь**»-«народ» (Шанский Н.М., 1975).

В.А.Косова **отмечает** «древнейшее происхождение супплетивных номинативных единиц и сравнительно позднее складывание соответствующих словообразовательных категорий. Такова деривационная история супплетивов **первый**, **второй**, **названий детенышей животных**, объясняющая также супплетивность соответствующих единиц номинативной системы других славянских и индоевропейских языков.» (Косова В.А., 1995) Как правило, названия детенышей животных образуются от названий «**взрослых**» животных путем прибавления суффикса **-енок(-енок)**: **тигр** – **тигренок**, **коза** – **козленок**, **утка** – **утенок**, **гусь** – **гусенок** и др. Однако названия детенышей не всех животных образуются от названия «**взрослой**» особи. Как в русском, так и в грузинском названия детенышей некоторых животных и птиц образуются от другой основы, т.е. супплетивно. Например: **корова** – **теленок**, **dzroxa** – **xbo**; **лошадь** – **жеребенок**, **sxeni- kvici**; **овца** – **ягенок**, **sxvari** – **batkani**; **свинья** – **поросенок**, **ghori** - **gotchi**; **собака** – **щенок**, **dzaghli** - **lekvi** **курица** – **цыпленок**, **qaTami** – **wiwila**.

«**Теленок** собственно-русское. Оно образовано с помощью суффикса **-енок** (<-енькъ) от древнерусского **теля** – «теленок», сохранившегося в диалектах.

Ягенок тоже собственно-русское. По происхождению является новообразованием с суффиксом **-ёнок** от древнерусского **ягня** – «ягенок», восходящего к **agne**, развившему начальный **j**; **e** изменилось у восточных славян в **я**.

Поросенок – суффиксальное производное от общеславянского ***porse**, образованного с суффиксом **-et** от той же основы, что и латинское **porcus** – «свинья», от после развития полногласия

изменилось в –оро-.

Цыпленок – собственно-русское. Образовано с помощью суффикса –енок от цыпля – «цыпленок», сохранившегося в диалектах и являющегося, вероятно, производным с суффиксом –j- от цыпа – «курица»; сочетание п с последующим j изменилось в пл*. Цыпа представляет собой образование от звукоподражательного цып-цып-цып».(Шанский Н.М., 1975).

Однако имеется и расхождение: в русском **коза –козленок**(название детеныша образовано от того же корня), в грузинском **ობზ - ობზბო**(название детеныша -от другого корня).

Слово жеребец – общеславянское по происхождению. Оно образовано с помощью суффикса – ьць(<-ец) от исчезнувшего жербъ(ст.-сл. жребъ), восходящего к более древнему *gerbъ (др.-инд. Garbhas – «плод чрева», греч. bēphos– «дитя»), ер > ере. (Шанский Н.М.,1975). Вероятно, с этим связано образование слова «жеребенок».

Этимология названий детенышей животных и птиц в грузинском языке - это обширный материал, которому будет посвящена отдельная статья.

Супплетивные формы прилагательных

Супплетивное формообразование имен прилагательных ограничивается всего несколькими коррелятивными парами.

«Прилагательные малый, маленький, хороший, плохой образуют формы компаратива от супплетивных основ:

Малый, маленький – меньше;

хороший — лучше (англ. good — the best, нем. gut – besser, груз. კარგი - უკეთესი);

плохой — хуже(наряду с устаревшим плоше)(груз. ცუდი - უარესი).» (Русская грамматика, 565).

Образование простой формы сравнительной и превосходной степени прилагательного плохой(хуже, худший)

Супплетивные формы местоимений

Богата на супплетивные формы такая самостоятельная часть речи, как местоимение, что характерно для многих языков индоевропейской группы. Это еще раз говорит об их едином происхождении (Рубинчик Л.И.) <https://ruskiiyazyk.ru/chasti-rechi/suppletivnye-formyi-slov-primeryi.html>

«Отличительной особенностью склонения личных местоимений-существительных я, ты, мы и вы является супплетивизм основ.»(Русская грамматика, 535). Формы косвенных падежей данных местоимений образуются от других основ, т. е. супплетивно.: я, меня, мне, меня, мной, обо мне; мы, нас, нам, нас, нами, о нас; ты, тебя, тебе, тебя, тобой, о тебе, вы, вас, вам, вас, вами, о вас.

С этой точки зрения, особый интерес вызывает склонение личных местоимений третьего лица: он, она, они. Для того, чтобы выяснить причину, следует обратиться к истории данной группы местоимений.

В древнерусском языке были указательные местоимения и(м.р), я(ж.р.), е(ср.р.). «Указательные местоимения **и, я, е** выступали в роли личного местоимения 3-го лица, обозначая как лицо, так и предмет.»(Букатевич Н.И., 1974) Следует отметить, что данные местоимения были вытеснены другими указательными местоимениями: **онь, она, оно**. Таким образом, указательные местоимения перешли в разряд личных. Они «утратили формы косвенных падежей, а местоимения и, я, е утратили формы именительного падежа во всех числах. Но явились базой для образования косвенных падежей»(Букатевич Н.И и др., 1974). Таким образом, формы косвенных падежей местоимений и, я, е стали формами косвенных падежей местоимений он, она, оно. Отсюда и появилась другая основа косвенных падежей у современных личных местоимений 3-го лица: он(оно),его, ему, его, им, о нем; она, ее, ей, ее, ею, о ней.

Супплетивные формы местоимений имеют место и в грузинском языке. Явлению супплетивизма посвящены работы А.Арабули (А.Арабули, 2014).

В своей работе «К вопросу о сочетании некоторых производных (вторичных) наречий с местоимениями» А.Арабули пишет: «Известно, что построение (дополнение) системы склонения личных местоимений в грузинском оказывается возможным благодаря чередованию корней, в частности, местоимение 3 лица(is, igi[он, она] всю парадигму восполняет посредством корня та-; а единственным средством формообразования местоимения 1 лица является образование соответствующего родительному падежу

супплетивного корня: me –chem-; в то же время этот последний становится отправной точкой для притяжательного местоимения(именительного) и для всех других падежных форм:chem-i, chem-

та...» (А.Арабули.2014).

Супплетивные формы глаголов

Глаголы совершенного вида, как правило, образуются от глаголов несовершенного вида посредством присоединения приставок и реже – суффиксов: писать – написать, строить – построить, решать – решить, прыгать – прыгнуть и др. Одним из менее продуктивных способов видового образования является выражение видов разными основами (супплетивными формами): *брать – взять, говорить – сказать, искать – найти, ловить – поймать, ложиться – лечь, садиться – сесть, становиться – стать*, класть – положить

Как правило, форма прошедшего времени обычно образуется от основы инфинитива с помощью суффикса -л-, к которому присоединяется родовое окончание, например: читать – он читал, она читала; учить – он учил, она учила и др. Исключением из этого правила является глагол **идти**. «Глагол **идти** (а также все глаголы с компонентом –йти, например: найти, пройти) имеют супплетивные основы ш-(в форме муж.р. шё-) – ид-(-йд-): ш-л-а(шё-л) – ид-ут; на-ш-л-а(на-шё-л) – на-йд-ут.»(Русская грамматика,662).

В древнерусском языке в настоящем времени глагол **быть** во всех трех числах имел супплетивные формы (есмь, еси, ест, есмь, есте, суть, есве, еста, еста, еста)(Букатевич Н.И., 1974). «Парадигма личных форм глагола **быть**, образуемых от основы настоящего времени, имеет морфологическое значение будущего времени. Формы настоящего времени глагола **быть**, образуемые супплетивно, в современном языке, кроме форм 3 лица ед. и мн.ч. **есть** и **суть**, не употребляются. Форма **суть** употребительна как вспомогательный глагол в официальной, научной и архаизированной речи: Форма **есть**, вследствие утраты других форм настоящего времени глагола **быть**, употребляется не только в значении 3 л. ед.ч., но и в значении всех лиц ед. и мн. ч.»(Русская грамматика, 1980). Например:

1.Логика же **есть** наука, которая показывает, как должно совершаться мышление.

2.Я вижу, что дождь идет, - это факт непосредственного познания; что ночью шёл дождь, **есть** факт посредственного познания.

(Г.Челпанов, 2010).

3.Объединение(сумма) множеств А и В **есть** множество, каждый элемент которого принадлежит множеству А или множеству В.

(В. И.Белоусова и др(2016).

...язык исторического романа – это **есть** современный язык, приспособленный для изображения прошлого...

(Г.О.Винокур,1991).

Как было сказано выше «супплетивизм свойственен не только индоевропейским языкам». Явление супплетивизма наблюдается и в картвельских языках, в том числе, в грузинском языке. Исследуя супплетивные пары слов, грузинские лингвисты подчеркивают именно замещение, чередование глагольных корней или основ(Г. Гоголашвили, А.Арабули, К.Маргиани и др.).

«Особенность одной группы глаголов заключается в том, что они не образуют все возможные формы от одного и того же корня; в парадигме происходит чередование корней.»(Г.Гоголашвили, 2011). Г. Гоголашвили рассматривает два типа чередований: 1)когда чередование корней в парадигме происходит по одной какой-либо грамматической категории; в этом случае друг с другом чередуются два или более простых корня и 2)когда в случае одного и того же простого корня в парадигме одного ряда происходит замещение опорного корня ряда.

А. Арабули совершенно справедливо считает, « что соблюдение супплетивизма является одним из требований внутренней природы языка. В грамматической системе любого языка парадигматический супплетивизм представляет собой один из специфических участков... Как правило, примеры подобных чередований - довольно редкое явление древней формации, что еще более усиливает интерес к этому явлению». (А. Арабули. 2008).

К.Маргиани в своей работе «Супплетивные глаголы в картвельских языках» подчеркивает, что «... в грузинском языке супплетивные парадигмы имеют место, в основном, в формах настоящего времени. Супплетивизм – особое явление в образовании глагольных рядов. Он(супплетивизм) нарушает общие принципы построения парадигмы ряда...» (Г.Гоголашвили,, 2011: 780) (К.Маргиани, М. Какачиа М. Джгаркава, 2016).

А.Арабули, К.Маргиани, М.Какачиа, М.Джгаркава и др. подчеркивают, что и для картвельских языков, в частности для грузинского языка, супплетивизм характерен как для именного, так и для глагольного формообразования. Под супплетивным формообразованием именных частей речи здесь, подразумевается супплетивное формообразование местоимений. В грузинском языке супплетивность

корней проявляется в чередующихся глагольных парах числа. «Как известно, это чередование происходит при «согласовании» с множественным числом(с множественностью) как субъектных, так и объектных форм лица: *zis – sxedan*(сидит – сидят), *dajda-dasxdnen*(сел – сели); *dasva – dasxa* (посадил одного – посадил несколько человек), *daagdo – dayara*(бросил один предмет – бросил много предметов) и др.(А. Арабули, 2008).

По словарям лингвистических терминов(Ж. Марузо, О.Ахманова, Розенталь Д.Э., ТеленковаМ.А.) , супплетивизм - это такое грамматическое явление, когда в пределах одной парадигмы происходит чередование основы или корня. В грузинском литературном языке в глагольной системе супплетивными считаются т.н. чередующиеся по числу или ряду глаголы: *დაჯდა ის -დასხდნენ ისინი, აბია ის მას - ასხია ისინი მას;*

или: *არის -იქნება - იყო*

შვრება - იზამს - ქნა.(Г.Гоголашвили, 780)

По мнению А.Арабули, «все глаголы, которые в новом грузинском языке образуют супплетивные пары, еще в древнегрузинском проявляли склонность к образованию подобных пар»(А. Арабули, 2008).

Следует отметить, что « с точки зрения супплетивных форм, исключительный интерес представляют данные картвельских языков: сванского, мегрельского и лазского».

По свидетельству К.Маргиани, «Сравнительный анализ данных грузинского литературного и картвельских языков по вопросам супплетивизма показал интересные нюансные различия «К.Маргиани и др. 2016).

Выводы. В проведенном нами исследовании было рассмотрено и сопоставлено наличие супплетивных пар слов в русском и грузинском языках. Как в русском, так и в грузинском языке супплетивное формобразование и словообразование наблюдается у одних и тех же частей речи, однако их происхождение не является тождественным. Это объясняется тем, что русский язык относится к индоевропейской семье языков, а грузинский – к иберийско-кавказским языкам, в частности, к картвельским.

Данное исследование позволило нам сделать следующие выводы:

1. Супплетивные формы существительных имеются в обоих исследуемых языках. Это, в основном, пары, состоящие из названий «взрослых» животных и птиц и названий их детенышей(корова – теленок, овца – ягненок, курица – цыпленок; *ძროხა - ხბო, ცხვარი - ბატკანი, ქათამი - წიწილა*). Следует отметить, что здесь нет полного соответствия: в русском языке имеем несупплетивную пару коза – козленок, а в грузинском – супплетивную *თხა - თოკაბი*.

В русском языке наблюдаются и супплетивные пары существительных другой семантики(ребенок – дети, человек – люди).

2. В классе имен прилагательных мало супплетивных образований(хороший лучше, плохой – хуже; *კარგი უკეთესი, ცუდი - უარესი*).

3. В обоих исследуемых языках наблюдается супплетивное формобразование местоимений (личных местоимений 3 лица), однако в этой области имеются расхождения. В русском языке супплетивизм связан с тем, что формы именительного падежа местоимений **и, я, е** были вытеснены местоимениями **он, она, оно**. Формы же косвенных падежей остались. Таким образом образовались супплетивные пары(**он – его, ему; она – её, ей**). А в грузинском языке местоимение 3 лица (**ის, იგი** | **он, она**) в косвенных падежах замещается корнем **მა-**, а единственным средством образования местоимения 1 лица является образование супплетивного корня родительного падежа *მე* → *ჩემი*...“(А.Арабули).

4. Следует отметить, что в обоих исследуемых языках наблюдаются сходные по семантике супплетивные пары несовершенного и совершенного вида глагола(**говорить – сказать, искать – найти; ლაპარაკი - თქმა, ძებნა - პოვნა** и др.). В грузинском языке имеются пары глаголов, супплетивность которых связана с категорией числа и ряда. «Чередование происходит при «согласовании» с множественным числом(с множественностью) как субъектных, так и объектных форм лица : *zis –sxedan, dajda – dasxdnen*»(А.Арабули, 2008).

Супплетивное формобразование и словообразование – это весьма интересная и, вместе с тем, обширная тема. В одной статье невозможно затронуть и описать весь спектр вопросов, связанных с образованием супплетивных пар. Наше исследование будет продолжено.

ლიტერატურა:

- Букатеви́ч Н.И., Савицкая С.А., Усачева Л.Я. (1974) Историческая грамматика русского языка. Киев: Вища школа.
- Валгина Н.С. (Ред.) (2002) Современный русский язык: Учебник. Москва: Логос. 528 с.
- С. Жукова. Явления супплетивизма и гетеронимии в морфологии глагола современного немецкого языка. // Вестник ТГПУ. 2006. Выпуск 4(55). С. 59.
- Косова В.А. (1995) Супплетивизм в номинативно-деривационной системе современного русского языка. Автореферат диссертации. Казань.
- Немченко В.Н. Супплетивизм как грамматическое явление (понятия и термины) (2000) // Вестник нижегородского университета им. Н.И. Лобачевского. Стр. 163-173.
- Реформатский, А.А. (2004) Введение в языковедение: Учебник для вузов. // Под ред. В.А. Виноградова. Москва: Аспект Пресс. 536 с.
- Русская грамматика (1980). Том I. Москва: Наука.
- Шанский Н.М. (1975) Краткий этимологический словарь русского языка. Москва: Просвещение. С. 125-126.
- გიორგი გოგოლაშვილი (რედ.) (2011). თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია. სალიტერატურო ენა. თბილისი: მერიდიანი. 831 გვ.
- ზოგი წარმოქმნილი (მეორეული) ზმნისართის შეხამებისათვის ნაცვალსახელებთან. / ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, ტ. 14, თბ. 2014. გვ. 16-25.
- ზმნური სუპლექტივიზმის ერთი უძველესი მოვლენისათვის ქართულში. – იკვ, XXXVI, 2008
- ქეთევან მარგიანი, მარინე კაკაჩია, მარინა ჯღარკავა (2016) სუპლექტური ზმნები ქართველურში // მეშვიდე საერთაშორისო ქართველოლოგიური სიმპოზიუმის მასალები. თბილისი. <https://ruskiiyazyk.ru/chasti-rechi/suppletivnye-formyi-slov-primeryi.html>

სუპლექტური ფორმაწარმოებისა და სიტყვაწარმოების საკითხისათვის სხვადასხვა სისტემის ენებში (რუსული და ქართული ენების მიხედვით)

ასატუროვა სედა

იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი

აბსტრაქტი. სუპლექტივიზმის საკითხი ყოველთვის იზიდავდა სხვადასხვა მიმართულებისა და სკოლის მკვლევართა ყურადღებას. ეს საკითხი განიხილებოდა მრავალ ნაშრომში და იყო მსჯელობის საკითხი. სუპლექტივიზმი გავრცელებულია სხვადასხვა ენებში, მათ შორის, რუსულსა და ქართულში.

მოცემულ ნაშრომში განხილულია სუპლექტური ფორმაწარმოებისა და სიტყვაწარმოების რუსულსა და ქართულ ენაში. ორივე საკვლევ ენაში სუპლექტური წყვილები აღინიშნება ერთი და იგივე მეტყველების ნაწილების ფარგლებში, თუმცა მათი წარმოქმნის მიზეზები განსხვავებულია, ვინაიდან რუსული ენა ინდოევროპულ ენათა ოჯახში შედის, ხოლო ქართული მიეკუთვნება იბერია-კავკასიურ ენებს, კერძოდ, ქართველურს.

კვლევის თვისებრივ ანალიზზე დაყრდნობით გამოგვაქვს შემდეგი დაკვნები:

1. ორივე საკვლევ ენაში აღინიშნება არსებით სახელთა სუპლექტური წყვილები (корова – теленок, овца – ягненок, курица – цыпленок; ძროხა - ხბო, ცხვარი - ბატკანი, ქათამი - წიწილა), მაგრამ **коза – козленок, თხა - თიკანი**.

რუსულ ენაში ასევე არსებობს სხვაგვარი სუპლექტური წყვილებიც. ასეთი სუპლექტური ფორმები ქართულში რა ფიქსირდებ. (ребенок – дети, человек – люди).

2. ზედსართავ სახელების სუპლექტური წყვილები (хороший лучше, плохой – хуже; კარგი უკეთესი, ცუდი - უარესი).

3. რუსულ ენაში არსებობდა ნაცვალსახელები **и, я, е**, რომლებიც შემდგომში ჩანაცვლდა ნაცვალსახელებით **он, она, оно**, რის შედეგადაც წარმოიქმნა შემდეგი სუპლექტური წყვილები **он – его, ему; она – её, ей**. „III პირის ნაცვალსახელი (ის, იგი) მთელ პარადიგმას ივსებს **მა**- ფუძის მეშვეობით; ხოლო I პირის ნაცვალსახელის ფორმაწარმოების ერთადერთი შესაძლებლობა ნათესაობითი ბრუნვის სუპლექტური ფუძის წარმოქმნაა: **მე → ჩემ**...“ (ა.არაბული, 2014).

4. ორივე საკვლევ ენაში აღინიშნება უსრული და სრული ასპექტის მქონე

სუპლექტური ზმნური წყვილები (**говорить – сказать, искать-найти; ლაპარაკი - თქმა, ძებნა - პოვნა** и др.). „ზმნის სისტემაში სუპლექტურად მიიჩნევა ე.წ. რიცხვისა თუ მწკრივის მიხედვით მონაცვლე ზმნები“ (გ. გოგოლაშვილი).

ერთ სტატიაში შეუძლებელია შევხებით სუპლექტურობასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს, ამიტომ ჩვენი კვლევა გაგრძელდება.

საკვანძო სიტყვები: სუპლექტივიზმი, სუპლექტური წყვილები, სუპლექტური ფორმაწარმოება, ფუძეთა მონაცვლეობა.

On the Issue of Suppletive Formation and Word-formation in Languages of Different Systems (on the example of Russian and Georgian languages)

Asaturova Seda

Iakob Gogebashvili Telavi State University, Telavi

Abstract

The issue of suppletivism has always attracted the attention of researchers of different directions and schools. This issue was discussed in many works. It was a question of reasoning. Suppletivism is widespread in different languages, including Russian and Georgian.

In this paper, supplementary form production and word-formation in Russian and Georgian languages are discussed. In both research languages, the supplementary pairs are marked within the same parts of speech, although the reasons for their occurrence are different, since the Russian language belongs to the Indo-European language family, and Georgian belongs to the Iberian-Caucasian languages, in particular, Kartvelian.

Based on the qualitative analysis of the research, we draw the following conclusions:

In both research languages, there are supplementary pairs of nouns (**корова - теленок, овца - ягненок, курица - цыпленок; cow - calf, sheep - lamb, chicken - chick**), but[^] **goat - козленок, goat - goat**.

In the Russian language, there are also other types of supplementary pairs which are not identified in Georgian language. (**ребенок – дети, человек – люди**).

Suppletive pairs of adjectives (**хороший лучше, плохой – хуже**); good better, bad worse).

In both research languages, there are suppletive verbal pairs of incomplete and complete aspects (**говорить – какзать, изчикт-найти; лаббуть - заказ, часть - финдан** и др.). In the verb system, the so-called "Verbs alternating according to number or row" (G. Gogolashvili).

In one article it is impossible to touch on all the issues related to this topic, so our research will continue.

Key words: suppletivism, suppletic pairs, suppletic form production, alternation of stems.

მეტაფორათა შემფასებელი როლი ფრანგულ და ქართულ ფრაზეოლოგიაში

ახვლედიანი ციური

ბურჩაკ-აბრამოვიჩი მარია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი

DOI: <https://doi.org/10.52340/idw.2023.20>

აბსტრაქტი. ფრაზეოლოგიური ერთეულები შეიცავენ სხვადასხვა ეროვნების ხალხთა მიერ დაგროვებულ გამოცდილებას და გადმოსცემენ სამყაროს ენობრივი სურათის აღწერას. ჩვენი ნაშრომის მიზანია იმ ფრაზეოლოგიურ ერთეულთა წარმოდგენა და განხილვა, რომლებშიც ჭარბობს შეფასებითი მნიშვნელობა. კვლევის მასალად გამოყენებულ იქნა ფრანგული და ქართული ენების 150 ფრაზეოლოგიური ერთეული, კვლევის მეთოდებად კი - ლინგვისტური აღწერის მეთოდი და შედარებითი მეთოდი.

მეტაფორულ მოდელებს ჰყოფენ სხვადასხვა კლასიფიკაციის მიხედვით. **ანთროპომორფული მეტაფორა** არის ისეთი მეტაფორის ტიპი, რომელშიც ობიექტური სინამდვილის საგნები და მოვლენები წარმოდგენილია ადამიანის სხეულის ნაწილებთან ასოციაციური კავშირებით. ასეთი მეტაფორის გამოყენებით, ადამიანი მოდელირებს ცხოვრებისეულ სიტუაციას საკუთარი ხატითა და მსგავსებით. აქ შეიძლება გამოყენებულ იქნეს შემდეგი კონცეპტები: ოჯახი, ავადმყოფობა, ხელი, ფეხი, თავი და ა.შ. **ბუნებამორფული მეტაფორა (ნატურომორფული)** - არის ისეთი მეტაფორის ტიპი, რომელშიც საგნები და მოვლენები წარმოდგენილია ცოცხალ და არაცოცხალ ბუნებასთან ასოციაციური კავშირით. იყენებს რა ასეთი მეტაფორის სახეობას, ადამიანი მოდელირებს ცხოვრებისეულ სიტუაციას იმ მოვლენათა მიხედვით, რომლებიც ხდება ცოცხალ ბუნებაში. ხშირად გამოიყენება შემდეგი კონცეპტები: ცხოველი, მცენარე, ჭექა-ქუხილი, ელვა და ა.შ. **სოციომორფული მეტაფორა** - არის ისეთი მეტაფორის ტიპი, რომლის გამოყენებისას ადამიანი მოდელირებს ისეთ სიტუაციას, რომლის მიხედვითაც ადამიანთა მუდმივი ურთიერთობაა საზოგადოებაში; ამ შემთხვევაში გამოიყენება შემდეგი კონცეპტები: სიყვარული, სიძულვილი, შური, მეგობრობა და ა.შ. **არტეფაქტური მეტაფორა** არის ისეთი მეტაფორის ტიპი, რომლის დროსაც ადამიანი რეალიზდება მის მიერ შექმნილი საგნებით; მისი კონცეპტებია: კომპიუტერი, სახლი, მაგიდა, სკამი და ა. შ. უნდა გვახსოვდეს, რომ თითოეულ ამ ტიპში დევს მთავარი წესი - ადამიანი მუდამ რჩება სამყაროს ცენტრად.

კვლევის შედეგად დავასკვნით, რომ ფრანგულ და ქართულ, უარყოფითი შეფასების მქონე ფრაზეოლოგიურ ერთეულებში უფრო ხშირად გვხვდება ზომომორფული და სოციომორფული მეტაფორები, ნეიტრალური ან ამბივალენტური შეფასებისათვის კი - ანთროპომორფული და ნატურომორფული მეტაფორები.

საკვანძო სიტყვები: ფრანგული და ქართული ენების ფრაზეოლოგიური ერთეულები, შეფასების სემანტიკა, სტილისტიკური შეფერილობა.

ფრაზეოლოგიური ერთეულები გადმოსცემენ კონკრეტული ენის თავისებურებებს, ასევე ამავე ენაზე მოლაპარაკე ხალხთა მსოფლმხედველობის თავისებურებებს. ფრაზეოლოგიზმთა ძირითადი თვისებაა მათი სტილისტიკური შეფერილობა და ხატოვანება. ფრაზეოლოგიზმთა უმეტესობა არა მხოლოდ ასახელებს სინამდვილის მოვლენებს, არამედ ახასიათებს კიდევ ამ მოვლენებს განსაზღვრული სახით.

ვიდრე წარმოგიდგენთ შერჩეულ ფრაზეოლოგიურ ერთეულთა ანალიზს, უნდა აღვნიშნოთ რამოდენიმე თვისება, რომლებიც ახასიათებს ფრანგულ და ქართულ ფრაზეოლოგიზმებს:

- მრავალ ფრანგულ ფრაზეოლოგიურ ერთეულში ფუნქციონირებს სიტყვები, რომლებიც არ გამოიყენება ქართულ ენაში;
- ფრანგული ფრაზეოლოგიზმების ქართულ ენაზე თარგმნისას ხშირად იცვლება წინადადების სტრუქტურა;
- ფრანგული ენა ფლობს ანალიტიკურ თვისებას, რომლის მიხედვითაც მთელი სიტყვაშეერთება შეიძლება გადაითარგნოს ქართულად ერთი სიტყვით;
- არსებობს ფრაზეოლოგიური შეზრდები, რომელთათვისაც დამახასიათებელი სემანტიკური ნიშანია ის, რომ მათი მნიშვნელობა არ გამომდინარეობს მათ კომპონენტთა მნიშვნელობებიდან.

კონკრეტულ მოდელთა აღწერისა და მეტაფორული მოდელირების თეორიისადმი მიძღვნილია მრავალი პუბლიკაცია. მეტაფორულ მოდელს ჰყოფენ სხვადასხვა კლასიფიკაციის მიხედვით. **ანთროპომორფული მეტაფორა** არის ისეთი მეტაფორის ტიპი, რომელშიც ობიექტური სინამდვილის საგნები და მოვლენები წარმოდგენილია ადამიანის სხეულის ნაწილებთან ასოციაციური კავშირებით. ასეთი მეტაფორის გამოყენებით, ადამიანი მოდელირებს ცხოვრებისეულ სიტუაციას საკუთარი ხატითა და მსგავსებით. აქ შეიძლება გამოყენებულ იქნეს შემდეგი კონცეპტები: ოჯახი, ავადმყოფობა, ხელი, ფეხი, თავი და ა.შ.

ბუნებამორფული მეტაფორა (ნატურომორფული) - არის ისეთი მეტაფორის ტიპი, რომელშიც საგნები და მოვლენები წარმოდგენილია ცოცხალ და არაცოცხალ ბუნებასთან ასოციაციური კავშირით. იყენებს რა ასეთი მეტაფორის სახეობას, ადამიანი მოდელირებს ცხოვრებისეულ სიტუაციას იმ მოვლენათა მიხედვით, რომლებიც ხდება ცოცხალ ბუნებაში. ხშირად გამოიყენება შემდეგი კონცეპტები: ცხოველი, მცენარე, ჭექა-ქუხილი, ელვა და ა.შ. **სოციომორფული მეტაფორა** - არის ისეთი მეტაფორის ტიპი, რომლის გამოყენებისას ადამიანი მოდელირებს ისეთ სიტუაციას, რომლის მიხედვითაც ადამიანთა მუდმივი ურთიერთობაა საზოგადოებაში; ამ შემთხვევაში გამოიყენება შემდეგი კონცეპტები: სიყვარული, სიძულვილი, შური, მეგობრობა და ა.შ. **არტეფაქტური მეტაფორა** არის ისეთი მეტაფორის ტიპი, რომლის დროსაც ადამიანი რეალიზდება მის მიერ შექმნილი საგნებით; მისი კონცეპტებია: კომპიუტერი, სახლი, მაგიდა, სკამი და ა. შ. უნდა გვახსოვდეს, რომ თითოეულ ამ ტიპში დევს მთავარი წესი - ადამიანი მუდამ რჩება სამყაროს ცენტრად.

შეფასების შემცველი ფრაზეოლოგიური ერთეულების განხილვისას, უნდა აღვნიშნოს, რომ ყველაზე ხშირად გვხვდება ზომომორფული მეტაფორა (59/150), რომელიც მიეკუთვნება ბუნებამორფული მეტაფორის სახეობას. ეს მოვლენა იმით აიხსნება, რომ ამ ნაშრომში წარმოდგენილ ფრაზეოლოგიურ ერთეულთა უმეტესობა ენის ფრაზეოლოგიურ შემადგენლობაში შევიდნენ მრავალი საუკუნის წინათ და იმ პერიოდში, როგორც ცნობილია, რაიმე ახლობლის შეფასებისათვის, ადამიანები მის ხატს უკავშირებდნენ რომელიმე კონკრეტული ცხოველის ხატს. ასეთი ფრაზეოლოგიური ერთეულების ნიმუშებია: 1. **Tête comme un âne** (ფრანგ.) – ვირივით ჯიუტი (ქართ.); 2. **Méchant comme un âne rouge** (ფრანგ. სიტყვა-სიტყვით «წითელი ვირივით ბოროტი») – ეშმაკივით ბოროტი (ქართ.); 3. **Rusé comme un renard** (ფრანგ.) – მელისავით ბოროტი (ქართ.); 4. **Léger comme un papillon** (ფრანგ.სიტყვა-სიტყვით «პეპელასავით მსუბუქი») – ფუქსავატი, თავქარიანი (ქართ.); 5. **Fier comme un pou** – ტილივით ამპარტავანი (ფრანგ.) - ინდაურივით პატივმოყვარე (ქართ.); 6. **Credule comme un mouton** (ფრანგ.სიტყვა-სიტყვით «ცხვარივით გულუბრყვილო») – გულუბრყვილო, მიმნდობი ადამიანი (ქართ.); 7. **Fort comme un boeuf** – ხარივით ძლიერი (ფრანგ.)-ხარივით ძლიერი (ქართ.).

ვანალიზებთ რა ფრაზეოლოგიურ ერთეულებს, შეიძლება დავასკვნათ, რომ ასოციაციური წარმოდგენები, რომლებიც უკავშირდება ცხოველთა ხატებს ფრანგულ ენაში, იმავე ხატებით მსგავსნი არიან ქართულ ენაშიც. მაგალითად, ეშმაკობა გადმოიცემა მელიის ხატის სახით (“**Fin comme un renard**”), ქარაფშუტობა – პეპელას ხატით (“**Léger comme un papillon**”), განსაკუთრებული ძალა – ხარის ხატით (“**Fort comme un boeuf**”), გულუბრყვილობა – ცხვრის ხატით (“**Credule comme un mouton**”), მოხერხებულობა და სიმკვირცხლე კი – მაიმუნის

სახით (“**Maline comme un signe**”).

აღსანიშნავია ფრანგი და ქართველი ხალხის სამყაროს ენობრივი სურათის ზოგიერთი ხატის შეუსაბამობა: თხის ხატი ქართულ ენაში ჰგავს ვირის ხატს ფრანგულ ენაში – მას მიეწერება იგივე თვისებები: სიჯიუტე, რომელიც ემიჯნება მტკნარ სისულელეს. ამ ცხოველის ხატი ასევე განუყრელად უკავშირდება უნამუსობას, სისამაგლეს, ადამიანის ზნეობრივ დაცემას. ამ ცხოველის ხატი ორივე ენაში ნეგატიური ელფერის მქონეა. ფრანგულ და ქართულ ენათა სამყაროს ენობრივ სურათში ასევე შეინიშნება მაიმუნის ხატთან დაკავშირებულ წარმოდგენათა არდამთხვევა. ფრანგული ენის ენობრივ სურათში მაიმუნი ანსახიერებს მოხერხებულობას, სიმარდე-სიმკვირცხლეს (“**Maline comme un singe**” – მაიმუნივით მოხერხებული), ქართულ ენობრივ სურათში კი ამ ცხოველის ხატი გამოიყენება უარყოფითი შეფასებისათვის; მაგალითად, ქართული ენის ფრაზეოლოგიური ერთეული: მაიმუნივით პრანჭვა-გრეხა. ზემომოყვანილ ფრაზეოლოგიურ ერთეულთა მიხედვით, შეიძლება დავასკვნათ, რომ მაიმუნის ხატი გადადის ადამიანის ხატზე და მას ანიჭებს ისეთ თვისებებს, როგორებიცაა უთავბოლოობა, უუნარობა და მანჭიაობა-პრანჭიაობა. შესაძლებელია, ამ ორ ენაში, ხატთა შეუსაბამობა უკავშირდებოდეს იმ ფაქტს, რომ ევროპელი მაცხოვრებლებისათვის უკეთესადაა ცნობილი მაიმუნთა ხასიათი, ზნე-ჩვეულებები და მათი ბუნება. ფრანგულ ფრაზეოლოგიაში საკმაოდ ხშირად გვხვდება სახელდობრ იმ ცხოველთა ხატები, რომლებიც ცხოვრობენ მოცემულ ტერიტორიაზე (ეს თვისება ახასიათებს ნებისმიერი ენის ფრაზეოლოგიას). ქართულ ენაში, უფრო ტიპურია მელიის, ხარის, მგლის ხატები, ანუ ისეთი ცხოველებისა, რომლებიც ცხოვრობენ მოცემულ ტერიტორიაზე და არიან ქართული ფოლკლორის გმირები. რადგანაც ჩვენს მიერ შერჩეულ ფრაზეოლოგიურ ერთეულებში აღმოჩნდა იმ ფრაზეოლოგიურ ერთეულთა დიდი რაოდენობა, რომლებიც წარმოქმნილია ზოომორფული მეტაფორების დახმარებით (59 ფრაზეოლოგიური ერთეული 150 - დნ), მნიშვნელოვნად მიგვაჩნია გამოვეყნოთ შემდეგი სახეობები:

ძაღლი (7/59) – ყველაზე ხშირი ხატია, რომელიც გამოიყენება რაიმე აგრესიული და არაკეთილის დასახასიათებლად (“**Chien galeux**” – ძაღლივით ბოროტი). **ცხვარი** (7/59) – ასევე ერთ-ერთი ყველაზე ხშირი ხატია, რომელიც გამოიყენება შერჩეულ ფრაზეოლოგიურ ერთეულებში. იგი წარმოგვიდგენს მშვიდ, წყნარ, თვინიერ, მორიდებულ, მოკრძალებულ პიროვნებას (“**Doux comme un agneau**” – კრავივით, ბატკანივით მორიდებული, მოკრძალებული). თუმც, უნდა განვასხვავოთ «ბატკანი» (“**agneau**”) «ცხვარისაგან» (“**mouton**”, “**brebis**”). საქმე იმაშია, რომ “**agneau**” უფრო ხშირად გამოიყენება ხასიათის უარყოფითი ნიშნის გადმოსაცემად (ძლიერი გულუბრყვილობა, მიაბიტობა), ცნებები “**mouton**” და “**brebis**” კი – დადებითისათვის. მაგალითად, ფრაზეოლოგიური ერთეული: “**les boucs et les brebis**” («ცოდვილნი და წმინდანნი»), რომელშიც ლექსემა “**brebis**” შეიცავს განსაკუთრებულ დადებით შეფასებას.

კატა (6/59) – ხატი, რომელიც განსაკუთრებით ხშირად გვხვდება ფრანგულ ფრაზეოლოგიაში (“**Acheter le chat en poche**” – უნახავად, შეუმოწმებლად ყიდვა). აღსანიშნავია, რომ ამ შემთხვევაში, რთულია განსაზღვრა იმისა, თუ სახელდობრ რა შეფასებას ატარებს ცხოველის ხატი. თუმც, უმეტესად, ეს ნეგატიური შეფასებაა, რამდენადაც ამ ხატის დახმარებით აღიწერება მზაკვრობა, ცბიერება, სურვილი, რომ სწრაფად მოიცილოს თავიდან დაუდევრობა.

თევზი (6/59) – ეს ხატი გადმოსცემს გულგრილობას, აბსოლუტურ გულცივობას ყოველივე მომხდარისადმი. ამ შემთხვევაში, უმეტესად, გულგრილობა და უზომო გულცივობა აშკარად უარყოფითი მახასიათებელია (“**Muet comme une carpe**” – მუნჯი როგორც კობრი, ჭანარი). ასევე ხშირად გვხვდება ფრინველთა ხატები, რომლებიც თავიანთ მხრივ, ასოცირდებიან სიბრძნესთან და ფართო მსოფლმხედველობასთან. აღსანიშნავია, რომ ასეთი შედარება არატიპურია ქართული ენობრივი სამყაროს სურათისათვის. ჩვენი განსახილველი ენობრივი სურათებისათვის ტიპურია ხარის ასოციაცია ძალასთან და მელიისა - ეშმაკობასა და ცბიერებასთან: “**Fort comme un boeuf**” – ძლიერი როგორც ხარი, “**Rusé comme un renard**” – მელიასავით ეშმაკი, მატყუარა; თავვისა – სიფრთხილესთან, წინდახედულობასთან: “**Être un petit souris**” – (სიტყვა-სიტყვით: იყო პატარა თავვი) იყო წყალზე ჩუმი, ბალახზე დაბალი.

შედარებით ნაკლებად გვხვდება ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომელთა წარმოქმნის ხერხია ფლორომორფული მეტაფორა, რომელიც წარმოადგენს ბუნებამორფული მეტაფორის სახეობას (11/150): 1. **Solide comme un chêne** (სიტყვა-სიტყვით: «მუხასავით ძლიერი») – კაკალივით მაგარი, მორალურად ძლიერი ადამიანი; 2. **Être fleur bleu** (სიტყვა-სიტყვით: «ლურჯ ყვავილად ყოფნა») – ძალიან მორცხვი ადამიანი; 3. **Timide comme une violette** (სიტყვა-სიტყვით: «იასავით მოკრძალებული») – უაღრესად მორცხვი ადამიანი. ფრანგულ ფრაზეოლოგიაში, ფლორომორფული მეტაფორა, როგორც შეფასების გამოხატვის ხერხი, გაცილებით იშვიათად გვხვდება, ვიდრე ზოომორფული, ანთროპომორფული და ასევე სოციალური მეტაფორები. ფრანგულ ფრაზეოლოგიაში, ისევე როგორც ქართულში, სისუსტისა და სინაზის ხატი ხშირად გადმოიცემა რაიმე მცენარის ხატის საშუალებით, განსაკუთრებით კი - ყვავილისა: **Fraîche comme la rosée du matin** – ნაზი, ნორჩი, როგორც დილის ვარდი. ნეგატიური შეფერილობა აქვს კაქტუსს, რომელიც გამოიყენება კონფლიქტური, მძიმე, უჟმური ხასიათის მქონე ადამიანის აღსაწერად: **“Avoir un esprit épineux”** – ყველგან ემებო სირთულეები. ასეთი შედარება ტიპურია ქართულ ენაშიც: «კაქტუსივით ეკლიანი» – მიუკარებელი, მიუდგომელი, კონფლიქტური ადამიანი.

ბუნებამორფული მეტაფორებით შეიქმნა შემდეგი ფრაზეოლოგიური ერთეულები: 1. **Être libre comme l'air** – ქარივით თავისუფალი; 2. **Être beau comme un aster** (სიტყვა-სიტყვით: «ვარსკვლავით ლამაზი») – არამიწიერი სილამაზისა; 3. **Terre-à-terre** (სიტყვა-სიტყვით: «მიწა მიწასთან») – სულმდაბალი ადამიანი.

ფრაზეოლოგიურ ერთეულებში ხშირად გამოიყენება ისეთი ცნებები, როგორებიცაა: «მიწა» **“la terre”**; **“Terre-à-terre”**, **“Tomber plus bas que terre”**; «წყალი»: **“l'eau”**, **“C'est le feu et l'eau”**, **“Ne trouver pas l'eau dans la riviere”**; «ჰაერი»: **“l'air”**, **“Cracher en l'air”**, **“En l'air”** – სამი სტიქია. მათ შეუძლიათ შემოიტანონ როგორც დადებითი და უარყოფითი, ასევე ამბივალენტური შეფასება. სამყაროს ფრანგულ და ქართულ ენობრივ სურათში, ქარის ხატი ასოცირდება თავისუფლებასთან. ვარსკვლავის ხატი მშვენიერებისა და მიუწვდომლობის ხატი – **“Être beau comme un aster - ვარსკვლავით მშვენიერი”**. ანთროპომორფული მეტაფორით შექმნილი ფრაზეოლოგიური ერთეულებია: 1. **Être jolie comme un cœur** (სიტყვა-სიტყვით «გულივით ულამაზესი») – ულამაზესი ადამიანი; 2. **Avoir la main heureuse/ malheureuse** (სიტყვა-სიტყვით «ბედნიერი / უბედური ხელის ქონა») – წარმატებული / წარუმატებული ადამიანი; 3. **De bon cœur** (სიტყვა-სიტყვით «მართალი გულისა») – სიმართლის მხარეს ყოფნა. ფრაზეოლოგიზმთა ამ კლასში, ყველაზე მეტად გამოყენებული სომატიზმებია «სისხლი», «ფრჩხილები», «თავი», «ფეხები», «თვალები».

სოციომორფული მეტაფორის საშუალებით ნაწარმოებ ფრაზეოლოგიურ ერთეულებს განეკუთვნება შემდეგი ფრაზეოლოგიური ერთეულები: 1. **A chose faite pas de remède** (სიტყვა-სიტყვით «გაკეთებულ საქმეს არ უშველის წამალი»); 2. **Fendre le cœur à quelqu'un** (სიტყვა-სიტყვით «ვინმეს გულის დაჭრა») – ვინმესთვის გულის ტკენა, გულის დაწყვეტა; 3. **Gens de la même farine** (სიტყვა-სიტყვით «ადამიანები ერთი და იმავე ფქვილიდან») – ერთი ჯურის ხალხია, ერთი ამქრისა არიან; ფერი ფერსა, მაღლი ღმერთსა.

ბიბლეიზმის კომპონენტის შემცველი ფრაზეოლოგიური ერთეულების კვლევისას, გამოვლინდა ფრაზეოლოგიზმთა მცირე რაოდენობა, რომლებშიც გვხვდება ღმერთის ხატი და მისი ანტიპოდის - ეშმაკისა: 1. **“Beau comme un Dieu”** – ღმერთივით ლამაზი; 2. **“Avoir le diable au corps”** – (სიტყვა-სიტყვით: “სხეულში ეშმაკის ქონა”) მოუსვენარი, დაუდეგარი. ფრანგულ და ქართულ ფრაზეოლოგიურ ერთეულებში, ღმერთის ხატი მუდამ ასოცირდება რაიმე წმინდასა და ამაღლებულთან, ეშმაკისა კი - ბოროტებასთან, მიუტევებელ დანაშაულთან და საშინელ ადამიანთა თვისებებთან. მაგალითად, პარემია **“Ange à l'église et diable à la maison”** – (სიტყვა-სიტყვით: «ანგელოზი - ეკლესიაში, ეშმაკი - სახლში») ახასიათებს უარყოფითი ქცევის ადამიანს. ეს ეხება პირმოთნე, ორპირ ადამიანს, რომელიც საზოგადოებაში კარგ შთაბეჭდილებას ავლენს, ოჯახში კი - ტირანია. ფრანგულ და ქართულ ფრაზეოლოგიაში, ღმერთის ხატი გაცილებით ხშირად გვხვდება, ვიდრე მისი ანტიპოდის ხატი. ფრანგულ და ქართულ ფრაზეოლოგიზმში **“Les Dieux de la terre”** («ძლიერნი ამა სოფლისანი») კარგად ჩანს, რომ მთელს მსოფლიოში,

ავტორიტეტის მქონე, ძლიერ ხალხთა დადებითი ხატი უკავშირდება ღმერთის ხატს. ფრაზეოლოგიურ ერთეულში “**Feu sacré**” – «ღვთის ნაპერწკალი, ნიჭი, ტალანტი» ასევე ჩანს ადამიანის დადებითი დახასიათება და გამოყენებულია ღვთაებრივი, წმინდა, სულიერი, საკრალური ხატი. აღსანიშნავია, რომ კომპონენტ ბიბლიეზმის შემცველი ფრაზეოლოგიური ერთეულები ფართოდაა გავრცელებული ფრანგულ და ქართულ ენებში.

ამგვარად, კვლევის შედეგად დავასკვნით, რომ ფრანგულ და ქართულ, უარყოფითი შეფასების მქონე ფრაზეოლოგიურ ერთეულებში უფრო ხშირად გვხვდება ზომორფული და სოციომორფული მეტაფორები, ნეიტრალური ან ამბივალენტური შეფასებისათვის კი – ანთროპომორფული და ნატურომორფული მეტაფორები.

ლიტერატურა:

Ashraf M., Miannay D. (1995) Dictionnaire des expressions idiomatiques françaises. Paris.
Rey A., Chantreau S. (1997) Dictionnaire des expressions et locutions. Paris.

The evaluative role of metaphors in French and Georgian phraseology

Akhvlediani Tsiuri

Burchak-Abramovichi Maria

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Tbilisi

Abstract

Phraseological units contain experiences accumulated by different nations and reflect the linguistic picture of the world. The purpose of our study is to present and analyze the phraseological units containing evaluative meaning. Our research is based on the study of 150 phraseological units in French and Georgian. The research methodology includes methods of linguistic description and comparison.

Metaphorical models are divided into a few categories: **Anthropomorphic metaphor** is the type of metaphor, in which objects of reality as well as events are presented in association with parts of the human body. Using this type of metaphor, a person creates a life situation based on his image and likeness. The following concepts can be used, such as family, disease, hand, foot, head etc. **Natuomorphic metaphor** is the category of metaphor in which objects and events are presented in an associative connection with animate or inanimate nature. Using this type of metaphor, a person creates life situations based on events that occur in nature. The following concepts are often used: animal; vegetation, thunder, storms, etc. Using **Sociomorphic metaphor** a person forms the situation that reflects the permanent relationships between humans. In this case, the following concepts are used: love, hate, envy, friendship, etc. **Artifact metaphor** is a category, when a person realizes himself with the help of objects created by himself. Its concepts are: computer, house, table, chair. The main rule of these constructions is the fact that the person remains at the center of the world.

The study allows us to conclude that in French and Georgian, among phraseological units that have a negative meaning, zoomorphic, sociomorphic metaphors are most often represented, while in a neutral or ambivalent evaluation, anthropomorphic, and natuomorphic metaphors are more frequent.

Key words: Phraseological units of the French and Georgian languages, evaluative semantics, stylistic coloring.

**ბიბლიური ალუზია, როგორც ინტერტექსტუალობის მნიშვნელოვანი
ასპექტი და მისი ტრანსფორმაცია ქართულ ენაზე
(დ.პ. ლორენსის „ინგლისი, ჩემი ინგლისის“ მიხედვით)**

ბოლაშვილი მაია

გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გორი

DOI: <https://doi.org/10.52340/idw.2023.21>

აბსტრაქტი. ნაშრომში წარმოდგენილია ცნობილი ინგლისელი მწერლის, დევიდ ჰერბერტ ლორენსის, მცირე პროზის ერთ-ერთი შედეგის, „ინგლისი, ჩემი ინგლისის“ ქართული თარგმანის კომპარატივისტული ანალიზი ორიგინალის ტექსტთან, რომლის ყურადღების ცენტრშია ბიბლიური ალუზიის, როგორც ინტერტექსტუალობის მთავარი ელემენტის ტრანსფორმაცია ქართულ ენაზე. აღნიშნული მოთხრობიდან შერჩეულია შესაბამისი მაგალითები და მათი თარგმანი განხილულია ლიტვა ლეპიჰალმის (Leppihalme, 1997) მიერ შემუშავებული ალუზიათა თარგმნის მეთოდის გათვალისწინებით, კერძოდ, მისი კლასიფიკაციის საფუძველზე ჩატარებულია ალუზიური საკუთარი სახელების და ფრაზული ალუზიების ქართულ შესატყვისთა ანალიზი. ლეპიჰალმი ალუზიების თარგმნის რამდენიმე დასაბუთებულ მეთოდს გვთავაზობს. მის მოსაზრებებზე დაყრდნობით, ნაშრომის მიზანს წარმოადგენს აჩვენოს, რომ რა სტრატეგიასაც არ უნდა იყენებდეს მთარგმნელი, საკუთარ სახელთა ალუზიურობის შენარჩუნება იქნება ეს თუ ფრაზული ალუზიების მინიმალური ცვლილება, თარგმანი მაშინაა წარმატებული, როდესაც წყარო (SL) და სამიზნე ენაზე (TL) მკითხველის ემოცია ერთმანეთის ტოლფასია. თუ მთარგმნელი სამიზნე ენაზე სათანადოდ ვერ გადმოსცემს წყარო ენაზე არსებული მხატვრული ტექსტის ალუზიათა კონოტაციურ და პრაგმატულ მნიშვნელობებს, სამიზნე ენაზე ტექსტის მკითხველი „კულტურათა შეჯახების“ წინაშე აღმოჩნდება. მკითხველისთვის ასეთი თარგმანი ბუნდოვანი და გაუგებარია, რაც მას ხელს უშლის აქტიურად ჩაერთოს კითხვის პროცესში. ამიტომაც მიგვაჩნია, რომ ალუზიების ეფექტურად სათარგმნად აუცილებელია, რომ მხატვრული ნაწარმოების მთარგმნელს გააჩნდეს ფილოლოგიური განათლება, რათა სწორად იქნას გაგებულ-გააზრებული ალუზიური პასაჟები. გარდა ამისა, ტექსტში ალუზიათა ამოცნობას ასევე ჭირდება ფონური ცოდნაც, რადგან ინტერტექსტუალური ტექსტები ერთმანეთთან ყოველთვის არიან გარკვეული ფორმით, კონცეპტით თუ მხატვრულ გამომსახველობით საშუალებათა გამოყენებით დაკავშირებულნი და როგორც მთარგმნელის, ასევე მკითხველისთვისაც გასააზრებლად, ძალიან ხშირად ერთმანეთის გასაღებს წარმოადგენენ. ნაშრომში ორიგინალის და თარგმანის შედარებით (კომპარატივისტულ) მეთოდთან ერთად, ასევე გამოყენებულია კონტენტის ანალიზის მეთოდი და მთარგმნელის ემპირიული გამოცდილება.

საკვანძო სიტყვები: ალუზიური საკუთარი სახელები, ფრაზული ალუზიები, ლეპიჰალმის მთარგმნელობითი სტრატეგიები, ინტერტექსტუალობა, კულტურათა შეჯახება.

მხატვრული პროზის თარგმნა რომანის, ნოველის, მოთხრობის, ფოლკლორული ამბების, ზღაპრის, იგავ-არაკის, ესეის, ბიოგრაფიის, ავტობიოგრაფიის, ჰაგიოგრაფიის, კრიტიკული ნაშრომის, მეცნიერული პროზის თარგმნას გულისხმობს. იგი მხატვრული შემოქმედების ის სახეობაა, სადაც ერთ ენაზე (Source language-წყარო ენაზე) შესრულებული წერილობითი სამუშაო მეორე ენაზე (Target language- სამიზნე ენაზე) თავიდან იქმნება. მხატვრული პროზის მთარგმნელი მსოფლიოში ყველაზე ფართოდ გავრცელებული ლიტერატურული ჟანრის მთარგმნელია.

მხატვრული პროზის თარგმანში ენას კომუნიკაციის, სოციალური და დამაკვირვებელი მიზნების გარდა, სხვა ფუნქციაც გააჩნია. ლიტერატურულ ტექსტში სიტყვა მისი „მთავარი შემადგენელი ნაწილია” ე.ი. მას მხატვრული ფუნქცია ენიჭება. მაშასადამე, პროზის თარგმნის პროცესში წარმოშობილი პრობლემები ხელოვნების არეალის შიგნით განიხილება და მისთვის დამახასიათებელ კანონებზეა დამოკიდებული.

პროზაულ-ნარატიულ ტექსტებში, ისევე, როგორც პოეზიაში, ლიტერატურული ან სტილისტიკური გამომსახველობითი საშუალებანი ჭარბობს. მოდერნისტულ და პოსტმოდერნისტულ მხატვრულ ტექსტათვის ენა ძალიან ხშირად უკიდურესად მნიშვნელოვანია. ზოგჯერ, მოდერნისტული მხატვრული ნაწარმოები, -იქნება ეს რომანი თუ მცირე პროზა, ისეთ გამომსახველობით საშუალებებს იყენებს, რომლებიც პოეზიისათვისაა დამახასიათებელი. დიდი ინგლისელი მწერლის, პოეტის, დრამატურგის, პუბლიცისტის და ფერმწერის, დევიდ ჰებერტ ლორენსის მდიდარი შემოქმედებისთვის ასევე ნიშანდობლივია წარმოსახვითი, სიმბოლური და გადატანითი მნიშვნელობით გამოყენებული პოეტური ლექსიკა თუ გრამატიკული სტრუქტურები, სადაც წარმოსახვა, სიმბოლო და რიტმი ხშირად გამოყენებულია, როგორც კოჰეზიის (გადაბმის) და ტონალურ მაკავშირებელთა წყარო.

ამგვარ ტექსტთა მხატვრულ-სტილისტიკური საშუალებანი მხატვრული ტექსტის მთარგმნელის მიერ, რომლის უპირველეს მიზანსაც წყარო (SL) და სამიზნე (TL) ენაზე შესრულებულ ტექსტთა შორის შესაძლო და დამაჯერებელი ეკვივალენტის მოძებნა უნდა წარმოადგენდეს, იგნორირებული არ უნდა იქნეს. გარდა ამისა, მთარგმნელმა ფორმასა და შინაარსს, ტექსტის ნაწილებს და მის მთლიან სტრუქტურას შორის არსებული ორგანული კავშირი უნდა გაითვალისწინოს.

მოდერნისტული ნაწარმოების ენის სილადე, ორაზროვნება, ირონია, სიტყვათა თამაში, ლიტერატურული ხასიათის სტილიზაცია (პასტიჟო) და სხვა ბევრი კულტურულ-სპეციფიური მხატვრული ხერხები, მთარგმნელს პრობლემის წინაშე აყენებს, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე ინტერკულტურულ ტრანსფორმაციას და ინტერტექსტუალურ მხატვრულ ნაწარმოებს ეხება. ინტერტექსტუალობის ცნება გულისხმობს ყველა სახის ლიტერატურულ ნაწარმოებს, ისეთს, როგორიცაა „ზეპირი, ვიზუალური, ლიტერატურული, ვირტუალური” ტექსტები, რომლებიც მოიცავს სხვა ტექსტებისადმი იმ მინიშნებებს რამაც ხელი შეუწყო მათ შექმნას (Childs & Fowler, 2006). ინტერტექსტუალობა მოდერნიზმისა და პოსტმოდერნიზმის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ინტერტექსტუალობა მხოლოდ მოდერნისტულ თუ პოსტმოდერნისტულ ლიტერატურას არ ახასიათებს. ისტორიის მანძილზე, ადრეულ პერიოდში შექმნილ ლიტერატურულ ტექსტებშიც გვხვდება მათ წინამორბედ ტექსტთა ისეთი განსხვავებული ფორმების გავლენა, როგორიცაა: ციტირება, პარაფრაზირება, თარგმანი, ადაპტაცია, პაროდია და აბსურდი, რომლებიც მოდერნიზმამდეც არსებობდა (Pfister, 2009-2010). მიხეილ ბახტინის „დიალოგურობის” კონცეფციის (ლიტერატურის და ავტორთა უწყვეტი კავშირი სხვა ლიტერატურულ ნაწარმოებებთან) გავლენით, ბულგარულ-ფრანგმა პოსტსტრუქტურალისტმა ჯულია კრისტევა 1960 წელს პირველმა შემოიტანა ტერმინი „ინტერტექსტუალობა”. ტექსტთა შორის კავშირის საფუძველზე, კრისტევა ამტკიცებს, რომ: „...ნებისმიერი ტექსტი როგორც ციტატების მოზაიკა, ისეა აგებული; ნებისმიერი ტექსტი სხვა ტექსტის შთანთქმას და ტრანსფორმაციას წარმოადგენს” (Kristeva, 1986). ბახტინი მთავარ აქცენტს სოციუმის მიერ ენის გარკვეულ სოციალურ კონტექსტებში გამოყენებაზე აკეთებს, ხოლო კრისტევა თავის ნაშრომში სოციუმს არ ახსენებს და გაცილებით უფრო აბსტრაქტული ტერმინები, -„ტექსტი და ტექსტუალობა” შემოაქვს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ორივე მეცნიერი ერთსა და იმავე არგუმენტს გვთავაზობს, რომლის მიხედვითაც ტექსტები არ შეიძლება განიხილებოდეს ცალკე, იმ კულტურულ და სოციალურ კონტექსტთაგან იზოლირებულად, რომელშიც ისინი შეიქმნა (Allen, 2000). კრისტევას მსგავსად, ლიტერატურის ცნობილი კრიტიკოსი, როლან ბარტი, რომელსაც ინტერტექსტუალობის ცნების განსაზღვრაში დიდი წვლილი მიუძღვის, „ბუნებრივი, უცვლელი და უდავო ჭეშმარიტების” იდეის წინააღმდეგია (Allen, 2000). ის ამტკიცებდა, რომ ტექსტი, როგორც მწერლობის ერთ-ერთი ნიმუში, არასოდეს შეიძლება ცალკე იქნას განხილული იმ ლიტერატურულ ტექსტთა

კრებულიდან, რომელშიც ის წარმოიშვა (Barthes, 1998). მხატვრული ტექსტი, -ეს არის ტექსტთა კრებულთან მუდმივ ინტერაქციაში მყოფი „ნაქსოვი ქსოვილი“. პოსტსტრუქტურალიზმის თეორეტიკოსებმა ინტერტექსტუალობის ადრეულ ცნებას, რომლის მიხედვითაც ესაა „ობიექტურობა, სტაბილურობა და რაციონალურობა“, ახალი იდეა დაუპირისპირეს, რომელიც ასეა განმარტებული: „სუბიექტურობა, არასტაბილურობა და მნიშვნელობის გაურკვევლობა“. მათი თეორიის მიხედვით, მხატვრული ტექსტი „სიტყვათა განცალკევებულ, მხოლოდ ერთ თეოლოგიურ მნიშვნელობათა მწკრივს“ კი არ წარმოადგენს, არამედ ესაა მრავალგანზომილებიანი სივრცე, რომელშიც მხატვრულ ტექსტთა მრავალფეროვნების მიუხედავად, არც ერთი მათგანი პირველადი, ორიგინალური არ არის, ესაა მათი ნაზავი და ერთმანეთთან შეჯახება. ტექსტი ურიცხვ კულტურათა ცენტრიდან მიღებული ციტატების ქსოვილია“ (Barthes, 1977). გრემ ალენის აზრით, „ტექსტი ინდივიდუალური, განცალკევებული საგანი კი არ არის, არამედ კულტურული ტექსტუალობის კომპილაციაა“ (Allen, 2000).

ზემოთმოყვანილ მტკიცებულებათა საფუძველზე, შესაძლოა ითქვას, რომ ტექსტი მნიშვნელობას იძენს, რადგან მკითხველის მასში გონებრივად ჩართვა სოციალური, კულტურული და ისტორიული პერსპექტივის საშუალებით ხდება. თუ მკითხველი ინტერტექსტუალურ მინიშნებათა იდენტიფიცირებას და მიხვედრას შესძლებს, რომელთაც ტექსტის ინტერტექსტუალობაში დამალული განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნიათ, ის კითხვის პროცესში მეტ კმაყოფილებას იგრძნობს.

თარგმანის თანამედროვე თეორეტიკოსთა აზრით, თარგმანი ინტერტექსტუალობის ერთ-ერთ სახეობას წარმოადგენს, რადგან ორიგინალის ტექსტსა და მის თარგმანთან არსებული კავშირი, ტექსტის მის წინამორბედ ტექსტთან კავშირის მსგავსია. ლორენს ვენუტის მიხედვით, ინტერტექსტუალობა თარგმანის ფუნდამენტური ასპექტია, რადგან ნებისმიერი სახის ტექსტი, სხვა ტექსტის ტრანსფორმაციაა. როგორც ის აღნიშნავს, თარგმანი „ინტერტექსტუალობის უნიკალურ შემთხვევას წარმოადგენს“ (Venuti, 2009). მისი მტკიცებით, მთარგმნელი ეკვივალენტების დადგენას წყარო ტექსტთან გარკვეული სახის ინტერტექსტუალური კავშირით ცდილობს; თუმცა, სამიზნე კულტურის ელემენტების წყარო ენის ელემენტებით ჩანაცვლების პროცესში, ის ორიგინალის ტექსტსა და თავად თარგმანს შორის არსებული დამორების გაფართოების რისკის წინაშე დგება. ვენუტი მიიჩნევს, რომ წყარო ენის ინტერტექსტუალობის დანაკარგის თავიდან აცილების მიზნით, მთარგმნელს შეუძლია გამოიყენოს პარატექსტუალობის ისეთი მეთოდი, როგორცაა „შესავალი სიტყვა ან ანოტაციები“, რომელიც კულტურული კონტექსტის და ინტერტექსტუალური მინიშნების ლინგვისტური სტრუქტურის შენარჩუნებაში დაეხმარება. ის ასევე აღნიშნავს, რომ როდესაც მთარგმნელი დამატებითი ინფორმაციის საშუალებით თარგმნის მეთოდს იყენებს, მისი მცდელობა საბოლოოდ მარცხით მთავრდება, რადგან თარგმნილი ტექსტი უბრალოდ „კომენტარი“ იქნება და არა თარგმანი. აქვე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ვენუტის მოსაზრება ინტერტექსტუალობის მქონე ტექსტების თარგმნის შესახებ წინა პლანზე წამოსწევს წყარო და სამიზნე ტექსტების ურთიერთკავშირს. თეო ჰერმანსი ინტერტექსტუალობის ცნებასთან დაკავშირებით მიიჩნევს, რომ მნიშვნელოვანი ის კი არ არის, შეუძლია თუ არა თარგმანს ორიგინალის ტექსტის ფორმის და შინაარსის ხელახლა შექმნა, არამედ ის თუ „რამდენად ინტერაქტიულია არსებული თარგმანი თარგმანის მოლოდინებთან“. ნებისმიერი წყარო ენის მხატვრულ ტექსტში არსებული ინტერტექსტუალურ ელემენტთა გათვალისწინებით, მთარგმნელი ყოველთვის უნდა შეეცადოს სამიზნე ენაზე მათი შენარჩუნებისთვის გზების პოვნას და ამასთან ერთად, გათვალისწინებული უნდა იქნეს მკითხველთა ის მრავალფეროვნებაც, რომელთაც „ტექსტების დამუშავების, მათი სწორად გაგების განსხვავებული ცოდნა და უნარი გააჩნიათ“ (Hermans, 2003).

ალუზიის კონცეპტი ისეთ ტერმინებთან ასოცირდება, როგორცაა „მინიშნება, ციტირება, ნასესხობა (ზოგჯერ პლაგიარიზმიც) და მეტი კომპლექსური ინტერტექსტუალობა, ასევე კალამბური და სიტყვათა თამაში“ (Leppihalme, 1997). ავტორები ლიტერატურულ ალუზიებს სხვადასხვა მიზნებისთვის იყენებენ: მკითხველზე საკუთარი განსწავლულობისა და ფართოდ ნაკითხობის შთაბეჭდილების მოსახდენად, მათ ტექსტის ფართო პერსპექტივით გაანალიზების

საშუალებას აძლევს, „მდიდარი ცოდნით და გამოცდილებით იმ ახალ მნიშვნელობათა, კონოტაციების და ასოციაციათა გამოსაფიქრებლად, რომლებიც ადვილად გასაგებ შეზღუდულ მტკიცებულებათა მიღმა იმალება“ (Leppihalme, 1997). უფრო მეტიც, მწერლები ალუზიებს „მოქმედ პირთა დასახასიათებლად“, განსხვავებული სახის ფიქრების წარმოსადგენად ან „პერსონაჟებში ქვეცნობიერი შთაბეჭდილების და დამოკიდებულებების შესაქმნელად“ მიმართავენ. აგრეთვე განზოგადების ან უნივერსალური შეტყობინებების საშუალებით მხატვრული ნაწარმოების მნიშვნელობის გასაძლიერებლად. კრიტიკის თანამედროვე თეორიაში ალუზიები კითხვის პროცესში შეძენილ ცოდნას ასახავენ, ისევე, როგორც მწერალსა და მკითხველს შორის კულტურულ გამოცდილებათა გაზიარება ხდება. ა.გ. სკოტის მიხედვით „ალუზია მითოლოგიის, ლეგენდის, ისტორიული გმირების და მოქმედ პირთა მინიშნებას წარმოადგენს“ (Scott, 1965). ალექს პრემინგერს ალუზია „სხვა ლიტერატურული ტექსტის, ხელოვნების სხვა დარგის, ისტორიის ან თანამედროვე მოღვაწეთა უხმო მინიშნებად მიაჩნია“ (Preminger, 1965).

მხატვრულ ტექსტში ალუზიათა გამოყენებით ლიტერატურის პოტენციალის არეკვლა ხდება „ძველისგან ახლის შესაქმნელად“ (Leppihalme, 1997), რაც ჩვეულებისამებრ, ტექსტში დამალულ იმპლიციტურ მნიშვნელობათა ხელახლა მიგნებისა და შექმნის პროცესში მკითხველის აქტიურ ჩართულობას ნიშნავს, მაშასადამე, ამით მკითხველს ტექსტის სიღრმისეულად ჩაწვდომის საშუალება ეძლევა. ბრიტანელი ლინგვისტის, მაიკლ ჰალიდის მოსაზრებით, მხატვრულ ნაწარმოებთა შორის არსებული ინტერტექსტუალური ურთიერთკავშირები ალუზიების ფორმით მჟღავნდება: „ინტერტექსტუალობა მნიშვნელობების ქმედებათა ნაკრებია, რომლისთვისაც მოცემული მნიშვნელობის ქმედება ალუზიას ქმნის. ლიტერატურასა და ფილოლოგიაში ეს ალუზიის, ხოლო სემიოტიკაში, -ინტერტექსტუალობის სახელწოდებითაა ცნობილი. მხატვრულ ნაწარმოებში ალუზიები ძალიან ხშირად, სხვა მხატვრული ნაწარმოებიდან აღებული რამდენიმე პერსონაჟის ან ციტირებების მინიშნებათა ფორმით გვევლინებიან“ (Halliday, 2002).

ტერმინი „კულტურული შოკი“ ისეთი დაბნეულობის შეგრძნების აღმნიშვნელია, როცა მოულოდნელად სხვა კულტურასთან კონფრონტაცია ხდება. ამ ტერმინის დერივაცია „კულტურათა შეჯახება“ ნაკლებად სერიოზულ სიტუაციებში გამოიყენება, -დაბნეულობის მნიშვნელობით, როცა მოულოდნელად კულტურული განსხვავებების წინაშე აღმოვჩნდებით (Leppihalme, 1997). თავის ნაშრომში, „კულტურათა შეჯახება: ალუზიათა თარგმნის ემპირიული მიდგომა“, რიტვა ლეპიჰალმი ალუზიებს ორ კატეგორიად ყოფს: ალუზიური საკუთარი სახელები და საკვანძო ფრაზული ალუზიები. ლეპიჰალმის მიხედვით, ალუზიური საკუთარი სახელები „რეალურ ცხოვრებასა და მხატვრულ ნაწარმოებებში არსებულ პერსონაჟებს, ხელოვნების ან პოლიტიკური მოღვაწეების საერთაშორისო სახელებს, ძველ თაობათა ცნობილ სახელებს, მწერლებს, მხატვრებს და ა.შ. მოიცავს. რაც შეეხება საკვანძო ფრაზულ ალუზიას, ლეპიჰალმს ბიბლია „ყველაზე მეტად საყოველთაოდ აღიარებულ, საკვანძო ფრაზულ ალუზიათა ერთადერთ წყაროდ“ მიაჩნია. საკვანძო ფრაზული ალუზიის წყაროთა რიცხვში ასევე შესაძლოა იყოს „საბავშვო ლექსები, ზღაპრები, სიმღერები, წამყვანი სატელევიზიო პროგრამები, პოლიტიკური სლოგანები, კომერციული პროდუქციის სლოგანები, სხვადასხვა საყოველთაოდ მიღებული ფრაზები, კლიშეები და ანდაზები, პოპულარულ რწმენათა მრავალფეროვნება, ვარაუდები, ამბები და მწერლის საკუთარი გამოცდილება“. ალუზიური საკუთარი სახელების და საკვანძო ფრაზულ ალუზიათა ჯგუფში, ლეპიჰალმი ასევე აერთიანებს ამ ალუზიათა ორ ქვე-კატეგორიას: „რეგულარული ალუზიები“ ანუ პროტოტიპულ ალუზიათა არამარკირებული კატეგორია და „მოდულიზირებული ალუზიები“, ანუ „გამოგონების“ შემცველი ალუზიები, რომლებიც შექმნილი ნაწარმოების ალტერნაციას ან მოდიფიკაციას წარმოადგენენ“. გარდა ამ სახის ალუზიებისა, ლეპიჰალმი ასევე „სტერეოტიპულ ალუზიათა“ შესახებაც წერს, რომლებიც არიან „ხშირად გამოყენებული, სიახლედაკარგული და რომელთა წარმოშობის წყაროს გარკვევა საჭირო არაა“, ასეთებია, მაგ. კლიშეები და ანდაზები.

ალუზიურ საკუთარ სახელთა და საკვანძო ფრაზული ალუზიების თარგმნის სტრატეგიები ერთმანეთისგან უმნიშვნელოდ განსხვავდება. მაშინ, როცა ალუზიური საკუთარი

სახელის სამიზნე ენაზე დატოვება ისე, როგორც ორიგინალის ტექსტშია, საკვანძო ფრაზულ ალუზიებში სიტყვის შეცვლა საჭირო ხდება. ლეპიჰალმი ალუზიათა თარგმნის მრავალფეროვნებას გვთავაზობს. კერძოდ, „სახელის შენარჩუნება“, „სახელის სხვა სახელით ჩანაცვლება“ და „სახელის გამოტოვება“. ალუზიურ საკუთარ სახელთა თარგმნის ამ ძირითად სტრატეგიებს შემდეგი ვარიანტები გააჩნია: (1) „სახელის შენარჩუნება“, სადაც მთარგმნელმა სახელი უცვლელად უნდა დატოვოს ან გამოიყენოს სახელი დეტალური განმარტების დამატებით, მაგ. სამიზნე ტექსტზე სქოლიოს სახით; (2) „სახელის სხვა სახელით ჩანაცვლება“, რომელშიც მთარგმნელს საკუთარი სახელის შეცვლა წყარო ტექსტში არსებული სხვა სახელით ან სამიზნე ტექსტში არსებული სხვა სახელით შეუძლია; (3) „სახელის გამოტოვება“, როდესაც მთარგმნელს შეუძლია საერთოდ არ ახსენოს სახელი, თუმცა იგივე ემოცია სხვა გზით გადმოსცეს, მაგ; სამიზნე ტექსტში არსებული საყოველთაოდ მიღებული სახელით ან მთლიანად უგულვებელყოფს ტექსტიდან. რაც შეეხება საკვანძო ფრაზული ალუზიების თარგმნის სტრატეგიებს, ისინი ალუზიურ სახელთა თარგმნისგან განსხვავებულია. მათ სათარგმნელად შენარჩუნების სტრატეგია კრიტერიუმად ვერ ჩაითვლება, რადგან უბრალოდ, ისინი ძალზე იშვიათად რჩებიან უთარგმნელი. სინონიმების, სიტყვათა წყობის და ა.შ. გამო, საკვანძო ფრაზულ ალუზიათა თარგმნის სტრატეგიების მრავალსახეობა არსებობს. მათი სტანდარტული თარგმანი მხოლოდ ტრანსკულტურულ ალუზიათა თარგმანის შემთხვევაში მჟღავნდება. საკვანძო ფრაზების ალუზიის შენარჩუნების სტრატეგიას შეიძლება ორი ფორმა გააჩნდეს: „სტანდარტული თარგმანი“ და „მინიმალური ცვლილება“. სტანდარტული თარგმანის შემთხვევაში, სამიზნე ტექსტის კომპეტენტური მკითხველი ალუზიების არსებობასა და მნიშვნელობას თვითონვე მიხვდება; თუმცა მას შესაძლოა ალუზიის იდენტიფიცირება გაუჭირდეს, თუ მთარგმნელი სამიზნე ენაზე მათ გადმოსაცემად „მინიმალურ ცვლილებას“ მოახდენს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, ალუზიათა იდენტიფიცირების ერთადერთ გზას წყარო ენაზე ტექსტის უკუ თარგმანი წარმოადგენს. ზოგადად, ალუზიათა მიხვედრის უნარი მკითხველის წყარო ენის ცნობადობაზეა დამოკიდებული. მხოლოდ „ორენოვან და ორი განსხვავებული კულტურის მქონე სამიზნე ტექსტის მკითხველი შეძლებს ალუზიებში გარკვევას, ხოლო ის საშუალო დონის მკითხველი, რომელიც არც ორენოვანია და არც ორი განსხვავებული კულტურის მატარებელი, „კულტურათა შეჯახების“ წინაშე აღმოჩნდება. ლეპიჰალმი საკვანძო ფრაზული ალუზიების თარგმნის შემდეგ სტრატეგიებს გვთავაზობს: (1) სტანდარტული თარგმანის გამოყენება; (2) მინიმალური ცვლილება, რომელიც ლიტერატურულ თარგმანს წარმოადგენს, კონოტაციურ-კონტექსტუალურ მნიშვნელობათა გათვალისწინების გარეშე; (3) ტექსტში დამატებითი ალუზიური მითითებების დამატებით; (4) სქოლიოების, განმარტებების და შენიშვნების, მთარგმნელის შენიშვნების და იმ სხვა ექსპლიციტური ახსნა-განმარტებების გამოყენებით, რომლებიც ტექსტში არ არის, მაგრამ როგორც დამატებითი ინფორმაცია ექსპლიციტურადაა მოცემული; (5) სათანადო გარკვეულობით იძულება ან შინაგანი მარკირება, რომელიც ინტრაალუზიური ალუზიის დამატებას ნიშნავს; (6) სამიზნე ენაზე (TL) არსებული ფრაზით ჩანაცვლება; (7) ალუზიის შეკვეცა რეფრაზირების ანუ ალუზიის ალტერნატიული გზით გასაგებად გადმოცემა; (8) რეკრეაცია, - ტექნიკის შერწყმის გამოყენებით ხელახლა შექმნა : პასაჟის შემოქმედებითი სინტაქსური კონსტრუირება, რომელიც მიანიშნებს ალუზიის ან მის მიერ შექმნილი სხვა განსაკუთრებული ეფექტების კონოტაციებზე; (9) ალუზიის გამოტოვებით“ (Leppihalme, 1997). ლეპილჰემი ამტკიცებს, რომ მთარგმნელთა უმეტესობა ალუზიის გამოტოვების ხერხს, მაშინ მიმართავს, როცა „სხვა გზა“ არ გააჩნიათ. მისი აზრით, ალუზიის გამოტოვების მთარგმნელობითი სტრატეგია ორ ტექსტს (წყარო SL და სამიზნე TL ენების) შორის არსებული „კულტურული შეჯახების“ აღმოფხვრაში გვეხმარება, თუმცა მან ასევე შესაძლებელია, რომ დედნის ტექსტის ლინგვისტურ-კულტურულ ელემენტთა მნიშვნელოვანი ნაწილის დამახინჯება ან საერთოდ ანულირება გამოიწვიოს. საგულისხმოა, რომ გამოტოვება შესაძლოა რომელიმე შემთხვევაში ეფექტურიც გამოდგეს, თუმცა ყველა შემთხვევაში მისი გამოყენება დაუშვებელია.

ყოველივე ზემოთქმულის საილუსტრაციოდ, გთავაზობთ მაგალითებს დ.ჰ. ლორენსის მოთხრობის „ინგლისი, ჩემი ინგლისის“ ქართულ ენაზე ჩემს მიერ თარგმნილ ალუზიური

საკუთარი სახელების და ბიბლიურ ფრაზულ ალუზიათა პასაჟებს.

აღსანიშნავია, რომ დ.ჰ. ლორენსის ეს გამორჩეულად ღრმა ფსიქოლოგიურ-ფილოსოფიური მცირე პროზის ნიმუში ზუსტადაც რომ სათაურიდანვე იქცევს მთარგმნელის თუ ლიტერატურის კრიტიკოსთა ყურადღებას მისი ალუზიურობის გამო, რომელიც მწერალმა მისი თანამედროვე ინგლისელი პოეტის, კრიტიკოსის და რედაქტორის, ვილიამ ერნესტ ჰენლის პატრიოტულ თემაზე დაწერილი ლექსის, - „ინგლისიდან“ აიღო, რომელიც ასე იწყება:

„What have I done for you,
England, my England?
What is there I would not do,
England, my own?“ (Henley, 1900)

მისი ბჭკარედული ქართული თარგმანი ასეთია:

„რა გამიკეთებია შენთვის,
ინგლისო, ჩემო ინგლისო?
რა არის, რასაც არ გავაკეთებდი,
ინგლისო, ჩემო საკუთრებავ?“ (მ.ბოლაშვილი)

მოთხრობის ადრეული, 1915 წელს გამოქვეყნებული ვარიანტი ინგლისელთა უემოციო ვაჟკაცობის და პირველი მსოფლიო ომის დამანგრეველ ძალადობაში მათი ხალხით ჩართვის შესახებ მიზანმიმართულ მედიტაციას წარმოადგენდა, ხოლო საბოლოო ვარიანტი, რომელიც 1922 წელს შესწორებული სახით გამოქვეყნდა, ნაკლებად ისტორიული გახლდათ, რადგან ომის ანალიზსა და კრიტიკაზე მეტად, მასში ინგლისელი საშუალო ფენის წარმომადგენელი, მამაკაცის არაქმედითი, ცხოვრებაში ხელმოცარული კაცის ისტორია იკითხება. მოთხრობის მთავარი გმირია ახალგაზრდა, დაოჯახებული კაცი ეგბერტი, რომელიც ცოლის მზვითადგამოყოლილ მამულში, -ქროქემის, უძველესი ინგლისის თითქმის ყამირ მიწაზე დასახლდა. მის უუნარო, ინერტულ ხასიათთან და ცოლთან, - ახალგაზრდა, ლამაზ და მდიდარი მამის ქალიშვილ, ვინიფრითან ოდესღაც მგზნებარე სიყვარულით შეუღლებულს, შვილების დაბადების შემდეგ გაციებულ ურთიერთობასთან ერთად, მოთხრობაში მისი ინგლისელობისადმი ღრმა ერთგულება და სამშობლოს პატრიოტიზმი, რაც საბოლოოდ მისი პირველ მსოფლიო ომში რიგით ჯარისკაცად წასვლით და ბრძოლის ველზე დაღუპვით გამოიხატა, დ.ჰ. ლორენსის ჩვეული სიტყვაკაზმულობით აქვს გადმოცემული.

მცირე პროზის ამ ნიმუშში ბიბლიური საკუთარი სახელები მხოლოდ ოთხ შემთხვევაში (ისმაილი მეორდება ორჯერ) გვხვდება: როცა მწერალი ეგბერტს მარტოსულ, უდაბნოში გადასახლებულ ბიბლიური ისააკის ნახევარძმას, -ისმაელს ადარებს და თავისთავად სტილისტური ხერხი შედარებაცაა, ხოლო მეორე ესაა ღმრთისმშობლის სახელწოდება, Mater Dolorata, რომელიც მას თავისი ძის, -ქრისტეს დატირების შემდეგ მიენიჭა და დღემდე საყოველთაოდ აღიარებულია. მოთხრობაში მწერალი მტირალ დედას ადარებს მარიამ ღმრთისმშობელს, რომელიც დასახიჩრებული პატარა შვილის, -ჯოისის საწოლთან სტირის.

.... „and the father wandered outside like Ishmael, only coming sometimes to sit in the home for an hour or two, an evening or two beside the camp fire, like Ishmael, in a curious silence and tension, with the mocking answer of the desert speaking out of his silence, and annulling the whole convention of the domestic home“.(Lawrence, 1922).

ქართულ თარგმანში ზემოთმოყვანილი მაგალითი ასე ჟღერს:

„და მამა ისმაილივით გარე-გარე დაეხეტებოდა, შინ იშვიათად, ასე, ერთი ან ორი საათით თუ შევიდოდა, ერთ ან ორ საღამოს ბანაკში დანთებული ბუხრის პირას გამოჩნდებოდა, როგორც ისმაილი იდუმალეებით მოცულ სიჩუმესა და დამაბულობაში და მისივე მდუმარების სიღრმეს უდაბნოდან წამოსული დამცინავი ხმა პასუხობდა და მთლიანად ანადგურებდა იმ ჩვეულებას, რასაც სახლი და ოჯახი ჰქვია“.(მ.ბოლაშვილი)

(1), „...suddenly catching the little girl to her breast in a strange tragic anguish, the Mater Dolorata.“(Lawrence, 1922);

.... უცნაური, ტრაგიკული ტანჯვით ადვსილი Mater Dolorata-ს მყისიერი მოძრაობით შვილი გულში ჩაიხუტა“.(მ.ბოლაშვილი);

(2) She was purely the *Mater Dolorata* (Lawrence, 1922).

„ქალში ახლა მხოლოდ და მხოლოდ ნამდვილი *Mater Dolorata*-ღა ცხოვრობდა”.
(მ.ბოლაშვილი)

როგორც ვხედავთ, ბიბლიური საკუთარი სახელი ქართულ თარგმანში უცვლელად ითარგმნა ანუ ლევილჰამის პირველივე სტრატეგიის მიხედვით, რომლის თანახმადაც ალუზიური საკუთარი სახელი სამიზნე ენაზე ტრანსფორმაციისას სასურველია თუ იგივე ფორმით შენარჩუნდება, როგორც წყარო ენის ტექსტშია. მეორე ალუზიურ საკუთარ სახელს რაც შეეხება, უცვლელადაა დატოვილი, რადგან წყარო ენის ტექსტში აღნიშნული სახელი დახრილი შრიფტითაა მოცემული, ხოლო მთარგმნელმა ამ შემთხვევაში მიმართა ლევილჰამის მიერ შემოთავაზებულ მეოთხე წესს, რომელიც სამიზნე ენის ტექსტში სქოლიოს დამატებას ითვალისწინებს სიტყვის განმარტებასთან ერთად.

მოთხრობაში ასევე მრავლადაა ისეთი პასაჟებიც, რომლებიც მთლიანად ბიბლიურ-ალუზიურია და შესაბამისად ისინი საკვანძო ალუზიური ფრაზებისგან შედგება. აღნიშნულის საილუსტრაციოდ გთავაზობთ რამდენიმე მაგალითს ორიგინალის თექსტიდან და მათ ქართულ ეკვივალენტებს.

(1) „Her mother once said to her, with that characteristic touch of irony: “Well, dear, if it is your fate to consider the lilies, that toil not, neither do they spin, that is one destiny among many others, and perhaps not so unpleasant as most”. (Lawrence, 1922).

(2) „ერთხელ, დედამ ჩვეული შემპარავი ირონიით უთხრა:

(3) კარგი, ჩემო ძვირფასო, აბა, ველის შროშანებს მაინც შეხედე, ისინი არც შრომობენ და არც ართავენ. ესეც ერთგვარი ხვედრია და შეიძლება არც თუ ისეთივე არასასიამოვნო, როგორც მათი უმეტესობა. რატომ გწყინს, ჩემო შვილო?” (მ.ბოლაშვილი).

ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს „ახალი აღთქმის” მათეს სახარების მე-6 თავთან, სადაც იესო ქრისტე თავის მოწაფეებს უაზრო საზრუნავების გამო არცხვენს (მათე, 6:26), ხოლო ვინიფრიდს დედა შვილებზე ზედმეტად მზრუნველობისა და ნერვიულობისგან თავის შეკავებას ურჩევს. ეს პასაჟი მთლიანად სახარებისეული ქართული თარგმანიდან უცვლელად იქნა სამიზნე ენაზე გადმოტანილი და სიტყვათა ჩანაცვლება, დამატება ან შემცირებაც საჭირო არ გახდა.

ასევე ძალზედ საინტერესოა მოთხრობის ის სცენაც, როდესაც ვინიფრიდი შვილისადმი უყურადღებობაში საკუთარ თავს სწყევლის და მის გამოსაჯანმრთელებლად უფალს გულმხურვალე ლოცვით შესთხოვს.

„...So she prayed beside the bed of her child. And like the Mother with the seven swords in her breast, slowly her heart of pride and passion died in her breast, bleeding away”.(Lawrence, 1922).

„ასე ლოცულობდა შვილის საწოლთან მჯდარი. და როგორც დედა ღმრთისმშობლის შვიდ ლახვარგაყრილი გული, მისი ამაყი და ვნებით აღვსილი გულიც ნელ-ნელა კვდებოდა, სისხლისგან იცლებოდა”. (მ.ბოლაშვილი)

აქ დედის მწუხარება და ლოცვა შედარებულია ღმრთისმშობლის ხატთან, რომელიც ქრისტიანულ სარწმუნოებაში „შვიდისრიანადა” ცნობილი. დედა ღმრთისა გულში გაყრილ შვიდ ლახვართან ერთადაა გამოსახული და ამ ხატს კოჭლობისა და სისუსტის განსაკურნებლად ევედრებიან. ვინიფრიდის პატარა გოგონაც ხეიბრობისგან იტანჯებოდა, საბედისწერო შემთხვევის გამო. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ წყარო ენის ტექსტის ამ კონტექსტში მოცემულია სიტყვა „seven sword”, ხოლო თარგმანში ის ტრანსფორმირდა, როგორც „შვიდ ლახვარგაყრილი”, რადგან მართლმადიდებლური ეკლესიის კანონიკის მიხედვით, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, „შვიდ ისრიანად”, ზოგჯერ „შვიდლახვრიანად” მოიხსენიება. გარდა რიტვა ლევილჰამის ალუზიურ ერთეულთა თარგმნის სტრატეგიების პრაქტიკულ ასპექტში გათვალისწინებისა, მთარგმნელმა მიმართა მე-20 ს.-ის ცნობილი ამერიკელი ლინგვისტის და თარგმანის თეორეტიკოსის, ი. ნაიდას (Nide, 1964) „დინამიკური ეკვივალენტობის” თეორიას, რომლის მიხედვითაც წინა პლანზე წამოწეულია თარგმანის პრაგმატული განზომილება-მთარგმნელის ორიენტაცია თარგმანის

ტექსტის ადრესატზე, როცა ორიგინალის აზრობრივი შინაარსი ისეთნაირადაა გამეორებული სამიზნე ენის ფორმებში, რომ თარგმანის ადრესატის რეაქცია ადეკვატურია ორიგინალის ტექსტის ადრესატისა.

ლიტერატურა:

- 1.ახალი აღთქმა და ფსალმუნები. (1991). სტოკჰოლმი. ბიბლიის თარგმნის ინსტიტუტი.
- 2.Allen, G.(2000). Intertextuality. London/New York: Routledge.
- 3.Barthes,R. (1998). The Pleasure of the Text. New York: Hill and Wany.
- 4.Childs,P.and Fowler, R.(2006). The Routledge Dictionary of Literary Terms. Routledge: London and New York.
- 5.Hermans, T.(2003). Translation, Equivalence and Intertextuality. New York: Wasafiri.
- 6.Halliday, M.(2002). Linguistic Studies of Text and Discourse. 3rd ed. .London: Edward Arnold.
- 7.Kristeva, J. (1986). The Kristeva Reader. New York: Columbia University Press.
- 8.Lawrence, D.H. (1922). England, My England and Other Stories. London: Penguin Classics.
- 9.Leppihalme, R.(1997). Culture Bumps. Clevedon, England: Multilingual Matters.
- 10.Nida,E.A.(1964). Toward a Science of Translation. Leiden.
- 11.Pfister, M.(2009-2010). How Postmodern is Intertextuality? Berlin: W. Gruyter.
- 12.Preminger, A.(1965). Encyclopedia of Poetry and Poetics. Princeton, NY: Princeton University Press.
13. Venity, L. (2009). Translation, Intertextuality, Interpretation. Romance Studies.

Biblical Allusion As the Important Aspect of Intertextuality and Its Transformation in the Georgian Language (According to D.H. Lawrence’s „England, My England”)

Bolashvili Maia
Gori State University, Gori

Abstract

The present study deals with a comparative analysis of the Georgian translation of the outstanding English writer, David Herbert Lawrence’s one of the masterpieces of his short fiction, „England, My England“, with special focus on how biblical allusions were handled in its Georgian translation. Within this context, as a major type of intertextuality, allusions are the central focus of this study. Specific samples selected from the short story and its translation are analyzed in the light of Ritva Leppihalme’s strategies for rendering allusions, particularly on the basis of her classification of proper-name and key-phrase allusions. Leppihalme’s views offer some justification for each of her potential strategies for rendering allusions. Based on Leppihalme’s views, this study aims to show that, whatever strategy the translator uses (retention of proper-name allusion or minimum change of key-phrase allusion), a translation must be considered successful, when the emotion between the readers of the source and target texts is just the same. If a translator fails to convey the connotative and pragmatic meanings of allusions which are in the source text, the target text reader is faced with “culture bumps”. Such translations turn out to be "puzzling and “impenetrable” for translation readers, and deprive them of the chance to participate actively in the reading process. To resolve this problem, a proper solution must be found in translation in order to effectively convey the sense of allusions in the source text to the audience of a different culture. That is why we consider that in order to effectively translate allusions and comprehend allusive messages properly, a translator of a literary text must have a philological education. In addition, the recognition of allusions in the text also requires background knowledge, because intertextual texts are always connected with each other in a certain way, by concept or by means of stylistic devices and for both,- a translator and a reader, they very often represent the key to understanding each other. Along with the method, the content analysis method and the translator's empirical experience are also used in the present paper .

Keywords: Proper-name allusions, key-phrase allusions, Leppihalme’s translation strategies, intertextuality, culture bumps

ღვინის შეფასების პარამეტრები და მათში გამოხატული ქართული ეროვნული მენტალობა

გელდიაშვილი ნუნუ

იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი

<https://orcid.org/0000-0001-6846-7924>

DOI: <https://doi.org/10.52340/idw.2023.22>

აბსტრაქტი. ლექსიკა-ფრაზეოლოგიის თემატურ კლასიფიკაციაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან სეგმენტს ღვინის ხარისხთან დაკავშირებული ჯგუფი ქმნის, რაც, უდავოდ, მიგვანიშნებს, რომ ქართველებისათვის მენტალურად ეს საკითხი ძალზე საყურადღებოა. მაგალითად, გამონათქვამები: ზედაშე ღვინო, მირონივით ღვინო, დევის სისხლი, მონათლული ღვინო, ქუდმოხდილი ღვინო, ხატის ღვინო, ნოეს ვაზის ღვინო, ღირსების ღვინო, ღვინოს ნაკბენი აქვს, ღვინოს ხელი აქვს... ქმნის განცდას და ზოგად სურათს იმისას, რომ ამ ადამიანთა სამყარო ორგანულადაა დაკავშირებული ღვინის წარმოება-მოხმარებასთან; ისინი ასახავენ რა თავიანთ სულიერ და ფიზიკურ მდგომარეობას ღვინოსთან მიმართებით, ამავდროულად, გამოხატავენ განსაკუთრებულ დამოკიდებულებას ღვინის ხარისხისადმი და არ შემოიფარგლებიან მისი, როგორც მხოლოდ სასმელის აღწერით.

ცნობილია, რომ ღვინის მიღება-დაყენება-დავარგება ხანგრძლივი და უწყვეტი პროცესია. საუკეთესო ხარისხის მისაღწევად კი მას დროდადრო სჭირდება შემოწმება/დაჭაშნიკება, ანუ ორგანოლექტიკური ანალიზი, ე. ი. დეგუსტაცია. ჩვენს ამოცანას წარმოადგენს, გამოვიკვლიოთ ღვინის დაყენება-დავარგების პროცესში რა პარამეტრებით ხდებოდა ღვინის შეფასება და რომელი ლექსიკური ერთეულები/ფრაზეოლოგიური გამონათქვამები გამოიყენებოდა ამ დროს; რამდენად მდიდარია ამ მხრივ ქართული ენა, რა ენობრივი შესაძლებლობა გააჩნია და ქართველი ერის რა მენტალური თვისებებია თავმოყრილი/მოაზრებული მათში; რა ლინგვოკულტუროლოგიური პარადიგმა ყალიბდება ამ მიმართებით.

კვლევამ ცხადყო, რომ დეგუსტაცია/დაჭაშნიკება საფეხურებრივი პროცესია და მოიცავს: **ღვინის მხედველობით**, ფერის მიხედვით შეფასებას (წითელი, თეთრი ვარდისფერი, ცისფერი ... ანკარა, კრიალა, ნათელი, მებურული, შემღვრეული, მღვრიე...); **ყნოსვით** (ღვინის სურნელის) შეფასებას (ყვავილების: აკაციის, ვარდის, გვირილის, იის, ცაცხვის ყვავილის...; ხილის/ციტრუსების: ფორთოხლის, ლიმონის, გრეიპფრუტის, ლიმონის ცედრის, ალუბლის, მარწყვის, მოცხარის, ჟოლოს...) და **გემოვნებით შეფასებას** (პირის მბლანდველი, ჭყაპურტა, მარახოში, დამმარებული...).

ბაზგასასმელი აღმოჩნდა ის ფაქტიც, რომ ქართველები დიდ ყურადღებას აქცევდნენ ასევე ღვინოში ალკოჰოლის შემცველობას და სისქეს (**ღვინის აღნაგობას**). ღვინის სიმაგრე თრობის სიძლიერით გაიზომებოდა და მის გამოსახატავად არაერთი ლექსიკური და ფრაზეოლოგიური ერთეული დასტურდება: სხეულიანი, ძლიერი, ხორციანი, წიაღიანი, ძარღვიანი, ძაბუნი, საქალეზო, შუშუნა...

ამდენად, ანალიზი ადასტურებს, რომ ქართველები უდიდეს მნიშვნელობას ყოველთვის ანიჭებდნენ ღვინის ხარისხს, რაც გამოკვეთილად აისახა კიდევ ენის ლექსიკურ ფონდში, განსაკუთრებით კი ფრაზეოლოგიაში, რამეთუ, სწორედაც მათშია საუკეთესოდ ასახული ერის მენტალობა, მატერიალური თუ სულიერი კულტურა. მართლაც, კიდევ ერთხელ ესმება ხაზი ჭეშმარიტებას, რომ „ენა არის ერის სული და ერის სული არის მისი ენა“ (ჰუმბოლდტი).

საკვანძო სიტყვები: ღვინის ხარისხის შეფასების პარამეტრები; დეგუსტაცია/დაჭაშნიკება; ლექსიკა-ფრაზეოლოგია; ქართული ეროვნული მენტალობა; ლინგვოკულტუროლოგიური პარადიგმა.

შესავალი

ქართული ენის ლექსიკა-ფრაზეოლოგიის თემატურ კლასიფიკაციაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან სეგმენტს ღვინის ხარისხთან დაკავშირებული ჯგუფი ქმნის, რაც, უდავოდ, მიგვანიშნებს, რომ ქართველებისათვის მენტალურად ეს საკითხი ძალზე საყურადღებოა. მაგალითად, გამონათქვამები: ზედაშე ღვინო, მრონივით ღვინო, დევის სისხლი, მონათლული ღვინო, ქუდმოხდილი ღვინო, ხატის ღვინო, ნოეს ვაზის ღვინო, ღირსების ღვინო, ღვინოს ნაკბენი აქვს, ღვინოს ხელი აქვს... ქმნის განცდას და ზოგად სურათს იმისას, რომ ამ ადამიანთა სამყარო ორგანულადაა დაკავშირებული ღვინის წარმოება-მოხმარებასთან; ისინი ასახავენ რა თავიანთ სულიერ და ფიზიკურ მდგომარეობას ღვინოსთან მიმართებით, ამავდროულად, გამოხატავენ განსაკუთრებულ, სენსიტიურ დამოკიდებულებას ღვინის ხარისხისადმი და არ შემოიფარგლებიან მისი, როგორც მხოლოდ სასმელის აღწერით.

ცნობილია, რომ ღვინის მიღება-დაყენება-დავარგება ხანგრძლივი და უწყვეტი პროცესია. საუკეთესო ხარისხის მისაღწევად კი მას დროდადრო სჭირდება შემოწმება/ დაჭაშნიკება, ანუ ორგანოლექტიკური ანალიზი, ე. ი. დეგუსტაცია. ჩვენს ამოცანას წარმოადგენს, გამოვიკვლიოთ ღვინის დაყენება-დავარგების პროცესში რა პარამეტრებით ხდებოდა ღვინის შეფასება და რომელი ლექსიკური ერთეულები/ფრაზეოლოგიური გამონათქვამები გამოიყენებოდა ამ დროს; რამდენად მდიდარია ამ მხრივ ქართული ენა, რა ენობრივი შესაძლებლობა გააჩნია და ქართველი ერის რა მენტალური თვისებებია თავმოყრილი/მოაზრებული მათში; რა ლინგვოკულტუროლოგიური პარადიგმა ყალიბდება ამ მიმართებით.

მსჯელობა

ქართველისათვის „ღვინის ღირსების“ მნიშვნელოვნებას ადასტურებს თედო სახოკიას ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, „გურიელს ერთი მეღვინეთ-უხუცესი ჰყოლია გვარად ანთაძე. კაცი მეტად დახელოვნებული ღვინის ღირსების გამოცნობაში, რითაც თავი დიდად მოჰქონდა თურმე გურიელსა. ერთხელ სასახლეში უცხო სტუმრებთან ჩამოვარდნილა მის შესახებ ლაპარაკი და გადაუწყვეტიათ, გამოვცადოთო. აურევიათ ერთმანეთში სამნაირი ღვინო: 2/5 ფერსათული (სოფელია), 2/5 ოსეთური (სოფელია) და 1/5 ჩაქვური. მოუხმიათ მეღვინეთუხუცესი ანთაძე და უთქვამთ – გამოიცანო. იმასაც გემო უნახავს თუ არა, შემდეგი პასუხი მოუხსენებია მთავრისათვის: „ფერად ფერსათულიო, გემოდ ოსეთურიო, ცოტას მოიჩაქურებსო“ (თ. სახოკია, 1950:90.).

კვლევამ ცხადყო, რომ დეგუსტაცია/დაჭაშნიკება საფეხურებრივი პროცესია და მოიცავს: **ღვინის მხედველობით**, ფერის მიხედვით შეფასებას; **ყნოსვით** (ღვინის სურნელის) შეფასებას და, უმთავრესად, **გემოვნებით შეფასებას**. აგრეთვე, ხაზგასასმელი აღმოჩნდა ის ფაქტიც, რომ ქართველები დიდ ყურადღებას აქცევდნენ ღვინოში **ალკოჰოლის შემცველობას და სისქეს (ღვინის აღნაგობას)**. ღვინის სიმაგრე თრობის სიძლიერით გაიზომებოდა და მის გამოსახატავად არაერთი ლექსიკური და ფრაზეოლოგიური ერთეული დასტურდება.

დეგუსტაციის პირველი საფეხური მხედველობითი შეფასებაა. ფერის მიხედვით არჩევენ სამი სახის ღვინოს: **წითელი, თეთრ და ვარდისფერ ღვინოებს**. აღიარებულია, რომ არ არსებობს მეორე ისეთი სასმელი, რომელსაც შეუძლია წარმოდგეს ამდენი განსხვავებული ფერით. თითოეულმა მათგანმა კი, შესაძლოა, ასევე, მიიღოს სხვადასხვა ფერთა გამა, რომელთა აღსანიშნავად ქართულ ენას ნაირგვარი შესაძლებლობა გააჩნია - ქართველს შეუქმნია, როგორც მარტივი, ისე თხზული ფუძეებით წარმოებული უამრავი ლექსიკური ერთეული, რაც, სწორედაც, მისი მენტალური ხასიათის ერთ-ერთ გამოვლინებად უნდა მივიჩნიოთ.

ა) **წითელი ღვინო შეიძლება იყოს:** წითელი, მეწამული, ლალისფერი, წითელიხისფერი, აგურისფერი, ბროწეულისფერი, მოიისფრო, მოყავისფრო, მონარინჯისფრო.

ბ) **თეთრი ღვინო შეიძლება იყოს:** უფერო, ღია ყვითელი, ჩალისფერი, ოქროსფერი, ქარვისფერი, მუქი ქარვისფერი, მოყავისფრო, დაჟანგული, მოოქროსფრო ყვითელი, მომწვანო ყვითელი.

გ) **ვარდისფერი ღვინო შეიძლება იყოს:** რუხი, ვარდისფერი, ენდროსფერი, დაჟანგული.

ცალკე გამოყოფენ ასევე ე.წ. **ნაცრისფერი ღვინოს** (vin gris), თუმცა ეს ფერი გამოიყენება

მხოლოდ კონკრეტული, კერძოდ, შავი პინო (pinot noir) ჯიშის ყურძნიდან მიღებული ვარდისფერი ღვინის აღმნიშვნელად. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, არსებობს ასევე **ცისფერი ღვინო** (vin bleu), მაგრამ იგი უარყოფითი კონოტაციის მატარებელია, რადგან აღნიშნავს ცუდი ხარისხის მქონე წითელ ღვინოს. ღვინო, შესაძლოა, წარმოდგენილი იყოს ასევე მწვანე ფერით (vin vert), ეს მაშინ, როდესაც სურთ, ხაზი გაუსვან იმას, რომ იგი არ არის საკმაოდ დამძველებული და ჯერ კიდევ ახალგაზრდაა.

თავის მხრივ, უკვე დაწმენდილი და დავარგებული ღვინო ფერის ხარისხის შეფასებით, შესაძლოა იყოს: **ანკარა, კრიალა, ნათელი, შებურული, შემღვრეული, მღვრიე...** საბა ასეთ განმარტებას იძლევა: „შეუმღვრეველთა ღვინოსა, არა ვიტყვით წმიდად, არამედ დაწმენდილად და კამკამად და მოვარაყულად (ორბელიანი, 1949: 432). „კუპრსავით სქელი, **ლალისფერი** კახური ავსებდა ჯიხვებს“ (ა.ყაზბეგი); შევეცადეთ, შეგვეკრიბა ყველა ტერმინი თუ გამოთქმა, რომელსაც ხმარობდნენ ჩვენი წინაპრები ღვინის გარეგნული იერის (ფერის) აღწერისას: „ფერით **ლალივით, ოქროსავით ყურჭი** უნდა ყოფილიყო“; „ალექსანდრეულის ბიმბილსავით **გიშრისფრად** უნდა იყურებოდეს“; მწვანის ღვინო - მწვანედ "კამკამობს"; „წულუკიდის თეთრისა - ყვითლად "ჭვივა" (მდრ. "ჭვივა ლივლივებს, კრიალებს, გამჭვირვალეა. "მარანში ჭიქა დგას და ღვინო ჭვივა" (შ. ძიმიგური, ძიებანი ქართული დიალექტოლოგიიდან. თბ. 1954. გვ. 218); მცვივანისა "**კრიალა თეთრია** ან "**წაღმა თეთრია**", ჭურში "ფარაზე" დაყენებული შავი კაბისტონის ღვინო „**ალისფერი**“ ანუ „**წაღმა წითელი**“ დგება.

მეტად საინტერესო ერთეულები გვხვდება ილია ჭავჭავაძის ნარკვევში „ღვინის ქართულად დაყენება“; მასში ვკითხულობთ: „**თეთრი მოჭირებული ფერი** ღვინისა მოსწონს ჩვენს ხალხსა და დღევანდელს ბაზარსა, ისე როგორც **შავი მოჭირებული ფერი** წითელის ღვინისა; ან კიდევ „**შავი ყურძნის წვენი** ისე ფრთხილად გამოწურული, რომ ტყავი მარცვლისა არ გაისრისოს, **თეთრია**, ანუ უკეთ ვთქვათ **წყლისფერია**, „**თეთრი**, მაგრამ **მცქრალი ღვინო**“ (ი.ჭავჭავაძე, 1956:100).

დასტურდება აგრეთვე სიტყვა **გალა**, რომელიც პოლისემიურია და იხმარება ბაცი, სუსტი, ნელი, რბილი ღვინის მნიშვნელობით. ჩხავერი გალა წითელია (ბაცი წითელი).

ალექსი ჭინჭარაული წერს: „თავანკარა იმერული, როგორც ბატონი კონსტანტინე გამსახურდია იტყოდა: **ბატის ჭუკისფერი ღვინო** მუგუზალივით აფრქვევდა ნაპერწკლებს“ (ალექსი ჭინჭარაული, <http://marani2.blogspot.com/2008/01>); გვაქვს ასევე: „**ლალისფერია** თუ **ქარვისფერი**, კახურსა ღვინოს მე ვსვამ და ვმღერი“ (ს. შანშ.).

რაც შეეხება დეგუსტაციის **მეორე ეტაპს, ეს ყნოსვითი შეგრძნებაა**. ზოგადად, ღვინო შესაძლოა შეიცავდეს ათასობით არომატულ მოლეკულას, რომლებიც ნელ-ნელა იჩენენ თავს დროთა განმავლობაში და ამა თუ იმ ღვინის არომატული ბუკეტს ქმნიან. სწორედ ღვინის შემადგენლების ურთიერთქმედების შედეგად იქმნება **ღვინის სურნელის საინტერესო კლასიფიკაცია, რომელიც საკმაოდ მდიდარი ლექსიკური ვარიაციით წარმოგვიდგება, ესაა: ყვავილების - აკაციის, ვარდის, გამომშრალი ვარდის, გვირილის, იის, ცაცხვის ყვავილის; ხილის - ციტრუსების-ფორთოხლის, ლიმონის, გრეიპფრუტის, ლიმონის ცედრის, ფორთოხლის ცედრის; წითელი ხილის - ალუბლის, მარწყვის, მოცხარის, ჟოლოს; შავი ფერის ხილის - შავი მოცხარის; ველური ხილის - მაყვლის, მოცვის; კურკიანი ხილის - გარგარის, ატმის, მირაბელის; თესლიანი ხილის - კომშის ვაშლის, მსხლის, ლეღვის, ნესვის; მოხარშული ხილის - კომპოტის, მურაბის; ხმელი ხილის-თხილის, ნუშის, კაკლის, გარგარის; ჩირის - ჩამიჩის, ლეღვის ჩირის, გამომშრალი ბანანის, შავქლიავის ჩირის; ეგზოტიკური ხილის - მანგოს, ანანასის, ბანანის, ლიჩის; კულტურული ბალახების - ოხრახუშის, სალბის, ქინძის, ანისულის; მწვანე მცენარეების - სუროს, მოთიბული ბალახის, ქონდრის, როზმარინის; ველური ბალახების - პიტნის, ევკალიპტის, ბარამბოს, ცოცხანას (ვერვენას); გამხმარი ბალახების - თამბაქოს, ჩაის, თივის; ხის - ხმელი ხის, ნედლი ხის, ნახერხის, მუხის, ნაძვის, კედარის. სოკოების - საფუარის, ქორფა სოკოს, თირკმელა სოკოს; მწვანე ბოსტნეულის - მწვანე წიწაკის, სატაცურის.**

საინტერესო ფაქტი გამოვლინდა ღვინის სუნთან დაკავშირებით - ილიასთან ვხვდებით: „ღვინო მოჭირებულის ფერისა, **ძლიერის სუნითა**, გემრიელი და გამძლე“, ან კიდევ: „კირიან მიწაში ღვინო ტკბილია და **სუნით არ არის გამოჩინებული**“ (ი.ჭავჭავაძე, 1956:89).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, **მესამე და ძირითადი კომპონენტი ღვინის შეფასებისას, გემოვნებითი შეგრძნებაა.** უნდა ვივარაუდოთ, რომ ჩვენთვის, ქართველებისთვის, მნიშვნელოვანი ფაქტორი სწორედ გემოა, რადგან მასზე საკმაოდ ბევრი ოდენობის მასალა, ენობრივი შესაძლებლობა დადასტურდა. ჩვენი წინაპრების შეფასებები ღვინის გემოზე ასე გამოიყურება: **ღვინოს ხელი აქვს** - არასასიამოვნო გემო ახლავს, ხელი - ცუდი გემო, რომელსაც ჭურჭელი მისცემს ხოლმე ღვინოს. „ქვევრს ღვინისთვის ხელი მიუცია“ (ქეგლი, 1986:577). **პირის მბლანდველი** - „კლერტზედ დადუღებული ღვინო პირსა ჰბლანდავს“; ჭაჭა-თხლეზედ ღვინო უფრო გემოიანი, სუნნელოვანი და წმინდაა; **ჭყაპურტა ღვინო** - ჩიხირად ცნობილი; **კუპრის გემო** - ბოჭკაში ძალიან დიდხანს ნადგომს ღვინოს, რაღაც კუპრის მსგავსი გემო ეძლევა; **ღვინო პირს შუშხავს** (ი.ჭავჭავაძე, 1956:92,107,109). მაგალითად, ქიზიყში ნაწილობრივ დამჟავებულ ღვინოზე იტყოდნენ: „**შეიჭანკაო**“, ბრკემოკიდებულ ღვინოს კი „**ყაბემოკიდებულსაც**“ უწოდებდნენ; ცოტა შემჟავებულ ღვინოს კი „**მარახოშს**“ ეძახდნენ (ა.ნანობაშვილი, 1960:140).

გვხვდება ასეთი ტერმინებიც: **ძელგი** - მომჟავო მომწარო გემოსი, მწკლარტე. **ძელგი ღვინო** <http://www.ena.ge/explanatory-onlin>; **დაჭანგდება** (ჭანგს მოიკიდებს, - დამჟავებას დაიწყებს (ღვინო), **დაჭანგებული** (მიმღ.ვენებ.) - რაც დააჭანგეს ან დაჭანგდა; **ჭანგმოკიდებული ღვინო მჟავე** (მჟავისა); სპეციფიკური მწვავე გემო - **ჭმახი** (როგორც აქვს, მაგ., ტყემალს, ძმარს, ლიმონს და სხვ. <http://www.ena.ge/explanatory-onlin>; **ალეში** - **მდარე ხარისხის, სუსტი, ძაბუნი. ალეში ღვინო.** **ალეში ყურძნის ღვინო საძველოდ არ ვარგა** (ვ.ბერიძე), **შვლიპი** - (რაჭ.) წყალღვინო (ვ.ბერ); მწკლარტე-მომჟავო-მომწარო გემოსი. **მწკლარტე ღვინო; ღვინოს ნაკბენი აქვს**- ოდნავ დამჟავებული, შემჭახებული (ღვინო). „უფრო ნაკლებ ფასს დაიწყებენ ძღვევას იმ საფუძველზე, ვითომც რომ ღვინო «ნაკბენია» (რ. ერისთ.); **დამძარებულ-ი** (დამძარებულისა) მიმღ. ვნებ. რაც დაამძარეს ან დამძარდა, - ძმრად ქცეული, დამჟავებული(ღვინო)“, ჩვენში შარშანდელი დამძარებული ღვინო ჯერ კიდევ არ გამოლეულა“ (გ. გოგიჩ.); **თავგის გემო** - არასასიამოვნო გემო, რომელიც შესაძლოა მიიღოს ღვინომ, თუ ქვევრი კარგად არ არის გარეცხილი; **ბჟუქურა ღვინო** კუთხ. (გურ.) «მომჟავო, უღონო ღვინო» (გ. შარაშ.); **ღვინის მონაყვა** კუთხ. (გურ.) ღვინის წახდომა, ფერისა და გემოს დაკარგვა, გაწყალება და დამჟავება. **ღვინოს ბუნგი მისცა**- ღვინო აირია (ვ. ბერ.); **ღვინო ისეთია, რომ კაჭკაჭს (ყვავს)დააჩხავლებს** - მეტად მჟავეა (თ.სახოკია,1979:702)... **ჩადის გემო აქვს(ღვინოს)** - ვითომ არ ვარგა. ჩადი (ჩადა) მცენარეა, რომლის ფოთოლს ყურძნის წურვის დროს ნავში უფენენ ყურძენს. ამ თქმაში სიტყვათა თამაშია: ჩადი-მცენარეა და იგივე ჩადი ზმნა-ჩასვლასაგან, ე.ი. ჩადის (ღვინო) მუცელშიო, ხმარობენ ამ ფრაზას ღვინის სმის დროს ირონიულად: ღვინის სმა უნდათ, მაგრამ ვითომ სწუნობენო (თ.სახოკია,1979:768). **ყვავთან მწყრალად არის**-მომჟავოა (ღვინო). „პური არ მინდა და ღვინოს კი ვიყიდი, თუ ყვავთან მწყრალად არ არის“ (რ. ერისთავი). ამას იტყვიან, როცა უნდათ ირონიულად გამოხატონ ღვინის ნაკლებევიანება, მისი ღირსება დაამცირონ, განსაკუთრებით-თუ ნაკბენია, დაჭანგებულია (სახოკია, 1979: 720). **აიძაფება - აიძაფება გაფუჭდება, აიმღვრევა (ღვინო), ღვინო რო გაფუჭდება, რო ჩამაასხამ, როგორც თაფლი აიძაფება, ეგრე აიძაფება ისიცა (ტირძნ)..**

მაღალი ხარისხის ღვინოებში გაერთიანდნენ: **ქუდმოხდილი ღვინო** - დაწმენდილი ღვინო, **ნოეს ვაზის ღვინო** - საუკეთესო ღირსების ღვინო. **ხატის ღვინო** - ღვინო, რომელსაც ინახავდნენ ეკლესიაში წასაღებად, **ზედაშე** (ღვინო), რომლის საილუსტრაციო მასალა „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“, რამდენიმე მნიშვნელობითაა: ა) ეკლ. წითელი ღვინო, რომელსაც ხმარობენ ზიარების დროს ან ჯვარის წერის წესის შესრულებისას „**ზედაშის** შესმის დროს [ჯვრისწერისას] კესოს წითელი ღვინის წვეთი გულზე დაუცურდა, და კაბის გაფუჭება ეწყინა“ (რ. გვეტ.). 2. ძვ. ეთნ.საეკლესიო დღეწაულისათვის საგანგებოდ შემონახული საუკეთესო ღვინო. „ბედელი მქონდა პირსავსე, ღვინოც საკმაოდ დაწვურე, ერთი ზედაშეც დავბეჭდე, «შეეუთქვი», დავადასტურე!“ (ი. ევდ.). 3. ძვ. გადატ. საერთოდ, საუკეთესო ხარისხის ღვინო. „მასპინძელს გაუხარდა სტუმრის მოსვლა, მაშინვე მოხადა ორჩაფიან ქოცოს, ზედაშეს, და იმ დილითვე შეაყოლეს“ (ვაჟა). **მირონივით ღვინოა** - ამბობდნენ და ახლაც იმეორებენ ქართველები, მაღალი ხარისხის მქონე ღვინის დალევას.

მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, თუ რა მნიშვნელობას ანიჭებდნენ ღვინის გემოს ჩვენი წინაპრები, თუმცა, ეს პროცესი ამით არ სრულდებოდა, მოკვლეულმა მასალის თანახმად, გამოიკვეთა ისიც, რომ ისინი დიდ ყურადღებას აქცევდნენ ასევე ღვინის აღნაგობას (ღვინოში ალკოჰოლის შემცველობას და სისქეს). ლ.ფრუიძე წერს: „ღვინის სიმაგრე თრობის სიძლიერით გაიზომებოდა. ჭაშნაგირიც სასმელს ამის მიხედვით აფასებდა: მაგარ ღვინოზე იტყოდა "ფინთიხივითაა, ერთ ლიტრას კაცი ვერ გაექცევას", ხოლო სუსტზე - „მაბუნია, საქალებო სასმელიაო“. ღვინის გამჭრიახობა ღვინის გაჭრა, თრობის ძალა, ფხა. იტყვიან: „ამ ღვინოს გამჭრიახობა აკლია“, ან პირიქით: „გამჭრიახი ღვინოაო“ (ლ.ფრუიძე). სხეულიანი ძლიერი, სქელი ღვინის სინონიმებად შეგვიძლია ჩავთვალოთ: „ხორციანი,“ „წიაღიანი“ და „მარღვიანი.“ ფუცხუნა (ფიცხი) ღვინო - (კუთ.იმერ.რაჭ.ლექს.) - ახლად ადუღებული (მაჭარი); შუმხუნა (ღვინო, მაჭარი). „სამწყურვალოდ შენი ფუცხუნა ქართლული სჯობს“ (შ.დად.)...

შესწავლილი საკითხი გვამძლევს გარკვეული ლინგვოკულტუროლოგიური პარადიგმის შექმნის შესაძლებლობას, რომელიც დაახლოებით ასე გამოიყურება:

1. ქართველისათვის მენტალურად „ღვინის ღირსება“ უმნიშვნელოვანესია (ღვინო აუცილებლად უნდა იყოს ხარისხიანი);
2. „ღვინის ღირსებით“ (ხარისხით) თავს უნდა იწონებდეს ყველა ქართველი;
3. ღვინის ხარისხის შემოწმება განსაკუთრებულ ცოდნას (პროფესიულ ცოდნას) საჭიროებს, ეს ყველას არ შეუძლია/ამას ყველა ვერ შეძლებს;
4. ღვინის ხარისხიანობას დადასტურება სჭირდება და იგი მრავალკომპონენტია, ქმნის საფეხურებრივ სისტემას: ღვინის ფერი, ღვინის სურნელი, ღვინის გემო, ღვინის აღნაგობა, რომელთა აღსანიშნავადაც გამოყენებული ტერმინებით/ლექსიკა-ფრაზეოლოგიის სიუხვით, ქართველი ერი, უდავოდ, წარმოაჩენს ქართული ენის განსაკუთრებულ ლექსიკურ სიმდიდრესა და ზღვარდაუდებელ ენობრივ შესაძლებლობას.

დასკვნა

ამდენად, ანალიზი ადასტურებს, რომ ქართველები უდიდეს მნიშვნელობას ყოველთვის ანიჭებდნენ ღვინის ხარისხს („ღვინის ღირსებას“), რაც გამოკვეთილად აისახა კიდევ ენის ლექსიკურ ფონდში, განსაკუთრებით კი ფრაზეოლოგიაში, რამეთუ, სწორედაც მათშია საუკეთესოდ ასახული ერის მენტალობა, მატერიალური თუ სულიერი კულტურა. მართლაც, კიდევ ერთხელ ესმება ხაზი ჭეშმარიტებას, რომ „ენა არის ერის სული და ერის სული არის მისი ენა“ (ჰუმბოლდტი).

ლიტერატურა:

1. გელდიაშვილი ნ. (2023): ეროვნული სურათის წარმომჩენი ეთიკურ-ზნეობრივი პარამეტრები ქართულში // „ენა და კულტურა“, VIII, სამეცნიერო შრომების კრებული; ISSN 1987-7323; E-ISSN 2720-7900; გამომცემლობა: „მერიდიანი“, 87-93; DOI: <https://doi.org/1052340/Iac>
2. ნანობაშვილი ი. (1960): ვაზის ძველი კულტურა ქიზიყში ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით
3. ორბელიანი ს.ს. (1949): „სიტყვის კონა“. თბილისი
4. სახოკია თ. (1979): ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი. თბილისი: მერანი
5. ფრუიძე ლ. (1968): ღვინის დაჭაშნიკება საქართველოში // „მეგლის მეგობარი“, N16
6. ქეგლი. (1986:577). ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი
7. ძიძიგური შ. (1954): ძიძიგანი ქართული დიალექტოლოგიიდან // ენიმკის მოამბე. თბილისი
8. ჭავჭავაძე ი. (1956): თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად. (VII ტომი). თბილისი

Evaluation of Wine Parameters and the Georgian National Mentality Expressed in Them

Geldiashvili Nunu

Iakob Gogebashvili State University, Telavi

<https://orcid.org/0000-0001-6846-7924>

Abstract

In the thematic classification of vocabulary and phraseology, one of the significant segments is the group related to the quality of wine, which, undoubtedly, indicates that this issue is very important for Georgians mentally. For example, the sayings: wine like chism, demon's blood, baptized wine, icon wine, wine of Noah's vine, wine of dignity,... creates a feeling and a general picture that the world of these people are organically connected with the production and consumption of wine; They reflect their spiritual and physical state in relation to wine, at the same time, they express a special attitude towards wine and do not limit themselves to describing it as just a drink.

It is well known fact that wine making is a long and continuous process. In order to achieve the best quality of wine, it needs to be inspected periodically, i.e. to lead the organoleptic analysis or tasting. Our task is to investigate what parameters were used to evaluate the wine during the process of making wine and which lexical units/phraseological expressions were used at that time; How rich is the Georgian language in this regard, what linguistic possibilities it has and what mental qualities of the Georgian nation are gathered/conceived in them; What linguistic and cultural paradigm is formed by this relation.

The analysis confirms that Georgians have always attached great importance to the quality of wine, which was clearly reflected in the lexical fund of the language, especially in phraseology, because it is in them that the nation's mentality, material and spiritual culture is best preserved/reflected. Indeed, once again the truth is understood that "language is the soul of a nation and the soul of a nation is its language" (Humboldt).

Key words: Evaluation of Wine Parameters ; inspected periodically/ tasting; vocabulary and phraseology; Georgian National Mentality; linguistic and cultural paradigm

**დეტერმინანტთა სინტაქსური კატეგორია ქართულსა და მეგრულში
(ტრადიციული და წარმომშობი გრამატიკის საკითხების შეჯერების ცდა)**

გოგია თამარ

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი

DOI: <https://doi.org/10.52340/idw.2023.23>

აბსტრაქტი. ჩვენი მიზანია, ქართული ტრადიციული გრამატიკის აღწერით წესთა და წარმომშობი გრამატიკის ფორმალურ წესთა შეჯერების საშუალებით გამოვარკვიოთ, თუ რა შეიძლება ჩაითვალოს ქართულსა და მეგრულში დეტერმინანტად - რას უნდა მიენიჭოს დეტერმინანტის სინტაქსური სტატუსი. ჩვენი ვარაუდია, რომ ქართულ ტრადიციულ გრამატიკაში გამოყოფილი ატრიბუტული მსაზღვრელების ქვეჯგუფი, ე.წ. ზედსართავ სახელებთან ფუნქციურად გათანაბრებული სახელები, გამოირჩევიან ისეთივე მახასიათებლებით, როგორც გენერაციული სინტაქსის დეტერმინანტული ჰიპოთეზის ფარგლებში დეტერმინანტებისთვისაა ნიშანდობლივი. ქართული ტრადიციული გრამატიკის აღწერით წესთა და გენერაციული გრამატიკის (X' სქემის) აღწერით და ფორმალურ წესთა შეჯერების საფუძველზე შევიმუშავეთ დეტერმინანტთა დასადგენი ტესტები. ე.წ. მსაზღვრელთა გადანაცვლებისა და მაჯგუფებელი კავშირით შეერთების ტესტები, რომელთა საშუალებითაც გავაანალიზეთ კორპუსული მაგალითები და დავადგინეთ დეტერმინანტები ქართულისა და მეგრულისათვის. ქართულის კორპუსული მაგალითებისა და მათი მეგრული თარგმანების გაანალიზებით – სინტაქსური ხეებისა და ტესტების საშუალებით დავადასტურეთ ჩვენი ვარაუდი ე.წ. ზედსართავთან ფუნქციურად გათანაბრებული მსაზღვრელების დეტერმინანტული სინტაქსური ფუნქციის შესახებ.

საკვანძო სიტყვები: წარმომშობი გრამატიკა, ენის მოდელირება, აღწერითი წესები, ფორმალური წესები, დეტერმინანტული ჰიპოთეზა, დეტერმინანტი, ქართული, მეგრული.

ქართულიცა და მეგრულიც უარტიკლო ენებია, თუმცა, ჩვენი ვარაუდით, ამ ენებშიც არსებობს გარკვეული გრამატიკული ერთეულები, რომლებიც დეტერმინანტთა სინტაქსურ კატეგორიაში თავსდება. გენერაციული სინტაქსის¹² მიხედვით, დეტერმინანტი სახელის მსაზღვრელი კლას-კატეგორიაა, რომელიც მოიცავს შემდეგ ქვეკატეგორიებს: არტიკლები, ჩვენებითი ნაცვალსახელები; კუთვნილებითი ნაცვალსახელები და კუთვნილების გამომხატველი ელემენტები; კითხვითი ნაცვალსახელები; გარკვეული და გაურკვეველი რიცხვითი სახელები (Carnie, 2006, 44). „თანამედროვე ქართული ენის სინტაქსში“ ატრიბუტული განსაზღვრების ჯგუფში ორგვარი განსაზღვრება გამოიყოფა, ზედსართავი სახელები და ზედსართავთან ფუნქციურად გათანაბრებული სახელები (კვაჭაძე 1966, 157). ჩვენი ინტერესის საგანია ზედსართავთან ფუნქციურად გათანაბრებული სახელები, რომელშიც ერთიანდება: ჩვენებითი, კუთვნილებითი, კითხვითი, განსაზღვრებითი და განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები; გარკვეული და გაურკვეველი რიცხვითი სახელები; ზომის, წონის, ფართობის, საწყაოს ან რაიმე ერთეულის გამომხატველი [...] არსებითი სახელები (კვაჭაძე 1966, 158-163). ჩვენი დაკვირვებით, ე.წ. ზედსართავ სახელებთან ფუნქციურად გათანაბრებული სახელები მოიცავს მსაზღვრელის ფუნქციით აღჭურვილ ისეთ ლექსიკურ ერთეულებს, რომლებიც წარმომშობი გრამატიკის დეტერმინანტული ფრაზის ჰიპოთეზის ფარგლებში მიჩნეულია დეტერმინანტთა ქვეკატეგორიებად.

¹² გენერაციული გრამატიკას/სინტაქსს, წარმომშობი გრამატიკას ურთიერთ მონაცვლე ტერმინებად ვიყენებთ.

წარმომშობი საყოველთაო გრამატიკა ენის კომპიუტერული დამუშავებისა და მოდელირების საფუძველია. მისი ძირითადი თეზისია, რომ წინადადებები წარმოიშობა კოგნიტიურ / ქვეცნობიერ პროცედურათა ერთობლიობით. სინტაქსური თეორიის მიზანი სწორედ ამ პროცედურების მოდელირებაა. წარმომშობ გრამატიკაში ეს პროცედურები მოდელირდება ფორმალური გრამატიკული წესების საშუალებით, კომპიუტერული პროგრამების მსგავსად (Carnie 2006, 5). შესაბამისად, წარმომშობი გრამატიკის მიზანი არა ენის აღწერა, არამედ მისი მოდელირებაა. თუმცა, ენის მოდელირება ვერ მოხერხდება აღწერითი გრამატიკისაგან მოწყვეტით, ამ ამოცანის მისაღწევად ფორმალური და აღწერითი წესები ურთიერთშემავსებელია. ამის გათვალისწინებით, ჩვენი კვლევა „ქართული და მეგრული ენის X' სქემა და პროექცია“ (გოგია, 2022), რომელსაც წინამდებარე მოხსენება ემყარება, არის წარმომშობი გრამატიკის ფორმალური წესებისა და ქართული ტრადიციული გრამატიკის აღწერითი წესები შეჯერების ცდა იმისათვის, რომ ენობრივი სტრუქტურების ფორმალიზებული საყოველთაო თეორია მოვარგოთ ქართული და მეგრული ენის მასალას (უფრო კონკრეტულად, დეტერმინანტულ და სახელურ ფრაზებს). შესაბამისად, ჩვენი ნაშრომის თეორიულ-მეთოდოლოგიური ანალიზის საფუძველი იყო, ერთი მხრივ, ქართული ტრადიციული გრამატიკა, ხოლო მეორე მხრივ, გენერაციული გრამატიკა. უფრო კონკრეტულად კი, პრინციპებისა და პარამეტრების მიდგომა, რომელიც დესკრიფციული და ფორმალურ წესებზე დაფუძნებულია. პრინციპებისა და პარამეტრების მიდგომის ფარგლებში დეტალურად და პროცედურულადაა გაანალიზებული X' სქემისა და პროექციის მეთოდოლოგიური მხარეები. ამ მიდგომის ფარგლებში, ფრაზის სტრუქტურა წარმოდგენილია X' ფორმალური წესების სახით.

საჭიროება იმისა, დაგვედგინა, თუ რომელი გრამატიკული ერთეულები ასრულებს ქართულსა და მეგრულში დეტერმინანტის ფუნქციას, დაგვიდგა ამ ენებისათვის გენერაციული სინტაქსის დესკრიფციული და ფორმალური წესების მისადაგების პროცესში. კვლევის თავდაპირველი მიზანი იყო გამოგვეჩვენა, გენერაციული სინტაქსის X' სქემის ფორმალური წესები ესადაგება თუ არა ქართულისა და მეგრულის ენობრივ მასალას; დაგვედგინა, სახელური ფრაზის შემადგენელთა სინტაქსური ფუნქციები, პოზიციები და პროექციათა დონეები. ვინაიდან, ქართულსა და მეგრულში დეტერმინანტების სინტაქსური კატეგორია გამოყოფილი არ არის, კვლევის პირველ ეტაპზე ვივარაუდეთ, რომ ამ ენების ანალიზისას უნდა გვებელმძღვანელა სახელური ფრაზის ჰიპოთეზით, მისი პრინციპებითა და ფორმალური წესებით. თუმცა, კვლევის პროცესში გამოირკვა, რომ ე.წ. სახელური ფრაზის ჰიპოთეზა ქართული და მეგრული უარტიკლო ენებისთვისაც არაა გამოსადეგი. ეს ჰიპოთეზა 1990-იანი წლებიდან დაიხვეწა და ჩანაცვლდა დეტერმინანტული ფრაზის (DP) ჰიპოთეზით, რომელიც პირველად სტივენ ებნიმ (1987) შეიმუშავა. თავდაპირველად ეს თეორია საკამათოდ მიიჩნეოდა, თუმცა თანამედროვე წარმომშობ თეორიაში უკვე ფართოდაა მიღებული და დავის საგანი აღარაა. წარმომშობი გრამატიკის განვითარების ბოლო მოდელიც, მინიმალისტური პროგრამაც, ამ ჰიპოთეზას ემყარება¹³.

შესაბამისად, კვლევის კვალდაკვალ ჩვენი თავდაპირველი მიზნები და ამოცანები გაფართოვდა, რომელთა გამორკვევა და გადაჭრაც შეუძლებელი იქნებოდა გენერაციული სინტაქსის X' თეორიის პრინციპებისა და ტრადიციულ გრამატიკაში დამუშავებულ შესაბამისი საკითხების შეჯერების გარეშეც. საბოლოოდ, ჩვენი მიზანი იყო დაგვედგინა: (1) თუ რა შეიძლება ჩაითვალოს ქართულსა და მეგრულში დეტერმინანტად – რას უნდა მიენიჭოს დეტერმინანტის სინტაქსური სტატუსი; (2) დეტერმინანტული ფრაზის შემადგენელთა სინტაქსური ფუნქციები, პოზიციები და პროექციათა დონეები; მათი სტრუქტურული და იერარქიული კავშირები; (3) X' სქემის დეტერმინანტული ფრაზის ფორმალური წესები ქართულისა და მეგრულისათვის. წინამდებარე სტატიაში შევეცდებით პასუხი გავცეთ პირველ

¹³ სახელური ფრაზისა და დეტერმინანტული ფრაზის ჰიპოთეზებს შორის განსხვავება და ამ უკანასკნელის შესაბამისობა ქართული და მეგრული ენის მასალასთან განხილულია ზემოაღნიშნულ ნაშრომში „ქართული და მეგრული ფრაზის X' სქემა და პროექცია“.

კითხვაზე, რისთვისაც ვიხელმძღვანელებთ დეტერმინანტთა კატეგორიის დადგენის X-შტრის თეორიის პრინციპებით (ფორმალურ წესთა პრინციპებით და შემადგენელთა მახასიათებლებით) (Abney, 1987; Carnie, 2006; Chomsky, 2006; 2002a; 2015b; Hornstein and Lohndal, 2009; Santorini and Kroch, 2007) და ლ. პროგოვაკის ჰიპოთეზით უარტიკლო ენებში დეტერმინანტების დადგენის შესახებ (Progovac, 1998). ამასთან, რა თქმა უნდა, ვიხელმძღვანელებთ ქართულ ტრადიციულ გრამატიკაში სიღრმისეულად და მწყობრად დამუშავებული ისეთი საკითხებით, როგორცაა სახელთა ატრიბუტული განსაზღვრებები; რამდენიმე განსაზღვრება ერთ საზღვრულთან, სიტყვათა რიგი და სხვ. (კვაჭაძე 1966, შანიძე 1980).

ქართული ტრადიციული გრამატიკის აღწერით წესთა და გენერაციული გრამატიკის (X' სქემის) ფორმალურ წესთა შეჯერების საშუალებით შევიმუშავეთ დეტერმინანტთა დასადგენი ტესტები. ე.წ. მსაზღვრელთა გადანაცვლებისა და მაჯგუფებელი კავშირით შეერთების ტესტები, რომელთა საშუალებითაც გავანალიზეთ კორპუსული მაგალითები და დავადგინეთ დეტერმინანტები ქართულისა და მეგრულისათვის¹⁴. ქართულის კორპუსული მაგალითებისა და მათი მეგრული თარგმანების გაანალიზებით – სინტაქსური ხეებისა და ტესტების საშუალებით დავადასტურეთ ჩვენი ვარაუდი ე.წ. ზედსართავთან ფუნქციურად გათანაბრებული მსაზღვრელების დეტერმინანტული სინტაქსური ფუნქციის შესახებ. კვლევაში გაანალიზებულია დეტერმინანტთა ყველა ზემოჩამოთვლილი ქვეკატეგორიის შემცველი ქართული და მეგრული ფრაზები. წინამდებარე მოხსენებაში ადგილის სიმწირიდან გამომდინარე მოვიყვანთ საანალიზო მაგალითების მხოლოდ მცირედ ნაწილს.

არაერთგვარი მსაზღვრელები: სიტყვათა რიგი, პროექციის დონეები და სინტაქსური კატეგორიები

(მსაზღვრელთა გადანაცვლების ტესტი)

ვარაუდი იმისა, რომ ჩვენებითი, კუთვნილებითი, განსაზღვრებითი და განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები, გარკვეული და გაურკვეველი რიცხვითი სახელები და ზომის, წონის, ფართობის, საწყაოს ან რაიმე ერთეულის გამომხატველი არსებითი სახელები დეტერმინანტთა სინტაქსურ ფუნქციას ასრულებენ, შესაძლებელია დადასტურდეს სინტაქსურ ხეზე მათი სტრუქტურულ-იერარქიული პოზიციისა და სხვა კატეგორიებთან სინტაქსური განლაგების დადგენით. ლ. პროგოვაკი (1997) ამტკიცებს, რომ უარტიკლო სერბულ-ხორვატიულ ენაში დეტერმინანტის ფუნქციას ასრულებს ჩვენებითი და კუთვნილებითი ნაცვალსახელები. არგუმენტი იმისა, რომ ეს ნაცვალსახელები დეტერმინანტულია, არის მათი სინტაქსური პოზიცია. სერბულ-ხორვატიული ენის შესწავლისას, ამ მოსაზრების ყველაზე მყარ არგუმენტად განიხილეს სახელისა (N) და დეტერმინანტული ნაცვალსახელების (ჩვენებითისა და კუთვნილებითის) ასიმეტრიული პოზიციები სტრუქტურული თვალსაზრისით. ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა ნაცვალსახელების, ზედსართავი სახელებისა და არსებითი სახელების მყარი სინტაქსური განლაგება. ზედსართავ სახელებს მყარი სინტაქსური პოზიცია უკავიათ ნაცვალსახელებსა და არსებით სახელებს შორის. ნაცვალსახელები მათი წინმსწრებია, არსებითი სახელები კი მათი მომყოლი. შესაბამისად, ნაცვალსახელებს სტრუქტურულად და იერარქიულად უფრო მაღლამდგომი პოზიცია უკავიათ, ვიდრე სახელებს. მათი გადანაცვლება კი არაგრამატიკულ წინადადებებს ქმნის (Progovac 1997, 165). მისი მტკიცებით, მიუხედავად იმისა, რომ სერბულ-ხორვატიულში ჩვენებითი და კუთვნილებითი ნაცვალსახელები ერთი

¹⁴ ქართული ენის გასაანალიზებლად გამოვიყენეთ „ქართული ენის ეროვნული კორპუსისა“ (GNC) და „ქართული ენის კორპუსის“ GLC ენობრივ მასალას. ქართულის კორპუსული მაგალითები ვთარგმნეთ მეგრულად, ან ავაგეთ იმავე შედგენილობის წინადადებები მათი შემდგომი ანალიზის მიზნით. თარგმანმა მოგვცა შესაძლებლობა დაგვედგინა, რამდენად საზიარო წყობა აქვს მეგრულისა და ქართულის დეტერმინანტულ ფრაზებს. მასალაზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ მეგრულისა და ქართულის დეტერმინანტულ ფრაზებს საზიარო სინტაქსური სტრუქტურა და შემადგენლობა აქვთ. ქართულისაგან განსხვავებული თავისებურებები კი ცალკე კვლევის საგანია.

შეხედვით ზედსართავი სახელების მსგავსად იქცევიან, X' სქემის ფარგლებში ეს ნაცვალსახელები კვალიფიცირდება დეტერმინანტებად და სტრუქტურულად თავსდება D-ის (დეტერმინანტული ფრაზის მეთაური ელემენტის) სინტაქსურ პოზიციაში, ზედსართავი სახელები A-ის (ზედსართავის) პოზიციაში, ხოლო სახელები N-ის (სახელური ფრაზის მეთაური ელემენტის) პოზიციაში (Progovac 1997, 167).

სიტყვათა წყობა ქართულში, საზოგადოდ, თავისუფალია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, სიტყვათა წყობის როლი სინტაქსური და სტილისტიკური თვალსაზრისით ქართულ ენაშიც დიდია. გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როცა სიტყვის ადგილი მყარია (კვაჭაძე 1966, 13). შესაბამისად, სიტყვათა რიგის თვალსაზრისით, ქართულში გვაქვს გარკვეული შეზღუდვა – სიტყვათა რამდენიმე მყარი წყობა გარკვეული შემთხვევებისთვის. მაგალითად, თანამედროვე ქართულში ჩვეულებრივია წინ მდგომი (პრეპოზიციული) განსაზღვრება, მომდევნო (პოსტპოზიციური) განსაზღვრება კი იშვიათად იხმარება (ისიც უფრო პოეზიაში). განსაზღვრება, ჩვეულებრივ, უშუალოდ ეკვრის საზღვრულ წევრს (კვაჭაძე 1966, 166). საზღვრულ წევრს ერთდროულად შეიძლება ახლდეს რამდენიმე ერთგვარი და არაერთგვარი განსაზღვრება. ერთგვარია განსაზღვრებები, რომლებიც უშუალოდ უკავშირდებიან საზღვრულ წევრს და ერთმანეთის მიმართ თანწყობილნი არიან. ლ. კვაჭაძე ზედსართავებს და მასთან ფუნქციურად გათანაბრებული სახელებით გადმოცემულ განსაზღვრებებს, მართალია, საერთო, ატრიბუტულ განსაზღვრებათა, ჯგუფში ათავსებს, თუმცა, მათ არაერთგვარ წევრებად განიხილავს. წყობის თვალსაზრისით, ზედსართავებთან ფუნქციურად გათანაბრებული განსაზღვრებები, ჩვეულებრივ, პირველ ადგილზეა, ზედსართავითა და მიმდევრით გადმოცემული განსაზღვრებები კი – მეორე ადგილზე. რაც მთავარია, პირველ ადგილზე, საზოგადოდ, ის განსაზღვრებაა, რომელიც განსაზღვრავს საზღვრულს უახლოეს განსაზღვრებიანად. სხვაგვარად რომ ვთქვათ, არაერთგვარი განსაზღვრებების შემთხვევაში საზღვრულს უშუალოდ უახლოესი უკავშირდება, ყოველი წინა განსაზღვრება კი განსაზღვრავს მას მომდევნო განსაზღვრებიანად (კვაჭაძე 1966, 168-169). ამ დებულებებს ადასტურებს საანალიზო მაგალითების მიხედვით აგებული სინტაქსური ხეები, რომლებიც თვალსაჩინოს ხდის შემადგენელთა იერარქიულ სტრუქტურულ მიმართებებს (იხ. 1-ლი და მე-4 სინტაქსური ხეები).

X' თეორიის ფარგლებში, თუ განსაზღვრებები ერთი კატეგორიისანი არიან და იზიარებენ პროექციის საერთო დონეს, მათი გადანაცვლება არ ქმნის არაგრამატიკულ შესიტყვებებს. თუ მათი გადანაცვლებით ხელოვნურ, ნამალადევ, ნაკლებ ბუნებრივ ან კიდევ სრულიად მიუღებელ შესიტყვებებს მივიღებთ, სავარაუდოა, რომ ეს გამოწვეული იქნება სხვადასხვა სინტაქსური კატეგორიისა და პროექციის სხვადასხვა დონის მსაზღვრელთა იერარქიული სტრუქტურული კავშირის დარღვევით. შესაბამისად, მსაზღვრელთა გადანაცვლების ტესტის საშუალებით შევძლებთ დავადგინოთ, საანალიზო ერთეულები ერთი სინტაქსური კატეგორიის (A) მსაზღვრელები არიან, თუ სხვადასხვა (D, A). როგორია მათი სტრუქტურულ-იერარქიული დამოკიდებულება ერთმანეთისა და მსაზღვრელის მიმართ. შევძლებთ, თითოეული

ტრადიციული გრამატიკის დებულებები:	X' თეორიის დებულებები:
<p>არაერთგვარი მსაზღვრელები ატრიბუტული განსაზღვრებების ორ ჯგუფი – ზედსართავები და მასთან ფუნქციურად გათანაბრებული სახელები – არაერთგვარი განსაზღვრებებია.</p>	<p>სხვადასხვა სინტაქსური კატეგორიები, პროექციის სხვადასხვა დონე თუ განსაზღვრებები ერთი სინტაქსური კატეგორიისანი არიან, ისინი იზიარებენ პროექციის საერთო დონეს, ხოლო მათი გადანაცვლება ქმნის არაგრამატიკულ, არაბუნებრივ შესიტყვებებს.</p>
<p>სიტყვათა რიგი ზედსართავებთან ფუნქციურად გათანაბრებული განსაზღვრებები, ჩვეულებრივ, პირველ ადგილზეა, ზედსართავითა და მიმდევრით გადმოცემული განსაზღვრებები კი – მეორე ადგილზე. (კვაჭაძე 1966, 168)</p>	<p>იერარქიული სტრუქტურული კავშირის დარღვევა თუ მათი გადანაცვლებით არაგრამატიკულ შესიტყვებებს მივიღებთ, ეს გამოწვეულია სხვადასხვა სინტაქსური კატეგორიისა და პროექციის სხვადასხვა დონის მსაზღვრელთა იერარქიული სტრუქტურული კავშირის დარღვევით.</p>


მსაზღვრელი X' სქემის მახასიათებლების მიხედვით განვსაზღვროთ, რაც ჩვენი ვარაუდით, ეთანადება ტრადიციული გრამატიკაში მსაზღვრელთა აღწერილობას.

აღნიშნული დებულებები X' სქემის სინტაქსური ხის მაგალითზე რომ განვიხილოთ, თვალსაჩინო გახდება არაერთგვარი განსაზღვრებების იერარქიული სტრუქტურა, ამასთან, ტრადიციული გრამატიკის დებულებებისა და X' სქემის ურთიერთშესაბამისობა. მაგალითისათვის ავაგოთ ხე სამი არაერთგვარ განსაზღვრებიანი შესიტყვებისათვის:

[DP ოთხი ჩაფი წითელი ღვინო] [DP ანთხი ორკოლი ჭითა ღვინი]¹⁵

სინტაქსური ხე ცხადყოფს, რომ დეტერმინანტი (D) „ოთხი“ განსაზღვრავს დეტერმინანტს (D) „ჩაფი“, ორივე ერთად ქმნის დეტერმინანტულ ფრაზას (DP) „ოთხი ჩაფი“, რომელიც განსაზღვრავს სახელურ ფრაზას (NP) „წითელი ღვინო“, რომლის შემადგენლებიცაა ზედსართავი (AP) „წითელი“ და სახელი (N) „ღვინო“. სინტაქსური ხე ცხადყოფს მსაზღვრელთა ისეთ იერარქიულ დამოკიდებულებას ერთმანეთისა და მსაზღვრელი სიტყვის მიმართ, როგორც ტრადიციულ გრამატიკაშია აღწერილი.

ამასთან, შემადგენელთა გადანაცვლებით არაგრამატიკულ შესიტყვებებს ვიღებთ: ქართული – *წითელი ოთხი ჩაფი ღვინო; *ჩაფი ოთხი წითელი ღვინო; *წითელი ჩაფი ოთხი ღვინო. მეგრული – *ჭითა ანთხი ორკოლი ღვინი; *ორკოლი ანთხი ჭითა ღვინი; *ჭითა ორკოლი ანთხი ღვინი. აღნიშნული მაგალითები არაბუნებრივად ჟღერს, არ ითქმის და არაგრამატიკულია, რაც ამყარებს ჩვენს ვარაუდს დეტერმინანტების (D) ზედსართავების (A) და სახელების (N) მყარი წყობის შესახებ. ის ფაქტი, რომ



დეტერმინანტული მსაზღვრელების გადანაცვლება არაგრამატიკულ შესიტყვებებს ქმნის იმის დასტურია, რომ ეს მსაზღვრელები არ არიან თანწყობილნი, არ აქვთ პროექციის საერთო დონე და ერთი კატეგორიისანი არ არიან. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზედსართავი მსაზღვრელები თავისუფლად ენაცვლებიან ერთმანეთს. მათი გადანაცვლება არც მნიშვნელობას ცვლის და არც არაგრამატიკულ შესიტყვებას არ იძლევა : ოთხი ჩაფი წითელი, მშრალი ღვინო / ოთხი ჩაფი მშრალი, წითელი ღვინო; ანთხი ორკოლი ჭითა, სქირე ღვინი / ანთხი ორკოლი სქირე, ჭითა ღვინი.

ერთგვარი მსაზღვრელები: თანაბარ დონეზე შეერთება, პროექციის დონეები და სინტაქსური კატეგორიები (მაჯგუფებელი კავშირით შეერთების ტესტი)

როგორც აღვნიშნეთ, ჩვენი ვარაუდია, რომ „ქართული ენის სინტაქსში“ გამოყოფილი ატრიბუტული მსაზღვრელების ქვეჯგუფი, ზედსართავ სახელებთან ფუნქციურად გათანაბრებული სახელები, გამოირჩევიან ისეთივე მახასიათებლებით, როგორც X' თეორიის ფარგლებში დეტერმინანტებისთვისაა ნიშანდობლივი. ტრადიციულ სინტაქსში ატრიბუტული მსაზღვრელების ჯგუფში გაერთიანებული, ზედსართავებთან ფუნქციურად გათანაბრებული ზემოჩამოთვლილი სახელები და ზედსართავი (და მიმდებარე¹⁶) განსაზღვრებები X' თეორიის ფარგლებში სხვადასხვა სინტაქსური კატეგორიებია, პირველნი ექცევიან დეტერმინანტთა (D), ხოლო მეორენი – ზედსართავთა სინტაქსურ კატეგორიაში (A). როგორც აღვნიშნეთ, ლ. კვაჭაძე ზედსართავებს და მასთან ფუნქციურად გათანაბრებულ სახელებს ერთ კატეგორიად ერთიანებს – ატრიბუტულ მსაზღვრელებად. თუმცა, ამასთან აღნიშნავს, რომ ისინი არაერთგვარი განსაზღვრებებია – არ არიან ერთმანეთის მიმართ თანწყობილნი (კვაჭაძე 1966, 167). X' თეორიის ცნებებით თუ ვიმსჯელებთ, ასეთი მსაზღვრელები პროექციის საზიარო

¹⁵ მეგრული და ქართული მაგალითები სინტაქსური ხეზე მსგავსად გამოისახება, ადგილის სიმცირის გამო მოგვყავს მხოლოდ ქართული ფრაზის ილუსტრაცია სინტაქსურ ხეზე.

¹⁶ ჩვენი ნაშრომის ფარგლებში არ არის გაანალიზებული მიმდებარე მსაზღვრელები.


დონეზე არ დგანან, შესაბამისად, სხვადასხვა ტიპისანი არიან, აქვთ განსხვავებული ფორმალური წესები და მახასიათებლები¹⁷. ერთგვარია განსაზღვრებები, რომლებიც უშუალოდ უკავშირდებიან საზღვრულ წევრს და ერთმანეთის თანწყობილნი არიან, ასეთი წევრები ქმნიან შერწყმულ წინადადებას (კვაჭაძე 1966, 167). ერთგვარი განსაზღვრებების ერთმანეთთან შეერთება შესაძლებელია მაერთებელი კავშირით (კვაჭაძე 1966, 256). X' თეორიის ფორმალური წესების მიხედვით, ორი წევრის მაერთებელი კავშირით (Conj) შეერთება შესაძლებელია, თუ ისინი ერთიანდებიან ერთ სინტაქსურ კატეგორიაში და თავსდებიან პროექციის საზიარო დონეზე. შესაბამისად, მაერთებელი კავშირით შეერთებული წევრები უნდა ერთიანდებოდნენ საზიარო კატეგორიაში და იზიარებდნენ პროექციის საერთო დონეს. თუ ორ მსაზღვრელს ვერ ვაკავშირებთ მაერთებელი კავშირით, მაშინ ისინი საზიარო პროექციის დონისა და ერთი კატეგორიის ელემენტებად ვერ ჩაითვლებიან.

მაერთებელი კავშირით შეერთების ფორმალური წესები:

$$XP \rightarrow XP \text{ conj } XP$$

$$X' \rightarrow X' \text{ conj } X'$$

$$X \rightarrow X \text{ conj } X$$



X ცვლადია, რომელიც ნებისმიერი კატეგორიის აღმნიშვნელი შეიძლება იყოს (N, A, V...). ამ წესის მიხედვით, მაჯგუფებელი კავშირით შეერთება შესაძლებელია მხოლოდ საერთო

ტრადიციული გრამატიკის დებულებები:	X' თეორიის დებულებები:
<p>ერთგვარი განსაზღვრებები ერთგვარია განსაზღვრებები, რომლებიც უშუალოდ უკავშირდებიან საზღვრულ წევრს და ერთმანეთის თანწყობილნი არიან, ასეთი წევრები ქმნიან შერწყმულ წინადადებას (კვაჭაძე 1966, 167).</p> <p>შეკავშირება ერთგვარი განსაზღვრებების ერთმანეთთან შეერთება შესაძლებელია მაერთებელი კავშირით (კვაჭაძე 1966, 256).</p>	<p>სინტაქსური კატეგორიები, პროექციის დონეები და მაერთებელი კავშირი ორი წევრის მაერთებელი კავშირით (Conj) შეერთება შესაძლებელია, თუ ისინი ერთიანდებიან ერთ სინტაქსურ კატეგორიაში და თავსდებიან პროექციის საზიარო დონეზე. შესაბამისად, მაერთებელი კავშირით შეერთებული წევრები უნდა ჰქონდეთ ზიარი კატეგორია და პროექციის საერთო დონე.</p>


კატეგორიისა და საერთო პროექციის დონის ელემენტებისა. ტრადიციულ გრამატიკაშიც და წარმომშობ თეორიაშიც მაერთებელი კავშირით შეერთებული თანწყობილი წევრები ქმნიან ერთ შემადგენელს.

ჩვენი მიზანია, ქართული კორპუსული მაგალითებისა და მათი მეგრული თარგმანების გაანალიზების საშუალებით, დავადგინოთ, საანალიზო ერთეულები (ზედსართავები და მასთან ფუნქციურად გათანაბრებული სახელები) თავსდებიან ერთ სინტაქსურ კატეგორიაში თუ სხვადასხვა კატეგორიის სინტაქსური ელემენტებია (A და D); თავსდებიან პროექციის ერთ თუ სხვადასხვა საფეხურზე. მაჯგუფებელი კავშირით შეერთების ტესტი დაგვეხმარება გამოვარკვიოთ, საანალიზო მსაზღვრელები ერთგვარია თუ არაერთგვარი. იმ შემთხვევაში, თუ ზემოაღწერილი ორი ჯგუფის მაჯგუფებელი კავშირით შეერთება არაგრამატიკულ და სინტაქსურად გაუმართავ წყობას წარმოქმნის, მაშინ ეს კიდეც ერთი არგუმენტი იქნება იმისა, რომ ეს ორი ჯგუფი პროექციის სხვადასხვა დონეზე დგას და სხვადასხვა სინტაქსური კატეგორიებია. ტესტის პირობა: თუ ორ მსაზღვრელს ვერ ვაკავშირებთ მაჯგუფებელი კავშირით, მაშინ ისინი ვერ ჩაითვლებიან თანწყობილ, ერთგვარ განსაზღვრებებად, საზიარო

¹⁷ გარდა აქ აღწერილისა, იგულისხმება პეციფიკატორის, ადიუნქტისა და კომპლემენტის ფორმალური წესები და მახასიათებლები, რაც დეტალურადაა მიმოხილული ზემოაღნიშნულ კვლევაში.

პროექციის დონისა და ერთი კატეგორიის სინტაქსური კატეგორიის ელემენტებად.
განვიხილოთ შესაბამისი მაგალითები:

- (1) ჩვენი მშვენიერი, ძვირფასი სტუმარი
- (2) ჩვენი ძვირფასი, მშვენიერი სტუმარი
- (3) მშვენიერი, ძვირფასი, ჩვენი სტუმარი
- (4) * ჩვენი და მშვენიერი, ძვირფასი სტუმარი
- (5) ჩვენი მშვენიერი და ძვირფასი სტუმარი
(დობორჯგინიძე და სხვ., 2022)
- (6) ჩქინ ფშვენიერი, ძვირფასი სუმარი
- (7) ჩქინ ძვირფასი, ფშვენიერი სუმარი
- (8) ფშვენიერი, ძვირფასი, ჩქინ სუმარი
- (9) *ჩქინ დო ფშვენიერი, ძვირფასი სუმარი
- (10) ჩქინ ფშვენიერი დო ძვირფასი სუმარი



მე-4 და მე-9 მაგალითებში ზედსართავებისა და მათთან ფუნქციურად გათანაბრებული სახელის (ამ შემთხვევაში, კუთვნილებითი ნაცვალსახელის) შეკავშირება მაჯგუფებელი კავშირით არაბუნებრივად ჟღერს, არ ითქმის და არაგრამატიკულია, რაც გვიმყარებს ვარაუდს, რომ ისინი პროექციის სხვადასხვა დონისა და სხვადასხვა სინტაქსური კატეგორიისაა მსაზღვრელებია.

1-2 და 6-7 მაგალითებში N' დონის პროექციის ზედსართავი ფრაზები (AP -მშვენიერი, ძვირფასი / ფშვენიერი, ძვირფასი) თავისუფლად ენაცვლებიან ერთმანეთს, რაც ადიუნქტებისთვისაა ნიშანდობლივი. თავისუფალი ჩანაცვლება იმის დასტურია, რომ ეს მსაზღვრელები თანწყობილია, აქვთ პროექციის საერთო დონე და ერთი კატეგორიისანი არიან. ამასვე მოწმობს მე-5 და მე-10 მაგალითები, როდესაც ამ მსაზღვრელების შეერთება მაჯგუფებელი კავშირებით სინტაქსურად გამართულ შესიტყვებას ქმნის.

მე-3 და მე-8 მაგალითებზე ვერ ვიტყვით, რომ არაბუნებრივად ჟღერს, არ ითქმის ან არაგრამატიკულია. ჩვენი აზრით, ამ მაგალითში განსაზღვრება განკერძოებულია. ასეთ შემთხვევას ლ. კვაჭაძე ამგვარად აღწერს: „განსაზღვრება ზოგჯერ პაუზით გამოეყოფა საზღვრულ წევრს და წინადადებაში განკერძოებით დგას, მასთან დაკავშირებული სიტყვებითურთ” (კვაჭაძე 1966, 167). შესაბამისად, განკერძოებული განსაზღვრება მსაზღვრულისაგან გამოიყოფა მძიმით. თუ ზედსართავი და დეტერმინანტული განსაზღვრებების გადანაცვლებით განკერძოებულ განსაზღვრებიან წყობას ვიღებთ, ეს კვლავაც ადასტურებს, რომ ჩვეულ წყობაში დეტერმინანტი წინმსწრებია, ზედსართავი განსაზღვრება კი უშუალოდ ეკვრის მის საზღვრულ სახელს.

როგორც აღვნიშნეთ, კვლევაში გაანალიზებულია დეტერმინანტთა ყველა ზემოჩამოთვლილი ქვეკატეგორიის შემცველი ქართული და მეგრული ფრაზები. საანალიზო ერთეულთა ზემოაღწერილი ორი ჯგუფის (ზედსართავებისა და მათთან ფუნქციურად გათანაბრებული სახელების) მაერთებელი კავშირით შეერთების უკლებლივ ყველა მაგალითში არაბუნებრივი, არაგრამატიკული და სინტაქსურად გაუმართავი წყობა მივიღეთ. სინტაქსურმა ხეებმაც ცხადყო, რომ მსაზღვრელთა ეს ორი ტიპი პროექციის სხვადასხვა დონეზე არიან განლაგებულნი, აქვთ ასიმეტრიული იერარქიული ურთიერთობა და, შესაბამისად, მათი მაჯგუფებელი კავშირით შეერთება ვერ მოხერხდა. ეს კი ამყარებს ჩვენს ვარაუდს, რომ ისინი სხვადასხვა სინტაქსურ კატეგორიის ერთეულებია, აქვთ განსხვავებული ფორმალური წესები და მახასიათებლები. მათი სიტყვათა რიგის დადგენამ კი დაგვიდასტურა ვარაუდი, რომ ე.წ. ზედსართავებთან ფუნქციურად გათანაბრებული სახელები თავსდებიან დეტერმინანტთა სინტაქსურ კატეგორიაში. ისინი დეტერმინანტული ფრაზის (DP) მეთაური ელემენტებია. ატრიბუტული ზედსართავი სახელები კი ზედსართავი ფრაზის (AP) კატეგორიით იკავებენ სახელური ფრაზის ადიუნქტის პოზიციას.

დასკვნა

ტრადიციული გრამატიკის აღწერითი წესებისა და X' სქემის ფორმალური წესების შეჯერებით, ამის საფუძველზე შემუშავებული ტესტებით, კორპუსული მასალის გაანალიზებითა და მაგალითებისათვის აგებული X' სინტაქსური ხეებით დასტურდება ჩვენი ვარაუდი, რომ ე.წ. ზედსართავთან ფუნქციურად გათანაბრებული სახელები დეტერმინანტთა სინტაქსურ ფუნქციას ასრულებენ. ისინი ზედსართავი მსაზღვრელებისაგან განცალკევებული სინტაქსური კატეგორიაა – არიან არა ატრიბუტული ზედსართავისებრი განსაზღვრებები, არამედ დეტერმინანტები. ეს დასტურდება (ა) სინტაქსურ ხეზე მათი ასიმეტრიული იერარქიული განაწილებით (პროექციის სხვადასხვა დონეზე) (ბ) სიტყვათა მყარი რიგით (ერთეული გამონაკლისის გარდა) (გ) მათემატიკური კავშირით მათი შეერთების შეუძლებლობით.

ბიბლიოგრაფია:

- გოგია, თ. (2022). ქართული და მეგრული ფრაზის X' სქემა და პროექცია, (სამაგისტრო ნაშრომი). თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.
- დობოჯგინიძე, ნ., ლობჯანიძე, ი., გუნია, ი. (2012-2022). ქართული ენის კორპუსი. <http://corpora.iliauni.edu.ge/>. ბოლო წვდომის თარიღი: 07/02/22 .
- ენუქიძე, ლ. (1987). ძირითადი სინტაქსური თეორიები თანამედროვე საზღვარგარეთულ ენათმეცნიერებაში. თბილისი: მეცნიერება.
- კვაჭაძე, ლ. (1966). თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი. თბილისი: განათლება.
- მოურერი, პ., გიპერტი, ი., თანდაშვილი, მ., (2011-2022). ქართული ენის ეროვნული კორპუსი. <http://gnc.gov.ge/>. ბოლო წვდომის თარიღი: 07/02/22.
- შანიძე, ა. (1953). მორფოლოგია. ტ.1, ქართული გრამატიკის საფუძვლები. მე-2 შვეს. გამოც. თბილისი: სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- Abney, S. P. (1987). *The English Noun Phrase in its Sentential Aspect*. Cambridge, MA: MIT press.
- Carnie, A. (2006). *Syntax: A Generative Introduction*. 2nd ed. Malden: Blackwell.
- Chomsky, N. (2006). *Language and Mind*. Cambridge, U.K.: Cambridge University Press. 54
- Chomsky, N. (2002a). *Syntactic Structures*. 2nd ed. Berlin: Mouton de Gruyter.
- Chomsky, N. (2015b). *The Minimalist Program*. Cambridge, MA: MIT Press, (Orig. pub. 1992).
- Dikken, M. den. (2013). *The Cambridge Handbook of Generative Syntax*. Cambridge: Cambridge University Press.
- Lasnik, H., and Terje L. (2009). Government–Binding/Principles and Parameters Theory. *WIREs Cognitive Science* 1, no. 1: 40–50. <https://doi.org/10.1002/wcs.35>.
- Progovac, L. (1998). Determiner Phrase in a Language without Determiners. *Journal of Linguistics* 34, no. 1: 165–79. <https://doi.org/10.1017/s0022226797006865>.
- Santorini, B, and Kroch, A. (2007). *The syntax of natural language: An online introduction*. <https://www.ling.upenn.edu/~beatrice/syntax-textbook>

Syntactic Category of Determiners in Georgian and Mingrelian *(Combining Descriptive rules of Georgian Traditional Grammar and Formal of Generative Grammar)*

Gogia Tamar
Ilia State University, Tbilisi

Abstract

Georgian and Mingrelian are both considered to be languages without determiners. The paper seeks to identify determiners in these languages based on descriptive rules of the Georgian traditional grammar (GTG), on the one hand, and descriptive and formal rules of generative grammar, on the other. The research question is, which grammatical units have the syntactic function of the determiners in Georgian and Mingrelian? We hypothesize that one of

the subgroups of attributive modifiers defined in GTG has the same syntactic characteristics as determiners in the determiner phase (DP) hypothesis. This subgroup is so-called “modifiers functionally equalized with adjectives” within GTG. Based on the combination of descriptive rules of Georgian traditional grammar and descriptive and formal rules of generative grammar (X' schema and PD hypothesis), we created two tests for identifying determiners in the languages under analysis. We analyzed corpus examples of the determiner (DP) / noun phrases (NP), constructed syntactic trees, and identified projection levels and structural relations of their constituents. We examined the same corpus data using the above-mentioned tests for identifying determiners. Based on the analysis we concluded that so-called “modifiers functionally equalized with adjectives” are determiners in Georgian and Mingrelian.

Key words: generative grammar, language modeling, descriptive rules, formal rules, DP hypothesis, determiners, Georgian, Mingrelian.

ქართული რიცხვითი სახელის მეტყველების ნაწილად ჩამოყალიბებისათვის XVIII-XIX საუკუნეთა გრამატიკებში

დანელია ვაჟა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი

DOI: <https://doi.org/10.52340/idw.2023.24>

აბსტრაქტი. ქართულ ენაში არც ისე ცოტაა სიტყვები, რომელთა მნიშვნელობა რიცხვის, რაოდენობის ცნებას უკავშირდება. ისინი მნიშვნელობასთან ერთად გრამატიკული თავისებურებებითაც გამოირჩევიან. ის თვისებები, რომლებიც დამახასიათებელია რიცხვითი სახელებისთვის, საშუალებას აძლევს მათ, ცალკე მეტყველების ნაწილად გამოიყოს.

გამოკვლევები ცხადყოფს, რომ ეს პროცესი საუკუნეების განმავლობაში გრძელდებოდა. ნაშრომში ნათლად არის წარმოჩენილი, რა ადგილი ეკავა რიცხვით სახელს XVIII საუკუნისა და XIX საუკუნის პირველი ნახევრის გრამატიკებში. მიმოხილულია რიცხვითი სახელების სპეციფიკა ზურაბ შანშოვანის, ანტონ პირველის, გაიოზ რექტორის, იოანე ბატონიშვილისა და სოლომონ დოდაშვილის სახელმძღვანელოებში.

განაალიზებულია თითოეული ავტორის შეხედულებები რიცხვით სახელებზე. გარკვეული მოსაზრებაა გამოთქმული იმის შესახებ, რომ დოდაშვილის „ქართული ღრამატიკა“, რომელიც 1830 წელს დაიბეჭდა, ძირითადად ქართველიშვილის გრამატიკას ეყრდნობა, მაგრამ ავტორს ბევრი რამ ორიგინალურადაც აქვს წარმოდგენილი, მათ შორის - რიცხვითი სახელის სემანტიკური დახასიათება.

დოდაშვილისა და ბატონიშვილის შეხედულებები რიცხვით სახელზე შედარებულია წინამორბედი გრამატიკოსების ნააზრევთან და დასაბუთებულია, რომ ავტორებმა სრულად ვერ გამოკვეთეს რიცხვითი სახელის ლექსიკურ-სემანტიკური და მორფოლოგიურ-სინტაქსური თავისებურებანი, ამიტომაც ზემოაღნიშნულ გრამატიკებში რიცხვითი სახელი დამოუკიდებელ მეტყველების ნაწილად არ არის გამოყოფილი. გამოვლენილია, რომ ტერმინი „რიცხვითი სახელი“ ანტონ პირველს ეკუთვნის.

საკვანძო სიტყვები: რიცხვითი სახელი, გრამატიკა, თვლის სიტემა, მეტყველების ნაწილები, მართლწერა, ზედშესრული სახელები, კანკლედობა.

შესავალი

გასული საუკუნის 60-იან წლებში აკადემიკოსმა არნოლდ ჩიქობავამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ქართული საგრამატიკო ტერმინების ისტორია ჯერჯერობით შეუსწავლელია და ამას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს, რადგან დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული ენის გრამატიკის ისტორიისთვის. მართალია, განვლილი ექვსი ათეული წლის განმავლობაში ამ მიმართულებით ბევრი რამ გაკეთდა, თუმცა ჯერ კიდევ არანაკლები სამუშაოა შესასრულებელი.

არნოლდ ჩიქობავას გამოკვლევით, „ზ. შანშოვანთან უკვე გვაქვს ბევრი ტერმინი, რაც უცვლელად (ანდა ერთგვარად ცვლილი) ანტონის გრამატიკაშიც იყო შემდეგ გამოყენებული და ქართული ენის გრამატიკაში დამკვიდრდა. ამჟამად ძნელია იმის თქმა, აქედან რა უკვე მოიპოვებოდა და რა არის ზ. შანშოვანის შექმნილი“ [1, 87].

ყურადღება გვინდა შევაჩეროთ ტერმინ რიცხვით სახელსა და ქართულ ენაში მის დამკვიდრებაზე, რადგან ქართული ენის რიცხვითი სახელი, როგორც ალექსანდრე გვენცაძე მიუთითებს [2, 5], მკვეთრად ჩამოყალიბებულ თვლის სისტემას წარმოადგენს. დღეს მას

მეტყველების ნაწილთა კლასიფიკაციაში გარკვეული ადგილი უკავია.

ძირითადი ნაწილი

კვლევებით დასტურდება, რომ XVIII საუკუნის მეორე ნახევარსა და XIX საუკუნის დასაწყისში რიცხვითი სახელი ცალკე მეტყველების ნაწილად ჯერ არ არის ჩამოყალიბებული. ამის მიუხედავად, ამ პერიოდის გრამატიკოსთა სახელმძღვანელოებში საკმაო ყურადღება მიაქცევა - მისი გარკვეული ლექსიკურ-მორფოლოგიური და სინტაქსური თავისებურებებია წარმოჩენილი.

პროფესორ ალექსანდრე ფოცხიშვილს მიაჩნია, რომ ტერმინი „**რიცხვითი**“ „ანტონის მიერ შექმნილი ტერმინების მოდელის მიხედვითაა გაკეთებული და იოანე ქართველიშვილს ეკუთვნის. ანტონთან გვექონდა „**ერთის**“ ბრუნვა და ნათქვამი იყო: „...იქმნების უკვე სახელები, ბრუნვაა რიცხვთაცა“. თვით ტერმინზე არაფერი იყო ნათქვამი. გაიოზთან გვექონდა „**რიცხვობითი**“, რაც, ალბათ, დაედო საფუძვლად ქართველიშვილის ტერმინს „**რიცხვითი**“ [3, 404].

პროფესორ ელენე ბაბუნაშვილის აზრით, „ზედსართავი სახელი ანტონთან სახელებში შედის, როგორც სახელთა გარკვეული სახე. რაც შეეხება რიცხვით სახელს, ანტონი (წინააღმდეგ ა. ფოცხიშვილის მტკიცებისა) მას არსად არ განიხილავს თავის გრამატიკაში“ [4, 80].

ჩვენი მოსაზრებით კი, ტერმინი „**რიცხვითი სახელი**“ სწორედ ანტონ კათალიკოსს ეკუთვნის. როგორც ა. ფოცხიშვილი ამბობს, ავტორმა თავისი გრამატიკის მე-14 პარაგრაფში აღნიშნა, რომ „იქმნების უკვე სახელები ბრუნვაა რიცხვთაცა“ და აბრუნა მხოლოდ რიცხვითი სახელი **ერთი** „**მხოლობითად**“ და „**მრავლობითად**“:

	მხოლობითად	მრავლობითად
წრფელობითი	ერთი	ერთნი
ნათესაობითი	ერთისა	ერთთანი
მიცემითი	ერთს	ერთთა
შემასმენლობითი	ერთი	ერთნი
დაწყებითი	ერთისაგან	ერთთაგან
მოთხრობითი	ერთმან	ერთებმა
მოქმედებითი	ერთითა	ერთებითა
წოდებითი	ერთო	ერთებო

ჩვენთვის ანტონის გრამატიკის უფრო მესამე ნაწილია ყურადსაღები, რომელიც მთლიანად სინტაქსის საკითხებს ეთმობა - წინადადებებია გარჩეული („თვს დაჯელოვნებისა სვტაქსსა შინა ღრამატიკოსობითისა ველოვნებისასა მრავალთა მაგალითთა დადება, სხუათა და სხუათა წერილთაგან ჩუჭ ნთა აღმოღებულნი“).

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია 447-ე პარაგრაფიდან მე-15 მაგალითი: „**ექუსსა, რუასა და ათსა** ჟამსა უწყუჭტელად სლუად მოძღუართადმი, სხუა და სხუა სწავლათა მასწავლელთა, ესე ვითართა განზრახვთა, რათა **ორსა**, ანუ **სამსა** შინა წელიწადსა სრულ-ჰყოსმცა სწავლად აკადემიისა“...[5, 274].

წინადადების ანალიზისას ანტონ პირველი აღნიშნავს, რომ „**ექუსსა, რუასა და ათსა**, არიან **სახელნი რიცხვთნი**, მიცემითად ბრუნვლნი, რომელნიმე ძალით და რომელნიმე მოქმედებით და კავშირისა მიერ წმასუნილნი და შემდგომად თვსსა მდებარესა სახელსა ზედა შესრულნი...

ორსა არს **სახელი რიცხვითი** მიცემითად ბრუნვლი...

ანუ, არს კავშირი, რომელიც აბამს წუალვითრე შემდგომსა **რიცხვთსა სახელსა** წინადასათანა.

სამსა არს **სახელი რიცხვითი**, მიცემითად ბრუნვლი და ორნივე ესე **რიცხვთნი სახელნი** არიან ზედშესრულ არსებითისა, შემდგომად მდებარისა“ [5, 275].

დამოწმებული მაგალითიდან ნათლად ჩანს, რომ ტერმინი „**რიცხვითი სახელი**“ ანტონ კათალიკოსს ეკუთვნის პრე და პოსტპოზიციური წყობის (მხოლობით და მრავლობით რიცხვ.) ოთხივე ფორმის გამოყენებით. გაიოზისგან განსხვავებით, შემდგომი პერიოდის გრამატიკოსები - იოანე ქართველიშვილიცა და სოლომონ დოდაშვილიც ტერმინ **რიცხვით სახელს**

ანტონისეული ფორმით იყენებენ.

რაც შეეხება მე-18 საუკუნის თვალსაჩინო სახელმწიფოებრივი და საეკლესიო მოღვაწის, თელავის სემინარიის პირველი რექტორის, ნაყოფიერი მთარგმნელისა და მკვლევრის - გაიოზ რექტორის „ქართულ დრამმატიკას“, ის 1789 წელს დაიწერა.

ავტორი მეტყველების რვა ნაწილს გამოყოფს. სახელებს ორ ნაწილად წარმოგვიდგენს - „არსებითად და ზედშესრულად“. მისი აზრით, „ყოველი სახელი ქართულისა ენისა ბრუნუათა შინა ჰმსგავსებენ ურთიერთასა [6, 57].

82-ე პარაგრაფში სახელთა შორის განხილულია „**რიცხუობითნი სახელნი**“, რომლებიც, ავტორის თქმით, არიან **მარტივნი**, მაგალ., პირუჭლი, ერთი, ორი, სამი... ათი, ოცი, ასი, ბევრი და სხუანი; ანუ არიან **ჰრთულნი**, ათერთმეტი, ათორმეტი, ათსამმეტი, ათოთხმეტი, და სხუანი, ოცდაერთი, ოცდაოთხი... ორმეოცი, სამოცი, სამოცდაათი, ოთხმეოცი, ოთხმეოცდაათი; და ანუ არიან **სხმით-გარდასლვთნი**, მაგალ., მეორე, მესამე, მეოცე, მეორმოცე, მესამოცე... მეათასე და სხუანი, რომელნიცა იბრუნვიან ვითარცა ზემოხსენებულნი სახელნი დაბოლოებისამებრ თვისისა“ [6, 60].

ზემოაღნიშნულ გრამატიკებში, მართალია, რიცხვით სახელზე მწირი ცნობებია, მაგრამ სამივე ავტორის ტექსტებში მოხსენიებული რიცხვის გამომხატველი სიტყვების ფორმებით, შესაძლოა, XVIII საუკუნეში მეტყველების ამ ნაწილის მართლწერასთან დაკავშირებულ გარკვეულ კანონზომიერებებზე წარმოდგენა შეგვექმას. მით უმეტეს, რომ ანტონ პირველი თავის გრამატიკაში ნათლად მიუთითებს, რომ „დრამმატიკა არს შესაძლებლობა მართლ-უბნობად და წესიერ წერად“ [5, 115].

ცხადია, ეს კანონზომიერებები როგორც რაოდენობითი, ისე როგობითი რიცხვითი სახელების მართლწერას ეხება. მისი ძირი კი შორეულ წარსულში იძებნება, თუნდაც, XI-XII საუკუნეების ქართველი ფილოსოფოს იოანე პეტრიწის ნაწერებში. მის ენაში, ალექსანდრე გვენცამის აზრით, რიცხვითი სახელი ძირითადად ძველი ქართული ენის რიცხვითი სახელის მორფოლოგიურ-სინტაქსურ თვისებებს იცავს [2, 86]. და ეს წესი შენარჩუნებულია მე-18 საუკუნის გრამატიკებშიც, თუმცა პეტრიწთან გარკვეულ თავისებურებებსაც ვხვდებით.

ძველი ქართული ენისთვის, მაგალითად, **ათ-ერთ-მეტი** რაოდენობითი რიცხვითი სახელი 11-ის ჩვეულებრივი ფორმაა, მათ შორის XIII და XVIII საუკუნეებშიც. მაგალითად, გიორგი მერჩულის გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში, რომლის ჩვენამდე მოღწეული უძველესი ხელნაწერი XIII საუკუნისაა, ვკითხულობთ: „უბრძანა შემოკრებაჲ ძმათა ყოველთაჲ... გამოარჩინა მათ შორის ძმანი **ათცამეტნი** ხანცთისათვის საუხუცესოდ, და სხუანი ყოველნი სწორად განყვნა სამად გუნდად“ [7, 101], „... დასაბამითგან გარდასრულთა წელთა ექუს ათას **ხუთასორმეოცდამეათოთხმეტესა** წელსა“...[7, 128].

იოანე პეტრიწს კი **მეტ** ელემენტი მოუხსნია. ეს ნათლად ჩანს ქართველი ფილოსოფოსის როგორც ორიგინალურ („განმარტებაჲ პროკლესთვის დიადოხოსისა და პლატონურისა ფილოსოფიისათვის“), ისე ნათარგმნ ტექსტებში [8].

მაგალითად, „სრულ ყო რაჲ სიტყუაჲ **მეათე**, იწყებს თავსა **ათერთსა**“ [8, 38]... „სრულ ყო რაჲ თავი **მეათერთე**“ [8, 43]... „სრულ ყო რაჲ სიტყუაჲ **მეათორისა** თავისაჲ“ [8, 45]. ფორმა **ათსამმეტი** შეცვლილია **ათ-და-სამით**, რიგობითში: „და აწ **ათ-და-მესამესა** ზედა დაჰრთავს“ [8, 45]... „შემდგომად **ათდამეოთხისა** თავისა“ [8, 46].

რიცხვითი სახელების ამგვარი წარმოება ბერძნული გრამატიკის ზეგავლენის შედეგი გვგონია (მაგ., ერთი და ათი, ორი და ათი, სამი და ათი და ა.შ.). იოანე პეტრიწი ხომ ხშირად ასახელებს თავის წყაროებს - ბერძენ და ბიზანტიელ ფილოსოფოსებს: პითაგორას, პლატონს, არისტოტელეს, პროკლესა და სხვებს, მათ შორის - ფილოსოფოსსა და გრამატიკოს გრიგოლ ნაზიანზელს. მოსე გოგიბერიძის აზრით, პეტრიწი „რიტორიკის, გრამატიკისა და ფილოსოფიის შესახებ მსჯელობას გრიგოლ ზანიანზელის დებულების საფუძველზე ავითარებს“ [8, 35-36].

აქ ერთგვარი პარალელის გავლება შეიძლება მეგრული ენის რიცხვით სახელთან. საქმე ის არის, რომ დღევანდელ მეგრულში (ალბათ, ძველშიც) 11-დან 19-ის ჩათვლით რიცხვითი სახელები ქართული რიცხვითი სახელებისგან განსხვავებული ფორმით იწარმოება - პეტრიწისეულ ფორმას ემსგავსება, **მეტ-ი** არ აქვს: მაგალითად, **12** (ათ-ორ-მეტი) - **ვითოჟირი**

[ვით(ი)-10 (დ)ო (და) ჟირი-2], **13** (ათ-სამ-მეტი) - **ვითოსუმი** [ვით(ი)-10 (დ)ო (და) სუმი-3], **15** (ათ-ხუთ-მეტი) - **ვითოხუთი** [ვით(ი)-10 (დ)ო (და) ხუთი-5], **19** (ათ-ცხრა-მეტი) - **ვითოჩხორო** [ვით(ი)-10 (დ)ო (და) ჩხორო-9]... **32** (ოც-და-ათ-ორ-მეტი) - **ეხდოვითოჟირი** [ეჩ(ი)-20 დო(და) ვით(ი)-10 (დ)ო ჟირი-2), **37** (ოც-და-ათ-შვიდ-მეტი) - **ეხდოვითოშქვითი** [ეჩ(ი)-20 დო (და) ვით(ი)-10 (დ)ო შქვითი-7].

საინტერესოა და საკვლევიც, რიცხვითი სახელების წარმოების რომელი ფორმაა უწინარესი - მეგრული თუ პეტრიწისეული. ჩვენ ვფიქრობთ, რომ მეგრული რიცხვითის ფორმები უადრესია, რადგან ცნობილია, რომ ახალი წელთაღრიცხვის, ფაქტობრივად, პირველი საუკუნიდან სამეგრელოს ახლო ურთიერთობა ჰქონდა ბიზანტიასთან, ამიტომ იმ ადრეულ პერიოდში ენათა ურთიერთობისას, გამორიცხული არ არის, ბერძნულ გრამატიკას მეგრული რიცხვითი სახელის წარმოებაზე ზეგავლენა მოეხდინა.

გვესმის, რომ ყოველივე ზემოაღნიშნული მხოლოდ ვარაუდია და მას სათანადო დასაბუთება სჭირდება. ვფიქრობთ, ეს ურთიერთობები და რიცხვითი სახელის მართლწერის ისტორიასთან დაკავშირებული საკითხები უფრო საფუძვლიან კვლევას მოითხოვს. მით უმეტეს, რომ ქართული რიცხვითი სახელის წარმოებაში დღემდე აშკარად არის გამოკვეთილი მეტყველების ამ ნაწილის გაფორმების ორი სისტემა - ათობითი, რომელიც ბერძნულ-ბიზანტიურ გრამატიკას ეფუძნება, და ოცობითი, სპარსულ-არაბული წყაროებიდან შემოსული.

XIX საუკუნის პირველი ნახევრის გრამატიკებიდან, როგორც ზემოთ აღნიშნა, რიცხვით სახელებთან დაკავშირებით იოანე ბატონიშვილისა და სოლომონ დოდაშვილის შეხედულებებზე გვინდა შევაჩეროთ ყურადღება. პროფ. ალექსანდრე ფოცხიშვილი მართებულად მიუთითებს, რომ დოდაშვილს ძირითად წყაროდ გამოუყენებია ქართველიშვილის გრამატიკა, „რომლის ზოგ პარაგრაფს იგი უცვლელად მისდევს ან იმეორებს იმავე აზრს, ოღონდ უფრო შემოკლებული რედაქციით... ეს ჩანს სოლომონის გრამატიკის პირველი პარაგრაფიდანვე - თვით გრამატიკის საგნის განსაზღვრიდან, რაც მასთან ასეთი რედაქციითაა: „ქართული ღრამმატიკა ასწავებს კანონიერსა უბნობასა და წერასა ქართულად“. იოანესთან კი „ღრამმატიკა არს ჰსწავლა ხელმძღვანელი კანონიერისა უბნობისა და მართლწერისადმი“ [3, 478].

ქართველიშვილი და დოდაშვილიც, წინამორბედთა მსგავსად, გამოყოფენ „რვათა ზედა სახეთა, ანუ ნაწილთა სიტყვისათა, რომელნიც არიან: 1. სახელი, 2. ნაცვალსახელი, 3. ზმნა, 4. მიმღეობა, 5. თანდებული, 6. ზმნიზედა, 7. კავშირი, 8. შორისდებული“. მათი აზრები, ასევე, ემთხვევა ერთმანეთს სახელთა ჯგუფების განხილვისას. იოანესთან „სახელი არს ნაწილი სიტყვისა, რომლითა იწოდებიან ყოველნი პირნი, ანუ ნივთნი, აგრეთვე ვითარებანი მათნი და რაოდენობანი“.

ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „სახელი განიყოფების სამთა ზედა: 1. არსებითსა ზედა; 2. ზედმესრულთა ზედა; და 3. რიცხვთსა ზედა“ (სათანადო მაგალითებითაც განამტკიცებს: „კაცი გულისხმიერი“, „ქვეყანა ნაყოფიერი“, „ორი დღე“). იქვე იმასაც მიუთითებს, რომ „რიცხვი აღნიშნავს რიცხვსა და რაოდენობასა ნივთისასა და იცნობვის კითხვათამებრ: რაოდენი, ანუ მერაოდენე (ორი, სამი, პირველი, მეორე). აქედან გამომდინარე, რიცხვით სახელს ორ ჯგუფად ჰყოფს: **რაოდენობითად და წესებითად**. **რაოდენობითი** რიცხვითი სახელი რაოდენობის მაჩვენებელია, ხოლო **წესებითი** - წესისა, „რომელთა პირი ან ნივთი ერთიმეორესა შეუდგების“.

როგორც ალ. ფოცხიშვილი შენიშნავს, ტერმინი „**წესებითი**“ რუსული **порядковый**-ის შესაბამისი უნდა იყოს, რადგან ეს სიტყვა რუსულში „**რიგსაც**“ ნიშნავს და „**წესსაც**“.

სოლომონ დოდაშვილს არსებითსა და ზედსართავ სახელებზეც მსგავსი შეხედულება აქვს, სამაგიეროდ, განსხვავებულად და ორიგინალურად ყოფს რიცხვით სახელს. მისი აზრით, „რიცხვითი სახელი არს ლექსი, რომლითაცა აღნიშვნის რიცხვი საგანთა, ანუ წესი, რომელსაცა შინა იგინი ერთი მეორესა შეუდგებიან, მაგალ: ერთი, ორი, სამი, პირველი, მეორე, მესამე, მეათე, ნახევარი, უღელი, ყვეარი და სხვანი“ [9, 120].

სახელმძღვანელოს ავტორის კლასიფიკაციით, „რიცხვითნი სახელნი იქმნებიან:

1. **რაოდენობითნი**, რომელნიცა აღნიშვენ რიცხვსა საგანთასა, მაგალ., ერთი, ორი, სამი,

ათი, ათასი და სხვანი.

2. **წესებითნი**, რომელნიცა აღნიშვნენ წესსა საგანთასა, მაგალ., პირველი, მეორე, მესამე, მეათე და სხვანი.

3. **დანაწევრებითნი**, რომელნიცა აღნიშვნენ ნაწილსა, ანუ კერძოსა ყოვლადისა რიცხვისასა, ანუ ნაწევარსა, მაგალ., ნახევარი, ნასამედი, ათეული, ასეული და სხვანი.

4. **შემკრელობითნი**, რომელნიცა აღნიშვნენ საცნაურსა რიცხვსა საგანთასა შეკრებულთა ხატითა, მაგალ., წყვილი, სამკეცი, უღელი, ყევარი და სხვანი“ [9, 120].

იმის მიუხედავად, რომ რიცხვითი სახელი ჯერ კიდევ ცალკე მეტყველების ნაწილად არ არის ჩამოყალიბებული, როგორც ვხედავთ, ორივე გრამატიკოსი სახელთა ჯგუფებში სათანადო ყურადღებას ამახვილებს მასზე და გარკვეულწილად ლექსიკურ-მორფოლოგიური თავისებურებებიცაა წარმოჩენილი.

იოანე ქართველიშვილი გაიოზის გრამატიკაზე დაყრდნობით აღნიშნავს, რომ რიცხვითი სახელები არის მარტივი (ერთი, ორი, პირველი, ასი) და რთული (ათერთმეტი, ათორმეტი)... „და ესრეთ ამათაცა შესაძლებელ არს ბრუნვად, ვითარცა ზემოხსენებულნი სახელნი“.

დოდაშვილის გრამატიკაში რიცხვითი სახელის ბრუნების ზოგიერთ თავისებურებას ფრაგმენტულად მაინც ვხვდებით. ავტორი ერთგან შენიშნავს, რომ „ყოველნი სახელნი ზედშესრულნი და რიცხვითნი იბრუნვიან მაგალითთამებრ არსებითისა სახელისა. მაგალ., გულისხმიერი, გულისხმიერისა, გულისხმიერსა და სხვანი. ერთი, ერთისა, ერთმან და სხვანი“ [9, 127].

მესამე კანკლედობის (ბრუნების) განხილვისას ნაბრუნებია სიტყვები: გვირგვინი, ანტონი, ნათელი (მხოლობითსა და მრავლობით რიცხვებში), რომლებსაც მოსდევს შენიშვნა: „ამათ მაგალითთამებრ იბრუნვიან ყოველნი სახელნი დაბოლოებულნი ი-სა ზედა. მაგალ., კაცი, ნათესავი, მთიები... პირველი, ერთი, ორი, სამი, ათი და სხვანი... მესამე კანკლედობასა შინა ჯერ-არს ჰხსოვად შემდგომნი შენიშვნანი: ა. ყოველნი სახელნი, დაბოლოებულნი ი-სა ზედა, ისპობენ თვისსა დამაბოლოებელსა ასოსა, ბრუნვათა შინა მიცემითსა, მოთხრობითსა და წოდებითსა მხოლობითისა რიცხვისა. მაგალ., კაცი, კაცსა, კაცო... ერთი, ერთსა, ერთო და სხვა, ხოლო მრავლობითსა რიცხვსა შინა ყოველთა ბრუნვათავე ისპობენ დამაბოლოებელსა მას ასოსა ი-სა“ [9, 124-125].

კიდევ ერთი საგულისხმო შენიშვნა, რომელიც რიცხვით სახელთან დაკავშირებით არის აღნიშნული სოლომონის სახელმძღვანელოში: „სახელნი ზედშესრულნი და რიცხვითნი, მდებარენი არსებითისა სახელისა თანა, ითანხმებიან ბრუნვითა და რიცხვითა; მაგალ., გულისხმიერი კაცი, განვრცელებული ზღვა, ერთი ღმერთი, პეტრე პირველი და სხვანი“ [9, 160].

დასკვნა

ყოველივე ზემოაღნიშნულის მიუხედავად, ისევე როგორც ზურაბ შანშოვანის, ანტონ პირველისა და გაიოზ რექტორის, იოანე ქართველიშვილისა და სოლომონ დოდაშვილის გრამატიკებშიც რიცხვითი სახელი დამოუკიდებელ მეტყველების ნაწილად არ არის გამოყოფილი. მართალია, დოდაშვილი რიცხვითი სახელის ბრუნების რამდენიმე ნიუანსთან ერთად ზოგიერთ სინტაქსურ ნიშანსაც (არსებით სახელთან ერთად ბრუნებასა და რიცხვში შეთანხმებას) მიუთითებს, მაგრამ ავტორმა, როგორც მოსალოდნელი იყო, სრულად მაინც ვერ გამოკვეთა რიცხვითი სახელის ლექსიკურ-სემანტიკური და მორფოლოგიურ-სინტაქსური თავისებურებანი. როგორც ლოგიკური მიმართულების წარმომადგენელმა, რიცხვითი სახელი სემანტიკურად საკმაოდ ორიგინალურად დაახასიათა, ხოლო ფორმით არსებითს მიაკუთვნა. სახელის გრამატიკული ბუნების გამოსაკვეთად კი მისი ფორმასაცვლელი ელემენტების გამოვლენა და ფორმაცვალებადობის თავისებურებების წარმოჩენაა აუცილებელი.

რიცხვითი სახელი, თავისი რიცხვითი განყენებულობის მიუხედავად, ფორმალურად არ არის სახელისგან განსხვავებული სიტყვა, თუმცა არსებით სახელთან და სხვა მეტყველების ნაწილებთან ურთიერთობით, გრამატიკული ბუნების დაზუსტებითა და წარმოჩინებით რიცხვითი სახელი მოგვიანებით ცალკე მეტყველების ნაწილად ჩამოყალიბდა.

ლიტერატურა:

1. ჩიქობავა არნ. (1965), იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია, თბილისი;
2. გვენცაძე ალ. (1972), ქართული ენის რიცხვითი სახელი, დამხმარე სახელმძღვანელო, თბილისი;
3. ფოცხიშვილი ალ. (1995), ქართული ენათმეცნიერების ისტორია, თბ.;
4. ბაბუნაშვილი ე. (1970), ანტონ პირველი და ქართული გრამატიკის საკითხები, „მეცნიერება“, თბილისი;
5. ქართული ღრამმატიკა (1885), შედგენილი ანტონ I-ის მიერ. რედაქტორი რაფიელ ერისთავი, გამოცემული ალექსანდრე ეპისკოპოსის საფასით, თბილისი, ექვთიმე ხელადის სტამბა;
6. გაიოზ რექტორი (1970), ქართული ღრამმატიკა (ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ელენე, ნიკოლაიშვილმა), „მეცნიერება“, თბილისი;
7. ხუცესი იაკობ (1985), შუმანიკის წამება, მერჩულე გიორგი, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება (სასკოლო გამოცემა), „განათლება“, თბილისი;
8. პეტრიწი ი. (1937), II ტომი, თბილისის სახ. უნივერსიტეტის გამოცემა (ტექსტი გამოსცეს და გამოკვლევა დაურთეს შ. ნუცუბიძემ და ს. ყაუხჩიშვილმა);
9. დოდაშვილი ს. (1989), თხზულებები, თბილისი.

For establishing the Georgian numerical name as a part of speech in the grammars of the XVIII-XIX centuries

Danelia Vazha

Georgian Technical University, Tbilisi

Abstract

There are not so few words in the Georgian language, the meaning of which is related to the concept of number, quantity. Along with the meaning, they are distinguished by grammatical features. The properties that are characteristic of numerical nouns allow them to be separated as a separate part of speech.

Research shows that this process has been going on for centuries. The work clearly shows the place of the numerical name in the grammars of the eighteenth century and the first half of the nineteenth century. The specifics of numerical names are reviewed in the textbooks of Zurab Shanshovani, Anton Perechi, Gayoz Rector, Ioane Batonishvili and Solomon Dodashvili.

Each author's views on numerical names are analyzed. A certain opinion is expressed that Dodashvili's "Georgian Grammar", which was printed in 1830, is mainly based on Kartvelishvili's grammar, but the author has presented many things in an original way, including the semantic characterization of numerical names.

Dodashvili's and Batonishvili's views on the numerical name are compared with the thinking of the predecessor grammarians and it is justified that the authors could not fully outline the lexical-semantic and morphological-syntactic features of the numerical name, that is why the numerical name is not separated as an independent part of speech in the above-mentioned grammars. It has been revealed that the term "numerical name" belongs to Anton the First.

Key words: numerical name, grammar, counting system, parts of speech, spelling, compound nouns, conjugation.

თარგმანი, როგორც კულტურათშორისი კომუნიკაციის აქტი

დეკანოზიშვილი ციური

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი

DOI: <https://doi.org/10.52340/idw.2023.25>

აბსტრაქტი. თარგმანი მნიშვნელოვან სოციალურ ფუნქციას ასრულებს ადამიანებში ინტერპერსონალური კომუნიკაციისთვის. თარგმანების გავრცელება უზრუნველყოფს ფართო წვდომას სხვა ხალხების კულტურულ მიღწევებზე, იძლევა ლიტერატურისა და კულტურის ურთიერთქმედების და ურთიერთგამდიდრების საშუალებას. კულტურათშორის კომუნიკაციაში თარგმანისა და ინტერპრეტაციის სიზუსტე არის ორ ან მეტ კულტურას შორის შეტყობინებების გაცვლის ძირითადი ელემენტი. სხვა კულტურის ცოდნის ნაკლებობამ შეიძლება გამოიწვიოს დაბნეულობა, გაუგებრობა ან თუნდაც შეურაცხყოფა კომუნიკაციის პროცესში. აქედან გამომდინარე, აუცილებელია ენაში მიმდინარე ცვლილებების ღრმა თეორიული და პრაქტიკული ცოდნა სოციოლინგვისტური ანალიზის თვალსაზრისით. მნიშვნელოვანია თარგმნილი მასალის კულტურული და ისტორიული ფონის რადიკალური ცვლილებები იყოს გამართლებული, შესაბამისი, დამაჯერებელი და თანმიმდევრული, რადგან შეუსაბამო ან არათანმიმდევრული კულტურული გადაადგილებები იწვევს გამოსახულების დეფორმაციას და ქმნის მკითხველის არასწორ წარმოდგენას საწყისი კულტურისა და ავტორის განზრახვის შესახებ.

სტატიაში „თარგმანი, როგორც კულტურათშორისი კომუნიკაციის აქტი“ განხილულია თარგმანის, როგორც კომუნიკაციური აქტის პროცესი და მასთან დაკავშირებული სირთულეები. ნაშრომში მოცემულია მთარგმნელობითი პროფესიის უფრო მჭიდრო ანალიზი ინტერკულტურული კომუნიკაციის თვალსაზრისით. აღწერილია კომუნიკაციის პროცესში ინფორმაციის გადაცემასთან დაკავშირებული ენობრივი კომპეტენციები; გამოვლენილია პრაქტიკული ხერხები, რომელიც საშუალებას იძლევა მოხდეს იმ დაპრკოლებების მინიმიზაცია, რაც თარგმანისას წარმოიშობა; ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია თარგმანზე, როგორც კულტურათშორის კომუნიკაციის სახეზე.

საკვანძო სიტყვები: თარგმანი, კომუნიკაცია, ინფორმაცია, კულტურა, ენობრივი კომპეტენცია, ფუნქცია.

თანამედროვე გლობალიზებულ სამყაროში, რომელსაც ახასიათებს კულტურული მრავალფეროვნება, ეფექტური ინტერკულტურული კომუნიკაცია გადამწყვეტია ადამიანებსა და საზოგადოებებს შორის ჰარმონიის, ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის ხელშეწყობისთვის.

ტერმინი „კომუნიკაცია“ ლათინური წარმოშობის სიტყვაა და ნიშნავს საერთოს (ლათ. *Communico* — „საერთოს ვხდი“). ამერიკელმა მეცნიერებმა დ. ლენემ და კ. ლარსონმა კი ამ ტერმინის 126 დეფინიცია განიხილეს. კომუნიკაციას ყველა დროში და ნებისმიერი საზოგადოების ყოფიერებაში უმთავრესი მნიშვნელობა ჰქონდა.

კომუნიკაცია ანუ ურთიერთობა წარმოადგენს ადამიანური პრაქტიკის იმ სახეს, რომელიც უკავშირდება ადამიანის შინაგანი სამყაროს წარმოშობას, მისი შეგნების და თვითშეგნების, შემეცნებითი შესაძლებლობების და ზოგადი აქტივობის ფორმირებას ე. ი. მთლიანობაში ადამიანური ფსიქიკისა და პიროვნების ყოველმხრივ განვითარებას. ნებისმიერი კომუნიკაცია შესაძლებელია ერთი ან სხვადასხვა კულტურების და ენობრივი სამყაროს წარმომადგენლებს შორის. ამ შემთხვევაში ჩვენ შეგვიძლია ვისაუბროთ კულტურათშორის კომუნიკაციაზე,

რომელშიც მონაწილეობენ სხვადასხვა კულტურული გამოცდილების მქონე ადამიანები.

ზოგადად, ინტერკულტურული (კულტურათშორისი)კომუნიკაციის ცნება გასული საუკუნის 50 წლებში შემოიტანა ამერიკელმა ანთროპოლოგმა ედვარდ თ. ჰოლმა. სამეცნიერო წრეებში და საზოგადოებრივ ცნობიერებაში კი კულტურათშორისი კომუნიკაცია გასული საუკუნის 70 წლებში გაჩნდა დიდი ეკონომიკური განვითარების, ტექნოლოგიებში რევოლუციური ცვლილებების და ამასთან დაკავშირებული ეკონომიკური საქმიანობის გლობალიზაციის შედეგად.

ინტერნაციურმა პროცესებმა განსაზღვრა კომუნიკაციის აქტივიზაცია, მათ შორის კულტურათშორის სფეროში. ამის გამოსობით სხვადასხვა კულტურების წარმომადგენლებს შორის კონტაქტების სიხშირე და ინტენსიობა საგრძნობლად გაიზარდა და კვლავაც იზრდება. ეკონომიკის გარდა პროფესიული და სოციალური კულტურათშორისი კომუნიკაციის მნიშვნელოვან სფეროებად იქცა მეცნიერება, განათლება, ტურიზმი. კომუნიკაციის შესწავლაში დიდი წვლილი შეაქვთ კოგნიტურ და სოციალურ ფსიქოლოგიას, სოციოლოგიას, ენების კოგნიტურ ლინგვისტიკას და ტიპოლოგიას.

კულტურათშორისი კომუნიკაციის ძირითადი ფუნქციებია კულტურათშორისი გაცვლის მატერიალური და იდეური ფასეულობებით უზრუნველყოფა, აგრეთვე სხვადასხვა ეთნოსების, ერების, ქვეყნების წარმომადგენლებს შორის კოოპერაცია სხვადასხვა ამოცანების გადაჭრისას.

ზოგადად კულტურა არის ადამიანის არსობრივი მახასიათებელი, რომელიც დაფუძნებულია ადამიანის უნარზე მიზანმიმართულად გარდაქმნას გარე სამყარო. კომუნიკაცია და ურთიერთობა არის ადამიანის ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ნაწილი და, მაშასადამე კულტურის ნაწილიც.

ენა ადამიანის სამყაროსთან სინთეზის შედეგია. სწორედ ენაშია აღბეჭდილი ერის ისტორიული გამოცდილება, მისი თვითმყოფადობა და აზროვნება. ენისათვის დამახასიათებელი თავისებურებები მეტ-ნაკლებად ნათლად მჟღავნდება თარგმანში, როდესაც ხდება „ორი სტრუქტურის სინთეზი, სადაც უცხო და მშობლიური ერთ მხატვრულ თვისობრივობადაა ქცეული“. ფანჯიკიძე, 1988.

ენა, როგორც კულტურის ფუნდამენტური კომპონენტი, ხშირად მოქმედებს როგორც ბარიერი კომუნიკაციისათვის. ამდენად უცხოენოვანი ადამიანების კომუნიკაციისას საჭიროა რაღაცა საერთო ენა, რომელიც დაეხმარება მათ ერთმანეთის გაგებაში. ასეთ შემთხვევაში კი ურთიერთობის საშუალება არის თარგმანი.

ერთი ენიდან მეორეზე თარგმანს ადამიანები საუკუნეების მანძილზე იყენებდნენ, მაგრამ მხოლოდ უკანასკნელ ათწლეულებში განიხილება კულტურათშორისი კომუნიკაცია და თარგმანი მჭიდრო კავშირში. აქ მთავარ როლს თამაშობს მთარგმნელი. ჩვენ დროში იგი უნდა იყოს არა მარტო ბილინგვი, არამედ ბიკულტურული, რადგან თარგმანი არა მარტო ლინგვისტური, არამედ კულტურული კომუნიკაციაა. ენა არა მხოლოდ გამოხატავს კულტურულ რეალობას, არამედ ანიჭებს მას ფორმას. ლინგვისტური ელემენტის აზრი მხოლოდ მაშინაა გასაგები, როდესაც ის შესაბამისობაშია კულტურულ კონტექსტთან.

თარგმანის თეორია, როგორც სამეცნიერო მიმართულება, წარმოიშვა მე 20 საუკუნის შუა ხანებში. ამას ბიძგი მისცა მთარგმნელობითი პრაქტიკის ძალუმმა გაფართოებამ, მეორე მსოფლიო ომმა და მასთან პირდაპირ თუ ირიბად დაკავშირებულმა პოლიტიკურმა მოვლენებებმა და ცვლილებებმა საერთაშორისო ურთიერთობის სფეროში ინკლუზიურად ჩართეს ახალი ხალხები და ენები, რის შედეგადაც გაიზარდა მთარგმნელების რიცხვიც.

თანამედროვე მთარგმნელობითი საქმიანობა გამომდინარეობს იმ პრინციპიდან, რომ თარგმნის პროცესი არის ენათშორისი და კულტურათშორისი კომუნიკაციის პროცესი, რომელიც მიმართულია ორიგინალის ტექსტის კომუნიკაციური ეფექტის გადმოცემაზე, ამასთან იკვეთება განსხვავებები, როგორც ორ ენას, ასევე ორ კულტურას შორის, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია. ამოსავალი ტექსტის კულტურულ-სპეციფიკური თავისებურებების შენარჩუნება იძენს დიდ მნიშვნელობას, რადგანაც კულტუროლოგიური ასპექტი შეადგენს როგორც შინაარსის, ისე ორიგინალის ესთეტიკური ინფორმაციის მნიშვნელოვან ნაწილს. თარგმანის აუცილებელი პირობაა ამოსავალი და თარგმანის ენების კულტურათა

თავისებურებების ცოდნა, აგრეთვე სათარგმნი ტექსტის სრული გააზრება.

მთარგმნელი თარგმნის პროცესში ცდილობს მაქსიმალურად დაუახლოვოს ერთმანეთს ორიგინალი და თარგმნილი ტექსტები, ცდილობს გადალახოს ის ენობრივი წინააღმდეგობები, რასაც იგი აწყდება თარგმნის პროცესში, ამავდროულად მთარგმნელმა თავი უნდა გაართვას იმ სხვადასხვა კულტურულ ისტორიულ გარემოებებს, რომელიც აქვს როგორც ამოსავალ, ისე მიზნობრივ ენებს, რადგან თარგმანი არის ურთიერთკავშირი არა მხოლოდ ორ ენას შორის, არამედ ორი ხალხის, ორი განსხვავებული კულტურის, ცხოვრების წესის თუ ტრადიციების კავშირი.

თარგმანი არის ინდივიდების ურთიერთქმედება, რომელშიც კომუნიკატები არიან ორი კულტურის წარმომადგენლები და თარგმანი ამ შემთხვევაში არის როგორც ენათშორისი, აგრეთვე კულტურათშორისი კომუნიკაციის საშუალება. კომუნიკაციური მიდგომის საფუძვლად ი. ნაიდა იყენებს კომუნიკაციის თეორიის ისეთ ძირითად ცნებებს, როგორიცაა წყარო, შეტყობინება, რეცეპტორი, უკუკავშირი, კოდირებისა და დეკოდირების პროცესები. კომუნიკაციური მიდგომა არის თანამედროვე ლინგვისტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპი და, აქედან გამომდინარე, იგი წარმოადგენს თარგმნის ლინგვისტიკის განუყოფელ ნაწილს.

თარგმანის ჟანრულ-სტილისტური კლასიფიკაცია ორიგინალის ჟანრულ-სტილისტურ თავისებურებებზე დამოკიდებულებით განაპირობებს თარგმანის ორ ფუნქციურ სახეს: ეს არის მხატვრული (ლიტერატურული) და ინფორმაციული (სპეციალური) თარგმანი.

მეცნიერების ნაწილი მხატვრულ თარგმანს განსაზღვრავს, როგორც მეტატექსტს: გავიხსენოთ შვეიცერი: „ენათშორისი და კულტურათშორისი კომუნიკაციების ცალმხრივ მიმართული და ორფაზიანი პროცესი“, რომლის დროსაც მთარგმნელობით ინტერპრეტაციას დაქვემდებარებული ამოსავალი ტექსტის საფუძველზე იქმნება მიზნობრივი ტექსტი „ტექსტი ტექსტში“, რომელიც ცვლის ამოსავალ ტექსტს სხვა ენობრივ და კულტურულ გარემოში. ამასთან, ანალოგი ხშირად განიცდის მოდიფიცირებას ორ ენას, ორ კულტურას და ორი კომუნიკაციური სიტუაციის განსხვავებებით“. Швейцер А. 1988

მხატვრული თარგმანი ასრულებს: 1. ესთეტიკურ ფუნქციას და 2. შემეცნებით ფუნქციას. შემეცნებითი ფუნქცია მოიცავს: ა) უცხო ქვეყნების ცხოვრებასთან, მათ ყოფასთან, მათ ზნე-ჩვეულებებთან და ისტორიასთან გაცნობას; ბ) უცხოენოვანი ლიტერატურის რეპრეზენტაციას. მისი ტენდენციების დაპირისპირებების, ავტორის სტილისა და ცალკეული ნაწარმოებების თავისებურებების წარმოჩინებას; გ) დედნის ინტერპრეტაციას;

ინფორმაციული თარგმანის ძირითადი ფუნქცია არის რაიმე სახის ინფორმაციის გადმოცემა და არა მკითხველზე მხატვრულ ესთეტიკური ზემოქმედების მოხდენა. ჩვენ დროში თარგმანის ყველაზე დიდი მოცულობა მოდის სწორედ საინფორმაციო ტექსტებზე, სამეცნიერო ტექნიკურ დოკუმენტებზე, სხვადასხვა საქმიან კორესპონდენციაზე და სხვა.

წარმოადგენს რა სხვადასხვა ეროვნების ადამიანთა შორის ურთიერთობის საშუალებას, თარგმანი გვევლინება ენათშორისი და კულტურათშორისი კომუნიკაციის ეფექტურ ინსტრუმენტად. ნაციონალური ენობრივი თავისებურებები და კულტურათა მრავალფეროვნება არ არის ბარიერი ხალხების ურთიერთგაგებისთვის და დაიდლევა თარგმანის მეოხებით. ცნობილი ლინგვისტი ვილჰელმ ფონ ჰუმბოლტის აზრით „სრულიად განსხვავებული ენებიდან თარგმნის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ყოველი იდეა, თუნდაც სხვადასხვა წარმატების ხარისხით, შეიძლება გადმოიცეს ნებისმიერ ენაზე“. Гумбольдт В. 1984

თარგმანის უმნიშვნელოვანესი სოციალური ფუნქციაა სხვა ხალხების კულტურების გაცნობა. ადეკვატური თარგმანის მისაღწევად მთარგმნელი კარგად უნდა იცნობდეს ორივე ენის კულტურას, იცოდეს კომუნიკაციის მიზანი და ის აუდიტორია, რისთვისაც თარგმნის; უნდა აღვნიშნოთ, რომ თარგმანი არ არის მხოლოდ სიტყვები, ფრაზები, წინადადებები, რომელთაც ვიყენებთ კომუნიკაციის დასამყარებლად, არამედ უწინარესად კულტურული თავისებურებები. ამიტომ რაც უფრო მეტი მსგავსებაა ორი ენის კულტურებს შორის, მით კულტურათშორისი კომუნიკაციის პროცესში უფრო პროდუქტიული გამოდის თარგმანი.

მთარგმნელი - ბილინგვი თავდაპირველად იღებს სათარგმნ ტექსტს უცხოენოვანი

სოციუმის ლინგვოკულტურის პოზიციიდან, ხოლო შემდეგ გადადის მშობლიური ენის სოციოკულტურულ კოდებზე. მთარგმნელობითი ბილინგვიზმის თავისებურებებია მისი ასიმეტრიულობა, ანუ ის, რომ მთარგმნელების უმრავლესობაში დომინირებს ერთი ენა და ერთი კულტურა, რომელსაც ექვემდებარება სხვა ენა და მეორე ის, რომ თარგმნის პროცესში ორივე ენა ერთდროულად მონაწილეობს მეტყველების აქტში. დომინირებული ენის და კულტურის პრიზმაში გაიაზრება და ითარგმნება უცხოენოვან ნაწარმოებში ჩადებული ფაქტები, მოვლენები, აზრები. მთარგმნელს მუდამ უხდება ენების და კულტურების ინტერფერენციის გადალახვა.

კულტურათაშორისი კომუნიკაციის პროცესში ურთიერთაგაგების მისაღწევად აუცილებელია ემპათია - საკუთარი თავის სხვა ადამიანის ადგილზე დაყენება, სამყაროს მისი თვალებით განჭვრეტის მცდელობა. თუ მთარგმნელს ეს გამოსდის, თარგმანი შეიძლება ჩაითვალოს წარმატებულად.

დასასრულს, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ თარგმანი ინტერკულტურული კომუნიკაციის ძირითადი მექანიზმია. მრავალი მეცნიერის ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია იმ დიდ და განსაკუთრებულ როლზე, რომელსაც თამაშობს თარგმანი კულტურის, მეცნიერების, ეკონომიკის, ლიტერატურის და თავად ენის განვითარებაში. თარგმანი შეიძლება განვიხილოთ, როგორც სოციოკულტურული ფენომენი. მას, როგორც სოციალური მოღვაწეობის სფეროს, აქვს მნიშვნელოვანი სოციალურ-აღმშენებლობითი როლი, რადგანაც თუ თითოეული ხალხის ენა ხელს უწყობს ნაციონალური ერთობისა და ეთნოსის იდენტურობის გრძნობის ფორმირებას, მაშინ თარგმანი უზრუნველყოფს კაცობრიობის ერთობის გრძნობის წარმოშობას.

ლიტერატურა:

1. Гумбольдт В. Фон. О различии строения человеческих языков и его влиянии на духовное развитие человечества // Вильгельм Фон Гумбольдт. Избранные труды по языкознанию. 1984
2. Nida E. Towards a Science of Translating E.J. Brill, Leiden 1964 p. 166
3. ფანჯიკიძე დ. თარგმანის თეორია და პრაქტიკა / დალი ფანჯიკიძე გამომცემლობა „განათლება“ - თბილისი, 1988
4. Швейцер А. Д. Теория Перевода: Статус, проблемы, аспекты / А. Д. Швейцер, М. Наука, 1988

Translation as an Act of Intercultural Communication

Dekanozishvili Tsiuri

Georgian Technical University, Tbilisi

Abstract

The article "Translation as an Act of Intercultural Communication" deals with the process of translation as a communicative act and the difficulties associated with it; Types of linguistic competence in the communication are analysed. Practical ways of translation are being found to minimize the possible obstacles in the translation process; The article focuses on translation as a form of intercultural communication.

Key words: Translation, communication, information, culture, linguistic competence function.

Kumkapı, Istanbul: Immigrant Waves and ‘For Rent’ Signs in the Linguistic Landscape

Wendel John

Professor Emeritus, Dokkyo University, Tokyo (Japan)

DOI: <https://doi.org/10.52340/idw.2023.26>

Abstract

This paper presents new data from a third survey of ‘For Rent’ signs in the Kumkapı district of Istanbul conducted in June 2023. Kumkapı is gathering place and home for many of Istanbul’s transit and new-arrival immigrants, refugees, and asylum seekers, making this district a unique vantage point from which to document change in a dynamic language ecology. First, I review the earlier two linguistic landscape surveys of ‘For Rent’ signs; the first survey was completed in January 2017, the second 18 months later in July 2018. There were significant differences found across the two surveys, e.g., in the latter, representing a major shift in language regimes, there was a far greater proportion of Uzbek to Turkish signs compared to the first January 2017 survey. Meanwhile, between the second July 2018 survey and this third June 2023 survey period, there has been a consequential five-year interval: in addition to elections, immigration and refugee issues have intensified across Turkey, and the world has experienced a global pandemic, lockdowns, and geopolitical upheavals. The data from the June 2023 is evaluated in the context of the earlier surveys and events of the five-year interval. The questions this paper addresses are, (1) What changes in the Kumkapı signage are observed across survey periods? and, (2) How can the changes be interpreted and explained? What emerges from the new data is familiar, but at the same time, it brings to light surprising adaptations to the changes in Kumkapı’s rental market.

Keywords: *linguistic landscape, sociolinguistics, Kumkapı, Istanbul*

1. Introduction

Strolling around Istanbul’s neighborhoods, one cannot help but be impressed with the multitude of languages heard on its streets and seen on the city’s signage. A result of Istanbul’s unique geographical location, it has been and continues to be a crossroads for people from wide ranging ethnic and cultural backgrounds, now readily accessible by commercial airliners and cruise ships, but also as in historical times, by land – Istanbul has been a bridge connecting Europe to Asia. Though there is much to be said about recent anti-immigration rhetoric and tightening policies, consistent with its past, Istanbul continues to be an attractor city for people from all points of the compass, and has the dubious status of being a “global city”, a “superdiversity city” (Eryadin et. al. 2017).

Istanbul straddles the European and Asian sides of the Bosphorus channel, it encompasses a huge area of 5,460 km² with a population officially at 15.4 million, though it is more likely to have a population approaching 20 million which includes sizable Kurdish and undocumented residential populations. (For comparison: Tokyo, 14 million people, 2,194 km²; New York City, 8.8 million people, 784 km²). While correctly characterized as a city of many languages, the districts within Istanbul have widely divergent language profiles (Wendel 2018a). A few districts such as Sultan Ahmet and Galata are heavily dependent on the tourist trade and English, Arabic, and major European and Asian languages are often heard, but the Bagilar district in the northwest is predominately Turkish. In the Kumkapı district, the focus of this paper, Kurdish and Turkish are widely spoken, but there are many other language such as Uzbek, Uyghur, Turkmen, Russian, Arabic, Urdu, and a variety of African languages.

Kumkapı is located along the Sea of Marmara, down the steep slopes from the hyper-touristic Grand

Bazaar. However, Kumkapı itself is not a tourist destination, rather it is a place tourists would avoid, being run-down, neglected, impoverished, and having none of the shine and glitz you find around Hagia Sophia, the Blue Mosque, and Ordu Caddesi (Ordu Street). Formerly an Armenian enclave and the present-day seat of the Armenian Patriarchate, Kumkapı fell into decline after the Armenians were driven out during the several expulsions in the early years of the Republic, or squeezed out because of the wealth tax laws in the 1940s. Many of the abandoned properties were eventually taken over by Anatolian Kurds and Turks who moved into the district in the 1980s and 1990s. Zazaki (a language in the Kurdish formation) is heard along the streets as frequently as is Turkish in many parts of this district. This district has also become the destination for newly arrived central Asian and African immigrants, refugees, asylum seekers, transit-immigrants, small-time traders, and unskilled laborers. Kumkapı, dubbed “Istanbul’s Mogadishu” and “Somali Street” by the Turkish press (Seibert 2011), was the most linguistically diverse of all the districts surveyed for the first 2016-2017 linguistic landscape study (Wendel 2018a) which documented ten districts around metropolitan Istanbul.

First, this paper will review findings from two past surveys of ‘For Rent’ signs in Istanbul’s Kumkapı district: the first survey was done in 2017, the second in 2018 (Wendel 2018b). I will present a brief summary of results (though the analysis is not yet complete) from the third survey conducted in June 2023.

This third June 2023 survey covers an expanded territory in Kumkapı not included in the previous two: whereas only signs along one continuous street (with two names, Molla Tasi and Katip Casim Cami Sok) were surveyed for the first and second surveys (solid arrows in Figure 1); all streets of lower Kumkapı were canvassed for ‘For Rent’ signs for the June 2023 survey (dotted arrows in Figure 1). I decided to expand the territory covered in order to obtain a comprehensive sociolinguistic profile of the district, insofar as ‘For Rent’ signs are concerned. Also, an important consideration after a five-year interval, I wanted to find out if the center of the ‘For Rent’ sign advertising market had shifted to another street or another part of the Kumkapı district.




Figure 1. Map of Kumkapı district. Solid arrow indicate the 2017 and 2018 survey streets; broken arrows indicate the June 2023 expanded area.

At its most superficial level, a linguistic landscape (LL) study is a procedure for evaluating language use in urban environments (Calvet 1994/2011, Ben Rafael 2009). Documentation of the signage gives insights into the language situation on the ground, it connects language, space and language users. A surface level analysis addresses such question as:

- How many languages are used?
- Which languages are used?
- What are the relative importance of languages?

- Who are the intended audiences of the signs?
- Were the signs public or private? On what authority? Who put up the signs?
- What functions do the signs serve?

But an LL study is not merely a cartographic exercise. Subsequent levels of analysis are interpretive and include historical and ethnographic background to determine, for example, the relative strength of top-down and bottom-up factors at work in the sociolinguistic environment. Also, for example, based on demographic records and documentary materials, we may be able to learn how past sociolinguistic regimes have shifted to present day regimes.

Using the evaluation of the linguistic landscape as a point of reference and a point of departure, the objective of any LL study is to understand, in terms of the broader social, cultural and historical contexts, how and why languages are used in the district, their roles and functions, and the relationships between the languages and the speakers of the languages in historical time-space (Blommaert 2013). Among other considerations, such an analysis involves notions of power and subordination, autonomy and dependence, competition and cooperation. In effect, this is an ecological endeavor, much as a biologist would seek to understand why a species, for example, has ceased to exist in a particular environment. The biologist must learn about the niches the species once occupied in the habitat, the interdependencies and structural relationships with other species and the physical characteristics of the environment in which the species had thrived. We do not want to reduce this endeavor to a Darwinian spectacle, on the other hand. Humans are hyper-social creatures, there is always agency and agenda that must be factored into any analysis.

Obviously then, one cannot limit oneself to a statistical analysis of the signs themselves, one is obliged to go beyond the signage, the statistical findings that are jumping-off points in the analysis. Additionally, it is vital to understand that the signage is not a mere reflection of the present day historical moment in time (i.e., a synchronic or ‘event-based’ historical approach), rather the signage (the languages on the signs, the signs’ targeted audience, the information on the signs, the placement of the signs, on whose authority the signs were placed, the ‘personality’ of the district, all this and more) is a manifestation over historical time (*la longue durée*, in Ferdinand Braudel words: Braudel 1958/2009) of a multitude of currents and cross-currents involving cultural, social, demographic and historical phenomena. This is the interpretive task that lies ahead.

2. Two Kumkapi surveys: January 2017 and July 2018 – a review

This paper will consider, with some exceptions, one particular type of sign: the ‘For Rent’ signs in Kumkapi. The explanation for this is as follows. In fact, the first survey (January 2017) documented all the visible signage in the linguistic landscape along the streets indicated above (solid arrows in Figure 1). Simplifying things a bit, there were commercial signs (put up by owners of stores, shops, and restaurants), and official/public signs (put up by the municipality including street signs of various sorts), and then, to my surprise, there were these ‘For Rent’ signs, dozens of them (and a few other A4 paper signs which I will talk about later). The commercial and official signs were interesting in their own right (e.g., with few exceptions, most signs were in Turkish, targeting Turkish or Kurdish residents; and I note again in passing, not one sign was found in Kurdish, and the only Armenian signs to be found were a handful of historical or religious markers around the Armenian Patriarchate). But most all of the commercial and official signs in the LL environment were permanent, immovable fixtures constructed with metal, glass, electric bulbs, neon tubing, and weather-resistant paints, mounted with iron and steel to cinder-block or metal surfaces -- fixtures that could last for years to come. Whereas the ‘For Rent’ signs were fragile sheets of paper of very short half-life. In this sense, the two types of signs struck me as being somewhat like the difference between a Russian novel and a Japanese haiku. These short-lived ‘For Rent’ signs spoke to me in the language of immediacy, of the unconstrained present. They breathed, they were signs of thriving human life, as much about adventure as misadventure, hope as tragedy. They were, more than any sign one could imagine, about the present moment and present human needs: shelter. In the midst of this chaotic mega-global city which is Istanbul with all its densely packed human energy and politically charged fractious divides, a shelter is a kind of oasis, a place of refuge, as vital to life as water. These ‘For Rent’ signs pointed to the stories that people on-the-go, who have ‘no-choice-but-to-go’, have to tell. They are about displacement, dispossession, searching and survival. From an LL perspective, these signs implied a mid-point in an immigrant’s journey, another chapter in their life’s trajectory. The signs’ very impermanence and fragility were emblematic of their role in the journey –

perhaps it is an old person, a young person, a couple, a family, a sister, a grandchild; perhaps a refugee, a transit-immigrant, or asylum seeker, or person of uncertain visa status, perhaps a state-less person. From a sociolinguistic perspective then, these signs represented a point of reference that reached back into a difficult past and forward into an uncertain future. I believed that they were foundational data for a uniquely focussed LL study.

	January 2017	July 2018
Total signs	73=N	133=N
Turkish	65 (89%)	49 (37%)
Printed	63	35
Hand	2	14
Uzbek	3 (4%)	83 (63%)
<i>Uzbek, Latin</i>	0	37
Printed	0	33
Hand	0	4
<i>Uzbek, Cyrillic</i>	0	46
Printed	0	9
Hand	3	37
Russian (hand)	4 (5%)	0
Arabic (script)	1 (1%)	1 (<1.0%)

Table 1. Results for Kumkapı ‘for rent’ signs across two survey periods.

So, continuing along, in the first 2017 survey, I documented in the district, apart from the fixed commercial and official municipal signs, a large number of signs advertising rooms or apartments ‘For Rent’. These were paper signs of the A4 size, either printed or hand written. Most were written in Turkish (89%), a few in Uzbek (4%) and Russian (5%) (see Table 1). Eighteen months later, the July 2018 survey of the same streets in Kumkapı showed a shift in both the number of for rent signs, and the languages used on them (Table 1). In this instance, the majority of the ‘For Rent’ signs were written in Uzbek (63%) while Turkish signs had dropped to 37%. What was also striking were the scripts found on the signs. Of the 83 Uzbek signs, 46 were written in Cyrillic, 33 in Latin script; 37 of the Cyrillic signs were hand-written. The differences found across the two surveys (18 months apart) raised many questions.

I find it useful to review results of the 2017 and 2019 surveys of ‘For Rent’ signs of Kumkapı along several themes: non-permanence, information content, authorship, audience, authorship, printed vs. hand-written, and purpose.

Non-permanence

The ‘For Rent’ signs are never permanent fixtures in the LL. They are A4-size sheets of paper, taped or stapled to a surface usually a eye level or just above. They cannot last more than a few months before the elements (rain, wind) or a human rips them off the wall or places a sign over them, covering them (Figure 2). The information on the signs may be short-lived as well: as soon as a room or apartment is rented, the sign has lost its use. The ink on paper will blur or run when in contact with rain water, eventually the signs will fade and disintegrate, or be replaced by a new signs. Why use sheets of paper instead of more permanent signs? (1) Because the information is hot or useful only for a short while, and as soon as the vacancy is filled, the sign has no further use, or (2,) in order that the residential and fee arrangements between parties are not taken notice by the authorities.




Figure 2. Kumkapı 'For Rent' and community notice board (July 2018).

Information

All 'for rent' signs announce a room or apartment for rent, by the day, week or month; for single man, woman or family. Often the signs will announce that the units are rented by the owner or '*sahibiden*' meaning "from the owner" (as opposed to being sublet), and will always include one or two telephone contact numbers. Several signs also offered a job or work opportunity along with a unit. Whereas the information on most of the signs in the 2017 survey were Turkish, the 2018 survey showed a far greater number of Uzbek signs. The obvious explanation is that Uzbeks had moved into the district, most likely first-time immigrants to Turkey of uncertain work and/or visa status. One reason for their presence in Kumkapı may be because of the proximity of the Immigration Office at the end of Molla Sok. It has been said that the authorities allow new immigrant arrivals the freedom to move about so long as they remain in the district. Another reason is that minority populations often form communities in order to better protect themselves, to promote a sense of solidarity in a foreign environment, to more easily exchange information, to help with getting work and day to day survival. In their study comparing Uzbek communities in Moscow and Istanbul (Urinboyev & Eraliev 2022), the authors found the Moscow Uzbeks were widely dispersed around Moscow and not forming a physical community (although they kept in touch with various SNS), whereas the Istanbul Uzbeks had formed physical communities in "Kumkapı, Laleli, and Zeitenburo". There were five Russian signs in the 2017 survey, but none in the 2018 survey. It is well known that Uzbeks also speak Russian, so it could be that Uzbeks were the target audience for 2017 survey. It could be that the absence of Russian signs in 2018 was because landlords switched to making the language of the signs from Russian to Uzbek.

Who authored the signs?

It should be obvious that Turkish landlords or their proxies authored the 'For Rent' signs. Are their criminal networks behind this enterprise? It is known that Laleli and Kumkapı both have been neighborhoods where prostitution and drugs are found, so it is likely that criminal gangs are involved in one way or another. In any case, the rental market is an unregulated, underground market. Landlords or their proxies do not ask for permission to display the signs. Further, they are not required to rent accommodations which meet any given standard or are rented at a fair price.

Audience

It might seem obvious to say that there is a one-to-one relation between language and intended audience: e.g., Turkish for Turks, Uzbek for Uzbeks. But this relation is never straightforward, no matter where you are around the planet. In this case, it is not at all likely that Turks are the target of these signs. They have other means of renting units and would not need to resort to an underground market such as we

find in Kumkapı . In any case, many of the Turkish signs include language identifying “Uzbek” or “yabancı” (meaning ‘foreigner’) as the intended target. Clearly, however, the Uzbek ‘For Rent’ signs are intended for Uzbeks. On the assumption that foreigners and especially Uzbeks are the targeted groups, then we must ask what is the difference between advertising in Turkish and Uzbek. As mentioned above, Turkish and Uzbek are in a very close genetic, cultural and historical relation. They are members of the Turkic language family, share the same SOV sentence organization, same vowel harmony, and a similar agglutinative morphological structure. An Uzbek speaker can easily acquire conversational Turkish, and the reverse is true as well. Many Uzbeks I have spoken to tell me this is so. In addition, Uzbeks can read both the Latin and Cyrillic alphabets (the Uzek government is slowing shifting away from Cyrillic: see Tolipov 2017). Advertising a ‘For Rent’ sign in Turkish is likely is informationally effective, but doing so in Uzbek is more than effective, It is conveying the feeling that, “You are welcome. We speak your language.” Most effective, I suggest, is writing a sign in Cyrillic, as this is the traditional script used in Uzbekistan, despite government policy.

I note in passing that there are absolutely no signs in Kurdish language (not one, not even a shop sign) in spite of the fact that you hear Kurdish spoken everywhere on the streets of Kumpapi. It is de facto if not de jure illegal to write, display or publish texts in the Kurdish language. The Kurdish population of Istanbul, by some accounts, exceeds two million.

Printed vs Hand-written

Many of the Cyrillic signs from the July 2018 survey are hand-written. There may be several reasons for this: the most likely reason may be that the authors have no access to Cyrillic word processing equipment. The very unsteady hand of several of these signed suggest that they were written by non-native writers. As for the hand written Turkish signs, it may be that the writers of these signs simply didn’t have the time to print their signs.

Purpose

The purpose of the ‘For Rent’ signs is for the landlords to broadcast their vacancies and make money. But we can assume, however indirectly, that the signs also serve other functions as well, such as connecting transit and new-arrival immigrants with a community, with work opportunities and, possibly, with criminal networks. These are exploitative networks that can be very disadvantageous for immigrants leading to blackmail and other unpleasantnesses, ultimately to deportation. This raises many other questions. Everything so far indicates that the ‘For Rent’ market is targeting foreigners, especially Uzbeks. Why is there such a concentration of immigrants in Kumpapi? Immigrants often form neighborhoods for mutual support and security, but another reason offered, as above, is that the Turkish authorities allow new arrivals and transit immigrants to roam freely so long as they remain in the district (Ozkul 2015).

3. Third June 2023 survey: Results and discussion

As of this writing (20 June 2023), the June 2023 survey data was recently collected, thus the presentation and interpretation of results reported in this paper will be incomplete. I followed the same procedure in earlier surveys for documenting the June 2023 ‘For Rent’ signs. All signs were photographed and are being and catalogued for characteristics including language (Turkish, Uzbek), script (Latin, Cyrillic), and print (hand written, machine printed). With very few exceptions, every ‘For Rent’ sign documented was, as in previous surveys, a sheet of white A4-size paper, taped or glued to wall surfaces on buildings or aluminum fences, or taped to utility poles, doors or shop windows. The results of the June 2023 survey are presented in Table 2.

	January 2017	July 2018	June 2023
Total signs	73=N	133=N	155=N
Turkish	65 (89%)	49 (37%)	142 (92%)
Printed	63	35	111
Hand	2	14	31
Uzbek	3 (4%)	83 (63%)	13
<i>Uzbek,</i>	0	37	5 (8%)
<i>Latin</i>			
Printed	0	33	

Hand	0	4	
<i>Uzbek, Cyrillic</i>	0	46	8
Printed	0	9	
Hand	3	37	
Russian (hand)	4 (5%)	0	0
Arabic (script)	1 (1%)	1 (<1.0%)	0

Table 2. Results for Kumkapı ‘for rent’ signs across three survey periods.

Before looking over the results, however, we must take note of events occurring during the five-year interval between the second and third surveys that may have impacted the conditions for migrant and minority populations in Turkey, specifically in Istanbul. In short order these events include, the Syrian civil war bringing millions of refugees fleeing the conflict into Turkey; large numbers of refugees, asylum seekers, transit-immigrants, and undocumented persons entering Turkey from Iraq, Iran, Afghanistan, Uzbekistan, Turkmenistan, Africa, and especially recently several hundred thousand people fleeing Russia and Ukraine; the continuous, low level Turkish military action against Kurds in eastern Turkey and along the Syrian border; the deportation of refugees and immigrants during and following the pandemic (e.g., see the recent BBC account of Syrians deported from Turkey and Lebanon: Michaelson et. al., 2023); the ever-present threat of terrorist attack targeting civilians in Turkey and Istanbul, recently a bombing in Istanbul next to Taksim square on 13 November 2022 killing six and injuring scores; the precipitous fall in value of the Turkish lira leading to spiraling inflation; the recent elections (May 14 and 28, 2023) during which the both major party candidates made promises to end the immigration crisis.

All told, these events have caused a backlash against migrants and minorities that is evidenced in anti-immigration laws, unfavorable rulings, menacing political rhetoric, and unwelcoming attitudes among the public. The waves of immigrants arrival over the years have stretched what few immigrant and refugee support systems exist and have made a difficult life for migrants even more perilous, uncertain and costly. For immigrants in Istanbul, there is always the threat of arrest, and judgements are swift, arbitrary and unfavorable. (At the same time, as happens everywhere, other life forms keep in step: the Turkish government attracts international tourists with alluring videos of Istanbul’s historic landmarks and the gorgeous beaches on the Aegean coast resorts. And tourists answer the call.)

The results in Table 2 suggest that, despite a grim five-year interval, the underground market renting rooms in Kumkapı continues to thrive at roughly the same level as before: the number of signs documented, N=155, representing the total for the entire expanded area covered. But even if we limit the coverage to the same streets as the two previous surveys, the number stands at 106 (while 49 ‘For Rent’ signs were found in the expanded area minus the main street; which included 8 signs in Uzbek, of which 7 were written in Cyrillic script, 1 in Latin script). Recall that I surveyed the expanded area believing that, after five years, the center of the ‘For Rent’ signs market might have shifted to another part of the Kumkapı, but that was not the case. Another notable result from this third survey is the large percentage of Turkish signs (92%), greatly outnumbering the Uzbek signs (8%). The figures for the Turkish and Uzbek are closer to those of the first January 2017 survey. That said, it is clear that the signs collected in this third survey targeted the same audiences, i.e, Uzbek and foreigner (‘yabancı’), as did the earlier surveys. A third feature from June 2023 survey is that the ‘For Rent’ signs have not deviated from the earlier format: A4 size, black-and-white computer printed (or a few hand-written), taped or stapled to surfaces at eye level on walls, solid aluminum fencing, telephone poles. As before, there are no ‘For Rent’ signs using color, or using stronger materials such as cardboard, or in a larger size paper. In other words, there appears to be little change except for the language used on the signs shifting to Turkish.

I note that in addition to the ‘For Rent’ signs, I found similarly formatted A4 size signs advertising for Turks who speak Russian (two signs in shop windows looking for Russian interpreters, presumably to sell products to Russian clientele), and one color Uzbek sign advertising babysitting services in the Cyrillic script (presumably to mind the Uzbek infants while the parents are at work).

A thriving rental market, the same targeted audiences, the same sign formatting, the significant difference being that most of the signs are in Turkish: how can we explain these facts? With only 13 of 155 signs in the Uzbek language (whereas in July 2018, for a total of 133 ‘For Rent’ signs, 83 of them written in Uzbek, and of those, 46, over half, were written in Cyrillic script), a reasonable hypothesis is that there are fewer Uzbek arrivals and a greater number of non-Uzbek foreigner arrivals seeking rooms to rent. The signs are clearly targeting foreigners (not the local population of Kurds and Turks), and so one draws the logical conclusion that the landlords chose Turkish as the most effective medium, capable of reaching a far broader audience than any other language, for broadcasting vacancies to a diverse multi-ethnic, multi-national audience. Which brings to mind Spolsky and Cooper’s (1991) three maxims regarding the choice of languages one uses on signs:

1. Write in a language you know.
2. Prefer to write in a language that your readers are able to read.
3. Prefer to write in your own language or a language with which you wish to be identified.

So, what we may be seeing in Kumkapı, looking at the data in Table 2 across the three documentation periods, is a steady, stable rental market which experiences incoming and outgoing waves of immigrant populations: (Phase 1) In January 2017, most ‘For Rent’ signs were written in Turkish, the market mainly targeted *yabancı* (‘foreigners’); (Phase 2) In July 2018, large numbers of Uzbeks were moving into the district, the market adapted to this incoming wave by preparing a majority of signs in Uzbek (note: most of the hand-written Uzbek signs were written by non-native hands), while also continuing to put up signs in Turkish for non-Uzbek *yabancı*; (Phase 3) In June 2023, the numbers of Uzbek arrivals having significantly diminished, the market is targeting *yabancı* once again. So now we must particularly examine the role and function (the ecological niche, as it were) of Turkish in this environment. How is the language ecology impacted and how does it respond when numbers of non-Uzbek foreign-language speakers enter the district in need rooms to rent? There are structural relationships at work here that must be teased out.

As you can see, there is much more to be done in the analysis and interpretation of these ‘For Rent’ signs. Other documentary and demographic data will be examined in the future. Further analysis and interpretation of will have to wait.

References:

- Altıntop, Apak Kerem & Elçin İstif-İnçi. (2020). Acculturation strategies of Uzbek labour migrants in Istanbul.
- Ben-Rafael, Eliezer. (2009). A sociological approach to the study of linguistic landscapes. In: *Linguistic Landscape: Expanding the Scenery*, pp. 40-54. Elana Shohamy and Durk Gorter (Eds). New York: Routledge.
- Blommaert, Jan. (2013). *Ethnography, Superdiversity and Linguistic Landscapes: Chronicles of Complexity*. Clevedon: Multilingual Matters.
- Braudel, Ferdinand. (1958/2009). History and the social sciences. *Anthropologie Structurale*, Paris: Plon. (Translated by Immanuel Wallerstein).
- Calvet, Louis-Jean. (1994/2011). *Les Voix de la Ville: Introduction à la Sociolinguistique Urbaine*. Paris: Petite Bibliothèque Payot.
- Michaelson, Ruth and Asmaa Omer, Edmund Bower. (2023). ‘We fear leaving our house:’ Lebanon and Turkey step up Syrian refugee deportations. June 27, 2023. BBC article, online at: <<<https://www.theguardian.com/global-development/2023/jun/27/we-fear-leaving-the-house-lebanon-and-turkey-step-up-deportations-of-syrian-refugees>>>
- Ozkul, Derya. (2015). Migration in Turkey’s neoliberal era: The case of Kumkapı, Istanbul. In: *Social Transformation and Migration*. Eds: S. Castels, D. Ozkul, M. Cubas. Palgrave Macmillan.
- Seibert, Thomas. (2011). On Somali Street, Istanbul, migrants seek a new life. *The National (UAE)*. Publication date: September 5, 2011.
- Spolsky, B. and Cooper, R. (1991). *The Languages of Jerusalem*. Oxford: Clarendon Press.
- Tolipov, Farkhod. (2017). *Revere or Reverse: Central Asia between Cyrillic and Latin Alphabets*. The Central Asia-

Caucasian Analyst, June 6, 2017. Downloaded from: <https://www.cacianalyst.org/publications/analytical-articles/item/13447-revere-or-reverse?-central-asia-between-cyrillic-and-latin-alphabets.html>

Urinboyev, R. and S. Eraliev. (2022). Documentation and legalization arenas in Moscow and Istanbul. In: *The Political Economy of Non-Western Migration Regimes*, pp. 79-111. International Political Economy Series. Palgrave Macmillan.

Wendel, John. (2018a), Istanbul past and present: a linguistic landscape perspective. In: *3rd International Conference on Humanities and Social Sciences (IBAD-2018), July 9-11, 2018, Skopje, Macedonia*, pp. 106-116. Hayrullah Kahya (Ed.), ISBN: 978-605-66529-2-9.

Wendel, John. (2018b), Linguistic landscapes and superdiversity in Istanbul – A focus on Kumkapı, Istanbul’s “Mogadishu”. In *The IAFOR Conference on Heritage and the City. New York, 2018*. ISSN: 2434-5903.

ემოციურ-ექსპრესიული ლექსიკა მიმართვებში და ქართული სამეტყველო ეტიკეტი

ზექალაშვილი რუსუდან

ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი; თბილისი

DOI: <https://doi.org/10.52340/idw.2023.27>

აბსტრაქტი. მიმართვა დიალოგის განუყოფელი ნაწილია, განსაზღვრული კომუნიკანტთა დამოკიდებულებითა და თვით საუბრის ექსპრესიული ბუნებით. სტატიაში გაანალიზებულია ემოციურ-ექსპრესიული ლექსიკის შემცველი მიმართვა არაოფიციალურ კომუნიკაციაში მხატვრული ტექსტების დიალოგური ნაწყვეტების საფუძველზე; ნაჩვენებია მიმართვის მნიშვნელობა ქართულ სამეტყველო ეტიკეტში. ყურადღება გამახვილებულია იმაზე, თუ როგორ აისახება მოუბარი პირის დამოკიდებულება ადრესატისადმი და მისი ემოცია ექსპრესიული მიმართვის მეშვეობით; დახასიათებულია მარტივი და გავრცობილი მიმართვის გრამატიკულ-ლექსიკური საშუალებები და მათი სტილისტიკური შეფერილობა.

აგებულების თვალსაზრისით გამოყოფილია ერთკომპონენტური, ორ- და მეტკომპონენტური მიმართვები. ერთსიტყვიან მიმართვებში გვხვდება ანთროპონიმთა კნინობით-ალერსობითი ფორმები, ექსპრესიულ-ემოციური გაარსებითებული ზედსართავი სახელები და მეტაფორულად გამოყენებული ზოონიმები; გავრცობილ მიმართვებში ლექსიკური ერთეულები მარკირებულია ემოციური ელფერის მიხედვით, მაგრამ მათი სწორი ინტერპრეტაცია დამოკიდებულია საკომუნიკაციო სიტუაციაზე, რადგან ორაზროვნების გამო დასაშვებია სუბიექტური აღქმა. გამონათქვამის დადებითი და უარყოფითი ელფერი შეიძლება არ დაემთხვეს ლექსიკური ერთეულების სტილისტიკურ შეფერილობას. მიმართვების მეშვეობით ასახულია დადებითი (ალერსი, შექება, დალოცვა, პატივისცემა...) ან უარყოფითი (აგდება, დამცირება, მუქარა, ვულგარულობა...) ემოცია. ექსპრესიული ლექსიკის შემცველი მიმართვა ფამილიარულ-შინაურულ კომუნიკაციურ სიტუაციაში შეფასებითი ხასიათისაა.

ძირითადი დასკვნები გამოტანილია კვლევის აღწერითი, შედარებითი და სემანტიკურ-სტილისტიკური ანალიზის მეთოდებზე დაყრდნობით.

საკვანძო სიტყვები: ქართული ენა; სამეტყველო ეტიკეტი; მიმართვა; ემოციურ-ექსპრესიული ლექსიკა.

წერილობითი თუ ზეპირი კომუნიკაციის დროს ენობრივ საშუალებათა არჩევას განაპირობებს ბევრი შიდა- და გარეენობრივი ფაქტორი. როცა მეცნიერები მსჯელობენ ფუნქციურ სტილთა თუ ჟანრთა ნაირსახეობებზე, უმეტესად მხედველობაში აქვთ მეტყველების წერილობითი ფორმა და მხოლოდ მის ერთ-ერთ სახედ მიიჩნევენ სასაუბრო სტილს, თუმცა ყოველთვის უსვამენ ხაზს კლასიფიკაციის დიდ სირთულეს [კვარაცხელია, 1990: 11-12]. ვფიქრობთ, ყველა ფუნქციურ სტილში გამოიყენება ზეპირი მეტყველება, როგორც გამოხატვის ფორმა, იქნება ეს ოფიციალურ-საქმიანი, სამეცნიერო თუ ყოველდღიურ-ყოფითი [იხ. ზექალაშვილი, 2012: 143-145]. მოუბარი პირი ითვალისწინებს საკომუნიკაციო სიტუაციას და ამის მიხედვით ირჩევს საჭირო და სასურველ საკომუნიკაციო რეგისტრს.

რაც შეეხება მხატვრულ-ლიტერატურულ სტილს, ის მწიგნობრულ სტილთა შორის ყველაზე რთული და სინთეზური სახეობაა, შეიძლება მოიცავდეს ყველა ფუნქციური სტილის ნიშნებს მწერლის მიზანდასახულებისა და ჩანაფიქრის მიხედვით. „მხატვრულ-ლიტერატურულ სტილში სიტყვის ესთეტიკას უმნიშვნელოვანესი როლი აქვს. ყველა ენობრივი

საშუალება აქ მხოლოდ მხატვრული სახეებისა და ზოგადმხატვრული სივრცის შექმნაში მონაწილეობს“ [სანიკიძე, 2009 :24]. მხატვრული ტექსტების მიხედვით შესაძლებელია ბევრი ენობრივი მოვლენის შესწავლა, ამიტომ ჩვენთვის საინტერესო საკითხს ვიხილავთ თანამედროვე მწერალთა პროზაული ნაწარმოებების არაოფიციალური საკომუნიკაციო რეგისტრის (უმეტესად შინაურული ან ფამილიარული ქვესახეობების) დიალოგების საფუძველზე, რაც საშუალებას გვაძლევს, შევისწავლოთ ისინი და გამოვიტანოთ სათანადო დასკვნები. გარდა ბეჭდური გამოცემებისა, საილუსტრაციო მაგალითებისთვის გამოვიყენეთ ქართული ენის ენობრივი კორპუსები.¹⁸

მიმართვის შესახებ

ქართულ ენათმეცნიერებაში **მიმართვა**, როგორც განკერძოების ერთ-ერთი სახე, განხილულია სხვადასხვა ნაშრომში (ა. შანიძე, რ. შამელაშვილი, ა. კიზირია, ლ. კვაჭაძე...). ლ. კვაჭაძის განმარტების თანახმად, „განკერძოებულ სიტყვას ან სიტყვათა შეკავშირებას, რომელიც აღნიშნავს მისამართ პირს, **მიმართვა** ჰქვია“ [კვაჭაძე 2010: 319]. მეცნიერი განიხილავს ერთსიტყვიან და გავრცობილ მიმართვებს (ასევე, შორისდებულებისა და ნაწილაკების შემცველს), მათი გადმოცემის ენობრივ საშუალებებს, ასახელებს გამოყენების სფეროებსაც: დიალოგებს, ლოზუნგებს, მოწოდებებს, მისალმება-გამომშვიდობების ფორმულებს, კერძო და საქმიან მიმოწერას, ორატორულ სიტყვებს [იხ. იქვე: 321-322]. ლ. კვაჭაძემ ყურადღება მიაქცია მიმართვის მეშვეობით გადმოცემულ ემოციებსაც და მსჯელობს მთელი გამონათქვამისთვის მინიჭებულ ემოციასა და გრძნობაზე, გამოყოფს ლექსიკის ემოციური შეფერილობას: „აღერსობითი, ზიზღისა, დაცინვისა, თანაგრძნობისა, საყვედურისა, დანანებისა, შიშისა, თხოვნა-მუდარისა, გულთბილობისა“ [იქვე: 324]. დიდი სამეცნიერო ღირებულებისაა შ. აფრიდონიძის სადისერტაციო ნაშრომი (2003), რომელიც მონოგრაფიად გამოიცა 2023 წელს [იხ. აფრიდონიძე, 2023]. მასში ავტორმა ღრმად და მრავალმხრივ შეისწავლა მიმართვა როგორც ვიწრო, ისე ფართო მნიშვნელობით, გამოყო მისი სახეობები: სახელური ანუ ვოკატიური, ზმნური იმპერატიული და ინტეროგატიული (კითხვითი); დაახასიათა მიმართვების მორფოლოგიური, რიტმიკულ-ინტონაციური და ლექსიკურ-სემანტიკური თავისებურებები, ყურადღება გაამახვილა სოციოლინგვისტურ ასპექტებსა და ნორმატიულ საკითხებზე.

ამჯერად ჩვენი მიზანია, განვიხილოთ ემოციურ-ექსპრესიული ლექსიკის შემცველი მიმართვები და გავარკვიოთ მათი ფუნქცია ქართულ სამეტყველო ეტიკეტში. კვლევის დროს გამოყენებულია აღწერითი, შედარებითი და სემანტიკურ-სტილისტიკური ანალიზის მეთოდები.

უპირველესად უნდა აღვნიშნოთ, რომ მიმართვა დიალოგურ მეტყველებაში მიჩნეულია საკომუნიკაციო რეგისტრის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მარკერად, მნიშვნელოვანია სამეტყველო ეტიკეტისთვის და თავაზიანობის გამოსახატავად [იხ. ზეჟალაშვილი, 2017: 123-128]. გერმანელი ენათმეცნიერი **ბერნდ შპილნერი** ხაზს უსვამს მიმართვისა და მისალმების ფორმების სწორად შერჩევის უდიდეს როლს კომუნიკაციაში და წუხს, რომ უცხო ენების შესწავლისას, გრამატიკასთან შედარებით, მის ფორმებსა და გამოყენების მართებულ სიტუაციებს ნაკლები ყურადღება ექცევა [Spillner, 2014: 173].

აღსანიშნავია, რომ საზღვარგარეთ უამრავი ნაშრომია გამოცემული მიმართვის სხვადასხვა ასპექტთან დაკავშირებით. არსებობს მიმართვის ფორმებისა და ეპითეტების ლექსიკონი: A Dictionary of Epithets and Terms of Address, რომელიც ინგლისური ენის 2000 ლექსიკურ ერთეულს მოიცავს [Dunkling, 1990].

მიმართვის უპირველესი (აპელატიურ-მოწოდებითი) ფუნქციის გარდა, გამოყოფენ **ექსპრესიულ-შეფასებითს** ფუნქციასაც [ЛЭС, 1990: 341]. სწორედ ამ უკანასკნელზე გვინდა გავამახვილოთ ყურადღება პროზაული მხატვრული ტექსტების მიხედვით, სადაც პერსონაჟთა დიალოგებში განსაკუთრებით ვლინდება მიმართვის ექსპრესიულობა.

¹⁸ ქვევ – ქართული ენის ეროვნული კორპუსი: <http://gnc.gov.ge/gnc/concordance>; ქვევ – ქართული ენის ვებკორპუსი: <https://www.sketchengine.eu/kawac-georgian-corpora>; ქვევ – ილიას უნივერსიტეტის ქართული ენის კორპუსი: <http://corpora.iliauni.edu.ge>

მართებულად აღნიშნავენ, რომ „ნებისმიერი სიტყვა თავისი ბუნებით მეტ-ნაკლებად ემოციურია და არაემოციურობის საკითხი საერთოდ არ დგას. ეს უკანასკნელი პირობითი შეფასებაა ემოციური სიტყვებისა“ [სანიკიძე, 2009: 87]. გასათვალისწინებელია ისიც, რომ „ემოციური ლექსიკა გამოხატავს მთქმელის ემოციებს და მას ემოციური შეფერილობის სიტყვები მიეკუთვნება“ [ლოლაძე, 2008:124]. ემოციური ლექსიკის მეშვეობით დადებითი ან უარყოფითი ემოციური ველის შექმნაზე მსჯელობს ნ. გელდიაშვილი თავის ნაშრომში და წერს: „ემოციას იწვევს როგორც ავტორისეული, ისე პერსონაჟისეული ემოციურ-შეფასებითი ლექსიკა“ [გელდიაშვილი, 2022:55].

მიმართვათა ნაწილი შეიცავს ექსპრესიულ-ემოციურ ლექსიკას (მათ შორის – კნინობით-ალერსობითი აფიქსებით ნაწარმოებ სიტყვებს), რომელიც გამოირჩევა დამატებითი შეფერილობით და სათქმელს ანიჭებს ექსპრესიას, ავლენს **შეფასებითს** დამოკიდებულებას ადრესატისადმი: დადებითს ან უარყოფითს [ამის შესახებ იხ. ზექალაშვილი, 2017: 123-128].

ექსპრესიული მიმართვები აგებულების მიხედვით

ემოციურ-ექსპრესიული ლექსიკის შემცველი მიმართვები აგებულებით შეიძლება იყოს ერთსიტყვიანი, ორ- ან მეტსიტყვიანი.¹⁹

1. ერთსიტყვიანი ექსპრესიული მიმართვები ვოკატიურია და, გარდა არსებითი სახელებისა, გამოყენებულია ზედსართავი სახელები ან მიმღებები არსებითის ფუნქციით. საინტერესოა დიმინუტივები (საკუთარ სახელთა კნინობით-ალერსობითი ფორმები), რომელთა სტილისტიკური შეფერილობა დადებითია: ბექუნა, მარიკუნა, ბაჩუნა, ციცუნა, გურიკო, სულიკო, მზიკო, პაკო და სხვ. იგივე მიმართვები, ცხადია, ოფიციალურ სიტუაციაში, სამეტყველო ეტიკეტის მიხედვით, არათავაზიანია და ცუდ ტონად ითვლება.

შესაძლებელია მოხდეს პირიქითაც: დადებითი კონოტაციის ლექსიკამ მიიღოს ნეგატიური შეფერილობა კონტექსტში და გამოხატოს დაცინვა ან ირონია.

მაგალითად: „სიზმრების ახსნა თუ იცი, **ჭკუის კოლოფო?**“ ვეკითხები სოგრატს“ (მარსიანი). ამ შემთხვევაში კონტექსტი პოზიტიურია, მომდევნოში კი – ნეგატიური: „სანდრიკ!.. შე **ჭკუის კოლოფო!** კოლოფო კი არა, კასრო“, – სანდროს სახე მოერღვა. იგი ოდნავ გამასხრებასაც ვეღარ იტანდა“ (ანზორ გვარამია).

ერთსიტყვიან მიმართვებად ვხვდებით **ზოონიმებს** (უმეტესად უარყოფითი შეფერილობით): ვირო, ჩოჩორო, ცხვარო, ძროხავ, ძაღლო, ძუკნავ, ღორო, ჯორო, მაიმუნო, დათვო, სპილოვ, ბეჭემოტო, კურდღელო; თუთიყუშო, ქათამო, ინდაურო, ბატო, ყვავო, კაჭკაჭო; ბაყაყო, გომბეშო, გველო, ზვიგენო; კოლოვ, კალიავ, ჭიაყელავ, მატლო... პოზიტიური და საალერსო მიმართვებია: გვრიტო, ჩიტო, ჩიტუნია, ციყვო, ბაჭიავ. დადებითი შეფერილობის მიმართვებად ხანდახან გამოყენებულია ფიტონიმებიც: ყვავილო, ვარდო, იავ, გვირილავ და სხვ. აღსანიშნავია ისიც, რომ ენათა შორის ამ მხრივ სხვაობა საკმაოდ დიდია. მაგალითად, გერმანელისთვის **ღორით** მიმართვა (Schwein, Dreckschwein – ბინძურო ღორო, განსაკუთრებით კი, Sau – დედალი ღორი, ნეზვი), გინებაზე უარესია, **ცხვარი** (Schaf, Schafskopf) კი ჩლუნგს, ბრიყვს აღნიშნავს. ქართულ ენობრივ სივრცეში **ღორით** მიმართვა უხეშია: „**ღორო**, გგონია, ეხლა ჩემს რიგში ჩაგაყენებ?!“ (მარიკა მამალაძე), მაგრამ **ცხვარი** მორჩილ, დამყოლ ადამიანს აღნიშნავს: „შენ გეუბნები, **ცხვარი** მე კი არ ვარ, ამ ნაკადს რომ მორჩილად მივყვები, შენ, შენ ხარ!“ (მარიკა მამალაძე).²⁰

2. ორ- და მეტსიტყვიანი ექსპრესიული მიმართვები

პირის ან კუთვნილებითს ნაცვალსახელებს მოსდევს ექსპრესიულ-ემოციური შეფერილობის არსებითი ან ზედსართავი სახელები, ზოგჯერ მიმღებობა:

შე/თქვე + წოდ.: შე + მადლიანო, დალოცვილო, ოჯახაშენებულო... შე კაი კაცო! შე კაი

¹⁹ ამის შესახებ უფრო ვრცლად იხ. ზექალაშვილი, 2017: 125-127.

²⁰ ეს საკითხი უაღრესად საინტერესოა, მაგრამ ცალკე შესწავლის თემაა. ზოონიმების, მათ შორის ზოონიმებისა და ფლორონიმების გამოყენებაზე ქართულსა და ინგლისურ ენაში იხ. ლევიძე, 2017: 100; იქვე: 109.

ადამიანო! შე კაი დედმამიშვილო!²¹

თქვე + დალოცვილებო, უბედურებო, საწყლებო, არგასაწყვეტლებო, არგასაშვებებო, დალოცვილიშვილებო... საინტერესოა, რომ ასეთ მიმართებებში **თქვე** ფორმა არასოდეს არაა თავაზიანობის გამომხატველი და მხოლოდ პირდაპირი მნიშვნელობით გამოიყენება.

ჩემო/ჩვენო + წოდ.: **ჩემო** + საყვარელო, ბედნიერებავ, სიხარულო, დაუვიწყარო, განუმეორებელო... ჩემო უსაყვარლესო მეგობარო! ჩემო განუმეორებელო ძმაო!..

ჩვენო + წოდ.: მხსნელო, მფარველო...

მართულმსაზღვრელიანი: დედის სიხარულო! პაპას ბედნიერებავ! ბებოს იმედო! ქვეყნის ბურჯო!

ექსპრესიული მიმართვების ემოციური სპექტრი

ექსპრესიული მიმართვები ასახავს სოციალურ ურთიერთობებს და გადმოსცემს ადრესატის მიმართ მრავალგვარ გრძნობა-ემოციას: ალერსს, თანაგრძნობას, სიბრალულს, სიყვარულს, მოწონებას, აღფრთოვანებას, აღტაცებას, მოწიწებას, პატივისცემას, დანანებას, საყვედურს, ზიზღს, დაცინვა-დამცირებას, აგდებას, ირონიასა და სხვ. ამდენად, შესაძლებელია მათი დაყოფა პოზიტიური და ნეგატიური შეფერილობის მიმართვებად.

პოზიტიურ ექსპრესიულ მიმართვებში ხაზგასმულია ადრესატის სხვადასხვა ნიშან-თვისება: ფიზიკური თუ სულიერი მშვენიერება, ჭკუა-გონება, ურთიერთობის სიახლოვე და გრძნობები: **ჩემო** + ლამაზო (ულამაზესო), მშვენიერო, მომხიბვლელო... **ჩემო** + კარგო, კეთილო, ერთგულო, ძვირფასო, საყვარელო, ტკბილო, დაუვიწყარო, ერთადერთო, უჭკვიანესო, ნიჭიერო, უნიჭიერესო, გონიერო; კეთილო ანგელოზო, ყველაზე გულკეთილო და ყველაზე სათნო!

ჩვენო + ლამაზებო, ტკბილებო, ჭკვიანებო...

გამოხატულია **შეცოდება**, **სიბრალული**, **თანაგრძნობა**: **შე** + უბედურო, საბრალო, საცოდავო... **ჩემო** + ტანჯულო, საცოდავო, საწყალო...

ნეგატიური სემანტიკის მიმართვები გაცილებით სჭარბობს პოზიტიურს და გამოხატავს ნაირგვარ ემოციას: მუქარას, დაცინვას, დამცირებას, მასხრად აგდებას, დაკნინებას, ირონიას, ზიზღს, სიძულვილს... ეს უმეტესად სალანძღავი მიმართვებია და ხშირად შეიცავს ობსცენურ ლექსიკას: სულელო, ჩერჩეტო, ბრიყვო, გიჟო, არანორმალურო, გაფრენილო, ჭკუასუსტო, უჯილაგოვ, ყაჩაღო, სამაგელო, საზიზღარო, დამპალო, შობელმადლო, სირო, ახვარო, კახპა, ბოზო...

უარყოფითი შეფერილობისაა (მრ. რიცხვში): უბედურებო, საცოდავებო, საწყლებო, სულელებო, ბრიყვებო, უნამუსოებო, უსინდისოებო, უპატრონოებო, გათახსირებულებო, არაკაცებო, შეჩვენებულებო, უღმერთოებო, ღმერთგამწყარალებო, ურჯულოებო, უჯიშოებო, მამაცხონებულებო, ოხრებო, ნადირლებო, გლახებო, გლახაკებო, ბრიყვებო, მამამადლებო, შობელმადლებო, არამზადებო, სატანებო, გოიმებო, ყალთაბანდებო, მაწანწალებო, ძალისშვილებო, ღორისშვილებო, ნაბიჭვრებო, ცოდვის შვილებო...

დადებითი შეფერილობისაა: დალოცვილებო, დალოცვილიშვილებო, კაი დედმამიშვილებო, ოჯახაშენებულებო...

როგორც ვხედავთ, ამ მაგალითებშიც სალანძღავი და დამამცირებელი მიმართვები გაცილებით მეტია.

გავრცობილ (ორ- და მეტკომპონენტთან) მიმართვებში ლექსიკური ერთეულები მარკირებულია პოზიტიურად ან ნეგატიურად ემოციური ელფერის მიხედვით, მაგრამ მათი სწორი ინტერპრეტაცია დამოკიდებულია საკომუნიკაციო სიტუაციაზე, რადგან ორაზროვნების გამო დასაშვებია სუბიექტური აღქმა. ამის მიზეზი კი ისაა, რომ გამონათქვამის დადებითი ან უარყოფითი ელფერი შეიძლება არ დაემთხვეს ლექსიკური ერთეულების სტილისტიკურ

²¹ შ. აფრიდონიძე ამ ტიპის მიმართვებს უწოდებს **შე/თქვე მსაზღვრელებიან ნაცვალსახელურ კონსტრუქციებს**, ასახელებს ბევრ საინტერესო მაგალითს მხატვრული ლიტერატურიდან, განიხილავს როგორც აგებულებას, ისე სემანტიკურ ნიუანსებს, ყურადღებას აქცევს ირონიულ გამოყენებაზეც [აფრიდონიძე, 2023: 59-63].

მახასიათებელს. სასაუბრო-ვულგარული და უხეში მიმართვების შესახებ საინტერესოა ს. ომიადის მოსაზრება. მეცნიერი ასეთ ფორმებს მიიჩნევს „ქართული კომუნიკაციის ეროვნულ თავისებურად... [მათ] წყენინება არ მოჰყვება და აღიქმება როგორც ახლობლობისა და კეთილგანწყობის ნიშანი. სხვა, არამეგობრულ სიტუაციაში აღქმაცა და რეაქციაც რეციპიენტის მხრიდან საპირისპირო იქნება“ [ომიადე, 2006: 191].

მართლაც, შემდეგ მაგალითში ნეგატიური კონოტაცია ქრება, რაც განპირობებულია საკომუნიკაციო სიტუაციითა და კომუნიკანტთა ურთიერთდამოკიდებულებით:

„ნელა, **თქვე გიჟებო**, ნელა“ (მიხეილ ჯავახიშვილი).

„რითი მომკლავ, **შე მათხოვარო**, ტყვია შენ არ გაქვს და წამალი“ (ნოდარ დუმბაძე).

„როგორ იფიქრეთ, **სულელებო**, ეს ხომ სიზმარია“ (ოთარ ჭილაძე).

მსგავსი მიმართვები **მოფერებით-ალერსობითა** (ზოგჯერ მსუბუქ ირონიასაც შეიცავს) და აღარ აქვს ნეგატიური ელფერი, თუმცა აქაც გასათვალისწინებელია საკომუნიკაციო სიტუაცია და კომუნიკანტთა მახასიათებლები.

დასკვნა

ნებისმიერი მიმართვა დიალოგის განუყოფელი ნაწილია და განსაზღვრულია კომუნიკანტთა დამოკიდებულებით, თვით საუბრის ექსპრესიული ბუნებით. ემოციურ-ექსპრესიული ლექსიკის შემცველი მიმართვები გამოიყენება არაოფიციალურ გარემოში და დიდი მნიშვნელობა აქვს ქართულ სამეტყველო ეტიკეტში. მასში აისახება მოუბარი პირის დამოკიდებულება ადრესატისადმი და დადებითი ან უარყოფითი ემოცია.

აგებულების თვალსაზრისით გამოიყოფა მარტივი (ერთკომპონენტური) და გავრცობილი (ორ- და მეტკომპონენტური) მიმართვები. ერთსიტყვიანი მიმართვებში გვხვდება ანთროპონიმთა კნინობით-ალერსობითი ფორმები და მეტაფორულად გამოყენებული ზოონიმები.

გავრცობილ მიმართვებში ლექსიკური ერთეულები მარკირებულია ემოციური ელფერის მიხედვით, მაგრამ მათი სწორი ინტერპრეტაცია დამოკიდებულია ბევრ გარეენობრივ ფაქტორზე, მათ შორის – საკომუნიკაციო სიტუაციაზე.

ფამილიარულ-შინაურულ კომუნიკაციაში ექსპრესიულ-ემოციური ლექსიკის მეშვეობით მიმართვაში გამოიხატება დადებითი ან უარყოფითი ემოცია და თავად მიმართვა შეფასებითი ხდება.

ლიტერატურა:

1. აფრიდონიძე შ. (2023). მიმართვის ფორმები ახალ ქართულში: სტრუქტურა და ფუნქციონირება. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
2. გელდიაშვილი ნ. (2022). დადებითი და უარყოფითი ემოციური ველის შექმნის შესაძლებლობები მხატვრული ტექსტის (XX საუკუნის ქართული მცირე პროზის ნიმუშების მიხედვით). სამეცნიერო შრომების კრებული No. 1(35). იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი: გამომცემლობა „პრინტჯეო“, 48-58. DOI: <https://doi.org/10.52340/tuw.2022.01.35>
3. Dickey, Eleanor (1997). Forms of address and terms of reference: J. Linguistics 33. Cambridge University Press.
4. Dunkling, Leslie (1990): A Dictionary of Epithets and Terms of Address. London/New York: Routledge. Finck von Finck
5. ზექალაშვილი, რ. (2012). ქართული დიალოგური მეტყველება (ძირითადი ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური მახასიათებლები). თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“.
6. ზექალაშვილი, რ. რ. (2017). შეფასებითი მიმართვა, როგორც საკომუნიკაციო რეგისტრის სპეციფიკური მარკერი. IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ენა და კულტურა“, შრომები. ქუთაისი, 123-128.
7. კვარაცხელია, გ. (1990). ქართული ენის ფუნქციური სტილისტიკა. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
8. კვაჭაძე, ლ. (2010). თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, მე-5 შევსებული გამოცემა. თბილისი. გამომცემლობა „ცოტნე“.
9. ლევიძე, მ. (2017). კომუნიკაციის ეთნოსტილი და მიმართვის საალერსო ფორმები ქართულსა და ინგლისურ ენებში. ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია (ხელნაწერი). თბილისი. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.

- <http://eprints.iliauni.edu.ge/6602/1/%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%94%20%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%95%E1%83%98%E1%83%AB%E1%83%94.pdf> (25.06.2023).
10. ЛЭС (1990). Лингвистический энциклопедический словарь (под ред. В. Н. Ярцевой). Москва: «Советская Энциклопедия».
 11. ლოლაძე, ნ. (2008). ემოციების გამოხატვის ენობრივი სურათი. ჟურნ. „სემიოტიკა“, 2008, No.3:122-126.
 12. ომიაძე, ს. (2009). ქართული დისკურსის კულტუროლოგიური პარადიგმა (რედ. გ. კვარაცხელია). თბილისი.
 13. სანიკიძე, თ., სანიკიძე, ი. (2009). ქართული ენის პრაქტიკული სტილისტიკა. თბილისი: გამომცემლობა „ინტელექტი“.
 14. სანიკიძე, ი. (2010). სიტყვის ესთეტიკური და ემოციურ-ექსპრესიული ფუნქციებისათვის ქართულში. I საერთაშორისო კონფერენცია „ენა და კულტურა“, შრომები No.1. ქუთაისი, 349-352.
 15. Spillner, Bernd (2014). Anrede und Grußformen im Deutschen: Czasopismo Stowarzyszenia Germanistów Polskich (Zeitschrift des Verbandes der polnischer Germanisten), 3: 173–187. doi:10.4467/23534893ZG.14.010.2932
 16. ქეკე – ქართული ენის ეროვნული კორპუსი: <http://gnc.gov.ge/gnc/simple-query> (25.06.2023).
 17. ქეკე – ქართული ენის ვებკორპუსი: <http://corpus.leeds.ac.uk/internet.html> (25.06.2023).
 18. ქეკე-ილიას უნივერსიტეტის ქართული ენის კორპუსი: <http://corpora.iliauni.edu.ge/?q=ka> (20.05.2022).

Emotional-Expressive Lexis in Addressing and in Georgian Speech Etiquette

Zekalashvili Rusudan

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Tbilisi

Abstract

Address terms within the familiar, close friendly relations are the unavoidable part of the speech; such phrases are determined by the existing interrelations and by the expressive nature of the dialogue itself. The examples of using emotional-expressive lexis during non-official communications are discussed in the represented paper, basing on the extracts from the dialogues found in the several pieces of literature; these cases are interesting and important from the viewpoint of the Georgian dialogue language and its peculiarities. Special attention is paid to the examples found in the conversations in which the attitude of the speaker towards the addressee and their emotions are shown through simple but stylistically expressive addressing phrases. Those phrases can show the emotions especially due to using the certain grammatical and lexical means of the language and they represent grammatical-lexical means which bear stylistic colorings.

From the point of view of constructions, we can show out the addressing phrases containing one, two or even more components. In the one-word addressing phrases the diminutive or affectionate forms of anthroponyms, expressive emotional adjectives and the like are used in the function of noun; zoological names are used as metaphors; in the extended appealing the lexical units are marked according their emotional coloring but their right interpretation depends on the right understanding of the communication situation. In order to get the correct meaning, it is absolutely necessary to consider the duality of such phrases or otherwise the positive or negative coloring of the sayings may not coincide with **positive** (caressing, praising, respect, good wishes) and **negative** meanings of the sayings (such as threatening, mocking, vulgar speech). The addressing phrases containing expressive lexis showing the above mentioned colorings are considered to be rating, assessing within the familiar communicative situations.

The main conclusions are made through the research work basing on the methods of the descriptive, comparative, and semantical-stylistic analysis.

Key words: *Georgian Language; Speech Etiquette; Address; Emotional-Expressive Lexis.*

**ინდივიდუალური ასპექტები ზეპირსიტყვიერ მცირე ფორმათა
ფოლკლორიზაციის პროცესში**

(სირიულ დიალექტური არაბული ანდაზების კორპუსზე ქართული შესატყვისებით)

თუმანიშვილი ხათუნა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი

DOI: <https://doi.org/10.52340/idw.2023.28>

აბსტრაქტი. ზეპირსიტყვიერების კოლექტიურ შემოქმედებად აღიარების დებულებამ ფოლკლორისტიკა დააყენა ინდივიდის როლის თეორიული კუთხით გააზრების წინაშე. ნაშრომში კოლექტიური და ინდივიდუალური ელემენტების ხვედრითი წილის დასადგენად, საანალიზოდ აღებული იქნა სირიულდიალექტური არაბული ანდაზები. მაგალითები მოპოვებულია არაბული პირველწყაროდან, უშუალოდ (სირიელი, ლიბანელი) ინფორმანტებისგან. დასკვნები პრობლემის ზოგადთეორიულ მხარესაც მოიცავს.

მიღებული შედეგები ცხადყოფს, რომ ანდაზა ინდივიდუალური და კოლექტიური ელემენტების ერთობლივი მოცემულობაა. ანუ, ამა თუ იმ ზეპირსიტყვიერი ქმნილების ფოლკლორიზაციის პროცესი ინდივიდუალური შემეცნების, დაკვირვების კოლექტიური განმეორებადობაა (ზოგჯერ ინდივიდუალური ვარიაციებით მოცემულ თემაზე), ეთნოსისათვის ფუნქციურად საჭირო იდეის შენახვა (მიუღებელი არ მიიღება), შესაძლებელია ვიხმაროთ „კონსერვაცია“, ეროვნულ ღირებულებათა ფონდში, რომელიც ზეპირსიტყვიერი გზით თაობიდან თაობას გადაეცემა. შესაბამისად, მას ეროვნული ცნობიერება (დამოუკიდებლად იმისგან, ავტორი ანონიმია თუ ცნობილი) ხალხურად – ეროვნულ ფასეულობად აღიქვამს.

საკვანძო სიტყვები: ზეპირსიტყვიერება, ანდაზა, ინდივიდუალური, კოლექტიური, ტრანსფორმაცია.

ანდაზა... ფოლკლორული
წარმომავლობის გამონათქვამია ან
ფოლკლორიზაციის განვლილი პროცესი.
პ. ზოგატირევი

ცნობილია, რომ ფოლკლორი იღებს და ინარჩუნებს იმ ერთეულებს (და იმგვარი ფორმით), რომლებიც მოცემული ენობრივი კოლექტივისთვის (მოცემული კულტურისთვის) ფუნქციურად საჭიროა და გამოსადეგი. (ერთი შეხედვით ყველასათვის გასაგები) ზეპირსიტყვიერება რთულ კანონზომიერებათა მთელ სისტემას შეიცავს. რ. იაკობსონის შეფასებით, ამგვარი ქმნილებანი საკუთარი ორიგინალური, განუსაზღვრელი და გაუცნობიერებელი წესებით ჯერ ჩნდებიან, შემდეგ მკვიდრდებიან და აგრძელებენ არსებობას თაობიდან თაობაში [იაკობსონი, 1981:147]. ცხადია, ეს არ არის „შეუიარაღებელი“ თვალთ მარტივად აღსაქმელი პროცესი. ისტორიული განვითარების მთელ მანძილზე ის შეუმჩნევლად, ქვეცნობიერად ყალიბდება და იკავებს ადგილს მოცემული ეთნოსის – „წარმოსახვათა ერთობის“ (ბ.ანდერსონი) მეხსიერების წიაღში.

ზეპირსიტყვიერი მასალის მოპოვებისა და მისგან საკვლევად აღებული ამა თუ იმ პრობლემატიკის შემდგომი ძიების გზაზე, პირველ ყოვლისა, ყურადღება მახვილდება, მისი

როგორც კოლექტიური შემოქმედებითი პროცესის შედეგის სპეციფიკაზე, განსხვავებით მხატვრული ლიტერატურული ნაწარმოებისაგან, რომელიც ინდივიდუალური შემოქმედების ნაყოფია. სპეციალურ სამეცნიერო წრეებში მიღებული აზრის თანახმად, ფოლკლორსა და ლიტერატურას შორის არსებულ განსხვავებაში ერთ-ერთ მთავარ კრიტერიუმს თავად მხატვრული ნაწარმოების ცნების არსებობა წარმოადგენს (ბოგატირევი... 1971: 6).

ფოლკლორის კოლექტიურ შემოქმედებად აღიარების დებულებამ ფოლკლორისტიკა დააყენა კონკრეტული პრობლემატიკის წინაშე. მათ შორის მოიაზრება ზეპირსიტყვიერებაში ინდივიდის როლის თეორიული კუთხით განხილვა. დასმულ საკითხს თავისი კვლევის ისტორია აქვს. მათ შორის მკვეთრად განსხვავებული, მეტიც, ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებები გამოიკვეთა.

XIX საუკუნის მეორე ნახევრის მიმდინარეობის, „გულუბრყვილო რეალიზმის“ წარმომადგენლების – ე. წ. „მლადოგრამატიკოსების“ ძირითადი თეზისის თანახმად, მხოლოდ ინდივიდუალური ენა წარმოადგენს ერთადერთ რეალურ ენას, ხოლო ყოველივე დანარჩენი მეცნიერულ-თეორიული აბსტრაქციაა. ტიპური „მლადოგრამატიკოსი“ ვსევოლდ მილერი თვლიდა, რომ კოლექტიური შემოქმედება არის უბრალოდ გამონაგონი, ადამიანურ გამოცდილებას არასოდეს შეუნიშნავს ასეთი შემოქმედების არსებობა (მილერი 1892: 16). ფოლკლორის ინდივიდუალური ბუნების მომხრეები კოლექტივს ანონიმურობას უპირისპირებენ. მათი აზრით, კოლექტიური შემოქმედების იდეა არაფერ შუაშია, უბრალოდ, იმ წრისათვის, სადაც ესა თუ ის ნაწარმოები შეიქმნა, ინდივიდის – ავტორის – პიროვნება ინტერესს არ წარმოადგენდა. ამ მიზეზით მისი ვინაობა მეხსიერებამ არ შემოინახა.

მკვეთრად საწინააღმდეგო თვალსაზრისს აყალიბებენ პ. ბოგატროვი და რ. იაკობსონი ერთობლივ ნაშრომში *«Фольклор как особая форма творчества»* (ბოგატირევი ... 1971). მეტიც, სასტიკად ილაშქრებენ „მლადოგრამატიკოსების“ თეზისის წინააღმდეგ. ავტორთა აზრით, არაფერია ისე მავნებელი თანამედროვე ენათმეცნიერებისათვის, როგორც ზემოხსენებული თეორია, რომელსაც „კაცობრიობის განვითარების მუხრუჭს“ (ბოგატირევი...1971: 369) უწოდებენ. მკვლევრები ძირითად აქცენტს ფოლკლორსა და ლიტერატურას შორის არსებულ განსხვავებებზე აკეთებენ, რომელთაგან პირველი ორიენტირებულია *langue*-ზე, ხოლო მეორე – *parole*-ზე. (ფერდინანდ დე სოსიურის ტერმინოლოგიით, ინდივიდუალური მეტყველების აქტთან ერთად – *parole*, თანამედროვე ენათმეცნიერება იცნობს ასევე *langue*-ს, ჩვეულებათა ერთობლიობას, მიღებულს ამა თუ იმ კოლექტივის მიერ სათქმელის უკეთ გაგების უზრუნველსაყოფად).

კოლექტივისა და ინდივიდის, შესაბამისად, ფოლკლორისა და ლიტერატურის დაპირისპირებით, და მათ შორის არსებულ განსხვავებათა გამოვლენის საფუძველზე ფოლკლორულ ნაწარმოებთა აუცილებელ საერთო სპეციფიკურ ნიშნად კოლექტიურობას – ხალხურობას მიიჩნევენ. შესაბამისად, გადაწყვეტ როლს ანიჭებენ კოლექტივს, როგორც ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშების ფოლკლორულ ფაქტად „დაბადებისა“ და მისი შემდგომი არსებობის ძირითად პირობას. მკვლევართა მართებული მოსაზრებით, ფოლკლორის კვლევისას მუდმივად მხედველობაშია მისაღები, როგორც ძირითადი ფაქტორი, კოლექტივის წინასწარი ცენზურა, რამდენადაც ხალხური ნაწარმოების – „ფოლკლორული ფაქტის“ განხილვისას საუბარი შეეხება არა მისი „დაბადების“ წინამდევ მომენტებს, არა „ჩასახვას“ (ინდივიდის მიერ პირველად შესრულებას), არამედ „დაბადებას“ (კოლექტივის მიერ მის მიღებას), რაც პრაქტიკულად მისი შემდგომი არსებობის განმსაზღვრელია (ბოგატროვი... 1971: 373). ეს ძალიან მნიშვნელოვანი თეზისია. თუ ამ აზრს მივდევთ, მაშინ ფოლკლორში „ჩასახვა-დაბადების“ პროცესი (რა თქმა უნდა, გარკვეული დოზით ჟანრის სპეციფიკიდან გამომდინარე), პრაქტიკულად მუდმივ მონაცვლეობით ცირკულაციაშია ზეპირსიტყვიერი ნაწარმოების ფორმალიზაციის (არსებობის) მანძილზე.

დავუშვათ, რომელიმე კოლექტივის წევრმა შექმნა რაღაც ინდივიდუალური (*parole*). თუ მოცემულ კოლექტივს ფუნქციურად ესაჭიროება ის, მაშინ მიიღებს და შეითვისებს,

შესაძლოა უცვლელი სახით, ხშირად თავის ყაიდაზე გარდაქმნის. ე. ი. parole იქცევა langue-ის ფაქტად მას შემდეგ, რაც კოლექტივი (იმავე langue-ის მატარებელი) მისცემს სანქციას. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება საუბარი მის „ფოლკლორულ ფაქტად დაბადებაზე“. წინააღმდეგ შემთხვევაში, უარყოფილი მოცემული ენობრივი წრის მიერ აღარ იარსებებს როგორც „ფოლკლორული ფაქტი“, ის ხდება გამოუყენებელი და კვდება, ანუ ფოლკლორმა – langue-იმ, ის არ მიიღო თავის რეპერტუარში.

განსხვავებულ პოზიციაზე დგას ფ. ერთელიშვილი (ერთელიშვილი 1957: 109) ანდაზის ხალხურობის თაობაზე. ანდაზისათვის დამახასიათებელი არსებითი ნიშნების დადგენის საფუძველზე, იძლევა რა ანდაზის ცნების განმარტებას, მის აუცილებელ ხალხურობას კატეგორიულად უარყოფს. მაგალითებად მოჰყავს ცნობილ ავტორთა აფორიზმული გამონათქვამები („გველსა ხვრელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი“; „კოკასა შიგან რაცა დგას, იგივე წარმოდინდების“...). ყოველი მათგანი თავსდება მის მიერ დადგენილ ანდაზისათვის სახასიათო სპეციფიკურ ნიშანთა სისტემაში და იძლევა ამგვარ დასკვნას: ანდაზისათვის დამახასიათებელ სპეციფიკურ ნიშნად მისი ხალხურობა არ შეიძლება მივიჩნიოთ. ავტორს არგუმენტად მოჰყავს ის, რომ ანდაზა შეიძლება რომელიმე ავტორის კუთვნილებაც იყოს. ასეთი ანდაზა შეიძლება „გავიდეს“ და დამკვიდრდეს ხალხში, შეიძლება – არა. ესა თუ ის გამონათქვამი თუ ხალხში დამკვიდრდა, ამის გამო არ იქცევა იგი ანდაზად, ის ანდაზა იყო ხალხში დამკვიდრებამდეც. თუ ანდაზა ხალხში არ „გავიდა“, თავისთავად მის „ანდაზობას“ არაფერი დააკლდება, იგი მაინც ანდაზად დარჩება.

ქართული ფოლკლორის თეორიაში არსებობს რადიკალურად განსხვავებული მოსაზრებაც. კერძოდ, ზ. კიკნაძე მსჯელობს რა ხალხურ-ზეპირსიტყვიერ ქმნილებათა შორის ანდაზაზე, მას ფოლკლორის (მის მიერ გამოყოფილი) ყველა ნიშნით ახასიათებს: „... აბსოლუტური კოლექტიურობა, რომელიც არავითარ ადგილს არ უტოვებს ინდივიდუალურს, აბსოლუტური ანონიმურობა, რომელიც პრინციპულად გამორიცხავს ავტორის არსებობას, ვარიანტულობა...“ (კიკნაძე 2008: 324).

მაშ, რაშია საქმე?!

ჩანს, ფოლკლორთან მიმართებით პრობლემის ამ ასპექტით გააზრებაში საკითხის ასე დასმა არ უნდა იყოს გადამწყვეტი. ამ შემთხვევაში არა აქვს არსებითი მნიშვნელობა ავტორის „ცნობა-არცნობის“ წინა პლანზე წამოწევას. ა. პოტებნიას თანახმად, ფოლკლორში თვით შემქმნელს არა აქვს საფუძველი განიხილოს თავისი ნაწარმოები თავისად, ან იმავე წრის სხვა ავტორების ნაწარმოები – სხვისად (პოტებნია, 1930:18). ამდენად, გამონათქვამი (თუნდაც ავტორისეული) ერთმნიშვნელოვნად მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება მივიჩნიოთ ანდაზად, თუკი „გავიდა“ ხალხში, გაიარა ე. წ. „კოლექტივის ცენზურა“, მოხვდა ზეპირბრუნვაში, ანუ, იქცა „ფოლკლორულ ფაქტად“ (ზოგატირევი... 1971:373). ამის საფუძველზე ის მოცემული წრისათვის საყოველთაოდ მიღებული, გამოყენებადი, ანუ, სოციალური ფაქტი გახდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის მხოლოდ ქალღმრთელ დარჩებოდა როგორც ავტორის მხატვრული გამონათქვამი – ინდივიდუალური შემოქმედების ნაყოფი, და არა ანდაზა. მხატვრული ლიტერატურული ნაწარმოები, განსხვავებით ზეპირსიტყვიერი ქმნილებისაგან, დამოუკიდებლად ფუნქციისა და საჭიროებისა მოცემული კოლექტივისათვის (რაც ფოლკლორული ნაწარმოების არსებობის აუცილებელი პირობაა), ამ სახით მაინც აგრძელებს პოტენციურ არსებობას. თუ გულდასმით გადავსინჯავთ მხატვრულ ლიტერატურას, შეიძლება მრავალი ღირებული მაგალითი აღმოვაჩინოთ, რომელიც პრაქტიკულად ანდაზისათვის აუცილებელი ყველა არსებითი ნიშნის მატარებელია, მაგრამ, მიზეზთა გამო, გავრცელება ვერ პოვა. ამდენად, მას ანდაზას ვერ ვუწოდებთ. მეტიც, ხშირად მთქმელი იმოწმებს რა აზრის დასადასტურებლად ამა თუ იმ ავტორის ცნობილ აფორიზმს/მხატვრულ გამონათქვამს (მოცემულ შემთხვევაში უკვე ანდაზად ქცეულს), ნაკლებად აცნობიერებს, თუ ვინ არის მისი თავდაპირველი ავტორი. ის, სამეტყველო აქტის დროს, ქვეცნობიერად უკვე ხალხურად აღიქმება როგორც მთქმელის, ისე მსმენელის მიერ.

ვფიქრობთ, სწორად მსჯელობს მ. რუსიეშვილი: ჩვენი აზრით, აქ უფრო რაოდენობრივად დგას საკითხი, ვიდრე თვისებრივად. არსებითად, ყველა ხალხურ გამონათქვამს ჰყავს ერთი ავტორი, მაგრამ არსებითი განსხვავება ხალხურსა და არახალხურს შორის არის ის, რომ ხალხურში ავტორი არ იგულისხმება და არც არის რელევანტური – ერთეული სახალხო კუთვნილებად აღიქმება. მაგალითად, თუნდაც რუსთაველის აფორიზმები (და არა მარტო რუსთაველის ბრძნული აფორიზმები) ითქმის და ითქმის, მეორდება და მეორდება და ბოლოს ხალხის კუთვნილებად იქცევა... (რუსიეშვილი 2005: 16).

დამოუკიდებლად ამა თუ იმ თეორიული ინტერპრეტაციისაგან, ფაქტია, რომ ანონიმური ანდაზებისა გარდა არსებობს ინდივიდუალური ერთეულებიც, რომლებიც კონკრეტული ავტორის კუთვნილებას წარმოადგენს. ამის დასტურია ვ. ჯავრიშვილის: „ანდაზები, ნაკვესები, იგავ-არაკები“, წიგნის წინათქმამში („ძალა მართალი სიტყვისა“) არნ. ჩიქობავა შენიშნავს: „... ანდაზებსა და ანდაზურ გამონათქვამებს ხალხი თხზავსო, იტყვიან (ალბათ იმიტომ, რომ ავტორი არ სჩანს). ეს იშვიათი შემთხვევაა, როცა ამგვარი შემოქმედების ავტორი ვიცით“ (ჯავრიშვილი 2007: 6).

ამავდროულად, ავტორისეული წარმოშობის გამონათქვამები ხალხში – ზეპირბრუნვაში – მოხვედრის შემდეგ ხშირად ტრანსფორმაციას განიცდიან, „ავტორი“ იძენს „თანაავტორებს“, იქმნება სხვადასხვა გახალხურებული ვარიანტები: „ტკბილი ენა გველს სოროდამ გამოიყვანსო“ (პ. უმიკაშვილი, 1937), „სიმშვიდითა გველს ხვრელიდან გამოიყვანნო“ (თ. სახოკია, 1967). ნიშანდობლივია, რომ „ხალხური სიბრძნის“ V ტომში ლ. ლეჟავას ქართული ანდაზების კრებულში ხალხური ანდაზებისგან ცალკე თავად აქვს გამოყოფილი ე. წ. ლიტერატურული ანდაზები და იქვე მოჰყავს მათი გახალხურებული ვარიანტები, რაც მართებულად მიგვაჩნია.

აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ არა მხოლოდ ხალხში „გასულ“ ე. წ. ლიტერატურულ ანდაზებში ვლინდება ამგვარი სახეცვლილებანი. ანალოგიური სურათი ფიქსირდება ე.წ. ანონიმურ ერთეულებშიც. „ავტორი“, არც თუ იშვიათად, აქაც იძენს „თანაავტორებს“. ის ფაქტორი, რომ ზეპირსიტყვიერი ნაწარმოები მუდმივად ზეპირბრუნვაშია მოქცეული, განაპირობებს მის დინამიკურ ხასიათს, რის ფონზეც ის ხშირად ტრანსფორმაციას განიცდის, რა თქმა უნდა, ჟანრის შესაბამისად. მაგ.: მომღერლები, მოშიარეები... ტექსტის დეკლარირებისას პრაქტიკულად არ იმეორებენ ერთსა და იმავეს, ხშირ შემთხვევაში, ხელახლა ქმნიან მას შესრულების პროცესში...

ზოგადად, ზეპირსიტყვიერი მცირე ჟანრები (ანდაზა, ანდაზური თქმა, გამოცანა...) თავისი მყარი, სტილისტურად კომპაქტური, კონცენტრირებული მოდელის წყალობით (ზეპირსიტყვიერ სხვა ჟანრებთან შედარებით) მეტად გამძლეა და ნაკლებად იცვლის სახეს. მით უფრო ანდაზა, მისი (თვალსაჩინო თუ არათვალსაჩინო) სინტაგმატურ კავშირებზე აგებული პარადიგმატული ბუნება – არსებითი პრაგმატული ფუნქცია (რომელიც მოცემულ მენტალობაში გარკვეულ ცნებად ჩამოყალიბებულ შეგონებად რეპრეზენტირდება) „შეზღუდულ ჩარჩოებში ცვალებადობის“ [ს. ფერნანდო, 1996] პოტენციალს ამჟღავნებს. მიუხედავად ამისა, ვარიაციული ფორმების არსებობა მოცემულ თემაზე შეინიშნება ანდაზის ჟანრშიც. ამის დასტურია სხვადასხვა ხალხების პარემიულ ფონდებში ამა თუ იმ ანდაზის ტრანსფორმაციული ვარიანტების არსებობა.

ანდაზის მოცემულობაში კოლექტიური და ინდივიდუალური ელემენტების როლის დასადგენად, შევეცადეთ გამოგვეკვლია სირიული დიალექტის პარემიულ სივრცეში ტრანსფორმაციის გამომწვევი შესაძლო მიზეზები. ერთი მხრივ, ანდაზის თეორიაში კვლევის გამოცდილების გათვალისწინების საფუძველზე, მეორე მხრივ, საკუთრივ, არაბულის (რთული ენობრივი სიტუაციით გამოწვეული) თავისებურებების გამოვლენის თვალსაზრისით. მიუხედავად იმისა, რომ ანდაზა, ჩვეულებრივ, კლიშირებული მყარი ფორმაა (ფორმალურად და შინაარსობრივად), ის სამეტყველო აქტის ორგანული ნაწილია (მისი სახით პირდაპირ ცოცხალ კომუნიკაციას ვეხებით). ამდენად, იმ ენის თავისებურება, სადაც ის შეიქმნა და ფუნქციონირებს, გარკვეული ნიშნით უნდა აისახოს მის

მოცემულობაზე. დასმული პრობლემისადმი ამგვარი მიდგომა სწორედ ამ პარამეტრების დაზუსტებას გულისხმობს.

კონკრეტული მაგალითების წარმოდგენამდე, აქვე ვიტყვით, რომ ჩვენს საკვლევ მასალაზე ჩატარებული ძიება საფუძველს გვიქმნის ვივარაუდოთ, რომ არაბულენოვან (აქ სირიულდიალექტურ²²) ანდაზებს ტრანსფორმაციის შედარებით ფართე პოტენციალი უნდა გააჩნდეთ (ამ მოვლენას გარკვეულწილად ხელს უწყობს ზოგადად არაბულის მდიდარი ლექსიკური მარაგის არსებობაც) თავად ამ ენის სპეციფიკიდან გამომდინარე. კერძოდ, არაბულის „ორენოვანი“ ბუნების (დიგლოსიის პრობლემა არაბულში) გავლენით. საუბარია იმ უნიკალურ ფაქტზე, რომ, როგორც ცნობილია, არაბული ენის სასაუბრო და სალიტერატურო ვარიანტები ფონეტიკურად, გრამატიკულად თუ ლექსიკურად იმდენად განსხვავდება ერთმანეთისაგან, რომ, ზოგიერთი ლინგვისტის აზრით, მათ შეიძლება სხვადასხვა ენაც კი ვუწოდოთ (ო'ლერი 1977:5). არაბულის სპეციფიკური „დიგლოსიური ოპოზიციის“ (სილაგამე... 2012: 34) ფონზე საქმეს მეტად ართულებს მოცემული დიალექტის (საერთო-სახალხო სასაუბრო ენის) შიდაენობრივი მრავალშრიანი სივრცის სპეციფიკა.

დავუბრუნდეთ აქ დასმულ საკითხს, გავარკვიოთ მოცემული დიალექტის სპეციფიკის (შიდაენობრივი მრავალსაფეხურიანი სივრცის) ფარგლებში არსებული გავლენები ანდაზაზე. უფრო ზუსტად, კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით, დავადგინოთ მოცემულ თემაზე არსებული რიგი ანდაზების ტრანსფორმაციის შესაძლო (ფორმალური და შინაარსობრივი) საზღვრები. ამ პარამეტრების დადგენით შევეცადოთ, განვსაზღვროთ კოლექტიური და ინდივიდუალური ელემენტების ხვედრითი წილი ანდაზის ფორმალიზაციის პროცესში.

ამგვარად, არაბი (სირიელი, ლიბანელი) ინფორმატორებისაგან სირიულდიალექტოვანი ანდაზების მოპოვების პროცესში ჩვენმა დაკვირვებამ ცხადყო:

ა) მოცემული ეთნოსის – ერთი ცნობიერების, ერთიანი ენობრივი კოლექტივის მიერ მიღებულმა ამა თუ იმ გამოთქმამ – იდეამ, ზეპირბრუნვაში მოქცევისას და, შესაბამისად, გავრცელებისას შეიძლება განიცადოს ამავე ენის მატარებელ სხვადასხვა ტერიტორიაზე მცხოვრებ ან განსხვავებულ სოციალურ საფეხურზე მყოფ არაბთა მეტყველების სპეციფიკისათვის დამახასიათებელი გავლენა, მოერგოს ამ langue-ის მატარებელი წრის სამეტყველო ყალიბს. ე. ი. ერთიანი ენობრივი სივრცის სხვადასხვა სიბრტყესა თუ დონეზე აქტუალიზებისას ზოგჯერ მოცემულ თემაზე არსებული ანდაზის შემადგენელ რომელიმე კომპონენტს (მაგალითად, სიტყვას ან სიტყვათა კომბინაციას) შეიძლება ჩაენაცვლოს მეორე, რომელიც ამ კონკრეტული კოლექტივის, ამ წრის მეტყველებაში უფრო მეტად პროდუქტიულია, შეითვისოს იგი ამ ფორმით და შემდგომში ნორმად იქცეს. ვნახოთ მაგალითები:

ფიქსირებულია დამასკოში:

اللي بيتزوّج من كيس امّه بيهو عليه الطلاق – [ʿallī bjətzəwəʒ mən kīs ʿummō bjəhūnʿalēi t-ṭalāʿ]

ფიქსირებულია ალეპოში:

اللي بيتأهل بجيب امّه سهلت عليه التّطليق – [ʿallī bjətʿáhhəl bʒīb ʿummō sáhlet ʿalēji t-taṭlī ʿ]

– ვისაც ცოლი მოჰყავს დედის ხარჯზე, გაყრა უადვილდება.

ფიქსირებულია დამასკოში:

من أخذ البلاد بدو الحرب بيهو عليه تسليم البلاد – [mínʿaħad əl-blād bədūn əl-ħərb bjəhūnʿalei taslīm əl-blād]

ფიქსირებულია ბეირუთში:

²² სირიული დიალექტი განეკუთვნება აღმოსავლეთ-არაბულ დიალექტებს (მამრიყის დიალექტებს). გავრცელებულია სირიის, ლიბანის, იორდანის ტერიტორიებზე და იმ რაიონებში, რომლებშიც ცხოვრობენ პალესტინელი არაბები.

اللي اخذ البلد بدو □ الحرب سهلت عليه تسليمو - [ʿallī ʾaḥad əl-bálad bədûn əl-ḥárb sáhlet ʾalē taslīmo] - ვინც ქვეყანა უომრად აიღო, ადვილად დათმო ის.

ქართ.: ქარის მოტანილს ქარი წაიღებსო; წყლის მოტანილ ხერგს წყალივე წაიღებსო.

ფიქსირებულია დამასკოში, მაზნაში:

لسانك □ صانك: □ صنتو صانك □ هنتو هانك - [lsânak ḥṣânak ʾin ṣîntō ṣânak ʾin hîntō hânak]

– შენი ენა ცხენია შენი: თუ გაუფრთხილდი, გაგიფრთხილდება, თუ დაამდაბლებ – დაგამდაბლებს (ჩამოგაგდებს).

ფიქსირებულია ბეირუტში:

صن لسانك صانك هن لسانك خانك - [ṣin lsânak ṣânak hin lsânak hânak]

– გაუფრთხილდი შენს ენას – გაგიფრთხილდება, დაამდაბლებ – დაგამდაბლებს.

ქართ.: ენამ რა გიყო და – თავში რაკუნო; თავში კაკუნი ვინ გიყო და, ჩემმა ენამაო.

ენას თუ კბილს არ დაადგამ, თავში ჩაგირაკუნებსო; ჩემი ენა, ჩემი მტერი, იგივე მეგობარი ჩემი.

ფიქსირებულია დამასკოში, მაზნაში:

كل □ و □ د بيغني شكل - [kəll wāḥed bjəġánnī šikəl] - ყველა თავისებურად მღერის.

ფიქსირებულია დამასკოში, მაზნაში:

كل □ و □ د بيغني على ليلو - [kəll wāḥed bjəġánnī ʿal lêlo] - ყველა თავის ლეილას უმღერის.

ფიქსირებულია ალეპოში:

كل □ مجنوب □ بيغني بشكلو - [kəll maʒnûn bjəġánnī bšáklō] - ყოველი გიჟი თავისებურად მღერის.

ფიქსირებულია ბეირუტში:

كل □ جنو □ فنو - [kəll ʒunûn funûn] - ყოველი გიჟი თავისებურად „უბერავს“.

ქართ.: ყველა თავისებურად გიჟდებაო; კაცია და გუნებაო, თავში ებრაგუნებაო;

ზოგი იქით უბერავს, ზოგიც აქეთ უბერავსო.

ფიქსირებულია დამასკოში, მუჰაჯირინში:

الدياب بيهدّي عالحو - [əd-diyâb byəḥáddī ʿal-ḥîlū]

ფიქსირებულია დამასკოში, მაზნაში:

الدياب بيهدّي عادبس - [əd-diyâb byəḥáddī ʿad-diʿbəs]

ფიქსირებულია დამასკოში, ჰამიდიასში:

الدياب بيهدّي عالعسل - [əd-diyâb byəḥáddī ʿal-ʿásal]

– ბუზები ტკბილს / ბადაგს / თაფლს ასხდებიან.

ქართ.: ბუზნი მუნ შემოკრებებიან, სადაცა თაფლნი სდიანო; თაფლი იყოს, თორემ ბუზი ბაღდადიდან მოვაო; თაფლის მჭამელსა დათვსაო ბუზი დაბზუის თავსაო; დოვი

იყოს, თორემ ბუზი ბაღდადიდან მოვა და ჩაირჩვებაო; თავზე მუნი მჭირდეს თორემ, მწერი ბაღდადიდან მონახავსო.

ფიქსირებულია დამასკოში, ჰამიდიასში:

المصايب ما تأتي فرادي - [əl-mṣaâyib mā taʿtī farādī]

ფიქსირებულია ალეპოში:

البلايه ما بيجي □ و □ دو - [əl-balâyā mā byîʒī wáhdō]

– უბედურება მარტო არ მოდის.

ქართ.: გაჭირვებულს ქვა აღმართში მიეწიო; დამწვარს მდულარე დაასხესო; კაცი ხიდან ჩამოვარდა და ძირს გველმა დაკბინაო.

ფიქსირებულია დამასკოში, მაზნაში:

ما يبكي على الولد الا اللي ربه - [mā bjíbkī ʿal əl-wálad ʾillā əllī rabbā(h)] - არავინ ტირის

ბავშვზე გარდა იმისა, ვისაც გაუზრდია.

ფიქსირებულია დამასკოში, მაზნაში:

ما بيكي على القرش الا اللي جناه - [mā bjībki 'al əl-'irš 'illā əllī žanā(h)] - არავინ მისტირის (დაკარგულ) კირშს (ხურდა ფული) გარდა იმისა, ვისაც მოუპოვებია.

ქართ.: სხვისი ჭირი – ღობეს ჩხირიო; მეზობელს მეზობლის მკვდარი მძინარე ეგონაო.

ბ) ანდაზა კომუნიკაციური ერთეულია, პრაქტიკამ აჩვენა, რომ შესაძლებელია, მისი კონკრეტულ კონტექსტში ჩართვისას, მთქმელმა ინდივიდუალური ინტერპრეტაციის საფუძველზე (მისი გემოვნების, თუნდაც მეხსიერების მიზეზით, ზოგჯერ მოცემული კონტექსტის გავლენით) სპონტანურად იქვე შეიტანოს რაიმე ცვლილება. ბუნებრივია, ეს იმ დოზით ხდება, რომ არ ირღვევა მოცემულ კოლექტიურ ცნობიერებაში მოცემულ თემაზე დადგენილ პარადიგმის (დედააზრის) ზოგადაზრობრივი დატვირთვა. ეს, ბუნებრივია, თავის მხრივ, უზრუნველყოფს ფუნქციურად მის სწორად გამოყენებას. ე.წ. „დოზირების ნორმას“ (შეიძლება შემოტანილ იქნას ტერმინი), ისე როგორც ანდაზის მართებულად გამოყენების „წესებს“, ქვეცნობიერად ფლობენ სამეტყველო აქტის მონაწილენი. როგორც ჩანს, ამ შემთხვევაშიც, ანდაზის ფორმალისაციის პროცესში დაფიქსირებული ინდივიდუალური ცვლილებები მოცემული კოლექტიური ცნობიერების, მისი აზროვნების კანონების ფარგლებში თავსდება და მის ჩარჩოებს პრაქტიკულად არ სცდება. ეს მოვლენა, როგორც პრაქტიკამ აჩვენა, ჩვეულია ფოლკლორული ნაწარმოებისთვის, რადგან ის არის „ცნობილი ნორმებისა და იმპულსების კომპლექსი, აქტუალური ტრადიციის „კანვა“ (იაკობსონი... 1966:6), რომელსაც შემსრულებლები „ქარგავენ“ ინდივიდუალური შემოქმედებითი გემოვნებით. მსგავსად იმისა, როგორც იქცევან parole-ს შემქმნელები langue-სთან მიმართებით“, მაგალითად:

كلّ صلّٰ والو كبوه - [kəll ḥisān u 'ilō kábwe]

لكلّ جواد كبوه - [lakəll žawād kábwe]

ლიტ.: الجواد قد يعثر - ['inna l- žawād 'ad ja'thuru]

– ერთხელ კარგი ბედაურიც წაიბორძიკებს.

ქართ.: ერთი პირი ძილი წყალსაც მოუვაო; ერთი პირი ძილი წყალმაც იცისო; ერთხელ ბრძენიც შეცდებაო; ერთი ალალო (ალილუა) მღვდელსაც შესცდებაო.

ამ ვარიაციებს მოცემულ ფონდში დაეძებნება ა) სინონიმი (აზრობრივი პარალელი),
ბ) ანტონიმი:

ا) كلّ لعيب والو فش - [kəll la'īb u ilō fášle] - ერთხელ კარგი მოთამაშეც დამარცხდება.

ბ) ربّ رمية من غير رام - [rabb ramja(h) mañ gǧǧr rām] - ერთხელ ცუდი მსროლელიც ისვრის მიზანში.

ქართ.: წელიწადში ერთხელ ცოცხიც ისვრისო.

الحبّ أعمى - [əl-ḥubb 'a'mā] - სიყვარული ბრმაა.

الحبّ صلّٰ ب العمايه - სიყვარული სიბრმავის მეგობარია.

ქართ.: სიყვარული ბრმაა.

كلّ لو في لى متّو - [kəll lō fi 'lī mīnnō] - ყოველ ლამაზს მისი მჯობნი ჰყავს.

كلّ شاطر في أشطر منّو - [kəll šāṭar fi 'ašṭar mīnnō] - ყოველ ყოჩაღს მისი მჯობნი ჰყავს.

ქართ.: მჯობნის მჯობნი არ დაილევიაო.

ألف عين بتبكي ولا عيني بتدمع - ['alf 'ən btébkī u lá 'əni btádmō'] - ათასმა თვალმა იტიროს, მე კი ერთიც ნუ ამიცრემლდებაო.

ألف عين بتبكي ولا عيني أمّي - ['alf 'ən btébkī u lá 'ən 'ummī] - ათასი თვალი ტიროდეს, დედაჩემის კი არაო.

ქართ.: სხვისი ჭირი ღობეს ჩხირიო; მეზობელს მეზობლის მკვდარი მძინარე ეგონაო;

შენს იქით კაცის ისრის კვრა ბუკის ცემას დაადარეო; სხვათად ნაჭობი ისარი მითომ ყუნჭს ესჭვაო.

الى بَدُو يلعب مع القطَّ بَدُو يلقي خرائيشو - [ə'llī biddō jəl'ab ma' əl-'itt̪ bī'ddō jəl'ā h̄arāmīšō]

اللهى بيريدي يلعب مع القطَّ بيريدي يتحمل خرائيشو [ʔallī byərīd̪ yə'l'ab ma' əl-'itt̪ bjərīd̪ jəth̄ammal h̄arāmīšō]

– ვისაც კატასთან თამაში სურს, მისი ნაკაწრიც უნდა აიტანოს.

ქართ.: ვისაც თევზი უნდაო, ფეხიც სველი უნდაო; ორაგული თუ გინდა, ფეხიც სველი გინდოდესო; წყალში დაუსველებლად თევზი არ დაიჭირებაო; ვარდი უეკლოდ ვის მოუკრეფიაო.

كلَّ عيله والو بلّوعه - [kəll 'èle u 'ilō ballū'a]

لكلَّ بيت بلّوعه - [lakəll bēt ballū'a]

– ყოველ ოჯახს/სახლს თავისი უხეირო ჰყავს (საკანალიზაციო მილი აქვს).

ქართ.: ოჯახი უგონჯოდ არ არისო; უხეირო და უემური თითო ყველა სახლში გამოერევაო; თითო უპატიური კოვზი ყველა ოჯახშიაო; ოჯახში ერთი მახინჯი გამოერევაო; თითო ოჯახში თითო კოჭობი შეჭამანდი დულსო; თითო კოვზი ძაღლის ფინთი ყველგან არისო.

ამ ანდაზასთან გენეტიკურ კავშირშია იდიომი: بلّوعة العيله [ballū't əl-'èle] - ოჯახის საკანალიზაციო მილი. **ქართ.:** ოჯახის გონჯი; კოჭობი ლობიო.

წარმოდგენილი მაგალითები საინტერესო მასალას იძლევა მოცემული ქვეყნის სასაუბრო ენის არაერთგვაროვანი სპექტრის, კერძოდ, იმ კუთხის ან სოციალური ფენის მეტყველების სპეციფიკის შესასწავლად, სადაც იგია ჩაწერილი. ეს კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ ეთნიკური რეალიები, ხატოვანი ელემენტები გამონათქვამს არა მხოლოდ სძენენ ამა თუ იმ ემოციურ შეფერილობას, არამედ გამოხატავენ სხვადასხვა მხარის თავისებურებებს (პერმიაკოვი 1970: 29). ამავდროულად, ანდაზების ვარიანტებში მოცემულ ყოველ ახალ სიტყვას ან სიტყვათა კომბინაციას დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც ლექსიკის, ისე გრამატიკის მხრივ. ეს განსაკუთრებულ ღირებულებას იძენს შეპირისპირებითი კვლევის მხრივ. ამიტომ, ჩვენ მიერ ფიქსირებულია ამა თუ იმ ანდაზის ჩვენამდე მოღწეული ყველა ვარიაციული ფორმა.

ამგვარად, მიღებული შედეგები სირიული ანდაზების მაგალითზე ეთანხმება ლორდ რასელის უნივერსალურ შეფასებას – “*A proverb is one man's wit and all men's wisdom*” (ანდაზა მრავალთა (კოლექტიური) სიბრძნეზე დაფუძნებული ერთი კაცის გამჭრიახობაა), ანუ ის ინდივიდუალური და კოლექტიური ელემენტების ერთობლივი მოცემულობაა. ის ამა თუ იმ ინდივიდის მიერ მოცემული ხალხის ისტორიული გამოცდილებისა და აზროვნების ნიადაგზეა შექმნილი. შემდგომში იმავე კოლექტივის მიერ მიღებული (მიუღებელი არ მიიღება), ხშირად საკუთარ ყალიბზე მორგებული, მის მიერვე გავრცელებული და შენახული. სხვა სიტყვებით, ამა თუ იმ ზეპირსიტყვიერი ქმნილების ფოლკლორიზაციის პროცესი ე. წ. ინდივიდუალური შემეცნების, დაკვირვების კოლექტიური განმეორებადობაა (ზოგჯერ ინდივიდუალური ვარიაციებით მოცემულ თემაზე), ეთნოსისათვის ფუნქციურად საჭირო იდეის შენახვა (შესაძლებელია ვინმართ „კონსერვაცია“) ეროვნულ ღირებულებათა ფონდში, რომელიც ზეპირსიტყვიერი გზით თაობიდან თაობას გადაეცემა. შესაბამისად, მას ეროვნული ცნობიერება (დამოუკიდებლად იმისგან, ავტორი ანონიმი თუ ცნობილი) ხალხურად – ეროვნულ ფასეულობად აღიქვამს.

ლიტერატურა:

1. ერთელიშვილი ფ. (1957). ანდაზის ცნების საკითხისათვის. „მნათობი“. №3.
2. კიკნაძე ზ. (2008). ქართული ფოლკლორი. თბილისი: თსუ გამომცემლობა.
3. რუსიეშვილი მ. (2005). ანდაზა. თბილისი: თსუ გამომცემლობა.

4. Bogatyrev P., Jakobson R. (1966 /1971), "Die Folklore als eine besondere Form des Schaffens"; Selected writings, t; IV, Slavic Epic Studies, The Hague-Paris, p. 1-15. Перевод Б.Л. Огибенина («фольклор как особая форма творчества»).
5. Fernando C. (1996). Idioms and Idiomaticity. Oxford: Oxford University Press.
6. Jakobson R. (1981) "Notes on the Make up of a Proverb", Selected Writings, III, Mouton Publishers, The Hague-Paris-New-York.
7. De Lacy O' Leary D.O. (1987). Colloquial Arabic, Routledge and Kegan Paul; London, Henley and Boston.
8. Пермяков Г.Л. (1970) От поговорки до сказки. Москва.
9. Потебня А.А. (1930). Из лекции по теории словесности, Харьков.

Individual Aspects in the Process of Folklorization of Minor Verbal Forms

(Based on the analysis of Sirian dialect Arabic proverbs with Georgian Parallels)

Tumanishvili Khatuna

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Tbilisi

Abstract

The Article presents considerations on the problem of individual role in minor forms of folklore, specifically in the genre of proverb. The fact that verbal folklore, unlike written, is in permanent colloquial circulation, is a major determinant for its dynamic development and frequent transformation. Proverbs, compared to other verbal folklore genres, are more stable and durable due to their stylistically concise and concentrated forms. However, the mentioned process of varying forms, deriving from their topical basis also occurs in the genre of proverbs.

Analysis of the illustrative material utilized in this article, identified possible determinants for proverbs' transformations (modifications, individual interpretations etc.). It has also been found that concrete folklore samples are changeable, which proves that each folklore piece has more than one author.

Authors of the original ideas, known or anonymous, can be individuals, who lose their authorship with time. If ideas are valuable, communities identify, accept (unacceptable ones are rejected) and repeat them (sometimes with variations on the given theme). This is a process of individual cognition, collective recurrence of observations; retention, or rather "conservation" of the functionally essential ideas within the pool of most important national values, pertaining to the given ethnicity; the ideas, which are then passed from generation to generation through folklore. These ideas are then respectively identified as ideas containing popular or national values. This article compares illustrative samples of Syrian-Arabic dialectal proverbs with their Georgian equivalents _ parallels that are at times complete or dynamic. Non-Arabic materials are obtained from sources in Syria, whereas no other foreign sources have been used.

Key words: Verbal folklore, proverb, individual, collective, transformation.

ზედსართავ მცირე-ს ლექსიკური ველი ქართული ენის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე

კიკონიშვილი მარიამ

ჭუმბურიძე ნინო

ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი
არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი

DOI: <https://doi.org/10.52340/idw.2023.29>

აბსტრაქტი. ლექსიკურ ერთეულ მცირე-ს ქართულ სალიტერატურო ენასა და სასაუბრო მეტყველებაში გამოყენების ფართო არეალი აქვს. იგი გამოხატავს ნაკლებ ოდენობას ზომა-წონის, მოცულობის, რაოდენობის, მნიშვნელობის მიხედვით. კიდევ უფრო ფართო იყო ეს არეალი ძველ ქართულში. V-XI საუკუნეების სალიტერატურო ტექსტებში მცირე გამოხატავს ნაკლებ ოდენობას ასაკის, ღირებულების, სოციალური სტატუსის მიხედვითაც. დროთა განმავლობაში ამ ზედსართავი სახელის გამოყენების სიხშირე და გავრცელებულობა შეიცვალა. ზოგ შემთხვევაში მას ჩაენაცვლა ცოტა და პატარა, რომლებსაც იშვიათად ვხვდებით V-XI საუკუნეების მხატვრულ ლიტერატურაში. მათი გამოყენება ხშირდება შუა საუკუნეების ტექსტებში. თანამედროვე ეტაპზე ცოტა მხოლოდ რაოდენობრივ სიმცირეს აღნიშნავს, პატარა კი ყველაზე ფართოდ გამოიყენება და სხვადასხვა ნიშნის მიხედვით გამოხატავს სიმცირეს, ნაკლებ ოდენობას. რაც შეეხება მცირეს, ის ხშირად გვხვდება სხვადასხვა ნიშნის ნაკლებობის გამოსახატავად, მაგრამ მისი გამოყენების არე, ძველი და შუა საუკუნეების მონაცემებთან შედარებით, შეზღუდულია. ის მსაზღვრელ სახელად დამოუკიდებელი სახით ნაკლებად გვხვდება, უმეტესად მას აზუსტებს, მასთან ერთად გამოიყენება ის ლექსიკური ერთეული, რომელიც აღნიშნავს, რა ნიშნის მიხედვით ხდება ობიექტის შეფასება: მცირე ზომის, მცირე სიდიდის, მცირე ასაკის, მცირე რაოდენობის და ა. შ. თანამედროვე სალიტერატურო ქართულში მცირე-თი იქმნება ორსიტყვიანი ტერმინები (მცირე აზია, მცირე ბიზნესი, მცირე მეურნეობა, მცირე მეწარმე...), კომპოზიტები (მცირემოსავლიანი, მცირეწლოვანი, მცირერიცხოვანი, მცირეყალიბიანი...), მყარი შესიტყვებები (მცირე ხარვეზი, მცირე დანაკარგი, მცირე გაზარტის ბომბები, მცირე სიმპლავრის ელექტროსადგური...). ლექსიკური ერთეული მცირე ძირითადად დამახასიათებელია სამეცნიერო, პუბლიცისტური და ოფიციალურ-საქმიანი სტილისათვის.

მოხსენებაში წარმოდგენილი ძველი, საშუალო და თანამედროვე ქართულის მონაცემები წარმოაჩენს, ერთი მხრივ, სიტყვა მცირე-ს ლექსიკურ ველს და მეორე მხრივ, მისი გამოყენების თვალსაზრისით ენის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე მომხდარ ცვლილებებს.

საკვანძო სიტყვები: ლექსიკური ერთეული, ლექსიკური ველი, სიმცირის გამოხატვა, სალიტერატურო ენის ეტაპები.

თანამედროვე სალიტერატურო ქართულში იმ ლექსემათა შორის, რომლებიც ზოგად სიმცირეს გამოხატავენ, ყველაზე გავრცელებულია პატარა, მცირე და ცოტა. მათი გამოყენების სიხშირისა და გავრცელებულობის თვალსაზრისით თანამედროვე ვითარება განსხვავდება ძველ სამწერლობო ენაში წარმოდგენილი სურათისაგან. საინტერესოა თვალი გავადევნოთ ამ ცვლილებებს.

მცირე ლექსემას ქართულ სალიტერატურო ენასა და სასაუბრო მეტყველებაში გამოყენების ფართო არეალი აქვს. იგი გამოხატავს ნაკლებ ოდენობას ზომა-წონის, მოცულობის,

რაოდენობის, ასაკის მიხედვით. ქეგლ-ში მისი განმარტება ასეთია:

მცირე 1. პატარა, ცოტა (ზომით, რაოდენობით): მცირე დარბაზი; მცირე მანძილი; მცირე შემოსავალი; მცირე ხელფასი. || ხანმოკლე: მცირე დუმილი; მცირე ყოყმანი. || მსუბუქი, სახელდახელო: მცირე საუზმე. || უმნიშვნელო, ოდნავი: მცირე მოძრაობა; მცირე ოპერაცია; მცირე დახმარება; მცირე შენიშვნა. 2. წლოვანებით, ასაკით პატარა, უმცროსი.

ქეგლ-ში წარმოდგენილ მე-2 მნიშვნელობას ახლავს ილუსტრაცია ვაჟა-ფშაველას პოემიდან: „დაჯარდით, ხევსურთ შვილებო, ყველანი – დიდნი, **მცირენი**; სამართალი ვქნათ, ვუმტვრიოთ ალუდას სახლის დირენი!“.

უნდა აღინიშნოს, რომ **მცირე** უმცროსის მნიშვნელობით თანამედროვე სალიტერატურო ქართულში აღარ გვხვდება, განსხვავებით ძველი ქართულისაგან.

როგორც ეს V-XI საუკუნეების ტექსტებიდან ჩანს, **მცირე**-ს გამოყენების ველი იმ პერიოდში კიდევ უფრო ფართო იყო.

ი. აბულაძის ძველი ქართული ენის ლექსიკონის მიხედვით, **მცირე** არის **ცოტა**, **პატარა**; **მსუბუქი**; **უმნიშვნელო**; **მორჩილი**. **მცირე**-ს გარდა ამავე მნიშვნელობით გამოიყენება **მცირედი** და კნინობითი ფორმები: **მცირეაკი** / **მცირეამ**, **მცირამ**.

მოვიყვანთ ნიმუშებს ძველი ლიტერატურული ტექსტებიდან.

მცირე (// **მცირეამ**, **მცირედი**) გამოხატავს:

ზომით, მოცულობით ნაკლებს:

„იყო წმიდა იგი **მცირე** ეკლესიაა წმიდასა ნათლისმცემელისა“ (გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება);²³

„არს მახლობელად ჩვენსა ქვაბი **მცირეამ**“ (გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება);

ასაკით ნაკლებს:

„(დედაკაცს) აქვნდა ხელთა ძე თვისი **მცირე** ვითარ ორისა წლისა...“ (გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება);

„ხოლო ყრმა იგი **მცირეამ** იყო ჟამითა...“ (გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება);

რაოდენობით ნაკლებს:

„...ეკლესიასა შინა ერთი წიგნისმკითხველი **მცირეთა** მსმენელთა და მრავალთათვის სწორად კმა არს“ (გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება);

„იყვნეს დღენი მისნი **მცირე**“ (წმ. ფს. 108, 8); (აბულაძე, 1973);

„**მცირედთა** დღეთა შემდგომად იხილო...“ (გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება);

ნაკლებ ოდენობას, ცოტას:

„სიყმილსა შინა **მცირითა** პურითა მრავალნი მშვიერნი გამოზარდნიან“ (გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება);

„არამედ ვთქვა **მრავლისაგან მცირედი** ესრეთ...“ (გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება);

ნაკლები მნიშვნელობისას, უმნიშვნელოს:

„ტურთი ჩემი **მცირე** არს“ (მთ. 11, 30), (აბულაძე, 1973);

„სიკეთე **მცირითა** საღმობითა დაჭნეს“ (ფლკტ. 140, 3), (აბულაძე, 1973);

მცირე- ფუძისაგან არის წარმოქმნილი მრავალი ზმნური და სახელური ფორმა: **აღმცირება**, **დამცირება**, **მცირეაკი**, **მცირება**, **მცირედ**, **მცირედი**, **მცირედა**, **მცირედ-მცირედ**, **მცირედ-მცირედი**, **სიმცირე**, **სულმცირე**, **უმცირესი**, **შემცირება** (აბულაძე, 1973); **მცირედთაგანი**, **მცირედჟამეულობა**, **მცირათაგანი**, **მცირაობამ**, **მცირეობამ**, **მცირეაკი**, **მცირედაამ**, **მცირედის**, **მცირედმეტყულებამ**, **მცირედმორწმუნეამ**, **მცირედმორწმუნეობამ**, **მცირედმწვამრობამ**, **მცირედსწავლული**, **მცირედშემწეობამ**, **მცირედ-ჩინება**, **მცირედწარსაგებლიან-ყოფა-ამ** (სარჯველაძე, 1995; სარჯველაძე, 2001).

როგორც ვხედავთ, **მცირე** ძველ ქართულში აქტიურად გამოიყენებოდა. ფართო არეალი აქვს მას შუა საუკუნეების ტექსტების მიხედვითაც. იგი გვხვდება ზომის, ასაკის, რაოდენობის, წოდებრივი მდგომარეობის, ღირებულების, მნიშვნელობის თვალსაზრისით ნაკლები ოდენობის გამოსახატავად. მოვიყვანთ სათანადო ნიმუშებს ამ ტექსტებიდან:

²³ ნიმუშები მოგვყავს ქართული ენის ეროვნული კორპუსიდან: <https://gns.gov.ge>.

მცირე გამოხატავს **ზომის სიმცირეს**:

„*ეგე სამეფო ნუ გინდა, არ შენი შესაფერია, არის მცირე და ურგები*“ (შაჰნავაზიანი);

მცირე გამოხატავს **ნაკლებ ოდენობას, ცოტას**:

„*გაისტუმრეს მენიშნები, მათ აჩუქეს დია მცირე*“ (შაჰნავაზიანი).

„*წყარო ნახეს და ჩამოვდეს, შეჭამეს მცირე პურია*“ (შაჰნამე);

„*მასვე წამსა მოილო ვეზირმა მცირე რამე წამალი*“ (რუსუდანიანი).

მცირე გამოყენებულია **ასაკის მიხედვით პატარას** გამოსახატავად:

„*მოკუდა ოლჯათ სულტანი და დაუტევა ძე მცირე, ვითარ შვიდისა წლისა*“ (ქართლის ცხოვრება);

„*ამას ჟამსა შინა მიიცივალა ტფილისს ძე მეფის ლუარსაბისი ყრმა მცირე*“ (ქართლის ცხოვრება);

ხშირად, როცა **მცირე** აღნიშნავს წლოვანების, ასაკის მიხედვით პატარას, ეს მითითებულიც არის:

„*ამისთვის უქადა მისი ასული... შვენებითა სრული და ასაკითა მცირე*“ (რუსუდანიანი);

„*იგი ასაკითა მცირე არს*“ (რუსუდანიანი);

მცირე ან **მცირედი** ხშირად სოციალურად დაბალ საფეხურზე მყოფის გამოხატველია. ასაკის სიმცირეზეა საუბარი თუ წოდებრივ სიმცირეზე, ეს კონტექსტის მიხედვით ამოიცნობა. ზოგჯერ ფრაზაშივე ჩანს, რომ **მცირე** სოციალურად დაბალ საფეხურზე მყოფს ნიშნავს და არა ასაკით პატარას, რადგან ის გამოყენებულია **ამაღლებულის, დიდებულის ან მდიდარის** გვერდით, როგორც რომელიმე მათგანის ანტონიმური სიტყვა:

„*ვერვინ მორჩების სოფელსა ღვთისაგან დაბადებული, სიმწართ არ გამოსცადოს მცირე, გინ ამაღლებული!*“ (შაჰნამე);

„*გასცეს ურიცხვი დიდებულთა და მცირედთა ზედა და ნადიმობასა შინა ახლად დაგვმოსნეს ტანსა ექვს-ექვსჯერ*“ (ამირანდარეჯანიანი);

„*შეკრიბნა მისნი მხლებელნი, მდიდარნი ანუ მცირეა*“ (შაჰნამე).

საინტერესოა, რომ აღნიშნული პერიოდის ტექსტებში დასტურდება **მცირეებული**, რომელიც ძველ წერილობით ძეგლებში არ გვხვდება:

„*მაშინ შემოკრბეს დიდებულნი და მცირებულნი და თაყვანისცეს ამირან დარეჯანის ძესა*“ (ამირანდარეჯანიანი).

„*მოეგება ყოველი ქვეყანა და სამეფო მისი – დიდებულნი და მცირებულნი*“ (ამირანდარეჯანიანი).

მცირე მრავლობითი რიცხვის ფორმითაც გვხვდება, უფრო ხშირად ნარიანი მრავლობითია გამოყენებული, მაგრამ გვხვდება ებიანიც:

„*და ვიხილენ მკუდარნი, მცირენი და დიდნი, მდგომარენი წინაშე*“ (ბაქარის ბიბლია);

„*ჩვენც დავიჯოცოთ, ქვეყანა ამოსწყდეს, დარჩეს მცირები*“ (შაჰნავაზიანი);

„*მოვიდენ სულად მეგრელები, დიდი ვინ, ანუ მცირები*“ (შაჰნავაზიანი).

მცირე ხშირად **ნაკლებ რაოდენობას** აღნიშნავს, თუმცა მნიშვნელობის დასაზუსტებლად ზოგჯერ აქაც კონტექსტის გათვალისწინებაა საჭირო:

„*ვებრძოლოთ მათ ზედა რამეთუ ჩუნ ვართ მცირენი*“ (ბაქარის ბიბლია);

„*თქუა: „მცირე ჯამს საახლებად, რად მინდაო ბევრათასი*“ (შაჰნავაზიანი);

„*საწუთროსა შიგან ვინმე დიდი დაყოს, ვინმე მცირე დღენი*“ (შაჰნამე);

მცირე ზმნისართიც არის:

„*მცირე მიმოვლო და ისევ ფალავანთან შემოვიდა*“ (შაჰნამე).

როგორც ვხედავთ, **მცირე** ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული სიტყვაა, რომელიც ბევრ სხვადასხვა კონტექსტში გვხვდება და გამოხატავს სხვადასხვა ნიშნის, თვისების ნაკლებობას. მისგან წარმოიქმნება ახალ-ახალი, როგორც სახელური, ასევე ზმნური, ფუძეები. ამავე დროს შუა საუკუნეების ტექსტებში **მცირე**-ს პარალელურად აქტიურდება სახელები: **პატარა** და **ცოტა**. ძველ (V-XI საუკუნეების) ტექსტებში ამ სახელების გამოყენება მეტად იშვიათია.

ცოტა არ არის წარმოდგენილი ი. აბულაძის ძველი ქართული ენის ლექსიკონში, ზ. სარჯველაძის ლექსიკონებში გვაქვს: **ცოტა-მ**, **ცოტად** (ოდნავ), **ცოცოტა-მ** (ცოტ-ცოტა)

(სარჯველაძე, 1995; სარჯველაძე, 2001):

„იყოს ცოტათა სიტყვთა ადრე გამწყრალი და ცოტათვე სიტყვთა ადრე დამშვდებული“
[ეტლ. 1, 26-28] (სარჯველაძე, 1995);

„კაცი იყოს ცოტად პირგრძელი... და თეთრი თუალისა ცოტად უფროდსი შავისაგან“
[იქვე 9, 24-25] (სარჯველაძე, 1995).

„ყოვლის ჯელისუფლობისაგან ცოცოტამ ისწავლოს“ [ეტლ. 11, 42] (სარჯველაძე, 1995).

პატარა ი. აბულაძის ლექსიკონში მხოლოდ ერთი ნიმუშით არის წარმოდგენილი:
„შემაგინებდეს მე... პატრისა ერთისათვის პურისა“ (O. pb., ეზეკ. 13, 19) (აბულაძე, 1973).

ზ. სარჯველაძის „ძველი ქართული ენის სიტყვის კონაში“ საერთოდ არ არის ლექსიკური ერთეული პატარა, მაგრამ არის პაშტა-მ, რომელიც პატარა-ს ფონეტიკურად სახეცვლილი ფორმაა და წარმოდგენილია ერთი ნიმუშით: „პაშტამ წააგო საშენსა შინა წმიდისა ... გიორგისსა“ [A=85 352, 2-3] (სარჯველაძე, 1995).

ცოტა და პატარა, როგორც ჩანს, სალიტერატურო ქართულში მოგვიანებით გააქტიურდა. შუა საუკუნეების ტექსტებში ცოტა, რაოდენობრივი სიმცირის გარდა, გამოხატავს ასაკისა და ზომის სიმცირესაც, გამოიყენება ზმნისართადაც:

„ცოტანი თათარნი მოსრულიყვნეს“ (ამირანდარეჯანიანი).

„ჩვენ წავედით და ვლეთ ცოტა ხანი“ (ამირანდარეჯანიანი).

„ცოტა იყო, ხუთის წლისა“ (შაჰნავაზიანი).

„ორნი კარავნი დგეს: ერთი დიდი და ერთი ცოტა“ (ამირანდარეჯანიანი).

„ცოტა სარკმელი ნახა, რომე სინათლე გამოდიოდა“ (რუსუდანიანი).

„ამაზედ ცოტა გული დაუამდა“ (რუსუდანიანი).

კიდევ უფრო ფართოდ გამოიყენება პატარა (პატა). იგი ყველა იმ კონტექსტში გვხვდება, რომლებშიც – მცირე; გამოხატავს ზომის, მნიშვნელობის, ხანის, ასაკის ნაკლებ ოდენობას, გვხვდება ზმნისართადაც:

„პატა ალაგი კიდევ წავიარეთ“ (რუსუდანიანი);

„პატა საქმე მაქო და მას უკან ყველას გეტყვიო“ (რუსუდანიანი);

„მას პატარა თალარი ადგას ყირმიზის იაგუნდისა“ (რუსუდანიანი);

„იგი ქალი პატარაი მამიდასა გაეზარდა“ (ვეფხისტყაოსანი);

„ამალამ დამაცადე, პატარა მოვისვენო“ (შაჰნამე).

„პატარა გულს უკუმეყარა“ (რუსუდანიანი);

როგორც ვხედავთ, შუა საუკუნეების ძეგლებში მცირე-ს ენაცვლებოდა როგორც ცოტა, ასევე პატარა, მაგრამ ცოტა-ს გამოყენების არეალი თანდათან დავიწროვდა და თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ის მხოლოდ რაოდენობის სიმცირის გამომხატველია. რაც შეეხება პატარა-ს, მისი გამოყენების არეალი უფრო გაიზარდა. თანამედროვე ეტაპზე ამკარაა, რომ მან თანდათან ჩაანაცვლა მცირე, რომელსაც დღესაც გამოყენების ფართო არეალი აქვს, მაგრამ ეს არეალი ძველ ქართულთან შედარებით, შეზღუდულია. ადამიანის ან კონკრეტული საგნის ზომის, სიდიდის, ასაკის ნაკლებობის გამოსახატავად მცირე თითქმის არ გვხვდება; არ ვიტყვით: მცირე გოგონა, მცირე ჩანთა, მცირე მაგიდა... თუ გვხვდება მცირე რომელიმე კონკრეტულ საგანთან, ამ შემთხვევაში მას ახლავს ხოლმე სიტყვა, რომელიც გვიჩვენებს, რის სიმცირეზეა ლაპარაკი: მცირე ასაკის, მცირე ზომის, მცირე რაოდენობის, მცირე მოცულობის...

მოვიყვანო რამდენიმე ნიმუშს:

„მცირე ასაკის ბავშვებისთვის ნიღბის ტარება რეკომენდებული არაა“.²⁴

„მცირე ზომის სატვირთო ლიფტებს საკმაოდ ფართო გამოყენება აქვს“.²⁵

„ჩანთა... განკუთვნილია მცირე რაოდენობის ზოგიერთი ნივთის შესანახად“.²⁶

²⁴ <https://tabula.ge/ge/news/645727-zakhashvili-mtsire-asakis-bavshvebistvis-nighbis>.

²⁵ <https://www.citadeli.com/ka/products/26-koshkura-amtseebi-da-liftebi/>.

²⁶ <https://minikar.ru/ka/health/kak-rabotaet-izotermicheskaya-sumka-perenosnoi-holodilnik-holod/>.

ასე რომ, მცირე დამოუკიდებელი სახით კონკრეტული სახელების მსაზღვრელად თითქმის აღარ გვხვდება. იგი დამკვიდრდა მყარ შესიტყვებებში: მცირე ხარვეზი, მცირე შენიშვნა, მცირე დეტალი, მცირე დანაკარგი, მცირე განსხვავება, მცირე მექანიზაციის საშუალებები, მცირე გაზარიტის ზომები, მცირე სიმძლავრის ელექტროსადგური, დროის მცირე მონაკვეთი და ა. შ.

მცირე-თი არის მიღებული ორსიტყვიანი ტერმინები: მცირე აზია, მცირე ბიზნესი, მცირე მეურნეობა, მცირე მეწარმე, მცირე საწარმო, მცირე ნალექი...

მცირე ასევე აქტიურად მონაწილეობს კომპოზიტების წარმოქმნაში: მცირემოსავლიანი, მცირეწლოვანი, მცირერიცხოვანი, მცირემეტრაჟიანი, მცირეყალიბიანი, მცირეფასიანი...

ზოგადად, უნდა აღინიშნოს, რომ ქართული ენის განვითარების თანამედროვე ეტაპზე მცირე-ს გამოყენება დამახასიათებელია არა სასაუბრო მეტყველებისათვის, არამედ სამეცნიერო, პუბლიცისტური ან ოფიციალურ-საქმიანი სტილის ტექსტებისათვის.

ლიტერატურა:

1. აბულაძე ი. (1973). ძველი ქართული ენის ლექსიკონი. თბილისი: მეცნიერება.
2. სარჯველაძე ზ. (1995). ძველი ქართული ენის ლექსიკონი. თბილისი: თსუ გამომცემლობა.
3. სარჯველაძე ზ. ძველი ქართული ენის სიტყვის კონა. (2001). თბილისი სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური უნივერსიტეტის გამომცემლობა.
4. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი V. (1958). თბილისი. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.
5. ქართული ენის ეროვნული კორპუსი – gns.gov.ge

The Lexical Field of the Adjective მცირე mtsire “Small” on Different Stages of Development of the Georgian Language

Kikonishvili Mariam
Tchumburidze Nino

Ivane Javakhishvili Tbilisi State University,
Arn. Chikobava Institute of Linguistics, Tbilisi

Abstract

The adjective მცირე mtsire “small” has a wide field of use in the literary Georgian language and colloquial speech. It expresses a small amount based on size–weight, volume and number. In Old Georgian, its semantic field was even broader. In Old Georgian literary texts, მცირე /mtsire/ (small) expressed a small amount with regard to age, price and social status. The meaning and frequency of occurrence of this adjective changed with time. In some cases, it was replaced by other adjectives. Instead, მცირე /mtsire/ (small) started to form part of certain terms and set expressions. In our opinion, the material analyzed in the paper will be valuable, on the one hand, for the study of the lexical field of the given adjective, and, on the other hand, for observation of the changes taking place in the language. In some cases, it was replaced by ცოტა /tsot’a/ (few) and პატარა /p’at’ara/ (little), which are rarely found in the literature of the 5th-11th centuries. Their usage became more frequent in the medieval texts. Currently, ცოტა /tsot’a/ (few) denotes only a small amount, whereas პატარა /p’at’ara/ (little) is most widespread and expresses a small quantity based on different semantic nuances. As for მცირე /mtsire/ (small), it often denotes the lack of a certain feature, yet, as compared to the data of Old and Middle Georgian, its area is restricted. It is rarely found independently as an attribute. Most frequently, it is accompanied by another lexical unit denoting the markers of evaluation of the object: **small size, small amount, young age, small number** etc. In modern literary Georgian, მცირე /mtsire/ (small) forms terms and collocations (მცირე აზია /mtsire azia/ (Asia Minor), მცირე ბიზნესი /mtsire biznesi/ (small

business), მცირე მეურნეობა /mtsire meurneoba/ (small farm), მცირე მეწარმე /mtsire mets'arme/ (small entrepreneur...), compounds (მცირემოსავლიანი /mtsiremosavliani/ (yielding small amount of crops), მცირეწლოვანი /mtsirets'lovani/ (juvenile), მცირერიცხოვანი /mtsireritskhovani/ (scanty), მცირეყალიბიანი /mtsireq'alibiani/ (small-calibre)...), set expressions (მცირე ხარვეზი /mtsire kharvezi/ (a minor defect), მცირე დანაკარგი /mtsire danakargi/ (minor loss), მცირე გაბარიტის ბომბები /mtsire gabaritis bombebi/ (small-size bombs), მცირე სიმძლავრის ელექტროსადგური /mtsire simdzlavris elekt'rosadguri/ (small-power plant)...). The lexical unit მცირე /mtsire/ is chiefly peculiar of scientific, journalistic and formal/business style.

On the one hand, the Old, Middle and Modern Georgian data analyzed in the paper reveal the lexical field of the word მცირე /mtsire/ (small). On the other hand, these data reflect the changes that happened in the language at different stages of its development.

Key words: Lexical unit, lexical field, expression of lack, stages of the literary Georgian language.

ერთი თეატრალური ტერმინის შესახებ

ლობჯანიძე ივლიტა

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი

DOI: <https://doi.org/10.52340/idw.2023.30>

აბსტრაქტი. ქართული თეატრალური ტერმინოლოგია წარმოადგენს მთლიანად ქართული ტერმინოლოგიური სისტემის ნაწილს. ბუნებრივია, ქართული თეატრალური ტერმინოლოგიისათვის დამახასიათებელია ის ნიშან-თვისებები, რაც ზოგადად ტერმინოლოგიისთვისაა ნიშანდობლივი.

ყურადღებას გავამახვილებთ თეატრალურ ტერმინებში ერთ არსებით ნიშნ-თვისებაზე, რომელიც, განმასხვავებლად გვესახება. ჩვენი აზრით, ხელოვნების ტერმინოლოგიას, სამეცნიერო ტერმინოლოგიისაგან განსხვავებით, ტერმინთა ემოციურ-ექსპრესიული ნეიტრალობა მკაფიოდ გამოხატული არ აქვს. თუ ვისაუბრებთ ხელოვნების ტერმინთა ემოციურ-ექსპრესიულობაზე, ხელოვნების დარგებს შორის თეატრალურ ხელოვნებაში ყველაზე მეტად იგრძნობა ემოციურ-ექსპრესიულობა, რასაც სათეატრო ხელოვნების არსი განაპირობებს, ჩვენ მიერ შერჩეული ტერმინი „განსაცხრომელიც“ ამის დასტურად გამოდგება, რომელიც პირდაპირ მიემართება ემოციურ-ექსპრესიულ პლანს.

შუა საუკუნეების ქართული ლიტერატურის ორიგინალურსა თუ ნათარგმნ ძეგლებში დასტურდება მრავალი ქართული თეატრალური ტერმინი, მათ შორისაა განსაცხრომელი, რომელიც წარმოადგენდა ორქესტრას ქართულ შესატყვისს.

უნდა ვივარაოდოთ, რომ ჩვენმა წინაპრებმა უძველესი დღესასწაულებისადმი მიძღვნილ სანახაობებს ლხინის, მხიარულების აღმნიშვნელი ქართული სახელწოდება - განცხრომა - მიუსადაგეს, რომელიც შემდგომ სანახაობითი ხელოვნების ერთ-ერთი უძველესი სახეობის, რომელშიც მთავარი ადგილი ეკავა ცეკვასა და პანტომიმურ წარმოდგენას, ტერმინად იქცა, როგორც ტერმინი განცხრომა, ასევე მისგან ნაწარმოები განსაცხრომელი გარკვეული ემოციურ-ექსპრესიულობის მატარებელია და არაა ნეიტრალური ტერმინი. რადგან თეატრალურ სანახაობითი ხელოვნება თავისი არსით ყველაზე მძაფრად არის დაკავშირებული ემოციასა და ექსპრესიასთან, შესაძლებელია სწორედ ამიტომ ქართულ ენაში ბერძნულიდან შემოსულ ნეიტრალურ ტერმინ ორქესტრას, ემოციითა და ექსპრესიით დატვირთული ქართული ტერმინი განსაცხრომელი მიუსადაგეს.

საკვანძო სიტყვები: ტერმინი, თეატრი, ემოციურ-ექსპრესიულობა, „განცხრომა“, „განსაცხრომელი“.

ამა თუ იმ დარგის ტერმინოლოგიის შესწავლა ძირითადად რამდენიმე ასპექტით არის მნიშვნელოვანი: ა) ხალხის კულტურისა და ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით, ბ) კონკრეტული დარგის ჩამოყალიბებისა და განვითარების თვალსაზრისით და გ) ლინგვისტური თვალსაზრისით, დარგის ტერმინოლოგიური ველის, როგორც სემასიოლოგიური სისტემის, პრობლემატიკის თვალსაზრისით (ტერმინთა გენეზისი, მათი სტრუქტურა და სემანტიკური ანალიზი, ტერმინთა სიტყვაწარმოებითი მოდელები და ა.შ.). ქართული თეატრალური ტერმინოლოგია, ბუნებრივია, გულისხმობს ამ საკითხებს.

როგორც ცნობილია, ტერმინები წარმოადგენენ "ცოდნის ან მოღვაწეობის სპეციალური დარგების ტიპობრივ ცნებათა აღმნიშვნელ ლექსიკურ ერთეულებს." (გამყრელიძე 2003, 394).

"ტერმინოლოგიური ლექსიკის შექმნის ძირითად წყაროს, უპირველეს ყოვლისა, თვით ქართული ენის ლექსიკური მასალა წარმოადგენს. თანამედროვე ტერმინოლოგია

მზამზარეულად იღებს და იყენებს ქართული ენის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის პროცესში შექმნილ სიტყვებს და მათ სპეციალური დარგის კუთვნილებად აქცევს." (დამბაშიძე 1986, 111).

ტერმინოლოგიური ლექსიკა შემადგენლობით ერთფეროვანი არ არის. ტერმინების გარდა, მასში უხვადაა არატერმინოლოგიური მასალა, სალიტერატურო ენის ლექსიკა. ტერმინთა მიგრაციის შემთხვევები ყველა ენაში მრავლად მოიძებნება.

„საერთო ენის წიაღიდან აღებულ სიტყვებს ტერმინების როლში ხმარებისას სხვა სფერო აქვთ და ფუნქციაც განსხვავებული. სალიტერატურო ენის ლექსიკაში ამ სიტყვებს ერთი მნიშვნელობა აქვთ და ერთ რომელიმე კონკრეტულ რეალიაზე მიუთითებენ, ხოლო ტერმინოლოგიურ სისტემაში ისინი სხვა დენოტატს უკავშირდებიან და სრულიად სხვა მნიშვნელობას იძენენ." (დამბაშიძე 1986, 111-112).

იდეალური ტერმინისათვის დამახასიათებელია მონოსემიურობა, არაომონიმურობა, არასინონიმურობა, ემოციურ-ექსპრესიული ნეიტრალობა, სიმოკლე.

ქართული თეატრალური ტერმინოლოგია წარმოადგენს მთლიანად ქართული ტერმინოლოგიური სისტემის ნაწილს. ბუნებრივია, ქართული თეატრალური ტერმინოლოგიისათვის დამახასიათებელია ის ნიშან-თვისებები, რაც ზოგადად ტერმინოლოგიისთვისაა ნიშანდობლივი.

ამ სტატიის მიზანია, ერთი თეატრალური ტერმინის - განსაცხრომელის - მაგალითით განვამტკიცოთ მოსაზრება, რომ ხელოვნების ტერმინები, სამეცნიერო ტერმინებისაგან განსხვავებით, არ არის ემოციურად ნეიტრალური (ჭრელაშვილი 1999, 4-5), ხოლო ხელოვნების დარგებს შორის სათეატრო ტერმინებში ყველაზე ნათლად იგრძნობა ემოციურ-ექსპრესიული პლანი.

როგორც აღვნიშნეთ, ხელოვნების ტერმინოლოგიას, სამეცნიერო ტერმინოლოგიისაგან განსხვავებით, ტერმინთა ემოციურ-ექსპრესიული ნეიტრალობა მკაფიოდ გამოხატული არ აქვს, უფრო მეტიც, ხელოვნების ტერმინოლოგიის შესახებ გადაჭრით ვერ ვიტყვით, რომ იგი ემოციურ-ექსპრესიულად ნეიტრალურია, ამ საკითხს სახვითი ხელოვნების ტერმინოლოგიის კვლევისას შეეხო ილია ჭრელაშვილი და ექვქვეშ დააყენა ხელოვნებაში ემოციურ-ექსპრესიული ნეიტრალობა. "ვფიქრობთ, მეცნიერების სხვადასხვა დარგებისაგან განსხვავებით ხელოვნების ტერმინოლოგიის ნაწილი ძნელად ემორჩილება სიმკაცრეს და კონკრეტულობას. ამ შემთხვევაში ტერმინები არ წარმოადგენენ "მკვდარ სახეებს" და არ შეიძლება ლაპარაკი მათ სრულ სტილურ ნეიტრალურობაზე. ამასთან დაკავშირებით შეიძლება ასეთი კითხვაც დაიბადოს: მეცნიერება და ხელოვნება თავის არსით, ბუნებით, ობიექტით პრინციპულად ხომ განსხვავდება ერთმანეთისაგან: პირველისთვის დამახასიათებელია აზროვნება ცნებებში, მეორისთვის - სახეებში." (ჭრელაშვილი 1999, 4-5). თუ ვისაუბრებთ ხელოვნების ტერმინთა ემოციურ-ექსპრესიულობაზე, ხელოვნების დარგებს შორის თეატრალურ ხელოვნებაში ყველაზე მეტად იგრძნობა ემოციურ-ექსპრესიულობა, რასაც სათეატრო ხელოვნების არსი განაპირობებს, ჩვენ მიერ შერჩეული ტერმინი განსაცხრომელიც ამის დასტურად გამოდგება, რომელიც პირდაპირ მიემართება ემოციურ-ექსპრესიულ პლანს.

როგორც ცნობილია, თეატრალურ ტერმინებს, საუკუნეების წინ თეატრალურ-სანახაობითი ხელოვნების ჩასახვასთან ერთად ჩაეყარა საფუძველი. ამა თუ იმ სანახაობას, დღესასწაულს, რიტუალსა და წარმოდგენებს, მათში გამოყენებულ გარკვეულ რეკვიზიტებს ხალხმა შესაბამისი ცნების აღმნიშვნელი სახელები მიანიჭა.

ქართულმა თეატრალურ-სანახაობითმა ხელოვნებამ ტერმინები შექმნა როგორც ძირძველი ლექსიკური ფონდის მეშვეობით, ასევე უცხოური მასალის გამოყენებით. სხვადასხვა ენიდან შემოდიოდა და მკვიდრდებოდა უცხოური ტერმინები, რომელთა ცნების აღმნიშვნელი ტერმინები ქართულში არ არსებობდა, ზოგჯერ მოიპოვებოდა ქართული ტერმინი და უცხო მის სინონიმად გვევლინებოდა, ანდა-პირიქით. ჯერ კიდევ ძველ დროში ქართული ტერმინების გვერდით გვხვდება ბერძნულ-ლათინური ტერმინები, აღმოსავლური ქვეყნების გაძლიერების შემდეგ ქართულ ენაში ფეხს იკიდებს ბევრი არაბულ-სპარსული თეატრალური ტერმინი, უფრო გვიან კი გზა ეხსნება რუსეთისა და ევროპის სხვადასხვა ქვეყნებიდან მომდინარე ტერმინებს.

თეატრი, ხელოვნების სხვა დარგების მსგავსად, თავისი არსით მჭიდროდ არის

დაკავშირებული ხალხის ცხოვრებასთან, ისტორიასა და კულტურასთან, შესაბამისად, მასში აისახება ის ტენდენციები, რაც ზოგადად ქვეყნისათვის არის დამახასიათებელი.

შუა საუკუნეების ქართული ლიტერატურის ორიგინალურსა თუ ნათარგმნ ძეგლებში დასტურდება მრავალი ქართული თეატრალური ტერმინი, მათ შორისაა „**განსაცხრომელი**“, რომელიც წარმოადგენდა **ორქესტრას** ქართულ შესატყვისს.

ბერძული ტერმინი ორქესტრა უცხო სიტყვათა ლექსიკონში განმარტებულია შემდეგნაირად:

„ორქესტრა Theatr. Gk. Orchēstra ძველ ბერძნულ (და რომაულ) თეატრში: ამფითეატრით შემოსაზღვრული მრგვალი (რომში – ნახევარწრის ფორმის) მოედანი, რომელზედაც გამოდიოდნენ ქორო (მხოლოდ საბერძნეთში) მსახიობები“ (უცხო სიტყვათა ლექსიკონი, 1989).

ტერმინები განცხრომა და განსაცხრომელი „ხელოვნების განმარტებით ლექსიკონში“ შემდეგნაირად არის განმარტებული: „**განსაცხრომელი** - ადგილი, სადაც ტარდებოდა წარმოდგენა (ქართული საცხენოსნო სანახაობიდან მომდინარე ტერმინი X-XI საუკ.).“

განცხრომა (თეატ) - ქართული თეატრალურ-სანახაობითი ხელოვნების ერთ-ერთი უძველესი სახეობა, გამოირჩეოდა მრავალფეროვნებით, მაგრამ მთავარი ადგილი „განცხრომაში“ ეკავა ცეკვასა და პანტომიმურ წარმოდგენას. ამ სახეობაში შედიოდა აგრეთვე სპორტული თამაშობები, აკრობატიკა, ჟონგლიორობა და ხუმარების გამოსვლები.“ (ხელ. განმარტ. ლექსიკ. 1985; 154)

თეატრალური ტერმინი **განსაცხრომელი** გვხვდება იოსებ მეგრელიძის „მცირე თეატრალურ ლექსიკონში“: „განსაცხრომელი ძველი ქართული წარმოდგენის, გართობის ადგილი, ძველი ბერძნული ორქესტრას ტიპისა (მეგრელიძე, 1980, 10). ამავე ლექსიკონში ავტორს ორქესტრა ასე აქვს განმარტებული: „ორქესტრა, ორხესტრა ძველ ანტიკურ თეატრში მრგვალი მოედანი, სადაც მსახიობი და ქორო გამოდიოდა; აქვე დიონისეს სწირავდნენ მსხვერპლს. შემდეგ ორქესტრასაგან განვითარდა სკენე-სცენა“ (მეგრელიძე, 1980, 27). უნდა ვივარაუდოთ, რომ ტერმინი განსაცხრომელი ერთგვარი წინამორბედაა ტერმინ სცენისა. აქვე აღსანიშნავია, რომ განსაცხრომლის პარალელურად სცენის აღმნიშვნელი ტერმინი **სამღერელიც** დასტურდება.

თეატრალურ ლექსიკონში **განსაცხრომელი** განმარტებულია როგორც „ადგილი, სადაც ტარდებოდა წარმოდგენა“ (ლობჯანიძე 2010, 17), ამავე ლექსიკონში გვხვდება ტერმინი განცხრომა, როგორც „ქართული თეატრალური სანახაობითი ხელოვნების ერთ-ერთი უძველესი სახეობა, რომელშიც მთავარი ადგილი ეკავა ცეკვასა და პანტომიმურ წარმოდგენას“ (ლობჯანიძე 2010, 17).

ლექსემა **განსაცხრომელი** ვნებითი გვარის მიმღეობას წარმოადგენს (გან-სა-ცხრომ-ელ-ი), მომდინარეობს სიტყვისგან განცხრომა და მისი მნიშვნელობა ლხინსა და მხიარულებას უკავშირდება.

სულხან-საბა ორბელიანს **განსაცხრომელი** არა აქვს განმარტებული, თუმცა გვხვდება **განცხრომა**, როგორც სანახაობითი ხელოვნების სახეობა. აქვე ავტორი შენიშნავს, რომ განცხრომა არის დიდი ლხინი და მხიარულება: „განცხრომა თამაშობა, ხუმრობა და ლხინი ZA. თამაშობა ანუ ხუმრობა და ლხინი B. განცხრომად ითქმის ხუმრობაცა, ლხინი(ცა) და თამაშობაცა C. ხუმრობა. განცხრომა არს ლხინი დიდი, გინა ხუმრობა და თამაშობა E. (საბა 1991, 144).

ნიკო ჩუბინაშვილის „ქართულ ლექსიკონში“ არ გვხვდება განსაცხრომელი, თუმცა განმარტებულია სიტყვა **განცხრომა**, რომელიც თეატრალურ-სანახაობითი ხელოვნების მნიშვნელობით არის გადმოცემული. „**განცხრომა** - (განვცხრები) ლხინობა, **მხიარულობა სახიობითა** (ფსალ. 67,3 და 118,14; ლუკ.15,25), Наслаждатся, веселиться, ликовать.// წარმეგებლობა, роскошь. (ჩუბინაშვილი, 1961, 169)

„ქართულ აგიოგრაფიულ სიმფონია ლექსიკონში“ შეტანილია მხოლოდ **განცხრომა** და **განცხრომაჲ**, რომელიც უკავშირდება ლხინს, ზეიმს: „განცხრომა 0-1 იგი ... განსაცხრების გუნდსა თანა ანგელოზთასა III 106,15. პირველ, ვითარცა მექორწინენი, განვსცხრებოდეთ II 190, 13 [ცხერ].“

განცხრომა-ჲ ვერ იკადრიან ... განცხრომაჲ I 284, 15. განცხრომის სახედ უბრძანა II 68, 14.

რეცა განცხრომით რქუა პატრიარქსა II 154,15. განვიდიან ნეტარნი ესე ძმანი განცხრომად I 187,34. გ. ურთიერთას წარს[თ] ქრებოდეს 188,7. იწყის უზნობად, გ. II 75,19. არს ჩვეულება ყრმათა ველად განსვლისაჲ ... გ. 113, 16. არა თუ ცუდთა განცხრომათა და ჭამადთა ნაყროვნებისა უძღებებაჲ შორის მათსა იპოვის I 51,2 [ცხერ]. (ქართ. აგიოგ. სიმფ. ლექს. 2005; 160).

განსაცხრომელი გვხვდება დავით ჩუბინაშვილის ქართულ-რუსულ ლექსიკონში განცხრომის ბუდეში შესაქცევის, სანახაობის სინონიმად: „**განცხრომა**, სხ. ლხინობა, მხიარულობა, ნებივრობა; удовольствие, наслаждение, роскошь, (ვპ), ზ. ვდ. ვლხინობ, შევექცევი, ვმხიარულობ. წარვემებლობ. Наслаждаются, веселиться, тратиться, ვეფხ. 320; ისაე. 52-13, **განსაცხრომელი**, ზედ. შესაქცევი, увеселительный, თვალი განმცხრომელი, глазь надменный, ისაი. 5-15. **განცხრომილება**, ს. შექცევა, ლხინი, Наслаждение, **განცხრომა** (ვი), იგივე გაცხრომა (ჩუბინაშვილი, 1984, 223).

ლექსემა განსაცხრომელი დასტურდება ილია აბულაძესთან: „**განსაცხრომელ-ი** „სიხარული“ ღელვა, მღელვარება; სამხიარულებელი, სალხინო: „იყოს დაბნები... განსაცხრომელ კანჯართა“ O, - „იყვნენ დაბნები ... სიხარულ ვითა ველურთა“ G, ეს. 32, 14; „ყოველნი განსაცხრომელნი შენნი და ღელვანი შენნი მე ზედა-გარდამკდეს“ ფს.41.8; „ყოველნი განსაცხრომელნი შენნი მოავლინენ ჩემ ზედა“ ფს. 87, 8; უმჯობეს არს კაცისაჲ მისლვად სახლით განსაცხრომელით სახლად გლოვისა“ მ.სწ. 51, 12; „არიედ (ყუავილნი) რომელნიმე შუენიერნი ხილვად და განსაცხრომელად თუალთა“ მ.სწ. 83, 24. იხ. განცხრომა“ (აბულაძე, 1973, 68).

განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით განცხრომა არის: „განცხრომა (განცხრომისა) სახელი განცხრება ზმნის მოქმედებისა, – უაღრესი კმაყოფილება, ნეტარება, სიტკბოება. ვეფხვის ლეკვი ვეფხვის რძეს შეექცეოდა: დედაშვილნი განცხრომაში იყვნენ (ვაჟა). ვინ იცის, კიდევ რამდენ ხანს ვიქნებოდი ასეთ განცხრომაში, რომ ტელეფონი არ აწკარუნებულყო (ვ. ჩეკურ.). ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო, უყვარს აბანოში განცხრომა (დ. კოკ. თარგმ.).

განცხრომით ზმნს. კმაყოფილებით, ნეტარებით, ტკბილად. ჩვენ აქ... ლაღად და განცხრომით ვატარებთ დროს (შ. დად.). განა მაქვს მე უფლება ნეტარებისა, თავდავიწყების, ამ წალკოტში განცხრომით ყოფნის (ო. ჩხ.). <http://www.ena.ge>

განსაცხრომელი (განსაცხრომლისა) ძვ. მიმღ. ვნებ. მყ. უაღრესად ნეტარი, დამატკბობელი. აღმაფრენას მისცემოდა განსაცხრომელს (ვ. ბარნ.). <http://www.ena.ge>

როგორც ცნობილია, ზოგიერთი თეატრალურ-სანახაობითი წარმოდგენა ანტიკურ საქართველოში დიონისეს კულტთან იყო დაკავშირებული, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს უძველესი ქართული სანახაობითი ხელოვნებისა და ბერძნული თეატრალური ხელოვნების კავშირზე. უნდა ვივარაოდოთ, რომ ჩვენმა წინაპრებმა უძველესი დღესასწაულებისადმი მიძღვნილ სანახაობებს ლხინის, მხიარულების აღმნიშვნელი ქართული სახელწოდება **განცხრომა** მიუსადაგეს, რომელიც შემდგომ სანახაობითი ხელოვნების ერთ-ერთი უძველესი სახეობის, რომელშიც მთავარი ადგილი ეკავა ცეკვასა და პანტომიმურ წარმოდგენას, ტერმინად იქცა. როგორც ტერმინი განცხრომა, ასევე მისგან ნაწარმოები განსაცხრომელი გარკვეული ემოციურ-ექსპრესიულობის მატარებელია და არაა ნეიტრალური ტერმინი. რადგან თეატრალურ სანახაობითი ხელოვნება თავისი არსით ყველაზე მძაფრად არის დაკავშირებული ემოციასა და ექსპრესიასთან, შესაძლებელია სწორედ ამიტომ ქართულ ენაში ნეტრალურ და ბერძნულიდან შემოსულ ტერმინ ორქესტრას ემოციითა და ექსპრესიით დატვირთული ქართული ტერმინი განსაცხრომელი მიუსადაგეს.

ლიტერატურა:

აბულაძე, ი. 1973. ძველი ქართული ენის ლექსიკონი. თბილისი: გამომცემლობა მეცნიერება.
გამყრელიძე, თ. 2003. თეორიული ენათმეცნიერების კურსი. თბილისი: თსუ გამომცემლობა.
ლობჯანიძე, ი. 2010. თეატრალური ლექსიკონი, თბილისი.
მეგრელიძე, ი. 1980. მცირე თეატრალური ლექსიკონი. თბილისი: გამომცემლობა ხელოვნება.

ორბელიანი, ს. 1991 ლექსიკონი ქართული, თბილისი, გამომცემლობა მერანი.
უცხო სიტყვათა ლექსიკონი. 1989. შეადგინა მიხეილ ჭაბაშვილმა. თბილისი: გამომცემლობა თბილისი.
ქართული აგიოგრაფიული სიმფონია ლექსიკონი. 2005. თბილისი: გამომცემლობა არტანუჯი.
დამბაშიძე, რ. 1986. ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია და მისი შედგენის ძირითადი პრინციპები.
თბილისი: გამომცემლობა მეცნიერება.
ჩუბინაშვილი, დ. 1984. ქართულ-რუსული ლექსიკონი. თბილისი: გამომცემლობა საბჭოთა საქართველო.
ჩუბინაშვილი, ნ. 1961. ქართული ლექსიკონი. თბილისი: გამომცემლობა საბჭოთა საქართველო.
ჭრელაშვილი, ი. 1999. ავტორეფერატი. თბილისი.
ხელოვნების განმარტებითი ლექსიკონი. 1985. თბილისი: გამომცემლობა განათლება.

About one theatrical term

Lobjanidze Ivli
Ilia State University, Tbilisi

Abstract

Georgian theatrical terminology is a part of the Georgian terminological system as a whole. Naturally, Georgian theatrical terminology is characterized by those features that are characteristic of terminology in general.

We will focus on one essential feature in theatrical terms, which we think is distinctive. In our opinion, art terminology, in contrast to scientific terminology, does not clearly express the emotional-expressive neutrality of terms. If we talk about the emotional-expressiveness of art terms, the most emotional-expressiveness is felt in the theater art among the branches of art, which is determined by the essence of the theater art, the term we have chosen "Gansacxromeli" will serve as a proof of this, which goes directly to the emotional-expressive plane.

In the original and translated monuments of Georgian literature of the Middle Ages, many Georgian theatrical terms are confirmed, among them "Gansacxromeli", which represented the Georgian equivalent of the orchestra.

We have to assume that our ancestors gave the spectacles dedicated to the ancient holidays the Georgian name "Gancxroma", which means fun, which later became the term for one of the oldest types of spectacular art, in which dance and pantomime performances took the main place, as well as the term "Gancxroma", as well as a certain work from it. It is a carrier of emotional expressiveness and is not a neutral term. Since the theatrical performance art is in its essence most closely related to emotion and expression, it is possible that this is why the neutral term orchestra, which came into the Georgian language from Greek, the Georgian term "Gansacxromeli" , loaded with emotion and expression, was used.

Keywords: term, theater, emotional-expressiveness, "Gancxroma", "Gancxroma".

ნეოლოგიზმები XXI საუკუნის ქართულში

ლოლაძე ნანა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი
არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი

DOI: <https://doi.org/10.52340/idw.2023.31>

აბსტრაქტი. XXI საუკუნის ქართულისათვის დამახასიათებელი ტენდენციებიდან აღსანიშნავია ნეოლოგიზმების სიჭარბე. საუბარია ნეოლოგიზმებზე, რომლებიც ინგლისური ენიდან სესხების ან ამ ენის გავლენის შედეგად არის შექმნილი.

ენები ერთმანეთისაგან განსხვავდება ნასესხობების ასიმილაციის ხარისხით. კერძოდ, ენაში ხდება უცხო სიტყვების პასიური მიღება ან ეს სიტყვები რაიმე სახის ცვლილებას განიცდის და მიმღები ენა თავის ყალიბში აქცევს. სიტყვათქმნადობის რაც უფრო ძლიერი პოტენციალი და მრავალფეროვანი შესაძლებლობები აქვს ენას, მით უფრო ძლიერია მასში ასიმილაციის ტენდენციები. ამის საუკეთესო ნიმუშია თანამედროვე ქართულში არსებული ის ნეოლოგიზმები, რომელთა წყაროც ინგლისური ნასესხობებია.

ნეოლოგიზმთა შექმნის მნიშვნელოვანი ყალიბია კონვერსია – სიტყვაწარმოების ერთ-ერთი სახეობა, როდესაც მეტყველების ერთი ნაწილი გადადის მეორეში. განსაკუთრებით საყურადღებოა ნასესხები სახელის ზმნად ქცევის, გაზმნავეების პროცესი. ამ დროს ხდება არა მხოლოდ გრამატიკული, არამედ სემანტიკური გადააზრიანებაც. თანამედროვე ქართულში ხშირია ამ ტიპის ნეოლოგიზმები. გარდა სახელიდან ზმნის მიღების ყალიბისა, ნასესხები ლექსიკის ასიმილაციისათვის ენა იყენებს სიტყვაწარმოების ისეთ საშუალებებს, როგორცაა აფიქსაცია და კომპოზიცია. განსაკუთრებით საინტერესოა ამ მხრივ ინგლისური აბრევიატურიდან (PR) მომდინარე სიტყვა პიარი.

დროთა განმავლობაში ეს ახალშექმნილი სიტყვები კარგავს ნეოლოგიზმის სტატუსს და ენის ლექსიკური ფონდის კუთვნილება ხდება ან არ მკვიდრდება ენაში და დავიწყებას მიეცემა.

საკვანძო სიტყვები:

ანგლიციზმები, ნეოლოგიზმები, ასიმილაცია, კონვერსია, სიტყვაწარმოება

გასული საუკუნის ბოლო ათწლეულიდან ქვეყანაში მიმდინარე საზოგადოებრივ – პოლიტიკურმა ძვრებმა, გლობალიზაციასთან დაკავშირებულმა პროცესებმა, ციფრულმა ტექნოლოგიებმა ჩვენს ცხოვრებაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია. გაჩნდა ახალი ინსტიტუციები, მოვლენები, ფაქტები, საგნები, ახალი ცნებები. ინგლისური, როგორც საერთაშორისო ენა, სულ უფრო ფართოდ იჭრება საქმიანობის ყველა სფეროში. ამის შედეგად ქართულში ჩნდება ე.წ. ანგლიციზმები, ზოგი მათ ამერიკანიზმებსაც უწოდებს. ყოველივე ეს, ბუნებრივია, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ენაზე.

XXI საუკუნის ქართულისათვის დამახასიათებელი ტენდენციებიდან გვინდა გამოვყოთ ნეოლოგიზმების სიჭარბე, რაც არსებულ ვითარებაში სრულიად ბუნებრივია. ნეოლოგიზმი არის ენაში ახალგაჩენილი სიტყვა ან გამოთქმა. ხშირად ნეოლოგიზმები ჩნდება სესხების გზით ან უცხო სიტყვათა გავლენით.

ნეოლოგიზმების გაჩენის მიზეზი შეიძლება იყოს ახალი მოვლენის, ინსტიტუციის, საგნისა და მისთ. სახელდების საჭიროება; ამა თუ იმ ცნების არა შესიტყვებით, არამედ ერთი სიტყვით გადმოცემის ტენდენცია; ცალკეულ სფეროებში ცნებათა გამიჯვნის მოთხოვნილება და სხვ. გარდა ამისა, მიიჩნევენ, რომ ანგლიციზმები და, შესაბამისად, მათგან მიღებული ნეოლოგიზმები გამოიყენება პრესტიჟულობის მინიჭების, ყურადღების მიქცევის მიზნით;

ასევე, ექსპრესიულობის ფუნქციით, სტილისტიკური ელფერისათვის.

ენები ერთმანეთისაგან განსხვავდება ნასესხობების ასიმილაციის ხარისხით. კერძოდ, ენაში ხდება უცხო სიტყვების პასიური მიღება ან ეს სიტყვები რაიმე სახის ცვლილებას განიცდის და მიმღები ენა თავის ყალიბში აქცევს. სიტყვათქმნადობის რაც უფრო ძლიერი პოტენციალი და მრავალფეროვანი შესაძლებლობები აქვს ენას, მით უფრო ძლიერია მასში ასიმილაციის ტენდენციები. ამის ნიმუშია ის ნეოლოგიზმები, რომელთა წყაროც სწორედ ანგლიციზმებია.

ნეოლოგიზმთა შექმნის მნიშვნელოვანი ყალიბია კონვერსია – სიტყვაწარმოების ერთ-ერთი სახეობა, როდესაც მეტყველების ერთი ნაწილი გადადის მეორეში. განსაკუთრებით საყურადღებოა ნასესხები სახელის ზმნად ქცევის, გაზმნავების პროცესი. ამ დროს ხდება არა მხოლოდ გრამატიკული, არამედ სემანტიკური გადააზრიანებაც. ამ გზით შექმნილი ზმნა სესხულობს ამოსავალი სიტყვის მნიშვნელობას და მას ახალი სტატუსით განპირობებულ სემანტიკურ ნიუანსებს სძენს. ანგლიციზმების გაზმნავების ყალიბი საკმაოდ პროდუქტიულია ენაში. ასე გაჩნდა სასაუბრო ქართულში ზმნური ფორმები: *დაგუგლვა*, *დასეივება*, *დასპოილერება*, *დასერჩვა* და მისთ. ბეჭდური მედიის მეშვეობით ზოგიერთი ასეთი ზმნა ქართული ენის ეროვნულ კორპუსშიც მოხვდა, კერძოდ:

დაგუგლვა

მაგრამ თავში სულ ერთი კითხვა მიტრიალებდა: ეს „*დაგუგლვა*“ ნეტავ კარგია თუ არა?

დალაიკება

ერთმანეთს „*ულაიკებენ*“ სტატუსებს და თუ აღმოჩნდა ვინმე ურჩი... მას ამისათვის ახსნა-განმარტებების გაკეთება უწევს.

ენაში მყარად დამკვიდრდა ნეოლოგიზმი, რომელიც მომდინარეობს სიტყვიდან *მესიჯი*. ეს სიტყვა სასწავლო-განმარტებით ლექსიკონში არის შეტანილი:

მესიჯი – „მოკლე ტექსტური შეტყობინება, უპირატესად ელექტრონული (ქართული ლექსიკონი, 2014). ამავე ლექსიკონშია განმარტებული მისგან მიღებული ზმნა *დამესიჯება*.“

დამესიჯება – *საუბრ.* მესიჯის გაგზავნა. მეგობარს დაუმესიჯა.

ქართული ენის ეროვნულ კორპუსში დადასტურებულია *მესიჯ* ფუძის შემცველი ფორმების 2951 შემთხვევა. მათგან უმეტესობა *დამესიჯება* ზმნის მოქმედებითი გვარის ფორმებია, თუმცა გვხვდება ამ ზმნის ვნებითის ფორმებიც, მაგ.:

ემესიჯება

ახლა სახლში ვარ და *ემესიჯები* ჩემ მეგობარ გიორგის.²⁷

იმესიჯებს

ფაქტია, რომ მათით შეყვარებული თინეიჯერები სიამოვნებით *იმესიჯებენ*, მაგრამ ამ ტექსტების შემოქმედებითი ეფემერულობა გარდაუვალია.

საშუალო გვარის ზმნა:

მესიჯობს

ჩვენი ასაკის ხალხი ძალიან ბევრს *მესიჯობს*, ამიტომაც ავირჩიე „ბალი“ და კმაყოფილიც ვარ.

გარდა სახელიდან ზმნის მიღების ყალიბისა, ნასესხები ლექსიკის ასიმილაციისათვის ენა იყენებს სიტყვაწარმოების ისეთ საშუალებას, როგორცაა აფიქსაცია (დერივაცია). *მესიჯ* ფუძეს დაერთვის *სა-ო* კონფიქსი:

სამესიჯო

წარწერა ინგლისური ასოებითაა, გამოყენებულია *სამესიჯო* ვერბალური ფორმა.

როგორც ვხედავთ, ენამ ამ სიტყვიდან არა მხოლოდ ზმნური ფორმები აწარმოვა, არამედ დერივაციის სხვა საშუალებებიც გამოიყენა. ვფიქრობთ, ეს პროცესი დასრულებული არ არის და ამ ანგლიციზმიდან სხვა ტიპის ნეოლოგიზმებიც შეიძლება მივიღოთ.

ამჟამად, რომ ენა პასიური სესხებიდან გადადის ნასესხობების ასიმილაციის ეტაპზე. სწორედ ამ ტენდენციის დადასტურებად უნდა ჩაითვალოს ანგლიციზმებიდან ან ინგლისურის

²⁷ ილუსტრაციები დამოწმებულია ქართული ენის ეროვნული კორპუსიდან <http://gnc.gov.ge>

გავლენით მიღებული ნეოლოგიზმების მრავალფეროვნება წარმოების თვალსაზრისით.

განსაკუთრებით საინტერესოა ამ მხრივ ენაში უკვე დამკვიდრებული სიტყვა *პიარი*. ეს სიტყვა მომდინარეობს ინგლისური აბრევიატურიდან PR (Public Relations - საზოგადოებასთან ურთიერთობა).

ეს არის ფართო საზოგადოების ინფორმირება კონკრეტული ორგანიზაციის ან პირის შესახებ მასზე კარგი შთაბეჭდილების შესაქმნელად (Oxford Dictionaries).

ენამ ამ სიტყვის ამოსავალ მნიშვნელობას პოლიტიკური ელფერი შესძინა და გააფართოვა მისი ფუნქციონირების არეალი. ამის შედეგად შეიქმნა სხვადასხვაგვარი წარმოების საკმაოდ საინტერესო ნეოლოგიზმები.²⁸ *პიარისაგან* იწარმოება ზმნები – *გაპიარება*, *დაპიარება*:

გააპიარებს

ეს რომ გააკეთოს, მერე ამას აუცილებლად *გააპიარებს*, სადაც იტყვის და ყველაფერს გააფუჭებს.

დააპიარებს

მაისაშვილს გარკვეული მოსაზრებები ჰქონდა, რაც სააკაშვილმა ძალიან კარგად *დააპიარა*.

ზმნურ ფორმათა უმეტესობა *გაპიარება* ზმნის მოქმედებითი გვარის ფორმებია, თუმცა გვხვდება ამ ზმნის ვნებითის ფორმებიც:

ეპიარება

თუ დღევანდელი ხელისუფლება ამ ქვაკუთხედზე დგას, მაშინ რა *ეპიარება* და ვის *ეპიარება*.

იპიარებს

რომელიმე ჩვენი დიდჩინოსანი ერთხელ მაინც თუ გაკარებია იქაურობას – რაო, იქ სათანადოდ ვერ *იპიარებენ*...

საგულისხმოა, რომ გვხვდება *გაპიარება* ზმნიდან ნაწარმოები მიმღობები:

გაპიარებული

სარკინიგზო დარგის *გაპიარებული* რეაბილიტაციის გამოცხადებიდან ხუთ წელზე მეტი დროა გასული.

გასაპიარებელი

ერთ-ერთი *გასაპიარებელი* თემა პედაგოგებისთვის ხელფასების ვითომ მომატებაა.

გამპიარებელი

პრეზიდენტი მთავარი სახელისუფლებო *გამპიარებელი* გამოვიდა და თქვა, მეტაფორა იყო.

საგანგებოდ უნდა შევეხოთ ამ სახელიდან ახალი ფუძეების მიღებას დერივაციის გზით.

პიარ ფუძეს დაერთვის *მე-ე*, *მო-ე*, *უ-ო*, *სა-ე*, *სა-ო* კონფიქსები:

მეპიარე

გახურებულული კამპანიისას ცნობილი მეპიარე (პიარისტი ხომ არ ჯობია)...
სარკოზის მრჩეველი უნდა გამხდარიყო

მოპიარე

სირცხვილი თქვენ, ყბადასალები და უკვე ყბადაღებული გაჩუქებული ვაუჩერით *მოპიარენო!*

უპიარო

უპიაროდ ორ-სამ დღესაც ვერა ძლებს და ქვეყანას, ფაქტობრივად, გონებით კი არა, პიარით მართავს.

საპიარე

ხალხის მიწევ-მოწევა, *საპიარე* კონტიგენტის შერჩევა რამდენ უხერხულობას ქმნის.

საპიარო

ქართველ პოლიტიკოსთა სამუშაო და *საპიარო* დრო ტელევიზიის საინფორმაციო პროგრამებზეა აწყობილი.

აღსანიშნავია, რომ კორპუსში ამ უკანასკნელის გამოყენების 100-ზე მეტი შემთხვევა დასტურდება.

ცალკე უნდა გამოიყოს კომპოზიტები, რომელთა შემადგენლობაშიც *პიარი* შედის. ამ

²⁸ მასალა ძირითადად მოხმობილია გაზეთებიდან: საქართველოს რესპუბლიკა, ახალი თაობა, 24 საათი.

ტიპის კომპოზიტებს, რომელთა ერთი-ერთი კომპონენტი ინგლისურიდანაა ნასესხები, მეორე კი ქართულია, „ჰიბრიდული კომპოზიტებს“ უწოდებენ (ოსაძე 2016: 86). პიარი მეორე ფუძეა კომპოზიტში *თვითდაპიარება*:

ერს არ სჭირდება პრეზიდენტების *თვითდაპიარებაზე* გათვლილი პათოსური მოწოდებები.

კომპოზიტთა აბსოლუტურ უმრავლესობაში *პიარ* ფუძე პირველ ადგილზეა:

პიარ-მოსაზრებებით რუსეთმა საქართველოსთვის დარტყმის მიყენება სამხრეთ ოსეთში გადაწყვიტა.

ვფიქრობ, ჩვენი ქვეყანა არის *პიარ-სახელმწიფო*.

სამხედრო-პოლიტიკური კრახი თავიანთი „*პიარ-ჯადოქრობით*“ წარმატებად გაასაღეს.

მაინც რამ შეაყვარა *მაგ პიარდალოცვილს* ეს გახსნები.

მართალია ხალისუფლებამ ამ თარიღისთვის ვერ მოახერხა საქართველოს პირველი ზვიად გამსახურდიას ნეშტის *პიარ-გადმოსვენება*...

თქვენი საქმიანობა მხოლოდ საკუთარი პიარია, უფრო ზუსტად კი *პიარ-ტყუილია*, რომელშიც თავად ცხოვრობთ...

ყურადღებას იქცევს რთული ზმნა, რომლის შემადგენლობაშია *პიარ* ფუძიდან ნაწარმოები ზმნა *იპიარა*.

მართალია იქ, ნიუ-იორკშიც გვარიანად *იპიარა-იტრაბახა*, მაგრამ სამშობლოში პიარი მაინც სხვა არის.

როგორც ვხედავთ, ქართულში ამ სიტყვის ასიმილაცია ენობრივი ფაქტია. ამისათვის სრულად არის ამუშავებული ენაში სიტყვათქმნადობის თითქმის ყველა შესაძლებლობა. ამგვარი ვითარებაა არაერთი ანგლიციზმის შემთხვევაში.

აქვე გვინდა განვიხილოთ რთული სიტყვები, რომლებიც უცხოური წარმომავლობის, ჩვეულებრივ, ბერძნულ-ლათინური ელემენტების *ავტო-*, *ექსტრა-*, *სუპერ-*, *ულტრა-*, *ჰიპერ*, *ჰელიო-* და მისთ. დართვით მიიღება (ლოლაძე, 2022). რიგ შემთხვევაში ამ ტიპის კომპოზიტები ნეოლოგიზმებად შეიძლება განვიხილოთ.

როგორც ნ. დათეშიძე აღნიშნავს: „სუპერ- და მისმა მსგავსმა ელემენტებმა დეტერმინოლოგიზაციის გზით ტერმინოლოგიური სიბრტყიდან სამომხმარებლო სიბრტყეზე გადასაცვლებით თანამედროვე ენაში შეუზღუდავი შესაძლებლობები შეიძინეს და დღეს უკვე ძალიან ხშირად გვხვდება თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურასა თუ მასმედიის ენაში“ (დათეშიძე, 2013: 153).

სასაუბრო მეტყველებასა და მედიის ენაში ძირითადად *სუპერ-*ის გააქტიურება შეინიშნება. ქართული ენის ეროვნულ კორპუსში დადასტურებულია 11500-ზე მეტი რთული სიტყვა, რომლებიც მიღებულია *სუპერ-*ის დართვით: *სუპერსაიმედო*, *სუპერმომხიბლავი*, *სუპერუპასუხისმგებლო*, *სუპერშთაბეჭდილება*, *სუპერდაპირება*, *სუპერფაფუკი* და მისთ.

ბევრად ნაკლებია *ჰიპერ-*ის დართვით მიღებული რთული სიტყვები (1670-მდე შემთხვევა). ისინი უფრო სამეცნიერო სფეროს, წიგნურ მეტყველებას მიეკუთვნება. მოვიხმოთ რამდენიმე ამონარიდს ლიტერატურული საქართველოს, არილის, საქართველოს რესპუბლიკის პუბლიკაციებიდან:

პერსონაჟი სწორედ ამ „განწვალების“ ფასად იცილებს თავიდან რეალურ-ცხოვრებისეულ არამდგრადობას... და იღებს რომანისეული არსებობის, ანუ *ჰიპერარსებობის* „გარანტიას“.

„ხაზარული სიტყვის კონა“ სრულიად განცალკევებით დგას, როგორც *ჰიპერბელეტრისტიკის* საჩინო ნიმუში.

რომანს თავიდან ბოლომდე გასდევს შიში, შემფოთება ცივილიზაციის, ტექნიკის ანტიჰუმანური განვითარების გამო (...ყოველივე ხელოვნურისადმი მიდრეკილება; ტექნიკის, ბუნებისმეტყველურ მეცნიერებათა *ჰიპერგანვითარება* და ა.შ.).

თანამედროვე ქართულში ინგლისურის გავლენით მიღებული ნეოლოგიზმები შესწავლა მნიშვნელოვანია, რადგან მათი წარმოქმნის მოდელები ენის განვითარების ტენდენციებს

ავლენს. აშკარაა, რომ უცხოური ლექსიკის მოჭარბებამ ბიძგი მისცა ენის სიტყვაწარმოებითი პოტენციალის გააქტიურებას და ენა პასიური სესხებიდან გადადის ნასესხობების ასიმილაციის ეტაპზე.

დროთა განმავლობაში ეს ახალშექმნილი სიტყვები დაკარგავს ნეოლოგიზმის სტატუსს და ენის ლექსიკური ფონდის კუთვნილება გახდება ან არ დამკვიდრდება ენაში და დავიწყებას მიეცემა.

ლიტერატურა:

დათეშიძე, ნ. (2013). აფიქსოიდთა ფუნქციები ტერმინოლოგიაში, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი XIII. თბილისი.

ლოლაძე, ნ. (2022). ანგლიციზმები და ქართული სიტყვაწარმოების ტენდენციები, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები. წ. XXII. თბილისი.

ოსაძე, მ. (2016). ტერმინთა სესხება-ადაპტაციის საკითხები ქართულ ენაში. თბილისი.

ქართული ლექსიკონი (2014). ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა. <https://ganmarteba.ge>

ქართული ენის ეროვნული კორპუსი – <http://gnc.gov.ge>

Oxford Learner's online Dictionaries – <https://www.oxfordlearnersdictionaries.com>

Neologisms in Modern Georgian

Loladze Nana

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Arn. Chikobava Institute of Linguistics , Tbilisi

Abstract

Out of the tendencies characteristic of the 21st century Georgian, mention should be made of the abundance of neologisms, in particular, the neologisms borrowed from English and created as a result of the influence of the English language.

Languages differ in the degree of assimilation of loans. A language either passively adopts foreign words, or the loans are subject to certain changes based on the pattern of the borrower language. The stronger and richer the word-forming potential of a language, the stronger the assimilation tendencies. A good example of this are the neologisms in modern Georgian which have been borrowed from English.

An important pattern of creation of neologisms is conversion – a way of word-formation which shifts one part of speech into another. Special attention should be paid to the process when a borrowed noun turns into a verb. This process involves not only grammatical but also semantic change. Such neologisms are widespread in contemporary Georgian. Apart from the formation of verbs, for the purpose of assimilation of the loans, the language applies other means of word-formation like affixation and compounding. In this regard, special mention should be made of the word *პიარი* /*piari*/ obtained from the English abbreviation PR.

With time, the newly-coined words lose the status of neologism and, either form part of the lexical fund of the language, or fail to do so and become lost and forgotten.

Key words: anglicisms, neologisms, assimilation, conversion, word-forming

ჰიპოტაქსური მოდელები ზეპირმეტყველებაში – კომუნიკაციის ძირითადი წყარო²⁹

**ლომია მაია
ქურდაძე რამაზ
მარგიანი ქეთევან
ჭუმბურიძე ნინო**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი

DOI: <https://doi.org/10.52340/idw.2023.32>

აბსტრაქტი. ზეპირმეტყველებისთვის დამახასიათებელი ჰიპოტაქსური მოდელების კვლევა აქტუალური საკითხია; იგი წარმოაჩენს ენის შესაძლებლობებს ბუნებრივი მეტყველების დროს. მოხსენებაში გაანალიზებულია ვრცელი ემპირიული მასალა: ქართული დიალექტური ტექსტები, ქართული ზეპირმეტყველების ნიმუშები; არასალიტერატურო ქართველური ენების – მეგრულის, ლაზურის, სვანურის ტექსტები; მოხმობილია პარალელები ქართველ მწერალთა შემოქმედებიდანაც; განხილულია სამი ტიპის ჰიპოტაქსური მოდელი:

1. კითხვითსიტყვიანი, კერძოდ: მეგრულში დასტურდება კითხვის გამომხატველი ორი ტიპის წინადადება: მარტივი და ჰიპოტაქსური სტრუქტურისა. ჰიპოტაქსური სტრუქტურის შემადგენელი კომპონენტები (მთავარში რე „არის“, დამოკიდებულში –ნი „რომ“) ასრულებენ ინფორმაციის აქტუალიზების ფუნქციას. აღსანიშნავია, რომ ინფორმაციის შესაბამისად სტრუქტურათა ცვლა დასტურდება ქართული სალიტერატურო ენის დასავლურ ქვესისტემებშიც.

2. გამეორებულსიტყვიანი: ლექსიკური ანადიპლოზისი (= წინადადების ბოლო სიტყვის გამეორება მეორე წინადადების თავში) მთქმელს აძლევს საშუალებას სათქმელი ემოციურად, ხაზგასმით გამოხატოს. სტილური ფუნქციით გამოყენებული ლექსიკური გამეორება ქმნის თავისებურ ჰიპოტაქსურ კონსტრუქციას, რომელიც სრულყოფილი და გასაგებია წინამავალი კონტექსტის გათვალისწინებით. ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით, საანალიზო კონსტრუქციებში მეორდება ზმნა ან სახელი, ან ორივე ერთად. კავშირი დაერთვის გამეორებულ ლექსემას, რომლის ფოკუსირება სურს მთქმელს.

3. ინიციალური სახელობითის შემცველი კონსტრუქცია: ინიციალურსახელობითიანი კონსტრუქცია თავისებური სტრუქტურისაა, თავკიდურა პოზიცია უჭირავს სახელობითში მდგარ სახელს, რომელიც სასვენი ნიშნითა და ინტონაციით გამოეყოფა მომდევნო ქვეწყობილ წინადადებას.

გამოყოფილია აქტუალიზებული ელემენტის ფორმალური მარკერები ფონეტიკა-ფონოლოგიის, მორფოლოგია-სინტაქსის, ლექსიკა-სემანტიკის დონეზე; კერძოდ, ესენია: ინტონაცია, კლიტიკა, სიტყვათა რიგი, სპეციფიკური კონსტრუქცია და მისთ. ხშირად ეს მონაცემები ერთ მოდელში კომპლექსურადაა წარმოდგენილი, რაც ნათქვამს მეტ გამომსახველობით ძალას სძენს.

საკვანძო სიტყვები: ჰიპოტაქსური მოდელები, ზეპირმეტყველება, სინტაქსი, კომუნიკაცია, აქტუალიზაცია, სიტყვათა რიგი, ინტონაცია.

ენის ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქცია კომუნიკაციაა, რაც, ჩეულებრივ, სოციუმის წევრებს შორის ხორციელდება; ზოგადად, კომუნიკაცია ადამიანის ბუნებრივი მდგომარეობა და

²⁹კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის (SRNSFG) FR-21-352 საგრანტო პროექტის ფარგლებში.

თანდაყოლილი უნარია, რამაც თავის დროზე ხელი შეუწყო სოციუმის ჩამოყალიბებასა და განვითარებას; ამის გამოა, რომ ადამიანი მუდმივად ქმნის ზეპირმეტყველებით თუ წერილობით ტექსტებს, რომელთა საშუალებითაც გადასცემს ინფორმაციას. ინფორმაციის სტრუქტურირებისას, როგორც წესი, გამოიყოფა კომუნიკაციის კონკრეტული აქტისათვის ღირებული აქტუალიზებული ელემენტი, რომლის ფორმალური მარკირება შესაძლებელია სხვადასხვა ენობრივ დონეზე; კერძოდ, ესენია:

1. **ფონეტიკა-ფონოლოგია** (ინტონაცია, მახვილი, ტონი და მისთ.).

2. **მორფოლოგია-სინტაქსი** (სპეციალური ბრუნვა, კლიტიკა, სიტყვათა რიგი, სპეციფიკური კონსტრუქციები და მისთ.).

3. **ლექსიკა-სემანტიკა** (სპეციალური სიტყვები, ნაწილაკები და მისთ.).

ნათქვამს მეტი გამომსახველობითი ძალა აქვს, თუ ენას ამ მონაცემების კომპლექსურად გამოყენება შეუძლია.

ზეპირმეტყველება ფართო ცნებაა. „ეს არის არსებითად ხალხური მეტყველება“ (კვანტალიანი, 1990, 5), იგივე წინასწარმოუმზადებელი, ცოცხალი, სპონტანური მეტყველება. ინფორმაციის სტრუქტურირების ფორმალური მოდელების მოძიებისთვის განსაკუთრებით ღირებულია ბუნებრივ სამეტყველო სიტუაციებში წარმოქმნილი წინადადებები.

მეტყველების ზეპირ ფორმას ემყარება და საანალიზო **ემპირიულ მასალად** გამოყენებულია: **ქართული დიალექტური ტექსტები, ქართული ზეპირმეტყველების ნიმუშები; არასალიტერატურო ქართველური ენების – მეგრულის, ლაზურის, სვანურის ტექსტები, შესაბამისი პარალელები მოხმობილია მხატვრული თხზულებებიდან (მწერალთა შემოქმედებიდან).**

ცნობილია, რომ ზეპირსიტყვიერების ნიმუშები თაობიდან თაობას საუკუნეების განმავლობაში ზეპირი გზით გადაეცემოდა. თხრობის სტილი ისეთი უნდა ყოფილიყო, რომ დამახსოვრება არ გასჭირვებოდათ ავტორ-მთქმელებს. „მარტივი წინადადებებით თხრობა ეკონომიური, ცოცხალი და საკითხავად სახალისოა, მაგრამ ცოცხალი სალაპარაკო ენისთვის არ არის დამახასიათებელი, რადგან დასამახსოვრებლად ძნელია“ (თოფურია, 1960, 25). საინტერესოა ფსიქოლოგიური ფაქტორიც: როგორც გაირკვა, მსმენელი განსხვავებულად რეაგირებს მოსაუბრის მოკლე და გრძელ წინადადებებზე. პირველ შემთხვევაში გაუცნობიერებლად უნდობლობით იმსჯვალება, ხოლო მეორე შემთხვევაში ენდობა, უსმენს დ მის მიმართ კეთილგანწყობილია (დაწვრ. იხ. მშვიდლობაძე, 1990). ზღაპრის ან სხვა ჟანრის სიუჟეტური ამბის თხრობისას ყურადღების ცენტრში ექცევა გმირის განსაცდელი, დაბრკოლებათა დაძლევა, საოცარი ფათერაკების გადალახვა და სხვ. ამ ყველაფერს მთქმელი ჰყვება ისე, რომ გააცხოველოს ინტერესი, მძაფრი სიტუაციების ეფექტი აგრძნობინოს მსმენელს; ამიტომაც „აქ [ზღაპარში] გაბატონებულ ადგილს (96%) იჭერს რთული კონსტრუქციები“ (ლლონტი, 1991, 3); მაშასადამე, როგორც იკვეთება, **ზეპირმეტყველებაში ჰიპოტაქსური კონსტრუქციის გაჩენა შეპირობებულია ორი ფაქტორით: ადვილად დამახსოვრებისა და გამოკვეთილი, ხაზგასმული (ფოკუსირებული) ინფორმაციის გადმოცემის აუცილებლობით.**

მეთოდოლოგიურად გამართლებულად მიიჩნევა, რომ ქართულ ცოცხალ მეტყველებაში დადასტურებული ქვეწყობა, კავშირების დიფერენცირებული სისტემით, დიალექტთა შინაგანი განვითარების კანონზომიერებითაც აიხსნას და არა მხოლოდ სალიტერატურო ენის ზემოქმედებით (მიძიგური, 1973). ამგვარი მსჯელობის მართებულობა ნათლად ჩანს მაშინ, როცა ჰიპოტაქსური კონსტრუქცია ერთი, თუნდაც მონათესავე, ენობრივი სისტემიდან მეორეში გადაგვაქვს: [მეგრულიდან ქართულად] „თარგმნისას ყველაზე ძნელად „მოსახელთებელი“ აღმოჩნდა მეგრული სინტაქსური კონსტრუქციები“ (დანელია, 1991, 8).

ზეპირმეტყველებაში დადასტურებული მაქვემდებარებელკავშირიანი ჰიპოტაქსური კონსტრუქციების ძირითადი თავისებურება განპირობებულია იმით, რომ ბევრ მათგანში ჭირს ტრადიციული სინტაქსის მიხედვით დამკვიდრებული დამოკიდებულ წინადადებათა ტიპების განსაზღვრა; შეიძლება ითქვას, რომ ეს არც არის საჭირო, რადგან მთლიანად წინადადება, კონკრეტული მიზნიდან გამომდინარე, ინფორმაციის სტრუქტურირების სპეციფიკური სტრატეგიის გამომხატველია; განვიხილავთ რამდენიმეს:

1. კითხვითსიტყვიანი:

მეგრულში დასტურდება კითხვის გამომხატველი ორი ტიპის წინადადება: მარტივი და ჰიპოტაქსური სტრუქტურისა. მათ შორის მსგავსება ის არის, რომ მარტივი წინადადების კომპონენტები მონაწილეობენ ჰიპოტაქსური სტრუქტურის აგებაშიც. წინადადების სტრუქტურული ცვლილება კი განსხვავებული ინფორმაციის ჩამოყალიბების საფუძველია.

მარტივი სტრუქტურის კითხვითი წინადადება:

(1) მეგრ. *სო მეურქ?*, შდრ.: (2) ქართ. *სად მიდიხარ?*

ორივე ენაში ეს კონტექსტი გამოიყენება მაშინ, როცა მოსაუბრე პირველი პირი კითხვას უსვამს თანამოსაუბრე მეორე პირს და აინტერესებს, კონკრეტულად სად მიდის იგი. შესაბამისად, წინადადება მარკირებულია კითხვითი სიტყვით, კითხვითი ინტონაციით და ნეიტრალურია ემოციურად; მაშასადამე, ამ თვალსაზრისით არასალიტერატურო და სალიტერატურო ენები ერთგვარ ვითარებას გვიჩვენებენ და მათ შორის სხვაობა არ არის.

როცა ფონური ცოდნის საფუძველზე იცვლება კონტექსტი, მოლაპარაკე პირს აინტერესებს არა ის, სად მიდის მეორე პირი, არამედ ის, რატომ მიდის იქ, სადაც მიდის; ჩნდება დამატებითი ემოციურ-ინფორმაციული ნიუანსები: გაბრაზება, აღშფოთება. ამ შემთხვევაში ქართული ცვლის მხოლოდ ინტონაციას, ხოლო მარტივი წინადადების სტრუქტურას უცვლელად ტოვებს; მაგალითად, (3) ქართ. *სად მიდიხარ?! შინაარსობრივი ცვლილების პარალელურად მეგრული ცვლის კონსტრუქციასაც, კერძოდ, იყენებს ჰიპოტაქსურ სტრუქტურას; შდრ.:*

(4) მეგრ. *სო რე, მეურქუნი?!³⁰*, სიტყვასიტყვით: „*სად არის, რომ მიდიხარ?!*“ შინაარსობრივად ნიშნავს: „*რატომ მიდიხარ?!*“.

მეგრულში ჰიპოტაქსური სტრუქტურის შემადგენელი კომპონენტები (მთავარში რე „არის“, დამოკიდებულში -ნი „რომ“) ასრულებენ ინფორმაციის აქტუალიზების ფუნქციას; ეს ვითარება იძლევა შესაძლებლობას მთლიანად ჰიპოტაქსური სტრუქტურა განვიხილოთ გათიშული (Cleft) კონსტრუქციის დეფინიციის მიხედვით. აღსანიშნავია, რომ სტრუქტურათა ცვლა, ინფორმაციის შინაარსობრივი ცვლილების პარალელურად, მეგრულის გავლენით დასტურდება ქართული სალიტერატურო ენის დასავლურ დიალექტებშიც: იმერულში, გურულში; დასავლური არეალის წარმომადგენელთა ქართულ ზეპირმეტყველებაში, ამ არეალის მწერალთა ენაში.

მაგალითები:

(5) *რასაა, რომ ახვერწნიებთ, დაჯედიტ ვინცხამ* (იმერული დიალექტი, ექსპედიციის მასალები).

(6) *ვისაა, რომ მიყობი?* (ქართული ზეპირმეტყველება, ექსპედიციის მასალები).

(7) *ვისაა, რომ უყვირი?! – იქაჩება ილარიონი* (დუმბაძე, 1966, 10).

(8) *ვის ლუკმასაა, რომ ითვლი და ანაწილებო?!* (ჭეიშვილი, 1982, 95).

2. გამეორებულსიტყვიანი:

გამეორებას ხალხურ ეპოსში ღრმა ფსიქოლოგიური საფუძველი აქვს. სიტყვათა გამეორებას მთქმელი მიმართავს შთაბეჭდილების გაძლიერების მიზნით, რთული ფსიქოლოგიური პასაჟების გადმოსაცემად, მაშინ, როცა პერსონაჟის მოქმედების დეფინიცია მსმენელის ყურადღების დაძაბვას მოითხოვს (დლონტი, 1975, 22); ასეთ დროს გამეორება წინადადებათა დამაკავშირებელ საშუალებადაც არის მიჩნეული (ქურდაძე, 1987, 99-100). გამეორება მოვლენის ან რაიმე ნიშნის ემოციურ-ლოგიკური ხაზგასმის საშუალებაცაა (Морен & Тетерникова, 1960, 277). სტილურ-ფუნქციური დანიშნულებით გამოყენებულ გამეორებას ანადიპლოზისაც უწოდებენ. მისი ერთ-ერთი სახე – *ლექსიკური ანადიპლოზის* ზეპირმეტყველებაში მაქვემდებარებელ კავშირთან ერთად ქმნის თავისებურ ჰიპოტაქსურ მოდელს, რომელიც სრულყოფილი და გასაგებია წინამავალი კონტექსტის გათვალისწინებით

³⁰ სასვენი ნიშანი მთავარ და დამოკიდებულ კომპონენტებს შორის დასმულია ტრადიციული სინტაქსის მიხედვით; რეალურად, აღნიშნული წინადადება ერთიანი ინტონაციით, პაუზის გარეშე წარმოითქმის.

(ლომია და სხვ., 2022).

გამეორება, როგორც სტილური ხერხი, აძლიერებს შთაბეჭდილებას, კრავს და განამტკიცებს სათქმელს: „თხრობის უწყვეტ ხაზს ქმნის..., ჯაჭვურად გადაებმება ერთმანეთს სიტყვები, ზოგჯერ შესიტყვებებიც, რომლებიც უფრო რეალიზებულია ლოგიკური სენტენციების სახით მოწოდებულ თხრობაში“ (აფრიდონიძე, 1989, 63).

ლექსიკური ანადიპლოზისი (= წინადადების ბოლო სიტყვის გამეორება მეორე წინადადების თავში) მთქმელს აძლევს საშუალებას სათქმელი ემოციურად, ხაზგასმით გამოხატოს. სპეციფიკური ინტონაციით გადმოცემული ამგვარი ინფორმაცია დიდ შთაბეჭდილებას ახდენს მსმენელზე და იზიდავს მას. გამეორებული ლექსიკური ერთეულებით შექმნილი ქვეწყობილი წინადადებები, როგორც წესი, გამოყენებულია სიუჟეტური ამბების თხრობისას. ამგვარ კონსტრუქციებში ყველაზე ხშირად ქართული მაქვემდებარებელი რომ კავშირი დასტურდება; იშვიათად შეიძლება სხვა კავშირები ან წევრ-კავშირები შეგვხვდეს. ქართული ენის დიალექტებში რომ კავშირთან ერთად მისი ფონეტიკური ვარიანტებიც გვხვდება: *რომე, რო.*

საანალიზო ჰიპოტაქსურ მოდელებში მეორდება ზმნა ან სახელი, ან ორივე ერთად. კავშირი დაერთვის გამეორებულ ლექსემას, რომელზეც ყურადღების გამახვილება სურს მთქმელს; მაგალითად:

(9) *[კაცს] მოუვიდა გული და... თავი გაუტება; თავი რო გაუტება, ეს კაცი გაიქცა...* (ქართლური დიალექტი, ქურდაძე, 1987, 99-100).

(10) *აი პურის კეკალი ქე შეჭამა ქათმემა. აი რომ ქათმემა შეჭამა, მოვიდა დედნაცვალი...* (გურული დიალექტი, ნიკოლაიშვილი, 2019, 145).

ლექსიკური გამეორების თვალსაზრისით სპეციალურად არის შესწავლილი მიხეილ ჯავახიშვილის რომანი „არსენა მარაბდელი“. მიჩნეულია, რომ აღნიშნული მხატვრული ნაწარმოების ენისა და სტილის „მომხიბლაობის მთელი საიდუმლო მის ღრმა ხალხურობაშია“. ავტორი ამბის თხრობისას იყენებს ქართული ზღაპრის სტილს (ჭუმბურიძე, 1962, 92-135):

(11) *[ოდელაშვილმა] ლურჯა ძლივსღა შეაჩერა და როცა შეაჩერა და მოიხედა, ამილახორი ბალახში დაინახა...* (ჯავახიშვილი, 1976, 49).

მაქვემდებარებელკავშირიანი გამეორება განსაკუთრებით დიდი სიხშირით დასტურდება მეგრულში. აქაც „რომ“-ის ფარდი -ნი კავშირ-ენკლიტიკა ჭარბობს სიხშირით სხვა საკავშირებელ საშუალებებს; იგი ხან ზმნას დაერთვის და ხან სახელს.

ა. მეორდება ზმნა

(12) *მურს მუმ ქიანაშა. მურსუ-ნ, დაასერუ ართ ქიანას (ხუბუა, 1937, 229) „მოდის თავის ქვეყანაში. რომ მოდის [თავის ქვეყანაში], შემოალამდა ერთ ქვეყანაში“.*

გამეორების დროს ზმნა შეიძლება შეიცვალოს სინონიმური მნიშვნელობის ზმნური ლექსებით:

(13) *მოლართუ ართიქ. ეყარუ-ნ, ათე ჭითა პაპაქ ქოწოხვადუ (ხუბუა, 1937, 263) „წამოვიდა ერთი [მმა]. რომ დაიდრა, ეს წითელი მღვდელი შემოხვდა“.*

ბ. მეორდება ს ა ხ ე ლ ი (არსებითი სახელი):

(14) *ართი მედეჯე ქობირუ. კითხუ ამბე მედეჯესუ-ნი, იქ უწყუ „ერთი მელორე ნახა. რომ ჰკითხა ამბავი მელორეს, მან უთხრა (დანელია, ცანავა, 1991, 30).*

ამ ტიპის ჰიპოტაქსურ მოდელებში კავშირი მხოლოდ სუბორდინატორი (SUB), ანუ სინტაქსური ფუნქციის მატარებელი, არ არის; მას ფოკუსირებული წევრის მარკირების (FM) ფუნქციაც აქვს; სინტაქსურ-სტილურ ფუნქციათა დიფერენცირება განსაკუთრებით ცხადად ჩანს მეგრულში მაშინ, როცა -ნი „რომ“ კავშირ-ენკლიტიკასთან ერთად წინადადებაში მოცემულია კონკრეტული წევრ-კავშირი:

(15) *მა მოკონია აკა ცხენი დო ონანგერი (N), სახარჯო ფარა (N) ტანისამოსიშ ოყიდე...; მუთ(SUB) ოკო სახარჯო(N)-ნ(FM), ცხენი დო ონანგერი(N)-ნ(FM), ირფელით დააკმაყოფილე ე ბოში [ხენწიფექ] „მე მინდაო ერთი ცხენი და უნაგირი, სახარჯავი ფული ტანსაცმლის საყიდლადა...; რაც უნდა სახარჯავად-„რომ“, ცხენი და უნაგირი-„რომ“, ყველაფრით დააკმაყოფილა ეს ბიჭი ხელმწიფემ“ (დანელია, ცანავა, 1991, 212-214).*

კავშირიანი გამეორებული ერთეული აღმავალი ინტონაციით წარმოითქმის; საერთოდ,

მაღალი ინტონაცია ერთმანეთისაგან განასხვავებს ფოკუსირებულ და არაფოკუსირებულ ინფორმაციებს; შდრ.: ქართულში მაღალი, ტალღისებური და რბილად დამავალი ინტონაციებით განსხვავებული ინფორმაციების გადმოცემა (დაწვრილებით იხ. ასათიანი, 2009, 3-13). საანალიზო მასალა საინტერესოა ასევე **სიტყვათა რიგის** თვალსაზრისითაც. „წინადადების აქტუალიზებული წევრის მოთავსება წინადადების დასაწყისში ინფორმაციის მარკირების ტიპოლოგიურად გავრცელებული სტრატეგიაა, თუმცა იშვიათად ფოკუსირებული წევრი შესაძლებელია ბოლოკიდურ პოზიციაშიც იყოს წარმოდგენილი“ (დაწვრილებით იხ. ივანიშვილი, 2009, 69-81). ჩვენ მიერ მოხმობილი ემპირიული მასალა ორივე ზემოაღნიშნულ შესაძლებლობას გვიჩვენებს; სიტყვათა რიგის მიხედვით გავრცელებული და იშვიათი შემთხვევების ბალანსი დაცულია.

ლაზურში გამეორებულ ზმნასთან **-ში** ნაწილაკი დასტურდება „რომ“ მაქვემდებარებელი კავშირის ფუნქციით. „-ში მეტ-ნაკლებად ყველა კილოკავშია გამოყენებული, [რომ-ის მნიშვნელობით] მართო ეს ნაწილაკი იცის ხოფურმა“ (ჩიქობავა, 2008,190).

(16) აწი აია ოხორჯაქ ოწიუს ქოგოიჭკუ. ოწიუს ქოგოიჭკუ-ში, სერსი მითიშა ვა აგნაფინუ (ხოფური კილო, ექსპედიციის მასალები) „ახლა ამ ქალმა კვილი დაიწყო. კვილი რომ დაიწყო, ხმა ვერავის გააგონა.

ამ ტიპის კონსტრუქციათა ძირითადი სპეციფიკა **სვანურში** მაქვემდებარებელი კავშირის იგნორირებაა; ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია მთავარში მოცემული იყოს კორელატი, ხოლო მაქვემდებარებელი კავშირისა და ასევე აქტუალიზატორის ფუნქციას **ინტონაცია** ასრულებს; ეს მოვლენა განსაკუთრებით დამახასიათებელია ბალსქვემოურისთვის, რომელიც სალიტერატურო ენის გავლენას ნაკლებად განიცდის:

(17) ათხე ამის ეჯ ლეთ ქრისდე-ღერმეთ ლწბმუშგტრან ი ქრისდე-ღერმეთ ლწბმუშგტრან, ეჯის ალ მარე გუდ დემ აჯად, დემ ათირ (ექსპედიციის მასალები) „ახლა ამას ქრისტე-ღმერთი ესტუმრა და ქრისტე-ღმერთი [რომ] ესტუმრა, იმას ეს კაცი ვერ მიხვდა, ვერ იცნო“.

3. ინიციალური სახელობითის შემცველი:

ინიციალური სახელობითის შემცველი კონსტრუქცია ქართული ზეპირმეტყველების სინტაქსის ფარგლებში პირველად გამოყოფს ლ. კვანტალიანმა (კვანტალიანი, 1990, 106-109); იგი თავისებური აგებულებისაა: თავკიდურა პოზიცია უჭირავს გამონათქვამის თემას – სახელობითში მდგარ სახელს ან სახელურ შესიტყვებას, რომელიც მომდევნო წინადადებას პაუზით გამოეყოფა; პაუზა ფორმდება წერტილით ან მძიმით (შესაძლებელია დაისვას კითხვა-ძახილის ნიშანიც).

სახელობითში მდგარი სახელის / სახელური შესიტყვების აქტუალიზება, **თავკიდურა პოზიციისა** და **პაუზის** გარდა, ხდება **აღმავალი ინტონაციითაც**, რაც დაუსრულებელ სათქმელზე მიანიშნებს.

სახელობითში მდგარ სახელსა და მომდევნო წინადადებას შორის არავითარი სინტაქსური კავშირი არ არსებობს; ისინი მხოლოდ აზრობრივად უკავშირდებიან ერთმანეთს. ეს კარგად ჩანს მაშინ, როცა სახელობითში მდგარ სახელს მომდევნო წინადადებაში ნაცვალსახელით გადმოცემული კორელატი ჩაენაცვლება (ნიმუშისთვის იხ. მაგალითები (18), (19) და მისთ.). უნდა აღინიშნოს, რომ ინიციალური სახელობითის შემცველი კონსტრუქცია ძალზე იშვიათად დასტურდება ბეჭდურად გამოცემულ ნარატიულ წყაროებში, რადგან დამახასიათებელია დიალოგური მეტყველებისთვის³¹, კერძოდ, ისმის მეორე პირის რეპლიკაში. ქართველური ენების მიხედვით სპონტანური დიალოგური მეტყველების ამსახველი ტექსტების მოძიება, გამოცემა და ანალიზი ჯერ კიდევ სამომავლო საქმედ ითვლება.

ამ ტიპის კონსტრუქცია დამახასიათებელია **მეგრულისთვისაც** (სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზისათვის იხ. ლომია, 2005, 179-180); მისი არსებობა შენიშნულია **სვანურშიც**; ნ. ჩართოლანის მიერ გამოცემული „სვანური ტექსტების“ წინასიტყვაობაში ნათქვამია, რომ ის არის საინტერესო, [სალიტერატურო] ქართულისაგან განსხვავებული, ხოლო სვანური

³¹ ეს ფაქტი შენიშნული აქვს ლ. კვანტალიანსაც (1990,109).

მეტყველებისთვის ბუნებრივი კონსტრუქცია (ჩართოლანი, 2003, 8).

ივანე გიგინეიშვილმა „ვეფხისტყაოსანში“ შენიშნა თავისებური სახის ჰიპოტაქსი და აღნიშნა: „პოემის ავტორთან, როგორც ჩანს, იგი გარკვეული სტილებრივი მიზნით არის გამოყენებული, მაგრამ ეს ვარაუდი არ გამორიცხავს იმას, რომ ეს კონსტრუქცია რთული დაქვემდებარებული წინადადების განვითარების გარკვეული საფეხურის ამსახველი იყოს და ამგვარი კონსტრუქციები „ვეფხისტყაოსანში“ ხალხური მეტყველებიდან მომდინარეობდეს“ (გიგინეიშვილი, 1975, 324).

ინიციალური სახელობითის შემცველი კონსტრუქციის მაგალითები:

ქართული ზეპირმეტყველება

(18) **მეზობელი.** მას რომ შეეძლოს, შენ არ დაგავალვება (ექსპედიციის მასალები).

მეგრული:

(19) **ოსურკოჩი.** თის ქეშულეზუდასინ, მითინს ვემიაშქვანს, თიგვარიე „დედაკაცი. მას რომ შეეძლოს, არავის არ მიუშვებს, იმგვარია“ (ექსპედიციის მასალები).

(20) **დიდა ბედიჭვირი.** თიშ არდგირს ვორდე, შურო ვემკვოჯინექ „დედა ბედდამწვარი. იმის ადგილას რომ ვიყო, საერთოდ არ მივაქევე ყურადღებას“ (ექსპედიციის მასალები).

სვანური:

(21) **მეზუბელი.** მიჩ ჩუ ხემედი, ეჩქას სი დემ ჯექინა „მეზობელი. მას [რომ] შეეძლოს, მაშინ შენ არ გეტყოდა“ (ექსპედიციის მასალები).

სოჭში ჩასახლებულ იმერელთა მეტყველებიდან:

(22) **მამაჩემი.** რო წევით ტყეში, ისიც გაგუყვა (მიქიაშვილი, 1994, 159).

„ვეფხისტყაოსანი“:

(23) **„დედოფალი ზღვასა შეიქმს, მას რომ ცრემლი დაუღვრია“** (რუსთაველი, 1974, 110, 358)³².

ამრიგად, ემპირიული მასალის ანალიზმა დაადასტურა, რომ ზეპირმეტყველებაში კომუნიკაციის ძირითადი წყაროა ჰიპოტაქსური მოდელები.

დამოწმებული ლიტერატურა:

ასათიანი, რ. (2009). ინტონაციის როლი წინადადების საინფორმაციო სტრუქტურის ფორმირებაში. სამეცნიერო წერილების კრებული „ინფორმაციის სტრუქტურირების ძირითადი მოდელები ქართველურ ენებში“, გვ. 3-13. თბილისი: გამომცემლობა „ნეკერი“.

აფრიდონიძე, შ. (1989). ილია ჭავჭავაძის სტილისათვის. ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, IX. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.

გიგინეიშვილი, ი. (1975). „ვეფხისტყაოსნის“ ენისა და ტექსტის კრიტიკის საკითხების შესახებ. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.

დანელია, ვ. (1991). შესავალი, გვ. 4-11, წიგნში: ქართული ხალხური სიტყვიერება, ტ. II, მეგრული ტექსტები (ქართული თარგმანითურთ); ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, შესავალი, შენიშვნები და გამოკვლევები დაურთეს ვ. დანელიამ და ა. ცანავამ; თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

თოფურია, ვ. (1960). რთული ქვეწყობილი წინადადების მარტივით შენაცვლებისათვის ქართულში. ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების საკითხები სკოლაში, კრებული X-XI. თბილისი.

ივანიშვილი, მ. (2009). წინადადების საინფორმაციო სტრუქტურა: სიტყვათა რიგი ქართველურ ენებში. სამეცნიერო წერილების კრებული „ინფორმაციის სტრუქტურირების ძირითადი მოდელები ქართველურ ენებში“, გვ. 69-81. თბილისი: გამომცემლობა „ნეკერი“.

კვანტალიანი, ლ. (1990). ქართული ზეპირი მეტყველების სინტაქსის საკითხები, თბილისი:

³² *ინიციალურ სახელობითიანი* კონსტრუქციის კომპონენტთა ურთიერთმიმართების გათვალისწინებით, სასვენი ნიშნები შემდეგნაირად უნდა განაწილდეს: „დედოფალი. ზღვასა შეიქმს, მას რომ ცრემლი დაუღვრია“; შდრ.: იგივე სტროფი ა. ხალვაშის რუსული თარგმანის ორიგინალურ (ქართულ) პარალელურ ტექსტში: „დედოფალი, ზღვასა შეიქმს, მას რომ ცრემლი დაუღვრია“ (ხალვაში, 2015, 180, 512 [478]).

გამომცემლობა „მეცნიერება“.

ლომია და სხვ.: ლომია, მ., ჭუმბურიძე, ნ., მარგიანი, ქ., ქურდაძე, რ. (2022). ლექსიკური გამოვლენა ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში: ზეპირმეტყველებისა და ქართული მხატვრული ტექსტების მიხედვით. VII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: „არქიტომცოდნეობა, წყაროთმცოდნეობა – ტენდენციები და გამოწვევები“. 8-10 სექტემბერი. პროგრამა და მოხსენებათა თეზისები:

<https://archive.gov.ge/saertashoriso-konferentsia-2022-1>

ლომია, მ. (2005). ჰიპოტაქსის საკითხები მეგრულში. თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“.

Морен М. К. & Тетерникова Н. Н. (1960). Стилистика французского языка, М.

მშვიდობაძე, რ. (1990). მეტყველების გაუნობიერებელი ფორმალური პარამეტრების ფსიქოლოგიური ფუნქციები. თბილისი.

ქურდაძე, რ. (1987). ქართული ენის ქართლური დიალექტის ლიახვი-ფრონის ხეობათა მეტყველება (ფონეტიკური, მორფოლოგიური, სინტაქსური და ლექსიკური თავისებურებანი), საკანდიდატო დისერტაცია (ხელნაწერის უფლებით), თბილისი.

დლონტი, ა. (1991). ხალხური პროზის ენა (I, II ნაწილი), გაზეთი „სოფლის ცხოვრება“, №43, 2.07; №48, 19.07.

დლონტი, ა. (1975). ხალხური პროზის ენისა და სტილის საკითხები, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ჩართოლანი, ნ. (2003). წინასიტყვაობა წიგნისა: სვანური ტექსტები და ლექსიკა (ბალსზემოური კილო). თბილისი.

ჩიქობავა, არნ. (2008). ჭანურის გრამატიკული ანალიზი, ტფილისი, 1936 გადაბეჭდილია წიგნში: შრომები, III; ტომის რედაქტორი ვ. შენგელია. თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“.

ძიმიგური, შ. (1973). კავშირები ქართულ ენაში, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ჭუმბურიძე, ზ. (1962). სალიტერატურო ენა და მწერლობა. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა მწერლობა“.

წყაროები:

დუმბაძე, ნ. (1966). „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“. თბილისი.

ექსპედიციის მასალები მოპოვებულია FR-21-352 გრანტის ფარგლებში განხორციელებული ლინგვისტური ექსპედიციების დროს.

მიქიაშვილი, თ. (1994). სოჭელი ქართველები და მათი მეტყველება (თან ერთვის სოჭელ იმერელთა, გურულთა, ლეჩხუმელთა მეტყველების ნიმუშები), თბილისი.

მოთხრობები გურიის ახლო წარსულიდან (დიალექტოლოგიური ტექსტების კრებული), (2019). შემდგენელი ელენე ნიკოლაიშვილი. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

რუსთაველი, შ. (1974). „ვეფხისტყაოსანი“, სასკოლო გამოცემა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, განმარტებანი, კომენტარები დაურთო ნ. ნათამემ; რედაქტორი: ალ. ჭინჭარაული. თბილისი: გამომცემლობა „განათლება“.

ქართული ხალხური სიტყვიერება, ტ. II (1991). მეგრული ტექსტები (ქართული თარგმანითურთ); ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, შესავალი, შენიშვნები და გამოკვლევები დაურთეს კ. დანელიამ და ა. ცანავამ; თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ჭეიშვილი, რ. (1982). „მუსიკა ქარში“. თბილისი.

ხალვაში, ა. (2015). „ვეფხისტყაოსანი“. ვრცელი რედაქცია და რუსული თარგმანი არჩილ ხალვაშისა. თბილისი: გამომცემლობა „ქართული წიგნი“.

ხუბუა, მ. (1937). მეგრული ტექსტები. ტფილისი.

ჯავახიშვილი, მ. (1976). „არსენა მარაბდელი“, მე-8 გამოცემა, თბილისი: გამომცემლობა „განათლება“.

შემოკლებათა განმარტებანი:

N – Noun/არსებითი სახელი

SUB – Subordinate/მაქვემდებარებელი კავშირი

FM – Fokus marker/ფოკუსის მარკერი

Hypotactic Patterns in Oral Speech – the Key Source of Communication

Lomia Maia
Kurdadze Ramaz
Margiani Ketevan
Tchumburidze Nino

Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Arn. Chikobava Institute of Linguistics , Tbilisi

Abstract

Research of the hypotactic patterns peculiar of oral speech is a topical issue, because it reveals language capacity in natural speech. The paper analyzes ample empirical material: Georgian dialectal texts, examples of oral speech, texts of non-literary Kartvelian languages – Megrelian, Laz and Svan. The paper also provides examples from the works of Georgian writers. The research embraces three types of hypotactic patterns:

1. **Hypotactic patterns with question words**, namely: In Megrelian, there are two types of interrogative sentences: simple and hypotactic. The components of a hypotactic structure (in the main clause, re „is“, and, in the subordinate clause, -ni „that“) perform the function of actualization of information. It should be noted that the change in the structure caused by the change in the information is also widespread in the Western sub-systems of the literary Georgian language.
2. **Hypotactic patterns with repetition**: Lexical anadiplosis (= repetition of the last word of the sentence in the beginning of the following sentence) enables the speaker underline the information and express it emotionally. Stylistically used lexical repetition forms a kind of hypotactic construction which becomes more comprehensible based on the preceding context. Based on the empirical material, we have analyzed cases of repetition of verb, noun or both of these parts of speech. The conjunction is added to the repeated lexeme emphasized by the speaker.
3. **Hypotactic patterns with initial nominative**: The initial nominative construction has a special structure. It begins with a noun in the nominative case which is separated by punctuation and intonation from the following simple or subordinate clause.

The formal markers of topicalized elements are distinguished on the level of phonetics/phonology, morphology/syntax and lexis/semantics; in particular, the paper analyzes such markers as intonation, clitic, word order, specific constructions and so on. Frequently, these data are represented in a complex way in one and the same pattern. This makes the utterance more expressive.

Key words: Hypotactic Patterns, Oral Speech, Syntax, Communication, Actualization, Word order, Intonation.

რიცხვითი სახელის შესახებ ქართულ ქესტურ ენაში

მახარობლიძე თამარ

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი

DOI: <https://doi.org/10.52340/idw.2023.33>

კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით [FR-22-254. ქართული ქესტური ენის სახელთა მორფოლოგია]

აბსტრაქტი. ქართული ქესტური ენა არის ყრუ და სმენადაქვეითებული ადამიანების ენა საქართველოში. მათი რიცხვი დაახლოებით 2 500-ს შეადგენს. ისინი ორენოვანი ხალხია და მათ აქვთ ორი მშობლიური ენა: ქართული ქესტური ენა და სალაპარაკო ქართული. აქედან გამომდინარე, მათ სჭირდებათ ბილინგვური განთლება საქართველოში არსებულ ყრუთა სკოლებში.

რიცხვითი სახელი ყველა ენაში არის მორფოლოგიური რიცხვის, რიგის ან ნაწილის აღმნიშვნელი. შესაბამისად, რიცხვები შეიძლება იყოს რაოდენობითი, რიგობითი ან წილობითი. ქართული ქესტური ენა იმეორებს ენების უნივერსალურ მიდგომას ზოგადად რიცხვის მიმართ. თითქმის ყველა ქესტური ენა იყენებს თითების მოსალოდნელ კომბინაციებს რიცხვის წარმოსაჩენად და ეს განსაკუთრებით ეხება რაოდენობით რიცხვით სახელებს.

ქესტურ ენებს აქვთ პენტაგრამური სისტემები, სადაც რიცხვი გადაიცემა ხელის თითებით და ეს ყველაზე მოსახერხებელი სისტემაა. სალაპარაკო ენები კი იყენებენ გამსხვავებულ მოდელებს – ათობით ან ოცობით სისტემას (მაგალითად, სალაპარაკო ქართული ენა). ზოგადად, სალაპარაკო ენებში რიცხვითი სისტემის ოთხი ყველაზე უფრო გავრცელებული ტიპია:

- ათობითი რიცხვების სისტემა (ბაზა 10)
- ოცობითი რიცხვების სისტემა (ბაზა 2)
- ოქტალური რიცხვების სისტემა (ბაზა 8)
- თექვსმეტობითი რიცხვების სისტემა (ბაზა 16)

ეს არსებული განსხვავება სალაპარაკო ქართულისა და ქართული ქესტური ენის დათვლის სისტემებს შორის გულდასმით უნდა იქნას გათვალისწინებული საქართველოს სკოლებში ყრუ ბავშვებისთვის რაოდენობით რიცხვითი სახელის სწავლებისას.

ზოგადად ქესტურ ენებს არ ახასიათებთ სემანტიკური მორფოლოგიისათვის ნიშანდობლივი აფიქსების სისტემა, თუმცა მორფემების და დერივაციული აფიქსების გამოყოფა მაინც ხერხდება ზოგ ქესტურ ენაში. ქართული ქესტური ენა ამ მხრივ განსაკუთრებულ სისტემას უჩვენებს. რიგობითი რიცხვითი სახელების წარმოება ხდება რიგის ნიშნის დართვით. ეს დერივანტი სუფიქსურია და აბსოლუტურად დელექსიკალიზებული აფიქსია.

ქართული ქესტური ენა გვიჩვენებს რიცხვითი სახელის ინკორპორაციასაც.

მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ქართულ ქესტურ ენას აქვს მორფო-ლექსიკური სამუალებები რიცხვითი სახელების სისტემის სათანადოდ გადმოსაცემად

საკვანძო სიტყვები: ქართული ქესტური ენა, რიცხვითი სახელი, რაოდენობითი, რიგობითი, მორფოლოგია, ქესტური ენები.

ქართული ქესტური ენა არის ყრუ და სმენადაქვეითებული ადამიანების ენა საქართველოში. მათი რიცხვი დაახლოებით 2 500-ს შეადგენს. ისინი ორენოვანი ხალხია, აქვთ ორი მშობლიური ენა: ქართული ქესტური ენა და სალაპარაკო ქართული. აქედან გამომდინარე,

მათ სჭირდებათ ბილინგვური განთლება საქართველოში არსებულ ყრუთა სკოლებში.

რიცხვითი სახელი ყველა ენაში არის მორფოლოგიური რიცხვის, რიგის ან ნაწილის აღმნიშვნელი. შესაბამისად, რიცხვები შეიძლება იყოს რაოდენობითი, რიგობითი ან წილობითი. ქართული ჟესტური ენა იმეორებს ენების უნივერსალურ მიდგომას ზოგადად რიცხვის მიმართ. თითქმის ყველა ჟესტური ენა იყენებს თითების მოსალოდნელ კომბინაციებს რიცხვის წარმოსაჩენად და ეს განსაკუთრებით ეხება რაოდენობით რიცხვით სახელებს. ბევრ ჟესტურ ენაში 10-მდე რიცხვები თითქმის ერთნაირად გამოიყურება. ჟესტურ ენებში რიცხვითი მონაცემების უმეტესობა ლექსიკურად ემთხვევა სხვა ენების შესაბამის მასალას და ეს ძალიან აადვილებს კომუნიკაციას. სინამდვილეში, ეს ფაქტი მათემატიკურ ენას უნივერსალურს ხდის.

სალაპარაკო ენებში რიცხვები ყველაზე ფართოდ გამოკვლეულ ენობრივ სტრუქტურებს შორისაა. როგორც ცალკეულ ენებში, ასევე სხვადასხვა რანგის ტიპოლოგიურ გამოკვლევებში არსებობს უამრავი ხელმისაწვდომი მონაცემები სალაპარაკო ენებში რიცხვითი სისტემების შესახებ. აღსანიშნავია ისიც, რომ რიცხვითი სისტემები კარგად არის შესწავლილი ბევრ ჟესტურ ენაშიც. ენების ორივე მოდლობაში – სალაპარაკოსა და ჟესტურში ტიპოლოგიური ან შედარებითი კვლევები, რომლებიც ციფრებსა და რიცხვით სახელებს განიხილავენ, მოიცავს ისეთი ავტორების ნაშრომებს, როგორცაა ჰარფორდი (1975, 1987); კომრი (1997, 2005); გრინბერგი (1978); ბარიგა (1998); ჩინჩორი (1982); ფუნტესი, მასონე, ფერნანდეს-ვიადერი და მაკოტრინსკი (2010); ჯილი (2005); ჰანკე (2010); მეირი, სანდლერი, პადენი და არონოვი (2010); ზეშანი (2013) და სხვები.

ჟესტურ ენებს აქვთ პენტაგრამური სისტემები, სადაც რიცხვი გადაიცემა ხელის თითებით და ეს ყველაზე მოსახერხებელი სისტემაა. სალაპარაკო ენები კი იყენებენ გამსხვავებულ მოდელებს – ათობით ან ოცობით სისტემას (მაგალითად, სალაპარაკო ქართული ენა). სინამდვილეში, სალაპარაკო ენებში რიცხვითი სისტემის ოთხი ყველაზე უფრო გავრცელებული ტიპია:

- ათობითი რიცხვების სისტემა (ბაზა 10)
- ოცობითი რიცხვების სისტემა (ბაზა 2)
- ოქტალური რიცხვების სისტემა (ბაზა 8)
- თექვსმეტობითი რიცხვების სისტემა (ბაზა 16)

ეს განსხვავება სალაპარაკო ქართულისა და ქართული ჟესტური ენის დათვლის სისტემებს შორის გულდასმით უნდა იქნას გათვალისწინებული საქართველოს სკოლებში ყრუ ბავშვებისთვის რაოდენობით რიცხვითი სახელის სწავლებისას.

ქართულ ჟესტურ ენაში, ისევე როგორც სხვა მრავალ ჟესტურ ენაში, რაოდენობითი რიცხვებისთვის არის შემდეგი მოდელი: ციფრების დათვლა ერთიდან ხუთამდე ხდება სხეულისკენ ორიენტირებული ხელისგულით. ექვსიდან ცხრამდე რიცხვებისთვის ხელისგული წინ არის მიმართული გაშლილი ხუთი თითით, ხოლო მეორე ხელი (სხეულისკენ მიმართული ხელისგულით) უმატებს თითებს, როგორც ვხედავთ ქვევით მაგალითში 'შვიდი' – პირველ სურათზე:




სურ.1. შვიდი

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, მარცხენა ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით მიმართულია მარჯვნივ, მარცხნივ მიმართულია მარჯვენა ხელისგული მუშტად შეკრული თითებით, გაშლილი ცერი და საჩვენებელი თითით მარჯვენა ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს, დანარჩენი თითები კრავენ მუშტს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე. (მახარობლიძე 2015)

სალაპარაკო და ჟესტურ ენათა შორის რიცხვით სახელებთან დაკავშირებული ძირითადი განსხვავება შემდეგში მდგომარეობს: მოლაპარაკე ბავშვებმა უნდა დააკავშირონ ციფრები სიტყვებთან, ხოლო ყრუ და სმენადაქვეითებულმა ბავშვებმა უნდა დააკავშირონ სამი კონცეპტი: სიტყვა, ციფრი და ჟესტი.


ძალზე მნიშვნელოვანია იმ გარემოების ხაზგასმა, რომ ზოგადად ჟესტურ ენებს არ ახასიათებთ სეგმენტური მორფოლოგიისათვის ნიშანდობლივი აფიქსების სისტემა, თუმცა მორფემების და დერივაციული აფიქსების გამოყოფა მაინც ხერხდება ზოგ ჟესტურ ენაში. ქართული ჟესტური ენა ამ მხრივ განსაკუთრებულ სისტემას უჩვენებს (მახარობლიძე 2012, 2015, 2017). რიგობითი რიცხვითი სახელების წარმოება ხდება რიგის ნიშნის დართვით. ეს დერივანტი სუფიქსურია და აბსოლუტურად დელექსიკალიზებული აფიქსია.



სურ. 2 მეთერთმეტე

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „თერთმეტი“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგული მუშტად შეკრული თითებით, მომდევნო ფაზაში გაშლილი და ზევით აღმართულია საჩვენებელი თითით, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „რიგითობა“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგული ფართოდ გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, ხელი მარჯვნივ გადაადგილდება თითების რხევით. ჟესტი წარმოდგენილია მხრებისა და მკერდის დონეზე. (მახარობლიძე 2015)

მეორე სურათზე წარმოდგენილია რიგობითი რიცხვითი სახელი (მეთერთმეტე) თავისი მაწარმოებლით. ამავე ტიპის მაწარმოებელია ფორმაში 'მესამე':



სურ.3 მესამე

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია მარცხენა ხელისგული, ფართოდ გაშლილია ცერი, საჩვენებელი და შუა თითები, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, სხეულისკენ მიმართულია მარჯვენა ხელისგული გაშლილი და მარცხნივ მიმართული თითებით, ხელი ქვევით გადაადგილდება თითების რხევით. ჟესტი წარმოდგენილია მხრებისა და მკერდის დონეზე. (მახარობლიძე 2015)

როგორც მაგალითებიდან ვხედავთ, რიგობითობის აფიქსის ორი ფორმაა ამ ენაში წარმოდგენილი. თუ კარგად დავაკვირდებით ამ აფიქსურ ჟესტებს, დავინახავთ, რომ ეს, ფაქტობრივად, ერთი აფიქსის ორი ვერსიაა, რადგანაც იგივე ჟესტია, შეცვლილია მხოლოდ თითების მიმართულება და მოძრაობის ტრაექტორია, ხოლო მორფო-სემანტიკა იგივეა.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ რიცხვით სახელებს ზოგ ჟესტურ ენებში ახასიათებს ინკორპორაცია, ანუ შერწყმა არსებით სახელებთან. ამდაგვარი შერწყმა ძირითადად ხდება დროის კატეგორიის გამომხატველ ფორმებში. ქართული ჟესტური ენაც უჩვენებს ამ ტიპის ინკორპორაციას – მხოლოდ ერთიდან ხუთამდე 'წლის' და 'წუთის' ლექსემებთან ხდება ეს ინკორპორაცია. მაგალითად ორი თითის კბილზე განმეორებითი მიღება ნიშნავს – 'ორი წლის', სამი თითის სწრაფი გაშლა და ჩაკეცვა კი ნიშნავს 'სამი წუთი'.

მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ქართულ ჟესტურ ენას აქვს სათანადო მორფო-ლექსიკური საშუალებები რიცხვითი სახელების სისტემის სათანადოდ გადმოსაცემად.

ლიტერატურა:

- მახარობლიძე თ. (2015) ქართული ჟესტურის ენის ლექსიკონი. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი. თბილისი. ISBN 978-9941-16-225-5 1368 გვ.
- მახარობლიძე თ. (2012) ქართული ჟესტური ენა. ტრენინგის სახელმძღვანელო. მესამე საფეხური, რვეული ტრენინგის მონაწილეებისათვის. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. USAID, Save The Children International. თბილისი
- თამარ მახარობლიძე (2017) მათემატიკურ ნიშნებთან დაკავშირებული ზოგი საკითხი ქართულ ჟესტურ ენაში. "ენა და კულტურა - 18" ჰუმანიტარულ და პედაგოგიკურ მეცნიერებათა განვითარების ფონდი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ქუთაისი. გვ. 51-58
- Barriga Puente, Francisco. 1998. Los sistemas de numeración indoamericanos: Un enfoque areotipológico. Ciudad de México: Universidad Nacional Autónoma de México.
- Chinchor, Nancy Ann. 1982. Morphological theory and numeral incorporation in American Sign Language. Providence, RI: Brown University doctoral dissertation.
- Comrie, Bernard. 1997. Some problems in the theory and typology of numeral systems. In Bohumil Palek (ed.), Proceedings of LP' 96. Typology: Prototypes, item orderings and universals, 41– 56. Praha: Charles University Press.
- Comrie, Bernard. 2005a. Numeral bases. In Haspelmath et al. (eds.) 2005, 530–533.

- Fuentes, Mariana, María Ignacia Massone, María del Pilar Fernández-Viader & Alejandro Makotrinsky. 2010. Numeral-incorporating roots in numeral systems: A comparative analysis of two sign languages. *Sign Language Studies* 11. 55–75.
- Gil, David. 2005. Distributive numerals. In Haspelmath et al. (eds.) 2005, 222–225.
- Greenberg, Joseph H. 1978. Generalizations about numeral systems. In Joseph H. Greenberg (ed.), *Universals of human language*, Vol. 3: Word structure, 249–297. Stanford, CA: Stanford University Press.
- Hanke, Thomas. 2010. Additional rarities in the typology of numerals. In Jan Wohlgemuth & Michael Cysouw (eds.), *Rethinking universals: How rarities affect linguistic theory*, 61–89. Berlin: De Gruyter.
- Hurford, James R. 1975. *The linguistic theory of numerals*. Cambridge: Cambridge University Press.
- Hurford, James R. 1987. *Language and number: The emergence of a cognitive system*. Oxford: Blackwell.
- Hymes, Virginia Dosch. 1955. Athapascan numeral systems. *International Journal of American Linguistics* 21. 6–45.
- Meir, Irit, Wendy Sandler, Carol Padden & Mark Aronoff. 2010. Emerging sign languages. In Marc Marschark & Patricia Elizabeth Spencer (eds.), *Oxford handbook of deaf studies, language and education*, Vol. 2, 267–280. Oxford: Oxford University Press.
- Zeshan Ulrike, Cesar Ernesto Escobedo Delgado, Hasan Dikyuva, Sibaji Panda and Connie de Vos (2013) Cardinal numerals in rural sign languages: Approaching cross-modal typology. *Linguistic Typology*. [De Gruyter Mouton. https://doi.org/10.1515/lity-2013-0019](https://doi.org/10.1515/lity-2013-0019)
-

On numerals in Georgian Sign language (GESL)

Makharoblidze Tamar

Ilia State University, Tbilisi

This work was supported by Shota Rustaveli National Scientific Foundation of Georgia (SRNSFN) 0FR-22-254. The Georgian Sign language nominal morphology]

Abstract

Georgian sign language (GESL) is a language of Deaf and Hard of Hearing (DHH) people in Georgia. There are about 2 500 DHH in the country. They are bilinguals – having two native languages: GESL and spoken Georgian. Thus, they expect to have the bilingual education in schools.

Numerals in all languages are morphological denoting the number, order or part. Accordingly, numerals can be cardinal, ordinal or fractional/distributive. GESL repeats the universal approach of languages to number. Almost all sign languages use expected combinations of fingers to represent a number, and it concerns to cardinal numerals.

Sign languages have pentagram systems, a number is transmitted with the fingers of the hand and this is the most convenient system, while many spoken languages use decimal system or system of twenty – as spoken Georgian. Actually, in spoken languages the four most common number system types are:

- Decimal number system (Base 10)
- Binary number system (Base 2)
- Octal number system (Base 8)
- Hexadecimal number system (Base 16)

This difference between the counting systems of spoken Georgian and GESL must be carefully taken into account while teaching cardinal numerals to Deaf children in Georgia.

In general, sign languages are not characterized by a system of marking affixes of segmental morphology, although the separation of morphemes and derivational affixes still occur in some sign languages. GESL shows a special system in this respect. Ordinal numerals are produced by adding an ordinal sign, and this is a derivational suffix, which is a completely delexicalized affix.

Interestingly, GESL shows the numeral incorporation as well.

It is important that GESL has proper morpho-lexical means to convey the system of numerals.

Keywords: Georgian Sign Language, GESL, numerals, morphology, ordinal numerals, cardinal numerals, sign languages

ლინგვოკულტურული ფენომენი და საგაზეთო სათაური

მიქაძე მანანა

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი

DOI: <https://doi.org/10.52340/idw.2023.34>

აბსტრაქტი. საგაზეთო სათაური ე.წ. ჰედლაინი საგაზეთო ინფორმაციის ყველაზე შეკუმშული ფორმაა, რომელსაც ინფორმატიული დატვირთვა გააჩნია. მისი ძირითადი ფუნქცია არის მკითხველის მოკლედ ინფორმირება მისი თანმდევი სტატიის შესახებ. ინგლისური საგაზეთო სათაური ლაკონურობით გამოირჩევა, რომლის უკან ზღვა მასალა იმალება.

სათაურები გაზეთის მკითხველზე გაცილებით ფართო აუდიტორიას მოიცავს, ვინაიდან გაზეთის მკითხველი გაკვრით მაინც გადაავლებს სათაურებს თვალს და მხოლოდ ამის შემდეგ იღებს გადაწყვეტილებას მისი შეძენის თაობაზე. აქედან გამომდინარე, სათაურის ზეგავლენა მკითხველზე უზომოდ დიდია – მისი ძირითადი ფუნქცია ხომ მკითხველის ინტერესის სტიმულირებაა მოცემული სტატიის გასაცნობად. ზოგჯერ საგაზეთო სათაური მოიცავს ისეთი მნიშვნელობის მქონე ერთეულებს, რომელიც მკითხველის შესაბამის ლინგვო-კულტურულ ფონურ ცოდნას მოითხოვს. საგაზეთო სათაური შესაძლებელია მივიჩნიოთ არამხოლოდ ლინგვის-ტურ, არამედ კულტურულ ფენომენად და განვიხილოთ იგი ლინგვოკულტუროლოგიურ ჭრილში.

საკვანძო სიტყვები: საგაზეთო სათაური, ლინგვოკულტუროლოგია, ფენომენი, მკითხველი

ინგლისურ გაზეთს ერთ საუკუნეზე მეტი დასჭირდა, რომ თავისი საკუთარი სტილი და სტანდარტები დაეფუძნებინა, და შეიძლება ითქვას, რომ მხოლოდ XIX საუკუნეში განავრცო საკუთარი სტილი, რომელიც ცალკე საგაზეთო-საინფორმაციო სტილად ჩამოყალიბდა.

საგაზეთო სათაური ე.წ. ჰედლაინი საგაზეთო ინფორმაციის ყველაზე შეკუმშული ფორმაა, რომელსაც ინფორმატიული დატვირთვა გააჩნია. მისი ძირითადი ფუნქცია არის მკითხველის მოკლედ ინფორმირება მისი თანმდევი სტატიის შესახებ. ინგლისური საგაზეთო სათაური ლაკონურობით გამოირჩევა, რომლის უკან ზღვა მასალა იმალება.

სათაურები გაზეთის მკითხველზე გაცილებით ფართო აუდიტორიას მოიცავს, ვინაიდან გაზეთის მკითხველი გაკვრით მაინც გადაავლებს სათაურებს თვალს და მხოლოდ ამის შემდეგ იღებს გადაწყვეტილებას მისი შეძენის თაობაზე. აქედან გამომდინარე, სათაურის ზეგავლენა მკითხველზე უზომოდ დიდია – მისი ძირითადი ფუნქცია ხომ მკითხველის ინტერესის სტიმულირებაა მოცემული სტატიის გასაცნობად. ზოგჯერ საგაზეთო სათაური მოიცავს ისეთი მნიშვნელობის მქონე ერთეულებს, რომელიც მკითხველის შესაბამის ლინგვო-კულტურულ ფონურ ცოდნას მოითხოვს. საგაზეთო სათაური შესაძლებელია მივიჩნიოთ არამხოლოდ ლინგვის-ტურ, არამედ კულტურულ ფენომენად და განვიხილოთ იგი ლინგვოკულტუროლოგიურ ჭრილში.

ჰუმანიტარულ მეცნიერებაში დღეს უაღრესად აქტუალურია აზროვნების ისტორიის კულტურის ისტორიასთან დაკავშირება, ასევე ენის წამყვანი როლი ორი-ვეგან აღიარებულია. ენა ერთსა და მეორესაც თავის თავში იკრებს, ამასთანავე, ენის მეშვეობით ხორციელდება ძირითადად სოციალური ურთიერთქმედება საზო-გადოებაში. ასე რომ, სწორედ ენის ანალიზი იძლევა შესაძლებლობას გავიგოთ ადა-მიანთა აზროვნება და ქცევა.

ენას ეთნოსოციოკულტურულ კონტექსტში ორი მეცნიერული მიმართულება იკვლევს: ეთნოფსიქოლინგვისტიკა და ლინგვოკულტუროლოგია. პირველი ფსიქო-ლინგვისტიკის განშტოებაა, რომელიც დამოუკიდებელ დისციპლინად ჩამოყალიბებას ცდილობს, ხოლო მეორე

– ლინგვოკულტუროლოგია – ეთნოფსიქოლინგვისტურ კვლევათა წიაღში იშვა. არც ეს მიმართულება ქცეულა ჯერ ცალკე მეცნიერულ სფეროდ და მისთვის „დისციპლინის“ წოდებას უფრო დეკლარაციული ხასიათი აქვს. აღნიშნულ მიმართულებებს საერთო ზოგადთეორიული დებულებები უდევთ საფუძვლად. ერთ-ერთი პოსტულატი, რომელსაც ისინი ეყრდნობიან, საყოველთაოდ ცნობილი სეპირ-უორფის ჰიპოთეზაა ენის ფარდობითობის შესახებ. ამ ჰიპოთეზის არსებითი დებულებები მოკლედ შეიძლება ასე გავიხსენოთ: *ენა განაპირობებს მისი მატარებლის აზროვნების ტიპს, სამყაროს აღქმის ხერხი დამოკიდებულია ენაზე, რომლითაც აზროვნება ხორციელდება. ყოველი ხალხის მსოფლხედვისა და მსოფლგაგების საფუძველია საგნობრივ მნიშვნელობათა საკუთარი სისტემა, სოციალური სტერეოტიპები, კოგნიტიური სქემები, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ადამიანის ცნობიერება ყოველთვის განაპირობებულია ეთნიკურად* [კუბრიაკოვა, 1997:21].

ლინგვო-კოგნიტური მიდგომა, რომელიც ვარაუდობს კომუნიკაციის არა მარტო საკუთრივ ენობრივი მხარის, არამედ კომუნიკაციური ასპექტების ანალიზსაც, გვეხმარება გამოვლენასა და კვლევაში, ასევე იმ ფაქტორების შესწავლაში, რომლებიც ურთიერთობის ეროვნულ-კულტურულ სპეციფიკას განაპირობებენ.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ენისა და ცოდნის ურთიერთმიმართებაზე ყურადღების გამახვილება: ენა ცოდნათა დისკრეტიზაციის, მათი ობიექტივაციისა და, ბოლოს, ინტერპრეტაციის საშუალებაა [ზვეგინცევი, 1996:195]. ეს სამი ფუნქცია, რო-მელსაც ენა ასრულებს ცოდნასთან მიმართებით, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს დისკურსის ანალიზისას, როცა ანალიზის მიზანია დისკურსის ეროვნულ-კულ-ტურულ შემადგენელთა გამოვლენა და აღწერა.

ლინგვოკულტურულ ფენომენს ძალზედ დიდი ზეგავლენა აქვს ინფორმაციის გააზრებისას. ინფორმირების ყველაზე ძლიერ წყაროს კი სწორედ საგაზეთო სათაური წარმოადგენს, რომელსაც იმ ტექსტის წაკითხვამდე ეცნობა მკითხველი რომელიც მას მოსდევს და თუ ის ვერ ჩაწვდა საგაზეთო სათაურის არსს, მისთვის შეიძლება სრულ-ლიად უინტერესო აღმოჩნდეს არსებული გაზეთი. ამაში კი დიდი წვლილი მიუძღვის იმ ლინგვოკულტურულ ელემენტებს რომელიც შეიძლება სრულიად ბუნდოვანი დარჩეს მკითხველისთვისათვის.

საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ შემდეგი საგაზეთო სათაური, სადაც ალუზია არის გამოყენებული: “Jacques says: Let them eat yellowcake”.

ბრიტანულ ეთნოკულტურაში სახელი *Jacque/Jack* აღიქმება სერიოზულად და შესაბამისად იგი უარყოფითი კონოტაციის მატარებელია ინგლისში არსებული სლენგური გამონათქვამის – “*I am all right Jack*” – ის გამო, რომელიც მეტონომიურად გამოიყენება დაბალი სოციალური წარმოშობის მამაკაცის გამოსახატავად. აღნიშნული ფონური ცოდნის საფუძველზე მკითხველი ახდენს ინფერენციას იმასთან დაკავშირებ-ბით, რომ პრეზიდენტის მხოლოდ სახელით მოხსენიება ფამილარულია და მას გარ-კვეულ წილად უკნინებს თავის უფლებამოსილებას.

ამავე სათაურში გამოყენებული ფრაზა “*Yellowcake*”, რომელიც გამოიყენა მარტივ ანტონეტმა, და ინგლისის ისტორიაში შევიდა როგორც სიმბოლო ძალაუფლების განსხვავებისა, ღარიბთა მძიმე მდგომარეობისა და ლატაკთა და გაჭირვებულთა მიმართ სამეფო კარის ინდიფერენტულობის გამოსახატავად.

ამრიგად ამკარაა, რომ ლინგვოკულტურული ფონური ცოდნა რა დიდ როლს ასრულებს საგაზეთო სათაურში, რადგან იმ შემთხვევაში თუ არ მოვახდენთ მოცემული სათაურის ლინგვოკულტურულ ანალიზს, მაშინ ჩვენთვის სულ არ გახდებოდა ცნობილი, რომ აღნიშნული სათაური ძალაუფლების გამოვლენაზე, მუქარაზე მიგვითითებს, რომ ის პოლიტიკური დატვირთვისაა. უფრო მეტიც, ჩვენთვის საერთოდ ბუნდოვანი დარჩება მისი რეალური არსი, და ის შეიძლება მივიჩნიოთ უბრალოდ სახუმარო, გასართობ სტატიად.

ინგლისურ სათაურებში ხშირად გამოყენებული კალამბურების ადექვატურად აღქმას ასევე რთულ მენტალურ აქტივობას და მკითხველის შესაბამის სოციო-კულტურულ ფონურ ცოდნას მოითხოვს, განსაკუთრებით კი მაშინ როცა სიტყვათა თამაში კულტურული ან ლიტერატურული ხასიათის ფაქტებს ეფუძნება. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ საინფორმაციო შეტყობინების სათაურს ავსტრალიური გაზეთიდან: Wine merchants brace for the grapes of wrath.

ამ სათაურში ჩადებული მესიჯის რეცეფცია მთლიანად არის დამოკიდებული მკითხველის ლინგვოკულტურულ ფონურ ცოდნაზე. კერძოდ, თუ ადრესატი არ იცნობს ჯონ სტაინბეკის ცნობილ რომანს „მრისხანების მტევნები“ ან მის ეკრანიზებულ ვერსიას იგი ვერ შეძლებს მოყვანილი სათაურის აღქმა-დეკოდირებას. როგორც ცნობილია, სახელადი ფრაზა “Grapes of Wrath” თანამედროვე ინგლისურ ენაში ორი მნიშვნელობით გვხვდება: ყოველდღიურ მეტყველებაში იგი ღვინის აღსანიშნავად გამოიყენება (მაგალითად, გამონათქვამში „მან ზომიანი მეტი ღვინო დალია“). მაშინ როცა სტაინბეკი აღნიშნულ ფრაზას მეტაფორული მნიშვნელობით იყენებს „დიდი მრისხანების“ აღსანიშნავად. აქრდან გამომდინარე, აღნიშნული სათაურის თარგმანი ქართულ ენაზე იქნება – „ღვინით მოვაჭრენი ძალენს იკრებენ უკმაყოფილების გამოსახატავად“.

ემპირიული მასალის კვლევამ გვიჩვენა, რომ საგაზეთო-საინფორმაციო მეტყობინების მეტაფორული სათაურის აღქმა უშუალოდ არის დაკავშირებული მასში ნომინირებული რეფერენტული ექსტრალინგვისტური მოვლენის სოციო-კულტურული კონტექსტის ცოდნასთან. წინააღმდეგ შემთხვევაში მკითხველი ვერ შეძლებს სათაურში მოცემული ინფორმაციის სწორ ინტერპრეტაციას. მაგალითად, საინტერესოა მეტაფორული სათაური, რომელშიც ზმნის ‘to die’ გადატანითი მნიშვნელობით გამოყენებით ემოციურად და ხატოვნად არის რეალიზებული ინფორმაცია შეერთებული შტატების კონგრესში სასოფლო-სამეურნეო კანონის ჩავარდნის შესახებ: Farmer Bill dies in house.

საკმაოდ რთულ სოციო-კულტურულ ანალიზს საჭიროებს საგაზეთო სათაური, რომელიც აშშ საბანკო კრიზისის ასახავს კონდენსირებული ფორმით ისეთი სტილის-ტური გამომსახველობითი საშუალებების გამოყენებით, როგორც არის მეტონიმია და მეტაფორა: Wall St. lays an Egg. ამ სათაურში ჩადებული ავტორისეული მესი-ჯის აღქმა მოითხოვს მის ლინგვოკულტურულ ინტერპრეტაციას. მკითხველი უნდა ფლობდეს პრაგმატიკუ ფონურ ცოდნას იმასთან დაკავშირებით, რომ ქუჩის დასახელება ‘Waall street’ გამოიყენება მეტონიმურად საფონდო ბირჟის აღსანიშნავად; ხოლო სიტყვათმეხამება ‘to lay an egg’ („კვერცხის დადება“) მეტაფორულად გამოიყენება გადატანითი მნიშვნელობით იმის აღსანიშნავად, რომ საფონდო ბირჟამ დიდი ხმაურის შემდეგ მიიღო სენსაციური გადაწყვეტილება.

მეტონომიური სათაურის მაგალითებს ხშირად ვხვდებით ქართულ პრესაშიც, რომლის აღქმა-დეკოდირება უშუალოდ არის დაკავშირებული ქართული ლინგვოკულტურულ და სოციალურ ფონურ ცოდნასთან. ასე მაგალითად, „ყველა ადამიანში ხომ ლუარსაბია“.

აღნიშნული სათაური ლინგვოკულტურულ ფენომენს წარმოადგენს, რომლის გაგებაც სრულიად შეუძლებელია სხვა კულტურის წარმომადგენელისათვის, თუ ის ძალიან ღრმად არ იცნობს ქართულ კულტურას. ილია ჭავჭავაძის ცნობილი მოთხრობის „კაცია-ადამიანი“ გმირი ლუარსაბი ქართულ ლინგვო-კულტურულ რეა-ლობაში ზარმაცი ადამიანის მნიშვნელობით დამკვიდრდა. ინგლისელისა თუ სხვა ერის წარმომადგენელისათვის კი აღნიშნული სათაური ბუნდოვანი დარჩება მისი წაკითხვის შემდეგაც, ვინაიდან ლინგვო-კულტურული ფონური ცოდნის გარეშე ვერ დააკავშირებს ერთმანეთს სათაურსა და სტატიას, რადგან მას წარმოდგენაც კი არ აქვს თუ ვინ არის ლუარსაბი. ის სტატიას უყურებს არა ქართული, არამედ თავისი ქვეყნის რეალობიდან გამომდინარე.

მოცემული მაგალითებიდან კიდევ ერთხელ ნათლად ჩანს ლინგვოკულტუ-როლოგიური ფაქტორის უდაოდ დიდი მნიშვნელობა საგაზეთო სათაურის სწორად აღქმა-დეკოდირებისათვის. აქამდე შესაძლოა არც კი გვქონდა წარმოდგენა თუ რა სირთულეები შეიძლება მოყვეს სათაურის გაგებას ლინგვო-კულტურული ფონური ცოდნის გარეშე და რამდენად დიდი დატვირთვა აქვს ლინგვოკულტურულ ასპექტს.

ამდენად, წარმოდგენილი საგაზეთო სათაურების ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ საგაზეთო სათაურის სწორად გასაგებად საკმარისი არ არის მხოლოდ მისი ლინგვისტური თავისებურებების ცოდნა, არამედ საჭიროა მის გარშემო არსებული სოციო-კულტურული რეალობის ფლობა და აქედან გამომდინარე სათაურის, როგორც ლინგვოკულტურული ფენომენის ჭრილში განხილვა.

ლიტერატურა:

1. ლეზანიძე გ. (1998); ანთროპოცენტრიზმი და კომუნიკაციური ლიგვისტიკა, თბილისი.
2. ნებიერაძე გ. (1999); ენათმეცნიერების შესავალი, თბილისი.
3. ჩიქობავა ა. (1951); Вопросы языкознания. Стенограмма публ. лекции. Тбилиси, 1951.
4. სელერსი ლ. (1990) L. Sellers, Journalism, New York.
5. ზვეგინცვი ვ. ა. (1996) Мысли о лингвистике. М.: Изд. МГУ.
6. კუბრიაკოვა ე.ს. (1997). Части речи с когнитивной точки зрения //Изв.РАН.Серия литературы и языка. – М.
7. ლოტმანი ი.მ. (2004). «Коммуникативные аспекты современной лингвистики». Волгоград,
8. გაზეთები: *Telegraph, The Australian, SHM, კვირის პალიტრა*

Lingvo-Cultural phenomenon and Newspaper Headline

Mikadze Manana

Akaki Tsereteli state University, Kutaisi

Abstract

Presented Paper is dedicated to highlighting Newspaper Headline, i.e. Forerunning text, being one of the contracted forms of Newspaper Information which has an informative function. Newspaper headline aims at informing the reader in short about the coming Article. English Newspaper Headline is distinguished by its laconic nature, beyond which much more information is hidden.

It includes a system of interrelated lexical, phraseological and grammatical means serving the purpose of informing, instructing and, in addition, of entertaining the reader. Not all the printed matter found in newspapers comes under newspaper style. The modern newspaper carries material of an extremely diverse character. On the pages of a newspaper one finds not only news and comments on it, but also stories and poems, crossword puzzles, and the like. Since these serve the purpose of entertaining the reader, they cannot be considered specimens of newspaper style. Nor can articles in special fields, such as science and technology, art, literature, etc. be classed as belonging to newspaper style.

Since the primary function of a newspaper is to impart information, only printed matter serving this purpose comes under newspaper language variety. Mostly Newspaper Headlines include such Linguistic Units which require relevant Lingvo-Cultural Knowledge of the reader to correctly perceive and understand it. Thus, Newspaper Headline can be analyzed not only as a pure linguistic as well as Cultural Phenomenon which must be viewed from Lingvo-Cultural point.

Presented Paper once again emphasized the utmost importance of Lingvo-Cultural Factor for correct perception and decoding of Newspaper Headline. Hence it is necessary to have relevant socio-cultural knowledge around the subject provided within the Headline as well as analyzing from Lingvo-Cultural viewpoint.

Key words: Newspaper Headline, Lingvo-Cultura, phenomenon, reader

ტოპონიმ „გულების“ გენეზისისათვის

მიქელაძე ნაილე

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ნიკო ბერძენიშვილის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, ბათუმი
საქართველოს საპატრიარქოს ხიჭაურის წმიდა ტბელ აბუსელისძის
სასწავლო უნივერსიტეტი

DOI: <https://doi.org/10.52340/idw.2023.35>

აბსტრაქტი. ნაშრომში განხილულია საარქივო ფონდში დაცული მასალები, წლების განმავლობაში მკვლევართა და ჩვენ მიერ მოპოვებულ მასალათა ანალიზი. საუბარია აჭარაში შემონახულ ლეგენდებზე, რომელთა გენეზისი ტოპონიმთა ეტიმოლოგიაში ცხადდება. ყურადსაღებია ის ფაქტიც, რომ მსგავსი შინაარსის ეტიმოლოგიურ კვლევებს, ხშირად ფოლკლორულ-ისტორიულ წყაროსთან მივყავართ.

აჭარის ზეპირსიტყვიერ მასალებსა თუ გადმოცემებში დაცულია აჭარაში არსებული ისტორიული სინამდვილე, ოსმალის აგრესიასთან ბრძოლის ეპიზოდები და თავისებურებანი, რაც ამ კუთხეში საუკუნეების განმავლობაში ხდებოდა. ჩვენს საკვლევ თემას წარმოადგენს ერთი სოფლის ტოპონიმის „გულების“ გენეალოგია, რომლის ისტორია ერთ-ერთი ისტორიული თავფურცელია აჭარის ფოლკლორში.

ამრიგად, არსებულ და მოძიებულ მასალებზე დაყრდნობით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ სოფელში არსებულა საერო ან სასულიერო მცხოვრებთა სტრატეგიული ნაგებობა რომლის ნანგრევები ძირეულ ისტორიულ კვლევას ექვემდებარება.

აღნიშნული მასალა ნაკლებად შესწავლილია. ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ იქნება მისი გაცნობა მკვლევართათვის.

საკვანძო სიტყვები: ქედა, ტოპონიმები, ლეგენდა, ისტორია, გულები, ეტიმოლოგია, ფოლკლორი.

აჭარაში გავრცელებული თქმულებები, ლეგენდები საკვლევ თემატიკის ულევ წყაროს წარმოადგენს. აჭარა ოდითგანვე წარმოადგენდა მკვლევრებისთვის საინტერესო კვლევის ობიექტს. როგორც ცნობილია, აჭარის ისტორიით, მასთან დაკავშირებული ტოპონიმური, ონომასტიკური თუ ეთნოგრაფიული საკითხებით არაერთი მკვლევარი დაინტერესებულა. მართალია „ქრისტიანული რელიგიის ბრძოლა წარმართულ იდეოლოგიასთან და თურქთა სამასწლიანი ბატონობა გარკვეულწილად ამნელებს აჭარულ ფოლკლორში უძველესი შრეების გამოვლენას. მიუხედავად ამისა, ჩვენი ეროვნული ფოლკლორის არქაული ჟანრების მიხედვით მეტ-ნაკლებად საცნაური და ახლობელი ხდება ის სამყარო, რომელიც ასაზრდოებდა ჩვენი წინაპრების მსოფლმხედველობას. ეს არის სამყარო ქართული მითოლოგიური თუ საწესო რიტუალური თქმულება-გადმოცემებისა... ბიბლიური თქმულება-გადმოცემებისა და სხვათა“ (შიოშვილი, 2007). ამ კუთხეში შეგროვილი ფოლკლორული ნიმუშები, არქაული ელემენტები სახეცვლილი სახით გვხვდება, მაგრამ ამოსავალი ფესვები აჭარის ისტორიული სინამდვილე და სოციუმში შემონახული ხალხური ზეპირსიტყვიერებაა.

საქართველოს ეს კუთხე ჯერ კიდევ I საუკუნიდან ქრისტიანული იყო. საყოველთაოდაა ცნობილია, რომ ანდრია პირველწოდებულმა სწორედ აქ იქადაგა პირველად ქრისტიანობა და პირველი ეკლესიაც აქ აშენდა (*ქართლის ცხოვრება, 1955*), თუმცა ოსმალის შემოსვლის შემდგომ, აქაურები იძულებულნი გამხდარან ქრისტიანობიდან თანდათან მაჰმადიანობაზე გადასულიყვნენ.

აჭარის ფოლკლორულ მასალებში ვხდებით, როგორც ქრისტიანობის დროინდელ ტოპონიმებს, ასევე წარმართულ-მუსლიმური რელიგიის ელემენტებს. კუთხის ავბედითი ისტორიის მიუხედავად, ამ კუთხეში მრავლადაა ქრისტიანობის დროინდელი ტოპონიმები, რომლებიც ინარჩუნებენ ზოგადქართული სიტყვიერებისათვის დამახასიათებელ ისტორიებს. უხუცესთა ცნობიერებაში დღესაცაა შემონახული ზოგიერთი გეოგრაფიული ადგილის სახელწოდების წარმომავლობის ისტორია.

XIX საუკუნის მეორე ნახევრის ბოლოს აჭარაში მოგზაურობისას დიმიტრი ბაქრაძის მირ ჩაწერილ თქმულებათაგან ყურადღებას იპყრობს შემდეგი ჩანაწერი, სადაც ავტორი აღნიშნავდა, რომ მას სოფლებიდან განსაკუთრებით აინტერესებდა ქედა, რომელსაც ვახუშტიმ ჯერ კიდევ XVIII საუკუნის დამდეგს განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია. ბაქრაძის აზრით, ქედის ტერიტორიაზე, რაიმე არქეოლოგიური ძეგლი უნდა ყოფილიყო, რითაც დაინტერესებული იყო ვახუშტი, რომელიც აღნიშნავდა: „არს მცირე ქალაქის მზგავსი დაბა.. მოსახლენი არიან ვაჭარნი” (ბაგრატიონი ვ, 1941). ამ მოგზაურობისას ისტორიკოსს, მართლაც გამოუკითხავს იქაურ მცხოვრებთათვის, მაგრამ მისთვის საინტერესო ინფორმაცია ვერ მოუპოვებია. დიმიტრი ბაქრაძე, მთქმელის დიასამიძის სიტყვებს იმოწმებს, რომ არც ზენდიდსა და არც გულებში არავითარი ძველი ეკლესიის ნანგრევები არ ეგულებათ; ასეთი ეკლესიები, თამარ მეფის აშენებული იყო ზემო სოფლებში – დონდოლოში, ჭვანასა და შვახევში. ისინი დიდი ხანია დაშალეს და თუ მათი ნაშთი დარჩენილა, უკვე ტყითაა დაფარული. ხოლო ერთ სოფელში – სხალთაში შემორჩა ეკლესია”... მთქმელი საუბრისას უარყოფს იქ ეკლესიის ნანგრევების არსებობას, თუმცა საუბარში იხსენებს თუ როგორ ლოცულობდნენ იმ ნანგრევებში და დასასრულს დასძენს „ახლა აჭარლებს მხოლოდ შიშსა ჰგვრით ის ადგილები, სადაც ოდესღაც ეკლესიები იდგა, და ბევრი მათგანი ვერ ბედავს მიუახლოვდეს მათ. ძველი ქრისტიანული ჩვეულებიდან ზოგი რამ დღემდე შემორჩენილა. მაგალითად კვერცხის შეღებვა სააღდგომოდ. აქ ახსოვთ წინანდელი ქრისტიანული დღესასწაულებიც. თუმცა ეს ყველაფერი დავიწყებას ეძლევა”. (ბაქრაძე, 1987). დამპყრობლურმა რეჟიმმა აჭარაში ყველაფერი აკრძალა, განსაკუთრებით რელიგიურ თემაზე საუბარი, რაც ნაწილობრივ დღევანდელ ყოფით ცხოვრებაშიც კი აისახება (რელიგიურ თემებზე საუბარს მთქმელი შეგნებულად თავს არიდებს).

აჭარის სოფლების აღწერისას მკვლევარი ზ. ჭიჭინაძე სოფელ გულებთან დაკავშირებით წერს, რომ სოფელში ეკლესია არსებობდა. ავტორი დასძენს: „გულები მშვენიერი სოფელია და ისეთ ალაგას სძევს, რომ მინამ კაცი შიგ სოფელში არ მივა, მინამ ვერას დაინახავს. ეს სახელი „გულები” მასზედ კანონიერია. ამ სოფლის ზემოთ ქელასყურის მთის ახლოს ძველად ეკლესია ყოფილა, სადაც იქაურები დადიოდნენ სალოცავად... აქ მოსახლეობენ დიასამიძენი...” (ჭიჭინაძე ზ, 1913).

ქედის რაიონის სოფელ გულების მთაზე ნანგრევების არსებობას ადასტურებს ხელნაწერთა ფონდში მოძიებული მასალებიც, რომლის მიხედვით „ქედის რაიონში შედის სოფელი „გულები”. იგი მდინარე აჭარისწყლის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს, მას რაიონის ცენტრალური ადგილი უჭირავს და შესაძლებელია მათი სახელწოდება აქედან წარმოსდგება. აღნიშნულ სოფელში ამჟამად 25-30 კომლამდე მცხოვრებია, მაგრამ ძველად უფრო ხშირი დასახლება უნდა ყოფილიყო. ამას ადასტურებს სოფლის ზემოთ ნასახლარები: ხოლო ამის ზევით მაღალ კლდეზე ნანგრევები.” აღნიშნული ნანგრევები, როგორც აღნიშნავენ, მდებარეობს სოფლიდან ხუთი კილომეტრის მოშორებით, ეს ნაშთები დაუთვალაიერებიათ ექსპედიციის წევრებს და შესაბამისი დასკვნებიც გამოუტანიათ: ეს ნაგებობა, როგორც აჭარის უმეტესი ნაგებობებისა მაღალ და სხვებისთვის მიუვალ ადგილს წარმოადგენდა. „დათვალაიერების შემდეგ ნაგებობის კედლები გარდა სახურავისა უვნებლადაა დაცული. სიგრძე 6 მეტრი, სიგანე 5 მეტრი, სიმაღლე 3 მეტრი და 20 სანტიმეტრი. კედელში დასავლეთით დატანებული აქვს ორი ფანჯარა. სამხრეთ-აღმოსავლეთით აქვს შესასვლელი კარები. სიმაღლით 1 მეტრი. კარების ჩარჩოზე მთელ სიგრძეზე ქვის ლოდი ძევს. რომელსაც 2 ადგილზე აქვს ამოკვეთილი და მათ შორის

ღარი, სადაც ხის კარები იქნებოდა ჩასმული. შესასვლელი კარები 1 მეტრი და ცოტა მეტის სიმაღლეზე არის, რაც მოწმობს იმას რომ აქ ასასვლელი კიბე იქნებოდა, მაგრამ დროთა ვითარებაში დანგრეულა... „ადგილობრივი მცხოვრებლები აღნიშნულს „ეკლესიის“ ნანგრევს უწოდებს. ეს გადმოცემა საეჭვოა, რადგან მას ეკლესიის ფორმა არ აქვს, ის უფრო წააგავს 16X18 კვადრატული მეტრის მოცულობის ოთახს, სადაც ალბათ ცხოვრობდნენ აქაური განდგომილი ღვთის მორწმუნე ბერები. რომ ეს შენობა რაღაც მნიშვნელოვან ობიექტს წარმოადგენდა. მას ადასტურებს, მის ქვემოთ სერის დაქანებაზე ხუთას მეტრში ხელოვნურად გაკეთებული წყარო. წყაროს, რომელიც ქვებით გაკეთებულ აუზიდან გამოდის უბრალოდ ტყეში არ გააკეთებდნენ. მაშინ როდესაც ამ შენობაში უხდებოდათ ცხოვრება. ისინი ღვთის ან საერო მსახური იქნებოდა, მათთვის წყალი აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა”(რუსიძე, 1952).

ამ კუთხეში ხალხური სიტყვიერების შეგროვებისას, ხშირად გვესმის წმინდა ადგილების სახელწოდებასთან დაკავშირებული ან კიდევ რელიგიური დაპირისპირების შედეგად წარმოშობილ ტოპონიმებთან არსებული თქმულებები, რომლებიც ერთხელ კიდევ ადასტურებს მნიშვნელოვანი ქრისტიანული კერების არსებობას აჭარაში. ვფიქრობ, ავტორის ეს მოსაზრება მეტად მნიშვნელოვანია, არა მარტო ფილოლოგებისთვის, არამედ ისტორიკოსებისთვისაც. ასევე გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამ სოფლის, გულების ზემოთ არსებულ ტყეს, სადაც ეკლესიის ნაშთებია შემონახული ბეთლემი ჰქვია. ადგილი, სადაც ოსმალოს შემოსევების დროს მოსახლეობა თავს აფარებდა. თურქებს ემინოდათ ამ ტყეში შესვლა, რადგან იქ სასწაულები აღესრულებოდა ჩვენი ხალხის საკეთილდღეოდ. კერძოდ, თურქები იკარგებოდნენ, გზა ერეოდათ ნისლის გამო და ამიტომაც ამ ტყეს არ ეკარებოდნენ. რაც შეეხება სოფლის სახელწოდებას, ხალხი მასზე საარაკო ამბებს ჰყვება.

ამ სოფლის სახელწოდებასთან დაკავშირებით საინტერესო მასალა მოგვაწოდა ამ სოფლის მკვიდრმა რომან დიასამიძემ. კერძოდ: „ამ სოფლის თავზე (სოფელ გულების) მიუვალ ადგილას, ჩაქვისა და გულების საზღვარზე მდგარა ეკლესია. ხალხი ამ ეკლესიას თამარის ეკლესიას ეძახდა. აქაურებს ეს ეკლესია სპეციალურად მიუვალ ადგილას აუშენებიათ. ამ ეკლესიას პირველ სართულად „სარდაფი,, ჰქონია, რომელიც აქაურებს ჩამარხული მიწისაგან გაუნთავისუფლებიათ. ეს სარდაფი (მათი ვარაუდით) ძველ დროში მარანისა და საწყობის მოვალეობას ასრულებდა. წინაპრების გადმოცემის თანახმად, თურმე თამარ მეფე აქ დადიოდა და ღამითაც რჩებოდაო. ამ ეკლესიას ერთი მხრიდან ჰქონია მისასვლელი და ისიც გზასთან სამი მეტრით-ხრამით ყოფილა დაშორებული.

გადასასვლელი საშუალება – ხეებისაგან გაკეთებული ძელი ყოფილა. ამ ძელს თუ არ გადებდნენ(ერთი მხრიდან მეორე მხარეს) ეკლესიაში შესვლა შეუძლებელი იყო მიმსვლელთათვის, როცა ახლობელი მიდიოდა ხიდს (ძელს) გასდებდნენ, მერე კი ისევ შეინახავდნენ. ეკლესიის გადასასვლელთან გუშაგი ყარაულობდა, თუ ვინმე მტერი გამოჩნდებოდა სხვებსაც გააგებინებდა და მტერს მედგრად მოიგერიებდნენ. ერთხელაც ამ ეკლესიას თორმეტი შეირადებული კაცი დასხმია თავს. მათ სიწმინდეების ხელყოფა განუზრახავთ. ეკლესიის გუშაგს თორმეტივე კაცი მოუკლავს და სხვების დასამინებლად თორმეტივესთვის გული ამოუცლია და ჯვარზე წამოუცვამს, ეს ჯვარი კი ყველასათვის უჩვენებია. ამის შემდეგ ამ სოფელს „გულები” დარქმევია... (მიქელაძე ნ. პირადი არქივი, რვეული #1) ეს თქმულება საინტერესოა არა მარტო შინაარსით, არამედ რელიგიური და ისტორიული თვალთახედვითაც. მთქმელი რატომღაც 12 –კაცის (მტრის) რაოდენობაზე ამახვილებს ყურადღებას, რომელიც არცთუ მოძიებულ მასალაში არ ფიქსირდება. შესაძლოა ციფრი 12 ქრისტეს, 12 მოციქულთან ასოცირდებოდეს, რაც ნიშანდობლივია.

განსხვავებული შინაარსის გადმოცემაზე საუბრობს (გოგიტიძე გულიკო, 60 წლის, დაბადებული და მცხოვრებისოფ. გულებში). ძველად სოფელ გულების შესასვლელთან ცხოვრობდა ერთი კაცი, რომელიც სოფელს მტრის, მომხვედურისგან იცავდა. სოფელში სხვა ქვეყნის კაცი თუ მოინდომებდა შესვლას ან ცუდს ჩაიდენდა, ან მოინდომებდა ცუდის გაკეთებას, სოფლის გუშაგი მომხვედურს კლავდა, გულს უღებდა და ეკლესიაზე ჰკიდებდა, ამიტომაც ამ სოფლისთვის დაურქმევიათ „გულები”. ვფიქრობ, მოცემულ თქმულების

შინაარსი უფრო გვიანდელია, თუმცა სახელთა წარმოშობის ისტორია აქაც ადამიანთა ორგანოზე, გულზე აქცენტირდება.

ისტორიული თუ ხალხური წყაროებიდან, როგორც ცნობილია აჭარა იყო ქრისტიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფლაგმანი საქართველოსი. თურქებისთვის ჩვეულებრივი მოვლენა იყო დასჯა, მკვლელობა, ჩამოხრჩობა და სხვა დასჯის მეთოდები, რომელთაც ოსმალთა ბატონობისას სჩადიოდნენ. ზაქარია ჭიჭინაძის წიგნში ვკითხულობთ: „აჭარაში ყველაზე დიდი ბრძოლა დანდალოს ხალხმა გამოიარა. ამათ გმირობის საქმეები ყველასათვის საკვირველი და სამაგალითო ყოფილა. მთელი დანდალო მკაცრად დადგა ოსმალს წინააღმდეგ სჯულის გამოცვლის გამო, თვით დედაკაცებმაც კი აიღეს ხმალ-ხანჯალი ხელში და ოსმალს წინააღმდეგ გამოვიდნენ საბრძოლველად, ამათ გადაწყვიტეს, რომ ან მამა-პაპის სჯულზედ დავრჩეთ და ან უნდა გავწყდეთო, ჩვენი გათათრება არ შეიძლებაო” (ჭიჭინაძე, 1895). მართლაც, რჯულის დაცვა აქაურებს დიდი მსხვერპლის ფასად დასჯდომიათ, მაგრამ უკან მაინც არ დაუხევიათ. როგორც ვიცით მაშინ აჭარის მოსახლეობა მტრის წინაშე უძლური აღმოჩნდა. აჭარაში დღესაც არიან უხუცესები ვინც იხსენებენ სარწმუნოებისათვის თავდადებული ადამიანების ამბებს და დასასჯელ ადგილებსაც კი ასახელებენ, თუ უშუალოდ სად და როგორ ხდებოდა მათი დასჯა. ეს ის ადგილებია, სადაც მორწმუნე ადამიანებს (ე.ი. ვინც არ გამუსლიმანდებოდა) სჯიდნენ.

დღეს ჩვენდა საუბედუროდ, აჭარაში არიან ადამიანები, ვინც თავს არიდებენ ამ თემაზე საუბარს. ამიტომაც ამ კუთხის სიტყვიერებისათვის დამახასიათებელია თქმულების სხვადასხვა ვარიანტების არსებობა. აჭარაში სარწმუნოებაზე საუბარი ყველაზე მტკივნეულ საკითხს წარმოადგენს, რაც მის ისტორიასთანაა კავშირში. აი, რას წერდა ზ. ჭიჭინაძე მთქმელების ჩანაწერებიდან „ქრისტიანული წესების მოსასპობად ამათ (ოსმალთ) შემოიტანა კაცის თავის მოჭრა, კლდიდან გადაგდება, დარჩობა...” (ჭიჭინაძე, 1895) რასაც ავტორისეული ჩანაწერებიც კი აზუსტებს.

არსებული ისტორიული წყაროებიდან, თქმულებებიდან გამომდინარე, შესაძლოა ამ ტოპონიმის ეტიმოლოგია სინამდვილეს შეესაბამებოდეს. რა თქმა უნდა, ეს თქმულება, როგორც სხვა სიტყვიერების ნიმუშებიც ჰიპერბოლიზირებულია. აჭარის სიტყვიერების ისტორიიდან გამომდინარე, შესაძლებელია, ვივარაუდოთ, რომ ამ სახელის წარმოშობას, არსებულმა ისტორიამ დაუდო სათავე.

ამრიგად, აჭარაში შემონახული ტოპონიმები, ოდითგანვე საინტერესო საკვლევ თემას წარმოადგენდა. ისინი თემატურად ქართველი ერის ისტორიის, კულტურის, ტრადიციების მატარებელი იყო და ეხმიანებოდა ზოგადქართულ სიტყვიერებას.

ლიტერატურა:

1. ზაქარაძე დ, (1987). „არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში“. თბ.
2. ზაგრატიონი ვ, (1941). „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“. თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ;
3. რუსიძე შ, (1952). რუსიძე შ., „ნარკვევი აჭარისწყლის ხეობის ოზურგეთის ისტორიული ძეგლის შესახებ“.#135.ბხვ.
4. ქართლის ცხოვრება (1955). ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ხელნაწერის მიხედვით. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, სახელგამი, თბილისი.
5. შიოშვილი თ, (2007). „ხალხური სიტყვიერება“„სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები“.გ. მელიქიშვილი... ბათუმი.
6. ჭიჭინაძე ზ, (1913). მუსულმან-ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში. ტფილისი.
7. ჭიჭინაძე ზ, (1895). ზედა აჭარის გათათრება, გაზეთი „ივერია“, 22, 25 ივლისი.
8. ჭიჭინაძე ზ, (1895). დანდალოს გათათრება, გაზეთი „ივერია“, 19 აგვისტო.

For the Genesis of Toponym “Gulebi”

Mikeladze Naile

BSU Niko Berdzenishvili Institute
Georgian Patriarchate St. Tbel Abuserisdze University

Abstract

The paper discusses the materials kept in the archival fund, the analysis of the materials obtained by researchers and us over the years. We are talking about the legends preserved in Adjara, the genesis of which is revealed in the etymology of toponyms. The fact that etymological studies of similar content often lead to folklore-historical sources is also worth noting.

The historical reality of Adjara, the episodes of the struggle against the Ottoman aggression as well as the peculiarities that have existed in this part of Georgia for centuries are preserved in the legends and narrations of Adjara. Our research topic is the genealogy of one village, toponym "Gulebi", the history of which is one of the important historical chapters in the folklore of Adjara.

Thus, based on the existing and found materials, it can be assumed that in this village there is a strategic building of secular or religious residents, the ruins of which are subject to basic historical research.

This material is not studied properly. We think that it will be the subject of great interest for researchers to familiarize with it.

Key words: *Keda, toponym, legend, history, “Gulebi”, etymology, folklore*

ლურჯი ფერის სიმბოლიკისა და სტრუქტურისათვის გერმანულ ენაში

მოდებაჟე ცისანა

იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი

DOI: <https://doi.org/10.52340/idw.2023.36>

აბსტრაქტი. ფერებს ყველა კულტურაში განსხვავებული სიმბოლური დატვირთვა აქვს. ამ შემთხვევაში ჩვენი კვლევის მიზანია ლურჯი (blau) ფერის სემანტიკური ველების, სიმბოლიკის და სტრუქტურის დადგენა. Blaue ქართულად ორგვარად ითარგმნება: ლურჯი და ცისფერი. გერმანულ ენაში ცისფერი მხოლოდ კომპოზიტის სახით იხმარება არსებითი სახელის Himmel-ცა დამატებით - Himmelblau.

კვლევის ობიექტია: გერმანულენოვანი ლექსიკონები.

„blau-ლურჯი“ ინდო-გერმანული წარმოშობის სიტყვაა და ნიშნავს „მოციმციმეს“, „ბრწყინვალეს“.

ფერთა გამა ფართოდება ზედსართავი სახელების „hell-ღია“, „dunkel-მუქი“ დართვით: hellrot-ღია წითელი, dunkelrot-მუქი წითელი, hellblau-ღია ლურჯი, dunkelblau-მუქი ლურჯი, hellgelb-ღია ყვითელი, dunkelgelb-მუქი ყვითელი, hellgrün-ღია მწვანე, dunkelgrün-მუქი მწვანე. ფერების დაკონკრეტება ხდება ასევე შედარების კავშირის wie-როგორც დახმარებით: blau, wie das Meer sein-ზღვასავით ლურჯია.

ფრაზეოლოგიზმებში ფერები დაკავშირებულია სხვადასხვა სემანტიკულ ველებთან, ემოციებთან და თვისებებთან. ფერები მრავალი სიმბოლიკის მატარებელია. თითქმის ყველა ენაში, და მათ შორის გერმანულ ენაშიც, ლურჯი არის წყლის და ცის სიმბოლო. მიუხედავად იმისა, რომ ლურჯი ცივი ფერია, იგი მშვიდობის, მეგობრობის, სიმშვიდის, განტვირთვის, საიმედოობის ირეალური სამყაროს და სულის სიმბოლოს წარმოადგენს.

სტრუქტურის მხრივ ყველაზე ხშირად შეგვხვდა ორკომპონენტური კომპოზიტები (არსებითი სახელი+blau (ზედსართავი სახელი)):

Himmelblau (Himmel-ცა+blau-ლურჯი)-ცისფერი.

დაფიქსირდა ასევე სამკომპონენტური კომპოზიტები (არსებითი სახელი+არსებითი სახელი+blau (ზედსართავი სახელი)):

Marienmantelblau- (Marien-მარია+Mantel-პალტო+blau-ლურჯი)- მარიამის მოსასხამისფერი. ასევე შეგვხვდა ზედსართავი სახელი+ზედსართავი სახელი blau (ორკომპონენტური)

Ägyptischblau (Ägyptisch-ეგვიპტური+blau-ლურჯი) - ეგვიპტური ცისფერი.

ზედსართავი სახელი+არსებითი სახელი+blau (ზედსართავი სახელი) (სამკომპონენტური):

Blaubeerenblau- (blau-ლურჯი+Beeren-კენკრა+blau-ლურჯი)-მოცვისფერი

ფრაზეოლოგიზმებში ლურჯი გამოხატავს როგორც დადებით, ასევე უარყოფით და ნეიტრალურ ემოციებს.

ამრიგად, ლურჯი ფერი გერმანულ ენაში არის წყლის და ცის სიმბოლო. მიუხედავად იმისა, რომ ლურჯი ცივი ფერია, თითქმის ყველა ენაში და მათ შორის გერმანულ ენაშიც, იგი მშვიდობის, მეგობრობის, სიმშვიდის, განტვირთვის, საიმედოობის, ერთგულების, უსასრულოობის, ირეალური სამყაროს და სულის სიმბოლოს წარმოადგენს. ფრაზეოლოგიზმებში ლურჯი გამოხატავს როგორც დადებით, ასევე უარყოფით და ნეიტრალურ ემოციებს. მიუხედავად იმისა, რომ ლურჯი ფერი ხშირად უფრო დადებითი სიმბოლიკის მატარებელია, ჩვენს მიერ მოძიებული 51 ფრაზეოლოგიზმიდან მხოლოდ 13 აღმოჩნდა დადებითი კონოტაციის. უფრო მრავლად (27 ფრაზეოლოგიზმი) შეგვხვდა უარყოფითი კონოტაციით და 11 - ნეიტრალური კონოტაციით.

საკვანძო სიტყვები: ფერი, ლურჯი, სიმბოლიკა, სტრუქტურა, კონოტაცია, ფრაზეოლოგიზმი

ფერი ნებისმიერ კულტურაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს და მისი განუყოფელი ნაწილია. მათ სხვადასხვა კულტურაში განსხვავებული სიმბოლოური დატვირთვა აქვთ. ჩვენი კვლევის მიზანია ლურჯი (blau) ფერის სემანტიკური ველების, სიმბოლიკის და სტრუქტურის დადგენა. Blaue ქართულად ორგვარად ითარგმნება: ლურჯი და ცისფერი. გერმანულ ენაში ცისფერი მხოლოდ კომპოზიტის სახით იხმარება არსებითი სახელის Himmel-ცა დამატებით - Himmelblau. გერმანულ ენაში ყველა შემთხვევაში შეიძლება blau-ს ხმარება.

„blau-ლურჯი“ ინდო-გერმანული წარმოშობის სიტყვაა და ნიშნავს „მოციმციმეს“, „ბრწყინვალეს“.

ფერთა გამა ფართოვდება ზედსართავი სახელების „hell-ღია“, „dunkel-მუქი“ დართვით: hellrot-ღია წითელი, dunkelrot-მუქი წითელი, hellblau-ღია ლურჯი, dunkelblau-მუქი ლურჯი, hellgelb-ღია ყვითელი, dunkelgelb-მუქი ყვითელი, hellgrün-ღია მწვანე, dunkelgrün-მუქი მწვანე და ა.შ.

ფერთა გამის გამდიდრება ხდება ასევე შედარების კავშირის wie-როგორც დახმარებით:

blau, wie das Meer sein-ზღვასავით ლურჯია;

Blau (wie ein Veilchen) sein- (იასავით ლურჯი) ნასვამია;

Etwas hat eine blaue Farbe wie Himmel-ცასავით ლურჯი ფერი აქვს;

blaue wie der Vergissmeinnicht-კესანესავით ლურჯი ფერი აქვს;

Blau wie eine Kornblume- დიდილოსავით ლურჯი'

Blau wie Eis-ყინულივით ლურჯი.

ფერები პირდაპირ კავშირშია ქვეყნის კულტურასთან. ფრაზეოლოგიზმებში ფერები დაკავშირებულია სხვადასხვა სემანტიკულ ველებთან, ემოციებთან და თვისებებთან. ფერები მრავალი სიმბოლიკის მატარებელია. თითქმის ყველა ენაში, და მათ შორის გერმანულ ენაშიც, ლურჯი არის წყლის და ცის სიმბოლო. მიუხედავად იმისა, რომ ლურჯი ცივი ფერია, იგი მშვიდობის, მეგობრობის, სიმშვიდის, განტვირთვის, საიმედოობის, ერთგულების, უსასრულობის, ირეალური სამყაროს და სულის სიმბოლოს წარმოადგენს.

დედამიწას „ლურჯ პლანეტას“ ეძახიან, რადგან დედამიწის ორი მესამედი წყლითაა დაფარული. რუკებზე ოკეანეები, ზღვები, ტბები და მდინარეები ლურჯი ფერითაა გამოსახული.

ქრისტიანობაში ლურჯი ფერი დაკავშირებულია მარიამ ღვთისმშობლთან, რადგან ხშირად იგი ლურჯი კაბითაა გამოსახული, რაც სიმბოლიზდება მის ზეციურ კავშირთან.

გერმანულ ენაში არსებობს მრავალი სიტყვა, რომლიც სემანტიკურად ლურჯ ფერთან ასოცირდება:

ა) არსებითი სახელები: Auge-თვალი, Jeans-ჯინსი, Uniform-სპეცფორმა, Tinte-მელანი, Erde-დედამიწა, Meer-ზღვა, Nacht-ღამე, Himmel-ცა, Wasser-წყალი, Heidelbeere-მოცივი, Veilchen-ია, Unendlichkeit-უსასრულობა, Wasser-წყალი, Eis-ყინული, Kosmos-კოსმოსი, Luft-ჰაერი, Kristall-კრისტალი, Diamant-ბრილიანტი, Saphir-საფირი, Vergissmeinnicht-კესანე, Iris-ზამბახი.

ბ) ზმნები: schwimmen-ცურვა, tauchen-ყვინთვა, leuchten-ნათება, schimmern-მოციმციმე, blaumachen-გალურჯება, blauen-გალურჯება, malen-ხატვა.

გ) ზედსართავები: hell-ღია, ნათელი, dunkel-მუქი, ბნელი, blass-ფერმკრთალი, violett-ისფერი, kalt-ცივი, erfrischend-გამაგრილებელი

გერმანულ ენაში ხშირია ლურჯი ფერით ნაწარმოები კომპოზიტები:

სტრუქტურის მხრივ ყველაზე ხშირად შეგვხვდა ორკომპონენტის კომპოზიტები (არსებითი სახელი+blau (ზედსართავი სახელი)):

Himmelblau (Himmel-ცა+blau-ლურჯი)-ცისფერი;

Wasserblau (Wasser-წყალი+blau-ლურჯი) -წყლისფერი;

Jeansblau (Jeans-ჯინსი+blau-ლურჯი) - ჯინსისფერი ლურჯი;

Meeresblau (Meer-ზღვა+blau-ლურჯი) - ზღვასავით ლურჯი;

Tintenblau (Tinte-მელანი+blau-ლურჯი) - მელნისფერი;
Traubenblau (Trauben-ყურძენი+blau-ლურჯი) - ყურძნისფერი;
Zwetschgenblau (Zwetschgen-ქლიავი+blau-ლურჯი) - ქლიავისფერი;
Azurblau (Azur-ლაჟვარდი+blau-ლურჯი) - ლაჟვარდისფერი;
Kobaltblau (Kobalt-კობალტი+blau-ლურჯი) - კობალტი;
Türkisblau (Türkis-ფირუზი+blau-ლურჯი) - ფირუზისფერი;
Smaragdblau (Smarag-ზურმუხტი+blau-ლურჯი) - ზურმუხტისფერი;
Stahlblau (stahl-ფოლადი+blau-ლურჯი)-ფოლადისფერი ლურჯი;
Pfaunenblau- (Pfaunen-ფარშევანგი+blau- ლურჯი) ფარშევანგისფერი ლურჯი;
Pflaumenblau- (Pflaumen-ქლიავი+blau-ლურჯი)-ქლიავისფერი;
Taubenblau- Tauben-მტრედი+blau-ლურჯი-მტრედისფერი ლურჯი;
Fliederblau (flieder-იასამანი+blau-ლურჯი)-იასამნისფერი ლურჯი;
Lavandenblau (Lavanden-ლავანდა+blau-ლურჯი)- ლავანდისფერი;
Irisblau- (Iris-ზამბახი+blau-ლურჯი)-ზამბახისფერი.

დაფიქსირდა ასევე სამკომპონენტო კომპოზიციები (არსებითი სახელი+არსებითი სახელი+blau (ზედსართავი სახელი)):

Mariemantelblau- (Marien-მარია+Mantel-პალტო+blau-ლურჯი)- მარიამის მოსახამისფერი;

Gänseaugenblau- (Gänse-ბატები+Augen-თვალები+blau-ლურჯი)-ბატის თვალისფერი;

Glockenblumenblau- (Glocken-ზარები+Blumen-ყვავილები+blau-ლურჯი)-მაჩიტასავით ლურჯი;

Kornblumenblau- (Korn- მარცვლეული + Blumen - ვავილები + blau- ლურჯი)- დიდილოსავით ლურჯი;

Bergseeblau (Berg-მთა+See-ტბა+blau-ლურჯი)-მთის ტბისფერი.

ასევე შეგვხვდა ზედსართავი სახელებით ნაწარმოები ორკომპონენტო კომპოზიციები: (ზედსართავი სახელი+ზედსართავი სახელი blau)

Ägyptischblau (Ägyptisch-ეგვიპტური+blau-ლურჯი) - ეგვიპტური ცისფერი არის ლურჯი არაორგანული მინერალური პიგმენტი, რომელიც ძირითადად ადამიანის მიერ არის შექმნილი მისი იშვიათი ბუნებრივი წარმოშობის გამო.

ზედსართავი სახელი+არსებითი სახელი+blau (ზედსართავი სახელი) (სამკომპონენტო):

Blaubeerenblau- (blau-ლურჯი+Beeren-კენკრა+blau-ლურჯი)-მოცვისფერი

ფრაზეოლოგიზმებში ლურჯი გამოხატავს როგორც დადებით, ასევე უარყოფით და ნეიტრალურ ემოციებს:

ლურჯი ფერი გემანელისთვის ნიშნავს ჰარმონიას, კმაყოფილებას, სიმშვიდეს.

ლურჯი/ცისფერი დადებითი კონოტაციით ხშირად გამოიყენება ადამიანის სხეულის ნაწილებთან კავშირში, განსაკუთრებით თვალებთან. Blaue Augen - ლურჯი თვალები სულის სარკეა. რომანტიზმის ხანაში ლურჯი თვალები (blaue Augen) ქერა თმასთან ერთად სილამაზის სიმბოლო იყო.

Augen wie Vergissmeinnicht haben-კესანესფერი თვალების ქონა

Etwas nicht nur um jemandes schöner/blauer Augen willen tun-რაიმის არა მხოლოდ ვინმეს ლამაზი/ლურჯი/ცისფერი თვალების გამო გაკეთება ანუ რაიმეს გამორჩენის მიზნით გაკეთება.

Augen wie Brunnen haben-წყაროსავით/უძირო თვალების ქონა

ლურჯი/ცისფერი თვალები არის გულუბრყვილობის, უდანაშაულობის სიმბოლო. ზედსართავ სახელს blauäugig აქვს ორი მნიშვნელობა: ლურჯთვალა/ცისფერთვალა და გულუბრყვილო.

მეცხრამეტე საუკუნეში ლიტერატურასა და ხელოვნებაში Die blaue Blume - ლურჯი/ცისფერი ყვავილი გახდა სიყვარულისა და მონატრების სიმბოლო.

Blau-ლურჯი/ცისფერი არის არისტოკრატის სიმბოლო. აქედან გამომდინარე, არისტოკრატი ადამიანის დასახასიათებლად იყენებენ ცისფერ სისხლს: blaues Blut (in den Adern) haben-ცისფერი სისხლის (ძარღვებში) ქონა. ეს ფრაზეოლოგიზმი არის კარგი მაგალითი იმისა, რომ blau ყოველთვის ლურჯის მნიშვნელობით არ ითარგმნება, არამედ როგორც

ცისფერი. აღნიშნული ფრაზეოლოგიზმი დღემდე ნიშნავს კეთილშობილ, არისტოკრატიულ წარმომავლობას. იგი დაკავშირებულია ფაქტთან, რომ ვინაიდან არისტოკრატიული წარმოშობის ადამიანს ღია ფერის კანი აქვს, ვენაში სისხლი ცისფრად ჩანს. Blaublütig-ცისფერსისხლიანი ანუ არისტოკრატიული წარმოშობის.

Jemanden blauen Augen anblicken-(ვინმესთვის ლურჯი თვალებით შეხედვა) ვინმესთან მეგობრულად მოქცევა;

blaues Pferd-ლურჯა (ცხენი).

უარყოფით კონოტაციას გამოხატავს შემდეგი ფრაზეოლოგიზმები:

Jemandem grün und blau vor Augen werden-ვინმე შეძრწუნებულია;

Mit einem blauen Auge davonkommen-(ცუდი სიტუაციიდან ჩალურჯებული თვალით გამოსვლა) დიდი ზიანის გარეშე გამოსვლა რაიმე საქმიდან/ იოლად გადარჩენა

ლურჯი ფერი მეტაფორულად გამოხატავს სიცივეს, რადგან სიცივის დროს ადამიანს კანი ულურჯდება:

Vor Kälte blau werden-სიცივისაგან გალურჯება;

Die Lippen/Hände vor Kälte blau werden-სიცივისგან ტუჩების/ხელების გალურჯება. blaue Füße haben- ფეხების გალურჯება (სიცივისაგან).

ზოგჯერ ხდება ზედსართავი სახელი blau-ს გაარსებითება:

Das Blau vom Himmel -რაც მიუღწეველი;

Das Blaue vom Himmel herunterreden- უმნიშვნელო, მეორე ხარისხოვან თემაზე ლაპარაკი;

Ins Blaue hineinreden-უაზროდ ლაპარაკი;

Jemandem grün und blau schlagen/hauen-(ვინმეს მწვანედ და ლურჯად ცემა/ვინმეს დალურჯება) ვინმეს მაგრად ცემა;

Etwas nicht nur um jemandes schöner/blauer Augen willen tun-რაიმის არა მხოლოდ ვინმეს ლამაზი/ლურჯი/ცისფერი თვალების გამო გაკეთება ანუ რაიმეს გამორჩენის მიზნით გაკეთება.

ლურჯი ფერი შეიძლება იყოს ილუზიის და ტყუილის სიმბოლო:

Den blauen Mantel umhängen-(ლურჯი მოსასხამის ჩაცმევა) მოტყუება;

Jemandem das Blaue vom Himmel versprechen herunterlügen/lügen- შეუძლებლის შეპირება/ზღაპრების მოყოლა;

Blaue Schlosser bauen-(ცისფერი) ოცნების კოშკების აშენება;

Das Blaue vom Himmel herunterschwören-ტყუილის დასაბუთება/ცისა და მიწის დაფიცება;

Auf blauen Dunst vormachen-ისეთი რამის ძებნა, რაც არ არსებობს/ილუზიების ძიებაშია;

Auf blauen Dunst hin- ისეთი რამის ძებნა, რას არ არსებობს/ილუზიების ძიებაშია;

Blauen Dunst vormachen-ზღაპრების გავრცელება/თვალებში ნაცრის შეყრა/ვინმეს გასულელება;

Blaue Ente oder blaue Gans widerspiegeln-ლურჯი იხვის ან ლურჯი ბატის გამოსახვა;

Blauer Montag/einen blauen Montag machen-უქმი ორშაბათი/არაფრის კეთება/თავისუფალი დროის ქონა;

Sich grün und blau ärgern – (მწვანედ და ლურჯად გაბრაზება) ძალიან გაბრაზება;

Vom blauen Affen gebissen sein-(ლურჯი მაიმუნისგანაა დაკბენილი) გაგიჟებულია/ჭკვაზე არ არის;

Blau sein-(ლურჯია) მთვრალია. მაგალითად, Gestern war ich auf der Party total blau. (გუშინ წვეულებაზე სულ ლურჯი/ცისფერი ვიყავი) ძალიან მთვრალი ვიყავი;

Na so blau! – (რა ლურჯი ხარ!)- როგორ დამთვრალხარ!

Jemanden kocht das Blut in den Adern –ვიცავ ძალიან აღელვებულია, აღშფოთებულია;

Jemandem das Blaue vom Himmel herunterholen-ვინმესთვის ყველაფრის გაკეთება;

Einen Tag blau machen-დღის უზრუნველად გატარება;

Er hat ein Blau gemacht –გამოუმშვიდობებლად წასვლა;

Blau machen-/blauen Montag machen/einen Tag blau machen-სამუშაოზე/სკოლაში არ წასვლა/გაცდენა. მაგალითად, Maria macht heute blau-(მარია დღეს ლურჯდება) მარია დღეს არ მიდის სკოლაში.

Sein blaues Wunder erleben-საოცარი რამის ხილვა-დიდი არასასიამოვნო სიურპრიზის განცდა. ეს ფრაზეოლოგიზმი მომდინარეობს XVI საუკუნიდან და ღებვის ხელოვნებასთან კავშირშია. კერძოდ, ჟანგბადთან რეაქციაში შესვლის შემდეგ უცებ ქსოვილი სხვა შეფერილობას იღებდა.

ნეიტრალური კონოტაციის კარგი მაგალითია დროის მეტაფორა: Blaue Stunde –(ლურჯი საათი) გარიჟრაჟი

ზმნა blaukochen-(ლურჯად მოხარშვა) გასტრონომიაში თევზებთან კავშირში იხმარება.

Ins Blaue schießen- (სილურჯეში სროლა) -გაურკვევლობა/ვარაუდით, უმიზნოდ და წარუმატებლად მოქმედება;

Eine Fahrt ins Blaue/ins Blaue fahren - მგზავრობა/მოგზაურობა უცნობი მიზნით/ექსკურსიის უცნობ ადგილზე გაკეთება/ალალ ბედზე გასვლა;

Blaue Jungs- (ლურჯი ბიჭები) მეზღვაურები;

Blaue Bohnen- (ლურჯი ლობიოები) ტყვიები

საინტერესო ფრაზა blauer Mond- ლურჯი მთვარე. ეს ფრაზა ერთი თვის განმავლობაში მეორე სავსემთვარეობას ნიშნავს, რაც იშვიათ მოვლენად ითვლება.

Blauer Dunst- (ლურჯი ნისლი) სიგარეტის ბოლი

Blauen Dunst vormachen –(ლურჯი ნისლის გაკეთება) ვინმეს მოტყუება/ ვინმესთვის მცდარი წარმოდგენების/იმედების შექმნა. ეს ფრაზეოლოგიზმი მოდის ძველი დროიდან, როცა ჯადოქრები მყურებლისათვის აღქმაში ხელის შეშლისა და მოტყუების მიზნით იღეთების გაკეთების დროს ცისფერ კვამლს უშვებდნენ.

ამრიგად, ლურჯი ფერი გერმანულ ენაში არის წყლის და ცის სიმბოლო. მიუხედავად იმისა, რომ ლურჯი ცივი ფერია, თითქმის ყველა ენაში და მათ შორის გერმანულ ენაშიც, იგი მშვიდობის, მეგობრობის, სიმშვიდის, განტვირთვის, საიმედოობის, ერთგულების, უსასრულობის, ირეალური სამყაროს და სულის სიმბოლოს წარმოადგენს. ფრაზეოლოგიზმებში ლურჯი გამოხატავს როგორც დადებით, ასევე უარყოფით და ნეიტრალურ ემოციებს. მიუხედავად იმისა, რომ ლურჯი ფერი ხშირად უფრო დადებითი სიმბოლიკის მატარებელია, ჩვენს მიერ მოძიებული 51 ფრაზეოლოგიზმიდან მხოლოდ 13 აღმოჩნდა დადებითი კონოტაციის. უფრო მრავლად (27 ფრაზეოლოგიზმი) შეგვხვდა უარყოფითი კონოტაციით და 11 - ნეიტრალური კონოტაციით.

ბიბლიოგრაფია:

1. გამრეკელი, ნ., ჰოფმანი, თ., ქადაგიძე, ნ. (1973): გერმანულ-ქართულ-რუსული ფრაზეოლოგიური ლექსიკონი. თბილისი. განათლება.
2. ზექალაშვილი, რ. ქირია, ჯ. (2007): გერმანულ-ქართული ლექსიკონი. თბილისი: საქართველოს მაცნე.
3. Burger, H. (2010): Phraseologie: eine Einführung am Beispiel des Deutschen. 4., neu bearb. Aufl. Berlin:
4. Duden (Deutsches Universalwörterbuch) (5. überarbeitete Aufgabe) (2003). Dudenverlag. Mannheim. Leipzig. Wien. Zürich.
5. Duden (2008): Wörterbuch der deutschen Idiomatik. 3., überarbeitete und aktualisierte Aufl. Mannheim: Dudenverlag.
6. Fleischer, W.(1983): Deutsche Sprache (Kleine Enzyklopedie). VEB Bibliographisches Institut, Leipzig.
7. Fleischer, W.(1997): Phraseologie der deutschen Gegenwartssprache. 2. durchges. und ergänz. Aufl. Tübingen: Max Niemeyer.
8. Götz, D. u. a.:(2008) Drobwörterbuch Deutsch als Fremdsprache. Langenscheidt-Berlin- München -Wien -Zürich - New York.
9. Kempke, G. (1984):Handwörterbuch der deutschen Gegenwartssprache in zwei Bänden. Berlin: Akademie Verlag.
10. Schmidt, W. (1982): Deutsche Sprachkunde; Volk und Wissen, volkseigener Verlag. Berlin.
11. Paffen, K.A. (1980): Deutsch-russisches Satzlexikon. Leipzig: VEB Verlag Enzyklopädie.
12. Warig, G. (2000): Deutsches Wörterbuch. Bertelsmann Lrxikon Verlag. Gütersloh/ München

For the symbolism and structure of blue colour in German language

Modebadze Tsisana

Iakob Gogebashvili State University, Telavi

Abstract

Colors have a different symbolic meaning in every culture. In this case, the aim of our research is to determine the semantic fields, symbolism and structure of the blue color. Blau is translated into Georgian in two ways: blue and light blue. In German language, light blue is only used as a composite by adding the noun Himmel-sky - Himmelblau.

The object of the research is: German language dictionaries.

„blau- blue” is a word of Indo-Germanic origin and means “flashing”, “shining”. The color gamut is expanded by adding the adjectives “hell-light” “dunkel-dark”: hellblau-light blue, dunkelblau-dark blue. Colors are also specified with the help of the comparative conjunction wie-as: blau, wie das Meer sein-it is blue like the sea.

In phraseology, colors are associated with different semantic fields, emotions and properties. In German, blue is a symbol of water and sky. It is a symbol of the surreal world of peace, friendship, tranquility, relaxation, reliability and spirit.

In terms of structure, two-component composite **nouns + blau adjective** are most often encountered.

Himmelblau (Himmel-sky +blau-blue)-light blue.

Three-component composites were also observed(**noun+noun +blau (adjective)**).

Marienmantelblau- (Marien-Maria+Mantel-coat+blau-blue)- . The color of Mary's cloak.

We have also met **adjective+adjective blau (two-components)**

Ägyptischblau (Ägyptisch- Egyptian +blau-blue)_ Egyptian blue.

Adjective +noun+blau(adjective)(three-components): Blaubeerenblau- (blau-blue+Beeren-berry+blau-blue)-blueberrish.

Thus, in phraseology, blue expresses both positive and negative and neutral emotions. Although the color blue often carries more positive symbolism, 13 of the 51 phraseology we searched for had positive connotations. We encountered more (27 phraseology) with negative connotation and 11 - with neutral connotation.

Key words: color, blue, symbolism, structure, connotation, phraseology

Analysis of Informal Food-related Idioms and Idiomatic Expressions in the English Language

Nakhutsrishvili Ekaterine

Dzamiashvili Elene

Iakob Gogebashvili State University, Telavi

DOI: <https://doi.org/10.52340/idw.2023.37>**Abstract**

The article deals with the informal food-related idioms and idiomatic expressions which are used in the English Language. The study of idioms has quite a long history in linguistics. They constitute one important part of the language and culture. Knowing a language includes knowing idioms in that language. The use of idioms is so wide-spread that an understanding of these expressions is essential to successful communication, whether in listening, speaking, reading, or writing. As a large number of idioms are not intelligible to learners at first sight and their meanings typically cannot be guessed through the analysis of the components, teaching and learning idioms have always been a problematic and challenging part of language. It is recognized that idiomatic expressions add grace and exactness to the language. The paper also reveals that it is often difficult to translate an idiom from one language to another and attempts to translate them literally from the student's native tongue usually lead to roundabout expression of meaning and, more often, to confusion. For that reason, we should make their study an integral part of the teaching process. The given paper includes an overview of the definitions of idioms existing in different linguistic dictionaries and in the works of famous linguists and researchers. Moreover, it also emphasizes that idioms are fun to learn and they make the language much more colourful. The main goal of our study was to find out some informal food-related idioms being used in the English language and make their lexical-semantic analysis.

Keywords: *English language, food-related idioms, linguistics, semantic analysis, translation problems*

Introduction

When we put words together to create a meaning that is different from the meaning of the individual words, we create what we call an idiomatic expression or an idiom. Idioms come from spoken language and they are basically new vocabulary that we create using old vocabulary because we are too lazy or unimaginative to think of new words. Or perhaps because by using words that already exist, we can give a clue to the meaning. Idioms constitute one important part of the language and culture. Knowing a language includes knowing idioms in that language. Idiomatic expressions have long played an important role in the English language too. In fact, the use of idioms is so wide-spread that an understanding of these expressions is essential to successful communication, whether in listening, speaking, reading, or writing. As a large number of idioms are not intelligible to learners at first sight and their meanings typically cannot be guessed through the analysis of the components, teaching and learning idioms have always been a problematic and challenging part of language.

We may learn grammar and, with time, acquire adequate vocabulary, but without a working knowledge of a number of idioms our speech will remain awkward and ordinary.

It is recognized that idiomatic expressions add grace and exactness to the language. It is often difficult to translate an idiom from one language to another and attempts to translate them literally

from the student's native tongue usually lead to roundabout expression of meaning and, more often, to confusion. For that reason, we should make their study an integral part of the teaching process.

It should also be pointed out that English language is especially rich with idioms which require further study and analysis.

The given paper presents a brief overview of the idioms and idiomatic expressions, their definitions given by different famous scholars and analyzes food-related idioms in the English language.

Defining Idioms (Literature Review)

We have looked through several linguistic dictionary definitions of an idiom and as we have found out an idiom is a phrase that means something different from what the words themselves imply, and is meant to be interpreted figuratively. Idioms are expressions we hear in everyday speech or see in writing, though we may not realize them. Idioms may require some imagination to interpret their meaning. If we are trying to identify an idiom, there is no specific formula we can use to decide if an expression is an idiom or not. However, if we encounter an expression that cannot be understood through a literal interpretation of the words used, it is likely an idiom. Besides, it should be mentioned that idioms are not complete sentences, but rather phrases that express a specific idea.

In Longman Dictionary of Language Teaching and Applied Linguistics, an idiom is defined as "an expression which functions as a single unit and whose meaning cannot be worked out from its separate parts" (Richards & Schmidt, 2002, p.246). According to Oxford Advanced Learner's Dictionary (Hornby, A. S., 2004, p.643) "an idiom is a type of phrase or expression that has a meaning that can't be deciphered by defining the individual words". Appropriately, the word "idiom" is derived from the ancient Greek word "idioma," which means "peculiar phraseology." Fernando (1996) considers idioms as "conventionalized multi-word expressions often, but not always non-literal" (pg. 1). Gramley and Pátzold (2003) have added more to that definition and define idiom as a "complex lexical item which is longer than a word form but shorter than a sentence and which has a meaning that cannot be derived from the knowledge of its component parts" (pg. 55).

According to The Oxford Companion to the English Language (MacArthur, T., 1992), idiom is an expression, word, or phrase that has a figurative meaning that is comprehended in regard to a common use of that expression that is separate from the literal meaning or definition of the words of which it is made. It is speech form or an expression of a given language that cannot be understood from the individual meanings of its elements.

A more detailed definition is suggested by David Crystal in his Dictionary of Linguistics and Phonetics. According to Crystal (2008), an idiom is "A term used in grammar and lexicology to refer to a sequence of words which is semantically and often syntactically restricted, so that they function as a single unit".

Here are the definitions of idioms proposed by some other scholars as well: Thawabteh (2011) illustrated that idioms are one of the universal aspects of all languages; they are considered to be an intrinsic part of human communication. Further, they baffle beginner learners to a great extent. They may cause not only linguistic but also cultural and technical problems for non-native speakers; hence, these problems might affect communication negatively. Dixson (2003) stated that idioms are essential to successful communication, whether in listening, speaking, reading, or writing. According to Cowie, Mackin, & McCaig (1983), the accurate and appropriate use of idioms is a distinctive mark of native-level command of the language, and it is a reliable measure of the proficiency of foreign learners. It is a fact that ignoring idioms would cause a learner various problems. The authors added that foreign language learners must learn not only the grammatical structures and vocabulary of the target language but also the idioms to integrate into the culture of the target language.

Furthermore, Lundblom & Woods (2012) emphasized the importance of understanding idioms. They believe that idioms are clearly presented in academic settings; consequently, failure to comprehend idioms could affect academic performance, written composition, reading comprehension, and vocabulary, especially because the occurrence of idioms in classroom language

increases as students advance in age and grade. Several language researchers have common believe that a sound knowledge of idioms is required or English language proficiency and fluency, and a lack of such knowledge can cause significant misunderstanding (Liu, 2008; Shirazi & Talebinezhad, 2013; Wray, 1999, 2002). Thus, the more idioms one knows, the more native-like one's English will sound.

Usage of idioms

A speaker or writer often uses idioms to convey a message to someone else in a more creative way. They are thought as a type of spice that prevents our conversation or writing from being too bland. So,

idioms can be used to prevent [our writing](#) from appearing too dry or formal, but they can also be used to help the writer connect with the reader.

There is another type of idiomatic usage used by fluent English speakers, and it's called collocations, or a combination of words that have a specific meaning. That is why idioms are challenging for language learners because their meanings can't be deciphered from the meanings of the individual words. It's like giving someone a jigsaw puzzle containing pieces that look like one thing, only for the finished product to be something else entirely. But as we mentioned before, that's also true of people from different parts of the same country who speak the same language.

Because there are no steadfast rules for idioms, the only way for language learners to become familiar with them is to speak with native speakers and have them explained. Accordingly, by learning idioms, one learns about the culture of the community that speaks the language (Al-kadi, 2015).

Studying and analyzing informal food-related idioms

In the given paper we present informal food idioms we have collected, studied and analyzed. Materials for the analysis were found and taken from the English Language Dictionaries of Idioms, they are as follows: 1) Essential Idioms in English by Robert J. Dixson (2003); 2) The American Heritage Dictionary of Idioms by Cristine Ammer (2013); 3) Oxford Dictionary of Idioms by Judith Siefring (2004); 4) McGraw-Hill's Dictionary of American Idioms and Phrasal Verbs. (2005).

After looking into the idioms, it became quite obvious that there exist a great number of idioms and idiomatic expressions related to the concept of 'food' in the English language. Here are some of them along with their meanings.

1. *a couch potato*

Meaning: a person who spends a lot of time sitting and watching TV

Example: 'Can I watch telly, Mum?' 'No, you've watched enough television today. You'll turn

into a **couch potato**.

2. *be paid peanuts*

Meaning: to receive very little money

Example: She loves her job, but she's **paid peanuts**.

3. *in a nutshell*

Meaning: expressed clearly and in few words

Example: I'll tell you all about my holiday later, but **in a nutshell**, it was enjoyable but not fantastic.

4. *be out to lunch*

Meaning: behaving strangely

Example: As an artist, he's very talented, but as a person, he's totally **out to lunch**.

5. *spill the beans*

Meaning: give away a secret

Example: The team has sacked their manager, but neither side will **spill the beans** about what happened.

6. *go pear-shaped*

Meaning: to go badly wrong (of a plan)

Example: His plan to sell his house and move to France has **gone pear-shaped**.

7. ***be full of beans***

Meaning: be full of energy and enthusiasm

Example: The kids **are full of beans**. They've just played tennis and now they want to play football.

8. ***butter somebody up***

Meaning: say nice things so that someone will help you or give you something

Example: If you want to borrow his car, you'll have to **butter him up first!**

9. ***pie in the sky***

Meaning: something which someone talks about that is very unlikely to happen

Example: Our plan to buy a holiday home in Positano turned out to be **pie in the sky**.

10. ***have a lot on one's plate***

Meaning: be very busy, with a lot of things to do and think about

Example: Julie **has got a lot on her plate** at the moment, what with her school exams and the tennis team.

11. ***apple of one's eye***

Meaning: Special favorite, beloved person or thing

Example: The youngest son was the **apple of his father's eye**.

12. ***go bananas***

Meaning: to act crazy,

Example: When it comes to animal rights, some people **go bananas**.

13. ***egg on***

Meaning: to incite, urge ahead, provoke

Example: Seemingly quiet, Margo actually **eggs on** Donald to quarrel with his staff.

14. ***piece of cake***

Meaning: Something easily accomplished

Example: I had no trouble finding your house — **a piece of cake**.

15. ***cool as a cucumber***

Meaning: Calm and composed, self-possessed

Example: Despite the mishap Margaret was **cool as a cucumber**.

16. ***be meat and drink to***

Meaning: be a source of great pleasure or encouragement to.

Example: the elements of the Jack The Ripper story **are meat and drink** to film-makers.

17. ***burn the midnight oil***

Meaning: Stay up late working or studying

Example: The semester is almost over and we're all **burning the midnight oil** before exams.

18. ***stew in one's own juice***

Meaning: Suffer the consequences of one's actions

Example: He's run into debt again, but this time we're leaving him to **stew in his own juice**.

19. ***meat and potatoes***

Meaning: The fundamental part or parts of something

Example: This paragraph is the **meat and potatoes** of the contract.

20. ***salad days***

Meaning: The time of youth, innocence, and inexperience

Example: Back in our salad days we went anywhere at night, never thinking about whether it was safe or not.

Conclusion

The study has shown that only few numbers of idioms with the concept of "food" found in the English language are easy to guess because of the words that make them, but mostly they have some hidden meaning that we cannot guess without using the dictionary. Idioms are usually unique to a language so it is important that we do not try to translate an idiom into our native language or

we will get confused. We consider that learning idiomatic expressions is important when learning English because they are a common and natural way that native speakers communicate, but also useful in helping us to sound more fluent and natural when speaking or writing in English. Using them correctly can also help us to convey our message more effectively, packing a lot of meaning into a few words. Furthermore, idiomatic expressions are often used in informal settings such as conversations with friends, and they can help us to connect with native speakers and understand the culture better. Learning idiomatic expressions is therefore an essential aspect of mastering English language proficiency and fluency. Besides, idioms are fun to learn and they make the language much more colourful.

References:

1. Al-Kadi, A. (2015). Towards idiomatic competence of Yemeni EFL undergraduates. *Journal of Language Teaching and Research*, 6(3), 513-523. <https://doi.org/10.17507/jltr.0603.06>;
2. Ammer, Ch. (2013). *The American Heritage Dictionary of Idioms*, Boston: Houghton Mifflin Harcourt;
3. Cowie, A., Mackin, R., & McCaig, I. (1983). *Oxford dictionary of current idiomatic English: Phrase, clause and sentence idioms (2)*. Oxford: Oxford University Press;
4. Crystal, D. (2008). *A Dictionary of Linguistics and Phonetics*. Blackwell Publishing;
5. Dixon, R. (2003). *Essential idioms in English*. New Jersey: Prentice Hall Regents;
6. Fernando, C. (1996). *Idioms and idiomaticity*. Oxford: Oxford University Press;
7. Gramley, S., & Pätzold, M. (2003). *A survey of modern English*. New York & London: Routledge;
8. Hornby A. S. (2004). *Oxford Advanced Learner’s Dictionary*. New York: Oxford University Press;
9. Liu, D. (2008). *Idioms. Descriptions, comprehension, Acquisition, and Pedagogy*. New York: Routledge.
10. Lundblom, E., & Woods, J. (2012). Working in classroom: Improving idiom comprehension through class wide peer tutoring. *Communication Disorder Quarterly*, 33, 202-219. <https://doi.org/10.1177/1525740111404927>;
11. MacArthur, T. (1992). *The Oxford Companion to the English Language*. Oxford: Oxford University Press;
12. Richards, J. C. & Schmidt, R.(2002). *Longman Dictionary of Language Teaching and Applied Linguistics*. Pearson Education Limited;
13. Siefring, J. (ed.). (2004). *The Oxford Dictionary of Idioms*. (2 nd edition). Oxford University Press;
14. Spears, R. A. (2005). *McGraw-Hill’s Dictionary of American Idioms and Phrasal Verbs*. McGraw-Hill;
15. Thawabteh, M. (2011). Linguistic, cultural, and technical problems in English-Arabic subtitling. *Journal of Translation and Interpretation*, 5(1), 24-44.

საკვებთან დაკავშირებული არაფორმალური იდიომებისა და იდიომატური გამოთქმების ანალიზი ინგლისურ ენაში

**ნახურციშვილი ეკატერინე
დამიაშვილი ელენე**

იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი

აბსტრაქტი

სტატია ეხება ინგლისურ ენაში არსებულ საკვებთან დაკავშირებულ არაფორმალურ იდიომებსა და იდიომატურ გამოთქმებს. აღსანიშნავია, რომ იდიომების შესწავლას ენათმეცნიერებაში საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს. იდიომები ენისა და კულტურის ერთ მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენენ. ენის ცოდნა გულისხმობს ამ ენაში არსებული იდიომების ცოდნასაც. იდიომების გამოყენება იმდენად ფართოდ არის გავრცელებული, რომ ამ გამოთქმების გაგება აუცილებელია წარმატებული კომუნიკაციისთვის, იქნება ეს მოსმენა, საუბარი, კითხვა თუ წერა. ვინაიდან იდიომათა

დიდი რაოდენობა ერთი შეხედვით ბუნდოვანია და მათი მნიშვნელობის გამოცნობა, როგორც წესი, შეუძლებელია მხოლოდ მათი შემადგენელი კომპონენტების გაანალიზების გზით, იდიომების სწავლება და სწავლა ყოველთვის გარკვეულ სირთულეს წარმოადგენს. აღიარებულია, რომ იდიომატური გამოთქმები ენას სიზუსტეს მატებს. ნაშრომი ასევე ცხადყოფს, რომ ხშირად რთულია იდიომის ერთი ენიდან მეორეზე თარგმნა, რაც გარკვეულ დაბნეულობას იწვევს. სწორედ ამიტომ მათი შესწავლა სასწავლო პროცესის განუყოფელ ნაწილად უნდა ვაქციოთ. მოცემულ ნაშრომში, ასევე, წარმოდგენილია სხვადასხვა ლინგვისტურ ლექსიკონში და ცნობილი ლინგვისტებისა და მკვლევართა ნაშრომებში არსებულ იდიომათა მიმოხილვა. უფრო მეტიც, სტატია ასევე ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ იდიომების გაანალიზება საკმაოდ სახალისო პროცესია, რაც ენას უფრო მრავალფეროვანს ხდის. ჩვენი კვლევის მთავარი მიზანია არსებული საკვებთან დაკავშირებული არაფორმალური იდიომების მოძიება ინგლისურ ენაში და მათი ლექსიკურ-სემანტიკური ანალიზი.

საკვანძო სიტყვები: ინგლისური ენა, საკვებთან დაკავშირებული იდიომები, ლინგვისტიკა, სემანტიკური ანალიზი, თარგმნის სირთულები

ბაგრატ ბატონიშვილის სამზარეულოს წიგნი ლინგვოკულტუროლოგიური ასპექტით

ომიაძე სალომე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი

DOI: <https://doi.org/10.52340/idw.2023.38>

აბსტრაქტი. ნებისმიერ კულინარიულ წიგნს, როგორც კულტურის კვებითი კოდის დისკურსულ რეპრეზენტაციას, კულტუროლოგიური ინტერესი ახლავს. ჩვენ მიერ საანალიზოდ შერჩეული წიგნისადმი ამგვარ ინტერესს კიდევ უფრო ზრდის რამდენიმე ფაქტორი – იგი პირველი ქართულენოვანი კულინარიული წიგნია; 1818 წელს პეტერბურგში გამოცემული; ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის ძეს ეკუთვნის; მასში რუსულის გზით შემოტანილი, ქართულს მორგებული, ევროპული სამზარეულოა წარმოდგენილი. აღნიშნული, თავის მხრივ, ლინგვისტურ ინტერესსაც ბადებს ტექსტისადმი, რომლის ყველაზე თვალსაჩინო თავისებურება ორი ენის – დედნისეული ფრანგულისა და გამაშუალებელი რუსულის – გავლენებია ლექსიკურსა და ფონეტიკურ დონეებზე.

ნაშრომში განხილულია გასტრონომთა ლექსიკურ-სემანტიკური ჯგუფები, სხვადასხვა სახის ბარბარიზმები, მათი აგებულება (უცხო ფუძე + ქართული აფიქსი, უცხო ფუძე + უცხო აფიქსი + ქართული აფიქსი), ორთოგრაფია (სტაბილური და ლაბილური ფონემატური სტრუქტურები) და ფუნქციონირება მთელი ტექსტის ფარგლებში (ქართულ შესატყვისებთან მიმართება და დისტრიბუცია, საკუთარი აღსანიშნისათვის ერთადერთ აღმნიშვნელად გამოყენება).

მიუხედავად იმისა, რომ უცხო ენათა გავლენები აშკარაა, ბაგრატ ბატონიშვილს უცხოური საინსტრუქციო ტექსტები ზედმიწევნით არ გადმოუტანია. მან ისინი ქართულ სინამდვილეს მიუსადაგა, რასაც მის მიერ არაერთი უეკვივალენტო ლექსემის ხმარება მოწმობს.

ბატონიშვილის კულინარიული დისკურსის სრულმა აღწერამ მდიდარი და მნიშვნელოვანი მასალა მოგვცა როგორც მომავალი კვლევებისათვის, ასევე გასტროკულტურის ლექსიკონის შესადგენად.

საკვანძო სიტყვები: კულინარიული დისკურსი; გასტრონომები; ბარბარიზმები; გასტროკულტურის ლექსიკონი.

ნებისმიერ კულინარიულ წიგნს, როგორც კულტურის კვებითი კოდის დისკურსულ რეპრეზენტაციას, კულტუროლოგიური ინტერესი ახლავს. ჩვენ მიერ საანალიზოდ შერჩეული წიგნისადმი ამგვარ ინტერესს კიდევ უფრო ზრდის რამდენიმე ფაქტორი – იგი პირველი ქართულენოვანი კულინარიული წიგნია; 1818 წელს პეტერბურგში გამოცემული; ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის ძეს ეკუთვნის; მასში რუსულის გზით შემოტანილი, ქართულს მორგებული, ევროპული სამზარეულოა წარმოდგენილი: „წიგნი ესე საუკეთესოთა სანოვაგეთა, შაქარლამათა, და სასმელთა შესამზადებელი გამოვკრიბე და ვთარგმნე რუსულისა ენისაგან, ძეთა თვს მამულისა ჩემისათა ქართველთა, ვინადგან არა იყო ქართულსა ენასაზედა აქამდე. მე საქართველოს მეფის გიორგის ძემან, და მისის იმპერატორების დიდებულების სასახლის კამარლერმან, და ორდენტა წმიდის ანნას პირველის ხარისხისა, წმიდისა იოანე იერუსალიმელისა მეორისა ხარისხისა კავალერმან ბაგრატ. წელსა 1818 სანკტ პეტერბურღს“

(ბაგრატ ბატონიშვილი, 1818: თავფურცელი)³³.

სამშობლოსაგან მოშორებული ბაგრატ ბატონიშვილი ქართველთათვის ევროპული კულტურის გაცნობასა და მათი თვალსაწიერის გაფართოებას სხვა წიგნებითაც ცდილობდა. მისი ეკონომიკური და ვეტერინარული ხასიათის შრომებიდან გამორჩეულია „სამკურნალო ცხენთა და სხვათა პირუტყვთა“, რომელიც ასევე 1818 წელს გამოიცა პეტერბურგში და ასევე პირველი ქართული ბეჭდური წიგნია ვეტერინარიაში.

ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორები, თავის მხრივ, ლინგვისტურ ინტერესსაც ბადებს ტექსტისადმი, რომლის ყველაზე თვალსაჩინო თავისებურება ორი ენის – დედნისეული ფრანგულისა და გამაშუალელებელი რუსულის – გავლენებია ლექსიკურსა და ფონეტიკურ დონეებზე. ბატონიშვილი საკუთარ წიგნში რამდენიმეგან რეცეპტების წყაროდ „პოვორ კოროლევსკის“ / „პოვორ კოროლევას“ ასახელებს, ამ კონტექსტებში იგი მკითხველს ურჩევს კონკრეტული კერძის, სასმლისა თუ ტკბილეულის მოსამზადებელი საინსტრუქციო ტექსტი უფრო ვრცლად „რუსთა სამზუარეულოთა წიგნთა შინა“ იხილოს: „ამ შაქრების გარდახალისება მრავალ გუარად იხილე უვრცელესად, სამზუარეულოსა წიგნსა შინა, რომელიცა დაბეჭდილ არს წელსა, ჩვივ. რომელსა ჰქვიან პოვორ კოროლევსკი ტომსა, გ. და დ. შინა:“ (გვ. 59); „ამ შაქარლამათა გაკეთება უვრცელესად იხილე რუსთა სამზუარეულოთა წიგნთა შინა, რომელსა ჰქვიან პოვორ კოროლევსა, რომელიცა დაბეჭდილ არს ს. პეტერბურხს, წელსა ჩვივ. წიგნი ესე არს, დ. ტომი“ (გვ. 79).

„პოვორ კოროლევსკი“ / „პოვორ კოროლევას“ გახლავთ რუსეთში კულინარიული ლიტერატურის ერთ-ერთი ფუძემდებლის, ვ. ლიოვშინის მიერ ფრანგულიდან რუსულად თარგმნილი და 1816 წელს გამოცემული ვრცელსათაურიანი სამტომეული «Поварь королевский или Новая поварня, приспѣшная и кандитерская для всѣхъ состояній, съ показаніемъ сервированія стола отъ 20 до 60^{ти} и больше блюдъ и наставленіемъ для приуготовленія разныхъ снѣдей», რომელსაც მეოთხე დამატებით ტომად ერთვის მთარგმნელის მიერ შედგენილი «Руская поварня, или Наставленіе о приуготовленіи всякаго рода настоящихъ рускихъ кушаньевъ и о прокъ разныхъ припасовъ». არაერთი რეცეპტის ტექსტთა შედარება გვარწმუნებს, რომ ბაგრატ ბატონიშვილს სწორედ ამ წიგნით უნდა ეხელმძღვანელა. აქვე ვიტყვით იმას, რომ ჩვენ მიერ მოძიებული აღნიშნული ოთხტომეული (3 + 1) მოსკოვში, ს. სელივანოვსკის ტიპოგრაფიაშია დასტამბული და არა „ს. პეტერბურხს“, პეტერბურგში გამოცემულ წიგნს ჩვენ ვერ მივაკვლიეთ, თუმცა დაბეჯითებით იმის თქმა, რომ ამგვარი გამოცემა არ არსებობს და ბატონიშვილმა წიგნის გამოცემის ადგილი შეცდომით დაიმოწმა, არ შეგვიძლია. დასახელებული წიგნი ერთადერთი წყარო რომ არ ყოფილა ბაგრატ ბატონიშვილისათვის, ეს მისსავე სხვა შენიშვნებში ჩანს: „(*) უვრცელესი მძებვების გაკეთება იხილე, რუსთა სამზუარეულოთა წერილთაშინა, რომელიცა დაბეჭდილ არს წიგნი ესე, წელსა ჩვივ. ს. პეტერბურხსა ერთი ტომია დიდი“ (გვ. 150).

უცხოურ წყაროებზე დაყრდნობით შექმნილ კულინარიულ წიგნში ყველაზე დიდ ყურადღებას, ბუნებრივია, გასტრონომები და მათი ქართულად გადმოცემა იქცევს როგორც კულტუროლოგიური, ასევე ლინგვისტური თვალსაზრისით. აღსანიშნავია, რომ ბატონიშვილს უცხო სიტყვათა ხსენებისასა უმეტეს შემთხვევაში ქართული შესატყვისებიც³⁴ იქვე მოჰყავს ან უცნობი გასტრონომებით აღნიშნულ ცნებათა აღწერას რეცეპტების სათაურებშივე ცდილობს: „სუპი ანუ წვნიანი, სხვადასხუანი“ (გვ. 1), „სოუსები ანუ ჩიხირთმანი სხვა და სხვა გვარნი:“ (გვ. 30); „პივისა, ანუ ლუდის გაკეთებისათვის“ (გვ. 132); „(კრემსი) ესე იგი რძე, ანუ სქელი ნაღბის რძე აქაფებული მრავალ გუარათ საუკეთესო“ (გვ. 83); „ბოლიმანჟი, ესე იგი რძე მოხარშული მრავალ რიგად და შეყენებული ცივათა საუცხოვო“ (გვ. 90); „წვნით თევზისა მოხარშუა, რომელსა ჰქვიან (უხა)“ (გვ. 98); „და გაკეთებაცა რატაფიათა (ესე იგი) ხილთა წვენთა და არაყთაგან ერთათ შემდგართა“ (გვ. 117); „(მარმელადი) ესე იგი დღლუდ მოხარშული ხილი“ (გვ. 77) და მისთ. უკანასკნელ მაგალითში დადასტურებული „დღლუდ“ (იმავე რეცეპტში

³³ მომდევნო დამოწმებებში მხოლოდ გვერდებს მივუთითებთ საანალიზო წიგნისას.

³⁴ „ქართულ შესატყვისებში“ იმ ოდინდელ ნასესხობებსაც ვგულისხმობთ, რომელთა არაქართულობას ვერავინ ვეღარ შეიგრძნობს, გარდა მეცნიერ-ეტიმოლოგებისა.

მარმელადის ნაცვლად ასევე ნახმარია „გადღლებული ხილი“) ბატონიშვილის აღმოსავლურ დიალექტურ კუთვნილებას ცხადყოფს. „დღლები“ კახურ დიალექტში თხელი ტალახის, გაჩვილებული ლაფის ან ჩვილი ცომის აღმნიშვნელია. ქართლ-კახური დიალექტისათვის დამახასიათებელი სხვა სიტყვაფორმების დასახელებაც შეიძლება, ესენია: **ინთილა** (კუჭის აშლა, მუცლის ტკივილი); **ზაყილო** (ნორჩი ხე, უმეტესად კაკლისა); **დანარჩომი** (დანარჩენი); **ამთენი** (ამდენი), **წყნარა** (წყნარად), **კარგა** (კარგად) და მისთ.

უცხო ენათაგან მომდინარე გასტრონიმების ქართულ დაწერილობას რაც შეეხება, აღნიშნულ ერთეულებს ნორმატიულობის თვალსაზრისით ვერ შევაფასებთ თუნდაც იმიტომ, რომ ტრანსლიტერაციის გამოყენების პირველი შემთხვევა, რომელიც საბიბლიოთეკო საჭიროებამ წარმოშვა, XIX საუკუნის დამლევეს უკავშირდება. ამდენად, ჩვენ მხოლოდ ის შეგვიძლია, რომ თითოეული მათგანი რუსულ წყაროში დადასტურებულ ფორმას შევადაროთ. უცხოურ გასტრონიმთა უმრავლესობა მთელ ტექსტში ფონეტიკურ სტაბილურობას გვიჩვენებს, ზოგი კი ნაირგვარი დაწერილობით გვხვდება: **სუპი** (< супь), **ბორჰსჩი** (< борщ), **ლაპშა** (< лапша), **ფიროგი** (< пирогъ), **სტუდინი** (< студень), **ზაფლი** (< вафли; ყველა რუსულ რეცეპტში მხოლოდ მრავლობითის ფორმით გვხვდება), **კრემსი** (< кремь, „კრემსის“ ს თანხმოვანი შეიძლება გაჩენილი იყოს კრემის რეცეპტთა სათაურებში დადასტურებული с (съ) წინდებულის გავლენით: «кремь съ малиною», «кремь съ миндалемь», «кремь съ фисташками» და მისთ.); **ჰსჩი / სჩი** (< ши), **ბისკვითი / ბისკვიტი** (< бисквиты; რუსულ წყაროში ყველგან მრავლობითის ფორმით დასტურდება, ქართულში უპირატესია ფონეტიკური ვარიანტი „ბისკვითი“), **რატაფია / რათაფია** (< ратафия, ამ შემთხვევაში უპირატესი „რატაფიაა“), **ბოლმანჯეი / ბოლი-მანჯეი / ბელი-მანჯეი / ბელიმანჯეი** (< бланманже) და სხვ. იმ დროისათვის ტრანსლიტერაციასთან დაკავშირებული რეკომენდაციების არარსებობას ჩვენს საანალიზო ტექსტში გეოგრაფიული სახელი „სანკტ-პეტერბურგი“ მოწმობს, რომელიც რამდენჯერმე გვხვდება სამი სხვადასხვა დაწერილობით: „სანკტ პეტერბურღს“ (თავფურც.), „ს. პ. ბურღს“ (მომდ. გვ.), „ს. პეტერბურღს“ (გვ. 79, 92, 98, 150).

ყველაზე ნაირგვარად – დაწერილობის ოთხი ვარიანტით – დადასტურდა ბარბარიზმი „ბუტილკა“: 1. „დაასხი ერთი ბუტილკა თეთრი ღვინო“ (გვ. 19); 2. „მოიღე და აადულე ერთი ბუტილიკა წყალი“; 3. „თითო ბუტილიკას ზედ დაასხი თითო რუნკა მაგარი ოტკა“; 4. „და მერე ჩაასხი ბოჩონკაში, ანუ პუტილიკებში“ (გვ. 133). ბატონიშვილის წიგნში ბარბარიზმები იშვიათი რომ არ არის, მოყვანილი წინადადებებიდანაც ჩანს: „ბუტილკა“, „რუნკა“, „ოტკა“, „ბოჩონკა“. მათი გამოყენების შემთხვევები სამ ჯგუფად შეიძლება დავყოთ: 1. მთელ ტექსტში ბარბარიზმი ერთადერთი აღმნიშვნელია თავისი აღსანიშნისა; 2. მიკროკონტექსტში ბარბარიზმი ქართული შესატყვისის გვერდით არის წარმოდგენილი; 3. ბარბარიზმის ქართული შესატყვისი მასთან ახლოს არა, მაგრამ წიგნის რომელიმე მონაკვეთში იძებნება. პირველი ჯგუფის მაგალითებია: „ხრენი“ (< хрѣнъ), „სტუდინი“ (< студень), „ტეტერი“ (< тетеревь), „კვასი“ (< квасъ) და სხვ., რომელთა ქართული შესატყვისები – პირშუმხა, ლაბა, როჭო, ბურახი – წიგნში ნახსენები არ არის. მეორე ჯგუფის მაგალითებია: ა) უშუალო მეზობლობაში – „დადეგ ბლუდზედა, ანუ სინზედა“ (გვ. 88), „შიგ აურივე ორი სტოლის კოვზი გორჩიცა (ესე იგი მდოგვი)“ (გვ. 52), „ბისკვითი ფისტაშკისა, ანუ ფუსტულისა“ (გვ. 74); ბ) დისტანციურ მეზობლობაში ანუ ერთი რეცეპტის ფარგლებში – „შეწვი ინდოური ქათამი ... ჩაყარე ამაში ის ზემო ხსენებული ინდეიკა შემწუარი“ (გვ. 49-50); „ანისულის ოტკა ასე გამოიხდება ... ესე იქმნება საუკეთესო არაყი“ (გვ. 131). მესამე ჯგუფის მაგალითია კერძის მნიშვნელობით „ბლუდისა“ და „საჭმლის“ გამოყენება 88-ე და 115-ე გვერდებზე: „ესე იქმნება საუკეთესო ბლუდი“ – „ესე იქმნება საუკეთესო საჭმელი“. თუ ბარბარიზმების ხმარების აქამდე განხილული შემთხვევები უმთავრესად რუსული ტექსტის ზედმიწევნით გადმოტანას უკავშირდებოდა, იმავე მიზეზით ვერ აიხსნება უკანასკნელ მაგალითში კერძის მნიშვნელობით „ბლუდის“ გამოყენება იმიტომ, რომ თითოეული რეცეპტის ფინალური ფორმულა – ესე იქმნება საუკეთესო არაყი / საჭმელი / სოუსი / ფიროგი თუ სხვ. – შესაბამისი რეცეპტების რუსულ წყაროებში არ დასტურდება.

ბაგრატ ბატონიშვილი იმგვარ ბარბარიზმებსაც მიმართავს, რომლებსაც არა მარტო ფუძე აქვთ უცხო სიტყვისა, არამედ უცხო აფიქსებიც შენარჩუნებული აქვთ: „ზირიშკი“, „შამპანსკი /

შამპანცი / შაპანსკის-ღვინო“, „ვითარცა უწყინან ფრანგუცთა“, „სოუსი რომელსა ჰქვიან, ბახიჩესკი“, აქაფებული-რძე ნუშითა რომელსა ჰქვიან (კრემს) **მინდალნი**“, „იმეხვების გაკეთება, **ბოლემცკური**“ და სხვ.

რუსიზმების გვერდით, ბუნებრივია, დასტურდება ფრანგული პირველწყაროდან მომდინარე გალიზმებიც, ერთ-ერთი მათგანია **„დრალანტი“**, რომელიც შემასქელებელ ინგრედიენტად გვევლინება ისეთი ცივი დესერტებისა, როგორცაა **ჟელე, კრემის** ზოგი სახეობა, **ბლანმანჟე** (ეს სამივე გასტრონომიც, თავის მხრივ, გალიზმია) და მისთ. კულინარიული თვალსაზრისით მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს, სწორედ ის რეცეპტები, რომლებშიც, ჟელატინის ფუნქციით წებოს მსგავსი ცხოველური და მცენარეული წარმოშობის სხვადასხვა საშუალებაა გამოყენებული. რუსული წყაროსაგან განსხვავებით, რომელშიც დრალანტი (< драгантъ) განმარტების გარეშეა მოცემული, ბაგრატ ბატონიშვილი ამგვარ დაზუსტებას გვთავაზობს: „... აურივე დანაყილი შაქარი ცოტაოდენი (და წებო დრალანტი) ე. ი. **წმინდა ბალის წებო** დანაყილი ცოტა“. (გვ. 85). სხვა მცენარეულ საშუალებათაგან რეცეპტებში გვხვდება როგორც „სახამებელი“, ასევე „ბრინჯი დანაყილი წმინდათ“, ცხოველური წარმოშობის ბუნებრივ შემასქელებელთაგან კი დასტურდება: „თევზის წებო“, „ხბოს ფეხები“, „ირმის რქა დაფხევილი“.

კრემის ნაირსახეობებთან ერთად, საინტერესოა ის მასალა, რომლითაც სხვადასხვა საჭმელ-სასმელი მზადდებოდა ორასზე მეტი წლის წინ. ბატონიშვილს საკუთარ წიგნში ფრანგულ-რუსული კერძები განურჩევლად არ გადმოუღია დედნებიდან. მისი რეცეპტები, გარდა იმისა, რომ მარტივია, ისეთ პროდუქტებს ეფუძნება, რომლებიც ქართველთათვისაც ნაცნობი და ხელმისაწვდომი იყო. აღნიშნულ გასტრონომიულ ერთეულებსა და მათი მონაწილეობით შექმნილ კონტექსტებს იმგვარად დავიმოწმებთ, რომ უფრო ნათელი წარმოდგენა შეიქმნას ავტორ-შემდგენლის კულინარიული დისკურსის ენობრივსა და იმდროინდელ გასტროკულტურულ თავისებურებებზე.

ხორცეულის მოსამზადებლად („საჭმლის შესამზადებლად“) გამოყენებულია ძროხის, ხბოს, ღორის, გოჭის, ცხურის, შიშაგის ცხვრის, ბატკნის, თხის, ირმის, მშვლის, ჯერნის (ქართლ-კახურში მშველი და ჯერანი (= ჯეირანი) გავრცელებული ფორმებია), კურდღლის ჯორცი / ხორცი; **მფრინველთაგან / მფრინველთაგან**: ქათამი, ყვერული, ვარია, ინდოური ქათამი / ინდოური / ინდეიკა (ყურადღებას იპყრობს რეცეპტის სათაური „**ინდოურის** ქათამისა და **საზოგადო** ქათამისა გაკეთება სხვა და სხვა გუარად“, რომელიც იმ ვითარებას მოწმობს, როდესაც მოზრდილი ფრინველი ქათამისებრთა ოჯახისა სახელდებული იყო შესიტყვებით „ინდოური ქათამი“ და მსაზღვრელი სახელი „ინდოური“ (> ინდაური) გასუბსტანტივებას იწყებდა. ამ ფრინველის საქართველოში გავრცელების ამბავი ბაგრატ ბატონიშვილის მამის სახელს უკავშირდება, რასაც ი. გოგებაშვილი გადმოგვცემს მოზრდილთათვის განკუთვნილ შემეცნებით ტექსტში „ინდაური“)³⁵, იხვი, ბატი, ტეტერი (< тетеревъ, როჭო), ხოხობი, კაკაბი, მწყერი, ღაღა.

მიუხედავად იმისა, რომ ბაგრატ ბატონიშვილი **თევზის მომზადების** არაერთ რეცეპტს გვთავაზობს და მის წიგნში ცალკე თავიც კი გვხვდება სათაურით „თევზების შემზადება მრავალ-რიგად სამარხოდ“ (გვ. 98), თევზის სახეობათაგან მხოლოდ ზუთხსა და ორაგულს ასახელებს, სხვა შემთხვევებში არჩევანი თავისუფალია: „მოიღე თევზი ორაგული, ანუ ზუთხი, ანუ სხვა ახალი თევზი“ / „მოიღე თევზი რომელიც გენებოს ახალი“. ასევეა **სოკოს** რეცეპტებშიც – სოკოს სახეობებთან დაკავშირებით არაფერია ნათქვამი. მითითებები შემდეგით შემოიფარგლება: „მოიღე ახალი სოკო“, „მოიღე გამხმარი სოკო“, გარკვეული მინიშნების

³⁵ „მეთვრამეტე საუკუნის დამლევს საქართველოს უკანასკნელს მეფეს გიორგი მეცამეტეს მიაღწია ორი წყვილი დედალ-მამალი ინდაური ერთმა რუსის სალდათმა, რომელიც რუსეთიდან მოსულს ჯარში ერია. რუსის ჯარისკაცებმა ძლიერ უქეს მეფეს ინდაურის ხორცი; მაგრამ მან არ ინება ინდაურების დაკვლა და უკანვე დაუბრუნა. ეს ორი წყვილი ინდაური მაინც ქართველებმა ჩაიგდეს ხელში: არ დაკლეს და კვერცხები დაადებინეს, ამრავლეს ინდაურის ჯიში და გაავრცელეს მთელს საქართველოში“ (გოგებაშვილი, 1982: 63).

შემცველად უნდა მივიჩნიოთ ერთადერთი რეცეპტის სათაური: „სოკო თეთრი შემზადებული კიტრითა“ (გვ. 106).

ინგრედიენტებად გამოყენებული **მცენარეული საკვები პროდუქტების** ჩამოთვლას **ბოსტნეულით** დავიწყებთ: სტაფილო, კომბოსტო, ჭარხალი, თაღამი, მიწის ვაშლა (/ მიწივაშლა), ხახვი (პირველივე გვერდის სქოლიოში ვკითხულობთ: „ციბული პატარა ხახვის მჰსგავსი არის, ამას ჰქვან იმერულათ ჭლაკვი:“), ნიორი, სალათა. არაერთი კერძის რეცეპტში წამყვანია **პარკოსანი კულტურები და მხალეული**, სახელდობრ: ლობიო (/ მწვანე ლობიო), ბარდა, ოსპი, მუხუდო, ცერცვი, არჯაკელი, ისპანახი, სატაცური, დანდური, მჟაუნა, თითმავალა (იგივე ჯიჯლაყა) და სხვ.

მართალია, ბატონიშვილი ხშირად არ აკონკრეტებს, თუ რომელი **მწვანილით (მწუანლით / მწუანილით)** უნდა შეზავდეს ესა თუ ის კერძი, მაგრამ ზოგჯერ კონკრეტულ მითითებებსაც იძლევა, რომლებშიც დასახელებულია: ქინძი, ოხრახუში, ნიახური, ქონდარი, კამა, პიტნა. რაც შეეხება სხვა სანელებლებს, რომლებსაც ბატონიშვილი „სანელს“ („სუნელს“) უწოდებს, ისინი დიდი მრავალფეროვნებით ხასიათდება და ფართოდ არის წარმოდგენილი: პილპილი, ჯავზი, ზირა, ილი, კოჭა, მიხაკი, დარიჩინი. კერძებისა თუ სასმელების რეცეპტებში ასევე მონაწილეობს: მდოგვი, კოწახური, დაფნის ფოთოლი, ზეთის ხილი, კაპარი, შინდის ჩურჩა, ვარდის ფურცელი, იის ყვავილის ძირი, ვაზის რქა, ვაზის ფოთოლი. აბზინდა ბალახი, ანისული და ბადიანი გამოყენებულია „პივისა, ანუ ლუდისა გასაკეთებლად“ და „საუკეთესო ოტკათა გამოსახდელად“.

ნაჭუჭიანებიდან რეცეპტებში ფიგურირებს ნიგოზი, ნუში, ტყის თხილი, „ფისტაშკა“ / ფისტა / ფუსტული, წიფლისებრთა ბუდიანი ნაყოფი წაბლი. ორ რეცეპტში ბატონიშვილი, დედნისაგან განსხვავებით, წაბლისა და ტყის თხილის ალტერნანტად წიფლის ნაყოფს გვთავაზობს. იგი არ ახსენებს „წიწიბოს“, წიფლის ნაყოფს წიფელს უწოდებს: „ბისკვიტი ტყის-თხილისა, ანუ წიფლისა“ (გვ. 72). მოყვანილ სათაურში, კრებულის მთელ ტექსტსა და საზოგადოდ XIX საუკუნის ქართულში კავშირი „ანუ“, მაიგივებელთან ერთად, მაგალკეველ ფუნქციასაც ითავსებს. ხშირად კონტექსტის გავრცობაა საჭირო „ანუს“ მნიშვნელობის დასადგენად. დამოწმებულ სათაურში ტყის თხილი და წიფელი რომ მართლაც ალტერნანტებია, ამას რეცეპტის პირველივე წინადადება ცხადყოფს: „მოიღე ამათი რომელიც გენებოს, **იდ. მისხალი**“. აქვე ვიტყვი, რომ ორთოგრაფიულ რეფორმამდე დაწერილ ჩვენს საანალიზო წიგნში ინგრედიენტთა წონა თუ რაოდენობა უპირატესად ასოებით არის გამოსახული, თუმცა რიცხვითი მნიშვნელობების ციფრებით აღნიშვნის შემთხვევებიც გვხვდება და სიტყვიერი დაწერილობისაც: „ჩაყარე ამაში სტაფილო **რვა** დაჭრილი, **ათი** ხახვი, **სამი** კბილი მიხაკი“. მაგალითად, წიგნის თავების რიგითობის აღსანიშნავად ორი ტიპის ჩანაწერი გვერდიგვერდ არის წარმოდგენილი: „თავი **9. თ**“, „თავი **14 იდ**“, „თავი **18 იწ**“ და მისთ. თარიღის ორგვარი დაწერილობა პარალელურად დასტურდება წიგნის გამოცემასთან დაკავშირებულ ცნობაშიც, რომელსაც, კულტურული ღირებულების გამო, სრულად დავიმოწმებთ: „ხოლო წიგნი ესე იქმნა განხილულ საჯელმწიფოსა კოლეგიასა შინა უცხო მხრისათა მმსახურებელისა ნადვორნის სოვეტნიკისა და კავალერისასა გოდერძი ფირალოვის მიერ და დაიბეჭდა ზედა მხედველობითა, საქართველოს აზნაურის გიორგის ელიოხოვისათა ს. პ. ბურლს სტანბასა შინა იოსებ იოანესოვისასა წელსა **1818** თვესა აპრილსა **12 იბ**:“.

მიუხედავად იმისა, რომ უცხო ენათა გავლენები აშკარაა, ისიც უნდა ითქვას, რომ ბაგრატ ბატონიშვილს უცხოური საინსტრუქციო ტექსტები ზედმიწევნით არ გადმოუტანია და ისინი ქართულ სინამდვილეს მიუსადაგა: „დასდევ კეცზედა და ჩადგი **თონეში** როდესაც პური ცხვება“ (გვ. 14); „გადმოღების დროს აურივე ცოტა მჟავე ნაღები, ანუ **დომხალი**, ესე იქმნება საუკეთესო ჰსჩი“ (გვ. 9); „მწნილი ასე შეინახება, კარგს გარეცხილს კასრში, ანუ **ქვევრში** უნდა ჩააწყო მწუანე კიტრი“ (გვ. 151) და მისთ. ტექსტის გადმოქართულების მაგალითად გამოდგება -ვით თანდებულიანი მსგავსებითი შედარებები, რომლებშიც გასტრონომები ეტალონური მნიშვნელობით მონაწილეობს: „შაქარი ანუ თაფლი აადუღე რომ **ალვანახსავით** შეიქნას“, „მოიღე თეთრი ფქვილი, მოზილე ყვითლის კვერცხის გულში, და გაათხელე **ლავაშსავით** თხლათ“, „ჩააწყე იმ ცომში და გააკეთე **კუპატივითა**“ და სხვ. (ომიაძე, 2023: 30-31).

კლასიფიცირებული ლექსიკური მასალის სრულად წარმოდგენა, ცხადია, რეგლამენტირებული ფორმატის ფარგლებში ვერ ხერხდება. საკვების იმ ჯგუფებთან ერთად, რომლებიც ამჟამად ვერ განვიხილეთ (მაგალითად, მარცვლეული, რძის ნაწარმი, ცხიმი, ხილი და სხვ.), კულტუროლოგიური თვალსაზრისით ასევე დიდ ინტერესს იწვევს საწყაო და კერძის მომზადების პროცესში გამოყენებული სხვა ჭურჭელი. ბატონიშვილის კულინარიული დისკურსის სრულმა აღწერამ არაერთი თემა თუ კერძო საკითხი გამოკვეთა მომავალი კვლევებისათვის. გაანალიზებული მონაცემები, თავის მხრივ, სათანადო მასალად გვესახება როგორც გასტროკულტურის, ასევე თარგმნითი დარგობრივი ლექსიკონებისათვის.

1818 წელს გამოცემული ამგვარი ქართულენოვანი კულინარიული წიგნის მნიშვნელობა ვიწროდარგობრივ ჩარჩოებს დიდად სცილდება და ზოგადკულტურულ ღირებულებას იძენს. აღნიშნულის დასტურია რამდენიმე წლის წინ განხორციელებული პროექტი, რომლის ფარგლებშიც 80-ზე მეტმა კერძმა ამ წიგნიდან თანამედროვე ხასიათი შეიძინა და ბაგრატ ბატონიშვილისადმი მიძღვნილ ახალ სამზარეულოს წიგნში გადაინაცვლა. მაღალ პროფესიონალიზმთან ერთად, არცერთ მკითხველს შეუმჩნეველი არ დარჩება ის დიდი სიყვარული, რომლითაც პროექტის თითოეულ მონაწილეს უმუშავია. კულინარიული ნაწარმის ისე მართლად წარმოდგენა ფოტოზე, რომ კერძის ტემპერატურაც იგრძნო, მწვანილის სურნელიც და მის დასაგემოვნებლად კოვზისაკენ გაგეჟცეს ხელი, საუკეთესო შედეგზე მეტია. მით უფრო, რომ ძველებური ვერცხლის კოვზიცა და ჩიტებიანი ლურჯი სუფრაც, რომელზედაც ეს კოვზი დევს, ასევე ფოტოგრაფიულია. ამგვარი მუშაობისათვის წიგნის შესავალში მისივე ავტორი ვ. ბაბუნაშვილი მრავალრიცხოვანი ჯგუფის წევრებს სახელდებით, ცალ-ცალკე უხდის მადლობას. განსაკუთრებულია ბატონიშვილისადმი გამოთქმული მადლიერება: „მადლობა ბაგრატ ბატონიშვილს, რომ მისთვის უმძიმეს დროს ბოლომდე არ გაითქვიფა უცხო გარემოში და შეინარჩუნა სამშობლოს მიმართ ნამდვილი გრძობა“ (ბაბუნაშვილი, 2017: 13). ეს ექსპრესიული შეფასება სავსებით ესადაგება ზემოთ წარმოდგენილ სამეცნიერო დასკვნებს, რომლებიც ბაგრატ ბატონიშვილის წიგნის ლინგვოკულტუროლოგიური კვლევის შედეგად მივიღეთ.

ლიტერატურა:

1. ბაბუნაშვილი, ვ. (2017). ბაგრატ ბატონიშვილის სამზარეულოს წიგნი 1818 (წიგნი ეძღვნება ბაგრატ ბატონიშვილს). თბილისი: ქარჩხაძის გამომცემლობა.
2. ბაგრატ ბატონიშვილი (1818). წიგნი შესამზადებელი სანოვაგეთა მზარეულთაგან. სანკტ პეტერბურლი: იოსებ იოანესოვის სტამბა.
3. გოგებაშვილი, ი. (1982). საგანძური. წიგნი I: 62-63, თბილისი: განათლება.
4. ომიადე, ს. (2023). შედარების კოგნიტიური მექანიზმი და ენობრივი საშუალებები ბაგრატ ბატონიშვილის კულინარიულ დისკურსში. თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის სამეცნიერო კონფერენციის (კონფერენცია მიემდვნა პროფ. ი. მელიქიშვილის დაბადების მე-80 წლისთავს) თეზისები, 29-33, თბილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა.

Prince Bagrat's Cookery Book from the Linguoculturological Perspective

Omiadze Salome

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Tbilisi

Abstract

Any culinary book, as a discourse representation of the food-related code of culture, contains significant culturological information. The interest to the book under analysis is enhanced due to several factors – this is the first Georgian culinary book, published in St. Petersburg in 1818. The

book is written by the son of the last King of Kartli and Kakheti. The book describes European dishes introduced in Georgia via Russia and adjusted to the Georgian reality. In its turn, the above-mentioned arouses a linguistic interest with regard to the text, the most striking peculiarities of which are the influences of two languages – the original French and the intermediary Russian. These influences are present on the lexical and phonetical levels.

The paper analyzes the lexical-semantic groups of gastronyms, various barbarisms, their structure (foreign root + Georgian affix, foreign root + foreign affix + Georgian affix), orthography (stable and unstable phonemic structures) and functioning throughout the entire text (relation with the Georgian correlates, distribution and usage as a sole signifier for the proper signified).

Despite the obvious foreign influence, we can argue that Prince Bagrat did not make a literal translation of the foreign instructive texts. He adjusted them to Georgian reality. This can be proved by the usage of numerous lexemes which have no foreign equivalents.

Analysis of Prince Bagrat's culinary discourse has yielded ample and diverse material for further research as well as for the compilation of the Dictionary of Gastronomic Culture.

Key words: *Culinary discourse; Gastronyms; Barbarisms; Dictionary of Gastronomic Culture*

**ტოპონიმთა სუფიქსური წარმოების რამდენიმე შემთხვევა
კლარჯეთიდან**

ფაღავა მამია

ბარამიძე მათა

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი

DOI: <https://doi.org/10.52340/idw.2023.39>

აბსტრაქტი. გამოკვლევაში განვიხილავთ **-ის//ის(ი), -იშ, -ევ, -ხ, -ფხე//ფხ** სუფიქსებით ნაწარმოებ გეოგრაფიულ სახელებს ისტორიულ კლარჯეთში, რომლის გავრცელების ძირითადი არეალია ჭოროხის ხეობა; კლარჯეთის უმეტესი ნაწილი თურქეთის რესპუბლიკაში, ართვინის ილის (გუბერნიის) ბორჩხის, მურღულისა და არტანუჯის რაიონებშია, ნაწილი კიდეც – საქართველოში – მირვეთი, ქვემო მარადიდი და კირნათი (აჭარის არ, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი).

თურქეთის კლარჯეთის ერთი ნაწილი მექართულეა, მეორე – მეთურქულე. თურქეთის კლარჯეთში ქართული ისმის ბორჩხისა და მურღულის რაიონებში.

კვლევაში გათვალისწინებულია მთლიანი კლარჯეთის (როგორც მეთურქულე, ისე მექართულე) მასალები.

ჩვენ მიერ ჩაწერილი და ისტორიულ თუ სხვა წყაროებში დადასტურებული გეოგრაფიული სახელების კვლევის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი:

– **-ის//ის(ი), -იშ, -ევ, -ხ, -ფხე//ფხ** სუფიქსებით ნაწარმოები სახელები ძველი ფენაა ქართულ გეოგრაფიულ ნომენკლატურაში;

– **-იშ** სუფიქსი კოლხური კვალია ჭოროხის ხეობაში;

– მნიშვნელოვანია, რომ კლარჯეთის ტოპონიმიაში გამოჩნდა **-ფხე//ფხ** სუფიქსი, რომელიც დასავლურ ქართულ ენობრივ სივრცეში აწარმოებს ქალის წარმომავლობას (უფრო - ოჯახურ კუთვნილებას) და არა გვარს.

– კლარჯეთის ტოპონიმიაში **-ევ** სუფიქსიანი წარმოება საგრძნობლად აფართოებს „ევ კილოს“ გავრცელების არეალს;

– **-ევ** სუფიქსი **-ებ** (ასევე კოლხური **-ეფ**) სუფიქსის ბადალია. ისინი სხვადასხვა დიალექტურ წრეს უნდა მიეკუთვნებოდნენ.

განხილული გეოგრაფიული სახელები გვიჩვენებს, რომ კლარჯეთის ტოპონიმის უდიდესი ნაწილი ქართულია, რაც უტყუარი დასტურია იმისა, რომ კლარჯეთი ისტორიული ქართული მიწაა, ხოლო კლარჯეები მისი აბორიგენი მოსახლეობა. სხვა კულტურათა ნაკვალევი კლარჯეთის მიწაზე კლარჯეთს სხვა ხალხთან თანაცხოვრების ასახვაა და არა კლარჯეთს მიწის სხვა ხალხის კუთვნილების. კლარჯეთის ტოპონიმის შეკრება და ანალიზი მნიშვნელოვანია ლინგვისტიკის, ისტორიული გეოგრაფიის, კულტურათა დიალოგის და სხვა თვალსაზრისით.

საკვანძო სიტყვები: ტოპონიმია, სუფიქსი, კვალი, კულტურათა დიალოგი

კლარჯეთის ტოპონიმიაში ჭარბობს გეოგრაფიულ სახელთა სუფიქსური წარმოება. კლარჯეთის გავრცელების ძირითადი არეალია ჭოროხის ხეობა; კლარჯეთის უმეტესი ნაწილი თურქეთის რესპუბლიკაში, ართვინის ილის (გუბერნიის) ბორჩხის, მურღულისა და არტანუჯის რაიონებშია, ნაწილი კიდეც – საქართველოში – მირვეთი, ქვემო მარადიდი და კირნათი (აჭარის არ, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი).

თურქეთის კლარჯეთის ერთი ნაწილი მექართულეა, მეორე – მეთურქულე. თურქეთის კლარჯეთში ქართული ისმის ბორჩხისა და მურღულის რაიონებში.

ორ ათეულზე მეტი სუფიქსით უწარმოებიათ კლარჯებს ადგილის სახელები. ქვემოთ ვისაუბრებთ ტოპონიმთა ერთ ჯგუფზე, რომლებიც, ჩანს, ძველი ფენაა ჭოროხის ხეობის გეოგრაფიულ ნომენკლატურაში, ზოგადად, და კლარჯეთის ტოპონიმიაში კერძოდ. მხედველობაში გვაქვს -ის||-ის(ი), -იმ, -ევ, -ხ, -ფხე||-ფხ სუფიქსებით ნაწარმოები მიკრო თუ მაკრო ტოპონიმები. ბარემ აღვნიშნავთ, რომ დასახელებული სუფიქსებით ნაწარმოები სახელები უმეტესად ანთროპოტოპონიმებია.

1. საქართველოს ტოპონიმიაში ხშირია -ის||-ის(ი) (ხმოვანფუძიან სახელებთან -ს) სუფიქსით ნაწარმოები ნაგენეტივარი სახელები. ანალოგიური წარმოების გეოგრაფიული სახელები გვხვდება კლარჯეთშიც:

თარხან-ის (ანჭკორა), **კუდელ-ის** (ანჭკორა.), **ჯუხურ-ის**’ა (სხალთეთრი), **სანათ-ის**’ი (მარმაწმინდა), **სანათ-ის**’ი (დევსქელი).

ურტამე-ს||**ურტამე-ს**’ი (სახრე. შდრ. **უსტამისი** - შავშეთი), **ანდონუ-ს**’ი (<*ანტონის’ი. ენი რაბათი), **მოლას**’ (<*მოლასი. ხატილა), **მოლაზ**’ (<*მოლასი?), **ლალან-ს**’ი (<*ლალანისი. გორომეთი).

-ის სუფიქსით ნაწარმოები რამდენიმე გეოგრაფიული სახელი დატანილია „ხუთვერსიან რუკაზე“: Маманелиси - **მამანელ-ის**’ი (ართვინი), Чиркись - **ჩირკ-ის**’ი (ართვინი).

-ის სუფიქსია სახეცვლილი შემდეგ ტოპონიმებშიც: Магласа - **მალლასა** (<*მალლ-ის’ა. მთ. ართვინი), Сулесь В. - ზ. **სულე-ს**’ი (<*სულისი), Сулесь Н. - ქვ. სულესი, Уртамесა - **ურტამე-ს**’ა (<*ურტამესი. ართვინი).

-ის სუფიქსი აღდგება საგეოგრაფიო სახელში Ортизь - **ორტიზი** (<*ორთიზი<*ორთისი).

„ხუთვერსიან რუკაზე“ ერთი გადარუსულელებული ფორმაა - Хинзарский (შდრ.: **ხინზარის**<*ხინძარის. საგუმ. ართვინი).

-ის(ა), -ის(ი) სუფიქსით ნაწარმოები გეოგრაფიული სახელები მიჩნეულია საზღვრულდაკარგულ მსაზღვრელად (იხ. შანიძე, 1973:115; 119; 1958:20-21; ზურაბიშვილი, 1961: 150-151; ჯორბენაძე, კობაიძე, ბერიძე, 1988:241. შნშ. 2,ბ).

მცირე შენიშვნა:

თარხან-ის’ი - თარხან’ი ადამიანის საკუთარი სახელია (დაცულია გვარში **თარხნიშვილი**...).

თარხანისი თარხანის კუთვნილებას აღნიშნავს.

ჯუხურ-ის’ი - **ჯუხურ**’ი წარმომავლობის სახელი ჩანს: **ჯუხ-ურ**’ი (შდრ. ჯუხიდან).

ჯუხურისი ჯუხიდან მოსულის კუთვნილებაა.

ანდონუსი ცუდად ჩაწერილი **ანტონუს**’ი<*ანტონ-ის’ია. **ანტონი** ცნობილი სახელია.

მოლა-ს’ი - **მოლას** კუთვნილია. **მოლა** (არ. Molla – მთავარი მოსამართლე, მედრესეს მოსწავლე, განათლებული პირივნება), ისლამის მსახური, მასწავლებელი.

სანათ-ის’ი - სანათა ანთროპონიმია.

ლალან-ს’ი<*ლალან-ის’ი. მოცემულ ფორმაში **ნ**’ მრავლობითობის სუფიქსია, შდრ.: **ლალანი**. საკუთარი სახელია **ლალა**, **ლალია**. შდრ.: გვარები **ლალაშვილი**, **ლალიაშვილი**.

ლალან-ს’ი **ლალას** ოჯახის კუთვნილია.

მამანელ-ის’ი - **მამანელი** წარმომავლობის სახელია, სხვაგვარად, **მამანელი** პიროვნებაა, რომლის კუთვნილებასაც აღნიშნავს **მამანელისი**.

ჩირკ-ის’ი - **ჩირკ**’ სახელური ფუძეა. **ჩირკა**, **ჩირიკა** კნინობითი ფორმაა საკუთარი სახელისა **ჩირა**. დაცულია გვარებში **ჩირაძე**, **ჩირიკაშვილი** (იხ. მაისურაძე, 1990:200).

ჩირკ-ის’ი **ჩირკას**, **ჩირიკას** კუთვნილია.

მალლასა//**მალლისა** - **მალალა**’ მამაკაცის სახელია, შენახულია გვარში **მალალაშვილი**.

მალლასა//**მალლისა** - **მალალა**’ს კუთვნილი მიწაა.

სულე-ს’ი - **სულე**/**სულა** საკუთარი სახელია. დასტურდება ისტორიულ წყაროებში: სულა კალმახელი (ქ.ცხ.IV, 147,27).

სულესი/**სულისი** **სულას** კუთვნილია.

ურტამე-ს’ა - იქნებ ცუდად ჩაწერილი **უსტამესა** (შდრ.: **უსტამისი**, სოფელი შავშეთში). **უსტამ**’ი მამაკაცის სახელი ჩანს, გვხვდება „ევსტათი მცხეთელის ცხოვრებაში“: „უსტამ,

ციხისთავმან მცხეთისამან...“ (ეგსტათი მცხეთელი, 1981:28).

უსტამისი უსტამის კუთვნილი მიწაა.

ორტიზი <***ორთისი** <**ორთა-ის**’ი - **ორის** კუთვნილი? **ორთისი** ლ:რ მონაცვლეობით გვაძლევს **ოლთის**’ს.

ხუნზარის <***ხინძარის** დანაწევრდება: **ხინძ-არ-ის**’ - **ხინძარ**’ი წარმომავლობის სახელია -**არ** სუფიქსით ნაწარმოები.

ხინძარისი ხინძელის საკუთრებაა.

მოყვანილი მსჯელობიდან ერთი დასკვნის გაკეთება შეიძლება: ‘ის(ა), ‘ის(ი) სუფიქსიანი გეოგრაფიული სახელები ვისიმე კუთვნილებას აღნიშნავს.

2. კლარჯეთის ორიოდე ტოპონიმში გამოიყოფა -**იმ** სუფიქსი: **ქერტა-ში** (<***ქერტა**’იში), **ვალა-ში** (<***ვალა**’იში).

აღნიშნავთ, რომ ქართულ ენათმეცნიერებაში საინტერესო დაკვირვებებია -**იმ**||-**შ** სუფიქსიანი ტოპონიმების შესახებ. კერძოდ:

„-**იმ**||-**შ** სუფიქსიანი გეოგრაფიული სახელები ისეთივე წარმოშობისაა, როგორც ‘ის სუფიქსიანი გეოგრაფიული სახელები: **თბილისი**, **ურბნისი**...“ (ქალდანი, 1963:67. შდრ.: ქირია, ეზუგბაია, მემიშიში, ჩუხუა, 2015:195-196).

ლექსუმის ტოპონიმიაში -**იმ**||-**შ** ფორმანტიან სახელებს ზანურ ფენად მიიჩნევენ ივ. ჯავახიშვილი (ჯავახიშვილი, 1951:421) და გ. ჩიტაია (ჩიტაია, 1944:267). ამავე აზრს ავითარებენ მ. ჩიქოვანი (ჩიქოვანი, 1949:238) და მ. ალავიძე (ალავიძე, 1958:153). განსხვავებული შეხედულება აქვს მ. ქალდანს. მისი აზრით, -**იმ**||-**შ** სუფიქსიანი გეოგრაფიული სახელების შემოქმედად ლექსუმში არის არა ზანური, არამედ სვანური მოსახლეობა (ქალდანი, 1963:69).

ჩანს, -**იმ**||-**შ** სუფიქსი საერთოა კოლხური და სვანური ენებისათვის. სხვადასხვა რაოდენობით, მაგრამ მაინც, აღნიშნული სუფიქსით ნაწარმოები გეოგრაფიული სახელები გვხვდება როგორც სვანურ, ისე კოლხურ ენობრივ სივრცეში (ფაღავა, თანდილავა, 2014:123).

აღნიშნავთ, რომ -**იმ**||-**შ** სუფიქსიანი ტოპონიმები გვხვდება ორთაბათუმის თემშიც: **ბაკიში**, **კიბეში**, **მოთქარიში**...

შავიზღვისპირა ზოლში და ჭოროხის ხეობაში ლაზური ფენა ბუნებრივია: -**იმ**||-**შ** სუფიქსიანი ტოპონიმები ისტორიულ კლარჯეთში ზანური მოსახლეობის ნაკვალევია.

3. კლარჯეთის ტოპონიმიაში -**ევ** სუფიქსით ნაწარმოები ორ ათეულზე მეტი ტოპონიმი დასტურდება:

კუტალ-ევ’ი (დოლიყანა), **შოქონ-ევ**’ი, **პანტ-ევ**’ი (კარსნია), **აზატ-ევ**’ი (ხოდი), **ჩახთათ-ევ**’ი (ჯმერკი), **ჩუხურ-ევ**’ (სინკოთი), **შართ-ევ**’ (ხატილა), **ბერძნ-ევ**’ი (||**ბერძნ-ეთ**’ი. მარადიდი), **ჯირეკ-ევ**’ი (ზ. ქლასკური), **ბოსლ-ევ**’ი, **კასრ-ევ**’ი||**კასრ-ეთ**’ი (მარმაწმინდა), **გოდრ-ევ-ეთ**’ი, **გოგონ-ევ**’ი (დოლისყანა), **ფარტნ-ევ**’ი (კარჩხალა), **ისკ-ევ**’ი ||**ისკ-ებ**’ი (მურღული), **მარილ-ევ**’ი (გევილი. ცეცხლამე, 2004:160).

-**ევ** სუფიქსის ფონეტიკური სახესხვაობაა -**ავ** მემედ ალი ქესკინის ჩაწერილ შემდეგ გეოგრაფიულ სახელებში: **თეთრ-ავ**’ (<***თეთრ-ევ**’ი), **გორგილ-ავ**’ (<***გორგილ-ევ**’ი).

რამდენიმე -**ევ** სუფიქსიანი ტოპონიმი დაუტანიათ „კავკასიის ხუთვერსიან რუკაზე“: **Кокева** - **კოკ-ევ-ა** (<***კოკე-ევ-ა**. შდრ. **Коке** - **კოკე** - მეზრე. მთ. ართვინი), **Кохл-ев-иль** - **კოხლ-ევ’ილ**’ი (დაილა, ართვინი), **Шартевь** - **შარტ-ევ**’ი (მზრ. ართვინი).

აქვე აღნიშნავთ, რომ -**ევ** სუფიქსიანი ერთი ტოპონიმი დადასტურდა ტაოში - **ზადკარ-ევ**’ი (<***ზედკარ-ევ**’ი) და რამდენიმე კიდევ მაჭახელსა და შავშეთში: **ჯარყვალ-ევ**’ი (ქვ. ჩხუტუნეთი. ცეცხლამე, 2004:152), **ბორცხ-ევ**’ი (ცეცხლამე, 2004:168).

ქედქედში დასტურდება ტოპონიმი **მეგრელავი**. იგი მიღებული ჩანს ფორმისაგან **მეგრელ-ევ**’ი ||**მეგრელ-ებ**’ი (ცეცხლამე, 2004:151).

დასახელებულს დაემატება შავშეთში ადრე დადასტურებული კიდევ რამდენიმე -**ევ** სუფიქსიანი ტოპონიმი.

ესაა სულ -**ევ** სუფიქსიანი ტოპონიმები ჭოროხის ხეობაში ჯერ-ჯერობით რომ დავადასტურეთ. მომავალში შეიძლება მათი რაოდენობა გაიზარდოს, განსაკუთრებით ტაოს ხარჯზე.

მოყვანილ მასალაში საყურადღებოა ერთი გარემოება:

ა. დასტურდება პარალელური ფორმები: **ბერძნევი||ბერძნეთი, კასრევი||კასრეთი, ისკევი||ისკები**. პარალელური ფორმები კარგად მიუთითებს -ევ, -ეთ და -ებ სუფიქსთა მნიშვნელობაზე.

ბ. ტოპონიმში **გოდრევეთი** დადასტურდა ორმაგი წარმოება: **გოდრ-ევ-ეთ**: ორი, ერთი და იმავე მნიშვნელობის აფიქსის გამოყენება სახელის ერთ ფორმაში ერთ-ერთის (მოცემულ შემთხვევაში ალბათ -ევ სუფიქსის) ფუნქციის დავიწყებით (დაბნელებით) უნდა აიხსნას.

გ. დაბოლოს, ჭოროხის ხეობაში გამოვლენილი -ევ სუფიქსიანი ტოპონიმები აფართოებს „-ევ კილოს“ გავრცელების არეალს.

საკითხის მეტ-ნაკლები სისრულისათვის გადავხედოთ წინარე ისტორიას:

აკ. შანიძე ერთგან წერს: „ტოპონიმებში მრავლობითობის სუფიქსებს (-ნ, თ(ა), -ებ) უნდა მიემატოს კიდევ -ევ, რომელიც გვხვდება ტოპონიმში, როგორც სურამის ქედის აღმოსავლეთით, ისე მის დასავლეთით, განსაკუთრებით ხშირად კი ყვირილისა და ძირულის ხეობებში, რამდენადმე აგრეთვე რიონის სათავეებში, ე.ი. ქართლში, იმერეთსა და რაჭაში. ასეთი სახელების გავრცელების არე აღმოსავლეთით ივრის ხეობამდე უწევს“ (შანიძე, II, 1981:440. ნაშრომი დაწერილია 1941 წელს, მოხსენდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების I სესიას 1941 წლის 28 თებერვალს). მკვლევარი მოიყვანს მის ხელთ არსებულ მასალას:

არაგვსა და ქსანს შორის გვაქვს: **ბეგლევი, ალევი, ქვევის ჯვარი**. აქედან დასავლეთით: **არცევი, ორტევი, ფვლევი, ბოზნევი, იკვნევი, ატრევი**. ფრონეზე გვაქვს სოფლები: **ავნევი, ფრინევი, კნოლევი, ავლევი, ფლევი, უწლევი**.

სურამის ქედის გადაღმა, ძირულის ხეობაში: **ხუნევი, ბჟინევი, ვაშლევი, კვესრევი**. ყვირილის ხეობაში: **პერევი, ღვიმევი, ვაჭევი, ბელევი, ქოლევი, დურევი, ეხევი, მეჯევი//მერჯევი, ბჟინევი, მერევი, ბოსლევი**.

რაჭაში გვხვდება სოფლები: **ღრუშევი, ბეგლევი, ონჭევი, ჭიბრევი, ბეთლევი, ველევი, ხოტევი**.

ქუთაისის ახლოს მდებარეობს - **ჭოლევი**.

ახალციხის რაიონში - **წოხტევი**.

ამათ გარდა გვხვდება კიდევ: **ღვევი** (მანგლისში), **თიჭრევი** (დადასტურებულია საქ. სიძვ. II, 180), **დისევი** (დადასტურებულია ქრონ. II, 197) (იხ. შანიძე, II, 1981:440-441).

ესაა სულ ის მასალა, რომლის ანალიზით მკვლევარი ცდილობს დაადგინოს -ევ სუფიქსის გავრცელების არეალი. მოვუსმინოთ მკვლევარს: „-ევ სუფიქსის გავრცელების ძირითად არედ შეგვიძლია ჩავთვალოთ ტერიტორია არაგვიდან რიონის შუა წელამდე. ეს ის ტერიტორიაა, რომელიც ძველისძველად სამი ენის ფარგალში იყო მოქცეული: ქართულის, ლაზურისა და სვანურის. ამ კუთხის მოსახლეობის ენას, -ევ სუფიქსის გარდა, ბევრი რამ ჰქონდა თავისებური, რომელიც მას გამოჰყოფდა როგორც ქართულისაგან, ისე სვანურისა და ლაზურისაგან...“ (შანიძე, II, 1981: 443). გარკვეული მოსაზრებით „-ევ „კილო“ ახლოს უნდა მდგარიყო სვანურთან“. -ევ კილოს თუ ენის მატარებლებს „პირობით შეგვიძლია მარგველები ვუწოდოთ, ხოლო თვით კილოს - მარგული“ (შანიძე, II, 1981:443).

მნიშვნელოვანი და საინტერესო დაკვირვებაა. თუმცა შემდგომმა კვლევებმა გამოავლინა ახალი მასალები, რამაც გარკვეულად შეცვალა აკ. შანიძისეული დებულება „-ევ კილოს“ გავრცელების არეალის შესახებ. ჯერ კიდევ ნიკო მარმა შავშეთში, უბეში, დადასტურა ტოპონიმი **დევაძევი** (მარი, 2012:97), რომლის რამდენიმე ვარიანტი გვხვდება: **დევაძევი//დევაძევი //დევაძე** (იხ. ფაღავა, 2012:16-17, სქ. 2). ჩანს, როდესაც ხსენებულ შრომას წერდა, აკ. შანიძემ არ გაითვალისწინა ნ. მარის „დღიურები“.

აქვე დავამატებთ, რომ შავშეთშივე დასტურდება **ხოხლევი**, სოფელი იმერხევში, რომელშიც ასევე გამოიყოფა -ევ სუფიქსი.

-ევ სუფიქსი გამოიყოფა შავშეთის კიდევ რამდენიმე გეოგრაფიულ სახელში: **გალიმურ-ევ** (ჯვარისხევი), **შამორ-ევ** (აგარა), **ზაზალ-ევ** (უბე), **გოდგ-ევ** (ართვინლი) (იხ. ფაღავა, ცინცაძე, ბარამიძე, 2022:234-235).

შენიშნავთ, რომ ნ. ცეცხლაძე, მსჯელობს რა კოთხეზე აღნიშნავს: „კოთხო იმერხელ მეტყველებაში პატარა, ოთხკუთხა ფორმის [ყუთის] აღმნიშვნელი სახელია. ამ შემთხვევაში მას დართული აქვს საგნის მრავლობითის საწარმოებელი სუფიქსი -ევ. კოთხო-ებ'ი>კოთხ-ევ'ი" (ცეცხლაძე, 2004:245). თუმცა იქვე უშვებს მეორე შესაძლებლობასაც, რომ შეიძლება „ტოპონიმის ფუძე იყოს არა კოთხო, არამედ რკოთხევი: რკო>რკოთი>რკო>თ(ი)ხევი" (ცეცხლაძე, 2004:245). მოყვანილ ამონარიდში ცოტა უცნაური გარდაქმნებია ნაჩვენები, მაგრამ მისაღებია, რომ კოთხევი<[რ]კოთხევი>საგან. სამხრულ მეტყველებაში რკო-ში იკარგება თავკიდური რ. [რ]კო კიდევ მუხის აღმნიშვნელი ფუძეა. ამდენად, კოთხევი იგივეა, რაც მუხათხევი.

გამომდინარე თქმულიდან, კოთხევი არ გამოგვადგება -ევ სუფიქსიანი ფუძის ნიმუშად.

ისტორიულ კლარჯეთში დადასტურდა ზემომოყვანილი 24 გეოგრაფიული სახელი, რომლებშიც ასევე გამოიყოფა -ევ სუფიქსი.

როგორც ვხედავთ, ერთი მხრივ გაიზარდა -ევ სუფიქსიანი გეოგრაფიულ სახელთა რიცხვი, მეორე მხრივ, განივრცო -ევ სუფიქსის გავრცელების არეალი და საგრძნობლად გასცდა იგი არაგვსა და რიონს შორის ტერიტორიას.

მისაღებია აკ. შანიძის მოსაზრება, რომ -ევ მრავლობითობის აღმნიშვნელი სუფიქსი იყო და გვერდით ედგა იგი ქართულ -ნ, -თ, -ებ და მეგრულ -ევ სუფიქსებს (შანიძე, II, 1981: 441. შდრ. ზურაბიშვილი, 1961:149-150).

შეიძლება დავუშვათ:

ა. -ევ სუფიქსი -ებ'ის ფონეტიკური ვარიანტია (ბ:ვ მონაცვლეობა დაშვებულია ქართული ენისათვის იხ. ფაღავა, 2003:197-199). მისი კანონზომიერი ფონეტიკური და ფუნქციური შესატყვისია კოლხური -ევ.

ბ. -ევ სუფიქსიანი მრავლობითი იმავე ასაკისაა, რამდენისაც -ებ სუფიქსიანი.

გ. -ევ მრავლობითობის სუფიქსი გარკვეული დიალექტური წრის კუთვნილებაა და არა ერთი რომელიმე დიალექტისა.

აქვე ჩნდება კიდევ ერთი კითხვა: რატომ შემოინახა -ევ სუფიქსი მხოლოდ ტოპონიმებმა (გეოგრაფიულმა სახელებმა) და არ შემოინახა იგი საზოგადო არსებითმა სახელებმა?

ჩვენი აზრით, -ევ და -ებ სუფიქსები (თუნდაც ერთი სუფიქსის ფონეტიკური ვარიანტები) პარალელურად იხმარებოდა დიალექტთა გარკვეულ ჯგუფებში. განვითარების გარკვეულ ეტაპზე ენა უპირატესობას ანიჭებს -ებ სუფიქსს, -ევ მრავლობითის აღნიშვნის ფუნქციით თანდათან დავიწყებას ეძლევა, მის ადგილს ყველგან -ებ იჭერს, შეინახა იგი მხოლოდ უძველესი წარმოების ტოპონიმებმა. -ევ დარჩა დიალექტთა გარკვეულ ჯგუფში, მაგრამ უფუნქციოდ. უფუნქციო -ევ მიეკედლა ნა- პრეფიქსს და წინავითარების სახელი აწარმოვა. -ევ სუფიქსის თავდაპირველი ფუნქცია წინავითარების სახელების პარალელურ ფორმებში ჩანს: ნა-თანგ-ევ'ი (შდრ. ნათანგი), ნა-ჯვარ-ევ'ი (შდრ. ნა-ჯვარ'ი, მეორეს მხრივ: ჯვარები //ჯვარევი), ნაღვარევი (შდრ. ნა-ღვარ'ი, მეორეს მხრივ: ღარები//ღარევი), ნა-ბერწ-ევ'ი (შდრ. ნა-ბერწი)...

კიდევ ერთ გარემოებას მივაქცევთ ყურადღებას: წინავითარების სახელთა საწარმოებლად გვაქვს ნა-არ და ნა-ევ აფიქსებიანი წარმოება, „რომლებიც ერთია ფუნქციით, მაგრამ ერთ ფუძესთან შეიძლება ერთი წარმოება იყოს დამკვიდრებული, მეორესთან - მეორე: „ქმარ" სიტყვისაგან ნა-ქმარ-ევ'ი ითქმის (და არა ნა-ქმარ-ალ'ი), მაგრამ ცოლისაგან - ნა-ცოლ-არ'ი..." (შანიძე, 1973:133). დიალექტებში ნაცოლარის გვერდით ნა-ცოლ-ევ'იც გვხვდება. რატომ ნა-არ და ნა-ევ? ორივე აფიქსისათვის პრეფიქსი (ნა-) საერთოა, სუფიქსი კი - სხვადასხვა (-ევ, -არ). ცალკე აღებული -ევ და -არ სუფიქსები სახელებთან განსხვავებული ფუნქციის მატარებელნი არიან.

ქართულში გვხვდება წინავითარების სახელების პარალელური წარმოება: ნაზამთრი //ნაზამთრალი//ნაზამთრევი, ნასისხლი//ნასისხლარი //ნასისხლევი, ნაქალაქარი //ნაქალაქევი, ნაზაგარი//ნაზაგევი... (გოგოლაშვილი ..., 2011:235).

შეუძლებელია, ეს პარალელური ფორმები თავდაპირველად ერთი და იმავე ფუნქციის მატარებელი ყოფილიყო: ნაზაგარი - ადგილი, სადაც ერთი ბაგა იყო, ნაზაგევი - ადგილი სადაც მრავალი ბაგა იყო...

-ევ სუფიქსის ოდინდელი ფუნქცია იგრძნობა -ევ-ან სუფიქსიანი სახელებშიც, როდესაც

პარალელური ფორმები დასტურდება: **ზოსლევაწი //ზოსლევი...**

მსგავს ფორმებში თითქოს ჩანს -ევ სუფიქსის უძველესი ფუნქცია - აღნიშნოს მრავლობითობა.

4. რამდენიმე გეოგრაფიულ სახელში შეიძლება გამოიყოს სხვადასხვა ხმოვნის თანხლებით -ხ სუფიქსი: **კორ-ხ'ი|კორ-ოხ'ი** (შდრ. ჭოროხი), **ჯიბ-უხ'ი, კონტ-ოხ'ი** (შდრ. აჭ. **კორტოხი**), **ორჯ-ოხ'ი** (სოლნ. 11). **ორჯოხ'ში** -ოხ სუფიქსის გამოყოფას მხარს უჭერს პარალელური ფორმა - **ორჯი**. იგივე სუფიქსი შეიძლება დავინახოთ სახელებში **მეს-ხ'ი** (შდრ. **მოს-ოხ**), **კოლ-ხ, ჯავა-ხ**, ასევე **მაჭ-ახ-ელ, ჭორ-ოხ, ჭ-ახ-ათ'** (ქობულეთი), **ჭიხ-ა-ურ** (ხულო) ფუძეებში. მოყვანილ ყველა ტოპონიმში გამოვეყოფთ -**ხ, -ოხ, -უხ, -ახ, 'იხ** სუფიქსებს.

ერთგან გ. თოფურია აღნიშნავს, რომ „-ხ არის სუფიქსი, რომელიც სხვადასხვა წინამავალი ხმოვნით გავრცელებულია საქართველოსა და მთელი კავკასიის ტოპონიმშიკაში (თოფურია, 1977:8; შდრ. მგელაძე, ფაღვა, 1998:124-144; ფაღვა, მგელაძე, 2005:14).

-ხ სუფიქსს გ. მელიქიშვილი დაუკავშირებს ჰი||ჰა აფიქსს, რომლითაც ნაწარმოებია ბევრი გეოგრაფიული სახელი ამიერკავკასიაში (მელიქიშვილი, 1999:50).

ხი, ახ, ოხ, იხ, უხ სუფიქსებს გამოყოფს ივ. ჯავახიშვილი დადესტნის გეოგრაფიულ სახელებში: **კუანხი, ხარახი, შაპიხ, ბოთლიხ, მოროხ, ინუხ, გინუხ...** (ჯავახიშვილი, 1998:61. შდრ. ჯავახიშვილი, 1951:393. საკითხის შესახებ ვრცლად იხ. მგელაძე, ფაღვა, 1998:14 და შემდეგ. ავტორები მხარს უჭერენ მტკიცებას, რომ -ფხე (ფშ||ფს||ხე||მხეე||ხი||ხინი||ხინე||ფჰა||ფა) ქართველურ-კავკასიური და ახლოაღმოსავლური კუთვნილებაა). თქმულს შეიძლება დავუმატოთ, რომ -ხ სუფიქსიანი გეოგრაფიული სახელები უძველესი ფენაა საქართველოსა და ახლოაღმოსავლეთის ტოპონიმურ ნომენკლატურაში.

5. ტოპონიმში **კატაფხია** (სოფელია კლარჯეთში) შესაძლებლად მიგვაჩნია გამოიყოს -**ფხე||-ფხ** სუფიქსი: **კატა-ფხი-ა** (<*კატა-ფხე-ა). -**ფხე** ცნობილი აფიქსია, რომელიც ქალის გვაროვნულ კუთვნილებას, „სახლიშვილობას“ აღნიშნავს (იხ. მგელაძე, ფაღვა, 1998:3-20; შდრ. ჩანტლაძე, 2012:215). მკვლევართა ნაწილი მას კოლხურ კუთვნილებად მიიჩნევს (ჭურღულია, 1983:119-134), სხვები კიდეც - წინააზიურ სამყაროს უკავშირებენ, სადაც იგი „შვილის“ აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო (Мещанинов, 1958: 28-29). აღვნიშნავთ, რომ -**ფხე||-ხე** ცოცხალი სუფიქსია მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველებაში (ფაღვა, 2009:180), სადაც ერთმანეთს კარგად უპირისპირდება: **ცეცხლაძე - ცეცხლაი-ფხე, ინაიშვილი - ინაი-ფხე, შავიშვილი - შავი-ფხე, ხახუტაიშვილი - ხახუტა-ფხე, მურვანიძე - მურვანი-ფხე, მოწყობილი - მოწყობილა-ფხე, მჟავანაძე - მჟავანა-ფხე...** (ფაღვა, 2009(1):180).

ახლადგამოვლენილ მასალებში, და ძველშიც, -**ფხე** (ასევე -**ურ** და -**ულ(ა)**) ქალის წარმომავლობაზე მიუთითებს მხოლოდ. საკითხზე თითქოს თანხმობაა ქართულ მეცნიერებაში, მაგრამ გამოჩნდა ახალი თვალსაზრისი, რომ -**ფხე** ქალის გვარის მაწარმოებელი სუფიქსია (ენუქიძე, 1977:37; კახიძე, 2013:22). მსჯელობა ასეთია: „-**ურ** და -**ულ** აწარმოებენ ქალის სახელებსა და გვარებს, -**ფხე** კი მხოლოდ ქალის გვარებს“ (ენუქიძე, 1977:39). მკვლევარი მოიყვანს მაგალითებს: **ნიკოლა-ფხე-შვილი** გოგა (52), **ნიკოლა-ფხე-შვილი** ცისკარა (536), **ნიკოლა-ფხე-შვილი** ლაზარე (537) და ასკვნის: „მაწარმოებელი **ფხე-შვილი**’თ მხოლოდ მამაკაცის გვარებია დაბოლოებული“ (ენუქიძე, 1977:40). აღარაფერს ვამბობ მსჯელობის ავ-კარგზე, ჩვენი პოზიცია ისედაც ნათელია, ოღონდ მოყვანილი საილუსტრაციო მასალიდან გამომდინარე ვსვამთ კითხვას: რატომ გამოიყენეს ჩანაწერში პიროვნების ორწევრა აღნიშვნისას ერთდროულად ორი მაწარმოებელი -**ფხე** და -**შვილი**? რა შემთხვევასთან გვაქვს საქმე? **ნიკოლაფხე**, მკვლევარ თ. ენუქიძისა და სხვათა აზრით, ქალის გვარია, **ნიკოლაფხეშვილის** სახით კი, ჩანს, გვარიდან გვარი უწარმოებიათ -შვილის დართვით, გვაქვს ე.წ. ორმაგი წარმოება. აქ იმ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როცა -**ფხე** სუფიქსის მნიშვნელობა უკვე უცნობია (ტბეთის ეპარქიაში აღნიშნული სუფიქსი ისედაც იშვიათად იხმარებოდა) მწერლისათვის, იგი ფუძის კუთვნილებადაა გააზრებული და „შვილი“ ამ ფუძეზეა დართული. ანალოგიური შემთხვევა დასტურდება ადრე გამოვლენილ ფორმაში **ბობო-ყვა-ფხე** (ნაცვლად **ბობოყვა**, ან **ბობოფხე**), რომელსაც ასე ხსნის ს. ჯანაშია: „... გვარი „ბობოყვა“ კარგა ხნის დამკვიდრებული უნდა ყოფილიყო საქართველოში და გვარის მაწარმოებლის (ყვა) ფუნქციონალური მნიშვნელობა უკვე

ადარ შეიცნობოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში გვექნებოდა **ზობოფხე** ან **ზობოფხვა**, როგორც იტყოდა თანამედროვე ჩერქეზი“ (ჯანაშია, 1952:485).

მსჯელობა გაგვიგრძელდა. დასკვნის სახით ვიტყვით: **-ფხე** (ასევე **-ურ** და **-ულ**) არ აწარმოებს ქალის გვარს, აღნიშნავს მხოლოდ ქალის გვაროვნულ კუთვნილებას, „სახლიშვილობას“. ვიმეორებთ, ქალისა და მამაკაცის გვარის განსხვავებული წარმოება ქართველურმა სამყარომ არ იცის.

დაბოლოს, ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ კლარჯეთის ტოპონიმიაში დადასტურდა **-ფხე** სუფიქსიანი გეოგრაფიული სახელი.

ვისაუბრეთ **-ის//ის(ი)**, **-იმ**, **-ევ**, **-ხ**, **-ფხე//ფხ** სუფიქსებით ნაწარმოებ გეოგრაფიულ სახელებზე კლარჯეთის ტოპონიმიაში. აღვნიშნავთ, რომ დასახელებული ყველა სუფიქსი ქართულია (ქართველური) და იმავე ფუნქციებით იხმარება, რითაც ზოგადად ქართულ ენაში. ტოპონიმიკური მასალა საინტერესოა ბევრი თვალსაზრისით, კერძოდ:

- **-ის//ის(ი)**, **-იმ**, **-ევ**, **-ხ**, **-ფხე//ფხ** სუფიქსებით ნაწარმოები სახელები ძველი ფენაა ქართულ გეოგრაფიულ ნომენკლატურაში.

- კლარჯეთის გეოგრაფიულ სახელებში თავს იჩენს **-იმ** სუფიქსი, რაც კოლხური კვალია ჭოროხის ხეობაში. აღნიშნული ფაქტი არაა მოულოდნელი, ისტორიულად ჭოროხის ხეობა ხომ კოლხური კულტურის გავრცელება არიანია.

- მნიშვნელოვანია, რომ კლარჯეთის ტოპონიმიაში გამოჩნდა **-ფხე//ფხ** სუფიქსი, რომელიც დასავლურ ქართულ ენობრივ სივრცეში აწარმოებს ქალის წარმომავლობას (უფრო - ოჯახურ კუთვნილებას) და არა გვარს, როგორც ზოგიერთ მკვლევარს მიაჩნია.

- კლარჯეთის ტოპონიმიაში დაჩნდა **-ევ** სუფიქსიანი წარმოება, რითაც გაფართოვდა „ევ კილოს“ გავრცელების არეალი და საგრძნობლად გაცდა მისთვის წინათ მონიშნულ სივრცეს.

- **-ევ** სუფიქსი **-ებ** (ასევე კოლხური **-ეფ**) სუფიქსის ბადალია. ჩანს ისინი სხვადასხვა დიალექტური წრის კუთვნილებაა.

კლარჯეთის ტოპონიმიკური მასალა გვამღვეს საფუძველს ვამტკიცოთ, რომ კლარჯთა საცხოვრისი ქართული მიწაა, რომ კლარჯები აქ შემდგომ მოსულები არ არიან. რომ კლარჯები კლარჯეთის აბორიგენი მოსახლეობაა.

ლიტერატურა:

- ალავიძე, მ.(1958). ლეჩხუმური ტოპონიმიკური სახელწოდებანი. ქპი შრომები. XVIII. ქუთაისი.
- გოგოლაშვილი, გ., არაბული, ა., სუხიშვილი, მ., მანჯგალაძე, მ., ჭუმბურიძე, ნ., ჯორბენაძე, ნ. (2011). თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია. სალიტერატურო ენა. გიორგი გოგოლაშვილის საერთო რედაქციით. მონოგრაფია. თბილისი.
- ენუქიძე, თ. (1977). ტბეთის სულთა მატანე. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებელი დაურთო თინა ენუქიძემ. მონოგრაფია. თბილისი.
- ზურაბიშვილი, თ. (1961). ტოპონიმიკის შესწავლისათვის. ქესს. II. თბილისი.
- თოფურია, გ. (1977). ჭოროხის ეტიმოლოგიისათვის. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის XXXIII სამეცნიერო სესია. თეზისები. თბილისი.
- კახიძე, ნ. (2013). ეტრატზე ამეტყველებული ისტორია. ბათუმი.
- მაისურაძე, ი. (1990). ქართული გვარსახელები. თბილისი: გამომცემლობა „საქინფორმკინო“.
- მარი, ნ. (2012). შავშეთსა და კლარჯეთში მოგზაურობის დღიურები. ბათუმი: გამომცემლობა „ბათუმის უნივერსიტეტი“.
- მგელაძე, ნ., ფაღვა, მ. (1998). ფხე||ხე - ისტორიისა და ეტიმოლოგიის საკითხები. ბსუ. შრომები II (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სერია). ბათუმი: გამომცემლობა „ბათუმის უნივერსიტეტი“.
- მელიქიშვილი, გ. (1999). ძიებანი საქართველოს, კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის ისტორიის დარგში. თბილისი.
- Пагиревъ, Д. Д. (1913). Алфавитный указатель к пятиверстной карте Кавказскаго края. издания Кавказскаго Военно-типографическаго Отдела... Тифлиси.
- ფაღვა, მ. (2003). სამხრული კილოების ფონემატური სტრუქტურა. დისერტაცია ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. ბათუმი.
- ფაღვა, მ. (2009). ნაწილაკი ახალ ქართულში. მონოგრაფია. თბილისი.
- ფაღვა, მ. (2009(1)). მასალები „შვილის“ სემანტიკისათვის ქართველურ ენებში. ბსუ ქართველოლოგიის

- ინსტიტუტის კრებული. VI. ბათუმი: გამომცემლობა „ბათუმის უნივერსიტეტი“.
- ფალავა, მ. (2012). ნიკო მარი და მისი მოგზაურობა შავშეთსა და კლარჯეთში. იხ. ნ. მარი, შავშეთსა და კლარჯეთში მოგზაურობის დღიურები. ბათუმი: გამომცემლობა „ბათუმის უნივერსიტეტი“.
- ფალავა, მ., თანდილავა, ლ. (2014). ლაზეთის ტოპონიმების საკითხები. იხ. ისტორიული ქანეთის აღმოსავლეთ ნაწილში დაცული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები. თბილისი.
- ფალავა, მ., მგელაძე, ნ. (2005). აჭარა, მაჭახელი, ჭოროხი - ეტიმოლოგიის ცდა. ბსუ შრომები. VII. ბათუმი: გამომცემლობა „ბათუმის უნივერსიტეტი“.
- ფალავა, მ., ცინცაძე, მ., ბარამიძე, მ. (2022). ქართული ენის შავშური დიალექტი. მონოგრაფია. ბათუმი: გამომცემლობა „მერიდიანი“.
- ქალდანია, მ. (1963). ლეჩხუმის გეოგრაფიულ სახელთა 'იმ/-შ სუფიქსის საკითხისათვის. ქრს. III. თბილისი.
- ქირია, ჭ., ეზუგბაია, ლ., მემიშიძე, ო., ჩუხუა, მ. (2015). ლაზურ-მეგრული გრამატიკა. 1. მორფოლოგია. მონოგრაფია. თბილისი.
- შანიძე, ა. (1958). საქართველოს დედაქალაქის სახელწოდებისათვის. კრ. თბილისი 1500. თბილისი.
- შანიძე, ა. (1973). ქართული გრამატიკის საფუძვლები. I მონოგრაფია. თბილისი.
- შანიძე, ა. (1981). -ევ კილოს კვალი საქართველოს გეოგრაფიულ სახელებში. თხზულებანი 12 ტომად. ტ. II. თბილისი.
- შანიძე, ა. (1981). ვინაობის სუფიქსი -არ ქართულ ენაში. თხზულებანი 12 ტომად. ტ. II. თბილისი.
- ჩანტლაძე, ი. (2012). კიდევ ერთხელ -ფხე/-ხე, -ფხე/>-ფხ სუფიქსისათვის ქართველურ ონომასტიკონში. ქართველური ლექსიკის ისტორიიდან. I. თბილისი.
- ჩიტაია, გ. (1944). ლეჩხუმის ექსპედიციის მოკლე ანგარიში. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე. Xბ. თბილისი.
- ჩიქოვანი, მ. (1949). ტოპონიმიკურ სახელთა წარმოება ლეჩხუმური მასალების მიხედვით. ა.ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები. VII. თბილისი.
- ცეცხლაძე, ნ. (2004). ძიებანი ჭოროხის აუზის ტოპონიმიიდან. ბათუმი.
- ჭურღულია, ო. (1983). „ხე“ ნაწილაკის ვარიანტები ქართველურ ენებში. მაცნე/ე. 4. თბილისი.
- ჯავახიშვილი, ი. (1951). ქართველი ერის ისტორია. თბილისი.
- ჯავახიშვილი, ი. (1998). ქართველი ერის ისტორიის შესავალი. თხზ. 12 ტომად. ტომი XI. თბილისი.
- ჯანაშია, ს. (1952). უძველესი ეროვნული ცნობა ქართველთა პირველსაცხოვრების შესახებ. თხზ. ტ. II. თბილისი.
- ჯორბენაძე, ბ., კობაიძე, მ., ბერიძე, მ. (1988). ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი. თბილისი.
- Мещанинов, И.И. (1958). Грамматический Строй Урарткого языка, ч. 1, М-Л.

A few cases of suffix production of toponyms from Klarjeti

Mamia Paghava

Maia Baramidze

Shota Rustaveli State University, Batumi

Abstract

Geographical names formed with the suffixes **-is||-is(i)**, **-ish**, **-ev**, **-kh**, **-phkhe||-phkh** in historical Klarjeti, the main distribution area of which is Chorokhi valley, is discussed in the study. Most of Klarjeti is in the Republic of Turkey (Borchkha, Murghuli and Artanuj), the other part is Mirveti, Kvemo Maradid and Kirnati, Georgia (Khelvachauri Municipality, Adjara).

One part of Turkey's Klarjeti is Georgian, the other is Turkish-speaking. Georgian is heard in Borchkha and Murghuli districts in Klarjeti, Turkey.

The research includes the entire Klarjeti (both Turkish and Georgian speaking) materials.

As a result of the research of geographical names recorded by us and confirmed in historical or

other sources, the following was highlighted:

_ Names created with these suffixes: **-ob//ob(o)**, **-oშ**, **-გვ**, **-ბ**, **-გბჟ//გბ** are an old layer in Georgian geographical nomenclature;

_ **-ish** suffix is a trace of Kolkhuri in Chorokhi valley;

_ It is important that in the toponymy of Klarjeti, the suffix **-pkhe//pkh** appeared, which in the western Georgian linguistic space indicates a woman's origin (more like a family affiliation) and not a surname.

_ In the toponymy of Klarjeti, production with the suffix **-ev** significantly expands the distribution area of „ev kilo“;

_ **-ev** suffix **-eb** (as well as Kolkhuri **-ef**) is a substitute for the suffix. They must have belonged to different dialect circles.

The discussed geographical names show that the largest part of the toponymy of Klarjeti is Georgian, which is an unmistakable proof that Klarjeti is a historical Georgian land, and the Klarjes are its aboriginal inhabitants. Traces of other cultures on the land of Klarjeti are a reflection of the coexistence of the Klarje people with other people, and not of belonging to other people of the Klarje land. Collection and analysis of Klarjeti toponymy is important from the point of view of linguistics, historical geography, dialogue of cultures and others.

Key words: toponymy, suffix, trace, dialogue of cultures.

რაკი კავშირიანი დამოკიდებული წინადადების ფუნქციური ნაირსახეობანი

ფილაშვილი ელენე

იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი

DOI: <https://doi.org/10.52340/idw.2023.40>

აბსტრაქტი. კავშირი წინადადების აგებულების ერთ-ერთი მათგანიზებული კომპონენტია. ერთი და იმავე ბგერითი შედგენილობის კავშირს სხვადასხვა სემანტიკა და დატვირთვა აქვს, ისინი სხვადასხვა კონსტრუქციაში მონაწილეობენ და გარკვეული ფუნქციაც აკისრიათ.

რაკი კავშირი გამოიყენება დროისა და მიზეზის გარემოებითი დამოკიდებული წინადადებების შემცველ ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში. დროისა და მიზეზის გარემოებითი დამოკიდებული წინადადებები თავიანთი შინაარსის არსებითად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, მაგრამ ზოგჯერ რაკი კავშირიანი დამოკიდებული წინადადებების ზუსტი კვალიფიკაცია ჭირს იმის გამო, რომ ფორმალურ დამთხვევათა გარდა ერთნაირად იგულებენ კავშირსა და ზმნა-შემასმენელის დრო-კილოთა ფორმებს, ამავე დროს დროისა და მიზეზის კატეგორიები მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული.

საანალიზო მასალაზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ რაკი კავშირიანი ჰიპოტაქსური კონსტრუქციის წინადადებათა გასამიჯნავად მნიშვნელოვანია ზმნა-შემასმენლის დრო. რადგან მიზეზი წარსულშია საძიებელი, იგი წინმსწრებ მოვლენას ასახავს და მას თხრობითი კილოს ფორმები შეეწყობა, ხოლო დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება, რომელსაც მთავართან აერთებს კავშირი რაკი, გვიჩვენებს მთავარ წინადადებაში გადმოცემული მოქმედების დასაწყისს, ხოლო მთავარი წინადადება იმას, თუ რა მოხდა, ხდება ან მოხდება დამოკიდებულ წინადადებაში დასახელებული მოქმედების შემდეგ.

სადავო ფორმების არსებობის შემთხვევაში რაკი კავშირის ფუნქციის გასარკვევად და ჰიპოტაქსურ კონსტრუქციათა გასამიჯნავად, ვფიქრობ, უნდა გამოვიყენოთ სხვა კავშირის შენაცვლებისა და ზმნა-შემასმენლთა მომავალ დროში გადაყვანის ხერხი, კერძოდ: თუკი რაკი კავშირს თავისუფლად არ ცვლის კავშირი რადგანაც/იმიტომ რომ და ჩანაცვლებული ზმნა-შემასმენლის მომავალი დროის ფორმაც არაბუნებრივია, მაშინ იგი დროის გარემოებითი დამოკიდებულისაა, ხოლო, თუ თავისუფლად შეიცვალა, მაშინ დამოკიდებული წინადადება მიზეზის გარემოებითია.

საკვანძო სიტყვები: სინტაქსი, რაკი კავშირი, ჰიპოტაქსური კონსტრუქცია, სემანტიკა

დროისა და მიზეზის გარემოებითი დამოკიდებული წინადადებები თავიანთი შინაარსის არსებითად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, კერძოდ:

„მიზეზის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება აღნიშნავს იმის გამომწვევ მიზეზს, რაზედაც მთავარ წინადადებაშია ლაპარაკი, ანუ გადმოგვცემს რაიმე მოვლენის, მოქმედების მიზეზს, ე. ი მიზეზი მოვლენას წინ უსწრებს, მასთან შედრებით „წარსულია“. მთავარ წინადადებასთან მას აერთებს კავშირები: **რომ, იმიტომ რომ, რადგანაც, რაკი ...**“ (კვაჭაძე, 1996: 438).

„დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება აზუსტებს მთავარ წინადადებაში გამოხატულ მოქმედების დროს“ (ფეიქრიშვილი, 264).

„რთულ ქვეწყობილ წინადადებაში, რომელიც დროის გარემოებით დამოკიდებულ

წინადადებას შეიცავს, გამოხატულია იმ ამბისა თუ მოვლენა-შემთხვევის მიმართება დროის თვალსაზრისით, რაზედაც მთავარსა და დამოკიდებულშია ლაპარაკი, თანაც ისე, რომ ერთი წინადადება მეორესადმია დაქვემდებარებული“ (კვაჭაძე, 1996: 423). მთავარს უერთდება მაქვემდებარებელი კავშირებითა და მიმართებითი სიტყვებით: **როდესაც, როცა, სანამ, თუ არა, რაწამს, რაკი** და სხვა.

სხვა გარემოებებთან შედარებით „დროის გარემოებას ის თავისებურება ახასითებს, რომ მას ორგვარი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს: ერთი - დაასახელოს დრო (სხვანაირად დაათარილოს მოქმედება), მეორე - აჩვენოს ასპრქტი - დაახასიათოს მოქმედება მისი გრძლიობის, პერიოდულობის ინტენსივობის მიხედვით“ (აფრიდონიძე, 1986: 39).

მიუხედავად ამ არსებითი განსხვავებისა ხშირია დროისა და მიზეზის გარემოებითი დამოკიდებული წინადადებების არევა, როცა საკავშირებელ საშუალებად გამოყენებულია კავშირი რაკი.

ისმის კითხვა: ხომ არ არსებობს რაიმე წესი, რომლითაც ზუსტად განვსაზღვრავდით, აგებულების მიხედვით რომელ სახეობასთან გვაქვს საქმე?

„ნებისმიერი ენობრივი ფუნქცია დგინდება და რეალურად არსებობს მხოლოდ და მხოლოდ კონტექსტში“ (ჯორბენაძე, 1980: 379).

დროისა და მიზეზის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებებს საერთო აქვთ კავშირი რაკი. სწორედ ესაა ამ კონსტრუქციათა არევის ერთ-ერთი მიზეზი.

ასევე საერთოა აღნიშნულ კონსტრუქციაში შეფარდებითი მოდელები. ვნახოთ სათანადო მაგალითები:

მიზეზის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება რაკი

ცნობილია, რომ მიზეზის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება გამოხატავს როგორც ვითარების კონკრეტულ მიზეზს, ისე ლოგიკურ საფუძველს.

აწმყო - აწმყო _ 1: რაკი აგრეა, შენ ნუ გეშინია (ვაჟა-ფშაველა, 29, 30);

აწმყო - წყვეტილი _ 1: რაკი ეს გამოვიგონე, მე დენსჩიკი შაქარს აღარ მპარავს (ჭავჭავაძე, 254,11);

უწყვეტელი - აწმყო _ 1: რაკი ასეთი გულკეთილია, მეც მასწავლიდა დაკვრას (ვაჟა-ფშაველა, 151,21);

მყოფადი - აწმყო _ 1: რაკი შენი ნებაც არის, ჩემს ბედს ძალიც არ დაჰყევს (ჭავჭავაძე, 242,22-23);

წყვეტილი - აწმყო - 1: რაკი საწადელი არ აუსრულდათ, ყველას თავი მიანებეს (ვაჟა-ფშაველა, 217, 19-20);

წყვეტილი - წყვეტილი _ 1: ჰგონია ბედნიერება მომანიჭა, რაკი უღრანს, უდაბურს ადგილს მომაშორა (ვაჟა-ფშაველა, 42, 21).

მაქვემდებარებელი კავშირი რაკი მიზეზის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების შემცველ ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში აქვემდებარებს როგორც ერთგვარ, ისე განსხვავებულ მწკრივებს. გვაქვს შემდეგი მოდელები: აწმყო-წყვეტილი, უწყვეტელი-აწმყო, მყოფადი-აწმყო, წყვეტილი-აწმყო და წყვეტილი-წყვეტილი. შემასმენელთა შეფარდება ხდება ძირითადად ერთი დროის ფარგლებში, ზოგჯერ მთავარი და დამოკიდებული წინადადების ზმნა-შემასმენლები ერთმანეთს ეფარდებიან სხვადასხვა დროშიც.

ნათელია, მიზეზის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების შემცველ ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში უპირატესობა ენიჭება წარსულ დროში შეფარებას.

დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება რაკი

უწყვეტელი - წყვეტილი _ 1: რაკი ტყეებსა და მთებს გაეკიდა, გზას კაჭკაჭი ვეღარ იგნებდა (ვაჟა-ფშაველა, 30,19);

მყოფადი - აწმყო _ 1: ეხლა, რაკი შენი ნება არის, ჩემს ბედს ძალიც არ დაჰყევს (ჭავჭავაძე, 242, 22-23);

მყოფადი - წყვეტილი _ 1: რაკი ბიძა-ძმიშვილი ერთად შეიყარენით, თქვენს ნადირობის საუბარს დასასრული ადარ ექნება (ვაჟა-ფშაველა, 71-72, 39-1-2);

ხოლმეობითი - უწყვეტელი _ 1: გამახარე, რაკი იდროვებდა, ტოლებში გაერეოდა... (ვაჟა-ფშაველა, 50, 14);

წყვეტილი - ხოლმეობითი _ 1: რაკი დათიკოს სკოლაში გავისტუმრებდი და სახლს დავგვიდი, მთელი დღე ისე გულხელდაკრეფილი ვიჯექი (ჭავჭავაძე, 196, 21-22-23);

წყვეტილი - წყვეტილი _ 4: რაკი ვლადიკვასილამ გამოვედი და ჩემის ქვეყნის სიომ დამკრა, გულმა სულ სხვაგვარად დამიწყო ფეთქვა (ჭავჭავაძე, 165, 30-31);

რაკი კავშირი ქმნის შემდეგ მაქვემდებარებელ მოდელებს. ესენია: უწყვეტელი - წყვეტილი, მყოფადი - აწმყო, მყოფადი - წყვეტილი, ხოლმეობითი - უწყვეტელი, წყვეტილი - ხოლმეობითი და წყვეტილი - წყვეტილი. გვაქვს თანადროული შეფარდება, ამავდროულად რაკი კავშირი აქვემდებარებს სხვადასხვა დროის ფორმებსაც, რაც არც თუ ისე იშვიათია.

ჰიპოტაქსურ კონსტრუქციათა ანალიზით დადგენილია, რომ მთავარი და დამოკიდებული წინადადებების ზმნა-შემასმენელთა მწკრივის არჩევანი ნებისმიერი არ არის, მას უმეტესად განსაზღვრავს მთავარი წინადადების ზმნა-შემასმენლის მწკრივი.

ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში დამოკიდებული წინადადების ადგილი მყარი არ არის, ის შეიძლება წინ უსწრებდეს მთავარ წინადადებას, მოსდევდეს მას, ან მთავარ წინადადებაში იყოს მოქცეული (კვაჭაძე, 1996: 395). საანალიზო მასალის მიხედვით როგორც დროის გარემოებით, ისე მიზეზის გარემოებით დამოკიდებულ კონსტრუქციებში ხშირად რაკი კავშირიანი დამოკიდებული წინადადება წინ უსწრებს მთავარ წინადადებას.

დროის გარემოებით ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში შემავალ დამოკიდებული წინადადების ადგილისათვის მნიშვნელობა აქვს რომელი კავშირითაა ის მთავართან შეერთებული, როგორია დროული მიმართება მთავარსა და დამოკიდებულში გადმოცემულ მოქმედებას შორის.

ახალ სალიტერატურო ქართულში ზოგჯერ რაკი კავშირი დროულობის გამოხატვის ფუნქციით გამოიყენება. საენათმეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ „ეს არ შეიძლება ნორმად ჩაითვალოს სალიტერატურო ენისათვის“ (მიძიგური, 1973: 79).

დროის გარემოებით დამოკიდებულ წინადადება, რომელსაც მთავართან აერთებს კავშირი რაკი, გვიჩვენებს მთავარ წინადადებაში გადმოცემული მოქმედების დასაწყისს, ხოლო მთავარი წინადადება იმას, თუ რა მოხდა დამოკიდებულ წინადადებაში დასახელებული მოქმედების შემდეგ. ამ ტიპის დამოკიდებული წინადადება ხშირად ბოლოშია: „ოთარაანთ ქვრივი მაშინვე გამოიცვალა და ისევ საქმიან დედაკაცად იქცა, რაკი სიტყვა საქმეზედ მიდგა“ (ჭავჭავ. 407, 28-30), „წაიქვითინა ეხლა მეწისქვილემ, რაკი გული ვეღარ შეიმარგა“ (ჭავჭავ. 432, 5-6), „ეხლა კი წაიშინა თავში ხელი ოთარაანთ ქვრივმა, რაკი მარტო იგრძნო თავი“ (ჭავჭავ. 436, 26-27) ან მთავარ წინადადებაში შეიძლება იყოს ფრაზა მას აქეთ: „მას აქეთ, რაკი შენდამი ვცან მე სიყვარული, ჰოი მამულო, გამიკრთა მე ძილი და შვება! (ჭავჭავაძე, 45, 16-17).

რაკი კავშირი ნიშანდობლივია ახალი და თანამედროვე სალიტერატურო ქართულისათვის მიზეზის გარემოებით დამოკიდებულ კონსტრუქციაში. „იგი ერთგვარ სემანტიკურ ნიუანს ამჟღავნებს სხვა მიზეზობით კავშირთან შედარებით: ეს ის კონსტრუქციაა, სადაც დროისა და კაუზალობის კატეგორიები მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული, - სათანადო ტიპის წინადადება იძლევა როგორც დროულობის, ისე კაუზალობის (მიზეზობრიობის) გაგებას“ (მიძიგური, 1973: 106).“

სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია: „თუ დავაკვირდებით რაკი კავშირის სემანტიკას, დავრწმინდებით, რომ ზოგჯერ ძნელი გასარჩევია, დროულობის კავშირია იგი თუ მიზეზობითი“ (მიძიგური, 1973: 436).

დამოკიდებული წინადადების კლასიფიკაციისას მნიშვნელოვანია საკორელაციო სისტემა, დროის გარემოებით დამოკიდებულ კონსტრუქციაში კირელატი იქნება - მაშინ (როცა/როდესაც), მიზეზის გარემოებით დამოკიდებულ კონსტრუქციაში კი - ამიტომ (რადგანაც/იმიტომ რომ).

„რაკი ტყეებსა და მთებს გაეკიდა, გზას კაჭკაჭი ვეღარ იგნებდა“ (ვაჟა-ფშაველა, 30, 19).

დამოკიდებული წინადადება: **რაკი ტყეებსა და მთებს გაეკიდა** - ერთდროულად იძლევა დროის გაგებასაც და მიზეზობითობასაც, ეს კარგად გამოჩნდება თუ, ერთი მხრით, **რაკი-ს** ადგილას ჩავსვამთ ტიპობრივ მიზეზობით კავშირს - **რადგანაც/ იმიტომ რომ:**

რადგანაც/იმიტომ რომ ტყეებსა და მთებს გაეკიდა, გზას კაჭკაჭი ველარ იგნებდა.

და მეორე მხრით, **რაკი** კავშირის ადგილას ჩავსვამთ ტიპობრივ დროულობის კავშირს - **როდესაც/როცა** გვექნება:

როდესაც/როცა ტყეებსა და მთებს გაეკიდა, გზას კაჭკაჭი ველარ იგნებდა.

ორი ყალიბის წინადადების ეს სემანტიკური სიახლოვე დაკავშირებულია დროისა და მიზეზობითი გარემოების კატეგორიათა ურთიერთმიმართებასთან. აქ დროულობა და მიზეზობრიობა გადაჯაჭვულია ერთმანეთთან.

ამ ტიპის მიზეზის გარემოებით დამოკიდებულ ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში შემავალი დამოკიდებული წინადადება ჩვეულებრივ თავშია, ხოლო მთავარში მისათითებლად შეიძლება შეგვხვდეს „ამიტომ“, „ამის გამო“ ან მისათითებელი ზმნიზედა მთავარში არ იყოს წარმოდგენილი. ასეთ დროს მიზეზობრივი ურთიერთობა მკვეთარდ არ იკვეთება და დამოკიდებული წინადადება დროის გაგებას იძლევა.

საენათმეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ „**რაკი**“ კავშირის ფუნქციის გასარკვევად უნდა გამოვიყენოთ სხვა კავშირის შენაცვლების ხერხი, კერძოდ: თუკი წინადადებაში **რაკი** კავშირი შეიცვლება **როცა** -თი, მაშინ იგი დროის გარემოებითი დამოკიდებულისაა, ხოლო, თუ **რაკი** კავშირს ცვლის **რადგანაც**, მაშინ დამოკიდებული წინადადება მიზეზის გარემოებითია“ (ფეიქრიშვილი, 271). თუ ზემოთქმულს გავითვალისწინებთ ჩანაცვლების ხერხი ზუსტ სურათს არ გვაძლევს და საკითხი კვლავ აქტუალურია.

რაკი კავშირიანი ჰიპოტაქსური კონსტრუქციის წინადადებათა გასამიჯნავად მნიშვნელოვანია ზმნა-შემასმენლის დრო. რადგან მიზეზი წარსულშია საძიებელი, იგი წინმსწრებ მოვლენას ასახავს და მას თხრობითი კილოს ფორმები შეეწყობა, ხოლო დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება, რომელსაც მთავართან აერთებს კავშირი **რაკი**, გვიჩვენებს მთავარ წინადადებაში გადმოცემული მოქმედების დასაწყისს, ხოლო მთავარი წინადადება იმას, თუ რა მოხდა, ხდება ან მოხდება დამოკიდებულ წინადადებაში დასახელებული მოქმედების შემდეგ.

თუ ერთდროულად გამოვიყენებთ სხვა ტიპობრივი კავშირის შენაცვლებისა და ზმნა-შემასმენლთა მომავალ დროში გადაყვანის ხერხს, დავინახავთ, რომ **რაკი** კავშირს თავისუფლად არ ცვლის კავშირი **რადგანაც/იმიტომ რომ** და ჩანაცვლებული ზმნა-შემასმენლის მომავალი დროის ფორმაც არაბუნებრივია, მაგალითად:

„რაკი დათიკოს სკოლაში **გავისტუმრებდი** და სახლს **დავგვიდი**, მთელი დღე ისე გულხელდაკრეფილი **ვიჯექი**“ (ჭავჭავაძე, 196, 21-22-23);

რაკი/როდესაც/რადგანაც დათიკოს სკოლაში **გავისტუმრებდი** და სახლს **დავგვიდი**, მთელი დღე ისე გულხელდაკრეფილი **ვიჯექი**“;

როდესაც/როცა დათიკოს სკოლაში **გავისტუმრებ** და სახლს **დავგვი**, მთელი დღე ისე გულხელდაკრეფილი **დავჯდები**;

იმიტომ რომ/რადგანაც დათიკოს სკოლაში **გავისტუმრებ** და სახლს **დავგვი**, მთელი დღე ისე გულხელდაკრეფილი **დავჯდები** (ეს უკანასკნელი არაბუნებრივია ქართული ენისათვის).

„რაკი ტყეებსა და მთებს **გაეკიდა**, გზას კაჭკაჭი ველარ **იგნებდა**“ (ვაჟა-ფშაველა, 30, 19);

რაკი/როდესაც/რადგანაც ტყეებსა და მთებს **გაეკიდა**, გზას კაჭკაჭი ველარ **იგნებდა**“;

როდესაც/როცა ტყეებსა და მთებს **გაეკიდება**, გზას კაჭკაჭი ველარ **გაიგნებს**;

იმიტომ რომ/რადგანაც ტყეებსა და მთებს **გაეკიდება**, გზას კაჭკაჭი ველარ **გაიგნებს** (ეს უკანასკნელი მაგალითი არაბუნებრივია ქართული ენისათვის).

„მას აქეთ, რაკი შენდამი ვცან მე სიყვარული, ჰოი მამულო, გამიკრთა მე ძილი და შვება! (ჭავჭავაძე, 45, 16-17);

მას აქეთ, რაკი/როდესაც/რადგანაც შენდამი ვცან მე სიყვარული, ჰოი მამულო, გამიკრთა

მე ძილი და შვება!

მას აქეთ, როცა/როდესაც შენდამი ვიცნობ მე სიყვარულს, ჰოი მამულო, გამიკრთება მე ძილი და შვება!

მას აქეთ, იმიტომ რომ/რადგანაც შენდამი ვიცნობ მე სიყვარულს, ჰოი მამულო, გამიკრთება მე ძილი და შვება! (ეს უკანასკნელი მაგალითი არაბუნებრივია ქართული ენისათვის).

რაკი ტრედისფრად ცა ინათდებდა და შორს ცისკარი კამკამს იწყებდა, მეძროხე ვინმე დაგვიძახებდა (ჭავჭავაძე, 108.7-9);

რაკი/როდესაც/რადგანაც ტრედისფრად ცა ინათდებდა და შორს ცისკარი კამკამს იწყებდა, მეძროხე ვინმე დაგვიძახებდა;

როდესაც/როცა ტრედისფრად ცა ინათდებდა და შორს ცისკარი კამკამს იწყებდა, მეძროხე ვინმე დაგვიძახებდა;

იმიტომ რომ/რადგანაც ტრედისფრად ცა ინათდებდა და შორს ცისკარი კამკამს იწყებდა, მეძროხე ვინმე დაგვიძახებდა (ესეც არ გამოდგება).

„**რაკი მოსამართლენი მარტოკა დარჩნენ, ისევ დაიყვნენ ჯგუფებად და დაიწყეს ერთმანეთში მოლაპარაკება**“ (ყაზბეგი, 137, 19-20);

რაკი/როდესაც/რადგანაც მოსამართლენი მარტოკა დარჩნენ, ისევ დაიყვნენ ჯგუფებად და დაიწყეს ერთმანეთში მოლაპარაკება;

როდესაც/როცა მოსამართლენი მარტოკა დარჩებიან, ისევ დაიყვებიან ჯგუფებად და დაიწყებენ ერთმანეთში მოლაპარაკებას;

იმიტომ რომ/რადგანაც მოსამართლენი მარტოკა დარჩებიან, ისევ დაიყვებიან ჯგუფებად და დაიწყებენ ერთმანეთში მოლაპარაკებას (თავისუფლად ვერ ეგუება მიზეზობითი კავშირი).

ჰგონია ბედნიერება **მომანიჭა, რაკი უღრანს, უდაბურს ადგილს მომაშორა** (ვაჟა-ფშაველა, 42, 21);

ჰგონია ბედნიერება **მომანიჭა, რაკი/როდესაც/რადგანაც უღრანს, უდაბურს ადგილს მომაშორა;**

ჰგონია ბედნიერებას **მომანიჭებს, როცა/როდესაც უღრანს, უდაბურს ადგილს მომაშორებს;**

ჰგონია ბედნიერებას **მომანიჭებს, რადგანაც/იმიტომ რომ უღრანს, უდაბურს ადგილს მომაშორებს** (თავისუფლად ეგუება მიზეზობითი კავშირი).

„**რაკი გულში ვისმე ქალის ფიქრს ჩაიდებდა, თავის გულის წადილისათვის არაფერს დაერიდებოდა, არაფერს არ ითაკილებდა, არაფერს და არავის დაზოგავდა**“ (ჭავჭავაძე, 231, 5-7);

რაკი/როდესაც/რადგანაც გულში ვისმე ქალის ფიქრს ჩაიდებდა, თავის გულის წადილისათვის არაფერს დაერიდებოდა, არაფერს არ ითაკილებდა, არაფერს და არავის დაზოგავდა;

როცა/როდესაც გულში ვისმე ქალის ფიქრს ჩაიდებს, თავის გულის წადილისათვის არაფერს დაერიდება, არაფერს არ ითაკილებს, არაფერს და არავის დაზოგავს;

რადგანაც/იმიტომ რომ გულში ვისმე ქალის ფიქრს ჩაიდებს, თავის გულის წადილისათვის არაფერს დაერიდება, არაფერს არ ითაკილებს, არაფერს და არავის დაზოგავს (თავისუფლად ვერ იგუებს მიზეზობით კავშირს).

„**რაკი იცნო, ხმა გაკმინდა**“ (ყაზბეგი, 123, 7);

რაკი/როდესაც/რადგანაც იცნო, ხმა გაკმინდა;

როცა/როდესაც იცნობს, ხმას გაკმენდავს;

რადგანაც/იმიტომ რომ იცნობს, ხმას გაკმენდავს/ხმას გაკმენდავს, იმიტომ რომ იცნობს (თავისუფლად ეგუება მიზეზობითი კავშირი).

„რაკი ერთხელ სიტყვას მოგცემენტ, უკანასკნელი სულის აღმოხდამდის მოგყვებიან“ (ყაზბეგი, 329, 9-10);

რაკი/როდესაც/რადგანაც ერთხელ სიტყვას მოგცემენტ, უკანასკნელი სულის აღმოხდამდის მოგყვებიან;

როცა/როდესაც ერთხელ სიტყვას მოგცემენტ, უკანასკნელი სულის აღმოხდამდის მოგყვებიან;

რადგანაც/იმიტომ რომ ერთხელ სიტყვას მოგცემენტ, უკანასკნელი სულის აღმოხდამდის მოგყვებიან (თავისუფლად ეგუება მიზეზობითი კავშირი).

„რაკი ვლადიკავკასიდან გამოვედი და ჩემი ქვეყნის სიომ დამკრა, გულმა სულ სხვაგვარად დამიწო ფეთქვა“ (ჭავჭავაძე, 167, 30-31);

რაკი/როდესაც/რადგანაც ვლადიკავკასიდან გამოვედი და ჩემი ქვეყნის სიომ დამკრა, გულმა სულ სხვაგვარად დამიწო ფეთქვა;

როცა/როდესაც ვლადიკავკასიდან გამოვალ და ჩემი ქვეყნის სიო დამკრავს, გული სულ სხვაგვარად დამიწყებს ფეთქვას;

რადგანაც/იმიტომ რომ ვლადიკავკასიდან გამოვალ და ჩემი ქვეყნის სიო დამკრავს, გული სულ სხვაგვარად დამიწყებს ფეთქვას (თავისუფლად ვერ იგუებს მიზეზობით კავშირს).

„დეე, თავის ნებაზედ იყოს, მე არ ვუშლი, რაკი თვითონ არ იშლის“ (ჭავჭავ. 413, 8-9)

დეე, თავის ნებაზედ იყოს, მე არ ვუშლი, რაკი/როდესაც/რადგანაც თვითონ არ იშლის;

დეე, თავის ნებაზედ იყოს, მე არ დავუშლი, როცა/როდესაც/თვითონ არ დაიშლის;

დეე, თავის ნებაზედ იყოს, მე არ დავუშლი, რადგანაც/იმიტომ რომ თვითონ არ დაიშლის (თავისუფლად ეგუება მიზეზობითი კავშირი).

საანალიზო წყაროზე დაყრდნობით, როდესაც რაკი კავშირი დროის გარემოებით დამოკიდებულ კონსტრუქციში მონაწილეობს, მიუთითებს, რომ დამოკიდებულ წინადადებაში გამოხატულ მოქმედებას დაუყოვნებლივ ან მალევე მოჰყვება მთავარში წარმოდგენილი მოქმედება.

ვფიქრობ, სადავო ფორმების არსებობის შემთხვევაში რაკი კავშირის ფუნქციის გასარკვევად და ჰიპოტაქსურ კონსტრუქციათა გასამიჯნავად, უნდა გამოვიყენოთ სხვა კავშირის შენაცვლებისა და ზმნა-შემასმენლთა მომავალ დროში გადაყვანის ხერხი, კერძოდ: თუკი რაკი კავშირს თავისუფლად არ ცვლის კავშირი რადგანაც/იმიტომ რომ და ჩანაცვლებული ზმნა-შემასმენლის მომავალი დროის ფორმაც არაბუნებრივია, მაშინ იგი დროის გარემოებითი დამოკიდებულისაა, ხოლო, თუ თავისუფლად შეიცვალა, მაშინ დამოკიდებულებული წინადადება მიზეზის გარემოებითია.

ლიტერატურა:

1. აფრიდონიძე, შ. (1986) - სიტყვათგანლაგება ახალ ქართულში, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.
2. ბურჭულაძე, თ. (2014) - ჰიპოტაქსის საკითხები ქართულში, ენათმეცნიერების ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი.
3. გეგუჩაძე, ლ. (2005) - მწკრივთა შესაძლო შეფარდებისა და დროთა თანამიმდევრობის საკითხი ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში, თბილისი.
4. ერთელიშვილი, ფ. (1962) - რთული წინადადების ისტორიისათვის ქართულში, I ჰიპოტაქსის საკითხები, თბილისი.
5. კვაჭაძე, ლ. (1996) - თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, გამომცემლობა „რუბიკონი“, თბილისი.
6. ფეიქრიშვილი, ჟ. (1996) - ქართული ენის სინტაქსი, სააქციო საზოგადოება „სტამბის“, საგამომცემლო ცენტრი, ქუთაისი.
7. ძიმიტური, შ. (1973) - კავშირები ქართულ ენაში, თბილისი.

საანალიზო წყაროები:

1. ვაჟა-ფშაველა (1964): თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად. ტომი V, გამომცემლობა საბჭოთა საქართველო, თბილისი.

2. ყაზბეგი, ალ. (1984): ელგუჯა, ხევსბერი გოჩა, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.
3. ჭავჭავაძე, ი. (1985): თხზულებანი, ლექსები, პოემები, მოთხრობები, წერილები, ტომი IV, გამომცემლობა „ნაკადული“, თბილისი.

Functional Varieties of a Dependent Sentence with the Conjunction “რაკი”

Pilashvili Elene

Iakob Gogebashvili Telavi State University, Telavi

Abstract

Adjective is one of the organizing components of the sentence structure. Adjectives sharing the same sound composition carry various semantics, participate in different constructions and have a certain function.

The conjunction რაკი is used in a hypotaxic construction containing circumstantial dependent clauses of time and cause. Circumstantial dependent clauses of time and cause principally differ from each other in their content, but sometimes it is difficult to accurately qualify the conditional dependent clauses because, apart from formal coincidences, they adapt to the conjunction and the grammatical forms of time and mood of verb-predicate, at the same time the categories of time and cause are closely related to each other.

Based on the materials analysed below, we can conclude that the grammatical category of verb—predicate principally matters in identifying the sentences of hypotaxic construction containing the conjunction “რაკი”. Since the cause is to be sought in the past, it reflects the previous event and adjusts to the indicative mood; while the circumstantial dependent clause of time, which is linked with the main clause starting with the conjunction “რაკი”, shows the beginning of the action conveyed in the main clause, and the main clause shows what happened, is happening or will happen in the dependent clause after the indicated action.

In case of disputed forms, in order to clarify the function of the the conjunction “რაკი” and distinguish hypotaxic constructions, method of replacing another conjunction and transferring the verb-predicate to the future tense are hily recommended, i.e. if the conjunction “because/as long as” is unable to completely replace the conjunction “რაკი” and the future tense form of the replaced verb-predicate is unnatural, in such case it belongs to the construction of the circumstantial dependent clause of time; in case it is easily replacable then the dependent clause is circumstantial of cause.

Key words: *syntax, conjunction რაკი, hypotaxic construction, semantics*

Linguistic Understanding of the Image of the "Mother" in English and French Literature

Garibashvili Manana*

<https://orcid.org/0000-0002-5118-3690>

Tkemaladze Inga**

Kochauri Maka*

იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი*
შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, თბილისი**

DOI: <https://doi.org/10.52340/idw.2023.41>

Abstract. *The image of the mother is immensely important both in literature and culture all over the universe. Mother is the bedrock and the symbol of life. That's why the image of mother is frequently depicted in fiction literature by various authors whose principal role is to raise the mother's image to the level of character which is not an easy task to be done at all. The writer should tend to harmonize the features of the mother, which in most cases are similar in every nation, and create a highly sensitive text which will possibly express and highlight all the important pragmatic features of the mother. It is important to mention that mothers are rarely negatively characterized by the writers in the literature of any country because the mother is considered to a source of inspiration for many writers, no matter what era or literary movements do they belong to.*

The goal of this study is the analysis of the image of the mother based on the literary texts belonging to the English and French literature. For this reason, we have identified certain texts i.e. literary works. Thus, we aim to make linguistic analysis and more specifically stylistic analysis of the portrayal of the mother from the English and French literature. Based on our findings we will try to discover and outline the general qualities of the mother and motherhood and the ways how they are represented throughout the texts.

Key words: *Image of the mother, pragmatic features of the mother, English literature, French Literature*

The image of the mother is immensely important both in literature and culture all over the universe. Mother is the bedrock and the symbol of life. The way mother raises her child has a great influence on her child's life and attitude towards the world. Correspondingly, mothers occupy an important place in children's life. According to Fraustino and Coats (2016: 3) “[I]iving or dead, present or absent, sadly dysfunctional or merrily adequate, the figure of the mother bears enormous freight across a child's emotional and intellectual life”. For this reason, that writers often integrate the image of mother in their literary works.

In general, the stereotypical image of mother is that of the child's protector and educator who teaches her child the values of love and care. According to Mcknight (1997:5), “motherhood was the corn stone of the social structure”. That's why the image of the mother is frequently depicted in fiction literature by various authors whose principal role is to raise the mother's image to the level of character which is not an easy task to be done at all. The writer should tend to harmonize the features of the mother, which in most cases are similar in every nation, and create a highly sensitive text which will possibly express and highlight all the important pragmatic features of the mother. It is important to mention that mothers are rarely negatively characterized by the writers in the literature of any country because the mother is considered as the source of inspiration for many writers, no matter what era or literary movements do they belong to.

The goal of this study is the analysis of the image of the mother based on the literary texts belonging to the English and French literature. For this reason, we have identified some literary

texts. Thus, we aim to make a linguistic analysis and more specifically stylistic analysis of the portrayal of the mother from the English and French literature. Based on our findings we will try to discover and outline the general qualities of the mother and motherhood and the ways how they are represented throughout the texts.

For this reason, we have selected patterns describing either the portrait of the mother or her image, qualities and characters in various literary texts from the English and French literature as an empirical material.

Melinda Cross in her literary work "One Hour of Magic" gives a distinct depiction of the nature of motherhood by the following words: "**Motherhood doesn't have a nationality**", which once again proves that motherhood is a sacred duty in every nation life and the representation of this essence is extraordinary diverse and literal throughout the literature.

One of the literary texts attracting our interest during the analysis appeared to be "Little Women" by Louisa May Alcott. The story is about the sisters who grow up, find love and manage to find their place on the world. With them there stand their mother who is also one of the main characters of the story. Under the author's decision the word "Mother" is used with the capital letter in the whole text which, to some extent, is a respect towards parental issues.

Very interesting epithets are used to describe the mother throughout the text. E.g. the author uses quite many fixed epithets such as: "**cheerful lady**" "**motherly lady**" "**motherly face**".... "**the mother of invention**", as well as the argumentative epithets which precisely express her soul and inner character: **a "can I help you" look..... "a born singer"** .

Mrs. March is always happy to be with her children and extremely enjoys their tender attitudes toward her in such a way "**than if it had given back the rosy roundness of her youth**". The very last line is extraordinary artistic phrase which may serve for expressing several literary means (simile, hyperbole, metaphor) simultaneously.

Mother is the only person who knows immediately what is going on in her children's heart: "**For motherly eyes are quick to see any change in children's faces**".

The following example extracted from a very famous novel "The Time Travelers Wife" by Audrey Niffenegger metaphorically describes mothers' relations towards their children: "**Think for a minute, darling: in fairy tales it's always the children who have the fine adventures. The mothers have to stay at home and wait for the children to fly in the window.**"

The depth of love and care towards children is compared to some illusory feelings with the help of the simile in the following words "**Mothers are all slightly insane**" (J.D. Salinger, Catcher in the Rye).

Janet Fitch in her work "White Oleander" uses a very interesting stylistic device – metonymy for describing the essence of motherhood: "**You were my home, Mother. I had no home but you**".

There are numerous examples presenting the image of mother in the French literature. In 1954, poet and writer Albert Cohen dedicated a magnificent ode to his late mother. The story "My Mother" (Albert Cohen - "Le livre de ma mère") is addressed to all mothers all over the world. The author uses highly literary terms for expressing the image of the mother:

1. „Holy Mother“/"sainte mère"
2. „guardant of love“/"guetteuse d'amour"
3. „benevolent“/"bienfaitrice"
4. „luscious distributor“/ "douce dispensatrice"
5. „a genius of love“/ "génie de l'amour"

It should also be noted that Cohen's mother is sometimes compared to a small vulnerable girl, and the author uses the following expressions, which mainly use the words poor, little, girl, child:

1. My innocent/"mon inoffensive"
2. My miserable one/ "ma pauvre chérie"
3. A bashful child/ "une timide enfant"
4. My miserable enthusiast/ "ma pauvre enthousiaste"
5. My little chill/ "ma petite enfant"
6. My ear little girl/"ma petite fille chérie"

7. My dotish little girl/"petite fille pas dégourdie"

It should also be noted that Cohen often uses slang words to describe his mother, e.g.

1. Car elle était peu **ROUBLARDE** en toilette, p. 16
2. Car elle avait, *ma pauvre chérie*, un complexe d'infériorité **PAS PIQUÉ DES COCCINELLES** p. 47
3. Elle était un peu **NIGAUDE** p. 66
4. Elle était peu **DÉBROUILLARDE** p. 57
5. Si **EMPOTÉE** p.66

Cohen can also dramatically describe his own mother:

1. Elle me considérait si tendrement, avec folie et malheur /.../ d'elle soudain si vieille, défaite et décoiffée et le chapeau mal mis et absurdement de travers, la bénédiction d'elle, exposée, déconfite, misérable, vaincue, paria, si dépendante et obscure, un peu folle de malheur, un peu imbécile de malheur, p. 107
2. Impuissante et condamnée, p. 108.
3. Debout et piteuse à la portière du wagon p. 111
4. Décoiffée, le chapeau piteusement de côté, la bouche stupéfaite de malheur, les yeux brillants de malheur p. 166
5. Somnolence d'esclave p. 85
6. Servante p. 84
7. Somnolence d'esclave p. 85

Sometimes when talking about mother, there is an ambiguity in the words, e.g.

1. Elle se faisait belle et ornée, ma mère p. 14
2. Émue comme une petite fille de distribution de prix, ma vieillissante mère p. 16
3. Et ils verraient quelle femme capable elle était, quelle reine de maison. p. 17
4. Ses petites mains potelées et de peau si fine /.../ Elle était si adroite pour la cuisine, si maladroite pour tout le reste. Mais dans sa cuisine, où elle gardait son pimpant de vieille dame, quel fameux capitaine résolu elle était. p. 18
5. Grâce gauche et majestueuse, p. 18
6. Très sage en sa domestique prêtrise, satisfaite de son pauvre petit convenable destin de solitude /.../ /.../ Un mari, un fils à guider et à servir, avec une humble majesté. p. 19
7. Cette guetteuse d'amour, /.../
8. Emue, digne, presque coquette /.../ émue d'être digne et embellie de sabbat /.../ elle était alors si jolie, ma vieille Maman qui se mouvait avec peine, ma Maman. p. 22
9. Elle était déjà vieille en ce temps-là, petite et de quelque embonpoint. Mais ses yeux étaient magnifiques et ses mains étaient mignonnes /.../ avec sa petite main. 27
10. Reine de Saba déguisée en bourgeoise p. 45
11. Très sages et bien élevés /.../ on était des naïfs p. 48
12. Une timide enfant p. 59
13. Linotte et petite fille p. 64

It is worth noting that in the physical description of the mother, Cohen describes the features characteristic of the mother and does not paint us a real portrait; these features are never positive, because he systematically uses the verb "slightly, a little" or the adjective "poor" as if emphasizing the inferiority of the mother,:

1. *Car elle était peu ROUBLARDE en toilette, p. 16*
2. *Elle était peu DÉBROUILLARDE p. 57*
3. *Elle était un peu nigaude p. 66*
4. *Pauvre ROULÉE d'avance. p. 55*
5. *Ma pauvre chérie p. 66*
6. *Ma pauvre enthousiaste p. 72*

Cohen often uses words or nominal groups together with adjectives to give a special emotional coloring and to emphasize his love for his mother.

1. «Chérie»;

2. *«mon adorable»;*
3. *«ma bien-aimée»;*
4. *«ma petite fille chérie»;*
5. *«mon incomparable»*

Cohen has often used euphoric/emotional comparisons when describing his mother:

1. Naïve dignité de fille de notables d'un âge disparu. p. 14.
2. Son honneur de dame d'Orient. p. 15
3. Prêtresse de son fils, ô majesté... p. 15
4. Majesté de ma mère. p. 18
5. La servante et la gardienne. Cette femme, qui avait été jeune et jolie, était une fille de la loi de Moïse, p. 19.
6. Le saint amour de ma mère p. 19
7. Ma sainte mère p. 21
8. Sainte sentinelle p. 22
9. Une vraie sainte, qui ne savait pas qu'elle était une sainte p. 75
10. Toi *humble* et méconnue, ma géniale, p. 75.
11. Chérie, p. 76
12. Mon adorable. p. 82
13. Ma bien-aimée p. 83
14. À la bonté la plus sacrée p. 88
15. La bienfaitrice, la douce dispensatrice. p. 96
16. Ma mère était un génie de l'amour. p. 102
17. Mon incomparable. p. 108
18. La sainte Maman p. 156
19. C'est la majesté de l'amour, la loi sublime, un regard de Dieu. p. 167
20. Une femme âgée et bonne, *qui pleure comme une petite fille* p. 168.
21. Jérusalem vivante. p. 79.
22. Sainte patience. p. 165

It is also worth noting that Cohen often uses nouns and adjectives such as "Sainte" to address his mother. In the French language, this word is used in several definitions:

1. as a noun - A person who, after his death, is the object of public veneration by the Catholic Church, because of the Christian perfection he achieved during his lifetime.
2. A person of exemplary virtue and patience
 1. *The holy love of my mother/Le saint amour de ma mère p. 19*
 2. *My holy mother/Ma sainte mère p. 21*
 3. *The spark of sanctity/Sainte sentinelle p. 22*
 4. *A true saint who did not even know that he was a person of exemplary virtue and patience/ Une vraie sainte, qui ne savait pas qu'elle était une sainte p. 75*
 5. *My holy mother/La sainte Maman p. 156*
 6. *Model patience/Sainte patience. p. 165*

In French literature, it is hard to find a work where so many metaphors, epithets and comparisons are used to create a mother's image, not only an ideal, flawless image, but sometimes ironic, derogatory. It is impossible to be found in any literary work such an expression as *a Living Jerusalem/ Jérusalem vivante. p. 79*

In conclusion it can be said that motherhood and mother's image are a very interesting issues of discussion in the literature of any country. Writers and poets of all nations use interesting literary devices to portray the image of mother in their literary works.

References:

Fraustino, Lisa Rowe & Karen Coats. 2016. Mothers in Children's and Young Adult Literature. From the Eighteenth Century to Postfeminism. Jackson: University Press of Mississippi.

McKnight, Natalie. 1997. *Suffering Mothers in Mid-Victorian Novels*. Basingstoke: Macmillan Press
Albert Cohen - "Le livre de ma mère" retrieved from chrome-
extension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj/http://palimpsestes.fr/textes_divers/c/cohen/livre_mere.pdf
Louisa May Alcott - "Little Women" retrieved from chrome-
extension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj/https://www.planetpublish.com/wp-
content/uploads/2011/11/Little_Women_NT.pdf

„დედის“ სახის ლინგვისტური გააზრებისათვის ინგლისურ და ფრანგულ ლიტერატურაში

დარიბაშვილი მანანა *

<https://orcid.org/0000-0002-5118-3690>

ტყემალაძე ინგა**

კოჭაური მაკა*

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, თბილისი**
იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი,თელავი*

აბსტრაქტი

დედის იმიჯი მეტად მნიშვნელოვანია როგორც ლიტერატურაში, ასევე კულტურაში მთელ სამყაროში. დედა სიცოცხლის საფუძველი და სიმბოლოა. ამიტომ, დედის გამოსახულება მხატვრულ ლიტერატურაში ხშირად არის გამოხატული სხვადასხვა ავტორის მიერ, რომელთა მთავარი როლი დედის იმიჯის პერსონაჟის დონეზე აყვანაა, რაც სულაც არ არის ადვილი შესასრულებელი. მწერალმა უნდა შეძლოს დედის თვისებების ჰარმონიზაცია, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში, მსგავსია ყველა ერისთვის და შექმნას უაღრესად მაღალმხატვრული ტექსტი, რომელიც შესაძლოა გამოხატავდეს დედის ყველა მნიშვნელოვან პრაგმატულ თვისებას. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ დედებს მწერლები იშვიათად ახასიათებენ უარყოფითად, ვინაიდან, დედა არაერთი მწერლის შთაგონების წყაროა.

წინამდებარე კვლევის მიზანია „დედის“ სახის ანალიზი ინგლისურ და ფრანგულ ლიტერატურულ ტექსტებზე დაყრდნობით. ამგვარად, ჩვენი კვლევის მიზანია დედის იმიჯის ლინგვისტური, უფრო ზუსტად კი, სტილისტური გააზრება. მიღებული დასკვნების საფუძველზე, შევეცდებით, გამოვავლინოთ და გამოვყოთ დედისა და დედობის ზოგადი თვისებები და მათი წარმოჩენის გზები მხატვრულ ტექსტებში.

საკვანძო სიტყვები: დედის სახე, დედის პრაგმატული მახასიათებლები, ინგლისური ლიტერატურა, ფრანგული ლიტერატურა

გოდერძი ჩოხელის შემოქმედების ფერთა პალიტრა

წიგნაძე შორენა

იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი

DOI: <https://doi.org/10.52340/idw.2023.42>

აბსტრაქტი: სტატიაში ყურადღება გავამახვილეთ გოდერძი ჩოხელისეულ ფერთა ენობრივ სამყაროზე, ფერის აღმნიშვნელი სიტყვების გრამატიკულ ასპექტებზე, როგორი ტიპის კონსტრუქციით, სიტყვათა როგორი სტრუქტურული ერთეულებით ცდილობს მწერალი ფერთა სამყაროს აღწერას, რომელ სტილისტიკურ საშუალებებს იყენებს მათ გადმოსაცემად.

ნაწარმოებებში გვხვდება ფერის აღმნიშვნელი:

მარტივი სიტყვები - შავი, თეთრი, მწვანე, ლურჯი, ქერა.

წარმოქმნილი - სხვადასხვა მაწარმოებელი აფიქსების საშუალებით.

კომპოზიტები: ჩალისფერი, ვარდისფერი, ლანდისფერი, ქალობაზნელი, მტრედისფერი, ყვითელხალათიანი, რძისფერი, მზისფერი, თავგისფერი, ძაღლისფერი, კურდღლისფერი, მგლისფერი, იისფერი, ტყვიისფერი, რძისფერი,

საკმაოდ საინტერესოა მწერლისეული მიერ აღქმული და მკითხველამდე მიტანილი ფერთა ენობრივი სამყაროს ამსახველი ლექსიკა-ფრაზეოლოგია.

ამა თუ იმ ფერის უკეთ აღსაქმელად, უფრო ნათლად წარმოსახვისა და ემოციათა ექსპრესიულობისათვის უხვად ვხვდებით ტროპული მეტყველების ნიმუშებს. მათ შორის, აღსანიშნავია შედარება, სადაც ერთ-ერთ კომპონენტად გვხვდება:

ზოონიმები: მტრედი, მგელი, თავგი, ძაღლი, კურდღელი. **მცენარეთა (ფლორა) სახელწოდებები:** ვარდი, ია, ჩალა. **გასტრონომიული ერთეულები:** რძისფერი. **ციური სხეულები:** მზისფერი. შესადარება ასევე გამოხატულია შემდეგი ერთეულები: - ვით, ასეთი/ისეთ, მსგავსი.

შედარების გარდა, ტროპული მეტყველებიდან გვხვდება: **ეპითეტები, გაპიროვნება, მეტონიმია, ფრაზეოლოგიზმები.**

ფერის აღმნიშვნელი სიტყვები მწერალთან დასტურდება ნაწარმოების სათაურების შემადგენელ კომპონენტად. რომანში „წითელი მგელი“ გვხვდება თეთრი საკუთარი სახელის შემადგენლობაში - თეთრუა.

გოდერძო ჩოხელის შემოქმედებაში უარყოფითი კონტექსტის გადმოსაცემად ყველაზე ხშირად გვხვდება შავი ფერი და ზოონიმი მგელი, ხოლო დადებითის დროს - თეთრი. მისი შემოქმედების ენობრივი სამყარო ძირითადად მის ლექსიკა-ფრაზეოლოგიაში ვლინდება, სადაც ვხვდებით დიალექტურ გამოთქმებს. დიალექტური მეტყველება მწერალს აძლევს შესაძლებლობას გამოხატოს პერსონაჟის ფსიქოლოგიური თუ სულიერი განწყობილება. პერსონაჟთა გარემოს, ფლორისა თუ ფაუნის აღწერის დროს კილოური მეტყველებისა და ხალხური ლექსიკა-ფრაზეოლოგის გამოყენებით გოდერძი ჩოხელმა გვიჩვენა მისეული ფერთა პალიტრის ენობრივი სამყარო და ინდივიდუალური სტილი.

საკვანძო სიტყვები: გოდერძი ჩოხელი, ფერი, ტროპული მეტყველება, ემოცია, ექსპრესია.

გოდერძი ჩოხელი მე-20 საუკუნის ერთ-ერთი გამორჩეული მწერალია, რომელმაც მკითხველთა ყურადღება თავისი ღრმა ფილოსოფიური აზროვნებით მიიპყრო. გოდერძი ჩოხელი არის მწერალი, რომელიც ცდილობს წარმოაჩინოს სიკვდილ-სიცოცხლის არსი, ადამიანის არსებობის არსი. იგი აღწერს გუდამაყარსა და მის მკვიდრთა ცხოვრებას, მათ ყოფაში წარმართული და ქრისტიანული რელიგიების თანაარსებობას, მათ ტრადიციებსა და

სამყაროსეულ ხედვას. გოდერძი ჩოხელი თავის შემოქმედებაში მრავალ საკითხზე მსჯელობს, იქნება ეს: მეგობრობა თუ მტრობა, სიყვარული თუ სიძულვილი, ვაჟკაცობა თუ ერთგულება, სიკვდილი თუ სიცოცხლე, სიკეთე თუ ბოროტება...

გოდერძი ჩოხელს აქვს გამორჩეული წერის სტილი, სამყაროსეული მოვლენების აღქმის თავისეული ხედვა. თითოეული ადამიანი გარშემო მყოფ საგნებს, სხვა აღქმის საშუალებებთან ერთად, ვიზუალურად, მხედველობითაც აღიქვამს. საკმაოდ თავისებური და მრავალფეროვანია გოდერძი ჩოხელისეული ვიზუალური ხედვა და ამ ხედვაში მისეული ფერთა სამყარო.

სტატიაში ყურადღება გავამახვილეთ გოდერძი ჩოხელისეულ ფერთა ენობრივ სამყაროზე, რომელიც, ვფიქრობთ, საკმაოდ საინტერესო და მრავალფეროვანია. მის ფერთა სამყაროში ვხვდებით თეთრსა და შავს, ყვითელსა და ლურჯს, წითელსა და მწვანეს, ვარდისფერსა და ნარინჯისფერს, „ათასნაირ ფერად-ფერად“ ლალ თუ მწუხარებისაგან მუქად გამომზირალ ფერებს, „დარდისაგან გაწითლებულ თოვლის ფანტელებს“.

ყურადღება გავამახვილეთ ფერის აღმნიშვნელი სიტყვების გრამატიკულ ასპექტებზე, როგორც ტიპის კონსტრუქციით, სიტყვათა როგორც სტრუქტურული ერთეულებით ცდილობს მწერალი ფერთა სამყაროს აღწერას, რომელ სტილისტიკურ საშუალებებს იყენებს მათ გადმოსაცემად.

ნაწარმოებებში გვხვდება ფერის აღმნიშვნელი:

მარტივი სიტყვები - შავი, თეთრი, მწვანე, ლურჯი, მწვანე.

წარმოქმნილი - სხვადასხვა მაწარმოებელი აფიქსების საშუალებით, როგორცაა:

-იან: თეთრტანსაცმლიანი, შავსამოსიანი, შავჩიქილიანები, თეთრხალათიანი. **-ოსან:** შავოსანი.

სი -ე: სითეთრე, სითეთრეში, სიყვითლე, სიშავე. **სა-ო:** საშავეთო. **უ -ო:** უფერო. **მო -ო:** მოშავფერო. **ა:** წითელა, კაცშავა, ლურჯთვირთველა, ლურჯთვალა, თეთრწვერა, გულყვითელა, ლურჯა. **ელ-ილ:** წითელი, ყვითელი, ფერმეცვლილი, გულყვითელი. **ულ:** თეთრეული, გათეთრებული, გადათეთრებული, აწითლებულმა, ფერწასული, გაყვითლებული, გაფერმკრთალებული.

კომპოზიტები: ჩალისფერი, ვარდისფერი, ლანდისფერი, ქალობაზნელი, მტრედისფერი, ყვითელხალათიანი, რძისფერი, მზისფერი, თავგისფერი, ძაღლისფერი, კურდღლისფერი, მგლისფერი, იისფერი, ტყვისფერი, რძისფერი, მაგისფერი, (ჩალი) უკვე მიეჩვია ამ მოწყენილ და თითქმის ერთფეროვან დღეებს და ა.შ.. როგორც წარმოდგენილი მაგალითებიდან ჩანს, კომპოზიტებში უმეტესად შეერთებულია მართული მსაზღვრელისა და საზღვრულის ფუძე. გვხვდება არსებითით/ნაცვალასახელით/რიცხვითი სახელითა და მიღობით/ ზედსართავით მიღებული კომპოზიტები, ასევე ფუძის გაორკეცებით ან სინონიმური/ანტონიმური წყვილისაგან მიღებული: ჭრელ-ჭრელი, ფერად-ფერადი, მორუხო-მონაცრისფერო, წითელ-ყვითელი.

მორფოლოგიური აგებულების გარდა, საკმაოდ საინტერესოა მწერლისეული ფერთა ენობრივი სამყარო, როგორ ხედავს, როგორ აღწერს, რა საშუალებებს მიმართავს, როგორ მიაქვს მკითხველამდე სამყაროში არსებული ფერთა პალიტრა. ვფიქრობთ, ამ მხრივაც საკმაოდ საინტერესო და თავისებურია გოდერძი ჩოხელის მიერ აღქმული და მკითხველამდე მიტანილი ფერთა ენობრივი სამყარო ამსახველი ლექსიკა-ფრაზეოლოგია.

მწერალი ფერის ამსახველი სიტყვებით ერთდროულად მოქმედებს მკითხველის ვიზუალურ შერგმნებებზე და ემოციური აღქმის უნარზე. ჩოხელი ცდილობს ადამიანის წარმოსახვაში უკვე არსებული ფერის ამსახველი სურათები შეავსოს ახალი ეფექტებით, გააცოცხლოს სურათები, გაამაფროს მკითხველის განცდა, გაზარდოს ესპრესიულობა. მკითხველის მიერ ამა თუ იმ ფერის უკეთ აღსაქმელად, უფრო ნათლად წარმოსახვისა და ემოციათა ექსპრესიულობისათვის უხვად ვხვდებით ტროპული მეტყველების ნიმუშებს. მწერალი სხვადასხვა სტილისტიკურ საშუალებას მიმართავს, მათ შორის, აღსანიშნავია შედარება, სადაც ერთ-ერთ კომპონენტად გვხვდება:

ზოონიმები: სოფელი ღია თვალებით მისჩერებია მტრედისფერ ცას. **შემომგლისფერდა.** საღამოს ბინდი თანდათან გამუქდა... - მივწერ კაცს ცხორში და გამოვატანივ. ვარდისფერსაც გამოვატანივ და **თავგისფერსაც.** ამბროსას კი დედაკაცები ეხვეოდნენ და ისიც იღებდა ტომრიდან ახალ-ახალ ფერებს. -ეს **ძაღლისფერიო.** -ეს **მგლისფერიო.** -თქვენი ამბროსიკუნა

გენაცვალოთ, ეს კურდღლისფერი თქვენთვის გავაკეთებინეო.

მცენარეთა (ფლორა) სახელწოდებები: ვარდი, ია, ჩალა. მაგალითად: ვხედავ ქუდში სამი ვარდისფერი კვერცხი ჩაუდია ჩიტს. ბერმა თავისი ნაწილი ვარდისფრად შეღება. ჩალისფერი კულულები ეყარა პატარა ბეჭებზე და მხრებსაც უფარავდა. ჩალისფერი თმა კოჭებამდე სწვდებოდა სალომეს. გაფაციცებული თვალებით შეჰყურებს ხალხი იისფერ ცას.

გასტრონომიული ერთეულები: თოვს. რძისფერი სიმყუდროვეა ბურსაჭალის ფერდობზე ჩამომდგარი.

ციური სხეულები: მზისფერი თმა აქვს (მზია თამნიაურს, გიგიას საცოლეს)

გარდა აღნიშნულისა, შესადარება გამოხატულია შემდეგი ერთეულები:

- ვით: კუპრივით შავ მდინარეში ლივლივებდა მისი ფაფარი. ხეობაში მანამდეც დიდი მდინარე მოექანებოდა, მაგრამ უცებ წამოვიდა კუპრივით შავი წყალი. შავად მოქანავდა, საზარელი სანახავი იყო, კუპრივით ტალღებს მოაქანავებდა (არაგვი). თუმცა ქალი არ იყო უხვირო შესახედაობის, ლამაზიც კი იყო, ზურგზე ნაწნავები გადაყრილი, შოლტივით ტანი და მაყვალვით შავი თვალები ჰქონდა. თოვლივით თეთრი იყო პატარა ციკანი, ცასავით ლურჯი თვალები ჰქონდა. ანგელოზები ბროწეულივით წითელ თხილს უკრეფენ და ღმერთს სთავაზობენ.

ასეთი/ისეთ: შავი წყალი მანამდეც ენახა ხალხს, მაგრამ ასეთი შავი წყალი არავის ახსოვსდა.

მსგავსი: სახე მისი არა კაცის ფერი, არა სხვა რამის მსგავსი, არცა კაცისა, არცა ეშმაკის.

შედარების გარდა, ტროპული მეტყველებიდან გვხვდება:

ეპითეტები: გოდერძი ჩოხელის შემოქმედებისათვის დამახასიათებლად უნდა მივიჩნიოთ ეპითეტების სიმრავლე, რომლებიც მწერალს უხვად აქვს მოხმობილი საგნებისა თუ მოვლენების დასახასიათებლად. ის კი ცალ თვალს აბრიალებდა და ატასნაირი ლაღი ფერებით ქარგავდა ზამთარს. დიდებათიდან ერთი შავოსანი ქალი გამოვიდა. საჯიხვის წვერზე გამოჩნდა თოვლი და ნიკორი შუბლით ჩამოანატა შემოდგომის ყვითელ სამეფოში. დაწყნარდნენ მთები, ყვითელი თავ-თმანი ჩამოიწეწეს ტყეებმა. ის კი ცალ თვალს აბრიალებდა და ათასნაირი ლაღი ფერებით ქარგავდა ზამთარს. ერდოდან მკრთალი ნათელი შემოდის. საქართველოში არსებობს ხეობა, რომელზეც შავი არაგვი მოდის და რომელსაც ჰქვია გუდამაყრი.

გაპიროვნება: გაპიროვნების დროს მწერალი ყოველთვის ცდილობს ესა თუ ის მოვლენა ახალი, მანმდე უცნობი კუთხით დაგვანახოს.

შემოდგომა იყო, ფერი ჰქონდა დაკარგული მიწას. შემოდგომა იყო, გადახუნებული მიწა თეთრი ჩიქილის დახურვას აპირებდა. გაზაფხულის ერთ ბნელ ღამეში, თმაგაწეწილი დაჰქროდა თეთრი აპრილი. შემოდგომამ ყვითელი ფერხულით ჩაიარა გუდამაყრის ხეობაში. სიოც კი არ, მაგრამ თუ დაუკვირდებოდით, ეს გაყვითლებული ფოთლები კრთოდნენ, ირხეოდნენ, თითქოს გრძნობდნენ დასასრულს და შიშით კანკალებდნენ. საოცრება იყო, როდესაც მოლოდინით გაფერმკრთალებულ მთებს, სათოვარი ღრუბლები გადმოადგებოდნენ თავზე... მარტო გაყვითლებული ფოთლები კრთიან, კანკალებენ უზარმაზარ წიფლის ხეებზე.

გოდერძი ჩოხელი ხშირად მიმართავს იმ ფრაზეოლოგიზმებს, რომლებსაც უხვად ვხვდებით ცოცხალ მეტყველებაში:

ფრაზეოლოგიზმები: სხვები თუ აბარებენ, შენ რა წითელი კოჭი ხარო თუ... თუ სოფლამდე ვერ მიაღწევს, მაშინ სჯობია, შავი დღისთვის შემოინახოს ბენზინიანი ჩვარი. თუმცა თოვლმა მთლად გადაათეთრა არემარე, მაგრამ „შავი დღე“ მაინც სადღაც ახლო დასუნსულებს. ამისგან აქა მაქვს გული გამოკლული და იქ რა შავ ქვად მინდა.

ფრაზეოლოგიზმებში საკმაოდ მრავლადაა წყევლის ფორმულები: იმათი შავი ქვა იყო, შვილო. შავ საათზე დაბადებულო, ერთხელაც იქნება მოგკლავენ. რაღაცას ატყობინებს ეს შავის მიწისა! - ჩურჩულებდა ხალხი. (მსაზრვრელ საზღვრულთან არ უნდა გვექონდეს შავის, უნდა იყოს შავი). რაც ეს სასავეთო მგლად მაიქცა, სოფელს იღბალი აღარ ექნა! აღარ მოვიდა, არარ მოშავდაო, - ჩიოდნენ. მაშ რაღა შავ ქვას მოველოდი შენგან. იქვე ვედროთი თურმე ნავთი ედგა იმ ქალოზაბნელს.

მართალია დასახელებული ფრაზეოლოგიზმები არ არის ახალი და არსებობის საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვთ, თუმცა ნაწარმოებში გარკვეულ ემოციურ-ექსპრესიულ როლს ასრულებენ.

გამოყენებულია მიმართვის დროს:

შე ვარდისფერო და შე მგლისფერო; შე ტყვიისფერო და შე მგლისფერო; ჩემო ნაცარავ და ჩემო ტყვიისფერო; ჩემო ჭრელებო და ჩემო ბიბილოიანებო; ჩვენი ცხოვრების დამჭრელებელო; ჩვენო გამშავებელო და ა.შ.

გოდერძი ჩოხელის შემოქმედება, ისევე როგორც მთელი სამყარო, ორპოლუსიანია, ორ ნაწილად გაყოფილი. შესაბამისად, ორ ნაწილად, დადებითად და უარყოფითად, აქვს მწერალს წარმოდგენილი ბუნების მოვლენები თუ ადამიანური ყოფა. ამგვარი მსჯელობა ემოციურად დატვირთულია, რაც თავისთავად, ხელს უწყობს ემოციის ექსპრესიას. როდესაც მწერალი აღწერს ნაღვლიან, უარყოფით, მძიმე ეპიზოდს, აქ ფერებიც იკარგება, იცრიცება, უფერულდება ან მუქდება, შავდება და ერწყმის ეპიზოდში აღწერილ გარემოს/სიტუაციას: მხოლოდ ხეობაში გამოქანებული შავი წყალი დგანდგარებდა, ხურდა, ნისლს მოიყოლებდა და თან გრილი სიო მოჰქონდა. შემოდგომა იყო, **ფერი ჰქონდა დაკარგული** მიწას... **გაცრეცილი ცასავით** უსასრულო იყო ლოდინი. მერე **ჩამოლამდება** და **ჩაშავდება** ყველაფერი. ზემოდან მოიყოლებდა **შავ ნისლს** და გზადაგზა ყველაფერს ნთქავდა. ყველაფერი მიჰქონდა, თავის **შავ ტალღებში** ახვევდა. გაისმა შემოდგომის ფერწასულ ხეობაში მგლის ყმუილი. იფიქრებდით, მზის სხივებმაც კი ფერი დაკარგაო. ბაღები ისხდნენ ჩაბნელებულ სახლში და დაწიოკებულნი ერთმანეთს ეკვროდნენ. ხშირია შავი ფერი როგორც ბუნების სურათის აღწერის დროს, ასევე პიროვნების დახასიათებისას, როდესაც ხაზგასმულია მისი ცხოვრების, ხასიათის ან თვისების უარყოფითი მხარე: -ქალოო, კუდიანებთან ჰქონია მაგ **მგელშავას** საქმე! - ქალშავასაც აღარ ამბობდნენ, **მგელშავას** ეძახდნენ და ეს „**მგელშავა**“ საზარლად ჟღერდა. ...აბა ერთი ბეწო ბაღლი რაღსა უშლიდა მაგ **მგელშავას**, მაგას.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ დასახელებულ მაგალითებში კომპოზიციის შემადგენელ ნაწილებად გვხვდება მგელი და შავი ფერი. ორივე მათგანი, გარკვეულწილად, ნეგატიურ გრძნობას აღძრავს. პერსონაჟის დასახასიათებლად გამოყენებული ეს კომპოზიტი უფრო მკვეთრად წარმოგვიდგენს ქალის უარყოფით, ბურუსით მოცულ სამყაროს. საყურადღებოა თეთრუასა და „მგელქალას“ დაპირისპირება; დაპირისპირება ბოროტისა და კეთილისა. მათი ხასიათი და თვისებები კონტრასტულია და კონტრასტულია თვითონ პერსონაჟთა სახელებიც.

თუ შავი ფერი, ბნელს, ცუდს უკავშირდება, თეთრი სიკეთის, სიხარულის, სიწმინდის ან დარდის მანიშნებელია: დარდს გაუჭაღარავებია, შვილო, ეგრე იცის დარდმა, - უთხრა ლუკას მოხუცმა კაცმა, თვითონაც ახალმოსული თოვლივით თეთრი თმა-წვერით შემოსილმა. ჰაერში გაჩერებული ქალი და მოედანზე დაჩოქილი მლოცავი ყვავილების თეთრ საბურველში გაახვია. გამიხარდამ შორიდანვე დაინახა თეთრტანსაცმლიანი და მუხლის ჩოქით მივიდა „ღმერთთან“. უცებ იმ ეკლესიიდან თეთრი ღრუბელი გამოვიდა და ირგვლივ ისეთი სურნელი დგას, ვერ აგიწერ. შიგნით იმ თეთრი ღრუბლის ისეთი სურნელი დგას... უცებ ატყდა მტრედების ფრიალი და ზარების რეკვა, სოფლისთავს მდგარი ეკლესიიდან გამოვიდა თეთრი მოხუცი, რომელსაც თმა-წვერიც თეთრი ჰქონდა, ტანსაცმელიც კი თეთრი ეცვა, თეთრი ყაბარჯენი ეჭირა და სოფლისაკენ მიდიოდა. თეთრი ფერი დომინირებს დალოცვის დროს: შენამც დამიბერდი თეთრი თმა-წვერით, ჩემო ბათილავ.

შავის გარდა, მწუხარებისა და დარდის მაუწყებელია წითელი ფერი: თოვდა. თეთრად თოვდა, მაგრამ მერე თანდათან წითელი ფანტელები წამოერია. წამოვიდა წითელი თოვლი. ლამის გაგიჟდა ხალხი, ასეთი რამე ჯერ არავის ენახა. სულ გაწითლდა მთა-ბარი. უბედურების ნიშანია, უბედურება მოვა, - თქვა ვიღაცამ. ერთ დილით წითელი თოვლი წამოვიდა ციდან. საღამომდე წითელ თოვლის ფანტელებს ბარდნიდა ზეცა. რომელიმე ვარსკვლავზე, ეტყობა, ომი გაჩაღდა და ეს სისხლიანი თოვლიც იქიდან მოდისო. დასახელებულ მაგალითებში ნათლად ჩანს, რომ მწუხარება უკავშირდება წითელ ფერს.

მწუხარებას უკავშირდება ვარდისფერი, რომელიც ცხოვრებაში დადებით განწყობასთან, ემოციასთან ასოცირდება. გოდერძო ჩოხელთან მხიარული და ხალისიანი განწყობის გარდა, ვარდისფერი მწუხარებას გამომხატავს: ამბროსაი ვარდისფერის ხსენებაზე შეკრთა და თვითონაც **ვარდისფერმა მწუხარებამ** გადაუარა სახეზე.

ფერის აღმნიშვნელი სიტყვები მწერალთან დასტურდება ნაწარმოების სათაურების

შემადგენელ კომპონენტად. სათაური ხშირ შემთხვევაში გარკვეულ ინფორმაციულ როლს ასრულებს და, როგორც მიჩნეულია, „მხატვრული ტექსტის სემანტიკური ღერძი სწორედ სათაურის გავლენით ყალიბდება“ (ტალიაშილი, 2014). გოდერძი ჩოხელმა კარგად იცის, რომ მნიშვნელოვანია სათაურის სწორად შერჩევა, რადგან ცუდად შერჩეულმა სათაურმა შეიძლება ტექსტი დააკნინოს, ხოლო კარგად შერჩეული - ტექსტს სძენს ინფორმაციულობას, ხშირ შემთხვევაში შინაარსსაც აღემატება. სათაურების შემადგენელ კომპონენტად დასტურდება ვარდისფერი, თეთრი, წითელი და შავი: ვარდისფერი კაცი, სწორი თეთრი ხაზი, წითელა, თეთრჩოხიანები და შავჩოხიანები, წითელი მგელი. ჩამოთვლილი სათაურები თვისთავად იქცევენ მკითხველის ყურადღებას და განსაზღვრავს ნაწარმოებისადმი ინტერესს.

რომანში „წითელი მგელი“ გვხვდება თეთრი საკუთარი სახელის შემადგენლობაში, - კუდიანი ყოფილა, თეთრუას უნახია...- ახი კი არის, შაკრას სოფელმა პირი და დააყენოს თეთრუას თავზე. თეთრუამ რომ გათქვა, კუდი ვუნახეო, მაგის თქმაზე აგე რა დამართა იმის ბაღს... თეთრუაი ზეზეურ ჩამოხმა შვილის ძებნაში. სახელი არის სხვადასხვა ბრუნვის ფორმით, ასევე დაერთვის კნინობითის მაწარმოებელი -ა სუფიქსი. წოდებითი -ო-სა და კნინობითი -ა-ს ერთად თავმოყრის შედეგად გვხვდება ოა - უა ხმოვანთა ცვლილება. სახელი სახლობითი ბრუნვის ფორმაზე ი ხმოვანს დაირთავს - თეთრუაი, რაც ასევე მთიულურ-გუდამაყრულ დიალექტს ახასიათებს, კერძოდ, ხმოვანზე ფუძედაბოლოებული სახელებიდან -ი დაერთვის ორ და მეტმარცვლიან სიტყვებს, როგორც წესი -ა ხმოვანზე დაბოლოებულ სახელებს. დასტურდება პარალელური ფორმები: თეთრუა//თეთრუაი, თეთრუამ//თეთრუაიმ, თეთრუას//თეთრუაისი. -ი სახელს გადაყოლილი აქვს მოთხრობითსა და მიცემითში. ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი ვერ კვეცს ა ხმოვანს, არც თვითონ რედუცირდება. მავრცობი ხმოვნის პოზიციას იკავებს -ი.

საინტერესო მაგალითია შემდეგ წინადადებაში: მოდიოდა ყმაწვილი კაცი ხატის გორისკენ, ტანზე გაზაფხულის პეპელაის ფერი სამოსი ეცვა მსუბუქად... აქ გვხვდება პეპელაისი (პეპელა), რომელიც სალიტერატურო ენის ნორმების მიხედვით არის კუმშვად-კვეცადი სახელი, თუმცა წარმოდგენილ მაგალითში ის არ განიცდის არც კუმშვას, არც კვეცას. მწერალთან არ განიცდის რედუქციას კუმშვადი სახელი მონაცრისფერო. თუმცა ა. შანიძისა და ვ.თოფურიას თანახმად კუმშვა მძლავრობს მთის კილოებში.

აღსანიშნავია მსაზღვრელ-საზღვრულის დიალექტური ფორმა შავის მიწისა, აქ შეთანხმება სრული სახისაა. სალიტერატურო ქართული ენის ნორმების მიხედვით მსაზღვრელს ნათესაობით ბრუნვაში სცილდება თანხმოვანი და რჩება ხმოვანი. ამ შემთხვევაში კი ბრუნვის ნიშანი სრულად არის შენარჩუნებული, ე.ი. ნათესაობითში გვაქვს მსაზღვრელის საზღვრულთან შეთანხმება.

მთიულურ-გუდამაყრულ დიალექტზე ბესარიონ ჯორბენაზე აღნიშნავს, რომ უარყოფითი მოვლენების გამოსახატად წარმოქმნილ კომპოზიტებში მეორე შემადგენელი კომპონენტი არის - ტიალი. რაც შეეხება წყველა/კრულვის სემანტიკის გამომხატველ კომპოზიტებში დადსტურებულ კომპონენტს -შავაი დამახასიათებელია მოხეური დიალექტისათვის (ბ. ჯორბენაძე, 1989: 286, 273).

ამრიგად, თუ დავაკვირდებით გოდერძო ჩოხელის შემოქმედებაში ფერების გამომხატველ სიტყვებს, ნათლად დავინახავთ, რომ უარყოფითი კონტექსტის გადმოსაცემად ყველაზე ხშირად გვხვდება შავი ფერი და ზოონიმი მგელი, ხოლო დადებითის დროს - თეთრი. მწერალმა საკუთარ ტკბილ-მწარე შემოქმედებას გემოვნებით შეუხამა შავ-თეთრი, მკვეთრი და ბაცი ფერები, რითაც უფრო მეტი ხიბლი, მეტი ემოციურობა შესძინა თავის ნაწარმოებებს და გაამდიდრა ქართული ლიტერატურა. მისი შემოქმედების ენობრივი სამყარო ძირითადად მის ლექსიკა-ფრაზეოლოგიაში ვლინდება, სადაც ვხვდებით დიალექტურ გამოთქმებს. დიალექტური მეტყველება მწერალს აძლევს შესაძლებლობას გამოხატოს პერსონაჟის ფსიქოლოგიური თუ სულიერი განწყობილება. პერსონაჟთა გარემოს, ფლორისა თუ ფაუნის აღწერის დროს კილოური მეტყველებისა და ხალხური ლექსიკა-ფრაზეოლოგის გამოყენებით გოდერძი ჩოხელმა გვიჩვენა მისეული ფერთა პალიტრის ენობრივი სამყარო და ინდივიდუალური სტილი.

ლიტერატურა:

1. კვაჭაძე, ლ. 1993, ქართული ენა, თბილისი, გამომცემლობა „რუბიკონი“.
2. ფეიქრიშვილი, ჟ. 1992, ქართული ენის მორფოლოგია, ქუთაისი.
3. ლლონტი, ალ. 1988, ქართული ენის ლექსიკოლოგია, გამომცემლობა განათლება.
4. შანიძე, აკ. 1973, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბილისი.
5. ჩოხელი, გ. 2022. პროზა, პოეზია, წერილები, თბილისი, გამომცემლობა პალიტრა L.
6. ჩოხელი, გ. „წითელი მგელი“, <https://scroll.ge/31170/goderdzi-chokheli-tsitheli-mg/>
7. ჯორბენაძე, ბ. 1989, ქართული დიალექტოლოგია, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.

The Colorful Palette of Goderdzi Chokheli's Prose

Tsignadze Shorena

Iakob Gogebashvili State University, Telavi

Abstract

In the article, we focused on Goderdzi Chokheli's linguistic world of colors. Our study deals with the following: the grammatical aspects of the words denoting color, types of construction; the structural units of words which the writer uses to describe the world of colors, the stylistic devices he uses to convey them. We find various signifiers for colors in the author's works: **Simple (primary) words** - black, white, green, blue, fair. **Derived** – the words created by means of **various affixes**. **Composites**: by adding the word 'color' to the main word. E.g. straw color, rose color, shadow color, dove color, milk color, sun color, mouse color, dog color, rabbit color, wolf color, violet (color), lead color, yellow-coated.

It is quite interesting to observe and study the lexis and phraseology reflecting the linguistic world of colors perceived by the author and then displayed to the reader. There are many figures of speech that are employed by G. Chokheli for better perception and visualisation of this or that color and for making emotions more expressive. Among them, we have to mention simile. In similes, one of the components is the following:

Zoonyms: dove, wolf, mouse, dog, rabbit; **Names of plants** (flora): rose, violet, straw; **Gastronomic units**: milk; **Celestial bodies**: the sun. **Simile is usually comprised** of 'as', 'like'. Besides similes, the author employs epithets, personifications, metonymy, phraseologisms.

The words denoting colors are also found in the titles of his works. And, the word tetri (meaning 'white') with a slight modification which is characteristic of a local dialect is offered as a proper name 'Tetrua' in the novel The Red Wolf.

In Goderdzi Chokheli's prose, the color black and the zoonym wolf are usually associated to negative context, while white has a predominantly positive connotation.

The linguistic world of his work is mainly conveyed through his vocabulary and phraseology, where we find dialectal expressions. Dialectic speech gives the writer the opportunity to express the psychological or spiritual mood of a protagonist. Goderdzi Chokheli managed to show his readers the linguistic world and individual style of his

color palette by using local speech and folk phraseologisms while describing the environment, and also flora and fauna surrounding his characters.

Key words: Goderdzi Chokheli, color, figures of speech, emotion, expression.

Flex (Field Works Language Explorer)
პროგრამის გამოყენება მეგრული ტექსტებისთვის

წულაია ნინო

სხულუხია თამუნა

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი

DOI: <https://doi.org/10.52340/idw.2023.43>

კვლევა ხორციელდება შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით (გრანტი FR-21-993. პროექტი „მეგრული ენის ანოტირებული კორპუსი ფორმალური გრამატიკითა და ელექტრონული ლექსიკონით“).

აბსტრაქტი. თანმედროვე ტექნოლოგიები აქტიურად გამოიყენება ჰუმანიტარულ დარგებში. აუცილებელი გახდა მისი გამოყენება ენათმეცნიერებაშიც. ტექნოლოგიების განვითარების კვალდაკვალ შესაძლებელი გახდა ენობრივი ბაზების შექმნა, რამაც ენის დიაქრონული და სინქრონული ჭრილით წარმოიჩინა და შენარჩუნებას შეუწყო ხელი. აქტუალური გახდა ენობრივი კორპუსების შექმნა, რამაც შესაძლებელი გახდა ენა შენარჩუნდეს იმავე სახით, როგორც ფუნქციონირებს ის მოცემულ მომენტში. ენის კორპუსები განსაკუთრებით დროულია უმწერლობო, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ენებისთვის, რომლებიც გვხვდება მთელი მსოფლიოს მასშტაბით და ასევე საქართველოში. ერთ-ერთი ასეთია მეგრული, ის უმწერლობო ენაა, რომელზეც შეიძლება ვთქვათ, რომ დაკარგვის საფრთხის წინაშეა. ჩვენი სამომავლო მიზანაც სწორედ მეგრული ენის კორპუსის შექმნას უკავშირდება, სადაც განთავსდება როგორც ადრეული, აგრეთვე თანამედროვე, სამეგრელოს სხვადასხვა რაიონში სამუშაო ველზე მოპოვებული მონაცემები. მისი შექმნის შედეგად შესაძლებელი გახდება მეგრულის ფართო ჭრილში შესწავლა და გამოკვლევა. სოციოკულტურული და ლინგვისტური (ფონოლოგიური, მორფოლოგიური) ტენდენციების გამოვლენა.

დროის ცვილებასთან ერთად იცვლება ენის გრამატიკული საკითხები, მნიშვნელოვანია მათი დაფიქსირება და გადაწყვეტა. მიზანშეწონილია კორპუსის ლექსიკოგრაფიული თვალსაზრისით გამოყენება. არსებული პროექტის ფარგლებში კორპუსის შექმნასთან ერთად ჩვენი მიზანია ელექტრონული და ბეჭდური ლექსიკონის შექმნა. განსაზღვრული სამუშაოები ხორციელდება პროგრამა FLEx-ის (Field Works Language Explorer) გამოყენებით. ველზე მოპოვებული მასალა მუშავდება აღნიშნული პროგრამის საშუალებით. მთლიანი სამუშაო პროცესის ძირითადი ეტაპებია: მიზნობრივი მასალის მოპოვება და ჩაწერა სამუშაო ველზე; მოპოვებული მასალის აღწერა და პონექტიკური გარჩევა; მონაცემების განთავსება პროგრამაში და მისი მორფოლოგიური ანალიზი. აღნიშნული კორპუსი ხელს შეუწყობს ენის დაცვას; მნიშვნელოვნად დაეხმარება ლინგვისტებსა და მკვლევრებს.

საკვანძო სიტყვები: მეგრული ტექსტები. მორფოლოგიური ანოტირება FLEx-ში. მეგრული ენის კორპუსი.

შესავალი

სხვადასხვა სამეცნიერო დარგებში და მათ შორის ენათმეცნიერებაში ძალიან აქტუალური და საჭირო გახდა სხვადასხვა ენებზე არსებული ტექსტების დიგიტალიზაცია, რაც, ცხადია, ხელს უწყობს როგორც მათ შენარჩუნებასა და დაცვას, ასევე აიოლებს ამ ენების სხვადასხვა

მიმართულებით შესწავლას, დამუშავებას, კვლევას და სხვ. თანამედროვეობის კიდევ ერთი გამოწვევა არის კორპუსული ლინგვისტიკა, რომელიც დღითიდღე უფრო მოთხოვნადი და მნიშვნელოვანი ხდება. ის იძლევა საშუალებას გადავარჩინოთ ენები, მათ შორის უმწერლობო და გაქრობის საფრთხის წინაშე მყოფი,

სწორედ შენარჩუნებას და მის ფართო ასპექტში შესწავლას ემსახურება მეგრული ენის ანოტირებული კორპუსის შექმნა ფორმალური გრამატიკითა და ელექტრონული ლექსიკონით. პროცესის უზნრუველყოფა ხდება პროგრამა FLEx-ის საშუალებით. პროექტი მიზნად ისახავს მეგრული ტექსტების მოპოვებას ველზე, აღნიშნულ პროგრამაში განთავსებას და ანოტირებას.

FLEx (Field Works Language Explorer) პროგრამის აღწერა

FLEx (Field Works Language Explorer) არის პროგრამა, რომელიც გამოიყენება ენობრივი და სოციოკულტურული მონაცემების მართვისთვის, ლექსიკური და ტექსტური მასალის დამუშავებისთვის. პროგრამა, ძირითადად, განკუთვნილია საველე და კორპუსული ენათმეცნიერებისთვის. ის გამოიყენება მონაცემების მორფოლოგიური, ფონოლოგიური, ლექსიკოგრაფიული, სოციოლინგვისტური და ანთროპოლოგიური პრობლემების გადასაჭრელად.

პროგრამა შედგება ხუთი ძირითადი ნაწილისგან:

ლექსიკონის ნაწილი

ეს კომპონენტი შეიცავს ფორმებს (ფუძეებს, ძირებს, მორფემებს, ფრაზებს და ა.შ.) და მათ აღწერილობებს.

პროგრამის მნიშვნელოვანი ნაწილია ლექსიკონის ველი, სადაც თავმოყრილია ყველა ფორმა მთლიანი მონაცემიდან. ფორმები დალაგებულია ანბანურად. მოცემული მონაცემის საფუძველზე შესაძლებელია როგორც ელექტრონული ასევე ბეჭდური ლექსიკონი შექმნა, რაც ზემოთ აღნიშნული პროექტის ერთ-ერთი სამომავლო მიზანია.

ტექსტების და სიტყვების ნაწილი

შეიცავს ტექსტებს და ტექსტებში მოცემულ სიტყავათა ჩამონათვალს. ტექსტების გამოყენება შესაძლებელია სიტყვების გასანაალიზებლად. ველზე მოპოვებული სრული მასალა სწორედ ამ ნაწილშია თავმოყრილი.

გრამატიკის ნაწილი

ეს პუნქტი განკუთვნილია მორფოლოგიური ანალიზისთვის, სადაც შეიძლება განისაზღვროს კონკრეტული გრამატიკული წესები, რომლებიც არეგულირებს პროგრამის მონაცემებს.

ე.წ. „ნოუთბუქის“ ნაწილი

ე.წ. ნოუთბუქი ენობრივი და კულტურული მონაცემების მართვის საშუალებას იძლევა. ეს ინსტრუმენტი ხელს უწყობს მონაცემების შესახებ დასკვნების დოკუმენტირებას, კატეგორიზაციას, ანალიზსა და შეჯამებას.

ჩამონათვალის/სიის ნაწილი

სიის არეალი არის მონაცემების შინაარსის თავმოყრის ადგილი და ძირითადად მონაცემების ჟანრს ასახავს. სიები კონფიგურირებული და მორგებულია საკვლევი საკითხის საჭიროებებს.

ველზე მოსაპოვებელი მასალის შერჩევა და განთავსება FLEx-ში

მეგრული ენა სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონშია გავრცელებული და ძირითადად ორ - ზუგდიდურ-სამურზაყანოულ და სენაკურ-მარტვილურ დიალექტებადაა წარმოდგენილი. სავალე მასალის მოპოვებისათვის პირველ ეტაპზე შეირჩა სამეგრელოს სამი რაიონი - მარტვილი, ჩხოროწყუ და წალენჯიხა, სადაც განხორციელდა მეგრული ენის მონაცემების მოპოვება. წინასწარ განისაზღვრა რესპონდენტების ასაკი, სქესი და თემატიკა. ამ ეტაპისათვის პროგრამაში მეგრულენოვან ინფორმატორთა 22 საათიანი ტექსტური მასალა, 49 ტექსტია წარმოდგენილი. არსებული მონაცემების თემატიკა ძირითადად მეგრულთა ყოფა-ცხოვრებას, რწმენა-წარმოდგენებს, წეს-ჩვეულებებს, ქორწილისა და დაკრძალვის რუტუალებს, სასოფლო მეურნეობასა და სხვა კულტურულ ასპექტებს ეხება.

ველზე მოპოვებული მონაცემების ჩაწერა ვიდეოაპარატებითა და ხმის ჩამწერი მოწყობილობებით განხორციელდა. ტექსტების უშუალოდ სამუშაო პროგრამაში განთავსებამდე, საწყის ეტაპზე შეირჩა სამიზნე თემატიკის მასალები, განხორციელდა მათი აკუსტიკური გაშიფრვა თითოეული ფონემის დონეზე.

პროგრამა FLEx-ის (Field Works Language Explorer) აღწერა

ტექსტებისა და სიტყვების ველში გამოიყოფა შემდეგი პუნქტები: Info; Baseline; Gloss; Analyze, Tagging; Print view; Text Chart.

ჩვენი ამჟამინდელი საორიენტაციო პუნქტია Analyze, სადაც ერთი კონკრეტული თემატიკის მასალაა მოცემული გასაანალიზებლად. მთლიანი ტექსტი დაყოფილია აზნაცებად, წინადადებებად და სიტყვებად. წინადადებების გამყოფ საზღვრებად მიჩნეულია წერტილი. აზნაცები ინომრება ავტომატურად მათი გამოყოფის შესაბამისად. თითოეული წინადადება თარგმნილია ქართულად, ხოლო შემდეგ ინგლისურად შესაბამის ველებში.

თითოეული გამოყოფილი სიტყვა გაანალიზებულია შემდეგი პუნქტების მიხედვით:

1. word base - ამ ნაწილში მოცემულია თითო მთლიანი სიტყვა მორფემების გამოყოფის გარეშე.

2. Word ipa - თითოეული სიტყვა მოცემულია საერთაშორისო ანაბანი IPA-თი.

3. Morphemes - დასახული მიზნებიდან გამომდინარე ყველაზე მნიშველოვანი ველია, იგი პასუხისმგებელია სიტყვების გლოსირებაზე - მორფემებად დაშლაზე საჭიროების შესაბამისად. სახელების შემთხვევაში შეიძლება გამოიყოს სიტყვის ფუძე, შემდგომ კი მასთან დაკავშირებული - ბრუნვის³⁶, მრავლობითობის აღმნიშვნელი, თანდებულების (-ნერი, -წკუმა), კავშირ-ენკლიტიკები (-ნ /-ნი) სხვათა სიტყვის ან შეკითხვის აღმნიშვნელი სუფიქსები. ზედსართავი სახელის შემთხვევაში ზედსართავის მაწარმოებელი ხარისხების აფიქსები. ასევე ნულოვანი (ძირითადად ბრუნვის შემთხვევაში) ან გამოტოვებული მორფემები.

ზმნების შემთხვევაში კი გამოიყოფა ზმნის დაუშლელი ძირის³⁷ ირგვლივ არსებული

³⁶ ბრუნვებთან აღსანიშნავია: აბლატივის (-იმე/-შე - დაშორებითი) და ალატივის (-იშა / -შა - მიმართულებითი), დანიშნულებითის (-იშო(თ)/ -შო(თ))

³⁷ მეგრული ენა აგლუტინაციური ენების რიგს მიკვკუთვნება, რომელშიც ზმნის ძირის გარშემო მრავალი გრამატიკული კატეგორიაა წარმოდგენილი. ფუძის გარშემო მორფემათა რაოდენობა

მორფემები: ზმნისწინების ფართო და მრავალფეროვანი ფორმები; ქცევის, მწკრივის, თემის, პოტენციალისის, ზმნის პირისა და რიცხვის ნიშნები.

პროგრამაში წინასწარაა შეტანილი სავარაუდო მორფემები, რომლებიც შეიძლება გამოიყოს სახელების ან ზმნის გლოსირების შემთხვევაში. მორფემების გამოყოფა შესაძლებელია ტირეთი, მისი დასმისას ავტომატურად გამოიყოფა აფიქსები, რომლებიც წინასწარაა დასწავლილი პროგრამის მიერ.

3. Lex. Entries, Lex. Gloss, ძირითადად ორიენტირებულია საჭირო მორფემის შემოთავაზებაზე. აქ გვხვდება საჭირო ან სავარაუდო მორფემების ჩამონათვალი, რომელთაგან ვირჩევთ ერთ რომელიმე კონკრეტულს. ეს პუნქტი ასევე უზრუნველყოფს ფორმის ან მორფემის აღწერას, შესაძლებელია მიეთითოს გამოყოფილი ერთეული ფორმის რა ნაწილია (ფუძე, პრეფიქსი, ძირი ...); კატეგორია (ფუძის ან მორფემის კატეგორია); მისი ინგლისური ეკვივალენტი. ამ პუნქტში ასევე შესაძლებელია მორფემის ვარიანტის (დიალექტური ვარიანტი) ან ალმორფების მითითება.

4. Lex. Gram. Info. მნიშვნელოვანი ველია, სადაც ნაჩვენებია მთლიანი დაუგლოსავი ერთეულის ზოგადი კატეგორია. შესაბამის ნიშნულზე დაჭერისას შემოთავაზებულია სახელების და ზმნების შემადგენელი ნაწილები ცალ-ცალკე. კატეგორიის არჩევა შესაძლებელია საჭიროების შესაბამისად.

Flex-ში მუშაობისას გამოვლენილი შედეგები

1. გრძელი ხმოვნები

გრძელი ხმოვნები ძირითადად სენაკურ-მარტვილურ დიალექტში დასტურდება. გრძელი ხმოვნები შეიძლება შეგვხვდეს სახელსა და ზმნაშიც, სიტყვის დასაწყისში, შუაში ან დასასრულს, ის შეიძლება იყოს ნებისმიერი ხმოვანი. შეიძლება მოცემული იყოს რამდენიმე სიტყვაში თანმიმდევრულად:

(1) ეჩდოშქვითი სერით **დიფშაყარუთ** არმა ახადეფი, პაკრიშკემს ქიმიიბლანთ, დაჩხირს ქოდვოორძანთ. „ოცდაშვიდში, ღამით შევიკრიბებით ახალგაზრდები, მოვიტანთ ბორბლებს, ცეცხლს დავანთებთ“.

(2) გოდას მილუდესია **გაანეფი**. „მთაზე გვექონდაო ყანები“.

(3) მიკააქუნდეს ტრადიციული **მიკაქუნაფეფი** „ეცვათ ტრადიციული ტანსაცმელი“.

ბოლო მაგალითში გრძელი ხმოვანი იკავებს სახელობითი ბრუნვის ადგილს და ითავსებს მის ფუნქციას.

გარდა სახელობითი ბრუნვისა, გრძელი ხმოვანი გვხვდება სხვა ბრუნვის ნიშნებთან, მაგალითად დაშორებით ბრუნვასთან:

(4) ძირითად **სამარგაიშეე**, მუთ უმრავლესწილო, მუთ გოოჩაანს ბინეხიინ, თაურეშე მუთმოხვადუუ მომარაგებაა, ჩქინ კუთხუში. „სამეგრელოში ძირითადად, რაც კი ვენახებია, [ყველას] მომარაგება აქედან ხდებოდა, ჩვენი კუთხიდან“.

სენაკურ-მარტვილურში გრძელი ხმოვნები დასტურდება მრავლობითი რიცხვის ფორმებთანაც:

შესაძლოა 10-ზე მეტიც იყოს. ზმნის მთავარ ბირთვს ძირი წარმოადგენს. (Kobalava, Gersamia 2020; Gersamia 2021)

(5) დიხაში **პრობლემეფ** რე ჩქინ სოფელს, ვარე დიდ მაშტაბიშ დიხეფი. „მიწის პრობლემეზი ჩვენს სოფელში, არ არის დიდი ზომის მიწები“.

2. იოტის საკითხი

მუშაობის პროცესში იოტა აღინიშნა ორივე დიალექტში. ის ზოგჯერ ხმოვანთან გვხვდება, ზოგჯერ კი /ლ/ სონორის ალომორფად მარტვილურ-სენაკურში. იოტას პოზიციები დადგენილია, ის შეიძლება შეგვხვდეს როცა 1. ზმნას ერთვის ზმნისწინი ან ეს ზმნისწინი გართულებულია ნაწილაკით და მის შემადგენლობაში არის **გი** ფონემური მიმდევრობა. 2. **გე** ზმნისწინის ვოკალური დიფთონგიზაცია მომდევნოდ მდგომმა **ო** ფონემამ შეიძლება განაპირობოს (კარტოზია და სხვ. 2010; გერსამია, 2009)

(6) **გიდეფშითჲ** ტეხირიშა ტანიშ ობონუშა ართოო. „ერთად დავდიოდით ტეხურაში საბანაოდ“.

(7) ათეს **ეაოფშანდ** ჩაით. „ამას აავსებდა ჩაით“.

(8) ჯორიშ ნაი თორს, **კატუი** ბირცხად თოს, ფუი თაშ გააქარი. „ჯორის ნალი თვალში კატის ბრჭყალები თვალში, ასე გაქრეს“.

(9) მაჟარნეჩა დლას სტოდის გინმედვაფუდ, **საკურთხიი** სტოდს. „მეორმოცე დღეს იდებოდა საკურთხის მაგიდაზე“.

მაგალითი (6)-ში იოტა /ლ/ სონორის ალომორფია. მაგალითი (7)-ში კი მისი ფუნქცია აშკარად ფონეტიკურია.

(8) და (9) მაგალითებში დამატებით პოზიციას ავლენს და ის ნათესაობითი ბრუნვის ფორმითაა წარმოდგენილი.

3. სუბიექტური პირის ნიშნები

ხშირია **ვ-** პირველ სუბიექტური პირის მონაცვლედ წარმოდგენილი **ბ-,პ-,ფ-** ალომორფების გამოყენების შემთხვევები, რაც თავის დროზე გუდავა-გამყრელიძის მიერ დადგენილი კანონზომიერებაა (გუდავა, გამყრელიძე, 1981). ჩვენი ტექსტების მიხედვით აღნიშნული ალომორფების თავისუფალ მონაცვლეობას სენაკურ-მარტვილურში ადასტურებს **გ.** კარტოზიას და სხვების ნაშრომი (კარტოზია და სხვ. 2010)

(10) თაქ **გილ-ვ-ოხეთჲ** დო ქიფჩიებუთ მუდგარენ-მუდგარენეფს. „აქ ვსხედვართ და ვლაპარაკობთ რაღაცებს“.

(11) ჭიე-ჭიეთ **ქომო-ბ-რთით** ჩხოროწყჲ შა „ნელ-ნელა მოვედით ჩხოროწყუმდე“.

(12) **ეა გელა-პ-ტახია** „ტოტი მოვტეხეო“.

დასტურდება ისეთი შემთხვევები, როცა ზმნის ძირი გახლეჩილია და სუბიექტური პირი შუაშია მოქცეული.

(13) დო ჩქე იშ დიხას **დო-ფო-ბ-რ-გ ნ-დ-ი-თ** სიმინც. „ჩვენ მიწით დავფარავდით სიმინდს“.

დო-ფო-ბ-რ-გ ნ-დ-ი-თ

PRV-R1-S1-R1-TH-IMPF-PM-PL

შდრ. საწყისი **ფორ-უა** “ფარვა”

4. კლიტიკები

სახელს და ზმნას დართული აქვს კავშირ-კლიტიკები (-ნი/-ნი; -და), **-ნი** ქართული „რომ“ კავშირის ეკვივალენტად შეიძლება ჩავთვალოთ, **-და** კი „თუ“-ს ტოლფარდად. ნიშანდობლივია ის, რომ კავშირ-ენკლიტიკები შეთვისებულია სახელთან ან ზმნასთან და დამოუკიდებლად არ დგას.

(14) ართ დლაშა შეილებ არმა ტბა **ძირე-ნი**. „ერთ დღეში შეგიძლია, ყველა ტბა რომ ნახო“.

- (15) შეილებუ სამყაროშ დასაწყისშა დუგორთინუას თი ადგილეფქჲ -ნი. “შესადლოა, სამყაროს დასაწყისში რომ დაგაბრუნოს იმ ადგილმა“.
- (16) ქუგოკო ათე აყვავილება, იფრელ ქობირენ-და, ივლისიშ სოდგარენ ვითიშე, სექტემბერიშ ვითშა ილნე. “ თუ გინდა ეს აყვავილება ნახო, სადღაც სექტემბრის ათამდე შესადლებელია მისვლა“.
- (17) სკუა ქოჲ უნდ თისჲ -და, ეთი კოს უჩაში სკუა ქოჲ უნდა, თიქ ოკო გამნიხვამუკონი. “შვილი თუ ჰყავდა მას, იმ კაცს უფროსი შვილი თუ ჰყავდა, მაგას უნდა ელოცა“.

დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ Flex-ი (Field Works Language Explorer) არის პროგრამა, რომელიც ენას სხვადასხვა კუთხით შეისწავლის, დამუშავებისა და სამომავლოდ მისი დაცვის საშუალებას იძლევა. ამ პროგრამით სიტყვის ფონეტიკური ანალიზი, ფორმების მორფემებად დაშლა, გლოსირება, კონკრეტული ენის ლექსიკონისა თუ გრამატიკული წესების შემუშავება, ენის დიგიტალიზაციაა შესაძლებელი. ამ პროცესში კი ახალი ფორმებისა თუ აქამდე უცნობი გრამატიკული მარკერების აღმოჩენაც შეიძლება.

პროგრამამ საშუალება მოგვცა უფრო თვალსაჩინო გამხდარიყო ის განსხვავებები, რომლებიც არსებობს, ერთი მხრივ, ზუგდიდურ-სამურზაყანულსა და მეორე მხრივ, სენაკურ-მარტვილურ ფორმებს შორის. მაგალითად, პირველისგან განსახვავებით (ზუგდიდურ-სამურზაყანული), მეორეში (სენაკურ-მარტვილური) შეიძლება შეგვხვდეს გრძელი ი სახელობითი ბრუნვის ნიშნად (-იი - თარგამეული), მიცემითის ნიშნად გრძელი -შე (-შეე - სამარგადოშეე), ან მრავლობითი რიცხვი შეიძლება გამოიხატოს გრძელი ხმოვნითი ნაწილით, -ეეე (ბაღანეეე - ბავშვები) მარკერით. I სუბიექტური პირის ნიშნების შემთხვევაშიც ცხადად შეინიშნება სხვაობა მეგრულის ამ ორ დიალექტურ ფორმას შორის.

ლიტერატურა:

1. გერსამია, რ. (2009). იოტიზაციის საკითხისთვის მეგრულში. ენათმეცნიერების საკითხები. თბილისი. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
2. გერსამია, რ. ლობჯანიძე, ი. სხულუხია, თ. წულაია, ნ. (2023). მეგრული ტექსტების დოკუმენტირება და ანოტირება FLEx -ში. ენა და კულტურა, 29:30-38.
3. Gersamia, R. (2022). The Morphonemics of Verbal Prefixes in Megrelian. Paris 8: [Presses Universitaires de Vincennes](#) PUV: 37-59.
4. გუდავა, ტ. გამყრელიძე, თ. (1981). თანხმოვანთკომპლექსები მეგრულში, აკაკი შანიძეს. თბილისი.
5. კარტოზია, გ. გერსამია, რ. ლომია, მ. ცხადაია, თ. (2011). მეგრულის ლინგვისტური ანალიზი. თბილისი. მერიდიანი.
6. Kobalava I., Gersamia R. (2020). Space and Motion in Language Representation (Analyses of Megrelian and Laz Linguistic Data), Tbilisi. 2020, Ilia State University. 2020.
7. ქობალავა, ი. (2020). სივრცისა და მოძრაობის ენობრივი რეპრეზენტაცია (მეგრული ენის მონაცემთა ანალიზი). თბილისი. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.

Using Flex (Field Works Language Explorer) program for Megrelian texts

Tsulaia Nino
Skhulukhia Tamuna
Ilia State University, Tbilisi

Abstract

Modern technologies are actively used in the field of humanities. It became essential to apply them in linguistics as well. In the wake of technological development, it became possible to create language databases, which have been contributing to the representation and preservation of

languages in a diachronic and synchronic way. It became topical to create language corpora, which makes it possible to preserve the language in the same form as it functions at a given moment. Language corpora are especially timely for unwritten, endangered languages found all over the world and also in Georgia. One of them is Megrelian, an unwritten language, which can be said to be at the edge of extinction. Our future goal is related to creating a Megrelian language corpus, which will include earlier and contemporary fieldwork data gathered from various districts of Samegrelo. The creation of the corpus will make it possible to study and investigate Megrelian broadly; to explore its sociocultural and linguistic (phonological, morphological) tendencies.

With the passage of time, the grammatical issues of languages are changing. Thus, it is important to capture and solve them. It is appropriate to use the corpus for the lexicographic purposes as well. Within the framework of the project, together with the compiling of the corpus, our goal is to create an electronic and printed dictionary. Defined tasks are performed and the fieldwork data is analyzed using the program FLE_x (Fieldworks Language Explorer). The main stages of the entire working process are: obtaining and recording the aimed fieldwork data; describing the data and providing phonological annotations; compiling the data in the program and providing morphological analysis. The corpus will contribute to the protection of the language under analysis. This corpus will be of significant help to linguists and researchers.

Keywords: Megrelian texts; morphological annotation in FLE_x; Megrelian language corpus.

მტრობისა და შურისძიების ამსახველი ლექსები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში

ბაკურიძე მარიამ

ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი

DOI: <https://doi.org/10.52340/idw.2023.44>

ქართულ ფოლკლორში “მტრის” ცნება რთულია, რადგან შინაარსობრივად მრავალ კომპონენტს შეიცავს. აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა ზეპირსიტყვიერი მასალების კაი ყმა დღენიადაგ შემართული უნდა იყოს სარდალი და მათი მეზობელი, რომელიმე კუთხის შვილიც.

თუშურ საგმირო პოეზიას, ისე როგორც საზოგადოდ ყველა საგმირო პოეზიას ახასიათებს თავისი გმირის ხოტბა, მისი გმირობის განდიდება და გაზვიადება. იგი დიდი სიყვარულით და თანაგრძნობით უმღერის საყვარელ გმირს.

ხალხის რწმენით, კარგ ყმას ბევრი მტერი ჰყავს, ცუდს კი არავინ ემტერება. გარეშე მტერთან ბრძოლასა თუ შინაურ შუღლში, საუკუნეების განმავლობაში რომ მიმდინარეობდა, თანდათან ჩამოყალიბდა თვალსაზრისი იმაზე, როგორი უნდა ყოფილიყო გმირი ვაჟკაცი, რა ევალეობდა მას სამშობლოსა და ხალხის წინაშე.

თემურ წყობილებას უმთავრესად ახასიათებდა შურისძიებისა და სისხლის აღების წესები და თემურ თუშეთშიც ეს ადათი მტკიცედ იყო დაცული. თუშეში თავის მოძმის სისხლს არავის შეარჩენდა და მტერზე რომ შური ეძია, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოდა.

საკვანძო სიტყვები: ქართულ ფოლკლორში; “მტრის” ცნება; აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში

ქართველი ერის ისტორია უდიდესი ბრძოლების ისტორიაა. მტერთა გარემოცვაში მოქცეული საქართველო უძველესი დროიდანვე დღენიადაგ იბრძოდა ეროვნული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნებისთვის. ჩვენი მეზობელი მძლავრი სახელმწიფოები-ირანი და თურქეთი მოსვენებას არ აძლევდნენ. არანაკლებ ზიანს აყენებდა კავკასიის მთიელების-ლეკებისა და ქისტების მოულოდნელი თავდასხმები. ამას თან ერთვოდა შინაური აშლილობა, ლალატი, არაერთპირობა, რასაც ქვეყანა სრულ განადგურებამდე მიჰყავდა.

საკითხის კვლევის სწორად წარმართვის მიზნით საჭიროა უპირველესად მტრის ვინაობისა და მისი მტრული ქმედების მოტივაციის დადგენა.

მტერია იგი, ვინც შენს მოსპობას, სრულ განადგურებას ცდილობს. მტერს შენადმი უზომო სიძულვილი უბიძგებს უმსგავსომოქმედებისკენ, სიძულვილს ბადებს შური: “შური არის წუხილი სხვისა კეთილსა ზედა” (1,59).

ქართულ ფოლკლორში “მტრის” ცნება რთულია, რადგან შინაარსობრივად მრავალ კომპონენტს შეიცავს. აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა ზეპირსიტყვიერი მასალების კაი ყმა დღენიადაგ შემართული უნდა ირსარდალი და მათი მეზობელი, რომელიმე კუთხის შვილიც.

თუშურ საგმირო პოეზიას, ისე, როგორც საზოგადოდ ყველა საგმირო პოეზიას ახასიათებს თავისი გმირის ხოტბა, მისი გმირობის განდიდება და გაზვიადება. იგი დიდი სიყვარულით და თანაგრძნობით უმღერის საყვარელ გმირს.

ხალხის რწმენით, კარგ ყმას ბევრი მტერი ჰყავს, ცუდს კი არავინ ემტერება. გარეშე მტერთან ბრძოლასა თუ შინაურ შუღლში, საუკუნეების განმავლობაში რომ მიმდინარეობდა,

თანდათან ჩამოყალიბდა თვალსაზრისი იმაზე, როგორი უნდა ყოფილიყო გმირი ვაჟკაცი, რა ევალეობდა მას სამშობლოსა და ხალხის წინაშე.

მტერი აფრთხილებს კაცს, უბიძგებს მოქმედებისკენ: მუდამ ფეხზე იდგეს, მუდამ მზად იყოს, რომ არ დაეძინოს, არ დაჩლუნგდეს. კაი ყმა დღენიადაგ შემართული უნდა იყოს მტერთან საომრად:

„მტერი რას მიზამს პირდაპირ?
მალვით თუ მიზამს ზიანსა,
მალვით ვინც მტერი მტერს მოჰკლავს
ის ქალს ვითა სჯობს თმინსა? (2, თსუფა 6441)

უნდა აღინიშნოს, რომ ქართული ფოლკლორის სტიქია ვაჟასთანაც აირეკლა. გავიხსენოთ “პაპაჩემის ანდერძი”. ვაჟა წერს:

„მტერს ხმალი უნდა საფრთხოლად,
კვალზე მიყოლა მგლურადა“

ერთი ხალხური ლექსის გმირი ივანეური პირდაპირ ნატრობა დუშმანთან შებმა-შერკინებას. მოზღვავებული მტრის მოსვლის მოლოდინში გართული მოყმე გულმოდგინედ ლესავს თავის ხმალს, ლესავს და თან ესაუბრება, როგორც თანამომძმეს, როგორც ვაჟკაცს:

ხმალს ლესავს ივანეური
-ხმალო, გამიჭერ, ტიალო!
მტერი მოსულა კარზედა,
იქ უნდა გაგაპრიალო,
ან მოვკლავ, ან მე მოვკვდები,
ცოცხალმ არ უნდა ვიარო“ (3, 216)

აღმოსავლეთ საქართველოს მთიელებში მეცხრამეტე საუკუნის ბოლო ხანებამდე შემორცა მოკლული მტრისათვის მარჯვენა მკლავის მოკვეთის ადათი. წარმართული რწმენის თანახმად, რაკი ადამიანის ფიზიკური სიკვდილი ნიშნავდა გარდაცვალებას-გარდასახვას ამიტომ ქიშპი მოწინააღმდეგეთა შორის საიქიოშიც მიმდინარეობდა. მარჯვენის მოკვეთა საიქიოში მტრის დაუძღვრებას ისახავდა მიზნად. ამიტომ ისინი მიცვალებულს აჭრიდნენ მკლავს და მიჰქონდათ თავიანთ სოფელში, როგორც უტყუარი საბუთი მტერზე გამარჯვებისა. მარჯვენას აჭრიდნენ მხოლოდ ურჯულოებს (არაქრისტიანებს-ქისტებს, ლეკებს, თათრებს) ასევე იქცეოდნენ ურჯულოები, რომლებიც ხოცავდნენ ქართველ მთიელებს.

მოჭრილ მარჯვენას თუსები საგანგებოდ ინახავდნენ, ჭერში ჰკიდებდნენ ან ქავზე აკრავდნენ. ამით ამაყობდნენ ისინი თავიანთ ტომში, თემ-სოფელში, თანატოლთა შორის. ზოგიერთი მთიელის ქავ-ციხეზე მისგან დახოცილი ურჯულოების მთელი აცმა ეკიდა.

მარჯვენა მკლავის მოკვეთის ტრადიციამ თავისებური ასახვა ჰპოვა ქართულ ხალხურ პოეზიაში. ერთ-ერთ ხმით ნატირალში გამოტქმულია მწარე სინანული ურჯულოთა მიერ ნათესავისადმი მარჯვენა მკლავის მოკვეთის გამო:

„სადრარა მოკლეს ურჯულოთა,
სადრარა მოგჭრეს მარჯვენაუ,
სადრა დააკრეს ციხეზედა-
ციხეს სადრარა ალამაზებს“ (4, 39)

სერგი მაკალათიას ეთნოგრაფიული ხასიათის წიგნებში მრავლად გვხვდება სურათები მთიელთა ციხე---კოშკებისა, რომლებზედაც მტრის მარჯვენები ჰკიდია.

ხალხური ლექსის მიხედვით, ცოცხალი ლუხუმისთვის მოუჭრიათ მარჯვენა უღმობელ მტერს:

„ხელი მარჯვენა მააჭრეს,
წესიც არ იყო მთლისაო“ (5, 35)

მთლის, ე.ი. ცოცხალი ვაჟკაცისათვის, მარჯვენის მოჭრის წესი არ ყოფილა, მაგრამ გაბოროტებულ მტერს მაინც მოუკვეთია მკლავი სახალხო გმირისათვის.

ერთი ხევსური გმირი ეხვეწება მახვილით თავზე დამდგარ მტერს: მაინც შენი მსხვერპლი ვარ, მომკალი, ოღონდ მარჯვენას ნუ მომაჭრი, იარაღს ნუ ამყრი, სასაცილოდ ნუ

გამხდი, ჩემი სიკვდილით სახელი მაინც დაგრჩებაო, მაგრამ მოწინააღმდეგემ დაუფიქრებლად უნდა შეასრულოს წინაპართა მიერ საუკუნეების მანძილზე დაკანონებული წეს-ჩვეულება.

მტკივნეულად განიცდის ლექსის გმირი მოსალოდნელ ვითარებას, ამაოა მისი ვედრებაც:
„ხელსა ნუ მამჭრი ივანე,
სახელი მაინც შენია“ (5,101)

ხევსური მეზრდოლი ნასკვაურისძე მუსრს ავლებდა მტერს, მაგრამ სხვა ხევსურების მსგავსად როდი იქცევა-მოკლულ მტერს იგი პრინციპულად არ სჭრის მარჯვენას. ნასკვაურისძის აზრით, დუშმანისათვის მკლავის მოკვეთა “ხევსურის წესი არა არს”. ხალხურ ლექსში ნათქვამია:

„კაცებს ხოცს, ხელს კი არა სჭრის;
ხევსურის წესი არ არსა,
ხელ მოსჭერ ნასკვაურისძევ,
უხელოდ სახელ არ არსა“ (5,33)

თავისთავად იბადეება კითხვა: თუ კი ხევსურის წესი არ არის მოკლულისთვის მკლავის მოჭრა, მაშინ რატომ ჭრიდნენ სხვა ხევსურები? იქნებ არაა მართალი ნასკვაურისძე? - ნასკვაურისძე უდავოდ მართალია: მისგან განგმირულ მტერს დასახიჩრება და შეურაცხყოფა აღარ უნდა. მაშინ რატომ უკიჟინებს ხალხური მთქმელი ასე დაჟინებით: ხელი მოსჭერიო?

სავარაუდებელია, ეს წესი თავდაპირველად არც არსებობდა ხევსურეთში, იგი შემოსული უნდა იყოს კავკასიის მთიელთა ტომებიდან.

მკლავის მოკვეთის წინააღმდეგ გაილაშქრა ვაჟა-ფსაველამ პოემაში “ალუდა ქეთელაური” მინდიას მიერ მუცალის მარჯვენის მოტანის დროს გამოვლენილი წინააღმდეგობა ალუდასა და შატილიონს შორის დამაბულად წარიმართა. ალუდა უკვე მტკიცედ და გარკვევით ამბობს უარს მარჯვენის მოკვეთაზე. ხევსურებთან პაექრობაში ეს თვალსაზრისი ასეა გაცხადებული:

„რაად მინდარის, ვერ მიხმლობს,
არ გამოდგება ფარადა,
მთაში წავილო, არ მითიბს,
არც მარგებს თივის კავადა“

თემურ წყობილებას უმთავრესად ახასიათებდა შურისძიებისა და სისხლის აღების წესები და თემურ თუშეთშიც ეს ადათი მტკიცედ იყო დაცული. თუში თავის მოძმის სისხლს არავის შეარჩენდა და მტერზე რომ შური ეძია, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იზრდოდა.

სისხლის აღება ძველად სავაჟკაცო საქმედ ითვლებოდა თუშეთში. ხალხი აქებდა იმ ვაჟს, ვინც მტერზე შურს იძიებდა სისხლის აღბით და სამაგიეროს მიუზღავდა მოქიშპეს:

„ელოდებიან ჩანთელსა,
ქისტეთს წასულა ხმლიანი,
სისხლის აღება უნდარის,
მტერს უნდა უყვას ზიანი.
ძმობილის მომკლავს დაეძებს
შვიდ წელი ხდება მთლიანი“ (6,74)

ჩანთელი მერვე წელს გზაზე შეხვდება ძმობილის მკვლელ ქისტებს. გულში მოარტყამს ტყვიას. თავისი ვალი რომ აღასრულა, ჩანთელმა ცრემლები შეიმშრალა და სიმღერით გაემართა სახლისაკენ:

„ახლა მიდ-მოდის მღერითა
ჩანთელი სახელიანი.
ხელები ციხეს მიაკრა,
ბუზნი სჭამენ და ჭიანი“ (6,74)

ლექსში “გამზდელიმც დაილოცება” მთქმელი თუშ როსტომს აქებს. მისთვის როსტომი მრავალი ღირსებით შემკული პიროვნებაა. უმთავრესი ღირსება კი ის არის, რომ ძმობილის მკვლელი ხაწეთა ბათარი მოკლა:

ჩამოდის ქისტის ჭალაზედ,
სწავლა არ უნდა გზისაო,

გავიდა ქორვის მთაზედა,
ნამი გაბლერტა მთისაო.
მარტო ჩავიდა ახვაში
თან კვალი ჩაჰყვა მგლისაო,
როსტომსა სისხლის მძებნელსა
იმედი აქვსა მხლისაო.
თოფსა არ ისვრის როსტომი,
გატეხ არ უნდა ხმისაო,
მოკლა ხაწეთა ბათირი,
მომკლავი ძმობილისაო“(6,74)

ასე იძია შური როსტომმა ძმობილის მკვლელზე. სისხლის აუღებლობა თემის ადათით დიდ ცოდვად და სირცხვილად ითვლებოდა. რომელსაც არავინ დარჩებოდა ნათესავთაგან, მისი თემის კაცი ვალდებული იყო შური ეძია. ამის გამოძახილს წარმოადგენს ლექსი “თამარაისძის სისხლი აიღეს“. ეს ლექსი თედო რაზიკაშვილს ჩაუწერია და შნიშვნაც დაურთავს “თამარაისძესა მძებნელ დაშჩ არავინაო. თამნიაურს თამარაისძე მოუკლავს. თურმე არხეინად იყო იმას ნათესავი არ დაჰრცა, რომ სისხლი აიღოსა, მაგრამ მეგობრებმა აიღეს: ერთხელ ბალათერა ბერიეშვილთან მისულა და უთქვამს:

„მე-და შენ შინ რაადალ ვსხედვართ,
ხალხმ ჩვენზე გაიცინაო“

სისხლის ამღები რომ კლავს თანამომძის მკვლელს, იგი მას აგზავნის საიქიოში, სადაც მოკლული მტერი სისხლის ამღების გარდაცვლილ ნათესავს ან თანამომძეს უნდა ემსახუროს მუდმივად: უზიდოს წყალი, უბანდოს ჯღანი და სხვა მისთანანი.

ხალხური მთქმელი დიდ ლაშარის ჯვარს ავედრებს გარდაცვლილ გმირს-ხალიაისძის სულს. გმირისას, რომელმაც თავისი მხედრული ვალი პირნათლად მოიხადა თემ-სოფლის წინაშე და სიკვდილის წინ სამი მტერი გაიმძღვარა საოქიოში:

„სასუფეველსაც დაგიდგამს
ლადი ლაშარის ჯვარიო,
ზოგთ წყალთ აზიდვინებდი,
ზოგთ აბანდვინე ჯღანნიო“(7,46)

აღნიშნული თვალსაზრისით არანაკლებ საინტერესოა ხმით ნატირალი ლექსები. მთის ერთ სოფელში გარეშე მტერთან ბრძოლაში დაღუპულ ვაჟკაცს გლოვობენ. ვაჟს რამდენიმე ურჯულო მოუკლავს, მაგრამ თვითონაც დაჰბნელებია მზე, მაგრამ ვაჟის თანამებრძოლს დუშმანის სისხლი აუღია. ნადობი დასტირის ნამძობს:

„შაჰრჩეს მსროლელსა თვალნი და ხელნი,-
გამოგაყოლა შენი მამკლავი,
შვიდ-შვიდი, ძმაო, განა ერთი!“(8,31)

ივანე ჯავახიშვილი “ქართული სამართლის ისტორიაში“ მსჯელობს შურისგების ზოგიერთ სახეობაზე. როცა საგვარეულო წეს-წყობილება სუფევდა, ყველგან თანამეგვარის ერთის გვარის შვილსა და სახლის კაცის მოკვლა საზარელ, მიუტოვებელ ცოდვად ითვლებოდა. სხვა გვარის კაცის დამარცხება და მოკვლა კი თანამოგვარეების სასიქადულო, საქებურ მოქმედებად და ვაჟკაცობად მიაჩნდათ. მკვლევარს ამ მოსაზრების დასტურად წერილობითი წყაროები არ მოაქვს, რადგან საბუთებში ამგვარი შურისძიების კვალი აღარ ჩანდა.

ზემოთ მოყვანილი ლექსები ამგვარი საგვარეულო შურისძიების ნიმუშად უნდა ჩაითვალოს. აქ შეიძლება დავიმოწმოთ ალ. ყაზბეგის მიერ „ელგუჯაში“ აღწერილი ვითარება. როცა ელგუჯა გაგი ჩოფიკაშვილს კლავს, სვიმონ ჩოფიკაშვილის ვალია სისხლი აიღოს. სვიმონი ეუბნება მზალს: “ელგუჯამ სახლიკაცი მომიკლა, იმას ჩემი სისხლი ჰმართებს.

ვაჟა-ფშაველას ინტერესთა სფეროში შემოდიოდა შურისგების პრობლემა. პოეტი კარგად იცნობდა ხალხურ შემოქმედებას და კარგად იცოდა, ვაჟკაცი რომ მკლავის ძალით ფასდებოდა, მაგრამ ვაჟასთვის მთავარი ადამიანის სულიერ სამყაროში წვდომა და ადამიანური არსის გარკვევა იყო.

ვაჟას გმირთა ტრაგიკულობა მათ ღრმა პიროვნულობაში დევს. ალუდა მუცალის სიკვდილმა დააფიქრა და ასე ათქმევინა:

„ჩვენ ვიტყვით კაცნი ჩვენა ვართ,
მარტო ჩვენ გვზრდიან დედანი,
ჩვენა ვცხოვდებით, ურჯულოს,
კუპრში მოელის ქშენანი“

მტერში ადამიანის დანახვა და მისი სიბრალული ჩანს ლუხუმის სიკვდილშიც. ზეზვა მას ლეკვებზე თავდასხმას ახსენებს და ეუბნება:

„შენ შაგებრალა ურჯულო,
მოგიწყლიანდა თვალები“

ვაჟას გმირები რწმუნდებიან იმაში, რომ ხოცვა-ჟლეტა კაცის ხორცის ჭამაზე საშინელია. ისინი გამოდიან ჩვეულებრივი ყოფის სფეროდან და ზოგად-ადამიანური შეგნების სიმაღლეზე ადიან.

პროფ. ზ. კიკნაძის აზრით, “ვაჟას საუკეთესო გმირები სწორედ იმისთვის არიან შობილნი, რომ გაარღვიონ საზოგადოების წარმართული შეგნება“ (9, N48).

ლიტერატურა:

1. ს. ს. ორბელიანი, სიტყვის კონა, 1961
2. თსუფა 6441
3. ხალხური სიტყვიერება, ტ. 3 1953
4. ხმით ნატირლები, შეადგინა ირაკლი გოგოლაურმა, თბ. 1981
5. ა. კ. შანიძე, ხალხური პოეზია, I, ხევსურული, თბ. 1931
6. ქართული ხალხური პოეზია, ტ. IV, თბ. 1975
7. პეტრე უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, თბ. 1937
8. ზ. კიკნაძე, “გილაგამეშიანი” ლიტ. საქართველო, 1984, 48

Poems depicting enmity and revenge in the mountains of Eastern Georgia

Bakuridze Mariam

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Tbilisi

Abstract

In Georgian folklore, the concept of "enemy" is complex, because it contains many components. The oral materials of the mountaineers of Eastern Georgia should be managed by the commander and their neighbor, the son of some corner.

Tushian heroic poetry, like all heroic poetry in general, is characterized by the speech of its hero, the glorification and exaggeration of his heroism. She sings with great love and compassion to her beloved hero.

According to people's belief, a good servant has many enemies, and a bad servant has no enemies. Whether in a fight with an external enemy or in a domestic feud, which was going on for centuries, a point of view was gradually formed on what a heroic man should be, what he owed to his country and people.

The rules of taking revenge and taking blood were the main features of the Temur system, and this tradition was firmly observed in Temur Tushian as well. Tushian would spare no one the blood of his brother, and if he sought revenge on the enemy, he would fight to the last drop of blood.

Keywords: Georgian folklor; concept of "enemy"; mountains of Eastern Georgia

ისტორიული რეპრეზენტაცია და რეჟისორ სტენლი კუბრიკის პეპლუმი ფილმში „სპარტაკი“

გელოვანი ნინო

ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი

DOI: <https://doi.org/10.52340/idw.2023.45>

აბსტრაქტი. ისტორიულ ფილმზე საუბარი მოიცავს წარსული მოვლენებისა და ფაქტების გადმოტანის სხვადასხვა ხერხს (ნარატიული, ანალიტიკური, რაოდენობრივი). ჩვენ შეგვიძლია ისტორიული ფილმი დავყოთ რამოდენიმე კატეგორიად: ისტორია, როგორც დრამა/ანტიდრამა; ისტორია გმირების გარეშე, ისტორია, როგორც ესე; სპექტაკლი, პირადი ისტორია, ზეპირი, პოსტმოდერნისტული. კინოსურათების ექსპლიციტური მიდგომა იმ ეპოქის სოციალურ, პოლიტიკურ საზრუნავს ასახავს. ფაქტობრივად ფილმის პოსტ-პროდუქცია სწორედ წერილობითი ისტორიული კონვენციის დოკუმენტის, ან ემპირიული მასალის საფუძველზე გვამოგზაურებს წარსულ სამყაროში. ისტორიული ნაწარმოების წაკითხვისას სიტყვებით შექმნილ წარსულში ყოფნა არ არის მყისიერი, ისე როგორც ეკრანზე ყურებისას. როგორი ჟანრისაც არ უნდა იყოს ისტორიული ფილმი, ის ჩვენ - მაყურებელს გვთავაზობს ვიზუალურ თხრობას: დახურულს, დასრულებულს, ღიას და ზოგ შემთხვევაში მარტივი დრამატურგიული ფორმითაც.

სპარტაკი - თრაკიელი გლადიატორი, არის ძველი რომის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ფიგურა. მიუხედავად ამ პერიოდის ისტორიული წყაროების ნაკლებობისა იგი პოპულარული გახდა თანამედროვე საზოგადოებაში. მისი ისტორია ადაპტირებულია რომანებში, ფილმებში, ბალეტშიც კი.

მხატვრულ ფილმში რეჟისორი მიზნად ისახავს მაყურებელმა ნახოს სპარტაკის იდენტიფიცირება გლადიატორებთან, ასევე გაიგოს რომელთა პერსპექტივა, სავარაუდო ბალანსი, რომელიც ხელს უწყობს სცენარისტის დალტონ ტრამბოს პოლიტიკურ მიზნებს და „Universal“-ის მემარცხენე იდეოლოგიის პოპულარიზაციის შიშს. რომაული საზოგადოება ისტორიულად ხშირად იყო წარმოჩენილი, როგორც „ძლიერებისა და მანკიერების საზოგადოება“, ფილმში კი ამბის სიუჟეტური წყობა სხვაგვარია: „დაამოროს მაყურებელი რომაელებს და მოიზიდოს აუდიტორია რომის მსხვერპლებთან, ან მოწინააღმდეგეებთან იდენტიფიცირებისთვის“. ფილმი „სპარტაკი“ ერთადერთი მაგალითია კინემატოგრაფიის ისტორიაში, სადაც რომაელები მტრად არიან გამოყვანილნი, რაც სპარტაკს უნიკალურს ხდის. კინოსურათში არის დისტანცირების გამოყენება, იდენტიფიკაცია ამერიკულ მიმდინარე მოვლენებთან გარკვეული იდეოლოგიების პოპულარიზაციისთვის. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ფილმის წარმოების კონტექსტს განვიხილავთ, ეს პოლიტიკური განცხადებები კიდევ უფრო ნათელი ხდება. ისტორიული გარემოება, სპარტაკის ისტორია, იწყება არა ფილმით, არამედ რომანით.

ჩვენი კვლევა ფოკუსირებულია ორ მნიშვნელოვან მოვლენაზე - ჰოვარდ ფასტის, ამავე სახელწოდების რომანის მიხედვით - სტენლი კუბრიკის ფილმის, რომელიც 1960 წელს არის გადაღებული. ჩვენი თეზისი განიხილავს მოტივებსა და გზავნილებს კლასიკური სიუჟეტის თანამედროვე აღქმის ადაპტაციის მიღმა არსებული ისტორიისას. მოკლედ, მატებს თუ არა კინო-ენა მაყურებელს წარსულის ისტორიის რეპრეზენტაციას, რათა გავითავისოთ კონკრეტულად ისტორიული პიროვნება, მოვლენა, ფაქტები და სიტუაციები.

საკვანძო სიტყვები: ისტორიული ფილმი, ძველი რომი, სპარტაკი, რეპრეზენტაცია, გლადიატორი, ჰოვარდ ფასტი, სტენლი კუბრიკი.

შესავალი

ასაკის მიუხედავად, ყველა თაობამ იცის სპარტაკის შესახებ. სანამ ჭეშმარიტად კინო ნაწარმს შევხებოდეთ, ჯერ საჭიროა გავაკეთოთ ექსპლიკაცია სპარტაკზე, როგორც ისტორიულ ფიგურზე. ბევრი რამ არ არის ცნობილი თრაკიელი გლადიატორის შესახებ, რომელმაც რომის სახელმწიფოს წინააღმდეგ აჯანყება მოაწყო. როგორც ჩანს, სპარტაკი თრაკიელი იყო (Crassus, 2007), თუმცა ის ნამდვილად იყო არა მონების შვილი და შვილიშვილი, როგორც ეს ფილმშია ასახული, არამედ ფაქტობრივად სპარტაკი, თავისუფალი ადამიანი, დაიბადა თრაკიაში; რაიონში, რომელიც მოიცავდა თანამედროვე ბულგარეთის, საბერძნეთისა და თურქეთის ნაწილებს. სპარტაკი – ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი რომაელი გლადიატორია, რომელსაც წლების განმავლობაში აიძულებდნენ არენაზე გასულიყო და ხალხი გაერთო, რათა საყვარელი ქალის ნახვის უფლება მოეპოვებინა. სპარტაკი მეთაურობდა მსოფლიო ისტორიაში მონათა ერთ-ერთ ყველაზე დიდ აჯანყებას, რომელიც საბოლოოდ რომაელებმა სისხლში ჩაახშეს.

სტენლი კუბრიკის სპარტაკი არის საკულტო სამ საათიანი ფილმი, კინემატოგრაფიის აღიარებული კლასიკა. კირკ დუგლასის და 60-იანი წლების ჰოლივუდის სხვა ვარსკვლავების ბრწყინვალე პერსონაჟები, მშვენიერი საქოპერატორო ნამუშევარი, ეპიკური ისტორია და მუსიკა. სიყვარულის შემადრწუნებელი ხაზი - ერთი დღეც არ არის მოძველებული. მაგრამ მთავარი, რაც ფილმს აქტუალურს ხდის, სიუჟეტია; სადაც აქცენტები ისეა მოწყობილი, რომ სპარტაკის აჯანყება ძველი აღთქმის გამოსვლას იძენს. გმირი თავად ხდება მოსე, რომელიც მონების ხალხს (ოჯახებითა და ჩვილებით) რომაული მიწებიდან მიჰყავს. უფრო მეტიც, ზოგან აშკარაა მინიშნებები არა ეგვიპტის შეთქმულებაზე, არამედ ნაცისტურ გერმანიაში ებრაელთა გენოციდზე. ფილმს თავისი შინდღერიც კი ჰყავს. „ურჩის აჯანყება კუთხი.. აბა, ვენდობი ამ პეპლუმს...“. არსებობს ჭორები (და როგორც ჩანს სიმართლეა), რომ "უნივერსალს" არა კუბრიკი მართავდა, არამედ დუგლასი. მაიკლის მამამ, კირკ დუგლასმა არა მხოლოდ პირველი ფიდელის როლი შეასრულა, არამედ წინ წაწია კუბრიკის კარიერა! ასე რომ, პირველი ფერადი სრულმეტრაჟიანი ფილმი სტენლი კუბრიკისთვის "სპარტაკია" (1960 წელი).

მსჯელობა

კინოს ისტორიული მიმდინარეობიდან პეპლუმი, ალბათ, ყველაზე იდუმალია, რადგან ის მოგვითხრობს იმდენად შორეულ დროზე, რომ მათთან მიახლოება მითოლოგიაში გადახვევაა. როცა სიუჟეტი ცოცხალ, ნამდვილ გმირებზეა, ინტერესი კიდევ უფრო ძლიერდება. მაშინ შესაძლებელი გახდა სამხედრო - ისტორიული ორიენტაციის მქონე ფილმების გადაღება. პირველ რიგში, პეპლუმს ახასიათებს არა მხოლოდ ისტორიული მოვლენების ხელახალი შექმნის ზოგადი ვექტორი, არამედ კინოს საკმაოდ დიდი ხანგრძლივობა, რაც იშვიათი მოვლენა იყო გასულ საუკუნის ამავე პერიოდში. სიუჟეტში ყველა პიროვნების გამოხატვას სოლიდური დრო დასჭირდა. კუბრიკმა ყველაფერი იმპროვიზირებულად - თეატრის ელემენტებით გააკეთა. სურათი გახდა ეგრეთწოდებული პეპლუმების პოპულარობის აპოგეა, რომელსაც უბრალოდ ისტორიულ ეპოსს უწოდებენ. დღეს რაც ხდება, ნაკლებ სავარაუდოა რომ ვინმე გულგრილი დატოვოს. კადრში რამდენიმე ასეული ან თუნდაც ათასობით ადამიანი ჩნდება, რომლებიც გამოწყობილნი არიან აღწერილ ეპოქასთან დაკავშირებულ სპეციალურად გადაკეთებულ კოსტიუმებში. ჯერ ერთი, ადამიანური მასა განასახიერებს მონების დაშლილ სხეულებსა და სულებს - სიხარბისა და რომის მარადიული დიდების მსხვერპლს. ისტორიული მოვლენების ჯაჭვის შემდეგ, ბრბო არის ათასობით თავისუფალი ადამიანი, იმპერიის მეომრები, ძალაუფლებით მოქცეული მოქალაქეები და უბრალო მათხოვრები. როდესაც ხვდები, რომ ასეთი ფართომასშტაბიანი კადრები ფილმში დარჩა კომპიუტერული გრაფიკის გამოყენებამდე რამდენიმე ათეული წლით ადრე, ვფიქრობთ კიდევ უფრო მჭიდროდ შევხედოთ კადრის თითოეულ ასეთ პერსპექტივას. კუბრიკმა გამოიყენა კადრების წებოვნობის ცნობილი ტექნიკა: პანორამული სროლა რომის დიდებული ბორცვების ფონზე, მონტაჟი, მაგრამ ამდენი წლის შემდეგაც კი სურათზე ისეთი ძლიერი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ადრე ნანახის გადაფასებაც კი ხდება; უფრო თანამედროვე კინოში. ეს არის ეპოქა, რომელიც

მოგონებებს ტოვებს. ფილმის ბიუჯეტი 12 მილიონი დოლარს შეადგენს (ინფლაციაზე მორგებული). გმირის კარიერა შრომით იწყება. ვინაიდან ისტორიიდან სპარტაკის ამბავს უკვე ვიცნობდი, დაახლოებით ვიცოდი, რას ველოდებოდი, თუმცა ფილმში რაღაც განსხვავებული იყო. არ ველოდი გლადიატორსა და პატრიციანს შორის კავშირს, მიხვდი, რომ ეს იყო ექსკლუზიურად ჯოვანიოლური ცნება, ამბავი არ დარჩენილა სიყვარულის ხაზის გარეშე, რომელიც სპარტაკის გულს ათბობდა. ეკრანზე გამოიტანეს ტექსტი, როგორც მუნჯ ფილმში! კარგია, რომ კინოსურათში ჩვენ ვხედავთ გენერალურ ბრძოლას მარკ კრასუსთან.

იმისდა მიუხედავად, რომ ძალიან დიდი ხნის წინ არის გადაღებული, საკმაოდ თანამედროვედ გამოიყურება. ფილმში ყველაფერი შესანიშნავია - მსახიობების თამაში, საბრძოლო სცენების გადაღება, დეკორაციები, კოსტიუმები. ყველაფერი ძალიან დამაჯერებელია. ფილმი დინამიურია, სიღრმისა და ფილოსოფიური ასახვის გარეშე არჩევანის თავისუფლებაზე. რეჟისორს აქვს პრეტენზია თუნდაც უმნიშვნელო პერსონაჟების ესკიზურ გამოსახულებაზე. ყველაფერი ძალიან ჰარმონიულია. სტენლი კუბრიკი ბრწყინვალე რეჟისორია, ამაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდი!

ფილმის ისტორიულ სიზუსტეზე რაღაცის თქმა ძნელია. სავარაუდოდ, რამდენადაც სწორია ჩვენი ცოდნა და იდეები იმის შესახებ, თუ რა ხდება ჩვენს ეპოქამდე. ფილმის შემქმნელები ხელმძღვანელობდნენ ძველი ისტორიკოსების პლუტარქესა და აპიანეს მასალებით. სპარტაკი ძვ.წ 71 წელს გარდაიცვალა. ასე რომ, ჩვენ არ ვიცით მთელი სიმართლე გლადიატორების აჯანყების ლიდერის შესახებ. რათქმაუნდა, სპარტაკის პიროვნება გმირულია და ისტორიული მოვლენების ჩვენებაში არის მხატვრული ფიქცია. ყველა ისტორიული ფილმი ხომ ასეთია.

პეპლუმის ჟანრის ფილმების ნარატივის მსგავსად; დიახ, სურათი არ არის ისეთი სანახაობრივი და რეალისტური, თანამედროვე ფილმებისგან განსხვავებით. შეიძლება ჩანდეს, რომ გულუბრყვილოდ გამოიყურება, მაგრამ ამ სიმარტივეში არის რაღაც ორიგინალური, უნიკალური, რადგან ის უფრო და უფრო ეყრდნობა დიალოგებს და გაცილებით ნაკლებია აქტიური მოქმედებები. ანტიკური თემების ახალი ფილმები რაღაცნაირად პრიალაა. აქცენტი მეტწილად ვიზუალურ ეფექტებზე კეთდება, რაც მოსაწყენად გამოიყურება. ფილმის მთავარი ლაიტმოტივი თავისუფლების სურვილია. ასევე ის, თუ როგორ ებრძვის უბრალო ადამიანი უსამართლო სისტემას, გადის ყველა სახის გასაჭირს და ეს მას კი არ არღვევს, არამედ თრგუნავს. სურათი ჩვენთვის ველურ, უჩვეულო სამყაროში იძირება, სადაც ირღვევა ადამიანების უფლებები, ბატონობს მონობა, ადამიანები ცხოვრობენ არაადამიანურ პირობებში და თანასწორობა 0-მდეა დაყვანილი. ეს ყველაფერი გმირებს უბიძგებს მიიღონ მკვეთრი ზომები, რაც მოვლენის ახალ წესებს ადგენს. ფილმი ეხება გადაღების დროს აქტუალურ მწვავე თემებს, კერძოდ, რასობრივი უმცირესობების და მემარცხენე შეხედულების მქონე ადამიანების დისკრიმინაციას, რამაც გამოიწვია კამათი შემქმნელებს შორის, რადგან ფილმი გადაღებულია ცივი ომის ეპოქაში, როდესაც მოხდა დაპირისპირება ორი ზესახელმწიფოს: „აშშ“-სა და „სსრკ“-ს შორის. ეს იყო კუბრიკის ყველაზე არასასურველი პროექტი, რადგან მას არ ჰქონდა სცენარის რედაქტირების შესაძლებლობა. უმეტესწილად, იგი ყველაფერს აკეთებდა სტუდიის ხელმძღვანელების დავალებით; შესაბამისად, „სპარტაკში“ რეჟისორის სტილი არც თუ ისე მკაფიოდ იგრძნობა. სწორედ გამჟღავნებული ისტორიის წყალობით დიდი ყურადღება ექცევა გლადიატორთა სკოლას, სადაც ვეცნობით რომაელთა ტრადიციებს ლაღატით, დამცირებითა და პატივით.

პარალელურ სიბრტყეზე ვითარდება მეთაურის და მონათვაჭრის პოლიტიკური თამაში, სადაც სათნოების საბანი მონებით მოვაჭრესთან იხრება. სამყაროში, სადაც მსახურები და მონები იძულებულნი არიან გააჭიანურონ სავალალო არსებობა, შეგიძლიათ იპოვოთ სიკეთის ნოტები. ვარჯიშიდან ბრძოლაზე გადასვლა მშვენივრად არის შერწყმული მტრის განწყობასთან: საზოგადოების ქვედა ფენის ქალების აბუჩად აგდება იწვევს სპარტაკის აღშფოთებას და ზიზღს. საბედისწერო მოვლენის შემდეგ, შეგიძლიათ გამოიტანოთ მცირე დასკვნა, რომ როგორც არ უნდა მოეთხოვათ ბატონებს ბრძოლები, მონები, რომლებიც ერთად ცხოვრობენ, ერთად ვარჯიშობენ, ერთად ჭამენ, ადამიანური მომენტი მათში უფრო ძლიერია, ვიდრე ტირანთა ნება.

ზემოთ აღწერილი უნაკლო ეპიზოდი იწვევს ემოციების სპექტრს და სიამოვნებას ანიჭებს ისტორიულ დრამას.

მერვე სიკვანში - ფინალთან უფრო ახლოს, საცოდავი მონის კვალიც კი აღარ ფიქსირდება. ჩვენ გვაქვს ლეგენდა სპარტაკზე. ამბავს მთელი ფილმის განმავლობაში ჩვენ მივყავდით გასაოცარ ემოციურ ეპიზოდებამდე. გაანადგურე გმირი? ეს საკმარისი არ არის. მნიშვნელოვანი იყო სპარტაკის ლეგენდის გაქარწყლება, რომელმაც იტალიას რევოლუციური ცვლილებების უფლება მისცა მონების აჯანყების საპირწონედ. ფილმის ფინალი - ბოლო ბრძოლა ბრწყინვალე დრამატულად გაწყობილი კონსტრუქციაა, სადაც დრამა მატულობს. მონური ცხოვრების რეკლამა პირდაპირია: „დაიბადე მონების ოჯახში და იცხოვრე როგორც მონა, ასე ყოვლისმცოდნე გახდები“. სპარტაკის ფიგურა სამუდამოდ იქცა ყოველგვარი ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარ სიმბოლოდ - სულაც არ იყო, რომ კარლ მარქსი მას პროლეტარიატის ერთ-ერთ საყვარელ გმირად თვლიდა და 1951 წელს კიდევ ერთმა კომუნისტმა (უკვე ამერიკელმა) სახელად ჰოვარდ ფასტმა დაწერა წიგნი სპარტაკის შესახებ - (იჯდა დემოკრატიული იდეოლოგიის მქონე სახელმწიფო ციხეში თავისი პოლიტიკური შეხედულებების გამო).

თავიდანვე ირკვევა, რომ ჩვენს თვალწინ მომხდარი ამბის სტილი და პათოსი თითქმის ოპერაა. პირველი შვიდი წუთის განმავლობაში მაყურებელი შავ ეკრანზე ჩერდება და უვერტიურას უსმენს. მსგავსი ხრიკი ფილმის შუაში მეორდება: როგორც ჩანს, უპატიებელია საეკრანო დროისა და მაყურებლის ყურადღების ამაოდ კარგვა. თუმცა, ძველმოდური პათოსისა და ეპოსის ეს ატმოსფერო უფრო მომგებიანია ფილმისთვის. ძლიერი ნებისყოფით, ჩაღრმავებული ნიკაპით, კირკ დუგლასი გზას უხსნის მონებს თავისუფლებისა და ღირსებისკენ - ნამდვილ რევოლუციონერს. არანაკლებ საინტერესოა კეთილშობილი რომაელი პოლიტიკოსების ჩხუბის ყურება, რომელსაც ბურჟუაზიული ელფერი განსაკუთრებით დაჰკრავს: ისინი აბანოში ერთმანეთს უღიმიან, მაგრამ ამავდროულად, ერთმანეთისადმი სიძულვილის საპირწონედ მხოლოდ ქიშპობა შეუძლიათ. სურათის გადაღება და მონტაჟი ძალიან რთულია. ბრძოლები ეფექტურად გადაიღეს, სადაც უზარმაზარი ბრბო იყო ჩართული, სპარტაკისა და გლადიატორთა ბრძოლის სცენა საინტერესო თვალსაზრისითაა გადმოცემული (არის რასობრივი დისკრიმინაციის თემის აშკარა გამოძახილი, ზოგადად ფილმი სავსეა ალუზიებით). ფილმის მთავარი თემა ფრაზა "მე ვარ სპარტაკი" არ არის. თუმცა, ერთ-ერთი ყველაზე ცნობადი ფილმია მსოფლიო კინოში.

დასკვნა

სურათი გრანდიოზულია თავისი მასშტაბით. დიახ, ფილმს შეიძლება პრეტენზია ჰქონდეს სიუჟეტური სიკარგითა და თამაშის თვალსაზრისით. თავად კუბრიკმა კი უარყო ფილმის მაშტაბურობა და თქვა, რომ ეს უფრო სტუდიური პროდუქტი იყო. რომის რესპუბლიკა ნაჩვენებია ძალიან დიდებულად და ლამაზად. სახელმწიფო მართლაც იწვევს შიშს, როგორც ამბობენ რომის მმართველები. დეკორაციის უზარმაზარი მრავალფეროვნება: სვეტები, ღვთაებები, ტაძრები, სავარჯიშო მოედნები. რომაელი ჯარისკაცების, ასევე გლადიატორების ფორმა ძალიან ავთენტურად გამოიყურება. მაგრამ ეს მაინც ყვავილებია, როდესაც საქმე ეხება ფართო მასშტაბიან ბრძოლებს. ბრძოლები არენაზე, მეორეხარისხოვანი მსახიობები. მთავარ როლებში მსახიობები შესანიშნავად ასრულებენ თავიანთ საქმეს. კომპოზიტორ ალექს ნორტის მუსიკალური აკომპანიმენტი მართლაც გმირული, ეპიკურია. იგი გაიძულებს დაიჯერო ლეგენდარული სპარტაკისა - კაცი, რომელიც იყო მონა და გახდა გმირი, ლეგენდა. მუსიკა ურტყამს ყველა გრძნობას, აიძულებს ემოციებს ააფეთქოს კომპოზიციების ასეთი წარმოუდგენელი წნეხი. კუბრიკის მიმართულება საოცარია. ეს არის კარგი მაგალითი იმისა, თუ როგორ უბიძგებს სიუჟეტი გმირს ყველაზე გმირულ საქმეებზე, რაც აქამდე არასდროს მომხდარა. „სპარტაკი“ - ეპიკური პეპლუმი, რომელიც აერთიანებს დრამასა და ისტორიას. ძლიერი ფილმი, რომელიც ქრონომეტრაჟის მიუხედავად, მაინც საინტერესო საყურებელია. და რამდენი დროც არ უნდა გავიდეს, მაყურებელს კუბრიკის ფილმი ემახსოვრებათ: სპარტაკი მონა, რომელიც ლეგენდად იქცა. მიუხედავად გარკვეული ისტორიული უზუსტობებისა,

„სპარტაკი“ მაინც ნათელი და შთამბეჭდავი ფილმია, რომელიც მაყურებელს აწუხებს და ნათლად უჩვენებს გმირთა იმ რთულ გზას, რომელიც მათ მოუწიათ თავისუფლების მოსაპოვებლად.

ლიტერატურა:

1. Appian: Historia Romana. Printed in Venice
2. პლუტარქე, (1957).რჩეული პარალელური ბიოგრაფიები.თბილისი.
3. Plutarch Crassus (2007) Translation is by Bernadotte Perrin in Winkler.
4. ROSENSTONE R.(1995). The Historical Film as Real History
5. სანიკიძე,ლ.(1984).რომის ისტორია.თბილისი
- 6.ფელდმანი, ჯ.გ(2020).ფილმის დინამიკა.
7. კუბრიკი,ს.(1999).კინოსა და თეატრის შესახებ

Historical representation and director Stanley Kubrick's peplum in the movie "Spartacus"

Gelovani Nino

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Tbilisi

Abstract

Talking about historical film includes different ways of bringing past events and facts to the screen (narrative, analytical, quantitative). We can divide historical film into several categories - history as drama/anti-drama, history without characters, history as essay, performance, personal history, oral the explicit approach of postmodernist films reflects the social and political concerns of that era. In fact, film post-production takes us on a journey to the past world on the basis of a written historical convention document or empirical material. When reading a historical work, being in the past created by words is not immediate, as when watching it on the screen. No matter what genre a historical film is, it offers us, the audience, a visual narrative that is closed, finished, In an open and sometimes simple dramaturgical form. Spartacus, the Thracian gladiator, is one of the most famous figures of ancient Rome. Despite the lack of historical sources of this period, it has become popular in modern society. His story has been adapted into novels, movies, and even a ballet.

The nomadic Thracian even inspired a Pepsi commercial and set the stage for a recent impromptu parody that took place at Starbucks. In the feature film, the director aims for viewers to see Spartacus identify with the gladiators as well as understand the Roman perspective, a supposed balance that favors screenwriter Dalton Trumbo's political goals and Universal's fear of promoting left-wing ideology. Historically, Roman society has often been portrayed as a "society of power and viciousness", but the film's plot is different: "to distance the audience from the Romans and invite that audience to identify with the victims or opponents of Rome". There is only one example in the history of cinema where the Romans are depicted as the enemy. What makes Spartacus unique. It is in the movie Using distancing and identification with American current events to make political comparisons effective and to promote certain ideologies. Especially when considering the context of the film's production, these political statements become even clearer. Historical Context The story of Spartacus begins not with a movie, but with a novel. Our research focuses on two important events - Stanley Kubrick's 1960 film adaptation of Howard Fast's novel of the same name. Our thesis examines the motivations and messages behind the adaptation of the classic story in modern times. In short, does the cinematographic language add to the representation of the history of the past for the audience, so that we can understand the specific historical person, event, facts and situations.

Keywords: historical film, ancient Rome, Spartacus, representation, Gladiator, Howard Fast, Stanley Kubrick.

ანდაზის „ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსა“ რეცეფცია ზოგიერთ ქართულ ხალხურ ზღაპარში

გოგიაშვილი ნინო

იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი

DOI: <https://doi.org/10.52340/idw.2023.46>

აბსტრაქტი. ზღაპარი, თავისი არსით, მსოფლიოს ხალხთა ფოლკლორის მასშტაბით, უნივერსალურია. მასში კონცენტრირებულია ხალხის სიბრძნე, გამოცდილება, ეგზისტენციალური ცოდნა და ადამიანის სიცოცხლესთან შეთავსებადობის ემპირიული ამბიცია. ზღაპარში თავმოყრილია ქცევის ის მოდელები და ტრადიციები, რომლებიც ხალხის, როგორც უნიკალური სიბრძნის „მფლობელი“ საზოგადოების მონაპოვარია. მეზღაპრე არასოდეს საუბრობს სუბიექტური რაკურსიდან, ის ხალხის „საყვირია“, და, შესაბამისად, ობიექტურ შეჭმარბიტებაზე აქვს პრეტენზია.

ანდაზა „ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსა“ ბევრ ქართულ ხალხურ ზღაპარშია დეკლარირებული. ზღაპრის პროტაგონისტი, ხშირად, დიდი ფიზიკური ძალის ნაცვლად, გამჭრიახობითა და მოხერხებულობით ახდენს ანტაგონისტის გაუვნებელყოფას. ზღაპრის უარყოფითი გმირების უხეშ მაგიურ თუ ფიზიკურ ძალას მთავარი პერსონაჟი, ხშირად, სწორედ „ემშაკობებით“ უპირისპირდება და გამარჯვებულიც რჩება.

ზღაპრებში გაცხადებულია ის ყოფითი სიბრძნე, რასაც უნდა ფლობდეს ადამიანი, რათა გადარჩეს ამ სამყაროში. ფაქტია, რომ რამდენადაც ღია, კეთილი და მართალია პიროვნება, მით უფრო მოწვევლია ის გარემომცველი სამყაროსათვის. სწორედ ამიტომ, მეზღაპრე ამბობს, რომ მოქნილობა და მოხერხებულობა ადამიანის ერთ-ერთი აუცილებელი თვისებაა. ანდაზის - „ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსა“ - მთავარი საზრისი კი ზღაპრების გმირების საბაზისო ქცევების ერთ-ერთი უმთავრესი მამოძრავებელი მექანიზმია.

მე შემძლია უამრავი მაგალითი მოვიყვანო ქართული ხალხური ზღაპრებიდან, სადაც მოქნილობა, მოხერხებულობა, სიფხიზლე და მარიფათი დადებით კონტექსტში განიხილება. მეტიც, ეს თვისებები უზრუნველყოფენ ზღაპრის გმირების გამარჯვებას, გადარჩენას, საწადელის მოპოვებას, მადლიერების გამოხატვას და შურისძიებას.

მოცემული ნაშრომის კვლევის მეთოდია ჰერმენევტიკა და ტექსტის შედარებითი ანალიზი. ნაშრომში ძირითად საკვლევ მასალებად გამოყენებულია შემდეგი ქართული ხალხური ზღაპრები: „ნაცარქექია“, „ხუთკუნჭულა“, „სამმტევანა ჭაბუკი“, „სიკვდილი და ყაჩაღი“, „დათვი და მელა“, „ბედის მამებარი“.

საკვანძო სიტყვები: ზღაპარი, ხალხური, ნაცარქექია, რეცეფცია, ანდაზა

ზღაპარი, თავისი არსით, მსოფლიოს ხალხთა ფოლკლორის მასშტაბით, უნივერსალურია. მასში კონცენტრირებულია ხალხის სიბრძნე, გამოცდილება, ეგზისტენციალური ცოდნა და ადამიანის სიცოცხლესთან შეთავსებადობის ემპირიული ამბიცია. ზღაპარში თავმოყრილია ქცევის ის მოდელები და ტრადიციები, რომლებიც ხალხის, როგორც უნიკალური სიბრძნის „მფლობელი“ საზოგადოების მონაპოვარია. მეზღაპრე არასოდეს საუბრობს სუბიექტური რაკურსიდან, ის ხალხის „საყვირია“, და, შესაბამისად, ობიექტურ შეჭმარბიტებაზე აქვს პრეტენზია. ზოგადად ის ფაქტი, რომ მთხრობელის სუბიექტურობა მეორეულ ადგილს იკავებს, ფოლკლორის ნებისმიერი ჟანრისთვისაა დამახასიათებელი.

ანდაზა „ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსა“ ბევრ ქართულ ხალხურ ზღაპარშია

დეკლარირებული. ზღაპრის პროტაგონისტი, ხშირად, დიდი ფიზიკური ძალის ნაცვლად, გამჭირახობითა და მოხერხებულობით ახდენს ანტაგონისტის გაუვნებელყოფას. ზღაპრის უარყოფითი გმირების უხეშ მაგიურ თუ ფიზიკურ ძალას მთავარი პერსონაჟი, ხშირად, სწორედ „ემმაკობებით“ უპირისპირდება და გამარჯვებულებაც რჩება. საკვირველი არ იქნება, თუ მაგალითების მოხმობისას, თავდაპირველად ერთ-ერთ „მთავარ“ ქართულ ზღაპარზე - „ნაცარქექიაზე“ შევჩერდები. აკაკი ბაქრაძე წერს: „საქართველო ყოველთვის გოლიათებს ედგა პირისპირ. უთანასწორო ბრძოლაში რა უშველიდა, თუ არა ჭკუა, გამჭირახობა, მოქნილობა და ემმაკობა. ქართველმა ხალხმაც ნაცარქექიას სახით ამგვარი იდეალი შექმნა. მტრის მოსატყუებლად ზარმაცისა და ბაქიას ნილაბი აიფარა. ნაცარქექიას ბაქიაობა და სიზარმაცე მისტიფიკაციაა, ნილაბია ნამდვილი არსის დასამალად“. (კიკნაძე, 2016) მწერალი გიორგი კაკაბაძე თავის სტატიაში „სიცრუე და ორპირობა“... განიხილავს მოცემულ პრობლემატიკას და არ ეთანხმება აკაკი ბაქრაძის მოსაზრებას; მისი პირველადი არგუმენტია, ნაცარქექიასა და რუსული ზღაპრების გმირის „ივანუშკა დურაჩოვის“ ერთ ტიპოლოგიურ რკალში მოქცევის მცდარობა; მეორე არგუმენტად კი განიხილავს პოლიკარპე კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერს“, რომლის უზნეო, მატყუარა, ზარმაცი და აღზევებული მთავარი გმირის მეტსახელიც თავდაპირველად ნაცარქექიაა, რაც, გიორგი კაკაბაძის აზრით, იმაზე მიგვანიშნებს, რომ პოლიკარპე კაკაბაძე ზღაპრის ნაცარქექიას ყვარყვარეს ემბრიონად განიხილავს და, შესაბამისად, უარყოფითი კონტექსტით მოსაგვს. „ნაცარქექიას ორპირობასა და ფარისევლობას განსაკუთრებით ის ფაქტი უადვილებს, რომ ზნეობა მისთვის ზედმეტი ტვირთია. საერთოდ, ასეთი ადამიანების გამარჯვებისა და წარმატების ნამდვილი საიდუმლო უპრინციპობასა და უზნეობაშია, ამიტომ ცხოვრებისეული ფილოსოფიაც შესაბამისი აქვთ“, (კაკაბაძე, 2008) - წერს გიორგი კაკაბაძე. ბატონ გიორგი კაკაბაძეს ვეთანხმები მხოლოდ სტატიის ბოლოს გამოთქმულ მოსაზრებაში, რომ ემმაკობა და უსაქმურობა არ უნდა იქცეს რომანტიზების საგნად. რაც შეეხება ზღაპრის ნაცარქექიას რაობას, სჯობს, თვითონ ზღაპარს დაუუჯერო და მივყვე ტექსტის კვლევას.

ზღაპარი იწყება ნაცარქექიას, როგორც „ზარმაცი და მუქთამჭამელი“ კაცის აღწერით, რომელიც „ცისმარე დღე კერასთან იჯდა, ხელში ჩხირი ეჭირა და ნაცარს ქექავდა“. მეზღაპრე ამბობს, რომ ნაცარქექიას კარგი მეოჯახე ძმები ჰყავდა; თუმცა, მობეზრდათ მათ ნაცარქექიას რჩენა და სახლიდან გააგდეს, თან მიუთითეს, რაც შეიძლება შორს წასულიყო. აქ იწყება ოჯახის წევრების სურვილსა და ბედს მინდობილი ნაცარქექიას მოგზაურობა და თავგადასავლები. უნდა აღვნიშნო, რომ „ბედს მინდობილობა“ არც აქამდე აკლდა ნაცარქექიას - აინუნში არ აგდებდა ძმების მუქარას - გაგადებთო, იჯდა და ისევ მშვიდად ქექავდა ნაცარს. როდესაც გზაზე პირველი დაბრკოლება - უშველებელი მდინარე - შეხვდა, ისევ არხეინად წამოწვა მხართემოზე, იმის იმედით, იქნებ, ვინმე გამოჩნდეს და გადამიყვანოსო. მიუხედავად იმისა, რომ ნაცარქექია ზარმაცია, მუქთახორა და უდარდელი, მას აქვს ამის საპირწონე საუკეთესო თვისებები, რომლებიც ქრისტიანული მორალის უმთავრესი კრიტერიუმებია; ესენია დღევანდელი ცხოვრება („ნუ ზრუნავთ ხვალინდელი დღისათვის, რადგან ხვალე თვითონ იზრუნებს თავისას: ყოველ დღეს ეყოფა თავისი საზრუნავი“, - (ახალი აღთქმა (1993:12), სასოება, უშიშარობა და სიმშვიდე. როდესაც მდინარის მეორე ნაპირას ცხრათავიან დევს ხედავს, არ იზნევა, არ აჩვენებს საკუთარი ძალების სიმცირეს, პირიქით, უძლეველი რაინდივით გასძახებს - ნაპირზე გადმომიყვანე, ფეხის დასველება არ მინდაო! აპრიორულად წაგებულ პირველ ბრძოლას ნაცარქექია იგებს ხერხით, რისკით და გამბედაობით. „ნაცარქექია დიდი მკვებარა და ბაქიბუქაც იყო. შორიდან ისეთ ტრაბახს ატეხდა, რომ კაცს გორის მდრეკავი ეგონებოდა“ - ო, აგრძელებს მეზღაპრე. ზღაპარში დევი ბოროტი ძალის იპოსტასია, რომელსაც ნაცარქექია მხოლოდ და მხოლოდ გამჭირახობით, მოხერხებულობით და გამბედაობით ამარცხებს. ნაცარქექია კეთილიცაა, დევების ავლა-დიდებას თავის ძმებს აძლევს, არც წყენას იხსენებს - მიმტევებელია, თვითონ კი ისევ ნაცრის ქექვას განაგრძობს.

ეს ნაცარიც ჩვეულებრივი ნაცარი რომ არაა და პროფანულისგან შორს მყოფ განზომილებად შეგვიძლია მივიჩნიოთ, მეორე ქართული ხალხური ზღაპარიც - „ნახევარწიწილა“ - გვარწმუნებს. „ვქექე და ვქექე ნაცარი,/ვიპოვე ფეტვის მარცვალი“, - ამბობს

ზღაპრის მთავარი გმირი - ნახევარწიწილა; ამ ერთი მარცვლიდან საუცხოო ყანა ამოიზრდება, სწორედ ამის გამო მიმაჩნია, რომ ეს მარცვლიც ჯადოსნურია და ის ნაცარიც - საკრალური. როგორც პროფესორი ზურაბ კიკნაძე ამბობს: „ასე ზის კაცი კერიაში - სახლისა და სამყაროს შუაგულში და იჩხრიკება... ის ხილულში უხილავს ეძებს“. (კიკნაძე, 2016) ნაცარქექია ზარმაცი მხოლოდ გარეშე თვალისთვისაა, სინამდვილეში, ის მჭვრეტელია. ყოველი კერია იგივე სამყაროს ცენტრია, სადაც ცა, მიწა და ჯოჯოხეთი ერთმანეთთან იკვთება. ნაცარი მინავლული და გარეშე თვალისთვის უხილავი ტრანსცენდენტული სივრცეა; შესაბამისად, როგორც ჩვენი დიდი მგოსანი - აკაკი წერდა, თუ ამ ნაცარში ნაპოვნი ნაკვერცხლით აანთებ და ააგუგუნებ კერას, „ბნელი ვერ მოერევა ნათელს“. სწორედ ამ მჭვრეტელობისას მოპოვებული სულიერი გამოცდილება აძლევს ნაცარქექიას უნარს, იყოს იმდენად გამჭირავი, მოქნილი და მოხერხებული, რომ დევის ბოროტი ძალა დაამარცხო; რადგან, ღმერთის ნების გარეშე, სახარებისეული სწავლებით, ადამიანს თმის ერთი ღერიც კი არ ჩამოუვარდება, ზღაპრის ტექსტის კვლევისას დასტურდება მეზღაპრეს ჩანაფიქრი - ნაცარქექიას ღმერთი სწყალობს!

ზღაპრებში გაცხადებულია ის ყოფითი სიბრძნე, რასაც უნდა ფლობდეს ადამიანი, რათა გადარჩეს ამ სამყაროში. ფაქტია, რომ რამდენადაც ღია, კეთილი და მართალია პიროვნება, მით უფრო მოწყვლადია ის გარემომცველი სამყაროსათვის. ადამიანთა ჯგუფები, საკანონმდებლო თუ აღმასრულებელი პოზიციებიდან, ოდითგან ცდილობენ საზოგადოებაში წესრიგისა და სამართლის დამყარებას; თუმცა, ხშირად ეს უტოპიად რჩება. სამწუხაროდ, სიმართლე მხოლოდ ცარიელ სიმართლედ ფიქსირდება, როდესაც ის ღიად და პირდაპირაა მოწვილი; ამას ქართული ანდაზაც ადასტურებს: „სიმართლის მთქმელ კაცს ცხენი შეკაზმული უნდა ჰყავდესო“. სწორედ ამიტომ, არსებობს შემოვლითი გზები, თუნდაც ცხოვრებისეული დიპლომატია დავარქვათ ან კიდევ, მოხერხება - იგივე ხერხი, რაც ძალიან მკაფიოდაა ასახული და წაქეზებული ზღაპრებში. ქართული ხალხური ზღაპრების უმრავლესობაში პროტაგონისტები სწორედ ამგვარად აღწევენ საწადელს. მე შემიძლია, რამდენიმე მათგანზე გავამახვილო ყურადღება;

ერთ-ერთი მათგანია „ჭკვიანი ხელმწიფე და ღარიბი კაცი“. მოცემულ ზღაპარში, ღარიბი კაცი თავისი მოხერხებულობით ეწევა ბედს და ხელმწიფის წყალობას მიიღებს. ხარბ კარისკაცს, რომელიც ხელმწიფის ჰიპოტეტური წყალობის შუაზე გაყოფას სთხოვს ღარიბ კაცს და ამის სანაცვლოდ, ნებას რთავს ხელმწიფესთან შესვლისა, ის მოხერხებულობით უპირისპირდება; და ხელმწიფეს, წყალობის ნაცვლად, ორი სილის გარტყმას სთხოვს. შესაბამისად, „წყალობის“ ნახევარს „უნაწილებს“ კარისკაცს გამოსვლისას და ერთ კარგ ალიყურს აჭმევს. ხელმწიფე როდესაც იგებს ღარიბი კაცის მოხერხებულობას, კარისკაცს დაითხოვს და მის ადგილზე ღარიბ კაცს ნიშნავს. ზღაპრის მორალი შემდეგია: მკვახე უსამართლობას, რომელსაც სამართლიანობით ვერ დაუპირისპირდები, მოხერხებით უნდა აჯობო.

ჯადოსნურ ზღაპარში „სიკვდილი და ყაჩაღი“, ყაჩაღი ხრიკებით ცდილობს სიკვდილის მოტყუებას, და მიზანსაც აღწევს; შედის მასთან დიალოგში, თამაშის წესებს სთავაზობს და, შემდეგ, მოხერხებულობით უგებს ამ თამაშში. სიკვდილი ვერ ახერხებს მის წაყვანას, თუმცა, ზღაპრის ბოლოს, დაჩაჩანაკებული, სიცოცხლემოხერხებული ყაჩაღი თვითონ სთხოვს სიკვდილს სიცოცხლისგან გათავისუფლებას. ზღაპარში გადაწყვეტილია ეგზისტენციალური საკითხი, დინამიკასა და სიუჟეტს კი მოხერხებულობაზე დაფუძნებული დუეტი ქმნის - ყაჩაღისა და სიკვდილისა. ზღაპრის მორალი ამგვარია: ხერხით სიკვდილის მოტყუებაც კი შესაძლებელია; თუმცა, უკვდავება აუტანელი ხდება.

ძალიან საინტერესოა ზღაპარი „ბედის მამებარი“; მეზღაპრე ასე იწყებს თხრობას: „იყო და არა იყო რა, იყო ერთი უიღბლო კაცი. რა საქმისთვისაც არ უნდა მოეკიდა ხელი, ყველაფერი უკუღმა მისდიოდა“. ბედის სამებრად წასულ კაცს გზაზე ხან ვინ გადაეყრება და ხან ვინ, ყველა თავის გასაჭირზე უყვება და შემწეობასაც ითხოვენ იმ შემთხვევაში, თუ ეს კაცი ბედს ეწევა. ბევრი იარა თუ ცოტა იარა ზღაპრის პროტაგონისტმა, ბედი თავად გადაეყარა გზაზე. უკან მიმავალი, ყველას აძლევს სათავისო ინსტრუქციას, თუმცა, თავად ვერ ხვდება, რომ მისი ბედიც ამ მაღლიერი პერსონაჟების წყალობით განისაზღვრება. მათ შეთავაზებაზე, დარჩეს და მიიღოს სახალური, პასუხობს: არა, მეჩქარება, ჩემი ბედი მელოდებაო. კაცი ვერ ხედავს, ვერ აღიქვამს

„თავს დატეხილ“ ბედს, რადგან ბედის ძიება მისთვის მხოლოდ იდეაფიქსად ქცეულა, ცხოვრებისეული სიფხიზლე და მოხერხებულობა კი მას არ აქვს. მეზღაპრეს სულ არ ეცოდება ეს მოუხერხებელი კაცი და ბოლოს მგლის ლუკმად ხდის - მგელი ამბობს, „ამაზე უფრო დიდი და უჭკუო ვირი ამ ქვეყნად ალბათ მეორე არ მოინახებაო“, და პროტაგონისტს შეჭამს.

როდესაც მოხერხებულობას, მოქნილობასა და სიფხიზლეზე ვსაუბრობ, ვერ გამოვტოვებ ყველასათვის ძალიან ნაცნობ ქართულ ხალხურ ზღაპარს „ხუთკუნჭულა“. როდესაც ხუთკუნჭულა დევის ქალს გაურიგდება და ცოლად წაყვანას ჰპირდება, ქალი, პირველ რიგში, ერთ რამეს ავალებს - ფხიზლად იყოს, არ დაემინოს, რომ დევმა ის და მისი ძმები არ შეჭამოს! ზღაპარში პირდაპირი გაგებით სიფხიზლეზეა საუბარი, თუმცა, ცხადია, ესეც სიმბოლოა ცხოვრებისეული სიფხიზლის, სიფრთხილის და გაფაციცების. ხუთკუნჭულა მართლაც არ დაიძინებს და სიბრაზისაგან გააფთრებულ დევს მოხერხებულობით თავის ბატებს, ძროხებს და ცხენებს დაახოცინებს, თვითონ და თავისი ძმები კი გაიქცევიან. – „ხუთკუნჭულა, გამასწარ ხიდსაო“? - დაუძახა კბილების კრაჭუნით დევმა. – „გაგასწარ და თვალებიც მოგთხარეო!“ - გამოსძახა ხუთკუნჭულამ. რომ არა მოხერხებულობა, რომელიც აძლევს ხუთკუნჭულას საშუალებას იმანიპულიროს დევით, ის ვერ დაამარცხებდა ამ ბოროტ ძალას და ვერც ცოცხალი გადარჩებოდა. ხოლო ეს სიტყვები - „გაგასწარ და თვალებიც მოგთხარეო!“ - შესაძლებელია მოხერხებულობის ზღაპრისეულ სლოგანადაც კი წარმოვიდგინოთ.

ყურადღება მინდა გავამახვილო ქართულ ხალხურ ცხოველთა ზღაპარზე - „სამმტევანა ჭაბუკი“, სადაც მეზღაპრე გვიყვება ერთი ღარიბი ჭაბუკი მეწისქვილის შესახებ. მის ეზოში მხოლოდ ერთი ძირი ვაზი იდგა, რომელსაც სამად სამი მტევანი ყურძენი ება. მეწისქვილემ მტევნების ქვევრში ჩაწურვა განიზრახა. ცხადია ზღაპრული სიმბოლოს არსი - ეს ვაზი უბრალო ვაზი არ არის და მტევნებიც, შესაბამისად, განსაკუთრებულობით გამოირჩევიან. მოდის მელია და ხვეწნა-მუდარით სამივე მტევანს დასტყუებს მეწისქვილეს. თუმცა, ეს ხომ ზღაპარია და არც მელიაა ჩვეულებრივი - ისიც ზღაპრულია! მაღლიერი მელია გადაწყვეტს, „ბედს სწიოს“ კეთილი ვაჟი, და აქედან იწყება მისი ხრიკები ჭაბუკისთვის ბედნიერების მოსაპოვებლად. დავიწყოთ იქიდან, რომ ცხოველების შესახებ ასეთ ტექსტებს, შესაძლებელია, ეპოსიც ვუწოდოთ, როგორც პროფესორი ზურაბ კვიციანი წერს. „თუმცა ისინი, ერთი შეხედვით, იგავ-არაკთა მონათესავე ჟანრია. იგავი თუ არაკი, ან თუნდაც, იგავ-არაკი, ნართაული თხრობაა: იგი მოგვითხრობს ცხოველებზე და მათ ურთიერთობაზე, მსმენელმა კი მათში ადამიანები და ადამიანთა ურთიერთობანი უნდა იგულისხმონ“. (კვიციანი, 2007:92) მელია, თავისი ეშმაკობითა და მოქნილობით, იმდენს იზამს, რომ ღარიბ მეწისქვილეს ხელმწიფის ქალს შერთავს. ამ შემთხვევაში, მოხერხებულობა კეთილი მიზნის მისაღწევად გამოიყენება.

კიდევ ერთ ცხოველთა ზღაპარზე ვისაუბრებ, რომელიც ასევე კარგადაა ცნობილი ქართველებისთვის; ზღაპარს ჰქვია „დათვი და მელა“. არ მეგულება საქართველოში პატარა, ვინც არ იცის მელიის სიტყვები, რომლითაც თავის ნაშვილებს ბატკანს მიმართავდა:

„ბეკო, ბეკო, ბეე,
კარი გამიღე;
პირით ბალახი მომაქვს,
ძუძუებით - რძე“. (ხალხური, 2022:39)

მელიისა და ბატკნის იდილია მსუნაგმა დათვმა შენიშნა, და ბატკანი შეუჭამა მელიას. გაგულისებულ მელია ხვდება, რომ ძლიერ დათვს პირდაპირი ბრძოლით ვერ მოერევა, ამიტომ ხერხს მიმართავს: დათვისთვის ჯერ მექორწილეებს გააძრობინებს ტყავს, შემდეგ კი მოტყუებით გახურებული სახნის-საკვეთით დადაღავს, გოდორში ჩასვამს და კლდის თავიდან დააგორებს. ამ შემთხვევაში, მოხერხება შურისძიების იარაღია, რომლის გარეშეც ვერაფერს გახდებოდა გულმოკლული მელია.

მე შემიძლია უამრავი მაგალითი მოვიყვანო ქართული ხალხური ზღაპრებიდან, სადაც მოქნილობა, მოხერხებულობა, სიფხიზლე და მარიფათი დადებით კონტექსტში განიხილება. მეტიც, ეს თვისებები უზრუნველყოფენ ზღაპრის გმირების გამარჯვებას, გადარჩენას, საწადელის მოპოვებას, მაღლიერების გამოხატვას და შურისძიებას. ანდაზის - „ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსა“ - მთავარი საზრისი ზღაპრების გმირების საბაზისო ქცევების

ერთ-ერთი უმთავრესი მამოძრავებელი მექანიზმია. ხალხური სიბრძნე მოქნილობასა და მოხერხებულობას ზღაპრების გმირების თვისებებში მნიშვნელოვან უნარებად გვაწვდის. ვინ, თუ არა ხალხმა, ემპირიულ ხდომილებებზე დაყრდნობით, ძალიან კარგად იცის, რომ წუთისოფელი ცრუა, ყალბია ადამიანთა ურთიერთობების მოდელი და ამ ტყუილის სამყაროში შიშველი სიმართლე, ხშირად, დაჩაგრულია, მარგინალიზებული და მასხარად აგდებული. სწორედ ამიტომ, სწორი ტაქტიკა, გამჭრიახობა და „ხერხი“ აუცილებლად სჭირდება ზღაპრის პერსონაჟსაც და რიგით მოკვდავსაც, რათა ერთმა თავისი ზღაპრულობა, მეორემ კი - ადამიანად ყოფნა შეინარჩუნოს. „იყო და არა იყო რა“ ხომ სხვა არაფერია, თუ არა სინამდვილისა და ფიქციის სიმბიოზი, ყოფნის ამოება და ყოფნის არყოფნა, ჩვენი საინტერესო და რთული ცხოვრების ერთწინადადებიანი მოდელი, სადაც ჩატეულია დიდი სიბრძნე. მეზღაპრე ასე ასრულებს ზღაპარს და მის ზღურბლს იქით გადაგვაბიჯებინებს:

„ჭირი იქა, ლხინი - აქა,
ქატო იქა, ფქვილი - აქა“.

აქ ჩვენ ვართ - ლხინისა და ფქვილის მოსურნენი, ამ აწმყოში მყოფნი და ჯერ-ჯერობით მაინც „ხერხი“ გვჭირდება გასამარჯვებლად, რომ დევებს ლაღად გავძახოთ: „გაგასწარ და თვალებიც მოგთხარეო“!

ლიტერატურა:

კაკაბაძე გ. (2008): „სიცრუე და ორპირობა“... საზოგადოებრივ-ლიტერატურული ჟურნალი „არილი“.

<http://arilimag.ge/%E1%83%92%E1%83%98%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%92%E1%83%98-%E1%83%99%E1%83%90%E1%83%99%E1%83%90%E1%83%91%E1%83%90%E1%83%AB%E1%83%94-4/>

კიკნაძე ზ. (2007): ქართული ფოლკლორი. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი

კიკნაძე ზ. (2016): ნაცარქექიას აპოლოგია. ინტერნეტ-რესურსი - მატიანე.

<https://matiane.wordpress.com/2016/11/11/zurab-kiknadze-apology-of-natsarkegia/>

მათეს სახარება. თავი მეექვსე. (1993): ახალი აღთქმა და ფსალმუნები. გადამუშავებული გამოცემა.

ბიბლიის თარგმნის ინსტიტუტი. სტოკჰოლმი

ხალხური. (2022): იყო და არა იყო რა. ქართული ხალხური ზღაპრები. ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა. თბილისი

Reception of the proverb – “Witiness defeats strength, if a man has it” – in certain Georgian folktales

Gogiashvili Nino

Iakob Gogebashvili State University, Telavi

Abstract

In its essence, fairytale, is universal throughout the folklore of the peoples of the world. In it are concentrated people's wisdom, experience, existential knowledge and human empirical ambition to be compatible with life. In fairytales are collected those models and traditions of behavior, that are the achievements of people as of a society "owning" unique wisdom. A fairytale teller never speaks from a subjective point of view, he is the "trumpet" of the people, therefore, claiming to speak the objective truth.

The proverb - “Witiness defeats strength, if a man has it” - is declared in many Georgian folktales. Instead of having and using great physical strength a folktale protagonist, often neutralizes the antagonist with wit and acumen. The main character often confronts the rough magical or physical power of negative characters of a fairytale with "cunningness" and comes out victorious.

Fairytales show the existential wisdom that a person must possess in order to survive in this world. It is a fact that the more open, kind and honest a person is, the more vulnerable he is to the surrounding world. That is why, a storyteller says that flexibility and wittiness are one of the essential qualities of a person. And the main sense of the proverb - "Wittiness defeats strength, if a man has it" - is one of the main driving mechanisms of the basic behaviors of fairytales' characters.

I can cite numerous examples from Georgian folktales, where flexibility, wittiness, vigilance and cunningness are discussed in a positive context. Moreover, these qualities ensure the victory, survival, livelihood, gratitude and revenge of fairytale characters.

The research method of this paper is hermeneutics and comparative analysis of the text. The following Georgian folktales are used as the main research materials: *Natsarkekia*, *Khutkunchula*, *A Lad with Three Hands*, *Death and the Robber*, *The Bear and the Fox*, *The Fate Searcher*.

Keywords: fairytale, folklore, Natsarkekia, reception, proverb

**დედაშვილობის კონცეპტი ერთ თანამედროვე მხატვრულ ტექსტში
(გ. სოსიაშვილის „დედის დრო“)**

გოგოლაძე თამარ

ბარბაქაძე ქეთევან

გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გორი

DOI: <https://doi.org/10.52340/idw.2023.47>

აბსტრაქტი. დედაშვილობის კონცეპტი სხვადასხვა ხალხების ისტორიასა და შესაბამისად, ფოლკლორულ თუ მხატვრულ ტექსტებში, ყალიბდებოდა და იცვლებოდა კულტურების, ტრადიციების თუ რელიგიური, ზნეობრივი კანონების შესაბამისად. დროთა განმავლობაში ვითარდება მატრიარქალურ-პატრიარქალურიდან გაუცხოებისაკენ დინამიკური სწრაფვით. 21-ე საუკუნეში ეს ანარეკლს ჰპოვებს მხატვრულ ტექსტშიც. სტატიაში წარმოდგენილია იგი მწერალ გიორგი სოსიაშვილის მოთხრობის „დედის დრო“ მაგალითზე. პროზაული ტექსტის ავტორის პირით მოთხრობილი ამბავი სამი პიროვნების ისტორიის ელემენტებსაც მოიცავს, რომლის ფონზე ყალიბდება შვილის ასაკოვანი დედისადმი დედაშვილური გრძნობების პერიპეტეები.

„მზიან-ჩრდილიანი“, ილიასეული „ორთვალისანი“ ურთიერთობა უფრო შვილის კუთხით ვითარდება, ვიდრე- დედის, რაც მეტნაკლებად უცხოვდება გარემო პირობების ცვლილების, ახალი დროის მოტანილი ტრადიციის შესაბამისად. ავტორის თვალთ საოცარი, ღრმა ფსიქოლოგიზმით მოჩანს სამყარო, რომელშიც შვილური სიყვარული ასოცირდება მის სურნელთან, ასე უცხოდ რომ აღვიძებს მას. სიკვდილის დროის მოახლოება აძლიერებს სიცოცხლის დროის მაქსიმალურად დედასთან სიახლოვით გატარების აუცილებლობას.

პერსონაჟთა სახეობრიობა თითქოს განსხვავებულია, მაგრამ გამაერთიანებელია დედისადმი სიყვარულის „მზიან-ჩრდილიანი“ ასპექტებისა.

სტატიაში მოხმობილია დედაშვილობის კონცეპტის განვითარების ჩვენება დედის გარდაცვალების მომსწრე, თავშესაფარში გაბარების, სიზმარული თხრობის წარმოდგენით.

მამაც ჩანს მოთხრობაში, რომელიც ბიძასთან შორის დიალოგის ფონზე ვითარდება, მაგრამ წარმოადგენს ოჯახური სიყვარულით აღზრდის ტრადიციის რეტროსპექციას.

ავტორის, გიორგი სოსიაშვილის ენა აქაც კვლავ დინჯია, გამორჩეულად მთქმელი ფრაზეოლოგიზმებით. ფსიქოლოგიური დატვირთვის ძალას რომ იძენს. პერსონაჟთა სახე უფრო კომპაქტურადაა მოცემული, თითქოს მეტი არაფრის თქმა არ არის საჭირო. მთავარი სათქმელი დედის ირგვლივ ტრიალებს და ირკალება. 21-ე საუკუნის 20-იანი წლების ეს მხატვრული ტექსტი ღირებულია, როგორც დედაშვილობის ჭეშმარიტი კონცეპტი, რომელმაც უნდა იარსებოს.

საკვანძო სიტყვები: დედაშვილობის კონცეპტი, „მზიან-ჩრდილიანი“, „ორთვალისანი“ გრძნობა.

მსჯელობა: დედაშვილობა მსოფლიო ლიტერატურაში არაერთგზის გამხდარა (წარმოჩენის თვალსაზრისით) ძირითად საკვანძო საკითხად ტრადიციის, რელიგიური რწმენისა თუ ცივილიზაციის განვითარების სხვადასხვა ეტაპების შესაბამისად. ალბერ კამიუს „უცხო“ ცხადყო გაუცხოების ის პროცესი, რაც, ჯერ კიდევ XIX საუკუნის დასასრულიდან იჩენს თავს. თუმცა დედაშვილობის კონცეპტი ერთი პირველთაგანია, რომელიც სწორედ ახალ ქართულ

ლიტერატურაში ილია ჭავჭავაძით იწყება და განსხვავებული ფორმით წარმოჩნდება.

რა არის დედაშვილობა და ადამიანის სიცოცხლის რომელ პერიოდში როგორ წარმოსდგება, სხვადასხვა დროს განფენილ იქნა XX საუკუნის მწერლებთან (ნაირა გელაშვილის „დედის ოთახი“, რევაზ ინანიშვილის „დედა“ და სხვ.). ფილმიც შეიქმნა 1959 წელს - მ. ჯალაშვილის „დედის ხელი“. ამ ტექსტებში უფრო დედის გრძნობები იქნა წარმოდგენილი, შვილის განცდები, ძირითადად, უკავშირდება ადამიანის მოწიფულობის მიღწევამდე პერიოდს. შემდგომ იგი ნელ-ნელა ფერმკრთალდება. სიცოცხლის ბოლო წლებში მოგონებების, ტკივილიანი სინანულის ნაწილად იქცევა. სწორედ დედის სიცოცხლის ბოლო ეტაპი მაინც მარადიული სიყვარულის თანამდევ გრძნობად გრძელდება. ილია ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივში“ პირველად გაესვა ხაზი აღნიშნულ ფაქტს: შვილი ახალი სიყვარულის, ან ოჯახის შექმნის, ან მომავალი მშობლის მოვალეობებს იკისრებს და დედისადმი სიყვარულის განცდა ნელდება, ფერმკრთალდება. ამიტომ თმობს ოთარაანთ ქვრივი საკუთარ განცდას რათა „ეგომ“ არ სძლიოს. ილიამ ეს ჯერ პოემაში „დედა და შვილი“ აჩვენა, სადაც მამულის სიყვარული გადასძლევეს მომაკვდავ დედას, რათა ომში შვილი გაუშვას. ოთარაანთ ქვრივის ამ განცდისადმი მიძღვნილ თავებს უცნაური დასათაურება მისცა მწერალმა: „ჯავრი დედისა“, „გასტეხს ქვასაცა მაგარსა...“, „ორი თვალი“. აქ თითქოს შვილის სიყვარული გადასძლევეს მისი თვალით უყუროს წუთისოფელს: „დედაშვილობაში შენჩემობა რად არის? - ჰკითხა ოთარაანთ ქვრივმა თავისთავსა. - დედაშვილობაში ორი თვალი რად უნდა იყოს? ნეტა დედას სხვასავით ორი თვალი არა ჰქონოდა... თუ აქვს, რად უჭრის ერთი თავისად, მეორე შვილისად? გული რად იხედება გარეთ ორის თვალითა, რად? რატომ ერთი თვალი არ ებრმავის, როცა მეორე იყურება?... ვინ ვისთვისაო, რა კითხვა ყოფილა! ამის ჭიდილია თურმე დედაშვილობაშიცა.“ (ი. ჭავჭავაძე, ტ. II, 1988:276).

ეს „მზიან-ჩრდილიანი“ ბრძოლა დედის სულში მაინც შვილის სასიკეთოდ, მისი თვალთ მზერისათვის არის გამიზნული.

შვილისა? სწორედ „შვილობის“ თემა განავითარა ოცდამეერთე საუკუნეში პროზაიკოსმა გიორგი სოსიაშვილმა თავის ნოველაში (ჩვენ ნოველა ვუწოდეთ მის ერთ ტექსტს კრებულიდან „იაილები“-2022 წ.) „დედის დრო“.

იქნებ მომწიფდა, მოვიდა დრო შვილის განცდის წარმოჩენისა უკვე ზრდასრულ ასაკში, მოხუცი დედის მიმართ ფენიქსებრ აღდგენილი დედაშვილური გრძნობისა რატომ აღძვრება განცდა შვილს სწორედ მოგვიანებით, ავტორის პოზიცია ამ გაღვიმებული განცდის გაშლაცაა, რასაც აღრმავებს ნოველაში შემოყვანილი შვილის - ვაჭაპიას, - „ვითომ მღვდლად“ წოდებულთან შეხვედრებით. ვაჭაპიამაც გვიან იგრძნო დედისადმი აღორძინებული განცდა: „ჰოდა, თუ ვინმეს შეუძლია გაგრძნობინოს სიყვარული, დედაა. ჩავარდნილ დედაჩემს რომ ვუვლიდი და ვბანდი... - ასე მეგონა მოხუცებულ ღმერთს ვუვლიდი. მთელი ცხოვრება ლოცვასა და ღმერთის ძიებაში გავატარე და ყველაზე მეტად მომაკვდავი, ლოგინში ჩამქრალი დედაჩემის სასთუმალთან გატარებულმა რამდენიმე ღამემ მაგრძნობინა, რა იყო სინამდვილეში სიცოცხლე და რატომ გაუჩნდა უფალს აზრად ჩემი გაჩენა“ (გ. სოსიაშვილი, 2022:25).

ვაჭაპიამ სწორედ ღვთის რწმენით შეიცნო, „შვილობის“ ჭეშმარიტება, ნოველის გმირმა სწორედ ვაჭაპიას განცდადით გაარკვია. შეიგრძნო ეს ჭეშმარიტება, რომ დედის „სიცოცხლის დრო“ შეზღუდულია სიკვდილ-სიცოცხლის კანონებით. ამიტომ საკუთარ განცდას მოხუცებული დედის სურნელს, მისი დაბანვისას მისი სხეულის (რომლის ნაწილსაც თვითონ წარმოადგენს) სისუსტემ გადააწყვეტინა მთავარ პერსონაჟს დაეტოვებინა ნანატრ-ხორცშესხმული თავის ჯაფა-ღვაწლით მიღწეული სამსახური და დარჩენილი დრო დედისთვის გაეტარებინა. ავტორი ღრმა ფსიქოლოგიზმით აღწერს ამ შვილურ განცდას, „თითები თითქოს თავისით მოძრაობდა და რაღაცას ითვლიდა. ვერაფრით დავიმორჩილე ოთხასცხრა მილიონი დათვლა დაგვრჩენოდა ერთმანეთის ცქერის, დედაშვილური მოფერების და ყოველივეს გაფიქრებაზე აკლდებოდა წამები დედაჩემის სიცოცხლეს. ვიგრძენი როგორ დავკარგე მილიონობით ძვირფასი წამი... რა მაჩვენა ცხოვრებამ ამაზე უკეთესი, რა სიამოვნება მივიღე ისეთი, დედაჩემის სუნთქვის გაგონებას და მისი სუნით დატკბობას რო შეცვლიდა და წამიერად გამიელვა, რამდენი ჩემნაირი მფლანგავი დაიარება ამქვეყნად და ამძიმებს მიწას, დედის სუნი,

დედის ფერი, დედის დრო რო ვერ უგრძვნია და დედის შესანდობარის დროს წამოტირება ჰგონია სიყვარული და მშობლის დაფასება. ოთხასცხრა მილიონი წამის შემდეგ ჩვენ აღრ ვიქნებით. ვიქნებით, მაგრამ ცალ-ცალკე ერთმანეთს ვერ დავინახავთ, შეიძლება მან დამინახოს..." (გ. სოსიაშვილი, 2022:20).

ასეთი „მიწის დამამძიმებელი“ შვილიც გამოჩნდება ნოველაში მატარებელში შეხვედრილი მგზავრის სახით. ამ კაცმა დედა მოხუცებულთა თავშესაფარში წაიყვანა თითქოსდა მეუღლის თხოვნით, მაგრამ ეს მხოლოდ „გამოცდა“ აღმოჩნდა მომავალი მამისათვის დედამ ერთი ღამეც ვერ გაძლო თავშესაფარში, გარდაიცვალა. აქ შვილისად მყურებლის თვალი შეეწირა სიყვარულს... ცოლმაც მიატოვა, რამდენადაც არ მოისურვა ასეთი მამა მომავალი შვილისათვის, რომელიც დედას მიატოვებდა. სინანული მთხრობელისა მხოლოდ წამიერია, ნოველის პერსონაჟს უკვე სხვა ადამიანად წარმოუდგება და სიზმარეულ ზმნებად ჩათვლებინებს მონაცოლს. რატომ? ესეც რეალური ადამიანია, იმ კატეგორიიდან. დედის გრძნობა რომ დაჰვიწყებია, სინანულიც გადაუგდია გულიდან. ავტორი გრძნობს თავის სიმართლეს. გრძნობს დედის დროის შეზღუდულობას. სწორედ ამისი გამოხატულებაცაა ეს შესანიშნავი ნოველა.

მწერლის მონათხრობში ერთგვარ აფორიზმად ქცეულა გამონათქვამებიც. ენა დახვეწილია, ქართლის ლექსიკიდან ამოზრდილი, სალიტერატურო ქართულით გაზრდილ-გამშვენიერებული.

ნოველის ღირსება ცხადყოფაა დედაშვილობის მარადიულობისა. იმ „მზიან-ჩრდილიანი“ ცხოვრებისა, რომელიც თანამედროვე პროზაში განსაკუთრებულ ადგილს იმსახურებს.

ბიბლიოგრაფია:

ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებ. ტ. II, „მეცნიერება“, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი: 1988;

გ. სოსიაშვილი, „იაილები“, გორის უნივერსიტეტის გამომცემლობა, გ. მახარობლიძის ლიტერატურული კაფე, 2022.

The Concept of Motherhood in a Modern Fiction Text (Mother's Time by G. Sosiashvili)

**Gogoladze Tamar
Barbakadze Ketevan
Gori State University, Gori**

Abstract

The concept of motherhood was forming or changing according to cultures, traditions or religious and moral laws in the history of different people and, accordingly, in folklore or artistic texts. Over time, it has been developing from matriarchal-patriarchal to alienation with a dynamic drive. In the 21st century, this is reflected in the artistic text as well. The article presents it on the example of the writer Giorgi Sosiashvili's story "Mother's Time". The story told by the author of the prose text also includes the elements of the story of three people, in the background of which the vicissitudes of motherhood towards the aged mother of the child are formed.

The "sunny-shady" and the "two-eyed" relationship of Ilia is developed more from the point of view of the child than from the mother's point of view, which is more or less alienated in accordance with the change of environmental conditions and the tradition brought by the new times. Through the eyes of the author, the world is seen with amazing, deep psychologism, in which filial love is associated with its fragrance, so strangely it stirs it. Approaching the time of death reinforces the need to spend the time of life as close as possible to the mother.

The variety of characters seems to be different, but they unite the sunny and shadowy aspects of love for the mother. The article shows the development of the concept of motherhood by witnessing his mother's death, presenting a dreamlike narrative of being admitted to an asylum.

The father also appears in the story in the background of the dialogue between the brothers, but is presented as a retrospect of his loving family upbringing. The language of the author, Giorgi Sosiashvili, is still calm here, with exceptionally expressive phraseology, which acquires the power of psychological loading. The face of the characters is given more compactly, as if nothing more is needed to say. The main story revolves around the mother. This fictional text of the 1920s of the 21st century is valuable as a true concept of motherhood that must exist.

Key words: concept of motherhood, sunny-shadowy, "two-eyed", feeling.

პატრიოტიზმი ისრაელში გამოცემულ 70-იანი წლების პოეზიის ნიმუშებში³⁸

გულედანი ლალი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი

DOI: <https://doi.org/10.52340/idw.2023.48>

აბსტრაქტი. გასული საუკუნის 70-იან წლებში ქართველი ებრაელების პირველი ნაკადი დაიდრა თავის ისტორიული სამშობლოსკენ - ისრაელისკენ. ცნობილია, რომ ისინი ოდითგანვე ქართულად საუბრობდნენ. მათი ქართული ხასიათდება საინტერესო ლინგვისტური თავისებურებებით. ისრაელში რეპატრირებული პირველი ნაკადების რეპატრიანტები ისევ განაგრძობენ ამ ენაზე საუბარს, თუმცა ლინგვისტურმა კვლევებმა გვიჩვენა, რომ სამომავლო პერსპექტივის მიხედვით ქართული ენა ქართველ ებრაელთა მეტყველებაში უმძიმეს ვითარებაშია, ვინაიდან ენის მატარებელთა რიცხვი ახალგაზრდა თაობაში კატასტროფულად იკლებს. ისრაელში შექმნილი ქართულენოვანი ლიტერატურა პირდაპირ კავშირშია ენასთან, მასთან ერთად ისიც შეიძლება დაიკარგოს, ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია გადაშენების საფრთხის ქვეშ მყოფ სამწერლობო ენაზე შექმნილი ქართველ ებრაელ მწერალთა შემოქმედების ანალიზი და ზოგადად, იმ ბეჭდური პროდუქციის (მწერლობა, პერიოდიკა და სხვა) კვლევა, რაც ქართველი ებრაელების მიერ ისრაელში იქმნება.

გაზეთი „ალია“ 70-იანი წლების ქართველ ებრაელთა მონაპოვარია ისრაელში, რომელშიც, გაზეთისთვის დამახასიათებელი ჩვეული საინფორმაციო დატვირთვის გარდა, დროთა განმავლობაში განსაკუთრებით გამრავალფეროვანდა ლიტერატურის რუბრიკა. ისრაელში გამოცემულ ყველა სხვა საგამომცემლო ორგანოსგან განსხვავებით ქართულენოვანმა გაზეთმა „ალიამ“ ფართოდ გააშუქა ქართველ ებრაელ ავტორთა შემოქმედება. გაზეთის ფურცლებზე გამოჩნდნენ უცნობი პოეტები და მწერლები, რომლებიც თანდათან იხვეწებოდნენ. მასალის ლიტერატურულმა კვლევამ წარმოაჩინა ავტორები, რომლებიც გაზეთის ფურცლებზე სისტემატურად აქვეყნებდნენ თავიანთ ნაწარმოებებს. მათი შემოქმედება ლიტერატურული კვლევებისთვის კარგ წყაროს წარმოადგენს.

სტატიაში ჩვენ განვიხილავთ 70-იანი წლების ქართველი ებრაელი პოეტების შემოქმედებას, ძირითადად, „ალიაში“ გამოქვეყნებულ პოეზიის ნიმუშებს, ვინაიდან 70-იან წლებში ეს გაზეთი ერთადერთი ქართულენოვანი საგამომცემლო ორგანო იყო ისრაელში. საკმაოდ ფართოს წარმოდგენილი პოეზიის ნიმუშები თემატურად მრავალფეროვანია, თუმცა ჭარბობს პატრიოტულ თემატიკაზე დაწერილი ლექსები და ეს ბუნებრივია. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ებრაელები გააერთიანა ისტორიული სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულმა. ქართველი ებრაელების მიერ ისრაელში გამოცემული პოეზიის ნიმუშებში, რომელიც ძირითადად გამართული ქართული ენით არის შესრულებული, სამშობლოს სიყვარული – პატრიოტიზმი მრავალფეროვნად და მრავალმხრივად არის წარმოდგენილი. ისრაელიანელების წარსულის გახსენებით, თანამედროვე პრობლემებზე ხაზგასმით, მტრების მიმართ მოწიწებისა და მშვიდობის დამყარების ძლიერი სურვილის გამოხატვით,

³⁸ მოხსენება მომზადებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო პროექტის ფარგლებში (გრანტის ნომერი: FR-21 19474 „ებრაელთა თვალთ დასახული საქართველო: „ისრაელში გამოცემული ქართული ბეჭდური პროდუქციის არქივაცია და ლიტერატურულ-ენობრივი ანალიზი“).

საქართველოს მიმართ ნოსტალგიით, ორი სამშობლოს თემის წამოჭრით და სხვა ნიუანსებით, ზუსტად არის დახატული საქართველოდან ასული ებრაელების ფსიქოლოგიური მდგომარეობა და შემოქმედებითი უნარები, რაც იძლევა იმის მტკიცების საშუალებას, რომ 70-იანელები, მიუხედავად იმისა, რომ მათ პოეზიაში უხვად არის შემოჭრილი ებრაული ცნებები და ლექსიკა, ჯერ კიდევ მყარად დგანან ქართულ სამწერლობო ტრადიციებზე.

საკვანძო სიტყვები: პატრიოტიზმი, პოეზია, რეპატრიაცია, მშვიდობა, ნოსტალგია

ებრაელები საქართველოში უხსოვარი პერიოდიდან ცხოვრობდნენ. გასული საუკუნის 70-იან წლებში ქართველი ებრაელების პირველი ნაკადი დაიდრა თავისი ისტორიული სამშობლოსკენ, ისრაელისკენ. ქართველი ებრაელები ოდითგანვე ქართულად საუბრობდნენ. მათი ქართული ხასიათდება საინტერესო ლინგვისტური თავისებურებებით [ბენ-ორენი 1993; ლომთაძე 2015; ენოხი 2015; კვირიკაშვილი 2022 და სხვა]. ისინი, განსაკუთრებით კი ისრაელში დაბრუნებული პირველი ნაკადების რეპატრიანტები, ისევ განაგრძობენ ამ ენაზე საუბარს, თუმცა ლინგვისტურმა კვლევებმა გვიჩვენა, რომ სამომავლო პერსპექტივის გათვალისწინებით, ქართული ენა ქართველ ებრაელთა მეტყველებაში უმძიმეს მდგომარეობაშია, ვინაიდან ენის მატარებელთა რიცხვი ახალგაზრდა თაობაში კატასტროფულად იკლებს [ლ.გულედანი, 112-120]. ისრაელში შექმნილი ქართულენოვანი ლიტერატურა პირდაპირ კავშირშია ენასთან, მასთან ერთად, ისიც შეიძლება დაიკარგოს, ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია გადაშენების საფრთხის ქვეშ მყოფ სამწერლობო ენაზე შექმნილი ქართველ ებრაელ მწერალთა შემოქმედების ანალიზი და ზოგადად, იმ ბეჭდური პროდუქციის (მწერლობა, პერიოდიკა და სხვა) კვლევა, რომელიც ქართველი ებრაელების მიერ ისრაელში იქმნება.

70-იანი წლების პირველი ტალღის ებრაელებს ისრაელში ძალიან მძიმე პირობებში მოუხდათ ცხოვრების დაწყება. მათი დიდი ნაწილი დაასახლეს პერიფერიებში, უმრავლესობამ არ იცოდა ივრითი, ბევრი მათგანი არც რუსულის ცოდნით გამოირჩეოდა და დახმარების გარეშე ვერ ერკვეოდა წესებში, არ იცოდნენ თავიანთი უფლება-მოვალეობანი, ისრაელის სახელმწიფო წყობა, მმართველობის ორგანოების სისტემა და სხვა. [სეფიაშვილი 1978]. მძიმე ეკონომიური პირობები და ინფორმაციის არქონა ართულებდა მათ ადაპტაციას ახალ ცხოვრებასთან. ამას თან ერთვოდა ძლიერი ნოსტალგია საქართველოზე, რაც გამოიჩინა არა მხოლოდ რესპოდენტებთან საუბრების ჩაწერის დროს, არამედ გარკვეული დოზით 70-იანი წლების პერიოდიკასა და მხატვრულ ნაწარმოებებში.

70-იან წლებში ისრაელში შექმნილმა პოლიტიკურ - ეკონომიკურმა და სოციალურმა ვითარებამ დღის წესრიგში დააყენა ქართულენოვანი გაზეთის დაარსების აუცილებლობა როგორც ისრაელში არსებულ რეალურ მდგომარეობაში გარკვევის მიზნით, ისე უცხო ქვეყანაში მყოფი ახალი რეპატრიანტების განწყობის გამოსახატავად. მათ შორის ჭარბობდა შემოქმედი ადამიანები, მაგრამ შექმნილი ვითარების გათვალისწინებით მათი შემოქმედებითი არეალი შეზღუდული იყო. მათ არ შეეძლოთ თავიანთი ნაწარმოებების გამოქვეყნება. გაზეთი „ალია“ იყო 70-იანი წლების ქართველ ებრაელთა მონაპოვარი ისრაელში. გაზეთისთვის დამახასიათებელი ჩვეული საინფორმაციო დატვირთვის გარდა, დროთა განმავლობაში განსაკუთრებით გამრავალფეროვანდა ლიტერატურული რუბრიკა. ისრაელში გამოცემულ ყველა სხვა საგამომცემლო ორგანოსგან განსხვავებით, ქართულენოვანმა გაზეთმა „ალიამ“ ფართოდ გააშუქა ქართველ ებრაელ ავტორთა შემოქმედება. გაზეთის ფურცლებზე გამოჩნდნენ უცნობი პოეტები და მწერლები, რომლებიც თანდათან იხვეწებოდნენ, ოსტატდებოდნენ და დროთა განმავლობაში ცნობილ შემოქმედებად ჩამოყალიბდნენ. მასალის ლიტერატურულმა კვლევამ წარმოაჩინა ავტორები, რომლებიც გაზეთის ფურცლებზე სისტემატურად აქვეყნებდნენ თავიანთ ნაწარმოებებს. მათი შემოქმედება ლიტერატურული კვლევებისთვის კარგ წყაროს წარმოადგენს.

სტატიაში განხილული იქნება 70-იანი წლების პერიოდიკაში, ძირითადად, გაზეთ „ალიაში“, გამოქვეყნებული ქართველ ებრაელთა პოეტური ქმნილებები, რომლებიც

თემატურად ძალზე მრავალფეროვანია³⁹, თუმცა ჭარბობს პატრიოტულ თემატიკაზე დაწერილი ლექსები და ეს ბუნებრივია. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრები ებრაელები გააერთიანა ისტორიული სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულმა და ეს გრძნობა იმდენად ძლიერი იყო, რომ მათ დაათმობინა ყველაფერი, რაც მანამდე გააჩნდათ. მიუხედავად იმისა, რომ პირველი წლები მათთვის უმძიმესი იყო იმ პირობების გათვალისწინებით, რომელიც ისრაელში დახვდათ, ყველა სიმძნელე დაძლიეს ისრაელის სახელმწიფოს ჩამოყალიბების მიზნით. დიდი პატრიოტული შემართება და სახელმწიფოებრივი შეგნება ავალეზდა და მუდმივად ავალეზს თითოეულ მოქალაქეს, უპირველეს ყოვლისა, პატივი მიაგოს თავის ისტორიულ სამშობლოს და მამა-პაპათა ენას, ივრითს. სწორად ამიტომ 70-იანი წლების პოეზიაში პატრიოტიზმი დომინირებს. ბევრი ქართველი ებრაელის შემოქმედებაში ის ძირითადი და წამყვანი თემაა.

ებრაელებს არასოდეს დავიწყებიათ თავიანთი ისტორიული სამშობლო, სადაც დაბრუნება საუკუნეების ოცნებად ითვლებოდა. ამიტომ ყოველი ახალი წელი ებრაელისთვის იწყებოდა გამოთქმით: **בְּשָׁנָה הַבְּרִיאָה** (be Shana haba'a biruShalaim- მომავალ წელს იერუსალიმში). იერუსალიმი მათთვის ყველაზე წმინდა და ყველაზე სათაყვანებელი ქალაქია, ამიტომ მას ხშირად უძღვნიან ლექსებს. პოეტი **სიმა ქოენიშვილი** ლექსში „იურაშალიმს“ გამოხატავს ამ ქალაქისადმი სიყვარულსა და მოწიწებას. იგი აღნიშნავს, რომ, მართალია, ებრაელები ხანგრძლივი დროის მანძილზე გაფანტულები იყვნენ მსოფლიოში, მაგრამ იერუსალიმი მუდამ უყვარდათ, მასზე ოცნება მუდამ თან სდევდათ და სხვაზე არასდროს არ გაცვლიდნენ. მერე რა, რომ გვიან დაბრუნდნენ აქეთ, კვლავ ააშენებენ საოცნებო ქალაქს, კვლავ მხარში დაუდგებიან მას. პოეტი ასე მიმართავს წმინდა ქალაქს: „ შენი სახელი მუდამ იბრწყინებს, ვით მზე კაშკაშებს ცაში, ვიდრე თუნდ ერთი კაცი იცოცხლებს იუდეველთა გვარში“ [„ალია“, N 357].

რომან იაკობაშვილის ლექსი „ოცდაათჯერ ჩაჰბერეთ შოფარს“ ეძღვნება ისრაელს. ლექსი პატრიოტული შემართებით არის დაწერილი, იგრძნობა ისრაელური სულისკვეთება. სათაურში ნახსენები სიტყვა **შოფარი** უძველესი მუსიკალური ინსტრუმენტია, რომელიც საუკუნეების მანძილზე გამოიყენებოდა ებრაულ რელიგიურ ცერემონიებში. ეს არის ვერძის რქისგან დამზადებული საკრავი და გამოიყენება მაღალი, გამჭოლი ხმის გამოსაცემად. შოფარს იუდაიზმში ღრმა სულიერი მნიშვნელობა აქვს. იგი გამოიყენება ებრაული ახალი წლის, რომ ჰამანას საუწყებლად, ასევე ჟღერს მონანიების ათი დღის, იომ ქიფურისა და სხვა მნიშვნელოვანი დღესასწაულების დროს. ითვლება, რომ შოფარის ხმა არის მოწოდება მონანიებისაკენ და ღმერთის არსებობის შეხსენება. ლექსი საზეიმო განწყობილებისაა, ვინაიდან ეძღვნება ისრაელის სახელმწიფოებრიობის 30 წლისთავს. პოეტი აღნიშნავს, რომ სასწაულები ხდება: ერთ დროს ეული ებრაელობა ახლა ზეიმობს. ამ დღეს ორი ათას წელზე მეტ ხანს ელოდნენ. ებრაელი მუდამ იბრძოდა და ზეცას შველას სთხოვდა, თუმცა შველა თოვლივით იყო, დნებოდა და ვერ აღწევდა ზეციდან მიწამდე. მსოფლიომ ნახა, როგორ იქმნებოდა „მოშავები“ და კიბუცები“, როგორ იბრძოდა ებრაელობა...პოეტი მოუწოდებს თავის ხალხს, რომ მოინანიოს თუ რამე ცოდვა აქვს. იგი იხსენებს ბარ ქოხვას, მაკაბელებს და სხვა გმირებს, მაგრამ არც „ივერთა ქნარი“ ავიწყდება. აღნიშნულია, რომ ზეიმთან დაკავშირებით ტაძარში (ბეით ჰამიკდაშში) ოცდაათი სანთელი აინთება და „ოცდაათ ჭიქით ვადიდოთ ყოფა, კი, ოცდაათჯერ დატენეთ თოფი, და ოცდაათჯერ ჩაჰბერეთ შოფარს!“-ამბობს პოეტი [„ალია, N332]. შოფარის თემას ეძღვნება **ნათელა ხუხაშვილის** ლექსიც „შოფარი“, სადაც აღნიშნულია, რომ ებრაელ ერს საუკუნეების მანძილზე უნდა ეკმაროს ტანჯვა და შოფარის ხმაზე იგრძნოს თავისუფლების სიამე [„ალია, N395]. **აბრამ ბაღაშვილიც** ლექსს „სამშობლოვ ჩემო“ ისრაელის სახელმწიფოებრიობის 30 წლისთავს უძღვნის და უსურვებს მას, რომ როგორც ოცდაათს გადააბიჯა, ისე ათასიც გადაელახოს. პოეტი ისრაელის სადიდებლად მზად არის დაცალოს

³⁹ საილუსტრაციო მასალა წარმოდგენილია დასახელებული გაზეთების ლიტერატურულ რუბრიკაში გამოქვეყნებული პოეზიის ნიმუშების მიხედვით, რომლებიც თითოეული გაზეთის მე-5 ან მე-7 გვერდზეა განთავსებული.

ქართული თასი, დალოცოს ტანჯული, ცოდვილი და საზიარო, უმანკო სისხლით უხვად მორწყული სამშობლო, რომელიც ახლა თუ კარგად არის, საამისოდ დიდი მსხვერპლი გაიღო, თუმცა თვითდამშვიდებას არც შემდგომ უნდა მიეცეს. მტერი მტერია და ის მოყვარე არასდროს გახდება. დაღვრილი სისხლისთვის კი დიდი ვალი აქვს ებრაელობას. პოეტი მზად არის სამშობლოს დასაცავად, ვინაიდან ბრძოლაც იცის და მარჯვენაც ერჩის. იგი უბოდიშებს მას, რომ ამდენ ხანს დაყოვნდა საქართველოში და სთხოვს: „რაკი მიგვიღე და გვიმასპინძლე, ელოდე ჩვენგან კეთილს მაგიერს, მარად შენთან ვართ ჭირშიც და ლხინშიც, ქართველი ტომი მრავალჭამიერ“ [„ალია“, N399].

იამზე წვენიაშვილის ლექსი „ფიქრები ისრაელზე“ ასევე სამშობლოს სიყვარულით არის გაჟღერებული. იგი ფიქრობს ზედზე ისრაელისა, რომელსაც ყველა მხრიდან მტრულად განწყობილი არაბები ახვევია. ერთი მუჭა ერს მომხრეც კი არავინ ჰყავს, გარდა ღმერთისა. წყეულ არაბებს მათი მთლიანად გაწყვეტა უნდათ, მაგრამ ისრაელი არ შეუშინდება მათს მუქარას. არც არასოდეს შეშინებია, თუმცა ურიცხვი მტრის ძალას როგორ უნდა გაუძლოს პატარა ერმა. აფორიაქებულ პოეტს იდუმალი ხმა ჩასძახის, რომ ისრაელს ღმერთი არ გაწირავს, არ ააოხრებს იერუსალიმს და აღარ დაანგრევს ებრაელების ბეთ მიკდაშს(ტამარს). ებრაელებს წინ ნათელი მომავალი ელით, ტანჯვა-წამება კი უკან დარჩებათ. ასეთი არის ღმერთის ბრძანება. ავტორს მიაჩნია, რომ კაცად არ ვარგა ის, ვისაც სამშობლოს გამო გული არ სტკივა, მისი ჭირი არ აწუხებს და მისი ლხინი არ უხარია. ლექსის ბოლოს იგი იმედს გამოთქვამს, რომ: „დედა სამშობლოს საკეთილდღეოდ, მცირედი წვლილი ჩვენც შეგვეტანოს, სიტყვა გრუზინის გაგონებაზე, სირცხვილით თავი არ დაგვეხაროს!“ (გრუზინებს ეძახდნენ ისრაელში ქართველ ებრაელებს 70-იან წლებში).

იორამ სეფიაშვილი ლექსით „სამშობლო“ გამოხატავს ისრაელის მიმართ უსაზღვრო სიყვარულს. მოსწონს მისი ბუნება - მსუყე, რძიანი, თაფლიანი, ყვავილთა მხარე, სურნელოვანი, ვარდებიანი. აქ ამინდიც შესანიშნავია - დღისით მზიანი, ღამით ცვარნამიანი. ბუნების ძალამ ქვებით შემოსა, მაგრამ იმდენად ძვირფასი და სანატრელია პოეტისთვის, რომ მისი ქვაც უყვარს და ხრიოკიც. იგი ამბობს: „სამოთხის ბაღო, ედემს სადარო, ვის მიგამსგავსო, ვის შეგადარო, გიყურებ, მაგრამ ვერ ძღება თვალი, გულს სიყვარულის ედება ალი“. ისრაელის ცაც საყვარელია, ხმელეთიც, მაგრამ განსაკუთრებით მომხიბვლელი არიან მომღიმარი და ვაჟკაცური გამოხედვის მქონე ფარაჯიანი ჭაბუკები. ბევრჯერ დანგრეულა და აშენებულა ეს ქვეყანა, მაგრამ ამიერიდან ეს აღარ მოხდება. ქარმა შორს გადარეკა ღრუბლები, ტანჯვის საწყაო უკვე აივსო და ამიერიდან სამაისო დარი დადგება. მთელ მსოფლიოში მშვიდობის ბურჯი იქნება ის ადგილი, რომლის დაწვის და დანგრევის ცდაში იყო ყველა. ამას უკვე ვერავინ შეძლებს, ვერავინ გადმოლახავს საზღვრებს, ვინაიდან მას ძლიერი ხელი იცავს.

იზოლდა ბათიაშვილის ლექსშიც „მინდა ვიმღერო“ ისრაელის ძლიერი სიყვარულია გამოხატული. ავტორი აღნიშნავს, რომ იგი პოეტი არ არის, რომ გრძელი სიტყვის თქმა მოკლედ მოახერხოს, თუმცა მის რამდენიმესტრიქონიან ლექსში მაინც ჩანს ეს დიდი გრძნობა. მას სურს, რომ მისმა სამშობლომ მეტი აღარ იტანჯოს, საკმარისია, რაც გადაიტანა და შვილები დაკარგა. მისმა გულმა აღარ უნდა დაიზამთროს და მისი მთა-ბარი უნდა აყვავდეს და გაიფურჩქნოს [„ალია“, N333]. ლექსში „ისრაელს“ ავტორი **იაკობ ჩიკვაშვილი** სამშობლოსთვის თავგანწირვის სულისკვეთებას გამოხატავს. მან იცის, რომ მალე გაიტაცებს მარადიული სიჩუმის ღმერთი, ულამაზესი გედი იტირებს და ცაზე მთვარედ ამოანათებს, მაგრამ იმედი აქვს, რომ ისრაელი იცოცხლებს მარად, თავად მის ყოველ დღეში დაიდებს ბინას, მზედ დაიღვრება მის წინაშე და უწმინდესი ფიცით პირობას დებს: „ შენთვის მოვკვდები ისე ლამაზად, ჩემი სიკვდილიც შეეხარებათ“ [„ალია“, N358]. **მარგო ჯინჯიხიაშვილი** კი ლექსში „სამშობლოს“ აღწერს იმ მძიმე დღეებს, როცა ისრაელში რეპატრირებულებმა მძიმე შრომით უდაბნო წალკოტად აქციეს, ყოველი ქუჩა, ყოველი სახლი, ფაბრიკა, ქარხანა დიდი ოცნებით არის ნაშენები. 25 წლის ნაზარდი და ნაწვალები მტრებმა თავისად მოინდომეს, რაც სიცოცხლის ფასად უნდა

დასჯდომოდა მოსახლეობას, მაგრამ ისინი არ შეუშინდნენ მტერს და დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვეს მოშე დაიანისა და გოლდა მეირის ხელმძღვანელობით [„ალია“, N361]. პოეტი **იამზე წვენიაშვილი** ლექსში „გალუთიდან ისრაელამდე“ ცდილობს გადმოსცეს თავისი ემოციები ებრაელების წინაპართა ქვეყანაში დაბრუნების გამო. ის იხსენებს წარსულს და აღნიშნავს, რომ 2000 წელი იყვნენ გალუთში (განდევნილობაში), მათი კულტურა და ყოფაცხოვრება გადახლართული იყო სხვა ხალხების კულტურასთან. შეიძლება ცუდად არ ცხოვრობდნენ, მაგრამ სამშობლოს გახსენება ყოველთვის იწვევდა მათს გულისტკივილს. ყველა ერს აქვს სამშობლო, ჩიტსაც კი... და ამიტომ ყოველი ებრაელის ნატვრა იყო ბინა სამშობლოში დაედო. სამშობლოს ნახვა არ ყოფილა იოლი, მაგრამ დაკარგულ შვილებს მამა-პაპათა მიწა დიდხანს ელოდა. პოეტს მიაჩნია, რომ პირველი „ალია“(რეპატრიაცია) საქართველოდან დაიწყო, მას შემდეგ ყველა კუთხიდან უწყვეტად მიედინება და კარგა ხანს გასტანს. ზოგს აქვს თავისი საპატიო მიზეზი, რატომაც ვერ მოდის, მაგრამ ავტორი სვამს კითხვას: „როდის დადგება ნეტავ ის ჟამი, როს მთელი ერი ისრაელისა, აღთქმულ მიწაზე თავშეკრებილი, აღახდენს სურვილს მამა-პაპისა“ [„ალია“, N 334].

ლევო ფიჩხაძის ლექსი „ჩვენი სამშობლო ისრაელია“ წარმოადგენს მოწოდებას ებრაელებისადმი, რომლებსაც სამშობლო უნდა უყვარდეთ ყველაფერზე მეტად, სხვა შემთხვევაში საერთო საქმე წინ ვერ წავა. ერთიანობა წმინდა მიზნის მიღწევის საწინდარია. მათ ვერც მტერი დააკლებს ვერაფერს და ქალებიც არ ჩაიცვამენ შავებს. სამშობლოსგან განდგომილი ადამიანი ღმერთისგან დაწყვეტილია და დედის რძე შხამად შეერგება. სადაც გვიცხოვრია, სტუმრად ვიყავითო – ამბობს პოეტი და დასძენს: „შეიგნე, ერო, ტანჯულო მარად, სამშობლო ჩვენი ისრაელია!“ [„ალია“, N394]. მწერალი **იზოლდა მოშიაშვილი** ლექსით „ისრაელს“ გამოხატავს დიდ სიყვარულს მტრებით გარშემორტყმული, მაგრამ მედგრად მდგარი, უდრეკი და მეზრძოლი სამშობლოს მიმართ, რომლის წმინდათაწმინდა ადგილების დაპატრონებას ბევრი ნატრობს. რამდენი შხამიც არ უნდა ანთხიოს მტერმა, ვერ მოახერხებს მის დაპყრობას, ვინაიდან ღმერთი ისრაელთანაა მუდამ. მტრის ჯიბრზე მისი სამშობლოს ყოველი კუთხე უფრო და უფრო ლამაზდება და მშვენიერდება [„ალია“, N398]. **ხაიმ მოშიაშვილის** ლექსში „გილოცავთ ახალ წელს“ გამოხატულია მისი ნაზი და თბილი დამოკიდებულება სამშობლოს მიმართ. ლექსის დასაწყისში ავტორი ულოცავს სამშობლოს ახალ წელს და ლოცავს მას. იმედს გამოთქვამს, რომ მისი გამოზრდილი შვილები დროთა განმავლობაში კიდევ უფრო ააყვავებენ ქვეყანას. მხოლოდ ერთი თხოვნა აქვს თავის ტანჯვაგამოვლილ პატარა ერთან, რომ გაერთიანდნენ. ლექსის ბოლოს ისევ საყვარელ სამშობლოს უბრუნდება და ასე ამკობს მას: „ პატარა მიწავ ლამაზო, ნაკურთხო დავითისაო, მოშეს თორითა ნაქებო, განთქმულო ბრძენებითაო, იოსებისა მშვენებავ, ამყავებელო გზისაო“ [„ალია“, N393]. **თამარ სეფიაშვილ - მომღვრიშვილის** ლექსში „მეტი ყურადღება“ გამოხატულია ისრაელის მიმართ აღფრთოვანება იმის გამო, რომ ეს პატარა ქვეყანა შიშის ზარს სცემს და გაჩენის დღეს აწყველინებს მტერს, სულთამხუთავად ექცევა და მზეს დაუბნელებს მას, მაგრამ თუ მოკეთე გაუხდები, მასპინძლობაც კარგი იცის და სითბოსა და სინათლესაც არ მოგაკლებს. ჩვენ კი, მტრებს რომ გზები ავურიოთ, უნდა გავერთიანდეთ, ყველა ერთად შევკავშირდეთ და სწავლა-აღზრდას მივაქციოთ მეტი ყურადღება – წერს პოეტი [„ალია“, N394].

სამშობლოს სიყვარულის თემას, რომელიც პოეტებთან სხვადასხვანაირად არის წარმოდგენილი, ავგირგვინებს მშვიდობის საკითხი, რომელიც ნებისმიერი ისრაელელის უპირველესი ოცნებაა.

მიშელ იაკობაშვილის ლექსში „ნატვრა მშვიდობაზე“ დასმულია კითხვა „რას ისურვებდი“, რომელსაც ავტორი თავადვე პასუხობს. ის ამბობს, რომ არ ისურვებდა სიმდიდრეს, ომს, მტრობას და შუღლს, უმიზეზო სისხლის ღვრას... ინატრებდა საყვარელ ადამიანთან ყოფნას, მისი თვალებით განათებულ სამომავლო გზა, ადამიანების სახეებზე ღიმილს, ბედნიერებას, მაგრამ ყველაზე მთავარი, რომელსაც კითხვის დასმაც არ სჭირდება, არის მშვიდობა [„ალია“,

N366]. მშვიდობის თემას ეძღვნება ასევე **დოდო ხუხაშვილის** ლექსი „შალომი“, რომელიც იწყება რომანტიკულად: ლურჯ ცაზე ცისარტყელა გამოჩნდა და ასო-ასო თეთრად მოხაზა სიტყვა შალომი, სადამოს მას ვარსკვლავები შემოერთებენ გარს, ვით ჯარისკაცნი. ჯარისკაცი კი ქვეყნად მშვიდობის სიმბოლოა. ჯარისკაცებმა კრება გამართეს. ბჭობდნენ, თუ როგორ დაემყარებინათ მშვიდობა, ისე, რომ აღთქმულ მიწაზე მეგლსა და ცხვარს ერთად ეცხოვრათ, როგორ მოესპოთ გარეწარი ტერორისტები...რაც გადაწყვიტეს, მისი სისრულეში მოყვანა სწრაფად სურდათ. დაე, არ იყოს ომი, მტრობა, უსამართლობა...დამთავრდა თუ არა ბჭობა, ვარსკვლავები მიმოიფანტნენ, ნიავმა თან გაიყოლა თეთრი ხაზები და ცაზე დარჩა სიტყვა შალომი (მშვიდობა) [„ალია“, N357].

თამარ სეფიაშვილ-მომღვრიშვილის ლექსი „ეს ლექსი იწერებოდა“ მშვიდობას ეძღვნება. ავტორი წარსულის გახსენებაზე იცრემლება და ნატრობს, რომ მოხშირებულმა „ხათუნებმა“ (ქორწილებმა) თავისი შედეგი გამოიღოს, წყვილები გამრავლდნენ და სამშობლო ახალი თაობებით დაამშვენონ. აშენდეს ახალი ქალაქები და „მოშავები“. ომში უდროოდ დაღუპულთა სისხლი შენდობას ითხოვს. ავტორი ლექსს ასრულებს ყველაზე ფაქიზი და წმინდა თხოვნით: „ყველა ნატვრაზე მეტად ქვეყნად მშვიდობა მინდა“. [„ალია“, N334].

იამზე წვენიაშვილის „მშვიდობა გვინდა“ ეხმაურება ეგვიპტესა და ისრაელს შორის სამშვიდო მოლაპარაკებას. აქ ნახსენებია მენახემ ბეგინი, რომელმაც თავისი ბრძნული აზრებით აწვარ სადათსაც მოუღობო გული. მართლაც, ხელისუფლებაში მოსვლიდან მალევე იგი გახდა [ეგვიპტის პრეზიდენტ ანვარ სადათთან](#) მოლაპარაკების ინიციატორი. აღნიშნული მოლაპარაკება დასრულდა 1978 წლის სექტემბერში [კემპ-დევიდის ხელშეკრულებით](#). ამ ისტორიული ფაქტის ფონზე ლექსი ოპტიმისტურ ხასიათს ატარებს. ავტორი თვლის, რომ მრავალწლიანი კონფლიქტის შემდეგ უკვე დროა, რომ ომი შეწყდეს და ებრაელმა და არაბმა ხალხმა ერთად იმღერონ ძმობის სიმღერა [„ალია“, N358].

ომისა და მშვიდობის საკითხი პირდაპირ კავშირშია ებრაელი ჯარისკაცებისა და გმირების თემასთან. ებრაული ჯარი (ცაპალი) ისრაელელებისთვის დიდი სიამაყის მომგვრელია და შემოქმედი ადამიანებისთვის შთაგონების წყაროც გამხდარა. **იზო დანიელოვის** ლექსში „გმირების ხსოვნას“ ისრაელი ჯარისკაცების მიმართ დიდი პატივისცემაა გამოხატული. ეს ახალგაზრდები დღისით თუ ღამით სიცოცხლის ფასად იცავენ სამშობლოსა და ისრაელელებს, მუდამ წინ უდგათ სიკვდილის ლანდი. ბევრის სიცოცხლე იმსხვერპლა ომმა, ბევრის დედებმა ჩაიცვეს შავი...მაგრამ ისინი მარად მოსაგონარ გმირებად დარჩებიან [„ალია“, N361]. **აბრამ მოსეშვილი ლექსში** „სამშობლოს“ იხსენებს იმ გმირებს, რომლებმაც სიცოცხლე გაწირეს ქვეყნის დასაცავად. რამდენი გმირი დაეცა, რამდენს შეახმა მარჯვენა, რამდენ მეოცნებეს მოუსწრო მტრის ტყვიამ...სამშობლოსთვის იბრძოდა ყველა, ვიდრე სიკვდილი თვალს დაუხუჭავდა, ტყვიას ფუჭად არავინ ხარჯავდა, მტერს პირდაპირ გულში ახვედრებდა. როგორ უნდა დაეთმო ვინმეს სისხლით მორწყული მინდვრები, წინაპართა საფლავები, ბარ-კოხვას ნატერფალი ადგილები, სოლომონ მეფის მახვილი თუ ბეით ამიკდაშის კედელი. პოეტი ლექსს ასრულებს შემდეგი სიტყვებით: „ვერა, ვერ დაგთმობ, სამშობლოვ, უსიტყვოდ შემოგვევლები“ [„ალია“, N395]. **იაკობ ჩიკვაშვილის** ლექსი “ შინმოუსვლელ ებრაელობას“ ეძღვნება სამშობლოსთვის თავგანწირულ გმირებს, რომლებსაც ამსგავსებს იმ ცხვარს, ეჭვნებით სმენა რომ დაუხშეს, წყალს, რომელიც უდაბნოს ქვიშაზე მიუშვეს ეულად. ამ გმირების ამაყი სულები ჰაერივით გაინაწილეს ირგვლივ მყოფებმა. პოეტს სწამს, რომ ებრაელობა თანდათანობით ძალას მოიკრებს, წამოდგება, გამოიღვიძებს, გამოფხიზლდება და „მშვიდად, ვით მზის ამოსვლას, შეუერთდება ისრაელის უსასრულობას“ [„ალია“, N334].

პოეტ სიმა ქოენიშვილის ლექსი „გმირის სანთელი“ გარდაცვლილი გმირების ხსოვნას ეძღვნება. იგი ამხნევებს ძამებით შემოსილ მტირალ დედას და წერს, რომ დაცემულ გმირს ცრემლი არ უყვარს. მან თავი გადადო, სიცოცხლეს არ გაუფრთხილდა, უდროოდ ჩაქრა მისი სანთელი, ამიტომ გმირებს აუცილებლად უნდა აუნთოთ თითო სანთელი [„ალია“, N335].

ისახარ იაკობაშვილის ლექსი ეძღვნება „ცაჰალს“, ისრაელის ჯარს. ცაჰალი წმინდა სიონის ფხიზელი დარაჯია, მუდამ იარაღშემართული, ბობოქარ ზღვაში კლდესავით დგას. ვინც დამონება დაუპირა, პირამიდებთან დააჩოქა. მან ტრიუმფით გადაუარა გოლანს და ხერმონს და მტერი ცხრა მთას იქით გადაისრულა. თუ მთიდან მოვარდნილი ნიაღვარი ერს წალეკვას დაუპირებს, დავითის სასწაულმოქმედი ფარი ღრუბლად გადაეფარება ისრაელს და გადაარჩენს. მისი დიდება შუქურად ელავს. განთიადის მანათობელია და მშვიდობის გვირგვინიც მას ეკუთვნის. ცაჰალის ომში დაღუპული ჯარისკაცების სახელები შარავანდედით უნდა შეიმოსოს და არ უნდა შეწყდეს მათი ქება. „მარადიული ცაჰალს მშვიდობა, მშვიდობის ქალაქ იერუსალიმში“-ასე ასრულებს ავტორი ლექსს [„ალია“, N357]. პოეტ **შალვა მანაშეროვის** ლექსი „ღმერთო, დასწყევლე მკვლელები“ ტერორისტულ აქტში დაღუპულთა ხსოვნას ეძღვნება. ავტორი გულისტკივილით ახსენებს 32 უდანაშაულო დაკარგულ სიცოცხლეს, რომელთა ფიქრები, ოცნებები უკვალოდ გაქრა და შავ სამარეში ჩავიდა. ვის ჰქონდა ამის ჩადენის უფლება? ავტორი მიმართავს უფალს სამართლისთვის და მოითხოვს მკვლელების დასჯას: „დასწყევლე, გააცამტვერე, მოუსპე თავისუფლება“ [„ალია“, N333].

ზოგჯერ პატრიოტული სულისკვეთება ვლინდება ბიბლიური პერსონაჟების გმირული მაგალითების მოხმობით. პოეტ იაკობ ჩიკვაშვილის ლექსი „მოშე რაბინუ“ (ჩვენს რაბინ მოსეს) ეხება ებრაელთა ერთ-ერთ გამორჩეულ ბიბლიურ პერსონაჟს, მოსეს, რომელმაც ებრაელები ეგვიპტელების მონობისგან იხსნა და აღთქმული ქვეყნისკენ წაიყვანა. პოეტი მოკრძალებით ახსენებს მის სახელს და თვლის, რომ ჩვეულებრივ მოკვდავთ არ ძალუძთ უკვდავი პიროვნების შეფასება. მოსეს მარადიული ცეცხლი ებრაელებში ჯერ კიდევ ტრიალებს, მისი თვალების სხივი დააბნელებს მზის ქარავანს. მოსეს წინაშე იმსხვრევა მიწიერთა ყველა კარიბჭე, ფერმკრთალდებიან სასწაულთა ლეგიონები, როცა მათ ნაკვალევზე ის მზე კაცად დააბიჯებს. ავტორი შესთხოვს მას: „ შენი სიწმინდე, შენი მაღლი გადმოგვაწვიმე, რომ იქნებ ზეცას ჩაეკიროს ჩვენი ფესვებიც“ [„ალია“, N333].

ზოგჯერ პოეტი პატრიოტულ შემართებას მტერთან დიალოგში ავლენს. **იორამ სეფიაშვილის** ლექსი „ანვარ სადათს“ მიმართავა ეგვიპტის პრეზიდენტისადმი, სადაც ნათქვამია, რომ ისრაელის ხალხს უნდა მშვიდობა, ხოლო ეგვიპტის პრეზიდენტი მხოლოდ ცალმხრივ დათმობებს ითხოვს და ისრაელის სასარგებლოდ სიტყვას არ ამბობს. მის გამოსვლებში მშვიდობის სურვილი არ ჩანს, მხოლოდ ტერიტორიების დათმობის მოლოდინია გამოხატული და იმას არ უფიქრდება, რომ ომი თავად წამოიწყეს. ავტორი გულისწყრომას გამოთქვამს იმის გამო, რომ ასეთ დაუფიქრებელ ქმედებებს შესაძლოა ისევ უთანხმოება და ომის საშინელი შედეგები მოჰყვეს - დაქვრივებული ქალები, ატირებული დედები, ობლად დარჩენილი ბავშვები და ა.შ. იგი მოუწოდებს პრეზიდენტს კარგად დაფიქრდეს, იქნებ დაძლიოს პირადი სურვილები და მშვიდობის გზას დაადგეს, ვინაიდან „ ომი მშვიდობას ვერ დაამარცხებს“, პირიქით, მშვიდობა გაიმარჯვეს ომზე.[„ალია“, N359]

70-იანი წლების პოეზიაში გარკვეულწილად ვლინდება ქართველ ებრაელთა ნოსტალგია მეორე სამშობლოს მიმართ. **ნანა მოშიაშვილის** ლექსში „თოვს, თოვს“ იგრძნობა თბილისის მონატრება. პოეტი წარმოიდგენს თოვას თბილისში: დაუბარდნია ყველა ქუჩა, ყველა სახლი. ამ თოვლმა თითქოს მისი დარდიც თოვლად აქცია. მთელი ქალაქი შემოიარა, ვიღაც ძვირფასს ეძებს ამ ქალაქში, სევდა მოეძალა, ცრემლები გადმოსცვივდა...[„ალია“, N360].

დოდო ხუბაშვილის ლექსში „შემოდგომა“ აღწერილია შემოდგომის პეიზაჟი თბილისში: მზემ მხურვალეა დაკარგა, ცელქი სიო ნაზად ქრის, ხეები გაშიშვლებულა, ფოთლები ქუჩებში მიმოხნეულა, ღვინობისთვე კარზეა მომდგარი. გლეხის გამრჯე მარჯვენით ოჯახებს წლის მოსავალი არ უნდა მოაკლდეს. შემოდგომის სურნელი დგას, რომლის მსგავსი ისრაელშიც ტრიალებს. მერე რა, რომ წლები გავიდა და ახლა ის ისრაელის მოქალაქეა...აქაური მზეც ათბობს და თვითონაც მისი ჰაერით არის გაჟღენთილი. თავზე ახურავს აქაური კრიალა ცა, აქაც

სიცოცხლე იხმობს, ალაღებს და თუ რატომ, ავტორი ხსნის შემდეგნაირად: „...რადგან აქაურ ქუჩებს და შუკებს მე საქართველოს ქუჩებს ვადარებ... ერთი გული მაქვს, ორი კი არა, შიგ ჩავაქსოვე ეს წმინდა გრძნობა, ორივე ერთად მიყვარს, მახარებს, რადგან გვაქვს დიდი ჩვენი მეგობრობა...“. პოეტი ოცნებობს ესტუმროს თავის გამზრდელ თბილისს, იხილოს მისი მკვდარიც, ცოცხალიც. იგი სტუმრად არ თვლის თავს, გაზრდილი შვილი დედას შეხვდება, ნაცნობ ვერხვებს, ჭადრებსა და ტირიფებს შემოეხვევა, მთაწმინდის პლატოს ჩაეხუტება და სიყვარულს მძივებივით თბილისის ქუჩებში მიმოაბნევს [„ალია“, N392]. საქართველოს მონატრებაა გადმოცემული **ნაწული ჯანაშვილის** ლექსშიც „გრძნობა“. ავტორი აღნიშნავს, რომ მისი გრძნობა გაორებულია, რაც ტანჯავს და სევდას ჰგვრის. დამით მოკაშკაშე ვარსკვლავებსა და მთვარეს შესცქერის და ესაუბრება. ნეტავ მათსავით შეეძლოს აყვავებული საქართველოს ტურფა მთა-ბარსა და თბილისს გადახედოს, ერთი სახლის პატარა სარკმელს მიადგეს, სადაც დედა ეგულება. რა მძიმეა განშორება, ნეტავ ოდესმე თუ უწერიათ შეხვედრა და ძმის საფლავის მონახულება. იქნებ მთვარემ მოინახულოს ის სარკმელი და გადასცეს მისიანებს რა მწელია ლოდინი. იქნებ მათაც გაუმხილონ თავიანთი ფიქრები. საქართველო სიძულვილის გამო არ მიუტოვებიათ, პირიქით, მასთან განშორებაა ტრაგედია. ისტორიულ სამშობლოში ჩამოვიდნენ, რომელიც მტერთა შემოსევებისგან დაღლილი დახვდათ. ნეტავ კი შეძლონ მისი ჭრილობების მოშუშება. ორივე სამშობლოს ერთი მტერი ჰყავდა, არაბებმა დაუკაწრეს ორივეს გული. მათი დანგრევა და განადგურება სურდათ, მაგრამ საწადელს ვერ მიაღწიეს. ავტორი საქართველს დედობილს უწოდებს, რომელმაც მისცა ცოდნა და ყოველგვარი სიკეთე. მისი ღვაწლი არასოდეს არ უნდა იქნას დავიწყებული: „დაე, გვენახოს ისრაელიც სამშობლო ჩვენი, მშვიდობიანი, მედგარი და თავდადებული, ვით საქართველო იდგა მტრის წინ პატარა, მაგრამ ქედმოუხრელი, მუდამ მხნე და გამარჯვებული“ [„ალია“, N402].

ლექსში „რად მოდიოდი“ **სიმხა აჯიაშვილი** მიმართავს ზოგიერთ ვაიებრაელს, რომლებიც ვერ შეეგუვნენ ახალ ცხოვრებას და მისტირიან საქართველოს, მკაცრად აკრიტიკებს და ეკითხება მათ: თუ სამშობლო „იქით“ დაგრჩა, რად დატოვე საქართველო, ებრაელის მძიმე ტვირთის ტარება თუ არ შეგეძლო და „ის“ გყავდა ერთადერთი ქომაგი, საქართველოს ზურგი რატომ აქციე? თუ საქართველოს სიყვარულით იწვები, შვილობას აქედან რატომ ეფიცები? ნუღარ იტყვი, რომ მისი ნატვრით ხუნდები და სიხარულით დაბრუნდები იქ. შენ შეიძლება გინდა, მაგრამ საქართველო შენისთანას ალბათ აღარ ისურვებს, ქართველ კაცს მოღალატე ოდითგან არ უყვარდა. პოეტს მიაჩნია, რომ ებრაელის მიერ საქართველოს არდავიწყებას ყველა სწორად გაიგებს, მაგრამ საკუთარი ერის დაგმობას, მას არავინ მოუწონებს. ასეთი საქციელის შემდეგ იგი არც ებრაელია და ქართველსაც ვეღარ უწოდებ, ვეღარც ებრაელად დარჩება და ქართველადაც ვეღარ გადაიქცევა [„ალია“, N395].

ლეა ქართლელის ლექსში “ასე იქნება მუდამ” საქართველოს მონატრება იგრძნობა. პოეტმა გარემო შეიცვალა, იცვლება ყველაფერი და მას ეუფლება განწყობა, რომელიც ათქმევინებს შემდეგს: „წელს გაუყვება წელი, დღეთა იქნება თოვა, სულ სხვა ბუღბუღი უსტვენს, სულ სხვა ნიბლია მოვა...კავკასიონის კუმტი კვლავ შემოიკრებს ნისლებს, გიჟი ლიახვიც ისევ იტყვის სიმღერას მრავალს, მტკვარი, დუღუნა მტკვარი, თბილისს კვლავ ეტყვის ამბავს...და ცა მარადის ჟამის კვლავ იოცნებებს ლურჯად, ასე იყო და ისევ ასე იქნება მარად...“ [„ალია“, N350].

ამრიგად, ქართველი ებრაელების მიერ ისრაელში გამოცემული პოეზიის ნიმუშებში, რომელიც ძირითადად გამართული ქართული ენით არის შესრულებული, სამშობლოს სიყვარული – პატრიოტიზმი მრავალფეროვნად და მრავალმხრივად არის წარმოდგენილი. ისრაელიანელების წარსულის გახსენებით, თანამედროვე პრობლემებზე ყურადღების გამახვილებით, მტრების მიმართ წინააღმდეგობით, გმირების და ისრაელის ჯარის მიმართ უსაზღვრო მოწიწებისა და მშვიდობის დამყარების სურვილის გამოხატვით, საქართველოს მიმართ ნოსტალგიით, ორი სამშობლოს თემის წამოჭრით და სხვა ნიუანსებით, ზუსტად არის დახატული საქართველოდან ასული ებრაელების ფსიქოლოგიური მდგომარეობა და

შემოქმედებითი უნარები, რაც იმის მტკიცების საშუალებას იძლევა, რომ 70-იანელები, მიუხედავად იმისა, რომ მათ პოეზიაში უხვად არის შემოჭრილი ებრაული ცნებები და ლექსიკა, ჯერ კიდევ მყარად დგანან ქართულ სამწერლო ტრადიციებზე.

ლიტერატურა:

- ბენ-ორენი, (1993) - Ben-Oren, Gershon. 1993. תפח לש תודוּוּי תוּנַחַת- הוּוּרַג יוּדוּי לַש רוּבּוּדוּי [Special Characteristics of the Spoken Language of Georgian Jews]. Ph.D. dissertation, The Hebrew University of Jerusalem.
- გულედანი, ლ., ლომთაძე, თ. (2022). ქართველ ებრაელთა მეტყველება ისრაელში (მონოგრაფია). თბილისი: თსუ-ს გამომცემლობა.
- გულედანი, ლ. (2022). სოციალური ასპექტების ასახვა ქართველ ებრაელთა მეტყველებაში. ქართველ ებრაელთა მეტყველება ისრაელში (მონოგრაფია). თბილისი: თსუ-ს გამომცემლობა. 112-120.
- ენოხი, რ. (2015) - ქართველ ებრაელთა მეტყველების რაობისათვის, იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილი მეორე საერთაშორისო კონფერენციის მასალები, გორი.
- ენოხი, რ., ლომთაძე, თ. (2016). ებრაიზმები ქუთაისელ ებრაელთა მეტყველებაში, იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილი გორის მესამე საერთაშორისო კონფერენციის მასალები, გორი.
- კვირიკაშვილი, ა. (2022). ხაიფაში მცხოვრები ქართველი ებრაელების მეტყველება, ქართველ ებრაელთა მეტყველება ისრაელში (მონოგრაფია). თბილისი: თსუ-ს გამომცემლობა, 140-144.
- კვირიკაშვილი (2023). ებრაიზმები ისრაელში რეპატრირებულ ქართველ ებრაელთა მეტყველებაში. VIII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ენა და კულტურა“. შრომები. ნაწილი I. ქუთაისი. 230-231 <https://journals.4science.ge/index.php.enadakultura>
- საპირი ა. 1978. გაზეთი “ალია“, N359, 30XI.
- გაზეთ „ალიას“ შემდეგი ნომრები:
N332, 4VIII, 1978; N333, 11VIII, 1978; N334, 18VIII, 1978; N335, 25VIII, 1978; N350, 30XI, 1978; N357, 18 I, 1979; N358, 25 I, 1979; N359, 01II, 1979; N360, 08II, 1979; N361, 15.II, 1979; N366, 22III, 1979; N393, 26IX; N394, 03.X; N395, 10X, 1979; N398, 31X, 1979; N399, 07XI, 1979; N402, 28XI, 1979.

Patriotism in Samples of Poetry Published in Israel in the 1970s

Guledan Lali

Ilia State University, Tbilisi

Abstract

In the 70s of the last century, the first wave of Georgian Jews left Georgia for their historical homeland - Israel. It is known that Georgian Jews have been speaking the Georgian language for many centuries. However, their Georgian is linguistically distinct from standard Georgian but these distinctive linguistic features are gradually disappearing due to the migration of Jews to their historical homeland.

The Georgian language literature created in Israel is directly related to the language of Georgian Jews, and can also be lost together with it, therefore it has crucial important to analyze the works of Georgian Jewish writers created in the written language, which is in danger of extinction, and in general, to research the printed products (writing, periodicals, etc.) that are created by Georgian Jews in Israel.

In the 1970s the newspaper “Aliyah” was founded by the Georgian Jews in Israel. This newspaper is primarily concerned with the news related to the Jewish-Georgian community and their achievements, their cultural events, the world and Israeli news, useful guidelines and instructions for the new repatriates, etc. Over time the section of literature became richer and more versatile. Unlike all other periodicals printed in Israel, “Aliyah” covered a broad range of works by Jewish-Georgian authors. Many poets and writers first appeared on its pages and gradually became more and more famous and refined in their craftsmanship. Their work is a good source for literary studies.

In the article, we discuss the works of Georgian Jewish poets of the 70s, mainly the samples

of poetry published in “Aliyah”, since it was the only Georgian-language publishing body in Israel in the 70s. . The samples of the presented poetry are thematically diverse, but poems written on patriotic themes predominate, and this is natural. Jews from different countries of the world were united by the boundless love of their historical homeland. In the samples of poetry published by Georgian Jews in Israel, which are mainly written in the fluent Georgian language, the love of the motherland - patriotism is presented in diverse and versatile ways. Recalling the past of the Israelis, emphasizing the modern problems, the spirit of resistance to the enemies, the boundless respect of the heroes and the Israeli army, and the strong desire to establish peace, nostalgia for Georgia, raising the topic of two homelands and other nuances, accurately reflect the psychological state and creative skills of the Jews from Georgia, which makes it possible to assert that in the 70s, despite the fact that Jewish concepts and Hebrew vocabulary are abundantly intruded into their poetry, Georgian Jewish poets and writers still stand firmly on Georgian writing traditions.

Keywords: patriotism, poetry, repatriation, peace, nostalgia

**კოლექტიური მეხსიერებისა და ტრავმის რეპრეზენტაცია მარიო ვარგას
ლიოსასა და შორენა ლებანიძის ტექსტებში
(„ვაცის ნადიმი“ და „თუ საჭიროა, გათქმევინებთ“)**

ერემაშვილი მანანა

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი
ნიუტონის თავისუფალი სკოლა, თბილისი
DOI: <https://doi.org/10.52340/idw.2023.49>

აბსტრაქტი. წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილი იქნება კომპარატიული კვლევა პერუელი მწერლის, მარიო ვარგას ლიოსას „ვაცის ნადიმისა“ და ქართველი ავტორის შორენა ლებანიძის ტექსტის „თუ საჭიროა, გათქმევინებთ“ მიხედვით. კვლევის მიზანია, გამოიკვეთოს, რა გავლენას ახდენს კულტურული ტრავმა სოციუმში კოლექტიური მეხსიერების ფორმირებაზე, რა როლი ენიჭება ინდივიდუალური წარსული გამოცდილების გახსენებას სოციალური იდენტობის ფორმირებისა და ინდივიდის თვითდამკვიდრების პროცესში და როგორ აისახება ეს ყველაფერი აწმყოში ფორმირებულ სოციალურ მეხსიერებაზე.

ნაწარმოებებში აღწერილი ტოტალიტარული მმართველობის ფორმების სახასიათო ელემენტების შედარების შედეგად გამოიკვეთება სუვერენული სისტემების საერთო მახასიათებლები და ის, თუ რა გავლენის მოხდენა შეუძლია ამ უკანასკნელს საზოგადოებრივ კეთილდღეობაზე.

საკვანძო სიტყვები: წარსული, მეხსიერება, ტრავმა, ტრავმის გადალახვა, ინდივიდუალიზმი, გახსენება.

შესავალი

მეოცე საუკუნის დასაწყისიდან მეცნიერთა რიგებში განსაკუთრებით გაძლიერდა ინტერესი ინდივიდუალური თუ კოლექტიური მეხსიერების ფორმირების, გახსენებისა და დავიწყების მექანიზმების შესწავლის მიმართ. მეხსიერების კვლევები მრავალდისციპლინარული სამეცნიერო მიმართულებაა და მოიცავს როგორც ანტროპოლოგიის, ისტორიის, ფილოსოფიის, ფსიქოლოგიისა თუ სოციოლოგიის დარგებს, ასევე ლიტერატურას. ერთ-ერთი განსაკუთრებულად ღირებული საკვლევი ობიექტია მკვლევრისთვის ლიტერატურული ტექსტი, რადგან ეს უკანასკნელი მნიშვნელოვან როლს ასრულებს კოლექტიური მეხსიერების ჩამოყალიბებისა და კულტურული დისკურსის ფორმირების პროცესებში. ისტორიკოსები კოლექტიური მეხსიერების ფენომენის საფუძვლების შესწავლისას ხშირად ეყრდნობიან ფრანგი სოციოლოგის, მორის ჰალბვაქსის თეორიულ ნაშრომებს. ტექსტში „მეხსიერების სოციალური ჩარჩო“/The Social Framework of Memory (1925) ჰალბვაქსი მეხსიერებას განიხილავს როგორც საზოგადოებრივ მოვლენას, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემა. თეორეტიკოსის მიხედვით, მეხსიერება არ არის მხოლოდ ინდივიდუალური ფენომენი და იგი მჭიდროდ არის დაკავშირებული ოჯახთან, მეგობრებსა თუ სხვა სოციალურ ჯგუფებთან (Bosch 2016: 2). ჰალბვაქსისთვის სივრცეში არსებული ხატები/გამოსახულებები განსაკუთრებულ როლს თამაშობენ კოლექტიური მეხსიერების ფორმირების პროცესში. იგი სოციუმის ჯგუფების შეკავშირების, ასიმილაციის პროცესს დაფას ადარებს, სადაც წინარე ჯგუფის მიერ დაწერილი მეხსიერების კვალი სრულებით არ წაშლილა, ჯერ კიდევ შესამჩნევია და ახალი ჯგუფი მას გადააწერს ახალ მეხსიერებას; ძველის გახსენებით ისინი ქმნიან მიკუთვნებულობის განცდას და ამის პარალელურად-ახალ კოლექტიურ მეხსიერებას; აქედან გამომდინარე, თითოეულ ასპექტს

თუ დეტალს, რომელიც იდენტობის განსაზღვრაში მონაწილეობს, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სოციალურ ჯგუფებში (Halbwachs 1950: 2). ჰალბვაქსის მოსაზრებას იზიარებს თანამედროვე მკვლევარი მეხსიერების დარგში, ლოფბოროს უნივერსიტეტის პროფესორი ემილი კეიტლი (2010), მეხსიერების კვლევის მეთოდოლოგიაზე მსჯელობისას განმარტავს, რომ მოგონებები მნიშვნელოვანია მანამ, სანამ ისინი პიროვნების იდენტურობას განსაზღვრავენ და გახსენება არა მხოლოდ ინდივიდის ფსიქოლოგიური არტიკულაციის პროცესია, არამედ ესაა პერფორმანსი, რომელსაც ძლიერად აქვს ფესვები გადგმული უკვე ნაცხოვრებ კულტურულ თუ სოციალურ კონტექსტში (Keightley 2010: 58).

მოგონებების გახსენების მნიშვნელობაზე მსჯელობს ზიგმუნდ ფროიდიც, რომელიც მეხსიერებას არათუ კოლექტიურ-, არამედ ინდივიდუალურ ფენომენად განიხილავს. ფსიქოანალიტიკოსისთვის გახსენება ქვეცნობიერში დაღეპილი მოგონებების გამოხმობა-ინდივიდი გახსენების საშუალებით ახერხებს, ჩასწვდეს საკუთარ ინდივიდუალიზმს და გადაიაროს მიმდინარე ცხოვრების კურსი, რაც ინდივიდს თვითგამორკვევასა და თვითდამკვიდრებაში ეხმარება (Hulton 1994:147).

ფროიდისგან განსხვავებით, გახსენებას კოლექტიური იდენტობის ფორმირების დანიშნულებას ანიჭებს ამერიკელი სოციოლოგი და თეორეტიკოსი ჯეფრი სი ალექსანდერი, რომელიც თავის წიგნში „კულტურული ტრავმა და კოლექტიური იდენტობა“ (Cultural Trauma and Collective Identity) მსჯელობს ტრავმული გამოცდილების გახსენების მნიშვნელობაზე კოლექტიური იდენტობის ფორმირების პროცესებში და განმარტავს, რომ რამდენადაც სოციუმი განცდის ტრავმას, კოლექტიური იდენტობის არსიც გადაიხედება, გადახედვა კი წარსულიდან კოლექტიური მოგონებების გახსენებას ნიშნავს; „იქიდან გამომდინარე, რომ მეხსიერება სოციალურია და მიმდინარე (Fluid), ის ასევე ღრმა კავშირშია აწმყომი „მე-ს“ გააზრებასთან“-წერს ალექსანდერი (ალექსანდერი, 2004: 22).

წინამდებარე ნაშრომში სწორედ ზემოთ განხილული კოლექტიური მეხსიერების, კულტურული ტრავმისა და კოლექტიური იდენტობის თეორიებზე დაყრდნობით იქნება გაანალიზებული პერუელი მწერლის, მარიო ვარგას ლიოსას ტექსტი „ვაცის ნადიმი“ და ქართველი ავტორის, შორენა ლებანიძის „თუ საჭიროა, გათქმევინებთ“. მიუხედავად იმისა, რომ ორივე მწერალი განსხვავებულ კულტურულ დისკურსში მოღვაწეობს და მათი ტექსტები ერთმანეთისგან დაშორებულია მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებებითა თუ სივრცითი მოცემულობით, მწერლების მიერ რეალურ მოვლენებზე დაყრდნობით შექმნილი ნარატივი ნათელყოფს, რა ემართება ინდივიდუალიზმს ტოტალიტარული სისტემის ფარგლებში და რა როლს ასრულებს ლიტერატურა ტრავმული გამოცდილების რეპრეზენტაციისა და კოლექტიური იდენტობის ფორმირების პროცესში. კომპარატისტული ანალიზის შედეგად გამოიკვეთება ორ ტექსტს შორის არსებული მსგავსება-განსხვავებები, რათა ნათელი გახდეს, როგორ ფორმირდება კოლექტიური მეხსიერება ინდივიდის პერსონალური მოგონებების გახსენებით.

მიუხედავად იმისა, რომ სამეცნიერო სივრცეში არსებობს სტატიები მარიო ვარგას ლიოსას ტექსტების შესახებ, ქართულ ლიტერატურათმცოდნეობით კვლევებში ჯერ არ დაწერილა ამ ტექსტის შედარებითი ანალიზი ქართულ ტექსტთან, რაც საკვლევი თემის აქტუალობას განაპირობებს. 2020 წელს შორენა ლებანიძის ტექსტი „თუ საჭიროა, გათქმევინებთ“ გახდა ლიტერატურული კონკურსის- „საბას“- ლაურეანტი წლის საუკეთესო ესეისტიკასა და დოკუმენტური პროზის ნომინაციაში, რაც კიდევ ერთხელ ცხადყოფს წიგნის მნიშვნელობას ქართულ ლიტერატურაში. წინამდებარე კვლევითი ნაშრომი კი მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ქართული თანამედროვე ლიტერატურის, როგორც მეხსიერებისა და ტრავმული გამოცდილების რეპრეზენტაციის საშუალების, კვლევის პროცესში.

ანალიზი

„ვაცის ნადიმი“ პერუელი მწერლის, მარიო ვარგას ლიოსას ნაწარმოებია, რომელშიც მულტიპერსპექტიულადაა წარმოდგენილი რაფაელ ლეონიდას ტრუხილიოს დიქტატორული რეჟიმის წლები დომინიკის რესპუბლიკაში (1930-1938 წ.წ). ნაწარმოების სიუჟეტი რეჟიმის

დასრულებიდან 35 წლის შემდეგ მშობლიურ ქალაქში, სანტო დომინგოში (დიქტატურის პეროდში ცნობილი იყო როგორც „სიუდად ტრუხილიო“) პროტაგონისტის, ურანია კაბრალის, დაბრუნებით იწყება.

იმავე ისტორიულ ეპოქას ეხმიანება შორენა ლებანიძის ტექსტი „თუ საჭიროა, გათქმევინებთ“ იმ განხვავებით, რომ მეოცე საუკუნის ქართული სოციალ-პოლიტიკური საბჭოთა კავშირის დისკურსით იყო განპირობებული. ტექსტში „თუ საჭიროა, გათქმევინებთ“ მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებებით არის წარმოდგენილი დოკუმენტური მასალა ქართველი დირიჟორის, ევგენი მიქელაძისა და მისი ოჯახის ტრაგედიის შესახებ, რაც მუსიკოსის ოჯახმა ქვეყანაში დამყარებული ტოტალიტარული სისტემის დროს გადაიტანა 1930-იან წლებში რეპრესიების სახით.

მარიო ვარგას ლიოსა „ვაცის ნადიმში“ სიუჟეტურ ხაზს სწორედ ქალი პერსონაჟის წარსული გამოცდილებების გახსენების პარალელურად ავითარებს და მულტიპერსპექტიული თხრობის შედეგად ცხადად გადმოსცემს ტოტალიტარული რეჟიმისთვის დამახასიათებელ ნიშნებს, რომელთა საშუალებითაც საზოგადოებაში კოლექტიური ტრავმა წარმოიქმნება; ეს უკანასკნელი ღრმად აღწევს თითოეული ინდივიდის პირად თუ სოციალურ ცხოვრებაში. აიძულებს სუბიექტს, განდევნოს ყველა მოგონება ცნობიერიდან და ტრავმული გამოცდილების დავიწყებას ქვეცნობიერის დონეზე დალექვით ცდილობს. ამ ყველაფერს კი ურანია დომენიკიდან ამერიკაში, მანჰეტენში გაქცევით ცდილობს, სადაც წარმატებული იურისტის კარიერას იწყობს, თუმცა იგი ვერ ახერხებს წარსული მოგონებებიდან სრულ გათავისუფლებას, მისი პირადი ტრაგედია ტექსტის დასაწყისშივე ხდება მკითხველისთვის ცნობილი, რეალური მიზეზი კი (სექსუალური და ემოციური ძალადობა) მხოლოდ ტექსტის დასასრულს იჩენს თავს.

იგი შეპყრობილი ხდება ტრუხილიოს რეჟიმის შესწავლის სურვილით, კითხულობს საარქივო და ისტორიულ ნარკვევებს, რომლებიც წარსული ხატების აღდგენის საუკეთესო საშუალებად მიაჩნია:

„[ურანია მამამისს]...ჩემს ოთახში მხოლოდ დომენიკელების წიგნებია. მოგონებები, კვლევები, ისტორია.ხვდები, რომელი პერიოდი მაინტერესებს? რაღა თქმა უნდა-ტრუხილიოს ეპოქა.[...] ტრუხილიოს ეპოქის ექსპერტის გავხდი, იმის ნაცვლად, რომ ბრიჯი და გოლფი მეთამაშა, ცხენზე მეჯირითა ან ოპერაში წავსულიყავი, ჩემს გატაცებად ამ წლებში მომხდარი ამბების შესწავლა იქცა. დასანანია, ასუბარი რომ არ შეგვიძლია, რადგან საიდუმლოს ამისხსნიდი. მაგალითად, ძალიან მინდა მომიყევი, მისი ბრწყინვალეობა დედაჩემთანაც თუ წვებოდა“ (ლიოსა 2016:73)

ფრანგი მეცნიერი პიერ ნორა თავის ნაშრომში *Les mieux de memorie/მეხსიერების ადგილები* განმარტავს, რომ თანამედროვე მეხსიერება არქივულ ხასიათს ატარებს. იგი მატერიალურ მოცემულობებს ენდობა, ჩანაწერთა უშუალობას, წარსული სურათების ხილვადობას. რაც ჩაწერილი და დაარქივებულია, მისდამი დიდია სანდოობა, არქივი სკაფოლდინგის ფუნქციას ასრულებს გახსენების პროცესში, მისი საშუალებით შესაძლებელი ხდება მოგონებების გამოხმობა წარსულიდან და აწმყოს სრულყოფილი სახით წარმოდგენა (Nora 1989:13). სწორედ ამგვარი სკაფოლდინგის როლს ითავსებს სახელმძღვანელოებსა თუ საარქივო მასალებში ამოკითხული დოკუმენტური ინფორმაცია ურანია კაბრალისთვის. იგივე დანიშნულება აქვს ისტორიული პირების ჩანაწერებისა თუ საარქივო მასალების კვლევა-ძიებას შორენა ლებანიძის ტექსტშიც „თუ საჭიროა, გათქმევინებთ“, რომელთა გაცნობის შედეგად თინა მიქელაძე (ევგენი მიქელაძისა და მარიამ ორახელაშვილის ქალიშვილი) სრული სიცხადით აღიდგენს სამი წლის ასაკში თავისი ოჯახის მიერ გადატანილ მორალურ თუ ფიზიკურ ტრავმას. მწერალი შორენა ლებანიძე ერთ-ერთ ინტერვიუში განმარტავს, რომ ევგენი მიქელაძის ტრაგედიის მკითხველამდე მიტანა აუცილებელ მოცემულობას წარმოადგენდა, რადგან წარსული გამოცდილებების გახსენება ახალი თაობისთვის აწმყოში ორიენტაციის წინაპირობაა.⁴⁰

⁴⁰ ლებანიძე, ხ. 2020. შორენა ლებანიძე პროექტში „ავტორი TETE“. თბილისი: თსუ ბიბლიოთეკის პროექტი. <https://www.youtube.com/watch?v=iu1Wm7oiQmc> (წვდომის თარიღი: 15.05.2023)

ნაწარმოები ქეთუსია ორახელაშვილის მემუარული ჩანაწერების ამონარიდით იწყება, რომელიც, როგორც მოგვიანებით ირკვევა, თავის ქალიშვილს, თინა მიქელაძეს უნდა აღმოეჩინა საოჯახო არქივში, ახალგარდაცვლილი დედის პირად ნივთებს შორის (ლებანიძე, 2019:9). სწორედ დედის პირადი ჩანაწერები იქცევა თინასთვის პირადი ტრავმის გადააზრების მაპროვოცირებელ ფაქტორად:

„სწორედ ძველ ჩანაწერებს უნდა გაენდო თინასთვის რამე. ხელნაწერებით უნდა გაება შეუმდგარი დიალოგი დედასთან. [...] როგორც კი დედის მემუარები გადაფურცლა, არა ჟენიას ან ქეთუსიას, არა მამიას ან მარიამის, არამედ თავისივე განცდებში წვდომის სურვილმა აიტანა. გაოგნებულმა აღმოაჩინა, რომ , აი, ხედავ? თინათინ მიქელაძის ცნობიერი არსებობა, თურმე, უსიამოვნო და იმედგამაცრუებელი შთაბეჭდილებებით დაწყებულა“ (ლებანიძე, 2019, გვ:10-11).

როგორც მორის ჰალბვაქსი განმარტავს, ინდივიდის პერსონალური მეხსიერება ნაციონალურ ცნობიერებასთან არის კავშირში და იმ საჯარო მოვლენათა ერთობლიობაა, რომლებიც კონკრეტულმა საზოგადოებრივმა ჯგუფებმა ერთად გადაიტანეს და რომელთა გახსენების შედეგად იქმნება კოლექტიური მეხსიერება (Halbwachs 1950:2). შორენა ლებანიძის ეს ტექსტიც ინდივიდუალურ მეხსიერებებზე დაყრდნობით აღდგენილი და მხატვრული გამომსახველობითი საშუალებებით რეპრეზენტირებული კოლექტიური მეხსიერებაა, რომელიც ტოტალიტარული დისკურსის ფარგლებში წარმოიქმნა და დაილექა ქართულ საზოგადოებაში. ჰალბვაქსის თეორიას ეყრდნობა ჰოპკინსის უნივერსიტეტის პროფესორი, ჯენ მარკუს დელგადო, „ვაცის ნადიმზე“ მსჯელობისას; იგი განმარტავს, რომ ტრუხილიოს ეპოქის გადარჩენილები ისევე ცხოვრობდნენ, როგორც ურანია და მისი ისტორიის მოყოლა, რაც ყველა სხვა დანარჩენის ისტორიაცაა, ამ ეპოქის პოლიტიკის გახსენების დაგმობისა და დასრულების მცდელობაა (Marcus-Delgado 2004: 131). ზემოთ განხილულიდან გამომდინარე ნათელი ხდება, რომ მიუხედავად ქვეყნების (დომინიკის რესპუბლიკა და საქართველო) სივრცითი თუ გოგრაფიული დაშორებისა, ტოტალიტარული დისკურსის გავლენა პერსონალურ და, შესაბამისად, კოლექტიურ მეხსიერებაზე ერთმანეთის მსგავსია და ხშირად ტრავმული გამოცდილებების გახსენება როგორც ინდივიდუალური, ასევე ნაციონალური იდენტობის განსაზღვრის საშუალებად იქცევა.

ჯეფრი ალექსანდერი თავის ნაშრომში „კულტურული ტრავმა და კოლექტიური იდენტობა“ განმარტავს, რას გულისხმობს ტრავმა „ტრავმის პოპულარული თეორიის“ მიხედვით: „ტრავმული გამოცდილება თავს იჩენს მაშინ, როდესაც ტრავმული მოვლენები უშუალო ურთიერთობაშია ადამიანურ ბუნებასთან. ადამიანები საჭიროებენ უსაფრთხოებას, წესრიგს, სიყვარულს, ურთიერთობას. თუ რამე მოვლენა საფრთხეს უქმნის ამ მოთხოვნილებებს, მაშინ სულაც არ არის გასაკვირი, რომ ხალხი ტრავმირებული რჩება“ (ალექსანდერი, ჯ. 2004: 3). მარიო ვარგას ლიოსა ნათლად ასახავს ტექსტში საზოგადოების ტრავმირების პროცესებს; დომინიკელთა საზოგადოებრივი თუ ინდივიდუალური ცხოვრების ყველა სფერო (ქორწინება, კარიერული წინსვლა თუ ფინანსური კეთილდღეობა) დიქტატორის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს ექვემდებარებოდა, სუბიექტები მოკლებულნი იყვნენ ინდივიდუალობას, მაგალითად, ტექტის ერთ-ერთი პერსონაჟი, ამადიტო, მხოლოდ იმიტომ არ ირთავს საყვარელ ქალს ცოლად, რომ ტრუხილიოსგან ნებართვას ვერ იღებს: „(ტრუხილიო ამადიტოს)...შენი სამსახურეობრივი ჩამონათვალი ისეთი კარგია, ვერ დავუშვებ, ცოლად კომუნისტი მოიყვანო[...] ამ ქვეყანაში ბევრი ქალია, სხვა მოძებნეთ“ (ლიოსა, 2016: 46) და მეორე უკიდურესობა-აუგუსტინ კაბრალი თავის თოთხმეტი წლის ქალიშვილს, ურანიას, „ვაცის ნადიმად“ აქცევს, რათა ტრუხილიოს ტერორსა და რეპრესიებს გადაურჩეს, მას შემდეგ, რაც მანუელ ალფონსომ, ტრუხილიოს ელჩმა, მოსალოდნელი საფრთხის შესახებ ამცნო აუგუსტინ კაბრალს და ურანიას „შემზადებისკენ“ მოუწოდა, მიუხედავად უსაზღვრო სიყვარულისა, ქალიშვილს ტრუხილიოს წვეულებაზე წასვლას სთხოვს.:

“(ურანია მამამისს)-კიდევ რა საშინელება მოხდება, ციხეში ჩაგსვამენ?

-არა, არა, შესაძლებლობა გაჩნდა, რომ ყველაფერი მოწესრიგდეს, მსხვერპლს მთხოვენ, შვილიყო, მინდა, ერთი რამ იცოდე, მე არასოდეს გავაკეთებ არაფერს, არაფერს, კარგად გაიგე, გონებაში ჩაიბეჭდე, რაც შენთვის სასიკეთო არ იქნება“ (ლიოსა, 2016: 405-406)

ხსენებული ეპიზოდებიდან ნათელი ხდება, რომ დიქტატორული მმართველობის ქვეშ ტრავმირებული ინდივიდები საკუთარი სურვილების წინააღმდეგ მიდიან, ტოტალური ტერორი არა მხოლოდ სახელმწიფო-, არამედ ინდივიდუალურ დონეზე დასული.

ერთპიროვნული ძალაუფლების ინდივიდუალურ და საზოგადოებრივ სფეროებში შეჭრის მაგალითს ეცნობა მკითხველი წიგნშიც „თუ საჭიროა, გათქმევინებთ“; ლავრენტი ბერია, რომელიც როგორც ისტორიულ, ასევე ლიტერატურულ ანტაგონისტად მოიაზრება, მსგავსად ლეონიდას ტურხილიოს მხატვრული სახისა, უხეშად ცდილობს, ტოტალური ძალაუფლების გამყარებას. შორენა ლებანიძე წიგნში თინა მიქელამის მიერ დედამისის, ქეთუსია ორახელაშვილისა და ლავრენტი ბერიას პირველი შეხვედრის შესახებ მოთხრობილ ამბავს გადმოსცემს: „ლავრენტი პავლოვიჩი გოგონას უღიმოდა, ქათინაურებით ავსებდა, კარდია მანქანიდან თავაზიანად ეპატიჟებოდა, მომსახურებას სთავაზობდა („მიგიყვანთ, სადაც გნებავთ“), საუბრის აწყობასა და გაშინაურებას ცდილობდა...“ (ლებანიძე 2019: 67). ზემოთ განხილულ ნაწარმოებებში პერსონაჟთა ცხოვრებაში უსაფრთხოების განცდისა და პირადი სივრცის არსებობის აუცილებლობა ირღვევა, რაც, ჯეფრი ალექსანდერის თეორიის შესაბამისად, ტრავმული მეხსიერების ფორმირების წინაპირობად იქცევა.

ჯეფრი ალექსანდერი ტრავმული გამოცდილების კვევის მეთოდებზე მსჯელობისას გამოყოფს *ფსიქოანალიტიკურ* მიდგომას, რომლის მიხედვითაც, თუ მძიმე ემოციური გამოცდილების გადატანა უწევს ინდივიდს, ეს უკანასკნელი ტრავმული გამოცდილების სუბლიმირების საშუალებით ცდილობს, დათრგუნოს მეხსიერება, რათა ტრავმა გადალახულად ჩაითვალოს. სუბიექტის მიზანია, გაექცეს წარსულის გამოცდილებებზე პასუხისმგებლობის აღებას და ამით დაიცვას საკუთარი თავი (Alexander 2004: 5). სწორედ ამგვარ დამცავ მექანიზმად წარმოჩინდება ურანიას გაქცევა მშობლიური ქალაქიდან, ოჯახი, ნაცნობი სიციუმი თუ გარემო მუდმივად გაახსენებდა მას წარსულში განცდილს, შესაბამისად, საზღვრებს გარეთ წარმატებული კარიერიერის მოწყობითა და ახლო ნათესავებთან ყველანაირი კომუნიკაციის გაწყვეტით იგი ცნობიერიდან განდევნის ტრავმულ მოგონებებს. ტრავმების მეხსიერებიდან გამოხმობა ურანიას ნათესავებთან საუბარის დროს ხდება. საუბარი ერთგვარად ფსიქოანალიტიკურ სეანსსაც შეიძლება შეედაროს, რადგან სუბიექტი მოგონებების რეკონსტრუირების შედეგად თვითრეფლექსიური ხდება და ამგვარად ტრავმის გადალახვაც მეტად მოსალოდნელია. მხოლოდ მამიდასთან და მამიდაშვილთან საუბრის შემდეგ შეძლო ურანიამ პირველად მოეყოლა გადატანილი ტრავმები. დუმილი, რომელიც აქამდე მისთვის წარსულის გახსენებისგან თავდაცვის საშუალებას წარმოადგენდა, მისთვის უსაფუძვლო ხდება, ამაზე მიანიშნებს მამიდაშვილთან საუბრის ბოლოს წარმოთქმული სიტყვები: „თუ მარიანეტა მომწერს, ყველა წერილს ვუპასუხებ“ (ლიოსა 2016: 604). გაზიარებული ტრავმების შედეგად ახერხებს ურანია საკუთარი იდენტობის განსაზღვრას, იაზრებს ყველა იმ მოვლენას, რომლის აღქმაც წარსულში ვერ შეძლო.

ქეთუსია ორახელაშვილის შემთხვევაში წარსული ერთადერთი დროითი და სივრცითი განზომილებაა, რომელთანაც საკუთარ იდენტობას აიგივებს. უჭირს, წარსული გამოცდილებების დათმობა და აწმყოში ორიენტირება:

„ზურგმიქცეული სამყაროს შემორიგების აზრს ვერ ხედავდა. არა მხოლოდ დაუნდობლად და უბრძოლველად თმობდა, არამედ მთელი არსებით უარყოფდა. ოღონდ ქალის სიჩუმე, კუშტი და უკმეხი დუმილის ნაცვლად, გულსაკლავად თვინიერი, უხმო გარინდება იყო [...] აწმყო სულ არ აღელვებდა. ცნობისწადილს არ აღუძრავდა, წარსულს ეკუთვნოდა. თითქოს სიცოცხლე სამარადისოდ ჩავლილ დღეებს ერქვა“ (ლებანიძე 2019:9) თუმცა მიუხედავად ამისა, ქვეცნობიერში დაღეჭილი წარსული მეხსიერება იჭრება ცნობიერში და მოქმედებისკენ უბიძგებს. ზიგმუნდ ფროიდი თავის წიგნში „სიზმრების ინტერპრეტაცია“ (1990) სიზმრებს *სამეფო გზად* (The Royal road) მოიხსენიებს და განმარტავს, რომ მოგონებებისა თუ საიდუმლოებების შეცნობის საუკეთესო საშუალება სიზმრებზე დაკვირვებაა (Hutton 1994:150). დედის ხატის სხვა ქალის სახესთან ქვეცნობიერი მიმსგავსებით იქცევა თინასთვის წარსულის სრულყოფილად აღდგენის მიზეზად: „მოგონება კი არა, მოგონების ფთილა იყო, ერთი დღის პაწია ანასხლეტი, წუთის ნამსხვრევი: აი, დერეფნის კედელზე ჩამოკიდებული სარკის წინ ქალი

დგას. [...]არა, დერეფნის გასწვრივ მიმავალი უცხო დეიდა ქეთო არ არის. [...]რა დაავიწყებს, როგორ ლაღად მიაჩნევს ქეთუსია მაღალ, ასხლეტილ ტანს. -ჩუუ, სუუ,-ჩაესმის ნაცნობი ხმა. ცრემლს სწმედს და ძიძის კალთას სლუკუნით ეხუტება“ (ლებანიძე 2019:14-15).

თინას აწმყო, ისევე როგორც ურანია კაბრალის, მთლიანად წარსული მოგონებებით არის მოცული და აწმყოში ორიენტაციის ერთადერთ საშუალებად წარსული ტრავმების გახსენება და მათი გადალახვის მცდელობადა ესახება.

დასკვნა

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ ინდივიდუალური მეხსიერების აღდგენა და გახსენება წარსულში განცდილი ტრავმული გამოცდილებების გადალახვის საშუალებას წარმოადგენს პერსონაჟებისთვის. ტოტალიტარული მმართველობის მიერ პერსონაჟთა ცნობიერზე დამჩნეული ტრავმები არ განსხვავდება ერთმანეთისგან, მიუხედავად იმისა, რომ პერსონაჟები სხვადასხვა სოციო-კულტურულ რეალობას განეკუთვნებიან. მსგავსებების ახსნა შესაძლებელია ტრავმული გამოცდილებების ფორმირების ზოგად პრინციპებზე დაყრდნობით, რასაც ჯგერის ალექსანდერი უსაფრთხოების, პირადი სივრცისა და კეთილდღეობის დარღვევას უკავშირებს, რაც ნათლად გამოიკვეთა მარიო ვარგას ლიოსასა და შორენა ლებანიძის ტექსტების ანალიზის ფარგლებში. წარსულში განცდილი ტრავმული გამოცდილებების რეკონსტრუქცია აწმყოში პერსონაჟებისთვის თვითდამკვიდრებისა და კოლექტიური მეხსიერების ფორმირების საშუალებად იქცევა.

ჯგერი ალექსანდერის თეორიაზე დაყრდნობით, კოლექტიურ ტრავმასთან დაკავშირებული ასოციაციები ზედაპირზე ამოტივტივდება და ლიტერატურული ქმნილებების საშუალებით ხვდებიან სოციუმში. განხილულ მწერალთა მხრიდან ამ წიგნების დაწერაც მათ თანამედროვე საზოგადოებაში დალექილი კულტურული ტრავმების რაციონალიზაციის და გადალახვის მცდელობად უნდა იქნას მიჩნეული. ტექსტები მკითხველს ფიქციურ თუ ისტორიულ პერსონაჟთა ისტორიის გადმოცემით ინდივიდუალური ტრავმული გამოცდილების ინტერპრეტაციას სთავაზობს, რომელიც ღრმად იჭრება მკითხველის ცნობიერში და აყალიბებს განზოგადებულ აღქმას კულტურული და კოლექტიური ტოტალიტარული ტრავმული გამოცდილებების შესახებ, რომელიც, ერთი მხრივ, დომენიკელ საზოგადოებაში და, მეორე მხრივ, ქართულ სოციუმში წარმოიქმნა მეოცე საუკუნის 30-იან წლებში.

ბიბლიოგრაფია:

პირველადი წყაროები

1. ლიოსა, მ.ვ. 2016. *ვაცის ნადიმი*. თბილისი: ინტელექტის გამომცემლობა
2. ლებანიძე შ. 2019. *თუ საჭიროა, გათქმევინებთ*. თბილისი: არტანუჯი

დამხმარე ლიტერატურა

1. Alexander, J. 2004. *Cultural Trauma and Collective Identity*. Berkley, California: University of California Press.
2. Bosch, Tanja E. 2016. *Memory studies. A brief concept paper*. Working Paper. MeCoDEM. ISSN 2057-4002 (Unpublished) . United Kingdom: University of Leeds press.
https://eprints.whiterose.ac.uk/117289/1/Bosch%202016_Memory%20Studies.pdf (წვდომის თარიღი: 05/13/2023)
3. Halbwachs, M. 1950. *Space and The Collective Memory*. From *The collective memory*.
4. Hutton, P. (1994). Sigmund Freud and Maurice Halbwachs: The Problem of Memory in Historical Psychology. Vol.27, No 2 (Feb) pp.145-158
5. Keightley, E. (2010). Remembering research: memory and methodology in the social sciences. *International Journal of social research methodology* 13(1): 55-70.
7. Marcus-Delgado, j. 2004. “Demonic Power and Political Discourse in Mario Vargas Llosa’s *La fiesta del chivo*.” *Confluencia* Vol. 19, No. 2 (Spring 2004):125-33
8. Nora, p. 1989. *Between Memory and History: Les Lieux de Memoire*. Special issue: *Memory and Counter-Memory* (Spring. 1989) pp.7-24. University of California Press.

Representation of Collective Memory and Trauma in the Texts of Mario Vargas Llosa and Shorena Lebanidze "The Feast of the Goat" and "Tu Sachiroa, Gatqmevinebt" (If necessary, I Will Make You Speak")

Eremashvili Manana
Ilia State University, Tbilisi
Newton Free School, Tbilisi

Abstract

The present paper „Representation of Collective Memory and Trauma in the Texts of Mario Vargas Llosa and Shorena Lebanidze will show a comparative study based on the text "The Feast of The Goat" and "Tu Sachiroa, Gatqmevinebt"(If necessary, I Will Make You Speak). The purpose of the research is to highlight the impact of cultural trauma on the formation of collective memory in society, the role of recalling individual past experiences in the process of formation of specific social identity and the sense of self-establishment for individuals, and how all these affects the social memory formed in the present.

As a result of the comparison of the characteristic elements of the forms of totalitarian government described in the works, the common characteristics of the sovereign systems are highlighted, and the impacts that may be occurred on public welfare.

Comparative research was conducted by Manana Eremashvili, Master of Comparative Literature at Ilia State University.

Keywords: past, memory, trauma, overcoming trauma, individualism, recall.

კარდინალი სისნეროსი და მისი მოღვაწეობის მნიშვნელობა ესპანეთში

კობეშავიძე მარინე

ჭრიკიშვილი ნინო

ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი

DOI: <https://doi.org/10.52340/idw.2023.50>

აბსტრაქტი. კარდინალი სისნეროსი ესპანეთის რელიგიური, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ერთ-ერთი ცენტრალური ისტორიული ფიგურაა. ტოლედოს არქიეპისკოპოსის, კარდინალ სისნეროსის სახელთან არაერთი მნიშვნელოვანი მოვლენა დაკავშირებული, მათ შორის: საეკლესიო რეფორმა კასტილიაში, რაც მარტინ ლუთერის რეფორმაციულ მოძრაობას ორი ათეული წლით უსწრებს წინ. საეკლესიო რეფორმის ფარგლებში, სისნეროსი მიზნად ისახავს კასტილიის სამღვდლოებაში ჯერ მორალურ-ზნეობრივი კრიზისის აღმოფხვრას, შემდეგ კი იგივე სამღვდლოების განათლებისთვის და ინტელექტუალური ზრდისთვის ალკალაში აარსებს უნივერსიტეტს - Universitas Complutensis და ბეჭდავს პირველ მრავალენოვან ბიბლიას, რომელიც ისტორიაში „Biblia poliglota Complutense“-ს სახელით შევიდა. სწორედ ამ პროექტის ფარგლებში მოხდა ბიბლიის - როგორც ორიგინალი ტექსტის, ისე ბერძნული (სეპტუაგინტა) და ლათინური (ვულგატა) თარგმანების - დამუშავება და დაბეჭდვა.

საკვანძო სიტყვები: კარდინალი სისნეროსი, საეკლესიო რეფორმა, უნივერსიტეტი, მრავალენოვანი ბიბლია

შუა საუკუნეების ბოლო პერიოდი კათოლიკური ეკლესიის კრიზისის ხანაა. ევროპაში ნელ-ნელა იკვეთება ეკლესიის განახლების საჭიროება. იწყება პროცესი, რომლის კულმინაცია ხდება მარტინ ლუთერის რეფორმაციული მოძრაობა. თუმცა, 20 წლით ადრე, მანამ სანამ მარტინ ლუთერი თავის ცნობილ „95 თეზისს“ გააკრავდა ვიტენბერგის ეკლესიის კარზე, ეკლესიაში შექმნილი მდგომარეობის გამოსწორებას საეკლესიო რეფორმის გზით ცდილობენ კასტილიაში, სადაც კასტილიის ყველაზე ცნობილი დედოფალი - ისაბელ კასტილიელი მეფობს, ხოლო მისი მარჯვენა ხელი ტოლედოს არქიეპისკოპოსი, ფრანსისკო ხიმენეს დე სისნეროსია. მიუხედავად იმისა, რომ მარტინ ლუთერის რეფორმაციული მოძრაობა იყო პროტესტი რომის კათოლიკური ეკლესიის მთელი რიგი სიმახინჯეებისადმი და გამოხმაურებაც შესაბამისი ჰქონდა, ხოლო სისნეროსის საეკლესიო რეფორმა მხოლოდ კასტილიის სამღვდლოების ზნეობრივ და ინტელექტუალურ განახლებაზე იდგა და შესაბამისად, ლოკალური მამულების იყო, სისნეროსის საეკლესიო რეფორმა XV-XVI საუკუნეების კათოლიკური ეკლესიის ისტორიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეპიზოდია (სისნეროსის პრერეფორმა), ხოლო ესპანეთის ისტორიისთვის - უმნიშვნელოვანესი მოვლენა.

ისაბელ კასტილიელმა ენრიკე IV-ისგან მემკვიდრეობით არცთუ ისე სახარბიელო მდგომარეობაში მყოფი სამეფო მიიღო. ხაზინა დაცარიელებულია, სამეფოში კრიმინალის მაღალი დონეა, ხოლო ფეოდალები გამუდმებით ცდილობენ საკუთარი ძალაუფლების და გავლენების გაზრდას. ისაბელ კასტილიელისთვის გამოწვევა იყო ეკლესიაც. კასტილიელი ეპისკოპოსები და არქიეპისკოპოსები ჩვეულებრივი საერო დიდებულების ცხოვრებით ცხოვრობდნენ, ერეოდნენ სამეფოს პოლიტიკაში და არაერთ პრობლემას უქმნიდნენ მონარქებს. ხაზინის შესავსებად და კასტილიაში საზოგადოებრივი წესრიგის დასამყარებლად გატარებული რეფორმების პარალელურად, ისაბელ კასტილიელი ახერხებს ფეოდალების შესუსტებას, ხოლო

ეკლესიას პოლიტიკური და ფეოდალური ამბიციების მქონე, ეპისკოპოსების და არქიეპისკოპოსების სამოსელში გამოწყობილი, გავლენებისთვის მებრძოლი დიდებულებისგან წმენდს. მათ ნაცვლად, მაღალ საეკლესიო თანამდებობებზე ისაბელმა რელიგიურ ორდენებში მოღვაწე, ზნეობრივი ღირსებით გამორჩეული ასკეტი ბერები დანიშნა. ამის მაგალითია: ფრანკო-ერნანდო დე ტალავერა (Orden de San Jerónimo), რომელიც გრანადის არქიეპისკოპოსი გახდა (1492) და ფრანსისკო ხიმენეს დე სისნეროსი (ბერი ფრანსისკანელთა ორდენიდან), რომელიც ტოლედოს არქიეპისკოპოსად დაინიშნა (1495). სწორედ ამ ორ ადამიანს ანდო ისაბელ კასტილიელმა ორი დიდი რელიგიური „პროექტი“: გრანადის მუსულმანული მოსახლეობის გაქრისტიანება და სასულიერო ორდენების რეფორმა. გატარებული საეკლესიო პოლიტიკით, ისაბელ კასტილიელმა არა მარტო გაწმინდა ეკლესია გავლენიანი და ხშირ შემთხვევაში მონარქის პოლიტიკის მოწინააღმდეგე ფეოდალებისგან, არამედ ერთგული სასულიერო მოღვაწენის მაღალ საეკლესიო თანამდებობებზე დანიშნით, კასტილიის ეკლესია მონარქიის ერთგულ მოკავშირედ აქცია.

გამომდინარე იქიდან, რომ შუა საუკუნეების მეორე ნახევარში სასულიერო ორდენებში მეტწილად არა რწმენით და ქრისტეს ზნეობრივი მიბაძვის სურვილით, არამედ „ცხოვრებისეული პირობების“ გასაუმჯობესებლად წევრიანდებოდნენ (ბერ-მონაზვნობა იყო ერთადერთი გზა, რომ ადამიანი არაპრივილეგირებულიდან პრივილეგირებულ ფენაში გადასულიყო, რაც სოციალური სტატუსის შეცვლასთან ერთად გადასახადის არგადახდას ნიშნავდა), სასულიერო ორდენები უზნეობის ბუდედ გადაიქცა. აღნიშნულს კარგად ხედავდა ისაბელი კასტილიელი, რომელიც სასულიერო ორდენებისათვის დაკარგული ზნეობრივი ღირსების დაბრუნებას სისნეროსს ავალეს.

პირველი, რაც სისნეროსმა გააკეთა, სასულიერო ორდენებში დისციპლინის აღდგენა იყო. ბერ-მონაზვნებს მკაცრად მოეთხოვებოდათ კონკრეტული წესების დაცვა, მათ შორის ცელიბატის (დაუქორწინებლობის) აღთქმის შესრულება. სასულიერო ორდენებში მორალურ-ზნეობრივი კრიზისის აღმოფხვრის გარდა, სისნეროსის მიზანია, რომ სასულიერო პირებს ჰქონდეთ თეოლოგიური განათლება (რადგან სისნეროსის აზრით, წინააღმდეგ შემთხვევაში საეკლესიო რეფორმა წარმატებული ვერ იქნებოდა) და სიღრმისეულად იცნობდნენ ბიბლიას. სწორედ აქ ჩნდება სისნეროსის ორი ახალი პროექტის იდეა, ესენია: ახალი უნივერსიტეტი ალკალაში და მრავალენოვანი ბიბლიის შედგენა და გამოცემა.

1499 წელს ალკალა დე ენარესში სისნეროსმა დააარსა უნივერსიტეტი და მას **Universitas Complutensis** უწოდა (უნივერსიტეტს ასევე ემახდნენ Universidad de Alcalá ან Universidad Cisneriana).⁴¹ სისნეროსის მიზნებიდან გამომდინარე, უნივერსიტეტში სამი მიმართულება - თეოლოგია (ღვთისმეტყველება), ბიბლიური ენები და კანონიკური სამართალი - იყო და სამივეს ეპოქის საუკეთესო თეოლოგები და ფილოლოგები ხელმძღვანელობდნენ. სისნეროსის უნივერსიტეტს მეცნიერები ერთხმად უწოდებენ „corazón de la reforma cisneriana“, რომელმაც მომდევნო თაობებში „nutrió la vida espiritual“.

საინტერესოა, რატომ გადაწყვიტა სისნეროსმა, რომ უნივერსიტეტში ღვთისმეტყველებასთან ერთად სტუდენტებს შეესწავლათ ბიბლიური ენებიც. ცნობილია, რომ ბიბლიის ოფიციალური ტექსტი, რომელსაც შუა საუკუნეებში კათოლიკური ეკლესია იყენებდა, წმინდა იერონიმეს მიერ V საუკუნეში შესრულებული ლათინური თარგმანი, იგივე ვულგატა, იყო. V საუკუნით დათარიღებული თარგმანის ტექსტი, ბუნებრივია, შუა საუკუნეების ბოლო პერიოდის ევროპელებისთვის, და მათ შორის კასტილიელებისთვისაც, მეტწილად უკვე გაუგებარი იყო. V საუკუნის ლათინური უკვე აღარავის ესმოდა, რაც ბიბლიის წაკითხვას და გააზრებას ართულებდა. მდგომარეობას ართულებდა ისიც, რომ ბიბლიის ლათინური თარგმანის ხელნაწერები ხშირად არასრული და გადამწერების მიერ გადაწერის დროს

⁴¹ „კომპლუტენსე“ ნიშნავს „el gentilicio de Complutum“, ხოლო თავად „კომპლუტუმ“ არის ალკალას ძველი, რომაული დასახელება. ქალაქ კომპლუტუმს მას შემდეგ ეწოდა ალკალა, რაც ქალაქი მუსულმანებმა აიღეს და მას დასახელება შეუცვალეს.

დაშვებული შეცდომებით იყო სავსე, რაც ღვთის სიტყვის დამახინჯებულად გაგების საფრთხეს ქმნიდა.

სისნეროსისთვის ვულგატა უმნიშვნელოვანესი ნაშრომია, მაგრამ ხედავს სირთულეებსაც, რაც ლათინურ თარგმანს ახლავს და იწყებს გამოსავლის ძიებას, რასაც არა ახალი ლათინური თარგმანის გაკეთებაში, არამედ მომავალი სასულიერო პირებისთვის ჯერ ბიბლიური ენების სწავლებაში და შემდეგ, ბიბლიის ორიგინალ ენებზე წაკითხვაში ხედავს. სისნერო მიიჩნევს, რომ არცერთ თარგმანს, რაც არ უნდა მაღალ დონეზე იყოს შესრულებული იგი, არ ძალუძს უფლის სიტყვის ისე სრულყოფილად გადმოცემა, როგორც ამას ორიგინალი ტექსტი აკეთებს. სწორედ იმ მიზნით, რომ მომავალ სასულიერო პირებს ბიბლიის ორიგინალი ტექსტის წაკითხვის უნარი და უფლის სიტყვის უფლისავე ენაზე, „შუამავლის გარეშე“ გაცნობის და გააზრების შესაძლებლობა ჰქონდეთ, რაც მანამდე შეუძლებელი იყო, რადგან არც ებრაული იკოდნენ ძველი აღთქმის ორიგინალში წასაკითხად და არც ბერძნული - ახალი აღთქმისთვის, ალკალას უნივერსიტეტში ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა ბიბლიური ენები, რომელთაც იმ ეპოქის ყველაზე ცნობილი ფილოლოგები ასწავლიან.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა. სისნეროსმა იმდროინდელი მსოფლიოს წამყვან ბიბლიოთეკებში (მათ შორის ტოლედოს, ვატიკანის, ფლორენციის, საბერძნეთის ბიბლიოთეკებში) მოიძია და შეიძინა ბიბლიის სხვადასხვა პერიოდით დათარიღებული უმნიშვნელოვანესი ხელნაწერები და ამ გზით ალკალა დე ენარესის უნივერსიტეტის პროფესორებისა და სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი გახდა ბიბლიური ტექსტების უმდიდრესი მასალა.⁴²

მაღევე ჩნდება კარდინალ სისნეროსის მეორე დიდი პროექტის - **მრავალენოვანი ბიბლიის შექმნის და დაბეჭდვის იდეა**. ამ პერიოდში უკვე არსებობდა ნაბეჭდი ბიბლია, უფრო სწორად, ბიბლიის ლათინური თარგმანის, ანუ ვულგატას ბეჭდური ვერსია, რომელიც ეკუთვნის იოჰან გუტენბერგს (1456). სისნეროსს არ აკმაყოფილებს მხოლოდ ვულგატას ბეჭდური ვერსია და მიზნად იასახავს, ისევ და ისევ სამღვდელთაგანისთვის მრავალენოვანი ბიბლიის გამოცემას, მანამდე კი ორიგინალ ტექსტებსა და ბიბლიის ბერძნულ (სეპტუაგინტა)⁴³ და ლათინურ (ვულგატა)⁴⁴

თარგმანებში საუკუნეების განმავლობაში გადამწერების მიერ გადაწერის დროს დაშვებული შეცდომების გასწორებას.

⁴² კარდინალ სისნეროსის დაარსებულმა უნივერსიტეტმა დიდი გამოხმაურება ჰპოვა. უნივერსიტეტს ნელ-ნელა დაემატა სხვადასხვა ფაკულტეტები და იქცა მომდევნო საუკუნეების (Siglo de Oro) მთავარ საგანმანათლებლო ცენტრად. სწორედ ალკალას უნივერსიტეტში სწავლობდნენ ან ასწავლიდნენ ისეთი ცნობილი ესპანელი მწერლები, მეცნიერები, პოლიტიკოსები და სასულიერო მოღვაწენი, როგორებიც არიან: ანტონიო დე ნებრისა, სან ხუან დე ლა კრუსი, მატეო ალემანი, ლოპე დე ვეგა, ფრანსისკო კვედო, კალდერონ დე ლა ბარკა, ანტონიო კონდე, ზლას ორტისი, ხუან ხინეს დე სეპულვედა, სებასტიან ისკიერდო, **ალეხანდრო** ფარნესიო, იგნასიო ლოიოლა და სხვ. ალკალას უნივერსიტეტი ამერიკის კონტინენტზე დაარსებული პირველი უნივერსიტეტების მოდელად იქცა.

1836 წელს ესპანეთის დედოფალმა ისაბელ II-მ უნივერსიტეტი, თავისი ცნობილი ბიბლიოთეკით, ალკალა დე ენარესიდან მადრიდში გადაიტანა და მას მადრიდის ცენტრალური უნივერსიტეტი (Universidad Central) უწოდა. 1970 წელს უნივერსიტეტს კიდევ ერთხელ შეუცვალეს სახელი და გახდა **მადრიდის კომპლუტენსეს უნივერსიტეტი** (Universidad Complutense de Madrid). შენობები, სადაც სისნეროსის დაარსებული უნივერსიტეტი იყო განთავსებული გაიყიდა კერძო პირებზე და დროთა განმავლობაში მისი დიდი ნაწილი განადგურდა. დღეისათვის შემორჩენილია მხოლოდ ძველი უნივერსიტეტის მთავარი შენობა (Colegio de San Ildefonso). სწორედ ამ შენობაში ხდება სერვანტესის პრემიის გადაცემა ყოველწლიურად ესპანელი მწერლებისთვის. ამავე შენობაში განთავსდა 1977 წელს გახსნილი ალკალას დე ენარესის ახალი უნივერსიტეტის რექტორატი.

⁴³ სეპტუაგინტა (იგივე Biblia de los Setenta) - „ძველი აღთქმის“ უძველესი ბერძნული თარგმანი, რომელიც ძვ.წ. III-II საუკუნეების მიჯნაზე ელინისტური სამყაროს იმდროინდელ ცენტრში, ალექსანდრიაში შესრულდა. ბიბლიის ეს თარგმანი გავრცელდა მთელს ქრისტიანულ სამყაროში და საფუძვლად დაედო ბიბლიის არაერთ სხვადასხვაენოვან თარგმანს.

⁴⁴ ვულგატა - ორიგინალი ენებიდან ბიბლიის სრული ტექსტის პირველი ლათინური თარგმანი (ძველი აღთქმა ებრაულიდან ითარგმნა, ახალი აღთქმა - ბერძნულიდან). ბიბლიის თარგმანი შეასრულა წმინდა იერონიმემ (san Jerónimo), პაპ დამასუს I-ის დავალებით, 383-406 წლებში. წმინდა იერონიმეს ბიბლია, რომელიც მოიცავს როგორც ძველ აღთქმას (ითარგმნა ებრაულიდან), ისე ახალ აღთქმას (ითარგმნა ბერძნულიდან). ვულგატა საუკუნეების განმავლობაში ეკლესიის ერთადერთი ოფიციალური ტექსტი იყო.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბიბლიის გამოცემამდე სისნეროსის მიზანი იყო ორიგინალი ტექსტების და მისი თარგმანების გასწორება, რაც ებრაული, ბერძნული და ლათინური ენების იმ პერიოდში ყველაზე ცნობილ ფილოლოგებს და ალკალას უნივერსიტეტის პროფესორებს დაავალა, რადგან ცალსახა იყო, რომ ფილოლოგები უკეთ გაართმევდნენ თავს დავალებულ ამოცანას, ვიდრე თეოლოგები, რომელთაც ბიბლიური ენების საკმარისი ცოდნა არ ჰქონდათ.⁴⁵ სისნეროსის ინიციატივით წარმოწყობილი პროექტის ფარგლებში შეიქმნა მრავალენოვანი ბიბლიის ექვსტომეული სახელწოდებით „**Biblia polígloa Complutense**“, რომელიც სტრუქტურულად შემდეგნაირად არის აგებული: მრავალენოვანი ბიბლიის პირველი ოთხი ტომი არის „ძველი აღთქმა“. თითოეული გვერდის ტექსტი დაყოფილია სამ სვეტად: სვეტი კიდევ ებრაულად (*texto original hebreo*), შუა - ლათინურად (ვულგატა), შიდა - ბერძნულად (სეპტუაგინტა). ამ სვეტების ქვევით არის არამეული ტექსტი (ონკელოსის თარგმანი) შესაბამისი ლათინური თარგმანით. ექვსტომეულის მეხუთე ტომი არის „ახალი აღთქმა“ და წარმოდგენილია ორ სვეტად - ბერძნული ტექსტი (*texto original griego*), სწორედ ბერძნულად დაიწერა „ახალი აღთქმა“ ახ. წ. I საუკუნეში, და მისი ლათინური თარგმანი (ვულგატა). მეექვსე ტომი მოიცავს ებრაულ-არამეულ ლექსიკონს და ებრაული ენის გრამატიკას. ეს უკანასკნელი არის პრაქტიკული დანიშნულების დანართი, რომელიც სასულიერო პირებს ბიბლიის ებრაული ტექსტის უკეთ გაგებაში უნდა დახმარებოდა. აღნიშნულიდან გამომდინარე ნათლად ჩანს, რომ ნაშრომს თეოლოგიურთან ერთად აქვს უდიდესი ფილოლოგიური ღირებულებაც და რომ მას სამართლიანად უწოდებენ მეცნიერები „*Tesoro filológico y religioso*“.

ამრიგად, ისაბელ კასტილიელის დავალებას სისნეროსმა არათუ წარმატებით გაართვა თავი, არამედ საეკლესიო რეფორმის ფარგლებში საკუთარი ინიციატივით ორი უდიდესი პროექტიც განახორციელა. საეკლესიო რეფორმის ფარგლებში გადადგმული ნაბიჯებიდან გამომდინარე, სისნეროსის რეფორმა თავისუფლად შეგვიძლია დავახასიათოთ ორი სიტყვით, ესენია: *moralista* და *erudito*. სისნეროსის საეკლესიო რეფორმამ შედეგად მორალურად, ზნეობრივად წელგამართული და განათლებული სამღვდლოება მოიტანა, რაც კასტილიელების სულიერი განახლების საწინდარი გახდა. კასტილიელებში გაიღვიძა „*espíritu religioso*“-მ, რომელიც იკარგებოდა და გახდა წინაპირობა იმის, რომ ესპანეთში პროტესტანტიზმს ფეხი ვერ მოეკიდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მრავალენოვანი ბიბლიის გამოცემით, რომლის თავდაპირველი მიზანიც სასულიერო პირებისთვის ბიბლიის ბეჭდური ვერსიის შექმნა იყო, მალევე გასცდა თავდაპირველ მიზანს და უდიდესი როლი შეასრულა არა მარტო ბიბლიური ტექსტის ფართო გავრცელებაში, არამედ საფუძველი დაუდოს ბიბლიის ფუნდამენტურ კვლევებს.

ლიტერატურის/წყაროების სია:

1. María del Pilar Tonda Magallón (1997). La reforma cisneriana. *Revista Fuentes Humanísticas*,
2. Marion Reder Gadow (2017). El Cardenal Francisco Jiménez de Cisneros. En el IV centenario de su muerte. REAL ACADEMIA DE BELLAS ARTES DE SAN TELMO, ISSN-e 1887-0953, #17
3. Miguel Ángel Dionisio Vivas (2016). El cardenal Francisco Jiménez de Cisneros: reformador, humanista y estadista. *Toletana* 34 (2016/1) 25-38

⁴⁵ სისნეროსის პროექტზე მუშაობდნენ ისეთი ცნობილი ფილოლოგები, როგორებიც არიან: პაბლო კორონელი, ალფონსო დე სამორა, ერნან ნუნის დე გუსმანი, ხუან დე ვერგარა, ანტონიო დე ნებრიხა და სხვები. სისნეროსმა მრავალენოვანი ბიბლიის პროექტზე სამუშაოდ ალკალაში მიიწვია ცნობილი ჰოლანდიელი თეოლოგი და ფილოლოგი ერანზ როტერდამელიც. თუმცა, ერანზ როტერდამელმა სისნეროსის მიწვევას უარით უპასუხა. *Non placet Hispania* (ესპ. No me gusta España) - განაცხადა ერანზ როტერდამელმა.

Cardinal Cisneros and the importance of his work in Spain

Kobeshavidze Marine

Chrikishvili Nino

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Tbilisi

Abstract

Cardinal Cisneros is one of the central historical figures in the religious, political and cultural life of Spain. A lot of important events are associated with the name of the Archbishop of Toledo, Cardinal Cisneros, including church reform in Castile, which predates Martin Luther's Reformation movement by two decades. As part of the church reform, Cisneros first aims to eliminate the moral crisis in the Castilian clergy, and then for the education and intellectual growth of the same clergy, he establishes a university in Alcala - Universitas Complutensis and prints the first multilingual Bible - „Biblia políglota Complutense“. It was on the initiative of Cisneros that the Bible - both the original text and the Greek (Septuagint) and Latin (Vulgate) translations - was processed and printed.

Keywords: Cardinal Cisneros, reform of the Church, University, Multilingual Bible.

**ოტია იოსელიანის ნოველათა კულტურულ-რელიგიური
დისკურსი**

კობიაშვილი ნინო

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი

DOI: <https://doi.org/10.52340/idw.2023.51>

აბსტრაქტი. წინამდებარე ნაშროში განხილულია გამორჩეული ქართველი მწერლის ოტია იოსელიანის შემოქმედება კულტურულ-რელიგიური დისკურსით. შევეცადეთ, რამდენიმე განსხვავებულ კონტექსტში წარმოგვეჩინა ჩვენი კვლევისთვის განსაკუთრებით საინტერესო ნოველები, უფრო მეტად კი მისი ნოველა „არვეს ხიზანი“. ერთი სტატიის ფარგლებში ჩვენ განვიხილეთ „სვანური ნოველებში“ არსებული ქართული სულისკვეთება, სულიერი სრულყოფის ოტიასეული გზები, ეროვნული თავისუფლებისა და იდენტობის იდეა და გზა, რომელზეც გავლაც მხოლოდ ღირსებითაა შესაძლებელი. ჩვენი კვლევა ძირითადად აზიანებს შორის სათქმელის ძიების მცდელობა ბიბლიური პარალელებით. უდავოდ საჭიროა გაგრძელდეს ოტიას ნაწარმოებთა კვლევა, ვინაიდან მის ნაწარმოებებში უამრავი საკვლევი მასალაა, რომელსაც არ ეყოფა რამდენიმე მკვლევარის ნააზრევი. სულისა და სხეულის ჭიდილი, უფლისაკენ მზირავი თვალი და ამქვეყნიურ ამოებას შეჩვეული დაცემული ბუნება-ესაა ოტიას ნაწარმოებთა მთავარი გასასინჯავი წერტილი. ყოფიერებას შეწირული მარადიულობა, ეს ის თემებია, რომელთა კვლევა ვცადეთ ბიბლიური თვალსაზრისებით და ვფიქრობთ, ერთი სტატიის ფარგლებში შეძლებისდაგვარად ვუპასუხეთ დასახულ ამოცანას.

საკვანძო სიტყვები: კულტურულ-რელიგიური; დისკურსი; ბიბლიური თვალსაზრისები; იდენტობა; ეროვნული თავისუფლება; ეროვნული კულტურა;

ქართული კულტურა მსოფლიო ცივილიზაციის ერთ-ერთი და, ამავდროულად, განსაკუთრებული ნაწილია, რომელსაც ევროპის და აზიის ცივილიზაციასთან საერთო და, ასევე, განმასხვავებელი ნიშნები აქვს. სწორედ ამაშია ქართული კულტურის ორიგინალურობა, რომელიც არ უნდა დაიკარგოს და ეს თითოეული ჩვენგანის ვალია. ჩვენი კულტურა საუკეთესოადაა ლიტერატურაში შენარჩუნებული და ამის მაგალითად ოტია იოსელიანი, „მთის კაცი“ ნამდვილად გამოდგება, თავისი პიროვნული ღირსებებითა და გაუტყეხელი, მებრძოლი სულით, რომელიც მის ნაწარმოებებში შესანიშნავად არის არეკლილი.

ჩვენი მიზანი ოტია იოსელიანის მოთხრობების განხილვაა, როგორც ქართული კულტურის ჭრილში, ასევე, საინტერესოა მათი ბიბლიური - ანუ ნოველებში არსებული სიმბოლურ-ალეგორიული თვალსაზრისით ძიება. საინტერესოდ გვესახება პერსონაჟთა სულიერი მოძრაობა. ეს კი, ვფიქრობთ, საუკეთესო სინთეზია, ვინაიდან ქართული კულტურის უდიდესი ნაწილი ჩვენს რელიგიას უკავშირდება. ოტიას - ამ უბრალოების ნიჭით შემკული კაცის რელიგიაც ხომ მართლმადიდებლობაა.

ყოველი ეპოქის სულისკვეთება ფორმულირდება კულტურულ და ზნეობრივ გამოცდილებაში. იგი ასახავს იმ დროის სულიერ დონეს. ნაწარმოებებში გამოსახულია რა გადასახედიდან აზროვნებს იმ ეპოქის სული.

ტექსტის ანალიზისთვის გასათვალისწინებელია როგორც ეპოქა, ასევე ავტორის ბიოგრაფია, თუ მისი ხედვა - დამოკიდებულება საკაცობრიო საკითხის მიმართ.

„ტექსტი დაიყვანება ავტორის ცნობიერებამდე, ანუ ტექსტის სტილისტური და სემიოტიკური ასპექტები თავმოყრილია ერთ ურღვევ მთლიანობაში, რომლის გამთლიანების არსებით ფორმას ავტორის ცნობიერება წარმოადგენს. ამ ცნობიერების შესანარჩუნებლად

საჭირო არ არის ბიოგრაფიული კრიტიკის დახმარება, საკმარისია მხოლოდ ის ძირითადი ასპექტების შემეცნება, რომლებსაც ავტორის ცნობიერება ავლენს ტექსტის დონეზე. ავტორის ცნობიერების რეალიზება ლიტერატურულ ნაწარმოებში წარმოდგენილი განმეორებადი, ე.წ. რეციდივური თემებისა და წარმოსახვითი მოდელების მეშვეობითაა შესაძლებელი. მათი თავმოყრის, გამთლიანების პროცესი ადადგენს მწერლის მიერ განვლილი ცხოვრების გზას, მის ფენომენოლოგიურ მიმართებას საკუთარ თავთან, როგორც სუბიექტთან და სამყაროსთან, როგორც ობიექტთან. “ (სიგუა ს. (1994). თბილისი, „ავანგარდიზმი ქართულ ლიტერატურაში“. 1.124)

ჩვენი მოსაზრებით, ფსიქონალიტიკურ მეთოდთან ერთად, საინტერესოა კვლევა ფენომენოლოგიური კრიტიკის გათვალისწინებით. „ფენომენალური კრიტიკა გულისხმობს ტექსტის არა შემფასებლურ ანალიზს, რომელიც მის კონსტრუქციულ და აქტიურ ინტერპრეტაციას წარმოადგენს და, შესაბამისად, ავლენს კრიტიკოსის სუბიექტურ პოზიციას, არამედ პასიურ რეცეფციას,“ (1. მისი იდეური არსის მიუკერძოებელ აღწერას. კონკრეტული ლიტერატურული ტექსტი, ფენომენოლოგიური მეოდის თანახმად, განიხილება როგორც ერთი, ორგანული მთლიანობის შემადგენელი ნაწილი. „მლიანობა“ ავტორის ცნობიერების შესატყვისი ცნებაა, „ნაწილი“ კი მოიცავს ავტორის შემოქმედებით გზას, ქრონოლოგიური თანმიმდევრობით დალაგებულ მის თხზულებებს, რომლებიც თემატურად განსხვავდებიან ერთმანეთისგან, მაგრამ მუდმივად მიილტვიან ორგანული მთლიანობისკენ.“ (სიგუა ს. (1994). თბილისი, „ავანგარდიზმი ქართულ ლიტერატურაში“. 1.88)

ოტიას კრებულში „სვანური ნოველები“ სვანი ხალხის გაუტყეხელი ხასიათია წარმოჩენილი.

„ლიტერატურას ქმნის სულიერი მიმოქცევის სისტემად გამოტანა“ (სიგუა ს. (1994). თბილისი, „ავანგარდიზმი ქართულ ლიტერატურაში“.124).

ნაწარმოებთა სიუჟეტების მიღმა არსებობს აზრი, იდეა, რომელსაც მიგნება სჭირდება. ამის ამოცნობა კი ხდება სახეების მეშვეობით, რომელსაც მწერალი თხრობისას იყენებს.

სიმბოლოების საშუალებით ადამიანები უძველეს დროში ქმნიდნენ იმ აზრობრივ სივრცეს, რომელშიც ახორციელებდნენ ურთიერთობას. თანამედროვე ადამიანი სიმბოლოს ისეთივე სიღრმისეულ გავლენას განიცდის, როგორც მისი წინაპრები. სიმბოლოები ხელს უწყობენ იდეებისა და ფასეულობების ურთიერთგაცვლას.

ოდითგანვე, სიმბოლო, როგორც კულტურის ერთ-ერთი გამოვლინება ჰუმანიტარული ცოდნის სხვადასხვა სფეროს წარმომადგენელთა ყურადღებას იპყრობს.

ცოდნის ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სფეროს ძალისხმევას ერთობლივად შეუძლია არსებითი წვლილი შეიტანოს არა მხოლოდ ჰუმანიტარული მეცნიერებების საფუძვლების განვითარებაში, არამედ საგანმანათლებლო მეცნიერებაში. ვინაიდან აღნიშნული კვლევა დაეხმარება თითოეულ მასწავლებელსა და მოსწავლეს ნაწარმოებთა მთავარი სათქმელის, მეცნიერული კვლევისა და მწერალთა აზროვნების რელიგიური დისკურსის გააზრებაში.

სიმბოლოსთვის დროის დაყოფა არ არსებობს, ვინაიდან თავად წარსულიდან მომდინარეობს.

ჩვენ მიერ აღნიშნული აზრის განსამტკიცებლად საჭიროა ეპოქათა მძლავრი იდეოლოგიის კვლევა. იმის გასაგებად, თუ რას ეხმიანება მწერალი კონკრეტული ნაწარმოებით, თუმცა, ვფიქრობთ, რომ ჩვენს მიერ შეთავაზებული მწერალის აზროვნება, მასი დასიმბოლოებით ნათქვამი ყოველგვარ ეპოქას აღემატება, ვინაიდან კვლევა გვარწმუნებს, რომ მასი რელიგიური დისკურსი ქრისტიანულ-მართლმადიდებლურია.

შეთავაზებული ნაწარმოებების ფაბულას, აგებულებას, კომპოზიციას, გმირთა მოქმედებასა და აზროვნებას ღრმა იდეური სარჩული აქვს, თითოეული პერსონაჟი ალეგორიულად განასახიერებს კონკრეტულ იდეას. თითქმის ყველა მოქმედ პირს საღვთისმეტყველო ალეგორიები ეძებნება.

სადმართო წერილის ალეგორიული ინტერპრეტაციის ცდა ძველი წელთაღრიცხვით I საუკუნის ალექსანდრიაში ალექსანდრიელ ფილოსოფოს ფილონს ეკუთვნის, რომელიც უწინარეს ყოვლისა, ბიბლიაში ეძებს ალეგორიულ საზრისს. ბიბლია მისთვის არის ისტორია

სულისა, ცოდვით დაცემისა და კვლავ აღზევება-განღმრთობისა. ფილონი ადამიანის სულის ბედს განიხილავს, როგორც ნაწილს დიადი მსოფლიო დრამისა, რომელიც განუყოფელია სულის დრამისაგან.

ოტია იოსელიანი სწორად რომ გამოირჩევა იგავური თხრობითა და ნაწარმოების აზნავეებს შორის არსებული იდიოთა სიმრავლით, რასაც გადმოსცემს მხატვრულ-ალეგორიული სახეებითა და სიმბოლოებით.

ლიტერატურული მემკვიდრეობა ჩვენი ერის უდიდესი საუნჯეა. მას განსაკუთრებული შესწავლა და გაანალიზება სჭირდება, რაც მოიცავს არა მხოლოდ გარეგან ფაქტორს, რომელიც ამბის თხრობისას ისედაც აშკარაა, არამედ უბრალო ადამიანური ისტორიების მიღმა, შეფარვით ნათქვამ ავტორისეულ ღრმა სათქმელს.

რა არის ლიტერატურა?! - მამა ილია ჩიკვაძე თავის სადოქტორო ნაშრომში, ფსიქოლოგები მე-19 საუკუნის ქართულ ლიტერატურაში - ასე განიხილავს: „ლიტერატურა არის სახე - სიმბოლოებით, ფაქტი - სიმბოლოებით და პერსონაჟი-სიმბოლოებით, მხატვრული სახეებით და ხერხებით გადმოცემა სათქმელის, ესაა ის პოსტულატები, რაზეც დაშენებულია ის დიდი შენობა, რასაც ქართული ლიტერატურათმცოდნეობა ჰქვია“ (მამა ილია ჩიკვაძე „ფსიქოლოგიზმი XIX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში 2.27).

არისტოტელეს ნააზრევი შემდეგია: ნაწარმოების შეფასების ერთ-ერთი კრიტერიუმი გახლავთ ის, თუ რამდენად ხდება მკითხველი გმირთა განცდების თანამოზიარე. ოტია იოსელიანი არისტოტელეს თანამოზიარედ გვევლინება, რაც ასახულია მის მოთხრობათა კრებულში „სვანური ნოველები“. რამეთუ მისი ფაბულა - ამბავი საშუალებას გვაძლევს გავყვეთ გმირთა განცდებს.

მისი მოთხრობების მიხედვით, ნაწარმოებებში გამოყვანილი საზოგადოება, სულიერად დაცემულია, მათში აღარ ჩანს ის სულიერი საწყისები, რომლის განვითარებასაც უფალთან მივყავართ.

„უსაქმურობამ დღე-ღამე ნაკელში და წუნწუნში წოლამ თხებიც კი დათითხნა და აამყარა. გაჩნდა შური და მტრობა. ჭორი სათხებოს სახადივით მოედო და რაკი დიდი უმრავლესობა თხა იყო, ვის უნდა სცემოდნენ აგერ იყო „დამნაშავე“ ჯიხვი.“ (იოსელიანი ო. „სვანური ნოველები“ 6.45)

ნაწარმოებში გამოხატული მასა ბრბოდ არის ქცეული და ადვილად სამართავია. იმდენადაა ყოველდღიური საზრუნავით მოცული, რომ მათ საცხოვრებელს სუნი ასდის და სუფთა ჰაერს ვეღარ ჰგუობენ. მოთხრობაში „არვეს ხიზანი“ საზოგადოება თხების სახითაა გამოყვანილი, მხოლოდ მთავარი გმირია ჯიხვი, რომელიც პიროვნული განვითარებით და მაგალითით, საზოგადოებად აჩვენებს გზას ხსნისას. მათ საცხოვრებელში ხსნის „ფანჯარას“ საიდანაც სუფთა ჰაერი შედის და მათი განწმენდის იმედს გვისახავს.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ მოთხრობა „არვეს ხიზანის“ მთავარ გმირს „კლდისა“ ჰქვია. გვინდა პარალელი გავავლო ბიბლიასთან, იესო თავის მოწაფეებში წმინდა პეტრეს უწოდებს კლდეს. კლდე თავისთავად სიმტკიცისა და სიმაღლის გამომხატველია.

„მოციქულთა თავში“ ვკითხულობთ: წმინდა მოციქული პეტრე, უფროსი მმა ანდრია მოციქულისა, უფლის ხმობამდე გალილეის ტბასთან მდებარე პატარა ქალაქს ბეთსაიდის მეთევზე იყო და სვიმონი ერქვა.

„შენ ხარ სვიმონ, მე იონასისი, შენ გეწოდოს კეფა, რომელი ითარგმნების „კლდე“ - ასე უთხრა მას იესო ქრისტემ. (ბიბლია. იოანე 1,42)

„შენ ხარ კლდე და ამას კლდეს ზედა აღვაშენო ეკლესიად ჩემი და ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდა მას“. (ბიბლია. მათე, 16. 15-18, იკოსი 1.7)

წმინდა მოციქული პეტრესა და „კლდისას“ სულიერი აღმავლობისკენ მიმავალი გზის შედარება ერთობ საინტერესოდ გვესახება, ვინაიდან პეტრე მოციქულიც ცოდვათა მონანიების გზით ხდება იესოს ყველაზე საყვარელი მოწაფე და „კლდისა“, რომელიც ხორცის ტანჯვით, ფიქრითა და სინანულით ემიჯნება ამქვეყნიურ ცოდვიან გარემოს და მწვერვალებში გარბის.

ოტიას ნოველათა გმირები სულიერი აღმავლობის გზას პასუხისმგებლის სავსეები, ხორციელის - ანუ ამქვეყნიურის დათმობით გადიან.

ისევე, როგორც კლდისა „არვეს ხიზანში“, მისივე მოთხრობაში „მეწინავე“ ხორცის დათრგუნვით სხეულის ტანჯვით პატრონობს ფარას.

„მეწინავე დაწახნაგებულ ქვაზე დაწვა, სხეულს სატკივარი მიუჩინაო.“ - მოგვითხრობს მწერალი.

ოტიას ნაწარმოებებში იგრძნობა დაუოკებელი ჟინი თავისუფლებისა და პიროვნული განვითარებისკენ.

სახისმეტყველების კუთხით თუ ვიმსჯელებთ მთა - ეს წმინდა ადგილია და მისკენ სწრაფვა, მისი სიყვარული, სულიერ აღმავლობად და უფლისკენ სწრაფვად შეიძლება განვიხილოთ.

ნოველათა მთავარი გმირები დასაწყისში მარტოობას განიცდიან და ეს მათი გამოუცდელი სულიერების მინიშნებაა.

როდისაა ადამიანი მარტო?! როგორც ჯემალ ქარჩხაძე ამბობს ნაწარმოებში „იგი“ - „იგი „მარტო იყო საზოგადოებაში, რომელიც მის სულიერ სიმაღლეს ვერ სწვდებოდა და განვითარება ფიზიკური, სულიერი თუ აზრობრივი სიმახინჯედ მიაჩნდა და ამ ყველაფრის აღმოფხვრის წყაროდ ერთადერთი რამ - სიკვდილი იყო მიღებული.

ამის პასუხად კი შეიძლება მოვიშველიოთ ალექსანდრო ხოდოროვსკისა და არისტოტელეს სიტყვები:

„გალიაში დაბადებული ჩიტები ფიქრობენ, რომ ფრენა ავადმყოფობაა“. - ხოდოროვსკი.

„ვინც მარტოობაში ახერხებს ტკბობას ან მხეცია, ან კიდევ ღმერთია“. - არისტოტელე.

სულიერი განვითარება სწორედ ასე ხდება „არვეს ხიზანში“. მთავარ გმირს ჯერ მარტოობის ემინია და ეხიზნება „მისთვის შეუფერებელ“ საზოგადოებას. შემდეგ კი მთლიანად ხვდება თავის განსხვავებულობას და მათგან სრული გამიჯვნით მარხვით, სხეულისა და სულის გამოწვრთნით გარბის მწვერვალებისკენ, რითიც უკვალავს გზას იმ საზოგადოებასაც, რომელშიც ჩაკლულია სულიერება და დაბინძურებულია აზროვნება. სადაც სიყვარული, მეგობრობა, ზრუნვა და განვითარებისკენ სწრაფვა სრულიად უცხო ცნებებია.

„თავისი ხელით ლუკმას ვინ ჩაგიდებს, თუ რქას თხებს კი არა კედელს ურტყავ და კუდის ქიცინსაც თაკილობ“. (იოსელიანი ო. „სვანური ნოველები“ 6. 57)

ოტიას ნოველათა მთავარი გმირები კლდისა, მეწინავე და ყველა განსაცდელებით მიდიან სულიერ განვითარებამდე. ყოველივე ამის გათვალისწინებითა და ბიბლიაზე დაყრდნობით, ვფიქრობთ, რომ ადამიანებმა რომ იცოდნენ რა ბედნიერებაა ამ საფეხურთა გავლა, ყველა იმ განსაცდელს ინატრებდა, რომლისთვისაც ღმერთს საყვედურობს.

სულისა და სხეულის ჭიდილი, უფლისაკენ მზირავი თვალი და ამქვეყნიურ ამაოებას შეჩვეული დაცემული ბუნება - ესაა ოტიას ნაწარმოებთა მთავარი გასასინჯავი წერტილი. ყოფიერებას შეწირული მარადიულობა ეს ის თემაა, რაზეც წერს უამრავი ქართველი, აზიელი, თუ ევროპელი მწერალი.

ოტია იოსელიანი ისევე, როგორც უამრავი კლასიკოსი მწერალი, სცდება ეპოქას და თავისი უბრალოებით, უბრალო ენითა და გენიალური გადმოცემის უნარით განიხილავს ჩვენს მიერ გამოთქმულ საკითხებს. საბოლოოდ კი გვისახავს იმედს, რომელიც ქართულ სულს სულ სჭირდება, ძველი თუ ახალი იარების მოსაშუშებლად და ახალი ძალით ბრძოლისკენ მოგვიწოდებს.

„გული მაღლა, მწვერვალებისკენ მიუწევდა, მაგრამ რაკი თხის შვილი ხარო უთხრეს, დაგორებულ ქვასავით ისევ ქვევით წავიდა“. (იოსელიანი ო. „სვანური ნოველები“)

ცხადი ხდება, რომ დაღმართში ქვევით დაშვებაში ადამიანის დაცემის აზრი დევს. ხოლო ზესწრაფვაში ავტორი ადამიანის რთულ გზას გულისხმობს. ამგვარი სიმბოლიკა ამ მეტად მნიშვნელოვან თავისებურებას ქმნის ოტიას ნოველებში, ზევით მწვერვალებია სუფთა ჰაერი და გაუკვალავი თოვლი, ქვევით კი სიბინძურე სულიერი თუ ფიზიკური.

სახისმეტყველების მხრივ ყველა ღირებულ ნაწარმოებში სულიერი განვითარების გზაა ნაჩვენები და რაც არ უნდა განსხვავებული კულტურის და რელიგიის მქონე მწერლის ნაწარმოებს შეიძლება განვიხილავდეთ, ყოველი მათგანი სულიერ სიმაღლეზე აყავს მწერალს. ოტიას ნაწარმოებებში კი სწორედ ასეთი ღირებულება ერისთვის და იქ ასახულ პერსონაჟთა

სულის მოძრაობა, მარადიული და ამოუწურავი პრობლემატიკაა ქართველი ხალხის არსებობის ისტორიაში.

საქართველოს გზა ხომ ეკალ-ბარდითაა მოსილი, ხან თხებში გავრევით, ხან მგლებში. ბევრჯერ დაგვაჩოქეს კლდისასგან განსხვავებით ბევრჯერ „წუნწუნშიც“ ჩავდგით ფეხი, მაგრამ ვერ დაგვიმონეს.

უნდა გციოდეს, გტკიოდეს, შიოდეს, ცრემლი და სისხლი გდიოდეს, რომ გაიგო თავისუფლებისა და სამოთხის ფასი. თუ გული არ გერჩის ადვილად დაგვიმონებენ, მონობამ კი შეჩვევა და სულის დაჭლევა იცის.

ჩვენი მოსაზრებით, ჯიხვს რქები აიძულებს უყუროს ცას. რქები კი ალბათ ღვთის ძალაა, რომელსაც ალეგორიულად უფალი ჯიხვებს რქების სახით აძლევს, ადამიანებს კი გულის სახით, რომ ჯიხვმა რქებით იბრძოლოს, ადამიანს კი გული ეხმარება სულის გადარჩენაში. ჯიხვის რქები კიდევ უფრო დიდი ტვირთია სხეულისთვის, ისევე როგორც შვებაა სულისთვის.

არვეს ხიზანს ოცნება ბრძოლის მოტივად ესახება.

ქართული სახელმწიფოს ისტორიის განმავლობაში დიად იდეას წარმოადგენდა ეროვნული თავისუფლების იდეა. იგი ქრისტიანობასთან ერთად გახდა ეროვნული იდენტობის მოპოვების და შენარჩუნების აუცილებელი პირობა.

„კლდისა რქებმოღერილი ბოსლის კუთხისკენ გაქანდა, კედელს დაეჯახა, ფიცარი დაამტვრია, რქის ძირი ლურსმანზე მიარტყა და სისხლმა გამოჟონა, მაგრამ ტკივილი არ უგრძვნია, რაკი გარეთ გადასახედი ჭუჭრუტანა გაიკეთა“. (ოსელიანი ო. სვანური ნოველები) - ეს კლდისას პირველი სვლაა სულიერი აღმავლობის გზაზე.

„ადგილიდან მოწყდა... ისე გაიქროლა, ნამძინარევემა თუ ფეხზე ისევ ჩათვლემილმა თხებმა თვალი ვერ შეასწრეს. ზოგი მერე იმასაც ამბობდა, წუნწუნზე ფეხი არ დაუკრავსო“. - კლდისამ შეიტანა სინათლე თხების საცხოვრისში, „სათხებოში ცივი, სუფთა, ნათელი ჰაერი შემოვიდა“. (ოსელიანი ო. სვანური ნოველები)

ოტია გვიჩვენებს გზას, მოგვიწოდებს სულიერი განვითარებასა და ჩვენი იდენტობის არ დავიწყებას, მომავალი კი ჩვენს ხელში, მომავალი თაობის ხელში რჩება და გვიტოვებს კითხვასა და არჩევანს.

„კაცმა არ იცის მიაღწია თუ არა თეთრ მწვერვალებამდე, ლტოლვილმა იპოვა საყუდელი, თუ ოცნება იმიტომაა ლამაზი და მეოცნებე დაღუპული, რომ მარად მიუწვდომელი რჩება.“ (ოსელიანი ო. სვანური ნოველები)

მეოცნებე კი თავად ოტიაა, რომელიც საქართველოსა და ქართველების სულიერ განწმენდით, იდენტობის დაცვასა და ჩვენში ქართული მებრძოლი სულის გადარჩენაზე ოცნებობს, რომელიც ყოველდღიურ საზურანავში იყო ჩაკარგული.

„რელიგია არის გაბატონებული იდეოლოგია, იგი აყალიბებს ადამიანის მსოფლმხედველობას და აისახება კულტურის სხვადასხვა ჟანრში. (მირესაშვილი, მ გაფრინდაშვილი, „ლიტერატურათმცოდნეობის საფუძველები“.)

„ზიგმუნდ ფროიდის (1856-1939) მიერ შემუშავებულმა ფსიქოანალიტიკურმა მეთოდმა, რომელმაც დიდი როლი ითამაშა ადამიანის ფსიქიკის არაცნობიერი შრეების ფუნქციონირების შესწავლაში და იმთავითვე ნაყოფიერად გამოიყენებოდა მედიცინაში, მე-20 საუკუნის დამდეგიდანვე სხვა ჰუმანიტარული დისციპლინების წარმომადგენელთა, მათ შორის ლიტერატურათმცოდნეთა, ყურადღებაც მიიპყრო. კერძოდ, ლიტერატურათმცოდნეებმა საკითხი ასე დასვეს: ხომ არ იქნებოდა შესაძლებელი, ამ მეთოდის გამოყენებით უფრო ღრმად ჩავწვდომოდით მხატვრული ტექსტის ბუნებას, მკითხველზე ტექსტის ესთეტიკური ზემოქმედების თავისებურებებს.“ (ბრეგამე ლ. (2008) „ლიტერატურის თეორია. XX საუკუნის ძირითადი მეთოდოლოგიური კონცეფციები და მიმდინარეობები,“ ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა. თბილისი, გვ.185-194 .71).

ვფიქრობთ, რომ ოტია ოსელიანის ნაწარმოებები სხვადასხვა რაკურსით ნათლად გვიხატავენ ავტორის ფსიქოლოგიურ პორტრეტს.

ზიგმუნდ ფროიდისთვის „მხატვრული შემოქმედების ნიმუში ავტორის პიროვნული არაცნობიერის სახეცვლილი (სუბლიმირებული, გაკეთილშობილებული) გამოვლენაა“. (ბრეგამე

ლ. (2008) „ლიტერატურის თეორია. XX საუკუნის ძირითადი მეთოდოლოგიური კონცეფციები და მიმდინარეობები“, ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა. თბილისი. გვ.185-194 .75)

ფროიდის თეორია მისაღება, თუმცა ფაქტობრივად წარმოუდგენელია „ხელოვნურად გაკეთილშობილებული“ ოტია. სიყალბის ჩრდილს ვერ მივაყენებთ მას და მის ნაწარმოებებს, ვინაიდან, პირველ რიგში მისი ბუნებით „მთის კაცის“ პირდაპირი და გულმართალი ხასიათი არ მოგვცემს ამაზე ფიქრის საფუძველს, რომელიც მის ნაწარმოებებში, ამ შემხვევაში კი „სვანურ ნოველებში“ ნათლად ჩანს და განსაკუთრებით, მისი მთავარი პერსონაჟების სულიერ მოძრაობაში იგრძნობა. ოტიას მთავარი გმირები ღირსებათა ჯაჭვით მიდიან სიმართლემდე და ვეღარ ჰგუობენ სულიერ სიმდაბლესა და სიბინძურეში ყოფნას. მსოფლიოში უამრავი საზოგადოებრივი ჯგუფია, რომლებიც სხვადასხვა ნიშნებით არიან დაყოფილნი. ეს იქნება, ეთნიკური, კულტურული, სახელმწიფოებრივი ინდივიდუალიზმის, თუ სხვათა გათვალისწინებით მაინც ბევრი გვაქვს საერთო, არსებობს ე.წ. საყოველთაო ღირებულებები, რომლებიც სხვადასხვა გარემოსა თუ გეოგრაფიულ არეალში ერთნაირად აღიქმება. მაგალითისთვის გამოდგება „პიროვნების“ როგორც ინდივიდის გააზრება. მისი მთავარი განცდა ხომ ღირსების განცდაა. თითქმის ყოველთვის კი ღირსების დასაცავად მსხვერპლის გაღებაა საჭირო. პიროვნებას შეადგენს სწორი ღირებულებები და ღირსებები, რაც სულიერ საწყისებს უახლოვდება და რელიგიურ კონტექსტში სულიერ ამაღლებამდე მივყავართ, რადგანაც პიროვნებისთვის მთავარი მარადიული ღირებულებაა.

დასკვნის სახით გვინდა მოგახსენოთ, რომ ოტია იოსელიანი ის შემოქმედია, რომელმაც გააგრძელა და განავითარა სულიერების, მარლმადიდებლური კულტურისა და ეროვნულ-რელიგიური ტრადიციების დასაცავად წინამორბედთა მიერ დაწყებული შემოქმედებითი ბრძოლა. შესაბამისად, მის ნაწარმოებებში განსაკუთრებით არის თვალსაჩინო რელიგიური ასპექტები, რასაც კიდევ უფრო ხაზს უსვამს ოტია იოსელიანის მტკიცე, ამავედროულად მგრძობიარე და სულიერებით მდიდარი პიროვნება.

ოტია იოსელიანის ნოველათა სიმბოლური გააზრება სრულიად აკმაყოფილებს საღვთისმეტყველო აზროვნების კრიტერიუმებს, რადგან მასში დასმული საკითხი პიროვნების სულიერი განვითარების საფუძვლებრივი სისტემის შესახებ, სრულიად შეესაბამება ბიბლიურ მსოფლმხედველობას.

ლიტერატურა:

1. სიგუა ს. (1994). თბილისი, „ავანგარდიზმი ქართულ ლიტერატურაში“.
2. მამა ილია ჩიკვაძე „ფსიქოლოგიზმი XIX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში“.
3. ბიბლია. მათე (16.15-18; იკოსი 1.7.)
4. ბიბლია. იოანე, (8.12.) (3.1995)
5. მირესაშვილი, გაფრინდაშვილი. „ლიტერატურათმცოდნეობის საფუძვლები.“
6. იოსელიანი, ო. „სვანური ნოველები“
7. ბრეგაძე.ლ. (2008) „ლიტერატურის თეორია. XX საუკუნის ძირითადი მეთოდოლოგიური კონცეფციები და მიმდინარეობები“, ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა. თბილისი. გვ.185-194

Cultural-religious discourse of Otia Yoseliani's novels

Kobiashvili Nino
Sokhumi State University, Tbilisi

Abstract

Within the framework of one article, we discussed the Georgian spirit present in "Svan novellas", the Otian ways of spiritual perfection, the idea of national freedom and identity, and the

path that can be followed only with dignity.

Our research is mainly an attempt to find what is being said between the paragraphs with biblical parallels.

Undoubtedly, it is necessary to continue the research of Otia's works, because there is an immeasurable research material in his novels, and the work of a few researchers is not enough to cover this material.

The struggle between the soul and the body, the eye gazing at the Lord and the fallen nature accustomed to worldly vanity - this is the main point of examination of Otia's works, which are versatile and almost inexhaustible. Eternity sacrificed to existence, these are the topics that we tried to research from a biblical point of view, and we think that we have answered the set task as appropriately as possible within the framework of one article

Key words: cultural-religious; novels; research; presumptions; discourse; biblical parallels; identity; national culture;

სიყვარულის ალუზიები ბარათაშვილისა და ბაირონის ლირიკაში

კობიაშვილი მაია

იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი
სსიპ-ქალაქ თბილისის N144 საჯარო სკოლა, თბილისი

DOI: <https://doi.org/10.52340/idw.2023.52>

აბსტრაქტი. ნაშრომში წარმოდგენილია ნიკოლოზ ბარათაშვილისა და ჯორჯ გორდონ ბაირონის სიყვარულის კომპარატივისტული კონცეპტები. ორი პოეტის შემოქმედების შედარებით ანალიზში განვიხილავ სასიყვარულო ალუზიებს. ნაშრომში მოხმობილი ქრესტომათიული მასალით განმტკიცებულია სხვადასხვა მკვლევრის მიერ გამოთქმული მოსაზრებები.

შედარებითი ანალიზები ემსახურება ეროვნული კულტურის წინა პლანზე წამოწევას, ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მსოფლიო ფასეულობათა ჭრილში წარმოაჩენას.

საქმე ეხება საერთაშორისო ლიტერატურული ურთიერთობების ისტორიას. წინამდებარე ნაშრომი სწორედ საერთაშორისო ღირებულებათა კონტექსტში აწყვილებს ორი რომანტიკოსის, როგორც სათაურშივეა გაცხადებული, ბარათაშვილისა და ბაირონის, შემოქმედებით ინტერესებს.

ბაირონსა და ბარათაშვილს შორის იმდენად დიდია მსგავსება, რომ მათი განხილვა უერთმანეთოდ არ შეიძლება. ამგვარი პარადიგმები, რემინისცენციები, კონცეპტები სიყვარულზე, სამშობლოზე, სიკვდილზე, ღმერთზე, ადამინზე, ეშმაკზე, სამყაროს ფერებსა და ხმებზე კომპარატივიზმის თემაა. აქედან გამომდინარე დასკვნებით, დასავლეთი და საქართველო ერთი სივრცეა კულტურულ ფასეულობათა თვალსაზრისით.

ნაშრომის სიახლე ის გახლავთ, რომ საკუთრივ სიყვარულის საკითხებზე გამახვილდა ყურადღება, შედარების მეთოდით აშკარა გახდა, რომ ბარათაშვილისა და ბაირონის პოეტური ფილოსოფია შეფასების თვალსაზრისით თანაბარღირებულია.

ვფიქრობ, ამ მიმართულებით უნდა გააქტიურდეს სამეცნიერო მუშაობა. ქართულმა მწერლობამ თავისი ისტორიის მანძილზე არაერთი გარდაუვალი მნიშვნელობის ფასეულობა შექმნა. მათი საქვეყნოდ გამოშვებება და კომპარატივისტულ ჭრილში წარმოჩენა ჩვენი მეცნიერების საპატიო ამოცანაა. ეს მიმართულება თუ მეთოდი სარკის ფუნქციას შეასრულებს. ერთი მხრივ, შესაძლებლობაა თავმოწონებისა, საკუთარი ღირსებებით ტკბობისა და მეორე მხრივ, შესაძლებლობა ნაკლის დანახვისა.

ნაშრომთა ციკლი ხელს შეუწყობს ჩვენი საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებას და ლიტერატურულ პროცესებს მეტად გააჯანსაღებს.

საკვანძო სიტყვები: კომპარატივისტული კონცეპტები; სიყვარულის ალუზიები; ბარათაშვილი; ბაირონი; ლირიკა.

კულტურათმორისი დიალოგი სამყაროს ერთიანობის ის ენაა, რომლითაც ღვივდება ინტერესი, მისწრაფება, გაცვლა, მიღება, დამკვიდრება, გადაფასება და განვითარების მრავალი ინსტრუმენტი საზოგადოებებს შორის. ეროვნული საზღვრების გახსნა და კულტურული განაცხადით დანარჩენ მსოფლიოსთან დიალოგში შესვლა დემოკრატიული ფასეულობაა და ამ მიმართულებით მეცნიერებამ თავისი საქმე უნდა აკეთოს.

ეროვნული კულტურის გაძლიერების მიზნით მნიშვნელოვანია გაცხადებულ კონტექსტში ჩატარებული კვლევებითა და ნარატივებით წინა პლანზე წამოწევა იმ ღირებულებებისა, რომლებიც მსოფლიო ფასეულობათა ჭრილში წარმოაჩენს მას.

კომპარატივიზმს, როგორც ისტორიულ-შედარებით მეთოდს, ლიტერატურათმცოდნეობაში მნიშვნელოვანი როლი აკისრია. საქმე ეხება საერთაშორისო ლიტერატურული ურთიერთობების ისტორიას. წინამდებარე ნაშრომი სწორედ საერთაშორისო ღირებულებათა კონტექსტში აწყვილებს ორი რომანტიკოსის, როგორც სათაურშივეა გაცხადებული, ბარათაშვილისა და ბაირონის, შემოქმედებით ინტერესებს.

მსოფლიო ლიტერატორთა ე.წ. „ელიტა“ სულიერ ფასეულობათა ინტერესებით ენათესავება ერთმანეთს, სწორედ ისინი ქმნიან ზოგადსაკაცობრიო მსოფლმხედველობას და ამკვიდრებენ საერთაშორისო აზროვნებასა და გემოვნებას. ისინი ხდებიან კლასიკურ ღირებულებათა „მეტრი“, რაც აისახება იმ აფორიზმებსა და სასაუბრო მეტაფორიკაში, რომლებსაც საკვებად, ასე ვთქვათ, სულის საპოხად მოიხმარს კაცობრიობა.

ერთ სტატიაში ვთქვი და აქაც გავიმეორებ, „ქართული მწერლობა ყოველთვის თავისთავადია. ის არ კადრულობს ნასუფრალით თავის რჩენას.“ ის მაღალი შინაგანი ინტელექტის ერთგული იყო და რჩება დღემდე. რაც თავისებურ, გამორჩეულ ფორმას, თვისებას, ხასიათს უნარჩუნებს მას და ამდენად, ხაზგასასმელია ის ღირსება, რასაც იდენტურობის შენარჩუნება ჰქვია. სწორედ იდენტობის მკაცრი დაცვით შეჰქონდა ქართულ მწერლობას მსოფლიო მწერლობის საგანძურში თავისი წვლილი და არასოდეს ყოფილა ჩვენი ეროვნული კულტურა ქვემოდან ცქერის პოზაში. ის ღირსეულად და თავაწეული იყო კლასიციზმის, აღორძინების, რომანტიზმის, რეალიზმის, მოდერნიზმისა და პოსტმოდერნიზმის ხანაში. ეს თანხმიერება ბადებდა, დღესაც ბადებს და მომავალშიც დაბადებს თვისებრივად გამდიდრებულ, გამძლე ღირებულებებს. მთავარია მეცნიერის კალამი არ მოდუნდეს, მახვილი თვალით, ყურითა და ენით ფხიზლად იღვაწოს. ამ საქმეში კომპარატივისტული კვლევები უმნიშვნელოვანესია.

კვლევისთვის „აქტუალური მოთხოვნილებები“ ხშირად გაპირობებულია პოლიტიკური და სოციალური ამინდით. მწერლობამ და მეცნიერულმა კვლევებმა ერთად უნდა აკეთოს საქმე, რომელიც დემოკრატიზმის მთავარ გამოწვევებს შეესაბამება.

ეროვნული ტრადიციები, ეროვნული სპეციფიკა, თუნდაც ეროვნული თვითმყოფადობა ეგოისტურ თვითკმაყოფილებაში არ უნდა გვაგდებდეს. აქ მეტისმეტი სიფრთხილე და ზომიერება უნდა გამოვიჩინოთ პრინციპით: „შენც იყავი და მეც მამყოფე“. მწერლობას, დიახ, აქვს თავისი შინაგანი კულტურა და ინტელექტი. ამ სინდრომების გარეშე რაოდენ ღირებულებაც არ უნდა იყოს ეროვნულ-ნაციონალური კულტურა, ის უცხო დარჩება პარალელური და მყოფადი სამყაროსთვის. ჩვენი ეროვნული თვითშეგნება უნდა ფოკუსირდეს ვაჟასეულ იდეაზე: „მითამ ერთნი ვართ!“ სწორედ კოსმოპოლიტიზმი, როგორც უმაღლესი სამიზნე ნიშნული, აღამაღლებს ინდივიდსაც და მის წარმომშობ ქვეყანასაც.

ლიტერატურული პროცესების წიაღში გარდაუვალი საჭიროებაა კომპარატივისტული კონცეპტების აღმოჩენა. შედარებითი კონცეპტები უნდა დაისვას ეპოქის, იდეის, ღირებულებების, განწყობილებათა შესახებ, აქ ხაზგასმული პარადიგმები განაპირობებენ საერთო საზომით გაზომვას ეროვნული და უცხო ლიტერატურისა.

სიღრმისეულ ანალიზს იმსახურებს რომანტიზმის მსოფლიო პროცესში ნიკოლოზ ბარათაშვილისა და ევროპული რომანტიზმის გამორჩეული ფიგურის, ინგლისელი ჯორჯ გორდონ ბაირონის შემოქმედებითი ასპექტების შედარება.

ბაირონ-ბარათაშვილის სულიერი ნათესაობის თემა ახალი არაა. მათი შემოქმედების მსგავსებას საფუძვლად აქვს ლიტერატურული პროცესის, კერძოდ, რომანტიზმის დროისა და სივრცითი საზღვრები. ქართული რომანტიზმი ევროპული რომანტიზმის კვალდაკვალ აღმოცენდა და გადაჭარბებული ნათქვამი არ იქნება, რომ სწორედ უკანასკნელი აკორდი ბარათაშვილის „მერანთან“ აიღო. ბარათაშვილსა და ბაირონს პირადი ნაცნობობა არ ჰქონიათ, რუსეთის ამაზრზენი დასაზღვრულობის (აქ გამოწვინისია რუსი რომანტიკოსების სკოლა) პირობებში ბარათაშვილს ვერ ექნებოდა ინგლისელი ბაირონის გავლენა. მიუხედავად ამისა, მათი შემოქმედება ერთი სულიერი ქსოვილის საბურველშია გახვეული. ეს გარემოება მთავარ

აქცენტს სვამს ბარათაშვილის გენიალურობაზე, იმ თვითნაბად გემოვნებასა და ფილოსოფიურ სიღრმეზე, რომელიც მან აიღო მშობლიური სივრციდან, ეროვნული ფესვებიდან და არა ვინმეს გავლენითა და ზაძვით. ცხადია ამის მცდელობა ყოველთვის იყო და დღესაც გრძელდება, „ჩხრეკა“ გავლენებისა, ზაძვის ობიექტისა (ადამ მიცკევიჩის „ფარისი“ - „მერანი“), მაგრამ საქმე როცა ეხება ბარათაშვილს, ყოველგვარი ეჭვი შეუსაბამოა, საქმე უდავოდ გვაქვს გენიოსთან. ილიას შემოკრული ზარი „დაგვებადა, დაგვებადაო!“ ოდენ ემოციური შემახილი არაა.

ჩვენ სამტკიცებლად არ გვაქვს საქმე, უფრო სწორად აღარ გვაქვს. მსოფლიო კულტურის საგანძურში ბარათაშვილმა დამსახურებულად იპოვა ადგილი ბაირონის გვერდით. ცხოვრებამ, გენებავთ განგებამ, ისე მოაწყო საქმე, რომ ეს ორი ადამიანი ერთმანეთის პროტოტიპებად აქცია.

ეს ლოგიკა პათეტიკას რომ არ დაემსგავსოს, სჯობს ფაქტებით გავამკვეთროთ ეს შედარება.

სწორედ დემოკრატიული მსოფლიოს შენების კონცეპტუალურ გარემოებას ვუსვამთ ხაზს მაშინ, როცა ერთმანეთს ვადარებთ ევროპელი და ქართველი რომანტიკოსების სულიერ და ინტელექტუალურ ნააზრევს. აქ გაკეთებული დასკვნები აბსოლუტურ ნათელს ჰფენს სივრცისა და დროის ასპექტებში ქართული და ინგლისური რომანტიზმის თანხვედრას.

ზოგადად, უნდა ითქვას, რომ ევროპული და ქართული კულტურა არც ყოფილა არსებითად გამიჯნული არასდროს. ეს ერთი პლატფორმაა. სიცხადისთვის, კონკრეტულ კონცეპტებს შევხები ნიკოლოზ ბარათაშვილისა და ჯორჯ ბაირონის ლექსების მაგალითზე. ეს კონცეპტები მრავლადაა გამოკვეთილი ბიბლიურ, პატრიოტულ, ფილოსოფიურ თუ სიყვარულის თემებზე პარადიგმებში.

ბარათაშვილისა და ბაირონის შედარებისთვის მათი შემოქმედებიდან სიყვარულის თემაზე ვფოკუსირდები. ამ თვალსაზრისით, ყურადსაღებია ბარათაშვილის ლექსები: „არ უკიჟინო სატრფოო...“, „რად ჰყვედრი კაცსა“, „ვპოვე ტაძარი“, „...ნა ფორტეპიანოზე“, „საყურე“, „ცისა ფერს“, „შენნი დალალნი“, „მიყვარს თვალები მიბნედილები“, „სატრფოვ, მახსოვს, თვალნი შენნი“, „თავადის ჭ...ძის ასულს ევ...ნას“ და სხვა, ასევე ბაირონის ლექსები: „მიღვამკრთალი მზე“, „გნახე ტიროდი“, „ის მოდის სათნო“, „მაშ, შენ იტირებ“, „მე და შენ“, „როცა დავმორდი“, „სულში წყვიდადია“, „ქალო ათენელო“, „სიყვარული და სიკვდილი“, ქართველი თირზასადმი მიძღვნილი ეპიტაფია და სხვ.

ბარათაშვილი ღვთიური სამყაროს გზის გამკვალავად სატრფოს თვალებს სახავს ლექსში „ჩემს ვარსკვლავს“. მშვენიერ ქალბატონს „ცის მთენს“ უწოდებს, „ნათელსა“ და „მალხინებელს დაბინდულის გულისა“. სხივმფინარია ქალი-ევატერინე მისთვის. აშკარაა, რომ პოეტს ალხენს და ახარებს სატრფო, რაც აშორებს კიდევ რომანტიზმის აგრესიულ, რეაქციულ, კაემნით მწველ მდგომარეობასთან. ბარათაშვილი ამ განცდების გამო მკვეთრად უახლოვდება სხვა, ნათელ, იმედიან, ცოცხალ სამყაროს. მას რომანტიზმი მიჰყავს დასასრულისკენ.

ბარათაშვილი სიყვარულში ტკბობას მეტს იღებს, ვიდრე ტკივილს. მისთვის ტრფიალი თავის შექცევაა, ხალისიანი ყოფაა, ვნება, როგორც ხორციელების რეფლექსია, მასში ადამიანურს წინ წამოსწევს, მაგრამ მწველი თავშეკავებით მასაც ერევა. ლექსში „საყურე“ ვნებაადმრულის შინაგანი კულტურით დაოკებული, ლაგამოდებული ვნების მძაფრი განცდებია წარმოდგენილი. აქ სულაც არაა მიჯნური ბარათაშვილი გლოვისა და სიკვდილის მარწუხით სასომიხდილი, არა, მის მზერაში ეროსი იკითხება. „გრძნობის ამრევი“ საყურის ჩრდილქვეშ, ყელზე, ეროგენულ მიდამოში ბაგის დატკბარუნება სწადია, აი, ის მწველი ამბორი „უკვდავების შარბათია“ პოეტისთვის და ამ ზიარების მიღებით სულსაც სიამით დალევდა იქვე:

„ჰოი, საყურეო, გზნებით ამრეო,
ვინ ბაგე შენქვეშ დაიტკბარუნოს,
მუნ უკვდავების შარბათი ვინ სვას,
ვინ სული თვისი ზედ დაგაკონოს.“

[„საყურე“; 1978:180]

მას ახასიათებს ეროტიულობა. ზეპოეტურ სახეებსა და სიმბოლოებში იკითხება პოეტის ვნებიანობა „არ უკიჟინოშიც“:

„რომ მხოლოდ მზისა ციაგი მას დილის ნამსა იშრობდეს
და ერთად შესხივებულნი შვებას მოჰყვენდნენ სიცოცხლეს“.

[„არ უკიჟინო...“1978:185]

მზე თავად მგოსანია, ცვარი სატრფოა. ერთარსებად გარდაქმნის შესანიშნავი იდეაა გაცხადებული ლექსში. ამგვარი სიყვარულით შეძლებს დაცემული ადამის აღორძინებას საკუთარ არსებაში და ეს იქნება ბარათაშვილისთვის აღდგომა. ამგვარი გარძნობა-განცდები აბრუნებს კაცს იმ საწყისთან, როცა არ არსებობდა ცოდვა და „ცისიერი უხრწნელობით“ იყო გამშვენებული.

„...ნა ფორტეპიანოზედ მომღერალი“ ამავე ხარისხის ვნებაში აგდებს ბარათაშვილს. მისი ჟუჟუნა თვალნი გულს იპყრობენ, ღიმილს ჰგვრიან და „ტუჩნი, პაწაწა ტუჩნი“, ვარდის ფურცელთა მსგავსნი ალხენენ მის სულსა და გულს. ლექსიდან შეყვარებული მამაკაცის პორტრეტი ადვილი წარმოსადგენია.

„მიბნედილი“ თვალეზი გრძნობით სავსე თვალეზია. სახეზეა თავშეკავებით დაისრული მამაკაცი და ქალურობით სავსე სატრფო, ვნების ცეცხლში გამომწყვდეულნი შორიდან რომ შესტრფიან აკრძალული ხის ნაყოფს:

„თვალნო ლამაზნო, ვინ უძლოს თქვენსა ძლიერს ბასრობას,
თუ არა სჭვრეტდეს თქვენგან სიკვდილში თვით უკვდავებას“.

[„მიყვარს თვალეზი“]

ბარათაშვილი მშვენივრად მიჯნავს ორგვარ სიყვარულს. ხორციელსა და სულიერს, ამქვეყნიურსა და მიღმიერს ლექსში „რად ჰყვედრი კაცსა“. ჩანს, რომ ის დაადანაშაულებს ცვალებადი ტრფიალის გამო, მაგრამ თავად პოეტი თავდასხმას თავდასხმითვე პასუხობს. ეჭვიანი ადრესანტი თავად ურწმუნობას შეუპყრია, მას არ სჯერა მარადიული სიყვარულის არსებობა, მას სასუფეველის ნეტარება არ განუცდია და ამიტომაც საყვედურობს კაცს. ბარათაშვილისთვის ტრფიალება და სიყვარული სხვადასხვა რამ არის. ტრფიალება ხორცის თვისებაა და ის ველის ყვავილივით მალე დაჭკნება, სიყვარული კი სულის თვისებაა და ის ზეციდან მოდის. მშვენიერი სული ზეცისფერია, უკვდავების წყაროსავით დაუშრეტელი და სამოთხის ბადის ყვავილივით სურნელოვანი, „რომლის უტკბილეს არცთუ არის სასუფეველი, მას ცისა სხივით აცისკროვნებს მშვენიერება და უკვდავებით აგვირგვინებს ჭეშმარიტება“ [„რად ჰყვედრი კაცსა“; 1978:190].

სიყვარულის ბავშვური, მიამიტი, ურყენელი განცდა ანათესავებს ბარათაშვილს ბაირონთან. ბაირონიც იწვის. ციაგი, ვარსკვლავი, მზე მისთვის „ძილგამკრთალია“, სიშორის ცეცხლი სწვავს და ასეთი ნათება მტანჯველია, როგორც ოცნება სამოთხეზე:

„ელავს და ვერ ათბობს შუქგადაღლეული...
როგორი შორია, რა ცივად ანათებს.“

[„ძილგამკრთალი მზე“]

ბაირონი ხელჩაქნეულია, მეტად სენტიმენტალური, ვიდრე რომანტიკული. ის განსხვავდება ბარათაშვილისგან, რომელიც ოცნებობს, მაჟორული ტემბრით ღაღადებს მზისა და ცვრის შესხივებას:

„მინდა მზე ვიყო, სატრფოო...
მინდა შენ იყო სატრფოო, მშვენიერისა ცის ცვარი“.

[„არ უკიჟინო...“]

ორივე პოეტი ლურჯი თვალეზის ზღვაში ინთქმება. „ლურჯი თვალიდან“ დენილი ცრემლის შუქი გზას უბრწყინებს ბაირონის „ვნებულ გონებას“ ისევე, როგორც ბარათაშვილი ლექსში „ცისა ფერს“ ანგელოზებრივ მზერას ხილულობს და ფიქრობს, რომ სწორედ ეს თვალეზი აზიარებენ მარადიულ „ლურჯსა ფერს“.

„მე და შენ“ - ლექსში ბაირონი განშორებას გლოვობს. თუ ბარათაშვილი ლტოლვას გამოხატავს და იმედი აქვს ერთარსებად შერწყმისა, ბაირონი ეს ვნებები მხოლოდ წარსულისკენ ახედებს. „კოცნა გაცივდა“ და „თავზარით“ იხსენებს იდუმალ შეხვედრებს, ინტიმურს, ყველაზე ნაცნობსა და ყველაზე ახლობლურს. განშორებამ წარსულად აქცია ის სანეტარო წუთები, როცა

პოეტს ეძვირფასა სატრფოს სული და სხეული. ამ სიახლოვეში დაბადებული „აღთქმა და ფიცილი“ ფუჭი აღმოჩნდა.

არც ბარათშვილისთვის არის განშორების ტკივილი უცხო. ისინი, სიყვარულში დატანჯულები, სხვა, არაშობლიურ გარემოში ილტვიან. ეს პროტესტია ერთგვარი.

იმედგაცრუებული ბარათაშვილი განიცდის: „ვინც მაღალი გრძობის მექონი მეგონა, იგი ვნახე უგულო, ვისიკა ცრემლნი მეგონებოდნენ ცრემლად სიბრალულისა, გამომეტყველად მშვენიერისა სულისა, თურმე ყოფილან ნიშანნი ცბიერების, წვეთნი საშინელის საწამლავისა.“

იქ ბაირონი: „ახლა კი მარტო ვარ და ვწუხვარ კვლავ ჩუმიად შენსას გულმჩატობას.“

აქ ბარათშვილი: „მანც კიდევ მარტო ვარ ამ სავსე და ვრცელ სოფელში“.

სიყვარული ორივე პოეტის სულისა და აზრის სამკაულია, შვებაა, რომელიც ცხოვრების ტკივილებს უამებს.

ბაირონი შესტრფის „ედემის ღირსს“:

„მის სულში სუფევს თვინიერება,
გულმა უმანკო ტრფიალი იცის“.

[„ის მოდის სათნო“]

ბარათაშვილი „ცისიერს“ შეჰყურებს შეფრფინვით და სიტყვები ქრება, ენითაუწერელია ეს გრძნობა:

„მაგრამა მშვენიერება გაქვს ცისიერო უხრწნელი
და ჩემთა გრძნობათ შენდამი ვერ დასდვან კაცთა სახელი“.

[„არ უკიჟინო...“]

აქ ბარათაშვილი ეკატერინას ფორტეპიანოზე მორონინე თითების ცქერით იწვის:

„ხმა საკრავისა
ნელ-ნარნარისა
სულს განახარებს
და მშვენიერის
ენა ამიშლის
გულისა ჭირებს!“

[„ნა... ფორტეპიანოზედ მომღერალი“]

იქ ბაირონი ევედრება სატრფოს:

„სულში წყვდიადია, ოჰ, ჩქარა მომართე
არფა, მე ჯერაც მაქვს მხნეობა, გისმინო...
ჰანგი მომხიბლავი ჩემს სმენას მოანდე,
დაე, მაგ თითებმა სიმეზზე ირბინონ...
ახლა მე ქვითინი მწყურია ხელური,
თორემ გასენილი ეს გული გასკდება...“

[„სულში წყვდიადია“]

ალუზიურია შემდეგი ტაეპები ბარათაშვილის „საყურისა“

„ნეტავი იმას, ვინც თავის სუნთქვას
შენსა ჩრდილშია მოიბრუნებდეს,
მუნ უკვდავების შარბათი ვინ სვას,
ვინ სული თვისი ზედ დაგაკონოს“.

[„საყურე“]

და ბაირონის ლექსისა - „ქალო ათენელო“:

„სადაც შენს ჩამოშლილ დალალებს
სიო ეფერება, შლის და ავალალებს,
სადაც კულულები თვით დაწვებს ჰკოცნიან,
რომ აღმიტაცებდა სულიან, ხორციან...
დარჩეს მაგ ბაგესთან, რომელიც მწყუროდა...
ტრფიალის წამებო, სუნთქვაგასანაბო
მადარდეთ მარადის.“

[„ქალო ათენელო“]

მაინც, ორივე პოეტიემოციურობითს განცდაში სიყვარული უფალთან მიახლოების, ადამიანის აღმაფრენის, აღდგომის იდეით ხასიათდება. თვით კაენის დაცემულ არსებას შვება-ნეტარებას განაცდევინებს ბაირონი ადასთან ურთიერთობით. მაგრამ მშფოთვარე ბაირონის „მთელი წარსული“ იმ პროტესტით არის აღსავსე, რომ სამოთხის გარეშე ადამიანის ცხოვრება ვერ იქნება მთელი, ისევე, როგორც სატრფოს გარეშე თავს ნახევარკაცად თვლის:

„მე ვერ მოვითმენ ვჭვრეტდე სამოთხეს
და არ შემოდლოს შიგ ნეტარება!“

[„მთელი წარსული“]

ბარათაშვილსაც ვერ წარმოუდგენია აქაურმა ვნებებმა დაუოკონ წყურვილი, რადგან წყურვილის მოსაკლავი წყარო მხოლოდ სამოთხეში მოედინება:

„და ვერც ღელვანი ვნებათანი მიკლვენ წყურვილსა.“

[„სულო ბოროტო“]

სამოთხისკენ მიმავალი გზა ორივე პოეტისთვის სიყვარულია, მაშასადამე ღმერთს ამგვარად ესწრაფვიან ისინი.

ბაირონსა და ბარათაშვილს შორის იმდენად დიდია მსგავსება, რომ მათი განხილვა უერთმანეთოდ არ შეიძლება. ამგვარი პარადიგმები, რემინისცენციები, კონცეპტები სიყვარულზე, სამშობლოზე, სიკვდილზე, ღმერთზე, ადამინზე, ეშმაკზე, სამყაროს ფერებსა და ხმებზე კომპარატივიზმის თემაა. აქედან გამომდინარე დასკვნებით, დასავლეთი და საქართველო ერთი სივრცეა კულტურულ ფასეულობათა თვალსაზრისით.

ლიტერატურა:

1. ასათიანი გ. „თანამდევნი სულები“ -3; თბ. გამომც.ნეოსტუდია;
2. ბაირონი ჯ, „კაენი“, თბ. მნათობი, 1924
3. ბაირონი ჯ, „ლექსები, პოემები“, <https://poetry.ge/pages/george-gordon-byron/poems>
4. დეკანაძე გ.,*ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედების ძირითადი მოტივები*, სამაგისტრო, თბ. 2019
5. მარინო ა, „კომპარატივიზმი და ლიტერატურის თეორია“, ლიტერატურის ინსტიტუტი, თბ.2010
6. ნუცუბიძე თ. , „წერილები ლიტერატურისა და კულტურის შესახებ“, თბილისი, ლიტერატურის ინსტიტუტი, 2010;
7. ქართველი რომანტიკოსები, თბ. საბჭოთა საქართველო, 1978

Love allusions in Baratashvili's and Byron's lyrics

Kobiashvili Maia

Iakob Gogebashvili State University, Telavi

№144 Public School, Tbilisi

Abstract

The paper presents the comparativist concepts of love of Nikoloz Baratashvili and George Gordon Byron. In the comparative analysis of the works of two poets, I will discuss love allusions. The opinions expressed by various researchers are strengthened by the chrestomatous material presented in the work.

Comparative analyzes serve to bring national culture to the fore, to present human values in the light of world values.

It concerns the history of international literary relations. The present paper pairs the creative interests of two romanticists, Baratashvili and Byron, as stated in the title, precisely in the context of international values.

There are so many similarities between Byron and Baratashvili that they cannot be discussed separately. Such paradigms, reminiscences, concepts about love, motherland, death, God, Adam, devil, colors and sounds of the world are the subject of comparativism. Therefore, in conclusion, the West and Georgia are one space in terms of cultural values.

The novelty of the work is that the attention was focused on the issues of love itself, by the method of comparison it became obvious that the poetic philosophy of Baratashvili and Byron are equal from the point of view of evaluation.

I think that scientific work should be activated in this direction. Throughout its history, Georgian writing has created a number of values of inescapable importance. Showing them to the world and presenting them in a comparative light is an honorable task of our science.

This direction or method will serve as a mirror. On the one hand, there is the possibility of self-admiration, enjoying one's own virtues, and on the other hand, the possibility of seeing a flaw.

The cycle of papers will contribute to the raising of our public awareness and will make the literary processes more healthy.

Key words: comparativist concepts; love allusions; Baratashvili; Byron; lyrics.

დია ჩიანელის ერთი ნოველის ინტერპრეტაციისათვის

კოჭლოშვილი ნინო

იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი

DOI: <https://doi.org/10.52340/idw.2023.53>

აბსტრაქტი. დია ჩიანელის ლიტერატურული მემკვიდრეობა მეოცე საუკუნის ქართული მცირე პროზის მიმდევარ მწერალთა შორის საინტერესო თემატიკით გამოირჩევა.

დია ჩიანელი თავისი შემოქმედების ნიმუშებს ხშირად აქვეყნებდა ქართული პერიოდული პრესის ფურცლებზე, მწერლის სიცოცხლეში მისი ნაწერების კრებულებიც დაიბეჭდა.

დია ჩიანელის მცირე ეპიკური ნაწარმოებები, მართალია, არ გამოირჩევა მხატვრულ-გამომსახველობითი პალიტრითა და შთამბეჭდავი ტროპული მეტყველებით, თუმცა მცირე პროზისთვის დამახასიათებელ მეტად საინტერესო სპეციფიკურ ნიშნებს ატარებს და მრავალმხრივ იწვევს მკითხველის ინტერესს. უპირველეს ყოვლისა საყურადღებოა მათი თემატური მრავალფეროვნება და შთამბეჭდვი დასათაურება.

ადამიანურობის არსი და რაობა ერთ-ერთია, რომელსაც დია ჩიანელის მცირე ფორმის ეპიკურ ნაწარმოებებში ვხვდებით. ამ თვალსაზრისით ინტერესს იწვევს ნოველა „თადუმა“.

თადუმა ნაწარმოების მთავარი პერსონაჟია, ის არ განეკუთვნება „დიდ პიროვნებათა“ რიგს.

ნაწარმოები იწყება თადუმას შესახებ ძალზე მწირე ინფორმაციით, რაც, მიუხედავად მცირე პროზისთვის დამახასიათებელი სიტყვიერი მომჭირნეობისა, თადუმაზე სრულ წარმოდგენას გვიქმნის და ამავდროულად მისადმი უდიდესი თანაღმობისა და თანაგრძნობას სურვილს გვიჩენს.

მწერლის მიერ დანახული და აღქმული თადუმა საინტერესო ტიპაჟია. იგი განსხვავდება ცხოვრების ფსკერზე დაშვებული, დეგრადირებული ტიპიური მხატვრული სახეებისგან, რომლის არაერთი ნიმუში გვხვება მეოცე საუკუნის ქართულ მცირე პროზაში.

დია ჩიანელის თადუმას უნუგეშო ყოფამ უკეთესი მერმისის რწმენა არ ჩაუკლა, ის არც საზოგადოებას კიცხავს სავალალო მდგომარეობის გამო, განსხვავებით წინამორბედი ლიტერატურული პერსონაჟებისგან, რომლებიც თანადროულ საზოგადოებაზე არიან გულაყრილნი და პესიმისტურ განცდებს თავს ვეღარ აღწევენ.

დია ჩიანელის ნოველა „თადუმა“ უსაზღვრო სიყვარულისა და ჰუმანიზმის ქადაგებაა, რომელსაც საოცრად მიესადაგება რევაზ ინანიშვილის სიტყვები „ლიტერატურა ახალ რეალობას უნდა ქმნიდეს, თანაც ისეთს, რაც ადამიანებს ცოტაოდენ შვებას მოუტანს“. მწერალმა თადუმას მხატვრული სახის შექმნით არა მარტო გააშიშვლა ცხოვრების მახინჯი მხარეები, რაც უმოწყალოდ ბლალავს ყველაფერს წმინდასა და ადამიანურს, არამედ საზოგადოებასა და პიროვნებას შორის არსებული უფსკრულის ამოვსებაც დაისახა მიზნად და სრულიად ახალ რეალობაზე მოგვითხრო.

საკვანძო სიტყვები: დია ჩიანელი; მცირე ეპიკური ნაწარმოებები

დია ჩიანელის ლიტერატურული მემკვიდრეობა მეოცე საუკუნის ქართული მცირე პროზის მიმდევარ მწერალთა შორის საინტერესო თემატიკით გამოირჩევა.

მისი პირველი წიგნი იყო „შემოდგომის ცრემლები“, ნოველებისა და ლეგენდების კრებული, რომლის შესახებ 1919 წელს სანდრო ცირეკიძე „მეოცნებე ნიამორებში“ წერდა: „გამოვიდა დია ჩიანელის ნოველებისა და ლეგენდების წიგნი „შემოდგომის ცრემლები“. წიგნი „წინათქმის“ გარდა, ცამეტი ესკიზია. ვერც ერთში ვერ იხელება ავტორი საგნების გადაღმა. ეს

ცამეტი ლეგენდა ბელეტრისტიკაა. სამაგიეროთ ამ ფარგალში ავტორი დაგვაკმაყოფილებდა გრძნობით და ტემპერამენტით, რომ მოენახა თავისი სტილი, ავტორს არ ეხერხება მეტაფორა და აჭრელებული სტილი, განსაკუთრებით „წინათქმაში,“ სუსტია. ავტორს აქვს საინტერესო თემები...

კიდევ ერთი შენიშვნა: ნოველა რომანის და მოთხრობის დაპატარავებაა, უარყოფაა, თუ ამ გზას დაადგა ავტორი, უნდა მივიდეს მის ლოგიურ ბოლომდე, მინიატურამდე. იმედი ვიქონიოთ, რომ შემდეგ წიგნში ბატონი დია ჩიანელი მოგვცემს ნამდვილ ქართულ მინიატურას. მაგრამ მინიატურა ვერ აპატიებს ასეთ ზერელე სტილს და ავტორმა ამ მხრივ უსათუოდ უნდა იმუშაოს.

სასიხარულოა ახალი წიგნი ჩვენ ლიტერატურაში“(ცირეკიძე, 1919, 15).

დია ჩიანელი თავისი შემოქმედების ნიმუშებს ხშირად აქვეყნებდა ქართული პერიოდული პრესის ფურცლებზე, მწერლის სიცოცხლეში მისი ნაწერების კრებულებიც დაიბეჭდა.

დია ჩიანელის მცირე ეპიკური ნაწარმოებები, მართალია, არ გამოირჩევა მხატვრულ-გამომსახველობითი პალიტრითა და შთამბეჭდავი ტროპული მეტყველებით, თუმცა მცირე პროზისთვის დამახასიათებელ მეტად საინტერესო სპეციფიკურ ნიშნებს ატარებს და მრავალმხრივ იწვევს მკითხველის ინტერესს. უპირველეს ყოვლისა საყურადღებოა მათი თემატური მრავალფეროვნება და შთამბეჭდვი დასათაურება.

ადამიანურობის არსსი და რაობა ერთ-ერთია, რომელსაც დია ჩიანელის მცირე ფორმის ეპიკურ ნაწარმოებებში ვხვდებით. ამ თვალსაზრისით ინტერესს იწვევს ნოველა „თადუმა“.

თადუმა ნაწარმოების მთავარი პერსონაჟია, ის არ განეკუთვნება „დიდ პიროვნებათა“ რიგს.

ნაწარმოები იწყება თადუმას შესახებ ძალზე მწირე ინფორმაციით, რაც, მიუხედავად მცირე პროზისთვის დამახასიათებელი სიტყვიერი მომჭირნეობისა, თადუმაზე სრულ წარმოდგენას გვიქმნის და ამავდროულად მისადმი უდიდესი თანაღმობისა და თანაგრძნობას სურვილს გვიჩენს. პერსონაჟის შესახებ მხოლოდ ის ვიცით, რომ „თადუმა გვარიც იყო და სახელიც, ტომიც არავინ იცოდა, ვინ იყო და საიდან. უთვისტომოს და ურჯულოს ეძახდნენ. მუდამ ჩამოხეული და გაუპარსავი დადიოდა.

ბალახვანის ქუჩის შუკვებში რომ ჩაივლიდა, ილღიაში ტომარა ჰქონდა ამოღებული, რომ ამოივლიდა, გავსებული ტომარა მხარზე ეკიდა, უკან კი ქუჩის ბიჭები მოსდევდნენ ძახილით;

„თადუმასა ჭილოსა
თაგვი დაიჭიროსა,
შეეწვას და შეეჭამოს
ტყავი გაეჭიმოსა“.

თადუმას მთელი რიონის პირი იცნობდა, დაწყებული ჭომიდან _ რიონის სადგურამდე; მას სვავ-ყორნებიც იცნობდნენ, რადგან იმათთანაც მოსვლია ჩხუბი ლემის გაყოფაში.

ჰოდა, თადუმა ბალახვანის, ჭომის, კახნიაურის მოხეტიალე, ოხერი და წუნკალი იყო“(ჩიანელი, 1969, 3-5)

მწერლის მიერ დანახული და აღქმული თადუმა საინტერესო ტიპაჟია. იგი განსხვავდება ცხოვრების ფსკერზე დაშვებული, დეგრადირებული ტიპიური მხატვრული სახეებისგან, რომლის არაერთი ნიმუში გვხვება მეოცე საუკუნის ქართულ მცირე პროზაში.

დია ჩიანელის თადუმას უნუგემო ყოფამ უკეთესი მერმისის რწმენა არ ჩაუკლა, ის არც საზოგადოებას კიცხავს სავალალო მდგომარეობის გამო, განსხვავებით წინამორბედი ლიტერატურული პერსონაჟებისგან, რომლებიც თანადროულ საზოგადოებაზე არიან გულაყრილნი და პესიმისტურ განცდებს თავს ვეღარ აღწევენ.

თადუმას ხელობა რიონის ფონთხებში ნაპოვნი მკვდარი ძაღლებისა და ცხენების ტყავის დამუშავება იყო. „ბალახვანის ყველა ხვედელიძე, გველესიანი, ჯაფარიძე მისგან ყიდულობდა თასმებს, მათრახებსა და შოლტებს“. ასე ნაშოვნი ფული მიჰქონდა სამოკიტნოში და თავისნაირ ოხრებსა და მუდრეგებთან ერთად თავს იქცევდა.

თადუმას სავალალო ყოფა ხანდახან თუ ათქმევინებდა „_ღარიბი ხალხისთვის არც

გათენებულა და არც გათენდებაო“. ლუკმაპურისთვის ის ხან ქურდობასაც არ ერიდებოდა, რის გამოს გამსახლში მიაბრძანეს. გამსახლიდან აგურქარხანაში გადააგზავნეს, სადაც თავი ისახელა მუშაობით და მისი სახელი მოწინავეთა შორისაც კი აღმოჩნდა. ამ ფაქტმა თადუმა გაახალისა, მან სიცოცხლეში პირველად გაიღიმა.

„მართლაც უცინოდა თადუმა ალიზს, რომელსაც ზელდა, უცინოდა ყოველ აგურს, მზესა და ცასაც, ლურჯად რომ ადგა თავზე. პირველად თავის სიცოცხლეში იგრძნო, რომ ის ადამიანია და ამ ადამიანს აქვს უფლება იცინოს. პირველად მიწის ზელის დროს მიხვდა თადუმა, რომ მართალია, ისიც მიწიდან არის წარმოშობილი და მიწად გადაიქცევა, მაგრამ უნდა გამოიწვევს აგურივით, დაედვას კაცობრიობის ლამაზ შენობას და დაამშვენოს იგი. შეიძლება ასე არ ფიქრობდა თადუმა, მაგრამ გრძნობდა, რომ მშრომელი ადამიანი უნდა გახდეს არა ისეთი, როგორც იყო, არამედ სხვანაირი და ამ სხვანაირ ადამიანზე ალბათ ფიქრობდა იგი“ (ჩიანელი, 1969, 8).

წინანდელი თადუმა თადუმას უკვე სძგდა, ბუფეტში შესულს, ნარჩენების იმედად მყოფს, ხელიდან რომ აცლიდნენ დატოვებულ, მონარჩენ ხორცსა და პურს და კარში აგდებდნენ. ახლანდელ თადუმაში გაიღვიძა ადამიანურმა ღირსებამ, მას უკვე დამამცირებლად მიაჩნია ნასუფრალის იმედად ყოფნა, ის აღარც შეურაცხმყოფელ შეძახილებს ეგუება, უწინდელ უკეთურ საქმეებზე სინანულის გრძნობაც უჩნდება.

განსაკუთრებით საინტერესოა თადუმსა და ინდიგოს დიალოგი, თადუმას ინდიგოს ოჯახში ქურდულად შესვლას რომ გაახსენებს და ინგიდოს შეკითხვა „მართლა გინდოდა ჩემი მოკვლა?“ რომ დააფიქრებს. ამის გამგონე „დაუკვირდა თადუმა ბიჭუნიას, რომელიც თვალეზში მისჩერებოდა და თადუმას თვალეზიდან წამოვიდა ობოლი ცრემლი. სასწრაფოდ მოიწმინდა, ცას შეხედა. მერე გაფეთქილ ხავერდის ვარდს შეხედა, ალბათ ამ ვარდით ალალი იყო ბავშვის გული და თადუმას გრძნობაც. დაჯდა ბაღში თადუმა, ვარდების სუნმა სიამოვნება მოგვარეს.

-რა კარგია ცხოვრება!... მერე გაიღიმა... როცა ინგიდოს დედა მოვიდა, თადუმამ მას თაიგული მიართვა. ქალს გაეღიმა, თადუმას კი თვალეზი გაუბრწყინდა“ (ჩიანელი, 1969, 14).

თადუმა უფრო მეტად გააკეთილშობილა ინგიდოს დედის სიკეთემ. მან თადუმა, მიუხედავად ყველაფრისა, სამსახურში მოაწყო. ამის შემდეგ თადუმას უკვე უხაროდა სიცოცხლე, „ცის სილურჯე უდგებოდა თვალეზში და მზე იშლებოდა მის გულში.“

მაღევე თადუმა ისე გამოიცვალა, რომ „ვიღაც ინჯილერი“ ეგონათ, „გაპარსული თადუმა ვეღარ იცნეს ნაცნობებმა, იგი სანახავი კაცი შეიქმნა. თადუმა გაზეთში დახატეს, თადუმა კინოში და თეატრშიც წაიყვანეს, თადუმამ იგრძნო, რომ იგი ადამიანია და ადამიანურად აფასებენ“ (ჩიანელი, 1969, 12).

თადუმამ ინგიდოს სიცოცხლეს საკუთარი შესწირა, მომაკვდავ თადუმას აღარ ეთმობოდა სიცოცხლე უკვე სიცოცხლეზე შეყვარებულს „ფიქრობდა, ფიქრობდა იმ დროზე, როცა ანგალი და გარეწარი იყო, როცა კაცი არ იყო და ადამიანი გახდა. ახლა კი კვდება. რატომ? მაგრამ ის ხომ გადაარჩინა? ბავშვი მომავალია.“

სიკვდილის არსი ხომ მიწიერ არსებათაგან მხოლოდ ადამთა მოდგმას აფიქრებს, მხოლოდ ადამიანი აცნობიერებს სიცოცხლის ფენომენს. მყიფე, მაგრამ მოაზროვნე ლერწამის მსგავსი ადამიანი „თუნდაც ის გაანადგუროს სამყარომ, მაინც მასზე უფრო ამაღლებულია, რადგან ადამიანი აცნობიერებს რომ ემშვიდობება სიცოცხლეს, სამყარო კი არაფერს აცნობიერებს“.

და რადგანაც სიკვდილი, „კაცთა მოდგმის პირუთვნელი გამომძალველი“ ღვთის მყოფობისა და ადამიანად ყოფის დანიშნულებაზე გვაფიქრებს, ამავედროულად დაუყოვნებლივ მოითხოვს პასუხს კითხვაზე სად მივდივართ სიკვდილის შემდეგ, როგორი ცხოვრება მოგველის მიწიერი ცხოვრების შემდეგ?

მომაკვდავი თადუმა ფიქრები „რატომ? მაგრამ ის ხომ გადაარჩინა? ბავშვი მომავალია.“ უკვე პასუხია ამ მრავლისმთქმელ შეკითხვაზე.

დია ჩიანელის ნოველა „თადუმა“ უსაზღვრო სიყვარულისა და ჰუმანიზმის ქადაგებაა, რომელსაც საოცრად მიესადაგება რევაზ ინანიშვილის სიტყვები „ლიტერატურა ახალ რეალობას უნდა ქმნიდეს, თანაც ისეთს, რაც ადამიანებს ცოტაოდენ შვებას მოუტანს“. მწერალმა თადუმას

მხატვრული სახის შქმნით არა მარტო გააშიშვლა ცხოვრების მახინჯი მხარეები, რაც უმოწყალოდ ბრალავს ყველაფერს წმინდასა და ადამიანურს, არამედ საზოგადოებასა და პიროვნებას შორის არსებული უფსკრულის ამოვსებაც დაისახა მიზნად და სრულიად ახალ რეალობაზე მოგვითხრო.

ლიტერატურა:

- 1.ჩიანელი დ.(1969): თადუმა. გამომცემლობა „ნაკადული“. თბილისი
- 2.ცირეკიძე ს.(1919): მხატვრული მატთანე, მეოცნებე ნიამორები. N1. 15
- 3.ვესილიაძის ნ.(2003): სიკვდილის საიდუმლოება

For the Interpretation of One of Dia Chianelli's Novels

Kochloshvili Nino

Iakob Gogebashvili State Iniversity, Telavi

Abstract

The literary heritage of Dia Chianelli is among the interesting topics among the Georgian short prose writers of the 20th century.

Dia Chianelli often published samples of his work in the pages of the Georgian periodical press, collections of his writings were also printed during the writer's lifetime.

Dia Chianelli's small epic works, differences, are not distinguished by artistic palette and impressive tropical speech, although characteristic of small prose, they carry many interesting features and multifaceted appeal to the reader's interest. First of all, their thematic variety and impressive titles are noteworthy

The essence and nature of humanity is one of the things that we find in Dia Chianelli's small from epic works. From this point of view, the novel "Taduma" is interesting.

Taduma is the main character of the work, he does not belong to the ranks of "great personalities".

The work begins with very little information about Taduma, which, despite the verbal difficulties characteristic of small prose, gives us a complete idea of Taduma and at the same time make us want to have the greatest compassion and sympathy for him.

Taduma seen and perceived by the writer is an interesting type. It is different from the typical degraded artistic faces, which we find in the Georgian short prose of the twentieth century.

Dia Chianelli's Taduma's inconsolable existence did not kill her belief in a better god, nor does she criticize the society for its miserable situation, unlike previous literary characters who are sympathetic to the contemporary society and cannot overcome pessimistic feeling.

Dia Chianelli's novella "Taduma" is a sermon of boundless love and humanism, which is wonderfully suited to Revaz Inanishvili's words "Literature should create a new reality, and one that will bring some relief to people".

By creating the artistic face of Taduma the writer not only exposed the ugly sides of life, which mercilessly accuses everything holy and human, but also set of filling the gap between society and the individual and telling us a completely new reality.

Key words: The minor epic works of Dia Chianelli

გაზეთ „ქართულ აზრში“ თამარ პაპავას ერთი პუბლიკაციის შესახებ
(„ქართველი ქალი ჩვენს მატთანში“)

კუტივაძე ნესტან

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი

DOI: <https://doi.org/10.52340/idw.2023.54>

აბსტრაქტი. XX საუკუნის ქართული ემიგრაციის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია მწერალი და პუბლიცისტი თამარ გოგოლაშვილი-პაპავა, რომელიც მეუღლე აკაკი პაპავასთან ერთად ჯერ გერმანიასა და ავსტრიაში, 1949 წლიდან კი სამხრეთ ამერიკაში, კერძოდ, არგენტინაში ცხოვრობდა, მაგრამ მთელი თავისი მოღვაწეობითა და ცნობიერებით თამარ და აკაკი პაპავეები საქართველოსა და ქართულ საქმესთან იყვნენ დაკავშირებულები, რისი მკაფიო დადასტურებაც მათ მიერ დატოვებული შემოქმედებითი თვალსაზრისით საკმაოდ მრავალფეროვანი მხატვრულ-პუბლიცისტური თუ მეცნიერული მემკვიდრეობა.

თამარ პაპავა 1910-1920-იანი წლებიდან ნაყოფიერად თანამშრომლობდა საქართველოში გამომავალ ჟურნალ-გაზეთებთან, უფრო მოგვიანებით საყურადღებო წერილებს აქვეყნებდა უცხოეთში გამომავალ ემიგრანტულ პერიოდიკაში. დღეს თამამდ შეიძლება ითქვას, რომ თამარ პაპავას პუბლიცისტუკა ქართული ემიგრანტული კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი ნაწილია, რომელშიც რეფლექსირებულია ჩვენი ისტორიის თუ მისივე ბოლოქარი თანამედროვეობის, მე-20 საუკუნის პირველი ნახევრის, არაერთი დრამატული ფურცელი.

1966-1967 წლებში ნიუ-იორკში გამომავალ ქართულ ემიგრანტულ გაზეთში „ქართული აზრი“ თამარ პაპავამ გაგრძელებებით დაბეჭდა წერილი „ქართველი ქალი ჩვენს მატთანში“. სათაურდანაც მკაფიოა მწერლის მიზანდასახულება, წარმოაჩინოს ქართველი ქალის როლი საქართველოს ისტორიაში. ის საგანგებოდ იკვლევს, ამ მხრივ, „ქართლის ცხოვრებაში“ დაცულ ცნობებს. მიუხედავად იმისა, რომ პუბლიცისტი, მისი თქმით, ისტორიის მიერ მხოლოდ „შემთხვევით შემონახულ“ მასალას მიმოიხილავს, მაინც მკაფიოდ იკვეთება ქართველი ქალის გამორჩეული წვლილი თავისი სამშობლოს წინაშე. ეს წვლილი თანაბრად მიემართება როგორც დიდგვაროვან, ისე დაბალი სოციალური ფენებიდან გამოსულ ქალებს და მოიცავს ისეთ თემებს, როგორებიცაა: სარწმუნოების მიღებისა და დაცვის, მეფეთა აღზრდის, გაძიძვეების ინსტიტუტის, ასევე, ქვეყნის გაერთიანებასა და რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში ქალთა თავდადებასთან დაკავშირებული საკითხები, თუმცა მხოლოდ ამ პლასტებით არ ამოიწურება ქართველი ქალების როლის რეცეფცია საკუთარი ქვეყნების წინაშე.

ჩვენი ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე ქალების მიერ გაწეული ძალისხმევის აქცენტირება თამარ პაპავას პუბლიცისტუკის ერთ-ერთი ძირითადი, გამჭოლი ხაზია, რისი მკაფიო დადასტურებაც აღნიშნული წერილიცაა.

საკვანძო სიტყვები: ემიგრანტული მწერლობა, პუბლიცისტუკა, რეფლექსია, ქალის როლი, „ქართლის ცხოვრება“.

XX საუკუნის ქართული ემიგრაციის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია მწერალი და პუბლიცისტი თამარ გოგოლაშვილი-პაპავა, რომელიც, მეუღლესთან, აკაკი პაპავასთან, ერთად, ჯერ გერმანიასა და ავსტრიაში, 1949 წლიდან კი სამხრეთ ამერიკაში, კერძოდ, არგენტინაში ცხოვრობდა, მაგრამ მთელი თავისი მოღვაწეობითა და ცნობიერებით თამარ და აკაკი პაპავეები საქართველოსა და ქართულ საქმესთან იყვნენ დაკავშირებულები, რისი

მკაფიო დადასტურებაა მათ მიერ დატოვებული შემოქმედებითი თვალსაზრისით საკმაოდ მრავალფეროვანი მხატვრულ-პუბლიცისტური თუ მეცნიერული მემკვიდრეობა (იხ. დაუშვილი, 2014, 211-215; ნიკოლეიშვილი, 2006, 393-416; შარაძე, 1990, 3-4).

თამარ პაპავა 1910-1920-იანი წლებიდან ნაყოფიერად თანამშრომლობდა საქართველოში გამომავალ ჟურნალ-გაზეთებთან, უფრო მოგვიანებით საყურადღებო წერილებს აქვეყნებდა ემიგრანტულ პერიოდიკაში. დღეს თამამად შეიძლება ითქვას, რომ თამარ პაპავას პუბლიცისტიკა ქართული ემიგრანტული კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი ნაწილია, რომელშიც რეფლექსირებულია ჩვენი ისტორიის თუ მისივე ბოზოქარი თანამედროვეობის, მე-20 საუკუნის პირველი ნახევრის, არაერთი დრამატული ფურცელი.

1966-1968 წლებში ნიუ-იორკში გამომავალ ქართულ ემიგრანტულ გაზეთში „ქართული აზრი“, რომელშიც სისტემატურად ქვეყნდებოდა სტატიები საქართველოს ისტორიის შესახებ, თამარ პაპავამ გაგრძელებებით დაბეჭდა წერილი „ქართველი ქალი ჩვენს მატთანში“. სათაურიდანაც მკაფიოა მწერლის მიზანდასახულება, წარმოაჩინოს ქართველი ქალის როლი საქართველოს ისტორიაში. ის საგანგებოდ იკვლევს, ამ მხრივ, „ქართლის ცხოვრებაში“ დაცულ ცნობებს. მიუხედავად იმისა, რომ პუბლიცისტი, მისი თქმით, ისტორიის მიერ მხოლოდ „შემთხვევით შემონახულ“ მასალას მიმოიხილავს, მაინც მკაფიოდ იკვეთება ქართველი ქალის წვლილი თავისი სამშობლოს წინაშე. ეს წვლილი თანაბრად მიემართება როგორც დიდგვაროვან, ისე დაბალი სოციალური ფენებიდან გამოსულ ქალებს და მოიცავს ისეთ თემებს, როგორებიცაა: სარწმუნოების მიღებისა და დაცვის, მეფეთა აღზრდის, გაძიძავების ინსტიტუტის, ასევე, ქვეყნის გაერთიანებასა და რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში ქალთა თავდადებასთან დაკავშირებული საკითხები, თუმცა მხოლოდ ამ პლასტებით არ ამოიწურება ქართველი ქალების როლის რეცეფცია საკუთარი ქვეყნის წინაშე.

წერილის დასაწყისში თამარ პაპავა აღნიშნავს, რომ საქართველოს ისტორიის ორი გარდამტეხი ნიშანსვეტია ქალთან დაკავშირებული. ესენია: ქრისტულ კულტურასთან ზიარება, წმინდა ნინო და პოლიტიკური და კულტურული წარმატება თამარ მეფის ეპოქაში. მისი აზრით, „ვეფხისტყაოსანი“ სწორედ იმის მხატვრული დასტურია, რომ „თავისი შემოქმედების შედეგრი, მხატვრული გენია და მაღალი ფილოსოფიური ეტიკა საქართველომ ქალის სახელს დაუკავშირა“ (პაპავა, 1966ა, 4).

თამარ პაპავას აზრით, „ქართლის ცხოვრებაში“ ქალის საპატიო როლი თავიდანვე კარგად იკვეთება, კერძოდ კი, ეს უკანასკნელი ქართლოსის სიკვდილის შემდეგ მისი მეუღლის, ასევე, მეფე ფარნავაზის დედისა და დების თავდადებით იწყება. პუბლიცისტიკა სრულიად გამორჩეულად მიიჩნია ის წვლილი, ქართველმა ქალმა ქვეყნის გაქრისტიანების საქმეში რომ შეიტანა, რის მაგალითად ქვრივ ქალ სამძივარზე არსებულ გადმოცემაზე აკეთებს აქცენტს. პაპავა კაბადიკიელ ნინოს ნამდვილ განმანათლებლად მოიხსენიებს და სწორედ მის დამსახურებად თვლის საქართველოში ქრისტიანობის ისე გავრცელებას, რამაც მირიან მეფეს შესაძლებლობა მისცა, ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად ელიარებინა. ამასთან ერთად ასახელებს იმ ქალებს, რომლებიც ნინოს ყველაზე ადრე დაეხმარნენ.

წერილის ერთ-ერთი უმთავრესი აქცენტია ქართველ ქალთა მიერ მწიგნობრობის გავრცელებაში შესრულებული როლი, რის საჩვენებლადაც მოჰყავს ბატონიშვილ რევის ცოლზე არსებული გადმოცემა, რომლის მიხედვითაც, ნინოს სიკვდილისას მან საწერ-კალამი მოითხოვა, რათა აღეწერა ნინოს ცხოვრება და ღვაწლი. ქალის სიმტკიცისა და თავდადების ჩვენების მხრივ გამოყოფს პირველ ჰაგიოგრაფიულ თხზულებას და დაასკვნის, რომ „ქართველი ერი მაღალი ზნეობის და კულტურის გავრცელების ფაქტორებს ქალების სახელს უკავშირებს“ (პაპავა, 1966ა, 4), რის გამოც სავსებით კანონზომიერად თვლის, რომ საქართველო ღვთისმშობლის წილხვდომილად გამოაცხადა ქართველობამ.

თამარ პაპავა საგანგებოდ ამახვილებს, ასევე, ყურადღებას ქალების მონაწილეობაზე მეფეთა თუ სხვა დიდებულთა აღზრდაში, აღნიშნავს, რომ ისინი ასწავლიდნენ წერა-კითხვას, ამზადებდნენ ყმაწვილებს საერო თუ სასულიერო საქმისათვის, ამის დასტურად მოჰყავს გიორგი მთაწმინდელის შესახებ „ქართლის ცხოვრებაში“ დაცული მონაცემები. საბოლოოდ კი ცნობილი მკვლევრის დიმიტრი ჯანაშვილის შეფასებას შეახსენებს მკითხველს. „თითქმის არა

გვყავს არც ერთი სახელოვანი მეფე, რომელსაც წიგნი დედაკაცისაგან არ ესწავლოსო, რომ მის გონება გახსნილობის და პოლიტიკურ მჭვრეტელობის ფესვს მათს გვამში დედაკაცების მეცადინეობით არა ჰქონდეს გადგმული“ (პაპავა, 1966ბ, 2), რაც, ამავე დროს, მისი თვალსაზრისიკაა.

წერილში ქრონოლოგიური თანმიმდევრობითაა მიმოხილული „ქართლის ცხოვრებაში“ არსებული ინფორმაცია ქალების ღვაწლის შესახებ ვახტანგ გორასლის დედით დაწყებული და მეფე ალექსანდრე პირველის გამზრდელი ბებიით დამთავრებული. პაპავა გაზ. „დროებაში“ დასტამბულ დიმიტრი ჯანაშვილის წერილზე დაყრდნობით აქცენტს აკეთებს მამაკაცების მუდმივად ბრძოლაში ყოფნისას ქალების ძალისხმევაზე სოფლებსა თუ ქალაქებში სწავლა-განათლების გასავრცელებლად. ამ გზით პუბლიცისტი საკუთარ კვლევას სიღრმესა და დამაჯერებლობას სძენს.

„ქართლის ცხოვრებაში“ ქალის როლის რეცეფციაზე საუბრისას პაპავა გამოყოფს „სადედოს“ ინსტიტუტთან დაკავშირებულ ინფორმაციას. აღნიშნავს, რომ ეს გლეხობაში გავრცელებული ინსტიტუტი იყო ერთგვარი ბეგარა, რომელსაც სასიძო უხდიდა ოსტატ ქალს პატარძლისათვის ხელსაქმის, დიასახლისობისა, თუ წერა კითხვის სწავლების გამო. საგულისხმოა, რომ ასეთი ტრადიციის არსებობა ერის დამოკიდებულებასაც აჩვენებს ოჯახის ინსტიტუტის მიმართ და შემთხვევითი არ არის.

სწავლა-აღზრდის საქმეს რომ მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ჩვენი ქვეყნის განვითარებაში და მასში ქალები აქტიურად იყვნენ ჩართულნი, პაპავას აზრით, კარგად მოწმობს ზემოთ განხილული მაგალითები, ხოლო რას ასწავლიდნენ ქალებსა და ვაჟებს საქართველოში ზოგადად, ამის შესახებ პუბლიცისტი არჩილ მეფის „ზნეობანში“ დაცულ მდიდარ ინფორმაციას შეახსენებს მკითხველს. აღსანიშნავია, რომ ეს ინფორმაცია მოიცავს როგორც მწიგნობრობის, მეცნიერებისა და ხელოვნების სფეროებს, სპორტის სახეობებსა და კულინარიას.

პაპავასთვის, ასევე, მნიშვნელოვანია, რომ ქართველმა ქალმა, ზოგადად ქართულმა ოჯახმა, კულტურული ტრადიცია შეინარჩუნა რუსეთის მიერ დაპყრობის შემდგომაც XIX საუკუნეში. კულტურული ტრადიციის შენარჩუნების დასტურად მიაჩნია თამარ პაპავას ექვთიმე თაყაიშვილის „საქართველოს სიძველენის“, იოსებ გრიშაშვილის „ძველი თბილისის ლიტერატურულ ბოჰემაში“ დაცულ ცნობები, ასევე, „მზითევის წიგნებში“ შეტანილი ხელნაწერები იმის შესახებ, თუ რა მიჰყვებოდათ ქალებს ოჯახებიდან, რაც, მისი აზრით, სწორედ მწიგნობრობის ტრადიციას უსვამს ხაზს.

ქართველი ქალის განათლების დასტურად, პაპავა ალექსანდრე ცაგარელის წერილიდანაც იმოწმებს მოგზაურთა ნაწერებში დაცულ ცნობებს, აქცენტს აკეთებს იმაზე, რომ, ქართველ თავად-აზნაურთა ქალების გარდა, გლეხის ქალებმაც იცოდნენ წერა-კითხვა და მათი რიცხვი მცირე არ ყოფილა. საგულისხმოა სამაჰმადიანო საქართველოს შესახებ არსებული ჩანაწერიც. „ხშირად შეხვდებით ცნობებს იმაზე, რომ სამაჰმადიანო საქართველოში ძველი ქართული ტრადიცია, მხოლოდ ქალთა ღვაწლით შენახულა. ისინი შვილებს ქართულ დედა-ენას ასწავლიან და მათ ძველ ვინაობას აცნობენ და თუ ქართული სიტყვა კიდევ შენახულა ძველ მესხეთში, შორეულ ფერეიდანში და სხვაგან, საცა გამაჰმადიანებული ქართველები ცხოვრობენ, ეს მხოლოდ ქართველ ქალს გადაურჩენია და დაუცავს“ (პაპავა, 1966ბ, 3). სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ასეთი დამოკიდებულება ისტორიული სამშობლოს მიმართ მხოლოდ ქალების სულისკვეთება ვერ იქნებოდა და მას, ალბათ, თანაბრად ინაწილებდნენ მამაკაცებიც, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ საოჯახო ტრადიციების შენახვაში დედათა განსაკუთრებული როლის უგულებელყოფა შეუძლებელია. სერთოდაც უნდა ითქვას, რომ ემიგრანტი მოღვაწის მიერ სწავლა-აღზრდის საკითხების ასეთი აქცენტირება მრავლისმთქმელი პასაჟია და ის მის თანამედროვეობასაც უთუოდ მიემართება.

ყურადღება უნდა მივაქციოთ, ასევე, პაპავას მიერ საგანგებოდ გამოყოფილ ძიძის ტრადიციას და მის მნიშვნელობას მოზარდის აღზრდაში. მას მიაჩნია, რომ ყმაწვილს, დედების გარდა, მორალურ ღირებულებებს მიძეებდა უნერგავენ და ისინიც, ამ მხრივ, ოჯახის ბურჯები არიან. ასე აფასებს ამ ინსტიტუტს პუბლიცისტი, თუმცა აქვე იმასაც დასძენს, რომ ის საგანგებო

კვლევა-ძიების საგანი უნდა გახდეს სამომავლოდ. ამ მიმართულებით თავადაც გვთავაზობს მცირე ექსკურსს „ქართლის ცხოვრებასა“ თუ მხატვრულ ლიტერატურაში. „ქართლის ცხოვრებაში“ არსებულ მაგალითებს ის უმატებს ერეკლესა და გიორგი მეცამეტის სასახლეში ბატონიშვილების აღზრდაში ქალებისათვის გამოცხადებულ ნდობას, ასევე, იხსენებს აკაკის „ჩემ თავგადასავალს“, ილიას დაუმთავრებელ მოთხრობას „უღელტეხილი“, საგანგებო ადგილს უთმობს „ვეფხისტყაოსანს“ და საბოლოოდ დაასკვნის, რომ ისტორიულად არსებული „გამდელ ქალთა“ ხატი საფუძველს ძველი სინამდვილიდან და „ქართლის ცხოვრებიდან“ იღებს და არა მხატვრული ლიტერატურიდან.

წერილში თამარ პაპავამ საგანგებოდ წამოწია ქართველი ქალის ისეთი თვისებები, როგორებიცაა: მშვიდობისმოყვარეობა, მოთმინება და მძიმე ვითარებიდან გამოსავლის პოვნის უნარი. ამის დამამტკიცებელ მაგალითებსაც პუბლიცისტი „ქართლის ცხოვრებაში“ პოულობს, რის დასტურად მოჰყავს მემატიანის ცნობები ყუთლუ არსლანის აჯანყებისას თამარ მეფისა თუ დიდგვაროვანი ქალბატონების: ხვაშაქ ცოქალისა და კრავაი ჯაყელის მიერ გამოჩენილი შორსმჭვრეტელობის თაობაზე, ასევე, ნესტან დედოფლისა და ხვარაშან დედოფლის სასიკეთო ზემოქმედების შესახებ მეფეების (სიმონ მეფე, თეიმურაზ პირველი) გადაწყვეტილებაში, აქვე იხსენებს ვახტანგ მეხუთის კარზე დატრიალებულ ამბებში დიდგვაროვანი ქალების როლს მშვიდობის დამყარების საქმეში. ამგვარი მაგალითებით თამარ პაპავას სურს წარმოაჩინოს ქართველ ქალთა ნიჭიერება და დიპლომატიური უნარი, რაც წერილის დასაწყისშივე გაცხადებული მიზანია და თავისთავად უპასუხებს კითხვას, ავტორი ცალმხრივად ხომ არ ხედავს ზოგადად ქალის როლს.

შემდეგი თემა, რომელსაც განიხილავს თამარ პაპავა, საქართველოს გაერთიანებაში ქართველ ქალთა მონაწილეობა და მათ მიერ შეტანილი წვლილია. ის საგანგებოდ აღწერს საქართველოს გაერთიანებისას ბაგრატ მესამესთან, დედოფალ გურანდუხტთან, იოანე მარუშიძესთან, ბაგრატ მეოთხის საბერძნეთის იმპერატორ ბასილის ასულ ელენეზე დაქორწინებაში დედოფალ მარიამთან დაკავშირებულ რეალიებსა და სხვ. სრულიად გამორჩეული და განსაკუთრებულია მისი დამოკიდებულება თამარ მეფის ისტორიულ დამსახურების წინაშე, მეფისა, რომელმაც ქვეყანას სახელი გაუთქვა საზღვრებს გარეთაც. თამარის ღვაწლს საქართველოს წინაშე, პაპავას აზრით, კარგად ხსნის მისი გამითებული აღქმა, რაც კარგად გამოჩნდა ქართულ ფოლკლორსა თუ უცხოელ ავტორთა შრომებში. როგორც პაპავა იმოწმებს, „გერმანელი მეცნიერი ჰოლდაკი ჭეშმარიტად ამბობს, რომ თამარში მეფური პიროვნება გაღმერთებულია რელიგიურ მისტიციზმამდეო და მართლაც, თამარ მეფე ხომ წმინდანად იქნა აღიარებული ქართული ეკლესიის მიერ“, – ასე აჯამებს პაპავა თამარის მეფობას (პაპავა, 1967, 3). პაპავა არც რუსუდან მეფესა და მის ასულ თამარს ივიწყებს, თუმცა აქვე იმასაც აღნიშნავს, რომ მათ დროს საქართველოს საქმეები კარგად ვერ მიდიოდა, რაც იმის მიმანიშნებელია, რომ ავტორს ცდილობს არ შეაღამაზოს ისტორიული ფაქტები.

ქართველ ქალთა თავდადების კიდევ ერთ მხარეს პაპავა მათ მიერ რჯულის ერთგულებაში ხედავს. ამ მიზნით, ის იხსენებს სამცხე-საათაბაგოში ოსმალთა მიერ შექმნილ ვითარებას და ქართველ ქალთა იმგვარ წინააღმდეგობას, რომლის გასატეხად ხონთქარი იძულებული გახდა ბრძანება გამოეცა, რომ მაჰმადიანი ფაშას ცოლიც მაჰმადიანად ჩაეთვალიათ, რის მაგალითად მოჰყავს როსტომ ფაშას ცოლის მედგარი წინააღმდეგობა ამ ბრძანების ასასრულებლად. სამშობლოსა და ქრისტიანობისათვის წამებული ქალების გუნდის სათავეში, როგორც პაპავა აღნიშნავს, ქეთევან წამებული დგას, რომელიც ვერ გატეხა სასტიკმა შაჰმა და თავისი რწმენისა და ქვეყნის ერთგულად დარჩა, ამ თვალსაზრისით, გამოარჩევს, ასევე, ვახტანგ მეექვსის ასულსა და ერეკლე მეფის დედას თამარს, რომელმაც ქვეყანა ნადირ შაჰის რისხვას გადაარჩინა, შემდგომ კი დიდი ენერჯია მოახმარა ქართლ-კახეთის სამეფოთა გაერთიანებასა და თეიმურაზ მეორის გამეფებას.

პაპავას აზრით, მნიშვნელოვანია, რომ ღვაწლმოსილ ქალთა დასის წარმომადგენლად, მათი უბრალო ხალხიდან გამოსულ მანდილოსნებსაც მოიხსენიებს. „ხშირად გლეხის ქალები უდგნენ ჯებირად, ვით შეურყეველი კლდე და უნახავდნენ ერს ენას, სარწმუნოებას, ტრადიციას და კულტურას. სწირავდნენ ქმრებს, შვილებს, ძმებს და ამით ქვეყნისა და მეფის ერთგულებას

ბოლომდე ინახავდნენ“ (პაპავა, 1968, 3),– წერს პაპავა და იქვე განაგრძობს, რომ ქართველი მეფეები და წარჩინებულები მდაბიო ხალხის თავდადების გარეშე ვერ შეძლებდნენ გამკლავებოდნენ მტერს, რის დასტურად პაპავას სვიმონ მეფის გლეხი ქელივიძის ოჯახში სტუმრობა და თეიმურაზ პირველისათვის შაჰაბასთან ბრძოლის დროს ქიზიყში დედის მიერ ცხრა ძის შეწირვა მოჰყავს.

წერილის დასკვნით ნაწილში პაპავა უყურადღებოდ არც ქართველ ქალთა გარეგნულ სილამაზეს ტოვებს. ამ მონაკვეთს ვახუშტის დახასიათებით იწყებს, შემდეგ კი აქცენტს აკეთებს, როგორ შთაბეჭდილებას ახდენდა მშვენიერი ქართველი ქალი უცხოელ მოგზაურებზე (პიეტრე დელავალე, შარდენი, აბატი დე ლაპორტი, რუსი მწერალი მარკოვი).

აღსანიშნავია, რომ თამარ პაპავა არ იფარგლება მხოლოდ „ქართლის ცხოვრებით“ და წერილს ასრულებს ქალების როლის მიმოხილვით რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდგომ ხანაში. ის ხაზს უსვამს, რომ ქართველი ქალები მამაკაცების გვერდით იყვნენ 1802-ის, 1804-ის, 1812-ის, 1819-ისა თუ სხვა აჯანყებების დროს, მამაკაცების გვერდით იყვნენ 1832 წლის შეთქმულების პერიოდშიც და მეოცე საუკუნეშიც. მნიშვნელოვანია, პაპავას აზრით, მათი წვლილი წითელი არმიის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ ოკუპანტების წინააღმდეგ ბრძოლაში. „26 მაისს მკვდრებით აღმდგარ საქართველოს ეკლიან გზებზე ქართველ ქალსაც ისევე მხნედ უვლია და თავი დაუდვია, როგორც მის ქმარს, ძმებს და შვილებს“ (პაპავა, 1968, 3),– წერს თამარ პაპავა. ეს სიტყვები კარგად გამოხატავს ავტორის სულისკვეთებას ხაზი გაუსვას ყველა ეპოქაში სამშობლოს სამსახურში ჩამდგარი ყველა თაობის ქალების ღვაწლს საკუთარი ქვეყნის წინაშე.

„ქართველი ქალი ჩვენს მატთანში“ ნათლად აჩვენებს ქართველი ქალების გაცნობიერებულ პასუხისმგებლობას საკუთარი ქვეყნის, სამეფოსა თუ ოჯახის წინაშე, მათ თავდადებასა და განუწყვეტელ ბრძოლას, პირდაპირ თუ ირიბ მონაწილეობას სამშობლოს წინაშე მდგარი განსაცდელის თავიდან აცილების მცდელობისას, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებისას გამოვლენილ შორსმჭვრეტელობასა და გონიერებას. თამარ პაპავამ „ქართლის ცხოვრებაში“ ფიქსირებული ისტორიების საფუძველზე აჩვენა მათი დაუღალავი ძალისხმევა მამაკაცების მხარდამხარ, ამასთან, წინ წამოსწია ქალთა როლი და მნიშვნელობა ტრადიციების შენახვის, მომავალ თაობათა აღზრდის არანაკლებ საპასუხისმგებლო და განვითარებისათვის განმსაზღვრელ ასპარეზზე.

წერილი კარგად ავლენს ავტორის მსოფლმხედველობასა და ინდივიდუალიზმს, თხრობის ოსტატობას, ანალიზის უნარს, საკითხის ზედმიწევნით ცოდნას, მიუხედავად იმისა, რომ არაერთი ისტორიული მეცნიერული ნაშრომი მიუწვდომელი იყო ავტორისათვის. განსაკუთრებით ვარაუდების გამოთქმისას ცდილობს ის გაითვალისწინოს ამა თუ იმ საკითხის შესახებ არსებული შეხედულებები, ამასთან სრულიად თავისუფალია ისეთი იდეოლოგიიზაციისაგან, როგორც საბჭოთა ეპოქისათვის იყო დამახასიათებელი, რაც ამ წერილსაც და თამარ პაპავას მთელ მემკვიდრეობას განსაკუთრებულ ღირებულებას სძენს.

ოპუსის თემა ახალი არ ყოფილა თამარ პაპავას შემოქმედებაში. ამ წერილამდე მას გამოქვეყნებული აქვს „დიდი სახეები პატარა ჩარჩოებში“, ისტორიული ნარკვევი „დარეჯან დედოფალი“, აკაკი პაპავასთან ერთად გამოცემული „მარიამ უკანასკნელი დედოფალი საქართველოსი“, რომლებშიც XIX საუკუნეში საქართველოს დაპყრობის, ბაგრატიონთა თავგანწირვასა და ქვეყნისათვის თავდადების ისტორიაა ფართო საზოგადოებრივ-კულტურულ კონტექსტში გაანალიზებული, არც ქალთა ემანსიპაციის საკითხი ყოფილა უცხო „გაბნეული საფლავების“ ავტორისათვის. ჩვენი ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე ქალების მიერ გაწეული ძალისხმევის აქცენტირება თამარ პაპავას პუბლიცისტიკის ერთ-ერთი ძირითადი, გამჭოლი ხაზია, რისი მკაფიო დადასტურება აღნიშნული წერილიცაა.

ლიტერატურა:

დაუშვილი, რ. (2014). ქართული ემიგრაცია ამერიკაში. თბილისი: „რაეო“.

ნიკოლეიშვილი, ა. (2006). ქართული ემიგრანტული მწერლობა, ქუთაისი: აწსუ გამომცემლობა.

- პაპავა, თ. (1966ა). ქართველი ქალი ჩვენს მატიანეში. „ქართული აზრი“, #75: 3-4.
პაპავა, თ. (1966ბ). ქართველი ქალი ჩვენს მატიანეში. „ქართული აზრი“, #76: 2-3.
პაპავა, თ. (1967). ქართველი ქალი ჩვენს მატიანეში. „ქართული აზრი“, #77: 2-3.
პაპავა, თ. (1968). ქართველი ქალი ჩვენს მატიანეში. „ქართული აზრი“, #78: 3.
შარაძე, გ. (1990). „თამარ პაპავა“, წიგნში გაბნეული საფლავები. თბილისი: „არმაზი“. 3-13.

On One Publication by Tamar Papava (“Georgian Woman in Our Chronicle”) in the Newspaper “Kartuli Azri”

Kutivadze Nestan

Tsereteli State University, Kutaisi

Abstract

One of the prominent representatives of the Georgian emigration of the 20th century is the writer and publicist Tamar Gogolashvili-Papava. She lived with her husband Akaki Papava first in Germany and Austria, and later from 1949 in South America, Argentina. However, through all their activities and consciousness, Tamar and Akaki Papava were connected with Georgia and the Georgian affairs, which can be clearly confirmed by their artistic-publicistic and scientific legacy being very diverse from a creative point of view.

From the 1910s-1920s, Tamar Papava fruitfully collaborated with the magazines and newspapers published in Georgia. Later she published noteworthy letters in emigration periodicals printed abroad. Today, it can be safely said that Tamar Papava's publicism plays an important part of the Georgian emigrant cultural heritage, in which many dramatic pages of our history and her own tempestuous contemporary life, the first half of the 20th century, are reflected.

In 1966-1967, in the Georgian emigrant newspaper “Kartuli Azri” (Georgian Opinion) printed in New York, Tamar Papava published the letter “Georgian Woman in Our Chronicle” with continuations. The author's goal is clear from the title. She aims to present the role of Georgian women in the history of Georgia. In this regard, she thoroughly studies the information preserved in “Life of Kartli”. As the publicist notes, she only reviews the data that the history “preserved by chance”. Despite this, the outstanding contribution of a Georgian woman to her homeland can clearly be seen.

These contributions are equally made by the women both from noble and lower social classes, and include such issues as: professing and defending the faith, the upbringing of kings, the tradition of entrusting the children to wet nurses, as well as women's dedication to the unification of the country and the fight against Russia. However, the reception of the role of Georgian women towards their own country is not limited to the aforementioned issues.

Emphasizing the efforts made by women at different stages of our history is one of the main directions of Tamar Papava's publicism, which can clearly be confirmed by the mentioned letter.

Key words: emigrant literature, publicism, reflection, women's role, “Life of Kartli”.

**აღმოსავლური და ევროპული კულტურული ორიენტაცია -
გამოწვევები ქართული ლიტერატურული პროცესისათვის**

პაიჭაძე თამარ

ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი; თბილისი

DOI: <https://doi.org/10.52340/idw.2023.55>

აბსტრაქტი. ლიტერატურის ისტორია ჟანრის, მეთოდოლოგიის, პრობლემატიკის და მხატვრული ფორმების მრავალფეროვნებასთან ერთად, კულტურულ- ისტორიული ორიენტაციის ისტორიასაც წარმოადგენს. ეს თეზა განსაკუთრებით მუშაობს კავკასიური კულტურის ისტორიის მაგალითზე. თავად ცნებაში - კავკასიური კულტურა მოიაზრება სხვადასხვა მცირე ერების განსხვავებული და ინდივიდუალური კულტურული ტრადიციები. მათ შორისაა ქართული კულტურა და მისი ყველაზე წარმომადგენლობითი ნაწილი- ლიტერატურა.

ახალი ისტორიული რეგულაციისა და ახალი კვლევების გზაზე მნიშვნელოვანი გამოწვევაა კულტურის ინტეგრირება ევროატლანტიკურ კულტურულ სივრცეში. ეს საკითხი ტოტალიტარული რეჟიმის პოსტპერიოდის სახელმწიფოში განსაკუთრებით აქტუალურია.

დღესდღეობით არსებულ ლიტმცოდნეობით თუ კულტუროლოგიურ კვლევება კვალობაზე მოდერნისტული ხელოვნების საქართველოში დამკვიდრების ქრონოსაწყისად XX საუკუნის ათიანი წლები უნდა მივიჩნიოთ; განიხილება, რომ „მოდერნისტულმა ნირვანამ“ ქართულ შემოქმედებით სივრცეში ყველაზე გვიან ოცდაათიანი წლები დამდგამდე გასტანა და გარკვეულწილად კომპონენტური პროფილით წარმოჩნდა,

იმდენად რამდენადაც, ქართულ ხელოვნებაში ის გამოვლინდა სხვადასხვა ავანგარდისტულ მიმართულებებში ამგვარი მაგისტრალური ცვლით: სიმბოლიზმი, ექსპრესიონიზმი, იმპრესიონიზმი, დადაიზმი, ფუტურიზმი, (თანამიმედევრობა დაცულია) და მაშინ როცა ეს მიმდინარეობანი ევროპაში თითქმის საუკუნენახევარი გაიწელა საქართველოში ის ოც წელიწადში „დაამთავრეს“. ...„დაამთავრეს“, რადგან ლიტერატურის (ხელოვნების) ისტორიაში მოდერნიზმის ამ უპრეცედენტო „თავგადასავალს“ ფინალი კიდევ უფრო არაორდინალური ჰქონდა - მას დასასრულისკენ მიზანმიმართულად უბიძგეს და დახურვა აიძულეს; ამ პროცესის მთავარი მოქმედი პირი იყო კოლონიური სახელმწიფო და მისი ტოტალიტარული იოდეოლოგია, რომლის ერთი მთავარი მეთოდი „ტექსტზე ძალადობის“ პოლიტიკა იყო.

მხატვრულ დისკურსთა კონტენტ ანალიზს ლოგიკურად მივყავართ დასავლური მხატვრულ- მსოფლმხედველობრივი ორიენტაციის ქართულ შემოქმედებით კონტექსტში ინსტალირების და სისტემატიზაციის საკითხთან. კავკასიურ სივრცეში მისი გავრცელების ქრონომეტრაჟი და ხარისხი განპირობებული იყო ისტორიული რეალობით. ის მერყეობდა და ცვალებადობდა ასევე კულტუროლოგიური ბაზისის გადანაცვლებათა შესაბამისად. ამ ფაქტორთა მიუხედავად, განვითარების ყველა ეტაპზე საცნაურია მიდრეკილება და სწრაფვა იმ ნოვაციური და ჰეგემონური ტენდენციებისაკენ, რომლებიც კონკრეტულ ეტაპებზე არსებობდა მსოფლიო კულტურის განვითარების გზაზე.

საკვანძო სიტყვები: ლიტერატურა, ისტორია. კულტურულ-ისტორიული ორიენტაცია, ევროპული კულტურა, ქართული კულტურა

ლიტერატურის ისტორია ჟანრის, მეთოდოლოგიის, პრობლემატიკის და მხატვრული ფორმების მრავალფეროვნებასთან ერთად, კულტურულ- ისტორიული ორიენტაციის ისტორიასაც წარმოადგენს. ეს თეზა განსაკუთრებით მუშაობს კავკასიური კულტურის

ისტორიის მაგალითზე. თავად ცნებაში - კავკასიური კულტურა მოიაზრება სხვადასხვა მცირე ერების განსხვავებული და ინდივიდუალური კულტურული ტრადიციები. მათ შორისაა ქართული კულტურა და მისი ყველაზე წარმომადგენლობითი ნაწილი-ლიტერატურა.

ქართული ლიტერატურის მიერ განვლილი გზა ჟანრის, მეთოდოლოგიის, პრობლემატიკის და მხატვრული ფორმების მრავალფეროვნებასთან ერთად, კულტურულ- ისტორიული ორიენტაციის ისტორიასაც წარმოადგენს.

ახალი ისტორიული რეგულაციისა და ახალი კვლევების გზაზე მნიშვნელოვანი გამოწვევაა კულტურის ინტეგრირება ევროატლანტიკურ კულტურულ სივრცეში. ეს საკითხი ტოტალიტარული რეჟიმის პოსტპერიოდის სახელმწიფოში განსაკუთრებით აქტუალურია.

რა იგულისხმება ცნებებში „ევროპეიზაცია და ევროპულობა?“ ევროპას აქვს საერთო ისტორიის ძალიან ძლიერი თანაგანცდა, ერთმანეთთან ბევრი გადაკვეთა, არაერთი მოვლენა ყოფილა ევროპის ისტორიაში, რომელიც ეხებოდა არა ერთ კონკრეტულ ქვეყანას, თუმცა არსებობს განსხვავებული ხალხების და მათი ცხოვრების ფრიად აშკარა განცდაც.

სიტყვაში „ევროპა“ რასაკვირველია, არ იგულისხმება ნიველირებული სივრცე, ერთიანი კულტურული ან თუნდაც პოლიტიკური მონოლითი. ევროპა მრავალფეროვნებათა ერთიანობაა, ცხადია, მას აქვს საერთო: მსოფლიო ცივილიზაციის ისტორია მრავალჯერადი გადაკვეთის მოწმეა ევროპის ისტორიაში, როცა მოვლენები ეხებოდა არა ერთ კონკრეტულ ქვეყანას, არამედ, მთელ ევროპას.

დისკუსია ქართული კულტურის ევროპულობისა თუ არაევროპულობის შესახებ არცთუ დიდი ხანია (90-იან წლებიდან) დაიწყო; ინტეგრაციის ხარისხის განმსაზღვრელად იქცა: თავსებადობა ლიბერალური დემოკრატიის მთავარ პრინციპებთან, დიალოგურობა ურბანულ სივრცეში, გახსნილობა სხვისი აზრისა და პოზიციისადმი და ამავე დროს საკუთარი „ნოსტრიის“ გადალახვა: ინდივიდი - ინდივიდის პირისპირ. თუმცა ცხადია, გვიან მხოლოდ პროცესის ანალიტიკა დაიწყო, თორემ თავად პროცესს უგრძესი ისტორია აქვს, რაც ნაციონალური კულტურული ცივილიზაციის ისტორიას სწორხაზოვნად გასდევს.

ისტორიოგრაფიულ და ორიენტალურ კვლევებში აღიარებულია ადრექრისტიანული ფილოსოფიის ცალსახა გავლენა V-IX საუკუნეების ქართულ ლიტერატურულ პროცესზე, ეს კულტუროლოგიური ორიენტაცია ახლო აღმოსავლურ კულტურულ-ისტორიულ რეგიონზე სწორების შედეგი იყო, ცნებაში - „კულტურულ-ისტორიულ რეგიონი“ მოიაზრება ნაციონალური და ეთნო-ჯგუფები, გაერთიანებული არა გეოგრაფიული მდებარეობის, არამედ კულტურულ- თვისობრივი და ისტორიული კუთვნილების ნიშნებით. ამ რეგიონებში ერთიანდებიან მწერლობათა სხვადასხვა ჯგუფები: 1)ბიზანტიური - შუასაუკუნეობრივი-ბერძნული. 2)სირიულ-ასურული (ცენტრები: ანტიოქიის, კონსტანტინოპოლის, იერუსალიმის ქრისტიანული ცენტრები, რომი, ალექსანდრია). 3) კოპტური (ეგვიპტე) 4) ეთიოპური. 5) ქართული. 6) სომხური 7)სლავიანური; ბულგარული, სერბიული, რუსული.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ისტორიულად, კულტურული განვითარების გზაზე, ჰეგემონი და ინდიკატორი საქართველოში ყოველთვის იყო ლიტერატურა და მწერლობა.

ამდენად, ქართული კულტურული ისტორიული რეგიონი ადრექრისტიანულ ხანამდე უკვე იყო ჩამოყალიბებული. უმნიშვნელოვანესი ინსპირაცია ქართული კულტურისათვის იყო ქრისტიანობის მიღება, თუმცა აქ ჩნდება წინააღმდეგობა, რომელიც კულტურულ არჩევანთან იყო დაკავშირებული, მაგრამ მნიშვნელოვანი პოლიტიკური და ისტორიული დატვირთვა და შედეგიც ჰქონდა: ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად აღიარება საქართველოს ათავისუფლებდა აღმოსავლური ქვეყნების მაშინდელი კოლონიალური ზეწოლისაგან, თუმცა აყენებდა ბიზანტიის იმპერატიული პროტექტორატის საფრთხის წინაშე. ამიტომ კულტურულ-ისტორიული ორიენტაციის არჩევანის გზაზე ფრიად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება იქნა მიღებული: დოგმატურად ქართული ქრისტიანული კულტურა გაუსწორდა კონსტანტინეპოლს, ხოლო კანონიკურად-იერარქიულად დაუკავშირდა სირიას, - იმ დროისათვის სუსტ სახელმწიფოს, რომელსაც არ შეეძლო განეხორციელებინა საქართველოზე პოლიტიკური ზეწოლა.

ქრისტიანობის შემოღების შემდეგ ქართველთა წინაშე დადგა ტრილინგვისტიკის - სამი

წმინდა ენის ქრიტიანული თეორიის დაძლევის ამოცანა, გულისხმობდა რომ მწერლობა უნდა განვითარებულიყო სამ ენაზე, სამი კულტურის მიხედვით: ბერძნულზე, ლათინურზე და ებრაულზე. ტრილინგვისტიკის მომხრეებისთვის ამ თეორიას ჰქონდა პროპაგანდისტული, და დოგმატიკური მოტივები, როცა ქრიტე ჯვარს ეცვა მას თავზე ეწერა „მეფე იუდეველთა“ სამ ენაზე: ბერძნულად, ლათინურად და ებრაულად. ამდენად, თუ ადამიანმა უნდა შეისწავლოს კულტურა, სჯობს რომ ეზიაროს მას ბერძნულად, ლათინურად ან ებრაულად, ვიდრე ვთქვათ ქართულად. ბერძნული და ლათინური ენების გავრცელების არეალი ადრექრისტიანულ ხანაში ბევრად ფართო იყო ვიდრე ძველებრაულისა, რომლის არსებობას ტრილინგვისტიკის სივრცეში უფრო სიმბოლური დატვირთვა ჰქონდა, მხოლოდ ბიბლიური (ძველი აღქმა), პირველადი ენის მოტივით. წმინდა წიგნის (ბიბლიის), ღმერთის შეგონებით და ადამიანის ნებით დაწერილი წიგნის თარგმნით ქვეყანა (ნაცია) შეძლებდა ტრილინგვისტიკის თეორიის დაძლევას და აღმოსავლურ კულტურულ ისტორიულ რეგიონში ჩათვლას. ე.ი. ტრილინგვისტიკის დაძლევა და კულტურულ რეგიონში ჩათვლა განისაზღვრებოდა ბიბლიის თარგმნის დროით და პირველწყაროთი.

საქართველოში ეს მოხდა მეოთხე-მეხუთე საუკუნეში, ამავე პერიოდში განხორციელდა სომხეთშიც. ტრილინგვისტიკის დაძლევის ეს პროცესი საუკუნეების მანძილზე გაგრძელდა ევროპაში, ტრილინგვისტიკური ლათინური ენა ბიბლიის თარგმნის სედეგად IX საუკუნეში დაძლიეს ბულგარელებმა, XI საუკუნეში რუსებმა, XIV -ში ინგლისელებმა და ფრანგებმა, XVII საუკუნეში გერმანელებმა და ა. შ. ამდენად, ორიენტაციის გამსაზღვრელი ევროპული კულტუროლოგიური სვლისათვის ადრექრისტიანული პერიოდიდან გვიან შუა საუკუნეებამდე მოყოლებული იყო ქრისტიანული ფილოსოფია, ხოლო ნაციონალური კულტურის ორიდინალურობას მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავდა ბიბლიის პირველწყარო, ენა, საიდანაც ის ითარგმნა და აქედან გამომდინარე სახელმწიფო და სარიტუალო პოლიტიკა.

საქართველოში ტრილინგვისტიკის დაძლევის შემდგომ ეტაპზე (IX – XI საუკუნეები), გაფართოვდა ლიტერატურის ჟანრული სივრცე, საეკლესიო, აგიოგრაფიული და ჰიმნოგრაფიული ლიტერატურის პარალელურად წარმოიქმნა და მომძლავრდა რაინდული ეპოსი, როგორც ორიგინალური მხატვრული ტექსტი და როგორც ნათარგმნი ლიტერატურული მასალა. ეს უკვე აღარ იყო რელიგიური თემატიკის ტექსტები, ისინი გარკვეულწილად საერო-სათავგადასავლო ისტორიებმა ჩაანაცვლეს. ამ ჟანრის განვითარება ქართული მწერლობის ისტორიაში მეზობელი არაქრისტიანული ქვეყნების კულტურების გაცნობით და ისტორიული ვითარებით იყო განპირობებული. არაქრისტიანული აღმოსავლური კულტურა იქცა ახალ გამოწვევად ადრეული შუა საუკუნეების საქართველოსთვის, რომელიც ამ დროს სუვერენული და ძლიერი ქვეყანა იყო და კულტურული განვითარების გზაზე ახალ მიმართულებებს ეძებდა. ამდენად აღმოსავლური კულტურული ორიენტაციის რადიუსი უფრო გაფართოვდა და საერო ლიტერატურა ანუ რაინდული ეპოსი მხატვრულ-მენტალური თვალსაზრისით აღმოსავლურ (გაუცხოება) შემოქმედებით მეთოდზე დაუძნდა; თუმცა აღნიშნული აღმოსავლური სივრცე აღარ გულისხმობდა მხოლოდ ქრისტიანულ მსოფლმხედველობრივ საწყისს, ის ბევრად მოცულობითი იყო და არაქრისტიანული (ძირითადად მაჰმადიანური) ლიტერატურის ფორმალურ და თემატურ გავლენებს აშკარავებდა. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ ქართული კულტურის ყველაზე დამახასიათებელი და შემოქმედებითად სრულყოფილი ნიმუში: XII საუკუნეში დაწერილი შოთა რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც სიუჟეტურად, იდეურად, ფორმალურად და მხატვრულად ნაციონალურ-ისტორიულ და მენტალური სიმბოლოებზე, მხატვრულ კოდებზე არის დაფუძნებული, მაგრამ მისი წარმომავლობა ავტორისვე მიერ არაქართულად (სპარსულად) ცხადდება, პოემის სიუჟეტი მთლიანად არაქრისტიანულ აღმოსავლეთში ვითარდება (არაბეთი, ინდოეთი, ჩინეთი, სპარსეთი) და პოემაშიც ადრეული შუასაუკუნეების აღმოსავლური ლიტერატურის ნიმუშებზე („ვისრამიანი“, „აბდულმესია“, „დილარგეთიანი“, „ამირანდარეჯანიანი“...) არაერთხელ ხდება აზრობრივი თუ ფორმალური სწორება. ეს ფაქტები პირველყოვლისა მიანიშნებს იმ პერიოდში ქართულ ლიტერატურაში აღიარებულ „გაუცხოების“ მეთოდზე, როდესაც მხატვრული ნაწარმოების და მისი სიუჟეტის პოპულარიზაციის და ნაციონალური არაიდენტურობის

მიზნით ხდებოდა მისი წარმომავლობის გაუცხოება და ამ მიზნისათვის ყველაზე „მოდურ“ არეალად აღმოსავლური მენტალურ-ყოფითი სივრცე მოიაზრებოდა. არაქრისტიანულ აღმოსავლური კულტურაზე მხატვრულ-ფორმალური ორიენტაციის ეტაპი კიდევ რამდენიმე საუკუნის განმავლობაში დომინირებდა ქართულ ლიტერატურაში.

ამ ტენდენციის ხანგრძლივობა საქართველოს სახელმწიფოში მიმდინარე ისტორიული რეალობითაც იყო განპირობებული. XIII-XVI საუკუნეებში საქართველოში ხორციელდებოდა მონღოლთა პოლიტიკური და ეკონომიკური დიქტატურა, რამაც მისი სრული სახელმწიფოებრივი და ეკონომიური დევალვაცია განაპირობა, ამ პერიოდის ე.წ. დაცემის ხანის შედეგები კულტურის და ლიტერატურის განვითარებაზე სრულად აისახა.

მონღოლთა ბატონობის შემდგომ ეტაპზე XVII –XVIII საუკუნეებში, ქართული სახელმწიფოებრიობის აღორძინების ხანაში კულტურული აღმავლობაც განახლდა და ლიტერატურულმა პროცესმა შეწყვეტილი ხაზიდან - აღმოსავლური კულტურული ტრადიციის კვალობაზე განაგრძო სვლა. ...და ეს მაშინ, როცა აღმოსავლური კულტურა აღარ იყო კულტურული დომინანტი და გავლენის ამპლიტუდა თავად გაოგრაფიულად აღმოსავლურ გარემოზეც კი შესუსტდა.

სწორედ ამ დროიდან - XVIII საუკუნის მიწურულიდან, ცნობირდება ერთგვარი ორიენტალური ჭრა და კულტურული ველის გადანაცვლების მცდელობა ქართულ ლიტერატურაში აღმოსავლეთიდან დასავლური კულტურისაკენ. ამ პროცესის ავანგარდში ის ქართველი ლიტერატორები იყვნენ, რომლებიც ბიოგრაფიულად დაუკავშირდნენ დასავლეთის სახელმწიფოებს, ეზიარნენ იქაურ კულტურულ და შემოქმედებით სივრცეებს, ისინი ბევრნი არ იყვნენ, ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქართველი მწერლების სულხან საბა ორბელიანის და დავით გურამიშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობა.

ამ მწერალთა მხრიდან ევროპული მხატვრული სივრცის თუნდაც იმპულსური გაზიარება არ იყო მოვლენათა და გეოგრაფიულ ადგილთა მხატვრული აღქმა, არამედ იყო შემოქმედებით ანტურაჟში წარმოდგენილი მხატვრული დისკურსი რეალური სივრცის, კონკრეტული გეოგრაფიული ადგილის ისტორიული, რელიგიური პოლიტიკური და კულტურული ყოფის გათვალისწინებით.

ქართული საზოგადოების ნაწილის სწრაფვა კათოლიკური ევროპისაკენ, რაც განპირობებული იყო პროტესტით იმდროინდელი სპარსოფილური პოლიტიკის და აქედან გამომდინარე ქვეყნის მძიმე პოლიტიკური ვითარების წინააღმდეგ, აფართოვებდა დასავლური გავლენის არეალს და ქმნიდა ევროპულ კულტურასთან მეტი დაახლოების შესაძლებლობას. ამის ნათელი მაგალითია სულხან-საბა ორბელიანის მოგზაურობა იტალიასა და საფრანგეთში, რუსეთში, მოსკოვში ცხოვრების პერიოდი; ასევე დავით გურამიშვილის ცხოვრების პრუსიული და უკრაინული ეტაპები; ეს ყოველივე ორიგინალურად აისახა ამ მწერალთა შემოქმედებაში. ამ ლიტერატორთა განსაკუთრებული როლი კავკასიური კულტურის ისტორიაში არაერთი მნიშვნელოვანი ფაქტორით არის განსაზღვრული: მათ არა მხოლოდ დაიცვეს საკუთარი კულტუროლოგიური პრინციპები, არამედ, ხელი შეუწყვეს შემდგომი კულტურული ორიენტაციის ჩამოყალიბებას საკმაოდ რთულ და წინააღმდეგობრივ ეპოქაში; მოახდინეს რა ევროპეისტული აზროვნების რეკონსტრუქცია საქართველოში აღმოსავლური კულტურული მოდელისადმი განწყობილ ქართულ საზოგადოებას და ლიტერატურულ სივრცეს შესთავაზეს ევროპული ნეოკლასიკური კულტურის ტენდენციები; მათი მხატვრული ტექსტები იქცნენ არა მარტო კულტურულ-სამეცნიერო, გეოგრაფიულ, ისტორიოგრაფიულ და ლიტერატურულ-ჟანრულ გამოწვევად, არამედ – ინტელექტუალურ ორიენტირად მათივე თანამედროვე კულტურაში. მეტიც, მათ დასაბამი მისცეს ინტერკულტურული კომუნიკაციების ლიტერატურულ ტრადიციას საქართველოში და საფუძველი ჩაუყარეს უაღრესად საინტერესო და მრავალფეროვან ახალ შემოქმედებით ნარატივს, რომელმაც შემდგომ ეპოქებშიც ჰპოვა გამოხატულება, რაც ამ მწერალთა მიერ ორგანიზებული ლიტერატურული და სახელმწიფოებრივი პარადიგმის კონცეპტუალური და სტრატეგიული მნიშვნელობის მაჩვენებელია.

ამ ტენდენციათა ლოგიკური გაგრძელება იყო ის „ევროპული სხივი“, რომელიც ქართულ

ლიტერატურაში დაფუძნებულ ახალ მეთოდოლოგიას შემოჰყვა, იგულისხმება XIX საუკუნის დასაწყისის რომანტიკული სკოლა, რომელსაც რამდენიმე მიმდევარი ჰყავდა და პოეტურ სახისმეტყველებაში იჩინა თავი. მისი მხატვრული ნიადაგი ნაციონალურ კლასიკურ მწერლობაში უნდა ვეძიოთ, ქართული რომანტიკული სკოლის ყველაზე რაფინირებული მხატვრული დისკურსი ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებაში იკვეთება, მაგრამ მისი ლიტერატურული მემკვიდრეობა იმ დროის საზოგადოებისათვის მხოლოდ ფრაგმენტულად იყო ცნობილი; ის ბიუროკრატიულ სამუშაოს ეწეოდა ქვეყნიდან მოშორებულ რეგიონში, სადაც მას, როგორც შემოქმედს არავინ იცნობდა და შემოქმედებითი შესაძლებლობების აღმავლობის ხანაში სრულიად ახალგაზრდა გარდაიცვალა...

როგორც ცნობილია, მოდერნიზმის წინარე პერიოდად ევროპაში რომანტიზმი მიიჩნევა. კულტუროლოგიურ კვლევებში სიმბოლიზმი „ნეორომანტიზმადაც“ მოიხსენება, აქ მუშაობს მისი ისტორიული და დამოკიდებულებრივი მიმართება ევროპული რომანტიკული სკოლების ტრადიციებთან, თუმცა კავკასიურ კულტურაში ეს დამოკიდებულება განსხვავებულია: რომანტიკულ სკოლასთან მოდერნიზმს საქართველოში საუკუნოვანი დისტანცია აშორებს და კავშირი უფრო ისტორიული მეხსიერების დონეზე უნდა მოვიაზროთ. ქართული მოდერნიზმი (რომელიც XX საუკუნის დასაწყისის მოვლენაა) რომანტიკულ შემოქმედებით მსოფლმხედველობაში დასაყრდენს ვერ პოულობს და აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას რომ ეს შემოქმედებითი პროცესი ფრიად იმპულსური და უკვალო აღმოჩნდა ქართული კულტურული შემეცნებისათვის.

ევროპეიზაციის პროცესი ფაქტიურად XIX საუკუნის მიწურულიდან აღსდგა, როცა მწერლობაში ჯერ ე.წ. „სამოციანელთა“ საზოგადოებრივ-ლიტერატურული თაობა გამოჩნდა, ხოლო შემდგომ ამ ლიტერატურული თაობის „უკანასკნელი მოჰიკანი“ მწერალი ვაჟა-ფშაველა. ერთ ეპოქაში მოღვაწეობის მიუხედავად, განსხვავებული იყო ამ მწერალთა მხატვრულ-მეთოდოლოგიური არჩევანი ევროპული არამატერიალური ღირებულებებისკენ: თუ სამოციანელებთან ეროვნულ ფასეულობებზე აპელირებას ნაციონალურ და სოციალურ საკითხთა აქტივაციაში ვხედავთ, ვაჟა ფშაველასთან ახალ მხატვრულ საშუალებათა ძიებისა და წარმოჩენის ტენდენციას ვაცნობიერებთ. ის იყო გამორჩეული გემოვნებისა და ხედვის მქონე მწერალი, განსაკუთრებული სიღრმისა და მასშტაბის ხელოვანი. შესაბამისად, სავსებით მოტივირებულია მისი გავლენა მომავალ ლიტერატურულ სიახლეებზე და განსაკუთრებით ევროპული მოდელის ლიტერატურულ პროცესზე, რაც გულისხმობს ლიტერატურული იდეებისა და ფიგურების არა მარტო ლიტერატურათმცოდნეობით ინოვაციას, არამედ ინტერპრეტაციას და ფართო კულტუროლოგიური სივრცის გათავისებებას; თუმცა ისტორიული მეხსიერებისათვის განახლების ამგვარი პროცესი ახალი ორიენტაციის დამკვიდრების საფუძვლად ვერ იქცა.

XX საუკუნის დასაწყისში ქართული კულტურა-ლიტერატურა კვლავ დადგა უმძიმესი რეალობის წინაშე: სახეზე იყო აშკარა შემოქმედებითი კრიზისი, რაც მხატვრული ღირებულებებთან ფსევდო და იაფფასიანი ლიტერატურის ჩანაცვლებით გამოიხატა. ამ პროცესს გარკვეულწილად პოლიტიკა და ისტორია განაპირობებდა.

ლიტერატურის ისტორიის ეს ეტაპი საქართველოში ათიანი წლებიდან იწყება. შემოქმედებით ძიებათა გზა, მაშინ კვლავ კლასიკური მწერლობის გაკვეთილებზე გადიოდა და არც იყო სხვა ალტერნატივა, ამიტომ მომრავლდა კოპირებული, ეპიგონური, არაორიგინალური ტექსტები, რომელთაც საეჭვო ექსპერიმენტის ღირებულება გააჩნდათ. იყო სხვა მიმართულებებიც, ე.წ. ქალაქური ტექსტი, წვრილ მეწარმეთა და ვაჭართა სოციალური ფენის აღმოსავლური, აშუღური ნარატივი და კიდევ იაფფასიანი საფლირტო-სალონური ნაკადი, რომლებიც ძალიან პოპულარული იყო და წიგნებადაც იბეჭდებოდა. ამ პერიოდს განეკუთვნება კიდევ ერთი მიმართულების ფსევდოლიტერატურა პოლიტიზირებული ლიტერატურული ექსპერიმენტებით, რომელთა მიზანი მაშინდელი სამოქალაქო-სოციალური მეინსტრიმის გაღიზიანება და ხელოვნებაში ამით ახალი ტრენდის (კიჩის) შექმნა იყო.

ეს პროცესები მარქსიზმისა და ნიცშეანიზმის მენტალურ-ფილოსოფიური შეჯახების შედეგად იყო, რაც მაშინ რუსულ და კავკასიურ მენტალობაში განსაკუთრებულ დაპირისპირებათა

საფუძველსაც წარმოადგენდა.

უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს კრიზისი იქცა ერთგვარ მოტივაციად და გამოწვევად ახალი შემოქმედებითი ძიებებისა, რომელიც იმ დროისათვის სრულიად ახალგაზრდა მომავალმა ქართველმა მოდერნისტებმა განახორციელეს. აქედან იწყება ევროპეიზაციის გამოკვეთილი და შეუქცევადი პროცესი ქართულ კულტურაში, მოდერნისტულმა ფილოსოფიამ ლიტერატურაში ახალი მხატვრული ფორმები დაამკვიდრა. პოეზიაში მან მნიშვნელოვანი ნარატიული ნოვაციები განაპირობა. ეს იყო საგანთა და მოვლენათა მედიტაციური აღქმა, ლირიკული გმირის ფსიქოსამყაროს წარმოჩენა, სიმბოლურ-პარადიგმული აღქმის ხელოვნება, ირაციონალური სამყაროს და მასში ადამიანის როლის გაცნობიერება. ამ პროცესთა ავანგარდში იყვნენ ქართველი სიმბოლისტები გალაკტიონ ტაბიძე, პაოლო იაშვილი და ვალერიან გაფრინდაშვილი. მათთვის ახლობელი აღმოჩნდა ევროპული მოდერნისტული მსოფლმხედველობა, ამ სკოლების შემოქმედნი და მათი მხატვრული სახე-სიმბოლოები, რაც ტრანსცენდენტალიზმისა და სულიერი მოუწყობლობის კულტივიზაციის, დუალისტური ფილოსოფიის ქართულ თეორიებში ინტერპერეტაციასა და გარესამყაროს, სიყვარულის მითომოდერნისტულ მსოფლალქმაში ცნობიერდება. ამასთან ერთად, მკვიდრდება მოდერნისტული პროზა და მისი წარმომადგენლები: კონსტანტინე გამსახურდიას, ნიკოლორთქიფანიძის გრიგოლ რობაქიძის და სხვთა შემოქმედებით ნარატივში ჩნდება ახალი პერსონაჟი მოქალაქე, გაუცხოებული, მეამბოხე, არსებული რეალობის მძაფრი აღმქმელი და გამაანალიზებელი - ე.წ. „ევროპული რომანის“ გმირი.

დღესდღეობით არსებულ ლიტმცოდნეობით თუ კულტუროლოგიურ კვლევებაზე კვალობაზე მოდერნისტული ხელოვნების საქართველოში დამკვიდრების ქრონოსაწყისად XX საუკუნის ათიანი წლები უნდა მივიჩნიოთ; განიხილება, რომ „მოდერნისტულმა ნირვანამ“ ქართულ შემოქმედებით სივრცეში ყველაზე გვიან ოცდაათიანი წლების დამდეგამდე გასტანა და გარკვეულწილად კომპონენტური პროფილით წარმოჩნდა, იმდენად რამდენადაც, ქართულ ხელოვნებაში ის გამოვლინდა სხვადასხვა ავანგარდისტულ მიმართულებებში ამგვარი მაგისტრალური ცვლით: სიმბოლიზმი, ექსპრესიონიზმი, იმპრესიონიზმი, დადაიზმი, ფუტურიზმი, (თანამიმდევრობა დაცულია) და მაშინ როცა ეს მიმდინარეობანი ევროპაში თითქმის საუკუნენახევარი გაიწელა საქართველოში ის ოც წელიწადში „დაამთავრეს“. „...დაამთავრეს“, რადგან ლიტერატურის (ხელოვნების) ისტორიაში მოდერნიზმის ამ უპრეცედენტო „თავგადასავალს“ ფინალი კიდევ უფრო არაორდინალური ჰქონდა - მას დასასრულისკენ მიზანმიმართულად უბიძგეს და დახურვა აიძულეს; ამ პროცესის მთავარი მოქმედი პირი იყო კოლონიური სახელმწიფო და მისი ტოტალიტარული იოდეოლოგია, რომლის ერთი მთავარი მეთოდი „ტექსტზე ძალადობის“ პოლიტიკა იყო.

ამ მხატვრულ დისკურსთა კონტენტ ანალიზს ლოგიკურად მივყავართ დასავლური მხატვრულ-მსოფლმხედველობრივი ორიენტაციის ქართულ შემოქმედებით კონტექსტში ინსტალირების და სისტემატიზაციის საკითხთან. კავკასიურ სივრცეში მისი გავრცელების ქრონომეტრაჟი და ხარისხი განპირობებული იყო ისტორიული რეალობით. ის მერყეობდა და ცვალებადობდა ასევე კულტუროლოგიური ბაზისის გადანაცვლებათა შესაბამისად. ამ ფაქტორთა მიუხედავად, განვითარების ყველა ეტაპზე საცნაურია მიდრეკილება და სწრაფვა იმ ნოვაციური და ჰეგემონური ტენდენციებისაკენ, რომლებიც კონკრეტულ ეტაპებზე არსებობდა მსოფლიო კულტურის განვითარების გზაზე.

ლიტერატურა:

1. კეკელიძე კ. (1981) ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, თსუ გამომცემლობა, თბილისი
2. პაიჭაძე თ. (2018) მოდერნიზმი და ქართული ლიტერატურა, თსუ გამომცემლობა, თბილისი
3. ყაუხჩიშვილი ს. (1973). ბიზანტიური ლიტერატურის ისტორია, თსუ გამომცემლობა, თბილისი
4. სირაძე რ. (2008). კულტურა და სახისმეტყველება, თსუ გამომცემლობა, თბილისი
5. Beck H. (1959). Kirche und Theologische literature in Byzantinischen Reich. Munchen: 1959.

6. Bakhtin M. (1979). *Aesthetics of verbal creativity*. Moscow, 1979.
7. Bardenhever O. (1924). *Geschichte der Altkirchlichen Literature, Bd. IV (Das Fünfte Jahrhundert mit Einschluss der syrischen Literature des vierten Jahrhunderts)*, Berlin 1924.
8. Barthes R. (1968). *Writing Degree Zero* Hill and Wang; New York. ISBN 0-374-52139-5 (1968).
9. Blake R. P. (1932). *Catalogue des Manuscrits Georgiens de la Bibliothèque de la laure D' Iviron au mont antos*, I, Paris, Librairie auguste picard, 1932.
10. Horn C. (2006) *Asceticism and Christological Controversy in Fifth-Century Palestine. The career of Peter the Iberian*. Oxford Early Cristian Studies. Oxford 2006.
11. Magarotto I. Marzaduri M., Pagani G. C., (1982). *L'Avanguardia a Tiflis: Studi, Ricerche, Cronache, Testimonianze, Documenti Seminario di Iranistica, Uralo-Altaistica e Caucasologia dell'Università degli Studi di Venezia*, 1982.
12. Sartre J.P. (1988). *What is literature? and other essays* Cambridge, Mass. : Harvard University Press, 1988
13. Reifield D. (2000). *The Literature of Georgia: History*, Curzon Press, 2000.
14. Jung C.G. (1987). *On the relation of analytical psychology to poetic and artistic creativity* Moscow University press. 1987.
- 15.

Eastern and European cultural orientation - challenges for the Georgian literary process

Paichadze Tamar

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Tbilisi

Abstract

History of literature, along with the diversity of forms of genres, methodology, problematic and artistic approach, is also the history of cultural-historic orientation. The given thesis especially fits the history of Caucasian culture. The term Caucasus culture itself means different and individual cultural traditions of many different smaller nations including the Georgian literature and its most representative part – literature. It is a known fact that starting the Middle Ages, the center of cultural civilization has moved from Asia to Europe. Historiographic and oriental researches recognize the clear influence of early Christian philosophy on the Caucasian (Georgian) literature processes of the 5th – 9th centuries. Such culturological orientation was the result of influence from the Middle East cultural-historic region.

During the next stage (9th – 11th centuries) the area of eastern cultural orientation extended and the so-called general literature or knight epos was founded on the basis of eastern creative method and its creativeness approaches; such influence from eastern cultural traditions continued for quite a long period of time, till the end of the 18th century... This happened when the oriental culture was not a cultural dominant and its influence amplitude weakened even over the geographically eastern area. From the beginning of the 19th century, in Georgian culture appeared the certain oriental cutting and attempt of shifting the cultural field. First “European beam” entered the Georgian literature along with European methodology, meaning the romantic school; although, the given tendency appeared to be quite impulsive and unnoticeable for Georgian cultural cognition. Europeanization process was in fact resumed from the 1860s, when the new generation of writers appeared, although, despite their work in one epoch, their choice towards nonmaterial values was different: for one part of this generation, appealing to European values was expressed in activation of national and social issues, while in the creative heritage of the second part of them, we can see the tendency of search for and introduction of new creative methods.

Still, such closing with European values has not become the foundation for the introduction of orientation in the context of whole historic memory. In early 20th century, Georgian culture-literature again faced the toughest reality: what appeared was the clear creative crisis, which was expressed by replacement of literature values by pseudo and “cheap” literature. The given process was the result of the mentalphilosophic clash between Marxist and Nietzschean worldviews. We

must presume that the given crisis became the motivation and challenge for new creative searches, which were conducted by at that time very young, future Georgian modernists. From this point started the clear and irreversible process of Europeanization; modernist philosophy introduced completely new creative forms in literature. In poetry it was the meditational perception of subjects and events, description of psychological world of a lyrical character, art of symbolic-paradigm perception, understanding of irrational world and realizing the role of a human being in it. In addition to all the aforementioned, in literature appeared a new character – a rebel citizen harshly realizing and analyzing the reality – the so-called “new perception” character.

Keywords: Literature, History, Cultural-historic orientation, European culture, Georgian culture

**მოგონება და ტრავმული გამოცდილება ზაირა არსენიშვილის
მოთხრობაში „როცა მძვინვარებს შიში და ძრწოლა“**

პატარიძე სალომე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი

DOI: <https://doi.org/10.52340/idw.2023.56>

კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული ფონდის მხარდაჭერით: FR-22-793

აბსტრაქტი. განსაზღვრული სოციო-კულტურული კონტექსტების შედეგად წარმოქმნილი მოგონებების აქტების შესწავლით შეიძლება ვიხელომდვანელოთ მათი შექმნისა და ფუნქციონირების გზების შესახებ. მოგონებები არ არის წარსულის სურათების ობიექტური ანარეკლი, ის უფრო მეტად მათი სუბიექტური რეკონსტრუქციაა, რადგან მოგონების პროცესი უკვე დამახსოვრებული ხელმისწვდომი მონაცემების აწმყოში განხორციელებული ოპერაციაა. წარსულის ვერსიები იცვლება ყველა იმ სიგნალით, რომლებიც დამოკიდებულია ცვალებად აწმყოზე. წინამდებარე კვლევაში გაანალიზდება ქართველი კინოდრამატურგის, მუსიკოსისა და მწერლის, ზაირა არსენიშვილის, მოთხრობა „როცა მძვინვარებს შიში და ძრწოლა“ მოლის ჰალბვაქსის, იან და ალიდა ასმანებისა მიდგომების (კოლექტიური მეხსიერება, კულტურული მეხსიერება და კულტურული იდენტობა, ტრავმული მეხსიერება) გამოყენებით. ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა, თუ რა როლი და მნიშვნელობა აქვს გახსენებას ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში, როგორ ცდილობს რეჟიმი კულტურული მეხსიერების გაქრობას, რადგან ეს უკანასკნელი სოციალური ჯგუფის იდენტობის საფუძველს წარმოადგენს, როგორ ხორციელდება საკვლევ ტექსტში სისტემის მიერ ავტობატის დემონიზაცია და რას გვამცნობენ ნაწარმოებში აღწერილი სხეულები, როგორც მოგონების ნიშან-მატარებლები.

საკვანძო სიტყვები: ავტობატი, სხეული, მეხსიერება, ტოტალიტარიზმი, სიზმარი

შესავალი

ქართველ კინოდრამატურგს, მუსიკოსსა და მწერალს, ზაირა არსენიშვილს, რომელსაც მწერლობის საწყის ეტაპზე ტექსტების გამოქვეყნებასთან დაკავშირებით წინაღობები შეექმნა, არასოდეს უფიქრია, კონიუქტურას მორგებოდა, მით უფრო, რომ კინო ჰქონდა ალტერნატიულ გზად იმისათვის, რომ აუდიტორიამდე შეტყობინებები გაეგზავნა. ზაირა არსენიშვილის ტექსტები ეხება საქართველოს (ასევე მთელი მსოფლიოს) ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე შემზარავ პერიოდს-საბჭოთა რეპრესიებს. პირად ინტერვიუში ავტორი აღნიშნავს, რომ მას არ ჰქონდა უფლება, არ დაეწერა იმ ტრავმებისა და განსაცდელზე, რომლებიც მისმა ოჯახმა, ახლობლებმა და მის ირგვლივ მყოფმა ადამიანებმა გადაიტანეს ამ მძიმე პერიოდში, ამიტომაც მწერლის მიერ დაწერილი ყოველი სიტყვა პირადად განცდილია. ზაირა არსენიშვილს ბავშვობიდანვე ესმოდა „შავსიელების“, ტერორის, პროპაგანდის, დახვრეტისა და გადასახლების შესახებ. ის სულ პატარა გოგონა იყო, 5 წლის, როდესაც მამამისი დაიჭირეს და დახვრიტეს, რაც პაპამ ვერ გადაიტანა და მალევე დაიღუპა. „საბჭოთა დროის პარადოქსებში“ ავტორი ამბობს, რომ ყველა მის მიერ მოთხრობილი ამბავი თანამდეროვე გადასახედიდან წარმოუდგენელი და დაუჯერებელია იმათთვის, ვინც ამას არ მოსწერებია, ამიტომაც შეიძლება არ დაიჯერონ და არც გამიკვირდებოდნენ.

წინამდებარე კვლევაში გაანალიზდება ზაირა არსენიშვილის მოთხრობა „როცა

მშენებარებს შიში და ძრწოლა“ იან და ალეიდა ასმანების კულტურული და კომუნიკაციური მეხსიერების და მორის ჰალბვაქსის კოლექტიური მეხსიერების საფუძველზე. კვლევის მიზანს წარმოადგენს საკვლევი ტექსტის შერჩეული თეორიული მიდგომებით ანალიზ-ინტერპრეტაციის საფუძველზე წარმოჩინდეს, თუ რა როლს ასრულებს მოგონება/მოგონებები ტოტალიტარულ რეჟიმში და ახერხებს თუ არა ინდივიდის ფსიქიკა გარედან მიღებული იმპულსების მიხედვით მოქმედებას მკაცრი ტერორის პირობებში.

მოგონება და მოგონების ადგილი

მეხსიერება, მოგონება და დავიწყება ერთმანეთთან როგორც ინდივიდუალურ, ასევე კოლექტიურ დონეზე მჭიდროდაა დაკავშირებული. მოგონების პროცესი წარსულში დამახსოვრებული ხელმისაწვდომი მონაცემების აწმყოში განხორციელებულ ოპერაციად მოიაზრება, წარსულის ვერსიები კი იცვლება ყველა იმ სიგნალის გავლენით, რომლებიც ცვალებად აწმყოზეა დამოკიდებული, ამიტომაც ინდივიდუალური და კოლექტიური მოგონებები არასოდეს არის წარსულის სარკე, მოგონებლისათვის აწმყოში უფრო მეტად სამხილად მიიჩნევა (Erl 2011, 7).

ჰალბვაქსი თვლიდა, რომ პერსონალური მოგონება კოლექტიური ფენომენია და, მაშასადამე, ინდივიდუალურ მოგონებებს სოციალური ხასიათი აქვს, ამის მიზეზი კი ის არის, რომ ადამიანი სოციალური არსებაა და სხვა ადამიანის გარეშე მას არა აქვს წვდომა არა მხოლოდ ისეთ კოლექტიურ ფენომენებზე, როგორებიცაა: ენა, წეს-ჩვეულებები, არამედ ასევე საკუთარ მეხსიერებაზე. ეს იქედან გამომდინარეობს, რომ ჩვენ საკუთარ მოგონებებს სხვა ადამიანების წრეში ვქმნით და ეს გვეხმარება მოვლენების მოგონებაშიც. მორის ჰალბვაქსი თავის შრომებში განავითარებს კოლექტიური მეხსიერების ცნებას (mémoire collective), აღიშნულმა ცნებამ კოლექტიური მეხსიერების კვლევებში ცენტრალური ადგილი დაიკავა. მისთვის გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ სხვა ადამიანებთან კომუნიკაციისა და ინტერაქციის შედეგად გვაქვს ცოდნა ფაქტების, მოვლენების, დროისა და სივრცის კოლექტიური წაროდგენის შესახებ, რადგან ჩვენ კოლექტიურ, სიმბოლურ წესრიგში ვმონაწილეობთ და შეგვიძლია წარსულის მოვლენების გახსენება და გაშიფვრა. გვაქვს აზროვნების სქემები, რომლებიც აღქმასა და მოგონებას განსაზღვრავენ. ჩვენი აღქმა კონკრეტული ჯგუფისათვის სპეციფიკურია და ინდივიდუალური მოგონება- სოციალურად განსაზღვრული. მაშასადამე, კოლექტიური და ინდივიდუალური მეხსიერება ურთიერთკავშირშია, რადგან, როდესაც ინდივიდი იგონებს რაიმე მოვლენას, ის ჯგუფის პოზიციაზე დგას (Erl 2014, 17) და ჯგუფის მეხსიერება მოდის სისრულეში. სწორედ ინდივიდუალური მოგონების აქტით კოლექტიური მეხსიერება დაკვირვებადი ხდება, ხოლო ყველა ინდივიდუალური მეხსიერება ეს არის მსოფლმხედველობითი პუნქტი კოლექტიური მეხსიერებიდან. ვინაიდან თითოეული ადამიანი მიეკუთვნება სხვადასხვა სოციალურ ჯგუფს, ესენია: ოჯახი, რელიგიური გაერთიანება, სამუშაო ადგილი და ა.შ. შესაბამისად, მისი აზროვნების სისტემა და ასევე გამოცდილებები სწორედ ამ მიკუთვნებით განისაზღვრება (Halbwachs 1980, 78-83).

პიერ ნორა, ჰალბვაქსისაგან განსხვავებით, რომელიც კოლექტიური მეხსიერების არსებობიდან ამოდის, ყურადღებას „მოგონების ადგილებზე“ ამახვილებს, რაც ანტიკური ტრადიციით *მნემონიკას* (Mnemotechnik-loci) მოიზარებს. მოგონების ხატებები /სურათები შეიძლება იყოს როგორც გეოგრაფიული ადგილი, შენობები, ძეგლები, ხელოვნების ნიმუშები, ასევე ისტორიული პირები, სიმბოლური ქმედებები, ფილოსოფიური და სამეცნიერო ტექსტები. მოგონების ადგილებად ის ნიშნები იწოდება, სადაც რაიმე მოვლენა აღსრულდება. მოგონების ადგილის სამი განზომილება შეიძლება გამოიყოს: 1. მატერიალური განზომილება 2. ფუქციონალური განზომილება 3. სიმბოლური განზომილება

იან და ალეიდა ასმანები მიჯნავენ ერთმანეთისაგან 1)კულტურულ და 2) კომუნიკაციურ მეხსიერებას, რომელთაგან უკანასკნელი ყოველდღიური ინტერაქციის საფუძველზე წარმოიშობა, შესაბამისად, დროითი ჰორიზონტი შეზღუდულია და მოიცავს 80-100 წელს. კომუნიკაციური მეხსიერების შინაარსები ცვალებადია და ,შესაბამისად, მნიშვნელობები მყარი არ არის. ნებისმიერი მიიჩნევა კომპეტენტურად, საერთო წარსული მოიგონოს და განმარტოს. იან ასმანის მიხედვით, კომუნიკაციური მეხსიერება ორალური ისტორიის ნაწილი და

კულტურული სფეროს ოპოციზიციური ცნებაა, ვინაიდან კულტურული მეხსიერების შემთხვევაში საქმე გვაქვს მყარ შინაარსებსა და მნიშვნელობასთან, რომელთა ინტერპრეტაცია და განგრძობითობა კონკრეტულ სპეციალობებთან არის დაკავშირებული (შამანები, სასულიერო პირები და ა.შ). კვლევის საკითხს კი კულტურული მეხსიერების შემთხვევაში წარმოადგენს მითიური, ასევე საზოგადოების ჩამომყალიბებელი მნიშვნელოვანი მოვლენები შორეული წარსულიდან (Assmann 1997, 50-53).

ანალიზი - „როცა მძვინვარებს შიში და ძრწოლა“

კულტურის კვლევებში ერთმანეთისაგან განასხვავებენ აქტიურ და პასიურ გახსენებას. პასიური გახსენებისაგან განსხვავებით, რომელიც გაუკონტროლებელი და არასტრუქტურირებულია, აქტიური გახსენება გაცნობიერებული პროცესია და იდენტობას აყალიბებს, შესაბამისად, არსს აძლევს ცხოვრებას (ცაგარელი 2016, 270-271).

ზაირა არსენიშვილის მოთხრობაში „როცა მძვინვარებს შიში და ძრწოლა“ რამდენიმე ოჯახის მაგალითზე აღწერილია რეპრესიების პერიოდი საქართველოში. როგორც ავტორი ტექსტის ქვესათაურში გვამცნობს, მოთხრობა გადმოგვცემს პროტაგონისტის ცხადსა და სიზმარს, რადგან დიდი ტერორის (1937-1938) პერიოდი ისეთივე დამზაფრელი იყო, როგორც სიზმრად ნანახი კოშმარები, ამიტომაც ადამიანებს ერთმანეთში ერეოდათ ცხადი და ილუზია. პროტაგონისტი მთელი მოთხრობის განმავლობაში წარსულის მოვლენების აქტიურ გახსენებას მიმართავს და ამით ცდილობს შეინარჩუნოს იდენტობა იმ მძიმე პერიოდში, როდესაც ტოტალიტარული რეჟიმი კულტურული მეხსიერების გაქრობას სხვადასხვა გზით ცდილობს, კერძოდ:

➤ ოჯახებიდან, ბიბლიოთეკებიდან წიგნებს ანადგურებენ. თამარს, რომელიც ხარობს მძიმე პოლიტიკურ-ისტორიულ პერიოდში იმით, რომ ბიბლიოთეკაში მუშაობა მაინც შეუძლია, გადასცემენ გასანადგურებელი წიგნების სიას. თამარს გაცნობიერებული აქვს, რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს კულტურული მეხსიერების განადგურებას როგორც მისი, ასევე მომავალი თაობისათვის, ამიტომაც სიცოცხლის ფასად წიგნებს იმ პატარა მიწურში, საწოლის ქვეშ მალავს, რომელშიც რეჟიმმა ქმრის დაპატიმრების შემდეგ შეასახლა. ცხადია, თამარისათვის ნათელია, როგორი სახიფათოა სისტემის დაუმორჩილებლობა, მაგრამ ისიც კარგად იცის, თუ არ გადაარჩენს ღირებულ ცოდნას, მაშინ საბჭოთა ბოროტების ფესვგადგმაში მიიღებს მონაწილეობას, ამიტომაც აღმოხდება მას შემდეგი სიტყვები, როდესაც გასანადგურებელი წიგნების სიას შეაჩერებს ხელში მაყვალა: „სავლე, სავლე, რატომ მდევნი მე...“ (იგულისხმება პავლე მოციქულის გამოცხადება-დამასკოში ქრისტიანების დასაპატიმრებლად მიმავალმა პავლე მოციქულმა იხილა სინათლე, საიდანაც მოესმა ხმა: „სავლე, სავლე, რატომ მდევნი მე? ძნელია შენთვის ეკალზე წიხლის რტყმა?“ (საქმე 9:4) (არსენიშვილი 2020, 60). ვინაიდან კულტურული მეხსიერება სოციალური ჯგუფის იდენტობის საფუძველია (Assmann), მისი გაქრობით ტოტალიტარული მმართველობის მესვეურებს შესაძლებლობა ეძლევათ თვითობადაკარგული მასების კონტროლის და ამით ახალი იდეოლოგიური „ეთიკისა“ და „ღირებულებების“ დამკვიდრებისა, რაც ტოტალიტარული რეჟიმებისთვის აპრობირებული მიდგომაა.

➤ ანადგურებენ იმ ადამიანებს, რომლებიც კულტურული მეხსიერების მატარებლები არიან. განსხვავებით კომუნიკაციური მეხსიერებისაგან, რომელიც ადამიანთა ყოველდღიური ინტერაქციით წარმოიქმნება, კულტურული მეხსიერება ინსტიტუციურია და მისი მატარებლები სპეციალისტები არიან (Erl 2011, 30-31). ზაირა არსენიშვილის მოთხრობაში სისტემა ანადგურებს კულტურული მეხსიერების მატარებელ შალვას, ჭეშმარიტ მეცნიერს, რომელსაც ბრალად ფაშიზმის აგენტობა დასწამეს მხოლოდ იმის გამო, რომ გერმანიაში ჰქონდა

განათება მიღებული და მის ნაცვლად უნივერსიტეტში იღებენ ფსევდომეცნიერ გიგლას, რომლის „ნაშრომები“ პლაგიატს წარმოადგენს, რასაც თამარი მარტივად ხვდება გიგლას მითვისებული აზრების რედაქტირებისას. თამარს ღრმად სწამს, რომ მისი მეუღლე შალვა ქვეყნისათვის „საჭირო ადამიანია“ (არსენიშვილი 2020, 27) და რეჟიმიც მალე გაათავისუფლებს, თუმცა შალვა, რომელიც ფაშიზმის ეკონომიკის ღრმა კრიტიკულ ანალიზზე მუშაობდა, სისტემისათვის საფრთხეს წარმოადგენდა, რადგან ადვილად შეეძლო საბჭოთა სისტემის მუშაობის მექანიზმების ამოცნობა და ამიტომაც, თამარის რწმენის მიუხედავად, მეცნიერი შალვა სხვა დახვრეტილებთან ერთად სახელდახელოდ გათხრილ ორმოში ჩააგდეს სოღანლულთან.



ვინაიდან

კულტურული მეხსიერება ასახავს ჯგუფის საცხოვრებო სივრცეს და მის ავტოხატს, ტოტალიტარული რეჟიმი ცდილობს, საცხოვრებელი სივრცის მნიშვნელობის ცვლილებით ან ჩამორთმევით და არსებული ავტოხატის დემონიზაციით, კულტურული მეხსიერების განადგურებას, რაც ავტოხატის მოშლას მოასწავებს. რეპრესირებულების ოჯახებს ასახლებენ და გადაჰყავთ კულტურული სივრცის საპირისპირო ანტი სივრცეში, რაც ინდივიდის დასჯის და დაპატრონების ერთი-ერთი სტრატეგიაა-ართმევს ინდივიდს პირად სივრცეს, ყველა ნივთს და ადამიანს, რომელიც მის წარსულთან, თვითგანსაზღვრულობასთან არის დაკავშირებული. მეორე მხრივ, იცვლება სივრცითი სემანტიკა -პროტაგონისტისათვის თბილისის ცენტრალური რუსთაველის გამზირი დიდ ტერორამდე ის მშობლიური სივრცეა, სადაც ადამიანებს ერთმანეთის ხილვა ახარებთ, თუმცა ერთ დროს ინტიმური სივრცე სრულიად უცხოდ და საშიშად იქცევა პოლიტიკური ცვლილებების კვალდაკვალ: რუსთაველის გამზირზე „ქვეყნის მტრის“ შვილებს, ცოლებს ახლობლები თვალს არიდებენ და გაურბიან. ძალიან უჭირს თამარს, აუხსნას შვილს, თუ რატომ არ მიესალმა დედა-შვილს რუსთაველის გამზირზე შემთხვევით გადაყრილი ბიძია მირიანი, რომელთან ერთადაც მამა სამშობლოს სადღეგრძელოს სვამდა. რეჟიმი აიძულებს ადამიანებს, მტრად შერაცხონ ყველა ახლობელი, ვისაც რეჟიმი გარიყავს და იწყებს სისტემამდე არსებული ავტოხატის ანტიკამპანიასა და მის ნელ-ნელა რღვევას. ჰერტა მიულერი და ზაირა არსენიშვილი აღწერენ, თუ როგორ აზეპირებინებს რეჟიმი საბავშვო ბაღიდანვე ბავშვებს იდეოლოგიურ ლექსებს, სიმღერებს, ბელადის/ დიქტატორის მიზამვასა და კულტივიზაციას მასებში ამკვიდრებს და იმდენად ფესვგადგმულ აქტებად აქცევს, რომ მისგან თავის დაღწევა წარმოუდგენლადაც კი ეჩვენება ადამიანს. ბავშვობაში პიროვნულობის მოსპობით ტოტალიტარული რეჟიმები იღებდნენ ისეთ მოწიფულ ადამიანებს, რომლებიც ვეღარ ახერხებდნენ ინდივიდუალური მახასიათებლების წარმოჩენას და, შესაბამისად, თვითდამკვიდრების ერთადერთ გზად ძალაუფლებისადმი უსიტყვო მორჩილება რჩება.

ზაირა არსენიშვილის ტექსტში წარმოჩენილი შიშები, სიზმრები და მოგონებები ემსახურება იმას, რომ გამოიკვეთოს იმ საზოგადოების ავტოხატი, რომელსაც თამარი მიეკუთვნება, რითაც მიჯნავს საკუთარ თავს ახალი ყაიდის (ნომენკლატურასთან შეამხანაგებული) საზოგადოებისაგან. ნაწარმოებში „როცა მძვინვარებს შიშსა და ძრწოლა“ თამარი იგონებს, თუ როგორ ფასეულობას წარმოადგენდა თავისი წინაპრებისა და ოჯახისათვის შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, კითხულობს ვაჟა-ფშაველას „ფესვებს“ და ნაწარმოების დასაწყისსა და დასასრულშიც დაჟინებით ცდილობს, რუსულ ენაზე გადათარგმნოს ვაჟა-ფშაველას ტექსტები, მაშასადამე, ნორმატიული ტექსტების კითხვით, ანალიზითა და თარგმნით ექსპლიციტურად ხაზი ესმება თამარის წადილს, გამოააშკარაოს ის მორალურ-ღირებულებითი დასაყრდენი, რომელიც საკუთარი თავის ამოცნობისთვის (პასუხი

კითხვაზე: ვინ ვართ?) მნიშვნელოვანია.

თამარის სიზრები მჭიდროდაა დაკავშირებული იმ ისტორიულ-პოლიტიკურ გარემოსთან, რომელშიც ის ცხოვრობს, მეტიც, სიზრებისა და მოგონებების ურთიერთგავლენა და კავშირი პერსონაჟების ხასიათისა და შეხედულებების ახსნის ერთი-ერთი საუკეთესო გზაა. ზაირა არსენიშვილის მოთხრობაში თამარი პირველ სიზმარში ხედვას, თუ როგორ მართავს რუსთვალის გამზირზე ცნობილი ჟონგლიორი დიდ ატრაქციონს. თამარს ცუდს უგრძნობს გული და ქმარს სთხოვს, ატრაქციონს არ გაეკარონ, მეუღლე კი ამშვიდებს იმით, რომ, თუ რაიმე მართლა საშიში აღმოჩნდება, თავშესაფრად ოპერის შენობა აქვთ. აღნიშნული სიზმრით ტექსტის დასაწყისშივე რეჟიმის მიმართ უნდობლობა და ხიფათის განცდა იკვეთება. საბჭოთა პროპაგანდამ „ჟონგლიორობით“ თავბრუ დაახვია საზოგადოებას იდილიურ, თანასწორ და სამართლიან სამყაროში ცხოვრების დაპირებით, თუმცა „ბედნიერების ატრაქციონი“ სასაკლავოდ აქცია, ხოლო თბილისის ცენტრალური ქუჩა- თვალთვალისა და ხიფათის ადგილად. „საბჭოთა ქაჯების“ პროექტით რეჟიმი ადამიანებს წვრთვნის, რომლებიც საზოგადოებას ბუზებივით კლავს (არსენიშვილი 2020, 21-23).

შალვას სოღანლულთან დახვრეტის წინა დღით თამარს ესიზმრება, თუ როგორ ემშვიდობება ქმარი მას და თან დასძენს, რომ ახლა თავისუფალია და არაფრის ემინია. სიზმარში თამარი იმ ჩეკისტს შენიშნავს, რომელმაც შალვა დააპატიმრა. მოულოდნელად ჩეკისტი შალვასგან საფრთხეს გრძნობს და ევედრება მას, არ მოკლას, რაზეც შალვა პასუხობს: „მე თუ იმას ჩავიდენ, რასაც შენ სჩადი, ეგ რაღა გამოვა? ორივენი ჯოჯოხეთში ამოვყოფთ თავს...“ (არსენიშვილი 2020, 104). აღწერილი სიზმრით აიხსნება თამარის /მოთხრობის ცენტრალური შიში-შალვას გადაკეთება ვერ შეძლონ, ვერ მოახერხონ მისი სულიერი და მორალური განადგურება. აღნიშნული შიში თამარს შვილის მიმართაც უჩნდება, ოთარმა, სხვა მისი თანატოლების მსგავსად, მტრად გამოცხადებული მშობელი არ უარყოს და ამით რეჟიმს ინდივიდის საბოლოოდ ამოძირკვის საშუალება არ მისცეს.

მოთხრობაში ტრავმული მოგონებების რეპრეზენტაციის ფორმად იუმორია გამოყენებული: ოთარის მეგობარი სოსო, რომელიც საკუთარი სახლიდან გამოსასახლეს და აიძულეს მამა დეგმო, ჩაკვდა შინაგანად და ამ მძიმე ტრავმის გამოხატვისათვის იუმორს მიმართავს- გოგონებს უყვება უნივერსიტეტში, თუ როგორ მხიარულად ცხოვრობს კიბისქვეშა ხუხულაში თავგებთან ერთად და როგორ „იზრუნეს“ ზემოდან იმაზე, რომ მარტო არ დარჩენილიყო; ჯერ დედ-მამა წაართვეს და შემდეგ თავგები მეგობრებად მიუჩინეს. ოთარი კი დედას უყვება ანეგდოტს, რომლითაც გადმოიცემა მისი თაობის ყველაზე დიდი ტრავმა-დანაშაულის აბსურდულობა-როგორ ხდის ტოტალიტარული რეჟიმი მშობლებისა და შვილების თაობებს არარსებული დანაშაულის თანამონაწილეებად და ქმნის შთაბეჭდილებას ბელადის/ სისტემის შეუმცდარობის შესახებ. ანეგდოტი ეპოქის სულს ყველაზე კარგად გადმოსცემს: „გამოდის თავჯდომარე და ამბობს: ხალხო, დღის წესრიგში ერთადერთი საკითხიაო, თქვენი ჩამოხრჩობის საკითხიო... დარბაზში სიჩუმეა... ხალხო, ნუთი სიკვდილის წინ სათქმელი არაფერი გაქვთო... ბოლოს ერთმა აიწია ხელი, წამოდგა და საქმიანად კითხულობს: თოკები ჩვენ წამოვიღოთ თუ თქვენ გექნებათ?“ (არსენიშვილი 2020, 147).

ზაირა არსენიშვილის მოთხრობაში დამლაგებელი ზოიას სხეულის აღწერით გადმოცემულია მისი პირადი ისტორია, რომელიც მსოფლიო ისტორიის ერთ-ერთ მძიმე პერიოდს- ჰოლოდომორს - ებმის. ავტორი ელიფსური წინადადებებით ახასიათებს ზოიას ცხოვრებას და ამით პერსონაჟის ისტერიულობას უსვამს ხაზს: „უამბია თამარისთვის თავიანთი უბედურების ამბავი, შიმშილის, ოჯახის დამხობის, სოფლის განადგურების.. მერე მარტოდმარტო დარჩენილი, როგორ მოდიოდა... მოდიოდა... სიქაგაცლილი დავარდებოდა... მოკუნტული ბურქებში ჩაიყუყუებოდა...“ (არსენიშვილი 2020, 92). ზოიას სხეულის დეფორმაცია და მისი ოჯახის განადგურება ადამიანების დაცემის კვალდაკვალ არის გადმოცემული. მართალია, ზოია ტრაგიკულ წარსულზე არ ლაპარაკობს (შვილების სიკვდილზე, შიმშილზე, ძალადობრივი სიკვდილის შიშზე), მაგრამ მისი სხეული ინახავს ყველა მტკივნეულ მოგონებას წარსულზე. ფეხებს კვლავაც ატყვია გრძელ გზაზე ფეხშიშველა სიარულის ანარეკლი - „სკორდოხებზე“ ამოკრული თოკის კვალი და როგორ იქცა ეს მტანჯველი ცხოვრებისეული

მოგონება წარუშლელ კვალად (ფროიდი). ზოიას ფსიქიკის ერთი მხარე ცნობიერი პროცესის მსგავსად ფუნქციონირებს-მასზე დაწერილია ახალი გამოცდილებები-ის საქართველოშია, უნივერსიტეტში დამლაგებლად მუშაობს და იცის, რომ იმ ბელადის, რომელმაც ცხოვრება წაართვა, უნდა ეშინოდეს და უყვარდეს. მართალია, ზოია მიჰყვება ყოველდღიურ რუტინას, რომელიც ახალმა რეალობამ დაუსახა, მაგრამ მასში ძველი ნაკვალევი არსად გამქრალა და ნაშთი დარჩენილია, რომელსაც შესაძლოა, ახალი, გარედან მიღებული იმპულსები გადააწერო, თუმცა ვერ აღმოფხვრი. ამის დასტურია ის ფაქტი, რომ ზოია ბიბლიოთეკაში არსებულ სტალინის ბიუსტს განზრახ აზიანებს და, როგორც შემდგომ აღიარებს თამარის, ლილისა და მაროს წინაშე, ეს შვილების გარდაცვალების დღეს ჩაიდინა. ზოიას ჩადენილი „დანაშაული“ დათრგუნული აგრესიისა და ტანჯვის გადატანის გზად იქცა თამარის, ლილისა და მაროსთვისაც, რადგან ყველა მათგანს აერთიანებს საერთო ისტორიულ-პოლიტიკური და ცხოვრებისეული გამოცდილება: დაპატიმრებული ქმრები, დახვრეტილი ძმები, ჩამორთმეული სახლები, შესაბამისად, ბელადის ბიუსტის ნაყვა და სამხილების გაქრობა ქალებისათვის ნეტარება აღმოჩნდა.

დასკვნა

ზაირა არსენიშვილის ნაწარმოებების ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა ტოტალიტარულ რეჟიმებში გახსენების როლი და ფუნქცია- გახსენება წინაპირობაა იმისა, რომ ინდივიდებმა საკუთარი თავის ამოცნობა შეძლონ, ამიტომაც პერსონაჟები ხშირად უბრუნდებიან ნორმატიულ ტექსტებს, რომლებსაც ღირებულებად თვლიან და ამ აქტით იდენტობის შენარჩუნებას ახერხებენ იმ პირობებში, რომელშიც სისტემა ახალი იდეოლოგიისათვის მისთვის ხელსაყრელ „ფასეულობებს“ აფუძნებს.

ბიბლიოგრაფია

პირველადი წყარო:

არსენიშვილი, ზაირა. 2020. *კენჭები*. თბილისი: სულაკაურის გამომცემლობა

მეორეული წყაროები:

ცაგარელი, ლევან. 2016. *კულტურის კვლევების შესავალი*. თბილისი: ილიას უნივერსიტეტის გამომცემლობა

Assmann, Jan. 1997. *Das kulturelle Gedächtnis Schrift, Erinnerung und politische Identität in frühen Hochkulturen*. München: C..H. Beck Verlag

Bauer, Karin. 2020. „Herta Müller’s reshaping of german cultural memory”. *German Life and Letters* 73:1 January (2020). 0016-8777; 1468-0483

Erlil, Astrid. 2011. *Kollektives Gedächtnis und Erinnerungskulturen*. Stuttgart/ Weimar: J.B Metzler Verlag

Halbwachs, Maurice. 1980. *The collective Memory*. Translated by Francis J. Ditter, Jr, and Vid Yazdi Ditter. Harper Colophon Books

Hutton, Patrick. 1994. *Sigmund Freud and Maurice Halbwachs: The Problem of Memory in Historical Psychology*. Vol.27, No 2 (Feb) 145-158

Memory and Traumatic Experience in Zaira Arsenishvili's Story "When Fear and Dismay Rage"

Pataridze Salome
Ilia State University, Tbilisi

Abstract

Memory cannot be observed directly, only through the observation of concrete acts of remembering in specific sociocultural contexts can we make assumptions about the memory's nature and functioning. Memories are not objective reflections of past images. Rather, they are subjective reconstructions of past perceptions. Remembering is conceived as a present act of recollecting available data that were stored in the past. Versions of the past change in accordance

with the constantly changing present situation. That is why, individual and collective memories never mirror the past, but rather they serve as an indication of the past for the person recalling the past in the present. The present study analyzes the short story “When Fear and Dread Rage” („rotsa mdzvinvarebs shishi da dzrts’ola“) of Zaira Arsenishvili, Georgian filmmaker, musician and writer based on theories of Maurice Halbwach’s, Aleida and Jan Assmann and Sigmund Freud. The analysis will reveal the role and importance of remembering in the conditions of a totalitarian regime, how the regime tries to eradicate cultural memory, as it is the basis of the identity of a social group, how the system demonizes the auto icon in the texts and what the bodies described in the works tell us as signs and carriers of memories.

Keywords: *Auto icon, body, memory, totalitarianism, dream.*

კავკასიელთა სამონადირო ტრადიციების სემანტიკისთვის

სიხარულიძე ქეთევან

ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი

DOI: <https://doi.org/10.52340/idw.2023.57>

აბსტრაქტი. სტატიაში განხილულია სამონადირო ტრადიციები და მათი სემანტიკა განმარტებულია მითოლოგიური სიუჟეტების საფუძველზე. კავკასიელთა მითოლოგიაში სამონადირო თემა საკმაოდ ფართოდაა წარმოდგენილი. აქ უძველესი ხანიდან ჩამოყალიბდა მონადირეობის ინსტიტუტი თავისი ტრადიციებითა და მითოსით. მითოსურ-რელიგიური წარმოდგენები გახდა სამონადირო ტრადიციებისა და რიტუალების სააზროვნო საფუძველი, მათი სტრუქტურისა და სემანტიკის განმსაზღვრელი. მონადირეობას სარგებელი მოჰქონდა არა მარტო სამეურნეო თვალსაზრისით. იგი ასევე ხელს უწყობდა ადამიანების თვალსაწიერის გაფართოებასაც. ამიტომ მონადირე საზოგადოების გამორჩეული წევრი იყო.

სამონადიროდ წასვლის წინ და ნადირობის პროცესში მონადირე ვალდებული იყო, ტაბუირების რთული სისტემა დაეცვა. პირველი და უმთავრესი მოთხოვნა ნადირობასთან დაკავშირებულ წეს-ჩვეულებებში სიწმინდის დაცვა იყო, რადგან ნადირობა და ნადირთვლვაებასთან ურთიერთობა აღიქმებოდა როგორც საკრალური აქტი. ნადირის ძვალთან დაკავშირებული გადმოცემები და წესები მიუთითებს, რომ ღვთაებასთან ერთად მონადირეც მონაწილეობდა დახოცილი ნადირის აღდგომაში ანუ ბუნების აღორძინებაში ისიც იყო ჩართული. ნადირობის, როგორც საკრალური ქმედების თავისებურებებმა განაპირობა მონადირეთა საიდუმლო ენის გაჩენა და ამას თავისი დატვირთვა ჰქონდა როგორც ღვთაებასთან, ისე ნადირთან მიმართებაში.

სამონადირო ტრადიციების დაცვაში პასუხისმგებლობა ეკისრებოდა მონადირის ცოლსაც. ქალის მონაწილეობა სამონადირო წესებში ასევე მითოსური შინაარსითაა ნაკარნახევი. გამოთქმულია ვარაუდი, რომ ცოლის საქციელზე დამოკიდებული იყო არა მხოლოდ ნადირობის შედეგი, არამედ წარმატებული ოჯახური ცხოვრებაც.

ხალხის ხსოვნას შემორჩა მონადირეთა ლოცვა-ვედრების სიმღერების ფრაგმენტები, რომლებსაც ყველაზე უფროსი ასაკის მონადირეები ასრულებდნენ. უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს არის უძველესი რიტუალური პრაქტიკის ნაწილი, რომელშიც ცეკვაც შედიოდა. ამ ვარაუდს საფუძველს უმაგრებს ბრინჯაოს სარტყლებზე გამოსახული ნადირობის სცენები, რომლებშიც ცხოველებთან ერთად მოცეკვავე ადამიანებიც არიან გამოსახულნი.

სამონადირო ტრადიციებში ყურადღება ექცევა მონადირის იარაღთან დაკავშირებულ წეს-ჩვეულებებს, რომლებიც ინახავს იარაღის კულტის რუდიმენტებს. ეს დეტალები და სალაშქროდ გამოყენებული მონადირეთა საიდუმლო ენა უნდა მიუთითებდეს ნადირობისა და საომარი მოქმედების ერთგვაროვნებაზე.

საკვანძო სიტყვები: მითოსი, ტრადიციები, რელიგიური წარმოდგენები, ნადირთა პატრონი, მონადირე, რიტუალის სემანტიკა.

მონადირეობა ადამიანის საქმიანობის ერთ-ერთი უძველესი ფორმაა და გარკვეულ პერიოდში ადამიანისთვის საარსებო საშუალების მოპოვების ძირითადი წყარო იყო. კავკასიის ტერიტორიაზე ნაპოვნ არქეოლოგიურ ძეგლებში უხვად არის ნადირობისთვის საჭირო იარაღი. უძველესი ხელოვნების ნიმუშებისთვის დამახასიათებელია სამონადირო მოტივები და სცენები, გარეული ცხოველების გამოსახულებები. მდიდარი ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული მასალა მიუთითებს, რომ კავკასიურ მითოლოგიაში სამონადირო თემა

საკმაოდ ფართოდ იყო წარმოდგენილი. აქ უძველესი ხანიდან ჩამოყალიბდა მონადირეობის ინსტიტუტი თავისი ტრადიციებითა და მითოსით. სხვადასხვა რეგიონში სამონადირო ზნე-ჩვეულებებსა და შეხედულებებს გარკვეული თავისებურებანი გააჩნიათ, მაგრამ ამავე დროს იმდენი აქვთ საერთო, რომ მათი ზოგად-კავკასიური წარმომავლობა ეჭვს არ იწვევს.

ნადირობა ოდითგანვე წმინდა საქმედ იყო მიჩნეული. ასევე წმინდად ითვლებოდა სანადირო ადგილები და ზოგიერთი ნადირიც. კავკასიაში დამოწმებულია ნადირობასთან დაკავშირებული წესების მნიშვნელოვანი სიუხვე როგორც პრიმიტიული, ისე განვითარებული ხერხებით [რობაქიძე, 1941:76].

სამონადირო ტრადიციები მითოსურ-რელიგიურ წარმოდგენებთანაა დაკავშირებული. სწორედ ეს წარმოდგენები გახდა რიტუალების სააზროვნო საფუძველი, მათი სტრუქტურისა და სემანტიკის განმსაზღვრელი. იმის გამო, რომ მითი ზებუნებრივ არსებათა საგმირო საქმეებსა და მათ საკრალურ ძლიერებას წარმოაჩენს, იგი ყველა უმნიშვნელოვანესი ადამიანური ქცევის სანიმუშო მოდელად გვევლინება. ამ მოდელის შენარჩუნება კოსმოსის შენარჩუნების პირობაა. რიტუალური ქმედებების გარდა, ადამიანები ყოველდღიურ ყოფაში, მის ყველა გამოვლინებაში იმეორებენ მოდელით ნაკარნახევ ქმედებებს, რომ არ დაირღვეს ხაზი, მემკვიდრეობითობა და სამყარომ იარსებოს იმ სახით, როგორც ის გადაეცათ ადამიანებს.

მითოლოგიურ აზროვნებას საფუძვლად უდევს წარმოდგენა ორ სამყაროზე: ადამიანურსა და სხვა სამყაროებზე და ეს ორი სამყარო ერთმანეთზე ურთიერთ ზემოქმედებს. მითოლოგიური ცნობიერების ძირითადი ნიშანია „თავისი“ და „უცხო“ დაპირისპირება: ყველაფერი „თავისი“ აღიქმება კარგად, სასიკეთოდ, ყველაფერი „უცხო“ იღუმალი და სახიფათოა იმის განურჩევლად, უკეთესია იგი თუ უარესი. გონებრივი განვითარების კვალობაზე შემეცნების არეალში შემოვიდა დროისა და სივრცის კატეგორიები, რასაც მოჰყვა წარმოდგენები ქვეყნიერების აგებულებაზე, მის ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ განფენილობაზე. ამ წარმოდგენების ჩამოყალიბებასა და დახვეწას, სავარაუდოდ, სამონადირო საქმიანობამაც შეუწყო ხელი. მონადირე არქაული საზოგადოების გამორჩეული და პატივსაცემი წევრია, მუდმივად სახიფათო საქმით დაკავებული, სხვადასხვა სივრცეში მოგზაური. მას მოაქვს ინფორმაცია გარედან, რადგან სხვებზე უკეთ იცის „სხვა“ სამყარო და ამით ხელს უწყობს საზოგადოების წევრთა თვალსაწიერის გაფართოებას როგორც ცოდნის, ისე სივრცული განზომილების აღქმის თვალსაზრისით. ალბათ ამიტომაც ნადირობიდან დაბრუნებულ მონადირეს ფეხზე ადგომით ხვდებოდნენ.

ძველი ადამიანისთვის სამყაროში არსებობს „შინა“ და „გარე“ სივრცეები. „შინა“ სოციალური ჯგუფისა და ინდივიდის საარსებო, მოწესრიგებული სივრცეა, სადაც იგი მკვიდრობს. ეს „შინა“ ისევე უპირისპირდება „გარეს“, როგორც კოსმოსი - ქაოსს. „გარე“ უკაცური სივრცეა, ადამიანისგან განსხვავებული არსებებით დასახლებული და ადამიანთა საზოგადოებისთვის უცხო წესრიგით. „გარე“ ქვეყანაში ადამიანის შესვლა მნიშვნელოვანი მოვლენაა, რადგან იგი სხვა სამყაროა. მონადირეს დიდი სიფრთხილე მართებს, რათა არ დაარღვიოს „სხვა სამყაროს“ წესრიგი, ამისთვის კი მან უნდა იცოდეს იმ წესრიგის დაცვის საშუალებები. ამიტომ დროთა განმავლობაში მონადირეთა საზოგადოებას საკრალური სამმოს სახე მიეცა მკაცრად ჩამოყალიბებული ტრადიციებითა და განსაკუთრებული საიდუმლო ენით, რომელიც მხოლოდ მონადირეებს ესმოდათ.

იმისათვის, რომ არ დაერღვია ნადირთ საუფლოს წესრიგი და წარმატებულად ენადირა, მონადირე უკვე „შინა“ სივრცეში ემზადებოდა. სანადიროდ წასვლის წინ და ნადირობის პროცესში მონადირე ვალდებული იყო, ტაბუირების რთული სისტემა დაეცვა, რათა ნადირობის სიწმინდე არ შეეღაზა. პირველი და უმთავრესი მოთხოვნა ნადირობასთან დაკავშირებულ წეს-ჩვეულებებში სიწმინდის დაცვა იყო. მონადირე გადიოდა გარე სივრცეში, იმ სამყაროში, რომელსაც ის არ ეკუთვნოდა. მიდიოდა როგორც უცხო, მაგრამ არა პასიური სტუმრის სტატუსით, არამედ აქტიური მოქმედებისთვის, ნადირის მოსაპოვებლად. მას მოუწევდა იმ სამყაროს მფლობელ ღვთაებასთან შეხვედრა, ამიტომ მის წინაშე უნდა წარმდგარიყო ფიზიკურად განწმენდილი და გაწონასწორებული. მას უნდა მოეგო ნადირთმფარველის გული. მისი ოსტატობა, სიჩაუქე და გულადობა მხოლოდ ღვთაების ნებით

გამოიღებდა შედეგს. სწორედ ამიტომ სანადიროდ წასვლის წინა დღეებში არ შეიძლებოდა ლანძღვა-გინება და უშვერი სიტყვების წარმოთქმა. გარდა ამისა, მონადირე არ უნდა გაჰკარებოდა არა თუ უცხო ქალს, არამედ საკუთარ ცოლსაც კი. განსაკუთრებით უნდა მორიდებოდა ფეხმძიმეს ან დედათა წესში მყოფ ქალს.

სამონადირო წეს-ჩვეულებებში ქალის მონაწილეობაც მითოსური სემანტიკითაა გაპირობებული. კავკასიელთა ტრადიციასა და ხალხურ სიტყვიერებაში არ ჩანს ქალი-მონადირის სახე, მებრძოლი ქალისგან განსხვავებით. თუმცა ზოგი მეცნიერი ვარაუდობს, რომ ორინიაკის კულტურაში ნადირობაში მამაკაცებთან ერთად ქალებიც რაღაც სახით მონაწილეობდნენ [რობაქიძე 1941:166]. ნადირობის პროცესში ქალი აღარ არის ჩართული, მაგრამ რიტუალებში მას პასუხისმგებლობა მაინც ეკისრება. მონადირის ცოლსაც უნდა დაეცვა ტაბუ ქმრის დაბრუნებამდე. მას ეკრძალებოდა თმის გაშლა და მით უმეტეს, დაბანა. უნდა მორიდებოდა ცხიმიან საკვებს, განსაკუთრებით ღორის ქონს და არავისთვის არ უნდა გაემხილა ქმრის სანადიროდ წასვლის ამბავი. საგზლად მონადირეს დედის ან ცოლის ხელით გამომცხვარი „ხმელგანატეხი“ უნდა წაეღო. ეს იყო რიტუალური პური, რომლის ზედაპირი მზის დაფანტული სხივების მსგავსად იყო დაჭრელებული. ტრადიციით, მონადირის საგზალი ხმელი ანუ მშრალი და უხორცო საკვებით განისაზღვრებოდა. ამბობდნენ, საწებს თვითონ დალი მოგვეცემსო. სავარაუდოდ, ცდილობდნენ, არ გაეღიზიანებინათ ნადირთმფარველი. ხორცის მოსაპოვებლად წასული მონადირე იმავე სახის პროდუქტით ვერ შევიდოდა ნადირთა სამყაროში. ღორის ხორცზე აქცენტირება გვიანდელი მოვლენა უნდა იყოს საზოგადო რიტუალური პრაქტიკის მოთხოვნებიდან გამომდინარე. ხმელგანატეხის გამოცხობისას ქალი ლოცულობდა.

ეს დეტალები მიუთითებს, რომ ნადირთღვთაებასთან გარკვეული მიმართება მონადირის ოჯახის ქალებსაც აქვთ. უპირატესად ცოლზე ვრცელდებოდა ეს მკაცრი მოთხოვნები. ვფიქრობ, აქ მხოლოდ წარმატებულ ნადირობას არ ეხება საქმე. ცნობილია, რომ ნადირთღვთაება ქალის სახით იყო წარმოდგენილი, რომელსაც გამორჩეულად ლამაზი, ხშირი გრძელი თმა ჰქონდა. შესაძლოა, ამას უკავშირდებოდეს წესი, რომელიც უკრძალავდა მონადირის ცოლს თმების გაშლას, რათა ეს დაღს მასთან ქიშპობად არ ჩაეთვლა და არ განრისხებულიყო. ტაბუს დაცვით ცოლი თითქოს იცავდა ქმარს დალის ხიბლისგან ან ამ წესების დაცვით გამოხატავდა ქალღმერთისადმი პატივისცემას. დაღს შეეძლო მამაკაცის მოხიბლვა და თუ მას სატრფოდ გაიხდიდა, ის სხვა ქალს ვეღარ გაეკარებოდა. კავკასიელთა თქმულებები დაღუპული მონადირის შესახებ ამგვარ ტრაგიკულ ამბებზეა აგებული.

როგორც აღვნიშნეთ, რიტუალების სტრუქტურასა და დეტალებს მითოსი განსაზღვრავდა. ქალისთვის სავალდებულო წესებიც მითოსური შინაარსითაა ნაკარნახევი. როგორც ჩანს, ცოლის საქციელზე დამოკიდებული იყო არა მხოლოდ წარმატებული ნადირობა, არამედ წარმატებული ოჯახური ცხოვრებაც. კავკასიელთა ფოლკლორში არის გადმოცემებში ცოლიანი მამაკაცისა და ქალღვთაების სატრფიალო ურთიერთობის შესახებ. თუ როგორ აისახება ოჯახზე ეს ურთიერთობა, დამოკიდებულია ცოლის საქციელზე [სიხარულიძე, 2006:165]. შესაძლოა, მსგავსი დატვირთვა ქალის ქცევას სამონადირო ტრადიციებშიც ჰქონდა.

სანადირო ადგილებთან მისვლისას კლდის პირველ შესასვლელში მონადირე სანთელს ანთებდა, საკმეველს აკმევდა, ილოცებდა და ხმელგანატეხს შეჭამდა, თან ლოცულობდა: „ღმერთო, მშვიდობიანად დამაბრუნე სახლში, მარჯვენა დამილოცე, დალი“. მადლობის ნიშნად მონადირე მოკლული ნადირის გულ-ღვიძლს სწირავდა ნადირთღვთაებას. აფხაზური მასალებით, მონადირეები ცდილობდნენ ნადირთმფარველის გულის მოგებას მსხვერპლშეწირვითა და სიმღერებით, რომლებშიც ევედრებოდნენ, შეეხვედრებინა ის ნადირი, რომელიც უკვე იგემა აჟვეიფშამ და აეცილებინა ის, რომელიც მას ჯერ არ ეჭამა. ნადირობის ღვთაებები იმ ნადირით იკვებებიან, რომელსაც მფარველობენ და მერე აცოცხლებენ მას. როგორც ჩანს, ეს არის ბუნების აღორძინებასთან დაკავშირებული საკრალური აქტი. რასაკვირველია, მონადირისათვის ის პირველარსი მიუწვდომელია, მას მოსაკლავად ეძლევა ღვთაებების მიერ ხელახლა გაცოცხლებული ნადირი. მონადირე მოწმე ხდება ნადირის გაცოცხლების აქტისა. იგი ესწრება ღვთაებათა

ნადიმს, სადაც მას უმასპინძლებიან ხორციტ, ოღონდ ძვლის დაბრუნებას სთხოვენ. შემთხვევით ან შეგნებულად მონადირე ერთ ძვალს აკლებს. ღვთაებები ნაკლულ ადგილს (ბექს ან ნეკნს) ხის მასალით ავსებენ და ისე ამთელევენ ნადირს. მერე მონადირე პოულობს თავის ნანადირევში ხის ბექს ან ხის ნეკნს [ოჩიაური 1955:225]. ეს სიუჟეტი მთელ კავკასიაშია გავრცელებული.

დასახელებულ თქმულებებში კარგად ჩანს ძვლის როლი ცხოველის გაცოცხლებაში. იმისათვის, რომ აღდგეს მოკლული ნადირი, უნდა აღდგეს მისი ჩონჩხი, ის ძირითადი, რომელიც ქმნის ნადირის აგებულებას. ძვლის ასეთი გააზრება ერთ-ერთი უძველესი და უნივერსალურია. ეს კონცეფცია სხვა ხალხთა წარმოდგენებშიც ჩანს და ბევრად უფრო განვითარებულ რელიგიებშიც ვხედავთ მას. გარდა ამისა, ძვალი შეიძლება იყოს ის საერთო ნაწილი, რაც აკავშირებს ნადირთ ღვთაებას თავის ცხოველთან, რომლის სახითაც იგი ევლინება ადამიანებს.

კავკასიელთა სამონადირო წეს-ჩვეულებებში ვხვდებით ნადირის ძვლის დაცვის ტრადიციას, ე. ი. მონადირეც ერთგვარად მონაწილეობდა ნადირის გაცოცხლებაში და ამით უზრუნველყოფდა ტყის ბინადართა რესურსების შენარჩუნებას. ნადირის აღდგომის პროცესს ღვთაებათა ნებით, თავად მონადირეც ესწრება, რათა გაიზაროს ღვთაებრივი წესრიგი. ალბათ ამიტომაც აკრძალული იყო ნანადირევის ძვლების გადაყრა. მათ აგროვებდნენ და მიწაში მარხავდნენ. სვანეთში მონადირეები ნადირის ძვლებს კომკის ბნელ კუთხეებში აგროვებდნენ, რომ ქალებს თვალი არ მოეკრათ. მიუღებელი იყო ნადირის ხორცისა და ძვლის ძაღლისათვის მიცემა. თუ იმდენი დაგროვებდებოდა, რომ არ ეტეოდა, ძვლებს მდინარეში ყრიდნენ. თუ მონადირე ნანადირევის ნაწილს საჩუქრად მიართმევდა ამხანაგებს, მათ უთუოდ უნდა დაებრუნებინათ ძვლები [სიხარულიძე, 2006: 102].

მითოსური აზროვნების თანახმად, ისევე როგორც ბუნების ყოველ სფეროსა და საგანს, გარეულ ნადირსაც ჰყავდა თავისი პატრონი და გამგებელი, რომელზეც მთლიანად იყო დამოკიდებული მონადირის წარმატება. ნადირთღვთაება კავკასიელებს სხვადასხვანაირად ჰყავდათ წარმოდგენილი - ნადირის, ქალის ან კაცის სახით. ერთი შეხედვით, ეს წარმოდგენები წინააღმდეგობრივია, მაგრამ აქ საქმე გვაქვს ისტორიულად განსხვავებულ საფეხურებთან ამ სახის გააზრებაში, რაც, თავის მხრივ, დაკავშირებულია საზოგადოების განვითარების გარკვეულ ეკონომიკურ და სოციალურ საფეხურებთან. ნადირთმფარველი თავისი ბუნებით ზოომორფულია. ანთროპომორფიზაციის შედეგად მან შეიძინა ქალის სახე, მაგრამ ზოომორფული გარდასახვა მისთვის ბუნებრივ მდგომარეობად დარჩა. მას შეუძლია მონადირეს ეჩვენოს ჯიხვის, არჩვის ან ირმის სახით. ჩვეულებრივი ნადირისგან მას რაიმე ნიშანი გამოარჩევს (თეთრი ფერი, ოქროს რქა, შუბლზე ვარსკვლავი) [ვირსალაძე, 1964:30]. თუ მონადირემ უცოდინარობით ან გაუფრთხილებლობით ესროლა ამგვარ ცხოველს, მონადირეს დაღუპვა არ ასცდება, რადგან ეს შეცდომა დაუსჯელი არ რჩება. აღსანიშნავია, რომ ნადირთღვთაების ანთროპომორფული გარეგნობა მხოლოდ სიტყვიერადაა აღწერილი გადმოცემებში და გამოსახულებები უპირატესად ცხოველის სახით გვხვდება.

სამონადირო მითოსის ერთ-ერთი ცნობილი თემაა მონადირისა და ნადირთპატრონის სატრფიალო კავშირი. ამ ურთიერთობის ინიციატორი თავად ქალღვთაებაა. როგორც აღვნიშნეთ, ნადირობის ასპარეზი „გარე“ სივრცეა, რომლის წესი განსხვავდება ადამიანთა საცხოვრისში დადგენილი წესისგან. მონადირეს უწევს შესვლა ველურ ნადირთა სამყაროში, რომელსაც განაგებს მდედრული ბუნების ნადირთპატრონი და იქ ადამიანური საზოგადოებისგან განსხვავებული კანონები მოქმედებს. იმისათვის, რომ ნადირი მოიპოვოს, მონადირე იძულებულია, ნადირთპატრონთან ურთიერთობა დაამყაროს. მოგვიანებით, როცა სამონადირო მითოსში მამაკაცი ღვთაებები გაბატონდნენ, მონადირეები რიტუალებითა და მსხვერპლშეწირვით ახერხებდნენ მათი გულის მოგებას. უფრო ადრე კი, როცა ქალღვთაებას ებარა ნადირთა პატრონობა, მის სამყაროში შეღწევისა და წარმატების გარანტია ღვთაებასთან სასიყვარულო კავშირით მოიპოვებოდა. ეს მოტივი, როგორც ჩანს, ჩნდება იმ დროიდან, როცა ადამიანთა წარმოდგენით, ნადირთღვთაების ნაყოფიერების ძალა

მამაკაცთან ურთიერთობის გარეშე ვერ გააქტიურდებოდა. მსგავსი ვითარება გვაქვს მდედრობითი ბუნების მქონე ფუძის ანგელოზისა და კერის კულტშიც, როცა გარკვეულ დროს მას ემატება ჯაჭვი და მამაკაცის ფიგურები გამოკვეთილი ფალოსით, როგორც კერის გამანაყოფიერებელი ძალა.

კავკასიურ მითოლოგიაში ნადირთღვთაებებს აქვთ თავიანთი სამფლობელო, რომელიც ადამიანთა საცხოვრისისგან მოშორებულია. ისინი მუდმივად იქ იმყოფებიან, არ ტოვებენ თავიანთ სამყოფელს და არ ეტანებიან ადამიანს. უკიდურეს შემთხვევაში ნადირის სახით მოდიან სოფელში მოლალატე მონადირის დასასჯელად. ადამიანი მიდის მათთან, რადგან საარსებოდ სჭირდება მათი კუთვნილი ნადირი. შესაბამისად, მან უნდა დაიცვას ის წესები, რომელსაც ნადირთპატრონები უწესებენ ადამიანს. ნადირობის დაწყებამდე მონადირეები სიმღერით მიმართავდნენ ღვთაებას, რომ გაემეტებინა ნადირი. ამ სიმღერებს ასრულებდა ასაკით ყველაზე უფროსი მონაწილე [Плаева, 2017: 189]. კავკასიელთა ხსოვნას შემორჩა მონადირეთა ლოცვა-ვედრების სიმღერების ფრაგმენტები. უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს არის უძველესი რიტუალური პრაქტიკის ნაწილი, რომელშიც ცეკვაც შედიოდა. ჩვენამდე მოღწეულ მასალებში ცეკვა აღარ ჩანს, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ ცეკვა-ფერხულები უძველესი დროიდან რიტუალების განუყოფელი ნაწილი იყო, უნდა ვიფიქროთ, რომ მას სამონადირო რიტუალშიც ექნებოდა თავისი წილი. ამ ვარაუდს საფუძველს უმაგრებს ბრინჯაოს სარტყელთა გამოსახულებები სანადირო სცენებით, რომლებშიც ცხოველებთან ერთად მოცეკვავე ადამიანებიც არიან.

ცნობილია, რომ მონადირეები იყენებდნენ საიდუმლო ენას. როგორც არსებობდა ჯვართ ენა, არსებობდა მონადირეთა ენა, რადგან ნადირობა, როგორც საკრალურ სივრცეში მოგზაურობა, როგორც ღვთაებასთან ურთიერთობა არ უნდა გამჟღავნებულიყო ისევე, როგორც საიდუმლოდ უნდა დარჩენილიყო ნადირთღვთაებისა და მონადირის ტრფობა. სამონადირო ენა განსხვავდებოდა ჩვეულებრივი მეტყველებისგან, გამოიყენებოდა განსხვავებული სიტყვები, გამოთქმები და ნადირთა სახელები. ამით ისინი ცდილობდნენ, ერთი მხრივ, სულების, ღვთაებების მომადლიერებას, მეორე მხრივ, ნადირს უმაღლვდნენ თავიანთ განზრახვას [Фрезер, 1980:576]. ცნობილია, რომ საიდუმლო ენა ჰქონდათ აფხაზებს, ასევე ბალყარელებსა და ყარაჩაელებს. საიდუმლო ენას იყენებდნენ ლაშქრობისას ჩერქეზი თავადები. ეს იყო დამახინჯებული დიალექტი, რომელსაც ერქვა „შახობზე“ ანუ მონადირეთა ენა [Люлье, 1927:27]. ეს ფაქტი და სამონადირო საქმიანობის სხვა ელემენტები აახლოვებს მას საომარ მოქმედებასთან. კ. კაციტაძის აზრით, ნადირობა და ომი ერთგვარი შინაარსის მატარებელია თავ-თავისი რიტუალებითა და მოქმედებით [კაციტაძე, 2011].

სამონადირო ტრადიციებში საყურადღებოა იარაღის საკითხი. ნადირის ხოცვა რეგლამენტირებული იყო. გარკვეული რაოდენობის ნადირის დახოცვის შემდეგ მონადირე მიწაში მარხავდა მას განწმენდის მიზნით და ამ პერიოდში თავადაც არ ნადირობდა. სხვა ვერსიით, იარაღს თაროზე დებდნენ და სანამ თვითონ არ შეირხეოდა, მანამდე არ კიდებდნენ ხელს. რაჭაში მონადირეთა წრეში დამოწმებულია წესები თოფის გადაბრუნებასა და ხელის გადგომასთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ მონადირე ხშირად ააცდენდა ნადირს ტყვიას ან დაჭრილი ნადირი ხშირად გაექცეოდა, იცოდნენ თოფის დაშხამვა და თოფის შერცხვენა [რობაქიძე 1941:168]. ამასთან დაკავშირებული რიტუალები მოწმობს, რომ იარაღი ცოცხალ არსებად აღიქმებოდა და წარუმატებელ ნადირობაში მასაც აკისრებდნენ პასუხისმგებლობას. შეიძლება ძველად სამონადირო რიტუალებში იარაღიც ასრულებდა მნიშვნელოვან როლს და მის თავყვანისცემასაც ჰქონოდა ადგილი, მაგრამ ამის დამადასტურებელი მასალა ახლა ხელთ არ გვაქვს. მითოსი და მასთან დაკავშირებული რიტუალები დინამიურია, შეიძლება მასში მონაწილე ობიექტები შეიცვალოს ან სრულიად დაიკარგოს. წინათ ფიცის დადება იარაღით მნიშვნელოვანი პროცედურა იყო, მაგრამ უფრო გვიან, განსაკუთრებით ქრისტიანობის ხანაში იარაღი ჯვარმა და ბიბლიამ შეცვალა [Riisøy 2021: 279].

როგორც ვხედავთ, კავკასიელთა სამონადირო ტრადიციები მოიცავს სხვადასხვა წეს-ჩვეულებას. სანადირო სივრცე და თავად ნადირობა საკრალურ პროცესადაა გააზრებული. რიტუალების სტრუქტურას, შინაარსსა და სემანტიკას განსაზღვრავდა სამონადირო მითოსი,

რომელიც ხალხის მეხსიერებამ სხვა მითებზე უკეთ შემოინახა. სწორედ მითოსის მისტიური შინაარსისა და ამავე დროს რაციონალური ელემენტების საფუძველზე შეიძლება ვისაუბროთ სამონადირეო ტრადიციებისა თუ რიტუალების სემანტიკაზე.

ლიტერატურა:

1. ვირსალაძე ე. (1964). ქართული სამონადირეო ეპოსი, თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.
2. კაციტაძე კ. (2011). Homo Militaris, ტ. I, გამომცემლობა „პოლიგრაფ თბილისი“.
3. Люлье Л. (1927). Черкессия – Историко-этнографические статьи. Краснодар: Изд-во историко-этнографического музея.
4. თზიაური თ. (1955). ხევსურეთის მითოლოგიიდან (ხის ბეჭი), მსე, თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.
5. Плаева З. (2017). Охотничьи божества и обычьи Кавказа, NARTAMONGAE, The Journal of Alano-Osetic Studies, Vol. XII, N1-2, Vladikavkaz-Paris, p. 189-204.
6. Riisøy A. (2021). *Weapons in Legal Rituals: Between Myth and Reality, Vol 84 Nr. 1, Oslo, publisher University of Oslo.*
7. რობაქიძე ა. (1941). კოლექტიური ნადირობის გადმონაშთები რაჭაში, თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.
8. სიხარულიძე ქ. (2006). კავკასიური მითოლოგია, თბილისი, კავკასიური სახლის გამომცემლობა.
9. Фрезер Дж. (1980). Золотая ветвь, Москва, Издательство политической литературы.

For the semantics of Caucasian hunting traditions

Sikharulidze Ketevan

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Tbilisi

Abstract

The article discusses hunting traditions and explains their semantics based on mythological stories. The institution of hunting with its traditions and myth has been formed here since ancient times. Mythological-religious representations became the intellectual basis of hunting traditions and rituals, determining their structure and semantics. Hunting brought benefits not only from an economic point of view. It also helped broaden people's horizons.

Before going hunting the hunter was obliged to observe a complex system of taboos, because hunting and communication with the Hunting deity were perceived as sacred acts. The traditions and rules related to the bone of the game indicate that along with the deity, the hunter also participated in the resurrection of the killed game. The peculiarities of hunting as a sacred act led to the emergence of a secret language of hunters.

The hunter's wife was also responsible for protecting hunting traditions. Women's participation in hunting rules is dictated by mythic content. It is assumed that not only the result of the hunt but also a successful family life depended on the behavior of the wife.

Fragments of songs of hunters' prayers and supplications remained in people's memory. It must be assumed that this is part of an ancient ritual practice that included dancing. This assumption is supported by hunting scenes depicted on bronze belts, in which people are also depicted dancing next to animals.

In hunting traditions, attention is paid to the customs related to the hunter's weapon, which preserves the rudiments of the weapon cult.

Keywords: myth, traditions, religious representations, owner of game, hunter, ritual semantics.

რელიგიური ნაკადის რამდენიმე მაგალით ილია ჭავჭავაძის მხატვრულ მემკვიდრეობაში

სურმანიძე სოსლან

სსიპ წმ. ტბელ აბუსერიძის სახელობის ხიჭაურის სასწავლო უნივერსიტეტი

DOI: <https://doi.org/10.52340/idw.2023.58>

აბსტრაქტი. ილია ჭავჭავაძის მსოფლხედველობის საფუძველი სახარებაა. ეს აშკარად გამოიკვეთა მის მხატვრულ-პუბლიცისტურ მემკვიდრეობაში. სამართლიანად ამხვილებს ყურადღებას მკვლევარი აკაკი ბაქრაძე „ოთარანთ ქვრივის“ მთავარი პერსონაჟის გიორგის ქრისტიანობის დღეს დაბადებისა და მისი სიცოცხლის ტრაგიკული დასასრულის შესახებ. გიორგი არის მსხვერპლი, რომელმაც თვალი უნდა აუხილოს წოდებრივ საფუძველზე დაქუცმაცებულ ერს; შეაგნებინოს ყველას, რომ თითოეულ ადამიანში ეძებოს „ცოცხალი ხატი ღირსებისა“.

წინამდებარე ნაშრომში მოკლედ გავამახვილებთ ყურადღებას წმინდა ილია მართლის შემოქმედებაში ქრისტიანული რელიგიის კვალზე. აქ ძირითადად გამოვიყენებთ პროფესორების გურამ ბახტაძისა და შოთა ჯიჯიეშვილის ერთობლივ მოხსენებას ილია მართლის შესახებ, რომელიც წარმოდგენილი იყო დიდაქარაში, ანდრია პირველწოდებულისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე 2011 წელს მაისში.

გარდა ამისა მიმოვიხილავთ ილია ჭავჭავაძის მხატვრული შემოქმედებიდან რამდენიმე მაგალითს, რათა ვაჩვენოთ, რომ ილია მართლისათვის ქართველობა და ქრისტიანობა გადაჯაჭვულია ერთმანეთში და ისინი ერთურთის გარეშე ვერ წამოუდგენია.

საკვანძო სიტყვები: ეროვნულობა, ქრისტიანობა, გადაჯაჭვულობა, მხატვრულობა, ავტოკეფალია, დამოუკიდებლობა, შემოქმედება.

„1987 წელს საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიის წმინდა სინოდმა წმინდანად შერაცხა დიდი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ილია ჭავჭავაძე. მას „წმინდა ილია მართალი“ ეწოდა. უზენაესი სიმართლე საღვთო წერილის მიხედვით არის ღმერთი. სიმართლის მქადაგებელი, უპირველეს ყოვლისა, თვითონ უნდა იყოს მატარებელი სიმართლისა, თვითონ უნდა ცხოვრობდეს ამ სიმართლით“ (ბახტაძე, ჯიჯიეშვილი, 2011).

ილიამ იცოდა, დამოუკიდებლობის ბრძოლასა და ეროვნების შესანარჩუნებაში რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქრისტიანულ რწმენას, ამიტომაც სათავეში ჩაუდგა საქართველოს ეკლესიისათვის უკანონოდ წართმეული ავტოკეფალიის აღდგენის საქმეს. მას სწამდა იმ ქვეყნისა, რომელიც ჯვარს ეცვა ჯვარცმული მაცხოვრისათვის, იმ ხალხის, რომელიც თავის მკერდზე დაუდგა ქრისტიანობას საყდარი, ქვად საკუთარი ძვლები იხმარა, კირად კი სისხლი, რომელსაც ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ შემოსვენ.

სადმართო წერილს ილია სიყრმეშივე ეზიარა. ყვარელში, მამისეულ სახლში, ჩინებულ ადგილზე ესვენა ძველი სახარება, რომელსაც კრძალვით ეხებოდნენ. გრიგოლ ყიფშიძის თქმით: ილიას თითქმის მოხუცებულობამდე შერჩა სიყვარული სადმართო წერილის კითხვისა.... ილია იმ აზრს ადგა, რომ ქართულის ღრმა და ყოველმხრივ შესწავლისთვის აუცილებლად საჭიროა კითხვა სადმართო წიგნებისა, ცოდნა ძველი ქართულისა; ქართულს ის შეისწავლის საფუძვლიანად, ვინც ხშირად კითხულობს საღვთო წერილის წიგნებს... იგი ხშირად კითხულობდა სახარება-სამოციქულოს და მოსმენაც უყვარდა ეკლესიაში მათის წაკითხვას: ისე აღდგომა არ გათენდებოდა, რომ განსაკუთრებული გულის ძგერა არ

აშლოდა და არ მოენდომობინა ეკლესიაში წასვლა, უფრო კი სახარების კითხვის მოსასმენად. ქვეყნის მოჭირნახულე მამა საღმრთო წერილით სუნთქავს და აზროვნებს, „გლახის ნაამბობში“ წერს: „როცა ჩემო ძმაო, ადამიანს პირს არიდებ, მითამ ქრისტე-ღმერთისთვის მიგირიდებია პირი. იესომ ბრძანა: განკითხვის დღეს გეტყვითო: მწყურვალ ვიყავ, არ მასვითო, მშიერი ვიყავ, არ მაჭამეთო, შიშველი ვიყავ, არ ჩამაცვითო, სნეული ვიყავ, არ მომიარეთო, როცა მეტყვიან: უფალო! სად გნახე რომ არ გიშველეო? მე ვეტყვი: ყოველი გაჭირვებული კაცი, თქვენგან არ გაკითხული, - მე ვიყავიო. „(მათე, 25:34-45.) ასეა, ძმაო! სხვა შენთვის და შენ სხვისთვის აი, გასაღები სამოთხისა! უნდა აღინიშნოს, რომ გლახის ნაამბობში წარმოდგენილი მოძღვარის სახე ილიამ შექმნა სოფლის მოძღვარის შთაგონებით, რომელმაც მას სამრევლო სკოლაში წერა-კითხვა ასწავლა.

ილიას რელიგიური მრწამსი მკაფიოდ გამოიკვეთა ლირიკულ შედეგში- „ლოცვა“, რომელიც ქართული ჰიმნოგრაფიის საუკეთესო ნიმუშად უნდა ჩაითვალოს:

ძმაო, ჩვენო, რომელიცა ხარ ცათა შინა!

მუხლმოდრეკილი, ლმობიერი ვდგევარ შენ წინა:

არცა სიმდიდრის, არც დიდების თხოვნა არ მინდა,

არ მინდა, ამით შეურაცხვეყო მე ლოცვა წმინდა...

არამედ მწყურს მე განმინათლდეს ცით ჩემი სული,

შენგან ნამცნების სიყვარულით აღმენტოს გული,

რომ მტერთათვისაც, რომელთ თუნდა გულს ლახვარი მკრან,

გთხოვდე: "შეუნდე, - არ იციან, ღმერთო, რას იქმან!" (მათე 6, 9-13, ლუკა 11, 2-4.)

„ილია ჭავჭავაძის მხატვრულსა თუ პუბლიცისტურ ნაწერებში საღმრთო წერილის კვალი თითქმის ყოველ ნაბიჯზე ჩანს, მკვლევარი სარგის ცაიშვილი აღნიშნავს „ილიას ახალ ქართულზე გადმოჰქონდა მანამდე ძველი რედაქციებით ცნობილი ტექსტები, რაზედაც მას საკუთარი პოზიცია ჰქონდა შემუშავებული. მაგალითად თარგმანი - „მრავალნი არიან ჩინებულ და მცირედნი რჩეულ,“ ილიას ასე გადმოაქვს: “მრავალნი არიან წვეული და მცირენი რჩეულ“ (ბახტაძე, ჯიჯიეშვილი, 2011).

სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლისთანავე ილიამ მოკლედ განსაზღვრა ქართველ მამულიშვილთა მთავარი საზრუნავი: „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ ძმა-პაპათაგან მამული, ენა და სარწმუნოება“. მსგავსი აზრი საუკუნეებით ადრე გიორგი მერჩულემ ჩამოაყალიბა: „ქართლად ფრიადი ქვეყანაი აღირაცხების“. მაგრამ მისი თხზულება 1911 წლამდე უცნობი იყო ქართული საზოგადოებისთვის. ილია დამოუკიდებლად ჩასწვდა ამ საუნჯეთა ჰარმონიული მთლიანობის მნიშვნელობას და მთელი თავისი სიცოცხლე მათ მოვლა-პატრონობას შეაღია. სწამდა, რომ მამულს, ენასა და სარწმუნოებას შორის ბუნებრივი დაპირისპირება არ არსებობს. პირიქით, ისინი აძლიერებენ და განამტკიცებენ ერთმანეთს. ილია წერს: „ქრისტეს სჯულს, ამ ახალ აღთქმას შეუერთა ჩვენმა ხალხმა... მამული და ეროვნება. ეს სამი ერთმანეთის ღირსი საგანი ისე ჩაიწინენ, ისე ჩაიქსოვენ ერთმანეთში, რომ სჯულის დაცვა საქართველოს მიწა-წყლის დაცვად გარდაიქმნა და მიწა-წყლის დაცვა სჯულის დაცვად.... საქართველოს ერმა გადაიხსნა გული, შიგ განაზნოვა იგი ჯვარი პატიოსანი ჯვარცმულის ღმერთისა და თვითონაც ჯვარს ეცვა და არავის კი არ შეარყევინა. არც თავისი გული და არც გულში ღრმად და მკვიდრად გაბნეული ჯვარი.“

მწერალმა თავის თხზულებებში სარკესავით არეკლა ქართველთა ცხოვრება, წინ გადაუშალა მკითხველს და დაეხმარა მის შეფასებაში. ღვთიმიმადლებული სულიერი ხედვის წყალობით და მაღალი მხატვრული ოსტატობის საშუალებით უდიდესი სულიერი სწავლება მისცა ერს. „ვითა მამა ზეცისა, იყავ შენც სრული“. ამ სახარებისეული შეგონებით ამთავრებს ილია ლექსს, რომელსაც სათაურად ჰქვია „როდემდის?“

ეს მოწოდება არაერთგზის მეორდება ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებებში, რაც დასტურია იმისა, რომ ადამიანის ზნეობრივი სრულყოფის პრობლემა მისი შემოქმედების მთავარი თემაა. ბუნებრივ აღმრზდელად მე-19 საუკუნის ბევრ მწერლის (მაგ.: ბალზაკს, ტოლსტოის და დოსტოევსკის...) ქრისტიანული რელიგია მიაჩნდა. ილია ჭავჭავაძე ხაზგასმით აცხადებდა, რომ საზოგადოებრივი ჰარმონიის გარანტია ქრისტიანულად აღრზდილი პიროვნებაა.

გავიხსენოთ სტრიქონები ცნობილი ლექსიდან „ქართველის დედა“:

„აღზარდე შვილი, მიეც ძალა სულს,
საზრდოდ ხმარობდე ქრისტესა მცნებას, —
შთააგონებდე კაცთა სიყვარულს.“ —

ქრისტიანული აღზრდის შედეგია 3 მთავარი სათნოება: რწმენა, იმედი, სიყვარული, რომელთა გარეშეც შეუძლებელია ქართველობის დაცვა; ასევე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ტრიადის — ენა, მამული, სრწმუნოება — აღდგენა. ეს აზრი დეკლარაციული სიციხადით არის გამოთქმული ილიას პოემაში „აჩრდილი“: „ვიდრე მე შენი არ გაიკვლევს ზოგადს ცხოვრებას და მცნების ნათლით ზეაღზიდულ, ამადლებული ჭკვით არ განჭვრიტავს საზოგადო ცხოვრების დენას, იმ დრომდე იგი უიმედო, შეწუხებული, უქმისა დრტვივით, გულის-წვითა მწარე ცრემლს დაღვრის.“

„კაცია ადამიანში“?! მოყვრის პირდაპირობით გვამხილა და გაგვაფრთხილა, რომ ცოდვის გულში დაბუდება და განუხორციელებლობა უმწიკვლობას არ ნიშნავს. ადამიანს კაცად მხოლოდ მადლის ქმნა ხდის და თუ სიცოცხლეშივე არ იზრუნა თავის სულზე საფლავის ქვაზე წარწერილი შენდობის გამოთხოვა ვერ აცხონებს.

„მადლისმქნელი პიროვნების კონცეფცია“ (აკაკი ბაქრაძის სიტყვებია) ილიამ მკაფიოდ ჩამოაყალიბა დიმიტრი ყიფიანისადმი მიძღვნილ წერილში, ილიამ „კაკო ყაჩაღსა“ და „გლახის ნაამბობში“ სასტიკი შურისძიების სცენები შექმნა, მაგრამ შედეგებით დაგვანახა, რომ ჩაგრულთა გულში დაგროვილი ბალღამი და ბოროტებაზე ბოროტებით მიგება მჩაგვრელთა გულქვაობასა და ძალადობაზე ნაკლებ დამლუპველი არ არის სულისათვის. ამავე თემას ეხმიანება მიმტვევებლობის ქადაგება „ნიკოლოზ გოსტამაბიშვილში“. განსაკუთრებით საყურადღებოა ილია სიტყვები:

“სიკეთით სძლიე შენს მტერსა, ერიდე სასხლით ზღვევასა.

სულგრძელობითა ძლევა სჯობს, ვაჟკაცობითა ძლევასა.“

მოთხრობაში — „სარჩობელაზედ“ ავტორმა დაგვანახა სიკეთეზე ხელის აღებით როგორ კარგავს ადამიანი მადლს. ეფლობა ცოდვის მორევში. პოემაში — „მეფე დემეტრე თავდადებული“ ილიამ ასახა, თუ რა მნიშვნელობა აქვს ერის ცხოვრებაში წმინდანის მოწამეობრივ ღვაწლს, სულიერ გმირობას; „ოთარაანთ ქვრივსა,“ და „უცნაურ ამბავში“ დასახა ადამიანთა გულებს შორის ჩატეხილი ხიდის აღდგენის გზა. შეგვაცნობინა სიყვარულის ყოვლისშემძლეობა. პოემა „ქართველის დედა“ კი მთლიანად მიუძღვნა მამულიშვილურ სიყვარულს:

ეჰა, მამულო! შენის ტრფობის ძალსა ღვთიურსა

რა დაუდგება? კლდის სიმაგრეს აძლევ უძლურსა...

ოდეს შენდამი სიყვარული დაიდვრის გულში,

დედაც კი შვილის სიყვარულს ჰკლავს შენს სიყვარულში;

მამული სისხლი და ხორცია, სარწმუნოება — სული, ენა კი შემაკავშირებელი დულაბი. ამიტომ თითოეულის მნიშვნელობა ძალიან დიდია. ენის მთავარი ფუნქცია უფლის დიდებაა. წმ. ილია მართლის ახალგაზრდობის ჟამს დაწერილ ერთ-ერთ ლექსში ვკითხულობთ:

„სიამოვნებით სრულსა მომეცა ლხენა, მაშინ ატოკდა ეს ჩემი ენა,

ატოკდა, ღმერთი ესრეთ ახსენა: ღმერთო გადიდებს ქვეყანა შენა“.

ილიას ღრმად აქვს გაცნობიერებული თავისი „ღმერთთან საუბრის ნიჭი“. მას წინასწარმეტყველური ალლო კარნახობს: უნდა „წარუძღვეს წინა ერსა“, ამიტომაც უმთავრეს მიზნად ისახავს: გზააზნეულ თავის ხალხს აუხსნას, გააგებინოს, რომ ერთადერთი მასულდგმულელებელი ძალა ქვეყნისა — ჭეშმარიტი სარწმუნოებაა. „აჩრდილის“ XVII თავში წარმოდგენილი ძველი და ახალი მცხეთის კონტრასტული სურათები მკითხველს თვალნათლივ აჩვენებს რწმენის მნიშვნელობას თავისუფლებისათვის ბრძოლაში: „პირველ ქართველის მორჭმულთა შვილთა ღრმად ჩარგეს ძირი თავისუფლების;“ აღნიშნული ეპიზოდი იშვიათი ნიმუშია ალევორიული მჭევრმეტყველებისა, იგი სახარებისეული იგავური ენით გვამცნობს, რომ ქრისტიანობა არის: „ხე ცხოვრებისა“, რომლის „ფოთოლი, ხილი, საკვდავადაც დაჭრილს ეკურნებოდა“; „წყარო შვებისა“, „წყლულთა კურნება“, „წყარო უკვდავებისა“, „აიაზმა ერის ცხოვრების“, „მალამო“, რომლითაც „ქართველის ტკივილი დაყუჩდებოდა“. ასევე

საყურადღებოა პოემის დასასრულს ღვთისმშობლისადმი აღვლენილი ილიას ლოცვა:

”დედავ ღვთისაო! ეს ქვეყანა შენი ხვედრია...

შენს მეოხებას ნუ მოაკლებ ამ ტანჯულს ხალხსა;
საღმრთოდ მიიღე სისხლი, რომელ ამ ხალხს უღვრია,
ჩაგრულთ სასოო, ნუ არიდებ მოწყალე თვალსა!...“

ილიას რელიგიური შეხედულებები თანამედროვეობას აქტიურად ეხმიანება. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ბუმში მკაფიოდ განსაზღვრავს, რომ არ არსებობს ადამიანის შესაძლებლობების პრაქტიკული განხორციელება თვინიერ უფლის ნებისა. გავიხსენოთ მის მიერ წარმოთქმული სიტყვები **გაენათის მონასტერში გაბრიელ ეპისკოპოსის დასაფლავების დღეს**.

„ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკამათო საკითხი, მთელი წლების განმავლობაში, ეს იყო ილიას „განდეგილში“ დასმული პრობლემა. თითქოს „განდეგილში“ ერთმანეთს უპირისპირდება საზოგადოება და ასკეტიზმი. პოემის დედააზრი დიდხანს ესმოდათ, როგორც ცხოვრებისაგან განდგომილი ადამიანის დამარცხება. რიგმა მკვლევარებმა, აკაკი ბაქრაძის თაოსნობით, აჩვენეს, რომ განდეგილის ტრაგედია რწმენის ღალატით იყო გამოწვეული და არა ცხოვრებისაგან გაქცევით, რომ პოემა ცოდვით დაცემის კლასიკურ სიუჟეტზეა აგებული. განდეგილის დაცემა ღვთის ნების სამართლიანობის დაეჭვებით იწყება. ღვთის ნებაში დაეჭვებული განდეგილი იწყებს პასუხის ძიებას იმ კითხვაზე, რომელიც მას ადრე დიდი ხნის გადაწყვეტილად მიაჩნდა, ანუ იმეორებს პირველი ადამიანისა და მთელი კაცობრიობის შეცდომას. ღვთის მიერ მითითებული გზის უარყოფას და საკუთარი გზის ძიებას. მერე იწყება ცდუნების მეორე გზა; ინტელექტუალური ცდუნება ემშაკის მიერ. მწყემსი ქალი ასე მიმართავს მას: „მერე იცი კი რარიგ ტკბილია?!...“ პოემა ღვთის რისხვის სრული სურათით მთავრდება. ილიას აზრით, დაეჭვება და სასოწარკვეთა ისეთივე დამღუპველია, როგორც ლუარსაბის თვითკამაყოფილება. განდეგილი ღვთის გზაზე შემდგარი კაცია. მაგრამ გადამწყვეტ მომენტში ავიწყდება ღვთის სიტყვა, რაც საბოლოოდ მისი დაღუპვის მიზეზი ხდება. „განდეგილში“ ბიბლიური აღზრდის მეშვეობით ილია თავისი შემოქმედების უმთავრეს თემას ამუშავებს – „ნუთუ არ იცი გვამცნებდა ღმერთი ჯვარცმული, როს ბრძანა: ვითა მამა ზეცის, იყავ შენც სრული“.

ილია ჭავჭავაძის მსოფლხედველობის საფუძველი სახარებაა. ეს აშკარად გამოიკვეთა მის მხატვრულ-პუბლიცისტურ მემკვიდრეობაში. სამართლიანად ამახვილებს ყურადღებას მკვლევარი აკაკი ბაქრაძე „ოთარაანთ ქვრივის“ მთავარი პერსონაჟის გიორგის ქრისტეშობის დღეს დაბადებისა და მისი სიცოცხლის ტრაგიკული დასასრულის შესახებ. გიორგი არის მსხვერპლი, რომელმაც თვალი უნდა აუხილოს წოდებრივ საფუძველზე დაქუცმაცებულ ერს; შეაგნებინოს ყველას, რომ თითოეულ ადამიანში ეძებოს „ცოცხალი ხატი ღირსებისა“.

ამრიგად, ილია ჭავჭავაძემ თავისი ცხოვრებით, პრაქტიკული მოღვაწეობითა და შემოქმედებით ერს დაუსახა ჭეშმარიტი გზა, რომლისაგან გადახვევა ძალზედ დიდ საფრთხეს გვიქადის.

ლიტერატურა:

1. ახალი აღთქმა: ახალი აღთქმა, ბათუმი 2006
2. ბახტაძე გ. ჯიჯიუშვილი შ: ილია მართალი, დღე ჭარბა 2011, ხიჭაური. 2011
3. მინაშვილი ლ. ილია ჭავჭავაძე, თბ. 1995
4. ჭავჭავაძე ი: თხზულებათა IV ტომი, თბ. 1955
5. ჯაფარიძე ა.: საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, თბ. 2009

Some examples of religious flow in the artistic heritage of Ilia Chavchavadze

Surmanidze Soslan

LSI St. Khichauri Educational University named after Tbel Abuserisdze

Abstract

The basis of the worldview of Ilia Chavchavadze is the gospel. This was evident in his artistic and journalistic heritage. Researcher Akaki Bakradze rightly draws attention to the birth of the main character of "Otaraant Kvrivi" Giorgi on Christmas Day and the tragic end of his life. Giorgi is a victim who must open his eyes to a nation divided on the basis of rank; To teach everyone to look for a "living icon of dignity" in each person. In the present work, we will briefly focus on the traces of the Christian religion in the works of St. Ilia the Righteous. Here, we mainly selected the joint report of professors Guram Bakhtadze and Shota Jijieshvili about Ilia Pattali, which was presented in Didachara, at the conference dedicated to Andria the Great in May 2011.

In addition, we will review some examples from Ilia Chavchavadze's artistic work to show that for Ilia Pratli, Georgianness and Christianity are intertwined and he could not present them without each other.

Keywords: nationality, Christianity, intertwining, artistry, autocephaly, independence, creativity

XIX საუკუნის 70-იანი წლების სალიტერატურო კრიტიკა და გიორგი წერეთელი

ქაჯაია მანანა

საქართველოს სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი

DOI: <https://doi.org/10.52340/idw.2023.59>

აბსტრაქტი. ნაშრომში განხილულია XIX საუკუნის ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, გიორგი წერეთლის პიროვნული, საზოგადოებრივი და შემოქმედებითი სტილი XIX საუკუნის 70-იანი წლების კრიტიკოსთა შეფასებით.

ჩვენ წინაშე დგას საინტერესო შემოქმედი. გიორგი წერეთელმა ილია ჭავჭავაძესა და აკაკი წერეთელთან ერთად, 60-იანი წლებიდან, ე. ი. ჭაბუკობიდან მოყოლებული გარდაცვალებამდე იტვირთა ძალზე მძიმე და საპასუხისმგებლო მისია ხელოვანისა და, ამავე დროს, ერის მოძღვრისა.

გიორგი წერეთლის კრიტიკული განხილვის გზაზე, ოთხი პერიოდიდან პირობითად გამოვყოთ XIX საუკუნის 70-იან წლებს. ამ წლების კრიტიკული წერილებიდან ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით პირველობა უნდა მივაკუთვნოთ ნიკოლოზ დიმიტრიძის (ნ. დ. ყიფიანის) წერილებს, რომლებიც „დროების“ 1871 წლის №8, №14-ში დაბეჭდა რუბრიკაში „ბიბლიოგრაფია“. ასევე განხილულია სერგეი მესხის, ანტონ ფურცელაძის, მხცოვანი ქართველი პოეტის, „ქართული სიტყვის მეუფის“ სტატია „მგზავრობა სვანეთისაკენ“. მან უჩვეულო სკუპულოზურობით განიხილა გიორგი წერეთლის მოთხრობა ენობრივი თვალსაზრისით.

ერთი სიტყვით, გიორგი წერეთლის ღრმა მეცნიერული შესწავლისათვის საფუძველი გიორგი წერეთლის თანამედროვე და საზოგადოდ პირველმა კრიტიკოსებმა მოამზადეს. მათ კრიტიკულ ნააზრევში ფაქტობრივად უკვე დაისვა თითქმის ყველა ის საკითხი, რომლებმაც გარღვევა და სათანადო მეცნიერული ფართო არგუმენტაცია ჩვენს დროში პოვეს.

საკვანძო სიტყვები: საზოგადოებრივი, სტილი, დრამატურგიული, სკრუპულოზული, არგუმენტაცია.

გიორგი წერეთელი XIX საუკუნის ქართული მწერლობის ერთ-ერთი დიდი წარმომადგენელია. იგი იყო პროზაიკოსი, პოეტი, დრამატურგი, ლიტერატურისა და თეატრალური კრიტიკოსი. ჩვენ წინაშე დგას საინტერესო შემოქმედი. გიორგი წერეთლის ღრმამეცნიერული შესწავლისათვის, ჩვენი აზრით, სწორედ მე-19 საუკუნის კრიტიკოსთა ნაშრომებმა მოამზადეს. არა ერთი კრიტიკული სტატია, წერილი დაიბეჭდა მის შესახებ. თავდაპირველად კრიტიკოსთა ყურადღება მიიპყრო გიორგი წერეთელმა, როგორც დრამატურგმა. კერძოდ, გიორგი წერეთელზე თავისი მოსარებები გამოთქვეს ს. მესხმა, ნ. დეიფიანმა, ნ. ნიკოლაძემ, ანტ. ფურცელაძემ.

70-იანი კრიტიკული წერილებიდან გამოირჩევა მხცოვანი ქართველი პოეტი, „ქართული სიტყვის მეუფე“, გროგოლ ორბელიანი, რომელიც ითვლება ერთ-ერთ პირველ შემფასებლად გიორგი წერეთლის პროზისა.

როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ ათენის დემოკრატია უთმობდა განსაკუთრებულ ყურადღებას თეატრს და მის მუშაობას ყოველმხრივ უწყობდა ხელს. თეატრის ინტერესებზე ზრუნვის სახელმწიფო რანგში აყვანას, ბუნებრივია, თავისი საფუძველი ჰქონდა. კერძოდ, როგორც სათანადო სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, „თეატრი ხალხის ფართო

მასებში დემოკრატიული სახელმწიფო წყობილების იდეალებს ნერგავდა და ამიტომ ხშირად ხელისუფლება ღარიბ მოსახლეობას წარმოდგენაზე უფასოდ დასწრების საშუალებას აძლევდა“ [Тронский 1983: 113-116].

ჩვენი აზრით, გ. წერეთლის განსაკუთრებული ყურადღება ქართული თეატრისადმი სწორედ მის მიერ თეატრალური ხელოვნების როლის დემოკრატიის იდეალების პოპულარიზაციის პოზიციიდან უნდა განვიხილოთ.

ბუნებრივია, რომ გ. წერეთელი, ისევე როგორც ილია და აკაკი, დიდ მნიშვნელობას აძლევდა თეატრის როლს ეროვნული შეგნების განვითარებასა და ქართული ენის ავტორიტეტის ზრდაში. მიუხედავად ამისა, ჩვენი აზრით, გიორგი წერეთელს ქართული თეატრი, როგორც ვთქვით, უპირველეს ყოვლისა, დემოკრატიული იდეების გამავრცელებლად, ასე ვთქვათ, მოქალაქეობრივი შეგნების ამაღლების კერად მიაჩნდა. ასეთი მოსაზრების გამოთქმის უფლებას თავად გ. წერეთლის პიესების სიუჟეტების განხილვა გვამლევს.

თანამედროვენი დიდი ყურადღებით მოეკიდნენ გ. წერეთლის პიესას „ჯიბრი“, რომელიც 1871 წელს „კრებულის“ II წიგნში დაიბეჭდა. ამავე წელს გაზეთ „დროების“ (1871 წ. № 8, 14) რუბრიკაში „ბიბლიოგრაფია“ დაიბეჭდა ნიკ. დიმიტრიძის წერილი, რომელშიც კრებულის I და II წიგნებში დაბეჭდილ სხვა მასალებთან ერთად დიდი ადგილი უჭირავს გ. წერეთლის კომედიის „ჯიბრის“ განხილვას.

სტატიის ავტორი პირველ წერილში („დროება“ № 8, 1871) გაკვრით ეხება გ. წერეთლის პიესას, ხოლო შემდეგ მეორე წერილში („დროება“, № 14, 1871) დაწვრილებით აღნიშნავს, რომ გ. წერეთლის პიესა ვრცლად და საინტერესოდ გააშუქა „დროების“ 1871 წლის № 10 ს.მ (სერგეი მესხმა).

მართლაც, 1871 წლის „დროების“ № 10-ში დაბეჭდილ წერილში „კრებული“ I და II წიგნი ს.მ. (სერგეი მესხი) აღნიშნავს, რომ „ჯიბრის“ ღირსება, როგორც ლიტერატურული თხზულებისა, ის არის, რომ მას შეუძლია ჩვენს წარსულზე და ახალ ცხოვრებაზედაც დაავიქროს ყოველი კაცი“ [მესხი 1871: 1-2].

საინტერესოა, რომ სტატიის ავტორი დაუფარავად აღნიშნავს პიესის ნაკლოვან მხარეებსაც და, ამდენად, მისი წერილი პათეტიკურობისაგან დაზღვეულია. კერძოდ, იგი წერს: „ჯიბრი“ მოკლებულია სასაცილო ადგილებს, სცენურ ეფექტსა და მოძრაობას. „ჯიბრში“ ყველა ესენი ნაკლებადაა და ამიტომ ის შეიძლება ისე კარგად ვერ წავიდე სცენაზე, როგორც მაგ.: „გაყრა“, „მზის დაბნელება“ [მესხი 1871: 2].

ს.მ.-ის (სერგეი მესხი) აზრით, გ. წერეთელზე უფრო დიდი ტალანტის მქონე მწერალი მოახერხებდა კომედიის შინაარსისა და ფორმის ისე შერწყმას, რომ იგი აზრიანიც ყოფილიყო და დინამიკურიც. თუმცა, კრიტიკოსის თქმით, „როგორც არ უნდა იყოს, ჩვენს ღარიბ ლიტერატურაში „ჯიბრი“, მაინც შესანიშნავი თხზულებაა“ [მესხი 1871: 2].

კომედიის ღირსებათა გამოკვეთის მიზნით ნ. დიმიტრიძე (ნ.დ. ყიფიანი) დაწვრილებით განიხილავს მის შინაარსს და განსაკუთრებით წარმოაჩენს კიკოლას – შინაყმას, რომელიც, მისი აზრით, „მომავლის კაცია“. კიკოლა, სტატიის ავტორის თქმით, ცხოვრებაში არ დაიკარგება და არც ისე დაეცემა, როგორც მოურავი მგელია. ამასთან, კიკოლას მოსიყვარულე ადამიანური გული აქვს. ნიკ. დიმიტრიძის თქმით, პიესის გმირები დუხჭირი ცხოვრებისაგან არიან გაავებულინი.

სტატიაში აგრეთვე აღნიშნულია, რომ „დროებაში“ ს.მ.-ის მიერ გამოთქმული მოსაზრება იმის თაობაზე, რომ პიესა „ჯიბრი“ ბატონყმობის დროს ასახავს, უმართებულოა (იგულისხმება „დროების“ 1871 წ. № 10-ში დაბეჭდილი სტატია).

გ. წერეთლის პიესა „ჯიბრმა“ რომ საკმაოდ დიდი ყურადღება დაიმსახურა, იმაზე ის პილემიკაც მეტყველებს, რომელიც ამ პიესის გამო გაიმართა ნიკო ნიკოლაძესა და ანტონ ფურცელაძეს შორის. მართალია, ორივე ავტორი რამდენადმე გასცდა ლიტერატურული კამათის საზღვრებს, მაგრამ, ვფიქრობთ, რომ მათი ნააზრევი საკმაოდ საყურადღებოა.

როგორც ცნობილია, ანტონ ფურცელაძეს სერიოზული უთანხმოება მოუვიდა გიორგი წერეთელთან და საერთოდ „დროება-კრებულის“ რედაქციასთან, რადგან მათ არ დაბეჭდეს მისი თხზულებები. მოგვიანებით ანტონ ფურცელაძემ მოენიძის ფსევდონიმით გაუგზავნა

რედაქციას ლექსები, რომლებიც გიორგი წერეთელმა – იმხანად „დროების“ რედაქტორმა, გაზეთში დაბეჭდა, სწორედ ამიტომ გ. წერეთლისა და ანტ. ფურცელაძის ურთიერთდამოკიდებულება საგრძნობლად გამწვავდა [აბზიანიძე 1959: 315].

ანტ. ფურცელაძემ 1872 წელს „მნათობის“ № 10-ში გამოაქვეყნა სტატია „ათი მტერს ერთი მოყვარეს“, როგორც ვიცით, ანტ. ფურცელაძეს მკვეთრი სტილი ჰქონდა და ამ მხრივ არც დასახელებული წერილი წარმოადგენს გამონაკლისს. მასში დამცინავი ტონით არის განხილული „დროებაში“ 1871 წელს დაბეჭდილი სხვადასხვა სახის მასალა და მათ შორის ნიკ. დიმიტრიძის (ნიკოლოზ ყიფიანის, – მ. ქ.) რეცენზია გ. წერეთლის პიესა „ჯიბრზე“.

ანტ. ფურცელაძე აღნიშნავს, რომ ნიკ. დიმიტრიძე არ ეთანხმება რეცენზიაში ს. მესხის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ პიესა ბატონყმობის დროს ასახავს [მესხი 1871: 2; 4: 3]. რაც ნამდვილად უმართებულოა, რადგან ანტ. ფურცელაძის თქმით, კარგი იქნება დიმიტრიძემ „ნახოს მეთექვსმეტე გვერდი „ჯიბრისა“, სადაც წერია, რომ ეს თხზულება ეკუთვნის ბატონყმობის დროსა“ [ფურცელაძე 1872: 188].

ამასთან, ანტ. ფურცელაძის აზრით, საერთოდ „დროება-კრებულის“ რედაქცია მხოლოდ მიკერძოებით, მეგობრული დამოკიდებულებების ზეგავლენით ბეჭდავს ნაწარმოებებს და შემდეგ მათზე დადებით რეცენზიებსაც ათავსებს [სკანდელი 1872: 140].

ანტ. ფურცელაძის წერილს „ათი მტერს ერთი მოყვარეს“ გამოეხმაურა ნ. ნიკოლაძე, რომელმაც „კრებულში“ სკანდელის ფსევდონიმით გამოაქვეყნა სტატია „ჩვენი მწერლობა“. მასში ნ. ნიკოლაძე აღნიშნავს, რომ ანტ. ფურცელაძე სრულიად უმართებულოდ აკრიტიკებს „დროება-კრებულში“ დაბეჭდილი მასალების ავტორებს, თითქოს ისინი მიკერძოებით, მეგობრობის გავლენით უბეჭდავდნენ ერთმანეთს ნაწარმოებებს და შემდეგ მათზე დადებით რეცენზიებს ათავსებდნენ. ნ. ნიკოლაძე დაბეჯითებით იმეორებს, რომ გ. წერეთლის პიესა „ჯიბრი“ რეცენზენტების მიერ ობიექტურად იყო შეფასებული და პიესის ქებისას ისინი „მეგობრობით კი არა, კრიტიკული მსჯელობით ხელმძღვანელობდნენ“ [სკანდელი 1872: 140].

ნ. ნიკოლაძე მართებულად შენიშნავს, რომ ქართულ დრამატურგიაში ადრე ძირითადად ერთსა და იმავე თემაზე შექმნილი, ერთი სტილის კომედიები სჭარბობდა, ხოლო „ჯიბრი“ ამ მხრივ გარკვეულ სიახლეს წარმოადგენდა.

კრიტიკოსის აზრით, გ. წერეთლის მიერ პიესაში დახატული სამყარო ჯერ კიდევ არ იყო აღწერილი ქართველი მწერლების მიერ. თუმცა მას ყოველი მათგანი ძალიან კარგად იცნობდა. ნ. ნიკოლაძის თქმით, „იქ (პიესაში, – მ. ქ.), ჩვენ ნამდვილ შეუფერავ, ცოცხალ ნაცნობებს ვხედავთ, თითქმის დაგეროტიკული სიმართლით გამოხატულებს. ჩვენ გვესმის მათი ნამდვილი ლაპარაკი და ენა – ეს არაფერია, მაგრამ ძალა იმაშია, რომ ჩვენი თვალების წინ დგება მათი ნამდვილი ხასიათი, მათი მოსაზრება, მათი ტვინი და გული, რამდენს უთქვამს „ჯიბრის“ წაკითხვის შემდეგ, „რა საკვირველათ ჩამოგავს `ჯიბრის` გამდელი ჩემსასო. საზოგადოდ „ჯიბრის“ სურათების სინამდვილე ყველამ აღიარა, ყველამ იცნო და გამოთქვა“ [სკანდელი 1872: 142-143].

ნ. ნიკოლაძე სინანულით წერს, რომ ჩვენში სიყვარულისათვის არავინ არ იბრძვის არც ქალი და არც კაცი, რადგან ცხოვრების პირობების გამო ადამიანთა ნიჭი და ენერგია მხოლოდ ლუკმა-პურისათვის ბრძოლასა და მიწის ნაჭრის მოპოვებაზე იხარჯება.

ნიკო ნიკოლაძე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სიუჟეტის ყოფითი ხასიათის მიუხედავად, გ. წერეთლის პიესა „ჯიბრი“ ახალი მანერის, ახალი კომედიების პროტოტიპი გახდა [სკანდელი 1872: 142-143].

ნ. ნიკოლაძის მიერ გ. წერეთლის „ჯიბრის“ შეფასებას „კრებულის“ ფურცლებზე ანტ. ფურცელაძის მხრიდან მწვავე კრიტიკა მოჰყვა. მართალია, ანტ. ფურცელაძის წერილი მკვეთრი ტონით არის დაწერილი და შეიძლება ითქვას, რომ ობიექტურობითაც არ გამოირჩევა, მიუხედავად ამისა, ვფიქრობთ, რომ მას მაინც აქვს გარკვეული მნიშვნელობა, თავად აღნიშნული წერილის სათაური „საწყალი კუდაბზიკა“ უკვე გ. წერეთლის მიერ შექმნილი სახის მხატვრულ სიძლიერეზე მეტყველებს.

წერილში ანტ. ფურცელაძე ნიკო ნიკოლაძეს „კუდაბზიკა სკანდელს“ უწოდებს, იგი წერს: „რაც კუდაბზიკა წაგიკითხავთ უფ. გ. წერეთლის წერილებში, სწორედ ის კუდაბზიკაა

სკანდელი, წარმოდგინეთ კუდაბზიკა თავისის წელმოწყვეტილი ჯაგლაგით, რომელსაც სცემს მათრახს, დეზებს, ჰბტის თვითონ ზედ ყვანყვალებს, რომ ეგების ამით მაინც აჰყვეს ფეხის ხმას და წავიდეს სხვების თანასწორათაო, მაგრამ ჯაგლაგი აჩქარების მაგიერათ, უშვებს მწუხარებისაგან მუზიკას და რჩება ყველას უკანა: კუდაბზიკა კი ისე იყურება, ისე გიჩვენებთ სახეს და რიხს, თითქოს ეს იჯდეს რაშხედ და უძლოდეს წინ თუ ქსერქსის ჯარებს არა, პრუსიის არმიას მაინც“ [ფურცელამე 1872: 2].

როგორც ვხედავთ, ანტ. ფურცელამე კუდაბზიკას თემაზე დაწერილ ვარიაციას გვთავაზობს, სამწუხაროდ, წერილში უდიდესი ადგილი მხოლოდ არაკონკრეტული საკითხების განხილვას ეთმობა.

ავტორი, მართალია, ეხება გ. წერეთლის პიესა „ჯიბრის“ შესახებ ნ. ნიკოლაძის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს, მაგრამ ძალზე სუბიექტურია მათი შეფასებისას. კერძოდ, როგორც ვიცით, თავის წერილში, რომელიც „კრებულში“ გამოქვეყნდა 1872 წელს, ნ. ნიკოლაძე აღნიშნავდა, რომ გ. წერეთელმა ახალი პერსონაჟები შემოიყვანა და ქართული კომედიების ტრადიციულ გმირებს: სომეხ ვაჭარს, მაჭანკალსა და იმერელ ხელზე მოსამსახურეს გვერდი აუარა. ანტ. ფურცელამე, რატომღაც ცალკე გამოყოფს ამ აზრს და ასკვნის, რომ პიესის დადებითად შეფასებისათვის ეს არ არის საკმარისი.

ანტ. ფურცელამე ძალიან ესარჩლება სომეხი ვაჭრების ქართულ პიესებში გამოყვანის ტრადიციას და ამ მოვლენას იმით ხსნის, რომ ყველაზე მეტად ჩარჩები და ვაჭრები ავიწროებდნენ ქართველებს, მისი აზრით, „ჯიბრში“ არ არის დახატული „ცხოვრების სურათები“, იგი „ჯიბრს“ „საცოდავ კომედიას“ უწოდებს“ [ფურცელამე 1872: 14].

როგორც ცნობილია, თავდაპირველად ანტ. ფურცელამე საკმაოდ მძაფრად აკრიტიკებდა ილია ჭავჭავაძის მხატვრულ ნაწერებს. აღნიშნულ წერილში იგი კვლავ ეხება ილიას მხატვრულ სტილს და ხაზგასმით მიუთითებს, რომ „ამასთან, ჭავჭავაძეს აქვს ერთი ნაკლებულობა, როგორც აქამდინაც არ ამოიკვეთა, ეგ ისაა, რომ სწერს ცხოვრებას და არა მოქმედებს ცხოვრებას; ანუ უკეთა ვთქვათ, აწერს ცხოვრებას იმას, რაც თვით ცხოვრების მომდინარეობიდან, რაც ცხოვრების მიხეხებიდან, რაც გარშემო მოვლენებიდან ხშირად არ წარმოდგებიან, ... ამგვარმა მაგის (ი. ჭავჭავაძის, _ მ. ქ.) მოქმედებამ დაჰბადა ჩვენს მწერლობაში უფ. გ. წერეთლის „ჯიბრი“ და „ჩვენი ცხოვრების ყვაილები“ („ჩვენი ცხოვრების ყვაილი“, – მ. ქ.) და მისი მსგავსები, რომელშიაც ისახებიან სრულიად ეს აწერილი ჭავჭავაძის ნაკლულელები“ [ფურცელამე 1872: 37].

ჩვენი აზრით, ანტ. ფურცელამემ თავისდაუნებურად, საკმაოდ მაღალი შეფასება მისცა გ. წერეთლის „ჯიბრს“ იმით, რომ იგი ილიას ნაწარმოებების გავლენით შექმნილად ჩათვალა. ბუნებრივია, „ჯიბრი“ ნამდვილად არ შეიძლება დავაყენოთ ი. ჭავჭავაძის „მგზავრის წერილების“ გვერდით. ვიმეორებთ, რომ „ჯიბრის“ ი. ჭავჭავაძის ნაწარმოებების გავლენით შექმნილად მიჩნევა ანტ. ფურცელამის მხრიდან მაინც ფაქტობრივად დადებით შეფასებად მიგვაჩნია.

საერთოდ, მწერლის შემოქმედების შეფასების განხილვისას, ბუნებრივია, ჩვენთვის უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება თავად შემფასებლის პიროვნულ ღირსებებს. მიუხედავად მთელი რიგი წინააღმდეგობებისა, გრიგოლ ორბელიანის ავტორიტეტი შეიძლება ითქვას, რომ მართლაც შეუვალა იყო ქართული საზოგადოებისათვის. ამასთან, ისიც გასათვალისწინებელია, რომ იგი ღრმად განათლებული პიროვნება გახლდათ, როგორც შეეფერებოდა მის მაღალ წარმოშობას. ბრწყინვალე ქართველი რომანტიკოსი პოეტი მთელი თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე დიდი ინტერესით ადევნებდა თვალს ქართული მწერლობის განვითარებას. ინტერესით ეცნობოდა ახალ სახელებს. ახარებდა ნიჭიერი კაცის გამოჩენა, ხოლო ის, რაც მისი აზრით საზიანო იყო ქართული მწერლობისათვის, მის დაუფარავ უკმაყოფილებას იწვევდა და თავს მოვალედ რაცხდა წინ აღდგომოდა მას.

საყოველთაოდაა ცნობილი ის მაღალი შეფასება, რასაც გრ. ორბელიანი ილია ჭავჭავაძეს აძლევდა, თვით მათი პოლემიკის პერიოდში, მოგვიანებით მხცოვანმა პოეტმა ვერ დაფარა სიხარული ახალგაზრდა ალ. ყაზბეგის კითხვისას და აღტაცებით აღნიშნა „მაბამ, ქართველთ ჰომიროს არს!“ გადმოცემის მიხედვით, პოეტი დიდ პატივს სცემდა მისი უღმობელი

კრიტიკოსის აკაკი წერეთლის ტალანტსაც.

მაგრამ, როგორც აღინიშნა, გრ. ორბელიანს ზოგჯერ მეტად მწარე, მკაცრი, მაგრამ სამართლიანი აზრიც გამოუთქვამს ზოგიერთ მწერალზე.

მართალია, გრ. ორბელიანი კრიტიკული სტატიების სახით ნაკლებად მონაწილეობდა ლიტერატურულ ცხოვრებაში, მაგრამ ფაქტია, რომ მან საჭიროდ ჩათვალა გიორგი წერეთლის შესახებ ვრცელი კრიტიკული წერილი დაეწერა.

გრიგოლ ორბელიანის ყურადღება დაიმსახურა გ. წერეთლის მოთხრობამ „კიკოლიკი, ჩიკოლიკი და კუდაბზიკა“, რომელიც პირველად სათაურით „მგზავრის წიგნები“ პირველი ოთხი „წიგნი“ გაზეთ „დროებაში“ 1867 წელს დაბეჭდა, ხოლო 1870 წელს V და VI „წიგნები“. 1873 წელს „მგზავრის წიგნები“ „კრებულმა“ მთლიანად გამოაქვეყნა. „დროებაში“ ნაწარმოები ხელმოუწერლად იბეჭდებოდა, ხოლო „კრებულში“ კი ხელმოწერით [ჭილაია 1964: 318].

გრ. ორბელიანმა „ძუელი სემინარისტის“ ფსევდონიმით „ცისკარის“ 1874 წლის № 9-10-ში დაბეჭდა სტატია „მგზავრობა სვანეთისაკენ – გ. წ.“ წერილში ავტორი, სამწუხაროდ, ძალიან მოკლედ ეხება განსახილველი ნაწარმოების მხატვრულ ღირსებებს და შემდეგ ძირითადი ყურადღება მწერლის ენაზე საზოგადოდ, მომეტებულად კი მართლწერის საკითხებზე აქვს გადატანილი, მაგრამ, ჩვენი აზრით, მისი ეს ლაკონიური შენიშვნებიც ძალიან საყურადღებოა. გიორგი წერეთლის ტიპებზე მსჯელობისას, საინტერესოა მისი ლაკონიური დახასიათებები.

გრ. ორბელიანს საკმაოდ მკაცრად და დაუნდობლად აქვს განხილული კიკოლიკის სტერეოტიპი; „იგი იყო ღარიბი, მრავლის მომთმენი და მამიებელი ლუკმა-პურის. თავისი შრომითა და ოფლით, და ამის გამო თავის თავზე მზრუნველი, ვიდრე საზოგადოებაზე [ძუელი სემინარისტი 1874: 188-189]“.

როგორც ვხედავთ, მწერლის მიერ გამოთქმულ მოსაზრებაში ხაზგასმულია ის გარემოება, რომ ეკონომიკური ბაზის უქონლობის გამო, ადამიანს არ შეუძლია იყოს დამოუკიდებელი, იგი მუდამ პურს ეძებს და ამიტომ იძულებულია ბევრი რამ მოითმინოს და, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი ინტერესების დაცვაზე იზრუნოს.

ჩიკოლიკიც, გრ. ორბელიანის თქმით, ფაქტობრივად მხოლოდ სიღარიბეს ებრძვის: „ჩიკოლიკი არის უსწავლელი, მაგრამ დიდად თავმომწონი, ცდილობს ყოველ შემთხვევაში თავი აჩვენოს სწავლულად და ამის გამო მოუღალავად რომავს, რაც მოხვდება ლაპარაკში, უყვარს ოხუნჯობა-მასხრობა, და ესეც ეძებს ამ ვეება ქვეყანაში სიღარიბის გამო საზრდოს“ [ძუელი სემინარისტი 1874: 189].

ჩვენი აზრით, ძალიან საინტერესოდ განიხილავს გრ. ორბელიანი მწერლის მიერ დახატული განათლებული ახალგაზრდის სახეს, რომლის პროტოტიპადაც თავად ავტორი – გ. წერეთელი უნდა ვიგულისხმოთ.

გრ. ორბელიანის თქმით, გ. წერეთელი აგვიწერს მაღალი ღირსებით შემკულ პიროვნებას, რომელიც სამართლის თავგამოდებული დამცველია. ამასთან, გრ. ორბელიანის აზრით, ეს გმირი ზედმეტად პოეტურია. მისი პატრიოტიზმი მაღალფარდოვანი ფრაზების წარმოთქმით უფრო განისაზღვრება, ვიდრე კონკრეტული საქმეებით.

გრ. ორბელიანი განსაკუთრებით უსვამს ხაზს იმ გარემოებას, რომ გ. წერეთლის მიერ ყოველი ღირსებით შემკული მისივე პროტოტიპი მძაფრად ეწინააღმდეგება კიკოლიკის მიერ ცოლის შერთვის გადაწყვეტილების მიღებას. გრ. ორბელიანის ამ მსჯელობაში გარკვევით იგრძნობა მისი გულწრფელი გაკვირვება გ. წერეთლის პოზიციით.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გრ. ორბელიანი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს გ. წერეთლის ენობრივ სტილს. იგი წერს: „მე არ შევეხები ავტორის იდეას, არც მის მიმართვას, მე ვეძებ ქართულ მოთხრობაში მხოლოდ ქართული ენის სიწმინდეს“ [ძუელი სემინარისტი 1874: 194].

გრ. ორბელიანი უჩვეულო სკრუპულოზურობით განიხილავს გ. წერეთლის მოთხრობის ენას და როგორც მითითებულია სამეცნიერო ლიტერატურაში, მართალია, „სტატიაში თავი იჩინა „მამათა“ ბანაკის მოძველებულმა მრწამსმა ენის საკითხში, კერძოდ, ეს ითქმის ძველი ასოების ხმარების შესახებაც, რასაც თავგამოდებით იცავს გრ. ორბელიანი... მაგრამ აქვე უნდა დავძინოთ, რომ მიუხედავად სტატიის ზემოაღნიშნული ნაკლისა, ავტორის კონკრეტული

ენობრივი ხასიათის შენიშვნები, გ. წერეთლის მისამართით, უმეტეს შემთხვევაში მართებულია“ [ორბელიანი 1935: 565].

სტატიაში, უპირველეს ყოვლისა, გრ. ორბელიანი აღნიშნავს, რომ აუცილებელია მწერალმა ის ენა, რომელზედაც წერს, ან თეორიულად, ან პრაქტიკულად იცოდეს და მეტად საინტერესოდ განმარტავს უბრალო გლეხის მიერ სწორი ქართულით მეტყველების მიზეზს: „...ეს მოდის იქიდან, რომ სიყრმიდანვე მას ესმის კანონიერი ლაპარაკი და პრაქტიკულად სწავლობს ენას“ [ძუელი სემინარისტი 1874: 196].

გრ. ორბელიანი მაღალ შეფასებას აძლევს ახალგაზრდა მწერლების მცდელობას, აღადგინონ ქართული ენის ღირსება და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ: „არ ედებათ მათ ბრალი თუ ზოგიერთის ნაწერებში მოსჩანს შეცდომები, როგორც ენის თვისების, ეგრეცა მართლწერის“ [ძუელი სემინარისტი 1874: 196]. შეიძლება ითქვას, რომ გრ. ორბელიანი მართლაც თავისი მაღალი ინტელექტის შესაფერ დასკვნას აკეთებს, როდესაც ახალგაზრდა მწერლების ენობრივ შეცდომებს საოცრად ზუსტი და ლოგიკური მიზეზებით ხსნის: „მათ არ ჰქონიათ შემთხვევა ქართული ენის ღრმად შესწავლისა და ამ მიზეზით არ არიან ჩვეულნი „სადმრთო წერილსა“, რომელიც არის მართლაც მოუღვეველი საუნჯე ჩვენი ენისა და რომელშიც მაღალი და ღრმა აზრებია გამოთქმული, ადვილი და მშვენიერი ფორმით“ [ძუელი სემინარისტი 1874: 196].

საყურადღებოა აგრეთვე გრ. ორბელიანის მოსაზრება საერთოდ კრიტიკის დანიშნულებაზე. მწერლის თქმით, „და რადგანაც არა რომელსამე ხელოვნებას, არა საქმეს არ მიეცემა უკეთესობა, თუ კრიტიკა არ მიეშველება მას ცხადად არ აჩვენებს ნაკლოვანებას და ურიგობას, ამის გამო მგონია, რომ ეხლა დროა, რომ კრიტიკამ მიაქციოს ყურადღება ჩვენს მართლწერასაც და თვით ენის თვისებასაც“ [ძუელი სემინარისტი 1874: 196].

ვფიქრობთ, საინტერესოა გრ. ორბელიანის შეხედულება ენის ხალხურობის თაობაზე, რომელიც ამ სტატიაშია გამოთქმული: „ხალხის ენა არის მხოლოდ მასალა შემუშავებული; ვიდრე დახელოვნებული მწერალი მასალასა მას არ გადაარჩევს, კარგსა უვარგისისაგან არ გაჰშენდს, არ გაამშვენიერებს და დიდებულებითა არ აღიყვანს სალიტერატუროს სამფლობელოში; მერე იმ გალამაზებულ ენასა გამშვენიერებულის ფორმითა გადმოჰსცემს მისა ხმარებულად ისევ იმასვე ხალხსა, რომელიცა არის პატრონი ენისა, და რომელიცა შეითვისებს იმას, ვითარცა საკუთრებასა; და ამ სახით უმეტეს და უმეტეს მშვენიერდება ხალხის ენა და მით უმეტეს ნათლდებაცა მისი გონება“ [ძუელი სემინარისტი 1874: 24]. როგორც ვხედავთ, გრ. ორბელიანის მიერ, მართლაც, შესანიშნავად არის ჩამოყალიბებული მოსაზრება ენის ხალხურობის თაობაზე და, ამდენად, გ. წერეთლის ნაწარმოების რამდენადმე უარყოფითი შეფასების მიუხედავად, გრ. ორბელიანს თავისი ნიჭისა და დიდი ერუდიციის შესაფერი ზოგადი მოსაზრებები აქვს გამოთქმული.

გრ. ორბელიანის აზრით, ჭეშმარიტად ხალხის საკუთრებად მწერლის ენა მხოლოდ მაშინ იქცევა, როცა ის თავის სულიერ ქურაში გაადნობს ხალხის მეტყველებას, მაშასადამე, ენის შესაძლებლობების, მისი ენერჯის გამომხატველი, პირველ ყოვლისა, სალიტერატურო ენაა და მისი ნამდვილი შემოქმედი დიდი ხელოვანი, რომელსაც ცოდნასა და ოსტატობასთან ერთად უნდა ჰქონდეს „ნიჭი ბუნებითი“.

ისიც უნდა ითქვას, რომ გრ. ორბელიანის წერილს მთლიანობაში აშკარად ეტყობა დამაბულობა. ვფიქრობთ, იგი გამოწვეული უნდა იყოს იმ ეჭვით, რომელიც ავტორს აღუძრა 1871 წელს ხელმოუწერლად გავრცელებულმა ილია ჭავჭავაძის „გამოცანებმა“, კერძოდ, გრ. ორბელიანი ვარაუდობდა, რომ „გამოცანების“ ერთ-ერთი შესაძლო ავტორი გ. წერეთელი იყო.

ცნობილია, რომ „გამოცანების“ დაწერის საბაზი გახდა კონკრეტული ისტორიული ფაქტი – 1871 წელს თბილისში იმპერატორ ალექსანდრე II-ის სტუმრობისას მისთვის თავადაზნაურობის ყრილობის მიერ დადგენილი ადრესის ნაცვლად, თბილისში უნივერსიტეტის გახსნის თხოვნით, ახალი ადრესის მირთმევისა, რომელშიც კადეტთა კორპუსის გახსნას ითხოვდნენ [ჭავჭავაძე 1938: 387].

ახალმა თაობამ, ბუნებრივია, ძალიან მწვავედ განიცადა ასეთი ორპირობა და ილიას „გამოცანებიც“ სწორედ ამისი გამოძახილი გახლდათ. მართალია, „გამოცანებში“ ყველაზე რბილად სწორედ გრ. ორბელიანია გაკრიტიკებული, მაგრამ მან მაინც მტკივნეულად განიცადა

ეს ყოველივე და დაწერა ლექსი „გამოცანების პასუხი“, რომელიც ფაქტობრივად „პასუხი შვილთას“ პირველ ვარიანტს წარმოადგენს [ორბელიანი 1935: 109-111, 157-158].

„გამოცანების პასუხში“ საკმაოდ მკაცრად არიან მოხსენიებულნი ახალი თაობის წარმომადგენლები:

ბევრი მოვიდნენ თქვენისთანები!

კოლო-ბუზები

ლიბერალები,

ცრუ პოეტები, პატრიოტები,

აკაკიები,

ბაკაკიები,

სიონელები, გოგოტელები [ორბელიანი 1935: 109-111, 157-158].

აღსანიშნავია, რომ გრ. ორბელიანის ჩვენ მიერ განხილულმა სტატიამ მწერლის თანამედროვეთა ყურადღება დაიმსახურა. კერძოდ, ცნობილი საზოგადო მოღვაწე და ჟურნალისტი მიხ. თუმანიშვილი თავის ვაჟს გიორგის 1875 წლის 21 იანვრით დათარიღებულ წერილში ატყობინებდა: „ინტერესით წაკითხვა შეიძლება მხოლოდ ძველი სემინარისტის სტატიისა, რომელიც ამჟღავნებს არა მარტო მის დიდ კრიტიკულ ტაქტს და ესთეტიკურ გემოვნებას, არამედ საუცხოო ფილოლოგიურ ცოდნას, რაც არ ჩამოუვარდება პროფ. ცაგარელის ცოდნას სისწორის და სიზუსტის მხრით [ჭავჭავაძე 1938: 106].

ჩვენი მხრიდან გვინდა აღვნიშნოთ, მიუხედავად იმისა, რომ გრ. ორბელიანი მკაცრად აკრიტიკებს გ. წერეთლის სტილს და, კერძოდ, მის მიერ იმერიზმების გამოყენებას, თავადაც არ არის დაზღვეული სხვადასხვა სახის ლაფსუსისაგან. მისი სტატია სავსეა არქაიზმებით, გვხვდება რამდენიმე ბარბარიზმიც, მაგალითად, „როგორ მოვიფიქრებდი, რომ იმერეთში, სადაცა გვეგულებოდა ქართული ენა სიწმინდით შეურყვნელად შენახული, გამოჩნდებოდა მწერალი ასეთის გარდარეულის ენითა?“ [ძუელი სემინარისტი 1874: 30].

ვიცი დიდი ხარაკტერი უნდა მწერალსა...“ [ძუელი სემინარისტი 1874: 31].

აბა ახლა წაიკითხეთ საზარელი კარტინა...“ [ძუელი სემინარისტი 1874: 33]. და სხვ.

გრ. ორბელიანის სტატიის შეფასებისას გასათვალისწინებელია. როგორც ამას პროფ. აკ. გაწერელია მიუთითებს, რომ მასში „მოიპოვება მთელი რიგი ადგილები, რომლებიც თითქმის სიტყვასიტყვით იმეორებენ პლატონ იოსელიანის შეხედულებებს ქართული ენისა და საერთოდ სალიტერატურო მეტყველების ნორმების და სტილის შესახებ“ [გაწერელია 1965: 100]. შემდეგ მკვლევარი დაწვრილებით განიხილავს წერილის სტილისტურ თავისებურებებს და აღნიშნავს, რომ გრ. ორბელიანის ლექსში „ვერ ისწავლა მესხიმ წერა“, იგივე საყვედურებია გამოთქმული, რასაც მწერალი აღნიშნულ წერილში უსვამს ხაზს.

პროფესორი ანდრო ჭილაია თვლის, რომ „გრ. ორბელიანმა უგულვებელყო ნაწარმოების იდეურ-შინაარსული სიმახვილე, ხელაღებით დაიწუნა გ. წერეთლის სამწერლო ენა და, ამდენად, უარყო ამ ნაწარმოების იდეურ-ესთეტიკური მნიშვნელობა. ამასთან, ანდრო ჭილაია აღნიშნავს, რომ სტილისტური ლაფსუსებისაგან არც გრიგოლ ორბელიანის სტატია არ არის დაზღვეული, რადგან იგი უხვად ხმარობს არქაიზმებს და ბარბარიზმებიც კი გვხვდება. მკვლევრის დასკვნით: „გრ. ორბელიანმა ვერ ამოხსნა თხზულების შემეცნებითი და ესთეტიკური მთლიანობის შინაარსის ჭეშმარიტი ბუნება, ამიტომ მისი შეფასება ცალმხრივი აღმოჩნდა“ [ჭილაია 1964: 319].

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გ. წერეთელი დიდ ყურადღებას უთმობდა დრამატურგიას. მიუხედავად იმისა, რომ მისი პიესები არ არის განსაკუთრებული ღირებულების, მათ მაინც დიდი როლი შეასრულეს ქართული თეატრის გამდიდრებაში.

ლიტერატურა:

1. აბზიანიძე, გ. (1959). ნარკვევები XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი.
2. გაწერელია, ა. (1965). რჩეული ნაწერები. ტ. II, გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნება“, თბილისი.

3. დიმიტრიძე, ნ. (1871). „კრებული“, I და II წიგნი, „დროება“, №14.
4. მესხი, ს. (1871). „კრებული“ I და II წიგნი, „დროება“, №10.
5. ორბელიანი, გრ. (1959). თხზულებათა სრული კრებული. აკაკი გაწერელიასა და ჯუმბერ ჭუმბურიძის შესავალი წერილებით, რედაქციითა და შენიშვნებით. გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი“, თბილისი.
6. ორბელიანი გრ. (1935). ლექსები მიხ. ზანდუკელის რედაქციით. სახ. გამომცემლობა ტფილისი.
7. სკანდელი, ნ. (1872). ჩვენი მწერლობა, „კრებული“, ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი, თბილისი.
8. ფურცელაძე, ა. (1872). ათი მტერს ერთი მოყვარეს. „მნათობი“, № 10.
9. ძუელი სემინარისტი, (1874). „მგზავრობა სვანეთისაკენ“, გ. წ., „ცისკარი“, №9-10.
10. ჭავჭავაძე, ი. (1961). თხზულებათა სრული კრებული, ათ ტომად, პ. ინგოროყვას რედაქტორობით. ტ. I, თბილისი.
11. ჭავჭავაძე ი. (1938). ხელთუბნელი, სალიტერატურო-საზოგადოებრივი წარსულიდან, მიხ. თუმანიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა, თბილისი.
12. ჭილაია, ან. (1964). გიორგი წერეთელი. შემოქმედების გზა. გამომცემლობა „ცოდნა“, თბილისი.
13. Тронский, И. М. (1983). История античной литературы.

Literary Criticism of the 1870s and Giorgi Tsereteli

Kajaia Manana

Georgian Technical University, Tbilisi

Abstract

The paper discusses personal, public and creative style of the Georgian writer and public figure of the 19th century, Giorgi Tsereteli, as assessed by the critics of the 70s of the 19th century.

We have an interesting creator in front of us. Giorgi Tsereteli, together with Ilia Chavchavadze and Akaki Tsereteli, from the 60s, i. e. from his youth until his death, carried the very heavy and responsible mission of an artist and, at the same time, of a teacher of the nation.

On the way of critical discussion of Giorgi Tsereteli, among the four periods, we would conditionally single out the 70s of the 19th century. Among the critical letters of these years, according to the materials available to us, we would attribute the first place to the letters of Nikoloz Dimitridze (N. D. Kifiani), which were published in ‘Droeba’ No. 8, No. 14 of 1871 in the column ‘Bibliography’. The article ‘Journey to Svaneti’ by Sergei Meskhi, Anton Furttseladze, the venerable Georgian poet, ‘the king of the Georgian word’, is also discussed. He discussed Giorgi Tsereteli's story from the linguistic point of view with unusual scrupulousness.

To sum up, Giorgi Tsereteli's contemporary and generally first critics prepared the basis for a deep scientific study of Giorgi Tsereteli. In their critical thinking, in fact, almost all the issues, that have found deepening and proper scientific broad argumentation in our time, were raised.

Key words: public, style, dramatic, scrupulous, argumentation.

„ბერობანა“ ბაზგირეთში

ქესქინი მეჰმეთ ალი

ართვინის ჭოროხის უნივერსიტეტი,
ართვინის პროფესიული სასწავლებელი, თურქეთი

DOI: <https://doi.org/10.52340/idw.2023.60>

***აბსტრაქტი.** უძველესი ხალხური თეატრალიზებული სანახაობები დღემდე შემორჩენილია სოფლებში. ეს ის რიტუალური სანახაობებია, რომელთაც არ სჭირდება სცენა, დაწერილი ტექსტები ან პროფესიონალი რეჟისორის ხელი. ეს არის მასობრივი თამაშობანი, რომელშიც ყველას ჩართვაა შესაძლებელი.*

მუსიკით და ნიღბებით გაფორმებული იმპროვიზებული ხალხური თეატრის დასაბამი საუკუნეთა სიღრმეში იკარგება. დღესასწაული, რომელიც დღემდე შემორჩა ეთნოგრაფიულ სინამდვილეს, უკავშირდება ბუნების კულტს და თავისი არსით ნაყოფიერებისა და ბუნების აღორძინებისადმი მიძღვნილი რიტუალია.

ადამიანური ყოფის დეტალების კვლევისას მკვლევარი პირდაპირ ეხება ამა თუ იმ ხალხის კულტურას, ტრადიციებს, ცხოვრების წესს, ურთიერთობას სხვა კულტურებთან. ამ სტატიაში წარმოდგენილია სოფლის თეატრალიზებული თამაშობა „ბერობანა“, რომელსაც სოფელ მადენში (ბაზგირეთში) დღემდე შემორჩენილია. ეს თეატრალიზებული სანახაობა უძველესი დროიდან მოდის და მასში სხვადასხვა ეპოქის კვალიც საგრძნობია.

ბერობანას ანალოგიური სანახაობა საქართველოში ცნობილია ბერიკაობა-ყეენობის სახელით. ეს არის დღესასწაული, კარნავალი, რიტუალური გართობა. ნიშნდობლივია, რომ „ბერიკაობაც“ და „ბერობანაც“ მომდინარეობს ერთი ქართული სიტყვიდან - „ბერი“.

ბაზგირეთი ართვინის პროვინციის შავშეთის რაიონის ქართული სოფელია. საშუალო და უფროსი თაობა ქართულად ლაპარაკობს. ბაზგირეთში შემონახულია არაერთი უძველესი ქართული ტრადიცია, მდიდარი ზეპირსიტყვიერება. შავშეთი ისტორიული სამხრეთ საქართველოს უძველესი პროვინცია იყო. მისი ურთულესი ისტორია ცხოვრების ყველა სფეროში აისახა და შესაბამისად, კულტურათა დიალოგის კვალი თანამედროვე შავშეთის ყოფაშიც თვალსაჩინოა.

საკვანძო სიტყვები: ხალხური სანახაობა, სოფლის თეატრი, სოფელი მადენი (ბაზგირეთი), რიტუალი, ბერობანა.

1. შესავალი

სოფლის თეატრი არის სანახაობა, რომელსაც დროთა განმავლობაში გასართობი და მიზამდვითი სახე მიუღია, რომელსაც არ უდევს საფუძვლად რაიმე წინასწარ დაწერილი ტექსტი და მასში მონაწილეობენ კოლექტიურად. ამგვარ თამაშობებს ათასობით წლის ისტორია აქვს. ხალხური წარმოდგენები ძირითადად სოფლის შუაგულში, მოედანზე იმართება ხოლმე თუმცა, სანახაობათა დეტალების არეალი ზოგჯერ მთელი სოფლის ტერიტორიაა. სოფლებიდან არიან მსახიობებიც და მაცურებლებიც.

მზადება იწყება ათიოდე დღით ადრე მინც; განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მომზადება აქსესუარებისა (ტანსაცმელი, ცხოველების ნიღბები, კოსტიუმები და ა.შ.); ეს არის თეატრალიზებული თამაშობანი, რომლებშიც მუსიკა, სიმღერა და ცეკვა განიხილება, როგორც შეუცვლელი ელემენტები. აქ შეიძლება ნახოთ ტრადიციული, ხალხური ცეკვები და სიმღერები, ასევე, სახელდახელო იმპროვიზაციები.

რიტუალური ცეკვების და საზოგადოდ, სანახაობათა ფესვები უძველეს ხალხთა და

კულტურათა წიაღშია საძიებელი. უნდა დავეთანხმოთ სელჩუკ გოლდერეს, რომელიც აღნიშნავს: „სანახაობრივი წარმოდგენები არის რიტუალური თამაშობანი და შეიცავს წარსულის სპეციალურ სტრუქტურას. არქაულ და უძველეს პერიოდებში „სიკვდილისა და აღდგომის“, „ბუნების გაღვიძების“ „ნაყოფიერების“ და მრავალი სხვა რიტუალის შესახებ არსებული ცნობები ამავე დროს შორეული წარსულის რწმენა-წარმოდგენებზე მინიშნებაა. მათში იკითხება ისეთი კულტურების კვალი და გავლენა, როგორცაა ძველი ეგვიპტე, მესოპოტამია, წინაბერძნული ხმელთაშუაზღვისპირეთი, ანტიკური საბერძნეთი და ა.შ.“ (გოლდერე, 2019). ფერუჰ ოზდემირის მიხედვით, ბუნებასთან მჭიდრო კავშირში მყოფი ეს რიტუალები ყალიბდებოდა მაშინ, როცა ადამიანისთვის ბუნებრივ მოვლენათა არსი გაუგებარი რჩებოდა, მაგრამ ამ მოვლენებთან შეგუება იყო გარდაუვალი აუცილებლობა. რელიგიური რწმენა-წარმოდგენები კი თანდათან აყალიბებდა ამა თუ იმ რეალობის შესაფერის რიტუალებს სანახაობრივი დეტალების მრავალფეროვანი სპექტრით“ (ოზდემირი, 2011).

რაც შეეხება კონკრეტულად ბერობანას, აშკარაა, რომ აქ თვალსაჩინოა მსგავსება ისეთ ქართულ თეატრალიზებულ სანახაობასთან, როგორცაა ბერიკაობა.

2. ბერობანა და ხალხური თეატრალიზებული წარმოდგენები საქართველოში

ართვინის პროვინცია თურქეთის ჩრდილოეთში მდებარეობს, საქართველოს მოსაზღვრედ. შავშეთი ართვინის ცხრა რაიონიდან (ილჩედან) ერთ-ერთია. იგი უშუალოდ ესაზღვრება საქართველოს - ხულოს, შუახევის ქედის და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტებს. რაიონის მოსახლეობის უმრავლესობა ქართული წარმოშობისაა, თუმცა ქართულ ენაზე დღეს მხოლოდ რამდენიმე ხეობის სოფლების მოსახლეობა ლაპარაკობს.

შავშეთი ისტორიული სამხრეთ საქართველოს უძველესი პროვინცია იყო. მეთექვსმეტე საუკუნის შუა ხანებიდან იგი ოსმალეთის იმპერიის, ხოლო მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს - რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მოექცა. მეოცე საუკუნის ათიანი წლების ბოლოს შავშეთი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ნაწილია. ოციანი წლებიდან ისევ თურქეთის შემადგენლობაშია. ბუნებრივია, ეს ურთულესი ისტორია ცხოვრების ყველა სფეროში აისახა და შესაბამისად, კულტურათა დიალოგის კვალი თანამედროვე შავშეთის ყოფაშიც თვალსაჩინოა.

წარმოდგენილ სტატიაში ვეხებით ხალხურ სანახაობას, თეატრალიზებულ წარმოდგენას, რომლის ფესვები უძველეს ხალხთა კულტურული წიაღიდან იღებს სათავეს. ისიც ცხადია, რომ ბერობანა შავშეთა ყოფასა და კულტურაში დღემდე არსებული ქართული ტრადიციების ნაწილია.

ბერობანას ანალოგიური სანახაობა საქართველოში ცნობილია ბერიკაობა-ყეენობის სახელით. ბერიკაობა-ყეენობა, ისევე, როგორც ბერობანა, არის დღესასწაული, კარნავალი და გართობა. ნიშანდობლივია, რომ „ბერიკაობაც“ და „ბერობანაც“ მომდინარეობს ერთი სიტყვიდან - „ბერი“.

ჯულიეტა რუხაძე თავის სტატიაში „ქართული ხალხური დღესასწაული“, ბერიკაობა-ყეენობასთან დაკავშირებით წერს: „ბერიკაობა-ყეენობის საწყისები შორეული წარსულიდან მომდინარეობს. მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე ქართული ხალხური დღესასწაულის ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა იქონია ათასხუთასწლოვანმა ქრისტიანულმა ეკლესიამ, მასში მაინც რელიგიური სინკრეტიზმის სახით შემორჩა ქართველთა უძველესი მსოფლმხედველობა, სადაც ქრისტიანულ ელემენტებს წარმართული სძლევს და უძველეს მდიდარ რწმენასა და კულტებს შეიცავს. იგი წარმოადგენდა მოზღვავებული ახალგაზრდული ენერჯის და სიხარულის გამოვლენას მომავალი ხვავრიელი წლისა და განახლებული სიცოცხლის საწინდრად, რაც ჭეშმარიტად საერთო-სახალხო თავაწყვეტილი მხიარულებით ვლინდებოდა. აქ წარმოდგენილ რიტუალებში ჩანდა მემინდვრობასთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები... მდიდარი სამიწათმოქმედო ტრადიციები. დღესასწაულის აუცილებელი ელემენტი იყო ცხოველებისა თუ ადამიანის გამომსახველი ნიღბები და ნაირფეროვანი ტანსაცმელი, საწესჩვეულებო ცეკვები და ეროტიული სცენები“ (რუხაძე, 1990: 36)...

ავტორი მიუთითებს თეატრალიზების და იმპროვიზაციის თავისებურებებზე და აღნიშნავს, რომ სანახაობაში თვალსაჩინოა ეპოქათა კვალიც. „ყოველი ახალი ისტორიული

ვითარება ფორმას უცვლიდა დღესასწაულს. იგი, ხან ქართველი მეფე-დედოფლის გამარჯვებას ასახავდა, თამაშობა, ხან შაჰ-აბასისა თუ მურვან-ყრუს შემოსევას, დღესასწაულში ხშირად იყვნენ წარმოდგენილი მეფის მთავრობის უნიჭო გენერლები, პოლკოვნიკები და სხვანი. ბერიკაობა-ყიენობაში ხალხი დასცინოდა ყოველივე უარსაყოფს, სიცილით ამარცხებდა ბოროტებას“.

იქვე ავტორი შენიშნავს, რომ „ეს დღესასწაული საქართველოშიც ისეთივეა, როგორც ბერძნული დემეტრესა და დიონისეს მრავალდღიანი მისტერიები, ბაბილონელთა თამაზი და იშთარი, ეგვიპტური ოზირისი და იზიდა, ფინიკიელთა ადონისი და ასტარტა, ხეთების ტელეფინუსი და ფრიგიელების ატასი (რუხაძე, 1990: 36).

ბერიკაობის წარმართულ შრეებსა და იმპროვიზაციის თავისებურებებზე მიუთითებს, ასევე, ა. ჩაჩავა და აღნიშნავს: „ბერიკაობა“ უძველესი წარმართული სანახაობაა, რომელმაც საუკუნეების განმავლობაში იცვალა სახე და საბოლოოდ, ნიღბების საიმპროვიზაციო თეატრად ჩამოყალიბდა. „საიმპროვიზაციო“-თქო იმიტომ ვამბობთ, რომ ბერიკები სპექტაკლებს ქმნიდნენ არა ერთხელ დაწერილი სცენარის მიხედვით, არამედ გზადაგზა ახდენდნენ მის სახელდახელო იმპროვიზაციას. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ „ბერიკაობის“ მონაწილეებს ხელთ ჰქონდათ არა გამზადებული სცენარი, არამედ სცენარის ზოგადი მონახაზი, რომელიც მოქმედ პირთა შემადგენლობას, მთავარი სიუჟეტური ხაზის განვითარებას და ძირითად სიტუაციებს განსაზღვრავდა. დანარჩენი ყველაფერი ბერიკაობაში მონაწილე მსახიობთა ნიჭსა, უნარსა და შესაძლებლობაზე იყო დამოკიდებული“ (ჩაჩავა, 2016: 66).

დიმიტრი ჯანელიძე ეხება რა ბერიკაობას, გამოჰყავს მის ორ სახეს. პირველია ძველი ქართული წარმართული ბერიკაობა. აქ იგულისხმება: I. ცხოველებისა და ფრინველების კულტი; II. მითოლოგიური მოტივები; III. შვილიერების, ბუნების განაყოფიერებისა და განახლების მოტივები.

მეორე კი არის საერო ბერიკაობა, რომელშიც შედის: I. სალამქრო ბერიკაობა; II. რელიგიის მსახურთა მამხილებელი ბერიკაობა; III. საყოფაცხოვრებო ბერიკაობა; IV. ბატონყმობისა და, საერთოდ, უსამართლობის წინააღმდეგ მიმართული ბერიკაობა (ჯანელიძე, 1948, 401).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბერიკაობის ესა თუ ის ვარიანტი გავრცელებულია საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში. ისინი, ძირითადად, კომიკური შინაარსისაა და სოციალურ საკითხებს ეხება.

3. ბერობანა შავშეთში (სოფელი ბაზგირეთი)

როგორც აღვნიშნეთ, ბაზგირეთელთა „ბერობანა“ ქართული ბერიკაობის შავშური ვარიანტია და, შესაბამისად, ბევრი აქვს საერთო საქართველოს ამა თუ იმ რეგიონში გავრცელებულ თეატრალიზებულ თამაშობასთან. ქვემოთ მოცემულ აღწერაში, ძირითადად, ვყვრდნობით ბაზგირეთელი ჯაფერ თორუნის (გამიშიძის) ნაამბობს, ასევე, სხვა ბაზგირეთელთა ინფორმაციას და შევნიშნავთ აგრეთვე, რომ ბერობანას, როგორც სანახაობას არაერთგზის დავსწრებივარ თავადაც.

თამაშში მონაწილეები: „ბერი“ (მოხუცი); ორი პატარძალი („დოდოპალი“, როგორც ბაზგირეთლები ამბობენ ხოლმე) - პატარძლებს უწოდებენ აგრეთვე „ფატეს“ - გამომდინარე გამჭვირვალე თავსაბურავიდან („ფატა“), რომელიც მათ ახურავთ; „ტახები“ („ბერის“ მცველები) - ჩვეულებრივ, ექვსნი ან შვიდნი არიან; მოთამაშეთა შორის არიან, აგრეთვე, „უფროსი“ და „ექიმი“.

თამაშის დრო: ქორწილები, მარიობის დღესასწაულები, მთებში გასვლა ან მთიდან დაბრუნება...

ადგილი, სადაც თამაში იმართება: სოფლის მოედანი ან დაბლობები და ვაკე ადგილები.

სათამაშო იარაღები და აღჭურვილობა: ქუდი, წვერი და ჩექმები ცხვრის ან თხის ტყავისგან (ბერი იმოსება); ბუზმა - პატარძლების ტრადიციული სამოსი; ძველი, დაკონკილი ტანსაცმელი ტახებისთვის; ჯოხები, დოქები; კენჭებით სავსე ქილა და ჩხრიალები რომელიც ბერს აქვს წელზე მიმაგრებული. ასევე, ბერს ზურგზე ბალიშისმაგვარს ამაგრებენ, რითაც კუხის იმიტაციას ქმნიან.

შენიშვნა: თამაშში ყველა მოთამაშე მამაკაცია. შესაბამისად, პატარძლების როლსაც ქალის სამოსში გამოწყობილი სახედაფარული მამაკაცები ასრულებენ.

თამაშის წესი: თავდაპირველად ბერი მოჰყავთ მოედანზე მარხილით და დამხვდურთა შორის ამოარჩევენ სოფლის უფროსს, რომელსაც ბერი ეკითხება: "პათიკოი//ფათიკოი ვასამონა, ვინმე ხომ არ მოიპარავს?" (ფატეები (პატარძლები) უნდა ვაცეკვო. ხომ არავინ მოიტაცებს?). უფროსისგან გარანტიის მიღების შემდეგ პატარძლები შედიან სათამაშო მოედანზე და ბერთან ერთად იწყებენ ცეკვას, რომელსაც თან ახლავს ავთენტური მუსიკა აკორდეონით შესრულებული. ბერი მცველებს (ტახებს) არ აძლევს ფატეებთან მიახლოების უფლებას და პერიოდულად ჯოხს ურტყამს მათ. სანამ სპექტაკლი გრძელდება, ზოგიერთი მაყურებელი მამაკაცი პატარძლების გატაცებას ცდილობს მათთან ცეკვა-თამაშის სურვილის საბაბით. ბერი ამ მცდელობებს ჯოხებით იცილებს. როცა ხვდება, რომ მათ ვეღარ უმკლავდება, ყვირილს იწყებს. „ილიმილიჰუდაააააა! ტახებო მობძანდით!“ მცველები (ტახები), დაფარული და ჭვარტლით შეღებილი სახეებით, მოულოდნელად სათამაშო მოედანზე გაჩნდებიან და აგრესიული აქტიურობის იმიტაციით უმაღლე გაყრიან მამაკაცებს იქიდან. თამაში გრძელდება ჭიბონისა და აკორდეონის ჰანგებით; ამასობაში იზრდება პატარძლების გამტაცებელთა რიცხვიც. ტახები იცავენ ფატეებს ჯოხებით. საბოლოოდ, ორი მამაკაცი შეძლებს პატარძლის გატაცებას. „ფატე სადარი ფატე?“ ეკითხებიან ბერს ტახები. ბერიც პასუხობს: „ფატე აქ არ არის“. ცოტა ხანს ერთმანეთში საუბრობენ და არკვევენ, ვინ გაიტაცა პატარძალი. ამის შემდეგ ბერი გარშემო მყოფი ხალხისკენ რიგრიგობით უთითებს. ისინი პატარძლის გატაცებაში ეჭმიტანილი პირები არიან. ტახებს ეს ადამიანები სათითაოდ სათამაშო მოედანზე შეჰყავთ და მათთან ერთად იწყებენ ცეკვას; ეს არის ცეკვა-თამაშიც და დაკითხვაც. როცა გაირკვევა, რომ ესა თუ ის ადამიანი არ არის ფატეს გამტაცებელი, ჯოხების ცემით გააგდებენ მოედნიდან მას. ასე რომ, ბერის მიერ ამორჩეული რამდენიმე ადამიანი შედის და გამოდის თამაშიდან. რადგან ფატეებს ვერ იპოვიან, ბერი და ტახები ერთმანეთს დაერევიან, ტახები ჯოხებს ურტყამენ ბერს და უგონოდ დააგდებენ ძირს. როცა მიიჩნევენ, რომ ბერი მოკვდა, ფატეებს დააბრუნებენ. ფატეები ბერს მივარდებიან და იწყებენ გოდებასა და ტირილს. ტახები ექიმის ძებნას იწყებენ. მასაც შეკრებილი ხალხიდან ამოარჩევენ და ბერის განკურნებას სთხოვენ; ექიმი ვერ კურნავს მას, ამიტომ ჯოხებით აძევენ. ბოლოს ექიმი, იქვე, მარხილამდე მიათრევს ბერს და კვლავ ცდილობს მის საამქვეყნოდ მობრუნებას. ბოლოს ბერიც განიკურნება და ადგება... თამაშის ყველა მონაწილე და მაყურებელი ერთად იწყებს ცეკვას ანუ ფერხულში (ხორუმში//ჰორონში) ყველა ჩაებმება. მუსიკა, ადგილობრივი ჰანგები, დაუსრულებლად გრძელდება მთელი წარმოდგენის განმავლობაში.

4. ბერობანა და ზეპირ ისტორიათა ვარიანტები

გარდა ბაზგირეთისა (Madenköy), ბერობანას შავშეთის სხვა სოფლებშიც თამაშობენ. შეიძლება დავასახელოთ, მაგალითად, უსტამისი (Eskikale), ჩიხორი (Çukurköy) ზიოსი (Tepebaşı), მამანელისი (Yavuzköy) და სხვანი. სანახაობის საზოგადო სახე, ძირითადად, ერთგვაროვანია, თუმცა, ზოგიერთი დეტალი შეიძლება განსხვავდებოდეს. მაგალითად, თუ ვთქვათ, ბაზგირეთში ჭიბონსა და აკორდეონზე უკრავენ, მამანელისში დოლსა და ზურნას იყენებენ. ზოგიერთ შემთხვევაში პატარძლის (ფატეს) მოსატაცებლად მოვარდნილი „მტერი“ შეიძლება, ცხენით ან ვირით შეიჭრას ხალხში... ქალის გამტაცებლები, როცა „დაიჭერენ“, შესაძლოა, წყალში დაასველონ და გვარიანადაც გაწუწონ და ა.შ.

თეატრალიზებული წარმოდგენები იმართება ახალი წლის დღესასწაულთან დაკავშირებითაც. დათქმულ დროს სოფლის ცენტრში შეიკრიბებიან ახალგაზრდები და ცეკვა-სიმღერით შემოივლიან სოფელს, ცალკეულ ოჯახებს. „ბერი“, „პატარძალი“, „ტახები“ ამჯერადაც ფიგურირებენ. წრის შუაგულში ცეკვავენ გოგო-ბიჭები. ერთ-ერთი ბერი ქალს სთხოვს ცოლობას, მაგრამ დანარჩენი მოთამაშეები არ აძლევენ ქალთან მიახლოების საშუალებას და ჯოხით სცემენ. ამ დროს ერთი „გოდრიანი“ მოთამაშე მიდის იმ ოჯახის უფროსთან, რომლის ეზოშიც არიან შეკრებილები. მას გოდორში ჩაუყრიან ლობიოს, სიმინდს, ყველს, ფქვილს და სხვა პროდუქტებს. ამის შემდეგ მოთამაშეები გადადიან სხვა ეზოში. ასე

შემოვივლიან მთელ სოფელს. მიაჩნიათ, საკვების გაცემა სიუხვით აავსებს იმ ოჯახს, რომელიც უშურველად გასცემს. შემდეგ, შეგროვებული პროდუქტით მზადდება კერძები, რომელსაც მთელი სოფელი ერთად მიირთმევს. ზოგჯერ ამგვარი ჩამოვლა წელიწადის სხვა დროსაც იმართება, როგორც ბერობანას თანმხლები რიტუალური ნაწილი.

სურათის სისრულისთვის და ვარიანტების შედარებისთვის მეოცე საუკუნის ოცდაათიანი წლების ერთ ჩანაწერსაც მოვიტანთ სერგი მაკალათიას წიგნიდან „მესხეთ-ჯავახეთი“: „გლახობა სოფლის მეურნეობის საზაფხულო მუშაობასთან დაკავშირებით ასრულებდა სხვადასხვა რიტუალურ წესებს, რომ ამით გამოეწვია მეტი ნაყოფიერება. ასეთი იყო, სხვათა შორის, ბერიკაობა, რომელსაც მესხეთ-ჯავახეთში ასრულებდნენ ყველიერში (თებერვალ-მარტი). ამ დროს სოფლის გოგო-ბჭები შეიკრიბებოდნენ, ერთი მათგანი შეიკაზმებოდა ქალურად, მას პატარძალს ეძახდნენ. ოთხს ან ხუთ ვაჟს ირჩევდნენ ბერად (ბერიკებად). ბერიკები გაიკეთებდნენ გრძელ წვერებს, თავზე წამოისხამდნენ ცხვრის ან თხის ტყავს, ერთ მათგანს ეძახდნენ „ბერიკოს“. ყველანი შეიარაღდებოდნენ ხმლებით და შუბებით, ორს ხელში ეჭირა კალათა ან ზურგზე გადაკიდებული ჰქონდა ხურჯინი. ბერიკებს წინ მიუძღოდა პატარძალი და ბერიკო. სოფლის ბიჭები პატარძალს მისდევდნენ და ეარშიყებოდნენ, მაგრამ ბერიკები მათ ხმლით და შუბებით იგერიებდნენ. ვინც პატარძლის კოცნას მოახერხებდა, ბერიკები მას გამოეკიდებოდნენ, დაიჭერდნენ და აჯარიმებდნენ. უეცრად ბერიკო ავად გახდებოდა. მას მიუყვანდნენ ექიმს და იგი გასინჯავდა. ბოლოს პატარძალი ბერიკოს ქვეშ წყალს შეასხამდა და მკვდარი ბერიკო ამით გაცოცხლდებოდა... ბერიკები ოჯახებში დაივლიდნენ და საჩუქრად იღებდნენ ფქვილს, ფულს, კვერცხებს და ა.შ. (მაკალათია, 1938: 108).

5. დასკვნა

ხალხურ თეატრალიზებულ სანახაობათა გაჩენა კაცობრიობის განვითარების ისტორიამდელ ეპოქებს უკავშირდება, როცა უძველესი ხალხები რწმენა-წარმოდგენების რიტუალიზებამდე მივიდა.

შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ბერობანას თამაშობაში ბერის სიკვდილისა და ექიმის მიერ მისი გადარჩენის აქტი ბუნების აღორძინებისა და მოსავლიანობის იდეის გამომხატველია; პატარძალი, რომელსაც ქალის ფორმაში ჩაცმული მამაკაცი თამაშობს, სიმრავლის სიმბოლოა. ექიმი კი, რომელმაც ბერი გადაარჩინა, ღვთაებრივი ძალის სიმბოლოა. ბერის წელზე დაკიდებულ ზარებს უძველეს რიტუალებში ვხვდებით, სახეების მოხატვა კი ბოროტებისგან თავდაცვის სიმბოლოა. თამაშობის ბოლოს, ხორუმში ერთვება ყველა. ითვლება, რომ ადამიანს, რომელიც ფერხულს შეუერთდება, იმ წელს სიუხვე და მოსავლიანობა ექნება ოჯახში.

როგორც ვთქვით, ბერობანას ბევრი საერთო აქვს ქართულ ბერიკაობა-ყენობასთან. ეს თამაშობანი ერთიანი კულტურული სივრცის ნაწილია. და მნიშვნელოვანია, რომ შავშელთა ბერობანა დღემდე ინარჩუნებს თავის ორიგინალურ, პირვანდელ არსს.

ლიტერატურა:

1. მაკალათია, ს. (1938). „მესხეთ-ჯავახეთი“. თბილისი.
2. რუხაძე, 1990: რუხაძე ჯ., „ქართული ხალხური დღესასწაული“. მეგლის მეგობარი, N 2 (კრებული ოთხმოცდამეექვსე), თბილისი;
3. ჩაჩავა, ა. (2016). ქართული ფოლკლორული სანახაობების მხატვრული გაფორმების ტენდენციები. სადოქტორო დისერტაცია. თბილისი.
4. ჯანელიძე, დ. (1948). ქართული თეატრის ხალხური საწყისები. თბილისი;
5. გოლდერე, ს. (2019) GÖLDERE, S., „Anadolu Köylü Temsilleri Oyun ve Ritüel Kalıpları“. 9. Milletlerarası Türk Halk Bilimi Kongresi, 3., 136-150. TC Kültür ve Turizm Bakanlığı. <https://ekitap.ktb.gov.tr/TR-251073/9-milletlerarasi-turk-halk-kulturu-kongresi.html> adresinden alındı;
6. ოზდემირი, ფ. (2011). „Anadolu Köy Seyirlik Oyunlarının Gösteri Danslarına Dönüştürülmesinde Yöntem Önerisi ve Bir Uygulama Örneği. İzmir. <https://acikerisim.deu.edu.tr/xmlui/bitstream/handle/20.500.12397/9595/289467.pdf?sequence=1&isAllowed=y> doktora tezi adresinden alındı;

"Berobana" in Bazgireti

Mehmet Ali Keskin

Artvin Çoruh University, Turkey

Abstract

Ancient folk theatrical performances have been preserved in villages to this day. These are the ritual performances that do not need a stage, written texts, or the hand of a professional director. This is a mass play in which everyone can participate.

The origin of improvised folk theater decorated with music and masks is lost in the depths of centuries. The holiday, which has survived to this day in the ethnographic reality, is connected with the cult of nature and in its essence is a ritual dedicated to fertility and the revival of nature.

While researching the details of human existence, the researcher deals directly with the culture, traditions, and way of life of this or that people, the relationship of this or that people with other cultures. This article presents the rural theatrical play "Berobana", which has survived to this day in the village of Madeni (Bazgireti). This theatrical spectacle comes from ancient times and traces of different eras are noticeable in it.

A performance similar to Berobana is known in Georgia under the name Berikaba-Keenobi. It is a holiday, carnival, and ritual fun. It is significant that both "berikaoba" and "monasticism" come from one Georgian word - "monk".

Bazgireti is a Georgian village in the Shavsheti district of Artvini province. The middle and older generations speak Georgian. In Bazgireti, many ancient Georgian traditions and rich oral traditions have been preserved. Shavsheti was the oldest province of historical South Georgia. Its difficult history was reflected in all spheres of life, and therefore, traces of cultural dialogue are visible in modern Shavsheti.

Key words: folk spectacle, village theater, Madeni village (Bazgireti), ritual, berobana

„მზისა და მთვარის ყაბალახი“ – მეფე ერეკლეს სიმბოლური სახეხატი

შაიშმელაშვილი თამარ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი

DOI: <https://doi.org/10.52340/idw.2023.61>

აბსტრაქტი. „მზისა და მთვარის ყაბალახი“ მეფე ერეკლეს სიმბოლური სახეხატი, მეფისა, რომელიც ბაგრატიონთა დინასტიის წარმომადგენელია, ირმის ძუძუთია გაზრდილი და გვევლინება თამარის ძედ და პირველ ბაგრატიონად.

თამარის მსგავსად, ერეკლეც უყვარს ხალხს, სჯერა, რომ ცოცხლები არიან და გაჭირვების ჟამს, ისევ ისინი მოველინებიან ერს მხსნელად. ამიტომაც, რომ მზის მეტაფორა ქართველ მეფეთა და, მათ შორის, ერეკლე მეფის დამახასიათებელი ატრიბუტია.

გასათვალისწინებელია ბაგრატიონთა სამეფო გვარის ღვთიური წარმომავლობის თეორია და ისიც, რომ მეფე ღმერთთან წილნაყარია, რჩეულობის ნიშნით იბადება. ქრისტიანული სიმბოლიკით, მზე ძე ღმერთია. ღმერთს შეედარება ქრისტე, სამეფა. ერეკლეც ქრისტესთან წილნაყარია, მისი ზრდა კი საკრალური, ამირანული. ერეკლე ქართული მითოლოგიის გმირის სადარია, რომელსაც მზის და მთვარის გამოსახულება ჰქონდა მხრებზე.

ქიზიყელი დედაკაცის დატირებაშიც ერეკლე მეფეს „მზისა და მთვარის ყაბალახი“ ახვევია. ეს მეტაფორა, უწინარესად, ხაზს უსვამს „იესიან-დავითიან-სოლომონიან“ ბაგრატიონთა გვარის წარმომადგენლის რჩეულობას, იმავდროულად, ორი მნათობი - მზე და მთვარე ღმერთის, ქრისტეს, სულიწმინდის და, ზოგადად, სამეფის სიმბოლური სურათხატებია.

ერთი მხრივ, ყაბალახი მამაკაცური ღირსების გამომხატველია, მეორე მხრივ, ეს ყაბალახი მზის და მთვარისაა, ანუ ზეგარდმო მადლით ცხებულთა და მეფეს ზეციურ სასუფეველში მიაცილებს.

რჩეულობის ნიშნით დაბადებული ერეკლე ოქროს კუბოში წევს, რაც ოქროს აკვნის ასოციაციას ბადებს („იქნებ აკვანში ის ყრმა წევს“), აკვანი და კუბო „ერთი მითოლოგიის განსხვავებული, სხვადასხვა კუთხიდან დანახული სიმბოლოებია“, მოვა დრო, კუბოს აკვანი შეცვლის... ესქატოლოგიური მოლოდინი ყრმის დაბრუნების იდუმალი მაცნეა... ამიტომაც, რომ ერეკლეს „მიწის ჩოხა-ახალუხი“ არ მოეზომება. მას მხოლოდ და მხოლოდ „მზისა და მთვარის ყაბალახი“ ბურავს, როგორც ზეციურ „სამღთო სტუმარს“ და უფლის განაყარ ძმას.

საკვანძო სიტყვები: მზე, მთვარე, დატირება, ქრისტიანული, მანათობელი.

მეფე ერეკლეს გარდაცვალებამ დიდი მეფის სახელი ლეგენდებით შემოსა. სოლომონ ლიონიძის ცნობილ „დატირებასთან“ ერთად განსაკუთრებული ხიბლით შემორჩა ისტორიას ქიზიყელი დედაკაცის დატირებაც, რომელიც ყურადღებას იქცევს არა მხოლოდ მაღალი მხატვრობით, არამედ მოვლენის უალრესად ემოციური წარმოსახვით, დიდი სიყვარულით მეფისა და სამშობლოსადმი. არ შეიძლება აქ „ხმით ნატირლები“ – სიმღერით ამოსატქმელი სამგლოვიარო ლექსები არ გაგვახსენდეს, როგორც ჟანრობრივი თვალსაზრისით, ისე სიკვდილთან დამოკიდებულების მარადიული თემების აქცენტირებით.

სწორედ სიკვდილ-სიცოცხლის მარადიულ თემასთან შეხმიანებაა ქიზიყელი დედაკაცის „დატირება“, სადაც ლირიკული პერსონაჟის განცდა მძაფრდება მიმართვით: „მეფევ, ვაი ჩემს თავს მეფევ“! ეს მიმართვა რეფრენად გასდევს ყოველ სტრიქონს.

ჩვენი კვლევის მიზანია სტრიქონი, რომელიც, შეიძლება ითქვას, რომ დატირების კულმინაციური წერტილია:

„ისევ ჩემს ძმას ეცვას მიწის ჩოხა-ახალუხი

შენ კი გეხვიოს მზისა და მთვარის ყაბალახი“ (ჯავახიშვილი, 19).

სანამ უშუალოდ დაკვირვებას შემოგთავაზებდეთ, მინდა გითხრათ, რომ დატირება მთლიანად შეპირისპირების მხატვრულ ხერხზეა აგებული, დედაკაცი მოთქმის დროს, მეფესთან შეხმიანებისას, პარალელს ავლებს ძმასთან, ძალიან ახლობელ ადამიანთან – და მას იმეტებს „შავეთის მიწა-წყლისთვის“, ოღონდ მეფემ იცოცხლოს და არ გაადარებოს „საქართველო ცალ ფეხზე სიარულით“.

სიტყვათა გადატანითი მნიშვნელობით აგებული ტროპული სახეები და მეტაფორები გამოარჩევს დატირებას. ძმას ეცვას მიწის ჩოხა-ახალუხი, შენ კი გეხვიოს მზისა და მთვარის ყაბალახი... – ამბობს ლირიკული გმირი.

„მიწის ჩოხა-ახალუხთან“ შეპირისპირებულ „მზისა და მთვარის ყაბალახს“, სიმბოლური დატირება აქვს.

უწინარესად, უნდა ითქვას, რომ ყაბალახი და სინონიმური ფორმა – „ჩაბალახი“, ნიკორწმინდის XI საუკუნის სიგელის და არაერთი ისტორიული წყაროს მიხედვით, საომარი დანიშნულების თავსაბურავს ნიშნავს. ამის გარდა, ქართველი კაცისთვის თავსაბურავს განსაკუთრებული დანიშნულება ჰქონდა. ზოგადად, ქუდი – კახური იქნებოდა, სვანური, თუშური თუ ხევსურული, ანდა ყაბალახი – მამაკაცური ღირსების ატრიბუტი იყო (თავშიშველა ის მხოლოდ ტამარში თუ იქნებოდა) (აბზიანიძე, ელაშვილი, 2007:34).

ქუდი რომ სინდის-ნამუსის სიმბოლოა, ბერნსის ლექსის სტრიქონიც მოწმობს: „*კაცი ვარ და ქუდი მხურავს*, ქედს არ ვუხრი არავის“... ეს ლექსი ისე ოსტატურად გადმოაქართულა ჩინებულმა პოეტმა და მთარგმნელმა თამარ ერისთავმა და ისე მოერგო ქართულ სინამდვილეს, რომ შოტლანდიელის დაწერილი არც გეგონება.

მაშასადამე, ყაბალახს, როგორც მამაკაცური ღირსების სიმბოლოს, ზემოხსენებული „დატირების“ სტრიქონში განსაკუთრებული ადგილი უკავია. საინტერესოა მისი მიმართება მზისა და მთვარის სიმბოლიკასთან.

ქართულ პოეზიასა და მწერლობაში მზის მეტაფორა ხშირად ქართველი მეფეების აღმნიშვნელია. თამარ მეფის ისტორიკოსის გადმოცემით, მას ჰქონდა „თუალნი ტბათაებრ მზისა შემცხრომელნი“. ჩახრუხადისთვის თამარი არის „მზე მცინარი, საჩინარი“ (ჩახრუხადე, [„თამარიანი“](#)), „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთან“ კი მას ასე ამკობს: „*მზე იგი მზეთა*“ („ქართლის ცხოვრება“, 2008).

დავით აღმაშენებლის სულიერი მოძღვრის – არსენ ბერის „შესხმა“ დავით მეფეს ასე წარმოსახავს: „საჩინო ვითარცა მზე ვარსკვლავთა შორის“ (სურგულაძე, 1984), ხოლო თამარის კარის ისტორიკოსი გიორგი მესამეს უწოდებს: მზეს, მნათობთა შორის...

„ქრისტიანულ მწერლობაში მზე გამოყენებულია ვითარცა პოეტური შესამკობელი და მზით დასურათებულია ბრწყინვალეობა, შვენება, სიმართლე, ჭკმმართი ბედნიერება, შეუცვალებლობა, კეთილობა, თანასწორობა და ღმერთს პირდაპირაც ეწოდება მზე (და ფარი).

მზეს შეედარება ქრისტე, წმიდა სამება; თვითონ ქრისტე არის მზე; თვით სამება არის მზე“ (ნოზაძე, 1957).

ანუ მზე ძე ღმერთია, როგორც ვიქტორ ნოზაძე დასძენს, იესო ქრისტე განსხივოსნება (მათე 7,2) და ბრწყინვალეობა (გამოცხ. 21,23; 22,5) (იქვე).

დავით მეფესალმუნეც ბრძანებს: „ღმერთი არის მზე და ფარი“ (ფს. 83:12).

საინტერესოა მთვარის სიმბოლიკა ზვიად გამსახურდიასთან. მისი აზრით, „ეზოტერულ ქრისტიანობაში მთვარე – მნათობი სულიერად შეესაბამება სულიწმიდას, ისე როგორც მზე – მნათობი ძეს“ (გამსახურდია, 1991:119).

ამასთან, თუ მთვარე სულიწმინდაა, დატირების მიხედვით, მზისა და მთვარის ყაბალახი ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ: ღმერთის და სულიწმინდის, ან ქრისტეს და სამების ნათლის საბურველი.

ზოგადად, ცნობილია, რომ სამეფო გვირგვინი, რომელსაც საბა „სამეფო სახურავს“ უწოდებს, „ღმერთების რჩეულის“ განსაკუთრებულობის ხილული სიმბოლოა, ამ შემთხვევაში კი, ეს თავსამკაული მზისა და მთვარის ყაბალახია.

აქ გასათვალისწინებელია ბაგრატიონების გვარის ღვთიური წარმომავლობა და ისიც, რომ ისინი ბიბლიური დავით წინასწარმეტყველის სულიერ შთამომავლებად და ქრისტეს ნათესავეებად მიიჩნევიან. ანუ მეფე ღმერთთან წილნაყარია და რჩეულობის ნიშნით იბადება.

„დავით წინასწარმეტყველისა და უფლისა მიერ ცხებულისა შვილად წოდებულო ხელმწიფო, მეფობაი და სათნოებანიცა მისნი დაგიმკვიდრნენ ქრისტემან“, – ასე მიმართავს ამოტ კურაპალატს გრიგოლ ხანძთელი „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ (მერჩულე, 9).

გიორგი I-ის დროინდელ მონეტაზე ეწერა: „მეფეთ, მეფე გიორგი – მესიის მახვილი“, დავით აღმაშენებლის ჯვარზე კი ამოტვიფრული იყო – „მზე ქრისტიანობისა“. ცნობილია ისიც, რომ თამარ მეფეს ღვთისმშობელთან აიგივებდნენ და სამების მეოთხე ჰიპოსტასად წარმოსახავდნენ...

საყურადღებოა ფარნავაზის ცხოვრება, რომელშიც ქართული სახელმწიფოს შექმნის ამბავია გადმოცემული, განსაკუთრებით მრავლისმთქმელია სიზმარი და ჭაბუკი ფარნავაზის მიერ მზის ხილვა. უკაცურ სახლში ჩაკეტილ ჭაბუკს ფანჯრიდან შესული მზის სხივი შემოერთებება ტანზე და „განიყვანა სარკუმელსა მას. და ვითარ განვიდა ველად, იხილა მზე ქუე-მდაბლად, მიჰყო ჯელი მისი, მოჰკოცა ცუარი პირსა მ[ზ]ისასა და იცხო პირსა მისსა“ (მროველი, 1955).

ამირან არაბული ხევსურულ „ზისცვარს“ – რძეს, „მზის ცვარს“ ადარებს და აღნიშნავს, რომ მზის „ცუართან“ ზიარებული, მანამდე უჩინარი და უსახელო ჭაბუკი ზეგარდმო მადლს მისწვდა, სხვა სამყაროს მკვიდრად იქცა, სიწმინდითა და ძალმოსილებით აღივსო, რაც პერსპექტივაში მის გამეფებას მოასწავებდაო.

ამირან არაბული ხაზს უსვამს იმ ფაქტსაც, რომ სწორედ ფარნავაზი ითვლება საქართველოში პირველი სამეფო დინასტიის ხელდამსხმელად და მესამირკვლედ. „ასე, რომ მზიურობის ნიშნით გამორჩეული მეფის მიერ დაწყებულ აღმშენებლობით გზას ძალმოსილი გამგრძელებლები გამოუჩნდნენ მისი შთამომავლების, ე.ი. ბაგრატიონების სახით“ (არაბული, 2002:507).

რჩეულობის ნიშანი არა მხოლოდ მზე, არამედ მთვარეცაა. მითოლოგიაში ნაწილიანებად მიიჩნევიან, ბეჭებზე მზის და მთვარის გამოსახულებით დაბადებულები.

ასეთი ნაწილიანი ყოფილა ხევსურული მითოლოგიის გმირი თორღვა ძაგანი, „რომლის შობას ხევსურული ანდრეზი აკავშირებს ერთ-ერთი ბაგრატიონის ყოფნასთან შატილის თუ მუცოს საყმოში. თავისი მამისგან ჰქონდა მას გამოყოლილი საგვარეულო ნიშანი ნაწილისა – ჯვარი და ჰერალდიკურად განლაგებული მზე და მთვარე ბეჭებზე.

დიდებულობა დაუთქვეს, ბეჭებს უნახეს ჯვარიო,

მარჯვნივ მზე წერებულიყვა, მარცხნისკე მთვარის ნალიო“ (კიკნაძე, 1996:175).

მზისა და მთვარის ნიშნები ზოგს ბეჭზე, ზოგს გულმკერდზე, ზოგსაც მხარზე აჩნდება. მანათობელია და შუქს გამოსცემს.

პროფესორ თემურ ჯაგოდნიშვილის წიგნში „მეფე ერეკლეს ეპოსი“ აღნიშნავს, რომ ერეკლეს დაბადება და მისი ზრდა უჩვეულო გარემოში ამირანულია, იგი წლობით კი არა, არამედ დღეებით და წუთობით იზრდება, გოლიათური ძალის პატრონია.

„ბატონიშვილს ერეკლესა,

ირმის ძუძუ უწოვია,

წყალი უსვამს ალგეთისა,

თრიალეთში უძოვნია

დაკარგულა საჩაღეში,

მონადირეს უპოვნია“ (შაიშმელაშვილი, 2020).

მკვლევარი შემთხვევით არ ამხვილებს ყურადღებას ერეკლეს ამირანულ ზრდაზე: ამირანს ხომ მხრებზე მზის და მთვარის გამოსახულება ჰქონდა. ერეკლე მეორე, ლაშა-გიორგის მსგავსად, ირმის ძუძუთია გაზრდილი. როგორც ზურაბ კიკნაძე აღნიშნავს, ყრმა ერეკლე არათუ იმეორებს თავისი წინაპრის, ლაშა გიორგის ანდრეზულ თავგადასავალს, არამედ მის

ადგილსაც კი იკავებს, გვევლინება რა თამარის მედ და პირველ ბაგრატიონად.

„ის არის პირველი და ამავე დროს უკანასკნელი: ის იწყებს ისტორიას და ისვე ამთავრებს მას; თამარსა და ერეკლეს შორის უკიდურესად შეკუმშულია წუთისოფლის დრო-ჟამი; ისე რომ, ერეკლეს გარდა, ბაგრატიონთა დინასტიის სხვა წარმომადგენელს არ რჩება ადგილი. საყმოს ცნობიერებაში თამარი და ერეკლე ერთჟამობაში არიან მოქცეულნი: „ხალხს სწამს, რომ მეფე ერეკლე და თამარ მეფე ცოცხლები არიან ღმერთთან და როცა გაუჭირდება საქართველოს, მიეშველებიანო“

(კიკნაძე,

1996:176).

ერეკლე ქრისტესთან წილნაყარობას და მის განსაკუთრებულობას ხალხური პოეზიიდან ეს სტრიქონებიც ცხადყოფს:

„ზეცას წავიდა ღმერთთანა,
ქრისტესთან წილნაყარია“ (ჯაგოდნიშვილი, 2021:133).

ანდა:

„არ მოკვდა, ღმერთთან წავიდა,
ძმა არის განაყარია“ (ცაიშვილი, 1942:69).

ნიშანდობლივია, რომ ერეკლე მეორე დაკრძალულია სვეტიცხოველში, რომელიც გრაალის ტაძარია. „ქრისტეს კვართი და გრაალი განუყრელია“ (ბაქრაძე, 2004:467). ხალხურ ლექსში, რომელიც ერეკლეს მიცვალებას გადმოგვცემს, უჩვეულო გარემო იხატება: თეთრ საყდარს გვერდზე ჩაუდის მტკვარი. კელაპტარი ანთია ოქროს ჭიქაში, კუბოც ოქროსია და შიგ ბაგრატიონის გვარის წარმომადგენელი წევს.

„მცხეთას დგას თეთრი საყდარი,
გვერდზე ჩაუდის მტკვარიო,
იქა დგა ოქროს ჭიქაი,
შიგ ნათობს კელაპტარიო.
იქვე დგას ოქროს კუბოი,
გამოსახული ჯვარიო.
კუბოში ჩაუწვენავის

ბაგრატივნისა გვარიო“ (სიხარულიძე, 1949:182).

ზურაბ კიკნაძის დაკვირვებით, თუ ანდრეზული თვალით შევხედავთ „ოქროს კუბოს“, მასში ამოვიცნობთ „ოქროს აკვანს“. ისინი მონაცვლეობენ ვარიანტულად. ბეთლემის მონასტერში ოქროს აკვანში წევს ყრმა, რომელსაც მოღუღუნე მტრედები არწევენ.

„ასევე ვიცნობთ ბაზალეთის ტბის ოქროს აკვანს გამოუცნობი ყრმითურთ, რომელიც ქვეყნის ფერისცვალების ესქატოლოგიურ მოლოდინს განასახიერებს. აკვანი და კუბო – ადამიანური ყოფიერების დასაბამი და დასასრული, როგორც ერთი მითოლოგიის განსხვავებული, სხვადასხვა კუთხიდან დანახული სიმბოლოები, ენაცვლებიან ერთმანეთს ხალხურ წარმოდგენებში, რომელთაც, თავის მხრივ, რეალურ სინამდვილეში აქვთ შესატყვისი“

(კიკნაძე, 2010:68-85).

ასე რომ, რჩეულობის ნიშნით დაბადებულ ერეკლეს, ირმის მუძუ აქვს ნაწოვი, **ქრისტესთან წილნაყარი და მისი განაყარი ძმია. მზე და მთვარე ერეკლე მეფესთან კავშირში ნახსენებია სოლომონ ლიონიძის დატირებაშიც:** „მზე და მთვარე იმისი ბედნიერის ლამქრობაში ხანდაზმულნი არიან“ (იოსელიანი, 1893: 68), დღისით მზე და ღამე მთვარე „მეფის ირაკლის გამარჯვებულს დრომას წინ უძლოდენ“ (იქვე).

ავტორი ეუბნება მზეს, რომ ერეკლე, რომელიც „მიწიერი ღამიანი ქართლის“ მზეა, ვეღარ ხედავს მის ბრწყინვალეობას. იგი ზეციური ძალების „სამღთო სტუმარია“. უერეკლეოდ ეს ქვეყანა უმზეო და უნათლო, ღამიანი ქართლია:

„დაბნელდი, მზევ, რომელსა გაქვს მოსწავებული დაბნელებით ჭირის უფლობა, რომ მზე მიწიერი ღამიანის ქართლისა, მეფე ერეკლე, შენს ბრწყინვალეობას ვეღარ ხედავს. *ზეციურნო ძალნო*, აქამდის თქვენი დღესასწაულობით მასპინძელი, ახლა თქვენი სამღთო სტუმარი მეფე

ერეკლე გესტუმრათ“ (იოსელიანი, 1893:68).

დიახ, ესტუმრათ, სვეტიცხოვლის ტაძარში ცად ამაღლდა და „ზეცას წავიდა“ ბაგრატიონთა დინასტიის უკანასკნელი დიდი ხელმწიფე. ამიტომ მოსავს მას მზისა და მთვარის ყაბალახი, რჩეულობის ნიშანი, და რომ ის აუცილებლად „დაბრუნდება, როგორც მესია“ (კიკნაძე, 1996:176).

ლიტერატურა:

1. აზიანიძე, ზ. ელაშვილი, ქ. (2007). სიმბოლოთა ილუსტრირებული ენციკლოპედია. II. „ბაკმი“.
2. არაბული, ა. (2022): „ბაგრატიონთა საგვარეულოს „ღვთისნებითობის“ თეორია და ხალხური სიტყვიერება“. „ლიტერატურული მივანი“. XXIII. თბილისი: „მერანი“.
3. ბაქრაძე, აკ. (2004). „თხზულებანი“. II. თბილისი.
4. გამსახურდია, ზ. (1991). „ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება“. თბილისი: საქ. მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართ. ლიტ. ინსტიტუტის გამომცემლობა.
5. იოსელიანი, პ. (1893). „ცხოვრება მეფე გიორგი მეცამეტისა და საქართველოს რუსეთთან შეერთება“. თბილისი: სტამბა ექვთიმე ივ. ხელაძისა.
6. კიკნაძე, ზ. (2010). „სამი ეტიუდი თამარის მითოსიდან“. ქართული წყაროთმცოდნეობა. XII. თბილისი.
7. კიკნაძე, ზ. (1996). „ქართული მითოლოგია“. I. „ჯვარი და საყმო“. ქუთაისი.
8. ლიონიძე, ს. „მოთქმით ტირილი საქართველოს მეფის ღერკულეს ნეტარების ღირსისა“, <http://www.nplg.gov.ge/civil/statiebi/saskolo/solomon-lioniZis-sityva.htm>
9. მერჩულე, გ. „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, http://saunje.ge/index.php?id=1495&option=com_content&lang=ru
10. მროველი, ლ. (1955). „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“. [https://wikisource.org/wiki/%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%98_%E1%83%9B%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98_%22%E1%83%AA%E1%83%AE%E1%83%9D%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90_%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%97%E1%83%90_%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%A4%E1%83%94%E1%83%97%E1%83%90%22_\(1955\)](https://wikisource.org/wiki/%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%98_%E1%83%9B%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98_%22%E1%83%AA%E1%83%AE%E1%83%9D%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90_%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%97%E1%83%90_%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%A4%E1%83%94%E1%83%97%E1%83%90%22_(1955))
11. ნოზაძე, ვ. (1957). „ვეფხისტყაოსნის მზისმეტყველება“. სანტიაგო დე ჩილე: ავთანდილ მერაბაშვილი. https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/2817/1/VefxistyaosnisMzismetkveleba_1957.pdf
12. სიხარულიძე, ქ. (1949). „ქართული ხალხური საგმირო - საისტორიო სიტყვიერება“. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
13. სურგულაძე, ი. (1984). „ქართული სამართლის ისტორიის წყაროები“. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.
14. ფსალმუნნი 83. ფსალმუნნი, ძველი აღთქმა. <https://www.orthodoxy.ge/tserili/gadasatseri/dzveli/fsalmunni/fsalmunni-83.htm>
15. შაიშმელაშვილი, თ. (2020): „ეს ჩვენი მეფე ერეკლე“ - მონარქი, რომელმაც გაუსწრო თავის ეპოქას“. „ანეული“, 3:4-9.
16. ჩახრუხაძე, „თამარიანი“. <https://library.iliauni.edu.ge/wp-content/uploads/2017/03/44.thamariani.pdf>
17. ცაიშვილი, ს. (1942). „ერეკლე მეფის გმირული სახე ხალხურ შემოქმედებაში“. თბილისი.
18. ჯაგოდნიშვილი, თ. (2021). „ერეკლეს ეპოსი“. თბილისი.
19. ჯავახიშვილი, გ. „ერთი დატირების ირგვლივ“, <https://www.georoyal.ge/?MTID=101&TID=77&id=1825>

"Kabbalah of the Sun and the Moon" – symbolic images -icons of King Heraclius

Shaishmelashvili Tamar

Georgien Technical University, Tbilisi

Abstract

"Kabbalah of the Sun and the Moon" is a symbolic portrait of King Erekle, who is a representative of the Bagration dynasty, who with deer's milk grew up. He appears as the son of Tamar, and the first Bagration.

Like Tamar, Erekle is loved by the people, they believe that they are alive and that in the time of need, they will appear again as the savior of the nation. That is why the metaphor of the sun is a

characteristic attribute of Georgian kings, including King Erekle.

We must take into account the theory of the divine origin of the royal family of Bagrations, as well as that the king is born with the sign of chosen one.

In Christian symbolism, the Sun is the Son of God. God is compared to Christ, the Trinity. Heraclius is also the brother of Christ, and his growth is sacred, as is the growth of Amiran. Erekle looks like a hero of Georgian mythology, who had the image of the sun and the moon on his shoulders.

Irakli is covered by the "Kabalak of the sun and the moon" in „The weeping of the Kizikeli woman“. This metaphor, first of all, emphasizes of the representative of the "Iesian-Davidian-Solomon" Bagration family, at the same time, the two luminaries – the sun and the moon – are symbolic images of God, Christ, the Holy Spirit, and, in general, the Trinity.

On the one hand, Kabbalah is a symbol of manhood, on the other hand, this Kabbalakh is of the sun and the moon, and will lead the king to the heavenly kingdom.

Erekle, born as a chosen one, with a special sign, lies in a golden coffin, which gives rise to the association of a golden cradle ("Maybe that child is lying in the cradle"), the cradle and the coffin "are different symbols of the same mythologem, seen from different angles", the time will come, the cradle will replace the coffin...

The eschatological expectation is the mysterious herald of the return of the child...

That is why "Chokha-Akhalukh" is not intended for Erekle. Only the "Kabbalah of the sun and the moon" covers him as a heavenly "divine guest" and the Lord's brother.

Key words: Sun, Moon, To cry, Christian, Shining

ოთარ ჩხეიძის რომანი „ბურუსი“ და ჩვენი თანამედროვეობა

შარაბიძე თამარ

ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი

DOI: <https://doi.org/10.52340/idw.2023.62>

მწერალი ჯერ გაჩვენებს, შემდეგ კი აღმოგაჩენინებს, რომ ეს ყველაფერი შენ ირგვლივ ხდება, შენც ხედავდი, შენც ხვდებოდი, ზოგჯერ ვერც ხვდებოდი, მაგრამ მან (მწერალმა – პროზაიკოსმა თუ პოეტმა) ისე თქვა, რომ ეჭვი აღარ გეპარება უკვე შენ მიერ აღმოჩენილ საყოველთაო ჭეშმარიტებაში. არა აქვს მნიშვნელობა ნაწარმებში ასახულ დროს (თუმცა ხანდახან აქვს), არც დაწერის თარიღს (თუმცა ხანდახან ამასაც აქვს), მნიშვნელოვანია, რომ ზუსტად იგივე დღესაც ხდება. ოთარ ჩხეიძის რომანი „ბურუსი“ საქართველოს საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ცხოვრებას ასახავს, ეს არ არის იმპერიის მიერ პატარა ქვეყნის ხელმეორე ანექსიის არა პირველი, არამედ შემდგომი წლები, რაზეც მთავარი პერსონაჟის, სალომის ერთი ფრაზაც მეტყველებს: „*მადლობა ღმერთს, დროზე მოვრჩით პროლეტკულტურშჩინას*“ (ჩხეიძე ო. 2020 : 87), ე.ი. „ელიტარულ“ საზოგადოებას, რომელიც ძირითადად თანამდებობის პირთა (ყოფილისა თუ მოქმედის, მცირე დროში ერთმანეთის მონაცვლეთა) ნათესავ-ახლობლებისგან შედგება, სრული უფლება აქვს „არისტოკრატიზმს“ თამაშისა: ღამისთევებისა, დროსტარებისა საუკეთესოდ დაგეგმილი პროგრამებით, ყოველ საღამოს თეატრსა და ოპერაში ყოფნისა და ა.შ. ამ ადგილებში გამოჩენა უმეტესად საზოგადოებრივ ასპარეზზე ყოფნის დამადასტურებელია, ვიდრე ხელოვნების სიყვარულისა. აქ, ამ საზოგადოებაში ყველა ერთმანეთს იცნობს, თუ არა და ცდილობს გაიცნოს ის, ვინც მისთვის გამოსადეგია; ყველამ იცის ერთმანეთის ამბავი, ნამდვილიცა და მოჭორილიც. აქ ერთმანეთის ძირითადად შურთ და ურთიერთობაც მხოლოდ უტილიტარული (მისი უარყოფითი გაგებით, მხოლოდ თავის სასარგებლოდ) დანიშნულებისაა. ამის შემდეგ აღარ უნდა გაგვიკვირდეს, რომ მთავარი პერსონაჟი სალომი თავის „საყვარელ“ დიშვილს, რომელიც მისთვის ამგვარივე დანიშნულების ობიექტია, აკარგვინებს სიყვარულს; სამართლიან, ნიჭიერ, მებრძოლ, კალმით ნახატ გოგონას უვითარებს მეშჩანურ შეხედულებებს და მე-19 საუკუნეში კარგად ჩამოყალიბებული და მომწიფებული სამაჭანკლო ინსტიტუტის გამორჩეულ მაჭანკლებზე უფრო მეტი გამჭრიახობისა და უნარის გამოჩენით 6 დღეში ითანხმებს, რომ ცოლად გაჰყვეს უგვან, მხოლოდ საბჭოთა იდეოლოგიის პრინციპებით „აღჭურვილ“, მეცნიერული არგუმენტაციის უგულვებელმყოფელ, ნამდვილ მეცნიერთა და საზოგადოების სიმართლის მოყვარული ნაწილისათვის სამარცხვინოდ მიჩნეულ მეცნიერს. მიზეზი? მიზეზი ამ მეცნიერის ქალაქკომის მდივნის დეიდაშვილობაა. არჩილ ალავიძე, ქალაქის თავი, სალომეს სჭირდება, რათა სამსახურიდან გაგდებულ თავის კორუმპირებულ ქმარს ისევ ახალი ასპარეზი გაუხსნას, მინისტრის მოადგილის თანამდებობა უშოვოს ისევე, როგორც ადრე უშოვა სამინისტროში განყოფილების გამგეობა, რათა თვითონ არ დაიჩაგროს, ოჯახს სახელი და პრესტიჟი შეუნარჩუნოს და სიამაყით დაიკავოს „მაღალ საზოგადოებაში თავისი კუთვნილი ადგილი“. ის ამ ყოველივეს ახერხებს უდიდესი ეშმაკობის წყალობით. ოთარ ჩხეიძე ვეღარ მალავს თავის დამოკიდებულებას პერსონაჟის მიმართ და მძაფრი ირონიით განაცხადებს: „*აფსუსს, სად იხარჯება ესოდენი ნიჭი და უნარი, ამის მეთაფი რო მეცნიერებას ხმარდებოდეს, ვინ იცის რას მიაღწევდა აქამდე კაცობრიობაო!*“ (ჩხეიძე ო. 2020 : 157).

თქმა აღარ სჭირდება, რომ სალომეს წინასახე სუტ-კნეინაა ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანიდან?“, ბარბარე ჯორჯაძის მაქთალაა პიესიდან „რას ვეძებდი და რა ვპოვე“ და

ცაგარელის სახელგანთქმული ხანუმაგა (ერისთავთან და ანტონოვთან ამ როლში ყოველთვის მამაკაცები გვევლინებოდნენ), მაგრამ ამ სამივე პერსონაჟის ემმაკობა ვერ მოვა სალომეს პიროვნებაში ერთად თავმოყრილ სივერაგესა და „გონებამახვილობასთან“. თანამედროვე მაქანკალი გეგმავს არა ერთისა და ორის, არამედ მრავალი ადამიანის ქმედებას, ითვლის მათ ყოველ ნაბიჯს და უტეხი მიზანსწრაფვით მიიჩქარის დასახული მიზნისაკენ. მისი ცბიერება აერთიანებს გონიერებასა და შეუბრალებლობას. სალომე არ ინდობს საკუთარ დედამამიშვილებსაც. ის და მისი მეუღლე აპოლონი თანამედროვე თათქარიძეები არიან, უფრო განვითარებულნი, უმაღლესდამთავრებულნი, მოწესრიგებულნი, მაგრამ ისინიც უმოქმედონი, მიუხედავად მუდმივი, ოღონდ ყალბი ქმედებებისა. ამიტომ შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ რომანის პირველი თავი მათი სახლ-კარის აღწერას ეთმობა. თათქარიძეებისაგან განსხვავებით კორკოტაძეების ხუთთახიან ბინაში ყველაფერი ანტიკვარულია, ავეჯიც, სერვიზებიც, ფარდა-ფარდაგ-ხალიჩებიცა და ნივთებიც; წიგნების კარადის თაროები კი სავსეა სხვადასხვა სახის ლიტერატურით, რომელსაც ოჯახის პატრონი მხოლოდ იმიტომ აგროვებს, რომ თავი განათლებულ კაცად წარმოაჩინოს, წიგნი მუხლებზე დაიდოს და მერე ნებიერად ჩათვლიდოს თავის სამუშაო კაბინეტში, ვითომდა კითხვაში. ავტორი შენიშნავს, რომ ამ კაბინეტში წიგნები „თავისთვისაა“, ოჯახის პატრონი კი „თავისთვის“; ამგვარ კითხვას კი, წიგნის მუხლებზე დადებასა და ჩათვლემას, აპოლონი მუშაობას უწოდებს, ხოლო მისი თანამეცხედრე ამ დროს სამუშაო კაბინეტში არავის უშვებს მეუღლის ავტორიტეტისათვის ხაზგასასმელად. ოთარ ჩხეიძე მრავალმნიშვნელოვნად კითხულობს: „რატომ არ შეეძლო ეთვლიდა თავის „სამუშაო კაბინეტში“, ან ვითომ რად არ შეიძლებოდა მართლა სამუშაო კაბინეტი რქმეოდა ამის ოთახს და ამის თვლემას _ მუშაობა?“ აპოლონი და მისი მეუღლე სალომე ტიპირი თათქარიძეები არიან, ავტორის თქმით, „ერთ სულ, ერთხორც, ერთაზრ, ერთფიქრად“ ქმნილნი (ჩხეიძე ო. 2020 : 354). მინიშნებაც საკმარისი იყო ქმრისათვის, რომ უმაღ ხვდებოდა ცოლის აზრს უთქმელად. თუმცა დარეჯანისგან განსხვავებით სხვადასხვაგვარია სალომეს დამოკიდებულება ქმრისადმი მაშინ, როცა მას მაღალი თანამდებობა უჭირავს და მაშინ, როცა უმუშევარი შინ ზის. მაგრამ სალომე რის სალომეა, თუ ქმრის უმუშევრობა და საზოგადოებაში მისი „მოტეხილი“ მდგომარეობა დიდხანს გაგრძელდა?! ის შესაფერის დროს ეძებს და იპოვავს კიდევ წვეულების მოსაწყობად. მას ეთერის დაბადებისდღე დაარქვა, მიუხედავად იმისა, რომ მისი დიშვილი სხვა დღეს იყო დაბადებული. ამ ფაქტს მისთვის დაბრკოლება არ შეუქმნია, მთავარი გახლდათ შესაფერისი მომენტი. სალომეს არ გამოჰარვია, რომ ფსიქოლოგიის ინსტიტუტის პირველკურსელი ეთერი ყველას მოსწონს, მათ შორის _ ლევან ქურდოვანიძესაც, ფიზიოლოგიის ინსტიტუტის ახალგაზრდა მეცნიერ-თანამშრომელს, რომელსაც უკვე ლექციებიც აქვს უნივერსიტეტში და, რაც მთავარია, არჩილ ალავიძის დეიდაშვილია. რა თქმა უნდა, ქურდოვანიძემ წვეულებაზე საპატიო ადგილი დაიკავა, ის მხოლოდ სტუმარი კი არ იყო, არამედ სალომეს მიზნის მთავარი ობიექტიც. აღსანიშნავია, რომ „ვითომ დაბადების დღეზე“ ყველა დაპატიჟებულია გამოდგომის თვალსაზრისით, „იმ მცირე განსხვავებით, რო ზოგი გვიან გამოადგებოდათ, ზოგი უფრო ადრე, თუნდაც იმ დამესვე“ (ჩხეიძე ო. 2020 : 19), მოკლე დროში გამოსადეგები იყვნენ სტუმრების გასახალისებლად მოწვეული მუსიკოსები და მომღერლები, მსახიობები, ასევე ცნობილი მთარგმნელი და ლიტერატორი (ისიც სტუმრების გასართობად მიწვეული) და კიდევ სხვანი. ოჯახის უფროსის, აპოლონის, ყოფილი უფროსი, ნამინისტრალი გრიშა, გრიგორი სებასტიანოვიჩი კი იმიტომ იყო დაპატიჟებული, რომ ყველას კარგად დაენახა, „აპოლონი კორკოტაძემ ერთგულება იცისო“, გათვლილი იყო თითოეული დეტალი. ბუნებრივია, ახალგაზრდა მეცნიერი აკაკი ცისკარიშვილი, ერთადერთი ადამიანი, რომლის იქ ყოფნაც ეთერს გულით სურდა, ამ „მაღალ წრეში“ ვერ მოხვდებოდა.

ავტორი ელიტარული საზოგადოების მრავალ ნაკლოვანებას გვიჩვენებს და დასცინის მას, ძირითადად ირონიის გამოყენებით. მაგალითად, გვეუბნება, რომ მას (ამ საზოგადოებას) სჩვევია სხვისი, მისთვის არაშესაფერისის, დამდაბლება სახელის დამახინჯებითა და დაკნინებით. სალომე „ცისკარიანთ შაქრიას ბიჭს უწოდებს“ აკაკი ცისკარიშვილს, რათა ამით დაამციროს ის ეთერისა და სხვათა თვალში. ხშირად თავის დასა და დიშვილსაც მიუთითებს „ორბისულ გემოვნებასა“ და მაღალი საზოგადოებისთვის შეუფერებელ უტაქტობაზე. ასეთივეა

ელიტარული ვითომ მეცნიერი, სალომეს არჩეული საქმრო დიშვილისათვის, ლევან ქურდოვანიძეც, რომელიც სიტყვა „ჭირნახულს“ სოფლურ თქმად მიიჩნევს და ხელოვნებაზე საუბრობს მხოლოდ გაგონილი ფრაზებით, ზუსტად ისეთივეთი, როგორც ტროლეიბუსში მოუსმენია ეთერს და თუ თავადაც იმავეს გაიმეორებს, პატივისცემას უმაღვე დაიმსახურებს ლევანის თვალში. ქურდოვანიძის ყველაფრისადმი ზერელე, არასიღრმისეული დამოკიდებულება მის სამეცნიერო ნაშრომშიც აისახება; ლევანი ძირითადად სხვისი ციტატებით იფარგლება, რადგან საკუთარი აზრი არცა აქვს და რომც ჰქონდეს, ჩამოყალიბება უჭირს. ქურდოვანიძე *„ლექციებსა თუ პაექრობაზე გატენილი ჩანთებით მიდიოდა, უამისოდ არ შეეძლო, გატენილი ჩანთა და სავსე ილღიები აძლევდა იმედსა, მატებდა ენაწყლიანობასა, _ მერე როგორი ენაწყლიანი ხდებოდა, წაიკითხავდა მთელ გვერდებსა, დიდის რიხითა, ნიშნისმოგებითა, მარჯვენ მუშტის მუქარიანი ქნევითა, _ მეტი ენაწყლიანობა და ორატორული ხელოვნება გნებავთ?!“* (ჩხეიძე ო. 2020 : 182). დღესაც რამდენი გვყავს მისი მსგავსი ორატორები და ლექტორები!

ამ საზოგადოების წევრები ცნობილი მწერლებიც არიან, რომლებიც წერენ ერთ კონკრეტულ, მათი აზრით, ლიტერატურისათვის ყველაზე საუკეთესო ჟანრში, მაგრამ გაკრიტიკების შემდეგ უმალ იცვლიან ამ საუკეთესო ჟანრს და სხვაში ინაცვლებენ (ჩხეიძე ო. 2020 : 97); ზოგი თავისი თარგმანებით მაჩაბლისეულ თარგმანებს აუშჯობესებს იმით, რომ „აჩრდილის“ ნაცვლად „ჩვენებს“ ამჯობინებს, ხოლო „სწავლულის“ მაგივრად _ „განსწავლულს“ და ღრმად სწამს მთარგმნელობით საქმეში თავისი მნიშვნელოვანი წვლილისა. ეს საზოგადოება თბილისად მხოლოდ თავის წრეს თვლის. „მთელი თბილისი ალაპარაკდაო“, _ ამბობს და იმას აღარ უკვირდება, რომ მთელი თბილისი არ შეიძლება ალაპარაკდეს ერთი წყვილის ისტორიაზე.

არჩილ ალავიძე ამ საზოგადოების თავკაცია, ქალაქკომის მდივანი, რომელიც მაღაროს ქალაქში ინჟინრად მუშაობდა, მაგრამ თავისი მოხერხებით მაღაროს ქალაქისა კი არა, დედაქალაქის ხელმძღვანელი აღმოჩნდა, თბილისის მოველინა და ყველა დარგში სასწაულებრივ აღმოჩენებს აღწევს. მაგალითად, *„ფილოსოფიის ინსტიტუტში აღმოაჩინა ჰეგელიანელები, კანტიანელებიცა, ბერი ბეკონის მიმდევრებიცა, ბუდისტებიცა“* და რისთვის? _ იკითხავს მკითხველი, რადგან დღეს ეს პრობლემა აღარ დგას, მაშინ კი, საბჭოთა პერიოდში იდგა, რომ ეს ინსტიტუტი გაეწმინდა არაკომუნისტური, ბურჟუაზიული აზროვნების მეცნიერთაგან. ასეთივე წმენდა ჩაატარა ქალაქკომის მდივანმა ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტშიც. *„მას ყველგან და ყველაფერში იდეოლოგიური მხარე აინტერესებდა, იდეოლოგიურად ტაძრები და ციხე-კოშკები ფეოდალიზმი იყო, ხოლო მათი დაწვრილებითი აღწერილობა _ ფორმალიზმი“* (ჩხეიძე ო. 2020 : 103). ალავიძის სიტყვებით წაქეზებულნი ერთი-ორი საფელეტონო ნაშრომით მიწასთან ასწორებდნენ მთელი მეცნიერული ტომების შემქმნელ სწავლულებს, საპატიო და ღირსეულ ადამიანებს. ჯერი ფსიქოლოგიის ინსტიტუტზე მიდგა. *„აკი ამბობდნენ, ახლა ფსიქოლოგიის ინსტიტუტის თავზე გროვდება შავი ღრუბელიო“*, _ გვეუბნება ავტორი. ამ შავი ღრუბლების გამოჩენა იწყებოდა ქალაქკომის მდივნის მიერ გადმოგებული სიტყვით, ლოზუნგით, *„კრიტიკა და თვითკრიტიკა გვაკლია სამეცნიერო დაწესებულებებშიო“*, მაგრამ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ქალაქის თავი სპეციალურ დავალებებს აძლევდა თავის ნათესავ ხელქვეითებს, რომ მაკომპრომენტირებელი მასალები მოემებნათ და ისე მოეხდინათ ზოგჯერ მთელი სამეცნიერო სისტემის, ზოგჯერ კი კონკრეტული ადამიანის განადგურება სიმართლის სახელით. მაგალითად, არჩილ ალავიძემ თავის დეიდაშვილს, ქურდოვანიძეს, დაავალა უზნაძის „განწყობის თეორიის“, რომელიც იყო საქართველოს სახელი უცხოეთსა და მთელ კულტურულ სამყაროში, კრიტიკა კი არა, განადგურება; განადგურება იმისა, *„რასაც ოცდაათი წელიწადი იკვლევდნენ და უამრავი ცდებით ადასტურებდნენ ფსიქოლოგიის ინსტიტუტში აკადემიკოსი უზნაძე და მისი მოწაფეები“* (ჩხეიძე ო. 2020 : 186). იმავე ალავიძემ აპოლონ კორკოტაძეს მელიორაციის მინისტრის მოადგილის ანკეტის გადამოწმებაზე მიუთითა, რადგან აინტერესებდა, გლეხის შვილი იყო თუ მღვდლისა, ამასთანავე არხების დათვალიერება და გაზეთში მელიორაციის დარგზე მაკომპრომენტირებელი სტატიის გამოქვეყნება მოსთხოვა ისეთი წრფელი თვალებით, თითქოს *„ალალ დავალებას, საზოგადო საქმისათვის საჭირო“*

დავალებას აძლევდა“ (ჩხეიძე ო. 2020 : 180). „პატიოსნური სიდინჯის იერი ადგა იმის სახესა“ (ჩხეიძე ო. 2020 : 182). ქალაქკომის მდივნის დავალებას ქვეშევრდომები უმაღლეს ასრულებენ, მონდომებით აჭარბებენ კიდევაც დავალებულ საქმეს, წერენ ალავიძის საამებელ წერილებს და რედაქტორებიც დიდი სიამოვნებით ასწორებენ, სიმახვილეს აძლევენ და ბეჭდავენ, რადგან ამით თვითონაც ალავიძის საამებელს სჩადიან.

ოთარ ჩხეიძემ მშვენივრად, ზედმეტი ახსნა-განმარტების გარეშე წარმოაჩინა, რომ აღწერილი ტიპური მოვლენაა მთელ ქვეყანაში, მთელ საბჭოთა კავშირში. ეთერს მოსკოვში გაცნობილი მარი მოსკალენკო გამოუტყდება, რომ ერთ ბედში არიან, მისი ქმარიც მეცნიერობს, რაც ფუტკარივით მოფუსფუსე და მშრომელი ადამიანების წახდენაში გამოიხატება, ხან ვის დასწამებს კოსმოპოლიტობასა და წვრილბურჟუაზიულ ნაციონალიზმს და ხან ვის; ეთერის მეუღლეს ხომ ასეთივე აღმოჩენებითაა გართული?! „როგორა ჰგვანებიან ერთმანეთს თქვენი და ჩემი მეუღლე, როგორა ჰგვანებიან, ზედგამოჭრილები ყოფილან“ (ჩხეიძე ო. 2020 : 239). ზერელე ადამიანებს დიდ სწავლულთა მასწავლებლად მოაქვთ თავი და მწერალი კიდევ ბევრ ასეთ შემთხვევას აღწერდა, მაგრამ თავადვე თავს იკავებს და ხშირად შეგვახსენებს: „ამის გადმოცემაც არ არის ძნელი, მაგრამ ჩვენს უახლოეს ნაცნობებს ვიღამ უგდო ყური?“ (ჩხეიძე ო. 2020 : 348) და ეს ერთგვარი სტილიცაა მწერლისა მთავარ სიუჟეტურ ხაზს დაუბრუნდეს და ქვეყნის პოლიტიკურ-სოციალური მდგომარეობის ამსახველი პუბლიცისტური ნარკვევის წერა სხვას მიანდოს.

ოთარ ჩხეიძე ძალიან მკვეთრად, ნათლად ხედავს იმ დეტალებს, რომელთა ერთობლიობა ე.წ. ლიდერის სახეს ქმნის. „დავიღალე, დღეს ათი თათბირი, სხდომა და კრება მაინც ჩავატარე და ახლაც პირდაპირ კრებიდან მოვდივარო“... (ჩხეიძე ო. 2020 : 105), აი, ეს არის ნამდვილი ფორმალიზმი, რასაც საზოგადოება აიდიანებს. და ეს დღესაც ასეა. სუფრაზე, ქეიფის დროს, მაღალი საზოგადოების წარმომადგენელნი სათითაოდ, მოწიწებით ეახლებიან თანამდებობის პირს და „ხოტბა-გუნდრუკის კმევაში“ ეჯიბრებიან ერთმანეთს. ის კი, თავდაჯერებული ამდენი კმევით, წამოიჭრება და „დიდის თავმდაბლობით“ განაცხადებს, რომ მომავალშიც თავდადებით ემსახურება ხალხის ბედნიერებას. თუ ვინმემ მაინც გაბედა და რაიმე კრიტიკული ჩაიჩურჩულა მის წინააღმდეგ, სახლის პატრონი შიშით ლამის გაქრება, „ვაითუ გაიგონა ეს ნათქვამიო“. და ეს ყველაფერი დღესაც ასეა.

არც სხვა, თუნდაც უმნიშვნელო დეტალები ეპარება მწერლის ხედვას, ვთქვათ ის, რომ ეს „მაღალი, პოლიტელიტარული საზოგადოება“ რუსულ-ქართულად მეტყველებს; განსაკუთრებით მაშინ, როცა უცხო დაინახავს; თავის სამსახურს „არანორმირებულს“ უწოდებს, რაც ძირითადად სამსახურში თავის ნებაზე სიარულში გამოიხატება; „ზომიერ სიამაყეს და დარბაისლურ სიდიადეს“ არ იშორებს სახიდან; თანამდებობა მისთვის უპირველესი ღირსებაა და ხალხიც თანამდებობის პირებსა და თანამდებობაზე დასანიშნებს „უკვე სხვანაირად, მრავალმნიშვნელოვნად უღიმის“ (ჩხეიძე ო. 2020 : 357). და თუკი ჩვეულებრივი ადამიანი, სამართლიანი (და არა რანგიანი) მეცნიერი ხმას იღებს თავის დარგში თავსმოხვეული, იდეოლოგიური წნეხით განსაზღვრული, არამეცნიერული აზრის წინააღმდეგ, მისი აგდებული შეფასებაც არ აგვიანებს: „ვაი ჩვენი ბრალიცა, ცისკარაანთ შაქრიას ბიჭიც მარაქაში ერევა, ამაზე იტყვიან: კუმ ფეხი გამოყო, მეც ნახირ-ნახირაო“ (ჩხეიძე ო. 2020 : 352) და ამ სიტყვებს შემახილით – „მართალი ბრძანებაა“ – უმაღლეს იტაცებენ სხვებიც.

გარდა მეშჩანური, პარტიული ნიშნითა და მთავრობის მომხრეობით გამორჩეული, ელიტარული საზოგადოებისა, ოთარ ჩხეიძე შესანიშნავად აღწერს სოფლის გარემოს, განსაკუთრებით ორბისის, ვაშლოვანისა და ატენის ბუნებას, ხალხს, ადამიანთა მარტივ ურთიერთდამოკიდებულებას და ჩვენი კლასიკოსი მწერლების მსგავსად მიაჩნია, რომ სოფელი წმინდაა ქალაქთან შედარებით, ხალხი შეიძლება უხეში, ნაკლებ განსწავლული, უტაქტო და მოურიდებელიც კი იყოს, მაგრამ გაცილებით წრფელი, თავისუფალი და ალალ-მართალია. გადიდვაცებულ ქალაქელს კი გლეხის შრომის დაფასებაც არ შეუძლია. აპოლონი ისე დიდვაცურად სთხოვს ატენელ გლეხს სხვა ქვევრებიც გაუხსნას, რომ ვერც კი ხვდება, როგორ აბუჩად იგდებს მის ღვაწლს, მის სიფაქიზეს და სისათუთეს ღვინისადმი. ეზოში ბორცვებად ამოზნექილ ქვევრებზე კი ავტორი ღვინისა და ვაზის დაფასების მთელი შეგრძნებით აღნიშნავს:

„დიახ, ბორცვებად ითქმის, მთებიც რო დაერქვას, გაზვიადება არ იქნება, ტანადი სიმცირე რას უშლიდა – დიდი ძალა მიეყუჩებინა, დაედუმებინა ქვევრებში ...“ (ჩხეიძე ო. 2020 : 44). მემჩანობისა და სილაღე-სიმარტივის კონტრასტია აპოლონის დიდკაცური სიტყვები ახლგაზრდა მეცნიერის მიმართ წარმოთქმული: „შოფერს ღვინო არ დააღვებინოთ“ (ჩხეიძე ო. 2020 : 48).

ნაწარმოების კულმინაციაა დისკუსია ფსიქოლოგიის ინსტიტუტში, რომელიც 10 დღის განმავლობაში გძელდება და რომელზედაც მრავალი მეცნიერი, ფსიქოლოგი თუ ფიზიოლოგი გამოდის სიტყვით, მათ შორის – ლევან ქურდოვანიძე და აკაკი ცისკარიშვილი. ქურდოვანიძის მოსაზრებას აკლია არგუმენტაცია, მომხსენებელი ვერ პასუხობს დასმულ კითხვებზე, ახალგაზრდა მეცნიერის, ცისკარიშვილის, ავტორიტეტი კი საკმაოდ მაღლა იწევს. ეს დისკუსია რომანში გაშლილ სხვადასხვა დინებას კრავს, რადგან ყველა მოქმედი პერსონაჟი მასთანაა დაკავშირებული: სალომე მარცხდება. როგორც გამოცდილი მხედართმთავარი, ის კარგად ხვდება, რომ დისკუსიაზე ალავიძის დაუსწრებლობა ცუდის მაუწყებელია და „ზემოდან“ მომდინარეობს, ე.ი. ამაო იყო მისი მთელი გეგმა და მის განსახორციელებლად გადადგმული ნაბიჯები, რომელთაგან ერთ-ერთი დიშვილის გაუბედურებით დასრულდა. აპოლონი შეეგუა მეუღლის დამარცხებას და კვლავ მოიბუზა თავის „სამუშაო კაბინეტში“ საანგარიშო „ჩოთქით“. ერთადერთი, რასაც ვერ შეეგუა, იყო უამრავი ხარჯი, რომელიც სალომეს გეგმამ მოითხოვა. დისკუსიაზე ატეხილმა ხმაურმა ალავიძეს თანამდებობა დაატოვებინა და თავად გამოაცდევინა, თანაც პირველად, ის შიში, რომელსაც ყოველთვის ის აღძრავდა სხვათა მიმართ. ეთერმა კარგად გაარჩია მეცნიერული პატიოსნება მეცნიერული სიყალბისაგან, დაინახა თანაკურსელთა სიცივე მისადმი, როგორც ქურდოვანიძის ცოლისადმი, ცისკარიშვილმაც თავისი ქცევით უგულვებელყო ის, როგორც მოღალატე. ქალის მცდელობას, აღედგინა ურთიერთობა მისთვის ძვირფას ადამიანებთან, შედეგი არ მოჰყოლია. ის ყოველთვის გულუბრყვილოდ თვლიდა, რომ არაფერში მიუძღოდა ბრალი, თვითონაც მოწინააღმდეგე იყო მეუღლის თეორიისა. ცისკარიშვილს კი, თუ მართლა უყვარდა, უნდა გამოეფხიზლებინა შეცდომაში შესული ქალი, როცა ქურდოვანიძეს უსიყვარულოდ მიჰყვებოდა. მხოლოდ დეიდაშვილმა გივიმ მიახვედრა ეთერი, რომ პასუხისმგებელია თავის ყველა ნაბიჯზე, განსაკუთრებით კი – ცხოვრებისეულ არჩევანზე, რაც ქურდოვანიძის ცოლობა იყო. ამ დისკუსიამ გადააწყვეტინა მერის, ეთერის დედას, დის ოჯახში შეკედლებულს, მოსიყვარულე მეუღლეზე უარის მთქმელს ქალაქში გადმოსვლის გამო და ამ დიდ ქალაქშიც სამადლოდ მასწავლებლის ნახევარ შტატზე მოწყობილს, რომ დაბრუნებულიყო ორბისში, სადაც ყველა აფასებდა და სკოლაშიც წამყვანი მასწავლებელი იყო. ეთერიც დედას აედევნა, რათა დაევიწყებინა ის, რაც ამ მოკლე დროში გადახდა. ის გამოერკვა ბურუსიდან, მაგრამ არაფრის შეცვლა აღარ შეეძლო, სურდა მხოლოდ დავიწყება. კვლავ გივიმ მიაშველა საღი აზრი, რომ არაფრის დავიწყება არ შეიძლება, წარსული ყოველთვის უნდა ახსოვდეს და შეცდომებმა გააძლიეროს.

ფინალი? ფინალი ორბისის გაჩერებაზე ავტობუსიდან გადმოსული დედა-შვილია, რომელიც შეჰყურებს თეთრად გადაპენტილ, სპეტაკადქმნილ, მიდამოს. უცნობია მათი მომავალი. მკითხველს გაგრძელება აინტერესებს. ეს მწერალმაც კარგად უწყის და ეთანხმება მას, რომ „*კარგი მთქმელი და კარგი გამგონე ასე იოლად არ უნდა დაეხსნან ერთიმეორესა, მაგრამ ვინ უწყის, დაგვერქმევა კარგი მთქმელი და კარგი გამგონეი, ვინ უწყის, ჰა?!*“ (ჩხეიძე ო. 2020 : 475). რატომ დაისვა ეს უკანასკნელი კითხვა? – შეიძლება გაიფიქროს კიდეც დღევანდელმა კარგმა გამგონემ. მაშინ კი, როცა ნაწარმოები დაიწერა ჯერ კიდევ 1954 წელი იდგა, ახალი გარდაცვლილი იყო ბელადი და არავინ უწყოდა, ისტორია რა ახალ გამოცდებს უმზადებდა მთქმელებსაც და გამგონეებსაც, არავინ უწყოდა, დარჩებოდნენ თუ არა ისინი „კარგებად“.

ლიტერატურა:

ჩხეიძე ო. (2020). „ბურუსი“, თბილისი : გამომცემლობა „ჩვენი მწერლობა“.

Otar Chkheidze's Novel *The Mist* and Our Modernity

Sharabidze Tamar

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Tbilisi

Abstract

Otar Chkheidze's novel *The Mist* describes Georgia's life as part of the Soviet Union. It is not about the first period of the re-annexation of the small country by the Empire, but about the subsequent years, which is also confirmed by one phrase of the main character, Salome: "Thank God, we finished with the "proletculturschina" (proletarian culture) on time." i.e. The "elite" society, which mainly consists of family and relatives of state officials, has the full right to play "aristocracy": gatherings all night, entertainment based on the best planned programs, going to theater and opera every evening, etc. The novel depicts the falsity, ruthlessness, utilitarianism of this society. The author shows and mocks many defects of this society mainly using irony. The novel is based on historical reality - the "cleansing" of scientific institutions by the Soviet ideology from scientists of non-communist, bourgeois thinking, the promotion of non-professionals, "erasing" of honorable and valuable people from science in the name of truth. Otar Chkheidze also describes a specific historical fact - repressions against the Institute of Psychology; not criticism of Uznadze's "Theory of Mood" (which was the image of Georgia abroad and in the entire cultural world), but the attempt by so-called Soviet scientists, to destroy it; Otar Chkheidze does not stop at the literary interpretation of only one fact and shows that the described is typical for the entire Soviet Union. The finale of the work is shrouded in obscurity, the future of the characters is unknown, the reader's interest is high, which the write is well aware of: "A good speaker and a good listener should not be separated from each other so easily, but who knows, will we be named good speaker and good listener, huh? !" When the novel was written, it was still 1954, "the Chief" (Stalin), just died recently and no one knew what new challenges history was preparing for both speakers and listeners; no one knew whether they would remain "good" or not.

In addition to showing the historical context and the typicality of the event, our task is also to show the reader that in our society the remnants of Soviet ideology are still strong nowadays, which partly derives from a sense of elitism, while each "regime" has its own elite.

Keywords: Otar Chkheidze's Novel *The Mist* and Our Modernity

ფრიდონ ხალვაშის ბალადა ახმედ მელაშვილზე

ჩოხარაძე მალხაზ

ბალაძე მალხაზ

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი

DOI: <https://doi.org/10.52340/idw.2023.63>

აბსტრაქტი. მუჰაჯირობის ისტორია და ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების ცხოვრება მრავალი კუთხით, მრავალი თვალსაზრისით არის საინტერესო. მე-19 საუკუნის მიწურულიდან დღემდე აღნიშნულ თემას ბევრი შეჰხებია: ჟურნალისტი თუ მეცნიერი, პუბლიცისტი თუ მწერალი...

მუჰაჯირობა ფართოდ აისახა ფრიდონ ხალვაშის შემოქმედებაში. ნაშრომში გაანალიზებულია მისი ბალადა „მუსა ბურსელი“, რომელშიც შთამბეჭდავი ოსტატობით არის დახატული ახმედ მელაშვილის მხატვრული სახე. ახმედ მელაშვილი იყო კლარჯ მუჰაჯირთა შთამომავალი, რომელიც ბურსაში ცხოვრობდა და რომელსაც უდიდესი ღვაწლი მიუძღვის თურქეთში მცხოვრებ ქართველთა ეროვნული თვითშემეცნების გაღვივებისათვის ბრძოლის საქმეში.

ფრიდონ ხალვაში ახმედ მელაშვილს პირველად შეხვდა 1968 წელს, თურქეთში ქართველ მწერალთა დელეგაციის სტუმრობის დროს. კიდევ ერთი შეხვედრა შედგა 70-იან წლებში, როცა მელაშვილი საქართველოში იმყოფებოდა. ბალადა „მუსა ბურსელი“ დაიწერა 1975 წელს.

მუჰაჯირობის მოტივის სპეციფიკას განაპირობებს, უპირველეს ყოვლისა, ისტორიული რეალობა. მუჰაჯირობა იყო თაობათა ტრაგედია. ტკივილით სავსე იყო მისი ყველა ეტაპი: გადაწყვეტილების მიღება, გასამგზავრებლად მზადება, მგზავრობა, ახალ მიწაზე დამკვიდრება, ასიმილაციის შეუქცევადი პროცესი და ა.შ.

ბალადა მუსა ბურსელისადმი მიმართვას წარმოადგენს. პოეტი თითქოს ესაუბრება თავდადებულ ჩვენებურს და წრფელი ემოციის თანხლებით ნათლად წარმოაჩენს მის უდიდეს ღვაწლს. ავტორი აცოცხლებს მუჰაჯირთა შთამომავლების ცხოვრების სურათებსაც და საუბრობს ქართველთა ერთიანობის განუზომელი მნიშვნელობის შესახებ.

საკვანძო სიტყვები: მუჰაჯირობა, ქართველი მუჰაჯირები, მხატვრული ტექსტები, ფრიდონ ხალვაში, ახმედ მელაშვილი..

ახმედ მელაშვილი პირველი თაობის კლარჯ მუჰაჯირთა შთამომავალი იყო. იგი 1922 წლის 10 ივნისს დაიბადა ბალიქესირის პროვინციის გონენის რაიონის სოფელ ქოჩბაირში. ეს მურღულიდან (გურბინი, ქურა, ბაგა და სხ.) გადასახლებულ მუჰაჯირთა შთამომავლების სოფელია, დაახლოებით 70 კომლიანი, თუმცა მოსახლეობის ნახევარზე მეტი მიგრირებულია სხვადასხვა ქალაქში.

ახმედი, ძირითადად, ბურსაში ცხოვრობდა. მე-20 საუკუნის 50-იანი წლებიდან ქოჩბაირთან და ბურსასთან ერთად მისი ცხოვრება განუყრელად დაუკავშირდა ინეგოლის რაიონის სოფელ ჰაირიეს. მაჭახლელ მუჰაჯირთა მიერ დაფუძნებულ ამ სოფლიდან იყო სწორედ მისი მეუღლე იუქსელ ერგუნი (ჯინჭარიძე). აქ იყო მათი სახლიც და ახმედ მელაშვილი სოფელს მაშინაც არ მოწყვეტილა, როცა ბურსაში ცხოვრობდა და მუშაობდა (ჰაირიე ინეგოლს 15 კილომეტრითაა დაშორებული, ბურსას - 58 კილომეტრით).

ბალიქესირის და ბურსას პროვინციები თურქეთის მარმარას (მარმარილოს ზღვის) რეგიონშია, ბალიქესირში 19 რაიონი ანუ ილჩია. ქართული სოფლები არის გონენის, მანასის,

ბალიას და სუსურლუქის რაიონებში, აგრეთვე, ბალიქესირის ცენტრალურ რაიონში (სულ 14 სოფელი). რაც შეეხება ბურსას, იგი საქარიას, ქოჯაელის და ორდუს პროვინციებთან ერთად განსაკუთრებით გამოირჩევა ქართველ მუჰაჯირთა დასახლებების სიმრავლით. ბურსაში 17 რაიონი ანუ ილჩია. ქართველები ყველა მათგანში ცხოვრობენ, მაგრამ კომპაქტური დასახლებები 7 რაიონშია - სულ 42 სოფელი. განსაკუთრებით აღსანიშნავია ინეგოლის რაიონი, რომელშიც ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების 18 სოფელია. ბურსაში ქართველთა უმრავლესობა აჭარიდან წასული მუჰაჯირებია. უფრო ზემო აჭარიდან - ხულოს და შუახევის რაიონებდან. გაცილებით ნაკლებია ზღვისპირელები - ჩაქვისა და მახიჯაურის მიდამოებიდან. არის მაჭახლიდან, კირნათი-მარადიდიდან, მურღულიდან და კლარჯეთის სხვა რაიონებიდან გადასახლებულთა სოფლებიც (ჩოხარაძე, 2016:78).

60-იან წლებში ახმედ მელაშვილმა სწორედ ჰაირიეში ჩამოაყალიბა „ტურიზმისა და ინფორმაციის საზოგადოება“, დააარსა ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, მისი თაოსნობით და ჩვენებურთა შემოწირულობებით აშენდა აქვე კულტურის სახლი და რა გასაკვირია, რომ სწორედ ჰაირიეშია მისი საფლავიც.

ახმედ მელაშვილს დიდი წვლილი მიუძღვის ქალაქ ინეგოლში „კავკასიელ ხალხთა კულტურის და ფოლკლორის საზოგადოების“ შექმნასა და მის საქმიანობაში. ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქართული საქმე იყო.

1968 წელს თურქულ ენაზე გამოსცა წიგნი „გურჯისტანი - კულტურა, ლიტერატურა, ხელოვნება, ისტორია, ფოლკლორი“ (ამ წიგნის გამოცემას ორთვიანი პატიმრობაც მოჰყვა).

ახმედ მელაშვილის სახელს უკავშირდება თურქეთის ისტორიაში პირველი ქართული ჟურნალის, „ჩვენებურის“, გამოცემა. პირველი ნომერი 1977 წელს დაიბეჭდა შვედეთში შანვერ აქინის (შალვა თევზაძის) მეცადინეობით (ჩოხარაძე, 2016:70).

მისი ღირსეული ცხოვრების ანარეკლია სწორედ, დღეს რომ ხშირად მოიხსენიებენ, როგორც თურქეთის ქართველობის ილია ჭავჭავაძეს. მისი ცხოვრების და მოღვაწეობის არსი თანამემამულეთა ეროვნული თვითშემეცნების გაღვიძებისათვის ბრძოლა იყო, რაც, იმჟამინდელ თურქეთში, დაუძლეველ პრობლემებს უკავშირდებოდა. „სადაც აკრძალეს ქართველობა, იქ იქართველა, იქ მან მამულის სიყვარული აგო ტაძრებად, იქ ცივი ფერფლიც სულის ბერვით გამოადვიდა... რათა ძმებს დედო მემლექეთი არ დავიწყნოდათ“, - ხატოვნად წერდა ახმედ მელაშვილის ბიოგრაფიას ფრიდონ ხალვაში და მართლაც, ეს ბიოგრაფია ქართველობისათვის ბრძოლის და ტანჯვის გზაა, რასაც შეეწირა კიდევ: 1980 წლის 5 ივლისს მას თავს დაესხნენ და მოკლეს. მძიმედ დაიჭრა მისი ვაჟი იბერია. ვინც არ უნდა ყოფილიყო დამკვეთი ან თავდამსხმელი, ფაქტია - მელაშვილი მისი მოღვაწეობის გამო გაწირეს...

მოგვიანებით (1989 წელს) ამ საზარელ ფაქტს ფრიდონ ხალვაში პატარა, ერთსტროფიანი ლექსით გამოეხმაურა („ახმედ მელაშვილის ანდერძი“) და მკაფიოდ გამოკვეთა თავისი დამოკიდებულება დიდი ჩვენებურის ღვაწლის მიმართ:

რაც რომ მწამდა,

რასაც ვწერდი,

მჯერა, ისევ ცოცხლად არი,

თუმცა მისთვის მომკლეს, მაინც

კვლავ მოკვდები მისთვის მკვდარი. (ხალვაში, 2000: 231)

1968 წელს, თურქეთში ქართველ მწერალთა დელეგაციის სტუმრობის დროს, მელაშვილმა მოახერხა მათთან შეხვედრა, ამ დელეგაციის წევრი იყო სწორედ ფრიდონ ხალვაში, რომელსაც საიდუმლოდ გამოატანა ოსმალური ხელნაწერების მიკროფირი. ეს იყო საქართველოს ისტორიისთვის მნიშვნელოვანი დოკუმენტი, - „1728 წლის თბილისის ვილაეთის დიდი დავთარი“. ფაქტია, რომ იმხანად ამგვარი ურთიერთობა არ იყო უსაფრთხო ერთი მხრივ, ახმედ მელაშვილისთვის და, მეორე მხრივ, ფრიდონ ხალვაშისთვის...

მწერალი მოგონებათა წიგნში „ომრი“ აღწერს პირველ შეხვედრას მელაშვილთან. სტამბულში ჩასულ მწერალთა დელეგაციას აეროპორტში დახვდნენ ოფიციალური პირები. მათგან განცალკევებით იდგა ერთი კაცი „გამხდარი, აჩრდილად მდგომი“ სწორედ ეს კაციო, წერს ფრიდონ ხალვაში, მოვიდა და გამომელაპარაკაო, როგორც კი დრო იხელთა:

„– შენ ფრიდონ ხალვაში ხარ? – თურქეთელ ქართველთა კილო მეცნო...“

– კი, ფრიდონ ხალვაში ვარ-მეთქი,– გავეპასუხე გაკვირვებით. ხელი ჩამომართვა და მოხვევასავით მომედო.

– მე ახმედ მელაშვილი ვარ... მე შენთან ლაპარაკი მინდა. ახლა არა... წაყვე ამათ და მე ვიცი შენი ჰოტელი, ჰაცხანა იყო და მოგნახავ მეძრე...“

– იმ ერთ წამში, ჩვენ, ორივემ, გასაოცრად ერთად შევნიშნეთ, როგორ ბეჯითად გვაკვირდებოდა რუსი, მოსკოველი „ლიტერატორი“ (ვითომ მწერალი), ქართულ ჯგუფს რომ გამოგვაყოლეს (აშკარად ვგრძნობდით, - ის კაგებს კაცი იყო). დამხვდურთა შორის, ერთი, რუსულისმცოდნე თურქი (ქართულისმცოდნე არ მოიყვანეს შეგნებულად), აშკარად ჩანდა, ახმედს აკვირდებოდა. ასე, რომ, თურქი და რუსი, მაშინ, გაერთიანდნენ, რათა არ დაეშვათ თურქეთის ქართველებთან საქართველოდან ჩასული ქართველების შეხვედრა“... (ხალვაში, 2007, 176)

მერე იყო ემოციებით სავსე დღეები თურქეთში, შეხვედრები იქაურ ქართველებთან, მათ შორის, მუჰაჯირთა შთამომავლების სოფლებში. მწერლის შეხვედრა მანამდე უნახავ 85 წლის მამიდასთან, რომელიც 1929 წელს მეუღლესთან ერთად გაერიდა საბჭოთა ხელისუფლებისგან მოსალოდნელ რეპრესიებს და თურქეთში დასახლდა, „იზნიქის მახლობელ სოფელში“... უფრო ადრე, 1890-იან წლებში მუჰაჯირად წასულა პოეტის ბიძა, მამის უმცროსი ძმა. მისი შთამომავლებიც ბურსას პროვინციაში, იზნიქის რაიონში ცხოვრობენ. ეს არის საოცარი ისტორიები, რომელსაც ამჯერად ნაკლებად ვეხებით. საზოგადოდ კი, უნდა აღინიშნოს, რომ 1968 წელს მწერალთა მოგზაურობა თურქეთში, შეხვედრები სტამბულსა და ბურსაში უდიდეს ემოციურ მუხტს შეიცავდა. თურქეთის ქართული მოსახლეობა, საბჭოთა რეჟიმის პირობებში, დაკარგული იყო სამშობლოსთვის. ერთი მხრივ, მუჰაჯირებმა თითქმის არაფერი იცოდნენ წინაპართა მიწა-მამულის ისტორიისა თუ თანამედროვეობის შესახებ. ძალიან ბევრს საქართველოს, როგორც ქვეყნის, არსებობის შესახებაც კი არაფერი სმენოდა. მეორე მხრივ კი, საქართველოშიც მწირი ცნობები იყო მუჰაჯირთა შთამომავლების, მათი სოფლების, მათი ცხოვრების ავის თუ კარგის შესახებ. არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ მეოცე საუკუნის 60-იანი წლები ჯერ კიდევ ის დროა (განსხვავებით თანამედროვე ეპოქისგან), როცა ქართულ სოფლებში ბავშვები მშობლიურ ენაზე იწყებდნენ ლაპარაკს და შემდეგ, სკოლაში, სწავლობდნენ თურქულს. მწერალთა იმჟამიდელი ტკივილით სავსე შთაბეჭდილებები და მრავლისმომცველი ემოცია თვალსაჩინოა მათ ჩანაწერებშიც და მხატვრულ ტექსტებშიც. ამიტომ არ უკვირს მკითხველს ფრიდონ ხალვაშის სიტყვები „თურქეთელ ქართველებთან შეხვედრებმა ჩემი ცხოვრება ძირფესვიანად შეცვალაო“, არ უკვირს ცრემლი ნოდარ დუმბაძის თვალეში (ხალვაში, 2007: 184)...

ნიშანდობლივია, რომ ახმედ მელაშვილის მხატვრული სახე, მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ფრიდონის შემოქმედებაში. 1975 წელს დაიწერა ბალადა (რომელსაც პოეტი მცირე პოემას უწოდებს) „მუსა ბურსელი“. ცნობილია, რომ ფ. ხალვაშის არაერთ ტექსტში მელაშვილი მუსა ბურსელად იწოდება და ბარემ ისიც ვთქვათ, რომ მისი ცხოვრებისა და ღვაწლის მხატვრული ასახვის სურვილი პოეტს სტამბულში, იმ პირველი შეხვედრისთანავე, გასჩენია და კიდევ უფრო გამძაფრებია სტამბულსა და ბურსაში შემდგომი ურთიერთობისას. პოეტი უკვე იწყებს გამოსახვის სათანადო ფორმების ძიებას. აქ კიდევ ერთ ფრაგმენტს დავიმოწმებთ „ომრიდან“

„...თავში დიდხანს ახმედ მელაშვილის სახე მიტრიალებდა, მინდოდა, იგი როგორმე ჩემი მომავალი ერთ-ერთი ლექსის, იქნებ ღრმა აზრით და მნიშვნელობით მომარაგებული სახე ყოფილიყო. ერთი სიტყვით, რაღაცას ვარჩევდი, ვეძებდი, მაგრამ იმხანად მისთვის შესაფერი ვერაფერი შევთავაზე. უბრალოდ, იქ დაწერილ რამდენიმე ლექსში მის სახელს, მის გამირობისტოლ კაცობას, ღირსი რამ შესამკობელი ვერ მოვუძებნე. მხოლოდ ხუთი წლის შემდეგ, როცა გემ „გიორგი ლეონიძეზე“ კაპიტნის თანაშემწე, შორეული ინდოეთის ოკეანეში, სინგაპურისკენ მივცურავდი, ჩემს ვეება კაიუტაში განმარტოებულს და ილუმინატორიდან ხანდახან, მუქშავად, მოლაპლაპე ოკეანის მომზირალს, როცა მხოლოდ მოგონებებით ხარ ცხოვრებასთან, სულისა და გულის მამებლად, მოგონებაში აიმართა ახმედ მელაშვილის

ჩვენება. ერთხელ, ვითომ ის შევაჩერე და მასთან საუბარი წამოვიწყე და ეს საუბარი, მაშინ, მომცრო პოემად გამოვიდა, – „მუსა ბურსელი“ (ხალვაში, 2007, 177).

არსებითად, ეს ფრაგმენტი საანალიზო ბალადის მცირედი შემოქმედებით ისტორიაცაა. უფრო ზუსტად ახმედ მელაშვილთან ფრიდონ ხალვაშის, როგორც მწერლის და როგორც ქართველი მოღვაწის, დამოკიდებულების ისტორია...

ბალადის „ამბავი“ აგებულია ღია ბარათზე, რომლითაც ავტორს ახალი წელი მიულოცა ახმედ მელაშვილმა. ბარათის ფოტოზე „ხუთი ბიჭია, ქართულ ჩოხებში გამოწყობილი“, ტექსტის მიხედვით, მათ შორის ერთი ახმედის შვილია, ივერი. საახალწლო მისალოცი ჩოხოსანი ბიჭების ფოტოთი რეალურად არსებობს, თუმცა, სინამდვილეში, თავად ივერი (იბერია) მელაშვილის განმარტებით, იმ ბარათზე ბურსელი ბიჭები არ არიან. ფაქტია, რომ მწერლის ფანტაზიამ საინტერესო მხატვრული სახე შექმნა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საახალწლო ბარათი საქართველოში იგზავნება მაშინ, როცა თურქეთში ნაციონალურ იდენტობაზე ხაზგასმა სახიფათოა. ერთხელაც გავიმეორეთ, რომ ბალადა რეალურ ამბავს ეფუძნება და ავტორიც მიზანმიმართულად მიანიშნებს ერთი მხრივ იდეის (მისალოცის დიზაინის) ავტორის ჩანაფიქრზე და მეორე მხრივ, ემოციაზე, რომელსაც ზემოხსენებული ფოტო ქმნის:

„უნდა შეხედო შენ ამ ბიჭუნებს –
რა ცეცხლს აფრქვევენ მათი თვალები,
მთის წყაროსავით მოჩქევს ღიმილი
მხურვალე შუბლზე გადასავლებად...
ბიჭებს ხორუმით ხელგადაბმულებს
მხრებზე უწყვიათ მსხვილი მაჯები,
რა გამოხედვა, რამდენის მთქმელი,
ღირსებით, რწმენით და გამარჯვებით!“ (ხალვაში, 2000: 167)

ამ ფოტოში, ამ ღია ბარათში ჩატეულია ჩვენებურთა, და არა მხოლოდ თურქეთში მცხოვრებ ქართველთა, გულისთქმა. ხორუმი ამ ბალადის მთავარი მარღვია, მფეთქავი არტერიაა, ქართველთა ერთიანობისთვის შეძახილია: ხორუმი ხომ მეომართა ცეკვაა და ერთიანობის ძალმოსილობაზე ხაზგასმა. ხორუმი მეზრძოლი სულის სიმბოლოა და მოცეკვავე ბურსელი ბიჭები – იქაურთა ქართველებად გადარჩენის იმედი. ეს ბიჭები თითქოს პოეტის წინაშე დგანან „ხორუმით მტრის შემმუსვრელნი“ და ამიტომაც მომეტებული ჟინით ისმის შეძახილი:

„შეჰკარ, – შეჰკარი, შეადუღაბე,
გულებში რწმენა ამოუქარგე,
ცეკვავენ, თითქოს ხანჯლით ბურღავენ
ჩვენთან სადუმშნოდ მოსულ ნუქარდინს“. (ხალვაში, 2000: 169)

ხორუმის მოცეკვავე ქართველ ბიჭებთან ნუქარდინის (იგივე რუქნ ად-დინ სულიეიმან-შაჰის) ხსენება კიდევ ერთი მინიშნებაა წარსულზე: ერთი მხრივ თამარის ეპოქაზე და, შესაბამისად, ბასიანზე, ქართველთა ერთიანობის შედეგზე - სასახელო გამარჯვებაზე და, მეორე მხრივ, მუჰაჯირობის ტრაგიკულ ისტორიაზე, თურქეთში უწყალოდ მომოფანტულ ქართველობაზე, ამ ქართველთა ერთმანეთთან თუ დედასამშობლოსთან, მემლექეთთან ურთიერთობის დაწყვეტილ, ან კიდევ, დასაწყვეტად დაჭიმულ ხილულ თუ უხილავ ძაფებზე. ამ ძაფების გადარჩენის კოდი მოცეკვავე ბიჭების, კლარჯეთიდან, შავშეთიდან, ტაოდან, აჭარიდან... გადასახლებულ მუჰაჯირთა შთამომავლების ხორუმშიცაა ჩაქსოვილი და იმ სოფლებშიც, „...რომლებიც შორზე შორეთში აგეს ბედკრულმა მუჰაჯირებმა!“

მუსა ბურსელი საქართველოს სიყვარულით სუნთქავს და ცოცხლობს, ქართველ მწერალთან მიმოწერა მისთვის საქართველოსთან შეხებაა, წინაპართა მიწა-მამულში მიმოხედვაა, წარსულსა და აწმყოზე დაფიქრება. სწორედ ამიტომ საახალწლო მისალოცის კეთილი სურვილები, უპირველესად, საქართველოს ეხება:

„ახალო წელო, მიე გურჯისტანს
მზე, გამაგრება და გამრავლება,

ნუ დაავიწყებ, რაიც უჭირდა,
მაგრამ იდარონ მისმა თვალებმა!“ (ხალვაში, 2000: 167)

ფრიდონ ხალვაში მიმართავს მუსა ბურსელს და განსაკუთრებული პატივისცემით აღნიშნავს თავდადებული ჩვენებურის მოღვაწეობის შესახებ. ამ მოღვაწეობის მთავარი მიმართულება იყო თურქეთის ქართველობაში ეროვნული თვითმეგნების გაღვიძება და გაღვივება. ამ მიზანს ემსახურებოდა სიმღერის და ცეკვის ჯგუფების ჩამოყალიბებაც, მრავლისმომცველი წიგნის – „გურჯისტანის“ დაბეჭდვაც, ჟურნალ „ჩვენებურის“ გამოცემა და მრავალი სხვა კეთილი საქმე...

„ვიცი, სიმღერებს მანდაც მოუვლი,
ჰანგებს ჩვენებურს მრავალხმიანებს,
ხშირად ქუჩებში ჩვენი ხორუმით
ქარიშხალივით ჩაიგრიალე.
ხან ჩვენებურთა მიხვალ სოფლებში,
ცეკვა-სიმღერით, ჩონგურ-გიტარით
და ისე, როგორც პურს ქვრივ-ობლებში,

ჩამოატარებ წიგნს `“გურჯისტანი“, – წერს ფრიდონ ხალვაში. (ხალვაში, 2000: 168)

სწორედ ამ განწყობის ანარეკლია მეტაფორა, რომელიც კიდევ ერთხელ და კიდევ უფრო მეტი განცდით გამოხატავს ბალადის მთავარ სათქმელს და პოეტის დამოკიდებულებას ამ სათქმელის მიმართ: მუსა ბურსელი დიდი მოღვაწეა, განუზომელია ამ მოღვაწეობის მნიშვნელობა ჩვენებურთათვის:

„ვერ გიპასუხე, მაგრამ სულ თვალწინ
გხედავ, - დადიხარ შუბლნაღვლიანი,
ერთი უბრალო კოჭლი კაცი ხარ,
ბევრს კი ასწავლი მაინც სიარულს“. (ხალვაში, 2000: 168)

ბალადაში გამოკრთება მუჰაჯირთა შთამომავლებთან პირველი შეხვედრების მოტივიც. უფრო ზუსტად, პოეტი იხსენებს მამიდასთან მისვლის ამბავს: „მუსა ბურსელო, გახსოვს უნახავ მამიდაჩემთან როცა მიველით?“ – მიმართავს მეგობარს, უდიდესი სითბოთი ახსენებს მის შვილებს და თურქეთელ ქართველთა თემას კიდევ ერთხელ ეხება ფაქიზად, თუმცა ტკივილით სავსე სტრიქონებით:

„მარცხნიდან მეჯდა შენი ივერი,
მარჯვნიდან მეჯდა შენი თამარი.
შენი შავთვალა მორცხვი ციცაი
მემუდარება თვალეზდამბალი:
- მე „დედაენა“ მინდა, ბიძია,
მე დავისწავლო მინდა ანბანი.
ივერი ახლა თითქოს გემში მყავს,
ფაფახქვეშიდან მიმზერს ორბივით,
შენი ბარათი მე იმად მიყვარს _
ძველი იარა ცრემლით მომზანა“. (ხალვაში, 2000: 169)

ბალადის დასასრულს პოეტი ამ შეუმშრალ ცრემლს და პირმოუკრავ იარას ეხება კიდევ ერთხელ და წერს:

„რასაც თქვენ იქ და ჩვენ აქ ვჩიოდით,
დღეს რატომ უნდა დარჩეს უთქმელი?!
თქვენ საქართველოს მუდამ სჭიროდით
და საქართველოს უმძიმს უთქვენოდ“. (ხალვაში, 2000: 170)

„უფრო გულახდილი ვიყო? - იქ, ბურსაში, იმ ერთი მღელვარე საათის განმავლობაში ახმედ მელაშვილისგან საქართველოს სიყვარული უფრო მეტი ვისწავლე, ვიდრე მანამდე - შინ“, – დაწერს მოგვიანებით ფრიდონ ხალვაში (ხალვაში, 2007, 190)... მთავარი ისაა, რომ მემღელვარე, ანუ სამშობლო ერთი აქვთ იქაურებს თუ აქაურებს და სამშობლოს სიყვარულიც ერთი ტკივილითაა სავსე. ამიტომაც მიმართავს ბალადის ავტორი მუსა ბურსელს:

„მუსა ბურსელი! შორი ოცნებით
შენთან საუბრად როდი დავჯდები,
ვგრძნობ, ერთი ლოცვით ჩვენ ვილოცებით
და ერთი ტანჯვით ჩვენ ვიტანჯებით.
მაგრამ თუ დაფრენს შავი მერცხალი,
მიჰყვება ჭოროხს, მტკვარს და ალაზანს,
არ დაგავიწყდეს, რომ შენიცაა
ეს მემლექეთი და სილამაზე“. (ხალვაში, 2000: 170)

როგორც აღვნიშნე, ახმედ მელაშვილის მხატვრული სახე და, მასთან, მუჰაჯირობა და მუჰაჯირები საზოგადოდ, ფრიდონ ხალვაშის შემოქმედების ერთ-ერთი ძირითადი თემაა, რომელსაც ეძღვნება არაერთი ლექსი, მოთხრობა, რომანი, მოგონება... მუჰაჯირობის თემაზეა მოთხრობები „ბიძაშვილი“, „მამიდა, სიყვარული, წასულა“, მუსა ბურსელია ერთ-ერთი პერსონაჟი რომანისა „შეიძლება თუ არა მუსლიმანი იყოს ქართველი“... „მუსა ბურსელი“ – ახმედ მელაშვილის სადიდებელი, წრფელი ემოციით გამსჭვალული ბალადა – სწორედ ამ თემატური რკალის შთამბეჭდავი ნაწილია.

ლიტერატურა:

- ჩოხარაძე, მ. (2016). ქართული ენის გეოგრაფია თურქეთში“. მონოგრაფია. ბათუმი: გამომცემლობა „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“.
- ხალვაში, ფ. (2000). თხზულებანი სამ ტომად. ტომი I. თბილისი: გამომცემლობა „საქართველო“.
- ხალვაში, ფ. (2007). ომრი. თბილისი: გამომცემლობა „ეროვნული მწერლობა“.

Fridon Khalvashi's ballad about Ahmed Melashvili

Chokharadze Malkhaz
Baladze Malkhaz
Shota Rustaveli State University, Batumi

Abstract

The history of emigration and the life of the descendants of Georgian emigrants is interesting from many points of view. From the end of the 19th century to the present, the above-mentioned topic has been touched on by many journalists or scientists, publicists and writers.

Emigration was widely reflected in Fridon Khalvashi's work. The work analyzes his ballad "Musa Burseli", in which the artistic face of Akhmed Melashvili is drawn with impressive skill. Akhmed Melashvili was a descendant of Klarj Muhajirs, who lived in Bursa, and who made great contributions to the fight for awakening the national self-awareness of Georgians living in Turkey.

Fridon Khalvashi met Ahmed Melashvili in 1968, during the visit of a delegation of Georgian writers to Turkey. Another meeting took place in the 70s when Melashvili was in Georgia. The ballad "Musa Burseli" was written in 1975.

The specificity of the motive of emigration is determined, first of all, by historical reality. Muhajiroba was a generational tragedy. All its stages were full of pain: making a decision, preparing to leave, traveling, settling in a new land, the irreversible process of assimilation, etc.

The ballad is an appeal to Musa Burseli. The poet seems to be talking to a devoted subject and presents his greatest merits accompanied by pure emotion. The author revives the pictures of the life of the descendants of the emigrants and talks about the immeasurable importance of the unity of Georgians.

Keywords: emigration, Georgian emigrants, artistic texts, Fridon Khalvashi, Akhmed Melashvili

გარემოს აღწერა, როგორც ნატურალისტური აღწერის მეთოდი გიორგი წერეთლის „პირველ ნაბიჯში“

დომუაშვილი თინათინ

ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი

DOI: <https://doi.org/10.52340/idw.2023.64>

აბსტრაქტი: გარკვეული ატმოსფეროს, ინტრიგის თუ ტექსტის მეშვეობით კონკრეტული აზრის გადმოსაცემად ავტორები აქტიურად იყენებენ სხვადასხვა ლიტერატურულ მეთოდებს. ერთ-ერთი ასეთი მხატვრული ხერხია გარემოს აღწერა, რომელიც ეხმარება მკითხველს გახედეს ამა თუ იმ მოქმედების თანაზიარი. ასევე, ის ეხმარება ავტორს ტექსტი გაამდიდროს საინტერესო დეტალებით და შექმნას პერსონაჟის მისთვის სასურველი ხასიათი.

აღსანიშნავია, რომ ნატურალიზმის არსებობა ქართულ მწერლობაში აქტიურად არ განიხილება და არც ცალსახად ნატურალისტი ავტორები სახელდება, მაგრამ გიორგი წერეთელი ერთ-ერთია იმ მცირეთაგან, რომელიც გარკვეული კრიტიკოსების მხრიდან ნატურალისტ ავტორად მოიხსენიება. წინამდებარე კვლევაში განხილულია გიორგი წერეთლის „პირველი ნაბიჯი“, როგორც ნატურალისტურ მოტივებზე შექმნილი ერთ-ერთი ქართული ტექსტი და აქ, ავტორის მიერ გამოყენებული ჩვენთვის საინტერესო მეთოდი-გარემოს აღწერა. მცირე კვლევისათვის საინტერესო იყო არა მხოლოდ „პირველი ნაბიჯი“ და მასში გარემოს აღწერის მაგალითები, არამედ ავტორის მსოფლმხედველობა, ორიენტირი თუ სამწერლობო სტილი. ამისათვის, ტექსტში განხილულია სხვადასხვა კრიტიკოსთა მოსაზრებები და შეფასებები გიორგი წერეთლის შემოქმედებაზე. ასევე, მაგალითის სახით მოყვანილია ვრცელი პასაჟები ტექსტიტად, სადაც ავტორი აღწერს კონკრეტულ საცხოვრებელ გარემოს. აღწერა, როგორც გიორგი წერეთლის შემოქმედებაში წარმოჩენილი ერთ-ერთი ნატურალისტური მეთოდი, იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ „ქართული მწერლობა კვალდაკვალ მისდევდა ევროპის ლიტერატურას“.

საკვანძო სიტყვები: გიორგი წერეთელი, „პირველი ნაბიჯი“, გარემოს აღწერა, ნატურალისტური ტენდენციები, ნატურალიზმი.

გარემოს, საცხოვრებლის თუ პერსონაჟების დეტალური აღწერა ხშირად გვხვდება ტექსტებში. ეს ერთგავრი მეთოდია ავტორისთვის სათქმელის უკეთ გადმოსაცემად. პირველ რიგში, ტექსტში მხატვრულ აღწერებს აქვს ესთეტიკური როლი და ზოგჯერ ისინი „ტექსტის ორნამენტებად“ წარმოჩნდებიან ხოლმე. აღწერა ეხმარება მკითხველს გახედეს ამა თუ იმ მოქმედების თანაზიარი და შექმნას რეალობის ალუზია. მათი მეშვეობით სიუჟეტები და გამოგონილი პერსონაჟები ცოცხლდებიან⁴⁶. გარდა ამისა, აღწერა შეიძლება იყოს წარსული ცხოვრების და სურათების სახე, რისთვისაც მას ისეთივე მნიშვნელობა შეიძლება მივანიჭოთ ტექსტში, როგორც დეკორაციას აქვს თეატრისთვის. გარემოს, პერსონაჟების თუ საცხოვრებელი ადგილების აღწერა ქმნის ატმოსფეროს და ინტრიგას, ავსებს და ამდიდრებს მოქმედებას, სძენს მათ გარკვეულ რითმს, ეხმარება ავტორს პერსონაჟების დახასიათებაში. თანამედროვე ტექნოლოგიების სამყაროში მომენტის გაცოცხლება ფოტო თუ ვიდეო კადრების საშუალებით ადვილად მისაღწევია. მაგრამ ძველ დროში, როცა ეს ტექნოლოგიები არ იყო, ამ

⁴⁶ მაგალითად, ზოლას რომანებში ვკითხულობთ მე-19 საუკუნის ბოლოს მაღაროში მომუშავე ადამიანების რთული ყოფა-ცხოვრების შესახებ, გვხვდება იქაური გარემოს აღწერა. ეს საინტერესო დეტალია დღევანდელი მისთვის, რადგანც ტექნოლოგიური პროგრესის მეშვეობით მაღაროში მუშაობის სპეციფიკა შეცვლილია.

ეფექტის მისაღწევად ავტორის დეტალურ აღწერას განსაკუთრებული ნიშვნელობა ენიჭებოდა.

აღწერას შეიძლება დიდი მნიშვნელობა შესძინოს ავტორმა ინტრიგის შემოტანის საკითხში. აღწერის საშუალებით მწერალს შეუძლია შექმნას სიუჟეტის შემდგომი განვითარებისთვის აუცილებელი ატმოსფერო⁴⁷. საცხოვრებელი გარემოს აღწერით ავტორს შეუძლია მკითხველს ადვილად დაანახოს პერსონაჟის მიმდებარე სულიერი თუ ფიზიკური ყოფა, მისი იდენტობა. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა სახლის დეკორაციების თუ საგნების დეტალურ აღწერაში. მაგალითად, ლუარსაბ თათქარიძის საცხოვრებელი გარემოს აღწერა, ქართულ მწერლობაში დახატული ერთ-ერთი ცოცხალი სურათია, როგორც თავადის იდენტობის ნათელი გამოხატულება.

დეტალების აღწერას მეცნიერულ მნიშვნელობას სძენენ ნატურალისტი ავტორები. პერსონაჟების საცხოვრებელი გარემოს აღწერით მწერლები გვეუბნებიან, რომ ეს ადამიანები არ განსხვავდებიან ამ გარემოსგან და შექმნილი ატმოსფეროსგან რომელშიც ცხოვრობენ. აქედან გამომდინარე, სახლების, ტანისამოსის, სოფლების, ქალაქების თუ ცალკეული უბნების დეტალური აღწერით მკითხველი მათი ცხოვრების თანაზიარი ხდება. ზოლას აღწერების საშუალებით, მკითხველისთვის ადვილი წარმოსადგენი ხდება ჟერვეზას გაუსადლისი ცხოვრება, ჭუჭყიანი სარეცხის სუნითა და ქოლერათი გაჟღენთილ გარემოში, მუშათა დასახლებაში.

საცხოვრებელი გარემოს დეტალურ აღწერას გარკვეულ ფუნქციურ თუ ტიპოლოგიურ დატვირთვას ავტორი სძენს საერთო სურათის შექმნისას. გიორგი წერეთელს „პირველ ნაბიჯში“ არაერთი საცხოვრებელი სახლი აქვს აღწერილი და საკმაოდ ვრცელი დახასიათება გვხვდება სოფლის მაცხოვრებლების ყოველდღიური ყოფის.

გიორგი წერეთელი ქართულ ლიტერატურულ კვლევებში მოხსენიებულია ნატურალისტური ტენდენციის მქონე ავტორად, რაც ასე ცალსახად არც ერთი ავტორის მისამართით არ თქმულა. ის მოღვაწეობდა პერიოდში, როცა საქართველოში მიმდინარეობდა მნიშვნელოვანი ეკონომილურ-სოციალური ძვრები, ვითარდებოდა და ყალიბდებოდა ახალი საზოგადოებრივი კლასები და შესაბამისად, ეს პროცესები მის შემოქმედებაშიც აისახა.

გიორგი წერეთლის ლიტერატურული თუ საზოგადოებრივ-პოლიტიკური და პუბლიცისტური მოღვაწეობა მართული იყო ევროპული ორიენტირებით. მისი მიზანი ქართველი ხალხის განვითარება, მათი გამოფხიზლება და საქართველოს განთავისუფლება იყო რუსეთის იმპერიის ბატონობისგან. წერეთლის აზრით, ეს ევროპულად განათლებული ახალგაზრდების გარეშე ვერ მოხდებოდა- „ევროპაში დიდი ხანია დარწმუნდნენ იმ აზრზე, რომ მინამ საზოგადოთ თვითონ ხალხი არ განათლდება, სწავლით, რაც უნდა კარგი გამგეობა და სამართალი მისცე, მაინც არ გამოვა რა“.. (ხუნდაძე, 1931; 26). შესაბამისად, გიორგი წერეთლის აქტიური მთარგმნელობითი საქმიანობა მიმართული იყო ევროპული პროგრესული იდეების მასობრივი გავრცელებისკენ. მისი თქმით, ყველა ქართველის უპირველესი მოვალეობა იყო, არა მარტო ზიარებოდნენ ევროპულ კულტურას, არამედ ევროპისთვისაც გაეცნოთ ქართული ლიტერატურა, კულტურა თუ ისტორია. ამ იდეით დაარსა მან ჟურნალი „დროება“ (1866 წლიდან), რომელიც იმ პერიოდში თავისუფლებისთვის ბრძოლის ტრიბუნას ჰგავდა.

ქართულ სალიტერატურო მასალებში გიორგი წერეთელი „შეუფარავი რეალიზმის“ წარმომადგენლის სახელით არის მოხსენიებული. ზოგიერთი მკვლევარი მის ამ მეთოდს ნატურალიზმთან აიგივებს, ზოგისთვის კიდევ ის შუალედური რგოლია რეალიზმსა და ნატურალიზმს შორის [1]. გიორგი წერეთლის შემოქმედებაში მთავარი თემაა აჩვენოს თუ როგორ მოქმედებს ზოგადად ადამიანზე (პერსონაჟზე), მის ფსიქიკასა და ქცევაზე პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური პრობლემები. მის შემოქმედებაში შეინიშნება მე-19 საუკუნის ბოლოს ქართულ მწერლობაში დაწყებული ძვრები და მხატვრული ასახვის ახლებური მეთოდები, რითაც მან გააფართოვა რეალისტური ასახვის ტენდენციები და ეპოქას დაუახლოვა (ბარდაველიძე, 1967; 187). გიორგი წერეთელმა „შეუფარავი რეალიზმით“

⁴⁷ კამიუს «უცხოში» ავტორი აღწერს გარემოს, სადაც გაუსადლისი სიცხე და მზის აუტანელი მცხუნვარება „უბიძგებს“ მერსოს დანაშაულის ჩადენისკენ.

შეულამაზებელად ასახა რეალობა, რომელიც გადაპრანჭულ და სიტყვაკაზმულ მწერლობას დაუპირისპირა; პოლიტიკურ წყობილებაში ის მუშათა კლასის პრივილეგიას ემხრობოდა ბურჟუაზიის სანაცვლოდ, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ წყობილებაში კი დემოკრატიის მომხრე იყო. ესთეტიკური შეხედულებებით ეპოქის ინტერესების გამტარებელი მწერალი მიიჩნევა, რომ ხელოვანის მთავარი დანიშნულება უნდა ყოფილიყო ხალხში ახალი იდეების და აზრების შემოტანა, რომელიც ადამიანებს ცხოვრების გაუმჯობესებაში დაეხმარებოდა.

ნატურალიზმი იყო წმინდად ევროპული მიდინარეობა, რომელსაც, ზოლას თქმით, შეეძლო მე-19 საუკუნის 60-70-იანი წლების მოვლენების ზუსტი აღწერა გადმოეცა. როგორც ცნობილია, ზოლას ნატურალისტური თეორია ეყრდნობა ოგუსტ კონტის „პოზიტიური ფილოსოფიის კურსს“, იპოლიტ ტენის „ხელოვნების ფილოსოფია“-ს და კლოდ ბერნარის „ექსპერიმენტალური მედიცინის შესავალს“. ამ თეორიების გათვალისწინებით, ზოლა მიიჩნევა, რომ მწერალმა სიმართლე უნდა გადმოსცეს ისე, როგორც არის და მას არავითარი შელამაზება არ სჭირდება. აღნიშნულ პროცესში კი მწერლის როლი დოკუმენტალისტისას უტოლდება, როცა ის არ ერევა მოვლენათა განვითარებაში და უბრალოდ, მეცნიერული სიზუსტით გადმოსცემს მას.

გიორგი წერეთლი იზიარებს ზოლას იდეებს, როცა საქმე ლიტერატურის არსს და დანიშნულებას ეხება. მისი თქმით, ხელოვანმა უნდა ასახოს ბუნება ისეთი, როგორც არის და „ცხოვრების სურათი“ სიტყვით გამოაცოცხლოს. მისთვის ლიტერატურას უპირობო და შეუცვლელი მნიშვნელობა ჰქონდა დემოკრატიისა და თავისუფლებისთვის ბრძოლაში, ჩაგვრისა და ცარიზმის წინააღმდეგ (წერეთელი, 1931;14). ლიტერატურის არსიც და მთავრი ფუქციაც ხომ ყველა დროსა და ეპოქაში სინამდვილის მხატვრულ ასახვაში მდგომარეობს. ამიტომ ფიქრობდა, რომ ნაწარმოებებში მწერალმა უნდა ასახოს სინამდვილე ისე, როგორც არის და არა ისე, როგორც სურს რომ იყოს.

„მხატვრული ლიტერატურაც ისეთივე მიზნებით უნდა ხელმძღვანელობდეს ცხოვრებაში, როგორც ყოველი ზუსტი მეცნიერება: ცხოვრებაზე უშუალო დაკვირვების გზით, მან უნდა მოძებნოს ჭეშმარიტება“ (რადიანი, 1970; 255).

გიორგი წერეთლის ნატურალისტ ავტორად განხილვისას დიდი მნიშვნელობა აქვს მის მატერიალისტურ იდეებს, რომელთა ჩამოყალიბებაზეც დიდი გავლენა იქონიეს რუსი მატერიალისტების იდეებმა და ევროპაში ყოფნის პერიოდში დაუფლებულმა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებმა, ისტორიამ და ფილოსოფიამ. გიორგი წერეთელი ფიქრობს, რომ ადამიანის ფსიქიკასა და სხეულს შორის იმდენად მჭირდო კავშირია, რომ ფსიქიკა გარკვეულ ზემოქმედებას ახდენს ადამიანზე, მის ქმედებებზე და პირიქით. ხოლო დარვინის თეორია - „ბრძოლა გადარჩენისთვის“ მან გადატანა სოციოლოგიაში იდეით, რომ *„ჩვენი ცხოვრება დაუწყნარებელი ბრძოლაა ლუკმა-პურისთვის და გამარჯვებული ყოველთვის ისაა, ვინც უფრო მოხერხებულია“* (ავალიანი, 1954; 94).

გიორგი წერეთლის აზრით, ხელოვნება უნდა ემსახურებოდეს გარკვეულ იდეას და ის არ უნდა იყოს ტენდენციური. მწერალს კიდევ სჭირდებოდა მეცნიერული თეორიების ცოდნა, რათა ლიტერატურატურულ ნაწარმოებებში მეცნიერული სიზუსტით აესახა ბუნება და საზოგადოება. მისი თქმით, ლიტერატურის მიზანია აჩვენოს „ნამდვილი კაცი“, რომლის დაცემაც და აღზევებაც გარკვეულ კანონზომიერებებზე და გარემოზეა დამოკიდებული (რადიანი, 1970; 258). აქედან გამომდინარე, გიორგი წერეთელი ხელოვნების და ლიტერატურის მთავარ დანიშნულებად თვლიდა არატენდენციურობას, ცხოვრების შეუფერავ ასახვას და ამავდროულად, მის გარდაქმნას- *„ისინი თავისი მაღალი ხელოვნებით, როგორც სარკეში, ჩაგახედებენ ხოლმე ბუნებაში და ეს თქვენი საქმეა, როგორც გეამებათ და მოგწონთ, ისეთი აზრი იპოვეთ შიგ“* (წერეთელი, კვალი, #5, 1899) აქედან გამომდინარე, ცხადია რატომ უწოდებდა გიორგი წერეთელი თავს „შეუფარავი რეალიზმის“ მიმდევარს. ის გარკვეულწილად შეიძლება მოვიხაროთ როგორც კრიტიკული რეალიზმის გაგრძელება და განვითარება, მაგრამ ასრებითად განსხვავდება მისგან.

ქართულ მწერლობაში ნატურალისტური ტენდენციების მქონე მწერალთა შემოქმედებასა და ევროპელ ნატურალისტ ავტორთა ნაშრომებს შორის სრული თანხვედრა არ

გვხვდება და ეს ბუნებრივიცაა ეპოქალური და სოციალური პრობლემებიდან, განსხვავებული კულტურისა და ცხოვრების წესიდან გამომდინარე. თუმცა, ზოლას „ექსპერიმენტალურ რომანში“ ასახული მრავალი მნიშვნელოვანი თემა საინტერესო აღმოჩნდა სხვადასხვა ქვეყნის მწერლებისთვის და თითოეულთან განსხვავებული ინერპრეტაციებით ჰპოვეს ასახვა. „ექსპერიმენტალურ რომანში“ განხილული თემა „ფულის როლი ლიტარტურაში“, გიორგი წერეთლის „პირველ ნაბიჯში“ წარმოჩინდა საქართველოში კაპიტალიზმის განვითარების პროცესის აღწერაში. ავტორი მოგვითხრობს, თუ რა ცვლილებები გამოწვია ამ ყველაფერმა პროცესებში ჩართულ ადამიანთა ხასიათსა და ცხოვრების წესზე. მწერალი აღწერს როგორც თავადებს, ისე დროების „ახალ ადამიანებს“, მათ შინაგან ბრძოლებს, სულიერ დეკადანსს თუ შინაგან შიშებს და ბრძოლებს ახალ ცხოვრებასთან ჭიდილში. სწორედ ასეთი დეტალებისა და ნიუანსების ასახვით ადარებენ გიორგი წერეთლის პერიოდის კრიტიკოსები მის შემოქმედებას ზოლას ნაშრომებს (გაფრინდაშვილი, 1955; 8) [2].

ნაშრომებში ცხოვრების საფუძვლიანი დაკვირვებითა და შესწავლით მას „ქართველ ემილ ზოლადაც“ მიხსენიებენ (გამეზარდაშვილი, 1957; 56). ეს კავშირი მხოლოდ ბურჟუაზიული ურთიერთობების ამსახველი დეტალების აღწერაში არ გამოიხატება, რადგანაც სხვა ქართველ მწერლებთანაც შეიმჩნეოდა მსგავსი ტენდენცია. წერეთლის გასხვავებულობა და მის შემოქმედებაში ევროპული ლიტარტურული ტენდენციების ასახვა ქვეყანაში 80-90 წლებში მიმდინარე ცვლილებების და ახლადდაწყებული ძვრების ზუსტი შემჩნევით და ცოცხლად წარმოჩენით გამოიხატა. მკვლევარები რომლებიც იზიარებენ აზრს, რომ გიორგი წერეთელი განიცდიდა ევროპული ლიტერატურული მიმდინარეობების გავლენას და მის მწერლობაში ნატურალისტური ასახვის ტენდენციები შეინიშნებოდა [3], ძირითადად ეყრდნობოდნენ მის პუბლიცისტურ საქმიანობას, მის მიერ თარგმნილ წერილებს და იდეებს, რომელსაც ევროპელი შემოქმედებისგან იზიარებდა. სხვადასხვა ევროპული ლიტერატურული ტენდენციების შემოტანამ და გაზიარებამ ქართული მწერლობა ნელ-ნელა ჩამოაშორა აღმოსავლურ გავლენებს და უფრო დახვეწილი გახადა (ბუაჩიძე, «მოლიერის ქართული სიცილი», *ევროპა*, პარიზი, 1972).

გ. წერეთლის შემოქმედება ნამდვილად გამოირჩევა მისი ინდივიდუალური ხაზით, რომელზეც ვერ ვიტყვით რომ აუცილებლად ქართველ სამოციანელთა რეალიზმის ჭრილში თუ ზოლას ნატურალიზმის გავლენითაა შექმნილი. მან შემოიტანა იმ დროის მწერლობაში ახალი თემები და მოვლენათა განსხვავებული აღწერა. „პირველი ნაბიჯის“ დასაწყისის აღწერა, რომელიც ნამდვილად განსხვავებულია, დასამახსოვრებელია, ქმნის განწყობას და როგორც ზოლას რომანისთვისაა დამახასიათებელი, გარკვეულ მოლოდინებსაც უქმნის მკითხველს.

რომანი «პირველი ნაბიჯი» 1890-91 წლებში დაიწერა, ზოლას «ექსპერიმენტალური რომანის» გამოქვეყნების შემდეგ. რომანი ასახავს კაპიტალიზმის განვითარებას არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელს ამიერკავკასიის რეგიონში და აღწერილია საქართველოს სავაჭრო ურთიერთობა როგორც ევროპის, ისე აზიის მიმართულებით. მასში მთავარ მოქმედ გმირებს წარმოადგენენ თავადაზნაურები და გლეხები და სხვადასხვა სოციალური წრის წარმომადგენლები- ვაჭრები, ჟურნალისტები, ადვოკატები, მუშები, გლეხები და სხვ. ცოცხალი პერსონაჟებითა და მოვლენების აღწერით მან ასევე, მნიშვნელოვანი ინფორმაცია მოგვანაწოდა ქვეყნის და საზოგადოების იმ დროინდელი განვითარების შესახებ (შენგელაია, 1950; 109). მის ნაწარმოებში ნათლადაა გატარებული აზრი ბატონ-ყმური წყობილების რღვევის აუცილებლობის, ვაჭრობისა და მრეწველობის სწრაფად განვითარების შესახებ. მისი აზრით, ქართველ თავადაზნაურებს არ შეეძლოთ ფეხი აეწყოთ ახალი დროებისთვის და სრულიად უსუსურ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ- „*შრომა იმას არ შეუძლია, სწავლა და მოხერხება არა აქვს. ამის გამო ის თანდათან ღარიბდება, საშუალება ხელიდან ეცლება და თანდათან ჰქრება მისი სახელწოდებაც*“ (ხუნდაძე, 1931; 39). ეს მოსაზრება კარგად გამოჩნდა თავად თავქვილამის ოჯახური მდგომარეობის აღწერით, როცა მათმა შვილებმა ვერ აუწყვეს ფეხი ახალ დროებას და მხოლოდ ფულის ფლანგვით და სხვათა მიმბამძველობით გაანიავეს ოჯახის ქონება.

„პირველ ნაბიჯში“ წარმოჩენილი პრობლემებით, მკითხველისთვის ადვილია მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ცხოვრების სტილისა და წესის გაცნობა. ხშირად

გვხვდება პერსონაჟების გარეგნობის, ჩაცმულობის, შინაგანი განცდების, ემოციების თუ ფიქრების აღწერა, რომელიც გარკვეულ ეპიზოდებში ბუნების სურათების აღწერის თანაზიარია. „პირველ ნაბიჯში“ დიდ ადგილს იკავებს საცხოვრებელი გარემოს აღწერა. ეს მეთოდი უცხო არ არის ქართული მწერლობისთვის და გარკვეული პასაჟები შეიძლება მოვიძიოთ სხვადასხვა ნაწარმოებებში, რაც იმას ნიშნავს, რომ მე-19 საუკუნის ავტორები ამ მხატვრულ ხერხს აქტიურად მიმართავდნენ პერსონაჟთა ხასიათის, ცხოვრების წესის, ინტერესების თუ მსოფლმხედველობის გადმოსაცემად კი. „პირველ ნაბიჯში“ დეტალურადაა აღწერილი ბახვას მამის საცხოვრებელი გარემო, შემდეგ ადგილი სადაც ბახვა იზრდებოდა და მისი ახლადშემქმნილი, თავადის სახლი, რომელიც სათავისოდ გადააკეთა. ამ გარდასახვაში კარგად სჩანს ბახვას გაზრდილი ამბიციები, შეცვლილ საცხოვრებელ გარემოსთან ერთად.

გიორგი წერეთლის მიერ ნაწარმოებში აღწერილი საცხოვრებელი სახლები და საყოფაცხოვრებო დეტალები დაზუსტებით არის აღწერილი, რაც ნატურალისტური მიმდინარეობისთვის ერთ-ერთი დამახასიათებელი ტენდენციაა. ავტორი სკულპტურულად აღწერს არა მარტო ადამიანების საცხოვრებელ გარემოს, არამედ მათი შინაური ცხოველების და ფრინველების სადგომსაც; დეტალურადაა არწერილი თხების ეზოში გამოსვლა, ქათმების და ფრინველების დილის ურთიერთობა, რითაც პერსონაჟების ყოველდღიურ ყოფაში გვამოგზაურებს- „წული სათხებო ოთხ მაღალ ბოდზე სახლს უკან იყო მიდგმული, სათხებოს ერთი დაჭდობილი ძელი კიბეთ ჰქონდა მიკეთებული“ (წერეთელი, 1980; 457)....

ბახვას საცხოვრებელი გარემოს აღწერით, წერეთელი გვეუბნება რომ მას ერთი ჩვეულებრივი გლეხის ბიჭის ყოფა ჰქონდა, მაგრამ როგორც კი საშუალება მიეცა ცხოვრების პირობების გაუმჯობესების, მას ბევრი არც უფიქრია. მისი ღარიბული ყოფისა და ინჟინრის კარზე მოჯამაგირედ დამდგარი ბიძაშვილის გაუმჯობესებული ცხოვრების შედარებისას, მიხვდა რომ პირველივე შესაძლებლობისთანავე დათმობდა ძველ ცხოვრებას. *«დღე და ღამის გაყრისას დედა დააგებდა ლოგინზე მის სიგრძე ნაბდის ქეჩას, ხის სასთუმალზე დაწვირიანებულს სილის ყულბალიშს მიუგდებდა, მერე ეტყოდა ბახვას, დაწეო და ზედ დაფარატიანებულს შილის საბანს წააფარებდა»* (წერეთელი, 1980; 456).

ბახვას მამა (ბახულია) ერთი ჩვეულებრივი გლეხი იყო, რომელიც რამდენიმე ძმასთან და მათ ოჯახთან ერთად ცხოვრობდა. ქონების განაწილებისას

„ბახვას მამას ერგო ხუთი ქცევა სახნავი მიწა, შვიდი ქცევა ქოჩორა ტყე და ქცევა ნახევარი დობილო (მაღალი ვენახი), სახლებს შორის ბოსელზე მიდგმული ერთი ფიცრული ოთახი, რომელსაც ორი საყენი სიგრძე ჰქონდა და საყენ- ნახევარი განი, ერთი ხულა (პაწია ბელელი), ერთი პატარა საღორე, ერთი ხბოიანი ძროხა, ცალი ხარი.....» [.....] «მის სახლ-კარს ცალი მხარით უფარებდა ქოჩორა ტყე და მეორე მხარით დობილო(მაღლარი). შორიდან ხორც-შესხმულ კაცს არ შეეძლო მისი სახლს-კარის დანახვა, რადგან შუაგულ ტყეში იყო ჩადგმული“ (წერეთელი, 1980; 464).

ის მშრომელი, დაუზარელი გლეხი იყო, რომელსაც ასეთივე გამრჯე გლეხის ქალი შეხვდა და მალე ახალი სახლიც ააგეს და წლიდან წლამდე ნორმალური ცხოვრებისთვის აუცილებელი ცხოველ-ფრინველიც მოიშენეს- *„როცა ბახვა ათი წლის შეიქნა, მის ოჯახს ყავდა თიკნიანათ ოცი სული თხა, ერთი უღელი ხარი, ერთი კვიციანი ჭაკი ცხენი, ერთი მეწველი ძროხა, სამი უშობელი, წლის მოზვერი, ოთხი დედა ღორი და ექვსი გოჭი. წვრილ-ფეხეულობა: ქათამი, იხვი და ბატი-ბლომათ“* (წერეთელი, 1980; 465) .

გაუმჯობესდა ფულავების საცხოვრებელი გარემო:

„ძმობაში ნაგები სახლი ბოსლათ გადაეკეთებინა; სადგომად კი ახალი ძელური წამოეჭიმა თავისი საკუჭნაოთი, სავა მის ცოლს ქვემაგები ჰქონდა შენახული. სახლს ხულა (ბელელი) ჰქონდა მიდგმული, რომლის ზესხვენზე (ჭერზე) გაუცეხველი ღომი ეყარა. თვითონ ხულაში ხელით სატრიალებელი წისქვილი ჰქონდა მოწყობილი. ამ პაწია წისქვილს ბახვას დედა კვირაში ორ დღეს ააგრილებდა და საღომე სიმინდს ღერღავდა. იქვე ახლოს ოთხ ბოდზე წული სასიმინდე იყო შემოსკუპებული; ზოგი ამათგანი ჩამოკიდებული იყო გარეთა კედელზე, ზოგი სამკაპალა ბოდებზე იყო დაწული. ზევით ძელური ისლით იყო გადახურული; ძელურის შუაგულს კერა იყო გაჩაღებული და რომ ისლს კერადან ცეცხლი არ გასჩენოდა, სახურავიდან

დედ კერაზე იყო ჩამოკიდებული ოთხ ჭიგოზე ზესხვენი (ჭერი) ფიცრებგალაგებული. ისინი ჭვარტლისგან გაშავებული იყვნენ და ჭვარტლიც ზედ ფარატინებად ეკიდა. შუაგულ ზესხვენიდან კერაზე დასწვრივ ორი ხის კაკვი იყო ჩამოშვებული და ერთმანეთზე რიკებით დამაგრებული. ამას ეძახდნენ საქვაბეს, მისთვის რომ ზედ სპილენძის კარდალი ეკიდა და შიგომუდამ წყალი თბებოდა. თვითონ ზესხვენიზე ბევრი რამ ეკიდა საქვაბეს გარდა: მაჭიკი, საკიდელი(რძის დასაკვეთია), თხის ძვლები, თუთუნის ფოთლები, სხვადასხვა ბალახეულობა ძაფზე აკინძული, რომლისაგანაც ბახვას დედა ზამთრობით მხლის საჭამადს აკეთებდა; ეკიდა აგრეთვე სხვადასხვა სოკოები, განსაკუთრებით მრავალი იყო მანჭკვარა. ზესხვენს ზემოთ კი მრავალი ხურმა იყო გასახმობათ დაყრილი თავის ტოტებიანათ“ (გვ. 465)..... „ბახვას მამას ჰქონდა ორი მამაპაპისეული ქვევრი, კაკლის ქვეშ ჩაფლული, ბადიმით დახურული და ტიხის მიწით თავწაგლესილი. ამ ათ-ჩაფიანს წელიწადში ორჯერ გადაიღებდა. პაწია ღვინის ამოსაღებიორშიმო, რომელსაც ბახვას მამა «ხრიკას» ეძახდა, იქვე კაკალზე იყო ჩამოკიდებული“ (წერეთელი, 1980; 466).

ამ აღწერით ფაქტია, რომ ბახვას ოჯახი არ იყო მდიდარი, თუმცა არც თავის გატანა არ უჭირდათ. იყვნენ ბედნიერები და კმაყოფილები იმით, რაც გააჩნდათ. თუმცა, როგორც არმოჩნდა, ეს ყველაფერი არ იყო საკმარისი ბახვასთვის და მან, ათი წლის ასაკში, დამოუკიდებლად მიიღო მისი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება- გაცლოდა მშობლიურ გარემოს, დედის თბილ და მზრუნველ კერას და ინჟინრის ოჯახში დამხმარე ბიჭად წასულიყო. იგივე გზა გაიარა მისმა ბიძაშვილამაც და მისი ჩაცმულობა, საცხოვრებელი გარემო, განსხვავებული სანაცნობო წრე და შეცვლილი ცხოვრების სპერსპექტივა ბახვასთვის ბიძგი არმოჩნდა აღნიშნული გადაწყვეტილების მარტივად მისაღებად.

ბახვა ფულავა ახალი დროის ადამიანი, მოხერხებული „ჩარჩი“ ვაჭარი იყო, რომელსაც გემოვნებაც და სურვილებიც ფულის მოხვეჭასთან ერთად გაეზარდა. მან იცოდა რა სურდა და იცოდა, ცხოვრების ხარისხის გასაუმჯობესებლად რა უნდა გაეკეთებინა. ახალი დროების მოხერხებული ადამიანის პარალელურად, ნაწარმოებში აღწერილია თავადების ცხოვრება, რომლებიც შეცვლილ დროებას ფეხს ვეღარ უწყობენ, კარგავენ პრივილეგიებს, ქონებას და ისე ღატაკტებიან, რომ მათი ძველი „დიდებისგან“ მხოლოდ წოდება რჩება. ამ ყოფა-ცხოვრებითი ორომტრიალის დეტალური აღწერით, ავტორი აჩვენებს მათ უსუსურობას და მოუმზადებლობას. მათ არ აქვთ ცხოვრებისეული გამოცდილება და არც გონებრივი მოხერხებულობა შეეწინააღმდეგონ ახალ სირთულეებს, იპოვნონ პრობლემების გადაჭრის გზები და შეინარჩუნონ საუკუნეების განავლობაში უზრუნველად მიღებული პრივილეგიები. მათი უსუსურობით კი ხელს ითბობენ ახლადგამდიდრებული, ახალი დროის ადამიანები და ეპატრონებიან თავადების საცხოვრებელ სახლებს.

ცხოვრების კაპიტალისტურ რელსებზე გადასვლამ ახალი ინსტიტუციები წარმოქნა. ბანკებისა და ე.წ საკრედიტო სისტემების მანკიერი საქმიანობები ახალი დროების ადამიანებს ხელისშემწყობებად მოევიდნა. „ჩარჩ ვაჭარს“ გემოვნება გაეზარდა და გადაწყვიტა მისი ახლებური ცხოვრების შესაფერისი სახლი ეპოვნა. ბედად, გაზეთში გადააწყდა თავად თავფეხილადის მამულის გაყიდვის თაობაზე გამოქვეყნებულ განცხადებას. ავტორი სევდისმომგვრელად აღწერს ერთ დროს მდიდარი მემეულების, ახლა გაღატაკებულ, გროშებად განიავებულ გარემოს-

„ვინ იცის, რამდენი დიდებული დრო ახსოვდა ამ მამულის გარემოს, განიერ ეზოს, მის ოდესმე დიდებულს ქვითკირის შენობას, რომელსაც ახლა კედლები ჩამონგრეოდა და ორი გატიტვლებული, ძეგლათ აყუდებული, თავგადანგრეული ბუხარი მწუხარებით დღე და ღამ თავს დატიროდა დიდებულო ოჯახის დამხობას. აბა, ვინ მოშტვლის, რამდენი წარჩინებული ლხინი გადახდილა ამ განიერ ეზოში!“ (წერეთელი, 1980; 493).

თავად თავფეხილადის წლიდან-წლამდე რომ თავი გაეტანა მამული დააგირავა. თუმცა აღებული თანხა შვილებმა გაუფანტეს ახალი მოდის, ევროპული ყაიდის ტანსაცმელების შეძენით თუ იქაური სახეიმო ცხოვრების წესების მიბაძვით. ამ შანსით ისარგებლა ბახვამ და შეიძინა მამული, რომელიც გადააკეთა და ადრინდელზე ბევრად უფრო ლაზათიანად მოაწყო და გამოიყენა.

„ბახვამ თავის ახალ შეძენილ მამულს თვალი გადაავლო და იამა. მუშებს ბევრი რამ გაეკეთებინათ. ძველი, დანგრეული სახლ-კარი განახლებული გამოიციქირებოდა. აღარც ჩამონგრეული სახლის კედლები იხედებოდა, აღარც გატიტვლებული ბუხრები, აღარც გაფოლორცებული გარემო. პირველ ნახვაზე ამ მამულში სოფლის ნახირი ჭიანჭველასავით ირეოდა. მას გადაეტკვირა ყველაფერი. ღორებს ეზო სულ გადაეჩიჩქნათ და გაეთხარათ. ჯერ ექვს თვესაც არ გაევიდა მას აქეთ, რაც ბახვა ფულავა დაეპატრონა ამ თავეფილაძისეულ ადგილ-მამულს და სახლ-კარს; მაგრამ ყველაფერს უკვე ეტყობოდა მზრუნველი მეპატრონის ხელი. ეს გაფოლორცებული არე-მარე ახლად გასენებული დაუხვდა. მთელი ეზოსთვის შემოევლოთ ღრმა თხრილი, ზედ მაღალი სარის ღობე მოეყოლებინათ. ღობის შიგნით იხედებოდა გახარებული ტირიფისა და აკაციის ხის რიგები, ახლად შეფოთილი და შემწვანებული. ეზოში იდგა გასაბათ დამზადებული ბალახი, რომელიც მინდვრის ყვავილებით წითელ-ყვითლად შეჭრელებულიყო და მხიარულად ბიბინებდა ყოველ ნიავის შემოქროლაზე. მრავალ-ფეროვანი ყვავილებისგან და ახლად გახარებული თვის ვარდებისგან ისეთი მშვენიერი სურნელება იდგა, სამოთხის არეს მოგაგონებდა. ერთგან ჭიშკარი, ურთხვლის ხის ანაგები, სისხლის ფრად ლაპლაპებდა. ხუთი თვალი ოდა შუა ეზოში ამართული, ახლადგადაჭედილი და წითლად შეღებილი უზრმაზარ სოკოწითელს მოგაგონებდა კაცსა. ოდის მახლობლათ დაედგათ საჯალაბო სახლი, ბოსელი და ორი სასიმინდე. იქვე ძველი ჭა ამოეწმინდათ და თავზე თლილის ქვის გვირგვინი მოედგათ. პირველ ორ დღეს ბახვა დილიდან საღამომდის ადგა თავზე მუშებს და დიდ სიამოვნებას სცდიდა.....თავის ყმაწვილობაში ბევრგან ყოფილა: დადიანების, მხეიძეების, წულუკიძეების ოჯახებში. მაგრამ არც ერთს იმათგანს არ ჩამოუვარდებოდა მოწყობილობით მისი ახლადშეძენილი სახლ-კარი და მიწა-წყალი“... (გვ. 524).

აღწერა, როგორც მხატვრული მეთოდი საინტერესოდ აქვს გამოყენებული გიორგი წერეთელს. ნაწარმოებში დეტალურად გადმოცემული საცხოვრებელი გარემო, პერსონაჟების გარეგნობა, ჩაცმულობა, ფიქრები-მეტყველ ემოციებად გამოხატული, ბუნების სურათების და პერსონაჟების შინაგანი განცდების თანხვედრა, თანაზიარს გვხვდის მათი ცხოვრების. ბახვას ერთი შეხედვით უზრუნველი ცხოვრება იცვლება საზარელი შემთხვევის შემდეგ. ავტორმა შემოიტანა ინტრიგა- მოხდა მკვლელობა ქალის, სიყვარულის გამო. ბახვამ დაკარგა საყვარელი ცოლი და ამით შეიცვალა მისი ცხოვრებაც. მდიდარმა მამულმაც, ვაჭრობამაც და ზოგადად სიცოცხლემაც აზრი დაკარგა მისთვის.

პერსონაჟების ცხოვრების ცვლილების პარალელურად, ავტორი ცვლის მათი გარეგნობის და ყოფა-ცხოვრების აღწერასაც. ერთ დროს სიყვარულით გამთბარი ბახვას სახლი დაცარიელდა, აღარაა ისეთი ლამაზი და ხალისიანი და მეპატრონესაც აღარ მიუწევს გული შინ დარჩენისკენ.

ნაწარმოების მეორე ნაწილში ავტორს შემოჰყავს ახალი წოდების ადამიანები და სიტუაციურად გვაცნობს მათი ცხოვრების წესს, საცხოვრებელ გარემოს და მათსანავე ქმედებებში და აზრებში აღწერს ახალი დროის მსოფლმხედველობასაც. ჩვენთვის საინტერესოა გარემოს აღწერა-ამიტომ დეტალურად ვაზიარებთ სასახლის პასაჟებს. საინტერესო კონტრასტია ნაწარმოების პირველი და მეორე თავი. ორივეგან გვხვდება პერსონაჟების გარეგნობის, ჩაცმულობის, ფსიქოლოგიური მდგომარეობის თუ ქმედებების დეტალურ აღწერა, რაც იმ პერიოდის საზოგადოების გაცნობის საშუალებას გვაძლევს. ნაწარმოების პირველ ნაწილში საუბარია გლეხებზე, მათ საცხოვრებელ გარემოზე, ვაჭრებზე და ახალი დროის ადამიანების მოხერხებულ ყოფაზე, რომელიც ახალი ცხოვრების ფეხის აწყობაში გამოიხატა. მეორე ნაწილში უშუალოდ მოცემული ცვლილებები დაგვიდგა თვალწინ. აქ უკვე საუბარი არაა გლეხებზე, აქ ავტორი აღწერს არამედ იმ მაღალი ფენის ადამიანების ყოფა-ცხოვრებას, რომელებიც იმ პერიოდის „საზოგადოებას“, პატივსაცემ ადამიანებს წარმოადგენდნენ. მათი ჩუმ-ჩუმად, ზოგჯერ გარყვნილი და მეშხანური ქმედებებიც დროის გამოძახილი იყო. ეს ყველაფერი მათ სჭირდებოდათ მიზნების მისაღწევად, რაც ზოგისთვის სარფიანად, მაღალი წოდების ადამიანზე გათხოვება, ზოგისთვის თანამდებობის მიღება და ზოგისთვის სულაც დაუმსახურებელი თავისუფლების მოპოვება და შენარჩუნება იყო. ამიტომ ადარებენ გიორგი წერეთლის

შემოქმედებას ზოლას შემოქმედებას. ორივე ავტორთან ახალი დროის ცხოვრება და ახალი ადამიანები საინტერესოდაა აღწერილი. წერის სტილში და მეთოდებშიც გვხვდება გარკვეული თანხვედრა.

ერთ-ერთი საინტერესო დეტალი რომელიც ნაწარმოების კითხვისას თვალში გვხვდება ბუნების სურათის აღწერაა, რომელიც სიტუაციას და მოქმედი გმირის ფიქრებს საოცრად ერწყმის. ამასთანავე, შესაძლებელია ახსნას მოქმედება ან მიგვანიშნოს პერსონაჟის გარკვეულ ქმედებაზე, განწყობაზე თუ სამოქმედო გეგმაზე. მაგალითად, ერთ-ერთი თავი იწყება იმ გარემოს აღწერით, სადაც ვალიდას და პოლკოვნიკ ლეზოვს უნდა გაესეირნათ. ამით ავტორმა გარკვეული განწყობა შექმნა და მოამზადა მკითხველი მომდევნო მოქმედების განვითარებისთვის.

„შემოდგომის ტკბილი დღე იყო. თბილისის არეს მზე აღარ სწვავდა, როგორც ზაფხულს სჩვევია, მაგრამ მისი შუქი გამაცხოველებლს სასიამოვნო სითბოს და ნათელს ჰვენდა გარუჯულს ქალაქის გარემოს. ახლად დაგვილი გალავნის პროსპექტი ყვავილების მდელის მოგაგონებდათ. შემოდგომის ფერ ტანსაცმელში გამოკანკლული ქალები მიდი-მოდიოდნენ ქვაფენილზე, სხვადასხვა ფერად აპრიალეზულნი, იმათს ხალისს ტანცმულობას მშვენივრად ეხამებოდნენ შავს და ქუფრს პალტოებში მოწყობილი ვაჟები. ფუტკრის დასი რომ ყვავილებს შემოსევია და თავს დაბზუის, თბილისის კოხტა ვაჟებიც ასე უტრიალებდნენ ლამაზ მანდილოსნებს ფეხაკრეფით სეირნობაში. ეტლებს და კალიასკებს გაჰქონდათ ქუჩაზე გრიალი. ზოგი შიგ მსხდომი საქმისთვის მიეშურებოდნენ, ზოგი მხოლოდ სასეირნოდ გამოსულიყო. მდიდარი კაცები ინგლისსა და არაბის მოდგმის ცხენებით გაბმულს კაბრიოლეტებს მიაჰქენებდნენ სხვადასხვა მხრისაკენ, რომ მოსეირნეთ დასისთვის თავი მოეწონებინათ, ბევრის ლამაზის მანდილოსნისათვის გული აეძგერებინათ. თითქოს ყველანი ეშურებოდნენ ამ საუცხოვო ამინდით და წმინდა გრილი ჰაერით დამტკბარიყვნენ, რადგან სუსხი ზამთარი კარზე მომდგარიყო“ ((ერეთელი, 1980; 606).

ნაწარმოების მეორე თავში აღწერილია ეპოქის მდიდარი ადამიანების, თანამდებობის პირების მდიდრული, ევროპული ყაიდის ცხოვრება. ამის დასტურია გენერლის სახლის მორთულობის აღწერა, დიდგვაროვანი ქალების ჩაცმულობა-მოკაზმულობის დეტალური გადმოცემა თუ ბალ-კარნავალების მიმდინარეობის აღწერა ისე, თითქოს მკითხველი ამ ყველაფრის თანამონაწილე იყოს. გენერლის სახლის და მორთულობის აღწერა სხვა სამყაროში გვამოგზაურებს, რაც პირველ თავში არ შეგვხვედრია.

„ცოტახანს შემდეგ იერემია ადიოდა დაფიქრებული მარმარილოს კიბეზე, რომელზედაც მაუდის საფენი იყო ჩამოგებული, ბრინჯაოს ჯოხებით გამაგრებული...[...]“ (გვ. 601). *იერემია დარჩა მარტო. ის ათვალთვლებდა ზალის მორთულობას, რომელიც სულ ძვირფასი ხალებით იყო მორთული. მაგიდაზე ათასნაირი მოოქროული და მოვერცხლული წვრილმანი ნივთები ელაგა. ერთ მხარეზე აღმოსავლეთის გემოვნებაზე განიერი ტახტი იყო წმინდა თეფის ხალებით გაწყობილი, ზედ შინდის ფერი ყულბალიშები, რომელზედაც სახლის პატრონის სახელი და გავრი ეწერა, ხავერდის მუთაქები ელაგა. შუაში ძვირფასი ფერადებით ნაკერი ოქრო-ქსოვილით გამოქათათობდა. ერთ კუთხეში დიდი მრგვალი მაგიდა იდგა, ფარჩა აბრეშუმ-ნარევი, სახეებიანი მატერიით გადაფარებული, ზედ ჩინეთის ფარფორის საფერფლე და სიგარის ჩასაწყობი კოთხეები იდგა. ამ მაგიდის გარშემო უდგა ჩაქსოვილი აბრეშუმ-ნარევი ხალებით გადაკრული სელები. დიდრონ ფანჯრებზე და კარებზე ჩამოშვებული ფერადის ატლასის ფარდები ოქრო-მკერდის ფოჩვებით ცისარტყელასავით ლაპლაპობდა, როცა მათ მზე მიადგებოდა“* (გვ.601).

ამ სიმდიდრის და ბრწყინვალეების წარმოჩენისთვის ავტორმა ძალისხმევა არ დაიშურა როცა საკარნავალოდ მორთულ დარბაზებს თუ ქალებს აღწერდა. *„დიდებულათ მორთული მანდილოსნები ღია მკერდ-კისრით და ტიტველი ბროლის მკლავებით აღძრავდნენ საზოგადოების გრძნობას. მათს თმებში, მკერდზე და თითებზე ბრილიანტები ვარსკვლავებვით მოკამკამედნენ“* (გვ. 613). ესენი ახალი ყაიდის ქალები იყვნენ, რაც მათ გარეგნობასიც შესამჩნევია იყო.....

გიორგი წერეთელი ნაწარმოებში აქტიურად იყენებს გარემოს, გარეგნობის თუ ბუნების

სურათის აღწერას, რითაც ნაწარმოების პირველ და მეორე ნაწილში განსხვავებულ გარემოში ამოგზავრებს მკითხველს და ორივეგან აღწერებსაც განსხვავებული დატვირთვა გააჩნია. გიორგი წერეთლის ევროპულ ორიენტირზე და ნატურალისტურ მოტივებზე სასაუბროდ მის ნაწარმოებში, თითოეული ასეთი პასაჟი მნიშვნელოვანი და საინტერესოა.

ნატურალიზმის არსებობა ქართულ მწერლობაში აქტიურად არ განიხილება და არც ცალსახად ნატურალისტი ავტორები სახელდება, მაგრამ გიორგი წერეთელი ერთ-ერთია იმ მცირეთაგან, რომელიც გარკვეული კრიტიკოსების მხრიდან ნატურალისტ ავტორად მოიხსენიება. ნაშრომში მცირედ განხილული გიორგი წერეთლის მსოფლმხედველობა თუ სამწერლობო სტილი ამ იდეის გამყარებას ემსახურება.

აღსანიშნავია, რომ მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მდგომარეობა არსებითად განსხვავებული იყო საქართველოსა და დასავლეთ ევროპას შორის, ამიტომაც, ფაქტია რომ ქართული ნატურალიზმი, რომელსაც „შეუფერავი რეალიზმის“ სახელით მოიხსენიებდნენ, არსებითად განსხვავდება ევროპული ნატურალიზმისგან, თუმცა შეუძლებელია გარკვეული ანალოგიების უარყოფა. ამ ორ მიმდინარეობას შორის არსებული პოლიტიკური და კლასობრივი განსხვავებულობიდან გამომდინარე არ არის შესაძლებელი მათი სრული გაიგივება და წარმოქმნილი აზრთა სხვადასხობაც ბუნებრივია, თუმცა თეორიული მსგავსება მაინც შესამჩნევია. მთავარი მაინც გიორგი წერეთლის ფილოსოფიური და ესთეტიკური შეხედულებებია, რომელშიც ნამდვილად მოსჩანს ევროპული პროგრესული თუ განმანათლებლური იდეების სასარგებლო გავლენა.

მე-19 საუკუნის მწერლობაში ახალი თემების შემოტანით (კაპიტალიზმის განვითარება, ვაჭრობა, ფულის როლი, გადაგვარებული ყოფა თავადების და სხვ.) თუ ახალი სახე- ტიპების შემოყვანით და დამკვიდრებით (ჩარჩი ვაჭრები, ინჟინრები, პოლკოვნიკები...) მან მნიშვნელოვანი სიახლე შემოიტანა ქართულ მწერლობაში და შექმნა სახასიათო ნაშრომები.

ტექსტში მოყვანილი ვრცელი პასაჟები გარემოს, საცხოვრებლის თუ ბუნების სურათის აღწერის, საინტერესო იყო კვლევისათვის, რადგანაც ის არის ახალი ტენდენციის გამოძახილი და ავტორის მსოფლმხედველობის წარმოჩენის საშუალება. ამ აღწერების მეშვეობით გიორგი წერეთელი მკითხველს ხდის ამა თუ იმ მოვლენის თანაზიარს და გარდა ამისა, იძლევა შესაძლებლობას მეტად გავიგოთ პერსონაჟის ჩანაფიქრი თუ შინაგანი მდგომარეობა. ამავედროულად, თითოეულმა ასეთმა პასაჟმა ახალი მოვლენის დასაწყისიც შეიძლება ამცნოს მკითხველს.

ერთ-ერთი საინტერესო და ახალი, ეპოქისთვის სახასიათო პერსონაჟია ბახვა ფულავა (ჩარჩი ვაჭარი), რომლის სახის ჩამოყალიბებაში და ტრანსფორმაციაში გარემომ დიდი როლი შეასრულა. აღნიშნული გარემო კი ავტორს დეტალურად აქვს აღწერილი და ჩვენც ვიზიარებთ ამ პასაჟებს, მეტი თვალსაჩინოებისთვის.

„პირველ ნაბიჯში“ გიორგი წერეთლის მიერ აღწერილი ბუნების სურათები თუ საცხოვრებელი გარემოს დეტალური გადმოცემა ქმნის ატმოსფეროს, ინტრიგას, ავსებს მოქმედებებს და იძლევა სიტუაციის თუ კონკრეტული პერსონაჟების ხასიათის გამოვლენის შესაძლებლობას. ასევე, მის მწერლობაში წარმოჩენილი როგორც ერთ-ერთი ნატურალისტური მეთოდი, იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ „ქართული მწერლობა კვალდაკვალ მისდევდა ევროპის ლიტერატურას“.

[1] მსგავსი შეხედულებისა იყვნენ გიორგი წერეთლის შემოქმედებაზე მკვლევარები მიხეილ გაფრინდაშვილი (გიორგი წერეთლის მსოფლმხედველობა, თბ. 1955 წ.) და ვახტანგ ვახანია (რეალიზმის საკითხები ქართველ სამოციანელთა ესთეტიკაში, თბ. 1968წ.). თოდუა კოტეს ნაშრომში განხილულია აზრი, რომ გიორგი წერეთლის «შეუფერავი რეალიზმი» ისეთივე კრიტიკული რეალიზმია, როგორც პირველდასელებმა საბოლოოდ დაამკვიდრეს ჩვენს მწერლობაში, ოღონდ პირველის თანადროული ეპოქის მოთხოვნილებების შესაბამისად. ამ თვალსაზრისს იზიარებს წერეთლის შემოქმედების სხვა მკვლევარებიც. მაგალითად: მ. ზანდუკელი (ახალი ქართული ლიტერატურა, ტ., II, თბ. 1963 წ.); ა. მახარაძე (ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. II, თბ. 1963 წ.), დ. გამეზარდაშვილი (ნარკვევები ქართული რეალიზმის ისტორიიდან, ტ. I-II, თბ. 1953-1957 წლები); ო. ჭურღულია (კრიტიკული

წერილები, სოხუმი, 1961 წ.), გ. ნატროშვილი (წინაპარნი და თანამედროვენი, თბ. 1961 წ.), ნ. ჭოლოკვაძე (გიორგი წერეთლის ლიტერატურულ-ესტეტიკური შეხედულებები, იხ. „მაცნე“ N 3, თბ. 1964 წ.), ა. ჭილაია (გიორგი წერეთელი, თბ. 1964 წ.), ს. ვაშაყმაძე (გიორგი წერეთელი და ჟურნალი „კვალი“, თბ. 1966 წ.), ს. ავალიანი (გიორგი წერეთლის ფილოსოფიური მსოფლმხედველობა, თბ. 1954 წ.) და სხვ.

[2] ქართველ კრიტიკოსტა ნაწილის აზრით, გიორგი წერეთლის ევროპულ ორიენტირზე დიდი გავლენა მოახდინა მისი დასავლეთში ცხოვრების წლებმა. მის შემოქმედებაზე არსებული ევროპული გავლენები არც უცხოელებისთვის იყო შეუმჩნეველი. მაგალითად, ინგლისურ საკვირაო გაზეთ „spectator“-ში (5 მარტის ნომერი) (spectater, #17, 1900) გამოქვეყნდა ვ.ვილიამსის ნეკროლოგი გიორგი წერეთლის გარდაცვალების გამო, რომელშიც აღნიშნავს, რომ «მისი ცხოვრების უდიდესი მიზანი იყო თავისი თანამემამულენი დაეახლოვებინა დასავლეთთან და მათთვის შეეთვისებინა დასავლეთის იდეები. ის ასწავლიდა თავის ერს უმთავრესად ფეოდალურს და აზროვნებით ღირსეულს, საკუთარი ძალღონითა და გამუდმებითი მუშაობით ჩამდგარიყო თანამედროვე კაცობრიობის კალაპოტში...საზოგადოთ მხურვალე მომხრე იყო პროგრესის, რომელიც წარმოებს უფრო თანდათან განვითარებით, ვინემ რევოლუციით» (კვალი, #17, 1900, #17, 265-266).

[3] პროფესორ ვ. ვახანიასთვის გიორგი წერეთლის მიერ გამოქვეყნებული ციტატა ზოლას ერთ-ერთი წერილიდან მნიშვნელოვანი საბუთი იყო ემტკიცებინა, რომ ჯერ კიდევ 70-იან წლების მეორე ნახევარში ის განიცდიდა ზოლას იდეების გავლენას. როგორც პროფესორმა ვ. ვახანიამ დაადგინა, ეს იყო გ. წერეთლის მიერ გამოქვეყნებული სტატია «Лекции в кружке гг. Палма и Ерицова» რომელიც 1879 წელს დაიბეჭდა «Тифлисский Вестник»-ში და ეს იყო ციტატა ზოლას გახმაურებული სტატიიდან «Натурализм в театре » (ქაჯაია,1994;127). პროფესორ ვახანიას აზრით, გიორგი წერეთელმა «მიიღო და შეითვისა ნატურალიზმის რამდენიმე ნიშანი, პირველ რიგში ის ნიშნები, რომლებიც გამომდინარეობენ ხელოვნებაზე მაღლა ცხოვრების დაყენების არაზუსტი თვალსაზრისით» (ვახანია, 1968; 248).

ბიბლიოგრაფია:

1. ავალიანი სერგო, გიორგი წერეთლის ფილოსოფიური მსოფლმხედველობა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, ფილოსოფიის ინსტიტუტი, თბილისი 1954
2. ბარადველიძე ბეჟან, პერსონაჟის ხატვის პრინციპები ქართულ რეალისტურ პროზაში(მე-19 ს.), თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1967
3. გამეზარდაშვილი, დავით. ნარკვევები ქართული რეალიზმის ისტორიიდან. ტ. 2 / დ. თბილისი : სახელგამი, 1957.
4. გაფრინდაშვილი მიხეილ, გიორგი წერეთლის მსოფლმხედველობა, სახელგამი, თბილისი, 1955
5. დონაძე ვასილ, გიორგი წერეთელი მსოფლიო ისტორიისა და საერთაშორისო ურთიერთობის ზოგიერთი საკითხის შესახებ, შრომები, ისტორიულ მეცნიერებათა სერია, თბ., 1960, გვ.117 -149
6. ვარდოსანიძე სერგო, გიორგი წერეთელი და საქართველოს ისტორიის პრობლემები, თბილისი, 2015
7. ვარდოსანიძე, სერგო. გიორგი წერეთელი და XIX საუკუნის ეროვნული ცნობიერების პრობლემები, სკოლა და ცხოვრება, საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს ყოველთვიური სამეცნიერო-პედაგოგიური ჟურნალი, თბ, 1989, #4, გვ. 71-75
8. ვახანია ვახტანგ, რეალიზმის საკითხები ქართველ სამოციანელთა ესთეტიკაში, თბ. 1968წ.
9. ვახანია ვახტანგ , გ. წერეთელი და ემილ ზოლას ნატურალიზმის თეორია, რეალიზმის საკითხები ქართველ სამოციანელთა ესთეტიკაში, თბ., 1988, გვ. 243
10. ვაშაყმაძე შოთა, გიორგი წერეთელი და ჟურნალი „კვალი“, თბ. 1966წ.
11. ზანდუკელი მიხეილ, ახალი ქართული ლიტერატურა, ტ., II, თბ. 1963 წ.
12. თოდუა კოტე, გიორგი წერეთელი და რეალიზმის პრობლემები ქართულ ლიტერატურაში, სსიპ-სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ავტორეფერატი, თბილისი 2009
13. მახარაძე ალექსანდრე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. II, თბ. 1963 წ.

14. ნახუცრიშვილი მარიამი, რა ახვთ საერთო ჩარლზე დიკენსა და გიორგი წერეთელს, გამომცემლობა „შოთა რუსთაველის სახელმწიფო, უნივერსიტეტი, ბათუმი, 2012
15. რადიანი, შალვა. რჩეული წერილები. წ. 1, [XIX საუკუნის ლიტერატურა], თბილისი : საბჭ. საქართველო, 1970.
16. სულაბერიძე დავით, გიორგი წერეთელი (ეროვნული კონცეფცია და საზოგადოებრივ-ეკონომიკური შეხედულებები), საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი, ქუთაისი, 2010
17. ქაჯაია მანანა, გიორგი წერეთელი ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში (1921 წლამდე), სადისერტაციო ნაშრომი ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 1994
18. შენგელაია დემნა, გიორგი წერეთელი : [გადატაკებულ აზნაურთა დავნიებისა და სავაჭრო კაპიტალის განვითარების ისტორიის ასახვა გ. წერეთლის შემოქმედებაში], მნათობი, 1950, გვ.103-111
19. ჭილაია ანდრო, გიორგი წერეთელი, თბ. 1964 წ.
20. ჭოლოკავა ნოდარ, გიორგი წერეთლის ლიტერატურულ-ესტეტიკური შეხედულებები, იხ. „მაცნე“ N 3, თბ. 1964 წ.
21. ჭურღულია ოთარ, , კრიტ. წერილები, სოხუმი, 1958
22. ხუნდაძე, სიმონ, გიორგი წერეთელი : მოღვაწეობა, აზროვნება, შემოქმედება, ქართული წიგნი 1931
23. წერეთელი, გიორგი, თხზულებათა სრული კრებული. ტ. 1, პუბლიცისტური წერილები, 1862-1868 / სიმონ ხუნდაძის რედ., წინასიტყვ. და შენიშვნებით. ტფილისი : ქართული წიგნი, 1931
24. წერეთელი, გიორგი. პირველი ნაბიჯი. თბილისი : განათლება, 1980.
25. „კავკასიის ფრანგული დღიური“, French diary on Caucasus = Journal Français du Caucase /პროექტის ხელმძღვანელი: რუსუდან თურნავა; რედაქტორი: ირმა რატიანი; კომპარატივისტული ლიტერატურის ქართული ასოციაცია (GCLA)თბ: მწიგნობარი, 2018 წ.
26. წერეთელი გიორგი, არანკა ჰერცოგოვინას ქალი, ტფილისი, 1876, 92
27. წერეთელი გიორგი, რა არის პოლიტიკა? „კვალი“, 1896, #38
28. წერეთელი გიორგი, „რა გვჭირდება“, „კრებული“, #5, 1871, გვ.176
29. წერეთელი გიორგი, „წარსული წლის პოლიტიკა“, ჟურნალი „კვალი“, #38, 1896
30. წერეთელი გიორგი, „წერილი „სახელმწიფო პოლიცია“, დროება, 1868 წ., #31
31. წერეთელი გიორგი, წარსული წლის პოლიტიკა, „კვალი“, #38, 1896წ.
32. წერეთელი გიორგი, ხალხის ცხოვრებიდან, „დროება“, #15, 1879წ
33. წერეთელი გიორგი, თხზულებათა სრული კრებული, ტფილისი : ქართული წიგნი, 1931. ტ.1, გვ. 14
34. წერეთელი გიორგი, გ. გაბაშვილის მხატვრობა, „კვალი“, #5, 1899
35. წერეთელი გიორგი, „უნივერსიტეტი თუ პოლიტექნიკუმი?“ „კვალი“, 1893, #24-25-26
36. „კვალი“, 1900, #17, გვ. 265-266.
37. გაზ. „ივერია“, #124, 1891, გვ.75
38. გაზ. „დროება“, #47,1867, გვ. 48, 101
39. გაზ. „ივერია“, #179, 1894, გვ. 5
40. ჟურნალი „მოამბე“, „მწერალთა უცნაურობანი“, 1905 წ. #1
41. ხოლმელი, რჩეული ნაწერები, პროფ. დ. გამეზარდაშვილის რედაქციითა და შესავალი წერილით, თბ., 1963, გვ. 408
42. Bernard Pingaud, La technique de la description dans le jeune roman d'aujourd'hui. In: Cahiers de l'Association internationale des études françaises, 1962, n°14. pp. 165-177;
doi : <https://doi.org/10.3406/caief.1962.2224>
https://www.persee.fr/doc/caief_0571-5865_1962_num_14_1_2224
43. Frappier-Mazur Lucienne. La description mnémonique dans le roman romantique. In: Littérature, n°38, 1980. Le décrit. pp. 3-26;

doi : <https://doi.org/10.3406/litt.1980.2121>

https://www.persee.fr/doc/litt_0047-4800_1980_num_38_2_2121

44. Imbert Patrick. Sémiostyle : la description chez Balzac, Flaubert et Zola. In: Littérature, n°38, 1980. Le décrit. pp. 106-128.

DOI : <https://doi.org/10.3406/litt.1980.2127>

www.persee.fr/doc/litt_0047-4800_1980_num_38_2_2127

45. Soundouss Ketani EL, "La Dynamique Descriptive Chez Zola et Les Goncourt." Nineteenth-Century French Studies, vol. 35, no. 3/4, University of Nebraska Press, 2007, pp. 628–40, <http://www.jstor.org/stable/23537856>.

46. Tibloux Emmanuel, Les enjeux littéraires de la description de l'espace. In: Espaces Temps, 62-63, 1996.

Penser/figurer. L'espace comme langage dans les sciences sociales, sous la direction de Jean-François Pradeau. pp. 116-129.

DOI : <https://doi.org/10.3406/espat.1996.3995>

www.persee.fr/doc/espat_0339-3267_1996_num_62_1_3995

Description of the environment as a method of naturalistic in Giorgi Tsereteli's „The First Step“

Dzodzuashvili Tinatini

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Tbilisi

Abstract

Authors actively use various literary methods to convey a specific idea through a certain atmosphere, intrigue or text. One of these artistic techniques is the description of the environment, which helps the reader to become a participant in this or that action. Also, it helps the author to enrich the text with interesting details and create the desired character of the character.

It should be noted that the existence of naturalism in Georgian literature is not actively discussed, nor are naturalist authors named, but Giorgi Tsereteli is one of the few who is referred to as a naturalist author by some critics. In the present study, Giorgi Tsereteli's „The First Step“ is discussed as one of the Georgian texts based on naturalistic motifs, and here, the method-environment used by the author is interesting for us. Not only the "first step" and the examples of describing the environment in it were interesting for a small research, but also the author's worldview, orientation or writing style. Not only the „The first step“ and the examples of describing the environment in it were interesting for a small research, but also the author's worldview, orientation or writing style. For this purpose, the text discusses the opinions and assessments of Giorgi Tsereteli's work by various critics. Also, as an example, extensive passages are cited as text, where the author describes a specific living environment. Description, as one of the naturalistic methods presented in Giorgi Tsereteli's work, allows us to say that „Georgian writing followed in the footsteps of European literature“.

Key words: Giorgi Tsereteli, „The first step“, environmental description, naturalistic tendencies, naturalism.

„ილია ჭავჭავაძის უკანასკნელი დღე“ (პოსტმოდერნისტული გააზრება)

მნელაძე სოფიკო

ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი

DOI: <https://doi.org/10.52340/idw.2023.65>

აბსტრაქტი. XIX საუკუნის მიწურულს და XX საუკუნის დამდეგს, უმნიშვნელოვანესმა მოვლენამ შეძრა სრულიად საქართველო, რომელთაც ქვეყნის ისტორიაში ღრმა კვალი დატოვა. ამ ფაქტებმა ბევრი პასუხგაუცემელი კითხვა და ეჭვი გააჩინა. დღემდე, XXI საუკუნის ყოვლისმცოდნე ეპოქაში კითხვები კითხვებად რჩებიან. ისტორია 60-იანელთა გამორჩეული წარმომადგენლის, ილია ჭავჭავაძის მკვლელობას ეხება. ეს საბედისწერო გასროლა წინამურთან 1907 წლის 30 აგვისტოს მოხდა, რამაც ქართველი ხალხის ცხოვრებაში დიდი ცვლილება გამოიწვია. ამ ფაქტებისა და მოვლენების შესახებ ბევრი იწერებოდა, ისტორია სხვადასხვაგვარად აფასებდა მომხდარ ამბებს. ქართველ სამოციანელთა სახეების პოსტმოდერნისტული ინტერპრეტაცია მოგვცეს თანამედროვე ქართველმა მწერლებმა: ზურაბ ქარუმიძემ, ლაშა იმედაშვილმა, ლაშა ბუღაძემ და აკა მორჩილაძემ. სამოციანელთა ღვაწლი, ქართველი მწერლებისთვის მნიშვნელოვან თემად იქცა.

მწერლობა ტრადიციას, ის გრძელდება, ყოველი ახალი თაობა წინა თაობის მემკვიდრეა. იცვლება საკითხისადმი მიდგომა, გადმოცემის სტილი და ფორმა. სათქმელი ხშირად წარსულში მომხდარი ფაქტების თანამედროვე გადააზრებაა. მას სხვადასხვა ფორმით გადმოსცემენ ავტორები. ისტორია განმსაზღვრელია თანამედროვე მწერლობისათვის, ვერც ერთი მწერალი გვერდს ვერ აუვლის წარსულს. ის დამაკავშირებელი რგოლია მომავალთან. საუკუნეების წინანდელი ისტორიები ყოველთვის არის თანამედროვე მწერლობის და მათთან ერთად ჩვენი ინტერესის საგანი.

საკვანძო სიტყვები: ისტორია, პოსტმოდერნიზმი, მწერალი, ეპოქა, მკვლელობა

ისტორიული პერსონაჟები და მათი ცხოვრების გააზრება ქართულ პოსტმოდერნისტულ დისკურსში იჩენს თავს. აღსანიშნავია ლაშა ბუღაძის, ლაშა იმედაშვილისა და აკა მორჩილაძის შემოქმედება. მწერლები თანამედროვე სამყაროში იხმობენ XIX საუკუნის 60-იანი წლების გმირებს და XXI საუკუნის ისტორიაში რთავენ, როგორც პერსონაჟებს.

ილია ჭავჭავაძე – ჩვენი ქვეყნის ისტორიის ყველაზე ტრაგიკული ამბავი, რომელმაც შეძრა სრულიად საქართველო ილია ჭავჭავაძის მკვლელობა იყო. ამ ისტორიას პირველი დღიდან მოყვება მოუშუმებელი ტკივილის და კითხვის განცდა. რატომ? „წინამურთან რომ მოჰკლეს ილია, მაშინ ეპოქა გათავდა დიდი“. გალაკტიონის ამ სიტყვების კვალობაზე მართლაც სწორია ისტორიის, ეპოქის ათვლა 1907 წლის სწორედ იმ ავადსახსენებელი 30 აგვისტოს დღიდან დავიწყოთ. ისიც ბუნებრივია, რომ მხატვრული ლიტერატურისთვისაც თავად მკვლელობის ფაქტიც და ილიას ფაქტორიც–ყოველთვის იყო შემოქმედებითი საკითხიც და გამოწვევაც. დრომ ეს ფაქტი თავისებურად შეფასა. ქვეყნის ისტორიაში საკვანძო ამბებს, საუკუნეების შემდეგაც თავისებური ინტერპრეტირება მოჰყვება ხოლმე. მიუხედავად იმისა, რომ ილიას მკვლელობაზე ძალიან ბევრი ითქვა და დაიწერა, თანამედროვე მწერლები საკითხს თავისებურად გაიზარებენ. მწერლობა ხომ ინტერპრეტირების ასპარეზია, ავტორს შეუძლია თავისებური ორიგინალური იდეებით მკითხველი რეალურსა და ირეალურს შორის „ათამაშოს“. მკითხველის წარმოსახვებზე თამაში სწორედ თანამედროვე მწერლობის ერთ-ერთი მახასიათებელია.

ილია ჭავჭავაძის მკვლელობასთან დაკავშირებით ლაშა ბუღაძე თავისებურ ინტერპრეტაციას წარმოადგენს პიესების და მოთხრობების კრებულში „საუკუნის მკვლელობა“,

რომლის ერთ-ერთ მოთხოვნას ასეთი სათაური აქვს– „ქართული ზღაპარი“. ირონიაა, ისაუბრო ზღაპარზე მაშინ, როდესაც რეალობა არ გაძლევს მოვლენის ზედაპირულად გააზრების საშუალებას.

ამბავი ზღაპარით იწყება. თუმცა მასში ბევრი დოკუმენტური მასალაა მოცემული იმ ავადსახსენებელ დღეებზე, როდესაც ყველა რაღაცის მოლოდინში იყო. „ევროპის აღმოსავლეთით, თითქმის აზიაში, ძველისძველ სახელგანთქმულ ქალაქ თბილისში, არც ისე პატარა სახლის მყუდრო ოთახში, თავადი ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძე, საწერ მაგიდას უჯდა და ქალაქგარეთ გასვლაზე ფიქრობდა, - კერძოდ, ყველასათვის კარგად ცნობილ საგურამოში“ (ბულაძე 2000: 33). დოკუმენტურ წყაროებზე დაყრდნობით აღწერა ლაშა ბულაძემ ილიას ცხოვრების ბოლო პერიოდი. ავტორი იცნობს გურამ შარაძის წიგნს „ილია ჭავჭავაძე 1937-1907“, სადაც იმავე ამბავზე მკვლევარი დოკუმენტურად დადასტურებულ ცნობებს რთავს თავის წიგნში.

ილიას სახლში ყველა მეგობარს ერთად მოეყარა თავი, თითქოს წინასწარ გრძნობდნენ მის აღსასრულს და ყველა ერთიანად ემშვიდობებოდა. მნიშვნელოვანია მარიამ ორბელიანის მოგონება. ის საგურამოში წასვლის წინა დღეს ესტუმრა მეგობარს. „სასტუმრო ოთახში ოლია თავდოხის ასული დახვდა, ზეზე იდგა აკანკალებული, აჩქარებული ქაღალდს შლიდა (ეს მისი ჩვეულებრივი გასართობი იყო). როცა შევედი, გამომხედა და განაგრძო თავისი საქმე, თან თვალცრემლიანმა მითხრა: რომ იცოდეთ, რა ცუდი ქაღალდი ამოდის! საშინელ ამბებს მიწინასწარმეტყველებს. ვეხვეწები ილიას, გადადოს წასვლა, რადგან ვიცი, უბედურება მოხდება – მაგრამ ის ყურსაც არ მიგდებს“ (შარაძე 1990: 315).

სიმბოლური და ცოტა არ იყოს დაუჯერებელია ის ფაქტი, რომ ნაწარმოებში მწერალმა გვიჩვენა ილიასთან მისი გარდაცვალების წინა დღეს მისული თედო ლაბაურის დედა, რომელსაც „ნახევრად შიშველი ბავშვი ეჭირა და ოდნავ ოთარაანთ ქვრივისებული იერი დაჰკრავდა“ (ბულაძე 2000: 37). ქალმა ილიას სთხოვა, არ წასულიყო და ამით ისიც გადარჩებოდა და მისი შვილიც. მწერალი თითქოს წინ უსწრებს მოვლენებს. თამაშდება ილიას დაკრძალვის კარნავალი, ლისტმა მისი ფოტო შემოიტანა. მწერალს წინასწარ წარმოუდგინეს მომავალი იმ შემთხვევაში, თუ საგურამოში წასვლაზე უარს არ იტყოდა. მაგრამ ყველაფერი გვიანი იყო, მას გადაწყვეტილი ჰქონდა წასვლა და ამას ვერავინ და ვერაფერი შეაცვლევინებდა. ავტორმა მხოლოდ მხატვრულ ტექსტში შეძლო დროის არევა, მან გაასწრო დროს და ყველაფერი წინასწარ გვიჩვენა.

მანამდე არტურ ლაისტის მოგონებაა მნიშვნელოვანი. ბედისწერასთან თამაში ხშირად ასეთი მძიმე შედეგით მთავრდება. მწერალი წინასწარ გრძნობდა სიკვდილის მოახლოებას, თითქოს მზადაც კი იყო მასთან შესახვედრად. ლაისტის მოგონებებიდან ვიგებთ შემდეგს: „როდესაც საგურამოში მივდიოდი 21 აგვისტოს, არ ვფიქრობდი, რომ ეს იქნებოდა უკანასკნელი მისვლა მოხუცებულ ძვირფას მეგობართან“ (შარაძე 1990: 314). იმ ექვსი დღის განმავლობაში, რაც ლაისტი ილიასთან იყო, მის სახეზე ღიმილი არ უნახავს.

ხშირად დგება მომენტი, როდესაც გრძნობ საკუთარი სიცოცხლის დასასრულს. არის რაღაც სიმბოლური მინიშნება ამქვეყნიურ სამყაროში, რაც გვაგრძნობინებს ცხოვრების ფინალს.

არტურ ლაისტის მოგონებებიდან ვიგებთ: „წვიმდა. იმ ადგილას კი, სადაც 3 დღის შემდეგ საშინელი მკვლელობა მოხდა, ორივე მხარეს თხელი ტყე არის. იქ რომ გამოვიარეთ, ჟრუანტელმა დამიარა ტანში, მაგრამ ფიქრადაც არ მომსვლია რაიმე უბედურება. ილია გვახლდა და ვერ წარმოვიდგენდი, რომ ვინმე ხელს შეახებდა მოხუცს-პოეტს, ქართველი ხალხის სიამაყეს“ (შარაძე 1990: 314).

რომანში მოქმედება მიჰყვება გურამ შარაძის წიგნს „ილია ჭავჭავაძე 1837- 1907“ და უცვლელად გვაწვდის მას. ამდენად მწერალი ამ შემთხვევაში დოკუმენტურ მასალებზე დაყრდნობით ზუსტად გადმოგვცემს მოვლენებს და მიზანმიმართულად არც არღვევს ისტორიულ ქრონოლოგიას.

ნაწარმოებში ცენტრალური ადგილია წყარო, სადაც მწერალი საგურამოში წასვლისას მუდმივად ჩერდებოდა. ილია ჭავჭავაძემ არც 30 აგვისტოს უღალატა ჩვეულ ტრადიციას. მისი მეუღლის გადმოცემით, მწერალი: „ორმოც წუთზე მეტ ხანს გარინდებული გადი-გამოდიოდა

სახედატანჯული. ეტლში კარგა ხნის მერე ამოვიდა და ბიჭს უბრძანა გარეკეო” (შარაძე 1990: 317).

და საბედისწერო გასროლაც გაისმა, ამ წუთს მკითხველიც დაძაბული ელის, ამ გასროლამ ძალიან ბევრი რამ შეცვალა ქვეყნის ცხოვრებაში, მან დაასრულა ეპოქა და დატოვა ბევრი პასუხგაუცემელი კითხვა მათგან ერთ-ერთია რატომ? განგმირეს პოეტი, დაუნდობლად, უმოწყალოდ. „ილია ჭავჭავაძის შუბლი ბერდანის ტყვიითაა ჩამონგრეული, ის შუბლი, რომლის ნაფიქრალსაც არა ერთისა და ორი თაობისათვის ახალი ფიქრები აღუძვრია.. ასევე გულიც” (ბუღაძე 2000: 40).

ესეც არ აკმარეს, ილია ჭავჭავაძე გამარცხეს, წაიღეს ყველაფერი, საბუთების ჩანთა, ტანსაცმელი. მხოლოდ მისი გარდაცვალების შემდეგ გაირკვა, რომ მოხუც პოეტს გული დაავადებული ჰქონდა. ლაშა ბუღაძე კვლავ დოკუმენტურ მასალას რთავს თხრობაში, თუმცა აქვე გადადის ილუზიური თხრობის მისთვის ჩვეულ მანერაზე და ილია ჭავჭავაძეს თავისი გასვენების მომსწრეს გახდის. ერთ-ერთ სამგლოვარო გვირგვინზე აკაკის ლექსი იყო მიწერილი, „ილიას მოკვლის გამო”. „ნუ მიწამლავთ მოხუცს გრძნობას და ნუ ამბობთ, რაც არ მჯერა! ნუთუ მართლა დღეს გადაწყდა საქართველოს ბედის წერა? ილია ჭავჭავაძეც მადლობას იხდიდა და გვირგვინებს კუთხეში ალაგებდა” (ბუღაძე 2000: 42). ასეთი ფაქტი მხოლოდ პოსტმოდერნისტული ტექსტისთვისაა დამახასიათებელი, მწერალმა მთავარი პერსონაჟი თავის დაკრძალვას დაასწრო. ლაშა ბუღაძე ამას ისე ოსტატურად აკეთებს, რომ მკითხველს ხანდახან ეჭვი უჩნდება, ის ირეალური და რეალური სამყაროს ზღვარზე გადის.

იმ დღეს თითქმის ყველაფერი იმაზე მიუთითებდა, რომ პოეტის სიკვდილი გარდაუვალი იყო. ეს ყველაფერი წინასწარმეტყველურ სიზმარს ჰგავდა, მკითხველი დაძაბული ელოდება მოვლენების განვითარებას, არის ფაქტები, რომლის არმოხდენის შემთხვევაში ისტორია სხვაგვარად წარიმართებოდა, ილია ჭავჭავაძის მკვლელობა ამის ნათელი მაგალითია. მკითხველი, რომელმაც ძალიან კარგად იცის რეალურად მომხდარი ფაქტი, დარწმუნებულია, რომ ავტორი თავს ვერ აარიდებს ისტორიულ რეალობას, ამიტომ ელოდება ტყვიის გასროლას. მაგრამ ხდება პირიქით, ნაწარმოებს ზღაპრის მსგავსად, ბედნიერი დასასრული აქვს. ტყვია, რომელმაც 1907 წელს საქართველოში „დიდი ეპოქის დასასრული” გამოიწვია მხატვრულ ნარატივში არ გავარდა. „ჩვენი ქვეყნის ბედიც იმ დღის შემდეგ სულ სხვაგვარად წარმართულა”. ნაწარმოების სათაური მიაწინებს, რომ ეს ყველაფერი ტყუილია, ზღაპარია, რომელიც ვერასოდეს ვერ გახდება რეალობა. ეს ნარატივის ფიქსაციაა, როგორც ამას უწოდებენ თანამედროვე პოსტმოდერნისტული ლიტერატურის მკვლევრები.

როგორც აღინიშნა, ისტორიზმის პრინციპი, კრიმინალური საქმეები, სადაც გამოძიებას თავად ავტორი აწარმოებს მკითხველთან ერთად, პოსტმოდერნისტული ტექსტისთვის ფრიად ნიშნეულია. აღნიშნული რომანიც პოსტმოდერნისტული თხრობის ყველა მოთხოვნას პასუხობს. სახეზეა: ავტორის ნიღაბი, ინტერტექსტი, ინტერტექსტუალური თამაში და სხვა.

ილია ჭავჭავაძის მკვლელობის პოსტმოდერნისტულ გააზრებას წარმოადგენს ლაშა იმედაშვილი. მწერალი ფრიად ფრთხილად და სათუთად ეპყრობა წარსულს. მისი რომანი „სამი მკვლელობა ძველ თბილისში” ამ ამბის გადმოცემაა. ძველ თბილისში მომხდარი სამი მკვლელობიდან ერთ-ერთი საქართველოს, ზოგადად ქართველობის სახე-სიმბოლო ილია ჭავჭავაძეა.

ლაშა იმედაშვილი საუკუნის მკვლელობის ამბავს გადმოგვცემს. ილია ჭავჭავაძის მკვლელობა პოსტმოდერნისტული ტექსტის ინტერესის სფერო გახდა. როდესაც ილია ჭავჭავაძის მკვლელობაზე ვსაუბრობთ, ვფიქრობ, მკვლელის ან შემკვეთის ძიებას აზრი არ აქვს, აქ დამნაშავე მთელი ერია. იმ პერიოდში საქართველოში ქართველების უმეტესობა ბერბიჭაშვილად თვლიდა თავს, ამ გვარის ტარება გარკვეულწილად წყევლასავით იქცა. აკაკი წერეთელის ცნობილი სიტყვები „ფურთხის ღირსი ხარ შენ საქართველო” –ერთგვარი საბაზისო პოზიციას მწერლისთვის.

ილია ჭავჭავაძის პიროვნების ირგვლივ ყოველთვის ტრიალებდა ჭორ-მართალი რომელიც ამგვარად ყალიბდება: ზოგი სასტიკ მებატონედ მიიჩნეოდა, ზოგი კი აღმერთებდა. ყველაფერი კი ისევ საქართველოს გამო კეთდებოდა. ერთ-ერთი მიზეზი, ილია ჭავჭავაძის

მკვლევლობისა, რუსეთის სათათბიროსგან ქართული ეკლესიის ავტონომიის მოთხოვნას უკავშირდება, ყოველივე ამის შემდეგ სრულ დამოუკიდებლობამდე ძალიან ცოტა რჩებოდა.

ლაშა იმედაშვილი თავისუფალია ყოველგვარი ცენზურისაგან. ის გულახდილად ამხელს საქართველოს ისტორიის საჩოთირო ფაქტებს და საზოგადოების მანკიერ თვისებებს. „კავკასიური ველურობა და აზიური სიზარმაცე რომ არ უშლიდეს ხელს, თქვენი ქვეყანა მსოფლიო რუკაზე საპატიო ადგილს დაიკავებდ“ (იმედაშვილი 2006: 60).

ავტორი საინტერესო დოკუმენტურ მასალას გვაწვდის ილია ჭავჭავაძის მკვლევლობის დეტალებზე. როგორც ცნობილია, აღნიშნულ მკვლევლობაზე ბევრი ეჭვიმტანილი იქნა დაკავებული „ასე თუ გაგრძელდა, შესაძლოა ამ სიაში მთელი საქართველო აღმოჩნდესო“ – ამბობს ნაწარმოების ერთ-ერთი პერსონაჟი იაშვილი, რომელიც ილია ჭავჭავაძის მკვლევლობის საქმეს იძიებს.

ილია ჭავჭავაძის მკვლევლობაზე ლაშა იმედაშვილი შედარებით მოკლედ საუბრობს, აღწერს მიზეზებს, რის გამოც მოკლეს მხცოვანი მწერალი. ისტორიული და მხატვრული სინამდვილე ამ შემთხვევაშიც ისევე, როგორც ლაშა ბუღაძესთან, ერთმანეთს თანხვედება.

ვფიქრობთ, თემა დღესაც ძალიან აქტუალური და თითოეული ქართველისათვის ინტერესის აღმძვრელია. ეს პრობლემატიკა ქვეყნის ნაციონალური იდენტობის განმსაზღვრელია, რომელსაც თანამედროვე ავტორებმა, თავისებური გადაჭრა და ასახვა მოუძებნეს.

ილუზიის მეშვეობით მტკივნეულ თემებზე საუბარი პოსტმოდერნისტული მიმდინარეობის ერთ-ერთი მთავარი ხერხია. ორივე ავტორმა ჩვენამდე ამ საკითხების მოტანა ნამდვილად შეძლო. დრომ მხატვრულ ნაწარმოებში ბევრისთვის უცნობი ფაქტები ახლებური თვალით დაგვანახა. ვფიქრობთ, ორივე ავტორმა საინტერესოდ გაიაზრა მოვლენები, რომლებიც ჩვენი ქვეყნის ისტორიაში მოხდა და რომელზეც აზრთა სხვადასხვაობა მუდმივად არსებობს. თანამედროვე პოსტმოდერნისტული ხერხების წყალობით მათ აღნიშნულ თემებზე ბევრი საინტერესო მოსაზრება ჩამოაყალიბეს, რაც XXI საუკუნის მკითხველისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

ლაშა ბუღაძისა და ლაშა იმედაშვილის ნაწარმოებების გაცნობის შემდეგ, ნათელი ხდება, რომ ჩვენ წინაშე გამორჩეული პოსტმოდერნისტი მწერლები დგანან, რომლებიც მკითხველს უამრავ საინტერესო, მათთვის უცნობ მასალას აწვდიან XIX საუკუნის 60-იანი წლების გამორჩეულ მოვლენებსა და იმ პერიოდის თბილისზე.

ლიტერატურა:

1. ბუღაძე ლ. (2000): საუკუნის მკვლევლობა. მოთხრობებისა და პიესების კრებული. ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა. თბილისი
2. იმედაშვილი ლ. (2006): სამი მკვლევლობა ძველ თბილისში. უნივერსალი. თბილისი
3. შარაძე გ. (1990): ილია ჭავჭავაძე 1837-1907. ხელოვნება. თბილისი

The last day of Ilia Chvachavadze (interpret of postmodernism)

Dzneladze Sopiko

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Tbilisi

Abstract

At the ending of XIX and at the beginning of XXI, one the most important fact was a great turning of point in the history of Country. This fact has rised a lot of questions, XXI C is the informational epoch, but some questions are still questions and unanswered.

History is about murder of a distinguished public person, Ilia Chavchavadze. The fatal shooting happened 1907, 30 august, which has caused a great change for Georgian people. There

are many writings, theses about this fact, but history overestimates it in different ways.

modern writers such as: Zurab Gurumidze, lasha imedashvili, lasha bugadze and aka morchiladze, passed us postmodernist interpretation of the 60 s distinguished people.

Writing is tradition, every new generation is inheritor of every previous generation. the attitude style and form of the issues are changing. Modern Outhors express the past with different forms and styles.

History is the determinant of the modern writing, It is connective of the future. Ancient past, facts and histories are interesting issues for us and also for modern writers.

key words: history, postmodernizm, writer, epoch, murder

„ბეოვულფი და „ვეფხისტყაოსანი“ - ტიპოლოგიური ანალიზი

წურწუშია კობა

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი

გიორგაძე ნინო

იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი

DOI: <https://doi.org/10.52340/idw.2023.66>

აბსტრაქტი. როგორც ცნობილია, ლიტერატურათმცოდნეობა კვლევის სხვადასხვა მეთოდს იყენებს. მათ შორის უმნიშვნელოვანესია ისტორიულ-შედარებითი მეთოდი კომპარატივისტიკა, რომლის მიზანია სხვადასხვა ქვეყნის ლიტერატურული ტექსტების წარმოჩენა ზოგადსაკაცობრიო კულტურულ სივრცეში. მითოლოგიასა და ლიტერატურაში, ზღაპრებსა და ძველ წარმართულ პოეზიაში არსებობს ბევრი მარადიული სიუჟეტი, ეპიზოდები, პერსონაჟები, სახეები, რომლებიც მსგავსი და საერთო ნიშნებით ხასიათდებიან.

„ბეოვულფი“ და „ვეფხისტყაოსანი“ ბევრ საიდუმლოებას ინახავს. ორივე ტექსტის შრეებში ბოლომდე შეღწევა რთულია; ორივე ტექსტში არის ბევრი ენიგმურ-ტრანსცენდენტალური ნაკადი. ინდოეთი, არაბეთი და დანია დიდი კოსმიური და სულიერი ველია. აქ ვითარდება ზღაპრული და იდუმალეობით სავსე სცენები. ქაჯეთის ციხის აღება, დევებთან და ურჩხულებთან გამარჯვება, სიმბოლურად ძველი, წარმართული სამყაროს კვდომას და ახალი ეპოქის დაბადებას გულისხმობს.

წინამდებარე სტატია ეძღვნება ორი ტექსტის - „ბეოვულფისა“ და „ვეფხისტყაოსნის“ შეპირისპირებით ანალიზს, ტიპოლოგიურ კვლევას. ტიპოლოგიური კვლევა გულისხმობს სიტყვათა და წინადადებათა ტიპოლოგიას, პერსონაჟთა ტიპოლოგიას, აზრისა და სიუჟეტის ტიპოლოგიას. ორივე ტექსტის ენა და კომპოზიცია ჩვენი ყურადღების ქვეშ მოექცა. ამდენად, ტიპოლოგიური კვლევა გულისხმობს ორი შესადარებელი ტექსტის სიღრმისეულ შესწავლას. ნაშრომში მოცემულია ცდა ამ ორი ტექსტის სიუჟეტური პარალელების გამოვლენისა. ასეთ ტექსტებს არ გააჩნიათ დრო და ეპოქა, ამ სახის ტექსტებს აერთიანებთ მარადიული თემები, მაღალი ღირებულებები და იდეები.

საკვანძო სიტყვები: „ბეოვულფი“, „ვეფხისტყაოსანი“, ანგლო-საქსური ეპოსი, უნივერსალური, კომპარატივისტიკა, ტიპოლოგიური ძიებანი.

ხშირად სხვადასხვა ქვეყნების ლიტერატურული ტექსტები, პოეზიის ნიმუშები, მითოსური და ფოლკლორული პერსონაჟები, ფაბულა თუ სიუჟეტები საერთო და მსგავსი ნიშნებით ხასიათდებიან. ასეთი ტექსტები და პერსონაჟები საოცარ ტიპოლოგიურ მსგავსებას, ანალოგიებს, რემინისცენციებს, ნათესაურ და სულიერ კავშირებს ამჟღავნებენ. ეს „მომსგავსებები“ იძლევა პარალელების გავლენის, შეპირისპირებითი ანალიზის, ინტერტექსტუალური კვლევების ჩატარების საშუალებას.

„ბეოვულფი“ და „ვეფხისტყაოსანი“ უნივერსალური ტექსტებია. უნივერსალური ლიტერატურის საკითხი საკმაოდ აქტუალურია კომპარატივისტიკაში. უნივერსალური ლიტერატურა გულისხმობს საერთო მსგავსებისა და ნიშნების მქონე ტექსტების კვლევა-ძიებას. კომპარატივისტიკის აზრით, ამ სახის ტექსტები მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტში უნდა იქნეს შესწავლილ-გააზრებული და არა ვიწრო, ლოკალური თვალსაზრისით. ეს ბუნებრივიცაა! როდესაც ჩვენ ტიპოლოგიის პრინციპს მივმართავთ, შესადარებელი ლიტერატურის კომპოზიცია, სტრუქტურა, ისტორიული ფონი, ეპოქა, საფუძვლიანად შესწავლილი უნდა იქნეს. ხშირად შესადარებელი ლიტერატურული ტექსტები არ ემთხვევა ერთმანეთს თემატური და

ქანრობრივი თვალსაზრისით, მაგრამ ამ სახის ტექსტების გაერთიანება ხდება იდეათა რკალში. „ვეფხისტყაოსნისა“ და „ბეოვულფის“ ისტორიული ფონი არ ემთხვევა ერთმანეთს, ორივე ტექსტის არქიტექტონიკა რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისაგან, მაგრამ ამ ტექსტებს კრავს იდეოლოგია, მაღალი ღირებულებები, ეთიკური საკითხები. არქეტიპები, ინტერტექსტუალობა. დიახ, ხშირად სხვადასხვა ქვეყნის ლიტერატურულ ტექსტებს აერთიანებთ იდეოლოგია, ეროვნული, სოციალური, ეთიკური და ზნეობრივი საკითხები, ზოგადსაკაცობრიო პლასტები. ამ ტექსტებისა და პერსონაჟების ინტეგრირება ხდება იდეათა სფეროში. სწორედ ესაა ერთიანი სივრცე, რომელიც აერთიანებთ შოთა რუსთაველის პოემასა და ანგლო-საქსურ ეპოსს. ცხადია, ასეთი მხატვრული ტექსტები უნივერსალურობის მაღალი ნიშნით ხასიათდებიან.

ადრიან მარინო (1921-2005) ესეისტი და კრიტიკოსი, ლიტერატურის თეორეტიკოსი წერდა: „კომპარატივიზმის მამოძრავებელი ძალა არის ტიპოლოგიური კვლევა“ (მარინო, 2010:115). დღეს, თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებით აქტუალურია ტიპოლოგიური ძიებანი და კვლევები, პარალელები. თავისთავად, ტიპოლოგიური კვლევა გულისხმობს საკვლევი ტექსტების მრავალმხრივ ანალიზს, შეპირისპირებას და შესაბამისი დასკვნების გამოტანას. წარმოდგენილ პუბლიკაციაში პირველად არის განხილული ამ ორი ტექსტის შეპირისპირებითი ანალიზი. ზოგადად, ტიპოლოგიური კვლევების მიზანია დაადგინოს მსგავსება-სხვაობა ორ სხვადასხვა ტექსტს შორის. იმასაც დავძენთ, რომ ამ მხრივ კვლევები ხშირ შემთხვევაში ზოგადი ხასიათისაა. ამ სახის კვლევისას უმთავრესია სემანტიკური, ლექსიკური, ფრაზეოლოგიური, ინტონაციური კვლევები და რემინისცენციები.

ქართულ მწერლობაში ყოველთვის იგრძნობოდა „გადაძახილი“ ევროპულ და აღმოსავლურ კულტურასთან. „ვეფხისტყაოსნის“ ინტერტექსტუალობის საკითხი არაერთი ქართველი მეცნიერის კვლევის საგანი გამხდარა. აქვე შეუძლებელია არ ვახსენოთ ილია ჭავჭავაძის, მიხაკო წერეთლის, შალვა ნუცუბიძის, ვიქტორ ნოზაძის, ზურაბ კიკნაძის, ზვიად გამსახურდიას, მიხეილ ჩიქოვანის, ოთარ ჩხეიძისა და სხვათა შრომები (მიხაკო წერეთელმა საინტერესო პარალელები გაავლო „გილგამეშიანსა“ და „ვეფხისტყაოსანს“ შორის. იხ. გილგამეშიანი. მწერეთელის თარგმანი, კონსტანტინეპოლი, 1924 წელი. ასევე ოთარ ჩხეიძემ საინტერესო პარალელები გაავლო „ბეოვულფსა“ და ქართული ზეპირსიტყვიერების ერთი პოეტური შედეგს „იახსარს“ შორის იხ. წიგნი: რომანი და ისტორია. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“. თბ., 1965). ბოლოდროინდელი კვლევებიდან ყურადსაღებია ელგუჯა ხინთიბიძის მონოგრაფია „ვეფხისტყაოსანი შექსპირისა და მისი თანამედროვეების ინგლისურ დრამატურგიაში.“ მეცნიერის კვლევებით დასტურდება, რომ „ვეფხისტყაოსანს იცნობს და ლიტერატურულ წყაროდ იყენებს რენესანსის ეპოქის დასასრული ხანის ევროპის მაღალი ინტელიგენციის წრე, კერძოდ, XVI-XVII საუკუნეების დიდი ინგლისური დრამატურგია და მისი უდიდესი წარმომადგენელი უილიამ შექსპირი“ (ხინთიბიძე, 2016:3).

ელგუჯა ხინთიბიძის თვალსაზრისი უფრო ადრეული ხანით განსაზღვრავს რუსთაველის ადგილს ევროპულ ცივილიზაციაში, ვიდრე მანამდე არსებული კვლევებით დასტურდება.

„ბეოვულფი“ ადრექრისტიანული ხანის ეპიკური პოემაა. მასში იკითხება „დასაბამიერი მეხსიერება“ (მ.ელიადე). ეს საკრალური ტექსტია, სადაც წარმართული ღვთაებები და ქრისტიანული ნარატივები ერთმანეთს კვეთს. ტექსტის ავტორი უცნობია. ტექსტი შუა საუკუნეების ძველსაქსონური ეპოსის ყველაზე ადრეულ ნიმუშად ითვლება. ნაწარმოები შეიცავს 3182 სტრიქონს და მოგვითხრობს მთავარი გმირის ბეოვულფის საგმირო საქმეების შესახებ. ტექსტში მოქმედება VI საუკუნეში - სკანდინავიაში ვითარდება, წარმართულ ხანაში, თუმცა მასში შესულია ქრისტიანული ნარატივები. როგორც მკვლევარები აღნიშნავენ, ეს ინტერპოლატორთა მიერაა შევსებული, მაგრამ ეს არ ცვლის ტექსტის ძირითად სურათს. ტექსტი შექმნილი უნდა იყოს VII-VIII საუკუნეებში, მაგრამ ჩვენამდე მოღწეულია X საუკუნის ხელნაწერით. იმასაც დავძენთ, რომ ტექსტში ზოგჯერ მშრალ ეპიზოდებს მოსდევს ღრმა ქვეტექსტები. ამჟამად ტექსტი ინახება ლონდონის ხელნაწერთა მუზეუმში. ინგლისელი მწერალი, ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი, ანგლო-საქსური ენის მკვლევარი ჯ.რ.რ.ტოლკინი თავის ცნობილ ნაშრომში სამართლიანად აღნიშნავდა: „ბეოვულფი“ არის

მთელი ცივილიზაციის სურათი...მნიშვნელოვანი ისტორიული დოკუმენტი“ (Tolkien,1936:1). აქვე იმასაც დავძენთ, რომ ყოველი ეპიკური ნაწარმოები დაწერილია გარკვეული ეპოქის ფონზე და ამ ეპოქის ძირითად პრობლემებს გამოხატავს.

„ვეფხისტყაოსანი“ ღირებულებათა უშრეტი წყაროა, ეროვნული ძირებიდან ამოზრდილი. მასში გამოკვეთილია მარადიული თემები. მის შრეებში მთლიანად განფენილია შუასაუკუნეებისა და აღორძინების ხანის ცივილიზაცია. გაჯერებულია სოკრატეს, პლატონისა და არისტოტელეს კონცეფციებით; ამავე დროს, დასავლური და აღმოსავლური კულტურის სინთეზს წარმოადგენს. შოთა რუსთაველი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა საქართველოს ისტორიის „ოქროს ხანაში“. სამწუხაროდ, ამ გამორჩეულმა ეპოქამ ვერ უზრუნველყო უდიდესი შემოქმედის ბიოგრაფიული ცნობების შემონახვაც კი. რუსთაველი არ იხსენიება არც უმნიშვნელოვანეს ისტორიულ წყაროებში. მის შესახებ ცნობები XVI საუკუნემდე არ ფიქსირდება. მერე და მერე იკვეთება ინტერესი მწერლის შესახებ (ს. საბაშვილი, თეიმურაზ პირველი, არჩილი, ვახტანგ მეექვსე, ანტონ პირველი და ა.შ.). ქართული ლიტერატურის ისტორიაში თეიმურაზი პირველია, რომელიც რუსთაველს სახელით იხსენიებს, მანამდე ესეც უცნობი იყო.

ჩვენამდე მოღწეულია „ვეფხისტყაოსნის 162 ხელნაწერი და 32 ფრაგმენტი. მისი პირველი ბეჭდური გამოცემა და რუსთველოლოგიური კვლევების დასაბამი უკავშირდება ვახტანგ მეექვსეს. მის მიერ 1712 წელს გამოცემულმა პოემამ, რომელსაც თან ერთვოდა მეფე-პოეტის კომენტარები, საფუძველი ჩაუყარა რუსთველოლოგიურ მეცნიერებას. ვახტანგ მეექვსე იყო პირველი, რომელმაც პოემის სიუჟეტის ორიგინალობა აღიარა; ასევე, ყურადღება გაამახვილა რუსთაველის ქრისტიანულ მსოფლმხედველობაზე. მეფე-კომენტატორმა დროს გაუსწრო, რაც თანამედროვე რუსთველოლოგიური კვლევებითაც დასტურდება. „ვეფხისტყაოსნის“ საფუძვლიან გაცნობას მივყავართ დასკვნამდე, რომ მისი ავტორი ყოფილა ქართულ ბიბლიაზე აღზრდილი, ქართული სასულიერო მწერლობის მცოდნე. მართალია, ნაწარმოებში არ იხსენიება ქრისტე-მაცხოვარი, არც ღვთისმშობელი თუ ქრისტიანი წმინდანები, მაგრამ პოეტის მიერ მოხმობილი ქრისტიანული ცნებები („ერთ-არსება ერთი“, „უჟამო ჟამი“, „მზიანი ღამე“) აშკარად მეტყველებს მის ქრისტიანობაზე: „ერთ-არსება ერთი“ ხომ სამებას გულისხმობს, „უჟამო ჟამი“ და „მზიანი ღამე“ ქრისტეს ორბუნებოვნების გამომხატველია“ (მოსია, 2016:15).

„ვეფხისტყაოსნის“ თარგმნის ისტორიას საფუძველი 1802 წლიდან ეყრება. ბოლხოვიტინოვის მიერ რუსულად ნათარგმნი ერთი სტროფი იქცა ათვლის წერტილად. რუსულ ენაზე „ვეფხისტყაოსნის“ საუკეთესო თარგმანებადაა მიჩნეული: კ. ბალმონტის, ნ. ზაბოლოცკის, პ. პეტრენკოს, შ. ნუცუბიძის, გ. ცაგარელის თარგმანები; პოემა არაერთგზის ითარგმნა ინგლისურ ენაზე (მარჯორი უორდროპი, რობერტ სტივენსონი, ვენერა ურუშაძე, ქეთრინ ვივიანი; 2015 წელს ვეფხისტყაოსანი ითარგმნა ლინ კოფინის მიერ. ესაა პირველი იგლისურენოვანი თარგმანი, რომელშიც პოემა იმავე სალექსო ფორმით, შაირითაა ნათარგმნი...), ფრანგულ ენაზე (მარი ბროსე, იონა მეუნარგია...), გერმანულ ენაზე (არტურ ლაისტი, ჰუგო ჰუბერტი...), უკრაინულ ენაზე (მიკოლა ბაჟანი) და სხვ.

„ვეფხისტყაოსანის“ თარგმნამ ხელი შეუწყო რუსთველოლოგიურ კვლევებს ქვეყნის გარეთაც. იწერებოდა შესანიშნავი გამოკვლევები რუსთაველის მსოფლმხედველობრივ-ფილოსოფიურ შეხედულებებზე, ავტორის ვინაობასა და სიუჟეტის წარმომავლობაზე, პოემაში აღწერილი ამბების ნამდვილობასა და ქართულ რეალობასთან კავშირზე.

„ბეოვულფი“ დიდი პოემაა“- წერდა ბარტონ რაფელი („ბეოვულფი“,2019:147). მასში გამოკვეთილია ბოროტებისა და სიკეთეთის თემა. პოემაში არის ბევრი ჩანართი, ეპიზოდი, გადახვევა, რომლებსაც ბეოვულფის მაგისტრალურ სიუჟეტთან კავშირი არ აქვთ. აქედან გამომდინარე, ტექსტი შეკრული და მთლიანი არაა. ტექსტში იგრძნობა კლასიკური მსოფლიო ზღაპრების ნარატივები. გრენდელი ანთროპომორფული არსებაა, ნახევრად კაცი, ნახევრად ურჩხული, ადამიანის გარეგნობის მსგავსი გველეშაპი - კაენის შთამომავალი. ანთროპომორფული თვისებების მქონე დემონურ არსებასთან შეხებისა და ბრძოლის ეპიზოდები არაერთი ხალხის ფოლკლორსა და ზეპირსიტყვიერებაში დასტურდება. გრენდელი ბოროტების, სიბნელისა და უსამართლობის სიმბოლოა, როგორც ქაჯეთის ციხე. ჭაობის ბინადარი

გველშაპი დანას განადგურებითა ემუქრება. იგი იკვებება ადამიანებით, სპობს ცოცხალ არსებაებას. გველშაპის მიერ დანიის დაპყრობა უბრალო ფაქტი როდია! კაცობრიობის მტერი - „ძველი გველი“ ეპატრონება ადამიანებს, იკვებება მათი სისხლით, ანადგურებს ადამიანთა მოდემას - ღვთის ხატებას. ზოგადად, სამყაროს ემუქრება წალეკვით.

როგორია ის პარალელები, ტიპოლოგიური ალუზიები, ასოციაციები, შეხების წერტილები, რომლებიც საერთოა ამ ორი ტექსტისთვის. ნაშრომში მოცემულია ცდა ამ ორი ტექსტის სიუჟეტური პარალელების გამოვლენისა. ორივე ტექსტის პერსონაჟები დიდსა და გადაულახავ დაბრკოლებებს სძლევენ და ასე აღწევენ სანუკვარ მიზანს. როგორც ერთ, ისე მეორე ნაწარმოებში წარმოდგენილია სამეფო კარი, მთელი თავისი მრავალფეროვნებით; წამოწეულია მარადიული თემები - სიკეთისა და ბოროტების თემა. სიკვდილ-სიცოცხლის ენიგმა, სახელისათვის ბრძოლა, მეფისადმი უანგარო მსახურება, სამშობლოსა და ხალხისადმი ზრუნვა და თავდადება.

ადამიანი შემეცნებისათვის იბადება. უზენაესი არსება ღმერთია. იგია სამყაროს შემოქმედი, ხილული და უხილავი სამყაროს პირველმზიეზი. ამავე დროს, ღმერთი არის საწყისი და წყარო სიყვარულისა: „ვისაც არ უყვარს, მას არ შეუცვნია ღმერთი, ვინაიდან ღმერთი სიყვარულია“ (1იოანე.4:8). ათენელი ფილოსოფოსი პლატონი ბრძანებს: „სიყვარული წყურვილია უკვდავებისა“ (პლატონი,1966:4). კოსმიური ჰარმონია დაირღვა მაშინ, როდესაც ადამიანმა აკრძალულ ნაყოფს გაუსინჯა გემო. ამით ადამიანმა დაკარგა „ღვთის ხატობა“.

ორივე ავტორი მთლიან და ჰარმონიულ სამყაროს განადიდებს. ანგლო-საქსური ეპოსის ავტორი და შოთა რუსთაველი გვესაუბრება სამყაროს კოსმოგონიაზე. ეს არის ორივე ტექსტის ის ძირითადი მაგისტრალური ხაზი, რომელიც განსაზღვრავს ამ ორი ტექსტის უნივერსალურობას. „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგში შოთა რუსთაველი განადიდებს სამყაროს შემოქმედს:

„რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა,
ზეგარდმო არსნი სულითა ყვნა ზეცით მონაბერითა,
ჩვენ, კაცთა, მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა,
მისგან არს ყოვლი ხელმწიფე სახითა მის მიერითა“ (რუსთაველი,1991:5).

პოემის პირველი სიტყვა „რომელმან“ ღვთაების ნაცვალსახელია. ეს ერთგვარი პოეტური ხერხია, რაც ჰიმნოგრაფიაშიც არაერთგზის დასტურდება და ძველი აღთქმის წიგნებშიც.

კოსმოგენია - სამყაროს დაბადება მითოლოგიურ, ფილოსოფიურ და ბიბლიურ სქემაზეა აგებული. იგი იძლევა სამყაროს სურათს და არკვევს ადამიანის ადგილსა და დანიშნულებას კოსმოსში. ამ საკითხთა ირგვლივ ადამიანები უძველესი დროიდან დაინტერესებული იყვნენ. ანტიკური ეპოქის ცნობილი პოეტი-რაფსოდი ჰესიოდე იძლევა ღრმა და საინტერესო მსჯელობას სამყაროს წარმოშობაზე. ამ თემას მან მიუძღვნა თავისი ცნობილი პოემა „თეოგონია“. აქ ჰესიოდე გვესაუბრება სამყაროს დაბადებაზე, გადმოცემულია მითიური ისტორია სამყაროს შექმნაზე, ოლიმპოს ღმერთების გენეალოგიაზე. ამდენად, კოსმოგენია სამყაროს წარმოშობისა და დაბადების თეორიულ მსჯელობას გულისხმობს.

პლატონიც, ათენის აკადემიის დამფუძნებელი, „ტიმეოსში“ გვესაუბრება მარადიულ თემებზე, სამყაროს დაბადებაზე, კოსმოლოგიაზე, „სულის წრებრუნვაზე“. სამყაროს დაბადება - კოსმოლოგია, ყოფიერების გენეზისი, პლატონის შემეცნების უმთავრესი თემაა. პლატონის კონცეფციის თანახმად „კოსმოსი ყველაზე მშვენიერია დაბადებულთა შორის, ხოლო მისი შემოქმედი - ყველაზე უკეთესი მიზეზთა შორის... კოსმოსი მშვენიერია, ხოლო მისი დემიურგოსი - კეთილი („ტიმეოსი“,1994:289). ცხადია, მითებისა და ლეგენდების, ფილოსოფიური კონცეფციების გარეშე შეუძლებელია ამ საკითხთა ირგვლივ მსჯელობა.

ღმერთმა სამყარო სრულყოფილი სახით შექმნა. ადამიანის დაცემამ სამყარო რადიკალურად შეცვალა. ქვეყნად სიკვდილი შემოვიდა. „დაბადება“ ყველაზე კოსმიური სიტყვაა სიტყვათა ხომლში. სამყაროს შექმნა დაბადებით იწყება. ძველი აღთქმაც დაბადებით იწყება. როგორი იყო პირველი სამყარო? „შესაქმეს“ ავტორი გვეუბნება, რომ სამყაროს დაბადების ბოლო დღეს ღმერთმა ადამიანი შექმნა „თავის ხატად და მსგავსად (დაბ.1,26). ადამიანის არსებობა, მისი ღვთაებრივი ხატება არის უდიდესი სიკეთე. ყველაზე დიდი სიკეთე

უფალია, მისი მეტაფიზიკური განზომილება, მაგრამ ყველაზე დიდი სიკეთე „ცოდვით დაცემული“ კაცობრიობისათვის ბეთლემში იესო ქრისტეს დაბადება იყო. ღმერთმა როდესაც დაასრულა ცისა და მიწის „მორთულობა“, ადამიანს მისცა ნება უპატრონოს და „დაეუფლოს სამყაროს“, მეტიც, ადამიანს უნდა დაეცვა სამყარო (დაბ.2,15). ამდენად, სამყაროს მეტამორფოზა ღვთის ხატად შექმნილი ადამიანით უნდა დაწყებულიყო. მაგრამ დაბადებას მოსდევს დაცემა, ურჩობა და წარღვნა, პირველი ადამიანების სამოთხიდან განდევნა.

ორივე ავტორი სამყაროს მთლიანობას უგალობს, სამყაროს დაფარული შრეებისაკენ მიილტვიან. უნივერსუმი - მთლიანი სამყარო ღმერთმა ადამიანს უბოძა. ანგლო-საქსური ეპოსის გმირი და შოთა რუსთაველის პერსონაჟები უნივერსალური სამყაროს ნაწილები არიან. მათი მისია საკაცობრიოა. ისინი ღვთის ხატად და მსგავსად შექმნილი ზე-ადამიანები არიან. მათი მისია გამორჩეულია. მათ დაევაღათ სამყაროს გამოხსნა ბოროტი ძალებისაგან. ამ პერსონაჟების სიკეთე რელიგიურობით არ შემოიფარგლება. ეს სიკეთე რელიგიაზე უფრო აღმატებულია. პლატონის კონცეფციის თანახმად, სიკეთე არის ყველაფრის ძირი და სათავე: „იდეათა შორის ყველაზე უმაღლესი, იდეათა იდეა არის სიკეთე“ („ნადიმი“, 1966:65). პლატონი თავის დებულებას ასე განავრცობს: იდეათა სათავეში დგას ერთი იდეა - სიკეთე, რომლის ქვემოთ განლაგებულია სხვა იდეები: სიბრძნე, გონიერება, სამართლიანობა, ვაჟკაცობა, მშვენიერება. ეს პერსონაჟები მუდმივად შემეცნება-გარდასახვის ეტაპებს გადიან. ამიტომაც აღწევენ მიზნებს. ისინი ზოგადსაკაცობრიო იდეებისათვის თავშეწირული მეომრები არიან. და უმთავრესი - ადამიანმა საკუთარ თავში უნდა აღმოაჩინოს სამყარო. ორივე ტექსტში უმთავრესია სამყაროსა და ადამიანის უნივერსალურობის საკითხი.

ორივე ტექსტში სამყარო წარმოდგენილია როგორც მთლიანი ცოცხალი კოსმიური სივრცე. ეს თვითმზარდი ლოგოსური სამყაროა. „სამყარო ცოცხალი არსებაა“-ჯერ კიდევ თალესმა ბრძანა უძველეს დროში. პლატონიც ამასვე ადასტურებს: „უნდა ვაღიაროთ, რომ ეს ჩვენი კოსმოსი არის სულითა და გონიერებით მოსილი ცოცხალი არსი, და რომ ის დაიბადა ჭეშმარიტად ღვთიური წინასწარხედვის წყალობით“ („ტიმეოსი“, 1994:290). ამ ერთიანი სამყაროს მამოძრავებელი ძალა სიკეთე და სიყვარულია. ამას ბრძანებს რენესანსული ეპოქის დიდი მწერალი დანტე ალიგიერი. დანტეს კონცეფციის თანახმად, სამყაროს სიკეთე და სიყვარული მართავს. სამყაროში სიყვარულის ძალით მოძრაობენ მზეც და ციური მნათობნი: „იმ სიყვარულით, რაც აბრუნებს მზეს და ვარსკვლავებს“ („ღვთაებრივი კომედია“, სამოთხე, ქება 33). ამ ერთიანი, ლოგოსური სამყაროს გადარჩენისათვის ისწრაფიან ანგლო-საქსური და შოთა რუსთაველის პერსონაჟები. ეს პერსონაჟები გრძნობენ სულიერ კავშირს სამყაროს პირველმიზეზთან. ისინი უნივერსუმის - მთლიანი სამყაროს ნაწილი არიან.

ბეოვულფის ექსპოზიციის უცნობი ავტორი „სამყაროს დაბადების“ სრულ სცენებს გვიხატავს. ამით ის უახლოვდება ბიბლიის პირველ წიგნს - დაბადებას. მგოსანი უგალობს სამყაროს შემომქმედს, დასაბამს ჩვენსას. ვინც შექმნა მშვენიერი ველები, ხმელეთი, ოკეანეები, მზე და მთვარე, ერები, რომლებსაც თავთავისი სახე უბოძა. უცნობი ავტორი დასძენს: ჰროთგარის სასახლეში მგოსნები „ქნარს აჟღერებდნენ გატაცებით“ :

„და მგოსნის წმინდა სიმღერა
უგალობდა დასაბამს ჩვენსას.
მოიხსენებდნენ არსთაგამრიგეს, რომელმან
შექმნა ხმელეთი და
მშვენიერ ველებს ოკეანენი გარსშემოავლო,
მერე ამაყად დაასვენა მზე და მთვარე,
მთელ ხმელეთს რომ ასხივოსნებენ.
ამოზარდა ირგვლივ ხეები, გააფოთლა და
ააყვავილა,

შექმნა ერები, თავთავისი სახე უბოძა...“ („ბეოვულფი“, 2019:5).

ანგლო-საქსურ ეპოსში სხვა ეპიზოდებთან ერთად ეს ტაეპი არის ერთ-ერთი ყველაზე საყურადღებო ეპიზოდი. „სამყაროს საგალობლით“ აღტაცებული ბარტონ რაფელი დასძენს: „ვინც ეს დაწერა, ნამდვილი ქრისტიანი იყო...პოემა აღვსილია ქრისტიანული გრძნობებით...“

(„ბეოვულფი“, 2019:154). ტექსტში გაიელვებს „მსოფლიოს მბრძანებელი“ – „ვინც ჟამსა და წელიწადის დროებსა მართავს და ვინც ღმერთია ჭემმარიტი“. დიახ, ჭემმარიტი ღმერთის მეტაფორული ხატიც გაიელვებს „ბეოვულფში“.

„ბეოვულფის“ დეკონსტრუქცია ცხადყოფს, რომ ტექსტი შუა საუკუნეების ანგლო-საქსების ცივილიზაციას სქემატურად გადმოქცევს. ტექსტის დასაწყისშივე პოემის უცნობი ავტორი დასძენს:

„ისმინეთ, რაც რამ დანიელებს გადახდენიათ,
უხსოვარ დროში დიდება ვით მოიპოვეს...“

ეს ამონარიდი უკვე ბევრ ინფორმაციას იძლევა. უცნობ ავტორს გადავყავართ უხსოვარ დროში. ეს არქეტიპული მეხსიერებაა. მითოსური შრეა და ამ მითოსურ სქემაზეა აგებული მთელი ეპოსი. აქვე ავტორი მოგვიწოდებს მოვისმინოთ დანიელების ამბავი, რომელიც მათ თავს გადახდენიათ.

რა გადახდენიათ დანიელებს?

დანიის სამეფო გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდება. თითქოს გამოსავალი არსაიდან ჩანს! ირკვევა, რომ ეს მათი სასჯელია, რადგან დაივიწყეს ღმერთი ცისა და დედამიწის, სამყაროს შემომქმედი. შიშისაგან ზარდაცემულნი „მსხვერპლს სწირავდნენ ძველი ქვის ღვთაებებს, ლოცულობდნენ წარმართებით, ჯოჯოხეთის დახმარებას იმედოვნებდნენ“, „ყურნი მათნი ღვთის სადიდებელს ვეღარ ისმენდნენ, აღარც მისი ძალისა სწამდათ“ („ბეოვულფი“, 2019:9).

აი, მათი სასჯელი! აი, ღვთის რისხვა!

მათ სასჯელად ევლინება ჭაობის ბინადარი გველეშაპი, „ძველი გველი“. ეს ის ძველი გველია, რომლის შესახებაც წმინდა წერილში ვკითხულობთ: „გადმოგდებული იქნა დიდი გველეშაპი, ძველი გველი, რომელსაც ეშმაკი და სატანა ჰქვია, მთელი წუთისოფლის მაცდუნებელი“ (გამოცხ.12.9). გრენდელი აპოკალიფსური ცხოველია, რომელიც შთანთქმით ემუქრება სამყაროს. უცნობი ავტორი მწუხარებით დასძენს: „გაიმარჯვა ბოროტებამ, გრენდელს ზეობის ხანა დაუდგა...დაცარიელდა ასე ჰეროთი, გამოყრუვდა, გავერანდა“.

ირკვევა, რომ გრენდელი „კაენის თესლისაა“, ღვთით დაწყევლილი, რომელიც „წკვარამში შობეს ორთა ურჩხულთა“, „ბუნაგად ჯოჯოხეთი ჰქონდა“. ავტორი გრენდელს მოიხსენიებს დემონისა და სატანას სახით: „ო, ის დემონი, ო, ის სატანა...“ და იქვე ავტორი დასძენს:

„ყოვლისმეუფემ განაძევა ეს დემონები
მწარე იყო მათი განდევნა,
და კაცთაგან მოცილებულნი
მრავალნაირ ცოდვად გადაიქცნენ -
ზოგნი სულეზად, სატანებად, გოლიათებად,
გველეშაპებად, ზოგნი ჭინკებად,
ეს ის თესლია, ღვთის ნებას მუდამ წინ უდგას,
სულ რომ მარცხდება, ეს ის თესლია“ („ბეოვულფი“, 2019:5-6).

ბეოვულფს, გითთა შორის უძლიერესს, ესმა თუარა გველეშაპის ავი საქმენი, დანიელებთან წასვლა ისურვა თავის უმამაცეს მეომრებთან ერთად. ირკვევა, რომ ბეოვულფი არის უფლისწული, „შვედეთს შობილი“, სახელგანთქმული სიბრძნითა და ძალგულოვნებით. ავთანდილისა და ტარიელის მსგავსად ისიც მნახველზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა. მაცნე დანიის მეფეს ბეოვულფის ვინაობას ასე აღუწერს: „უებრო კაცს ჰგავს, მძლავრსა და ბრძენს ის ბეოვულფი“. ის ბრძოლის ველზე მუდამ ვაჟკაცობისა და თავგანწირვის მაგალითს უჩვენებდა მეომრებს. მეტიც, „მკლავებით ოცდაათი კაცის ღონეს დაიტევდა“. დანიის მეფეს ბეოვულფი ასე მოუთხრობს თავის სიმამაცეზე:

„ხუთი ვეება გოლიათი ჯაჭვით დამიბავს...
ოკეანეში - ღამის წყვდიადში - ურჩხულებზედ მინადირია,
ვხოცე და ვმუსრე ურჩხულები, ერთსაც რომ არ გაეკაჭანა,
და მიზანი ჩემი ეს იყო“ („ბეოვულფი“, 2019:19).

აქვე გვახსენდება ლომებთან და ვეფხვებთან მებრძოლი ტაერიელი. მეტიც, ტარიელი

დევებთან ბრძოლის ეპიზოდს ავთანდილს ასე უამბობს: „გიაშობ რასმე ამბავსა... მე ოდეს ქვაბნი წავუხვენი, დავხოცე დევთა დასები“ (რუსთაველი, 1991:273).

პოემაში ბეოვულფი ერთგან ასეა დახასიათებული: „ბეოვულფი სულ სხვა მოყმეა, ყველასათვის საყვარელი, სამეგობრო და მისანდობი“ (ტაეპი:910). ბეოვულფი ისეთივე ზეადამიანია, როგორც გილგამეში, ზიგფრიდი, ტარიელი და ავთანდილი.

ამ სულიერ დაცემას განახლება უნდა მოჰყვეს. ტბა, სადაც გრენდელი ცხოვრობს ნამდვილი ჯოჯოხეთია, იდუმალებით მოცული ადგილი: „ჩირაღდანივით იწვის ტბა ღამით. სიღრმე მისი არავინ უწყის; ვერვის გონება ასეთ სიღრმეთ ვერ ჩასწვდომია“ (ტაეპი:1365). ბეოვულფი ჩადის „ჰადესში“ - ტბაში და ბოლოს მოუღებს ბოროტებას. „ჯოჯოხეთი გაიხსნება მის მისაღებად“. სიბნელე-წყვდიადიდან სინათლე-ნათელში ამოდის და უცებ: „კამკაშა შუქი გადმოედვარა ირგვლივ ყველაფერს, თითქოს რაღაც აენთო, იწვოდა, ისე ელვარე, ვითარცა სანთელი, დანთებული მაღლა ზეცაში“ (ტაეპი:1570). სასიკვდილოდ დაჭრილი მითოსური ცხოველი დედამიწაზე ასრულებს არსებობას, რაც სიმბოლურად სიკეთის გამარჯვებას გულისხმობს.

ეს ადგილი არის ტექსტის ყველაზე ღრმა შრე. ტექსტის სიღრმე უფრო იზრდება, როდესაც ბეოვულფი ტბაში ჩადის. ტბაში ხდება მისი გარდასახვა. მას ღმერთებმა უნდა აღმოუჩინონ დახმარება, ძლეულ უნდა იქნეს ბოროტება. შუმერულ-ბაბილონური ეპოსის პერსონაჟის - გილგამეშის მსგავსად ბეოვულფმაც „სიღრმე იხილა“ როდესაც ტბაში ჩადის და ბოროტებას ამარცხებს. „სიღრმეში“ ჩასვლით ბეოვულფმა იხილა ადამიანის სიდიადე, ბოროტების სიმწირე და სიკეთის მარადიულობა. სხვანაირად მისი ჩასვლა ტბაში იქნებოდა ფაქტის უბრალო კონსტატაცია. გველეშაპის სიკვდილით იგრევა ძველი წარმართული სამყარო და იბადება ახალი სამყარო - ქრისტიანული, ახალი ფასეულობებითა და ტრადიციებით.

ანალოგიურად, ქაჯეთის ციხის აღება, სიმბოლურად ბოროტების და სიბნელის დამარცხებას ნიშნავს. ქაჯეთის ციხე ძველი წარმართული ეპოქის სიმბოლოა, სადაც მეფობს უსამართლობა, უვიცობა, ანგარება. ქაჯეთის ციხის დაცემით ახალი რენესანსული ფასეულობები და კულტურა მკვიდრდება. იწყება ახალი ცივილიზაცია, რომელმაც ბევრი სასიკეთო ცვლილება და განახლება უნდა მოუტანოს ადამიანს. დიახ, უნდა დაეცეს ქაჯეთის ციხე, როგორც ბოროტების ბუდე - ესაა რუსთაველის უმთავრესი სათქმელია.

ბეოვულფი და ვიგლავი ერთობლივი ძალისხმევით ამარცხებენ ურჩხულს: „ორი ღირსეული ბიძაშვილი გაერთიანდა და მოეღო ბოლო გველეშაპს“. და აქვე, ავტორი გახარებული ორთა გმირთა ძლიერებით, იტყვის:

„და რაც მათ ქნეს, ყველამ უნდა ჩაიდინოს,
ოდეს დრო მოვა! უკანასკნელი იყო ეს ძლევა,
ბეოვულფმა რომ მოიპოვა. დასასრული
სიცოცხლის და სიდიადისა“ (ტაეპი: 2705-2710).

„ვეფხისტყაოსანშიც“ ქაჯეთის ციხის აღება დიდი მსხვერპლისა და თავგანწირვის ფასად ხდება. „სამთა გმირთა“ ტარიელის, ავთანდილისა და ფრიდონის ერთობლივი ძალისხმევით. ქაჯეთის ციხის აღებას უვნებლად გადარჩენილი გმირები ზეიმობენ, მათ გამარჯვებას იზიარებს ხალხი, დიდ ტკივილს მოსდევს სახალხო ზეიმი, სიხარული, ქორწილი. გითეები კი გლოვობენ სახელოვანი მეფის გარდაცვალებას, რადგან იციან, როგორც კი მტრები შეიტყობენ უწინამძღოლოდ დარჩა გითლენდი, ომი გარდაუვალა: „ამბები ხომ სწრაფად ვრცელდება და ახლა ბრძოლას უნდა ველოდოთ, შეიტყობენ ფრანკები და ფრიზიელები ჩვენი მეფის სიკვდილის ამბავს, უწინამძღოლოდ დარჩნენ გითეები...“

„გითი მოყმენი, თავის საყვარელ მეფეს გლოვობდნენ,
მოთქმით ტიროდნენ, უკეთეს მეფეს არასდროს
რომ არ უცხოვრია,
არც უფლისწულს ასე მოწყალეს, არც კაცს, ასე
გადაგებულს
თავის ხალხისთვის, ღირსს ყოველგვარი
ხოტბა-დიდების“ (ტაეპი:3180).

დიახ, გველემშაპის მიერ დანიის დაპყრობა უბრალო ფაქტი როდია. დანია დიდი სულიერი და კოსმიური ველია. დანია უნდა გადარჩეს! ესაა მწერლის უმთავრესი სათქმელი. ინდოეთი და არაბეთი უნდა გადარჩეს! სიყვარული და მეგობრობა, ძმობა, სამშობლო,- ესაა რუსთაველის სათქმელი. „ბეოვულფის“ პოეტური გამოცემის ბოლოსიტყვაობაში რობერტ კრიდი სამართლიანად აღნიშნავდა: „იგი ებრძვის და ამარცხებს გრენდელს, რაც იმწამისათვის მთელი სამყაროს სიმბოლოდ იქცევა“ (**„ბეოვულფი“**,2019:384). „რაც დაიქადა, აუსრულა დანიელებს დანაქადები“-გვითხულობთ 829-ე ტაეპში და იქვე:

„გითთა უფლისწულმა მოკლა გრენდელი და
ბოლო მოუღო სევდას, ჭმუნვას, უილაჯობას,
უმწეო ხალხს რომ დასტყდომოდა
სისხლისმსმელი დემონისაგან“ (ტაეპი:825).

ეს გამარჯვება მხოლოდ დანიელების არაა! სამყაროს გამარჯვებაა! სიკეთის მარადიული ზეიმი. სწორედ ეს და სხვა ეპიზოდები მოწმობენ, რომ ბეოვულფი ქრისტიანი მხედარია. ის ებრძვის ბოროტებას და ამით ერთიანი სამყარო ხარობს. ანალოგიურად, ქაჯეთის ციხის დაცემა ბოროტების დამარცხებას გულისხმობს.

ბეოვულფმა იცის, რომ სიკვდილი გარდაუვალი ხვედრია. ეს ადამიანური ბუნების განაჩენია! ამიტომაც ამბობს: „ქვეყნად არცერთი კაცთაგანი სიკვდილს ჯერ არ გადარჩენია“, ამიტომაც ადამიანმა ამქვეყნად სახელი უნდა მოიხვეჭოს, რადგან ესაა ყველაზე სანუკვარი რამ, რაც სიკვდილის შემდეგ რჩება წუთისოფელში. „ბეოვულფისა“ და რუსთაველის პერსონაჟები წარმავალი და დროებითი სახელის მოსახვეჭად არ იღვწვიან, ისინი არ ეძებენ წუთისოფლის სიმდიდრეს. ცხადია, სახელგატეხილი და შერცხვენილი ადამიანი ვერ იქნება ღმერთის მოსაწონი. ამიტომაც ადამიანმა სიცოცხლეშივე უნდა დატოვოს ნათელი კვალი, გმირობისა და ვაჟკაცობის მაგალითი;

„ვინც სახელს ეძებს, ჰპოვებს კიდევ,
სხვა რა დაგვრჩება სიკვდილის შემდეგ,
სახელი მხოლოდ“ .

„ვისაც სახელი სწყურია, არაფერს შეუშინდება“ .

აქვე გვახსენდება შოთა რუსთაველის ცნობილი გამონათქვამი:

„სჯობს სიცოცხლესა ნამრახსა, სიკვდილი სახელოვანი“,
„სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველთა მოსახვეჭელსა“.

საყურადღებოა ტექსტში ერთი ადგილი. ბეოვულფმა როდესაც გადაიხადა დიდი ბრძოლა ტბის ფსკერზე და გამარჯვება მოიპოვა, გველემშაპთა ბინაში აღმოაჩენს, რომ მათი სადგომი ძვირფასი განძით იყო სავსე, მაგრამ გმირი განძს ხელს არ ახლებს. მხოლოდ ტბიდან ამოაქვს: „მდიდრული განძით იყო სავსე ურჩხულის ბინა, თუმც ბეოვულფმა გრენდელის თავი წამოიღო და გოლიათთა ნაჭედი ხმლის ტარი“ (ტაეპი:1610).

ასევე საგულისხმოა ტექსტში ის ეპიზოდი, როდესაც მამაცი ბეოვულფი ცელხლისმრქვეველ ურჩხულთან შებრძოლებისას კვდება. ბიძაშვილს ვიგლავს სთხოვს, რომ კოშკიდან წამოიღოს ურჩხულის ნაქონი უძველესი ხანის საგანძური, წარმართული ხანის ოქრო, ძვირფასი თასი - მოოჭვილი ძვირფასი თვლებით. ვიგლავმა შეუსრულა მას ეს სურვილი. ურჩხულის დიდძალი განძი, ოქრო-ვერცხლი, ძვირფასი თვლები საზიდარზე მოქურჩეს და ბეოვულფს მოუტანეს. მომაკვდავმა მამაცმა გითმა, როდესაც მოავლო თვალი უზარმაზარ განძს ნაწყვეტ-ნაწყვეტ ამოთქვა:

„ამ ოქროსთვის, ძვირფასი თვლებისთვის
მადლობას ვწირავ
ზეციურ მამას, მწყემსს ამ ქვეყნისას -
ყველაფრისათვის, რაც მიბოძა,
შემამლებინა მიმეტანა ჩემი ხალხისთვის...
მე გავიღე სიცოცხლე ჩემი
ამ განძისათვის და კარგიც ვქენი“ (**ბეოვულფი**,2019:129).

გითეები, ურჩხულის ნაქონ დიდძალ განძს, თავიანთი გმირი და სახელოვანი მეფის

სამკვლევარ ტოვებენ, რადგან განძი სწორუპოვარი მეფის სისხლითაა მოპოვებული. მისი გამოყენება შეუძლებელია, როგორც ოცდაათი ვერცხლის, რომელიც მაცხოვრის მოსასყიდი შეიქმნება.

რა ხდება ქაჯეთის ციხის აღებისას? რა განძს ეუფლებიან შოთა რუსთაველის პერსონაჟები მტრის განადგურების შემდეგ? ქაჯეთის ციხის აღებისას საოცარი სიმამაცე და გმირობა გამოიჩინეს რუსთაველის პერსონაჟებმა. ტარიელი და მისი მეგობრები უმაწყალოდ დაერივნენ მტერს. ბრძოლის ველი ვეღარ იტევდა მტრის ლეშს. ქაჯეთს ღვთის რისხვა ეწია! გამარჯვებულმა მეომრებმა ქაჯეთის ციხეში დიდ განძს მიაგნეს. სამიათას მუხლმაგარ ჯორსა და აქლემს აჰკიდეს მარგალიტი და თლილი ლალ-იაგუნდი:

„მოკრივეს, ჯორი, აქლემი, რაცა ვით ჰპოვეს მალეები;
სამიათასსა აჰკიდეს მარგალიტი და თვალეები,
თვალი ყველაი დათლილი, იაგუნდი და ლალეები,
იგი მზე სესვეს კუბოსა, არს მათგან განაკრძალეები“ (რუსთაველი,1991:287).

ქაჯეთის ციხე ვითარცა სიბნელისა და ბოროტების სათავე ინგრევა. გმირები ღმერთს მადლობას სწირავენ: „ღმერთსა მისცეს დიდი მადლი“. გამარჯვებული ავთანდილი იტყვის: „ლხინი მოვეცა, მოგვშორდა ყოველი ჭირი ძნელია“. სიკეთისა და სიმართლის მოყვარულს ღმერთი არ გასწირავს. ექოსავით ჩაგვესმის რუსთაველის ფრთიანი გამონათქვამი: „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“.

შოთა რუსთაველთან სიკეთისა და ბოროტების თემას დიდი ადგილი ეთმობა. სამყაროში მუდამ იარსებებს ორი ერთმანეთის საპირისპირო სუბსტანცია – სიკეთე და ბოროტება. „ვეფხისტყაოსანში“ ამკარად ჩანს არეოპაგიტული მოძღვრების კვალი.

„ღმერთი კარგსა მოავლინებს და ბოროტსა არ დაბადებს,
ავსა წამ-ერთ შეამოკლებს, კარგსა ხან-გრძლად გააკვლადებს“ (რუსთაველი,1991:299).

„ბრძენი დივნოს“ მოძღვრება ბოროტების უარსობაზე, უხანობაზე ღაღადებს. ასეა რუსთაველთანაც, სიკეთე მარადიულია, ბოროტება კი - წარმავალი. ბოროტების დამბადებელი ღმერთი არაა.

ამ და სხვა საკითხებს იკვლევდნენ ჯერ კიდევ ანტიკური ეპოქის ფილოსოფოსები და სწავლულები. პლატონის აზრით, „ყოველი დამღუპველი და დამანგრეველი ბოროტებაა, ყოველივე დამცველი და სასარგებლო კი - სიკეთეა“ („სახელმწიფო“, 2003:376). რუსთაველის თანახმად სიკეთე მარადიულია, ბოროტება კი - წარმავალი. ბოროტების დამბადებელი ღმერთი არაა.

„ბეოვულფშიც“ სიკეთისა და ბოროტების თემა გამოკვეთილია. პოემის უცნობი ავტორი გვიყვება, რომ ჰროთგარის სასახლეში მეფე და დიდებულები თაფლუქას სვამდნენ, მოხუცი მეფე კალთაში ქნარს ჩაიდებდა, ააჟღერებდა და ჰყვებოდა საოცარ ამბავს სიკეთესა და ბოროტებაზე. მონათხრობში ჩააქსოვდა მწუხარებას სიბერის გამო, მოგებულ ბრძოლებს იხსენებდა(ტაეპი:2110).

ანალოგიური განწყობა იკვეთება ანგლო-საქსურ ეპოსში, როდესაც ბეოვულფი ამარცხებს ჭაობის ბინადარ ურჩხულებს. ძლეულ იქნა ბოროტი! დანიის სამეფოში სიმშვიდე ისადგურებს: „ყველაფერს ხედავს უფალი, იგი განსჯის მრუდსა და მართალს, კეთილს ანიჭებს გამარჯვებას“ (ტაეპი:1555). გითებმა დანიის მეფეს „მახინჯი ტვირთი“ როდესაც მიართვეს, გამარჯვებული ბეოვულფი დანიის მეფეს შემდეგი სიტყვებით მიმართავს:

„წყალქვეშ ბრძოლისას: მე დაღუპვა არ ამცდებოდა,
გაიმარჯვებდა ძუ სატანა,
თუკი ღმერთი არ შემწეოდა“ (ტაეპი:1655).

დიახ, ღმერთის მოიმედე არიან ანგლო-საქსური პოემისა და რუსთაველის პერსონაჟები.

ანგლო-საქსურ ეპოსში საყურადღებოა ერთი გარემოებაც. პოემაში სასიყვარულო ეპიზოდებს ვერსად შევხვდებით, რაც ხშირად მეორდება შუასაუკუნეების სარაინდო ლიტერატურაში. ავტორი ტექსტში არაფერს გვეუბნება ქალ პერსონაჟზე. თუ არ ჩავთვლით ჰროთგარისა და ჰივლანის მეუღლეებს. მათზე მცირე ეპიზოდებს ვეცნობით ტექსტში, მაგრამ ეს მცირე ეპიზოდიც კმარა მათ სათნოებაზე და კეთილშობილებაზე. ისინი თავიანთი მეფე-

მეუღლეების ერთგული თანამეცხედრე და მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით აღვსილი მანდილოსნები არიან.

ანგლო-საქსური ეპოსი დანიელთა სახელოვანი მეფის სკილდ სკეფინგის დაკრძალვის ცერემონიალით იწყება. ავტორი მას ხოტბა-დიდებას უძღვნის. ირკვევა, რომ სკილდი დიდხანს მორჩმით მეფობდა. „მამაცი იყო სკილდ სკეფინგი“, - გვეუბნება პოემის ავტორი. ამავე დროს, უსაზღვროდ ძლიერი და ქვეყნისთვის თავდადებული მონარქი. სკილდის მოსვლამდე დანიელები უწინამძღოლოდ, გასაწყლებულად ცხოვრობდნენ. მეფემ ძე ბეოც უბოძა დანიელებს, „ახალი მწყემსი, ღვთით მოვლენილი“. მამის გარდაცვალების შემდეგ, ბეო, ჯერაც ჭაბუკი, დიდხანს და ბრძნულად განაგებდა სამეფოს. ბეოც მამის მსგავსად მოწყალე და სახელგანთქმული იყო მთელ დანიაში. მისი სახელი მალე მოედო ქვეყნიერებას. მანაც უბოძა თავის ხალხს ვაჟი - ჰილფდანი - უებარი მებრძოლი. და ვინც ოთხი შვილი დაუტოვა ქვეყანას. სამი ვაჟი - ჰერგარი, ჰროთგარი და ჰალგა და ასული ირსი, რომელიც მიათხოვეს შვედეთის მეფეს ონელას. შემდგომ დანიის ტახტზე ადის ჰროთგარი. მანაც წარუძღვა დანიელებს დიდებისაკენ. თავისი მეფობის ჟამს მან ბრძანა აეგოთ მშვენიერი ციხე-სიმაგრე, სადაც „თავის მძლავრ რაზმს დასტევდა“. მეფემ სასახლე ჰეროთად მონათლა. კმაყოფილმა მეფემ საბოძვარი უხვად გაიღო.

სკილდ სკეფინგი ჩამოჰგავს შოთა რუსთაველის რისტევან მეფეს. მწერალი ასეთი ეპითეტებით ამკობს დანიის მეფეს: „ბატონი და მეგობარი“, „მოწყალე ბატონი“, „საყვარელი“, „ყოვლისმეუფე“, „სამართლიანი“, „კეთილი მწყემსი“. მთელმა დანიამ სვიანი მეფე „მხურვალედ დატირებული“ გააცილა უკანასკნელ გზაზე. და ასე არც ერთი მეფე გასდგომია გზას ღმერთისაკენ.

შოთა რუსთაველი როსტევანს, არაბეთის მეფეს, მრავალი ეპითეტით ამკობს. ისიც უებარი მეომარია, ლაშქარ-მრავალი, ყმიანი, მოწყალე და სამართლიანი:

„იყო არაბეთს, როსტევან, მეფე ღმრთისაგან სვიანი
მაღალი, უხვი, მდაბალი, ლაშქარ-მრავალი, ყმიანი,
მოსამართლე და მოწყალე, მორჩმული, განგებიანი,
ვით მეომარი უებრო, კვლავ მოუბარი წყლიანი“ (რუსთაველი, 1991:11).

რაინდობისა და მეგობრობის თემა რუსთაველთან დაკავშირებულია სამ მთავარ გმირთან - ტარიელთან, ავთანდილთან და ფრიდონთან. ესენი ზე-გმირები და ზე-ადამიანები არიან, ამიტომაც რუსთაველი ამ გმირებზე დასძენს: „მათ სამთა გმირთა მნათობთა სჭირს ერთმანეთის მონება“. აკადემიკოსი შალვა ნუცუბიძე დასძენს, რომ „ეს სამი მეგობარი ცის კიდემდე ამალღებული „მნათობებია“ (ნუცუბიძე, 1969:100). ბეოვულფი რუსთაველის პერსონაჟების (უფრო ტარიელის) ორეულად შეიძლება ჩაითვალოს.

ტარიელი ინდოელია. ის შუა საუკუნეების რაინდების მსგავსად ყველა დადებითი თვისებებითაა შემკული. მას მთელი პოემის მანძილზე გონიერება და წინდახედულობა ახასიათებს. ის უებარი რაინდია. იშვიათი ფიზიკური ძალის მქონე. ყმაწვილობიდან ლომებზე და ვეფხვებზე მონადირეა. მეტიც, ვეფხის შესაპყრობად იარაღსაც არ იყენებს: „ხმალი გავტყორცნე, გადვიჭერ, ვეფხი შევიპყარ ხელითა“. აქვე უნებლიედ გვახსენდება ბეოვულფი შიშველი ხელებით ურჩხულებთან მებრძოლი. ტარიელი ბრძოლაში უშიშარი და გაბედულია. მან მრავალი ბრძოლა გადაიხადა. რომელთა შორის საყურადღებოა ხატაელებთან ბრძოლა და ქაჯეთის ციხის აღების ეპიზოდები.

რუსთაველის პოემის მეორე დაუვიწყარი გმირი ავთანდილია. ისიც მრავალი დადებითი თვისებებითაა შემკული. ის უძლიერესი რაინდი, მეგობარი და სატრფოა. მეფისა და ქვეყნის ერთგული. ის სხვა თვისებებითაცაა შემკული - მუსიკალური ნიჭით.

„ბეოვულფი“ ბედისწერის პოემაა. ანტიკური ხანის პერსონაჟების მსგავსად მის მომავალს ბედისწერა განსაზღვრავს: „ბედისწერამ მოუვლინა ურჩხული“, - ვკითხულობთ ერთგან (ტაეპი:2400). ბეოვულფი სიკვდილის მოახლოებასაც გრძნობს: „სული გრძნობდა ბედისწერის მოახლოებას...აქ გაიყრება მისი სხეული და მისი სული; აქ დაიღვრება მისი სისხლი; მისი სული ხორცს განეყოფა“ (ტაეპი:2420).

ეს ყველაზე ღრმა და ქრისტიანული ეპიზოდია მთელ პოემაში. მეტიც, ესაა ქრისტიანული

ნარატივებით აღსავსე ეპიზოდი. „აქ დაიღვრება მისი სისხლი“! აქ ტყუილუბრალოდ არაა ნახსენები სისხლი! ბეოვულფი თავისი ხალხისადმი უანგარო მსახურებით „ემსგავსება“ მაცხოვარს. იესო ქრისტეს დარად, ისიც უნდა ევნოს, დასათხეველი სისხლი უნდა დაიღვაროს, სამყარო უნდა იხსნას! მან უნდა იტვირთოს საკაცობრიო ცოდვები: „თითქმის ყველაფერი სისხლით წმიდავდება, და სისხლის დაღვრის გარეშე არ ხდება მიტევება“ (ებრ.9,22). ქრისტიანული თეოლოგიის თანახმად მაცხოვრის მიერ დაღვრილი წმინდა სისხლი გვწმენდს ცოდვებისაგან. ქრისტე მოვიდა სოფლად, რათა ჩვენი ცოდვებისათვის მსხვერპლად შეწირულიყო; ქრისტეს სისხლს ვიღებთ ზიარებისას: „ეს არის ჩემი სისხლი ახალი აღთქმის, მრავალთათვის დაღვრილი ცოდვათა მისატევებლად“ (მათე, 26,28).

ტექსტში არის კიდევ ერთი ყურადსაღები პასჟი - ბეოვულფი, იმ ყველაფერს, რაც მის სამეფოს თავს დაატყდება, თვით იბრალებს. მე მოვუვლინე ჩემს ხალხს ეს უბედურებაო: „თვით დაიბრალა დარღვევანი უფლის კანონთა, რისხვა უფლისა ჩემს ხალხს მევე მოვუვლინეო (ტაეპი:2325). ბეოვულფი კეთილი მწყემსია. ის მზადაა საკუთარი სიცოცხლის ფასად იხსნას გითლენდი. ეს ღრმა ონტოლოგიური და ფილოსოფიური კონოტაციებით გაჯერებული ეპიზოდებია. ეს ეპიზოდები ცხადყოფს, რომ პოემა ქრისტიანი ავტორის მიერაა შექმნილი.

„ვეფხისტყაოსნის“ მსგავსად „ბეოვულფშიც“ პატრონყმური ურთიერთობაა აღწერილი. შოთა რუსთაველი, რგორც დემოკრატიულად მოაზროვნე მწერალი საოცარ მეგობრულ, ჰარმონიულ, ლიბერალურ დამოკიდებულებას გვიხატავს პოემის პერსონაჟებს შორის, რომლებიც სხავდასხვა სოციალური სტატუსის მატარებელნი არიან. ავთანდილი მეფისადმი ერთგულებას ასე ქადაგებს: „ხამს მეფეთა ერთგულობა, ყოფა გვმართებს ყმასა ყმურად“. მეტიც, ავთანდილისათვის როსტევან მეფე არის ღვთის რჩეული და სწორი: „გამოპარვით წამოსვლითა ღმრთისა სწორნი მოვიმდურვენ“.

ბეოვულფსაც ჰყავს თავისი ყმები და რაინდები, აქვს საკუთარი სამშობლო, რომლისთვისაც მზადაა საკუთარი სიცოცხლე გაიღოს. ტექსტიდან ირკვევა, რომ ეს სახელოვანი გითი არის ჰიგლაქის ყმა. დანიელებთან დასახმარებლად ჩასული გმირი ასე გაეცნობა დანიის მეფის შიკრიკებს: „ჩვენ ვართ ყმანი ჰიგლაქისა, მის პურს მივირთმევთ“.

ამრიგად, „იდეთა პარალელები“ შეიძლება ვუწოდოთ იმ ძიებას, რომელიც სამსჯელოდ წარმოვადგინეთ ჩვენს პუბლიკაციაში. კვლევამ გვიჩვენა, რომ ორივე ტექსტში გმირობისა და თავგანწირვის ეპიზოდები, სამშობლოსადმი თავდადება, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა ბოროტების წინააღმდეგ, განძის საკითხი, სამყაროს ერთიანობის პრინციპი, ეს და სხვა საკითხები საერთოა ორივე ტექსტისთვის. ამ პერსონაჟებს შორის არსებობს საკრალური და საბედისწერო კავშირები, გმირობა, თავგანწირვა, სახიფათი გადაწყვეტილებანი, მეფისადმი ერთგულება და სამსახური, ხშირ შემთხვევაში ერთნაირია გადასალახი დაბრკოლებები.

ასეთია ორი განსხვავებული ეპოქის პოეტური ნიმუშის ანგლო-საქსურისა და შოთა რუსთაველის პოემის შეპირისპირებითი ანალიზი, განსჯა, ინტერპრეტაცია, არგუმენტები, კულტურული კონცეპტები. ცხადია, მოხმობილი ანალოგიები და ალუზიები კიდევ უფრო მეტ გააზრებასა და განმარტებას მოითხოვენ. დასასრულს ისევ ჯ.რ.ტოლკინს, ინგლისელ მწერალს მოვიშველიებთ, რომელიც თავის საკულტო რომანში წერდა: „საგმირო საქმეები, თუნდაც მათ ხოტბა რომ არ შეასხა, ყოველთვის საგმირო საქმეებად დარჩება“ („ბეჭდების მბრძანებელი“).

ლიტერატურა:

ახალი აღთქმა და ფსალმუნები, (1991), საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბილისი.

ბეოვულფი, ანგლო-საქსური ეპოსი,(2019), თარგმანი პაატა და როსტომ ჩხეიძეების. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი.

ელაიადე მ., (2009), მითის ასპექტები. გამომცემლობა „ილიანუსი“. თბილისი.

თაქთაქიშვილი-ურუშაძე ლ., (1965), მარჯორი უორდროპი, თბილისი.

პლატონი,(1966), ფედონი, თარგმანი და შენიშვნები ბ.ბრეგვაძის, გამომცემლობა „ნაკადული“, თბილისი.

- პლატონი, (1964), ნადიმი, თარგმანი, წინასიტყვაობა და კომენტარები ბ.ბრეგვაძის, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი.
- პლატონი, (2003), სახელმწიფო, თარგმანი ბ.ბრეგვაძის, ნეკერი, თბილისი.
- რუსთაველი შ., (1991), ვეფხისტყაოსანი. გამომცემლობა „ლაშარი“. თბილისი.
- მარინო ა., (2010), კომპარატივიზმი და ლიტერატურის თეორია. მთარგმნელები: რ.თურნავა, ნ.გოგოშაშვილი. ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა. თბილისი.
- მოსია ტ., (2016), წერილები ვეფხისტყაოსანზე, გამომცემლობა „საარი“. თბილისი.
- ნუცუბიძე შ., (1969), კრიტიკული ნარკვევები, ლიტერატურა და ფილოსოფია. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“. თბილისი.
- ხინთიბიძე ე., (2016), ვეფხისტყაოსანი შექსპირისა და მისი თანამედროვეების ინგლისურ დრამატურგიაში. გამომცემლობა „საჩინო“. თბილისი.
- ჰესლოდე, (2013), თეოგონია. თარგმანი ნ.სამუშიასი. ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა. თბილისი.
- Tolkien, J.R.R. (1936), „Beowulf: The Monsters and the Critics, Oxford University Press, Oxford.

Typological Analysis of the “Beowulf” and “The Knight in the Panther’s Skin”

Tsurtsunia Koba

Sokhumi State University, Tbilisi

Giorgadze Nino

Iakob Gogebashvili State University, Telavi

Abstract

As it is known, literary studies uses various research methods from which historical-comparative method i.e. comparativistics is most important. Its purpose is to present the literary texts of different countries in in the universal public and cultural space. In mythology and literature, in fairy tales and ancient pagan poetry, there are many eternal plots, episodes, characters, faces that are characterized sharing some common features.

"Beowulf" and "The Knight in the Panther’s Skin" keep many secrets. It is difficult to fully penetrate the layers of both texts; There are many enigmatic-transcendental threads in both texts. India, Arabia and Denmark are great cosmic and spiritual fields. Fabulous and mysterious scenes expand here. The capture of Kajeti Castle, the victory over demons and monsters, symbolically means the death of the old, pagan world and the birth of a new era.

The present article is devoted to the comparative analysis and typological research of two texts - "Beowulf" and "The Knight in the Panther’s Skin". Typological research involves typology of words and sentences, typology of characters, typology of thought and plot. The language and composition of both texts has become the main point of our attention. Thus, typological research involves an in-depth study of two comparable texts. The paper presents an attempt to reveal plot parallels of these two texts. Such texts do not have time and era, these types of texts combine eternal themes, high values and ideas.

Key words: "Beowulf", "The Knight in the Panther’s Skin", Anglo-Saxon epic, universal, comparativistics, Typological research.

დიდი ეროვნული მოღვაწე
(რაფიელ ერისთავის დაბადების 200 წლისთავის გამო)

ჯაგოდნიშვილი თემურ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი

DOI: <https://doi.org/10.52340/idw.2023.67>

აბსტრაქტი. რაფიელ ერისთავი XIX საუკუნის უთვალსაჩინოესი მოღვაწეა. იგი საზოგადოებრივ ასპარეზზე ამ ასწლეულის 50-იან წლებში გამოჩნდა და იმთავითვე მიიქცია ყურადღება თავისი მხატვრული შემოქმედებით, პუბლიცისტური, ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული წერილებით, გამოკვლევებითა და პრაქტიკული საზოგადოებრივი მუშაობით. იგი თანაბრად აქტიურად თანამშრომლობდა საქართველოში გამომავალი რუსული სამეცნიერო საზოგადოებების კავკასიის განყოფილებების და ფილიალების რედაქციებთან, არჩეული იყო ამ საზოგადოებების წევრად, უდიდესი წვლილი შეჰქონდა ქართული კულტურის თავისთავადობის წარმოჩენასა და პოპულარიზებაში. ამის დასტურია თუნდაც ის ფაქტი, რომ რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილებამ სრულიად ახალგაზრდა მკვლევარი რაფ. ერისთავი მედლით დააჯილდოვა ნაშრომისათვის „თუშ-ფშავ-ხევსურეთის ოლქის შესახებ“, რომელიც ამ საზოგადოების შრომების კრებულის III ტომში (1849 წ.) დაიბეჭდა.

XIX საუკუნის 50-იანი წლებიდან მოყოლებული სიცოცხლის ბოლომდე რაფ. ერისთავი სთავებში ედგა და აქტიური უღლის გამწევი იყო ყველა საეროვნო საზოგადოებრივი საქმისა. მისი ინიციატივით დაარსდა ქართული მუზეუმი, საჯარო ბიბლიოთეკა (რომელსაც შეწირა საგვარეულოში დაცული ხელნაწერები), თეატრალური საზოგადოება, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება; იგი აქტიურად მონაწილეობდა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის მუშაობაში და სხვა.

რაფ. ერისთავმა თავისი პოეზიით, დრამატურგიით, პუბლიცისტული, მეცნიერულ-კვლევითი მოღვაწეობით გამოავლინა და სისტემურად წარმოაჩინა ქართული მენტალობის, კულტურული და ენობრივი ცნობიერების დიდი შინაარსი და ღირებულებები. ამით მან თავისებურად შეამზადა ნიადაგი XIX საუკუნის II ნახევარში ილია ჭავჭავაძის მიერ გაშლილი ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას.

რაფ. ერისთავის ღვაწლი გეროვნად შეაფასა მისმა თანადროულმა ქართველმა საზოგადოებამ - დიდი იუბილე გაუმართა და სახალხო დღესასწაულად შეაფასა. 1895 წელს ექვთიმე მნელაძის სტამბის ეგიდით გამოიცა სპეციალური კრებული სახელწოდებით „საერო დღესასწაული თავად რაფიელ დავითის ძე ერისთავის 50 წლისთავის იუბილეს გამო“. 2024 წელს სრულდება მისი დაბადებიდან 200 წლისთავი. ამ საიუბილეო თარიღის აღნიშვნა სამთავრობო დონეზე ჩვენი თანამედროვეობის ვალია.

საკვანძო სიტყვები: რაფიელ ერისთავი, იუბილე, ეროვნული კულტურული ცნობიერება, მენტალური ღირებულებების გამომწეურება

რაფ. ერისთავი მხოლოდ ქართული მწერლობის პატრიარქი არ ყოფილა თუნდაც XIX საუკუნის ქართველ მოღვაწეთა თვალთახედვით. იგი ქართული ეროვნულობის, მენტალობის, კულტურის, საზოგადოებრივი აზრის დაუცხრომელი ჭირისუფალი იყო, წიგნიერებითა და წიგნით ერთგული მსახური თავისი ერისა და ქვეყნისა. ამ აზრის სისწორეს საუცხოოდ ცხადყოფს რაფ. ერისთავის პიროვნებისა და ნაღვაწის გაცნობიერებისა და დაფასების

სასწაულებრივად არაჩვეულებრივი აღიარების ფაქტი.

ქართველმა საზოგადოებამ ისეთი მასშტაბურობითა და გრანდიოზული ზეიმით აღნიშნა 1895 წლის 22 ოქტომბერს რაფ. ერისთავის საზოგადოებრივი მოღვაწეობის 50 წლისთავი, რომ საერთო სახალხო დღესასწაულში გადაზარდა. საქართველოს ისტორიაში ეს იუბილე საზოგადო მოღვაწისათვის გადახდილი პირველი იუბილე იყო და ქართველებმა, ერთი მხრივ, აღიარებული მოღვაწის დაფასების უნარი გამოაჟღავნეს, მეორე მხრივ, სამერმისო ხედვა უთავბოლო დრო-ჟამში. ამ იუბილეს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ისიც ცხადყოფს, რომ იუბილედან 4 წლის შემდეგ, 1899 წელს, საიუბილეო მასალებს, პრესაში გამოქვეყნებულ წერილებს, სტატიებს, საიუბილეო ადრესებს, დეკემბრს ერთად მოუყარეს თავი და წიგნად გამოსცეს, სათაურით "საერო დღესასწაული რაფ. ერისთავის იუბილეს გამო".

ამ მოვლენიდან დიდმა ხანმა განვლო. დრო-ჟამმა რაფიელ ერისთავის ნაღვაწ-ნაამაგარს თავისებურად უცვალა ფერი, მთელი მისი ბრწყინვალეობა მყარად მიაბა თავის ეპოქალურ სივრცეს - XIX საუკუნეს. ცხადია ამით მაინც არ დამცრობია (დაუკარგავს) მისი შემოქმედებითი მემკვიდრეობის საერო მნიშვნელობა. დროითმა მანძილმა ცხადყო, რომ სწორედ რაფ. ერისთავმა შექმნა XIX საუკუნის საქართველოს საზოგადოებრივი აზრისა და კულტურის ტრადიციათა წანამძღვრები, მოხაზა ქართული მწერლობის პრობლემურ-თემატური წრე, გამოკვეთა ქართული საზოგადოებრივი და კულტურული ცნობიერების საფუძვლები და მისი რაობის განმსაზღვრელი ფაქტორები. მან გამოავლინა ქართველად მყოფობის ეთნიკური, კულტურული, ფსიქიკური ზნეობრივი მარკერები და დაადგინა ეროვნული ცნობიერების შინაარსის ენობრივი და კულტურული მდგენელები.

რაფიელ ერისთავმა ახალგაზრდობიდანვე ყურადღება მიიქცია არა მხოლოდ სადა, ხალხური იერით აღბეჭდილი პოეზიით, არამედ ფართოდ გაშლილი მეცნიერულ-პუბლიცისტური მოღვაწეობითაც. ეს მეცნიერული ინტერესები მის

ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულსა და ენათმეცნიერულ, ლექსიკოლოგიურ-ლექსიკოგრაფიულ მიეზებში გამოვლინდა. ამ მიეზებს მწყობრი, სისტემური და, რაც მთავარია, კონცეპტუალური შინაარსი აერთიანებდა. თავისი დროის ეპოქალურ გამოწვევებს, რუსიფიკაციის მცდელობებს რაფ. ერისთავმა ჩვენი ხალხის ეროვნული ცნობიერების გამოღვიძება დაუპირისპირა, ამ მიზნით კი იმის ჩვენებას შეეცადა, ვინ ვართ და რანი ვართ, რა აპირობებს „ცხოვრების ქართული წესის“ შინაარსს; რაში და როგორ ვლინდება ეს შინაარსი; რა არის ქართველი კაცის ცხოვრების მიზანი. ამ ინტერესებით განისაზღვრა რაფ. ერისთავის სულიერი ცხოვრება და გარეგანი დაკვირვებებიდან ქართული ცნობიერების ღრმა შრეების წარმოჩენა-გამომზეურების ცდებში გადაიზარდა.

ცნობილია, რომ მან ქართველი კაცის სულიერი ცხოვრების შინაარსად **მამულიშვილობა** გამოაცხადა, უმაღლესი ღირებულება სამშობლოს **"ტრფიალებასა"** და **"თაყვანისცემაში"** ამოიკითხა, მის ყოფით გამოვლენად კი სამშობლოს **"სხვათა სამოთხეზე გაუცვლელობა"**, **"დედის ძუძუსავით ერთადერთობა"** დასახა. ამასთან არა ინტუიციის, არამედ ეპოქის გამოწვევათა შინაგანი ხედვითა და გაცნობიერებით ქართველობის, ჩვენი ეროვნულობის საფუძვლად **დედა ენა** მიიჩნია და, რაც მთავარია, მისადმი გულგრილობასა და ენობრივი ცნობიერების რღვევაში დაინახა ეროვნული ცნობიერებისა და სახიერების დაკარგვის საფრთხე. ამიტომაც თანამედროვე ქართველის უზენაეს მიზნად დედა ენის შენარჩუნება და მისი სიწმინდის დაცვა გამოაცხადა. როგორც ცნობილია, რაფ. ერისთავი პრაქტიკულად აქტიურად ჩაერთო XIX ს. 60-იანი წლებიდან გაშლილ საეროვნო მოძრაობაში და ამიტომ სამოქალაქო ცხოვრების გამიზნულობა, მიზანსწრაფვა, იდეალები ჩაუნაცვლა პოეტური წარმოსახვის ნაყოფს – მძაფრი სოციალური პათოსის ლირიკულ შედეგებს, თანაც ისე მძლავრად, რომ აქტიურმა საზოგადოებრივმა მოღვაწეობამ ერთგვარად დაჩრდილა მისი პოეტური "მეს" სათქმელი და უფრო აკადემიური ფორმა შესძინა.

რაფ. ერისთავის მეცნიერულ-პუბლიცისტურ მიეზებში, აღნიშნულის გამო, უპირველესად ქართული ენა და მსოფლიო ლინგვისტურ სივრცეში მისი ადგილისა და როლის რკვევა მოექცა. ამის მძლავრ იმპულსად 1881-1885 წლებში კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის იანოვსკის მიერ ქართული სკოლის გარუსების გააქტიურება იქცა. ცნობილია, რომ რუსულ ენაზე

სწავლების აუცილებლობა საბუთდებოდა ქართული ენის ვითომც მწირი ლექსიკური შესაძლებლობებით, თანამედროვე ცივილიზაციის ლექსიკა-ფარზეოლოგიისა და ცნება-ტერმინოლოგიის უქონლობით. რაფ. ერისთავმა სასტიკად გაილაშქრა ამგვარი თვალსაზრისის წინააღმდეგ და ლინგვისტიკური, ლექსიკოლოგიური, ლექსიკოგრაფიული, ტერმინოლოგიური ძიებებით ქართული ენის ლექსიკური უნივერსალიზმის ჩვენება დაისახა მიზნად. მაგალითად, 1880 წელს „დროებაში“ (№212) გამოაქვეყნა სტატია „რამდენად მართალია რომ ქართულს ენას სიღარიბე დასწამეს“. აქ ყველაზე მკაფიოდ, თანმიმდევრულად და სისტემურად გაცხადდა რაფ. ერისთავის ლინგვისტიკური ხედვა, მისი თანამედროვე ენათმეცნიერულ თეორიათა და მიმდინარეობათა საფუძვლიანი ცოდნა.

ქართული ენა რაფ. ერისთავისათვის უნიკალური ენაა. მისი დაკვირვებით, ჩვენი ენა განცალკევებით დგას სხვა ენებისაგან და ენათა ნათესაობის დასადგენად გაშლილი შედარებითი ენათმეცნიერების კომპარატივისტული ძიებებით ქართული ენის ბუნების კვლევა შედეგის მომტანი ვერ იქნება. რაფ. ერისთავი დარწმუნებული იყო, რომ „რამდენიმე ათეულის, ანუ ასეულის სიტყვის ფესვის მოძებნით სანსკრიტულში ვერც ინგლისელი მიაგნებს პირველ ენას და ვერც სხვა“.

მეცნიერული ლინგვისტიკური პრობლემა რაფ. ერისთავმა აზრიანად და კონცეპტუალურად მშობლიურ ენაზე სწავლების აუცილებლობის პრობლემაში გადაზარდა. მთავარ არგუმენტად მან წარმოადგინა ქართული ენის ლექსიკის სიუხვე და მრავალფეროვნება. ქართული ენა ამ თვალსაზრისით არასოდეს დაკმაყოფილებულა კომუნიკაციური ფუნქციით. იგი უძველესი კულტურის ენა იყო იმთავითვე და სრულფასოვნად ემსახურებოდა ეროვნული კულტურისა და განათლების სფეროებს, ადეკვატურად გამოხატავდა ნებისმიერი სირთულის აბსტრაქტულ-თეორიულ აზრს. ამ მხრივ არა თუ ტოლს არ უდებდა თანამედროვე ცივილიზებულ ენებს, არამედ კიდევაც აღემატებოდა მათ. რაფ. ერისთავი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ჯერ კიდევ „ქართული თხზულებანი რომ შეადარო ამავე დროის ევროპულის ლიტარტურის ნაწარმოებებს, მრავალზე უკეთესი თუ არ აღმოჩნდება, უკან მაინც არ ჩამორჩებიან“. მართალია, თანამედროვე ცივილიზაციის მოტანილი ლექსიკა-ფარზეოლოგია ჯერ არ დამკვიდრებულა, მაგრამ ქართულს ისევე თავისუფლად შეუძლია აწარმოოს ნეოლოგიზმები, ტერმინები, „როგორც მიიღეს სხვადასხვა განათლებული ქვეყნის მცხოვრებლებმა და ზოგი, შეიძლება ადვილად დაასახელონ თავიანთებურ სახელწოდებითაც“. რაფ. ერისთავისათვის ეს ფაქტი იყო განათლების მშობლიურ ენაზე მიღების შესაძლებლობის დასტური. აღნიშნულის მტკიცების პლანში გაშალა მან უაღრესად საჭირო, საინტერესო და მრავალფეროვანი მწიგნობრული მოღვაწეობა, ლინგვისტიკური, ლექსიკოლოგიური და ლექსიგრაფიული ძიებები, სასწავლო-მეთოდური საქმიანობა.

რაფ. ერისთავმა შეადგინა არითმეტიკის, გეომეტრიის, ფიზიკის, ასტრონომიის, სამხედრო, საზღვაო („ზღვისა და შიგ ცურვის“) ტერმინოლოგიური სიტყვარები, რომლებიც დაცულია კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის რაფ. ერისთავის საარქივო ფონდში. ამ ფონდში, ამას გარდა, დაცულია მასალები დარგობრივი ტერმინოლოგიური ლექსიკონებისათვის. ქუთაისსა და ზუგდიდში სახელმწიფო სამსახურში მყოფობის დროს რაფ. ერისთავი აგროვებდა მასალას ქართული დიალექტოლოგიური ლექსიკონისათვის. მას შეუდგენია ქართულ-იმერული დიალექტების შედარებითი ლექსიკონი; შეუკრებია მასალები მეგრულ-სვანური და იმერულ-ქართლურ-რუსული ლექსიკონისათვის; ასევე შეუკრებია ლექსიკური მასალა გეოგრაფიულ სახელთა, მედიცინის, მეტროლოგიის, სამჭედლო და სადურგლო საქმეთა, ქიმიის, რუსულ-ქართული დარგობრივი ტერმინოლოგიური ლექსიკონებისათვის. მის ნაწერებში გვხვდება მასალები რუსულ-ქართული ანტონიმების ლექსიკონისათვის, ქართული საკუთარი სახელების, თვეებისა და ზოდიაქოს სახელების განმარტებითი ლექსიკონისათვის. განსაკუთრებით საინტერესოა დიდი რუსულ-ქართული ლექსიკონის შექმნის მცდელობა. ამ ლექსიკონის შედგენის იდეა რაფ. ერისთავმა ქართველ საზოგადოებას პრესითაც გააცნო. მისი გეგმა გაზეთ „ივერიაში“ გამოაქვეყნა (1880, №144). 1875 წელს რაფ. ერისთავმა განახორციელა პირველი სერიოზული ლექსიკოლოგიური პროექტი - გამოსცა სამენოვანი - „შემოკლებული ლათინურ-რუსულ-ქართული მცენარეთა ლექსიკონი“,

რომელიც 1000-ზე მეტ სალექსიკონო სიტყვა-ფორმას შეიცავს.

1884 წელს საოცრად უხვი გამოდგა რაფ. ერითავისთვის. ამ წელს გამოსცა „ლათინურ-რუსულ-ქართული ლექსიკონი მცენარეთა, ცხოველთა და ლითონთა სამეფოდან“. ამავე პერიოდში ყურადღება მიიქცია სარედაქტორო-საგამომცემლო საქმიანობითაც. 1884 წელს რედაქცია გაუკეთა და საკუთარი წინასიტყვაობით გამოსცა სულხან-საბა ორბელიანის „ქართული ლექსიკონი“, ხოლო მომდევნო წელს ასევე საკუთარი რედაქციითა და წინასიტყვაობით დაბეჭდა ანტონ კათალიკოსის „ქართული გრამატიკა“.

ქართველი ერის კულტუროსნობის მტკიცების მიზნით, როგორც გონიერი მოღვაწე, კვალს ჩვენს ისტორიულ წარსულში ეძებდა; მიზნობრივად ამზეურებდა და პრაქტიკულ მიმოქცევაში რთავდა, ხოლო დროის მოთხოვნათა სულისკვეთებიდან გამომდინარე, თვითონ, საკუთარი კვლევებით ცდილობდა ჩავარდნების შევსებას. ამგვარი გამიზნულობა გამოსჭვივის არა მხოლოდ მის ლექსიკოლოგიურ-ლექსიკოგრაფიულ მიეზებში, არამედ სასწავლო-მეთოდური საქმიანობის სფეროშიც. მაგალითად, 1880-იან წლებში სცადა იმ ნაკლის გამოსწორება, რაც ქართული ენის სახელმძღვანელოებში არსებობდა და გამოსცა საკუთარი სახელმძღვანელოები „მოკლე სქემა პირველისა ნაწილისა ღრამატიკისა“ და „ქართული ენის გრამატიკა ყრმათათვის“ (1880).

XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან რაფ. ერისთავი თითქმის ყველა საეროვნო საქმის სათავეებთან იდგა - ყველა მნიშვნელოვან მოვლენას ეხმაურებოდა, აზრს გამოთქვამდა, წერდა მეცნიერულ ნაშრომებს ცოდნის სხვადასხვა დარგში - ეთნოგრაფიის, ფოლკლორის, ისტორიის, ეკონომიკის, სოფლის მეურნეობის საკითხებზე; ქმნიდა ლირიკულ პოეტურ შედეგებს თანამედროვეობის აქტუალურ პრობლემებზე.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა რაფ. ერისთავის მეცნიერულ-პუბლიცისტურ თანამშრომლობას რუსულ სამეცნიერო საზოგადოებასთან ქართველ ერსა და მის კულტურაზე პირუთვნელი, ობიექტური ინფორმაციის უცხოელებისათვის გაცნობის თვალსაზრისით. კერძოდ, რაფ. ერისთავი ნარკვევებს, სტატიებს აქვეყნებდა კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების, რუსეთის სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის საზოგადოების, სოფლის მეურნეობის მოსკოვის საზოგადოების მეაბრეშუმეობის კომიტეტის, რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების სამეცნიერო კრებულებში. მაგალითად, კავკასიის სამეურნეო ჟურნალში დასტამბა ვრცელი ნაშრომი „ღვინის მოყვანისა და გასადების მდგომარეობა ჩვენში“; „ნარკვევი იმერეთზე სოფლის მეურნეობის თვალსაზრისით“; შექმნა ნაშრომები მევენახეობის, მეთამბაქეობის, მეფუტკრეობის, მეაბრეშუმეობის დარგებში და სხვა. წლების მანძილზე კითხულობდა საჯარო ლექციებს ქართული ენის წარმომავლობის პრობლემებზე, ქართული მწერლობის ისტორიის საკითხებზე. განსაკუთრებით ბევრს წერდა ბავშვებისათვის. იგი იმდენად ღრმად წვდა ბავშვის სამყაროს, რომ 80-იანი წლებიდან თითქმის ყველა ჟურნალ-გაზეთი („ნობათი“, „საბავშვო კალენდარი“, „ჯეჯილი“ და სხვა) მისი საბავშვო ლექსებით იხსნებოდა.

1889 წელს ლევან მელიქიშვილის შუამდგომლობით რაფ. ერისთავი ქართული ენის ცენზორად დაინიშნა კავკასიის საცენზური კომიტეტში. საცენზური რეჟიმის სიმკაცრის მიუხედავად, მან არა ერთი საეროვნო საქმის განხორციელება შეძლო. მაგალითად, დიდი რისკის ფასად გასცა ალ. ყაზბეგის აკრძალული 4 ტომის დაბეჭდვის ნებართვა. ასევე მოექცა მამია გურიელის ლექსების კრებულის დასტამბვას. შეძლებისადგვარად შეღავათებს აძლევდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებს. ქართველ მოღვაწეებს სთხოვდა: "მე არ ვიცი, ცენზორი როდემდე ვიქნები. თუ საექვო რამე გაქვთ დასაბეჭდი ცენზურის მხრივ, საჩქაროდ წარმოადგინეთ ცენზურაში, სანამ იქა ვარ" (ალ. ჯაბადარი, „მნათობი“, №1-2, 1889 გვ. 273).

XIX საუკუნის 70-იან წლებში ფართოდ გაიშალა მოძრაობა ქართული ხალხური სიტყვიერების შესაკრებად. რაფ. ერისთავი ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა ამ საეროვნო საქმეს, 1873 წელს გამოაქვეყნა 1852 წ. შეკრებილი ხალხური ლექსები (ჟ. „კრებული“); 1879 წელს ცალკე წიგნად გამოსცა „ქართული გამოცანები“ და სხვა.

ამავე წლებში დიდი მოძრაობა დაიწყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დასაარსებლად. რაფ. ერისთავი ამ საზოგადოების დამფუძნებელი წევრი იყო და

წლების განმავლობაში უძღვებოდა ამ ორგანიზაციის ფინანსურ საქმიანობას.

1879 წელს აღდგა ქართული პროფესიული თეატრი. რაფ. ერისთავი აქაც ერთ-ერთ მესამირკვლედ მოეწვინა ქართველ საზოგადოებას. 1884-1886 წლებში იყო თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე. ამასთან წერდა პიესებს, თეატრალურ რეცენზიებს, მსახიობობდა, ქუთაისში სახელმწიფო სამსახურში ყოფნის პერიოდში ჩამოაყალიბა ქუთაისის სცენისმოყვარეთა წრე. მისი პიესები „ადვოკატები“, „ბიძიასთან გამოხუმრება“, „პარიკმახერისას“, „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“ განსაკუთრებული პოპულარობით გამოირჩეოდნენ არა მხოლოდ თავის დროზე, არამედ XX საუკუნეშიც.

XIX საუკუნის 80-იან წლებში ქართველი საზოგადოება სერიოზულად დაინტერესდა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენით. ვახტანგ VI სწავლულ კაცთა კომისიის მიერ შეჯერებული ტექსტის გამოცემიდან (1712) დიდი დრო იყო გასული და XIX საუკუნეში ცნობილ ძირითად (22) ხელნაწერთან მიმართებაში ეს ტექსტი აშკარად სხვაობდა. გასარკვევეი ბევრი დაგროვდა. ამიტომ 70-იან წლებში შეიქმნა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისია. ამ კომისიამ 1881 წლის 6 თებერვალს დაიწყო მუშაობა. კომისიის 22 წევრს პოემის 22 ხელნაწერი დაურიგდა. პოემის ტექსტის საპილოტე წაკითხვა რაფ. ერისთავს მიენდო. ცნობილია, რომ იმ დროს განხორციელდა „ვეფხისტყაოსნის“ ყველაზე შთამბეჭდავი - მდიდრული გამოცემა, რომელიც ქართველიშვილისეულით არის ცნობილი. რაფ. ერისთავი იყო სწორედ ამ გამოცემის ორგანიზატორი.

1885 წელს გაცხადდა ქართული საჯარო ბიბლიოთეკის დაარსების იდეა. ამ საეროვნო საქმის ინიციატორიც რაფ. ერისთავი იყო. მან, საჯაროდ, პრესის საშუალებით მიმართა საზოგადოებას ამგვარი ბიბლიოთეკის დაარსების საჭიროებასა და მნიშვნელობაზე ერის კულტურულ ცხოვრებაში: ბიბლიოთეკაში წიგნები „...შეინახებოდნენ, ისინი სამუდამოდ არ დაიკარგებოდნენ იმ დაუდვრობით, რომლის მაგალითს გვიჩვენებს ხოლმე მეხილის და მეთევზის დუქნები, სადაც მოსამსახურეები ხშირად გაჰყიდნიან ხოლმე ძველს ქართულს წიგნებს და ვაჭრებიც ამ ძველი წიგნების დარღვეულს ფურცლებში ახვევენ მოთალს, დოშს და ამგვარებს“.

80-იან წლებში ზუგდიდში, დადიანების სასახლეში, ე. ჭავჭავაძის არქივში ი. მეუნარგიამ მიაკვლია ნ. ბარათაშვილის უცნობი ლექსების ტექსტებს. ამ დიდმნიშვნელოვან მოვლენას უპირველესად რაფ. ერისთავი გამოეხმაურა. გაზ. „ობზორში“ (1880, №393) გაასაჯაროვა ეს ფაქტი და საზოგადოებას გაუცნობიერა ნ. ბარათაშვილის ფენომენის მნიშვნელობა.

წარმოდგენილი მცირე მიმოხილვა ოდნავადაც ვერ იტევს რაფ. ერისთავის საზოგადოებრივ-მწიგნობრული მოღვაწეობის იმ ასპექტებს, რითაც განისაზღვრა მისი როლი და მნიშვნელობა XIX საუკუნის საქართველოსთვის. მთავარი კი იყო, რომ ქართველმა საზოგადოებამ შეუცთომლად გაითავისა ამ უჩუმაღრი დაუპრეტენზიო მოღვაწის, პოეტის, მწიგნობრის პიროვნება, მისი ნაღვაწი და 1895 წლის 22 ოქტომბერს საერთო სახალხო დღესასწაულს გაუტოლა მისი 50 წლის იუბილეს ფაქტი. ეს რაფიელ ერისთავმა ჭეშმარიტად დაიმსახურა.

XXI საუკუნის გადასახედიდან კიდევ უფრო დიდად და შთამბეჭდავად მოჩანს რაფ. ერისთავის საეროვნო ღვაწლი და ნაღვაწი, რადგან დროითი მანძილიდან უკეთ ჩანს საეროვნო საქმეთა შინაარსის სიდიადე. რაფ. ერისთავი ის მოღვაწე იყო, რომელმაც ბევრი იღონა ჩვენი ეროვნული მენტალობის საფუძვლების წარმოსაჩენად, რასაც დაემყარა დიდი ილიას თაოსნობით გაშლილი ეროვნული განმათავისუფლებელი მოძრაობა. ამიტომ მისი 200 წლისთავი სასურველია ისევე მასშტაბურად აღინიშნოს, როგორც ეს შეძლო მისმა თანადროულმა ქართველმა საზოგადოებამ 1895 წელს, როდესაც სათავე დაუდო ჩვენი იუბილეების ჩატარების ტრადიციას და საერო დღესასწაულს გაუტოლა.

A great national figure (due to the 200th anniversary of the birth of Rafiel Eristavi)

Jagodnishvili Temur
Georgian Technical University, Tbilisi

Abstract

Rafiel Eristavi is one of the most distinguished figures of the 19th century. He appeared on the public scene in the 1850s and immediately attracted attention with his artistic creations, journalistic, folklore-ethnographic writings, research and practical public work. He actively cooperated with the editors of the Caucasus departments and branches of the Russian scientific societies in Georgia, was elected a member of these societies, made a great contribution to the presentation and popularization of Georgian culture. Proof of this is even the fact that the Caucasian section of the Russian Geographical Society awarded the very young researcher Rafiel Eristavi with a medal for the work "About Tush-Pshav-Khevsureti District", which was printed in Volume III of the collection of works of this society (1849).

From the 50s of the 19th century until the end of his life, Rafiel Eristavi was at the head and was an active yoke puller of all national public affairs. On his initiative, a Georgian museum, a public library (to which he donated the manuscripts preserved in his family), a theater society, a society promoting literacy among Georgians were founded; He actively participated in the work of the "The Knight in the Panther's Skin" text drafting commission and others.

Rafiel Eristavi, through his poetry, dramaturgy, journalism, and scientific-research work, revealed and systematically presented the great content and values of Georgian mentality, cultural and linguistic awareness. In this way, he prepared the ground for the national liberation movement launched by Ilia Chavchavadze in the second half of the 19th century.

Rafiel Eristavi's achievements were highly appreciated by his contemporaneous Georgian society - he celebrated a great anniversary and considered it a public holiday. In 1895, under the auspices of Ekvtime Dzneladze's printing house, a special collection was published under the name ""Secular holiday due to the 50th anniversary of Rafiel Eristavi, the son of Davit """. The 200th anniversary of his birth will be celebrated in 2024. Celebrating this anniversary at the governmental level is a debt to be paid by our contemporaries.

Key words: Rafiel Eristavi, jubilee, national cultural awareness, showing of mental values

**ოსიპ მანდელშტამი დემოკრატიულ საქართველოში და - პირიქით
(ნარკვევ „დაბრუნების“ მიხედვით)**

ჯოხაძე გრიგოლ

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი

DOI: <https://doi.org/10.52340/idw.2023.68>

აბსტრაქტი. *ოსიპ მანდელშტამის ნარკვევ „დაბრუნებას“ ქართული სალიტერატურო კრიტიკა არასდროს გამოჰხმაურებია. მით უფრო საშურია იმის თქმა, რომ ისიცა და მასზე დაფუძნებული მეორე ნარკვევიც („მენშევიკები საქართველოში“), რომელიც ცალკე კვლევას იმსახურებს, მანდელშტამის შემოქმედებითი და პიროვნული პორტრეტის რამდენიმე ცნობილ პლასტს მორიგად ათვალსაჩინოებს:*

მანდელშტამი, როგორც მჭვრეტელი, ყოველთვის ირონიულია. შეიძლება იფიქრო კიდევ, რომ მას უირონიოდ (ხშირად - უსარკაზმოდაც) წერა საერთოდ არ შეუძლია. საქებარი ფორმა სინამდვილეში გასაკიცხია, ან - პირიქით. მისი თანხმობა თითქმის ყოველთვის უარყოფაა, და მისი „არას“ მიღმა ყოველთვის „დიახ“ კრთის ხოლმე. რა კეთილშობილური მიზანიც უნდა ამოდრავებდეს, იდეა ყოველთვის უარყოფითი საშუალებებით გამოითქმის. ეს მას დაკმაყოფილების განცდას უჩენს, და არა - მხოლოდ ესთეტიკური დაკმაყოფილებისა. ასე „მუშაობს“, ალბათ, მანდელშტამის ფსიქიკის თავდამცავი მექანიზმი. მისი წიკწიკი სამწერლო კონსტიტუციასაც განაპირობებს, ცხადია, სავსებით არაერთგვაროვანი ფორმით, ხარისხითა და ინტენსივობით.

არ გამოირიცხება მოდერნისტული „სტანდარტისადმი“ ერთგულებაც, როცა ირონია სამყაროსგან საკუთარი ცნობიერების აბსტრაქტიზების, სოციალური სინამდვილისაგან გაუცხოებისა და სუბიექტური თვითჩაღრმავების საშუალებაა.

პოლიტიკური პრეფერენციისა თუ კუთვნილების თვალსაზრისით, პოეტი თანაუგრძნობს საბჭოთა ხელისუფლებას და კილავს ყველაფერს, რაც მას ეწინააღმდეგება: ამჯერად მისი სამიზნე დამოუკიდებელი საქართველოა. მის ქცევას პიროვნულ სტანდარტებთან ერთად განაპირობებს პოლიტიკური კონიუნქტურაც, რომლის მსახურებასაც პოეტი არ უცხოობს. პირიქით: სარფიანად იყენებს.

როგორც ჩანს, ეს მანდელშტამის ბიოგრაფიის იმ ეტაპად უნდა მივიჩნიოთ, როცა პოეტი ჯერ ისევ ადამიანია და არა - „პოეტის არქეტიპი“.

საკვანძო სიტყვები: *ოსიპ მანდელშტამი, საქართველო, „დაბრუნება“, საბჭოურ-დიდმპყრობლური ინერცია*

მოხსენება, ზოგადად, ეხება საქართველოსთან დაკავშირებული იმ მხატვრული ტექსტების შეფასებისა და წვდომის საკითხს, რომელთა მნიშვნელობა შეუძლებელია ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი იყოს, კონკრეტულად კი - დიდი რუსი პოეტის, მეოცე საუკუნეში ლამის პოეტის არქეტიპად მიჩნეული ოსიპ მანდელშტამის ნარკვევს - „დაბრუნება“ (დაბრუნება 2011:34-39).

ნარკვევის დაბეჭდვას მანდელშტამი ვერ მოესწრო.

ამის მიზეზი თითქოს ის უნდა ყოფილიყო, რომ „დაბრუნება“ ეხმაურება და, ნაწილობრივ, ტექსტუალურადაც ემთხვევა ნარკვევს „მენშევიკები საქართველოში“ (ნერლერი 1990:392).

ასეა თუ ისე, „დაბრუნება“ დამოუკიდებელ ნაწარმოებად მიაჩნიათ და ჩემთვის ცნობილ

ყველა გამოცემაში, ძველებშიც და ახლებშიც, ცალკე მიუჩენენ ხოლმე ადგილს.

მე კი მგონია, რომ ეს ტექსტი ერთ-ერთი ვარიანტია (შეიძლება ითქვას, „შავი და უსრული ვარიანტი“) ნარკვევისა „მენშევიკები საქართველოში“, რასაც ადასტურებს მისი შინაარსიცა და მეორე ნარკვევთან შედარებაც.

ტექსტი თავდაპირველად თითქოს მეორე პროზაული ოპუსის - „ეგვიპტური მარკის“ დამატებად უნდა დაებეჭდათ, თუმცა აღმოჩენილია მანდელშტამის 1928 წლის 25 ივნისით დათარიღებული ბარათი ლენინგრადის სახელმწიფო გამომცემლობის თანამშრომლის, პ. კორობოვასადმი: „...არავითარი „დაბრუნება“ და მისთ. ამ წვრილმანების წიგნში შეტანით სერიოზული შეცდომა დავუშვი. მათი დატოვებით წიგნს დავღუპავთ. ის სიცოცხლის ღირსია. იხსენით!“ - ვალალებს მანდელშტამი და უკვე აღებული ჰონორარის დაბრუნებაზეც (!) კი თანახმაა (ნერლერი 1990:392; მანდელშტამი 1999:97-98).

გამომცემლობას გაუთვალისწინებია ავტორის სურვილი და დაუბეჭდავთ მხოლოდ „ეგვიპტური მარკა“, „დროის ხმაური“ და „ფეოდოსია“: „ორი თვის წინათ...მოგწერეთ: ვითხოვდი, რადაც უნდა დაგჯდომოდით, „ეგვიპტური მარკის“ დასასრული „ამოგედოთ“: ყველაფერი, საკუთრივ, „ეგვიპტური მარკისა“ და „დროის ხმაურის“ გარდა, რომელიც მთავრდება სიტყვებით: „...ფეოდოსიური მთვარის თხის რძით“ - ამ სიტყვების შემდეგ - ბოლო სტრიქონამდე - გვედრებით, ყველაფერი „ამოგედოთ“ (მანდელშტამი 1999:97-98).

მთავარ მიზეზს, რატომაც პოეტმა აღარ მოინდომა, მის სიცოცხლეში დასტამბულ კრებულში შესულიყო „დაბრუნება“, „ბათუმის“ სახელწოდებით ცნობილი ორი ოპუსი და „მენშევიკები საქართველოში“, ჩვენ ვერასოდეს შევიტყობთ.

ვიციტ ერთი რამ: ნარკვევი „დაბრუნება“ 1987 წელსდა გამოუქვეყნებიათ მწერალ სვეტლანა ვასილენკოსა (დ. 1956) და ფსიქიატრსა და ლიტერატურათმცოდნე იური ფრეიდინს, ნადეჟდა მანდელშტამის ანდერძის აღმასრულებელს (1942-2021), იმ ვერსიის საფუძველზე, რომელიც პოეტის ქვრივს ჰქონია.

პუბლიკატორები აღნიშნავენ, რომ მანდელშტამს ტექსტი 1923 წელს დაუწერია ჟურნალ „ოგონიოკის“ რედაქციის თხოვნით, ოღონდ დაუწუნიათ, აპოლიტიკურიყო. მის ნაცვლად, მანდელშტამმა „ოგონიოკს“ „მენშევიკები საქართველოში“ შესთავაზა, რომელიც, მეტწილად, იმავე ფაქტობრივ მასალაზე დაეწერა. საინტერესოა, რომ „დაბრუნების“ ტექსტი პოეტმა მოგვიანებით საფუძვლად დაუდო „დროის ხმაურის“ სამი დამამთავრებელი თავიდან - ორს („დაბრუნება“, „შეხვედრა რედაქციაში“), რომლების გამოქვეყნებაც წიგნ „ეგვიპტური მარკის“ მომზადებისას იყარა და, როგორც ჩანს, ტექსტები დაიკარგა (მანდელშტამი 1987:76-77).

„ოგონიოკთან“ მანდელშტამი ნაყოფიერად თანამშრომლობდა. ჯერ კიდევ სამოქალაქო ომის დროს შემდგომ - „ოგონიოკის“ რედაქტორთან, ცნობილ ჟურნალისტთან, კრიტიკოსსა და ჯაშუშთან (1898-1940), მიხაილ კოლცოვთან ერთად მანდელშტამიც არაერთხელ სტუმრებია კიევს. იქ არა მხოლოდ ნაწარმოებებს უბეჭდავდნენ, არამედ უხდიდნენ კიდევ: უკრაინა ჯერ ისევ მაძლარი იყო და, პირდაპირი მნიშვნელობით, კვებავდა სტუმრებს (პეტნიკოვი 2012).

1923 წელს მანდელშტამის 8 სხვადასხვა (ერთნაირად კონიუნქტურული!) ნარკვევი დაბეჭდილა „ოგონიოკში“, რომელთა შორისაცაა „მენშევიკები საქართველოში“. ამას იოლად ხსნიან: იმხანად ჰონორარი თარგმანებისა და ჟურნალისტური ოპუსებისთვის, ფაქტობრივად, გამოკვების ერთადერთი წყარო იყო (მანდელშტამი „ოგონიოკში“ (2020); სესლავეინსკი (2016).

*

„დაბრუნება“, როგორც პუბლიკატორები აღნიშნავენ, პირობითი სათაურია - ძმები ოსიპ და ალექსანდრე მანდელშტამები ყირიმიდან საქართველოს გავლით მოსკოვში ბრუნდებოდნენ. სამწუხაროდ, არ უთითებენ, თვითონ უწოდეს ასე თუ ნადეჟდა მანდელშტამმა.

*

1920 წელი დგას (ტექსტში შეცდომით 1919 წელი იხსენიება, გ.ჯ.). ბათუმში, განათებულსა და სუფთაში, რომლის ანტიპოდადაც ავტორი ნახევრად ბნელ ფეოდოსიას წარმოადგენს, უცხო და უსაქმური ხალხი ცხოვრობს.

გემიდან ჩამოსულთათვის პასპორტები ჩამოურთმევიათ. ავტორი ირონიულად შენიშნავს, რა საჭიროა პასპორტები თავისუფალ ქვეყანაში.

გამოუცდელი სტუმრები უსიამო ვითარებას გადაჰყრიან: ჩვენ ვეძებდით კაფეს, სახელად - „მაწონი“, ეს კი იტალიურად „დოს“ ნიშნავს და ყველა კაფეზე ეწერა, რომ იქ მაწონს ყიდდნენო. ეს მანდელშტამის ირონიული შენიშვნაა: ისე ჩანს, აქ ავტორი „მაწონის“ ფსევდოიტალიურ ჟღერადობას აშარჟებს და განაგრძობს: „როგორც იქნა, ვიპოვეთ ჩვენი „მაწონი“ - ღორღით მოფენილი ეზო, მაგიდებს წამოხურული ქოლგა-სოკოებით, და დღე დავაგვირგვინეთ ფინჯანი თურქული ყავით და ნამდვილი თხევადი ოქროთი - ერთი სირჩა ცხელი მარტელით. სწორედ აქ შევხვდით აწოწილ აგნიცევს (სხვათაშორის, ამავე ეპითეტს (რუსულად - дилговызый) იყენებს ალექსანდრ ვერტინსკი აგნიცევის აღსაწერად, რომელიც 1921 წელს სევასტოპოლში შეხვედრია (კუფერშტეინი 1998:59).

რომელსაც საზარელი ბრასლეტით დაებორკა მაჯა. სიმთვრალემ სძლია და გადასაკოცნად დაიხარა (ორიგინალშია: Он спьяну полез целоваться), მაგრამ, როცა შეიტყო, რომ მოსკოვში მივდიოდით, მაშინვე დასვედიანდა და გაქრა“.

პოეტი ნიკოლოზ აგნიცევი (1888-1932) რამდენიმე რუსული თეატრის სული და გული იყო - პოეტი, ლიბრეტოების, პიესებისა და ფელეტონების ავტორი. უკრაინაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ზღვის სანაპიროს გამოჰყოლია და ჯერ - ფოთსა და ბათუმში, შემდეგ ტფილისში უმუშავია. როცა აქაც ბოლშევიკები მოვიდნენ, სევასტოპოლში წასულა, შემდეგ კი - უცხოეთში (იქვე).

1923 წელს, როცა მანდელშტამი ნარკვევს წერს, აგნიცევი ემიგრანტია. ავტორი, ძირითადად, სწორად წარმოგვიდგენს მას: აგნიცევს მართლაც უყვარდა სმა და უცნაური აქსესუარებით დახუნძვლა. ის ფინალური შენიშვნა კი, როცა გაიგო, მოსკოვში ვბრუნდებოდით, მაშინვე მოიღუშა და გაქრაო, ორ რამეს მაინც მავარაუდებინებს: აგნიცევს ან გული დასწყდა, რომ ძმები მანდელშტამები მშიერ და სისხლიან მოსკოვს უბრუნდებოდნენ, ან იმან შეაშფოთა, რომ საბჭოური სინამდვილე ეღიარებინათ. თუ ეს ბოლო თეზისი სიმართლესთან ოდნავ ახლოსაა, მაშ, მანდელშტამიც არც თუ სასიამოვნო ფერებს იმეტებს მისი პორტრეტის დასახატად, და ეს კონიუნქტურა სათანადოდ ფასდება!

*

საქართველოს სტუმრებს დილით მიუკითხავთ რომელიღაც კომისრისთვის, რათა პასპორტები დაებრუნებინათ. მისი ვინაობა დაუზუსტებელია როგორც ამ ტექსტში, ისე - ნარკვევში „მენშევიკები საქართველოში“.

მანდელშტამს, იმის დასამოწმებლად, რომ საქართველოში მეგობრები ჰყავდა, ჩამოუთვლია პოეტები: რიურიკ ივნევი და სერგეი გოროდეცი. გახარებულ (!) კომისარს უთქვამს, ორივეს ვიცნობ, საქართველოდან გავასახლეთო.

და ეს სიმართლე იყო: საინტერესოა, რომ რიურიკ ივნევი (ნამდვილი გვარ-სახელი - მიხაილ კოვალიოვი) (1891-1981) სულაც თბილისელი გახლდათ, ოღონდ, როგორც მისი დღიურებიდან, ასევე - ავტობიოგრაფიული პროზიდან ჩანს (ივნევი 2009; ივნევი 1981) და შემდგომი საქმიანობაც ადასტურებს (1917 წლის მოვლენებს პოეტი მიესალმა. მეტიც: ალექსანდრ ბლოკსა და ვლადიმირ მაიაკოვსკისთან ერთად, სწორედ იმ დღეს, როცა „ოქტომბრის რევოლუციად“ წოდებული გადატრიალება წარმატებით დასრულდა, სმოლნში გამოცხადდა, გამოეხმაურა სახალხო განათლების კომისრის, ა. ლუნაჩარსკის მოწოდებას, და აქტიურად დაიწყო თანამშრომლობა ახალ ხელისუფლებასთან. ის ხდება ლუნაჩარსკის მდივანი, მუშაობს მუშურ-გლეხური წითელი არმიის ორგანიზების კოლეგიაში, მონაწილეობს სრულიად რუსეთის საბჭოების IV საკავშირო ყრილობის მუშაობაში, თავკაცობს რუსეთის პოეტთა კავშირს და სხვ. (ივნევი 1995), თანაუგრძნობს ბოლშევიკებს და მტრობს დამოუკიდებელ საქართველოს. ეს კი მისივე სიტყვებია: „ვსევოლოდ ემილის ძე მეიერჰოლდი, იმხანად ნოვოროსიისკში რომ იმყოფებოდა, დამეხმარა საქართველოში ევაკუაციაში, სადაც სათავეში მენშევიკები იდგნენ. დავამყარე ურთიერთობა ბოლშევიკთა პარტიის კავკასიის იატაკქვეშა სამხარეო კომიტეტთან და რამდენიმე ლექცია წავიკითხე, რისთვისაც, საბოლოოდ, საქართველოდან გამასახლეს. ვლადიკავკასის გავლით მოსკოვში დაბრუნება 1920 წლის ნოემბერსლა შევძელი“ (რიურიკ ივნევის მოგონებები 1981). ვფიქრობ, ყველაფერი ნათელია. მხოლოდ იმას დავურთავ, რომ

ივენეს 1919 წელს დაავალეს სააგიტაციო მატარებლის ორგანიზება და პერიფერიებში მოგზაურობა. ბუნებრივია, ქართულ მთავრობას ის ჯაშუშად მიეჩნია და გაემევებინა!

სერგეი გოროდეცკი (1884-1967) 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის შესახებ თბილისში ყოფნისას შეიტყო, სადაც, თუ მანამდე სალიტერატურო საქმიანობით დაკავებულიყო, აწ პოლიტიკური სააგიტაციო ოპუსების წერა დაეწყო (გოროდეცკი).

მოგვიანებით გოროდეცკიმ პ. მერკუროვთან ერთად დაარსა ჟურნალი „ნართი“ - მხატვრულ-სატირული ყოველკვირეული (1919), რომლის ფურცლებზეც ხანდახან საქართველოს მენშევიკი მეთაურების წინააღმდეგ საკმაოდ მწვავე მასალები იბეჭდებოდა. მაგალითად, ჟურნალის პირველ ნომერში გამოქვეყნებინათ ნოე ჟორდანას სატირული კარიკატურა (მთავრობის მეთაური წვერცანცარა თხად გამოეყვანათ!). ჟურნალის პოლიტიკური პოზიცია მალევე მიუჩნევიათ გასაკიცხად და აუკრძალავთ, ხოლო რედაქტორი - გაუსახლებიათ: „...ღამით გამომეცხადა პირდაპირ რუსთაველის დროინდელი ფრესკიდან გადმოსული პირმშვენიერი ყმაწვილი და ალტერნატივა შემომთავაზა: ან - მეტეხის ციხე, ან - გაცლა, საითაც მსურდა. ოჯახთან ერთად ვიყავი. ამან განაპირობა ჩემი არჩევანი: გაცლა“ (ნიკოლსკაია 2000:134-135; ენიშერლოვი 2016). იმას, რომ სინამდვილეში გოროდეცკი კავკასიას არ გასცლია, მისი შემდგომი საქმიანობა ადასტურებს, მაგრამ ნიშნულად მეჩვენება ეს მემუარიც: ანასტასი მიქოიანი - ცნობილი საბჭოთა დიდმოხელე იგონებს, რომ ერთხელ, ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, მოსკოვში, სტეფანე შაუმიანის ქვრივის ბინაში შეკრებილიყვნენ გორკი, ლუნაჩარსკი, ენუქიძე, კამო, მიქოიანი, ლევ შაუმიანი. გორკის და ლუნაჩარსკის ლიტერატურაზე ცხოველი საუბარი გაეჩაღებინათ. უცებ გორკიმ მიქოიანს მიმართა: - თქვენ მგონი ახლახან ჩამოხვედით კავკასიიდან, არა? რა ხდება იქაურ სალიტერატურო ცხოვრებაში? შეცბუნებულ მიქოიანს ლევ შაუმიანი წახმარებია და უამბია ვასილი კამენსკიზე, სერგეი გოროდეცკიზე, რიურიკ ივენეზე, რომელთაც მენშევიკურ ტფილისში შეხვედრია: ისინი ხშირად კითხულობენ ლექციებს, ლექსებს, ღირსეულად იქცევიან და, ყველაფერი ადასტურებს, რომ პროსაბჭოურად არიან განწყობილნიო (სერებრიანი 2006).

ამგვარად, ჩემი აზრით, მანდელშტამის ირონია სავსებით უადგილოა. ცხადია, მას ამის უფლება ჰქონდა, მაგრამ ესეც კონიუნქტურის წისქვილზე ასხამდა წყალს!

*

სტუმრები ვიზის მისაღებად გენერალ-გუბერნატორთან გაუგზავნიან.

გამცილებელს ჯიბე გამოზურცოდა: იქ ალბათ გასაღებთა აცმა ედო და ეს „თავისუფლების აღკვეთის საინკუბაციო პერიოდის“ მეტაფორადაც გამოდგებოდაო, - შენიშნავს მანდელშტამი და გენერალ-გუბერნატორს აღწერს: „ის იტალიელ გენერალს ჰგავს: მაღალია და ხმელი, რაღაც დაფნებით მოქარგულ მაღალსაყელოიან მუნდირში გამოწყობილი. მას მაშინვე გარს შემოერტყნენ აკაკანებულ-ატიტინებული უსიამოვნო გარეგნობის ადამიანები. და ამ ფრინველებისათვის დამახასიათებელ ყაშყაშში გამოარჩევდი ერთადერთ გასაგებ სიტყვას, ენერგიული ჟესტებისა და გადმოკარკლული თვალების თანხლებით, არაერთხელ რომ იმეორებდნენ: „ბოლშევიკი, ბოლშევიკი“ (ალსანიშნავია, რომ ამ სიტყვის რუსულად დაწერისას ავტორი საგანგებოდ ტოვებს რბილ ნიშანს ქართული მეტყველების სპეციფიზებისათვის! გ.ჯ.)“.

გენერალს განუცხადებია, უკან გაბრუნება მოგიწევთო. რატომ? - იმიტომ, რომ ცოტა პური გვაქვს. - მაგრამ ჩვენ აქ როდი ვრჩებით, მოსკოვში მივდივართ. - არ შეიძლება. აქ ასეთი წესია: რაკი ყირიმიდან ჩამოხვედით, ყირიმშივე უნდე გაემგზავროთ. აუდიენცია დასრულებულა.

დავაზუსტოთ ეს ტოპოსი.

გენერლის ვინაობას ნინო ტაბიძის მოგონებებითა ვადგენთ (ნინო ტაბიძე 2016:99-100)., ცისარტყელა განთიადისას, ტიცინი და მისი მეგობრები, „არტანუჯი“, თბ., 2016, გვ. 99-100). სხვა მემუარისტები (ნიკოლო მიწიშვილი, ტიცინი ტაბიძე, ილია ერენბურგი, ნადეჟდა მანდელშტამი...) მას არ იხსენიებენ. ნინო ტაბიძე წერს: „...ტიციანი და ნიკოლო წავიდნენ გენერალ მდივანთან. ის პატივისცემით მოეკიდა მათ თხოვნას და მანდელშტამის კარანტინიდან გამოყვანის ნებართვა გასცა“.

ზემოთ მითითებული ავტორები კი მხოლოდ გენერალ ბენია ჩხიკვიშვილთან შეხვედრას

ადასტურებენ. მოგვიანებით მასთან შეხვედრას იხსენებს მანდელშტამიც. შესაძლოა, ერთ გენერალს კარანტინიდან დაეხსნას მანდელშტამი, მეორეს კი საერთოდ გაეთავისუფლებინოს.

ასეა თუ ისე, შესაძლოა დავუშვათ, რომ ნინო ტაბიძისეული „გენერალი მდივანი“ და მანდელშტამისეული „გენერალ-გუბერნატორი“ ერთი და იგივე პირია - ზაქარია (შაქრო) ასლანის ძე მდივანი (1867-1933), რომელიც იმხანად მართლაც მსახურობდა ბათუმის სამხედრო კომენდანტად (მდივანი ზაქარია). მისი პორტრეტის დახატვისას პოეტი ვვლავაც ირონიულია. ქართული სახელმწიფოს გენერალი იტალიელს ჰგავს. მისი უნიფორმაც კი მსუბუქი იუმორის ობიექტია: რაღაც დაფნებით მოუქარგავთ. მას გარს ატიტინებულ-აკაკანებულ-აყაშყაშებული თვალეზგადმოკარკლული თანამშრომლები ახვევია. დაბოლოს, მანდელშტამი ლამის ქართველთა უტყუარ მარკერად ქცეულ უსწორო რუსულ მეტყველებასა (Болшевик) და დამოუკიდებელი საქართველოს ოფიციალურ დამოკიდებულებას გადასწვდება საბჭოთა ხელისუფლებისადმი!

ესეც კონიუნქტურის საამებელი სვლაა.

*

ავტორი სხვებთან ერთად ციხეში გამოუმწყვდევიანათ:

იმ ადგილას, საკნის სარკმლიდან როგორ ათვალისწინებდა ნარკვევის გმირი „იაპონურ“ ბორცვებს და მოტორიანი იალქნიანი ნავების მთელ ტყეს, ჩანაწერი წყდება.

ჟურნალ „იუნოსტში“ ნარკვევის გამომქვეყნებელნი საგანგებოდ შენიშნავენ:

„ხელნაწერის ნაწილი დაკარგულია. ნარკვევის - „მენშევიკები საქართველოში“ ნაბეჭდი ვერსიის აშიაზე ნადეჟდა მანდელშტამის მინაწერია, რომელიც, ნაწილობრივ, ცხადყოფს დაკარგული ტექსტის შინაარსს: „ქართველმა პოეტებმა შესთავაზეს ო.ე. -ს (ოსიპ ემილის ძეს, გ.ჯ.), თავდებად დასდგომოდნენ, მაგრამ იუარეს, მის ძმაზეც ეზრუნათ. აქ გამოტოვებულია - ქართველი პოეტების ვიზიტი, რომლებმაც ინახულეს და, წასვლისას, მიავიწყდათ. ქართველთაგან ვიღაცამ სთხოვა, ეს ადგილი ამოეღო. ოსიას არ უნდოდა. შემდეგ თავისით გაქრა“ (მანდელშტამი 1987:77).

რა უნდა ვიფიქროთ?

შესაძლოა, ის, რომ ნარკვევ „დაბრუნებაში“ იყო ადგილი, სადაც მანდელშტამი, ფაქტობრივად, ამხელდა ქართველ პოეტებს, მე კი თავდებად დამიდგნენ, მაგრამ ჩემი ძმის თავდებობა ვედარ იკისრესო. მაშ, თავდებად დაუდგნენ, რომ პოეტი იყო და არა - ბოლშევიკების ჯაშუში (თუმცა, როგორც ზემოთაც ვნახეთ, ეს ერთმანეთს არ გამოირიცხავდა!), მაგრამ, წასვლისას, მიავიწყდათ. არადა, ყველა ქართველი მემუარისტი - საკუთრივ, ტიცთან ტაბიძე (ტ. ტაბიძე 1923), ნიკოლო მიწიშვილი (მიწიშვილი 2006:164-165), ნინო ტაბიძე (ნ. ტაბიძე 2016:99-100) და ილია ერენბურგი (ერენბურგი 1990:316), სხვადასხვა ვარიაციით, მაგრამ პირმტკიცედ იმეორებენ, რომ მანდელშტამი ქართველმა პოეტებმა თუ პოეტმა (ტ. ტაბიძე) გაათავისუფლებინეს. ვთქვათ, ნარკვევ „დაბრუნებაში“ ეს (ამგვარად თუ იმგვარად) ეწერა; ვთქვათ, „ქართველთაგან ვიღაცამ“ მართლაც სთხოვა მანდელშტამს ამის „ამოღება“; ვთქვათ, მერე ეს პასაჟი იდუმალად თავისით დაიკარგა... მან ხომ დაწერა ახალი ვერსია, რომელსაც „მენშევიკები საქართველოში“ უწოდა და რომელიც მაგავე ფაქტობრივ მასალას დააფუძნა - რატომ არ შეიტანა ეს ადგილი? ნარკვევში „მენშევიკები საქართველოში“ მხოლოდ ისაა ნათქვამი, რომ ციხიდან პრობოლშევიკურად განწყობილმა ბადრაგმა დაიხსნა და არა - ქართველი პოეტის ჩარევამ! ან: თუკი ასე ნაწყენი იყო ქართველ პოეტებზე, ტფილისში ყოფნისას ორი კვირის განმავლობაში რად იჯდა მათ სუფრაზე, რად ეძინა მათ მიერ გამოძებნილ წვირიან სასტუმროში, რატომღა ჩავიდა თბილისში მეორედ, იმხანად უკვე - მეუღლესთან ერთად?

ეს კითხვები უპასუხოა, მაგრამ მათი დასმა მკვლევრის ვალდებულება მგონია.

*

ტექსტი იმით გრძელდება, რომ ავტორი ვიღაც თანამგზავრთან ერთად რუსული გაზეთის რედაქციაში მიდის (ალბათ საიმისოდ, რომ უშველონ. შესაძლოა, პირდაპირ ცრემლი მოგადგეს თვალზე, თუ რა საშინელ პირობებში უმყოფვებით ციხეში (!) რუსი პოეტი! გ.ჯ.), მაგრამ, თითქოს

საგანგებოდ, გაზეთი „ვრანგელური“ ანუ თეთრგვარდიული ორიენტაციისა აღმოჩენილა. რის ვაი-ვაგლახით მიუკვლევიათ სხვა გაზეთის, „უფრო შესაფერისი“, რედაქციისათვის. რედაქტორს, სავარაუდოდ, უცვნია ავტორი და მისი ამბავი სამოქალაქო გენერალ-გუბერნატორ ბენიამინ ჩხიკვიშვილისთვის (ორიგინალში გვარი ყველგან შეცდომით მეორდება: Чиквишвили, გ.ჯ.) უმცნია. ავტორის აღწერით, მას „წმინდანით ინტელიგენტური სახე და თხასავით გრძელი პატრიარქალური წვერი“ ჰქონია. გენერალს ლაკონიურად გაუძევებია გუშაგი («Пошел вон»), მაშინვე რომელიღაც რვეული დაუდია წინ პოეტისათვის და შეუჩვილია: „ღვთის გულისათვის, რას იტყვით ამ ნაწარმოებზე - ეს კაცი პირდაპირ ჩვენს კომპრომეტაციას ეწევა!“. რვეული გამოდგარა პოეტ ნიკოლოზ ივანეს ძე მაზურკევიჩის (1893-?) - ალბომი, რომელშიც ეწერა პანეგირიკები ქართული მენშევიკური მთავრობის წარმომადგენლებისადმი. ავტორი გვარწმუნებს, ყოველი მათგანი, დაახლოებით, ასე იწყებოდაო: „ო შენ, დიდო ჩხიკვიშვილო, ო შენ, ჟორდანია, მთელი მსოფლიოს სასოება!“ (ორიგინალშია: О ты, великий Чиквишвили, О ты, Жордания, надежда всего мира...). „მითხარით, ნუთუ ის თქვენში კარგ პოეტად ითვლება?“ .

ნიკოლოზ მაზურკევიჩი ნოვოროსისკელი იყო და 1914-1917 წწ.-ში სათავეში ედგა პიატიგორსკში გამომავალ ლიტერატურულ-მხატვრულ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ჟურნალს Кавказский Журнал. 1918 წლიდან ჟურნალი თბილისში გამოდის, ოღონდ მის რუსულ სახელწოდებას ქართულიც - „დალოცვილი საქართველო“ - დამატებია. 1920 წლის 14 აგვისტოს ნომრის გარეკანზე მართლაცაა ნოე ჟორდანია პორტრეტი და მაზურკევიჩის მისადმი მიძღვნილი ლექსი, რომლის ფრაგმენტის ქართულად ამეტყველება ასეც შეიძლება (დალოცვილი საქართველო 1920; სტავროპოლმცოდნეობა 2010).

„ო ჟორდანია, შემოგბედავ შმაგ ლექსს, დიახაც,
ნაღდა და გულწრფელს, ყალბი ხოტბა რასაც არ ჰქვია,
შენ, ვინც გადურჩი ურწმუნობას, ბიწს, ანარქიას -
შენ, ვინც დევგმირი, სასწაული და გენია ხარ!“

(ორიგინალშია: «Жордания! Прости за этот вольный стих — // Он искренен, без тени лицемерья, — // Среди анархии, среди бурь, среди пошлости, безверья // Ты — Чудо-Богатырь, ты — гений, ты — велик!» (ჩერნოვი 1920) (ჩერნოვი 1920). ფელეტონი გაზეთ.

*

ამ ტექსტს ქართული სალიტერატურო კრიტიკა არასდროს გამოჰხმაურებია. მით უფრო საშურია იმის თქმა, რომ ისიცა და მასზე დაფუძნებული მეორე ნარკვევიც („მენშევიკები საქართველოში“), რომელიც ცალკე კვლევას იმსახურებს, მანდელშტამის შემოქმედებითი და პიროვნული პორტრეტის ერთ პლასტს მაინც ათვალსაჩინოებს:

პოლიტიკური პრეფერენციისა თუ კუთვნილების თვალსაზრისით, პოეტი თანაუგრძნობს საბჭოთა ხელისუფლებას და კილავს ყველაფერს, რაც მას ეწინააღმდეგება: ამჯერად ეს დამოუკიდებელი საქართველოა. მის ქცევას პიროვნულ სტანდარტებთან ერთად განაპირობებს პოლიტიკური კონიუნქტურაც, რომლის მსახურებასაც პოეტი არ უცხოობს. პირიქით: სარფიანად იყენებს.

როგორც ჩანს, ეს იმ ეტაპად უნდა მივიჩნიოთ, როცა პოეტი ჯერ ისევ ადამიანია და არა - პოეტის არქეტიპი.

ლიტერატურა:

Возвращение (2011). Осип Мандельштам, Полное собрание сочинений и писем в трех томах, Том 3, П Р О З А, П И С Ь М А, Москва, Прогресс-Плеяда

ნერლერი (1990). Осип Мандельштам, Стихотворения, Переводы, Очерки, Статьи, Тбилиси, Мерანი, 1990

მანდელშტამი (1999). О. МАНДЕЛЬШТАМ, СОБРАНИЕ СОЧИНЕНИЙ В ЧЕТЫРЕХ ТОМАХ, ТОМ ЧЕТВЕРТЫЙ, ПИСЬМА, АРТ-БИЗНЕС-ЦЕНТР, МОСКВА 1999

მანდელშტამი (1987). Осип Мандельштам, Возвращение, Юность, 1987 №9, 76-77

პეტნიკოვი (2012). Григорий Петников, Страничка воспоминаний (Осип Мандельштам), Предисловие, публикация, примечания Полины Поберезкиной, გვ. 315, http://sites.utoronto.ca/tsq/40/tsq40_petnikov.pdf

- სესლავინსკი (2016). Мой друг Осип Мандельштам. Михаил Сеславинский всмотрелся в наследие поэта библиофильским взглядом., <https://www.kommersant.ru/doc/2889450>
- მანდელშტამი „ოგონიოკში“ (2020). Мандельштам в «Огоньке» 1923 года, <https://1-9-6-3.livejournal.com/582191.html>
- კუფერშტეინი (1998). Ефим Куферштейн, Странник нечаянный, книга о Николае Агнивцеве – поэте и драматурге., Издание 2-е, исправленное и дополненное, Библиотека Всемирного клуба петербуржцев, Санкт-Петербург, 1998, https://imwerden.de/pdf/kuferstein_strannik_nechayanny_agnivtsev_1998__ocr.pdf
- ივნევი (2009). Рюрик Ивнев, Новые тетради дневников, Опубликовано в журнале Крещатик, номер 2, 2009, <https://magazines.gorky.media/kreschatik/2009/2/novye-tetradi-dnevnikov.html>
- ივნევი (1981). РЮРИК ИВНЕВ, У ПОДНОЖИЯ МТАЦМИНДЫ, <https://profilib.org/chtenie/143212/ryurik-ivnev-u-podnozhiya-mtatsmindy.php>
- ივნევი (1995). Рюрик Ивнев, Последний иماجинист, Маяковский и его время, Опубликовано в журнале Арион, номер 1, 1995, <https://magazines.gorky.media/arion/1995/1/poslednij-imazhinist.html>
- რიურიკ ივნევის მოგონებები (1981). Воспоминания Рюрика Ивнева, Вместе с Луначарским, <http://lunacharsky.newgod.su/bio/rurik-ivnev-vmeste-s-lunacharskim/>
- გოროდეცკი. Сергей Митрофанович Городецкий, Лаборатория Фантастики, <https://fantlab.ru/autor5926>
- ნიკოლსკაია (2000). Никольская Т. «Фантастический город». Русская культурная жизнь в Тбилиси (1917–1921). М., 2000
- ენიშერლოვი (2016). Владимир Енишерлов, «Акмеистов было шесть...», <http://www.nasledie-rus.ru/podshivka/11707.php>
- სერებრიანი (2006). Даниил Серебряный, Сергей Городецкий. Стихи, воспоминания, <https://stihi.ru/2006/02/07-734>
- ნინო ტაბიძე (2016). ნინო ტაბიძე, ცისარტყელა განთიადისას, ტიცინი და მისი მეგობრები, „არტანუჯი“, თბ., 2016
- მდივანი ზაქარია. მდივანი ზაქარია, http://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php/მდივანი_ზაქარია
- ტ. ტაბიძე (1923). ტიცინ ტაბიძე, გასტრალიორი ჭონტოლი, გაზ. „რუბიკონი“, 1923, N14, კვირა, 25 აგვისტო
- მიწიშვილი (2006). ნ. მიწიშვილი, ქართული ქრონიკა რევოლუციის დროიდან, ინტელექტი, თბ., 2006
- ერენბურგი (1990). И. Эренбург, Люди, годы, жизнь, ВОСПОМИНАНИЯ в Т Р Е Х ТОМАХ, ТОМ ПЕРВЫЙ, КНИГИ ПЕРВАЯ, ВТОРАЯ, ТРЕТЬЯ, ИЗДАНИЕ ИСПРАВЛЕННОЕ И ДОПОЛНЕННОЕ, Москва, Советский Писатель
- დალოცვილი საქართველო (1920). Кавказский Журнал - დალოცვილი საქართველო, <http://www.nplg.gov.ge/ec/ka/pd3/search.html?cmd=search&pft=biblio&q=700%3АМазуркевич+Н.И>
- სტავროპოლმცოდნეობა (2010). Ставропольеведение, Ч. I, Черная Т. К. , Литературный край ставрополье
М.: Изд. Надыршин, 2010, <https://studfile.net/preview/6326589/>
- ჩერნოვი (1920). А. Чернов, Фельетон, «Грузия», 1920, № 127, 28 сентября

Osip Mandelstam in Democratic Georgia and Vice Versa (According to essay “Homecoming”)

Jokhadze Grigol
Iliia State University, Tbilisi

Abstract

Osip Mandelstam’s essay “Homecoming” has never been the object of the Georgian Literary criticism. It is all the more appropriate to say that the both essays – “Homecoming” as well as “Mensheviks in Georgia” – additionally reveal several proverbial layers of his artistic and personal portrait.

Mandelstam, as a contemplator, is always ironic. One may think that such way he utilizes the Modernistic standard when the irony is the resource of abstracting from his own conscience, estrangement from the social reality and self-profoundness. In terms of political preferences or belonging, the poet supports the Soviet government and criticizes everything that contradicts it. In this case, the object of his vilification is Georgia. His behavior is determined by the political

conjuncture, the service of which the poet does not disdain, but uses it rather profitably.

Seemingly, we deal with the stage of Mandelstam's biography when he is not an archetype of the Poet but just a human being.

Key Words: Osip Mandelstam, Georgia, Homecoming, the inertia of Soviet great-power policy

**მცირე ბიზნესის სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის ოპტიმიზაციის
მიმართულებები საქართველოში**

მოსიაშვილი ვალერი

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ, თბილისი

DOI: <https://doi.org/10.52340/idw.2023.69>

აბსტრაქტი. მცირე ბიზნესის როლისა და ადგილის განსაზღვრა ეროვნულ ეკონომიკაში ყოველთვის იყო მეცნიერული კვლევის ინტერესის სფერო. მისი მნიშვნელობის შესწავლას ქვეყნის ეკონომიკაში არაერთი სამეცნიერო თუ პრაქტიკული ხასიათის კვლევა მიემდგინა, რომელთა უმეტესობაში მოცემულია მცირე ბიზნესის როლი ეკონომიკისათვის, მისი დადებითი ეფექტები და გავნიტარების პერსპექტივები, სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის ღონისძიებები. მიუხედავად იმისა, რომ მცირე ბიზნესის სტიმულირების მიმართულებით სახელმწიფოს მხრიდან არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა და კვლავ მიმდინარეობს აქტუური მუშაობა ამ კუთხით, სასურველია არსებული რესურსების კიდევ მეტად ეფექტურად გამოყენება.

ჩვენს კვლევაში შევისწავლეთ საქართველოში მცირე ბიზნესის სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის ღონისძიებების ძირითადი მიმართულებები, როგორც ინსტიტუციონალური, ასევე ფინანსური კუთხით. გავაკეთეთ ავტორისეული ანალიზი და შეფასება. კვლევამ აჩვენა, რომ ის ღონისძიებები, რომელიც ბოლო პერიოდში ტარდება ხელისუფლების მიერ, დაფუძნებულია მსოფლიო საუკეთესო პრაქტიკაზე და უნდა უზრუნველყოს ქვეყანაში მცირე მეწარმეობის განვითარება. მიუხედავად პროექტების განხორციელებით მიღებული დადებითი ეფექტებისა, ვფიქრობთ ეს არასაკმარისია და შესაძლებელია არსებული მხარდაჭერის პროგრამებით (ფინანსური რესურსით) კიდევ მეტი შედეგის მიღება, თუნდაც მოკლევადიან პერიოდში. ამის ერთ-ერთი წინაპირობობაა შევისწავლოთ რამდენად მზად არის მცირე ბიზნესი ეფექტურად გამოიყენოს სახელმწიფოს მიერ შეთავაზებული პროექტები, ადგილი ხომ არ აქვს ფინანსური დახმარებების არაეფექტიან ან „არამიზამინარტულ“ გამოყენებას და როგორ ხედავს მსგავსი პროექტების განვითარების პერსპექტივას, რა მიმართულებების დაფინანსებას/ხელშეწყობას თვლის პერსპექტიულად.

კვლევის განხორციელებისას ჩვენს მიერ შერჩეული იქნა ფოკუს ჯგუფი, ბიზნესის სხვადასხვა სფეროში დაკავებული მეწარმეები, როგორც დედაქალაქიდან ასევე რეგიონებიდან. კვლევის მიზანი იყო დაგვედგინა - მცირე ბიზნესი როგორ არის ინფორმირებული სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის ღონისძიებების შესახებ, რა მასშტაბით იღებს მონაწილეობას, რა მიმართულებით არის მისაღები შემდგომი პროექტების განხორციელება, რა კუთხით ამჟობინებენ დახმარებას/მხარდაჭერას. პირველადი ინფორმაციის მოძიებით, თვისებრივი კვლევის შედეგად გავაკეთეთ არგუმენტირებული დასკვნები და რეკომენდაციები, რა სახის ცვლილებები უნდა განხორციელდეს (როგორც ფინანსური ასევე ინსტიტუციონალური კუთხით), მცირე ბიზნესის მხარდაჭერის სახელმწიფოებრივი ღონისძიებების ოპტიმიზაციის უზრუნველსაყოფად.

საკვანძო სიტყვები: მცირე ბიზნესი, ეროვნული ეკონომიკა, მეწარმეობა, ეკონომიკური ზრდა, ინვესტიცია.

შესავალი. საქართველოში მცირე მეწარმეობა ეტაპობრივად, შესაძლოა არც თუ ისე მაღალი თემპით, მაგრამ ვითარდება. სექტორის განვითარებაში საკმაოდ სოლიდურია სახელმწიფო მხარდაჭერის როლი, რომელიც სამეწარმეო გარემოს ოპტიმიზაციას საკმაოდ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, რეალური სგაგრანტო პროექტებით ცდილობს (სრული ან/და ნაწილობრივი დაფინანსება) არსებული ბიზნესის სტიმულირებას და დამწყებთათვის სასტარტო პირობების შექმნა-ხელშეწყობას.

მცირე მეწარმეობა რომ მნიშვნელოვანი სექტორია ეროვნული ეკონომიკისთვის ამაზე ისიც მეტყველებს, რომ დასავლეთის, ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) სოლიდური (რიგ შემთხვევაში უმეტესი) ნაწილი იქმნება, კიდევ დიდი დასაქმებულთა რიცხოვნობა, 2022 წლის Eurostat-ის მონაცემებით არსებული 30.1 მლნ სწარმოდან (155 მლნ დასაქმებული), 98% მიკრო და მცირე საწარმოა (დასაქმებულთა დაახლოებით 49%) (<https://ec.europa.eu/eurostat> უკანასკნელი ვიზიტი განხორციელდა 04.06.2023). ასევე მნიშვნელოვანია მცირე საწარმოთა როლი აშშ-სა და იაპონიაში (შესაბამისად სწარმოების დაახლოებით 80% და 97%, დადასაქმებულთა დაახლოებით 30% და 75%).

როგორც მსოფლიო საუკეთესო პრაქტიკით დასტურდება, რომ მცირე ბიზნესი ეროვნული ეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელია, განსაკუთრებით უმუშევრობის მინიმიზაციის მიზნით, რამდენადაც უმუშევრობასთან ბრძოლის ერთ-ერთ ქმედითი საშუალებაა საკუთარი ბიზნესის ქონა. მცირე მეწარმეობის განვითარებისა თუ მხარდაჭერის ცალკეული საკითხების კვლევა ბევრი წამყვანი ავტორის კვლევის სფეროა. საკითხი ვფიქრობთ კიდევ უფრო მწვავეა ჩვენს ქვეყანაში, რამდენადაც სხვა საერთო გლობალურ საკითხებთან ერთად აქტუალურია მცირე ბიზნესის სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის სისტემის ზოგადად და კონკრეტულად პროგრამების სრულყოფისა და ოპტიმიზაციის საკითხი. აღნიშნულის რელიზაციაში კი კარგი დამხმარე შეიძლება გამოდგეს, როგორც მსოფლიოში არა ერთ ქვეყანაში არსებული საუკეთესო პრაქტიკის გაცობა, მორგება ქართულ რელობაზე, ასევე ქართული რელობის (მცირე მეწარმეობის) მეცნიერული შესწავლა და სათანადო რეკომენდაციების გაკეთება (მოსიაშვილი, 2021).

ძირითადი ნაწილი. ჩვენი კვლევის ძირითადი მიზანი იყო დაგვედგინა/გამოგვევლინა რამდენად კარგად არის ინფორმირებული, შესაბამისად იყენებს მიკრო და მცირე ბიზნესის საელმწიფოებრივი ხელშეწყობის პროგრამებს უშუალოდ ეს სექტორი, ანუ ის მეწარმე სუბიექტები, რომლებიც ფლობენ/მისდევნენ მცირე მეწარმეობას. ჩვენი ინტერესის სფეროს ასევე წარმოადგენდა მცირე ბიზნესის შეხედულებები რა სახის მხარდაჭერას ან დახმარებას საჭიროებს სექტორი, რათა დროის მოკლე პერიოდში მიღწეული იქნეს მცირე მეწარმეობის და შედეგად ეკონომიკის ზრდის მაღალი ტემპი.

გამოკითხვისთვის ჩვენს მიერ შერჩეული იქნა ფოკუს ჯგუფი, რომელშიც ვეცადეთ წარმოდგენილი ყოფილიყო მატერიალური წარმოებისა და მომსახურების სფეროში დაკავებული მეწარმეები, კერძოდ - მომსახურების სფერო (ვაჭრობა), აგრარული სექტორი, კვების მრეწველობა, ტურიზმი და სხვ. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 37 სექტორის წარმომადგენელმა, როგორც დედაქალაქიდან ასევე რეგიონების მასშტაბით.

საკვლევი კითხვები შემდეგნაირად იქნა ფორმულირებული:

1. იცნობთ თუ არა მიმდინარე ეტაპზე მცირე ბიზნესის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამებს;
2. გისარგებლიათ თუ არა მცირე ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამებით;
3. რამდენად არის შესაბამისი არსებულ გამოწვევებთან და საჭიროებებთან მცირე ბიზნესის სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის პროგრამები;
4. რომელი დარგია მიმდინარე ეტაპზე ყველაზე საინტერესო (მიმზიდველი) მცირე მეწარმეობისათვის;
5. სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის რომელი ღონისძიებებია შედარებით რელევანტური მცირე ბიზნესის განვითარებისათვის?
6. რამდენად პერსპექტიულია საქართველოში მცირე მეწარმეობის განვითარება?

7. რა უნდა გაკეთდეს რომ მცირე ბიზნესის სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის პროგრამები იყოს მეტად შედეგის მომცემი.

უნდა ითქვას, რომ მიუხედავად იმისა კვლევაში მონაწილეობდა ეკონომიკის სხვადასხვა სფეროს წარმომადგენელი მათი პზიციები ჩვენი კითხვარის პასუხების მიმართ დიდა არ განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. რესპოდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა კარგად იცნობს სახელმწიფოებრივი დახმარების პროგრამებს, რომელთა შესახებ ინფორმაცია საჯაროა და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის. კითხვაზე, უსარგებლიათ თუ არა სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის პროგრამებით პასუხი ცოტაოდენ მოილოდნელი იყოს, რამდენადაც ჩვენი რესპოდენტების დიდი ნაწილს არ უსარგებლია, და მეტიც მცდელობა/სურვილიც არ ქონდა მიეღო მონაწილეობა სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის/საგრანტო პროექტებში, რომლის ერთ-ერთ მიზეზად საკონკურსო მოთხოვნებს ასახელებენ, კერძოდ ბიუროკრატიული ხაისათს დოკუმენტაციის.

კითხვაზე, თუ რამდენად არის შესაბამისი არსებულ გამოწვევებთან და საჭიროებებთან მცირე ბიზნესის სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის პროგრამები - მეწარმე რესპოდენტთა 22% ნეგატიურად და პესიმისტურად არის განწყობილი მსგავსი ხასიათის პროგრამებს მიმართ და თვლის, რომ ვერ პასუხობს არსებულ გამოწვევებს. ცოტაოდენ მეტი აფიქსირებს პოზიტიურ დამოკიდებულებას და აღნიშნავს, მცირე მეწარმების ხელისშემწყობი სახელმწიფო პროგრამები რომ სრულ თანხვედრაშია დარგში არსებულ მოთხოვნებთან, ხოლო უმეტესთა თვლის, რომ მართალია სრულად არა, მაგრამ მეტწილად შესაბამისია;

კითხვაზე მეწარმეები, რომელ სფეროს მიიჩნევენ შედარებით მიმზიდველად მცირე მეწარმეობისათვის, უმეტესობა ფიქრობს, რომ ეს არის ტურიზმის სექტორი, რამდენადაც პოსტპანდემიურ პერიოდში დარგში შეიმჩნევა და სავარაუდოც არის სწრაფი რეზილიტაცია, მით უმეტეს საქართველოს ამ სფეროს განვითარების საკმაოდ კარგი რესურსი აქვს, და ბიზნესის დაწყებაც არ საჭიროებს სოლიდურ მსხილ ინვესტირებას. რესპოდენტების ასევე (დაახლოებით 25 %), ფიქრობს, რომ მცირე მეწარმეებსათვის ასევე საინტერესოა აგრარული სექტორი, მით უმეტეს მიკრო ბიზნესის დაფინანსების სახელმწიფოებრივი პროგრამები ხშირად სწორედ სოფლის მეურნეების განვითარების ხელშეწყობაზე ორიენტირებული, თუმცა აქვე აღნიშნავენ, რომ რისკები კვლავ მაღალია ამ სეგმენტში, რამდენადაც გარემო კლიმატურ პრობებზე დამკიდებულება კვლავ დიდაა. ჩვენი აზრით საკმაოდ პიზიტიურია, რომ რესპოდენტთა სოლიდურმა ნაწილმა აღნიშნა, რომ მცირე მეწარმეებისათვის შესაძლებელია ყველა დარგი იყოს საინტერესო, შედეგის მომცემი, თუმ მეწარმე განხარციელებს სისტემურ და სტაბილურ ეკონომიკურ საქმიანობას არსებული გამოწვევებისა და საფრთხეების მაქსიმალურად გათვალისწინებით.

სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის ღონისძიებების რელევანტურობასთან დაკავშირებით, მეწარმეები ფიქრობენ, რომ სასურველია რეგიონებში გამარტივდეს პროგრამებში მონაწილეობა, ასევე სახელმწიფო პროგრამები ორიენტირებული იყოს მეწარმეებსა და შედარებით დაბალკვალიფიციურ პერსონალს შორის კომუნიკაციის გაუმჯობესებისათვის, შესაძლებელია ეს განხორციელდეს, თუდაც კონკრეტულ რეგიონში „საინფორმაციო ცენტრის“ შექმნით, სადაც დარეგისტრირდებიან დროებით უმუშევარი ადამიანები, მიწოდებათ ინფორმაცია მოკლევადიან ან სეზონურ სამუშაოზე, რომელიც არ საჭიროებს მაღალ კვალიფიკაციას. მეწარმეებმა ასევე გამოთქვეს სურვილი მიკრო ბიზნესის წლიური შემოსავლის ზღვარის გაზრდის შესახებ.

მეწარმეთა უმეტესობა მიიჩნევის, რომ საქართველოში მცირე მეწარმეების განვითარება ალტერნატივა არ აქვს მიმდინარე ეტაპზე, რადგან სწორედ ეს სექტორი უზრუნვეყოფს დასაქმების ზრდას და წარმოების შედარებით მაღალ ტემპს, თუმცა აქვე აღნიშნავენ სახელმწიფოებრივი ხელშეწყობის ღონისძიებების აუცილებლობაზე.

კითხვაზე - რა უნდა გაკეთდეს რომ მცირე ბიზნესის სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის პროგრამები იყოს მეტად შედეგის მომცემი - მეწარმეები ფაქტობრივად „თანხმდებიან“ იმ საკითხზე, რომ სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამების შემუშავებაში მონაწილეობა უნდა მიიღონ უმუშაოდ მცირე ბიზნესში ჩართულმა კვალიფიციურმა პირებმა, რამდენადაც მათ ყველაზე კარგად მოეხსენებათ რა სახის ქმედითი, ზოგიერთ შემტხვევამ სასიცოცხლოდ

მნიშვნელოვანი დახმარების პროგრამებია საჭირო დარგის შენარჩუნებისა და პესპექტივაში განვითარებისათვის, თუმცა რა თქმა უნდა აუცილებელია საერთაშორისო დონეზე არსებული გლობალური ტენდენციების გათვალისწინება, სადაც სახელმწიფო ხელისუფლების, დარგის ექსპერტების როლი სამოდ მნიშვნელოვანია.

მცირე ბიზნესის სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის ოპტიმიზაციის კვლევის პროცესში ჩვენი ინტერესის სფერო, ლკოგიკურია იყო დარგის ერთ-ერთი გამორჩეული მხარდამჭერის, მეწარმეობის განვითარებაზე ორიენტირებული და ხელისშემწყობის - სსიპ „აწარმოე საქართველოში“ (<https://www.enterprisegeorgia.gov.ge/ka> უკანასკნელი ვიზიტი განხორციელდა 04.06.2023) - განხორციელებული მიკრო და მცირე ბიზნესის გრანტით დაფინანსების სტატისტიკას გავცნობოდით და შეგვესწავლა რა რაოდენობის პროექტები იყო მათ შორის წარმატებული, სავარაუდოდ რა შედეგი მოიტანა „ინვესტირებამ“. როგორც სტატისტიკური მონაცემებიდან ცანს 2015 წლიდან 2018 წლამდე პერიოდში სააგენტოს („აწარმოე საქართველოში“) მხარდაჭერილია 5313 პროექტი, ჯამური ინვესტიციის მოცულობით 50 მილიონ ლარამდე. ხოლო 2018, 2020 და 2022 წლების მანძილზე განხორციელდა 2896 პროექტის დაფინანსება, რისთვის გამოყოფილი და ათვისებული იქნა 80 მილიონი ლარი. აღნიშნული პროექტების ეფექტურობის დასადგენად/გასარკვევად ოფიციალური წერილით მივმართეთ სსიპ „აწარმოე საქართველოში“, გვანტერესებდა - *მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში დაფინანსების შემთხვევაში რა ვალდებულებები წარმოეშვება პირს რომელიც ისარგებლებს ამ დაფინანსებით თუ მის მიერ წარმოდგენილი ბისნეს პროექტი დაფინანსების შემდგომ არ განხორციელდება? ან განხორციელდება მაგრამ მეწარმე თავს გამოაცხადებს გაკოტრებულად? ასევე მოვითხოვეთ ინფორმაცია მომარტოდოთ ბოლო სამი წლის განმავლობასი რამდები ბიზეს პროექტი დაფინანსდა და მათ შორის რამდენმა შეწყიტა საქმიანობა სხვადასხვა მიზეზის გამო.*

უნდა აღნიშნოს, რომ მირებულმა პასუხმა ცოტადენ „დაგვაფიქრა“ მსგავსი კატეგორიის პროექტების ეფექტურობაზე. გთავაზობთ პასუხს: *ბატონო ვალერ, - „თქვენი, 2023 წლის 16 მარტის N262 წერილის პასუხად ... გაცნობებთ, რომ - სსიპ - აწარმოე საქართველოში არ აწარმოებს სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დასრულებული პროექტების საქმიანობის მონიტორინგს“.*

აღნიშნულთან დაკავშირებით გვინდა აღვნიშნოთ, რომ სასურველია ისეთი სახის პროგრამა, როგორიც გახლავთ - სსიპ „აწარმოე საქართველოში“, რომელიც დარგის ერთ-ერთი გამორჩეული და სოლიდური ინვესტორია, ასურველია ახორციელებდეს, როგორც გაცემული თანხის წინასწარ, ასევე მიმდინარე და დასკვნით მონიტორინგს, რომელიც სავარაუდოდ გაზრდის გაცემული ინვესტირების (თანადაფინანსების) ეფექტურობას და მეწარმე სუბიექტებიც მეტი პასუხისმგებლობითა და პროფესიონალიზმით მოეკიდებიან ნაკისრ ვალდებულებებს.

დასკვნა. ჩატარებულმა კვლევამ მოგვცა საშუალება გავცნობოდოდით მცირე მეწარმეობის აქტუალურ პრობლემებს, შეგვესწავლა და ანალიზი გაგვეკეთებინა სექტორისადმი სახელმწიფო მხარდაჭერის თავისებურებები, გამოგვევლინა მიმდინარე ეტაპზე მცირე მეწარმეობისათვის დამახასიათებელია კანონზომიერბანი და სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის ტენდენციები. როგორც მეორადი, ასევე ჩვენს მიერ პირველადი ინფორმაციის მოძების გაცნობამ და ანალიზმა მოგვცა საშუალება გაგვეკეთებინა შემდეგი სახის დასკვნები და რეკომენდაციები:

- მიმდინარე ეტაპზე მცირე მეწარმეობის როლისა და მნიშვნელობის გარდა ეროვნულ ეკონომიკაში შესაძლებელი არის მიღწეული იყოს არსებული სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის პრიორიტეტების „გადახედვით“, რა დროსაც ვფიქრობთ ყურადრბა უნდა დაეთმოს ინოვაციურ მეწარმეობას საერთაშორისო ბაზარზე მცირე ბიზნესის გასვლის სტიმულირებით, რაც ასევე დამტკიცებულია განვითარებული ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკით;

- ხელისუფლებამ მცირე მეწარმეობის აქამდე არსებულ პოლიტიკაში, ვფიქრობთ გარვეული ცვლილებები უნდა შეიტანოს, რაც უნდა მოიცავდეს მცირე ბიზნესის არსებული სახელმწიფო მხარდაჭერის პერმანენტულად განხორციელებას თანდათანობითი ცვლილებაოპტიმიზაციის გზით, ხელშეწყობის პოლიტიკა „მორგებული“ უნდა იყოს ეროვნული ეკონომიკის გაბვითარების კონკრეტულ ეტაპზე არსებული სოციალურ-ეკონომიკური ვითარებასა და გამოწვევებზე;

- სახელმწიფოსა და მცირე ბიზნესს შორის ეკონომიკური ურთიერთქმედების სისტემა უნდა დაემყაროს ეკონომიკურად მაღალგანვითარებულ ქვეყნებში მეწარმეობის მხარდაჭერის საყოველთაოდ გავრცელებულ მეთოდებსა და პრინციპებს, რაც თავის თავში გულისხმობს მისი (ურთიერთქმედების) ფორმების კომპლექსის ფორმირებას, რაც პირველ ყოვლისა რეალიზებული უნდა იყოს მცირე საწარმოების სტიმულირების მრავალფეროვან მიმართულებაში. მხარდაჭერა-სტიმულირების ფორმების/მეთოდების შერჩევის დროს, როგორც ამას მსოფლიო საუკეთესო პრაქტიკა აჩვენებს უნდა მოხდეს მკაფიოდ გამიჯვნა მეწარმეთა მხარდაჭერას შორის ეფექტიანი, ჯანსაღი კონკურენტული გარემოს ფარგლებში და ეკონომიკურ ცხოვრებაში სახელმწიფოს ჩარევის პირობებში (რაც რიგ შემთხვევებში აზარალებს მეურნეობის საბაზო პრინციპებს, არათანაბარ პირობებს ქმნის მეწარმეებისათვის);

- მცირე მეწარმეთა სტიმულირება-ხელშეწყობის სამამულო და უცხოური საუკეთესო პრაქტიკის ურთიერთშედარების საფუძველზე სასურველია მოხდეს ე.წ. მცირე ბიზნესის განვითარებაში სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის „ქართული სისტემის“ ოპტიმიზაცია, რაც თავისთავად მოითხოვს დარგის გაძლიერების მიმართულებით არსებული გამოწვევებისა და საფრთხეების გათვალისწინებით რეკომენდაციათა კომპლექსის შემუშავებას;

- მცირე ბიზნესის მფლობელთა, მენეჯერთა ინფორმირებულობის და კომპეტენტურობის ასამაღლებლად საჭიროა საინფორმაციო და საკონსულტაციო სისტემების ფორმირება-განვითარება;

- მცირე ბიზნესის განვითარების სტიმულირების მიზნით ხელისუფალმა შემდეგი მთავარი საკითხების გადაჭრა უნდა უზრუნველყოს: მცირე მეწარმეობის წახალისება იმისათვის, რომ რაც შეიძლება მეტ დაუსაქმებელს (არასრულად, სეზონურად დასაქმებულს) გაუჩნდეს „საკუთარი საქმის“ დაწყების სურვილი, გადადგას პირველი ნაბიჯი; მცირე მეწარმეების (განსაკუთრებით დამწყები) სწავლება, რათა საკუთარი ბიზნესის წამოწყების პირველ ეტაპზე მაქსიმალურად მართებული და ეფექტური გადაწყვეტილებები მიიღოს; მცირე მეწარმეთა მხარდაჭერა წარმოებული პროდუქციის/მომსახურების რეალიზაციაში, მიიღონ პირველადი შემოსავლები ეს გაზრდის მოტივაციას, დაეხმარება საჭიროების შემთხვევაში დაეხმარება დამატებითი სახსრების მოძიებაში;

- „აწარმოე საქართველოში“ პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული პროექტების მეტი ეფექტიანობისათვის სასურველია მიკრო და მცირე ბიზნესის მხარდასაჭერი გრანტების ფინანსური მხარდაჭერა ითვალისწინებდეს პოტენციური ბენეფიციარებისათვის მიზნობრივი გრანტის გამოყოფას მაქსიმუმ 40 000 ლარის ოდენობით, ნაცვლათ არსებული 30 000 ლარისა რამდენადაც, როგორც საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები ცხადყოფს, 208 წლიდან 2022 ლწამდე პერიოდში სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი გაიზარდა 151.4%-ით (<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/28/samretsvelo-produktsiis-mtsarmoebelta-fasebis-indeksi> უკანასკნელი ვიზიტი განხორციელდა 04.06.2023), შესაბამისად შემცირდა ლარის მსყიდველუნარიანობა.

- ვფიქრობთ აუცილებელია სსიპ „აწარმოე საქართველოში“ განახორციელოს სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დასრულებული პროექტების მონიტორინგი, რთა მაქსიმალურად იქნას თავიდან აცილებული პროექტის დაფინანსების მიღების შემდგომი ფინანსური და მატერიალური სახსრების არაკეთილსინდისიერი განკარგვა;

- მცირე ბიზნესის სტიმულირების უზრუნველსაყოფად მიზანშეწონილია მიკრო ბიზნესის სტატუსის მისაღებად დადგენილი ზღვარი 30 000 ლარის, ნაცვლად გაიზარდოს 60 000 ლარამდე. ამის თქმის საფუძველს გვამლევს ის, რომ არსებული რეგულაცია მოქმედებს 2010

წლიდან (2010 წლის 31 დეკემბრის საქართველოს ფინანსთა მინისტრის N999 ბრძანების მეორე მუხლი), ხოლო ამ პერიოდიდან (2010 წლიდან) 2022 წლამდე პერიოდში ლარის მსყიდველთუნარიანობა შემცირდა 2.35-ჯერ (<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/28/samretsvlo-produktsiis-mtsarmoebelta-fasebis-indeksi> [უკანასკნელი ვიზიტი განხორციელდა 04.06.2023]).

ლიტერატურის/წყაროების სია

1. მოსიაშვილი, ვ., (2021). მწვანე ინვესტიციები და მცირე ბიზნესი. „ეკონომიკა და ფინანსები“, 2: 147-162.
2. <https://ec.europa.eu/eurostat> [უკანასკნელი ვიზიტი განხორციელდა 04.06.2023].
3. <https://www.enterprisegeorgia.gov.ge/ka> [უკანასკნელი ვიზიტი განხორციელდა 04.06.2023].
4. <https://www.enterprisegeorgia.gov.ge/ka/Business-Development/microgrants> [უკანასკნელი ვიზიტი განხორციელდა 04.06.2023].
5. <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/28/samretsvlo-produktsiis-mtsarmoebelta-fasebis-indeksi> [უკანასკნელი ვიზიტი განხორციელდა 04.06.2023].
6. <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/28/samretsvlo-produktsiis-mtsarmoebelta-fasebis-indeksi> [უკანასკნელი ვიზიტი განხორციელდა 04.06.2023].

Directions for optimization of state support for Small Businesses in Georgia

Mosiashvili Valeri

Georgian National University SEU, Tbilisi

Abstract

Determining the role and place of small business in the national economy has always been an area of interest for scientific research. Numerous scientific and practical studies have been dedicated to examining its significance within the nation's economy, most of which encompass the role of small businesses in the economy, their beneficial impacts, and the potential avenues for influence, including government support measures. Although the state has undertaken a number of important projects in the direction of stimulating small business and active work is still being carried out in this regard, it is preferable to enhance the efficiency of utilizing existing resources.

In our research, we studied the principal aspects of state support measures for small businesses in Georgia, examining them from both institutional and financial perspectives. We conducted an analysis and evaluation from the author's perspective. The research showed that the recent measures taken by the government are based on world best practices and should ensure the development of small entrepreneurship in the country. Despite the positive effects obtained by the implementation of the projects, we believe that this is insufficient and it is possible to achieve further outcomes with the existing support programs (with financial resources), even in the short term. To facilitate this, it is essential to examine the readiness of small businesses to efficiently utilize state-offered projects. It is crucial to assess whether there are instances of ineffective or misguided utilization of financial assistance, as well as to gauge their perspective on the future prospects of similar initiatives. Additionally, exploring the directions they perceive as promising for funding and support is crucial.

Throughout the research, we carefully selected a focus group comprising entrepreneurs from diverse business sectors, including both those based in the capital and those in regional areas. Our aim was to investigate the level of awareness among small businesses regarding state support measures, their extent of participation, preferred areas for future project implementation, and their preferences for assistance and support. Through an in-depth qualitative research approach, we gathered primary information and came to solid conclusions and offered practical recommendations

based on our research findings. These findings highlight the necessary changes, encompassing both financial and institutional perspectives to optimize state support measures for small businesses.

Keywords: Small Businesses, National economy, Entrepreneurship, Economic growth, Investment.

კრაფტ მეწარმეობა (უცხოური და ეროვნული გამოცდილება)

ჯიმშიტაშვილი ია

იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი

DOI: <https://doi.org/10.52340/idw.2023.70>

აბსტრაქტი. თანამედროვე გლობალური ბიზნესი თანდათან ავიწროვებს ადამიანს და გადადის ციფრულ-მანქანურ-კონვეიერულ წარმოებაზე, ამის საწინააღმდეგოდ ფეხს იკრეფს კრაფტ წარმოება, რომელიც სრულიად დამოკიდებულია მეწარმის ინოვაციურ შემოქმედობით იდეებსა და მის განხორციელებაზე. სტატიაში საუბარია თუ რა არის კრაფტ წარმოება? რომ დღეს ეს მიმართულება თანდათან ძლიერდება და მოიცავს უფრო და უფრო ფართო მასშტაბებს, ნაჩვენებია მისი განსხვავება ბიზნესისაგან შემოთავაზებულია მცირე ისტორიული მიმოხილვა, პროდუქტი და მოყვანილია ადგილობრივი წარმოების მაგალითი, კერძოდ, კრაფტ ლუდის წარმოების სფეროდან.

საკვანძო სიტყვები: მეწარმეობა, ბიზნესი, კრაფტ წარმოება, კრაფტ ლუდი

გლობალური ეკონომიკისა და ბიზნესის განვითარების პროცესში აქტიურ როლს თამაშობს მომხმარებელი, რამეთუ მოხმარება სწორედ ის ფაქტორია რომელიც განაპირობებს მოთხოვნას, რაც წარმოებაში თავისთავად მოითხოვს შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღებას, ტექნოლოგიურ ცვლილებს და ა.შ. ამ პროცესში მთავარი მოთამაშე მსხვილი წარმოებაა და ძირითად გადაწყვეტილებებს სწორედ ისინი იღებდნენ, მაგრამ თანამედროვე „საწარმოო რევოლუციაში“ როდესაც გაიზარდა განათლების დონე, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, შემოსავლები თვალსა და ხელს შუა გაჩნდა ახალი ეკონომიკური ფენა - კრეატიული ეკონომიკის სახით, რომელიც მიმართულია ძალიან რთული, ცვალებადი და აქტიური მომხმარებლის მოთხოვნების დაკმაყოფილებისაკენ.

საუბარია კრაფტ მეწარმეობაზე, დღეს ის გვხვდება სარესტორნე ბიზნესში, სასმელების წარმოებაში, განათლების სფეროში, ტურიზმის სფეროში, შენობათა დიზაინში და ა.შ.

რა არის კრაფტ წარმოება? დღეს ეს მიმართულება თანდათან ძლიერდება და მოიცავს უფრო და უფრო ფართო მასშტაბებს, მცირე ბიზნესისაგან მას განასხვავებს ის რომ აბსოლუტურად ახალ მიდგომაზეა დაფუძნებული და მას ყოველთვის ახასიათებს მწარმოებლის ძალიან დიდ ემოციური მიჯაჭვულობა პროდუქტთან. კრაფტ მეწარმე-ბიზნესმენებს, როგორც წესი, არა მარტო მოგების მიღება უნდათ არამედ ეს ერთგვარი მათი თვითგამოხატულებაა, მათი შემოქმედობითი თავისუფლება. დიდი დოზით ექსპერიმენტულია და მწარმოებლის სურვილებს, მისწრაფებებს, აზრებს, რწმენას გამოხატავს.

ერთნი საკუთარ სამზარეულოში ქმნიან პროდუქტს, მეორენი მხოლოდ სხვადასხვა ფესტივალებზე წარმოსადგენად, სხვა საკუთარ მაღაზიებსა თუ სკოლებს ხსნიან. ისინი ინტერნეტ სივრცეში ფართოდ არიან ცნობილნი. კონვეიერული წარმოების ნივთებს ანაცვლებს ამგვარად შექმნილი პროდუქცია. ამავე დროს მათ აქვთ მოქმედების სრული თავისუფლება, არავისთანაა საჭირო შეათანხმო სამუშაო მომენტები, დრო, თავად მუშაობის ტექნიკა, მეთოდიკა და სრული პროცესი.

ჩვენს ძირითად ინტერესს წარმოადგენს კრაფტ ლუდის წარმოება, რომელიც ბოლო დროს მრავალ ქვეყანაში გახდა საკმაოდ პოპულარული. ტერმინს Craft beer თუ პირდაპირ გადავთარგმნით მივიღებთ „ხელნაკეთ ლუდს“, თუმცა ამგვარი თარგმანი სრულ წარმოდგენას

არ შეგვიქმნის იმაზე თუ რა არის კრაფტ ლუდი და როგორ იქმნება იგი, ამავე დროს არ არსებობს ზუსტი განმარტება და არც მითითება (რეცეპტი) თუ როგორი უნდა იყოს კრაფტ ლუდი.

თუ დავეყრდნობით ლუდისმხარშველთა ამერიკულ ასოციაციას, მათი განმარტებით კრაფტ ლუდსახარში სამ მოთხოვნას უნდა აკმაყოფილებდეს:

1. უნდა იყოს პატარა: წლიურად აწარმოოს 6 მილიონი ბარელი ლუდის ან ნაკლები (აშშ-ს წლიური გაყიდვების დაახლოებით 3 პროცენტი). ლუდის წარმოება მიეკუთვნება ლუდსახარშს ალტერნატიული მესაკუთრეების წესების მიხედვით.

2. უნდა იყოს დამოუკიდებელი: ლუდსახარშის 25 პროცენტზე ნაკლებს ფლობს ან აკონტროლებს ალკოჰოლური სასმელების ინდუსტრიის წარმომადგენელი, რომელიც თავად არ არის კრაფტ ლუდის მხარშველი.

3. მელუდე (ლუდის მხარშველი): იხდის გადასახადებს და ამზადებს ლუდს.

აქედან გამომდინარე კრაფტულად შეიძლება ჩაითვალოს მცირე ზომის ლუდსახარში, რომელიც უშვებს მცირე პარტიების ლუდს და რომლის მთავარი მისწრაფებაა არა მოგების მიღება არამედ ლუდის ხარშვის შემოქმედებითი პროცესი და შედეგად ხარისხიანი, მრავალფეროვანი, არაჩვეულებრივი ლუდის შექმნა. აშშ-ში კანონი არეგულირებს შესაბამის სფეროს, იქ მკაფიო კრიტერიუმებია თუ როგორი საწარმო შეიძლება ატარებდეს ამ სახლს, რა მოცულობის უნდა იყოს, რამდენ პროდუქს უნდა აწარმოებდეს (სამწუხაროს საქართველოში ეს ღია საკითხია), მხარშველი თავად უნდა იყოს 65% ბიზნესის მფლობელი და მას არ უნდა ქონდეს ბანკის ვალი რადგან ეს უკანასკნელი მიუთითებს ფაქტზე რომ კრაფტმელუდეს ინტერესი მეტწილად იქნება მოგების მიღება და არა შემოქმედობითობა და ა.შ. კრაფტ ლუდის ინდუსტრიაში ფართოდაა ჩართული სოფლის მეურნეობის სამინისტროც, რომელიც კურირებს სვიის ახალი ჯიშების გამოყვანას (ამ მხრივ აშშ ლიდერი ქვეყანაა საუკეთესო და მრავალფეროვანი პროდუქციის შექმნისა და გასაღების ნაწილში).

უფრო გასაგებად რომ ვთქვათ კრაფტ ლუდი არის ჩვეულებრივი კლასიკური ტექნოლოგიით (წყალი, ალაო, სვია, საფუარი) მოხარშული ლუდი დამატებული სხვა ინგრედიენტები: სანელებლები, ბალახეული, კენკრა, ხილი და ა.შ. კრაფტ ლუდი ეს არის ის რასაც გასწვდება მელუდეს ფანტაზია და კრეატიული მიდგომა.

მისი წარმოება, როგორც ავლნიშნეთ ხდება მცირე მასშტაბით ხოლო რეალიზაცია როგორც წესი ლოკალურად. რადგანაც იგი არ არის განკუთვნილი მასიური მომხმარებლისათვის, არამედ განსაკუთრებული კლიენტისათვის ვინც შეძლებს მის ადექვატურად შეფასებას.

კრაფტ ლუდი ეს არ არის მხოლოდ მოდური ტრენდი რომელიც მიმართულია მომხმარებლის მისატყუებლად და მისაზიდად, მარკეტინგული ხრიკები შორსაა მისგან, ეს არის ალკოჰოლური წარმოების ინდუსტრიაში მთელი მიმართულება, რომელიც თანდათან ხდება უფრო მოთხოვნადი და საჭირო.

მეწარმე თვალყურს ადევნებს რა მომხმარებლის გემოვნებას და ცვლილებებს მასში, ასევე ბაზრის ტენდენციებს, აანალიზებს მოთხოვნას - მუდმივად არის ახალი გემოების ძიებაში.

შეგვიძლია გავანალიზოთ თუ რა განსახვავებს მას ჩვეულებრივი ლუდისგან და რაშია მისი უნიკალურობა.

პირველ რიგში აღსანიშნავია ის ფაქტი რომ როგორც ზემოთ ვახსენეთ მისი საფუძველი მაინც რჩება ლუდის ხარშვის კლასიკური ვერსია, არავითარი ქიმიური დანამატები - სწორედ ეს არის მისი მაღალი ხარისხის საწინდარი. დიდი მასიური საწარმოები ვერ უზრუნველყოფენ ამგვარ ხარისხს კონვეიერული წარმოების გზით, ამასთანავე მათი მიზანი არის დიდი მოცულობა და მოგება;

დიდი საწარმოები არ ანიჭებენ დიდ მნიშვნელობას ექსპერიმენტებს და სიახლეებს გემოებში, რეცეპტებში, ინგრედიენტებში - ეს მცირე საწარმოების პრეროგატივაა;

მომზადების ტრადიციული ტექნოლოგია არის ნატურალური შემადგენელი და ფერმენტაციის გრძელვადიანი პერიოდი, ეს კი იმისი მაჩვენებელია რომ მზა პროდუქტი დაბალი ფასის ვერ იქნება, ამიტომაც კრაფტ ლუდი ღირს გაცილებით ძვირი ვიდრე

ჩვეულებრივი მასწარმოების. მისი გასაღების ადგილიც არის არა სუპერ და ჰიპერ მარკეტები არამედ უმთავრესად ადგილობრივი პაბები;

მისი შეფუთვაც განსხვავებულია, თუ პროდუქტი ჩამოსხმულია მინის ბოთლებში მისი ეტიკეტი დიზაინერული და გამორჩეულია - ფერადი, კრეატიული და თვალისმომჭრელი. ხოლო თუ ეს ჩამოსასხმელი პროდუქტია, მაშინ მისი მირთმევა განსხვავებული ბოკლებით არის რეკომენდირებული, რომელიც ღვინის ბოკლებს წააგავს, ის პატარა ყლუპებით უნდა დაილიოს რათა ბოლომდე შეივიგრძნოთ მისი არომატი და ვისიამოვნოთ;

ზოგიერთი მათგანი მაღალალკოჰოლურია (მაგ. 12%), მაგრამ ეს არ ნიშნავს მის ნაკლს, არამედ პირიქით, მის უკან იმალება უნიკალური გემოვნური თაიგული და არავითარი ე.წ. „დასპირტულობის“ გემო;

კიდევ ერთი რამ რაც მათ განასხვავებს მასიური წარმოების ლუდისაგან არის მისი შენახვის ვადა, თუ ეს უკანასკნელი წელიწადიც კი შეიძლება საწყობში შევინაოთ კრაფტ ლუდი ამდენ ხანს „ვერ ძლებს“ და წარმოებიდან მაქსიმუმ რამოდენიმე (3-5) თვე შეიძლება შევინახოთ შესაბამისი პირობების გათვალისწინებით.

ასევე გასათვალისწინებელია მისაყოლებელიც, რომელიც ასევე განსხვავდება კლასიკური ჩიფსებისა თუ გახუხული პურებისაგან. მისაყოლებელიც ასევე კრაფტულია: ყველის თუ სოსისების ნაირსახეობა, შემწვარი სტიკი, თევზი ან ზღვის პროდუქტები.

ცოტაოდენი ისტორიას თუ გავეცნობით კრაფტ ლუდის ფესვები ამერიკის შეერთებულ შტატებში იღებს სათავეს, დიდი დეპრესიის დროს, მეოცე საუკუნის 30-იან წლებში ჩნდება მცირე საწარმოები სადაც გურმანი ექსპერიმენტატორები იწყებენ ლუდის ალტერნატიული სასმელის ძიებას, იწყებენ რეცეპტების მოფიქრებას და ამ ყველაფრით ცდილობდნენ კონკურენცია გაუწიონ მონოპოლიურ დიდ საწარმოების.

რამდენიმე ათწლეულის შემდგომ კრაფტი ევროპის ქვეყნებშიც ხდება პოპულარული, ბელგია, გერმანია, ავსტრია, დიდი ბრიტანეთი და ა.შ.

თვითონ ტერმინი პირველად გაჟღერდა 1983 წელს ჟურნალში “New Brewer”, სტატიაში საუბარი იყო ერთერთ საწარმოზე სიეტლში რომელიც საავტორო ლუდს აწარმოებდა და სტატიაში ავტორი მას იხსენიებს სახელობო (craft - ხელობა) ლუდსახარშად (Craft Brewing).

თუმცა ისტორიულად ბელგია ითვლება კრაფტ ლუდის სამშობლოდ სადაც უძველეს მონასტრებში ხდებოდა ლუდის ხარშვა სხვადასხვა ბალახეული დანამატებით, ჯინჯერიით და ა.შ.

საინტერესოა გერმანული მაგალითიც, სტილი გიოზე სადაც აუცილებელი ინგრიდიენტი მარილია, მაგრამ გერმანიაში ძალიან მკაცრად რეგულირდება ლუდის წარმოება და ცალსახა ჩამონათვალია თუ რისგან უნდა შედგებოდეს იგი და მარილი არანაირად არ მოიაზრება ამ ჩამონათვალში, გერმანელებმა ემპაკობა იხმარეს და ზღვის წყალი გამოიყენეს პროდუქტის შესაქმნელად.

ისიც უნდა აღინიშნოს რომ კრაფტ ლუდი არ არის სასმელის სახეობა, არამედ მისი პირობითი აღმნიშვნელია და თავის თავში მოიცავს მრავალ სახეობას. ყველაზე ცნობილი სახეობაა Pale Ale (ღია ეილი) ამ სასმელს აქვს ალაოს გამოხატული არომატი, ასევე სვიისა და კარამელის ძლიერი არომატი და ოდნავ სიმწარე. ეს არის კლასიკური ლუდი, რომელსაც დიდ პატივს სცემენ "ნამდვილი" ლუდის მოყვარულნი. India Pale Ale (ინდური ღია ეილი) აღნიშნული სასმელს გასდევს სვიის და მწვანის მდიდარ გემო, რაც განასხვავებს მას სხვა ჯიშებისგან. ზოგიერთი ბრენდი ამატებს ისეთ ინგრიდიენტებს რომლებიც აძლევენ ლუდის ციტრუსის და ფიჭვის ნოტებს. ეს სახეობა ყველაზე მეტად იყიდება, რადგან სხვებთან შედარებით დაბალი ფასი აქვს. Porter (პორტერი) მუქი ლუდი, ალაოს მდიდარი არომატით. გასდევს სიტკბოს და სიმწარის ერთდროული გემოები. გაყიდვაში შეგიძლიათ იპოვოთ პორტერი შოკოლადის ან ყავის ნოტებით. Stout (სტაუტი) ესეც მუქი ლუდი გამოხატული დამწვარი არომატით. საუბარია მისი მომზადების ტრადიციულ ტექნოლოგიაზე - ქერი და ალაო წინასწარ იწვება. Sour Ale (საურ ეილი - მჟავე) რომელიც ბოლო დროს ნამდვილ ტრენდად იქცა. მისი მომზადების ტექნოლოგია გულისხმობს ლუდის ბადაგის ველური საფუარით დუღილს, რაც მზა პროდუქტს შესამჩნევ სიმჟავეს ანიჭებს. გემო ყველას არ მოსწონს, მაგრამ

ნამდვილ გურმანებს ლუდის ეს სახეობა ძალიან ორიგინალურად მიაჩნიათ.

RIS (რუსეთის იმპერიული სტაუტი) ეს არის ბრიტანული სორტი, ძალიან მუქი ფერის ლუდი, რომელიც გამოირჩევა მაღალი ალკოჰოლოზობით და მდიდარი გემოთი. მას ხშირად აძველებენ მუხის კასრებში, რაც დიდწილად განსაზღვრავს სასმელის ცოცხალ არომატს. Imperial stout-ს აქვს ძალიან რთული გემო - ხილის ეთერები, სვია, ალაო, მოხალული მარცვლები. კონკრეტული რეცეპტიდან გამომდინარე, ლუდს შეიძლება ჰქონდეს ზომიერი ან გამოხატული სიმწარე. თუ პროდუქტს კასრებში უფრო დიდ ხანს დავაყოვნებთ, ბრუტალური გემო და არომატი გაცილებით რბილი გახდება.

ამერიკული ბრენდებიდან შეიძლება გამოვყოთ New Albion, Sierra Nevada, Rogue, Boston Beer, Blind Pig. ბრიტანულიდან Buxton, Northern Monk, Wells, Siren Craft Brew, Moor Beer Co. ბელგიური - Barbar, Scotch Silly, Armand, Kasteelbrouwerij De Dool. ჩეხური Rodinny pivovar Bernard, Raven, Sebeeria, Pivovar Matuska. გერმანული Moosbacher, Maisel & Friends, Welde, Steam Brew, BraufactuM. იაპონური Kyoto Bakushu.

მიუხედავად იმის რომ საქართველო ღვინის ქვეყანად არის მიჩნეული, ლუდის ხარშვის გამოცდილებას აქ დიდი ისტორია აქვს, განსაკუთრებით მთიანი რეგიონის მოსახლეობაში, სადაც მას რიტუალური დანიშნულება გააჩნია და მთელ რიგ პროცესებთანაა დაკავშირებული. დღეს კი ქვეყნის მასშტაბით უკვე მრავალი მოქმედი ლუდსახარშია რომლებიც ინდუსტრიულ ლუდს აწარმოებენ (ზედაზენი, შავი ლომი, ნატახტარი და სხვა), მრავლადაა მცირე ტიპის ლუდსახარშებიც, რომლებიც კომერციულ ლუდს აწარმოებენ.

კრაფტ ლუდის წარმოებაში მკვიდრად უდგას ფესვი ალხანაიდის ლუდის წარმოებას, რომელიც 1991 წლიდან ფუნქციონირებს. მისი აზრით კრაფტ ლუდი ეს არის ცოცხალი ლუდის წარმოების მთელი ფილოსოფია, რომელიც მზადდება მცირე რაოდენობით, მზადდება ისე როგორც უახლოესი მეგობრებისათვის, იგი მას სოციალურ ფენომენსაც უწოდებს. მისი მიზანი საინტერესო ლუდის შექმნა და მისი მიწოდებაა საინტერესო მომხმარებელთან. აღნიშნულ ლუდსახარში იწარმოება შემდეგი სახეობის კრაფტ ლუდი: „ათენგენი“ – ნაკლებად გაზიანი, ქარვისფერი, თუშეთის ტრადიციული ლუდი; „შირაქის ველი“ – ხორბლის ლუდი; ლუდი „შიელი“ – ვარდის ფურცლებისგან, ასევე, „კაბა-ხაბარდა“ – ხავერდოვანი, მუქი ფერის ლუდი, აგრეთვე „ტიპა“ – ინდური სახეობა (სახელი გამომდინარეობს „იპადან“). გარდა ამისა საინტერესო ექსპერიმენტი იყო ცნობილ ბიზნესმენ გია პირადაშვილთან ერთად შექმნილი ლუდის ახალი ბრენდი „მანტრაპა“. რომელიც ალხანაიდის ლუდსახარშიში მოიხარშა. სასმელი ყოველ სამოც დღეში ერთხელ ისხმებოდა და პირველად ჩამოსხმული ლუდის რაოდენობა ათას ლიტრს შეადგენდა. შემდგომ ლუდს შამპანურის ტიპის, 0,75 გრამაჟის ბოთლში ასხამდნენ. „მანტრაპას“ ბრენდით მოხდა 6 სახეობის ლუდის წარმოება. მათ შორისაა: „ზანგური“, „შიელი“, „სტაუტი“, ქონდრის ლუდი, რომელიც მთათუშეთიდან ჩამოტანილი ბექტონდარას არომატით ჩამოსხა. ეს არ იყო საკამპანიო მასშტაბის პროდუქტი არამედ მცირერიცხოვან მომხმარებელზე გათვლილი.

ალხანაიდის ბრენდის ლუდის პროდუქციის მთავარი ინგრედიენტი – წყალი, გამოყენებამდე ფილტრაციის პროცესს გადის. მეწარმე პროდუქტის რეკლამირებას არ ეწევა, არ იყენებს სოციალური მედიის არცერთ პლატფორმას, არ აქვს მარკეტინგული გათვლები ან ბიზნეს გეგმა. თუმცა, ფაქტია, რომ მის პროდუქციაზე გაცხოველებული მოთხოვნა წლებია არ წყდება, რაც მის მაღალხარისხიანობაზე მიუთითებს.

ზოგადად საქართველოში წარმოების ყველა მიმართულება მთელ რიგ პრობლემებს ეჯახება, დაწყებული ფინანსურიდან და დამთავრებული სახელმწიფო ინსტიტუციებით და საკანონმდებლო ბაზით, ასევე პრობლემებია კვალიფიციური ადამიანური რესურსის მხრივ რაც წარმოების განვითარებას დიდად აფერხებს და მეწარმეებს დამატებით პრობლემებთან აჯახებს. თუ აღნიშნულ მიმართულებას სახელმწიფოს მხრიდან დაეთმობა მეტი ყურადღება და მოხდება მათი რაციონალური სურვილების გათვალისწინება - ეს აუცილებლად დადებითად აისახება მთელი ქვეყნის ეკონომიკის მსგრადი განვითარების საკითხზეც.

ლიტერატურის/წყაროების სია:

1. <https://www.brewersassociation.org/>
2. <https://www.hse.ru/news/communication/405285303.html>
3. <https://ru.inshaker.com/trends/lifestyle/chtotakoe-kraftovoe-pivo-osobennosti-proizvodstva-sorta-populyarnye-brendy>
4. <https://topdialog.ru/2018/04/24/kraftovyi-biznes-eto-vsegda-eksperiment-rukovodstvo-k-tvorchestvu/>
5. <https://pivovarni.com.ua/ru/kak-varit-pivo/kraftovoe-pivo>
6. <https://entermedia.io/city/kak-i-iz-chego-varyat-kraftovoe-pivo/>

Craft entrepreneurship (foreign and national experience)

Jimshitashvili Ia

Iakob Gogebashvili State University, Telavi

Abstract

Modern global business gradually narrows the person and moves to digital-machine-conveyor production, in contrast to this, craft production is gaining ground, which completely depends on the entrepreneur's innovative creative ideas and their implementation. The article talks about what is kraft production? That today this direction is gradually getting stronger and covers wider and wider scales, in the article is shown difference of Craft and business, a small historical review is offered, and an example from the field of craft beer production is given.

Keywords: Craft entrepreneurship; business; craft beer

ტურიზმის განვითარების ასპექტები სამხრეთ კავკასიაში - წარსული და აწმყო

თამარაშვილი თამარ

იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი

DOI: <https://doi.org/10.52340/idw.2023.71>

აბსტრაქტი. სტატიაში „ტურიზმის განვითარების ასპექტები სამხრეთ კავკასიაში წარსული და აწმყო“, გაშუქებულია ტურიზმის განვითარებას ისტორიული ასპექტები კავკასიაში. კავკასიის რეგიონი გამორჩეული იყო და არის მრავალი ტურისტული შესაძლებლობით, იგი ხასიათდება განსაკუთრებული გეოპოლიტიკური მდებარეობით, ტურისტული რესურსების სიუხვით, მრავალფეროვნებით. კავკასიაში ტურიზმის განვითარების ისტორიაზე, თავისებურებებზე წარმოდგენას გვაძლევს საარქივო მასალები, რომლის შესწავლით და გაანალიზებით, ვეცნობით ტურიზმის განვითარების თავისებურებებს კავკასიაში. კერძოდ „კავკასიაში ტურიზმის წახალისების მთავარი კომიტეტის“ საქმიანობის შესწავლით საშუალება გვძლევს გავეცნოთ საგარეო ურთიერთობებს, უცხოელთა გამოცდილებას, რჩევებს, რეკომენდაციებს, მითითებებს, რაც მნიშვნელოვანი იყო დარგის განვითარებისთვის. დასახელებული კომიტეტი, რეგულარულ კავშირურთიერთობებს ამყარებდა ავსტრია-უნგრეთის, გერმანიის, საფრანგეთის, ბელგიის, იტალიის, შვეიცარიის, ბოსნია-ჰერცეგოვინის წარმომადგენლებთან, მათი გამოცდილების გაზიარება იძლეოდა კავკასიაში ტურიზმის სწორი და სწრაფი განვითარების საფუძველს; საარქივო პირველწყაროებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვიმსჯელოთ საუკუნის წინანდელი რეკლამის ფორმების ნაირსახეობაზე, საინფორმაციო საშუალებებზე, ტურიზმის უსაფრთხოებისა და სანიტარულ-ეპიდემიოლოგიურ საკითხებზე, რეკლამის ფორმებზე, განთავსების საშუალებებზე, ტრანსპორტის სახეებზე, ტურიზმის ინფრასტრუქტურაზე.

დღეისათვის მრავალი ტურისტული ორგანიზაცია არსებობს, იცვლება დრო, საინფორმაციო ტექნოლოგიები, მაგრამ იგივე რჩება კავკასიის მდებარეობა, მრავალმხრივი საინტერესო ტურისტული პოტენციალი. კავკასიის მშვენიერება, ულამაზესი უღელტეხილები, ბუნება, სამზარეულო თუ სტუმართმასპინძლობის ტრადიციები, რაც ყოველთვის იწვევდა უცხოელთა დაინტერესებას; ტურიზმში უცხოელი ექსპერტების რჩევები, რეკომენდაციები, მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციების მიერ ჩამოყალიბებული მოსაზრებები, ადგილობრივ ტურიზმის ექსპერტებთან ერთად, აუცილებელ პირობას წარმოადგენს ნებისმიერ ქვეყანაში ტურიზმის განვითარებისა და წინსვლისათვის, როგორც ერთი საუკუნის წინასვე დღეისათვისაც.

საკვანძო სიტყვები: ტურიზმი, კავკასია, ტურისტული რესურსები, ტურისტული ინფრასტრუქტურა, ტურისტული მომსახურება.

ტურიზმის განვითარებას საკმაოდ ხანგრძლივი და საინტერესო ისტორია აქვს, მსოფლიოს ტურისტულ რეგიონებს შორის გამორჩეულია კავკასიის რეგიონი, იგი ხასიათდება განსაკუთრებული გეოპოლიტიკური მდებარეობით, მდიდარი ტურისტული რესურსებით და ღირსშესანიშნაობებით, დიდი ტურისტული პოტენციალით, მრავალი ეთნოსით და რელიგიურ კონფესიათა სიჭრელით. რუსეთის იმპერიაში, კერძოდ კი კავკასიაში ტურიზმის განვითარების ისტორიაზე, თავისებურებებზე წარმოდგენას გვაძლევს რუსეთის იმპერიის ცენტრალური ხელისუფლების ინიციატივით შექმნილი საერთაშორისო ტურისტული ორგანიზაციის

საქმიანობის შესწავლა რომელიც 1912 წელს დაარსდა სახელწოდებით „კავკასიაში ტურიზმის წახალისების კომიტეტი.“ ორგანიზაციის საქმიანობასთან დაკავშირებული საარქივო მასალები მრავალფეროვანია. ისინი შეიცავს ორგანიზაციის საქმიანობის ამსახველ სხვადასხვა სახის დოკუმენტაციას – სხდომის ოქმებს, მითითებებს, რეკომენდაციებს ტურიზმის სფეროში არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრის გზებსა და საშუალებებს. დოკუმენტების ანალიზისას აღმოჩნდა რომ, კავკასიაში ტურიზმის განვითარების ხელის შეშლელი პირობების აღმოსაფხვრელად შემუშავებული რეკომენდაციების დიდი ნაწილი დღესაც აქტუალურია და შესაძლებელია მათი პრაქტიკული გამოყენება.

რუსეთის მმართველ წრეებში ითვალისწინებდნენ და სათანადოდ აფასებდნენ კავკასიის ტურისტულ პოტენციალს. ცნობილია, რომ ქვეყანაში, სადაც კარგადაა განვითარებული ტურიზმი, მას თან ახლავს მნიშვნელოვანი ფინანსური შემოსავლების შემოდინება. ხელისუფლებას კარგად ჰქონდა გააზრებული, რომ კავკასია იძლეოდა მრავალფეროვანი ტურისტული ტურების დაგეგმვის შესაძლებლობებს, რასაც შეემლო სერიოზული შემოსავლები მოეტანა როგორც ტურიზმის წახალისების კომიტეტის, ასევე ადგილობრივი მოსახლეობისათვის. ამასთან „ტურიზმი აღიარებულია სიღარიბის დაძლევის მნიშვნელოვან ფაქტორად, ტურიზმს როგორც უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო ინდუსტრიას შესაბამისი გზების გამონახვით შეუძლია უდიდესი როლი შეასრულოს ღარიბთა რაოდენობის შემცირებაშიც“. [შუბლაძე, 2006.]

კარგად გათვლილი ტურისტული მარშუტების დაგეგმვა, მომგებიანი იქნებოდა, კავკასიის, როგორც მთის, ასევე ბარის მოსახლეობისათვის.

კავკასიაში „ტურიზმის წახალისების კომიტეტის“ საქმიანობიდან ჩანს, რომ მისი ხელმძღვანელები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ უცხოელთა რჩევებს, რეკომენდაციებს ამ დარგის შემდგომი განვითარებისთვის. ამ საკითხების მოწესრიგებით უშუალოდ დაინტერესებული იყო მეფისნაცვლის კანცელარია. „მოგზაურობის და ტურიზმის საკითხები დღის წესრიგში აყენებდა პოლიტიკურ-დიპლომატიურ საკითხებს, რომელთა გადაწყვეტაზეც პასუხისმგებლობა ეკისრებოდათ სამთავრობო დაწესებულებებს“ [მეტრეველი, 2008]. მაშინდელ სამთავრობო დაწესებულებას წარმოადგენდა მეფის კანცელარია, იგი მაქსიმალურად ცდილობდა გაცნობოდა და გაეზიარებინა იმ ქვეყნების გამოცდილება, სადაც ტურიზმი კარგად იყო მოწესრიგებული და განვითარებული. სწორედ ამ მიზნით მთავარმართებლის კანცელარია დაუკავშირდა თბილისში მყოფ დასავლეთის სახელმწიფოთა კონსულებს, საზღვარგარეთის: ავსტრია-უნგრეთის, საფრანგეთის, გერმანიის, ბელგიის, შვეიცარიის, იტალიის საელჩოებს. ამ ქვეყნებში უკვე არსებობდა სამთავრობო სისტემა, რომელიც მფარველობდა და ხელს უწყობდა ტურიზმს. კავკასიის ადგილობრივი ხელისუფლების აზრით. მათი გამოცდილება დიდ სარგებელს მოუტანდა ახლადდაარსებულ ორგანიზაციას – „კავკასიაში ტურიზმის წახალისების კომიტეტს“. მეფისნაცვალის აუცილებელ საჭიროებად მიიჩნევდა ევროპის სახელმწიფოების საელჩოებისთვის დაევალებინათ – დაკავშირებოდნენ საჭირო სამთავრობო დაწესებულებებს და უკვე არსებული ტურიზმის დამხმარე ორგანიზაციების შესახებ შეეგროვებინათ ცნობები. ასევე, მიეწოდებინათ მასალები კერძო ორგანიზაციების კავშირების, სამთავრობო სუბსიდიების და ა.შ. შესახებ [სცსსა, ფონდი 14, საქმე 216, ანაწ. 1, გვ. 17].

საარქივო დოკუმენტებიდან ვეცნობით, თუ როგორ დაუკავშირდნენ მეფისნაცვალის კანცელარიიდან ფრანგული ტურისტული კლუბის ხელმძღვანელობას და სთხოვეს გადაეცათ ზუსტი ცნობები იმაზე, თუ როგორ იყო დაყენებული საფრანგეთში ტურიზმის განვითარების საკითხი და რა მონაწილეობას იღებდა საფრანგეთის მთავრობა ტურიზმის წინსვლა-განვითარების საქმეში. ამასთან დაკავშირებით, მეფისნაცვლის კანცელარიას საფრანგეთიდან მიუღია საფრანგეთში ტურიზმის მოწყობის და საქმიანობის საკითხების შემცველი დოკუმენტაცია, კერძოდ, საფრანგეთის ტურიზმის ეროვნული სამმართველოს და ამ ქვეყანაში ტურიზმის საზოგადოებრივი ორგანიზაციის წესდება [სცსსა, ფონდი 14, საქმე 216, ანაწ.1, გვ.13]. საფრანგეთთან დაკავშირების მიზანს წარმოადგენდა მათი ცოდნის და პრაქტიკის გაზიარება და იმ გამოცდილების გადმოღება, რაც მორგებული და მიზანშეწონილი იქნებოდა კავკასიისათვის.

ყურადღებას იპყრობს თბილისში შვეიცარიის კონსულის მიერ წარმოდგენილი მასალები, სადაც ხაზგასმულია, რომ შვეიცარიაში ტურიზმის წახალისებასთან დაკავშირებული საკითხები

უშუალოდ კერძო საზოგადოებების ხელში იყო. მასში მითითებულია ის გარემოება, რომ მთავრობა ტურისტული ბიზნესის წარმომადგენლებს ფულადი სახით, ან რაიმე სუბსიდიებით მხოლოდ საჭიროების და შესაძლებლობის შემთხვევაში ეხმარებოდა [სცსსა, ფონდი 14, საქმე 216, ანაწ.1, გვ. 13]

საინტერესოა ავსტრია-უნგრეთის კონსულის ცნობები მათ ქვეყანაში ტურიზმის განვითარების შესახებ. ამ მასალების მიხედვით, ტურიზმის განვითარებაზე ავსტრია-უნგრეთში ზრუნავდნენ როგორც სახაზინო დაწესებულებები, ასევე კერძო ორგანიზაციები, 1908 წ. 21 მარტის დეკრეტით საჯარო საქმეთა სამინისტროს დავალებული ჰქონდა მოეხდინა “ტურიზმის წახალისება, ტურისტთა მოზიდვა-დაინტერესება“. საარქივო დოკუმენტაციაში ცალკე ადგილი უკავიათ იმ კერძო პირებს, ორგანიზატორებს, რომლებიც გამუდმებით ქმნიდნენ ტურიზმის წინსვლისთვის აუცილებელ პირობებს, აარსებდნენ დაწესებულებებს: სასტუმროებს, თავშესაფრებს, აგრეთვე ზრუნავდნენ გზების მოწყობაზე და ტურიზმის მომიჯნავე ისეთი დარგების განვითარებაზე, როგორცაა რკინიგზის გაყვანა. დიდი ყურადღება ექცეოდა მრეწველობის იმ დარგთა განვითარებას, რომელიც უშუალოდ კავშირში იყო ტურიზმთან და ტურისტებისთვის საჭირო საგნების წარმოებასთან [სცსსა, ფონდი 14, საქმე 216, ანაწ.1, გვ.14]. აღნიშნული ამოცანების მოწესრიგებისათვის სახელმწიფო ტურისტულ ორგანიზაციებს აძლევდა კრედიტებს.

მნიშვნელოვანი და გასათვალისწინებელი იყო გერმანიის კონსულის მოსაზრებები კავკასიაში ტურიზმის განვითარების საკითხებთან დაკავშირებით. კონსულის აზრით, კავკასიაში ტურისტული მოძრაობის განვითარებისათვის პირველ რიგში უნდა დაწყებულიყო კავკასიის შესახებ ვრცელი, მრავალმხრივი სარეკლამო კამპანია. გერმანიის კონსულს გასათვალისწინებლად და გასაზიარებლად მიაჩნდა შვედეთის ტურისტული კავშირის მაგალითი, რომელსაც სპეციალური ტურისტული ე.წ. „კანტორა“ - დაწესებულება ჰქონდა ბერლინში. სწორედ ამ უწყების საშუალებით ხდებოდა დაკავშირება საზღვარგარეთ დიდ ქალაქებში არსებულ ტურისტულ სააგენტოებთან. ყველა ეს ორგანიზაცია დაკავებული იყო ბეჭდური რეკლამების დარიგებით, საგაზეთო სტატიებისა და ცნობების გამოცემით. იგივეს ურჩევდნენ კავკასიაში ტურიზმის განვითარებით დაინტერესებულთ. გერმანიის კონსულს მნიშვნელოვნად მიაჩნდა, რომ ქვეყანაში დარიგებულიყო დიდი, მხატვრულად გაფორმებული პლაკატები, ლამაზი, მაღალპოლიგრაფიულ დონეზე გაფორმებული ბეჭდური ბროშურები, რომლებიც მოგზაურობის მსურველებს საჭირო ინფორმაციას მიაწვდიდა კავკასიაზე, მის კულტურაზე, სარკინიგზო გზებზე, ეთნოგრაფიაზე, იქ მოსახლე ეთნოსებზე, ღირსშესანიშნაობებზე. ასევე, გზების, სასტუმროების და ღამის გასათევი ადგილების შესახებ, მოგზაურობის ფასებზე. ბროშურები მრავლად უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი საუკეთესო კვების ობიექტებსა და სასტუმროებში, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებზე“ [სცსსა, ფონდი 14, საქმე 216, ანაწ.1, გვ.14].

უმველესი დროიდანვე ტურიზმის განვითარებისთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა საინფორმაციო საშუალებებს, რეკლამას, პიარს, გზამკვლევებს. „გზამკვლევის დანიშნულებას ტურისტს მიაწოდოს ინფორმაცია ამა თუ იმ ქვეყნის გეოგრაფიულ თავისებურებებზე, შემადგენლობაზე, ცხოვრების წესზე, კულტურაზე და ა.შ. XVI ს-ის დასაწყისიდან გამოიცა გზამკვლევები საფრანგეთში, იტალიაში, ევროპის სხვა ქვეყნებში“ [მაისურაძე, ხუციშვილი, ხომერიკი, ვერბეკვი 2011].

გზამკვლევებთან ერთად ტურიზმის ინდუსტრიაში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა „ტურისტებისთვის უფასოდ დასარიგებელი ბუკლეტების გამოცემას“. დღესდღეობით საინფორმაციო საშუალებების დიდი სპექტრი არსებობს. ამ მხრივ, უმნიშვნელოვანესია ინტერნეტი, რომელიც სთავაზობს დეტალურ ინფორმაციას ტურისტული ცენტრების, მომსახურების, ღირსშესანიშნაობების შესახებ, ასევე საშუალებას იძლევა სამუზეუმო ექსპონატების დათვალიერების, სასტუმროთა და სააგენტოთა შერჩევის, ბილეთების დაჯავშნის და ა.შ. [ბირჟაკოვი 2011].

XX საუკუნის დასაწყისისთვის, ბუნებრივია, ტურისტული დაწესებულებები მაღალტექნოლოგიებს და ელექტრონულ რესურსებს ვერ გამოიყენებდნენ, მაგრამ რეკლამის იმ ფორმებისა და საშუალებების გამოყენებას მაქსიმალურად ურჩევდნენ კონსულები „კავკასიაში

ტურიზმის წახალისების კომიტეტის“ ხელმძღვანელებს რაც მიღებული იყო ევროპაში. რეკლამის მაშინდელ საშუალებებს კი წარმოადგენდა გზამკვლევები, რუკები, ბუკლეტები, ბროშურები, პლაკატები, რომელთა გამოყენება დღესაც მნიშვნელოვანია ტურიზმის განვითარებისა და გაფართოებისათვის.

როგორც საარქივო დოკუმენტაციიდან ირკვევა გერმანიის კონსულს უმნიშვნელოვანესად მიაჩნდა „კავკასიაში ტურიზმის წახალისების მთავარი კომიტეტისა“ და ლაიპციგში „გერმანული საზოგადოების კავშირს“ შორის ურთიერთობების დამყარება. მისი აზრით, ლაიპციგში საიმპერატორო საკონსულოს შუამავლობით შეიძლება მიღწეული ყოფილიყო კავშირი და თანამშრომლობა მთავარ კომიტეტთან. სასურველი იქნებოდა მომხდარიყო ორმხრივი შეთანხმება რეკლამირების და ურთიერთთანადგომის შესახებ.

გერმანიის კონსულს კავშირების ურთიერთგაღრმავების და ტურისტების ნაკადების შემოდინებისთვის აუცილებელ პირობად მიაჩნდა ჩქარი მატარებლის მოძრაობა რუსეთის დასავლეთ საზღვრებსა და კავკასიას შორის. მისი შეხედულებით, სწრაფი მატარებლით გადაადგილება საკმაოდ ეფექტური და კომფორტული იყო. იგი იძლეოდა მანძილის სწრაფად დაფარვის საშუალებას და ჰქონდა ბევრი უპირატესობა ტრანსპორტის სხვა სახეებთან შედარებით. ასევე, აუცილებლად მიაჩნდა საზღვაო კავშირების დამყარება ოდესა-კონსტანტინოპოლს, კავკასიის შავი ზღვის კურორტებსა და ბაქოს შორის. მნიშვნელოვნად მიაჩნდათ „კავკასიაში ტურიზმის განვითარებისთვის წრიული მოძრაობის ბილეთების შემოღებაც“ [სცსსა, ფონდი 14, საქმე 216, ანაწ. 1, გვ.14].

აღსანიშნავია, რომ გერმანიის კონსულის ამ მოსაზრებას დღესაც დიდი მნიშვნელობა აქვს. სწრაფი მატარებლები უხმოდ და რბილად მოძრაობენ. რყევა, ვიბრაცია და ხმაური გამორიცხულია. ეს ხდება კომფორტული ვაგონების შემთხვევაში, რომელიც რბილი ავტომატური სავარძლებითა და კონდიციონერებით არის აღჭურვილი, აქვს პანორამული მინები ადგილმდებარეობის დასანახად [კოჭლამაზაშვილი, ყანდაშვილი, 2008].

უცხოელთა რჩევებში დიდი ადგილი უკავია სისუფთავისა და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის და ტურისტთა უსაფრთხოების საკითხებს. დღესაც, თანამედროვე სტანდარტების მიხედვით – „ტურისტების უსაფრთხოების დაცვა მუდმივად უნდა იყოს სახელმწიფო ზრუნვის საგანი, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ, თუნდაც ერთი უბედური შემთხვევა ძალიან დიდ დარტყმას აყენებს ტურისტულ ბიზნესს“. [http://ratenew.ru/news/16092005_3.stm].

ტურისტული სააგენტოები მოვალენი არიან მოახდინონ ტურისტების უსაფრთხოებისა და მათი ქონების დაცვა. უნდა მოხდეს ტურისტების დაუყოვნებელი ინფორმირება იმ სახიფათო მარშრუტებზე, რაც საშიშია მათი სიცოცხლისთვის, ინფორმაცია უნდა მოიცავდეს მასალას, საბაჟო, სასაზღვრო, სანიტარულ და ეპიდემიოლოგიურ თავისებურებათა შესახებ.

[http://www.turbooks.ru/stati/zakony/173-obespechenie-bezopasnosti-turizma.htm/

მოგზაურთა უსაფრთხოებაზე ზრუნვა და მათი დაცვა ყველა ეპოქაში უმნიშვნელოვანესი იყო და ასეა დღესაც ტურიზმის უსაფრთხოება პირდაპირ კავშირშია სახელმწიფოს პოლიტიკასთან ამიტომ სახელმწიფოში უსაფრთხოების დაცვა მუდმივად უნდა იყოს სახელმწიფოს ზრუნვის საგანი. „უსაფრთხოების უზრუნველყოფა უმნიშვნელოვანესი ამოცანაა საერთაშორისო და ეროვნული ტურიზმის განვითარებისათვის, ამიტომ მასზე ზრუნვა უნდა ხდებოდეს ტურისტული კომპანიის, ტურიზმის ცენტრალური ადმინისტრაციის, ადგილობრივი ორგანოების, სახელმწიფოს ცენტრალური ხელისუფლების და საერთაშორისო ორგანიზაციების დონეზე“. [ალადაშვილი, თამარაშვილი, 2020]

ასე რომ, ტურიზმის უსაფრთხოების და სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური საკითხები ყველა დროში აქტუალურია, როგორც იყო ერთი საუკუნის წინ, ასევე თანამედროვე პერიოდშიც.

როგორც საარქივო დოკუმენტებიდან იკვეთება, XX ს-ის დასაწყისისთვის დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში უკვე არსებობდა საკმაოდ დიდი გამოცდილება ტურიზმის განვითარების საკითხებთან დაკავშირებით. დასავლელი მეზობლების მხარდაჭერა და გამოცდილების გაზიარება სერიოზულ სასიკეთო სიახლეს შეიტანდა კავკასიაში ტურიზმის შემდგომ განვითარებაში.

მეფისნაცვალი ითვალისწინებდა ყოველივე ზემოაღნიშნულს და საზღვარგარეთ არსებულ

დაწესებულებებს (სამინისტროებს) მიმართავდა წერილით, რითაც სთხოვდა ევროპის ქვეყნების საელჩოებისთვის დაევალებინათ დაკავშირებოდნენ საჭირო სამთავრობო დაწესებულებებს, მიეწოდებინათ ინფორმაცია ტურიზმის დამხმარე ორგანიზაციების, მათი საქმიანობის, სამთავრობო სუბსიდიების შესახებ. ამ მხრივ საინტერესოა და ყურადღებას იქცევს კავკასიაში ტურიზმის წახალისების მთავარი კომიტეტის სხდომების ოქმები. მაგალითად, როგორც ირკვევა, 1913 წელს მთავარი კომიტეტის წარმომადგენელმა კ.ფ. განმა გააცნო დამსწრეებს საზღვარგარეთის ტურისტული ორგანიზაციებიდან მიღებული შემდეგი წერილები: ლაიფციგის ორიენტ-რეიზ-კლუბის დოქტორ ვიუნშის წერილი: სადაც იგი აღნიშნავს, რომ თუ ტურიზმის წახალისების კომიტეტის მიერ იგი დაინიშნებოდა გერმანიაში სპეციალური წარმომადგენლად, მოაწყობდა დიდ და პატარა ექსკურსიებს კავკასიის მიმართულებით. ამის შესახებ განცხადებებს გააკეთებდა გაზეთებში, ეს გაზრდიდა ტურიზმით დაინტერესებულთა რიცხვს რაც დადებითად აისახებოდა ტურიზმის შემოსავლებზე.

ამასთანავე იგი ითხოვდა, რომ „კავკასიაში ტურიზმის წახალისების კომიტეტს“ გამოეყო ბილეთების გარკვეული რაოდენობა, ხუთი წლის მანძილზე უსასყიდლოდ გემებით და სარკინიგზო გზებით გადასაადგილებლად მისთვის და მისი წარმომადგენლისათვის. ასევე იგი ითხოვდა, რომ ტურისტებს, რომლებიც მისი ხელმძღვანელობით გაემგზავრებოდნენ კავკასიაში, საშუალება მისცემოდათ მეორე კლასის ვაგონებში ემგზავრათ მესამე კლასის ბილეთებით. იგი ვარაუდობდა 20-კაციანი ჯგუფებით ვიზიტებს, ვარაუდობდა, რომ თუ მიეცემოდა საშუალება საშუალო შესაძლებლობის მქონე გერმანელი ტურისტებისთვის მოეწყო ექსკურსიები 500-600 მარკის ღირებულების ოდენობით, ყოველწლიურად გამონახავდა ასობით მსურველს, რითაც დაეხმარებოდა კავკასიაში ტურისტთა ნაკადის გაძლიერებას და თუ ეს ექსკურსიები „მოდაში“, შემოვიდოდა, უკვე ადვილად დაინტერესებოდნენ შეძლებული ტურისტებიც.

დოქტორი ვიუნში პირდებოდა კომიტეტს, რომ იგი გამოვიდოდა „რუსულ-ენოვანი მოხსენებით ლაიპციგში ე.წ. „ორიენტკლუბში“ კავკასიის შესახებ. იგი მზად იყო შეემუშავებინა დაწვრილებითი დეტალური პროექტი კავკასიაში ტურიზმის განვითარების საკითხებთან დაკავშირებით. მას ტურიზმის წინსვლისთვის აუცილებლად მიაჩნდა საგადასახადო ტარიფების შემცირება სასტუმროებსა და ოთახების გამჭირავებელ კერძო სახლებში, სიაფე საფუძველს შექმნიდა ტურისტების დაინტერესებისათვის. „ამ გზით კი ყოველწლიურად ტურისტებისგან მიიღებდა დიდ შემოსავალს და სახელმწიფოს ხარჯები ათჯერ და მეტჯერ ანაზღაურდებოდა“ [სცსსა,ფონდი 14, საქმე 216, ანაწ. 1, გვ.17].

საინტერესოა ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში ტურიზმის განვითარების დირექტორის რეფერანტის უ.ი. პოიმანის მოხსენებიდან ამონარიდი: იგი აღნიშნავდა, რომ „ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში, მას შემდეგ, რაც შეძლო მოემია საჭირო ფინანსური სახსრები, ის სრულიად დამოუკიდებლად შეუდგა მუშაობას და ააშენა სახაზინო სასტუმროები, სადაც მან პრაქტიკანტის სახით 4 თვე იმუშავა, რათა კარგად შეესწავლა ეს საქმე დიდ სასტუმროებში და შემდეგ მუშაობა დაიწყო აფიშებზე, სტატიებზე. ამასთანავე, იგი ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში ატარებდა ლექციებს. მისი აზრით, ლექციების ჩატარებით შესაძლებელი ხდებოდა მრავალი ადამიანის დაინტერესება მოგზაურობით. ლექციები მიმდინარეობდა თვალსაჩინოების გამოყენებით, დემონსტრირებით. მას წაკითხული ჰქონია 500-მდე ლექცია და რეკლამირების ეს ფორმა ყველაზე ეფექტურად მიაჩნდა.

უ.ი.პოიმანის მოხსენებიდან ჩანს, რომ მას საილუსტრაციოდ, თვალსაჩინოებისთვის გამოუყენებია პლაკატები, რომელიც შედგებოდა გაფერადებული ბარათებისაგან, რასაც დიდი მოწონება დაუმსახურებია. მიზანშეწონილად მიაჩნდა, რომ კარგად გაფორმებული პლაკატები და ბარათები გემების მაგიდებზე განელაგებინათ, რადგან ცუდი ამინდის დროს მგზავრები მათ კითხვას დაიწყებდნენ. მას ტურისტების მოზიდვის შესანიშნავ საშუალებად მიაჩნდა მხატვრული საფოსტო მარკები, ამ გამოცდილებით ბატონი პოიმანი ვარაუდობდა, რომ კავკასიაში მიზანშეწონილი იქნებოდა იგივე სახით ტურიზმის რეკლამირება. ამასთანავე, აუცილებლად მიიჩნევდა გამომგზავრებას კავკასიაში. მისი ახლოს გაცნობა-დათვალიერების შემდეგ უკვე შეძლებდა ტურისტთა ექსკურსიების ხელმძღვანელობას, მათ დახვედრა-თანხლებას, თავის თავზე აიღებდა ტურისტებზე ზრუნვას და სასარგებლო რჩევების და მითითებების მიცემას, აგრეთვე იგი

აღნიშნავდა იმასაც, რომ, ტურისტები მაშინ მიდიან ქვეყანაში, როცა მათ არ ელოდებათ საფრთხე და დაცულია უსაფრთხოების ნორმები.

პოიმანის აზრით, მნიშვნელოვანი იყო, რომ ეარსება ტურისტულ ცნობათა ბიუროს, რასაც ბევრი სარგებელის მოტანა შეეძლო. იგი აღნიშნავდა: „მე ამჟამად ბევრი კავშირი მაქვს იმ პირებთან, რომლებიც მუშაობენ ტურიზმის წახალისების საკითხებზე“. ასევე, როგორც ჩანს, იგი თანამშრომლობდა საექსკურსიო კლუბებთან, სადაც კითხულობდა ლექციებს" [სცსსა, ფონდი 14, საქმე 216, ანაწ. 1, გვ.18]. იგი დიდ სურვილს გამოსთქვამდა, რომ შეემუშავებინა მემორანდუმი ტურიზმის განვითარებისათვის, რაშიც იგი ითხოვდა მხოლოდ და მხოლოდ საფოსტო ხარჯებს და არავითარ ფულად ჯილდოს. გამოდის, რომ იგი სრულიად უანგაროდ სთავაზობს და თანადგომას ზემოაღნიშნულ კომიტეტს.

ტურიზმის წახალისების კომიტეტში გაეცნენ რა გ. პოიმანის მოსაზრებებს, მოიწონეს მისი ჩანაწერები მცირე სასტუმროთა აშენების, გაქირავების მონიტორინგის, ტურიზმის წინსვლისა და განვითარების შესახებ. განსაკუთრებით საინტერესოა პოიმანის მიერ შედგენილი კითხვარი, რომლითაც იგი მიმართავდა კომიტეტს:

- 1) კავკასიაში რომელი ადგილები იპყრობდა ტურისტთა ყურადღებას?
- 2) არსებობდა თუ არა სასტუმროები, ღამის გასათევი ადგილები, სად და რა სახის.
- 3) როგორი იყო გადაადგილების საშუალებები?
- 4) არსებობდა თუ არა გზის გამკვლევი ბროშურები?
- 5) იყვნენ თუ არა ადგილობრივი გამცილებლები?
- 6) არსებობდა თუ არა სამთავრობო გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ ზოგიერთ პუნქტში,

სადაც უფრო მეტია ტურისტების მიმოსვლა, აშენებულიყო პატარა სასტუმროები (ე.ი., ითხოვდა გარკვეული ტურიზმის სახელმწიფო რეგულირებას) [სცსსა, ფონდი 14, საქმე 216, ანაწ. 1, გვ.18].

პოიმანს სურდა, რომ ესარგებლა დალმაციის მაგალითით, სადაც 20-ოთახიანი სასტუმროების ნაგებობები იყო გამოყენებული ტურისტული მიზნებისთვის. ის სთავაზობდა ქარხნული წესით დამზადებულ ასაწყო სასტუმროს, რომელსაც ნებისმიერ ადგილზე შეეძლიო ამუშავება და გარეგნული იერსახით ისე გამოიყურებოდა, როგორც აგურის და ქვის ნაგებობა. ამ გზით შესაძლოდ მიაჩნდა დიდი შემოსავლების მიღება. პოიმანი უმნიშვნელოვანეს როლს აკისრებდა რეკლამას, ხოლო რეკლამის საშუალებებიდან გამოარჩევდა ლექციათა კურსს. ზოგადად კი, დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ცოცხალ სიტყვას, აზრს და შთაბეჭდილების გაზიარებას. სარეკლამო თვალსაზრისით, იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მრავალფეროვანი პლაკატების დამზადებას. ტურიზმის წახალისებისთვის უმნიშვნელოვანესად მიაჩნდა გზად საფოსტო სადგურებში ცხენების კომპლექტების რაოდენობის გაზრდა, საფოსტო სადგურების მოწყობა ისე, რომ შენობების გაფართოვების მეშვეობით შესაძლებელი ყოფილიყო დიდი რაოდენობით მოგზაურთა მიღება და მათთვის ღამის თევის უზრუნველყოფა.

მისი აზრით, აუცილებლად უნდა მოწესრიგებულიყო ცხენების რაოდენობა ყოველ სადგურში, სახელმწიფო ხაზინიდან უნდა გამოყოფილიყო დამატებითი ხარჯები ცხენების კომპლექტების გაძლიერებისათვის. გასათვალისწინებელი იყო ის გარემოებაც, რომ ტურიზმის წინსვლის საქმეში ჩართული იყო კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის სამხატვრო ტოპოგრაფიული განყოფილება, მათ ევალუბოდათ 5 ვერსიანი რუკების მომზადება-გაყიდვა მოსახლეობაზე და ტურისტულ ობიექტებზე.

ტურიზმის წახალისებისთვის პოიმანს მნიშვნელოვან პირობად მიაჩნდა კომიტეტთან დაარსებულიყო ბიბლიოთეკა, რომელიც უხვად მომარაგდებოდა გზამკვლევებით, მრავალფეროვანი ლიტერატურით, წიგნადი ფონდით და პერიოდული პრესით – როგორც რუსულ, ასევე ევროპულ ენებზე .

საკმაოდ ვრცელია ნუსხა იმ ორგანიზაცია-დაწესებულებებისა თუ კერძო პირებისა, რომელთაც რეგულარულად უკავშირდებოდა ტურიზმის წახალისების კომიტეტი თანადგომისა და რჩევებისათვის. მათ შორისაა: ყირიმის სამთო კლუბი, ნოვოროსიისკის სამთო კლუბის თავმჯდომარე ევატერინოდარში, ყუბანის ოლქის შემსწავლელი საზოგადოების თავმჯდომარე, თბილისში ავტომობილების ანონიმური საზოგადოების დირექტორი, თბილისში გერმანიის წამომადგენელი ,რუსეთის სანაოსნო საზოგადოების თავმჯდომარე, ნაოსნობის და ვაჭრობის

რუსეთის საზოგადოების აგენტი. სწორედ მათ სთხოვდნენ თავიანთი შეხედულებები წარმოედგინათ კავკასიაში ტურიზმის განვითარებასთან დაკავშირებით. თითოეული მათგანი უკავშირდებოდა კომიტეტს და საკუთარ დამოკიდებულებებს, მოსაზრებებს სთავაზობდა ტურიზმის წინსვლა-განვითარებასთან დაკავშირებით. კერძოდ, აუცილებლად მიაჩნდათ პერიოდულად სპეციალური თათბირების მოწყობა, სადაც შეიკრიბებოდნენ დარგის განვითარებით დაინტერესებულნი. თათბირებში მონაწილეობა უნდა მიეღოთ საქალაქო თვითმმართველობის ამიერკავკასიის და ვლადიკავკაზის დაწესებულებათა წარმომადგენლებს“ [სცსსა,ფონდი14, საქმე 216, ანაწ. 1, გვ.15].

ბუნებრივია, ასეთი თათბირები, მიუხედავად იმისა, რომ ხშირად მინიმალური პირობებიც არ იყო ტურისტთა მომსახურებისთვის, კეთილისმყოფელ ზეგავლენას მოახდენდნენ ტურიზმის კომიტეტის საქმიანობაზე. საარქივო დოკუმენტებიდან ჩანს, რომ ყოველწლიურად სულ უფრო მატულობდა რიცხვი იმ უცხოელი ტურისტებისა, „რომლებიც ყველა პირობას ეგუებოდნენ, განსაკუთრებული ბუნების სიდიადისა და გრანდიოზულობის გამო“ [სცსსა,ფონდი 14, საქმე 216, ანაწ. 1, გვ.15]. სწორედ ამიტომ იყო, რომ კომიტეტის მოღვაწეობის პირველი ნაბიჯები ემსახურებოდა ელემენტარულად აუცილებელი მოთხოვნების დაკმაყოფილებას, რაც თავისთავად ზრდიდა ტურისტთა რაოდენობას. ცხადია, ტურისტული ბიზნესი გაისტუმრებდა გაწეულ ხარჯებს, გაზრდიდა მატერიალურ შემოსავლებს და სარგებელს მოუტანდა, როგორც კომიტეტს, ასევე ადგილობრივ მოსახლეობას.

ამრიგად:

1. წარმოდგენილი მასალების გაანალიზებით შესაძლებლობა გვეძლევა გავცნოთ ტურიზმის განვითარების თავისებურებებს კავკასიაში XX საუკუნის დასაწყისში;
2. „კავკასიაში ტურიზმის წახალისების მთავარი კომიტეტის“ საქმიანობის შესწავლით საშუალება გვეძლევა გავცნოთ საგარეო ურთიერთობებს, უცხოელთა გამოცდილებას, რჩევებს, რეკომენდაციებს, მითითებებს, რაც უკვე არსებობდა ევროპის დიდ სახელმწიფოებში, ყოველივე მნიშვნელოვანი იყო ახლად ჩამოყალიბებული კომიტეტისთვის, რეგულარული კავშირურთიერთობანი იყო დამყარებული ავსტრია-უნგრეთის, გერმანიის, საფრანგეთის, ბელგიის, იტალიის, შვეიცარიის, ბოსნია-ჰერცეგოვინის წარმომადგენლებთან, რაც იძლეოდა კავკასიაში ტურიზმის სწორი და სწრაფი განვითარების საფუძველს;
3. საარქივო პირველწყაროებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვიმსჯელოთ საუკუნის წინანდელი რეკლამის ფორმების ნაირსახეობაზე, საინფორმაციო საშუალებებზე. ასევე, ტურიზმის უსაფრთხოებისა და სანიტარულ-ეპიდემიოლოგიურ საკითხებზე, რეკლამის განთავსების, სატრანსპორტო საშუალებებზე, ტურიზმის ინფრასტრუქტურაზე და ა.შ.;
4. თანამედროვე პირობებში მრავალი ტურისტული ორგანიზაცია არსებობს, როგორც მსოფლიოში, ასევე კავკასიაში. იცვლება დრო, იცვლება საინფორმაციო ტექნოლოგიები, მაგრამ იგივე რჩება კავკასიის მდებარეობა, მრავალმხრივი საინტერესო ტურისტული პოტენციალი, კავკასიის მშვენიერება, ულამაზესი უღელტეხილები, ბუნება, სამზარეულო თუ სტუმართმასპინძლობის ტრადიციები, რაც ყოველთვის იწვევდა უცხოელთა დაინტერესებას იწვევდა;
5. ტურიზმის უცხოელი ექსპერტების რჩევები, რეკომენდაციები, მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციების მიერ ჩამოყალიბებული მოსაზრებები, ადგილობრივ ტურიზმის ექსპერტებთან ერთად, აუცილებელ პირობას წარმოადგენს ნებისმიერ ქვეყანაში და, შესაბამისად, ტურიზმის განვითარებისა და წინსვლისათვის. როგორც ერთი საუკუნის წინ, ასევე დღეისათვისაც.

ლიტერატურა და წყაროები:

1. ალადაშვილი, მ. თამარაშვილი, თ. (2020). უსაფრთხოება ტურიზმში. თბილისი
2. ბირჟაკოვი, მ. (2011), ტურიზმის თეორია. თბილისი
3. კოჭლამაზაშვილი, ლ. ყანდაშვილი, თ. (2008). ტურიზმი და ტრანსპორტის ინდუსტრია. თბილისი
4. მაისურაძე, დ. ხუციშვილი, თ. ხომერიკი, გ. ვერბეციკი, მ. (2011). ტურიზმის შესავალი. თბილისი
5. მეტრეველი, მ. (2008). ტურიზმის ეკონომიკა და პოლიტიკა. თბილისი
6. სცსსა, ფონდი 14, საქმე 216, ანაწ.1, გ: 13,14,15,17,18.

7. შუბლაძე, ვ. (2006) ტურიზმის დაჩქარებული განვითარება სიღარიბის დამღევის ფაქტორი საქართველოში. თბილისი
8. <http://www.turbooks.ru/stati/zakony/173-obespechenie-bezopasnosti-turizma.htm/>
9. http://ratenew.ru/news/16092005_3.stm.

of tourism development in the South Caucasus: past and present

Tamarashvili Tamar

Iakob Gogebashvili State University, Telavi

Abstract

The article `Aspects of tourism development in the South Caucasus: past and present~ covers the historical aspects of tourism development in the Caucasus region. The Caucasus region was and is distinguished by many tourist opportunities, characterized by a special geopolitical location, and an abundance and diversity of tourist resources. The archival materials give us an idea of the history and peculiarities of the development of tourism in the Caucasus. By studying and analyzing them, we get to know the peculiarities of the development of tourism in the Caucasus. In particular, studying the activities of the "Main Committee for the Promotion of Tourism in the Caucasus" gives us the opportunity to learn about foreign relations, the experience of foreigners, advice, recommendations, instructions, all of which were important for the development of the field. With the representatives of Switzerland, Bosnia-Herzegovina, sharing their experience provided the basis for the correct and rapid development of tourism in the Caucasus. Based on archival sources, we can discuss the variety of century-old forms of advertising, information media, tourism safety and sanitary-epidemiological issues, advertising forms, means of placement, types of transport, and tourism infrastructure.

Today, there are many tourist organizations and time along with information technologies are changing, but the location of the Caucasus remains the same. It has multifaceted and interesting tourist potential. The beauty of the Caucasus, beautiful passes, nature, cuisine and traditions of hospitality always aroused the interest of foreigners. Furthermore, advice, recommendations of foreign experts in tourism, opinions formed by world tourism organizations, together with local tourism experts, are a necessary condition for the development and progress of tourism in any country.

Keywords: tourism, Caucasus, tourism resources, tourism infrastructure, tourism services.

კიბერუსაფრთხეობა და მავნე პროგრამები

ოხანაშვილი სვიმონ

იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი

DOI: <https://doi.org/10.52340/idw.2023.72>

აბსტრაქტი. თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებამ ხელი შეუწყო ვიტუალური სამყაროს - ინტერნეტ სივრცის განვითარებას, სადაც სამუშაო ვიზიტით გადავიდა როგორც კერძო წარმოების და მომსახურების სამსახურები, ასევე სახელმწიფო დაწესებულებები. ამან კი გამოიწვია ინტერნეტ სამყაროში უზარმაზარი ინფორმაციის გავრცელება და გაცვლა, რამაც თავის მხრივ საჭირო გახადა კიბერუსაფრთხოების დონის ამაღლება და განმტკიცება, რაც დღეისათვის იგი წარმოადგენს აუცილებელ და მოთხოვნად თემს.

ნაშრომი - კიბერუსაფრთხოება და მავნე პროგრამები დღეისათვის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური თემაა და მოითხოვს სხვადასხვა სახის კიბერდანაშაულის საფრთხეების აღმოჩენას, მათი ტიპების განსაზღვრას და საჭირო ღონისძიებების ჩატარებას.

რეალურად ყოველდღე ინტერნეტში არსებობს მალალი დონის საფრთხეები, რომელთა უდიდესი ნაწილი უკავშირდება კიბერუსაფრთხოებას, რაც თავისმხრივ იგი არის ერთ-ერთი ძირითადი ღონისძიება ასე ვთქვათ ინტერნეტ უსაფრთხოების პოლიტიკა, რომელიც გულისხმობს: სწრაფ აქტიურ რეაგირებას და ქმედებას ინფორმაციის დაცვას სხვადასხვა მავნე პროგრამებისა და ბოროტი ქმედებისაგან.

ინფორმაციული საფრთხეები შეიძლება გამოწვეული იყოს, როგორც ადამიანური ფაქტორებით, როგორცაა სხვადასხვა სახის მუქარ (უნებლიე, შემთხვევი, გამიზნული), ასევე ბუნებრივი ფაქტორებით: ქარიშხალი, ელვა, მიწისძვრა, წყალდიდობა და ა.შ.

საერთოდ კიბერდანაშაულის დროს ყურადღება მახვილდება: ტექნიკურ, პროგრამულ და ორგანიზაციულ ნაწილზე. პროგრამულ ნაწილში იგულისხმება ოპერაციული სისტემები და გამოყენებითი პროგრამული გარსები, რომელთა დიდი ნაწილი დამზადებულია სხვადასხვა კომპანიების მიერ და მათი დაისტალირება მოითხოვს საკმაოდ დიდ ყურადღებას თავსებადობის და შესაბამისობის მიმართულებით. ტექნიკურში იგულისხმება ციფრული მოწყობილობები და მათი შესაძლებლობები, ხოლო ორგანიზაციულ დაცვაში იგულისხმება: თანამშრომელთა შერჩევა, განათლება, განაწილება, განთავსება სპეციალურ პოზიციებზე, მათ შორის თანამშრომლობის და ჯგუფური მუშაობის ჩამოყალიბება და ამაღლება, სამსახურეობლივი ეთიკის, ინფორმაციის და ქცევის მოთხოვნათა დაცვის გაზრდა.

საკვანძო სიტყვები – კიბერდანაშაული, კიბერთავდაცვა, კიბერუსაფრთხოება, ინფორმაციული უსაფრთხოება, ქსელური უსაფრთხოება, პროგრამული უსაფრთხოება.

კიბერუსაფრთხოება ნიშნავს დაცვას ისეთი მოწყობილობებისას როგორცაა: კომპიუტერები, მობილური ტექნოლოგიები, ელექტრონული სისტემები, სერვერები, ქსელები და ინფორმაციული მონაცემები ბოროტი და მავნე შეტევებისგან.

ტერმინი უსაფრთხოება ხშირად გამოიყენება სხვადასხვა კონტექსტში და ზოგჯერ მას კატეგორიულად ყოფენ, როგორცაა: კიბერუსაფრთხოება, ინფორმაციული უსაფრთხოება, ქსელური უსაფრთხოება, პროგრამული უსაფრთხოება და სხვა.

დღეისათვის ყველაზე არაპროგნოზირებად და ვირტუალურ სამყაროში ფართოდ გავრცელებულ პრობლემას წარმოადგენს კიბერდანაშაული, რომელიც არის კიბერ უსაფრთხოების საწინააღმდეგო ქმედება და გულისხმობს დანაშაულების სხვადასხვა ტიპს.

ცნობილია, რომ კიბერუსაფრთხოება არის ღონისძიებათა მთელი კომპლექსის

ერთობლიობა, რომელიც განკუთვნილია პირადი და სამსახურეობლივი ინფორმაციული სივრცის დასაცავად.

აქ შეიძლება დაისვას კითხვა, თუ ვისგან უნდა დავიცავთ ინფორმაცია. ესენი შეიძლება იყვნენ: ჰაკერები, ინსაიდერები და მავნე პროგრამები (ვირუსები).

ჰაკერები არიან (14 – 35 წწ.) პირები - რომლებმაც კარგად იციან თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიები, კომპიუტერები და მათი ოპერაციულ სისტემები, ასევე იციან რამდენიმე მაღალი დონის დაპროგრამირების ენა და შეუძლიათ: ვირუსების და მავნე პროგრამების შექმნა, ქსელებში თვალთვალის დევნება, ინფორმაციის მოპარვა და შეტყევაზე გადასვლა.

ინსაიდერები არიან - პირები, რომლებიც სამსახურეობრივი მოვალეობის გამო დაშვებულნი არიან - წვდომა აქვთ საიდუმლო ინფორმაციასთან. ხშირია შემთხვევები, როდესაც ორგანიზაციის გამოუცდელ ახალ ან ყოფილ თანამშრომელ(ებ)ს უფრო დიდი ზარალი და ზიანი მომტანიათ ფირმისთვის - სამსახურისთვის, ვიდრე ნებისმიერ ჰაკერს ან მავნე პროგრამას.

ასეთ მაგალითს წარმოადგენს ცნობილი ინსაიდერი აშშ - NSA - ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოს თანამშრომელი ედუარდ სნოუდენი, რომელმაც მოიპარა უზარმაზარი საიდუმლო ინფორმაცია და გასაჯაროვა.

მავნე პროგრამები არის - **Malware** ინგლისური სიტყვების **Malicious Software** აბრევიატურა და წარმოადგენს ისეთ კომპიუტერულ ბოროტ პროგრამებს, რომლებიც ასრულებენ მავნე ქმედებებს: კომპიუტერული სისტემების ბლოკირებას, წაშლას, ფაილ(ებ)ის მოპარვას, გადაადგილებას, შიგთვსების სხვა ინფორმაციით შეცვლას, ვირუსების გავრცელებას, ინფორმაციის მოპარვას, თვალთვალის დევნება და კიდევ მრავალ სხვა მავნე ქმედებას.

ცნობილი მავნე პროგრამებს ტიპებია:

ა) **Spyware - ჯაშუში** – აკონტროლებს მომხმარებლის აქტივობას, რას აკეთებს სად შედის, რომელ პროგრამას იყენებს, ვის ესაუბრება და კიდევ სხვა მრავალ ინფორმაციას იხსომებს და შემდეგ გადასცემს წინასწარ მიცემულ მისამართებზე.

ბ) **Adware - არის** იძულებითი რეკლამის გამავრცელებელი, რომელიც მომხმარებლის სურვილის საწინააღმდეგოდ აწვდის მოსაბეზრებელ და არასასურველ რეკლამებს.

გ) **Phishing - ფიშინგი** – არის თევზაობა, რომელიც მოტყუებით მომხმარებელს გადაიყვანს სხვა ვებგვერდებზე და ახდენს მის სხვადასხვა სახის პირად ინფორმაციის მოპარვას (CV, პაროლი, პლასტიკური ბარათის ნომერი და სხვა.)

დ) **Spam - სპამი** არის არასასურველი და არაფრის მომცემი ელექტრონული წერილი, რომლებიც მოხმარებელს ნების საწინააღმდეგოდ ეგზავნება საკმაოდ დიდი რაოდენობით. წერილი შეიძლება შეიცავდეს, რაიმის პროპაგანდას, რეკლამას ან ტყუილ რაიმე საგნის ან თანხის მოგების შესახებ. პროგრამა-სპამ(ერ)ი ნიშნავს, რომ მომხმარებლის კომპიუტერი წარმოადგენს სპამის გავრცელების ნაწილს ანუ ბოტნეტს.

ე) **Ransomware - გამომძალველი** – პროგრამის ძირითადი მიზანია მომხმარებლის კომპიუტერს შეუქმნას ტექნიკური პრობლემები, რაც შეიძლება იყოს ფაილების დაშიფრვა, მოპარვა, წაშლა და შემდეგ მათი აღდგენისათვის - დაბრუნებისათვის თანხის მოთხოვნა. ასევე ახდენს ქსელში ცრუ ინფორმაციის გავრცელებას, მუქარას, ფსიქოლოგიური ზეწოლას და დაშინებას.

ვ) **Cyber Bullying - კიბერბულინგი** - არის ადამიან(ებ)ის მიერ, ციფრული ტექნოლოგიების დახმარებით რომელიმე ორგანიზაციის, ადამიანთა ჯგუფის ან რომელიმე კონკრეტული ადამიანის შეურაცყოფა და დამცირება ინტერნეტ სივრცეში.

ზ) **კიბერომი** - არის რეალური ომის პარალელურად ან მანამე მიმდინარე კიბერთავდასხმები ქვეყანაზე. 2008 წელს რუსეთი ომს აწარმოებდა საქართველოზე და მის პარალელურად ახორციელებდა კიბერშეტევებს.

კიბერ შეტევის რამდენიმე ათეული სახე არსებობს, თუმცა ჩვენ განვიხილავთ ყველაზე ხშირად გამოყენებულ შეტევებს, როგორიცაა:

➤ პასიური შეტევა - Passive Attack

- აქტიური შეტევა - Active Attack
 - განაწილებული შეტევა - Distributed Attack
 - ჰაკერით შეტევა - Close-in Attack
 - სნიფინგი შეტევა - Sniffing -
 - სპამით შეტევა - Spoof spoofing
 - DDoS შეტევა - Distributed-Denial-of-Service
 - ბუფერის გადავსებით შეტევა - Buffer overflow (Smurf)
 - სინქროზული შეტევა - SYN floods
 - ტროიანები შეტევა - Trojan . . .
- Passive Attack - პასიური შეტევის დროს დგინდება დაუცველი ტრაფიკი, საიდანაც ხდება ინფორმაციის და პაროლების გაგება.
 - Active Attack - ეს არის აქტიური შეტევა, როცა ჰაკერი დაცულ სისტემებზე ახდენს შეტევას, აქ შეიძლება გამოიყენოს ვირუსები და სხვადასხვა შესაძლებლობები.
 - Distributed Attack - ეს არის განაწილებული შეტევა, რომლის დროსაც ჰაკერი სისტემას თავაზობს რაიმე კოდს, რომელსაც სისტემა ჩათვლის დაცულ კოდად და შემდეგ იწყება შეტევა როელსაც გარკვეული ზიანი მოაქვს.
 - Close-in Attack - აქ თუ ჰაკერი ქსელს მიახლოვდება და მოიპივებს ინფორმაციას ქსელის შესახებ მაშინ შეტევას ადვილად განახორციელებს.
 - Social Engineer - აქ ჰაკერი იღებს პირად ინფორმაციას სხვადასხვა სოციალური ქსელების გამოყენებით რომელსაც მომხმარებელი ხშირად ავრცელებს.
 - Sniffing - აქ ხდება ქსელში გამავალი მონაცემების მოსმენა - მოპარვა პასიურად და შემდეგ შეგროვილი ინფორმაციის საფუძველზე ხდება შეტევები.
 - Distributed-Denial-of-Service (DDoS) ეს ის შემთევა, როდესაც გატეხილ რამდენიმე საიტზე ხდება შეტევა ერთდროულად ძალიან ბევრ მოთხოვნებზე.
 - Buffer overflow – აქ მსხვერპლს ეგზავნება აპლიკაცია ბევრ მონაცემებზე ხდება გადავსება ბუფერის, რაც ახდენს სიტუაციის შეცვლას და თავდამსხმელი ადმინისტრაციულ უფლებებს იძენს.
 - ელექტრონული წერილი Spoofing წარმოშობილია spoof ინგლისური სიტყვისგან და ქართულად **გაყალბებას** ნიშნავს. მისი გამოგზავნი ცდილობს წერილი დაამგზავოს ლეგიტიმურ წყაროებიდან გამოგზავნილს, როგორც შეიძლება იყოს ცნობილი კომპანია, ბანკი, სახელმწიფო დაწესებულება ან სხვა რომელიმე კერძო ორგანიზაცია.
 - Trojan - ეს აის მავნე პროგრამა, რომელიც ტროიან ვირუსის გამოყენებით ახდენს მომხმარებლის ბლოკირებას და გარკვეული ინფორმაციის მოპარვას.

მსოფლიოში ყველა ქვეყანა ცდილობს შექმნას ისეთი კიბერ თავდაცვა, რომელიც აამაღლებს ქვეყნის იმიჯს, საერთაშორისო ურთიერთობებს, კავშირებს, ეკონომიკას და ქვეყნის ბედს.

კიბერ თავდაცვაა, ეს ის შემთხვევაა, როდესაც მაღალ დონეზე ხდება კიბერ შეტევების აღმოჩენა, ანალიზი, კონტროლი და მისი და აღმოფხვრა.

დღეს კიბერ თავდასხმები და შეტევები გახდა უფრო რთული და კომპლექსური რაც დიდ საფრთხეს უქმნის ქვეყნის ეკონომიკას და საეთოდ უსაფრთხოებას ყველა მიმართულებით.

კიბერ შეტევები დღეს არის ობიექტური რეალობა, რომელიც საკმაოდ რთული დასაცავია. თუმცა მასშტაბური შეტევის დროს შესაძლებელია წინასწარ მოვემზადოთ გარკვეული უკვე არსებული მსოფლიო გამოცდილების მასალებით (სპეციალური პროგრამები, მოწყობილობები და ალგორითმები) და მათ გამოყენებით გარკვეული წინააღმდეგობა გაუწიოთ.

კიბერ თავდაცვის დროს ძირითადად იხილავენ ორ სახეს: პასიურს და აქტიურს.

პასიური თავდაცვის დროს აუცილებელია ქვეყანას მაღალ დონეზე ჰქონდეს დამუშავებული ის სტრატეგიები, რომელიც შესაძლებელია კიბერ შეტევის დროს იქნეს გამოყენებული

აქტიური კიბერ-თავდაცვის დროს აუცილებელია თავდასხმის დაწყებამდე უფრო

ზუსტად ყოველდღიურად წინასწარ ხდებოდა ანალიზის ჩატარება, ხოლო თავდასხმის დროს აუცილებელია სწრაფი რეაგირება და სათანადო პრაქტიკული და თეორიული მასალების გამოყენება. შეტყობინება ქვეყნის მაშტაბით შესაბამის სამსახურებში, პროგრამების ბლოკირება, დაცვითი სისტემების გააქტიურება და ტექნიკასთან წვდომის გამორთვა.

კიბერ თავდაცვა გულისხმობს ყოველთვის მზადყოფნას.

ქვეყნის კიბერთავდაცვა მაღალ დონეს ვერცერთმა სახელმწიფომ ვერ შეძლო. თუმცა ამ მიმართულებით ქვეყნები ერთმანეთთან თანამშრომლობენ და დღეისათვის შექმნილია კიბერუსაფრთხოების საერთაშორისო გაერთიანება.

ამერიკის შეერთებული შტატები იყო პირველი ქვეყანა, რომელმაც შეიმუშავა კიბერუსაფრთხოების სტრატეგია 2000 წელს, მას სამი წელი დასჭირდა იმისათვის, რომ დაეხვეწა და სრულყოფილად გამოექვეყნებინა ქვეყნის კიბერ-სივრცის უსაფრთხოების ეროვნული სტრატეგია (NSSC), სადაც ფართოდ არის განხილული ეროვნული უსაფრთხოების სხვადასხვა ტიპის სტრატეგიები (NSHS).

საქართველოში ინტერნეტ ქსელში ჩართულია მილიონზე მეტი მომხმარებელი, თუმცა ზოგიერთ რეგიონებში არსებობს ინტერნეტთან წვდომის პრობლემა და გარკვეული რაოდენობის სოფლები ჯერ კიდევ არ არის ჩართული ინტერნეტში.

საქართველოში ინფორმაციული და კიბერ უსაფრთხოებაზე პასუხის მგებელია საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭო (სეუს - NSC) რომლის მიზანია ქვეყანაში უსაფრთხოების პოლიტიკის განსაზღვრა და სპეციალური კონცეფციების შემუშავება.

კიბერუსაფრთხოების სტრატეგია საქართველოში შემუშავებული იქნა 2008 წელს რუსეთ - საქართველოს ომის დროს, როდესაც რუსეთმა განხორციელა სხვადასხვა ტიპის მასიური შეტევები, მათ შორის კიბერშეტევაც ინტერნეტ სივრცეზე, რის გამოც დროის გარკვეულ პერიოდში პარალიზებული იყო კერძო და სამთავრობო ვებ - გვერდები.

ქვეყანაში კიბერუსაფრთხოების განვითარების აღმა სვლა დაიწყო 2010 წელს ეტაპობრივად და ჩამოყალიბდა საქართველოს იუსტიციის მმართველობაში შემავალი მონაცემთა გაცვლის სააგენტო.

2012 წელს შეიქმნა კიბერდანაშაულთან ბრძოლის ცენტრალური სამმართველო;

2014 წელს კიბერუსაფრთხოების ბიურო;

2013-2016 წელს შეიმუშავებული იქნა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ კიბერ-უსაფრთხოების პოლიტიკა.

2017-2018 წლებში მეორედ გამოაქვეყნა საქართველომ კიბერუსაფრთხოების სტრატეგიები.

დღეისთვის საკმაოდ მოწესრიგებული და სათანადოდ მომზადებული სპეციალისტებით არის შევსებული აღნიშნული სამსახურები და გამართულად მუშაობენ.

კიბერდანაშაული ყოველდღიურად იცვლება და იგი უფრო საშიში და სერიოზული პრობლემა ხდება მთელ მსოფლიოში განსაკუთრებით ბიზნესისთვის.

ცნობილია, რომ ბოლო 20 წლის განმავლობაში კიბერ დანაშაულის ყოველ წლიურმა ღირებულებამ 2026 ტრილიონ დოლარს გადააჭარბა. სტატისტიკოსებმა დაადგინეს, რომ ყოველდღე 2244 კიბერშეტევა ხორციელდება, ანუ წელიწადში ეს არის 800 000 -სზე მეტი შეტევა, რაც იმას ნიშნავს, რომ ყოველ ორ წუთში სამი შეტევა ხორციელდება. ასევე გამოთვლილია 2023 წლის კიბერდანაშაულის გლობალური ზიანის მოტანის პროგნოზირება: წელიწადში, თვეში, კვირაში, დღე-ღამეში, საათში, წუთში და წამში.

წელიწადში	8	ტრილიონი დოლარი
თვეში	666	მილიარდი დოლარი
კვირაში	153.	მილიარდი დოლარი
დღე-ღამეში	21.9	მილიარდი დოლარი
საათში	913.	მილიონი დოლარი

	24	
წუთში	15.2	მილიონი დოლარი
წამში	253	
	679	დოლარი

ცხრილი N1

საკმაოდ შრომატევადი და აღმოსაჩენათ ძალიან ძნელია კიბერ შეტევების აღმოჩენა და შემდეგ შეჩერება ამას თვეები, კვირები, დღეები და საათები ჭირდება. მაგალითად: კიბერ-შეტევის აღმოსაჩენად და შესაჩერებლად სჭირდება 287 დღე (პატარა ორგანიზაციისთვის 212 დღე, შესაკავებლად 75 დღე)

დასკვნა

კიბერდანაშაული ყველზე გავრცელებული დანაშაულია და არის მართლსაწინააღმდეგო ქმედება და ყველა დამნაშავე ისჯება. კიბერდამნაშავეები ინფორმაციის მოსაპარად იყენებენ სხვადასხვა ტიპის მავნე ქმედებებს, როგორცაა: სპამისა და ვირუსის გავრცელება, ინტერნეტ თაღლითობა, ფიშინგი, ქურდობა, სხვისი კომპიუტერის უნებართვო გამოყენება და წვდომა, დაშინება და ა.შ.

კიბერუსაფრთხოებისათვის და დანაშაულის თავიდან აცილების მიზნით აუცილებელია:

ა) კომპიუტერს და საჭირო პროგრამებს დაედოს რვა ან მეტ სიმბოლოიანი პაროლები და მათი განახლება - შეცვლა მოხდეს ყოველ თვე.

ბ) მუდმივად განახლდეს სერთიფიცირებული ანტივირუსული პროგრამები ახალი ვარიანტებით.

გ) არავის ანდოთ ან გადაუგზავნოთ საკუთარი პირადი ინფორმაცია, პაროლები, საკუთარი მიმოწერის მისამართები და მასალები.

დ) მინიმუმ კვირაში ერთხელ მაინც წაშალეთ ზედმეტი ფაილები კომპიუტერიდან სპეციალური პროგრამების ან/და ბრძანებების („temp%“) გამოყენებით.

ე) თუ გახდით კიბერთავდასხმის მსხვერპლი ან იცით მგზავსი ინფორმაცია დაუკავშირდით სპეციალურ ორგანიზაციებს ცხელი ხაზზე (112, 2 41 12 96, cybercrime@mia.gov.g)

გახსოვდეთ, საქართველოში მიღებულია კანონი ინფორმაციული უსაფრთხოებისა და კიბერდანაშაულის შესახებ და მისი ჩამდენი ისჯება მიღებული კანონის მიხედვით.

ლიტერატურა:

1. <https://ge.itstep.org/blog/a-wide-range-of-cyber-security-a-new-generation-of-non-mobile-viruses-and-the-principle-of-their-operation> კიბერუსაფრთხოების ფართო სპექტრი - ახალი თაობის არაფაილური ვირუსები და მათი მუშაობის პრინციპი
2. <https://eufordigital.eu/geo/discover-eu/cyber-east-action-on-cybercrime-for-cyber-resilience-in-the-eastern-partnership-region/> CyberEast – კიბერდანაშაულზე ქმედება
3. https://police.ge/files/pdf/kiber_danashauli/Convention%20on%20Cybercrime%20GEO.pdf კონვენცია კომპიუტერული დანაშაულის შესახებ
4. <https://www.websiterating.com/ka/research/cybersecurity-statistics-facts/#sources> კიბერუსაფრთხოების სტატისტიკა, ფაქტები და ტენდენციები 2023 წლისთვის

Cyber security and malware

Okhanashvili Svimon

Iakob Gogebashvili State University, Telavi

Abstract

The development of modern technologies contributed to the development of the virtual world - the Internet space, where both private production and service departments, as well as state

institutions, went on a work visit. This led to the spread and exchange of huge information in the Internet world, which in turn made it necessary to raise and strengthen the level of cyber security, which today is a necessary and demanding topic.

Thesis - Cyber security and malware is one of the most relevant topics today and calls for the detection of various types of cybercrime threats, their types and the implementation of necessary measures.

In fact, every day there are high-level threats on the Internet, most of which are related to cyber security, which in turn is one of the main measures, so to speak, of the Internet security policy, which implies: quick active response and action to protect information from various malicious programs and malicious actions.

Information threats can be caused both by human factors, such as various types of threats (unintentional, accidental, targeted), and by natural factors: storms, lightning, earthquakes, floods, etc.

In general, during cybercrime, attention is focused on: technical, software and organizational part. The software part refers to operating systems and application software shells, most of which are made by different companies and their installation requires a lot of attention in the direction of compatibility and compliance. Technical refers to digital devices and their capabilities, while organizational protection refers to: employee selection, education, distribution, placement in special positions, including the formation and enhancement of cooperation and teamwork, increasing the protection of work ethic, information and behavior requirements.

Keywords: cyber crime, cyber defense, cyber security, information security, network security, software security

ვირტუალურიდან რეალურ მოდელებამდე - Arduino UNO

ზაქარიაშვილი მარიამ

იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი
N5 საჯარო სკოლა, თელავი

DOI: <https://doi.org/10.52340/idw.2023.73>

აბსტრაქტი. ჩვენ ვცხოვრობთ „ციფრულ საუკუნეში“, რომელშიც ყველაფერზე და ყველაზე სწრაფად ვითარდება ტექნოლოგიები. მათ შორის ის სფერო, რაც დაკავშირებულია სამეთვალყურეო და უსაფრთხოების სისტემებთან (ვიდეო სამეთვალყურეო კამერები; სახანძრო სიგნალიზაცია; დაცვითი სიგნალიზაცია; დაშვების სისტემები; გარემოს გაზომვის პროდუქტები: ჰაერის დაბინძურების ხარისხი, ტენიანობა, ტემპერატურა და ა.შ). ეს სფერო დღითიდღე ხდება მაღალ ტექნოლოგიური. მასში აქტიურად ინერგება ხელოვნური ინტელექტი და სხვა მრავალი. აღნიშნული ტექნოლოგიური სისტემების შექმნა ბუნებრივია შესაძლებელია. ისინი მრავლადაა წარმოდგენილი ინტერნეტ სივრცეში. თუმცა, საინტერესოა მათი ტექნოლოგიური მხარე. საზოგადოდ, რას ეფუძნება ასეთი „ჭკვიანი“ მოწყობილობების დამზადება. <https://innotech.ge/full-color-technology-2/>; <https://innotech.ge/>

ამ მიზნით, ნაშრომში სანიმუშოდ განხილულია დღეისათვის ყველაზე გავრცელებული მოდელის Arduino UNO პლატფორმის მაგალითზე, როგორ ავაგოთ მის ინტერფეისზე სამეთვალყურეო სისტემები, რაც დაფუძნებულია PIR Motion Sensor ბლოკის თვისებების გამოყენებაზე.

ნაშრომში დეტალურადაა ნაჩვენები და გაანალიზებული პროექტის მოდელის აგებისა და პრაქტიკული რეალიზების პროცესის ინტეგრაცია ვირტუალურ და რეალურ გარემოში. სახელდობრ, გამოყენებულია: tinkercad.com ვირტუალური ონლაინ პლატფორმა; Arduino Software IDE (Integrated Development Environment) პროგრამირების ლოკალური რედაქტორი კომპიუტერში; Arduino UNO მიკროკონტროლერის დაფა. ნაშრომს პროექტის მოდელის გამართული მუშაობის საილუსტრაციოდ ახლავს შესაბამისი ელექტრონული დიაგრამები, სქემები, პროგრამული კოდი, ძირითადი ფუნქციონალების განმარტებები, პროექტების ვირტუალური სიმულაციის, პრაქტიკული რეალიზების, ექსპერიმენტის ვიდეო ჩანაწერის ბმულები.

საკვანძო სიტყვები: Arduino UNO; Arduino IDE; tinkercad.com; PIR Motion Sensor

შესავალი

ხელოვნური ინტელექტი, ელექტრონიკა და პროგრამირება... „მეოთხე ინდუსტრიული რევოლუციის“ ეპოქისათვის დამახასიათებელი სფეროებია. ტექნოლოგიური მიღწევები, რომელიც საზღვარს შლის ფიზიკურ, ციფრულ და ბიოლოგიურ სფეროებს შორის, თავბრუდამხვევი სისწრაფით შემოდის ჩვენს ცხოვრებაში. ტექნოლოგიურ სივრცეში უამრავი „ჭკვიანი“ მოწყობილობაა წარმოდგენილი, რომელთა გარკვეულ ნაწილს ინტელექტიც კი გააჩნია, ადამიანის ინტელექტს მიმსგავსებული და მისდარად შექმნილი.

წინამდებარე ნაშრომში სწორედ ერთ-ერთი ასეთი უნიკალური მოწყობილობის - Arduino UNO-ს გამოყენებაზე გესაუბრებით.

საზოგადოდ, Arduino სტუდენტებისათვის შეიქმნა, რათა მათთვის ელექტრონული პროექტების სწრაფად შექმნის შესაძლებლობა მიეცათ. მაგრამ დღეისათვის, არა მხოლოდ

უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები, არამედ სასკოლო საფეხურის მოსწავლეები, დაინტერესებული ადამიანები სიამოვნებით ეუფლებიან არდუინოსთან მუშაობის ტექნოლოგიას როგორც ფორმალურ, ასევე არაფორმალურ გარემოში.

ბუნებრივია, არდუინოსთან მუშაობის მიმართულებით დაინტერესება პირად პრაქტიკაშიც გაჩნდა [ზაქარიაშვილი, მ., 2022] კვლევის მიზანი აღმოჩნდა Arduino UNO-ს გამოყენების ტექნოლოგიური ასპექტების კვლევა; კვლევითი პროექტის - „Arduino UNO ინტერფეისზე დაფუძნებული სენსორების“ (PIR Motion Sensor) მოდელების აგების პროცესში tinkercad.com ონლაინ სერვისის, Arduino IDE პროგრამირების რედაქტორის, Arduino UNO - მიკროკონტროლერის ინტეგრაციისა და პრაქტიკული რეალიზების მეთოდოლოგიის შემუშავება როგორც ვირტუალურ, ასევე რეალურ გარემოში.

Arduino UNO-ს ინტერფეისზე დაფუძნებული პროექტების ტექნოლოგიური და პროგრამული უზრუნველყოფისათვის საჭირო რესურსები ინტერნეტ სივრცეში ღიად ხელმისაწვდომია _მის ოფიციალურ საიტზე <https://www.arduino.cc/> Arduino-სთან მუშაობის რეკომენდაციებს, დამხმარე პრაქტიკულ სახელმძღვანელოებს გვთავაზობენ ასევე ქართულ საგანმანათლებლო სივრცეშიც. (მოსაშვილი ი., ონიანი ს. 2016); (ტაბატაძე ზ., თოდუა თ. 2019); (Geddes, Mark. 2016).

ვფიქრობთ, წინამდებარე ნაშრომი ნაწილობრივ შეავსებს არსებულ სასწავლო რესურსებს, რაც დაეხმარება სტუდენტებს, მოსწავლეებს Arduino-ს საინტერესო სამყაროს გაცნობასა და შესწავლაში.

ნაშრომის შინაარსი

1. ძირითადი ფუნქციონალები

✓ რა არის Arduino?



Arduino UNO - აპარატურულ და პროგრამულ უზრუნველყოფაზე დაფუძნებული ღია კოდის ელექტრონიკის პლატფორმაა. ფაქტიურად, Arduino წარმოადგენს პატარა ზომის კომპიუტერს, რომლის დაპროგრამებაც შეიძლება ფიზიკურ ობიექტებთან ურთიერთქმედებისათვის სხვადასხვა სახის შესასვლელი და გამოსასვლელი სიგნალების მეშვეობით. დღეისათვის ყველაზე გავრცელებული მოდელია Arduino UNO. (იხ. სურათი N 1)




✓ რა არის Tinkercad.com?

<https://www.tinkercad.com/> არის ონლაინ სურ. N1 Arduino UNO პორტალი, რომლის გამოყენებით შესაძლებელია Arduino UNO

მიკროკონტროლერის ბაზაზე ვირტუალური პროექტების შექმნა/სიმულაცია; ელექტრონული სქემების მეშვეობით სხვადასხვა ბრძანებების შესრულება, პროგრამული კოდის ჩაწერა/გამართვა, კოდის შესაბამისად სისტემის ავტომატური მართვა. პლატფორმა უფასოა. რეგისტრაცია/ავტორიზაცია შესაძლებელია gmail.com ანგარიშით (იხ. სურ. N2; N3; N4)






სურ. N2 tinkercad.com

სურ. N3 tinkercad.com


სურ. N4 tinkercad.com

✓ რა არის Arduino IDE?

[Arduino Software IDE](https://www.arduino.cc/en/software) არის უფასო ღია კოდის პროგრამული უზრუნველყოფა, რედაქტორი, რომელიც საშუალებას იძლევა დაწეროთ პროდუქტის ფუნქციონირებისათვის საჭირო კოდები და განსაზღვროთ რას გააკეთებს პროდუქტი Arduino IDE პროგრამირების ენისა და Arduino-ს განვითარების გარემოს გამოყენებით. <https://www.arduino.cc/en/software> ბმულით შესაძლებელია უფასოდ ჩამოტვირთოთ [Arduino IDE](https://www.arduino.cc/en/software) - ს Windows საინსტალაციო პაკეტი და ჩააყენოთ კომპიუტერში. (იხ. სურ. N5; N6)



სურ. N5 Arduino.cc



სურ. N6 Arduino IDE

✓ Arduino UNO - ს და Arduino IDE-ს ინტეგრაცია

პროექტის პროგრამული კოდის განთავსება, შენახვა Arduino IDE გარემოში და ARDUINO UNO - ზე ატვირთვა

<https://www.tinkercad.com/> ონლაინ პორტალზე აგებული ვირტუალური სქემის დახმარებით აიგება პროექტის რეალური ელექტრონული სქემა; პროექტის პროგრამული კოდი, განთავსდება Arduino IDE სამუშაო დაფაზე, მოხდება მისი შენახვა „*.ino“ ფაილის სახით; პროგრამული კოდი აიტვირთება რეალურად აგებულ ელექტრონული სქემის მმართველ მთავარ ბირთვზე - Arduino UNO პლატაზე კომპიუტერთან დაკავშირებული Arduino UNO მიკროკონტროლერის სპეციალური USB კაბელით. ეს არდუინოზე კვების ძაბვის მიწოდების, პროგრამის ატვირთვის და მონაცემების მიღება/გადაგზავნის საშუალებას იძლევა. არდუინოს ასევე შესაძლებელია მივუერთოთ სტანდარტული კვების ბლოკი. ამ შემთხვევაში წარიმართება პროექტის პრაქტიკული რეალიზება კომპიუტერის გარეშე.

2. სამეთვალყურეო მოდელის სიმულაცია

პროექტების პრაქტიკულ რეალიზებამდე განვახორციელებთ წინასწარ ონლაინ ვირტუალურ სიმულაციას <https://www.tinkercad.com/> პორტალზე; პროექტის ელექტრონული მოდელის რეალურ ექსპერიმენტს კი წარვმართავთ კომპიუტერიდან Arduino IDE პროგრამული აპლიკაციისა Arduino UNO-ს ინტერფეისზე ინტეგრაციის გზით, რაც შემდგომ კომპიუტერისაგან დამოუკიდებლად იქნება გადატანილი რეალურ სივრცეში. ნაშრომში

განვიხილავთ პროექტს: PIR Motion Sensor - Surveillance Alarm

Interfacing Arduino uno with PIR motion sensor

პროექტის დასახელება: PIR Motion Sensor - Surveillance Alarm

პროექტის მიზანი: PIR სენსორის გამოყენებით სამეთვალყურეო მოდელის აგება/ავტომატური მართვა Arduino UNO-ს ინტერფეისზე.

პროექტის მოდელის სამუშაო ალგორითმის აღწერა: Arduino UNO-ს ინტერფეისზე ინტეგრირებული PIR სენსორი გრძნობს/აფიქსირებს გარკვეული მანძილით დაშორებულ მოძრაობას. მაგალითად, ოთახში ადამიანის მოძრაობას. პროგრამული კოდის შესაბამისად, იწყებს სიგნალიზაციის ჩართვას, ინთება შეტყობინების წითელი ნათურა, მონიტორზე გამოიტანება შეტყობინება/გაფრთხილება მოცემულ სივრცეში ცვლილების შესახებ. სხვა შემთხვევაში სიგნალიზაცია გამორთულია, ნათურა მწვანედ ანთია და მონიტორზე გამოტანილია ინფორმაცია სიმშვიდის შესახებ.

პროექტის მოდელის ასაგებად საჭირო კომპონენტები: Arduino UNO; Breadboard; Arduino USB 2.0.Cable; MQ135 Semiconductor Sensor for Air Quality; Piezo; LCD 16x2; Potentiometer; Resistors; Red LED; Green LED; Jumper wires. (იხ. ცხრილი N 1

ცხრილი N1 - პროექტის კომპონენტები: Surveillance Alarm

Name	Quantity	Component
U1	1	Arduino Uno R3
U2	1	MCP23008-based, 32 LCD 16 x 2 (I2C)
PIEZO2	1	Piezo
R1, R4	2	1 kΩ Resistor
D3	1	Red LED
D4	1	Green LED
PIR2	1	11.107423059381404 , - 216.01903510641006 , - 261.05971972043847 PIR Sensor

წყარო: <https://create.arduino.cc/projecthub/electronicxfan123/interfacing-arduino-uno-with-pir-motion-sensor-f05ae2>

აპლიკაციები და ონლაინ სერვისები:

- ✓ <https://www.tinkercad.com/>
- ✓ [Arduino Software IDE](#)

PIR Motion Sensor და მისი ფუნქციონირების არსი

PIR - პასიური ინფრაწითელი სენსორი, რომელსაც ასევე უწოდებენ მოძრაობის სენსორს, არის ელექტრონული მოწყობილობა, რომელიც გრძნობს მოძრაობას პირობელებზე სენსორის წყვილის გამოყენებით, რათა აღმოაჩინოს სიტბოს ენერგია მიმდებარე გარემოში. ეს ორი სენსორი ზის ერთმანეთის გვერდით და როდესაც იცვლება სიგნალის დიფერენციალი


ორ სენსორს შორის (ვთქვათ, თუ ადამიანი ოთახში შედის), სენსორი ჩაერთვება. ის ძირითადად იჭერს მოძრაობას. მას აქვს სამი ტერმინალი, კერძოდ Gnd, Vcc და სიგნალის პინი 3V რეგულატორით, დროის დაყოვნების კონტროლერი, მგრძნობელობის კონტროლერი და BIS001 (იხ. სურ. N7).




პირველი ეტაპი: [Tinkercad.com](https://www.tinkercad.com) - ვირტუალური გარემო

სურ. N7 მოძრაობის სენსორი - PIR Motion Sensor

- ✓ პროექტის წრედის დიაგრამები Tinkercad ვირტუალურ ონლაინ გარემოში (იხ. სურ. N8, N9)




სურ. N8 ვირტუალური წრედი




სურ. N9 ვირტუალური დიაგრამა

- ✓ პროექტის

სიმულაცია Tinkercad.com ვირტუალურ ონლაინ გარემოში (იხ. სურ. N10, N11)



სურ. N10 ვირტუალური სიმულაცია:
It's Calme




სურ. N11 ვირტუალური სიმულაცია:
Alert!

პროექტის მოდელი, პროგრამული კოდი და სიმულაცია - Tinkercad.com ვირტუალურ ონლაინ გარემოში იხილეთ ზემოთ დამოწმებული

<https://www.tinkercad.com/things/IfYDGsi9n7E>

მეორე ეტაპი : Arduino UNO and AIR Quality Sensor;

- ✓ პროექტის რეალური წრედი. სურათზე წარმოდგენილია პროექტის რეალური წრედის მოდელი, რაც აგებულია Tinkercad - ში შესრულებული ვირტუალური სქემის შესაბამისად (იხ. სურ. N12).




სურ. N12 რეალური წრედი

მესამე ეტაპი: Arduino IDE; Arduino Code.

- ✓ პროექტის პროგრამული კოდის განთავსება, შენახვა Arduino IDE გარემოში, კომპიუტერიდან ARDUINO UNO -ზე ატვირთვა, ექსპერიმენტი.

Tinkercad.com ონლაინ სივრცეში აგებული პროექტის პროგრამული კოდი, განთავსდება Arduino IDE სამუშაო ფანჯარაზე, მოხდება მისი შენახვა „*.ino“ ფაილის სახით და აიტვირთება რეალურად აგებულ სქემის Arduino UNO – პლატაზე კომპიუტერთან დაკავშირებული Arduino UNO-ს სპეციალური USB კაბელით. Arduino IDE სამუშაო ფანჯარა (იხ. სურ. N13).



პროგრამული კოდი

```
#include <Wire.h>
#include <LiquidCrystal_I2C.h>
LiquidCrystal_I2C lcd(0x27,16,2);
// set the LCD address to 0x27 for a 16 chars
// and 2 line display
#define yellow 13
#define green 12
#define bazer 6
int pirpin=7;
int pirval=0;

void setup() {
  pinMode(yellow, OUTPUT);
  pinMode(green, OUTPUT);
  pinMode(bazer,OUTPUT);

  lcd.init(); // initialize the lcd i2C
  lcd.backlight();
  lcd.begin(16, 2);
  lcd.setCursor(0,0);
  Serial.begin(9600);
  // put your setup code here, to run once:
}

void loop() {
  pirval=digitalRead(pirpin);
  if(pirval==HIGH)
  {Serial.println("Alert!!!");


  digitalWrite(yellow, HIGH);
  digitalWrite(green, LOW);
```

```
lcd.clear();
  lcd.print(" Alert");
  lcd.setCursor(12, 0);
  tone(bazer,200); //(10);
  delay(500);
}
else{Serial.println("It's calm!!!");
digitalWrite(yellow, LOW);
digitalWrite(green, HIGH);}

  lcd.setCursor(0, 0);
  lcd.print(" It's calm");
  noTone(bazer);
  // put your main code here, to run repeatedly:
```

მეოთხე ეტაპი: პროექტის პრაქტიკული რეალიზება, ექსპერიმენტი

ARDUINO UNO-ზე პროგრამული კოდის წარმატებით ჩაწერის შემთხვევაში ელექტრონული სქემა იწყებს პროექტის ალგორითმის შესაბამისად რეალურ მოქმედებას. პროცესის შესაბამისი ილუსტრაცია ხდება კომპიუტერის ეკრანზე Arduino IDE სამუშაო ფანჯრის Serial Monitor-ზე. აგებული წრედის მოდელი, შესაძლებელია შეუერთდეს კვების წყაროს (დასაშვებია 12 ვოლტამდე ძაბვის ადაპტერის ან სპეციალური ბატერეებთან მიერთება), გამოყენებულ იქნას დახურულ სივრცეში სამეთვალყურეო უსაფრთხოების დაცვის მიზნით (იხ. სურ. N14, N15).



სურ. N14 რეალური
მოქმედება:
Pir Motion – Alert!!!

სურ. N15 რეალური
მოქმედება:
Pir Motion: It's Calme

რეალურ გარემოში პროექტის პრაქტიკული რეალიზების პროცესის ვიდეო რგოლი იხილეთ
ბმულის დახმარებით

<https://drive.google.com/file/d/1Y3iIIBiP82Cr1BSk6I9s2S89BkE61AMD/view?usp=sharing>

დასკვნა

ნაშრომმა განიხილა ვირტუალურ და რეალურ გარემოში Arduino UNO ინტერფეისზე დაფუძნებული სამეთვალყურეო სისტემის მოდელირებისა და კონსტრუირების პროცესები. პროექტის აგებისას გამოყენებულ იქნა: <https://www.tinkercad.com/> ვირტუალური ონლაინ პლატფორმა; Arduino Software IDE (Integrated Development Environment) პროგრამირების ლოკალური რედაქტორი კომპიუტერში; Arduino UNO ელექტრონული კონსტრუქტორი. სანიმუშოდ განხილულ იქნა სენსორები: PIR Motion Sensor სენსორი.

პროექტის აგების პროცესი წარმართა ოთხ ეტაპად:

- პირველი ეტაპი: Tinkercad.com - ვირტუალური სიმულაცია
- მეორე ეტაპი : Arduino UNO -ს ინტერფეისზე რეალური სქემის აგება;
- მესამე ეტაპი: Arduino IDE, Arduino Code; Arduino UNO ინტეგრაცია;
- მეოთხე ეტაპი: პროექტის პრაქტიკული რეალიზება, ექსპერიმენტი.

პროექტები შესრულდა წარმატებით, რაც დადასტურდა რეალურ პირობებში ჩატარებული ექსპერიმენტით. იხილეთ პროექტების ვიდეო ჩანაწერები ბმულების დახმარებით:

- PIR Motion Sensor

<https://drive.google.com/file/d/1Y3iIIBiP82Cr1BSk6I9s2S89BkE61AMD/view?usp=sharing>

პროექტებმა გვიჩვენა დახურულ სივრცეში მოძრაობის შემთხვევები, რაც დაფიქსირდა შესაბამისი ფერის ნათურების ანთებით, სიგნალიზაციისა და მონიტორზე შეტყობინებების გამოტანით.

ნაშრომში წარმოდგენილი პროექტი დაეხმარება დაინტერესებულ მკითხველს განახორციელოს კვლევითი პროექტები, ააგოს სხვადასხვა სენსორზე ორიენტირებული „ჭკვიანი“ მოწყობილობების მოდელები და მათი პროტოტიპები გამოიყენოს რეალურ პირობებში პროცესების ავტომატური მართვისას.

ლიტერატურა და ინტერნეტ წყაროები:

- [1] ზაქარიაშვილი მ., (7.10. 2022). *ARDUINO – STEM ტიპის პროექტების მოდელირებისა და კონსტრუირების ინსტრუმენტი*. IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „განათლება, კვლევა, პრაქტიკა“. იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი. განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი. კონფერენციის ნაშრომების კრებული გვ. 95-98 UDK (უაკ) 378.4 (479.221.2) (063); ISSN 2449-2337; 9772449233004; თ-44. გამომცემლობა „მერიდიანი“. თბილისი, საქართველო.
- [2] მოსაშვილი ი., ონიანი ს. (2016) *ARDUINO პროგრამირების საფუძვლები*. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. TEMPUS-JPCR-544091 თბილისი.
- [3] ტაბატაძე ზ., თოდუა თ. (2019) *არდუინო. პრაქტიკული სახელმძღვანელო დამწყებთათვის*. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. თბილისი.
- [4] Nancy N. Heilbronner (2014) *International STEM Achievement: Not a Zero-Sum Game. Global Education Review, 1 (4), 7-14.* <https://files.eric.ed.gov/fulltext/EJ1055227.pdf> ბოლო ნახვის თარიღი 24/01/2023
- [5] Geddes, Mark. (2016) *Arduino project handbook : 25 practical projects to get you started / San Francisco.* <http://lccn.loc.gov/2015033781> ბოლო ნახვის თარიღი 24/01/2023
<https://ss-valpovo.hr/wp-content/uploads/2020/01/arduino-project-handbook.pdf>
- [6] STEM (Science, Technology, Engineering, Math) Global Education Innovation Initiative . <https://globaled.gse.harvard.edu/stem-science-technology-engineering-math> ბოლო ნახვის თარიღი 24/01/2023

From virtual to real models – ARDUINO UNO

Zakariashvili Mariam

Iakob Gogebashvili State University, Telavi

Telavi N5 public school

Abstract

In the "digital era," where technology is advancing more quickly than anything else, security and surveillance systems are no exception (video surveillance cameras; fire alarms; security alarms; access systems; environmental measurement products detecting air pollution level, humidity, temperature etc.). This industry is constantly advancing in terms of technology. Artificial intelligence and many others are actively being introduced in this field. Of course, it is possible to buy the technological systems stated above. They are widely available online. However, their technological aspect and the principles behind creating such "smart" products are generally fascinating. <https://innotech.ge/full-color-technology-2/> ; <https://innotech.ge/>

Today's most popular model Arduino UNO platform is used as an example to demonstrate how to build surveillance system using its interface, which is based on the utilization of the PIR Motion Sensor block's characteristics.

The project model integration process in both a virtual and physical context is described in detail and analyzed in the paper. The following are specifically used: An Arduino UNO microcontroller board, the Arduino Software IDE (Integrated Development Environment), a local code editor on the PC, and the virtual online platform tinkercad.com. The work is supplemented by pertinent electronic diagrams, schemes, software code, descriptions of fundamental functionalities, links to virtual project simulation, real-world application, and links to video recordings of the experiment in order to demonstrate the project model's smooth operation.

Key words: Arduino UNO; Arduino IDE; tinkercad.com; PIR Motion Sensor

ჯანდაცვის დაფინანსების მოდელის ზოგიერთი ასპექტი

არჩაია ქეთევან

იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი
DOI: <https://doi.org/10.52340/idw.2023.74>

აბსტრაქტი. ჯანდაცვაში ფასწარმოქმნის ეკონომიკური ეფექტიანობის შეფასება და პრობლემების კვლევა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ჯანდაცვის მიმართულებით. მსოფლიო გამოცდილებამ აჩვენა ფასწარმოქმნის მიმართულებით პრობლემების მოგვარების აუცილებლობა, ოპტიმალური დანახარჯები საბოლოოდ ასახვას ჰპოვებს ფასწარმოქმნაში და ჯანდაცვის სფეროს ხარისხის განვითარებაში. სახელმწიფო ორიენტირებული უნდა იყოს არა ჯანდაცვის დანახარჯების შემცირებისკენ, არამედ ზრდა-ოპტიმიზაციისკენ, რომელიც ბუნებრივია შესაბამისობაში უნდა იყოს მომსახურების ხარისხთან. ყოველივე აღნიშნულის მიღწევა კი ეკონომიკური განვითარების შედეგადაა შესაძლებელი.

ასევე განხილულია დაფინანსების ზოგიერთი ასპექტი, ჯანდაცვის არსებული მაჩვენებლები, DRG სისტემაზე ადასვლის მნიშვნელობა და OLG მოდელის დადებითი ხარეები ჯანდაცვის დაფინანსების საკითხებთან მიმართებაში.


საკვანძო სიტყვები: მდგრადი განვითარება, ჯანდაცვის დანახარჯები, DRG სისტემა, სტრატეგიული პრიორიტეტები, პროდუქტულობა

შესავალი

ჯანდაცვის დანახარჯების საკითხი, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია გაეროს მდგრადი განვითარების დღის წესრიგში, რომელიც 2015 წელს გაეროს მიერ იქნა შემუშავებული. მდგრადი განვითარების 17 მიზნიდან მესამე მიზანი არის ჯანმრთელი ცხოვრება და კეთილდღეობა, რომელიც ბუნებრივია დღის წესრიგში აყენებს ჯანდაცვის ბაზრის განვითარებას და მაქსიმალურად ხარისხიანი მომსახურების შეთავაზებას. როგორც ცნობილია, ჯანდაცვის ბაზარი განსხვავდება კლასიკური ბაზრის გაგებისგან, რადგან დაფინანსების საკითხებში მონაწილეობს, როგორც სახელმწიფო პროგრამები, ისე სადაზღვევო კომპანიები და თავად პაციენტები. ზოგადად, სახელმწიფო ორიენტირებული უნდა იყოს არა ჯანდაცვის დანახარჯების შემცირებისკენ, არამედ ზრდისკენ - ოპტიმიზაციისკენ, რომელიც ბუნებრივია შესაბამისობაში უნდა იყოს მომსახურების ხარისხთან. ყოველივე აღნიშნულის მიღწევა კი ეკონომიკური განვითარების შედეგადაა შესაძლებელი. ასევე აღსანიშნავია, რომ მდგრადი განვითარების მიზნების შესრულების / პროგრესის რეიტინგში საქართველო 165 ქვეყნიდან, 56-ე ადგილზეა და ჩამოუვარდება აზერბაიჯანს, ბელარუსს, მოლდოვას, რუსეთს, უკრაინას, ყირგიზეთს, ხოლო ჯანდაცვის ინდექსის მიხედვით 78-ე ადგილზეა (2021-2022 წლებში 77-ე ადგილზე იყო).


ანალიზი

საქართველოს მშპ-ში ჯანდაცვაზე სახელმწიფო დანახარჯები ჯერ ისევ დაბალია. 2019 წელს მშპ-ში ჯანდაცვის ხარჯების წილმა **2.7%** შეადგინა, ხოლო 2000 წელს 3%, რაც ევროპის რეგიონის საშუალო მაჩვენებელზე (4.9%, 5%) დაბალია. შედარებისთვის, მაგ. დიდ ბრიტანეთში 9.4%, გერმანიაში 11%, აშშ-ში 17.2% და ა.შ.



სქემა 1. ჯანდაცვის დანახარჯები საქართველოს რეგიონების მიხედვით
 თუ მაღალგანვითარებულ ქვეყნებში 1 კაციენტზე საშუალოდ 2500 დოლარი იხარჯება, დაბალგანვითარებულ ქვეყნებში დაახლოებით 15 დოლარი და ა.შ. ასევე არათანაბრადაა განაწილებული ჯანდაცვაზე დანახარჯები რეგიონების მიხედვით. (იხ. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები სქემა 1).

შესადარებლად 2020, 2021 წლების ჯანდაცვის ძირითადი მაჩვენებლების მონაცემები გვაქვს განხილული, რადგან, 2020 წლიდან შეიცვალა აღრიცხვის სისტემა და ჯამური მაჩვენებელი ეფუძნება ჯანდაცვის მუშაკთა პერსონიფიცირებული აღრიცხვის ახალ სისტემას და ბუნებრივია მანამდე არსებული მონაცემები შედარება შეუძლებელია. ასე გამოიყურება მონაცემები (იხ, სქემა 2) , სადაც ჩანს ძირითადი მაჩვენებლების შემცირება, მიუხედავად კოვიდ პანდემიისა და მხოლოდ რამდენიმეს უმნიშვნელო ზრდა (საავადმყოფოებში საწოლების რაოდენობა 15.1 ათასიდან 16.0 ათასამდე, ანუ 5.96%-ით ზრდა და საავადმყოფოების და სამედიცინო ცენტრების რაოდენობა 264 დან 268-მდე , ანუ 1.5%-ით ზრდა), რაც პანდემიის ავლენა იყო.



სქემა 2, წყარო


სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების გამოყენებით მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით 2013 წლიდან საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამა მუშაობს, რომელიც შეიცვალა 2017 წელს. პანდემიის პერიოდმა კი უნივერსალური ჯანდაცვის სტრატეგიული გეგმის არსებობის აუცილებლობა და მისი მნიშვნელობა დააყენა დღის წესრიგში. აღნიშნულის დასტურია ის, რომ ქვეყნები, სადაც გამართული ჯანდაცვის სისტემაა და ეფექტური სოციალური დაცვის მექანიზმები, ყველაზე კარგად იყვნენ აღჭურვილი მსგავს კრიზისთან გასამკლავებლად.

ამასთან, მდგრადი განვითარების მიზნები მოიცავს ძირითადი სამედიცინო მომსახურების უნივერსალურ დაფარვას. სწორედ ამიტომ 2022-2030 წწლებისთვის მოსახლეობისთვის მაღალხარისხიანი და ეფექტიანი ჯანმრთელობის სერვისებზე საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად საქართველოს მთავრობის მიერ, შემუშავდა ჯანმრთელობის დაცვის ეროვნული სტრატეგია.

საქართველოში ხარისხის მართვის პრობლემებთან ერთად, საყოველთაო ჯანდაცვის დანახარჯების კონტროლი პრობლემური გახდა, მარიამ ჯაშის მოსაზრებით, ყოველწლიურად ათეულობით მილიონი ლარის დამატება ხდებოდა -ჯანდაცვის სექტორში დაგროვილი გადახარჯვის დასაფარავად. ჯანდაცვის ეროვნული ანგარიშების მიხედვით, 2012-2017 წლებში ჯანდაცვაზე სახელმწიფო დაფინანსება 450 მილიონიდან 1092 მილიონ ლარამდე გაიზარდა. 2017 წელს კი ჯანდაცვის უწყებას დანახარჯების შესამცირებლად საყოველთაო ჯანდაცვის დიფერენცირებული მოდელის შემოტანაც კი დასჭირდა, რამაც შეზღუდა პროგრამით გათვალისწინებული სერვისების თანადაფინანსების არეალი მოსახლეობის შედარებით მაღალი შემოსავლის მქონე ჯგუფებში.

მნიშვნელოვანია, იელის უნივერსიტეტის ჯანდაცვის ეკონომისტების მიერ აშშ-სთვის შეთავაზებული -Diagnosis-Related Groups – DRG ჰოსპიტალის დაფინანსების მეთოდი (1983 წელს აშშ-მ დაიწყო მისი დანერგვა). 2022 წლის 1 ნოემბრიდან საქართველოში დაიწყო ამ სისტემის გამოყენება, რაც გულისხმობს პაციენტების დიაგნოზებზე დაფუძნებული, წინასწარ დადგენილი და განფასებული სამკურნალო სტანდარტების მიხედვით დაფინანსებას, ამასთან მნიშვნელოვანია, რომ ნებისმიერ რეგიონის საავადმყოფოში ერთიდაიგივე მომსახურება პაციენტს ერთიდაიგივე ხარისხით მიიღოს. შეიქმნა დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკაცია -International Classification of Diseases – ICD და დაფინანსების მეთოდი ფართოდ გავრცელდა ევროპის ბევრ ქვეყანაში: შვედეთში (1985), ფინეთში (1987), პორტუგალიაში (1989), იტალიაში (1995), გერმანიაში (1995), საფრანგეთში (1997), ნიდერლანდებში (2003). გადახდის მეთოდები იხ. ქსემა 2.

სქემა 2. წყარო, აღებულია Analytical guide To assess a mixed provider payment system.



აღსანიშნავია, რომ დანახარჯების ზრდას იწვევს ინფლაცია და ბევრი სხვა მიზეზი. ამ მხრივ, ერთ-ერთი მნიშვნელოვანია სამედიცინო ტექნოლოგიების ზრდა - სამედიცინო ხარჯების ყველაზე მნიშვნელოვანი ზრდა ამ მიმართულებით.

ყურადღება მინდა გავამახვილო საერთაშორისო პრაქტიკაში არსებული OLG მოდელზე, რომლის დადებითი მხარეებია:

- სამედიცინო სერვისების მიღების პოზიტიური დამოკიდებულება სიკვდილობის შემცირებაზე,

ჯანმრთელობის ინვესტიციასა და პროდუქტიულობაზე. ასევე სიცოცხლის ხანგრძლივობის მთავარი განმსაზღვრელია;

- თუ საოჯახო მეურნეობები ჰომოგენურია, ჯანდაცვის რეფორმები, რომლებიც სამედიცინო მოხმარებისკენაა მიმართული, მისი საშუალო წარმოება, საბოლოო შედეგების და საერთო კეთილდღეობის ზრდის პარალელურად, არასაბიუჯეტო დანახარჯების წილს შეამცირებს;
- მთავრობის მიერ მოხმარების შემცირება გაზრდის საზოგადოებრივ სამედიცინო ხარჯებს, გააუმჯობესებს ეკონომიკურ ზრდას და კეთილდღეობას.

დასკვნა

ჯანდაცვის სისტემების დაფინანსების მოდელების საფუძველი სხვადასხვა მიზნებიდან გამომდინარე. ამჟამად მსოფლიოში ფართოდ ინერგება დაფინანსების სისტემები, რომელიც მიჩნეულია ერთ-ერთ სამართლიან მოდელად, რათა ყველა ორგანიზაციამ მიიღოს სერვისის ერთნაირი დაფინანსება და პლიუს, წინასწარ იყოს ხარჯები პროგნოზირებული და პაციენტსაც არ მოუწიოს დამატებითი ხარჯების ზრდა კლინიკების სხვადასხვაობიდან გამომდინარე და გაეწიოს მომსახურება სერვისის ხარისხის შესაბამისად.

ლიტერატურა:

1. მდგრადი განვითარების ანგარიში 2021: მიმოხილვა და საქართველოს შედეგები; IDFI-2021;PDF <https://www.unicef.org/georgia/>
2. გაეროს მდგრადი განვითარების თანამშრომლობის ხელშეკრულება 2021-2025; თბ.2020
3. თ. ვერულავა, ქ. ჯორბენაძე, იანაგნოზთან შექმნილი ჯგუფებით (DRG) საავადმყოფოს დაფინანსების მეთოდი და 1995 წლის ჯანდაცვის რეფორმები, ფორბსი, ივლისი 1, 2021 <https://forbes.ge/health/diagnozthan-shetchiduli-jguphebit-drg-saavadmqhophos-daphinansebis-methodi-da-1995-tslis-jandatsvis-rephormebi/>
4. მ. ჯაში, საყოველთაო ჯანდაცვა საქართველოში - წარმატებები და ბარიერები, მარტი 9, 2021, <https://forbes.ge/health/saqhoveltshao-jandatsva-saqarthveloshi-tsarmatebebi-da-barierebi/>
5. ჯანმრთელობის დაცვის ეროვნული სტრატეგია, https://www.moh.gov.ge/uploads/files/2022/gancxadebebi/NHS_short.pdf
6. Analytical guide To assess a mixed provider payment system. Who, file:///C:/Users/Maia/Downloads/9789241515337-eng.pdf

Some Issues of the healthcare financing model

Archaia Ketevan

Iakob Gogebashvili State University, Telavi

Abstract

Assessing the economic effectiveness of pricing in healthcare and studying problems is one of the important issues in the field of healthcare. World experience has shown the need to solve problems in the field of pricing, optimal costs will ultimately be reflected in pricing and the development of the quality of healthcare.

The government should be focused not on reducing health care costs, but towards growth and optimization, which should naturally be in line with the quality of services. All of this can be achieved through economic development.

Some aspects of funding, existing health indicators, the importance of climbing the DRG system, and the positive impact of the OLG model in relation to healthcare financing issues are also discussed.

Keywords: *Sustainable Development, Healthcare Costs, DRG System, Strategic Priorities, Productivity*

ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლის პროცესი საქართველოში

ალადაშვილი მაია

ხიზანიშვილი ნანული

იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი

DOI: <https://doi.org/10.52340/idw.2023.75>

აბსტრაქტი. ამჟამად მოქმედი, ეკონომიკის წრფივი, იგივე ხაზოვანი მოდელი, მოქმედებს მეორე სამრეწველო რევოლუციის დროიდან, რომელიც შესაძლებელია შემდეგი სქემით წარმოვიდგინოთ:

მოპოვება - დამზადება - გამოყენება - გადაგდება.

აღნიშნულმა მოდელმა ეფექტურად იმუშავა ასწლეულის განმავლობაში, რაც განპირობებული იყო მსოფლიოში არსებული რესურსების დიდი მარაგების გამო. ამ დროს ყურადღება გამახვილებული იყო წარმოებისა და გაყიდვების ზრდაზე და არ ექცეოდა ყურადღება ნედლეულის შენახუნებას. ამ მოდელმა, მეორე მსოფლიო იმის შემდგომ პერიოდში, მნიშვნელოვნად აამაღლა ხალხის კეთილდღეობა, თუმცა ამავე მოდელმა გაზარდა რესურსების მოხმარება და ხელი შეუწყო ძვლანგველი საზოგადოების წარმოშობას. წრფივი ეკონომიკის კონცეფცია არამდგრადი გახდა შემდეგი მიზეზების გამო:

- რესურსების ამოწურვა. (განსაკუთრებით, მერქანი, ლითონი და სხვა.)
- ეკოსისტემის დეგრადაცია. (ნედლეულის მოპოვების პროცესები, მაგალითად ტყის ჭრა, სამთო მოპოვება, ჰიდრავლიკური ბურღვა და სხვა, ანადგურებს პლანეტის ეკოსისტემებს;)
- ნარჩენები და დაბინძურება. (ქიმიური ნივთიერებების ჩაშვება წყალში, ნახშირორჟანგის გამოფრქვევა, სამომხმარებლო ნარჩენების გადაყრა და სხვა.)

თუმცა, საბედნიეროდ, ახალი ათასწლეულის მიჯნაზე, შეიცვალა ტენდენცია და რესურსების შემცირების, მსოფლიოში დიდი რაოდენობის ნარჩენების დაგროვების გამო, რამაც დაბინძურების საშიშროება შეუქმნა დედამიწას, ასევე ბუნებრივი რესურსების განადგურების საშიშროების გამო, ყურადღება გამახვილდა მოთხოვნისა და მიწოდების უსაფრთხოებაზე.

სწორედ ზემოაღნიშნული მიზეზების გამო, მსოფლიო გადადის ეკონომიკის ახალ მოდელზე, რომელსაც ცირკულარული ეკონომიკა ეწოდება, რომელიც გულისხმობს აქამდე არსებული მოდელიდან სიტყვა „გადაგდების“ ჩანაცვლებას „განახლებით“ და „ხელახალი გამოყენებით“.

წინამდებარე ნაშრომში განხილულია საქართველოს მიერ განცხორციელებული ნაბიჯები ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლასთან მიმართებით, ასევე არსებული გამოწვევები და პრობლემების გადაწყვეტის რამოდენიმე ძირითადი მიმართულება.

საკვანძო სიტყვები: ცირკულარული; ეკონომიკა; მდგრადი; განვითარება; ნარჩენები; დაბინძურება.

ამჟამად მოქმედი, ეკონომიკის წრფივი, იგივე ხაზოვანი მოდელი, მოქმედებს მეორე სამრეწველო რევოლუციის დროიდან, რომელიც შესაძლებელია შემდეგი სქემით წარმოვიდგინოთ:

მოპოვება - დამზადება - გამოყენება - გადაგდება.

აღნიშნულმა მოდელმა ეფექტურად იმუშავა ასწლეულის განმავლობაში, რაც

განპირობებული იყო მსოფლიოში არსებული რესურსების დიდი მარაგების გამო. ამ დროს ყურადღება გამახვილებული იყო წარმოებისა და გაყიდვების ზრდაზე და არ ექცეოდა ყურადღება ნედლეულის შენაჩუნებას. ამ მოდელმა, მეორე მსოფლიო იმის შემდგომ პერიოდში, მნიშვნელოვნად ამაღლა ხალხის კეთილდღეობა, თუმცა ამავე მოდელმა გაზარდა რესურსების მოხმარება და ხელი შეუწყო მფლანგველი საზოგადოების წარმოშობას. წრფივი ეკონომიკის კონცეფცია არამდგრადი გახდა შემდეგი მიზეზების გამო:

- რესურსების ამოწურვა. (განსაკუთრებით, მერქანი, ლითონი და სხვა.)
- ეკოსისტემის დეგრადაცია. (ნედლეულის მოპოვების პროცესები, მაგალითად ტყის ჭრა, სამთო მოპოვება, ჰიდრავლიკური ბურღვა და სხვა, ნადგურებს პლანეტის ეკოსისტემებს;)
- ნარჩენები და დაბინძურება. (ქიმიური ნივთიერებების ჩაშვება წყალში, ნახშირორჟანგის გამოფრქვევა, სამომხმარებლო ნარჩენების გადაყრა და სხვა.)

თუმცა, საბედნიეროდ, ახალი ათასწლეულის მიჯნაზე, შეიცვალა ტენდენცია და რესურსების შემცირების, მსოფლიოში დიდი რაოდენობის ნარჩენების დაგროვების გამო, რამაც დაბინძურების საშიშროება შეუქმნა დედამიწას, ასევე ბუნებრივი რესურსების განადგურების საშიშროების გამო, ყურადღება გამახვილდა მოთხოვნისა და მიწოდების უსაფრთხოებაზე.

სწორედ ზემოაღნიშნული მიზეზების გამო, მსოფლიო გადადის ეკონომიკის ახალ მოდელზე, რომელსაც ცირკულარული ეკონომიკა ეწოდება, რომელიც გულისხმობს აქამდე არსებული მოდელიდან სიტყვა „გადაგდების“ ჩანაცვლებას „განახლებით“ და „ხელახალი გამოყენებით“.

ცირკულარულ ეკონომიკაში ნარჩენების ოდენობა მინიმუმამდე არის შემცირებული, რის გამოც რესურსების მოხმარება შენარჩუნებულია განუსაზღვრელი ვადით, ხოლო გარდაუვალი ნარჩენები უნდა აღდგეს ან გადამუშავდეს ისე, რომ ბუნებაში მისი დაბრუნება უსაფრთხო იყოს. ცირკულარული ეკონომიკა ხელს უწყობს წარმოების ხარჯების შემცირებას, რადგან ბრუნვაში ხელახლა ჩაშვების ხელშეწყობის მიზნით, ისეთი პროდუქცია იქმნება, რომლის ხელახლა დაშლა, გადამუშავება და დამზადება უფრო ნაკლებად ხარჯიანია, ვიდრე პირველადი მასალებით ახალი ნაწილების დამზადება. (მაგალითად, ავტონაწილების ქარხნულად განახლება).

ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლის პროცესი ძირფესვიან ცვლილებებს საჭიროებს წარმოებისა და მოხმარების მეთოდებში. ცირკულარულ ეკონომიკაში უნდა შეიქმნას ისეთი გამძლე ნაწარმი, რომ მისი ხანგრძლივად გამოყენება იყოს შესაძლებელი, ხოლო ხმარებიდან ამოღების შემდეგ, მის დამზადებისას გამოყენებული მასალა ხელახლა იქნას გამოყენებული ან იმავე საქონლის, ან სხვა საქონლის დასამზადებლად. აღნიშნული საჭიროებს მთელი სისტემის მხარდაჭერას, დაწყებული მოწინავე ტექნოლოგიებითა და ინფრასტრუქტურით, დამთავრებული ღირებულებათა ჯაჭვის რგოლებს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობის საბაზრო სტრუქტურით, ასევე მმართველობის ფორმით და რეგულაციებით, რომლებიც კომპანიებს წაახალისებს, ცირკულარული მიდგომები სოციალურ ნორმად აქციონ.

ცირკულარულ ეკონომიკაზე გასასვლისთვის სისტემის რამოდენიმე კომპონენტის ერთდროული ცვლილებაა საჭირო, ამისთვის კი მრავალი დაინტერესებული მხარის ერთობლივი ქმედებებია საჭირო, ესენია: ყველა დონის სამთავრობო სტრუქტურები; ბიზნესსექტორი; გამომგონებლები; აკადემიური სფერო; ინვესტორები და რა თქმა უნდა, მომხმარებლები, რომელთაც ამ პროცესში მეტად მნიშვნელოვანი როლი უნდა შესარულონ.

თანამედროვე პერიოდში, მსოფლიოში ყველაზე განვითარებული ქვეყნებიც კი ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლის ადრეულ ეტაპზე იმყოფებიან. იმის მიუხედავად, რომ ცირკულარობა ყველა წამყვანი ქვეყნის დღის წესრიგში დგას და ამ მიმართულებით უამრავი კერძო თუ საჯარო პროექტი მუშავდება, „ცირკულარობის ხარვეზების ანალიზის 2020 წლის ანგარიშის“ მიხედვით მსოფლიოს ცირკულარულობის მაჩვენებელი მხოლოდ 8,6% -ს შეადგენს. ამის ძირითადი მიზეზი ცირკულარული მოდელების დაფინანსების

პრობლემაა, რადგან ფინანსური სფერო ცირკულარულ პროექტებს, არსებობის მწირი ისტორიის გამო, მაღალრისკიანად და ეკონომიკურად დაუსაბუთებლად მიიჩნევა.

ცირკულარული ეკონომიკა გარდაუვალ კავშირშია მდგრად ეკონომიკასთან, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანთა კეთილდღეობას და ცხოვრების დონის ამაღლებას ისე, რომ მომავალმა თაობებმაც შეძლონ, ისარგებლონ მაქსიმალურად დაცული და სტაბილური ბუნებრივი რესურსებით.

2015 წლის სექტემბერში, გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია, სახელწოდებით „2030 დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისთვის“, რომელშიც ასახულია მდგრადი განვითარების 17 მიზანი და 169 ინდიკატორი, რომელთა შესრულების ვადაა 2030 წელი.

გამომდინარე იქიდან, რომ 2015 წელს საქართველომ ხელი მოაწერა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას, რითაც ჩვენი ქვეყანა აქტიურად ჩაერთო ევროკავშირის სტრატეგიებში, პროგრამებში და ორგანიზაციებში, ასოცირების ხელშეკრულების თანახმად, ეს ურთიერთობები მხარეებს შორის აგებული უნდა იყოს მდგრადი განვითარების და მწვანე ეკონომიკის გრძელვადიანი მიზნების გათვალისწინებით, სწორედ ამიტომ, საქართველო ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლის დაჩქარებულ გზას დაადგა.

საქართველოს მთავრობის, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, აკადემიური ორგანიზაციების და საერთაშორისო პარტნიორების ერთობლივობით, საქართველოში დაიწყო ცირკულარული ეკონომიკის სტრატეგიის და გზამკვლევის შემუშავება, რომელიც მოიცავს წარმოებას, მოხმარებას, ნარჩენების მართვას, ინოვაციებს, მეორად ნედლეულს, ინვესტიციებს და სხვა.

1. 2019 წელს, შვედეთის, როგორც ცირკულარული ეკონომიკის ერთ ერთი მოწინავე ქვეყნის, მთავრობის მხარდაჭერით, დაიწყო ცნობიერების ამაღლების 4 წლიანი პროგრამა, რომლის მიზანია ეკონომიკის ხელშეწყობა და ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლის დაჩქარება ჩვენს ქვეყანაში. ამ პროექტის ფარგლებში დაინტერესებულ მხარეებს და სხვადასხვა ჯგუფებს, როგორებიცაა პოლიტიკის შემქმნელები, სამთავრობო უწყებები, საფინანსო ინსტიტუტები, ბიზნესის წარმომადგენლები, აკადემიური სფერო, და ზოგადად მოსახლეობას მიეწოდება ინფორმაციები და რეკომენდაციები, როგორ არის შესაძლებელი ცირკულარული ეკონომიკის დანერგვის დაჩქარება.
2. ამ დრომდე გაიმართა 5 კონფერენცია, რომელიც მიემდგნა ცირკულარულ ეკონომიკას, რომელშიც მონაწილეობდნენ მუნიციპალური ხელისუფლება, ბიზნესსაზოგადოება, საფინანსო ინსტიტუტები, საქართველოს პარლამენტი და გადაწყვეტილების მიმღები საკვანძო პირები.
3. კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო ცირკულარული ეკონომიკის ბიზნესმოდელები, ცირკულარული ეკონომიკის ახალი სამოქმედო გეგმა, რომელიც 2020 წელს იქნა მიღებული. ასევე კონფერენციებზე ყურადღება გაამახვილეს კონკრეტულ რეკომენდაციებზე და ასევე მონაწილე ჯგუფების როლზე, მათ მხარდამჭერ გარემოსა და ფინანსური რისკების მართვაზე. ასევე ცირკულარული პროექტების წამოწყების მასტიმულირებელ და ხელისშემშლელ ფაქტორებზე.
4. ამავე პროექტის ფარგლებში შეიქმნა სახელმძღვანელო „ცირკულარული ეკონომიკის სახელმძღვანელო უნივერსიტეტებისთვის“, რომლის ავტორია დოქტორი დარიუმ პრასევი.
5. ქვეყნდება სტატიები, რომელშიც მოცემულია როგორც ზოგადი ინფორმაცია, ასევე კონკრეტული საკითხები ცირკულარული პროექტების დაფინანსებასა და რისკების მართვაზე.
6. შვედეთის მთავრობის და საელჩოს დახმარებით ქვეყანაში მუშავდება ცირკულარული ეკონომიკის სტრატეგია. ეს პროექტი თავის თავში გულისხმობს იმას, რომ ქვეყანაში გამოიკვეთოს ის დარგები ის სექტორები სადაც ამ მოდელის

დანერგვა საინტერესო იქნება. ეს ნიშნავს სწორედ ნარჩენების გამოყენებას წარმოებაში და ახალი პროდუქციის შექმნას. მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების რეგლამენტები სწორედ ამის განვითარებას უწყობს ხელს, ვინაიდან აქ წარმოქმნილი ნარჩენი გადამამუშავებლისთვის არის ნედლეული.

2015 წელს საქართველოს მთავრობამ მიიღო ახალი „ნარჩენების მართვის კოდექსი“ და შემოიღო მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების პრინციპი, (მგვ) რომელიც ავალდებულებს მწარმოებლებს, ნახმარი საქონლის შეგროვებას და უკან დაბრუნებას მათი დახარისხების და შემდგომი გადამამუშავების მიზნით. იგი ეფუძნება გარემოს დაცვის პოლიტიკის ქვაკუთხედს „დამბინძურებელი იხდის“ პრინციპს, რისთვისაც დამატებითი ფინანსური რესურსების მობილიზების საჭიროებას ქმნის ნარჩენის შეგროვებისთვის, დახარისხებისთვის, გადამამუშავებისთვის, აღდგენისთვის, ასევე დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნას უზრუნველყოფს.

გარდა ამისა, გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ შეიმუშავა რამოდენიმე ტექნიკური რეგლამენტი, რომლებიც ელექტრონული მოწყობილობების ნარჩენების, ნარჩენი ზეთების, ხმარებიდან გამოსული საბურავების და ბატარეების ნარჩენების მართვას ითვალისწინებს.

თუმცა, საქართველო, მიუხედავად მრავალი წინგადადგმული ნაბიჯისა ცირკულარული ეკონომიკის მიმართულებით, მაინც დგას მთელი რიგი **გამოწვევების** წინაშე:

- ჯერ კიდევ გადასაწყვეტია ნარჩენების სეპარირების საკითხი და ერთად იყრება ყველა სახის ნარჩენი ნაგავსაყრელზე, რომელიც როგორც ჰაერით, ასევე მიწით და წყლით ყველაზე მეტად აბინძურებს გარემოს.
- ძალიან ნელა მიმდინარეობს ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნების და ამოცანების შესრულება;
- საზოგადოების დიდი ნაწილი ისევ არაინფორმირებულია ცირკულარული ეკონომიკის და მდგრადი განვითარების შესახებ;
- ნაკლებია ინფორმაცია იმის შეახებ, თუ კონკრეტულად რომელი საწარმო გადავიდა ცირკულარულ მოდელზე, რა სტიმულირების ფორმები და მეთოდები არსებობს ამის განსახორციელებლად.

დასკვნა:

იქიდან გამომდინარე, რომ საქართველომ ხელი მოაწერა ასოცირების შეთანხმებას, ბუნებრივია ჩვენმა ქვეყანამ უნდა აითვისოს ხედვა ცირკულარული ეკონომიკის განხორციელების კუთხით, სწორედ ამიტომ, აუცილებელია

-ცირკულარობაზე გადასვლის გზამკვლევის მომზადება და ცირკულარულ ეკონომიკის სტრატეგიის მიღებისთვის საჭირო რეკომენდაციების შემუშავება;

-კანონმდებლობის გადახედვა და ევროკავშირისთვის საერთო წესების და სტანდარტების შემუშავება;

-ცირკულარული ეკონომიკის მოდელზე გადასული საწარმოთათვის კონკრეტული წახალისების სისტემის ამოქმედება;

-ინფორმატიულობის დონის გაზრდა;

-სტარტაპის დაფინანსება ისეთი საწარმოთათვის, რომლებიც ნედლეულის სახით გამოიყენებს სხვადასხვა ნარჩენებს;

-შემღობისდაგვარად გადმოვიტანოთ მოწინავე ევროპული ქვეყნების გამოცდილება და მეთოდები ჩვენს ქვეყანაში.

ზემოთ ჩამოთვლილი ამოცანების შესრულებით დაჩქარდება ჩვენი ქვეყნის ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლის ტემპი.

ლიტერატურა:

1. ალადაშვილი, მ. (2023). ეკონომიკა და ფინანსები. „ცირკულარული ეკონომიკა და მდგრადი განვითარების პრიორიტეტები საქართველოში“, 1: 66-72.
2. ვისმეტი, ჰანს. (2019). ცირკულარული ეკონომიკა-კონცეფცია და ფაქტები. სახელმძღვანელო. თბილისი: მომზადებულია GENN-ის მიერ.
3. პრასეკი, დარიუმ. (2022). ცირკულარული ეკონომიკის სახელმძღვანელო უნივერსიტეტებისთვის. სახელმძღვანელო. თბილისი.
4. ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების ხელშეკრულება. https://www.eeas.europa.eu/georgia/evrokavshiri-da-sakartvelo_ka?s=221
5. საქართველოს ნარჩენების მართვის 2016-2030 წლების ეროვნული სტრატეგია.
6. საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობა. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/33340?publication=30>
7. <https://business-partner.ge/ekonomika/sakartveloshi-tsirkularuli-ekonomikis-sapilote-programa-2022-tsels-daitsqeba>

The process of transition to circular economy in Georgia

Aladashvili Maya

Khizanishvili Nanuli

Iakob Gogebashvili State University, Telavi

Abstract

The currently operating linear model of the economy has been operating since the time of the second industrial revolution, which can be visualized in the following scheme:

Obtain - Make - Use - Discard.

This model has worked effectively for a hundred years, due to the large reserves of resources in the world. At this time, the focus was on increasing production and sales and not paying attention to the storage of raw materials. This model, in the post-World War II period, greatly increased people's well-being, but the same model increased resource consumption and contributed to the emergence of a wasteful society. The concept of a linear economy has become unsustainable for the following reasons:

- Exhaustion of resources. (Especially, wood, metal, etc.)
- Ecosystem degradation. (Processes for extracting raw materials, such as logging, mining, hydraulic drilling, etc., destroy the planet's ecosystems;)
- Waste and pollution. (Injection of chemicals into water, emission of carbon dioxide, disposal of consumer waste, etc.)

However, fortunately, at the turn of the new millennium, the trend has changed, and due to the depletion of resources, the accumulation of large amounts of waste worldwide, which has created the danger of pollution to the earth, as well as the danger of destruction of natural resources, attention has been focused on the security of demand and supply.

It is for the above reasons that the world is moving to a new economic model called the circular economy, which involves replacing the word "discard" from the existing model with "renew" and "reuse".

The present paper discusses the steps taken by Georgia in relation to the transition to a circular economy, as well as the existing challenges and several main directions for solving the problems.

Keywords: circular; economic; sustainable development; waste; pollution.

შავი ზღვის წყალქვეშა კაბელი - გზა საქართველოს ეკონომიკური გაჯანსაღებისკენ

ვეზირიშვილი-ნოზაძე ქეთევან
ფანცხავა ელენე

საქართველოს სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი

DOI: <https://doi.org/10.52340/idw.2023.76>

აბსტრაქტი. 2020 წლის ივნისში მსოფლიო ბანკმა შეისწავლა და წინასწარი ეკონომიკური ანალიზის საფუძველზე დაადასტურა 21-ე საუკუნის სტრატეგიული პროექტის - შავ ზღვაში წყალქვეშა კაბელის ჩადების მიზანშეწონილობა.

საქართველოს, აზერბაიჯანის, რუმინეთისა და უნგრეთის ლიდერებმა შეთანხმებას „მწვანე ენერჯის განვითარებისა და გადაცემის სფეროში სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ“ ხელი 2022 წლის 17 დეკემბერს მოაწერეს.

შავი ზღვის წყალქვეშა კაბელის პროექტი წყალქვეშა მაღალი ძაბვის გადამცემი ქსელის მოწყობას ითვალისწინებს, რომელმაც ერთმანეთთან საქართველოსა და ევროპის ელექტროენერგეტიკული სისტემები უნდა დააკავშიროს.

პროექტის განხორციელების შემთხვევაში 1195 კილომეტრის სიგრძის კაბელი (1100 კმ წყალქვეშა, ხოლო 95 კმ სახმელეთო ნაწილი) რუმინეთს დაუკავშირდება, რაც სამხრეთ კავკასიის ქვეყნებსა და რუმინეთს საშუალებას მისცემს ისარგებლონ გაფართოებული საექსპორტო შესაძლებლობებით და ელექტროენერჯის ბაზრის საათობრივი ფასების გათვალისწინებით განახორციელონ ელექტროენერჯით ვაჭრობა.

პროექტის განხორციელება ხელს შეუწყობს ევროპისა და სამხრეთ კავკასიის რეგიონის ენერგეტიკული უსაფრთხოების გაძლიერებას, განახლებადი ენერჯის სექტორის განვითარებას და გაზრდის სატრანზიტო შესაძლებლობებს აღნიშნულ რეგიონებს შორის.

ჩვენი კვლევის მიზანია ამ მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელებისას წინასწარ დავადგინოთ თუ რა ეკონომიკურ სარგებელს მიიღებს საქართველო, შევძლებთ კი ექსპორტზე გავიტანოთ ჩვენი ქვეყნის განახლებადი რესურსების ენერჯია (იხსნება ევროპის ბაზარი ჩვენი ქვეყნის), თუ დავრჩებით მხოლოდ სატრანზიტო დერეფნად, რომელიც ასევე ძალიან მიმზიდველია, თუმცა ნაკლებად შემოსავლიანი.

სტატიაზე მუშაობისას შევაფასეთ საქართველოს განახლებადი, არატრადიციული ენერჯის წყაროთა პოტენციალი, მათი სამიზნე მაჩვენებლები და მახასიათებლები. მოკვლევულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შევიმუშავეთ დასკვნები და რეკომენდაციები.

საკვანძო სიტყვები: შავი ზღვის წყალქვეშა კაბელი, „მწვანე ენერჯია“, ელექტროენერგეტიკული სისტემა, ელექტროენერჯით ვაჭრობა, სატრანზიტო დერეფანი, ენერგეტიკული უსაფრთხოება.

შესავალი

შავი ზღვის წყალქვეშა კაბელის პროექტის ინიციატივაც და იდეაც საქართველოს ეკუთვნის, ჩვენმა ქვეყანამ წარადგინა ეს პროექტი აღმოსავლეთ პარტნიორობის ეკონომიკური და საინვესტიციო პროექტების ჩამონათვალში და საქართველოშივე დაიწყო ტექნიკურ - ეკონომიკური კვლევები, ისევე როგორც ამ სამუშაოების დაფინანსება. შემდგომ ამას შემოუერთდა პარტნიორი ქვეყნები და უკვე შემდეგ ეტაპზე გაფორმდა მნიშვნელოვანი საერთაშორისო შეთანხმება, რომელშიც ოთხი ქვეყანა იქნება ჩართული: საქართველო,


აზერბაიჯანი, რუმინეთი და უნგრეთი. უნდა აღინიშნოს, რომ თავდაპირველ ეტაპზე ასეთი ინტერესი არ იყო, ასე აქტუალურად დანახული არ იყო ეს პროექტი, თუმცა გეოპოლიტიკურად ბევრი რამ შეიცვალა რუსეთ - უკრაინის ომის ფონზე, მათ შორის ევროკავშირშიც, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება უკვე მიმდინარე წელს. რახან ეს პროექტი უკვე იქცა ურთიერთდინტერესების საგნად - ევროკავშირის ორი ქვეყანა პროექტის განხორციელებაში ჩართული, ვიმედოვნებთ, რომ მას მიენიჭება განსაკუთრებული სტატუსი ევროკავშირის მხრიდან. ზედმეტი მოკრძალების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ეს არის საუკუნის პროექტი, რომელიც საქართველოს ენერგოდამოუკიდებლობას გაზრდის.

ძირითადი ნაწილი:

დღეისათვის პროექტის ტექნიკურ - ეკონომიკურ კვლევებს აკეთებს იტალიური საერთაშორისო კომპანია GESI, მსოფლიო ბანკის დაფინანსებით. მსოფლიო ბანკისგან აღებული სესხით სწორედ ჩვენი სახელმწიფო აფინანსებს ამ პროექტს და მსოფლიო ბანკის ექსპერტებიც აქტიურად არიან ჩართული. შემდეგი ეტაპებიც სახელმწიფოს მხრიდან დაფინანსდება. ფინანსთა სამინისტრო სრულ მზადყოფნაშია და აწარმოებს მოლაპარაკებებს მსოფლიო ბანკთან. სურათ პირველზე წარმოდგენილია მარშრუტი, რომელსაც აზერბაიჯანული მწვანე ენერჯია გაივლის საქართველოს, შავ ზღვასა და რუმინეთს და გაიყიდება უნგრეთში. ბრიუსელი რუსულ ენერჯიაზე დამოკიდებულების დაძლევის სწორედ ამ პროექტით ცდილობს, ჩვენც ევროპული ბაზარი გვეხსნება და შესაძლებლობა გვძლევს გავყიდოთ ჩვენში უხვად არსებული განახლებადი წყაროების ენერჯია.



სურ.1. შავი ზღვის წყალქვეშა ელექტროკაბელის პროექტი



სურ.2. შავი ზღვის წყალქვეშა კაბელი

სურათ მე-2 წარმოდგენილია შავი ზღვის წყალქვეშა კაბელი, მისი სიგრძე 1195 კმ - ია, სიმძლავრე - 1000 მგვტ - ი. საქართველო იქნება მთავარი წარმმართველი ძალა და ლიდერი ამ პროექტის განხორციელებისას.

რა შესაძლებლობებს ხსნის შავი ზღვის გავლით ელექტროენერჯის გადამცემი წყალქვეშა კაბელი და რა შედეგებს მოუტანს ის საქართველოს? ამ პროექტით საქართველო, როგორც ტრანზიტული დერეფანი კასპიის მხრიდან ევროპისაკენ უკვე სხვა რეგისტრში და სხვა სიმადლეზე ავა, რაც ძალიან მნიშვნელოვანი და გადამწყვეტია როგორც პოლიტიკური სტაბილურობის, ასევე ეკონომიკური თვალსაზრისით. ამ პროექტით საქართველო ხდება აუცილებელი დერეფანი ევროპისთვის, აქამდე მხოლოდ გაზისა და ნავთობის საშუალებით ვუკავშირდებოდით ევროპას, მაგრამ ეს იყო თურქეთის გავლით. ახლა საქართველო პირდაპირ დაუკავშირდება ევროპას. აქამდე ჩვენს ქვეყანას ჰქონდა გაზის და ნავთობის მიწოდების გამოცდილება, მაგრამ ელექტროენერჯის კაბელის ჩადება სხვა გამოწვევებს წარმოშობს. ეს ტექნიკურადაც და ეკონომიკურადაც საინტერესოა. ამ კაბელის საშუალებით სხვა რეგისტრში ავა საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოება და ენერგეტიკული დამოუკიდებლობა.

წყალუხვობის პერიოდში ჩვენმა ქვეყნამ 800 მილიონი კილოვატ საათის ელექტროენერჯია გაყიდა თურქეთში, იგივე ენერჯია რომ ევროპაში გაყიდულიყო სამჯერ მეტი თანხა შევიდოდა საქართველოს ბიუჯეტში.

2023 წლის ბოლოს ამ პროექტის მიმართულებით მნიშვნელოვანი ძვრებია მოსალოდნელი და ვიმედოვნებთ, რომ პროექტი ძალიან სწრაფად ამუშავდება, რადგან არსებობს პოლიტიკური ნება და მოძიებულია თანხები. რაც შეეხება დაფინანსებას - პირველ ეტაპზე ეს არის 2,3 მილიარდი დოლარი, რომელიც მოიძია ევროკავშირმა. ბუნებრივია, პროექტზე მუშაობის პერიოდში სხვა ინვესტიციებიც იქნება, მთავარია ჩვენმა ქვეყანამ სარგებელი მიიღოს ამ პროექტიდან და მარტო ტრანზიტზე არ ვიყოთ დამოკიდებული, რადგან ჩვენ გვაქვს საშუალება, რომ წყლისგან, ქარისგან და მზისგან ენერჯია ვაწარმოოთ და გავყიდოთ ევროპულ ბაზარზე.

ამასობაში შავი ზღვის წყალქვეშა კაბელის პროექტით ის სახელმწიფოებიც დაინტერესდნენ, რომლებიც უშუალოდ არ უკავშირდებიან ამ მნიშვნელოვან პროექტს. ასეთი სახელმწიფოა საუდის არაბეთი. მან უკვე გამოთქვა სურვილი, რომ აზერბაიჯანიდან ევროპაში „მწვანე“ ელექტროენერჯის ექსპორტის პროცესს შეუერთდეს. ამის შესახებ საუდის არაბეთის ინვესტიციების მინისტრმა ორი ქვეყნის ერთობლივი კომისიის თანათავმჯდომარემ ხალიდ ბინ აბდულ აზიზ ალ - ფალიჰმა ბაქოში გამართულ აზერბაიჯანსა და საუდის არაბეთს შორის თანამშრომლობის ერთობლივი კომისიის მე-7 - ე შეხვედრაზე განაცხადა. საუდის არაბეთის კომპანია „აკვა ფაურმა“ აზერბაიჯანში 240 მეგავატიან ენერგეტიკულ პროექტს ახორციელებს. თუმცა, როგორც აღმოჩნდა, ეს მისთვის საკმარისი არ არის. „ჩვენ გვსურს შევუერთდეთ 17 დეკემბერს ბუქარესტში ხელმოწერილ საუკუნის პროექტს ევროპაში ელექტროენერჯის ექსპორტის შესახებ“ - განაცხადეს მათ.

გახდება თუ არა შავი ზღვის ფსკერზე მოსაწყობი მაღალი ძაბვის გადამცემი ქსელი ახალი „ბაქო - თბილისი - ჯეიჰანი“? თავისი მასშტაბით და ამბიციური ჩანაფიქრით სავსებით შესაძლებელია! ეს ერთობლივი პროექტი „საქართველოს ელექტროსისტემამ“ და რუმინულმა კომპანიამ ევროპის ენერგოგაერთიანებაში უკვე დაარეგისტრირეს. პროექტი ძვირადღირებულია და მის განსახორციელებლად აუცილებელი იქნება კონსორციუმის ჩამოყალიბება, სადაც გაერთიანდებიან საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები და მსხვილი ენერგეტიკული კორპორაციები. გეოგრაფიულად და ინსტიტუციურად სხვადასხვა წარმომავლობის ფინანსური რესურსის აკუმულირება ამ პროექტს იმთავითვე მისცემს წარმატების გარანტიებს. ბუნებრივია, 1000 მეგავატამდე გამტარუნარიანი 500 კილოვატიანი გადამცემი ქსელი, რომელიც საქართველოს მისცემს საშუალებას რეგიონის ელექტროენერგეტიკა დააკავშიროს ევროპას და პირიქით, იქნება წარმოუდგენელი ნახტომი, როგორც ენერგოდამოუკიდებლობის ისე ენერგოუსაფრთხოების თვალსაზრისით. ამ კაბელის დახმარებით ელექტროენერჯის გაცვლა ევროპის ენერგეტიკულ სისტემასთან შეეძლება

მთელ რეგიონს, ეს კავშირი არსებული ინფრასტრუქტურიდან გამომდინარე (საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის უკვე არსებული 500 და 300 კილოვოლტიანი ხაზები და თითქმის დასრულებული მესამე ასევე 330 კილოვოლტიანი ხაზი), უკვე პროექტის ჩაშვების საწყის ეტაპზე დიდ შესაძლებლობას აძლევს აზერბაიჯანს, რომელიც ბოლო პერიოდში აქტიურად არის დაკავებული საკუთარი რესურსების ელექტროენერგეტიკული პოტენციალის საექსპორტო ბაზრებზე გატანით. აქ იგულისხმება, როგორც აზერბაიჯანში არსებული და დაგეგმილი თბოელექტროსადგურების მიერ გამომუშავებული ენერგია, ასევე პერსპექტივაში დაგეგმილი ქარის ენერგეტიკის განვითარების შედეგად მიღებული ელექტროენერგეტიკული რესურსიც. პროექტი უმნიშვნელოვანესი იქნება საკუთრივ საქართველოში გენერირებული ელექტროენერჯის ევროკავშირის ბაზარზე გატანის თვალსაზრისით და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, საქართველოს დამატებით მისცემს სოლიდურ სატრანზიტო შემოსავალს.

საქართველოს ენერგოსისტემა პირდაპირ დაუკავშირდება ევროპის ერთიან ელექტროენერგეტიკულ ქსელს, რაც გარდა ენერგეტიკული და ეკონომიკური ფაქტორებისა, ცალსახად იქნება გარკვეული პოლიტიკური მნიშვნელობის მატერებელი ფაქტიც.

ამ კაბელის კიდევ სხვა სიკეთე იქნება ის, რომ მასში შესაძლებელია დაინსტალირდეს ოპტიკურ - ბოჭკოვანი სადენიც, რომელიც ტელეკომუნიკაციის, ინტერნეტ არხის ჩამოსაყალიბებლად დამატებით პირდაპირ საშუალებას მოგვცემს. ეს იქნება ტელესაკომუნიკაციო ტრაფიკის დამატებითი პირდაპირი არხის ფორმირების შესაძლებლობა სამხრეთ - აღმოსავლეთ ევროპასა და სამხრეთ კავკასიას - ცენტრალურ აზიას შორის.

დაგეგმილი პროექტი, მისი განხორციელების შემთხვევაში ქვეყანას ტრანსკავკასიური ელექტროენერგეტიკული ჰაბის ფუნქციას შესძენს და საქართველოს ეკონომიკურ დამოუკიდებლობამდე მისვლას შეუწყობს ხელს. ელექტროენერჯის იმპორტის საჭიროებისას ამ გადამცემი ქსელის არსებობა მოგვცემს საუკეთესო არჩევანის გაკეთების საშუალებას და არა მარტო ჩვენი უშუალო მეზობლების შესაძლებლობებიდან. მედლის მეორე მხარეა ის, რომ არ არის შორს ის დრო, როცა ჩვენი ქვეყანა შეძლებს განახლებადი რესურსების მაქსიმალურად ათვისებას და ჭარბი ელექტროენერჯის ექსპორტზე გატანას. ამ შემთხვევაში, ფაქტობრივად გარანტირებული მყიდველი გველის ევროგაერთიანების ენერგეტიკული ბაზრის სახით. ამ მოლოდინს ამყარებს ისიც, რომ ევროპაში მწვანე ენერჯიაზე ისედაც მაღალი მოთხოვნა სულ უფრო იზრდება და ეს ტენდენცია შეუქცევადია. ცხადია, ამ გადამცემ ხაზს პერსპექტივაში იქნება ასევე სატრანზიტო ფუნქციაც და რეგიონიდან ევროგაერთიანებასთან ენერგორესურსის გაცვლაში მიიღებს მონაწილეობას, აქაც საქართველო დიდ სარგებელს ნახავს. თუმცა დროის ჭრილში შეიძლება ჩვენი გენერაციის ახალი ობიექტების ექსპლუატაციაში გაშვება და ამ გადამცემი ხაზის ამოქმედება ერთმანეთს დაემთხვეს და ამ ქსელში სატრანზიტო ელექტროენერჯის ადგილი უბრალოდ არ დარჩეს. ესეც მხოლოდ და მხოლოდ საუკეთესო პერსპექტივა იქნება საქართველოსთვის. რაც შეეხება განახლებად რესურსებს, ჩვენი ქვეყანა ფლობს ჰიდრორესურსების უზარმაზარ ენერჯიას. 319 მდინარე გამოირჩევა ენერგეტიკული მნიშვნელობით, რომელთა წლიური ჯამური სიმძლავრე 15,63 მლნ.კვტ - ს უდრის. ხოლო საშუალო წლიური ენერჯია 135,8 მლრდ.კვტ.სთ.

ქარის მნიშვნელოვანი პოტენციალიც გვაქვს წარმოდგენილი ჩვენს ქვეყანაში, როგორც სპეციალური გამოკვლევები გვიჩვენებს თეორიულად საქართველოს ტერიტორიაზე ქარის ენერჯიის მარაგი შეადგენს 1,31012 კვტ.სთ -ს წლიურად.

ჰიდრომედცენტრის მონაცემებით ჩვენს ქვეყანაში მზის საერთო გამოსხივების სიმძლავრე შეადგენს 4,1023 კვტს.

თერმული წყლების საერთო პროგნოზული მარაგი (წყლის ტემპერატურით 50 – 110 °C), 250 მლნ.კუბური მეტრია საქართველოში. ცხრილი N1- ში წარმოდგენილია ელექტროენერჯის წარმოება-მოხმარების პროგნოზი 2021-2031 წლებისათვის მლრდ. კვტ.სთ.

**ცხრილი N1. ელექტროენერჯის წარმოება-მოხმარების პროგნოზი
2021-2031 წლებისათვის მლრდ. კვტ.სთ.**

მაჩვენებლები	2021წ	2022წ	2023წ	2024წ	2025წ	2026წ	2027წ	2028წ	2029წ	2030წ	2031წ
ელ.ენერჯის წარმოება,სულ მათ შორის:	12,3	13,9	18,2	20,9	25,8	26,1	26,8	29,7	29,8	34,2	35,1
ა) თესი	4,0	4,2	4,4	5,1	5,4	5,0	5,0	5,4	5,5	5,5	6,5
ბ)ჰესი	8,8	9,8	12,3	14,3	17,6	18,3	19,0	21,5	21,5	23,2	24,1
გ) ქარისა და მზის ელ.სადგურები	0,06	0,1	1,4	1,4	2,3	2,8	2,8	2,8	2,9	5,5	5,6
ელ.ენერჯის მოხმარება, სულ	13,2	14,1	14,6	15,2	16,0	16,8	17,6	18,5	19,4	20,4	21,4
ელ.ენერჯის ექსპორტი	-0,9	-0,2	3,6	5,7	9,8	9,3	9,2	11,2	10,4	13,8	13,7

დასკვნა:

2030 წლამდე ჩვენს ქვეყანას აქვს შესაძლებლობა 1331 მგვტ სიმძლავრის ქარის და 520 მგვტ მზის ელექტროსადგურების ჩართვა მოახდინოს ელექტროენერჯეტიკულ ქსელში, რაც შეეხება ჰიდრორესურსებს, ჩვენმა ხელისუფლებამ განაცხადა, რომ ის გამოისყიდის ხუდონ ჰესის პროექტს 13,5 მილიონ დოლარად და თვითონ განახორციელებს ნამოხვანის პროექტსაც. მაშინ ნამდვილად შეგვიძლია ვთქვათ, რომ შავი ზღვის წყალქვეშა კაბელი ჩვენი ეკონომიკური სიძლიერის უმნიშვნელოვანესი გარანტი გახდება და საქართველო გადაიქცევა სატრანზიტო ქვეყნიდან ექსპორტიორ ქვეყნად და ენერჯეტიკულ ჰაბად აზიასა და ევროპას შორის.

ლიტერატურა:

1. ვეზირიშვილი-ნოზაძე, ქ. ფანცხავა, ე.(2019, 22-24 თებერვალი), „არატრადიციული ენერჯორესურსების მენეჯმენტი და მათი ათვისების პროგრამის დამუშავება საქართველოში“, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „მეცნიერება პრაქტიკისა და განვითარებისათვის“. ბაქო, აზერბაიჯანი.93-104.
2. ვეზირიშვილი-ნოზაძე, ქ. ფანცხავა, ე. (2019, 20-21 სექტემბერი), „ენერჯოეფექტურობა - ქვეყნის თანამედროვე განვითარების ქვაკუთხედი“, III საერთაშორისო კონფერენცია „თანამედროვე განვითარების ეკონომიკური სამართლებრივი და სოციალური პრობლემები“.თბილისი,საქართველო. 54-56.
3. ვეზირიშვილი-ნოზაძე, ქ. ფანცხავა, ე. (2020 წ. 7 – 10 დეკემბერი), „საქართველოს ელექტროენერჯეტიკული სექტორის განვითარების ანალიზი და შუქრდილები (შედეგები)“, IIIსაერთაშორისო სამეცნიერო - ტექნიკური კონფერენცია „ენერჯეტიკის თანამედროვე პრობლემები და მათი გადაწყვეტის გზები“, თბილისი, საქართველო, 80-84.
4. ვეზირიშვილი-ნოზაძე ქ. ფანცხავა, ე. ჯიშკარიანი, მ.(2021, 10-12 თებერვალი). „ენერჯოეფექტურობა – ქვეყნის ენერჯოდამოუკიდებლობის ზრდის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი“. International Scientific and Practical Conference, «The World of Science and Innovation», London. 132-141.
5. ვეზირიშვილი-ნოზაძე ქ. ფანცხავა,ე. ჯიშკარიანი, მ.(2021, 14-15 მარტი). „ენერჯის ცვალებადი განახლებადი და არატრადიციული წყაროები“. VIII International Scientific and Practcal Conference, „Actual Trends of Modern Scientific Research“.. Munich. 232-240.
6. ვეზირიშვილი-ნოზაძე ქ. ფანცხავა,ე(2023, 2 – 4 აპრილი), „თანამედროვე მსოფლიო ახალი გამოწვევების წინაშე - ენერჯეტიკის სექტორი“. საერთაშორისო მულტიდისციპლინარული

Black Sea submarine cable - the way to Georgia's economic recover

Vezirishvili-Nozadze Ketevan

Pantskhava Elene

Georgien Technical University, Tbilisi

Abstract

In June 2020, the World Bank studied and, based on preliminary economic analysis, confirmed the feasibility of the strategic project of the 21st century - the laying of an underwater cable in the Black Sea.

On December 17, 2022, the leaders of Georgia, Azerbaijan, Romania and Hungary signed an agreement on "strategic partnership in the field of green energy development and transmission".

The project of the Black Sea submarine cable envisages the arrangement of an underwater high-voltage transmission network, which should connect the electrical energy systems of Georgia and Europe.

If the project is implemented, a 1,195-kilometer cable (1,100 km underwater, and 95 km on land) will connect to Romania, which will allow the countries of the South Caucasus and Romania to take advantage of the expanded export opportunities and trade in electricity, taking into account the hourly prices of the electricity market.

The implementation of the project will help strengthen the energy security of Europe and the South Caucasus region, develop the renewable energy sector and increase the transit opportunities between the mentioned regions.

The purpose of our research is to determine in advance what economic benefits Georgia will receive during the implementation of this important project, and we will be able to export the energy of renewable resources of our country (the European market is opening for us), if we remain only as a transit corridor, which is also very attractive, although less profitable.

While working on the article, we evaluated the potential of Georgia's renewable, non-traditional energy sources, their target indicators and characteristics. Based on the researched information, we developed conclusions and recommendations.

keywords: Black Sea submarine cable, "green energy", electric energy system, electricity trade, transit corridor, energy security.

ბუღალტრული აღრიცხვის განვითარების შესაძლებლობები თანამედროვე ეტაპზე

მჭედლიშვილი მანანა

ტაბატაძე ნაირა

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, თბილისი

DOI: <https://doi.org/10.52340/idw.2023.77>

აბსტრაქტი. ნაშრომში განხილულია ბუღალტრული აღრიცხვის ისტორია, თანამედროვე ბუღალტრული აღრიცხვის განვითარება კომპიუტერის საშუალებით, ანუ კომპიუტერული ბუღალტრული აღრიცხვა. გამოკვეთილია ყველაზე მოთხოვნადი და გამოყენებადი კომპიუტერული საბუღალტრო პროგრამები საქართველოს ბაზარზე, კერძოდ ბალანსი და ორისი. ჩამოყალიბებულია Cloud ტექნოლოგიების როლი და უპირატესობები თანამედროვე ბუღალტრული აღრიცხვის განვითარებაში.

თანამედროვე პირობებში, მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს პროგრამა „ბალანსის“ უპირატესობი Cloud ტექნოლოგიის გამოყენებით, მისი სამუშაო პირობები და მომხმარებლის უპირატესობები. ქლაუდ ტექნოლოგია მომხმარებელს სთავაზობს “Subscribe” ტიპის SaaS-Software as a service ტექნოლოგიასაც. ბალანსი არის მინი ERP სისტემა და აერთიანებს საბუღალტრო აღრიცხვას და ბიზნესის ყოველდღიურ საოპერაციო ნაწილს. კერძოდ, სავაჭრო ობიექტებში პროგრამა ბალანსი მაღაზიის ყველა მოწყობილობასთან ინტეგრირდება. სასწორთან, პოსტერმინალთან. მას აქვს „პოსი“. მას შემდეგ რაც პროდუქტი მოლარის მიერ გატარდება ბალანსის პოსზე, პროგრამა ავტომატურად შექმნის გაყიდვების მოდულში გაყიდვების ოპერაციას, გაყიდული პროდუქტი კი ავტომატურად ჩამოიწერება საწყობიდან და ბუღალტრული გატარებებიც ავტომატურად შეიქმნება-დებეტი/კრედიტი. ეს ერთიანი სისტემა უზრუნველყოფს, რომ მენეჯერს, ბუღალტერს, დირექტორს და პროგრამის ყველა მომხმარებელს, ვისაც წვდომა აქვს ინფორმაციაზე, ერთოვლად მიაწოდოს მაღაზიაში გაყიდვების შესახებ მონაცემები ლაივ რეჟიმში. ვინაიდან პროგრამა ქლაუდზე მუშაობს მომხმარებელი ნებისმიერი მოწყობილობიდან დედამიწის ნებისმიერ წერტილში მიიღებს გაყიდვების რეპორტს.

ასევე საუბარია პროგრამა „ორისის“ საოპერაციო სპექტრსა და შემადგენლობაზე, სამეურნეო და საფინანსო საქმიანობის პროგრამული უზრუნველყოფის მომსახურებაზე. პროგრამა ორისში აწყობილია სტანდარტული სამეურნეო ოპერაციები, ჩვენს მიერ კომპანიის მაგალითზე, პიქტოგრამული ალგორითმის გამოყენებით შექმნილია შესაბამისი ფორმულები და აგებულია სვეტები თანდართული ბუღალტრული გატარებებით. შედგენილია კომპანიის დირექტორის სახელფასო უწყისი, შესაბამისი ბუღალტრული გატარებებით. ჩამოყალიბებულია დასკვნა, მიგვაჩნია, რომ მომავალში საბუღალტრო კომპიუტერული პროგრამები მომხმარებლებისთვის ხელმისაწვდომი, უფრო სრულყოფილი, დახვეწილი და მათ ბიზნესზე მორგებული იქნება. რაც უზრუნველყოფს ბუღალტრული აღრიცხვის მაქსიმალურ სრულყოფილებას. ეს ფაქტორი კი წარმატებული ბიზნესის ერთ ერთი გარანტიაა.

საკვანძო სიტყვები: კომპიუტერული პროგრამები, ბალანსი, ორისი, ციფრული რესურსები, საბუღალტრო გატარებები.

შესავალი. ცივილიზაციის ადრეულ სტადიებზე ადამიანები მხოლოდ გონებაში ასახავდნენ და ანგარიშობდნენ სამეურნეო მოვლენებისა და პროცესების შედეგებს და

ფაქტებს. დამწერლობისა და მათემატიკის წარმოშობამ და გავრცელებამ შექმნა აღრიცხვის პრაქტიკის გაფართოების ობიექტური წინამძღვრები. შრომის საზოგადოებრივი დანაწილების შედეგად გაჩნდა ახალი სპეციალური პროფესია-„მონაგარიშე მუშაკები“. ეგვიპტესა და მესოპოტამიაში შეიქმნა სპეციალური სკოლები, რომლებიც ამზადებდნენ მონაგარიშე მუშაკებს. „მათ შეეძლოთ კითხვა, წერა და ჯადოქრობა“ (თ.მანი). ისინი აღრიცხავდნენ ინვენტარს, ქონებას, მუშახელს, გასამრჯელოს, ვალებს, ანგარიშობდნენ შედეგებს, ითვლიდნენ ფულს და ა.შ. მარტივი მეთოდებითა და ხერხებით უზრუნველყოფდნენ ნატურალურ და უბრალო ანგარიშსწარმოების პროცესს. (www.intermedia.ge)

ბუღალტერიის პირველი ჩანასახები გაჩნდა მე-13 საუკუნის იტალიაში. ბუღალტერიის პირველი ფუძემდებელი იყო იტალიელი მეცნიერი და მათემატიკოსი ლუკა პაჩიოლი (1445-1514 წ.). აღრიცხვის დროს გამოიყენებოდა აღრიცხვის ორადი ჩაწერის წესი ანუ ორმაგი ბუღალტერია.

მიუხედავად იმისა, საბუღალტრო საქმიანობას დიდი ხნის ისტორია აქვს, მე-20 საუკუნემდე ყველა საბუღალტრო საქმე სრულდებოდა ხელით ქაღალდზე, იკერებოდა ტომები და კომპიუტერული საბუღალტრო პროგრამა მოხსენიებულაც არ იყო. დღეისათვის ყველაზე გავრცელებულ მეთოდს წარმოადგენს ბუღალტრული აღრიცხვის განვითარება კომპიუტერის საშუალებით, ანუ კომპიუტერული ბუღალტრული აღრიცხვა. თანამედროვე ბუღალტრის მუშაობა წარმოუდგენელია კომპიუტერის გამოყენების გარეშე. კომპიუტერის მეშვეობით ბუღალტრული აღრიცხვისთვის შესაძლებელია, როგორც საკუთარი ძალებით დამუშავებული პროგრამული პროდუქტის, ისე ცნობილ საოფისე სისტემაში (როგორც არის Microsoft Exce) აგებული ბუღალტრული აღრიცხვის სისტემის გამოყენება. აგრეთვე შესაძლებელია პროგრამული უზრუნველყოფის სფეროში სხვა მომუშავე კომპანიის მიერ დამუშავებული მზა პროგრამული პროდუქტის შექმნაც. ყველა შემთხვევაში, იმისათვის, რომ ვაწარმოოთ ბუღალტრული აღრიცხვა კომპიუტერის საშუალებით, აუცილებელია ორი სახის ცოდნის გაერთიანება: ბუღალტრული აღრიცხვის და კომპიუტერზე ბუღალტერიის წარმოების ცოდნა. (თევდორაძე, ლოლაშვილი 2013)

ნაშრომში განხილულია ყველაზე მოთხოვნადი და გამოყენებადი კომპიუტერული საბუღალტრო პროგრამები საქართველოს ბაზარზე, კერძოდ ბალანსი და ორისი. მათი შესაძლებლობები უნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ თანამედროვე ბუღალტრული აღრიცხვის განვითარებაში.

ძირითადი ნაწილი. საბუღალტრო აღრიცხვის ისტორიის თავისებურებას წარმოადგენს მისი თეორიისა და პრაქტიკის სრულყოფა. ზუსტი აღრიცხვის გარეშე შეუძლებელია კომპანიის მართვა. ამ ეტაპზე საქართველოში იყენებენ როგორც უცხოური წარმოების პროგრამებს, ასევე საქართველოში წარმოებულსაც. საქართველოში გავრცელებული პროგრამებია: ბალანსი, ფინა, ორისი, ინფო და 1C. თანამედროვე ბუღალტრული აღრიცხვის განვითარებაში მნიშვნელოვანია როლი უკავია Cloud ტექნოლოგიების შექმნას. ქლაუდი ვირტუალური სივრცეა, ერთგვარი „საცავი“, სადაც განთავსებულია სხვადასხვა ციფრული რესურსები. მაგალითად, ფაილები, აპლიკაციები, კომპიუტერული პროგრამები. ხშირად ქლაუდს და ინტერნეტს აიგივებენ, რაც არასწორია და ის მხოლოდ ინტერნეტის ერთ ერთი შემადგენელი ნაწილია. ქლაუდის მთავარი უპირატესობებია: **1) შეუზღუდავი ტევადობა**-ის არის შეუზღუდავი ტევადობის საცავი, მომხმარებელი იყენებს იმდენს, უშუალოდ რამდენიც ჭირდება და შესაბამისად იმდენს იხდის, რამდენსაც იყენებს. **2) მასშტაბურობა**- ბიზნესის განვითარებით, იზრდება მონაცემების და ინფორმაციის მოცულობაც, რაც ბიზნესს აყენებს ინფორმაციის გამტარუნარიანობასთან დაკავშირებულ პრობლემების წინაშე. კერძოდ, ფიზიკურ სერვერებზე ზრდის დატვირთვას და ქმნის წარმადობის პრობლემებს. ამგვარი პრობლემების წინაშე არ დგება ის კომპანია, რომელიც ქლაუდ სერვისით სარგებლობს, თუ მომხმარებელს დასჭირდება მეტი სივრცე იხდის დამატებითი სერვისის საფასურს და იმატებს იმდენ სივრცეს რამდენიც ჭირდება. ამრიგად, მომხმარებელი ირიდებს დამატებით დანახარჯებს, როგორც სერვერის მოვლის ისე

ადამიანური რესურსის. ასევე მომხმარებელს შეუძლია შეამციროს ქლაუდ სივრცე, თუ აღარ ჭირდება ის მოცულობა რაც ქონდა. ამგვარ მასშტაბურობას და მოქნილობას ტექნოლოგიებში „ოპერატიულ სისწრაფეს“ უწოდებენ. (www.interpressnews.ge)

3) ხელმისაწვდომი ფასი- ვინაიდან ქლაუდ ტექნოლოგია გამორიცხავს სერვერების საჭიროებას, ამცირებს ბიზნესისთვის კაპიტალურ დანახარჯებს. ამასთან ქლაუდ ტექნოლოგია მომხმარებელს სთავაზობს “Subscribe” ტიპის SaaS-Software as a service ტექნოლოგიასაც. ეს ნიშნავს, რომ მცირე ზომის კომპანიებს, რომელთაც საქმიანობის დასაწყისში არ აქვთ შესაძლებლობა მასშტაბური ხარჯების გაღების აღარ ჭირდებათ პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენციების შეძენა. ამის სანაცვლოდ ისინი იღებენ პროგრამულ მომსახურებას როგორც სერვისს და იხდიან მხოლოდ იქამდე, როდემდეც სჭირდებათ ეს პროგრამები. საქართველოს ბაზარზე უკვე 4 წელია პროგრამა „ბალანსი“ არის საბუღალტრო პროგრამა ქლაუდზე. და მომხმარებელს სწორედ ასეთი გადახდის სისტემას სთავაზობს. მომხმარებელი ლოკალური ლიცენზიების შეძენის გარეშე, იხდის მხოლოდ ბალანსის ყოველთვიურ მინიმალურ საფასურს და სარგებლობს პროგრამით. ბალანსი, როგორც ქართული სააღრიცხვო სისტემა ქლაუდზე დღეს უკვე 1000 ზე მეტ მომხმარებელ კომპანიას ითვლის. პროგრამასთან წვდომა მაქსიმალურად გამარტივებულია და ხდება ბალანსის ოფიციალური ვებ-გვერდის გამოყენებით. საიტზე რეგისტრაციის შემდეგ იქმნება მომხმარებლის პაროლი- **მისი პირადი ონლაინ კაბინეტი**. სწორედ ამ კაბინეტიდან მართავს მომხმარებელი მისთვის საჭირო ყველა დოკუმენტაციას: იღებს სასაქონლო ზედნადებებს, ანგარიშფაქტურებს, უკვეთავს სასურველ ლიცენზიებს, ამატებს კომპანიის ბაზას და იწვევს თანამშრომლებს საკუთარი ფუნქციებით. როგორც ვიცით, ბალანსი არ არის ტრადიციული საბუღალტრო პროგრამა, განკუთვნილია მხოლოდ ფინანსური ანგარიშგების შედგენის მიზნებისთვის. იგი არის მინი ERP სისტემა და აერთიანებს საბუღალტრო აღრიცხვას და ბიზნესის ყოველდღიურ საოპერაციო ნაწილს. მაგალითად, სავაჭრო ობიექტებში პროგრამა ბალანსი მაღაზიის ყველა მოწყობილობასთან ინტეგრირდება. სასწორთან, პოსტერმინალთან. მას აქვს „პოსი“. მას შემდეგ რაც პროდუქტი მოლარის მიერ გატარდება ბალანსის პოსზე, პროგრამა ავტომატურად შექმნის გაყიდვების მოდულში გაყიდვების ოპერაციას, გაყიდული პროდუქტი კი ავტომატურად ჩამოიწერება საწყობიდან და ბუღალტრული გატარებებიც ავტომატურად შეიქმნება-**დებეტი/კრედიტი**. ეს ერთიანი სისტემა უზრუნველყოფს, რომ მენეჯერს, ბუღალტერს, დირექტორს და პროგრამის ყველა მომხმარებელს, ვისაც წვდომა აქვს ინფორმაციაზე, ერთოვლად მიაწოდოს მაღაზიაში გაყიდვების შესახებ მონაცემები ლაივ რეჟიმში. ვინაიდან პროგრამა ქლაუდზე მუშაობს მომხმარებელი ნებისმიერი მოწყობილობიდან დედამიწის ნებისმიერ წერტილში მიიღებს გაყიდვების რეპორტს. მისი მომხმარებლები არიან: სურსათის მაღაზიები, სასაწყობო მეურნეობები, ღვინის და სხვა ალკოჰოლური სასმელების მწარმოებელი კომპანიები, სწრაფი კვების ობიექტები, ავტონაწილების სავაჭრო ობიექტები და სამშენებლო კომპანიები.

კომპანია ორისი დაარსდა 1992 წელს. „ორისი“, როგორც კომპანია უზრუნველყოფს სხვადასხვა კატეგორიის კომპანიების სამეურნეო და საფინანსო საქმიანობის პროგრამული უზრუნველყოფის მომსახურებას. კომპანიის საოპერაციო სპექტრი საკმაოდ ფართოა და მოიცავს: 1) უნივერსალურ საბუღალტრო და სამეურნეო საქმიანობის აღრისხვის სისტემას- „ორის ბუღალტერია“. 2) საფინანსო და ორგანიზაციული მართვის ინსტრუმენტალურ სისტემას (ERP)- „ორის მენეჯერი“ 3) საცალო და საბითუმო რეალიზაციის პროგრამულ უზრუნველყოფას „ორის მარკეტი“, 4) დისტრიბუციის პროგრამულ უზრუნველყოფას- „ორის დისტრიბუტორი“ 5) საბანკო სისტემას- BankNet, 6) საბირჟო ვაჭრობის მართვის სისტემას- „კავკასიის ბირჟა“ 7) სატელეკომუნიკაციო კომპანიის საანგარიშსწორებო სისტემას -TeleNet 8) ფასისნი ქაღალდების რეგისტრაციის სისტემას- „დეპოზიტარი“, 9) ავიაბილეთების აღრიცხვის სისტემას- AviaNet, 10) საცალო და საბითუმო ვაჭრობის სისტემას- Universe. (www.orisgeorgia.ge) როგორც ზემოთ ავლნიშნეთ, საბუღალტრო პროგრამა ორისი/ORIS საქართველოს ბაზარზე ფუნქციონირებს 1992 წლიდან. გამოირჩევა მაღალი წარმადობით და მოქნილობით. იგი მომხმარებელს საშუალებას აძლევს ერთის მხრივ მარტივად გადაწყვიტონ საბუღალტრო ამოცანები სირთულეების მიუხედავად და მეორეს მხრივ ადვილად შექმნან

არატიპური ამოცანების გადაჭრის გზები დღევანდელ სწრაფად ცვალებად გარემოში. მისი უპირატესობაა, ის რომ სისტემის ინტერფეისი სამენოვანია: ქართულ-ინგლისურ-რუსული. გარდა ქართველი მომხმარებლებისა მას იყენებენ უცხოელი მომხმარებლებიც, რომლებიც საქართველოში ავითარებენ ბიზნესს.

სისტემა შეიცავს ოპერაციების აღწერის ინსტრუმენტალურ საშუალებას. ისევე როგორც გამომავალი ფორმების გენერატორი, ისიც აღჭურვილია ოპერაციების აგების პიქტოგრამული საშუალებებით (ფუნქციონალური დილაკებით), რომელთა საშუალებითაც მიიღწევა არა მარტო საბუღალტრო ოპერაციის აღწერა, არამედ ნებისმიერი ალგორითმი, რომელსაც უნდა უზრუნველყოფდეს აღსაწერი ოპერაცია. ოპერაციის აღწერაში შეიძლება გამოყენებული იქნას ციკლები და გადასვლები, ფორმულების გამოთვლები, სხვადასხვა დინამიური თუ სტატიკური ინფორმაციის განსაზღვრა და ა.შ. გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა ოპერაციას შეიძლება დაერთოს ნებისმიერი რაოდენობის პირველადი თუ ანალიზური დოკუმენტის დინამიური ფორმირება. ეს უკანასკნელი კი ათავისუფლებს სისტემის მომხმარებელს შესასრულებელი ოპერაციის შესაბამისი ბლანკებისა და სხვა ფორმების შევსებისგან. ყოველივე ზემოთ აღწერილი მიიღწევა სპეციალიზირებული პროგრამირების ენის გამოყენების გარეშე, პიქტოგრამების გამოყენებით, ამიტომ ოპერაციებისა და ნებისმიერი დოკუმენტის აღწერა არ საჭიროებს სპეციალიზირებულ პროგრამისტულ განათლებას. ამ ფაქტორს კი მინიმუმამდე დაჰყავს საბუღალტრო ოპერაციისა და პირველადი საბუთების აღწერასთან დაკავშირებული ხარჯები. (www.orisgeorgia.com)

პროგრამაში საბუღალტრო გატარებების შესრულება შესაძლებელია ანგარიშთა გეგმიდან, ქვედადონის ანგარიშების დამატებით. ასევე აწყობილია სტანდარტული სამეურნეო ოპერაციები. ისინი საკმად ამარტივებენ საბუღალტრო საქმიანობას. ის ოპერაცია რომელიც სტანდარტულად არაა აწყობილი, მომხმარებელს შეუძლია აწყობა ფორმულების გამოყენებით. პროგრამა აძლევს ამის საშუალებას. პროგრამაში სახელფასო ბარათზე სვეტები დანომრილია სიმბოლოებით, რომელთაც სტანდარტულად თავისი მნიშვნელობები აქვს მინიჭებული. მაგალითად, A(დარიცხული ხელფასი), B(ბიულეტენი), C(შვებულება), D(არა ადმინისტრაციის ხელფასი), E(სასურველი ხელფასი), F(დაუკავდა 1500 ლარამდე), G(დაუკავდა 3000 ლარამდე), H(მაღალმთიანი რეგიონი (50 %)), I(მომდევნო თვე), J (ნამუშევარი დღეები).

პროგრამაში არ არსებობს საპენსიო სქემაში ჩართული თანამშრომლებისთვის შესასრულებელი ხელფასის დარიცხვის და გადახდის გატარებები. თუმცა ფორმულების დახმარებით, როგორც ზემოთ ავლინებთ, შესაძლებელია თითოეული საბუღალტრო გატარების შექმნა. სახელფასო ბარათზე გარდა ზემოთ აღნიშნული სვეტებისა არსებობს თავისუფალი სვეტები, სადაც მომხმარებელს შეუძლია ახალი ოპერაციის შექმნა. ჩვენ მოვახდინეთ შპს „ანას“ სახელფასო ბარათის ფორმირება შემდეგნაირად: სახელფასო ბარათში დავამატეთ L სვეტი, სახელწოდებით- თანამშრომლის კუთვნილი საპენსიო გადასახადი, ფორმულების ველში კი დავამატეთ იგივე სახელწოდების ველი, რომელსაც პროგრამამ ავტომატურად მიენიჭა S12 ცვლადი. შესაბამისად ჩვენ შევქმენით ახალი ფორმულა, $S12=0<L=Z*0,02>0$, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია თანამშრომლისთვის კუთვნილი საპენსიო გადასახადის 2 % დაკავება. გატარებების ველში კი დავამატეთ: დებეტი-3130 გადასახდელი ხელფასები, კრედიტი-3370 გადასახდელი საპენსიო ვალდებულება. ფორმულების ველში საშემოსავლო გადასახადს მინიჭებული აქვს y ცვლადი შესაბამისი ფორმულით, ჩვენ წავშალეთ ფორმულა და მის ნაცვლად შევქმენით ახალი $y=(Z-S12)X0,2$. (რაც ნიშნავს დარიცხულ ხელფასს მინუს თანამშრომლის საპენსიო გადასახადი, და მიღებული სიდიდის 20 %.) ასეთი გაანგარიშებით სისტემა თანამშრომლის დარიცხული ხელფასიდან გამოქვითავს როგორც მის კუთვნილ საპენსიო გადასახადის 2%-ს, ასევე საშემოსავლო გადასახადს, 20 %-ს. გატარების გრაფაში კი გვექნება დებეტი-3130 გადასახდელი ხელფასი, კრედიტი-3320 გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი. სახელფასო ბარათზე კიდევ დავამატეთ ახალი სვეტს M- კომპანიის საპენსიო გადასახადი. ფორმულების რედაქტირების ველში კი კუთვნილი თანამშრომლის საპენსიოს ქვემოთ დავამატეთ კომპანიის საპენსიო

გადასახადის ველი, რომელსაც პროგრამა ანიჭებს S13 ცვლადს. ჩვენ ვახდენთ ახალი ფორმულის შექმნას $S13=S12$, რაც ნიშნავს რომ გამოიყო მეორე 2 %, რომელიც კომპანიას აქვს თითოეულ თანამშრომელზე გადასახდელი. გატარებების სვეტში კი ჩავწერთ დებეტი-7415-კომპანიის კუთვნილი საპენსიო გადასახადის ხარჯი, კრედიტი- 3370 საპენსიო ვალდებულება. ამგვარად, ჩვენ შევქმენით და დავამახსოვრებინეთ პროგრამას: 1) თანამშრომლის კუთვნილი საპენსიო გადასახადის, 2) საშემოსავლო გადასახადის, 3) კომპანიის კუთვნილი საპენსიო გადასახადის გაანგარიშების ფორმულები და ბუღალტრული გატარებები. შემდეგ კი გამოვთვალეთ შპს ანას დირექტორის ხელფასი, რომელიც ჩართულია საპენსიო სქემაში.

მას 2023 წლის 5 მაისს დაერიცხა ხელფასი 5000ლარი.

- დებეტი-7410 შრომის ანაზღაურების ხარჯი-5000ლ.
- კრედიტი-3130 გადასახდელი ხელფასი-5000 ლ.

მას დაუკავდა ხელფასიდან კუთვნილი საპენსიო გადასახადი, $(5000 * 2\% = 100$ ლარი)

- დებეტი-3130 გადასახდელი ხელფასი-100 ლ
- კრედიტი-3370 გადასახდელი საპენსიო გადასახადი-100 ლ.

ხელფასიდან დაუკავდა საშემოსავლო გადასახადი $(5000-100) * 20\% = 980$ ლარი)

- დებეტი-3130 გადასახდელი ხელფასი-980 ლ
- კრედიტი-3320 გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი-980 ლარი

კომპანიის კუთვნილი საპენსიო გადასახადი 2% -ია, $(5000 * 2\% = 100$ ლარი) გადასახადის დარიცხვა გავატარეთ ბუღალტრული მუხლით

- დებეტი-7415 საპენსიო გადასახადის ხარჯები-100 ლ
- კრედიტი-3370 გადასახდელი საპენსიო გადასახადი-100 ლ.

დირექტორს ანგარიშზე ჩავურიცხეთ კუთვნილი ხელფასი $(5000-100-980=3920$ ლარი)

- დებეტი-3130 გადასახდელი ხელფასი-3920 ლ
- კრედიტი-1210 ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში-3920 ლ

დაკავებული საშემოსავლო გადასახადი გადავრიცხეთ ბიუჯეტში

- დებეტი-3320 გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი-980 ლარი
- კრედიტი-1210 ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში-980 ლ

და მოვახდინეთ საპენსიო გადასახადის გადახდა $(2\%+2\%=200$ ლ)

- დებეტი-3370 გადასახდელი საპენსიო გადასახადი-200 ლ.
- კრედიტი-1210 ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში-200 ლ

დასკვნა. ამრიგად, საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვა ბოლო წლების მანძილზე საგრძნობლად დაიხვეწა საბუღალტრო პროგრამების გამოყენებით. საბუღალტრო პროგრამა ეს არის კომპიუტერული უზრუნველყოფა, რომელიც მომხმარებელს აძლევს საშუალებას, ბევრად უფრო მარტივად, სწრაფად, ეფექტურად, თვალსაჩინოდ შეძლოს ფინანსების აღრიცხვა და მართვა. ცხადია, კომპიუტერი ვერ შეცვლის გამოცდილ და მცოდნე ბუღალტერს. ბუღალტრის გარეშე კომპიუტერის გამოყენებას საბუღალტრო აღრიცხვაში აზრი არ აქვს. კომპიუტერი ბუღალტერს საშუალებას აძლევს აწარმოოს საბუღალტრო აღრიცხვა უფრო მოწესრიგებული ფორმით, გაზარდოს საბუღალტრო აღრიცხვის ოპერატიულობა, შეამციროს და მთლიანად აღმოფხვრას არითმეტიკული შეცდომები. საბუღალტრო პროგრამები ბევრად აჩქარებს მუშაობის პროცესს, ვიდრე ფურცელზე მუშაობა. პროგრამები უზრუნველყოფს დროის ეფექტურად გამოყენებას და უფრო მეტი სიზუსტით მუშაობის შესაძლებლობას. კომპიუტერული პროგრამის დეველოპერები ყოველთვის ცდილობენ დააინტერესონ, ბიზნესის წარმომადგენლები. ქმნიან ბიზნესის სპეციფიკიდან და ინტერესებიდან გამომდინარე საკუთარ ბიზნესზე მორგებულ პროგრამებს. მომავალში

ბიზნესის მფლობელების პირდაპირ ინტერესშია ეფექტური გზის გამონახვა, რათა ბუღალტრული აღრიცხვა მაქსიმალურად სრულყოფილი იყოს ფინანსური ტექნოლოგიების მიმართულებით. ეს ფაქტორი კი ერთ-ერთი გარანტია წარმატებული ბიზნესისა.

ლიტერატურა:

- 1.თევდორაძე მ.ლოლასვილი ნ. (2013) კომპიუტერული ბუღალტრული აღრიცხვა, თბილისი გვ.6-7
2. <http://orisgeorgia.com/ka/%E1%83%A9%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9C-%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AF%E1%83%94%E1%83%91>
- 3.საბუღალტრო კომპიუტერული პროგრამები (2023)<http://www.account.ge/article/>
- 4.ძამბია ს. (2023) ბუღალტრის პროფესიას მწვანე ფინანსების გამოწვევის დაძლევაში სასიცოცხლო როლი აქვს. ჟურნალი ბუღალტრული აღრიცხვა N3 (314) მარტი 2023გვ.33
- 5.[https://intermedia.ge //](https://intermedia.ge//)
- 6.<https://www.interpressnews.ge //>
- 7.[www./balance.ge//](http://www.balance.ge//)
- 8.<https://storno.ge/others/ORIS>

Opportunities for the development of accounting at the modern stage

**Mchedlishvili Manana
Tabatadze Naira**

Caucasus international University, Tbilisi

Abstract

The paper discusses the history of accounting, the development of modern accounting through computers, i.e. accounting in computers. The most demanded and used computer accounting programs on the Georgian market are highlighted, Balance and Oris. The role and advantages of „Cloud „technologies in the development of modern accounting are established. In modern conditions, an important novelty is the advantage of the "Balance" program using Cloud technology, its working conditions and user advantages. Cloud technology also offers "Subscribe" type Saas-Software as a service technology. Balance is a mini ERP system and integrates accounting and the daily operational part of the business. In particular, in shopping centers, the balance program integrates with all store equipment. At the scales, postterminally, it has a "posi". After the product is passed by the cashier at the baluster, the program will automatically create a sales transaction in the sales module. The sold product will be automatically debited from the warehouse and accounting transactions will be automatically created - debit/credit. This unified system ensures that the manager, accountant, director and all users of the program, who have access to the information, simultaneously provide data on sales in the store in live mode. Since the program works on the cloud, the user will receive a sales report from any device anywhere in the world.

It is also discussed about the operational spectrum and composition of the "Oris" program, and software services for economic and financial activities. The program is based on standard farm operations in Oris. On the example of our company, using the pictographic algorithm, appropriate formulas are created and columns are built with attached accounting records. The payroll of the director of the company is drawn up, with appropriate accounting procedures. As an conclusion, we believe that in the future accounting computer programs will be available to users, more complete, refined and adapted to their business. Which ensures the maximum perfection of accounting. This factor is one of the guarantees of a successful business.

Keywords: computer programs, Balance, Oris, digital resources, accounting procedures.

მცირე ინოვაციური ფირმების როლი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში

რინკიაშვილი ნანა

იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი

DOI: <https://doi.org/10.52340/idw.2023.78>

აბსტრაქტი. ინოვაციურობა გადამწყვეტია ყველა ბიზნესისთვის, ვისაც სურს წინ წასვლა ან თუნდაც გააგრძელოს კონკურენცია. მცდარი წარმოდგენაა, რომ ინოვაცია მხოლოდ მსხვილი კომპანიებისთვისაა, რათა გამოიკვლიონ, განავითარონ და მართონ ახალი პროდუქტები და სერვისები. მცირე ფირმები სულ უფრო მეტად აღიარებულნი არიან, როგორც უფრო ინოვაციური. სტატიაში განხილულია ის ფაქტორები, რომლებიც განაპირობებს მცირე ფირმების ინოვაციურობას, დიდ ორგანიზაციებთან შედარებით. დასაბუთებულია მცირე ინოვაციური ფირმების როლი კონკურენტული ეკონომიკის ფორმირებაში, გაანალიზებულია ის დაბრკოლებები რომლებიც დამახასიათებელია მცირე ფირმებისათვის ინოვაციური განვითარების გზაზე და მოცემულია რეკომენდაციები, რომელიც ხელს შეუწყობს მცირე ფირმების ინოვაციური განვითარებას.

საკვანძო სიტყვები: ინოვაციური ეკონომიკა; ინოვაციები; კონკურენტული უპირატესობა; ვენჩურული კაპიტალი; მცირე ინოვაციური ფირმები.

თანამედროვე მსოფლიო გლობალური ეკონომიკური პროცესები სტიმულს აძლევს ინოვაციურ განვითარებას და ამავე დროს ეყრდნობა მას. ინოვაცია გახდა აუცილებელი ყველა თანამედროვე საწარმოსათვის/ ფირმისთვის რომელსაც სურს გადარჩეს სამყაროში, რომელსაც ახასიათებს კონკურენცია, ტექნოლოგიური ცვლილებები, განმეორებადი კრიზისები. ჯერ კიდევ, მე-20 საუკუნის დასაწყისში, ავსტრიელი წარმოშობის ცნობილი ამერიკელი ეკონომისტი ოზეფ შუმპეტერი (1883-1950) წიგნში „ეკონომიკური განვითარების თეორია“ მეწარმეს განსაზღვრავს, როგორც ნოვატორს. მისი მტკიცებით მეწარმის ფუნქციას წარმოადგენს სიახლეების რეალიზაცია, რომლებიც დიდ როლს თამაშობენ ეკონომიკის ზრდის უზრუნველყოფაში [1].

ინოვაციის მნიშვნელობა ნებისმიერი ბიზნესისათვის შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს:

-ინოვაციები ხშირად საჭიროა კომპანიის ადაპტირებისათვის და ცვლილებების, გამოწვევების დასაძლევად;

-ის ხელს უწყობს ზრდას; (ორგანიზაციული და ეკონომიკური ზრდის მიღწევა ინოვაციების მეშვეობით არის გასაღები დღევანდელ მაღალკონკურენტულ მსოფლიოში)

-ის განასხვავებს ბიზნეს მათი კონკურენტებისაგან. (ინოვაცია ქმნის ახალ პროდუქტებსა და სერვისებს ბაზარზე დაუკმაყოფილებელი საჭიროებისა და მოთხოვნილების საპასუხოდ, ის იძლევა პროდუქტებზე და მომსახურებაზე წვდომის საშუალებას, რომლებიც ადამიანებს სწირდებათ პროდუქტიულობისათვის) [2].

ინოვაციურობა გადამწყვეტია ყველა ბიზნესისთვის, ვისაც სურს წინ წასვლა ან თუნდაც გააგრძელოს კონკურენცია. მცდარი წარმოდგენაა, რომ ინოვაცია მხოლოდ მსხვილი კომპანიებისთვისაა, რათა გამოიკვლიონ, განავითარონ და მართონ ახალი პროდუქტები და სერვისები. მცირე კომპანიები სულ უფრო მეტად აღიარებულნი არიან, როგორც უფრო ინოვაციური, ვიდრე მსხვილი კორპორაციები სხვადასხვა მიზეზის გამო. მათ შეუძლიათ ისარგებლონ თავიანთი მოხერხებული სტრუქტურებით და სწრაფი და თამამად რეაგირების უნარით, როდესაც საქმე ეხება ახალი იდეების განხორციელებას ბიზნესში. ეს გამოწვეულია

იმ თავისებურებებით რაც დამახასიათებელია მცირე საწარმოებისათვის მეცნიერულ კვლევითი და საცდელ საკონსტრუქტორო სამუშაოების შესრულებისას. მცირე საწარმოები ამუშავებენ და ითვისებენ ნოვაციებს იმ დარგში, რომლებიც მსხვილ ფირმებს არაპერსპექტულად ან სარისკოდ მიაჩნიათ. მცირე ფირმები ინოვაციების სფეროში მნიშვნელოვან როლს თამაშობენ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების განხორციელებისათვის. მცირე ფირმების შექმნილია ისეთი სიახლეები, როგორცაა პერსონალური კომპიუტერი, მიკროპროცესორი, პროგრამული უზრუნველყოფის მრავალი საშუალება... ეს მიუთითებს მცირე ფირმების მაღალ მეცნიერულ პოტენციალზე. მცირე ბიუჯეტებით და, სავარაუდოდ, უფრო შეკრული გუნდებით, შესაძლებელია თუ არა მცირე ბიზნესისთვის ინოვაციების შექმნა ისეთივე ტემპით, როგორც მსხვილი კორპორაციები? სინამდვილეში, არსებობს რამდენიმე გზა, რომლითაც მცირე კომპანიებს შეუძლიათ უფრო დიდი კონკურენტების ინოვაციების გადალახვა მათი სტრუქტურისა და სისწრაფის გამო, კერძოდ:

1. ახალი იდეების სწრაფად განხორციელების უნარი-ნაკლები იერარქიული ბარიერები ხელსაყრელია ახალი იდეის განსახორციელებლად;

2. უფრო ინტეგრირებული გუნდები-მცირე ფირმებს ჰყავთ უფრო პატარა, უფრო მჭიდროდ შეკრული გუნდები, რომლებიც უკეთესად მუშაობენ საერთო მიზნის მისაღწევად, ვიდრე მსხვილ კორპორაციებს მრავალი განყოფილებით, რომლებიც მიდრეკილნი არიან იმუშაონ საკუთარ დეპარტამენტებში. ეს ნიშნავს, რომ მცირე ზომის გუნდები უფრო მეტად უჭერენ მხარს ბიზნესის ინოვაციის მიზნებს და მენეჯერებისთვის უფრო ადვილია მათთან პირისპირი კომუნიკაცია და ხაზი გაუსვან, თუ რატომ არის ისინი მნიშვნელოვანი და რა სარგებელს მოუტანს ახალი კონცეფცია მთელ ბიზნესს.

3. უფრო სწრაფად ადაპტირება-მცირე ფირმები უკეთ ეგუება ბაზრის ცვლილებებს. ისინი ხშირად უფრო ახლოს არიან თავიანთ მომხმარებლებთან, რაც მათ უკეთეს მდგომარეობაში აყენებს კლიენტებისგან ინფორმაციის მოპოვებაში, ეს მათ საშუალებას აძლევს სწრაფად და ხშირად მინიმალური ინვესტიციით განახორციელონ პოზიტიური, ინოვაციური ცვლილებები მომხმარებელთა მოთხოვნის დაკმაყოფილებაში.

კრიზისები, სხვადასხვა სახის გამოწვევების წინაშე აყენებს ბიზნეს და განსაკუთრებით მცირე ფირმებს რომლებიც იწყებენ ბრძოლას არა განვითარებისათვის არამედ გადარჩენისათვის. COVID-19-ის ეპიდემიამ უარყოფითი გავლენა მოახდინა ქვეყნის ეკონომიკაზე. შეზღუდვებმა გამოიწვია საქონლის მოთხოვნა-მიწოდების სისტემის დამახინჯება და შეანელა მტელი ქვეყნის ეკონომიკა. პანდემიის შედეგები იგრძნობოდა ეკონომიკის ყველა სექტორში და განსაკუთრებით კი მცირე საწარმოებში. ისინი აღმოჩნდნენ ფინანსური, ადამიანური და საწარმოო რესურსების დეფიციტის წინაშე, რამაც შეასუსტა წარმოების პროცესი, ამას დაემატა სამომხმარებლო ხარჯების, მომხმარებელთა შემოსავლების შემცირება და გაურკვეველობის განცდა. შედეგად ბევრი მცირე ფირმა აღმოჩნდა უუნარო და გავიდა ბაზრიდან. რატომ უნდა სახელმწიფომ და ბევრმა არასამთავრობო ორგანიზაციამ გაუწია დახმარება მცირე და საშუალო საწარმოებს. მცირე ფირმებმა რომლებიც სწრაფად გადავიდნენ ციფრულ მარკეტინგზე, გამოიყენეს ეფექტურად როგორც პირდაპირი ისე არაპირდაპირი გარე დახმარები, შეიმუშავეს გაყიდვების ახალი ონლაინ მეთოდები გადარჩენენ. მათ გამოიყენეს ის ცოდნა და ინფორმაცია რომელიც აუცილებელია კონკურენტული პოზიციის გასამდიერებლად და მომავალი კეთილდროების შანსების გაზრდისათვის. COVID-19-ის პანდემიამ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ ინოვაციური მიდგომებით შესაძლებელია კონკურენტუნარიანობის ამაღლება და სწრაფი განვითარება.

მცირე ფირმების ინოვაციურ შესაძლებლობებზე საუბრისას, მნიშვნელოვანია აღინიშნოს „გარე“ მხარდაჭერის როლი, კერძოდ აქ მოიაზრება პირდაპირი და არაპირდაპირი მხარდაჭერა. პირდაპირი გარე მხარდაჭერა ჩვეულებრივ იღებს ფინანსური დახმარების ფორმას, რომელიც გამოიყენება აქტივების, ტექნოლოგიების შესაძენად ან განვითარებისათვის დაფინანსების დეფიციტის პრობლემის განვითარებაში. არანაკლებ მნიშვნელოვნად მიგვაჩნია არაპირდაპირი გარე მხარდაჭერა, რომელიც იღებს

კონსულტაციის, რჩევების სახეს, რომელსაც ექსპერტები, საკონსულტაციო ოფისები, საგანმანათლებლო დაწესებულებები აწვდიან მცირე ფირმის მენეჯერებს, რათა აღმოფხვრან ცოდნის ნაკლებობა და გაზარდონ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა. ხშირია შემთხვევა, როცა მცირე ფირმები ნაკლებად სარგებლობენ ასეთი მხარდაჭერით ინფორმირებულობის ნაკლებობის გამო და საწარმოს მენეჯერი არ შეუძლიან აირჩიოს შესაბამისი ტიპის მხარდაჭერა.

მიუხედავად ქვეყნის მდგრად ეკონომიკურ განვითარებაში მცირე ფირმების მნიშვნელობისა, ისინი ინოვაციურ განვითარების გზაზე აწყდებიან დიდ დაბრკოლებებს, რაც გამოწვეულია გარე ფაქტორებით. ეს განსაკუთრებით დამახასიათებელია განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკისათვის, რომლებიც ხასიათდებიან სუსტი ეკონომიკური სისტემებით. სუსტი ეკონომიკები მნიშვნელოვნად ზრდის ახალი პროდუქციის, მომსახურების დანერგვის ღირებულებას, ახალ ტექნოლოგიებში დაბანდებული ინვესტიციების ანაზრაურებას. მცირე ფირმების ინოვაციურ განვითარების ხელშემშლელ ფაქტორებს წარმოადგენს აგრეთვე არაადეკვატური სპეციალიზირებული დაფინანსებები, კვალიფიციური მუშახელის დეფიციტი, მაღალი “ ბარიერი ” ბაზარზე ახალი ფირმების შესასვლელად, ინტელექტუალური საკუთრების არაეფექტური დაცვა.

ჩვეულებრივ მცირე ინოვაციური ფირმების გვერდში, ტექნიკური სიახლეებისა და დანერგვის სფეროში, ფუნქციონირებენ კიდევ უფრო მობილური და პერსპექტიული ვენჩურული მცირე ფირმები, რომლებიც იყენებენ ვენჩურულ დაფინანსებას და ვენჩურულ კაპიტალს. ვენჩურულმა ბიზნესმა განვითარება პოვა 1950 წლებში დაიწყო, როცა აშშ-ში შეიქმნა სახელმწიფო სპეციალიზირებული ინსტიტუტი SBA (Small Business Investment Comp) მცირე ბიზნესის საინვესტიციო კომპანიები, რომელთა კერძო კაპიტალის უზრუნველყოფა ხდებოდა სახელმწიფო და კერძო წყაროებით შეღავათიანი სასესხო პირობით. ვენჩურული ბიზნესის ბუმი აშშ-ში დაიწყო 1979 წელს, როცა ცვლილებებმა საპენსიო ფონდების კანონებში, საშუალება მისცა მათ მართველებს მოეხდინათ ინვესტირება ვენჩურში.

1990 წლებში განვითარებულ ქვეყნებში დაიწყო უპრეცედენტო ვენჩურული ბუმი. რადგან მოგების საშუალო დონემ მაღალრისკულ ინვესტიციებში მიაღწია 160%. მომდევნო წლებში კი შემოსავლებმა იკლო რაც გახდა შემდგომი ვენჩურული კომპანიების გადაფასების ინტერნეტ ტალღის დაცემის პირობებში. სირთულეების ათვისება შეუძლიათ მხოლოდ პროფესიულ ინოვაციურ მენეჯერებს, რომლებიც ფლობენ ბიზნესის დინამიკის ცოდნას ცალკეულ კლასტერებში და ადევნებენ თვალყურს სიახლეთა ბაზრის კონსტრუქტურის ცვლილებას.

ამერიკული ტიპის ვენჩურით გატაცებამ, რომელმაც გადაფარა მთელი მსოფლიოს ყველა ინოვაციური სისტემა, გამოიწვია არმარტო წარმატება არამედ წარუმატებლობაც. ბევრ ქვეყნებში, განსაკუთრებით საბაზრო ეკონომიკის ახალგაზრდა ქვეყნებში აქ აუცილებელია შეიქმნას საკუთარი ვენჩურული სისტემა. ვენჩურული ბიზნესის მიზნობრივი სტრუქტურები არა მარტო ამზადებენ სიახლეებს შემდგომი წარმატებული კომერციალიზაციისათვის, არამედ წარმოქმნიან ახალ კონკურენტუნარიან მეურნე სუბიექტს ქსელს, რომლებიც ინიცირებენ ძირულ ცვლილებებს წარმოების ტექნოლოგიაში, ეკონომიკის სტრუქტურის დახვეწაში და მისი ფუნქციის ორგანიზაციაში. ვენჩურული ფირმა ან გადაიქცევა კორპორაციის ერთ-ერთ ძირითად სტრუქტურად ან ჩაიყლაპება (გაიყიდება) დაინტერესებული ფირმით ან გადის ბაზარზე დამოუკიდებლად.

ქვეყნისათვის ძალიან დიდია ვენჩურული ბიზნესის განვითარების მნიშვნელობა. ვენჩურული ბიზნესი ახდენს ახალი ინოვაციური ინვესტირების ამალგას, ასტიმულებს ინვესტორებს დააბანდება განახორციელონ ახალი ტექნოლოგიების სარისკო პროექტებში, ახალ პროდუქციაში, ახალ მომსახურებაში, რომელთა განსახორციელებლად მოწოდებულნი არიან მცირე ინოვაციური ფირმები. ეს ფირმები უზრუნველყოფენ ახალ სამემოსავლო გადასახადებს, ქმნიან ახალ სამუშაო ადგილებს. აფართოებს საკონსულტაციო სფეროს მომსახურებას, ფართოვდება შიდა მოხმარების ბაზარი, ყველაფერი ეს კი იწვევს ინოვაციური

ეკონომიკის განვითარებას. დიდი წინგადადგმული ნაბიჯია საქართველოს ვენჩურული კაპიტალის ასოციაციის (GVGA) დაარსება რომლებიც ხელს უწყობს საწყის ეტაპზე მყოფი ინოვაციური კომპანიების საქმიანობას [5], სწორედ Start Up-ები წარმოადგენს მცირე ინოვაციურ ფირმებს და მათი სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერა მნიშვნელოვანია ინოვაციური ეკონომიკის ფორმირებისათვის. რა თქმა უნდა ვენჩურული მცირე ბიზნესის ჩამოყალიბებას და განვითარებას სჭირდება ხელსაყრელი ბიზნეს გარემო. ასეთ გარემოს ქმნის პოლიტიკური; ეკონომიკური; სოციალური და ფსიქოლოგიური ფაქტორების ერთობლიობა.

ქვეყანაში მცირე ინოვაციური ფირმების განვითარებისათვის მნიშვნელოვანია: ხელსაყრელი საკანონმდებელი და საგადასახადო კანონმდებლობა, რომელიც მიმართული იქნება მცირე მეწარმეობის და განსაკუთრებით ინოვაციური მცირე მეწარმეობის განვითარებაზე; განვითარებულ საბანკო და ვენჩურულ ფოდები; სახელმწიფო დახვეწვაზე ახალი ინოვაციური რისკების შესამცირებლად, სახელმწიფოს თანამონაწილეობა ინოვაციური საქმიანობის დასაფინანსებლად.

მსოფლიოს რადიკალურ სიახლეებსა და ტექნოლოგიებზე ეფექტიანი წვდომა, ხელმისაწვდომობა, რომლებიც განსაზღვრავენ ეკონომიკური განვითარების ტემპს, ხორციელდება ეროვნული ინოვაციური სისტემებით იმ შემთხვევაში, როცა ქვეყნის ინოვაციური პოტენციალი არის საკმაოდ კონკურენტული. საქართველოს ეროვნული ინოვაციური სისტემა ამჟამად მხოლოდ ფორმირდება და საკმაოდ ჭრელ სურათს წარმოადგენს. სადაც საბჭოთა ინდუსტრიის ორგანიზაციული ნამსხვრევები გადახლართულია მსხვილ და საშუალო კორპორაციების ინოვაციური ქვედანაყოფებთან, მეცნიერთევადი ბიზნესის მცირე ფორმებთან. ეს მრავალსახეობა მრავალფეროვნება არ არის ეროვნული ინოვაციური სისტემის სპეციფიკა, არამედ ის მსოფლიო გამოცდილების ანარეკლია. საჭიროა სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა მიმართული იქნას მცირე ინოვაციური ფირმების შექმნის სტიმულირებაზე, რადგან ისინი ხელს უწყობენ ქვეყნის სტაბილურ განვითარებას. ინოვაციები ყოველთვის იწვევს არამარტო ეკონომიკურ არამედ სოციალურ შედეგებსაც, რომელთა დადებითი ხასიათი აძლიერებს მათ გავლენას ცხოვრების დონეზე.

ლიტერატურა:

1. Joseph A Schumpeter .(2012).Theory of Economic development, with a New Introduction by John E. Elliot. Transaction Publishers.
2. <https://online.hbs.edu/blog/post/importance-of-innovation-in-business>
3. H. Tian, C.S.K. Dogbe, W.W.K. Pomegbe, S.A. Sarsah, C.O.A. Otoo
4. F. Manzoor, L. Wei, N. Sahito (2021), The role of SMEs in rural development: access of SMEs to finance as a mediator. PLoS One, 16 (3)
5. https://www.gvca.ge/ka_GE/web/content?content_id=1

The role of small innovative firms in the economic development of the country

Rinkiashvili Nana

Iakob Gogebashvili State University, Telavi

Abstract

Innovation is critical for any business that wants to get ahead or even stay competitive. It is a misconception that innovation is only for large companies to research, develop and manage new products and services. Smaller firms are increasingly recognized as more innovative. In the

article we discuss the factors that determine the innovativeness of small firms, compared to large organizations. The role of small innovative firms in the formation of a competitive economy is substantiated, the obstacles that are typical for small firms on the way to innovative development are analyzed, and recommendations are given that will support the innovative development of small firms.

Key words: innovative economy; innovations; competitive advantage; venture capital;
Small innovative firms

რეგიონის მდგრადი განვითარების კონცეპტუალური საკითხები

ჩაგელიშვილი-აგლაძე ლალი

საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი ჯიუ, თბილისი

გონაშვილი მაია

კავკასიის უნივერსიტეტი, თბილისი

დალაქიშვილი-ჭიჭინაძე რუსუდან

დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია,
თბილისი

DOI: <https://doi.org/10.52340/idw.2023.79>

აბსტრაქტი. ქვეყნის ეკონომიკის მდგრადი განვითარებისათვის მეტად მნიშვნელოვანია რეგიონების მდგრადი განვითარება, მათი ეკონომიკური პოტენციალის სრულად და ეფექტიანად გამოყენება. საქართველოს მეტად მდიდარი რეგიონული პოტენციალი გააჩნია, რომელთა მიზანმიმართული და რაციონალური გამოყენება უზრუნველყოფს რეგიონის ეკოლოგიურ უსაფრთხოებას და მდგრადი განვითარების ხელშეწყობას. აღნიშნულის შედეგად კი მიიღწევა რეგიონის ეკოლოგიური და სოციალური ეფექტიანობა.

ეკოლოგიური პრობლემები გლობალური პრობლემების კატეგორიას მიეკუთვნებიან, მათი სწორი გადაჭრა ხელს შეუწყობს ისეთი საკითხების წამატებით განხორციელებას, როგორებიცაა: განახლებადი რესურსების კვლავწარმოება, ალტერნატიული რესურსების ეფექტიანად ჩანაცვლება, მეორადი ნარჩენების გამოყენება, გარემოს დაბინძურების შემცირება და სხვა.

ნაშრომში გაანალიზებულია საქართველოს რეგიონული პოტენციალი და წარმოდგენილია მდგრადი განვითარების ძირითადი მიმართულებები.

საკვანძო სიტყვები: მდგრადი განვითარება, სოციალური უთანასწორობა; ეკონომიკური უსაფრთხოება; სტრატეგიული პრიორიტეტები, პროდუქტულობა

შესავალი

ტერმინი, მდგრადი განვითარება ახალი არ არის. მის შესახებ საუბარი ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს დაიწყო. პირველად მას გაეროს მოხსენებებში ვხვდებით, სადაც მდგრადი განვითარების არსი, ეკონომიკის უწყვეტ განვითარებასთან, გარემოს დაცვასთან სიღარიბის დამლევასა და უთანასწორობის დამლევასთანაა დაკავშირებული. ყოველივე აღნიშნულის მიღწევა კი ეკონომიკური განვითარების შედეგადაა შესაძლებელი.

გარემოს დაცვის საკითხი, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია, რომელსაც მსოფლიოს განვითარებული საზოგადოება და საერთაშორისო ორგანიზაციები პირველი რიგის ამოცანად ასახელებდნენ 80-ან წლებში. ეკოლოგიური პრობლემები გლობალური პრობლემების კატეგორიას მიეკუთვნებიან, მათი სწორი გადაჭრა ხელს შეუწყობს ისეთი საკითხების წამატებით განხორციელებას, როგორებიცაა: განახლებადი რესურსების კვლავწარმოება, ალტერნატიული რესურსების ეფექტიანად ჩანაცვლება, მეორადი ნარჩენების გამოყენება, გარემოს დაბინძურების შემცირება და სხვა.

2015 წელს გაეროს მიერ შემუშავებულ იქნა ახალი მდგრადი განვითარების დღის წესრიგის დოკუმენტი, სადაც დეტალურადაა ჩამოყალიბებული მდგრადი განვითარების მიზნები და ამოცანები. დოკუმენტს დაემატა სოციალური ინკლუზიის საკითხი, რაც საზოგადოების ყველა ფენის თანასწორობის და საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართულობის

პრობლემების გადაჭრას უწყობს ხელს.

ანალიზი

ქვეყნის ეკონომიკის მდგრადი განვითარებისათვის მეტად მნიშვნელოვანია რეგიონების მდგრადი განვითარება, მათი ეკონომიკური პოტენციალის სრულად და ეფექტიანად გამოყენება. საქართველოს მეტად მდიდარი რეგიონული პოტენციალი გააჩნია, რომელთა მიზანმიმართული და რაციონალური გამოყენება უზრუნველყოფს რეგიონის ეკოლოგიურ უსაფრთხოებას და მდგრადი განვითარების ხელშეწყობას. აღნიშნულის შედეგად კი მიიღწევა რეგიონის ეკოლოგიური და სოციალური ეფექტიანობა, მწვანე ეკონომიკის განვითარება.

ამ მხრივ მეტად საინტერესოა გაეროს მდგრადი განვითარების მეშვიდე და მერვე მიზნები, რომლებიც ორიენტირებული არიან ენერგოეფექტურობის (წყლის რესურსები, მზის ენერჯია), მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარებას, დასაქმების ხელშეწყობასა და მათ მუდმივ ზრდასა და განვითარებაზე.

მდგრადი განვითარების არსი მდგომარეობს ტერიტორიული, ეკონომიკური და სოციალური უთანაბრობების დაძლევისა და აღმოფხვრაში. აღნიშნული კიდეც უფრო მნიშვნელოვანი ხდება, როცა ქვეყანას ისეთი სტრატეგიული ფუნქცია აკისრია, როგორცაა სატრანსპორტო დერეფანი ევროპასა და აზიას შორის. ევროპული სტანდარტების გამართული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს კაპიტალის მოზიდვას ქვეყანაში. ამ მხრივ მნიშვნელოვანი სამუშაოებია განხორციელებული საავტომობილო გზების მშენებლობის მიმართულებით, მაგრამ გასაკეთებელი ბევრია, როგორც სახმელეთო-საგზაო, ასევე სარკინიგზო, საჰაერო და საზღვაო მაგისტრალების გასამართად, ტვირთების უწყვეტი და უსაფრთხო გადაზიდვის უზრუნველსაყოფად.

რეგიონის მდგრადი განვითარების მიზანს წარმოადგენს და ქალაქსა და სოფელს შორის განსხვავების აღმოფხვრა, რაც ძალზე მნიშვნელოვანია საქართველოს რეგიონული განვითარებისათვის. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, ეკონომიკური უთანასწორობა მაღალია თბილისისა და რეგიონებს შორის. თბილისი ქვეყნის მთლიანი ეკონომიკის 50%-ს შეადგენს. შემდეგ მოდის აჭარა, რომელიც მშპ-ს მხოლოდ 9%-ს შეადგენს. ხოლო ყველაზე ნაკლები მშპ-ს წილი 0.6% რაჭა ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთზე მოდის.

საქართველოს რეგიონების ინფრასტრუქტურული მოწყობა უპირველეს ყოვლისა მის საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარებასთანაა დაკავშირებული. ამასთან ერთად, მნიშვნელოვანია ენერგეტიკისა და წყლის რესურსებით რეგიონების უზრუნველყოფა. საქართველოს რეგიონების მხოლოდ 70%-ია უზრუნველყოფილი გაზომომარაგებით. ბუნებრივი გაზის მიწოდებით პირველ ადგილზეა თბილისი, ხოლო ყველაზე ნაკლებად გაზიფიცირებულია ზემო სვანეთი, აჭარა, სამეგრელო და რაჭა-ლეჩხუმი.


ელექტროენერჯის სრული მიწოდება ჯერ კიდევ არ ხდება კახეთის რეგიონის და ქართლის სოფლების 10%-ში, ხოლო თუ მთლიანად საქართველოს წყალმომარაგების სისტემის სომხეთის, მოლდოვას, სლოვაკეთს და ბალტიის ქვეყნებთან შედარება მოხდება, ვნახავთ, რომ 100%-იანი წყალმომარაგებით ხასიათდებიან საქართველო, სომხეთი და სლოვაკეთი. მათ ჩამორჩება მოლდოვეთი 88,4 %-იანი მაჩვენებლით; 100%-იან ნიშნულთან ახლოს არიან ესტონეთი და ლატვია.

ეკოლოგიური კუთხით საყურადღებოა წყალარინების მდგომარეობა, რაც როგორც ქალაქად ასევე რეგიონების მიხედვით ჯერ კიდევ არ არის სასურველ დონეზე.

ეკონომიკური და სოციალური უთანასწორობების შეფასება გვიჩვენებს, რომ 2022 წლისათვის ეკონომიკურმა ზრდამ 10.0% შეადგინა. ხოლო ისეთი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები როგორებიცაა: მშპ ერთ სულ მოსახლეზე, უმუშევრობის დონე და ინფლაცია შემდეგნაირად არიან წარმოდგენილი

ინფლაციის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 2021 წელს დაფიქსირდა და 113.90% შეადგინა; 2022 წლისათვის კი მისი მაჩვენებელი 105.30% ნიშნულზე დავიდა. რეალური მშპ-ს ზრდა იმავე პერიოდებში -6.8%- 10.5%-ის ტოლია.

სქემა 1.2.*



უქემა აგებულია სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2022 წლის მონაცემების საფუძველზე

რა მდგომარეობაა აღნიშნულის ფონზე სოციალურ-ეკონომიკური ინდიკატორების მიხედვით?


ოფიციალური მონაცემების მიხედვით (სტატისტიკის ეროვნული სააგენტო (2016-2022)), დასაქმებულების წილი შრომისუნარიანი სამუშაო ძალის მიხედვით 2016 წლისათვის 43.8% შეადგენდა, 2022 წლის მონაცემებით კი მხოლოდ 44.1%-ია; უმუშევრობის მაჩვენებელი 24.8%-დან 18.3%-მდე შემცირდა. იმავე პერიოდში უმუშევრობა სოფლად შეადგენდა შესაბამისად 16.9% - 15.7%. დასაქმების მაჩვენებელი კი სოფლად 41-9%-41.5% ხასიათდება.

რაც შეეხება დასაქმებისა და უმუშევრობის მაჩვენებლებს საქართველოს რეგიონების მიხედვით შემდეგია:

2021 წლის მონაცემებით უმუშევრობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი რაჭა-ლეჩხუმსა - 30%, ქვემო ქართლში - 25.2%, იმერეთსა - 23% და შიდა ქართლშია - 22.3%, ხოლო 2022 წლის მიხედვით, ასე გამოიყურება: ქვემო ქართლში - 22.9%, თბილისი -19.5%, იმერეთი -19.4%.

დასაქმების მიხედვით 2021 და 2022 წელს ლიდერობს კახეთის რეგიონი შესაბამისად 47.7%-ით და 48.7%-ით, შემდეგ მოყვება გურია 45,4% და 48.4% და 2021 წელს აჭარა 45,3%, ხოლო 2022 წელს-სამცხე-ჯავახეთი-46.4%. აღნიშნული რადიკალურად განსხვავდება 2016 წლის მაჩვენებლებისაგან, სადაც უმუშევრობის მიხედვით ლიდერობდა აჭარა 31%-ით, ხოლო დასაქმების მაჩვენებლით პირველი სამეული ასე გამოიყურებოდა: 49.4% ლიდერი იყო ქვემო ქართლი, შემდეგ კახეთი -43.7% და სამეგრელო-ზემო სვანეთი -43.5%

დასაქმების % მაჩვენებელი რეგიონების მიხედვით, სქემა 1.3.*



უქემა აგებულია ავტორთა მიერ სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2022 წლის მონაცემების საფუძველზე

საანალიზო პერიოდში მკვეთრად შეიცვალა სურათი თბილისის მასშტაბით. დასაქმების მაჩვენებელი აქ 43.4%-დან 41.3%-მდე დავიდა და შემდეგ 2022 წელს ისევ გაიზარდა 43.1%-მდე, ხოლო უმუშევრობის მაჩვენებელი გაიზარდა და 2021 წელს -23.8% შეადგინა და 2022 წელს მცირედ შემცირდა და -19.5%. აღნიშნული დინამიკის შედარებამ შესრულებული სამუშაოების პროდუქტულობლობასთან, დაგვანახა, რომ სპეციალიზებული სამუშაოების შესრულების მიხედვით, თბილისში ადგილი აქვს სამუშაო ძალის დაბალ პროდუქტულობას, რაც უთანასწორობისა და დაბალი ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს.

სოციალური უზრუნველყოფის მომსახურებათა გაუმჯობესების თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია ჯანდაცვის სისტემის განვითარება, როგორც საქართველოს დედაქალაქის (თბილისი), ასევე რეგიონების მიხედვით. პანდემიის პერიოდმა ცხადყო, რომ ამ მხრივ საქართველოს მასშტაბით არასათანადო მდგომარეობა გვაქვს. უფრო მეტიც, გარდა ტექნიკური ბაზისა, საავადმყოფოების, ამბულატორიული ცენტრებისა და სხვა ჯანდაცვის სამკურნალო დიაგნოსტიკური და სარეაბილიტაციო სტრუქტურების არასაკმარისი რაოდენობისა, რეგიონებში არაა საკმარისი კვალიფიციური მდპერსონალი, მწირია ადგილობრივ ბიუჯეტებში ჯანდაცვის სფეროს განვითარებისათვის გამოყოფილი ფინანსური რესურსი, ასევე რეგიონის ჯანდაცვის მომსახურების ობიექტებს არ აქვთ საკმარისი რაოდენობის (ზოგიერთ შემთხვევაში საერთად არ არსებობს) საჭირო/აუცილებელი მედიკამენტები და სამკურნალო პრეპარატები, სამედიცინო ტექნიკა და თანამედროვე ლაბორატორიული აღჭურვილობა.

სოციალური განვითარების მნიშვნელოვანი ინდიკატორია პროფესიული განვითარების და უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის შედეგად გაზრდილი პროფესიული და კვალიფიციური კადრი, რომელიც დააკმაყოფილებს დასაქმების ბაზრის მოთხოვნებს და უზრუნველყოფს ქვეყნის უსაფრთხო განვითარებას. სამწუხაროდ, დასაქმების ბაზრის ანალიზი და უმუშევრობის არსებული დინამიკა მეტყველებს იმაზე, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებების უმრავლესობა ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყოფს, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი კადრების, დასაქმების ბაზრისათვის მიწოდებას და ზემოთ აღნიშნული პროდუქტულობის დაბალი დონეც სწორედ აღნიშნულზე მეტყველებს.

დასკვნა

რეგიონის მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად აუცილებელია ყველა იმ საჭიროებებისა და პოტენციალის გამოვლენა, რომელთა მეშვეობითაც უნდა განხორციელდეს რეგიონის მდგრადი განვითარების პოლიტიკა. გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად მნიშვნელოვანია ევროპის საუკეთესო გამოცდილების შესწავლა, მის რეგიონის შესაძლებლობებთან ჰარმონიზება და ცხოვრებაში რეალიზება.

მხოლოდ ამოცანების განხორციელება არ არის საკმარისი მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად. მეტად მნიშვნელოვანია შედეგების მიზნებთან შესაბამისობის დადგენა და მისი ხარისხის გაზომვა, რათა მიმდინარე პერიოდის ამოცანების შესრულებისას აღმოჩენილ იქნას ის ნაკლოვანებები და უზუსტობები, რაც ხელს შეუშლის მდგრადი პოლიტიკის სრულფასოვან შესრულებას და სოციალური თანასწორობისა და ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფას. ეს უკანასკნელი დღეისათვის ჯერ კიდევ მნიშვნელოვან პრობლემად რჩება არა მხოლოდ რეგიონებისთვის, არამედ მთლიანად ქვეყნისათვის. საერთაშორისო ორგანიზაციების ანალიზის შედეგების მიხედვით, საქართველო სოციალურად ყველაზე უთანასწორო ქვეყნების რიგშია. აღნიშნულზე, დაზუსტებული Gini კოეფიციენტი მეტყველებს.

ამდენად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რეგიონებმა მდგრადი განვითარების პოლიტიკის დოკუმენტში სწორად განსაზღვრონ შესაძლებლობები, მოკლე და გრძელვადიანი მიზნები, მიზნების შესრულების ინდიკატორები და სამიზნე ნიშნულები. განახორციელონ საკუთარი შესაძლებლობებისა და მიღებული შედეგების ანალიზი. გამოიყოს სუსტი ადგილები და შესაძლებლობების სწორი და მაქსიმალური გამოყენებით უზრუნველყონ

რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური მდგრადი განვითარება.

ჩატარებული ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ საქართველოში დაბალი პროდუქტულობით ხასიათდება სამუშაო ძალა. რა არის აღნიშნულის მიზეზი? განათლების და ცოდნის დაბალი დონე? (არასკამრისი კვალიფიკაცია, ტექნიკური უნარები) სამუშაოსადმი არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულება, თუ კიდევ სხვა ფაქტორები (სუსტი ადმინისტრირება, დაბალი მოტივაცია და სხვ.).

კითხვაზე პასუხის გასაცემად მოვახდინეთ ქალაქად და სოფლად გამოყენებული სამუშაო ძალისა და მათგან მიღებული შედეგების შედარება. აღმოჩნდა, რომ სოფლად დაბალი ანაზღაურების და ზოგადად არასწორი ანაზღაურების პოლიტიკის გამო, სპეციალიზებულ სამუშაო ძალას გააჩნია დაბალი მოტივაცია, მაღალი მწარმოებლურობით შეასრულოს სამუშაო; აღნიშნულს ემატება ასევე სოფლად სამუშაო ადგილების სიმწირეც. სამუშაო ადგილების არ არსებობის გამო, უმუშევრად დარჩენილი რეგიონის სამუშაო ძალა ქალაქში ეძებს დასაქმებას და ძირითადად არასპეციალიზებულ სამუშაოს ასრულებენ, სადაც შესაბამის პროდუქტულობას ვერ აჩვენებენ.

ხშირად ვხვდებით ისეთ კადრს, რომელსაც აკლია კვალიფიკაცია და სათანადო უნარები სამუშაოს მაღალ მწარმოებლურ დონეზე შესასრულებლად. საქართველოს ბაზარზე მოქმედი კომპანიების გამოკითხვებმა ცხადყვეს, რომ გამოკითხულთა 62% არ ანხორციელებდა ადამიანური რესურსების განვითარების პოლიტიკას და ამ მიმართულებით არ ხდებოდა კაპიტალის აკუმულირება.

ამდენად, ყოველივე ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, გამოიკვეთა ის შესაძლებლობები, რომელთა განხორციელებაც უზრუნველყოფს რეგიონში თანასწორობის და სამართლიანობის პრინციპების დამკვიდრებასა და განვითარებას, სოციალურ-ეკონომიკურ ზრდას და მდგრად განვითარებას:

1. რეგიონის ინფრასტრუქტურის მოწყობა/განვითარება
2. რეგიონის პრიორიტეტების სწორად განსაზღვრა;
3. შესაძლებლობების შესწავლა და განსაზღვრა;
4. რეგიონის სტრატეგიული განვითარების დოკუმენტის სწორად შემუშავება და ევროპის მოთხოვნებთან ჰარმონიზება;
5. სტრატეგიული მიზნების ამოცანების, ინდიკატორებისა და სამიზნე ნიშნულების შემუშავება;
6. სამოქმედო გეგმების შემუშავება;
7. ინდიკატორებისა და სამიზნე ნიშნულების შესრულების ანალიზი;
8. SWOT და PEST ანალიზის განხორციელება და სუსტი ადგილების დაძლევაზე ღონისძიებების შემუშავება;
9. სისუსტეების დაძლევის მიზნით და შესაძლებლობების სრული გამოყენებისათვის დაგეგმილი ქმედებებით მიღებული შედეგები ანალიზი;
10. კონკურენციის ანალიზის საფუძველზე, კონკურენტული უპრატესობების სრულფასოვნად განოყენება და ახალი პრიორიტეტების შემუშავება/ შექმენა.

ლიტერატურა:

7. საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამა 2018-2021
8. საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების 2019-2023 წლების სტრატეგია
9. მაღალმთიანი დასახლებების განვითარების 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმა
10. მდგრადი განვითარების ანგარიში 2021: მიმოხილვა და საქართველოს შედეგები; IDFI-2021;PDF
11. გაეროს მდგრადი განვითარების თანამშრომლობის ხელშეკრულება 2021-2025; თბ.2020
12. ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია; საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო; <https://mfa.gov.ge/national-security-concept>
13. მსოფლიო ბანკი, საქართველო (2020 წლის აპრილი). <https://www.worldbank.org/en/country/georgia/overview#3>
14. “გლობალური ეკონომიკური პერსპექტივები“, მსოფლიო ბანკი, ივნისი, 2020, <http://hdl.handle.net/10986/33748>

Conceptual Issues of Sustainable Development of the Region

Chagelishvili-Agladze Lali

Georgian International University CIU

Gonashvili Maya

Caucasus University, Tbilisi

Dalakishvili-Chichinadze Rusudan

David Agmashenebeli National Defence Academy of Georgia

Abstract

Sustainable development of regions, full and effective use of their economic potential is very important for the sustainable development of the country's economy. Georgia has a very rich regional potential, the purposeful and rational use of which ensures the ecological security of the region and promotion of sustainable development. As a result of this, the ecological and social effectiveness of the region will be achieved.

Environmental problems belong to the category of global problems, their correct solution will contribute to the successful implementation of such issues as: reproduction of renewable resources, effective replacement of alternative resources, use of secondary waste, reduction of environmental pollution and others.

The paper analyzes the regional potential of Georgia and presents the main directions of sustainable development.

Keywords: *Sustainable Development, Social Inequality; Economic Security; Strategic Priorities; Productivity*

დაგროვებითი საპენსიო სისტემის რეგულირება და გამოწვევები საქართველოში

ჭიოტაშვილი დავით

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, გორი
ORCID-0000-0002-2500-6252

ჩიტაძე ხალიანა

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, გორი
ORCID-0000-0001-6795-9484

DOI: <https://doi.org/10.52340/idw.2023.80>

აბსტრაქტი. საქართველოში ეკონომიკური სტაბილურობის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმატებული ეკონომიკური რეფორმების განხორციელება წარმოადგენს. ეკონომიკური მდგრადობის და ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვან ელემენტს სავალდებულო დაგროვებითი საპენსიო სისტემის რეფორმა უზრუნველყოფს, რომელიც საქართველოში 2019 წლიდან დაიწყო და დღემდე წარმატებით ხორციელდება. მაგრამ, პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ ნებისმიერი გრძელვადიანი და მასშტაბური რეფორმის განხორციელება და რეგულირება დგას გარკვეული გამოწვევების წინაშე, რომელიც მოითხოვს რეფორმის ღრმა ანალიზს და განვითარების რეგულირების ეფექტური მექანიზმების შემუშავებას. დაგროვებად სავალდებულო საპენსიო სისტემის რეფორმას საზოგადოების დაბალი საინვესტიციო კულტურიდან გამომდინარე, დიდი სოციალური მნიშვნელობა აქვს და ხასიათდება მალაღობრივი ინტერესით.

საკვანძო სიტყვები: საპენსიო სისტემა, დაგროვებადი საპენსიო რეფორმა, საპენსიო დაზღვევა, საპენსიო რისკი, საპენსიო სქემა.

შესავალი

საქართველოში, საზოგადოების მოკრძალებული საინვესტიციო კულტურიდან გამომდინარე ადამიანები ხშირად საკუთარი ნებით არ ზოგავენ, რათა უზრუნველყონ სტაბილური და ბედნიერი სიბერის დაზღვევა. საზოგადოების ფინანსური სტაბილურობა საპენსიო ასაკში ნებისმიერი ქვეყნის მნიშვნელოვანი მიღწევაა და სოციალური ეკონომიკის განვითარების მყარ საფუძველს წარმოადგენს.

ნებაყოფლობითმა საპენსიო სქემებმა არ გაამართლეს ბევრ ქვეყანაში და მათ შორის არც საქართველოში. გამომდინარე აქედან 2019 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ძალაში შევიდა ახალი სავალდებულო დაგროვებითი საპენსიო სისტემა, რომელშიც ავტომატურად გაწევრიანდა დასაქმებული საქართველოს ყველა მოქალაქე და საქართველოში მუდმივად მცხოვრები უცხო ქვეყნის მოქალაქე.

სავალდებულო საპენსიო სისტემა შეიძლება განვიხილოთ, როგორც საპენსიო ასაკში ფინანსური სტაბილურობის და სიღარიბის დაძლევის საუკეთესო საშუალება, მაგრამ მაინც არსებობს პრობლემური საკითხები და კითხვები რეფორმასთან დაკავშირებით:

- რამდენად გამართულად და ეფექტურად წარიმართა საპენსიო რეფორმის დაფუძნება საქართველოში და უზრუნველყო თუ არა ქვეყნის სოციალურ ეკონომიკური მდგრადობის დინამიური ზრდა?
- სამართლიანია თუ არა მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის საპენსიო მომსახურების ერთგვაროვანი მიდგომა?

- რამდენად სწორად წარიმართა არსებული და მოსალოდნელი რისკების იდენტიფიცირება და მართვა, როგორია საზოგადოების დამოკიდებულება საპენსიო სისტემის განვითარების მიმართ?
- რამდენად მიზანმიმართულად და ეფექტურად მიმდინარეობს დაგროვილი ფინანსური რესურსების საინვესტიციო პოლიტიკა?
- რა პრობლემების და გამოწვევების წინაშე დგას საპენსიო სისტემა და რა პერსპექტივებია დაგეგმილი მისი განვითარების და რეგულირების შემდგომ ეტაპებზე?

საქართველოში აქტიურად განიხილებოდა საპენსიო სისტემის ცვლილების საჭიროება, რომელიც ნაკარნახევი იყო ქვეყანაში არსებული სოციალური ფინანსური და ეკონომიკური მდგომარეობით. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე მომქმედი სადაზღვევო კომპანიები წლების მანძილზე სთავაზობდნენ საზოგადოებას კერძო საპენსიო სადაზღვევო პროდუქტს, საზოგადოების დიდი ნაწილი სკეპტიკურად უყურებდა აღნიშნულ საკითხს. ეს გამოწვეულია საზოგადოების დაბალი, ან საერთოდ არ არსებული სადაზღვევო და საინვესტიციო კულტურით.

2014 წელს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში შეიქმნა საპენსიო რეფორმის სამსახური, რომლის მიზანი იყო საქართველოს საპენსიო სისტემის რეფორმის კონცეფციის შემუშავება და დანერგვა. საქართველომ სულ რაღაც 4 წელიწადში შეძლო საპენსიო რეფორმის კონცეფციის შემუშავება და დანერგვა, შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის ჩამოყალიბებით, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების, საზოგადოების ფართო სპექტრის მოცვით და საჯარო დიალოგის პრინციპის დაცვით. მაშინ როცა სხვა ქვეყნებს ათი-თხუთმეტი წელი დასჭირდათ დაგროვებით საპენსიო სისტემაზე გადასასვლელად.

საფრანგეთის განვითარების სააგენტოს (AFD) და საფრანგეთის საერთაშორისო ტექნიკური თანამშრომლობის სააგენტოს “ექსპერტიზ ფრანსის“ მონაწილეობით დაიწყო საქართველოში საპენსიო რეფორმის ტექნიკური მხარდაჭერის პროექტის განხორციელება, საფრანგეთში საპენსიო რეფორმების გამოცდილების გასაზიარებლად. ორი წლის განმავლობაში პროექტი ხორციელდებოდა საფრანგეთის საერთაშორისო ტექნიკური თანამშრომლობის სააგენტო “ექსპერტიზ ფრანსის“ მიერ, საფრანგეთს განვითარების სააგენტოს (AFD) ტექნიკური ფაფინანსური მხარდაჭერით 500 000 ევროს ოდენობით. ეს დიდი გამოწვევა იყო საქართველოსთვის, რადგან ეს იყო საფრანგეთს განვითარების სააგენტოს პირველი პროექტი საქართველოში სოციალური დაცვის სფეროში და ასევე პირველი პროექტი “ექსპერტიზ ფრანსისათვის“ ქვეყანაში. ამავე დროს, საკმაოდ მოცულობითი ფრანგული ინვესტიცია საქართველოში.

საპენსიო რეფორმა მასშტაბური რეფორმაა, რომელიც მოითხოვს რეფორმის კონცეფციის ღრმა ანალიზს, შესაძლო შედეგების გათვალისწინებას, საფრთხეების კომპლექსურ გააზრებასა და ამ საფრთხეების თავიდან ასაცილებლად ეფექტური მექანიზმების შემუშავებას. საპენსიო სისტემის რეფორმას მაღალი სოციალური მნიშვნელობა აქვს, მოწყვლადია ქვეყნის ფინანსური შესაძლებლობების მიმართ და ხასიათდება მაღალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ინტერესით.

მეთოდოლოგია

ნაშრომი მოიცავს საქართველოში საპენსიო სისტემის რეფორმის დანერგვას და განხორციელებას, რომელიც თავის მხრივ ითვალისწინებდა მისი ჩანაცვლებას დაგროვებითი საპენსიო სისტემით. მის შესაბამისობას, ურთიერთდამოკიდებულებას და ურთიერთგავლენას საზოგადოების ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე და ქვეყნის ინკლუზიურ და მდგრად ეკონომიკურ განვითარებაზე.

ნაშრომში გამოყენებულია რაოდენობრივი და თვისობრივი მიდგომები არსებული რეალობის დასადგენად. იგი ეფუძნება სტატისტიკურ მასალებს, სხვადასხვა სამთავრობო ორგანიზაციებიდან, არასამთავრობო უწყებებიდან და საერთაშორისო ორგანიზაციებისგან

მიღებულ მონაცემებს. სამთავრობო, არასამთავრობო და სადაზღვევო უწყებების მოტივაციას და ქმედებებს არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით, საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ რეალობას და ფსიქოლოგიურ ფაქტორებს. გამოყენებულია ვერბალური ინტერვიუები საქართველოს მთავრობის, მეგობარი ქვეყნების, სტრატეგიული პარტნიორების და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. დასკვნა ემყარება არსებული და მიღებული მონაცემების ანალიზს არსებულ მდგომარეობის შესახებ და საერთაშორისო გამოცდილებას.

განხილვა და დისკუსია


სავალდებულო დაგროვებითი საპენსიო სისტემის რეფორმის მნიშვნელოვანი წინაპირობა გახდა ის, რომ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში არსებული დირექტივების მაღალ დონეზე შესრულება, რადგან დღეს ჩვენი ქვეყანა ისე, როგორც არასდროს ყველაზე ახლოს დგას ევროკავშირის წევრობის პერსპექტივასთან.

საქართველოში დაგროვებითი საპენსიო დაზღვევით ვალდებულია ისარგებლოს ყველა დასაქმებულმა და თვითდასაქმებულმა მოქალაქემ, ასევე საქართველოში მუდმივად მცხოვრებმა უცხო ქვეყნის მოქალაქეებმა. საპენსიო სქემაში მონაწილე დასაქმებულის სასარგებლოდ საპენსიო სააგენტოში მონაწილის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე ირიცხება დარიცხული ხელფასის 2%. დამატებით, მონაწილის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე დამსაქმებელს და სახელმწიფო ხაზინას შეაქვთ დარიცხული ხელფასის 2%-2% თითოეულს. აქ მნიშვნელოვანი დადებითი ფაქტორი არის ის, რომ საპენსიო სქემაში მონაწილეს ურისკო ინვესტიცია და მყისიერი ამონაგები ფაქტობრივად შეადგენს 275%. თავის მხრივ, საპენსიო რეფორმის ფარგლებში საპენსიო სააგენტო უზრუნველყოფს შენატანების შეგროვებას, საპენსიო ფონდის საინვესტივო პოლიტიკას, ბენეფიციარებზე გასაცემი პენსიების გამოთვლას და გაცემას. რეფორმა ხელს შეუწყობს ქართული საფინანსო ბაზრის განვითარებას.

დაგროვებით საპენსიო სქემაში მონაწილეობა უზრუნველყოფს მონაწილეთა ფინანსურად უზრუნველყოფილ და ღირსეულ სიბერეს. მონაწილის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე დაგროვებული თანხა წარმოადგენს მონაწილეთა უპირობო და ხელშეუხებელ საკუთრებას, რომელიც დაცულია კანონით და არ ექვემდებარება ყადაღას, დავალიანებაში გაქვითვას, ან აღსრულების რომელიმე სხვა საშუალებას. მონაწილის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე დაგროვებული თანხა ექვემდებარება მემკვიდრეობით გადაცემას.

ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში დანაზოგების დონე ზრდის დინამიკით ხასიათდება და ამ ტენდენციის შენარჩუნება მნიშვნელოვანია. ფინანსური ბაზრის განვითარებისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობა გრძელვადიანი ინვესტიციების არსებობაა, საპენსიო რეფორმა კი ამ კუთხით მნიშვნელოვან როლს ასრულებს.

წლების მიხედვით სავალდებულო დაგროვებითი საპენსიო სისტემის ფონდის მოცულობის დინამიკა ასე გამოიყურება:



საპენსიო აქტივებმა დღეის მდგომარეობით ქვეყანაში უკვე შექმნა მნიშვნელოვანი საინვესტიციო კაპიტალის ბაზა და შეადგინა 3,5 მილიარდი ლარი. საპენსიო სქემაში გაწევრიანებულ მონაწილეთა რაოდენობა შეადგენს 1 მილიონ 405 ათას ადამიანს. დაგროვებითი პენსიით კი ისარგებლა სხვადასხვა კატეგორიის 3,781 პირმა, ხოლო გაცემულმა თანხამ 10,668,997.13 ლარი შეადგენა.

ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშებზე არსებული თანხები, მონაწილეთათვის ინვესტირდება საიმედო ფინანსურ ინსტრუმენტებში. საინვესტიციო საქმიანობა ხორციელდება მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტების მიერ, საინვესტიციო საბჭოს და საპენსიო სააგენტოს მიერ დამტკიცებული საინვესტიციო პოლიტიკის შესაბამისად. დაგროვებითი საპენსიო სქემის ამოქმედებიდან პირველი 5 წლის განმავლობაში, მონაწილეთა თანხები განთავსდება მხოლოდ დაბალრისკიანი საინვესტიციო პორტფელში, ხოლო 5 წლის შემდეგ, მონაწილეებს მიეცემათ საშუალება აირჩიონ დაბალრისკიანი, საშუალორისკიანი ან მაღალრისკიანი საინვესტიციო პორტფელი. რაც შეეხება რისკების კონტროლს, შესაბამისი სტრუქტურები მონიტორინგს უწევენ მონაწილეთა თანხების ინვესტიციის პროცესს, ახდენენ რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, იმ მიზნით, რომ საინვესტიციო რისკები სრულ შესაბამისობაში იყოს საპენსიო სააგენტოს მიერ დამტკიცებულ საინვესტიციო პოლიტიკაში განსაზღვრულ რისკების პროფილთან.

დაგროვებითი საპენსიო სისტემის ფონდის საინვესტიციო პორტფელის განაწილება ასე გამოიყურება: სადეპოზიტო სერტიფიკატები 51%; უცხოური კორპორაციული აქციები (უცხოური ვალუტა) 16%; საქართველოს სახაზინო ობლიგაციები 15%; სარგებლიანი ანგარიშები 14%; უცხოური სამთავრობო ფასიანი ქაღალდები (უცხოური ვალუტა) 2.15%; ვადიანი დეპოზიტები 0.85%; სარგებლიანი ანგარიშები (უცხოური ვალუტა) 0.75%; ევროობლიგაციები (უცხოური ვალუტა) 0.67%; ადგილობრივი კორპორაციული ობლიგაციები 0.33%.

დღეის მდგომარეობით წმინდა ამონაგებმა შეადგინა 584,5 მილიონი ლარი, რომელიც გადამწყვეტი იქნება საქართველოში კაპიტალის ბაზრის განვითარებისთვის და საქართველოს ეკონომიკის ზრდის მნიშვნელოვან დაჩქარებას გამოიწვევს. აღნიშნული განვითარების ბენეფიციარია საქართველოს თითოეული მოქალაქე და მაცხოვრებელი, მიუხედავად იმისა მონაწილეობს თუ არა ის დაგროვებით საპენსიო სქემაში.

საქართველოში საპენსიო რეფორმის დანერგვას ფრანგი ექსპერტები დადებითად აფასებენ. ამაზე მეტყველებს საფრანგეთის ნაციონალური სარეზერვო ფონდის აღმასრულებელი დირექტორის, ოლივერ რუსოს, სამუშაო ვიზიტი თბილისში. «საპენსიო რეფორმა არის გრძელვადიანი. საზოგადოებამ კარგად უნდა გაიგოს რამდენად მნიშვნელოვანია ეს რეფორმა ქვეყანაში ინვესტირების, ინფრასტრუქტურისა და კაპიტალის ბაზრის განვითარებისთვის. მეორეს მხრივ, საპენსიო სააგენტომ მოსახლეობასთან მუდმივი კომუნიკაციის პროცესი უნდა უზრუნველყოს», განაცხადა ოლივერ რუსომ მედიასთან საუბრისას.

დაგროვებითი საპენსიო სისტემის უპირატესობას და თავად რეფორმის მნიშვნელობას

ასევე დადებითად აფასებს ნატოსა და ევროკავშირის ცენტრის წარმომადგენლობმა საქართველოში და მხარდაჭერას უცხადებს მომავალ თანამშრომლობაზე.

დაგროვებითმა საპენსიო უზრუნველყოფის მოდელმა გამოიწვია კრიტიკაც, როგორც არასამთავრობო სექტორის, ასევე, პოლიტიკური ოპოზიციისა და ზოგადად, დარგის სპეციალისტების მხრიდან. არსებობს შეკითხვები და განსხვავებული მოსაზრებები, საზოგადოების მხრიდან და სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო უწყებებს შორის მიმდინარეობს მწვავე დისკუსიები.

ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაციები გარკვეულ კვლევებზე დაყრდნობით თვლიან, რომ ახალი საპენსიო მოდელს ნამდვილად ახლავს თან მთელი რიგი გამოწვევები. მათი აზრით ეს გამოწვევები შეიძლება იყოს: არსებული საპენსიო განაკვეთი წარმოშობს ძალიან მაღალ საბიუჯეტო წნეხს საჯარო ფინანსების სექტორზე; ჩნდება მთელი რიგი კითხვები ინფლაციის დონესთან და აკუმულირებული თანხების მსყიდველუნარიანობასთან დაკავშირებით გარკვეული წლების შემდეგ; შემოთავაზებული რეფორმის სავალდებულო ხასიათი წარმოშობს ფინანსურ წნეხს კერძო ბიზნესზე; ახალი საპენსიო სისტემა მაინც ვერ უზრუნველყოფს „ღირსეულ და ბედნიერ სიბერის დაზღვევას“, რადგან დაბალი შემოსავლების გამო მოსახლეობა ვერ შექმნის მაღალ საპენსიო დანაზოგებს; დღეს არსებული სოციალურ-ეკონომიკური გარემო არ იძლევა საპენსიო სისტემის რეფორმირების წარმატების საფუძველს და მოლოდინი, რომელიც არსებობს კაპიტალის ბაზრის განვითარებასთან დაკავშირებით, გადაჭარბებულია. საზოგადოების გარკვეული ნაწილიც კრიტიკულად აფასებს საპენსიო რეფორმას და მას დროში გაურკვეველ ფინანსურ რისკს უწოდებს, საზოგადოების უმეტეს ნაწილს კი უჭირს პასუხის გაცემა ამ საკითხთან დაკავშირებით. რადგან მათ ურჩევნიათ თავი შეიკაონ ზედმეტი ვალდებულებებისაგან, დღეს არსებული ისედაც მწირი ფინანსური რესურსების პირობებში. მნიშვნელოვანია მასშტაბური საინფორმაციო კამპანიის ჩატარება, რათა მოსახლეობისათვის ბევრად გასაგები და ადვილად აღსაქმელი გახდეს აღნიშნული რეფორმის სიკეთე მათი სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად გრძელვადიან პერსპექტივაში, რაც საკმაოდ რთულად მისაღწევია.

დასკვნა

მიუხედავად დიდი აზრთა სხვადასხვაობისა და კრიტიკისა დაგროვებითი საპენსიო რეფორმას ალტერნატივა არ გააჩნია. ცნობილია, რომ ბევრმა ქვეანამ ვერ შეძლო აღნიშნული რეფორმის ნებაყოფლობით განხორციელება და გამოწვევის არც საქართველოა. რეფორმამ უკვე შეძლო საპენსიო სქემაში გაწვევრიანებულ მონაწილეთა რაოდენობის მაქსიმალური მოცვა, მნიშვნელოვანი საპენსიო აქტივების და საინვესტიციო კაპიტალის მრავალმილიარდიანი ბაზის შექმნა და დადო პრქტიკული შედეგები, რაც გამოიხატება მოსარგებლების რაოდენობაში, გაცემულ თანხებში და ინვესტიციიდან მიღებულ შემოსავლებში.

გარდა იმისა, რომ რეფორმა გრძელვადიან პერსპექტივაში უზრუნველყოფს ადამიანების ფინანსურ სტაბილურობას საპენსიო ასაკში და ბედნიერი სიბერის დაზღვევას, საინვესტიციო კაპიტალის ბაზა მნიშვნელოვანი ფაქტორი იქნება საქართველოში კაპიტალის ბაზრის განვითარებისთვის და ხელს შეუწყობს საქართველოს ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვან დაჩქარებას, ქვეყანაში სავალუტო რესურსის გრძელვადიან ზრდას და ფინანსური ბაზრების გააქტიურებას. აღნიშნული განვითარების ბენეფიციარი იქნება საქართველოს თითოეული მოქალაქე მიუხედავად იმისა, მონაწილეობს თუ არა ის დაგროვებით საპენსიო სქემაში.

მნიშვნელოვანესი საკითხია კიდევ უფრო ფართო საინფორმაციო კამპანიის ჩატარება, რათა მოსახლეობისათვის ბევრად გასაგები და ადვილად აღსაქმელი გახდეს აღნიშნული რეფორმის სიკეთე მათი სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად გრძელვადიან პერსპექტივაში.

სოციალურ-ეკონომიკური მიზნებიდან და მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, საპენსიო სისტემის რეფორმას დიდი მნიშვნელობა აქვს ისეთი ქვეყნისათვის,

როგორც საქართველო და რომელსაც ერთის მხრივ გააჩნია შედარებით არასტაბილური ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური გარემო, და ამავე დროს განიხილება ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის „ნატოს“ ასპირანტ ქვეყნად და აცხადებს პრეტენზიას ევროკავშირის სრულუფლებიან წევრობაზე.

ლიტერატურა:

საქართველოს საპენსიო სააგენტო [www. Pensions.ge](http://www.Pensions.ge)

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო www.economy.gov.ge

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტრო www.moh.gov.ge

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო www.mof.gov.ge

საქართველოს ეროვნული ბანკი www.nbg.gov.ge

საფრანგეთის საერთაშორისო ტექნიკური თანამშრომლობის სააგენტო “ექსპერტიზ ფრანსი“ <https://www.expertisefrance.fr/>

საფრანგეთს განვითარების სააგენტო <http://www.afd.fr>

„სავალდებულო დაგროვებითი საპენსიო სისტემა – გამოწვევები და საერთაშორისო პრაქტიკა“ www.pmcg-i.com

Regulation of Cumulative Pension System and Challenges in Georgia

David Tchiotashvili

Gori State University, Gori

ORCID-0000-0002-2500-6252

Khaliana Chitadze

Gori State University, Gori

ORCID-0000-0001-6795-9484

Abstract

Implementation of successful economic reforms is an important priority for economic stability in Georgia. An important element of economic stability and economic growth is provided by the reform of the mandatory accumulated pension system, which started in Georgia in 2019 and is being successfully implemented to this day. But, the problem is that the implementation and regulation of any long-term and large-scale reform faces certain challenges that require a deep analysis of the reform and the development of effective development regulation mechanisms. Due to the low investment culture of the society, the reform of the cumulative mandatory pension system has great social importance and is characterized by high public interest. In addition to the fact that the reform in the long term ensures financial stability of people at retirement age and happy old age insurance, the investment capital base will be an important factor for the development of the capital market in Georgia and will contribute to the significant acceleration of the economic growth of Georgia, the long-term growth of foreign exchange resources in the country and the activation of financial markets. The beneficiary of the said development will be every citizen of Georgia, regardless of whether he participates in the accumulated pension scheme or not.

Key words: *pension system, cumulative pension reform, pension insurance, pension risk, pension scheme.*

შიდა აუდიტის ფუნქციონირების პრობლემები საჯარო სექტორში

ხორგუაშვილი თეა

გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, გორი

ხორგუაშვილი ნათია

ევროპის უნივერსიტეტი, თბილისი

DOI: <https://doi.org/10.52340/idw.2023.81>

აბსტრაქტი. ნაშრომში განხილულია სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის უზრუნველსაყოფად, შიდა აუდიტის სტრუქტურის არსებობის აუცილებლობა, ჩამოყალიბებისა და განვითარების ეტაპები საკანონმდებლო დონეზე. შიდა აუდიტის არსი, სახეები, მიზანი და ამოცანები, სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის დანერგვის თვითოეულ ეტაპზე, რადგან სისტემის დანერგვა და ზოგადად, შიდა აუდიტის გამართულად ფუნქციონირება არის ჩვენი ქვეყნისთვის აქტუალური გამოწვევა არამხოლოდ ევროკავშირთან ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ნაწილში, არამედ ეს არის ინსტრუმენტი, რომელიც უზრუნველყოფს დემოკრატიული სახელმწიფო განვითარებისა და საჯარო სექტორის ეფექტურად და ეფექტიანად მუშაობისა.

საძიებო სიტყვები: სახელმწიფო შიდა კონტროლი, შიდა აუდიტი, რისკების მართვა, ფინანსური მართვა.

თემის აქტუალობა - დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობა წარმოუდგენელია სწორი და ეფექტური მართვის გარეშე. „მართვის უნარის“ და „კარგი მმართველობის“ დანერგვა შესაძლებელია სწორი, კოორდინირებული და თანმიმდევრული გადაწყვეტილებების მიღებით, რომელიც უზრუნველყოფს გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულების, თანამშრომლობის და პროფესიონალიზმის არსებობას სახელმწიფოში. ეს კი შეუძლებელია სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის მექანიზმის არსებობის გარეშე. სახელმწიფო შიდა ფინანსურ კონტროლს კი ახორციელებს შიდა აუდიტის სამსახურები/ერთეულები.

კვლევის მიზანი - წინამდებარე ნაშრომის კვლევის მიზანია შიდა აუდიტის ერთეულების შექმნის და ფუნქციონირების მიმოხილვა, ანალიზის საფუძველზე იმის განზოგადება თუ რამდენად ახდენენ შიდა აუდიტის ერთეულები ორგანიზაციაში ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დანერგვას.

კვლევის ამოცანები - ნაშრომის ძირითად ამოცანებს წარმოადგენს:

- ✓ სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის თითოეული კომპონენტის, მათ შორის შიდა აუდიტის არსის, სახეების და ფორმების დახასიათება;
- ✓ ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო შიდა კონტროლის დეპარტამენტის (ჰარმონიზაციის ცენტრი) საქმიანობის შესწავლა და ანალიზი;
- ✓ საქართველოს საჯარო სექტორში შიდა აუდიტორების მოსაზრებების შედარებითი ანალიზი;
- ✓ კვლევის შედეგების შეფასება, დასკვნის გაკეთება და რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევის ობიექტს - წარმოადგენენ სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის მართვის ორგანოები, სადაც დანერგილია შიდა აუდიტის სტრუქტურები.

კვლევის მიმოხილვა - ხშირად, როდესაც სიტყვა აუდიტი ისმის ნებისმიერ დაწესებულებასა თუ ორგანიზაციაში ასოცირდება კონტროლთან და იწვევს შიშის, იმედგაცრუების და დროის ფუჭად დახარჯვის შეგრძნებას. ნებისმიერ დროს, უმეტესობა ადამიანებისა თვლის, რომ თუკი ვინმე გადახედავს მათ საქმიანობას შემაშფოთებელი და ღელვის საფუძველია, თუმცა ეს ასე არ არის, თუ კარგად ვიცით აუდიტის როლი და ცოდნა იმისა, თუ რას უნდა ველოდოთ აუდიტის დროს. განსაკუთრებით ეს ეხება შიდა აუდიტს, რომელიც გვხმარება იმაში, რომ თავიდან ავიცილოთ პოტენციური ხარვეზები, ჩვენი სამუშაო პროცესი იყოს უფრო მშვიდი და ღირებული.

და მაინც, რა არის შიდა აუდიტი?

შიდა აუდიტის არაერთი განმარტება არსებობს, ერთ-ერთი განმარტებით „შიდა აუდიტი არის განყოფილება ან ორგანიზაცია კომპანიის შიგნით, რომელსაც ევალება სისტემების, ბიზნეს ორგანიზაციებისა და პროცესების მიუკერძოებელი, დამოუკიდებელი მიმოხილვა“.⁴⁸

თანამედროვე რეალობაში „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით:

„შიდა აუდიტი არის დაწესებულების საქმიანობის გაუმჯობესებისკენ, მისი მიზნების მიღწევის უზრუნველყოფისა და მისი ამოცანების სრულყოფილად შესრულებისკენ მიმართული დამოუკიდებელი, ობიექტური, მარწმუნებელი და საკონსულტაციო საქმიანობა, რომელიც სისტემატიზებული, დისციპლინებული და ორგანიზებული მიდგომით აფასებს და აუმჯობესებს რისკის მართვის, კონტროლისა და მმართველობითი პროცესის ეფექტიანობას.“⁴⁹

შიდა აუდიტის დეპარტამენტის როლი მდგომარეობს იმაში, რომ მიაწოდოს ორგანიზაციის უფროს ხელმძღვანელებს და მმართველ ორგანოებს ინფორმაციის ობიექტური წყარო შემდეგთან დაკავშირებით:

- რისკის მართვა;
- კონტროლის გარემო;
- კონტროლის ღონისძიებები;
- ინფორმაცია და კომუნიკაცია
- მონიტორინგი და შეფასება
- შესაბამისობა მოქმედ კანონებსა და რეგულაციებთან.


შიდა აუდიტის ერთ-ერთი მთავარი როლი არის მუდმივი კომუნიკაცია და თანამშრომლობა ორგანიზაციის მენეჯმენტთან, რათა სისტემატურად განიხილებოდეს კონტროლის აქტივობები კრიტიკულ სისტემებსა და პროცესებზე.

შიდა აუდიტის მთავარი მიზანია ორგანიზაციის პროცესებში და შიდა კონტროლის გარემოში არსებული რისკების იდენტიფიცირება და რეკომენდაციების შემუშავება დაინტერესებული მხარეებისთვის ზიანის თავიდან ასაცილებლად. შიდა აუდიტი ეხმარება ორგანიზაციას მიაღწიოს დასახულ მიზნებს, რისკების დროულად გამოვლენის და მმართველობის პროცესების ეფექტურობის გამოყენებით.

შიდა აუდიტის სახეები მოიცავს: შესაბამისობის აუდიტს, ოპერაციულ აუდიტს, ფინანსურ აუდიტს და საინფორმაციო ტექნოლოგიების აუდიტს.

48 <https://www.wallstreetmojo.com/internal-audit/>

49 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/91618?publication=11>



შესაბამისობის აუდიტი არის კონკრეტული სფეროს, პროცესის ან სისტემის შესაბამისობის და შესაბამისობის შემოწმება პოლიტიკებთან, გეგმებთან, პროცედურებთან, კანონებთან, რეგულაციებთან, კონტრაქტებთან ან სხვა მოთხოვნებთან, რომლებიც არეგულირებს აუდიტს დაქვემდებარებული ტერიტორიის, პროცესის ან სისტემის წარმართვას.

ოპერატიული აუდიტი არის მიმოხილვა, რომელიც ძირითადად ორიენტირებულია ძირითადი პროცესების, პროცედურების ან სისტემების შიდა კონტროლზე. მთავარი მიზანია გააუმჯობესოს პროდუქტიულობა, ასევე ოპერაციების ეფექტურობა და ეფექტურობა.

ფინანსური აუდიტი არის ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგების ობიექტური შემოწმება და შეფასება, რათა დარწმუნდეს, რომ ფინანსური ჩანაწერები არის სამართლიანი და ზუსტი წარმოდგენა იმ ტრანზაქციებზე, რომლებსაც ისინი წარმოადგენენ.

საინფორმაციო ტექნოლოგიების აუდიტი არის IT აპლიკაციების, ოპერაციული სისტემების, მონაცემთა ბაზების ან ინფრასტრუქტურის მართვის კონტროლის შემოწმება. მიმოხილვები შეიძლება იყოს ორიენტირებული ექსკლუზიურად IT-ზე ან შესრულდეს შესაბამისობის, ოპერაციული ან ფინანსური აუდიტთან ერთად.

როგორც ავღნიშნეთ შიდა აუდიტის საქმიანობა ეხმარება ორგანიზაციას თავისი მიზნების მიღწევაში სისტრემური, დისციპლინური მიდგომებით, რათა გააუმჯობესოს ორგანიზაციამ რისკების მართვა, კონტროლისა და მართვის პროცესების ეფექტურობა, ამისათვის შიდა აუდიტი იყენებს 5 ძირითად სტანდარტს, ესენია:

- მიზანი, უფლებამოსილება და პასუხისმგებლობა;
- დამოუკიდებლობა და ობიექტურობა;
- ცოდნა და სათანადო პროფესიული ზრუნვა;
- ხარისხის უზრუნველყოფა;
- გაუმჯობესების პროგრამა.

სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის კონცეფცია საქართველოში ჯერ კიდევ 90-იან წლებში შემუშავდა, როდესაც დაიწყო სწრაფვა ევროკავშირისკენ. კონცეფცია მიზნად ისახავდა ისეთი სისტემის არსებობას, რომელიც უზრუნველყოფდა საჯარო რესურსების მაქსიმალურად ეკონომიკურად და ეფექტიანად მართვას. საქართველოში რეალურად სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის განვითარებისათვის მოსამზადებელი სამუშაოები 2008 წლიდან დაიწყო და 4 ეტაპად დაიყო:

- მოსამზადებელი (2008 - 2009 წლები);
- საკანონმდებლო (2010 - 2011 წლები);
- თეორიული ცოდნის გაძლიერების (2012 წელი);
- პრაქტიკული გამოცდილების დანერგვის (2013 წელი)⁵⁰.

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 მარტი №133 დადგენილებით დამტკიცდა ინსტრუქცია „ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ჩამოყალიბების წესისა და პროცედურების შესახებ“, რომლის მიხედვით ფინანსური მართვისა და კონტროლის

⁵⁰ საქართველოს საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის სტრატეგია 2014-2017 წ მუხლი 4. სახელმწიფო შიდა კონტროლი.

სისტემის დანერგვა მოხდება ეტაპობრივად. ამავე ინსტრუქციის მიხედვით დანერგვა ხორციელდება შემდეგი ეტაპებით: ფინანსური კონტროლი, მენეჯერული კონტროლი და ფინანსური მართვა.

შიდა აუდიტი როგორც შიდა კონტროლის ერთ-ერთი კომპონენტი მონიტორინგისა და შეფასების ნაწილში, იძლევა დამოუკიდებელ, ობიექტურ და გონივრულ რწმუნებას ხელმძღვანელობისთვის დაწესებულების შიდა კონტროლის სისტემის გამართულად ფუნქციონირების თაობაზე. შიდა აუდიტის პასუხისმგებლობის ხარისხი ფინანსურ მართვასა და კონტროლთან მიმართებით, დამოკიდებულია იმაზე, თუ ჩამოყალიბების რომელ ეტაპზე აღნიშნული სისტემა. შიდა აუდიტი არ იღებს მონაწილეობას ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ჩამოყალიბებაში. იგი აფასებს ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დანერგვის მიმდინარეობას განსაზღვრული ეტაპების შესაბამისად.

საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ მე 4 მუხლის მიხედვით⁵¹:

1. შიდა აუდიტის სუბიექტები იქმნება შემდეგ დაწესებულებებში:

ა) საქართველოს სამინისტროებში;

ბ) აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების სამინისტროებში;

გ) იმ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში, რომელთა ჩამონათვალს და რომლებშიც შიდა აუდიტის სისტემის დანერგვისა და განვითარების სტრატეგიას საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს მთავრობა;

დ) მუნიციპალიტეტის მერიაში – შესაბამისი მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული მერიის დებულების საფუძველზე.


2. შიდა აუდიტის სუბიექტი შესაძლოა შეიქმნას ასევე კერძო სამართლის იურიდიულ პირსა (რომლის აქციების ან წილის 50 პროცენტზე მეტს ფლობს სახელმწიფო) და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციაში, მათივე გადაწყვეტილებით.

დღეისათვის საქართველოს საჯარო სექტორში 120-მდე შიდა აუდიტის სუბიექტი და 450 საჯარო აუდიტორი ფუნქციონირებს, საჯარო სექტორში შიდა აუდიტის საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესების სისტემის დანერგვის ხელშეწყობა ჰარმონიზაციის ცენტრის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. იმის გათვალისწინებით რომ შიდა აუდიტის ხარისხის გაუმჯობესების სისტემის პრაქტიკაში დანერგვა ამჟამად მიმდინარეობს შიდა აუდიტის სუბიექტებში, სახელმწიფო შიდა კონტროლის დეპარტამენტმა (ჰარმონიზაციის ცენტრი) საერთაშორისო პარტნიორებთან მოლაპარაკებების შედეგად, შესძლო ამ მიმართულებით საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ექსპერტების მნიშვნელოვანი მხარდაჭერის მოპოვება.

საჯარო სექტორში არსებული შიდა აუდიტის სუბიექტების დინამიკა⁵²


⁵¹ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/91618?publication=11>

⁵² https://www.pempal.org/sites/pempal/files/event/2022/Internal%20Audit%20COP%20Events/Dec14_Vid_eoconference/files/georgia_chu_dec_14_2022.pdf



450 → internal auditors

IACOP in the public sector



შიდა აუდიტორული საქმიანობა მოიცავს ყველა ადგილობრივი მართვისა და კონტროლის სისტემებისა და მათთან ასოცირებული რისკების იდენტიფიცირებას, შესაბამისად შიდა აუდიტის სუბიექტის მიერ განხორციელებული რისკის შეფასება ემსახურება შიდა აუდიტორული საქმიანობის იმგვარად დაგეგმვას, რომ დაწესებულებას მაქსიმალური სარგებელი მოუტანოს. გამომდინარე აქედან შიდა აუდიტის სუბიექტის მიერ რისკის შეფასების მიზანია კონკრეტული სისტემის, პროცესის ან ერთეულის რისკის დონის განსაზღვრა, ამისათვის შესაძლებელია მან გამოიყენოს კუმულატიური ან ფარდობითი (შედარებითი) რისკის შეფასების მეთოდები.⁵³

შიდა აუდიტი ორგანიზაციაში ახორციელებს პროცესების, ნებისმიერი საქმიანობის შეფასებას და ამ შეფასებაზე დაყრდნობით შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რაც ეხმარება დაწესებულების ხელმძღვანელს მართვის პროცესის მიზნების მიღწევაში და საჯარო დაწესებულებაში შესაბამისი ეთიკის და ღირებულებების ჩამოყალიბების ხელშეწყობაში. შიდა აუდიტორული საქმიანობა გულისხმობს რისკების გამოვლენას და რისკებისადმი მოწყვლადობის შეფასებას, ხელს უწყობს რისკების ეფექტურ მართვას და კონტროლის სისტემების დახვეწას ეფექტური კონტროლის შესანარჩუნებლად, კონტროლის სისტემების ეფექტურობისა და ეფექტიანობის შესწავლას და მათი უწყვეტი განვითარების ხელშეწყობას.

შედეგები და რეკომენდაციები - დღესდღეობით საქართველოს მასშტაბით შიდა აუდიტის ერთეული ფუნქციონირებს ყველა სამინისტროსა და ავტონომიური ერთეულების სტრუქტურებში, ასევე ყველა ადგილობრივი მმართველობის ერთეულების მმართველობის სტრუქტურებში, თუმცა შეიძლება ითქვას, მიუხედავად დიდი ძალისხმევისა და თხუთმეტწლიანი მცდელობისა, სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის დანერგვა საქართველოს საჯარო სექტორში მეტად წინააღმდეგობრივი, კომპლექსური და რთული აღმოჩნდა. ნაშრომთან მუშაობის დროს შესწავლილი იქნა არაერთი შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობა, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის სახეზე მნიშვნელოვანი შედეგები რესურსების ეფექტურად მართვისა.

საჯარო სექტორში არაერთი პრობლემა მოსაგვარებელია, როგორცაა საბიუჯეტო ორგანიზაციებში სამოქმედო გეგმების არ არსებობა, დღემდე პრობლემად რჩება დაბალი ცნობიერება სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ, არ არსებობს ორგანიზაციებში რისკების იდენტიფიცირების, გამოვლენის და შეფასების მეთოდოლოგიები, ასევე, ფუნქციონირებს შიდა აუდიტის სამსახურები, რომელთა

⁵³ საქართველოს მთავრობის დადგენილება №593 2016 წლის 26 დეკემბერი „შიდა აუდიტის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ „რისკის შეფასების მეთოდები“

საქმიანობა არ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს, საჯარო სექტორში არ არის მკვეთრად გამიჯნული უფლება-მოვალეობები.

ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორები გავლენას ახდენენ შიდა აუდიტის დამოუკიდებლობის ხარისხის დონეზე. ასევე შიდა აუდიტის სამსახურები საქმიანობა ვერ უზრუნველყოფს საბიუჯეტო სახსრების ეფექტურად ხარჯვას.

არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით აუცილებელია შემდეგი ღონისძიებების გატარება:

- ცნობიერების ამაღლება სახელმწიფო შიდა ფინანსური აუდიტის კონტროლის სისტემის შესახებ;
- არსებული შიდა აუდიტორების ხარისხის და კვალიფიკაციის მუდმივი ზრდა;
- შიდა ფინანსური კონტროლის გაძლიერების მიზნით საუკეთესო გამოცდილების გაზიარება ტრენინგების, სამუშაო შეხვედრების და სემინარების გზით;
- შიდა აუდიტის სამსახურების მიერ რისკების მართვის პროცესებთან დაკავშირებით სამუშაო შეხვედრების ორგანიზება;
- შიდა აუდიტის დებულებების და მეთოდოლოგიების შესაბამისობაში მოყვანა საერთაშორისო სტანდარტებთან.

წყაროები და ლიტერატურა:

1. საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“;
2. საქართველოს მთავრობის დადგენილება №593 2016 წლის 26 დეკემბერი „შიდა აუდიტის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“;
3. საქართველოს ორგანული კანონი „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ ;
4. სახელმძღვანელო „შიდა აუდიტი“ - ლევან საბაური 2018 წელი;
5. შიდა აუდიტორთა ინსტიტუტის ეთიკის კოდექსი და შიდა აუდიტის პროფესიული პრაქტიკის საერთაშორისო სტანდარტები განხორციელების სახელმძღვანელო. შიდა აუდიტორთა ინსტიტუტი, 2019
6. “Financial Management and Accounting in the Public Sector”, Gary Bandy second edition, 2015;
7. Institute of Internal Auditors (IIA) – IPPF International Professional Practices Framework, 2013.
8. <https://www.mof.ge>
9. https://www.pifc.gov.ge/ka/fl/annual_reports?page=1
10. <https://www.pempal.org/event/internal-audit>
11. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/91618?publication=11>

Internal audit functioning problems in the public sector

Khorguashvili Tea
Gori State University, Gori
Khorguashvili Natia
European University, Tbilisi

Abstract

In order to ensure internal financial control of the state, the need to have an internal audit structure, the stages of formation and development at the legislative level are discussed in the paper. The essence, types, purpose and tasks of the internal audit, at the self-level stage of the implementation of the internal financial control of the state, because the introduction of the

system and in general, the proper functioning of the internal audit is an actual challenge for our country not only in terms of fulfilling its obligations to the European Union, but it is not a tool that provides a democratic state Development or public sector work efficiently and effectively.

Key words: State internal control, Internal Audit, Risk management, Financial management.

აგრესიის სოციალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორი მოზარდებსა და ზრდასრულებში თანამედროვე საზოგადოებაში

ქრისტინაშვილი ეკატერინე

საგანმანათლებლო პლატფორმა „დიალოგი“

DOI: <https://doi.org/10.52340/idw.2023.82>

აბსტრაქტი. თანამედროვე საზოგადოების სოციალური და ფსიქოლოგიური ყოფის მნიშვნელოვანი ფაქტორის-აგრესიის პრობლემის კვლევა მოზარდებსა და ზრდასრულებში ჩვენი ქვეყნის ჯანსაღი მომავალი თაობის აღზრდისა და ზოგადად მაღალგანვითარებული კეთილშობილი საზოგადოების ჩამოყალიბების ერთ-ერთი საფუძველთაგანია. მისი შესწავლა-ანალიზი და დაძლევის პერსპექტივები მრავალ მეცნიერულ დისციპლინას აერთიანებს, გეზის მიმცემი მათ შორის კი არის ფსიქოლინგვისტიკა, სოციოლინგვისტიკა და კულტუროლოგია. აგრესიის სახეობები, კონტექსტები, ორპოლუსიანი მიმართებები და, რაც მთავარია, მეტად დატვირთული კლასიფიკაციური ბადე საკვლევო პრობლემის ნათელ სურათს იძლევა და ხელს უწყობს მისი დაძლევის გაცნობიერებული მეთოდოლოგიის შექმნა-ჩამოყალიბებას. რთული სოციალური გარემოს კომუნიკაციურ-პრაგმატული მიმართებები და ყოველი ხალხის/ეთნოსის ფსიქიკა-ფსიქოლოგია მეტად რთულია, იგი სხვადასხვა სუბსისტემების კონგლომერატია.

საკვანძო სიტყვები: პირდაპირი აგრესია, ირიბი აგრესია, ემოციური აგრესია, ინსტრუმენტული აგრესია, ფრუსტრაციული თეორია, სოციალური დასწავლის თეორია.

აგრესიის პრობლემას შეისწავლის არა მარტო ფსიქოლოგია, არამედ სხვა მეცნიერებებიც მეთოდების სპეციფიური სისტემით. თუმცა ობიექტურად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დღესდღეობით ადამიანის აგრესიული ქცევის ბუნებისა და მექანიზმების შესწავლაში მეტად შთამბეჭდავი შედეგები მიღწეულია ფსიქოლოგიურ მეცნიერებაში. რა თქმა უნდა, ამ დარგშიც უამრავი გადაუწყვეტელი პრობლემაა. შეიძლება ითქვას, რომ კითხვაც თითქმის იმდენივე დარჩა, რამდენი პასუხიც იქნა მიღებული. ეს ბუნებრივიცაა, რადგან უამრავი გამოკვლევა ერთ შეკითხვაზე პასუხის გაცემისას იწვევს მეორის გაჩენას. ერთ-ერთი პრობლემა, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, მდგომარეობს თვით აგრესიის განსაზღვრებაში. როგორც უკვე ზემოთ ვახსენეთ.

ასევე მნიშვნელოვანია თუ როგორ უნდა მოვახდინოთ სუბიექტის ისეთი ქმედებების კვალიფიცირება, რომლებიც მიმართულია საკუთარი თავისთვის შეგნებული (ცნობიერი) ზიანის მიყენებაზე. უნდა განიხილოს თუ არა ასეთი ქმედებები როგორც აგრესია? ამ კითხვაზე პასუხიც იმაზე იქნება დამოკიდებული, შედის თუ არა აგრესიის განსაზღვრებაში პოტენციური მსხვერპლის მიერ ზიანის მიღების თავიდან არიდების სურვილის კრიტერიუმი. ერთი პოზიციისას, თვითდაზიანება ან სუიციდი განიხილება როგორც აუტოაგრესიის გამოვლინება, ხოლო სხვა პოზიციისას აგრესიაზე საუბარი არაა მართლზომიერი.

როდესაც აგრესიაზე ვსაუბრობთ, ყველამ კარგად ვიცით თითქოს და რას ნიშნავს აგრესია, მაგრამ ცნების დონეზე მისი დეფინიცია არც ისე იოლია. სიძინელეს ქმნის ის მდგომარეობა, რომ ტერმინი აგრესია მრავალ განსხვავებულ მნიშვნელობას აერთიანებს. აგრესიად ითვლება მანიაკის მიერ განხორციელებული მკვლელობებიც და კალათბურთელის მიერ განხორციელებული თამაშის სტილიც. მეუღლის უყურადღებობით გაბუტული ქმრის ჩუმი პროტესტიც – პასიურ აგრესიად ითვლება და სიტყვიერად გამოხატული ვითომდა უწყინარი ფრაზა შეიძლება ჩუმ აგრესიად ჩაითვალოს და ა.შ. არსებობს ე.წ. უწყინარი

ქცევები, რომლებიც ასევე აგრესიის კატეგორიაში მოიაზრებიან. ერთი სიტყვით, საჭირო გახდა სხვისთვის ზიანის მომტანი აქტიობის გამიჯვნა აქტიობისაგან, რომელსაც სხვისთვის ზიანი არ მოაქვს. ამ მიზნით ბიჰევიორისტული ორიენტაციის ფსიქოლოგიურმა თეორიებმა შემოგვთავაზეს შემდეგი დეფინიცია – **აგრესიულია ქცევა რომელიც ვნებას აყენებს ან მიაყენებს სხვას**. ამ დეფინიციის უპირატესობაა ის, რომ ქცევა თვითონ განსაზღვრავს გარკვეული აქტიობა არის თუ არა აგრესიული. თვით აგრესიულობის სემანტიკა არ შეიცავს ქცევის მიზეზს/განზრახვასა, რაც მნიშვნელოვანია აგრესიის ბუნების გასაგებად, სწორედ ამიტომ აგრესიას განმარტავენ, როგორც ქცევების კომპლექსს რომელსაც მივყავართ პიროვნების ფიზიკურ ან ფსიქოლოგიურ ზიანთან. ეს შეიძლება იყოს ფიზიკური (ვიდაცს დაარტყა) ან ვერბალური (სიტყვიერი შეურაცხყოფა). მაგალითებისთვის კმარა ჩხუბი, დარტყმა, კბენა მკვლელობა, ცხოველებისადმი სისატყვე, საკუთრების დაზიანება, დამუქრება, იგნორირება, ცილისწამება... რა თქმა უნდა არის გამართლებული აგრესიაც და ეს საზოგადოებაში ჩამოყალიბებულ ეთიკურ თუ მორალურ ნორმებზეა დამოკიდებული

რატომ არის ადამიანი აგრესიული?

ამის სხვადასხვანაირი მიზეზი შეიძლება არსებობდეს : ზოგმა ბავშვობაში მიიღო ტრამვა და ამის გამო ავლენს აგრესიას სხვების მიმართ, ზოგს მოძალადე მშობლები ჰყავდა, რომლებიც იქცნენ მოდელებად, ზოგი ბუნებით აგრესიულია, რასაც უფრო მეტად ამძაფრებს ტელევიზიით გაშუქებული აგრესია, ვიდეო–თამაშები, ალკოჰოლი, ნარკოტიკი და მრავალი სხვა ფაქტორი. ამ აზრთა სხვადასხვაობაში მაინც მოხერხდა ამხსნელი თეორიების კლასიფიკაცია და გამოიყო აგრესიულობის სამი ბაზისური წყარო:

1. აგრესია როგორც შინაგანი ტენდენცია

2. აგრესია როგორც გარემო პირობებით გამოწვეული მოთხოვნილება ზიანი მიაყენო სხვას

3. აგრესია როგორც შეძენილი ქცევა

აგრესია: ბაზის კონცეფციის გაგება

იმისათვის, რომ გავიგოთ სხვადასხვა სახის აგრესიას შორის განსხვავებების არსებობა, პირველ რიგში საჭიროა ვიცოდეთ რას გულისხმობს ეს კონცეფცია და რა გავლენა აქვს მას.

ჩვენ გვესმის, როგორც აგრესია **ძალადობის ნებისმიერი აქტი, რომელსაც ახასიათებს განზრახ ზიანის მიყენება** ადამიანისთვის, იქნება ეს პირდაპირი თუ არაპირდაპირი.

შესაძლებელია კლასიფიკაციის დიდი რაოდენობის პოვნა, როდესაც საქმე ეხება სხვადასხვა ტიპის აგრესიას. ამის მაგალითები მათი ბუნების, ობიექტური ან მსხვერპლის მიხედვით არის.

აგრესიის ტიპს განსაზღვრავს თვით აგრესიის გამომხატველი ინდივიდის ბუნება/ფსიქიკა და ამავე აგრესიის სამიზნე პირის ბუნება/ქცევა.

აგრესიის სახეები მისი ხასიათის მიხედვით

არსებობს სხვადასხვა სახის თავდასხმების კლასიფიკაციის მრავალი საშალება. ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სახეობაა ის, რომელიც ითვალისწინებს აგრესიის ხასიათს. თავის მხრივ, ეს შეიძლება დაიყოს ოთხ დიდ ჯგუფად, ზოგადად **კატეგორიები არ გამორიცხავს ერთმანეთს**.

1. ჯგუფი: აგრესიის სახეობები

1.1. პირდაპირი შეტევა

ეწოდება უშუალო აგრესიას, რომელიც ხორციელდება შეტეული ადამიანისთვის აღქმადი ფორმით, იქნება ეს ფიზიკურ თუ ფსიქოლოგიურ დონეზე. ეს მოიცავს როგორც აგრესიის პირდაპირ განხორციელებას, ასევე მისი განხორციელების საფრთხეს, მინიმუმ მოითხოვს აგრესორს და მსხვერპლს. **მსხვერპლს სავსებით შეუძლია დაადგინოს მისი აგრესორი**. გვახსენებთ თინეიჯერობის ასაკიდან დაწყებული, უფრო ხშირად მამაკაცებში.

1.2. ფიზიკური აგრესია

ნებისმიერი ქმედება, რომელიც გულისხმობს ნებაყოფლობით და განზრახ პირდაპირი ზიანის მიყენებას ნებისმიერი ფიზიკური საშუალებით. **დაზიანებები შეიძლება იყოს**

დროებითი ან მუდმივი და ფატალური გამოჩნდება როგორც მოკლევადიან, ისე გრძელვადიან პერსპექტივაში. ფიზიკური აგრესია უფრო მეტად ასოცირდება მამრობითი სქესის წარმომადგენლებთან.

1.3. ვერბალური / ფსიქოლოგიური აგრესია

იგულისხმება მოქმედებათა მთელი რიგი. მართალია, მათ ფიზიკურ ზიანს არ აყენებენ, მაგრამ აგრესიულ ზემოქმედებას ახდენენ. ეს არის **ერთგვარი ფსიქიკური ან ემოციური დაზიანება**: შეურაცხყოფა, დამცირება და დევალვაცია. ამ თვალსაზრისით, ამ ტიპის პირდაპირი ძალადობა უფრო სქესთა შორისაა გადანაწილებული. სტატისტიკურად, ის ერთ-ერთი ყველაზე პრაქტიკულია ქალებთან.

1.4. სექსუალური ძალადობა

ხასიათდება თავდასხმით, ძალადობით, მსხვერპლის თავისუფლების, თანხმობის, არჩევანის უგულვებელყოფით. **მოიცავს როგორც გაუპატიურებას და გროპინგსაც**. ბოლო წლებში გაიზარდა ქალებზე ძალადობა. სექსუალური დამნაშავეების უმეტესობა მამაკაცია.

- შეიძლება დაგაინტერესოთ, არსებობს "სექსუალური ძალადობის კონტროლის პროგრამა: ასე მუშაობს ამ ტიპის მკურნალობა"

1.5. არაპირდაპირი იერიში

არაპირდაპირი აგრესია გულისმობს ნებისმიერი აგრესიულ ქმედებას, რომელიც ხორციელდება არაპირდაპირი გზით, ანონიმურად (თუმცა მან შეიძლება აღიაროს აგრესორი). ამ ტიპის შეტევა სულ უფრო აქტიური ხდება და ყველაზე ხშირია ქალებში თინეიჯერულ ასაკში და შემდეგ აკადემიურ და ასევე სამუშაო დონეზე ის **მოიცავს ჭორების გავრცელებას და ცილისწამებას**. დამამცირებელი და სასაცილო საიტებისა და შეტყობინებების ანონიმურ გამოქვეყნებას.

1.6 ურთიერთობრივი აგრესია

აგრესიის არაპირდაპირი ფორმა ჩვეულებრივ ვერბალური ან ფსიქოლოგიურია, რომელიც ემყარება მსხვერპლის მიერ გამოწვეულ სოციალურ გარიყულობას.

1.7. კიბერ აგრესია

შეიძლება რომელიმე წინა ჯგუფის ქვეჯგუფადაც გამოიყოს, რადგან მისი გამორჩეული თვისებაა ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიზნობრივი გამოყენება.

1.8. აქტივების აგრესია

ამ ტიპის აგრესია ემყარება თავდასხმული პირის ქონების განადგურებას ან დაზიანებას. ასევე შეიძლება შეინიშნოს მათი გატაცება ან უზურპაცია. ეს შეიძლება იყოს მიზნად ისახავს მსხვერპლისთვის ზიანის მიყენებას, განსაკუთრებით მაშინ, თუ აღნიშნულ ნივთებს აქვს მაღალი ემოციური ღირებულება ან მათი მოპოვება დიდ ძალისხმევას მოითხოვს. სინამდვილეში, ეს შეიძლება იყოს როგორც ირიბი, ასევე პირდაპირი (რადგან განადგურება ფარულად შეიძლება მოხდეს ან არ მოხდეს).

1.9. სიმბოლური აგრესია

არაპირდაპირი აგრესიის ტიპი, რომელიც ხასიათდება იმით, რომ შეტევა არ ხორციელდება უშუალოდ მსხვერპლზე, არამედ **ელემენტებზე, რომლებიც განასახიერებს მასთან დაკავშირებულ ასპექტებს** როგორცაა რელიგია, პოლიტიკა, სექსუალური ორიენტაცია ან ეროვნება.

2. ჯგუფი: აგრესიის ხერხები.

თქვენი მიზნის მიხედვით

ზემოთ დასახელებული ძირითადი აგრესიების გარდა, ჩვენ შეგვიძლია მიზნის გათვალისწინებით სხვა სახის აგრესიის პოვნაც.

2.1. მტრული აგრესია

ამ ტიპის აგრესია ეხება ნებისმიერ ქმედებას, რომელიც ძირითადად მიზნად ისახავს ადამიანისთვის რაიმე სახის ზიანის მიყენებას, ისე, რომ **ზიანი არის აგრესორის მთავარი მიზანი**.

2.2. ინსტრუმენტული იერიში

ამ შემთხვევაში, აგრესიული ქმედება არ არის გამიზნული ზიანის მიყენება თავდასხმული პირისათვის, **არ იყოს სხვისი ტანჯვა ან დისკომფორტი, რაც მიზნად ისახავს**, მაგრამ ის, რაც თავდასხმას აღძრავს, არის გარკვეული სახის მოგების მიღება ან მოგება აღნიშნული შეტევით. მაგალითად შეიძლება იყოს ფინანსური მოგება, სოციალური მოწონება ან დომინირებისა და ძალაუფლების პოზიციის შექმნა.

2.3. გამოწვეული აგრესია

ეს არის აგრესიული აქტის სახეობა, რომელშიც აგრესორია **სხვა ადამიანების მიერ გადაადგილებული ქმედებები ან ისეთი ფაქტორები, როგორცაა შიში ან რაიმე უაღრესად ავერსიული სიტუაციიდან თავის დაღწევის მცდელობა**.

3. ჯგუფი: ორპოლუსიანი აგრესია; მოქმედი პირი და მსხვერპლი

3. დამოკიდებულია მსხვერპლზე

აგრესია იმისდა მიხედვით, თუ ვინ არის ის ადამიანი, ვის მიმართაც ძალადობრივი ქმედება სრულდება.

3.1. თვითმიზანი

აგრესიის მსხვერპლი არის ის ადამიანი, რომელიც ამავე დროს იგივე ადამიანია, ვინც იწვევს აგრესიას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს არის თავდასხმა საკუთარ თავზე, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს მრავალი მიზეზით. **შეიცავს თვითდაზიანებას** სხვადასხვა პათოლოგიას ან თვითმკვლელობას.

3.2. ინტერპერსონალური აგრესია

ეს არის ყველაზე კლასიკური და ყველაზე ცნობილი აგრესიის სახეობა, რომელშიც ერთი ადამიანი ზიანს აყენებს მეორეს ნებაყოფლობით.

4. ჯგუფი: აგრესიის კონტექსტი

იმ კონტექსტის მიხედვით, რომელშიც ხდება აგრესია.

აგრესიების კიდევ ერთი შესაძლო კლასიფიკაცია შეიძლება გამომდინარეობდეს იმ კონტექსტიდან, რომელშიც ისინი ხდება. მაგალითად:

4.1. ოჯახში და პარტნიორთა აგრესია

ამ ტიპის ინტერპერსონალური აგრესია შეიძლება განცალკევდეს დანარჩენისგან იმით, რომ **აქვს დამახასიათებელი თვისებები იმავე ოჯახში** ან იმ ადამიანებს შორის, რომლებიც პრინციპში აფექტურ კავშირს ინარჩუნებენ. ოჯახურ ძალადობას შეიძლება ჰქონდეს მრავალი ფორმა, ძირითადად, პირდაპირი ტიპის, იქნება ეს ფიზიკური, ფსიქოლოგიური ან თუნდაც სექსუალური ფორმით გამოხატული.

4.2. აგრესია სამუშაო ადგილზე

ნებისმიერი აგრესიული აქტი, რომელიც მიმდინარეობს სამუშაო კონტექსტში. ამაში შეიძლება ჩავრთოთ თანამშრომლებს შორის ფიზიკური, სიტყვიერი ან სექსუალური ძალადობის გამოყენება, იგივე რანგის ან წოდებრივი და პოზიციური სხვაობის მქონე ადამიანებს შორის, მაგალითად, ბიზნესში.

4.3. აგრესია სკოლაში

ჩვენ ვგულისხმობთ აგრესიულ აქტებს, აკადემიურ გარემოში სტუდენტებსა და ლექტორ-მასწავლებლებს შორის. ჩვენ შეგვიძლია დავაკვირდეთ მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შორის **ბულინგის არსებობას**.

რა იწვევს აგრესიას?

აგრესიის მიზეზების შესწავლისას სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ აგრესიული ქცევა, ერთი მხრივ, შესაძლოა თან ახლდეს ფსიქიატრიულ ან ნერვულ აშლილობას, მეორე მხრივ კი – რომელიმეს (ან რამდენიმეს) ქვემოთ ჩამოთვლილთაგან:

- * ალკოჰოლური ან ნარკოტიკული დამოკიდებულების ამა თუ იმ ფორმას, რომელიც საკმაოდ ხშირად უწევს პროვოცირებას არაადეკვატურ ქცევას;

- * პირად პრობლემებს, ნეგატიური ემოციების მოზღვავენას, გამაღიზიანებელ ფაქტორებს ან მათ ერთობლიობას;

- * ფრუსტრაციას (იმედგაცრუებას) ან შფოთვის ძლიერ განცდას;

- * არარეალიზებულ გეგმებს, მოლოდინებს;

- * კონფლიქტებს, კონფლიქტური სიტუაციებისადმი მაღალ მგრძნობელობას;

- * საზოგადოებისგან გარიყულობის განცდას, უარყოფას თანატოლების, ოჯახის წევრების, სოციუმის მიერ;

- * ძალადობრივ გარემოს – ძალადობის მსხვერპლი ხშირად თავადაც მოძალადედ ყალიბდება;

- * ფსიქოლოგიურ ტრამვას;

- * მკაცრ აღზრდას, ძალადობისკენ მიდრეკილ ოჯახურ გარემოს;

- * გადაღლილობას, არაჰიგიენურ სამუშაო რეჟიმს, გადამეტებულ ფიზიკურ დატვირთვას;

- * ძალადობის შემცველი ინფორმაციის ჭარბ მიღებას (უმთავრესად – საწყის ასაკში);

- * აღზრდას, კულტურულ-სოციალურ გარემოს, სხვა გარემო პირობებს;

- * სუბიექტურ მიზეზებს (ექსტრემიზმი, ფანატიზმი, ხასიათის თავისებურებები).

არსებობს თეორიები, რომლებიც ძალადობას განიხილავს როგორც ერთგვარ თანდაყოლილ ინსტინქტს, რომელიც ადამიანს, სხვა ცოცხალი ორგანიზმების მსგავსად, წინააღმდეგობათა დამღვევის, თავდაცვისა და თვითგადარჩენის დროს უაქტიურდება.

ძალადობის გამომწვევი ერთ-ერთი ფაქტორია მძიმე სოციალური ვითარება: პრობლემები დასაქმების ბაზარზე, ახალგაზრდების ფინანსური დამოუკიდებლობის დაბალი ხარისხი, ბავშვებისთვის სახლის გარეთ სათამაშო სივრცის ნაკლებობა, საოჯახო საქმეებში ქალის ტრადიციული როლის დომინირება.

აგრესია და ძალადობის სიჭარბე თანამედროვე საზოგადოების გამოწვევად იქცა. მიუხედავად იმისა, რომ იგი გავრცელებული და კომპლექსური პრობლემაა, მისი თავიდან აცილება, შემცირება და მასზე ადეკვატური რეაგირება შესაძლებელია. საუკეთესო გამოსავალი კი არა დასჯა და პოსტ-ფაქტუმ მოქმედებაა, არამედ პრევენცია იმ მიზეზების გააზრებითა და გაცნობიერებით, რომლებიც ზემოთ ჩამოვთვალეთ.

შეგვიძლია თუ არა ვმართოთ ჩვენი აგრესია?

აგრესიის შემცირების ერთ-ერთი მეთოდი არის ის, რომ ადამიანებმა ისწავლონ საკუთარი აგრესიული ქცევის გაკონტროლება. აგრესიის აკრძალვაზე ბევრი ფაქტორი ახდენს გავლენას. მაგალითად ყურადღების გადატანა სხვა რამეზე, რადგაც მუდმივად მრისხანებაზე/ბრაზზე ფიქრი აგრესიულ ქცევას კვებავს.

აგრესიაში უნდა მოვიაზროთ ნებისმიერი განზრახული (მიზანმიმართული) ქმედებები, რომლებიც მიმართულია სხვა ადამიანისთვის, ადამიანების ჯგუფისთვის ან ცხოველისთვის ზიანის მიყენებაზე. ამ მომენტისთვის არ არსებობს აგრესიის ერთი საერთო, საზოგადოდ მიღებული თეორია. მეტად ფუნდამენტური და დეტალურად დამუშავებული კონცეფციებია აგრესიის ინსტინქტივისტური თეორია (S.Freud, K.Lorenz), აგრესიის ფრუსტრაციული თეორია (J.Dollard, N.Miller), სოციალური დასწავლის თეორია (A.Bandura), აგზნების გადატანის თეორია (D.Zillmann), აგრესიული ქცევის კოგნიტური მოდელები (L.Berkowitz). გარდა ამისა, არსებობს თითოეული დასახელებული ბაზისური

თეორიის უამრავი კერძო ვარიანტი. ყველა მითითებულ კონცეფციას აქვს თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები, მაგრამ ვერც ერთი ამომწურავად ვერ ხსნის ადამიანის აგრესიულ ქცევას. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ მეტად დადასტურებული, არაწინააღმდეგობრივი და ვერიფიცირებული დღესდღეობით არის აგრესიის ფრუსტრაციული თეორია და სოციალური აგრესია – ქცევის ფორმაა და არა ბრაზის ემოცია, რაც ზოგჯერ აგრესიად განიხილება. ჩვენ შეიძლება ვიყოთ გაბრაზებულნი, მაგრამ არ მოვიქცეთ ემოციის შესაბამისად. აგრეთვე, შეიძლება სულაც არ განვიცდიდეთ ბრაზს, მაგრამ სხვას მაინც მივაყენოთ ზიანი.

ფსიქოლოგები განასხვავებენ პირდაპირ და ირიბ, ემოციურსა და ინსტრუმენტულ აგრესიას.

ირიბი აგრესია არ მოიაზრებს ადამიანისადმი პირისპირ ზიანის მიყენებას, ეს შეიძლება იყოს ჭორების მოგონება ან გავრცელება მეორე ადამიანზე.

პირდაპირი აგრესიის დროს ადამიანს განზრახული აქვს ვინმეს ზიანი მიყენოს. ეს შეიძლება იყოს ფიზიკური, ან ვერბალური- შეურაცხყოფა, ჩხუბი ან მუქარა.

ემოციური აგრესია ეს არის მიზანმიმართული, ნეგატიური ემოციების (ბრაზის) მიმართვა კონკრეტული ადამიანისკენ. თუ გაბრაზებულები ვინმეს დავუყვირებთ, ეს ემოციური აგრესიაა.

ინსტრუმენტული აგრესია ეს არის ადამიანისადმი ზიანის მიყენება, რომლის მიზანიც სულაც არ არის აგრესია. მაგ. დასჯა ან სხვისი კრიტიკა საკუთარი სტატუსის ამაღლების მიზნით. აგრეთვე, აგრესიული ქცევა თავის დაცვის მიზნით.

არსებობდა მოსაზრება, რომ აგრესიისკენ ვაჟები უფრო მიდრეკილნი არიან ვიდრე გოგონები. მაგრამ კაი ბაიორკვისტის მიერ ჩატარებული კვლევების თანახმად აღმოჩნდა, რომ აგრესიულობის თვალსაზრისით, სქესთა შორის მნიშვნელოვანი განსხვავება არ ფიქსირდება. აგრეთვე არსებობს კვლევები, რომლის თანახმადაც გოგონები მეტი აგრესიულობით გამოირჩევიან. ისინი მეტად ეჭვიანობენ მეგობრებზე და ზოგადად, უფრო ხშირად ავლენენ არაპირდაპირ აგრესიას. მაგ. აგრესიულ ბრძოლებს, სოციალური ჯგუფიდან გარიყავენ მის წევრებს. გოგონები უფრო მეტად ემოციური აგრესიისკენ არიან მიდრეკილნი, ვაჟები კი მეტად ორიენტირებულნი არიან ძალის დემონსტრირებაზე. ეს განსხვავება გამოკვეთილი ხდება მე-4, მე-5 კლასიდან. მაშასადამე, გოგონებისა და ვაჟების მიერ აგრესიის გამოვლენა განსხვავებულია მოტივებისა და გამოვლენის ფორმების მიხედვით. სასკოლო გარემოში ბრაზის გამომწვევ ფაქტორებს მიეკუთვნება:

- კონფლიქტი, რომელიც უკავშირდება სივრცის დარღვევას;
- ფიზიკური კონფლიქტი – გულისხმობს სიტუაციას, როდესაც ერთი ბავშვი მეორეზე ახორციელებს ფიზიკურ იერიშს, როგორცაა, მაგ. ხელის კვრა ან დარტყმა;
- ვერბალური კონფლიქტი, მაგ. ცუდი სიტყვის თქმა ან აბუჩად აგდება;
- უარყოფა – როდესაც ბავშვი უარყოფილია თანატოლების მიერ, მაგ. მას არ აძლევენ მათთან ერთად თამაშის საშუალებას; – დათმობა – როდესაც მოზარდი ხშირად ახორციელებს მოქმედებას საკუთარი სურვილის წინააღმდეგ.

აგრესიული ქცევის სახეებსა და მის გამომწვევ მიზეზებზე ძალიან ბევრი კვლევა არის ჩატარებული. მაგ. სოციალური დასწავლის თეორიის ბირთვს წარმოადგენს დებულება იმის შესახებ, რომ ქცევის ახალ ფორმებს ჩვენ შეიძლება დავუფლოთ უშუალო გამოცდილების გარეშე – სხვაზე დაკვირვებით. მკვლევარების აზრით ძალადობის შემცველი კადრების ხშირმა ყურებამ შეიძლება გამოიწვიოს:

1. აგრესიული ქცევის სიხშირის ზრდა;
2. იმ ფაქტორების შემცირება, რომელიც აკავებს აგრესიულ ქცევას;
3. აგრესიისადმი მგრძნობელობის დაქვეითება;
4. სოციალური რეალობის ფორმირება, სადაც გამართლებულია ამგვარი ქცევა.

ირონის და მისი კოლეგების მიერ ჩატარებულ კვლევაში 575 მესამე კლასელი გოგონა და

ვაჟი მონაწილეობდა. მეცნიერები აკვირდებოდნენ ბავშვების ქცევას და აგრეთვე, შეისწავლიდნენ მონაცემებს მათი მშობლებისა და ოჯახური გარემოს შესახებ. მნიშვნელოვანი შედეგი აღნიშნული კვლევებისა გახლდათ ის, რომ მოსწავლეები, რომლებიც ხშირად უყურებდნენ ძალადობის შემცველ პროგრამებს, სასკოლო გარემოში მეტი აგრესიულობით გამოირჩეოდნენ. ათი წლის შემდეგ კვლევაში მონაწილე 427 ბავშვთან კვლავ ჩაატარეს განმეორებითი კვლევა – რათა შეესწავლათ კავშირი მათ მიერ ნანახი სატელევიზიო პროგრამების შინაარსს, რაოდენობასა და აგრესიულ ქცევას შორის. მათ აღმოაჩინეს, რომ 8 წლის ასაკში ძალადობის შემცველი კადრების ხშირი ყურება კავშირში იყო 18 წლის ასაკში გამოვლენილ აგრესიულ ქცევასთან. კვლევების შედეგებზე დაყრდნობით ალბერტ ბანდურამ შეიმუშავა შემდეგი რეკომენდაციები:

- მნიშვნელოვანია, რომ მშობლებმა პრობლემები მშვიდობიანი გზით მოაგვარონ, რის შემსწრეც გახდებიან ბავშვები;

- არ წახალისონ ბავშვის ან სხვა ადამიანის აგრესიული ქცევა, ვინაიდან, აგრესიული ქცევის მოდელებს ბავშვები ყველაზე ხშირად ოჯახში ითვისებენ;

- ბავშვები დაიცვან მათთვის საზიანო ინფორმაციისგან. მაგრამ, ვინაიდან ინფორმაციული ნაკადის დროს ბავშვის სრული იზოლაცია რთულია, მეცნიერის აზრით სასურველია, რომ მშობლებმა ბავშვებთან ერთად უყურონ სატელევიზიო გადაცემებს, მათთან ერთად გაანალიზონ და შეაფასონ ნანახი. არსებობს იმგვარი მოსაზრებაც, რომ აგრესიის შემცველი სცენების ყურებას ზოგიერთი ადამიანისთვის შეიძლება კათარზისის ეფექტი ჰქონდეს და ადამიანი გათავისუფლდეს ნეგატიური ემოციებისაგან.

მიიჩნევა, რომ აგრესიული ქცევის მქონე ბავშვები გამოირჩევიან მეტი ემოციურობით და ისინი გარემოს მათთან დაპირისპირებულად მიიჩნევენ. ასეთი ბავშვები ხშირად, გარემოსგან წამოსულ სიგნალებს მათ საწინააღმდეგოდ მიმართულად აღიქვამენ, ხშირად გარემოსგან მუდმივ საფრთხეს ელიან და კონფლიქტის დროსაც პირველები გადადიან აგრესიულ ქცევაზე.

კონფლიქტის მართვის კუთხით სწორად წარმოებული მოლაპარაკებები მნიშვნელოვან შესაძლებლობებს იძლევა. როცა მოსწავლეებს ვეხმარებით პრობლემების მოგვარებაში, მთავარი აქცენტი იმაზე კი არ უნდა გაკეთდეს, რომ მოცემულ მომენტში არსებული უთანხმოება მოგვარდეს, არამედ იმაზე, რომ დავანახვით მათ ახალი საშუალებები და გზები, თუ როგორ მოაგვარონ ანალოგიური კონფლიქტები მომავალშიც, მოლაპარაკებების გზით.

ლიტერატურა:

- Anderson, C. A./ Bushman, B. J. (2002): Human aggression. In: Annual Review of Psychology, 53, 27–51.
- Joh. Engelkamp /Wilhelm Fink Verlag, München 1974, S. 14, 23-28
- Heinrich Löffler /Germanistische Soziolinguistik, Erich Schmidt Verlag 2005, S. 35-40,79-90
- Reiner Dietrich / Psycholinguistik, Metzlerische Buchhandlung 2002, S. 20-44
- Baker, J. A. (2006): Contributions of teacher-child relationships to positive school adjustment during elementary school. In: Journal of School Psychology, 44, 211–229.
- Baker, J. A. (2006): Contributions of teacher-child relationships to positive school adjustment during elementary school. In: Journal of School Psychology, 44, 211–229.
- Barth, J. M./ Dunlap, S. T./ Dane, H./ Lochman, J. E./ Wells, K. C. (2004) Classroom environment influences on aggression, peer relations, and academic focus. In: Journal of School Psychology, 42, 115–133.
- Bibou-Nakou, I./ Stogiannidou, A./ Kiosseoglou, G. (1999): The relation between teacher burnout and teachers' attributions and practices regarding school behaviour problems. In: School Psychology International, 20, 209–217.
- Boulton, M. (1994): How to prevent and respond to bullying behaviour in the junior/ middle school playground. In: Sharp, S./ Smith, P. K. (Eds.): Tackling bullying in your school: A practical handbook for teachers, 103–132. London: Routledge.
- Boulton, M. J. (1997): Teachers' views on bullying: Definitions, attitudes and ability to cope. In: British

Journal of Educational Psychology, 67, 223–233.

Camodeca, M./ Goossens, F. A./ Meerum Terwogt, M./ Schuengel, C. (2002): Bullying and victimization among school-age children: Stability and links to proactive and reactive aggression. In: Social Development, 11, 332–345.

Cicchetti, D./ Hinshaw, S. P. (2002): Prevention and intervention science: Contributions to developmental theory. In: Development and Psychopathology, 14, 667–671.

Fergusson, D. M./ Horwood, L. J./ Ridder, E. (2005): Show me the child at seven: The consequences of conduct problems in childhood for psychosocial functioning in adulthood. In: Journal of Child Psychology and Psychiatry, 46, 837–849.

<http://geopsychology.org/>

Socio-Psychological Factor of Aggression among Adolescents and Adults in Modern Society

Ktristinashvili Catherine
Learning Platform “Dialogue”

Abstract

The study of the problem of aggression, an essential factor of social and psychological existence of modern society, in adolescents and adults is one of the foundations for the education of a healthy future generation of our country and the formation of a highly developed noble society in general. Its study analysis and coping perspectives unite many scientific disciplines, among which psycholinguistics, sociolinguistics and cultural studies are leading. Types of aggression, contexts, bipolar relations and, above all, a highly loaded classification grid provide a clear picture of the problem and contribute to the creation and establishment of a conscious methodology to overcome it. The communicative-pragmatic relations of the complex social environment and psyche-psychology of each people/ethnic group are very complex, it is a conglomerate of different subsystems.

Key words: Direct aggression, indirect aggression, emotional aggression, instrumental aggression, frustration theory, social learning theory.

მშობლების როლი ტრანზიციის პროცესში

ჩაქიაშვილი-კალმახელიძე ია

იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი

DOI: <https://doi.org/10.52340/idw.2023.83>

აბსტრაქტი. სკოლამდელი დაწესებულებიდან ახალ, სასკოლო საგანმანათლებლო გარემოში ტრანზიციის თითოეული ბავშვისთვის მეტად მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს. არსებული კვლევების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ სკოლის პოზიტიურად დაწყება მოსწავლისთვის მომავალი აკადემიური და სოციალური წარმატების საფუძველი და წინაპირობაა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ტრანზიციის საფეხურების წარმატებით გავლა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისთვის, ხოლო იმისთვის რომ სკოლაში ტრანზიციის იყოს უმტკივნეულო, მეტად გასათვალისწინებელია მშობლების აქტიური მხარდაჭერა და მათთან თანამშრომლობა, ბავშვების საჭიროებების განსაზღვრასთან ერთად მშობლების საჭიროებების განსაზღვრა. მშობელმა, სკოლამდელმა დაწესებულებამ, სკოლამ თანაბრად უნდა გადაინაწილოს პასუხისმგებლობები და მოვალეობები. მოხდეს მშობლების ინფორმირებულობა მათთვის აქტუალურ საკითხებზე და წარმატებული ურთიერთთანამშრომლობის შედეგად, თითოეული რგოლის (ბავშვი, მშობელი, სკოლა) მორგება ბავშვის საჭიროებებთან. გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის, „სსსმ ბავშვების სკოლაში ტრანზიციის კვლევა თელავის მუნიციპალიტეტის სკოლების მაგალითზე“ ფარგლებში ჩატარებული საერთო კვლევების ერთ ნაწილს წარმოადგენდა სსსმ ბავშვების მშობლების გამოცდილების შესწავლა. შეირჩა სკოლის ტრანზიციის მყოფი 5 სსსმ ბავშვის მშობელი. კვლევის მიზანი იყო აღმოჩენა სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვების ტრანზიციის პროცესში შემავალი მშობლის როლი, ფუნქცია, მისი პასუხისმგებლობები და კომუნიკაცია ამ პროცესში ჩართულ მხარეებთან. მშობლების გამოკითხვა მოხდა ინტერვიუს მეთოდით. კვლევის შედეგად გამოიკვეთა ტრანზიციის პროცესის ძლიერი მხარეები და გამოწვევები. ჩამოყალიბდა გარკვეული დასკვნები და შემუშავდა შესაბამისი რეკომენდაციები. მშობელი თვლის რომ მთავარი გამოწვევა ბავშვის სასკოლო გარემოსთან შეგუების პროცესია. ხაზს უსვამს სკოლამდელ პერიოდში ბავშვის და მშობლის მომზადების პროცესის მნიშვნელობას. განსაკუთრებით აღნიშნავს სკოლის და ადრეული განვითარების ცენტრის, ადრეული ინტერვენციის მომსახურების მხარდაჭერას, ბავშვის ჩართულობას სკოლის წარმომადგენლებთან და მშობლებთან ცენტრის სპეციალისტების შეხვედრებს, როგორც შეფასების, ისე შემდგომ პროცესებში.

საკვანძო სიტყვები: ტრანზიციის, მშობელი, სასკოლო მზაობა, სკოლა, სკოლამდელი დაწესებულება, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება

სკოლაში ტრანზიციის კომპლექსური და გამოწვევებით სავსე სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლისთვის (ხვადაგანი & წულაძე, 2018) ხშირ შემთხვევაში მშობელი შფოთავს და წუხს ობიექტური მიზეზების გამო, როგორცაა ბავშვისთვის უსაფრთხოება გარემო, კომუნიკაცია სკოლაში, მოსალოდნელი სირთულეები და ა.შ. როგორც ვიცით, მშობლის ემოციური მდგომარეობა ბავშვზე პირდაპირ ჰპოვებს ასახვას, ამიტომაც მნიშვნელოვანია, რომ სასწავლო წლის დაწყებამდე მშობლის შფოთვა, რომელიც

ტრანზიციით არის გამოწვეული შემცირდეს, რადგან შესაბამისად მსგავსი იქნება ბავშვის დამოკიდებულებები და მოლოდინები სკოლის მიმართ. შფოთვის შესამცირებლად უნდა გაიზარდოს სკოლის გარემოს შესახებ მშობლის ინფორმირებულობა, მშობელმა დაამყაროს კონტაქტი სკოლასთან, გაიცნოს ის სპეციალური მასწავლებელი თუ პრაქტიკოსები, რომლებიც იქნებიან ჩართულნი ბავშვისგანათლების პროცესში.

როგორ უნდა მოემზადოს მშობელი ბავშვის სკოლაში წასვლისთვის?

- ეცნობა სკოლის გარემოს.
- წინასწარ გაიცნობს სკოლის დამრიგებელს, სპეციალურ მასწავლებელს .
- გადასცემს სკოლის წარმომადგენელს ბავშვის ინტერესების, თავისებურებების და საჭიროებების შესახებ ინფორმაციას.
- ასევე მათგან იღებს ინფორმაციას ბავშვისთვის საჭირო მხარდაჭერის შესახებ. თუ როგორ შეძლებენ ისინი გაითვალისწინონ ბავშვის საჭიროებები და მოარგონ მას სასწავლო გარემო დასასწავლო პროცესი.
- მომავალ მასწავლებლებთან და სპეციალისტებთან ერთად განიხილავს და გეგმავს ბავშვის სკოლაში ტრანზიციის პროცესს.

თუ ბავშვის კომუნიკაციის ფორმა მეტყველება არ არის, მშობელმა ეს ინფორმაცია უნდა მიაწოდოს სკოლის პერსონალს, რათა საჭიროების შემთხვევაში მასწავლებელმა მიიღოს სათანადო კონსულტაცია თავად მშობლისგან ან იმ სპეციალისტისგან, რომელიც ადრე ბავშვთან მუშაობდა. „წარმატებულ ტრანზიციას ბავშვის მზაობა სკოლისადმი და სკოლის მზაობა ბავშვისადმი განსაზღვრავს. მშობლის როლი მნიშვნელოვნად გადამწყვეტია ბავშვის სასკოლო მზაობის ფორმირების პროცესში. მშობლის ამოცანაა ბავშვის ფსიქო-ემოციურად მომზადება სკოლისთვის, იმ გარემოს შესახებ წარმოდგენების შექმნა, რომელშიც მას მოუწევს თანაარსებობა, რითაც შეამცირებს ბავშვის შფოთვისას და შიშს რომელიც დაკავშირებულია უცხო გარემოს და სიახლისადმი მოლოდინთან.“(ხვადაგიანი, 2021)

მშობელი ბავშვს სკოლისთვისთვის ამზადებს სხვადასხვა ტექნიკით: სკოლასთან დაკავშირებული შეკითხვებით, სკოლასთან დაკავშირებული პოზიტიური გამოცდილების მოყოლით, ფიზიკური სივრცის და სასკოლო გარემოს გაცნობით და ა.შ. (ხვადაგიანი, 2021)

ზოგიერთ შემთხვევაში, მშობლის მიერ გაწეული ჰიპერმზრუნველობის გამო, ბავშვის არსებული უნარები გამოუყენებელი რჩება. ბავშვს ხშირად არ ეძლევა შესაძლებლობა დამოუკიდებლად განახორციელოს ესა თუ ის აქტივობა, ან დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება, რის შედეგადაც ზრდასრულ ასაკშიც ის სხვებზე დამოკიდებული რჩება. მშობელმა ადრეული ასაკიდანვე უნდა მოამზადოს დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის საჭირო უნარ-ჩვევებით. მისცენ საშუალება დამოუკიდებლად განახორციელოს ასაკობრივი აქტივობები, რა სახითაც ბავშვს შეუძლია. (მაგ.: მიუხედავად იმისა რომ ბავშვი დამოუკიდებლად ჭამისას შეიძლება ძალიან ისვრებოდეს, მაინც მისცეს საშუალება თავად ჭამოს), დაეხმაროს ბავშვს საკუთარი პოტენციალის მაქსიმალურად გააზრებაში, გაამხნევოს და წახალისოს ბავშვის დამოუკიდებელი ქმედებები და მცდელობები. აღნიშნული ეხმარება ბავშვს გახდეს დამოუკიდებელი ზრდასრული, ჰქონდეს ადეკვატური თვითშეფასება, იზრუნოს საკუთარ თავზე დამოუკიდებლად. ხელი შეუწყონ ბავშვის სოციალური ინტერაქციის უნარების განვითარებას. (ხვადაგიანი & წულაძე, 2018)

როდესაც ბავშვს საგანმანათლებლო საჭიროება აქვს, მისი ინტელექტუალური უნარები განსხვავებულად ვითარდება , აუცილებელია მშობელმა გაითვალისწინოს ბავშვის სწავლისა და განვითარების თავისებურებები, ხელი შეუწყოს მას ადეკვატური მასალის მიწოდებით. იყოს მხარდამჭერი, გააკეთოს იმ ქცევის მოდელირება რომლის დასწავლაც სურს.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების სპეციალისტებმა პროაქტიულად უნდა დაიწყონ მშობლებთან კომუნიკაცია, გაუწიონ ორგანიზება ჯგუფურ და ინდივიდუალურ შეხვედრებს, საუბრებიუნდა შეეხოს ბავშვის სკოლაში ტრანზიციის საკითხებს. ყურადღება მიექცეს მშობელთა ფსიქო- ემოციურ მდგომარეობას და საჭიროების შემთხვევაში დახმარება გაუწიონ მშობელს. ხშირად ხდება, რომ ტრანზიციის პროცესებს

ოჯახი შეუმჩნეველად გაივლის, თუმცა თუ მოხდება ამ პროცესის უმტკივნეულოდ გადასასვლელად სხვათა მხარდაჭერა, ბავშვები ადვილად მოახდენენ ადაპტირებას ახალ გარემოში. როდესაც მშობელი მარტო ზრუნავს ბავშვის სკოლაში ჩართვაზე და მთელ რიგ გამოწვევებს აწყდება. ეფექტური ტრანზიციის ოჯახზე ფოკუსირებული პროცესია. მშობლები ბავშვის განვითარების ძირითად მედიატორებს წარმოადგენენ. ტრანზიციის პროცესის მთავართანამონაწილეებს. მიუხედავად სასკოლო ასაკის დადგომისა, ხდება ხოლმე ბავშვის სკოლაში ტრანზიციის გადავადება. კანონი დასაშვებად მიიჩნევა გახანგრძლივდეს სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვის ყოფნა სკოლაში დაწესებულებაში, თუკი მშობლის და სპეციალისტის მოსაზრებით ერთი წლით დაყოვნება ბავშვში, სასარგებლოდ მიიჩნევა ბავშვის განვითარებასა და სასკოლო მზაობის ფორმირებისთვის. აღნიშნული მიდგომა ეწინააღმდეგება ინკლუზიური განათლების და ტრანზიციის პრინციპებს, რამდენადაც ბავშვის სკოლაში ჩარიცხვის კრიტერიუმად არა ასაკი, არამედ უნარების სასკოლოდ მომწიფება განისაზღვრება. სკოლაში დაწესებულების ვალდებულება არა სასკოლო მზაობის მიღწევამდე დაყოვნოს ბავშვი, არამედ სასკოლო ასაკის დადგომისთვის შეძლებისდაგვარად მიახლოვოს ის სასკოლო მზაობას და გადააცილოს ის სკოლაში და სკოლაში კი უზრუნველყოს გარემოს მზაობა. მშობელს შესაძლოა არასწორი ხედვა ჰქონდეს იმ საკითხების შესახებ, თუ რა არის ბავშვის სასკოლო მზაობის განმსაზღვრელი; რა უნდა იცოდეს ბავშვმა სკოლაში შესვლამდე რისი გაკეთება მოეთხოვება მას სკოლაში; აქცენტი გააკეთოს მხოლოდ აკადემიურ მზაობაზე და ბავშვის სოციალურ-ემოციური განვითარება არასაკმარისად იყოს მხარდაჭერილი. მან გადაავადოს სკოლაში ბავშვის მიყვანა ბავშვის განვითარებასთან დაკავშირებული გამოწვევების არსებობის გამო და არ ჩათვალოს ბავშვი მზად სკოლისათვის, რადგან მიიჩნის რომ აკადემიური უნარები არასაკმარისად აქვს ბავშვს განვითარებული. რომ ის მიღწევის დონით განსხვავებული იქნება თანაკლასელებისგან. ასევე შესაძლოა ბავშვის მშობლებმა ყურადღება მის ჯანმრთელობასა და რეაბილიტაციას დაუთმოს და არასაკმარისად აცნობიერებდნენ ბავშვისთვის განათლების და თანატოლებთან ურთიერთობის მიღების დიდ მნიშვნელობას. შეიძლება არჩევანი დღის ცენტრის სასარგებლოდ გააკეთოს იმ მომსახურების მიღების მიზნით, რომელსაც ცენტრი სთავაზობს ოჯახს. (ტრანსპორტირება, კვება, რეაბილიტაციის შესაძლებლობები). ოჯახების სოციალურ-ეკონომიურ მასირთულებმა, ენობრივმა და კულტურულმა თავისებურებებმა შეიძლება სპეციფიკური სირთულეები გამოიწვიოს ბავშვის ტრანზიციის პროცესში. (ოჯახის დაბალი ხემისაწვდომობა ინფორმაციაზე, სკოლის წარმომადგენლებთან კომუნიკაციის სირთულეები, სკოლისთვის საჭირო ინვენტარის შეძენის შეუძლებლობა (გრუზინსკი-ბაგრატიონი, ბარქაია, წულაძე, ხვადაგიანი, კვაჭაძე, ზაქარეიშვილი, მიდელაური, 2019).

იმისათვის, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებმა უმტკივნეულოდ გადალახონ ტრანზიციის პროცესი, საჭიროა ამ პროცესში, როგორც სკოლის ადმინისტრაციის, ბავშვის ასევე ბავშვის მშობლის აქტიური ჩართულობა, რათა ბავშვებს მხარი დაუჭირონ და გააძლიერონ, ყველა ზემოთხაზოვლილი ფაქტორი, უზრუნველყოფს სწავლის პროცესის ინკლუზიურობასა და ეფექტურობას.

გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის „სსსმ ბავშვების სკოლაში ტრანზიციის კვლევა (თელავის მუნიციპალიტეტის სკოლების მაგალითზე)“ ჩატარებული საერთო კვლევების ერთ ნაწილს წარმოადგენდა სსმ ბავშვების სკოლაში ტრანზიციის პროცესში მშობლების გამოცდილების შესწავლა. შევარჩიეთ სკოლის ტრანზიციის მიყოფი 5 სსმ ბავშვის მშობელი. მათთან პირველადი კომუნიკაცია განხორციელდა სკოლის დირექციის მიერ. მშობლების თანხმობის მოპოვების შემდეგ დაფუკავშირდით მშობლებს და ვთხოვეთ ინტერვიუს ჩაწერა ტელეფონით, რომ მათთვის მოსახერხებელი ყოფილიყო. შემდეგ ქვეთავში წარმოდგენილია 5 მშობლის მოკლე ნარატივი.

კვლევის მიზანი იყო აღმეწერა სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვების ტრანზიციის პროცესში მშობლის ერთ-ერთი მთავარი რგოლის-მშობლის როლი, ფუნქცია, მისი

პასუხისმგებლობა და დამედგინა, როგორ მიმდინარეობდა მისი კომუნიკაცია ამ პროცესში ჩართულ მხარეებთან, მაგალითად ბალის მასწავლებელთან, სპეციალისტთან, კლასის დამრიგებელთან; ვინ იყო ინიციატორი და როგორ ხდებოდა ინფორმაციის გაცვლა პირადად თუ სატელეფონო საუბრით; რა გამოწვევებს შეეჯახნენ და რა პრობლემები გადალახეს ადვილად ანუ შესაბამისად კარგად გაართვეს თავი; მათი აზრით, როგორ უნდა მოხდეს წარმოქმნილი სირთულეების დამლევა, გადალახვა. კვლევაში მონაწილეობა მიიღო ქალაქ თელავის მეორე, მეხუთე, მეექვსე და სოფელ ვარდისუბნისა და კურდღელაურის საჯარო სკოლის ხუთმა მშობელმა. მშობლების გამოკითხვა კონკრეტულ საკითხებზე მოხდა ინტერვიუს მეთოდით (მობილური ტელეფონით ჩაწერა, შემდგომ ტრანსკრიპირება და მიღებული მონაცემების ანალიზი). თვითოეული ინტერვიუგრძელდებოდა დაახლოებით 20-25 წუთამდე, დაცული იყო კონფიდენციალურობა და ანონიმურობა.

მშობლების ნარატივის ანალიზი

კვლევაში მონაწილე რესპოდენტები იყვნენ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების (მხედველობის, სმენის დარღვევის, გონებრივი

კვლევის შედეგები:

ჩატარებული ინტერვიუს შედეგად, გამოიკვეთა ტრანზიციის მიმდინარეობისას სიძნელეები, რაზეც მშობლები ღიად და გულახდილად საუბრობენ. ხაზი გაესვა მათი მხრიდან ტრანზიციის მხარდამჭერი რგოლების მნიშვნელობას, კერძოდ, ტრანზიციის პროცესში შემავალი მხარეები მეტ-ნაკლებად იღებდნენ მონაწილეობას. გამოიკვეთა, გარკვეული გამოწვევები და ძლიერი მხარეები. **თავდაპირველად, ძლიერ მხარეებზე გავამახვილებ ყურადღებას, რომლებზეც მშობლები მიუთითებდნენ, პირველი, ადრეული ინტერვენციის მომსახურების მნიშვნელობას, ადრეული განვითარების ცენტრში ბავშვის ჩართულობას, მათი სპეციალისტის მონაწილეობას სკოლის წარმომადგენლებთან, მშობელთან შეხვედრებში, (როგორც სატელეფონო, ისე პირადი), როგორც შეფასებისას ისე, შემდგომ პროცესებშიც.** კონკრეტულად „ცენტრისა და ბალის ჩართულობით მივედით სკოლამდე“. მათი სპეციალისტი, ბავშვის საჭიროებებზე მორგებული პროგრამით მუშაობდა, როგორც ბაღში, ისე ცენტრში. ცენტრის სპეციალისტის მიერ ტრანზიციის პროცესში სკოლაში დარეგისტრირების შემდეგ, ხდებოდა მშობლის დამშვიდება ბავშვის ახალ სასკოლო გარემოსთან შეგუების მიზნით, ბავშვის საჭიროებების გამოკითხვა და სკოლამდე ბავშვთან ცენტრის წარმომადგენლის შეხვედრა. სკოლის შერჩევაშიც, აღსანიშნავია, მათი აქტიური დახმარებამშობლისადმი, არა მხოლოდ ბალის პერიოდში, არამედ სკოლის პარალელურადაც ბავშვებთან მუშაობა, რამაც მშობლის აზრით, გაადვილა ტრანზიციის პროცესი. ცენტრიდან სკოლაშიც, შესაბამის სპეციალისტების მისვლა, მაგალითად, მეტყველების სპეციალისტის და ბავშვის შესაძლებლობების გაცნობა სკოლისთვის.

ბალის ჩართულობის კუთხით - მშობელი აღნიშნავს, რომ ბაღში შეამჩნიეს და აუხსნეს მას, რომ მის შვილს სჭირდებოდა ჩარევა, მათვე გადაამისამართეს ცენტრში. ასევე ჰკითხეს, იყო თუ არა მისთვის ხელსაყრელი ის სკოლა, რომელიც ტერიტორიულად მისთვის ხელმისაწვდომი იყო, თუ არადა, წინააღმდეგ შემთხვევაში, სხვა სკოლაში გაუწევდნენ რეკომენდაციას. მშობლები აღნიშნავენ, ბალის გამგის, აღმზრდელ-პედაგოგის, მათი სიტყვით „ერთიანი გუნდის“ მუშაობას.

ხოლო, გამოწვევებს რაც შეეხება: „სკოლამდე მოსამზადებელი პერიოდი უნდა იყოს, რათამომზადდეს ბავშვიცა და მშობელიც“ - ამბობს რესპოდენტი. ბაღშივე უნდა მოხდეს სკოლისთვის მომზადება. მართალია ისინი თვითონ მუშაობენ ბავშვთან, მაგრამ მათი აზრით ეს საკმარისი არაა.

მიუხედავად, მშობლის მოთხოვნისა, ბავშვებს (ტყუპებს აუტისტური სპექტრის დიაგნოზით) არ უნიშნავდნენ ასისტენტს, რომელიც მისი აზრით, ხელს შეუწყობდა ამ ბავშვების ბაღში ყოფნას, სხვა ბავშვებთან ურთიერთობას. ეუბნებოდნენ უარს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას თვითონ უნდა გადაეხადა თანხა ასისტენტისთვის და თვითონვე უნდა მოეძებნა ის ადამიანი, რომელიც მათ შვილებთან იმუშავებდა. მშობლის მოთხოვნის პასუხად, რომ ბაღში, ის სპეციალისტები ჩაერთოთ მუშაობის პროცესში, ვინც ცენტრშიც მუშაობდნენ ამ

ბავშვებთან, იღებდა უარს (სპეციალისტები იყვნენ თანახმა). უარის მიზეზად კი ასახელებდნენ, ბაღში ბავშვების სიმრავლეს, რაც ხელს შეუშლიდა მათ მუშაობას. მშობელი კი მიიჩნევს, რომ პირიქით, ის სპეციალისტები ხელს შეუწყობდნენ მისი შვილების ქცევების მოწესრიგებას დატრანზიციის პროცესიც გაადვილდებოდა. უარის მიზეზად ასახელებდნენ კიდევ იმ გარემოებას, რომ ჰყავდათ ერთი მასწავლებელი, ერთი დამხმარე, და ფიზიკურად ამდენ ბავშვს ვერ მიხედავდნენ. ბაღს არ ჰქონდა შესაბამისი ბიუჯეტი, რომ გაეთვალისწინებინა ასისტენტის მიწვევაც. რესპოდენტი აღნიშნავს, აღმზრდელ-პედაგოგის მუშაობას, თუმცა დასძენს, რომ: „როგორც მე ვფიქრობდი, ისეთი ჩართულობა, რომ უნდა ყოფილიყო, არ იყო, მასწავლებელს ერჩინა, ხელჩაკიდებული ჰყოლოდა, მასთან მჯდარიყო, ვიდრე სხვა ბავშვებთან ერთად ჩაერთო აქტივობებში“.

მშობელი თვლის, რომ მთავარი გამოწვევაა ბავშვის შეგუების პროცესი სკოლასთან. მისი აზრით: „ამ პერიოდის გავლას საფეხურები სჭირდება, რადგან ასეთი ბავშვებისათვის თავიდან ყველაფერი უცხოდა რთულია, ამიტომ ბავშვს ბაღიდანვე უნდა ჰქონდეს ხელშეწყობა, ის, რომ არუნდა და ბაღისთვის მიუღებელია ჩემი შვილების მსგავსი დიაგნოზის (აუტისტური სპექტრი) მქონე ბავშვების მიღება, ეს დიდი ფსიქოლოგიური სტრესია, რადგან ასეთი მიუღებლობით ბავშვები წინ ვერ მიდიან, ვერ ვითარდებიან“.

სკოლის მონაწილეობა ტრანზიციის პროცესში - თავდაპირველად, ძლიერი მხარეები აღვნიშნოთ. მშობლები მიუთითებენ სკოლის მხარდაჭერას, რაც გამოიხატება, როგორც სიტყვიერად ისე საქმით. პოზიციას, რომ ყველაფერს გააკეთებენ ისინი, რომ მათი შვილები იყვნენ უსაფრთხოდ. აღნიშნავენ, სკოლის „კარგ დახვედრას“ კეთილგანწყობილ დამოკიდებულებას მათდამი, ხაზს უსვამენ სკოლის თანამშრომლობას ცენტრთან, მშობლებთან და ერთობლივი მუშაობის შედეგად, იმის მიღწევას, რომ ბავშვებს ჰყავთ, კონკრეტულ შემთხვევაში ტყუპებს, ცალ-ცალკე ასისტენტი და სხვა მასწავლებელიც: „სკოლაში მივიღე ის, რაც მინდოდა, ის თანადგომა, ის მდგომარეობაში შესვლა, ის, რომ მათ კარგად გაიაზრეს ყველაფერი, თუ რა პრობლემებთან ჰქონდათ საქმე და აბსოლიტურად მოარგეს გარემო ბავშვის საჭიროებებს და ერთობლივად იმუშავეს“.

სკოლის შერჩევა მშობლების მხრიდან ხდებოდა ტერიტორიული ხელმისაწვდომობით და ბავშვების მცირე კონტიგენტიდან გამომდინარე. ასევე აღსანიშნავია, კლასის დამრიგებლის ჩართულობა, მან სკოლამდე დაურეკა და ჰკითხა მშობელს ბავშვის პრობლემის შესახებ და დაამშვიდა, რომ ხელს შეუწყობდნენ და მის საჭიროებებს გაითვალისწინებდნენ: „ყველაზე დიდი როლი ითამაშა კლასის დამრიგებელმა.“ ის მშობლის გადმოცემით, ახლაც რეგულარულად ხვდება მას და იღებს ინფორმაციას ბავშვის შესახებ. მშობლები ასევე აღნიშნავენ, დამრიგებლისა და სპეც. მასწავლებლის ერთად ზრუნვას ბავშვის საჭიროებებზე.

რაც შეეხება გამოწვევებს სკოლაში, სწავლის დაწყებამდე ნაკლებად არის ბავშვთან და მშობელთან შეხვედრები. მშობლის ინიციატივით ხდება ბავშვისათვის სკოლის გარემოს გაცნობა, თუმცა, ნაწილობრივ, მათი მხრიდანაც შეინიშნება ინიციატივის კონკრეტული შემთხვევები. ნაკლებად ხდება, მშობლისათვის აქტუალური ინფორმაციის ამომწურავად მიწოდება და ბავშვის საჭიროებებში გარკვევა. ნაკლებად ახდენს მასწავლებელი ბავშვის საჭიროებების შესახებ გამოკითხვას, თუმცა სკოლაში მიყვანის შემდგომ პირდებიან მათ, რომ იციან დიაგნოზი და შესაბამის მხარდაჭერასაც გაუწევენ: „გამოწვევების გადაჭრას რაც შეეხება, რაც ტრანზიციის დროს ხდება, არის ის, რომ სახელმწიფომ, მ უნიციპალიტეტმა, ვისაც ეს პრობლემა ეხება, მეტი მოინდომონ, ადგილზე ნახონ რა მდგომარეობაა ბაღში, სკოლაში, ჯერ, რომ მშობლებს ისედაც გვიჭირს ამ მდგომარეობასთან შეგუება, გვჭირდება გვერდში დგომა, რომ ერთობლივი ძალით წინ წამოვიდნენ ჩვენი შვილები.“

მშობელი მიიჩნევს, რომ სკოლა არ იყო მზად აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვის მისაღებად, რადგან კლასის ხელმძღვანელისათვის ეს იყო პირველი შემთხვევა და შესაბამისად, ის მოუმზადებელი იყო და ამიტომ, როგორც მშობელს, მიზან შეწონილად მიაჩნია, რომ საჭიროა, უფასო ონლაინ ტრენინგები მაინც გაიარონ მასწავლებლებმა, რათა ისწავლონ, როგორ მიუდგნენ ასეთი დარღვევების მქონე ბავშვებს, რადგან მათი მოუმზადებლობის გამოა ის, რომ ისინი ვერ ადგენენ ბავშვის ტირილის მიზეზს და ვერ

ახორციელებენ შესაბამის ღონისძიებებს. მათ, მშობლებს ყოველდღე უწევთ სკოლაში დროის გატარება, რადგან ბავშვმა შეძლოს ადაპტირება სკოლასთან: „რადგანაც დღესდღეობით ძალიან ხშირია, ასეთი დიაგნოზის შესახებ, ამიტომაც მასწავლებელს ელემენტარულად უნდა ჰქონდეს ცოდნა, როგორ მიუდგინენ ამ დიაგნოზის მქონე ბავშვებს.“

რესპოდენტებთან ინტერვიუს შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ წინასწარ არ იგეგმება ტრანზიციის პროცესი. მშობელმა არაფერი იცის, კონკრეტულად ტრანზიციის გეგმის შესახებ. აქვს ინფორმაცია მხოლოდ, ინდივიდუალური გეგმის შესახებ, მაგრამ კონკრეტულად რას ითვალისწინებს ეს გეგმა და რა შინაარსისაა, მათ ინფორმაცია არ აქვთ. მხოლოდ იციან იმ მცირე მხარდაჭერების შესახებ, მაგალითად, რომ „მხედველობის დაქვეითება აქვს და გადიდებული შრიფტით აძლევენ სასწავლო მასალას“ და „მათ შვილებს“ ასწავლიან მათ საჭიროებებზე მორგებული პროგრამით.

რეკომენდაციები

- აუცილებელია, ბაღმა აქტიურად ითანამშრომლოს მშობელთან, ვინაიდან, საჭიროა დაეხმაროს სკოლის შერჩევასა და მომავალ მასწავლებლებთან წინასწარი შეხვედრების დაგეგმვაში. გაუზიაროს აუცილებელი და ძირითადი ინფორმაცია ბავშვის საჭიროებების შესახებ და შესაბამისად, გაუწიოს კონსულტაციები, როგორც სასწავლო წლის დაწყებამდე, ისე მის შემდეგ პერიოდშიც.
- სასწავლო წლის დაწყებამდე, სასურველია დაიგეგმოს სკოლის წარმომადგენლებთან ბავშვისა და მშობლის ვიზიტები, რათა მიაწოდონ სრულყოფილი ინფორმაცია მშობელს, ბავშვის საჭიროებებში უკეთ გასარკვევად.
- სკოლა უნდა იყოს კომუნიკაციისა და შეხვედრების ინიციატორი, აუცილებელია ბავშვი უმტკივნეულოდ ჩაერთოს სასწავლო პროცესში. მშობლისა და სკოლის აქტიური თანამშრომლობა იყოს მყარი ფუნდამენტი ინდივიდუალური სასწავლო და ტრანზიციის გეგმის შექმნისთვის. რეგულარული ხასიათი ჰქონდეს ბავშვის პროგრესზე შეხედულებების გაზიარებას.
- მშობელმა სწავლის დაწყების შემდეგაც იქონიოს განუწყვეტელი კავშირი სკოლასთან, აქტიურად შეხვდეს ბავშვის დამრიგებელს, პედაგოგებს, მხარდამჭერ სპეციალისტებს, გაეცნოს და გაერკვიოს იმ მხარდამჭერ სერვისებში, რასაც სკოლა შესთავაზებს მის ბავშვს. მან ასევე, მუდმივად გადასცეს სკოლას ინფორმაცია ბავშვის ინტერესებისა და საჭიროებების შესახებ.
- მშობელმა აქტიურად ითანამშრომლოს ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინურ გუნდთან, გაუზიაროს გუნდის წევრებს ბაღის ან ადრეული განვითარების პროგრამის მიერ მიწოდებული შეფასებები და შეახვედროს ბავშვი გუნდის წევრებს, რის შედეგადაც დადგინდება ბავშვისთვის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება.
- სასურველია, ბავშვი სკოლაში მისვლამდე იცნობდეს მომავალ თანაკლასელებს, რაც გაუმარტივებს ტრანზიციის პროცესს.
- სასურველია, მასწავლებლებმა გაიარონ შესაბამისი ტრენინგ-კურსები, რაც გაითვალისწინებს მათ მომზადებას კონკრეტული დიაგნოზის მქონე ბავშვებთან მუშაობისთვის.

ლიტერატურა:

1. გრუზინსკი-ბაგრატიონი, მ., ბარქაია, ც., წულაძე, მ., ხვადაგიანი, მ., კვაჭაძე, ჟ., ზაქარეიშვილი, მ., მიდელაური, ვ. (2019). ადრეული ბავშვობა და ტრანზიციის სკოლაში.
2. წულაძე, მ., ხვადაგიანი, მ. (2010). სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვთა სკოლაში ტრანზიციის ხელშეწყობა.
3. ხვადაგიანი, მ. (2021). ვემზადებით სკოლისთვის, გზამკვლევი მშობლების სკოლაში ბავშვის ლაღად და წარმატებული ტრანზიციისთვის.

Perent's role in the process of transition

Chakiashvili-Kalmakhelidze Ia

Iakob Gogebashvili State University, Telavi

Transition, parent, preschool institution, special educational need, ready for school, Transition from the school institution to the school educational environment, is very important event for every child. On the basis of researches, we can say that starting school positively is the key to future academical and social success for children. Go through the process of transition is very significant factor for the children who have special educational needs and limited abilities. And in order for the transition to school to be painless, support of parents and cooperating with them is very important, as well as determine the needs of the children and the needs of the parents. Parents, pre-school institution, school should share responsibilities and duties equally. To raise parents' awareness of issues relevant to them, as a result of successful mutual cooperation, adjust each link (kindergarten, parent, school) to the child's needs. The study of the experiences of parents of children with special needs was a part of the general research conducted within the framework of the project "Study of the Transition of Children with Special Needs in the school, on the Example of Schools of Telavi Municipality" funded by the United Nations Children's Fund. In school transition parents of 5 children with special needs were selected. The purpose of the research was to describe the role, function, responsibilities and communication of the parents involved in the process of transition of children with special needs. The parents were interviewed using the interview method. As a result of the research, the strengths and challenges of the transition process were identified. Certain conclusions were drawn and relevant recommendations were developed. The parent believes that the main challenge is the process of adapting the child to the school environment. Emphasizes the importance of the process of preparation of the child and parents in the preschool period. Especially mentions the support of the school and the early development center, early intervention services, the child's involvement with the school representatives and the meetings of the center's specialists, both in the assessment and subsequent processes.

Key words: Transition, parent, process of transition, preschool institution, special educational need

**პუბლიცისტური დისკურსის მედიატექსტებში ასახვის თავისებურებები
- პარალელები თანამედროვეობასთან**

/1918 წლის სამთავრობო გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკისა“ და საქართველოს სოციალ-ფედერალისტების პარტიული გაზეთის „სახალხო საქმის“ მიხედვით/

ბრეგაძე მაია

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

DOI: <https://doi.org/10.52340/idw.2023.85>

***აბსტრაქტი.** საქართველოს პირველი რესპუბლიკის არსებობა დიდი ისტორიული მნიშვნელობის ფაქტია. 1918-21 წლების ქართველი პოლიტიკური ლიდერების სიტყვიერი სარბიელის შესწავლა ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ამ პერიოდის პოლიტიკური მეტყველება, ფაქტობრივად, სხვა ტიპისა და შინაარსის მატარებელია და მოიცავს ქვეყნისათვის უმნიშვნელოვანეს საკითხებს. მნიშვნელობა კი, როგორც პროფესორი დ. შველიძე საკუთარ წიგნში აღნიშნავს, გამომდინარეობს ეპოქალური ცვლილებიდან, რადგანაც საქართველოს პოლიტიკურ ელიტას 1917 წლამდე რუსეთის იმპერიის სივრცეში უხდებოდა მოღვაწეობა, ხოლო 1918 წლიდან - დამოუკიდებელ ამიერკავკასიასა და საქართველოში.*

ჩვენი კვლევის ძირითადი თემა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდის პოლიტიკური მჭევრმეტყველების თავისებურებების შესწავლა და თანამედროვეობასთან პარალელების გავლენაა, რისთვისაც ვიყენებთ არსებულ რელიევანტურ ლიტერატურასა და აღნიშნული წლების სამთავრობო და პარტიულ პრესაში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებს.

ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენს, შევისწავლოთ და გავარკვიოთ, რა ქმნიდა აღნიშნული პერიოდის პოლიტიკურ რიტორიკას. გამოვიკვლიოთ იმ წლების მედიატექსტების ენის ფუნქციათა რეალიზაციის თავისებურებანი და აღნიშნული მახასიათებლების ანალიზი, ასევე სტატიების ჟანრობრივი კლასიფიკაცია.

საკვლევ მასალად, შედარებითი და შინაარსობრივი ანალიზისათვის, ავიღებთ 1918 წლებში გამოცემულ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამთავრობო გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას“ და სოციალ-ფედერალისტების პარტიულ გაზეთ „სახალხო საქმეს“.

საკვანძო სიტყვები: პოლიტიკური დისკურსი, პუბლიცისტიკა, რიტორიკა, დემოკრატიზაცია

ტერმინები:

პოლიტიკური დისკურსი: პოლიტიკური მეტყველების ერთ-ერთი მიმდინარეობა, რომელიც ჩამოყალიბებულია პოლიტიკური ინსტიტუტების მიერ. აქვს საკუთარი სპეციფიკური სტრუქტურა, განსხვავებული ლექსიკა და წინადადებათა წყობა. აქვს საკუთარი გეგმა და მიზანი, ასახოს მიმდინარე პერიოდის პოლიტიკური ვითარება და გავლენა მოახდინოს პუბლიკაზე საკუთარი არგუმენტების მეშვეობით. პოლიტიკური დისკურსი მჭევრმეტყველების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სფეროა. პოლიტიკური ნების

პუბლიკისადმი გადაცემის ინსტრუმენტს კი ენა წარმოადგენს. პოლიტიკური დისკურსი ჟანრის გარკვეული კლასია, რომელსაც განსაზღვრავს პოლიტიკა. პოლიტიკური ლიდერების გამოსვლები, რომლებიც საკუთარ სიტყვაში ასახავენ პოლიტიკურ მოვლენებს, ქმნიან პოლიტიკური დისკურსის ნიმუშს.

პუბლიცისტიკა: საზოგადოებრივ-პოლიტიკური შინაარსის მქონე ლიტერატურა, რომელიც ასახავს თანამედროვე აქტუალურ თემებს. აქვს ინფორმაციული შინაარსი. გარკვეულწილად, წარმოადგენს პოლიტიკურ ანალიზს და ავითარებს პოლიტიკურ იდეას. მიმდინარე მოვლენების მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, აქვს ფართო დიაპაზონი, საკუთარი მიზანი და გეგმა: ინფორმაციულად გაზარდოს პუბლიკა და მოახდინოს მასზე ზემოქმედება. მისი სპეციფიკური ნიშნებია: აქტუალობა, პრობლემების წინ წამოწევა, ავტორისეული დამოკიდებულების ღიაობა. პუბლიცისტიკა იქმნება საკუთარი ენით, რომელიც აყალიბებს თავისებურ, ჟურნალისტიკისა და ორატორული ხელოვნების სტილთან გაიგივებულ პუბლიცისტურ სტილს.

რიტორიკა: ძველ ბერძნულად მეტყველების ხელოვნება, არის დისციპლინა საკუთარი ენობრივი ინსტრუმენტებით, რომლებიც მიზანმიმართულია, საუკეთესოდ წარმოაჩინოს ესა თუ ის მნიშვნელოვანი საკითხი. აქვს დარწმუნებისა და საზოგადოებაზე ზეგავლენის ეფექტი.

დემოკრატიზაცია: სანამ დემოკრატიზაციას, როგორც სახელმწიფო მმართველობის ერთ-ერთი ფორმის ჩამოყალიბების პროცესს განვმარტავდეთ, მოკლედ შემოგთავაზებთ დემოკრატიის დეფინიციას. **დემოკრატია** სახელმწიფო მართვის ფორმაა, სადაც ძალაუფლებას ხალხი წარმოადგენს. ის მოიცავს მთელ რიგ უფლებებსა და თავისუფლებას. საზოგადოება თანაბარუფლებიანი და პიროვნულ უნარს დაყრდნობილია. დემოკრატია მისი რამდენიმე განშტოების კოლაბორაციას წარმოადგენს (პირდაპირი, წარმომადგენლობითი, კლასიკური, დამცავი, ხელშემწყობი და სახალხო დემოკრატია). წინამდებარე ნაშრომში ჩვენი ყურადღება გამახვილებული იქნება საქართველოს პირველი რესპუბლიკის კლასიკური დემოკრატიის პრინციპებსა და მის ღირებულებებზე. აქვე აღვნიშნავთ, რომ **კლასიკური დემოკრატიის** ფორმა, რომელიც დაფუძნებულია სახალხო მმართველობის პრინციპზე, მმართველობისთვის საუკეთესოა და აღიარებულია.

მედიატექსტებზე დაკვირვება, მათი შესწავლა და ანალიზი მოხდება შემდეგი მონაცემების იდენტიფიკაციითა და დაჯგუფებით: სტრუქტურულად - ტექსტების აგება, ფორმატი, მოცულობა. შინაარსობრივად - პოლიტიკური ენა, იდეა, ლოგიკა, პრობლემის გაშლა, საუბრის მეთოდი, დასკვნა, რეკომენდაცია; ჟანრობრივად - მოხსენება, მიმოხილვა, სიტყვით გამოსვლა პოლიტიკური დისკურსის მიხედვით.

პუბლიკაციების შესწავლისას იკვეთება პოლიტიკური დისკურსის ძირითადი მიმართულება - დაარწმუნოს აუდიტორია. პოლიტიკური ლიდერები საკუთარ სიტყვაში იყენებენ მიზანმიმართულ ენობრივ სტრატეგიებსა და ლოგიკას.

დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკური მოდელი: 1918 წელს საქართველოს პირველი რესპუბლიკის სათავეში სოციალ-დემოკრატიული პარტია მოექცა - მთელ ევროპაში პირველი სოციალ-დემოკრატიული მმართველი ძალა. ეს განსაკუთრებულად საყურადღებო ფაქტი იყო ევროპული ლიდერი სახელმწიფოებისათვის. დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე რესპუბლიკის მმართველობით ფორმად, სრული პოლიტიკური სპექტრის თანხმობით, საპარლამენტო რესპუბლიკა განისაზღვრა. დემოკრატიული ელემენტების გამოყენებით შეიქმნა მძლავრი თვითმმართველობითა და მოქალაქეთა მხრიდან აღმასრულებელი ხელისუფლების კონტროლით ჩამოყალიბებული საპარლამენტო მოდელი. მმართველი ძალა გეგმავდა ფართომასშტაბიან დემოკრატიზაციას, სისტემურ რეფორმებსა და კაპიტალიზმის ზრდას.

დემოკრატიული მშენებლობის გზაზე უმნიშვნელოვანესი ფაქტორია პოლიტიკური პოლიგონის პრესის ფურცლებზე არსებობა. „საქართველოს რესპუბლიკის დემოკრატიზაციის პროცესის მაღალი დონის განმსაზღვრელად უნდა აუცილებლად მივიჩნიოთ პლურალისტული და თავისუფალი პრესის არსებობა“ (ირემამე, 2018).

როგორც ჩვენთვის ცნობილია, 1918-21 წლებში გამოიცემოდა სხვადასხვა მიმართულებების, მათ შორის, პოლიტიკური, ეთნიკური, რელიგიური, ადგილობრივი თვითმმართველობის, მხატვრული 100-ზე მეტი ჟურნალ-გაზეთი.

ნაშრომისათვის, მისი შინაარსობრივი ფაქტორისა და ისტორიული სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოვიყენეთ **თვისებრივი კვლევის** მეთოდები და შევავსოვეთ **მეორადი მონაცემები**. როგორც ვიცით, აღნიშნული მეთოდები ყველაზე მეტად რელევანტურია ისტორიული წარსულის შესასწავლად, ანალიზისა და გაგების მიდგომების გამოყენებით.

აღნიშნული საკითხის კვლევისათვის მნიშვნელოვანია აქამდე არსებული **ლიტერატურისა და სამეცნიერო ნაშრომების მიმოხილვა**: საკვლევ თემასთან დაკავშირებით ლიტერატურის ძირითად ნაწილს მხოლოდ რამდენიმე მეცნიერული ნაშრომი, აღნიშნული პერიოდის საგაზეთო პუბლიკაციები და დარგის ექსპერტების მოსაზრებები და ინტერვიუები წარმოადგენს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1918-21 წლებში ბეჭდვითი მედიის საკმაოდ ფართო სპექტრი არსებობდა: თემატიკის მიხედვით - პარტიული, სამხედრო, სახელოვნებო, ლიტერატურული, რელიგიური, პედაგოგიური. ჟურნალ-გაზეთები, ქართულის გარდა, გამოდიოდა რუსულ, სომხურ, აზერბაიჯანულ, გერმანულ და ფრანგულ ენებზეც. საკუთარი პერიოდული გამოცემები ჰქონდათ დიდ ქალაქებს - ბათუმსა და ქუთაისს, რეგიონებს, გარკვეულ კოოპერატიულ კავშირებსა და ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს. სწორედ ამ უკანასკნელს მიმოხილავს საკუთარ წიგნში პროფესორი ოთარ ჯანელიძე.

ადგილობრივი ბეჭდური მედიის, კერძოდ, ჟურნალ „ერობისა“ და „ერობა და ქალაქის“ რამდენიმე ნომრის განხილვის შედეგად თვალსაჩინოა, თუ როგორი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მიმოხილვასა და სააგიტაციო სიტყვას. ერთიცა და მეორეც დაცულია საკუთარი შინაარსითა და პარამეტრებით. აქვე აღვნიშნავთ, რომ **მიმოხილვა** წარმოადგენს საჯარო სიტყვას, რომელშიც მიმოხილულია ნებისმიერი აქტუალური მოვლენა, ხოლო **სააგიტაციო სიტყვა** მიზნად ისახავს, გააკეთოს მნიშვნელოვანი მოწოდება და გავლენა მოახდინოს პუბლიკაზე.

მკვლევარი ნათია კენჭიაშვილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის 100 წლის იუბილესთან დაკავშირებულ კონფერენციაზე საკუთარი მცირე კვლევით წარდგა. მისი ნაშრომი ჩვენთვის საყურადღებოა, რადგანაც მან განიხილა 1918-21 წლების პრესა რიტორიკულ ჭრილში.

თანამედროვე ინგლისელი ენამთმეცნიერი პოლ ჩილტონი თვლის, რომ ხშირ შემთხვევაში პოლიტიკური მეტყველება ენის საკითხებს ეჯახება და ეს საკითხები ვარირებს სიტყვების შერჩევიდან ენის არჩევამდე. მისი მიდგომა რომ გავაანალიზოთ, გამოდის, რომ, ორატორი თავად იყენებს ენის თვისებას, განავითაროს პოლიტიკური შეხედულებანი და პუბლიკას მიაწოდოს ისე, როგორც თავად სურს.

ციცინო ბუკიას მონოგრაფიის გაცნობამ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ მეოცე საუკუნის დასაწყისში კრიტიკული აზრის გამოთქმის საოცარი კულტურა არსებობდა.

იმ პერიოდის ქართულ პრესაზე ფუნდამენტური ნაშრომის ავტორი რუსუდან ვაშაკიძეა. მისი სამეცნიერო ნაშრომი გვაწვდის ინფორმაციას გაზეთ „საქართველოს“ პუბლიკაციების შესახებ. იკვთება გაზეთის იდეოლოგია. მკვლევრის თვალსაზრისითა და ჩვენი განმეორებითი გადახედვის შედეგად, სტატიების მიხედვით, პირველ ადგილზეა ეროვნული საკითხი, რომელიც ქართული ენის, ეკლესიისა და ქართული კულტურის პრობლემებს მოიცავს.

1918 წელს საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოს დამოუკიდებლობის დე იურე (თურქეთი, გერმანია) აღიარების, დამფუძნებელი კრების ჩამოყალიბებისა და საპარლამენტო სტრუქტურის მოწყობის შემდგომ ხელისუფალთა წინაშე დადგა ბეჭდური სიტყვის თავისუფლების, ასევე, სამთავრობო პერიოდული გამოცემის შექმნის საკითხი.

პირველი სახელისუფლებო გაზეთი, რომელიც საქართველოს გათავისუფლებიდან დაახლოებით ორ თვეში იბეჭდება, „საქართველოს რესპუბლიკაა“. ყოველდღიური პერიოდული გამოცემა, ინფორმაციას ოთხიდან ექვს ფურცლამდე იტევს და დოკუმენტურად

ასახავს დამოუკიდებლობის სამწლიანი პერიოდის გამოწვევებით სავსე, ურთულესი ცხოვრების თითოეულ მნიშვნელოვან ეტაპს.

გაზეთის რედაქტორი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტის წევრი, ქართველი პოლიტიკური მოღვაწე პავლე საყვარელიძეა.

ჩვენ მიერ შესწავლილი იქნა „საქართველოს რესპუბლიკის“ 1918 წლის ყველა ნომერი. შედეგად, იკვეთება გაზეთის თემატური და სტრუქტურული ჩარჩო, საკუთარი წყობით, აგებულებით, კონცეპტუალური მიდგომებით, შინაარსობრივი და ჟანრობრივი სტილით.

გაზეთის პოლიტიკური შინაარსი სამთავრობო კურსს ატარებს და ყველა საკითხთან დაკავშირებით მისი აზრის კონსტატაციას წარმოადგენს. გაზეთი ბეჭდავს სტატიებს საერთაშორისო საკითხებსა და მეზობელი ქვეყნების პოლიტიკურ მდგომარეობაზე.

„საქართველოს მოამბის“ ფურცლებზე ვხვდებით მთავრობის სხდომათა დეტალურ ანგარიშებს, რომლებშიც სიტყვასიტყვით, საგაზეთო სტატიების სტილით, დახვეწილი ენობრივი ფორმულირებითაა გადმოცემული სხდომათა მიმდინარეობა. აღწერილია კამათი, შეკითხვები, მომხსენებელთა სიტყვით გამოსვლები. ეს უკანასკნელი, პრესის მეშვეობით, უკვე ოფიციალური მედიატექსტის სახეს იძენს.

მოხდა მასალის სისტემატიზება და კლასიფიკაცია ცალკეული მედიატექსტების შინაარსობრივი ანალიზის მიხედვით. დაკვირვების შედეგად წარმოჩინდება პუბლიცისტური დისკურსის მედიატექსტებში ასახვის თავისებურებანი და ძირითადი ღირებულებითი ვექტორები. რაკი დავასკვნით, რომ გამოცემების შინაარსი უმეტესწილად პოლიტიკური ხასიათისაა, ეს საშუალებას გვაძლევს, ვიმსჯელოთ და პუბლიკაციები პოლიტიკური რიტორიკის ჭრილში განვიხილოთ.

„საქართველოს რესპუბლიკის“ 1918 წლის გამოცემის აბსოლუტურად ყველა ნომერში არაოფიციალური განყოფილების მთავარი სტატია საქართველოს დემოკრატიზაციის პროცესებს ეძღვნება. ერთმნიშვნელოვნად უნდა აღვნიშნოთ, რომ გაზეთში წარმოჩინებული სხვა აქტუალური საკითხებიც დემოკრატიულ-პოლიტიკურ კონტექსტში განიხილება.

თუკი ჩვენ ხელთ არსებულ მონაცემებს რაოდენობრივად დავაჯგუფებთ, მივიღებთ შემდეგ ცხრილს:



- | | |
|-------------------------------------|---------------------------|
| ■ გერმანია-საქართველოს ურთიერთობები | ■ მიწის საკითხი |
| ■ ეთნიკური უმცირესობები | ■ სამხედრო თემა |
| ■ ბოლშევიზმის კრიტიკა | ■ ნაციონალიზმი |
| ■ პარტიები და ფრაქციები | ■ განათლება |
| ■ აგრარული რეფორმა | ■ ეკონომიკა |
| ■ საშინაო პოლიტიკა | ■ საქართველოს მოქალაქეობა |

პუბლიცისტური ტექსტების შინაარსობრივი ანალიზის შემდგომ უკვე შეგვიძლია ვისაუბროთ მათ ჟანრობრივ და სტრუქტურულ კლასიფიკაციაზე.

კონკრეტული დარგის, ჩვენს შემთხვევაში, პოლიტიკური მჭევრმეტყველების, ნიმუშებს საერთო მახასიათებელი აქვთ. ამ მახასიათებლებზე, დაკვირვებების შედეგად შეგვიძლია ვთქვათ, რომ გავლენას ახდენს ის ეპოქა, რომელშიც იწერებოდა ტექსტი, ასევე მოტივი,

კონტექსტი და სხვა.

უპირველესად, უნდა აღვნიშნოთ, რომ რიტორიკული ტექსტები გამოირჩევა საკუთარი, მკვეთრად გამოხატული მიზანდასახულობით. როგორც ამ დარგის მკვლევრები წერენ, არსებობს რიტორიკის ოთხი მიზანი: დარწმუნების, ინფორმირების, გამოხატვის, გართობის (To Persuade, To Inform, To Express, To Entertain). ჩვენ მიერ შესწავლილი მედიატექსტები პირველ სამ მიზანს აერთიანებს.

პოლიტიკური მჭევრმეტყველება იყოფა შემდეგ ჟანრებად: სოციალურ-პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურულ-საგანმანათლებლო თემებზე აგებული **მოხსენება** და **მიმოხილვა** ანუ საჯარო სიტყვა, რომელშიც განხილულია რაიმე მოვლენა განსაზღვრული რეგლამენტით.

საკვლევი ტექსტების თავმოყრამ საშუალება მოგვცა, ჩამოვყალიბოთ მათი **ჟანრობრივი სტრუქტურა**, რომელსაც შემდეგი სახე მივეცით:

1918 წლის „საქართველოს რესპუბლიკაში“ დაბეჭდილი მედიატექსტები მიეკუთვნება პოლიტიკური მჭევრმეტყველების დარგს. მათ გააჩნიათ პოლიტიკური მჭევრმეტყველებისათვის დამახასიათებელი პროგრამულობა და მიზანდასახულობა. კონკრეტული ტექსტების მიზანს წარმოადგენს ქართველი საზოგადოების ინფორმირება, მის მსოფლმხედველობაზე გავლენის მოხდენა, მისი აქტიურობის გამოწვევა და სოციალური პროცესების წახალისება.

ჩვენთვის საინტერესო მეორე პერიოდული გამოცემა „სახალხო საქმე“ სოციალ-ფედერალისტების პარტიული ორგანოა. პარტიის მესვეურებს მიაჩნდათ, რომ დამოუკიდებლობა რევოლუციური ძალების შეკავშირებით მიიღწეოდა და ამგვარად, გაზეთი ეროვნული და პატრიოტული საკითხების ერთგვარ აპოლოგიას წარმოადგენს.

გაზეთი ხშირად მსჯელობს ფედერაციული სახელმწიფოს მოწყობის საკითხებზე. აი, როგორ მიაჩნია მას დემოკრატიული საქართველოს სახელმწიფო სტრუქტურა. ქვეყანას უნდა გააჩნდეს პარლამენტი, ანუ, სათათბირო ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია სახელმწიფოს ცხოვრებაზე. მას მეთაურობს პრეზიდენტი, რომელიც წარმოადგენს მთელ ქვეყანას. სწორედ პარლამენტი და პრეზიდენტი გამოხატავენ ერის სურვილებსა და მოთხოვნებებს. აქ შეინიშნება ხალხის ძალა. ის, რომ სწორედ ხალხია ქვეყნის მთავარი შემოქმედი.

ხალხის უფლებამოსილებების შესახებ „სახალხო საქმეს“ ერთმნიშვნელოვანი პოზიცია აქვს. როგორც დემოკრატიული ქვეყნის საზოგადოებას შეეფერება, პირველ ადგილზეა არჩევნების გამართული სისტემა, რომელშიც თითოეულ მოქალაქეს, განურჩევლად სქესისა (და ეს ხაზგასმითაა ნათქვამი), ეროვნებისა, რელიგიისა, შეუძლია მიიღოს მონაწილეობა და გააკეთოს საკუთარი არჩევანი. ყველაფერ ქართულს უნდა მიენიჭოს პრიორიტეტი. ქართულ საკანონმდებლო ინსტიტუციებს, ქართულ სასამართლოს, სამმართველოებს, საგანმანათლებლო სისტემას და ა.შ. გამომდინარე აღნიშნულიდან, ქართველ ხალხს ექნება უდიდესი პრიორიტეტი ქართულად განაგოს საკუთარი ქვეყნის საქმე.


ჩვენ მიერ შესწავლილი იქნა 1918 წლის თითქმის ყველა გამოცემა და შეგვიძლია წარმოვადგინოთ გაზეთის შინაარსობრივი სახე. „სახალხო საქმე“ ასახავდა ქვეყანაში მიმდინარე ყველა მნიშვნელოვან პროცესს, ეხმაურებოდა საზოგადოებისათვის საინტერესო და პრობლემატურ ყველა საკითხს, სისტემატურად აშუქებდა დამფუძნებელი კრების მუშაობას.

ასევე, ბევრ ნომერში ვხვდებით მთავრობის დადგენილებებს, დებულებებს, საჭირო განცხადებებს, მოწოდებებისა და ლოზუნგების შემცველ პუბლიკაციებს.

გაზეთი საინფორმაციო შინაარსის მასალებითაა დაკომპლექტებული.

პირველ ადგილზე, გამოქვეყნებული სტატიების მიხედვით, არის მიწის საკითხი; რაოდენობრივი მაჩვენებლით მას უტოლდება სტატიები განათლების რეფორმისა და ქართულ-გერმანული ურთიერთობების შესახებ. შემდეგ მოდის სამხედრო თემა და ეთნიკური უმცირესობები, ასევე დაახლოებული რაოდენობით; 1918 წლის დეკემბრის თვეში ყოველ დღე იბეჭდება სტატიები ქართულ-სომხური კონფლიქტის თაობაზე.

სტემატურად ეს მაჩვენებლები ასე გამოიყურება:



როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რიგ მიმართულებებში მმართველი ძალისა და ფედერალისტების აზრები მკვეთრად უპირისპირდებოდა ერთმანეთს. აგრარული და სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობის საკითხები წარმოადგენდა დავის, დისკუსიისა და განსჯის საგანს.

პირველ მსოფლიო ომში გერმანიის დამარცხებამ უარყოფითი გავლენა იქონია საქართველოს პოლიტიკურ მდგომარეობაზე. კერძოდ, მეზობელმა სახელმწიფოებმა (რუსეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი) გერმანიის კაპიტულაცია საქართველოს დამარცხებასთან გააიგივეს და გადაწყვიტეს, ესარგებლათ ამ მდგომარეობით. მათი მიზანი ზოგიერთი ტერიტორიის მითვისება იყო. შედეგად, რუსეთის მხარე იერიშზეც გადმოდის.

სწორედ აქ ვხვდებით ქართველ პოლიტიკოსთა უზადო დიპლომატიურ გამოცდილებასა და უდიდეს პატრიოტიზმს, ასევე, პოზიციისა და ოპოზიციური მხარის ერთსულოვნების სამაგალითო ნიმუშს.

ერთბაზად ყველა პარტიულ გაზეთში ქვეყნდება საყოველთაო მობილიზაცია შემდეგი მოწოდებით. სამთავრობო აპარატი საჯარო განცხადებას აკეთებს, რომ აღნიშნული თავდასხმა რუსეთის იმპერიალისტური ზრახვების შედეგია, რაც წვრილი ერების დამონებასა და დემოკრატიის დათრგუნვას ემსახურება.

აქვე ვხვდებით დღევანდელი მსოფლიოსთვის საკმაოდ კარგად ნაცნობ შემთხვევას. ხელისუფლება მოწოდებას ევროპული სახელმწიფოების მიმართაც ავრცელებს და „იმედს გამოთქვამს, რომ ევროპის სახელმწიფოები ხმას აღიმადლებენ ჩვენი ერისა და დემოკრატიის დასაცავად.“ (ბენდიანაშვილი ალ, საქართველოს ისტორია 1901-1921, 1999)

70 წლის რუსული ბატონობის შემდეგ ჩვენმა სიტყვამ და მოქმედებამ თავისუფლად სუნთქვა დაიწყო. პირველი რესპუბლიკის მედიის შესწავლა იმიტომაც არის მნიშვნელოვანი, რომ ბევრი საერთო ვექტორის გამოყოფა შეიძლება. ასევე, წარსულში გადადგმული ნაბიჯების ანალიზი თავიდან აგვარიდებს მსგავსი შეცდომების დაშვების შესაძლებლობას.

საუკუნისწინანდელი მედიაკლიმატის გაშიფრვისას იკვეთება ბევრი საერთო მიდგომა, დამაფოქრებელი და მნიშვნელოვანი. ერთ-ერთი ასეთია დამოკიდებულება მეზობელი ქვეყნებისადმი. ევროპული ორიენტაცია, პირველი რესპუბლიკის უცილობელ არჩევანს წარმოადგენს, თუმცა სხვადასხვა პარტიული ძალები მეტ-ნაკლები სკეპტიციზმით უყურებენ იმავე გერმანიის პროტექტორობის საკითხს.

საერთოა პოლარიზებული პრესის არსებობაც. თუმცა, სამწუხაროდ, წინა საუკუნისაგან განსხვავებით, პლურალიზმისა და ეროვნული ღირებულებებით შემდგარ საერთო პლატფორმას დღეს ვერსად ვხვდებით.

დასასრულ, უკვე შეგვიძლია ჩამოვავალიბოთ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკისა“ და „სახალხო საქმის“ მედიაპროფილი. აღსანიშნავია, რომ პუბლიკაციები არ არის ვიწროპარტიული, და არც რომელიმე კერძო სუბიექტისა თუ კლასის ინტერესის მატარებელი: ტექსტები მიეკუთვნება პოლიტიკური მჭევრმეტყველების ჟანრს, შინაარსობრივად ახდენს ლიბერალური, დემოკრატიული ფასეულობების პრეზენტაციას. ამიტომ, რელიევანტურია

დასკვნა, რომ 1918 წლის „მთავრობის მოამბე“ და „სახალხო საქმე“ უხარვეზოდ ირგებს აკადემიური პოლიტიკური მიმდინარეობის ჩარჩოს, ახდენს კლასიკური ლიბერალური ღირებულებების გენერირებას და წარმოადგენს ჯანსაღი პატრიოტიზმისა და ჰუმანიზმის მქადაგებელი ქართული ჟურნალისტიკის უპრეცედენტო მოდელს.

ბიბლიოგრაფია:

1. ანდერსენი ე, *საქართველო და საერთაშორისო შეთანხმებები 1918-1921*, გამომცემლობა „მწიგნობარი“, თბილისი, 2020
 2. ბენდიანაშვილი ალ, *საქართველოს ისტორია 1801-1921*, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, 1999
 3. ბუკია ც, საზეთი „საქართველო“ (1918-1919 წწ), გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2020
 4. ვაშაკიძე რ, *საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იდეა 1917-18 წლების ქართულ პრესაში*, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2009
 5. ირემამე ი, *პოლიტიკური პარტიები და პარტიული სისტემა 1917-1921 წლების საქართველოში*, ჰაინრიხ ბიოლის ფონდის გამომცემლობა, თბილისი, 2021
 6. ირემამე ი, *საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა - რეპრესირებული და მივიწყებული პოლიტიკური მოდელი*, ჰაინრიხ ბიოლის გამომცემლობა, თბილისი, 2018
 7. კენჭიაშვილი ნ, *ქართული მჭევრმეტყველების ტექსტების ლინგვისტური ანალიზი: ტროპის სახეები*, ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2020
 8. კენჭიაშვილი ნ, *პოლიტიკური რიტორიკა 1918-21 წლების ქართული პოლიტიკური დისკურსის მიხედვით*, ახალი ეპოქის დასაწყისი - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, კავსკასიის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2018
 9. *საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921)* ენციკლოპედია-ლექსიკონი, ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2018
 10. შველიძე დ, *საქართველოს უახლესი ისტორია*, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი, 2021
 11. ჯანელიძე ო, *საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიის ნარკვევები*, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გამომცემლობა, თბილისი, 2018
 12. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1918 წ. ყველა ნომერი
 13. გაზეთი „სახალხო საქმე“, 1918 წლის ყველა ნომერი
 14. ჟურნალი „ერობა და ქალაქი“, 1920, №5
 15. ჟურნალი „ერობა“, 1920, №1
1. Charaudeau P, *Le discours politique. Les masques du pouvoir*, Vuibert, Paris, 2005
 2. Chilton P, *Analysing political discourse*, Taylor&Francis e-Library, 2004
 3. Shamilishvili M, Tsereteli M, *Reflection of Liberal Values in Georgian Press in 1918-1921*, International Relations and Diplomacy, David Publishing Company, 2016

Peculiarities of reflection of journalistic discourse in media texts, parallels with modernity

Bregadze Maia

Caucasus International University, Tbilisi

Abstract

The existence of the first Republic of Georgia has a huge historical significance. Understanding the verbal speeches delivered by civic leaders from 1918 to 1921 is crucial due to the unique nature and content of the political discourse during that period. The importance, as Professor D. Shvelidze notes in his book, derives from the epochal change because the political elite of Georgia had to work in the space of the Russian Empire until 1917 and from 1918 in the

independent Transcaucasia and Georgia.

The main topic of this research is to examine the distinctive features of political eloquence during the Democratic Republic of Georgia, utilizing relevant literature as well as publications from government and party press during the specified years.

The purpose of our research is to find out what constituted the political rhetoric of the mentioned period, to investigate the peculiarities of the implementation of the language functions of the media texts of those years, and to analyze the genre classification of the documentations. The research material selected for comparative and substantive study consists of the first government newspaper of the Democratic Republic of Georgia, "Republic of Georgia," and the party newspaper of the Social-Federalists, "People's Affairs," from 1918 to 1921.

Key words: Political discourse, publication, rhetoric, democratization

ტოლერანტობა და კულტურათაშორისი დიალოგები

სურმავა მარინე

საქართველოს სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი

DOI: <https://doi.org/10.52340/idw.2023.86>

აბსტრაქტი. კულტურათაშორისი დიალოგი იმაზე მეტია, ვიდრე უბრალოდ პატივისცემა, ტოლერანტობა. დიალოგი სარისკო მცდელობაა, სადაც გამბედაობა, თვითდაჯერებულობა და მოთმინებაა აუცილებელი. წარმატებული კულტურათაშორისი დიალოგისათვის ასევე აუცილებელია შეხების წერტილის მოძებნა, ანუ იმ საკითხებით მანიპულირება და დაინტერესება, რომელიც საერთოა ამ კულტურებისათვის. კულტურათა დიალოგის აუცილებელი წინაპირობაა მხარეთა მოქნილობა, დიპლომატიურობა, ინტერესთა გათვალისწინებით პოზიციებისა შეხედულებების გადასინჯვა-გადაფასება და თუ საჭიროა, მათი შეცვლაც კი.

კულტურათა განვითარება ხდებოდა და ხდება დიალოგით, კონტაქტებით. თითოეული მხარის საზოგადოების, სახელმწიფოს, მსოფლიო თანამეგობრობის გათვალისწინებით. დიალოგის დაწყება წინ გადადგმული პირველი ნაბიჯია. საკმაოდ რთულია აღიქვა საკუთარი თავი და შემდეგ სხვა, შენგან განსხვავებული, მით უფრო ძნელია აღიქვა ის, რომ სხვა ადამიანის განსხვავებული შტრიხები განსაზღვრავს შენს ვინაობას. ადამიანებს შორის არსებული სხვაობები ერთმანეთს ავსებს და შესაბამისად, საკუთარი თავის აღმოსაჩენად აუცილებელია სხვისი შეცნობა. კულტურათაშორისი გამოცდილება ბევრი სირთულის წინაშე გვაყენებს, სიხალეები შემოაქვს ჩვენს ცხოვრებაში და ჩვენი მხრიდან შემოქმედებით მიდგომას მოითხოვს. კულტურათაშორისი დიალოგები საშუალებას გვაძლევს გავეცნოთ სხვა ადამიანების შეხედულებებს და შევინარჩუნოთ საკუთარი „მე“.

ქართული კულტურისათვის არ არის უცხო ტოლერანტობა და სხვისი ღირებულებების პატივისცემა. განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია, როდესაც ხალხების აღრევამ, ენების, კულტურების ერთმანეთთან კავშირმა და ურთიერთქმედებამ მიაღწია არნახულ ზომებს და როგორც არასდროს მძაფრად დადგა უცხო კულტურებისადმი ტოლერანტობის აღზრდის პრობლემა, მათ მიმართ ინტერესისა და პატივისცემის გაღვიძების, საკუთარ თავში გაღიზიანების გრძნობის გადალახვის აუცილებლობა უცხო, განსხვავებულ კულტურასთან შეხვედრის პირობებში. სწორედ ამით არის გამოწვეული საყოველთაო ინტერესი კულტურათაშორისი, საერთაშორისო კომუნიკაცია.

კულტურათაშორისი დიალოგი არსებობის უნივერსალური გზაა. კულტურაში დიალოგი არის ადამიანის მიერ სოციალური ურთიერთქმედების ფორმების, სამყაროს შეცნობის გზების გადაცემისა და დაუფლების უნივერსალური გზა.

საკვანძო სიტყვები: კულტურათაშორისი, ტოლერანტობა, დიალოგები, ტრადიციები, ურთიერთობები, იდენტობა.

თანამედროვე მსოფლიოში სულ უფრო ძლიერდება სხვადასხვა ხალხის მისწრაფება შეინარჩუნონ თვითმყოფადობა, დაიცვან ეროვნული, კულტურათაშორისო იდენტობა, რომელიც მათი ინტერესების დაცვის ერთგვარი საწინდარია. კაცობრიობის თვითგადარჩენის ერთ-ერთ აუცილებელ პირობად კულტურათაშორისი დიალოგის შესაძლებლობა უნდა მივიჩნიოთ.

კაცობრიობის მთელი ისტორია თავად დიალოგია, რომელიც როგორც ადამიანთა შორის

ურთიერთობის ფორმა, უძველესი დროიდან არსებობს. დიალოგის პრობლემას ჯერ კიდევ ძველ ბერძენი მოაზროვნენი: სოკრატე, პლატონი, არისტოტელე, სოფისტები, ელინიზმის ეპოქის თვალსაჩინო ფილოსოფოსები სწავლობდნენ. დიალოგს კრიტიკული აზროვნება ენაცვლებოდა და მისი საკუთრივი შინაარსის ფილოსოფიური და სოციალური დასაბუთების შინაარსს გამოკვეთდა.

კულტურათაშორისი დიალოგი გვევლინება, როგორც ობიექტური აუცილებლობა და კულტურათა განვითარების პირობა. იგი შესაძლებელია, მხოლოდ ურთიერთ-გაგების საფუძველზე, მაგრამ ამასთანავე, მხოლოდ და მხოლოდ თითოეული კულტურულ ინდივიდუალურობაზე დაყრდნობით. განსხვავებულ კულტურათაშორისი ურთიერთობის გაღრმავება და მათ შორის დიალოგი მეტად აქტუალურია დღევანდელ მსოფლიოში. დიალოგი კრიზისული სიტუაციიდან ღირსეული გამოსვლის ერთადერთი საშუალებაა. დიალოგი მრავალგვარია, კულტურათა დიალოგის, როგორც დიალოგის ერთ-ერთი ფორმა გულისხმობს მხარეთა შორის ინფორმაციულ და ეგზისტენციალურ ინტერაქციულობას, რომლის საშუალებითაც ხდება კულტურათაშორისი გაგება და ურთიერთობა. შეიძლება ითქვას, რომ დიალოგი კულტურის თვითრეფლექსიაა, რომელითაც ადამიანი აცნობიერებს საკუთარ თავს, როგორც თვითმყოფად კულტურას.

სხვადასხვა ქვეყნების წინსვლა კულტურათაშორისი ურთიერთობების დიალოგის გაღრმავებითა და განვითარებითაა შესაძლებელი. ერებიცა და ხალხებიც ინდივიდისაგან შედგება და გასაგებია მათი სწრაფვა დიალოგის საშუალებით მონახონ თავისი ადგილი მსოფლიოს სამიზნე კულტურის სისტემაში.

გლობალიზმის ეპოქაში განსაკუთრებით იზრდება კულტურათა საერთაშორისი დიალოგის წარმართვის აუცილებლობა, რაც აძლიერებს ხალხთაშორის ურთიერთგაგებას და იძლევა საკუთარი იდენტობის უკეთესი შეცნობის შესაძლებლობებს. თუ ადრე მიიჩნევდნენ, რომ აღმოსავლეთ-დასავლეთის კულტურები ერთმანეთს რაღაც წერტილში გადაკვეთდნენ, დღეს როგორც არასდროს, იკვეთება მათი ურთიერთშეთანხმებისა და ურთიერთგავლენის რეალიები. აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთხემოქმედება და ინტეგრაცია არამარტო შესაძლებელი და რეალურია, არამედ აუცილებელიც.

კულტურათაშორისი კომუნიკაციისათვის დამახასიათებელია ის, რომ სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლების შეხვედრისას თითოეული მათგანი მოქმედებს საკუთარი კულტურული ნორმების შესაბამისად.

ადამიანთა ქმედებები და ურთიერთობები იმ კულტურაში არსებული ნორმებით, რომლებიც არეგულირებენ ადამიანთა აზროვნების და ქცევების ფართო სფეროს, დიდ გავლენას ახდენენ პიროვნებათაშორისი ურთიერთობების აღქმის ხასიათსა და შეფასებებზე. საზოგადოების მიერ ნაკარნახევი წესები, განათლება და აღზრდა, ისტორიული მეხსიერება, ადათწესები, მეტაენა, რომლითაც ადამიანები ურთიერთობენ - ერთობლიობაში გამოიმუშავენ ორიენტაციის სისტემას, რომელიც ეხმარება ადამიანს სხვადასხვა ცხოვრებისეული პრობლემებისა და სიტუაციის თავისებურ გადალახვაში, კომუნიკაციის ნებისმიერ დონეზე.

ქართული კულტურის კოდის სემანტიკა, ისტორიულად, ტოლერანტობაში ვლინდება. სხვადასხვა წარმოშობის, მრწამსის ადამიანებთან მშვიდობიანი თანაცხოვრების ტრადიცია საუკუნეების განმავლობაში მოგვეყვება. ტოლერანტობა არის ის, რაც დღეს გამოკვეთილად დააკლდა მსოფლიოს. ჩვენ ეს ტრადიცია ისე უნდა გავაგრძელოთ, რომ გავხდეთ მაგალითის მიმცემი, უნდა გავზარდოთ ქართული კულტურისა და იდენტობის ცნობადობა საერთაშორისო არენაზე.

საქართველო ოდითგანვე მრავალეროვანი ქვეყანა იყო. ამ ქვეყანაში სხვადასხვა ეთნოსის და სხვადასხვა აღმსარებლობის ადამიანები, ერთად, მეგობრულად და ძმურად ცხოვრობდნენ. ასეა დღესაც. ჩვენ ამით ვართ გამორჩეულნი, ეს არის ჩვენი ეროვნული და კულტურული სიმდიდრე, რომელსაც დაცვა სჭირდება. საქართველოს მოსახლეობისათვის ტოლერანტობა იდენტობის ნაწილია, რითაც ჩვენ ძალიან ვამაყობთ. - ქართველი ერი მსოფლიოში მიჩნეულია ერთ-ერთი ყველაზე ტოლერანტულ ერად, რადგან ქართულ

ტოლერანტობას ფესვები შორეულ წარსულში აქვს გადგმული. ეს უპირველესად ჩანდა სულიერი კულტურის სფეროში – საქართველო ყოველთვის ამაყოფდა თავისი რელიგიურ მრავალფეროვნებაში. საქართველო ის ქვეყანაა, სადაც მართლმადიდებლური ტაძრის, სიონის გვერდით დგას სინაგოგა, მეჩეთი, კათოლიკური ტაძარი – ეს ჩვენი ქვეყნის სიმდიდრეა, მისი სიმდიდრის ერთ-ერთი საფუძველი, რომელსაც ყოველთვის ვუფრთხილდებოდით.

აუცილებელია გავიხსენოთ, რომ დღეს საქართველოს ტერიტორიის 20 % მეზობელი ქვეყნის მიერაა ოკუპირებული, რაც იმას ნიშნავს, რომ ქვეყანა, რეალურად, ისევ საბრძოლო მდგომარეობაშია, რადგან თბილისიდან სულ რაღაც 30 კილომეტრში ისევ დგას რუსეთის ფედერაციის ჯარი... ესეც ისტორიული ბედუკუდმართობის სამწუხარო გამეორებაა, ქართულ ისტორიას აკი ახსოვს თბილისის ოთხასწლიანი ოკუპირება არაბთა მიერ იმ დრომდე, როცა ფაქტობრივ დავით აღმაშენებლის მიერ იყო მოძლიერებული. ეს სამწუხარო მოვლენაა, ათწლეულებია, რაც გრძელდება პოლიტიკური დამაბულოება, ხელოვნური გათიშულობა და ერთმანეთის სიმორე ქართველ, ოს და აფხაზ ხალხებს შორის, რაც მათ აცალკევებს... მიმაჩნია, რომ ვიდრე პოლიტიკოსები მოიფიქრებენ და გადადგამენ მშვიდობიან ნაბიჯს შერიგებისაკენ, ამას უფრო მალე გააკეთებს კულტურა და ხელოვნება. კულტურის ენა ადვილად აღვივებს ადამიანთა გულების კარს. კულტურას არ გააჩნია საზღვრები – ის საკაცობრიო მონაპოვარია. ამიტომ რაც შეიძლება, მალე უნდა დაიწყოს დაპირისპირებულ მხარეებს შორის კულტურათა დიალოგი, რაც მათ სულიერ დონეზე დაახლოევებს შეუწყობს ხელს და ეს მით უფრო საშურია, რომ საქართველოში მცხოვრებ სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლებს ოდითგან ჰქონდათ ერთმანეთთან მეგობრული და კეთილმეზობლური ურთიერთობები.

კომუნიკაცია თავისთავად გულისხმობს „ენის“, კოდის არსებობას, რათა ის მონოლოგს არ დაემსგავსოს. „ორი მონოლოგი არ ქმნის დიალოგს“. კომუნიკაციის პროცესი – ეს არის რამდენიმე ერთმანეთთან დაკავშირებული რგოლისაგან შემდგარი ჯაჭვი, რომელიც პირველ რიგში მოიცავს გამგზავნს, კოდირებას, უშუალოდ შეტყობინებას და აუცილებლად გულისხმობს უკუკავშირს. კულტურა არის ერთგვარი კოდი, რომელსაც ვიძენთ, ვსწავლობთ და ვიზიარებთ. ეს კი შესაძლებელია კომუნიკაციის გზით. კულტურათა ურთიერთობების ფონზე ადგილი აქვს ცვლილებებს ენაში, ხალხების მხატვრულ თუ რელიგიურ პრაქტიკაში, ისევე როგორც მათ ადათწესებში. ენობრივი ბარიერის გადალახვა არ არის საკმარისი ეფექტურობის უზრუნველსაყოფად სხვადასხვა კულტურის წარმომადგენელთა ურთიერთობის დროს. ამისათვის საჭიროა გადაილახოს კულტურული ბარიერი, კომუნიკანტთა კულტურების ეროვნული თავისებურებების გაუთვალისწინებლობამ შეიძლება ძალიან გაართულოს კულტურათაშორისი ურთიერთობების პროცესი.

ენა, თავის მხრივ, გავლენას ახდენს კულტურაზე, ენასა და კულტურას შორის ურთიერთობა შეიძლება განვიხილოთ, როგორც ურთიერთობა ნაწილსა და მთლიანს შორის. ენა შეიძლება ადვილად როგორც კულტურის კომპონენტი და როგორც კულტურის ინსტრუმენტი. ენობრივი ნიშნები იძენენ კულტურული ნიშნების ფუნქციის შესრულების შესაძლებლობას და ამით წარმოადგენენ ძირითადი კულტურული განწყობების წარმოდგენის საშუალებას. ამიტომ ენას შეუძლია ასახოს მისი მოსაუბრეების კულტურული და ეროვნული მენტალიტეტი.

კულტურათაშორისი დიალოგი იმაზე მეტია, ვიდრე უბრალოდ პატივისცემა, ტოლერანტობა. დიალოგი სარისკო მცდელობაა, სადაც გამბედაობა, თვითდაჯერებულობა და მოთმინებაა აუცილებელი. წარმატებული კულტურათაშორისი დიალოგისათვის ასევე აუცილებელია შეხების წერტილის მოძებნა, ანუ იმ საკითხებით მანიპულირება და დაინტერესება, რომელიც საერთოა ამ კულტურებისათვის. კულტურათა დიალოგის აუცილებელი წინაპირობაა მხარეთა მოქნილობა, დიპლომატიურობა, ინტერესთა გათვალისწინებით პოზიციებისა შეხედულებების გადასინჯვა-გადაფასება და თუ საჭიროა, მათი შეცვლაც კი.

კულტურათა განვითარება ხდებოდა და ხდება დიალოგით, კონტაქტებით. თითოეული მხარის საზოგადოების, სახელმწიფოს, მსოფლიო თანამეგობრობის გათვალისწინებით. დიალოგის დაწყება წინ გადადგმული პირველი ნაბიჯია. საკმაოდ რთულია აღიქვა საკუთარი

თავი და შემდეგ სხვა, შენგან განსხვავებული, მით უფრო ძნელია აღიქვა ის, რომ სხვა ადამიანის განსხვავებული შტრიხები განსაზღვრავს შენს ვინაობას. ადამიანებს შორის არსებული სხვაობები ერთმანეთს ავსებს და შესაბამისად, საკუთარი თავის აღმოსაჩენად აუცილებელია სხვისი შეცნობა. კულტურათაშორისი გამოცდილება ბევრი სირთულის წინაშე გვაყენებს, სიხალეები შემოაქვს ჩვენს ცხოვრებაში და ჩვენი მხრიდან შემოქმედებით მიდგომას მოითხოვს. კულტურათაშორისი დიალოგები საშუალებას გვაძლევს გავცნოთ სხვა ადამიანების შეხედულებებს და შევინარჩუნოთ საკუთარი „მე“.

ქართული კულტურისათვის არ არის უცხო ტოლერანტობა და სხვისი ღირებულებების პატივისცემა. განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია, როდესაც ხალხების აღრევამ, ენების, კულტურების ერთმანეთთან კავშირმა და ურთიერთქმედებამ მიაღწია არნახულ ზომებს და როგორც არასდროს მძაფრად დადგა უცხო კულტურებისადმი ტოლერანტობის აღზრდის პრობლემა, მათ მიმართ ინტერესისა და პატივისცემის გაღვივების, საკუთარ თავში გაღიზიანების გრძნობის გადალახვის აუცილებლობა უცხო, განსხვავებულ კულტურასთან შეხვედრის პირობებში. სწორედ ამით არის გამოწვეული საყოველთაო ინტერესი კულტურათაშორისი, საერთაშორისო კომუნიკაცია.

კულტურათაშორისი დიალოგი არსებობის უნივერსალური გზაა. კულტურაში დიალოგი არის ადამიანის მიერ სოციალური ურთიერთქმედების ფორმების, სამყაროს შეცნობის გზების გადაცემისა და დაუფლების უნივერსალური გზა. დიალოგის სახით ხდება კაცობრიობის კულტურული გამოცდილების, ტრადიციების კონსოლიდაცია და გადაცემა და ამ დროს კულტურის ღირებულებითი შინაარსის განახლება.

კოდური სიტყვა: კულტურათაშორისი, ტოლერანტობა, დიალოგები, ტრადიციები, ურთიერთობები.

ლიტერატურა:

1. ბოგოლუბოვა ნ.მ. ნიკოლაევა ივ.ვ.- კულტურული გაცვლა საერთაშორისო ურთიერთობების სისტემაში.-2003.
2. გრუმევიცკაცია ტ.გ. პოპკოვი ვ. სადოხინ ა. - კულტურათაშორისი კომუნიკაციის საფუძვლები . - მ.- 1990.
3. კულტურათაშორისი კომუნიკაცია.- 2002 .- ჩელიაბინსკი
4. კულტურათა დიალოგი და სამოქალაქო ცნობიერება .- კრისტინა პლატე-კონრად.-თბ, 2010.
5. ტრადიცია, როგორც კულტურული ღირებულებები .-თბ., 2015.

Tolerance and Intercultural Dialogues

Surmava Marine
Georgian Technical University, Tbilisi

Abstract

Intercultural dialogue is more than just respect, tolerance. Dialogue is a risky endeavor that requires courage, self-confidence and patience. For a successful intercultural dialogue, it is also necessary to find a point of contact, that is, to manipulate and be interested in the issues that are common to these cultures. A necessary prerequisite for the dialogue of cultures is the flexibility of the parties, diplomacy, revision-reevaluation of the views of the positions taking into account the interests and, if necessary, even changing them. The development of cultures took place and takes place through dialogue and contacts. Considering each party's society, state, world community. Starting a dialogue is the first step forward. It is quite difficult to perceive yourself and then another, different from you, it is even more difficult to perceive that the different features of another person define your identity. Differences between people complement each

other, and therefore, in order to discover oneself, it is necessary to know others. Cross-cultural experience presents us with many difficulties, brings fun into our lives and requires a creative approach from our side. Cross-cultural dialogues allow us to learn about other people's views and preserve our own "I". Georgian culture is not alien to tolerance and respect for other people's values. It is especially important when the confusion of peoples, the connection and interaction of languages, cultures have reached unprecedented levels, and the problem of raising tolerance for foreign cultures, the need to awaken interest and respect for them, and to overcome the feeling of irritation in oneself when meeting with a foreign, different culture has become more acute than ever. This is what causes the universal interest in intercultural, international communication. Intercultural dialogue is a universal way of being. Dialogue in culture is a universal way of transferring and mastering forms of social interaction, ways of knowing the world.

Keywords: cross-cultural, Tolerance, Dialogues, Traditions, Relationships, Identity

სოციალური მედიის როლი საზოგადოების აზრის ფორმირებაზე

შამილიშვილი ინგა

საბაშვილი გვანცა

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი

DOI: <https://doi.org/10.52340/idw.2023.87>

აბსტრაქტი. მასობრივი კომუნიკაცია საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს. ჟურნალისტიკა მიზნად ისახავს ინფორმაციის შეკრებას, დამუშავებას, გავრცელებას სხვადასხვა მასობრივი კომუნიკაციის საშუალებით.

თანამედროვე მიდგომებმა, საშუალება მოგვცა შეგვეცვალა ინფორმაციის გავრცელების ხერხები, რამაც განაპირობა ციფრული მედიის ჩამოყალიბება. დიგიტალიზაციამ გაამარტივა ინფორმაციის მოპოვება, შესწავლა, დამუშავება და ანალიზი. ზემო აღნიშნულმა პროცესებმა თავისთავად განაპირობა, რომ შექმნილიყო სხვადასხვა სოციალური მედია პლატფორმა.

დიგიტალურმა მიდგომებმა განაპირობა სოციალური მედია პლატფორმების პოპულარობა. კონკრეტულად, ქართული მედია სივრცის კვლევამ გვაჩვენა, რომ ობიექტური მიდგომები კვლავ, დიდ გამოწვევად რჩება. ძირითადად, ქართული სოციალური მედია სივრცე დაკავებულია პროპაგანდის, დეზინფორმაციის, სიძულვილის ენის, პირადი ცხოვრების გამოაშკარავების და სხვადასხვა მავნე გამოწვევით.

სოციალური მედია საშუალებას გვაძლევს, რომ რეალური სამყარო მეტად გავითავისოთ და გავაანალიზოთ. სწორედ, მედიის საშუალებით, თითოეული ინდივიდი ხდება კომუნიკატორი, რომელიც ინფორმაციის გავრცელებით ქმნის ახალ ამბავს და საზოგადოებას საშუალებას აძლევს, თავად შეაფასოს აღნიშნული სიახლე. რა თქმა უნდა, სოციალური მედიის დანიშნულება წარმოადგენს, მიზნობრივი აუდიტორიის მოძიებას.

სოციალურმა მედიამ, ერთგვარად ზღვარი წაშალა გამოხატვის თავისუფლებისა და მედია ეთიკას შორის. დიგიტალური სივრცე საშუალებას აძლევს თითოეულ მედია ორგანიზაციას, რომ დაუფარავად და ობიექტურად გადმოსცეს ინფორმაცია.

საქართველოში არსებული მედია სივრცისი კვლევისას გამოიკვეთა ძირითადი პლატფორმები, როგორც არის „facebook“, „twitter“, „Instagram“.

თუმცა, თითოეულ სივრცეს განსხვავებული მიდგომა აქვს ინფორმაციის გავრცელების დიფერენცირება ინფორმაციი ამ შემთხვევაში მარტივია. ჩამოთვლილთაგან ყველაზე პოპულარული ფეისბუქია, რომელიც ინფორმაციის მირების ჭარბ რაოდენობას გვტავაზობს. თუმცა, დეზინფორმაციის გავრცელებასაც მარტივად უწყობს ფეხს. კონტროლირებადი არ არის და ინფორმაციის სანდოობაც ხშირ შემთხვევაში საეჭვო. ტვიტეტ წარმოადგენს იმ სოციალურ პლატფორმას, რომელსაც ინფორმაციის გადამოწმების თვალსაზრისით ხშირად ვიყენებთ. დეზინფორმაციისგან დაცული არცერთი სოციალური პლატფორმა არ არის, თუმცა ტვიტერი გამონაკლისია ამ შემთხვევაში. ინსტაგრამი, რომელიც თავდაპირველად გასართობ პლატფორმას წარმოადგენდა, დღეს ოფიციალურ მედია გვერდებსაც შევხვდებით, რომლებსაც საზოგადოებასთან ურთიერთობის კიდე ერთ საშუალებას იძლევა აღნიშნული ინფორმაციის გათვალისწინებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ დიგიტალიზაცია შეცვლა ჩვენი რეალობა, ინფორმაციის აღქმის სპეციფიკა და მისი გაანალიზება. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მედიის გვერდის ავლით ხშირად სოციალურ სივრცეში ქედრება ინფორმაცია, რომელიც მედია ორგანიზაციებისთვის გაუგებარია. მართალია, საზოგადოების დიდი ნაწილი ეჭვის თვალით უყურებს და გადამოწმების სხვადასხვა გზა ეძებს. თუმცა, ოფიციალურ მედია ორგანიზაციების გამოქვეყნების შემდეგ, ეჭვის საფუხველი აღარ არსებობს.

სპეციფიკიდან გამომდინარე შეგვიძლია გამოვყოთ მედიას რა როლი აკისრია სოციალურ სივრცეში. ერთი მხრივ ინფორმაციის გავრცელების და მეორეს მხრივ რეკლამირების ფუნქცია. კვლევისას საინტერესოდ მივიჩნიეთ დაგვესახელებინა რამდენიმე მაგალითი და შეგვესწავლა სახელმწიფოს მხრიდან რა ბერკეტები არსებობს, რომ ინფორმაციის გაფილტვრა/ დამუშავება დაევალოთ მედია ორგანიზაციებს.

საკვანძო სიტყვები: მასობრივი კომუნიკაცია, სოციალური მედია, მედია ეთიკა, დეზინფორმაცია, პროპაგანდა, ობიექტურობა, დიგიტალიზაცია.

საკითხის აქტუალობა - ინტერნეტის ეპოქამდე ჟურნალისტები „მასმედია-მოდელებით“ მუშაობდნენ, ახალი ამბები ბეჭდური თუ სატელევიზიო მედიით ვრცელდებოდა, თუმცა 2005 წელს ინტერნეტ ეპოქის დასაწყისმა სრულიად შეცვალა ვაითარება და სოციალური მედია გახდა ცხოვრების განუყოფელი ნაწილი, რამაც მოახდინა რევოლუცია კომუნიკაციისა და ინფორმაციის გავრცელების პროცესში, ის იქცა საზოგადოებრივი აზრის ფორმირების ერთ-ერთი მთავარი ძალად. სოციალური მედია პლატფორმები თავისი ფართო წვდომითა და ინტერაქტიული ფუნქციებით საზოგადოებას, ინდივიდებს აძლევს საშუალებას, გამოხატონ თავიანთი შეხედულებები, ჩაერთონ სხვადასხვა დისკუსიებში და გავლენა მოახდინონ ფართო საზოგადოებაზე.

სწორედ ამ ფაქტორებმა განაპირობა საკითხით დაინტერესება. შევეცადეთ გვეკვლია სოციალური მედიის მნიშვნელობა საზოგადოებისათვის და ამავე დროს საქართველოს მაგალითებზე გვეჩვენებინა მისი როლი ქართულ საზოგადოებაში.

საკითხის განვითარება - ტექნოლოგიურმა პროგრესმა შეცვალა როგორც ინფორმაციის გავრცელების ფორმები, ასევე მისი სიჩქარეც. დიგიტალიზაციის პროცესი ცხოვრების ყველა სფეროს შეეხო, რამაც გაამარტივა წვდომა ნებისმიერ ინფორმაციაზე, მისი მოპოვება, შესწავლა, დამუშავება და ანალიზი. ეს ყველაფერი კი განაპირობა მედიის ციფრულ პლატფორმებზე გადასვლამ, იგი დღევანდელი საზოგადოების განუყოფელ ნაწილად იქცა. ინტერნეტის გლობალური ქსელის შექმნამ სხვადასხვა სოციალური მედია პლატფორმის ჩამოყალიბება განაპირობა. „სოციალურ მედიას შეუძლია, ნებისმიერი აქციოს ამბის მთხრობლად. მიმების, ტრენდული თემებისა და უკანასკნელი ახალი ამბებით სავსე ლენტის მიღმა სოციალური მედია საშუალებას გაძლევს, შეაგროვო და გააზიარო ახალი ამბები. აქამდე ჟურნალისტებისთვის არასდროს ყოფილა ხელმისაწვდომი ამდენი ოფიციალური პირის განცხადებები და ადამიანური წყაროები. აქამდე არასდროს ჰქონიათ ჟურნალისტებს, როგორც ამბის მთხრობლებს, იმ საზოგადოებებთან ამდენი ინტერაქციის საშუალება, რომელსაც ემსახურებიან. და, შეიძლება ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ აქამდე არასდროს ჰქონია საზოგადოებას ამდენი ინფორმაციის მოხმარების საშუალება, იმ წყაროთი და იმგვარად, როგორც მას სურს“ (ფილაკი, 2023:189)

ამდენად სოციალურმა მედიამ ხშირ შემთხვევაში ჩაანაცვლა ტრადიციული მედიები, რის გამოც ბეჭდურმა, რადიო და ტელემედიებმა შექმნეს თავისი ციფრული კონტენტები, რომელიც მოარგეს საზოგადოების ინტერესებს. ერთი მხრივ სოციალურმა მედიამ განაპირობა ინფორმაციის სწრაფად და მარტივად გავრცელება, მეორე მხრივ კი ზღვარი წაშალა ობიექტურ და სუბიექტურ მიდგომებს შორის. გამარტივდა არაზუსტი ინფორმაციის ვირუსული გავრცელება.

ქართული სოციალური მედია სივრცის კვლევამ გვაჩვენა, რომ მისთვის ობიექტური მიდგომები კვლავ, დიდ გამოწვევად რჩება. ქართული სოციალური მედია სივრცე დაკავებულია პროპაგანდით, დეზინფორმაციით, სიძულვილის ენით, პირადი ცხოვრების ასახვითა და სხვადასხვა მავნე გამოწვევით. სოციალური მედია საშუალებას აძლევს ნებისმიერ ადამიანს გამოხატოს თავისი მოსაზრებები, ეს კი ნიშნავს, რომ „შენ ქმნი მომხმარებელზე მორგებულ კონტენტს, როცა სტატუსის განახლებებს პოსტავ ან ვიზუალურ მასალას“ (ფილაკი, 2023;191), მაგრამ ამავე დროს იგი ზრდის დეზინფორმაციისა და ყალბი ამბების გავრცელების რისკს, ეს კი თავისთავად გავლენას ახდენს საზოგადოებრივი აზრის

ფორმირებაზე და იწვევს არასწორი გადაწყვეტილებების მიღებას.

დღეისთვის სოციალური პლატფორმები ახალ შესაძლებლობებს აძლევს ჟურნალისტებს, რათა სწრაფად გაავრცელონ ინფორმაცია და ეფექტურად დაამყარონ სამიზნე აუდიტორიასთან კავშირი. „პასიური მკითხველი, მაყურებელი და მსმენელი სულ უფრო და უფრო აქტიურად მონაწილეობს დიალოგში ჟურნალისტებსა და საზოგადოების დანარჩენ ნაწილს შორის. სოციალური მედია კი უფრო და უფრო მეტად იპყრობს ხალხის ყურადღებას: დროს, რომელიც, მაგალითად, რადიოს ეთმობოდა, ახლა მთლიანად იკავებს ფეისბუქი, ტვიტერი, ინსტაგრამი, იუთუბი და ვოტსაპი“(სოციალური მედიის ანალიზი,2019:4) ამ მიმართულებით არაერთ ქვეყანაში ჩატარდა კვლევა, რომელმაც ერთმნიშვნელოვნად დაადასტურა, რომ დღეს სოციალური მედიის პლატფორმები ყველაზე აქტუალურია. მაგალითად აშშ-ში ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ყველაზე პოპულარული „ზრდასრულ მოსახლეობას შორის არის ფეისბუქი 69% და იუთუბი 73%. ზოგიერთი სოციალური მედიის საიტის მოხმარება მაღალია ახალგაზრდებში 18-29 წლამდე, მაგალითად – ინსტაგრამი 67% და სნეჰჩეტი 62%. სხვა პოპულარული საიტებია პინტერესტი, ლინკდინი და ტვიტერი“ (ფილაკი, 2023:191).

სოციალური მედიისთვის მნიშვნელოვანია მიზნობრივი აუდიტორიის მოძიება, ვინაიდან სწორედ ამ პლატფორმების საშუალებით, თითოეული ინდივიდი ხდება კომუნიკატორი, რომელიც ინფორმაციის გავრცელებით ქმნის ახალ ამბავს და სთავაზობს საზოგადოებას. ის კი თუ როგორ ინტერესს გამოიწვევს შენი ამბავი დამოკიდებულია წერის უნარებსა და ვიზუალიზაციაზე. ერთი მხრივ ინდივიდი ადვილად მოიპოვებს ინფორმაციას, მაგრამ ის, თუ როგორ გადაამუშავებს, როგორ აქცევს საკუთარ ამბად და როგორ გამოიყენებს გონებრივ იერიშს, რომ „ნიუსის“ მიმართ ინტერესი გაამძაფროს, უკვე ავტორის ოსტატობაზე დამოკიდებულია. ამავ დროს იგივე სოციალური მედიის დილემად იქცა ეთიკურობის დაცვა, რაც ხშირად გამოხატვის თავისუფლებას უკავშირდება.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ სოციალური მედია პლატფორმები იყენებენ ალგორითმებს, რომლებიც ამუშავებენ მომხმარებლის „პრეფერენციებისა“ და ჩართულობის შაბლონების კონტენტს. ამ ალგორითმულმა მიკერძობებამ შესაძლოა გავლენა იქონიოს პოზიციის ჩამოყალიბებაზე. ალგორითმული სისტემები შექმნილია მომხმარებლის ჩართულობის მაქსიმალურად გაზრდის მიზნით და მათ შეუძლიათ უპირატესობა მიანიჭონ კონტენტს, რომელიც გამოიმუშავებს ძლიერ ემოციურ პასუხებს. ეს იწვევს ექსტრემალური ან სენსაციური შინაარსის გაძლიერებას, რამაც შეიძლება შეცვალოს მოსაზრებები და გამოიწვიოს დისკუსია საზოგადოების წევრებს შორის. ალგორითმული მიკერძობების პოტენციური უარყოფითი ეფექტების შესამცირებლად აუცილებელია მედია პლატფორმებისთვის პრიორიტეტული იყოს გამჭვირვალობა და ანაგრიშვალდებულება. გარდა ამისა, მედიაწიგნიერებისა და კრიტიკული აზროვნების უნარების ჩამოყალიბების ხელშეწყობა შესაძლებლობას მისცემს საზოგადოების წევრებს გააცნობიერონ პოტენციური ინფორმაციის მიკერძობები და გააანალიზონ მათ მიერ მოპოვებული ინფორმაცია.

სოციალურმა მედიამ შეცვალა პოლიტიკური დისკურსი და საარჩევნო კამპანიების წარმართვაც, რაც პოლიტიკოსებს ამომრჩეველთან პირდაპირი წვდომის საშუალებას აძლევს. ისეთი პლატფორმები, როგორებიცაა „Facebook“ და „Twitter“ გამოიყენება პოლიტიკური პოზიციებისა და შეტყობინებების კონკრეტული აუდიტორიისათვის მიზანმიმართულად და სწრაფად გასავრცელებლად, საზოგადოების აზრის გასაკონტროლებლად. „COVID-19“-ის პანდემიამ დაგვანახა, რომ სოციალურმა მედიამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა სხვადასხვა ასპექტით კრიზისის მართვასა და საერთო საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში. ისეთი პლატფორმები, როგორებიცაა „Facebook“, „Twitter“ და „YouTube“, ხელს უწყობდნენ ვირუსის პრევენციული ზომებისა და ვაქცინაციის კამპანიების დაგეგმვასა და განხორციელებას. თუმცა, ამავედროულად ისინი გახდნენ დეზინფორმაციისა და სხვადასხვა ცრუ თეორიების გავრცელების საფუძველიც, რამაც გამოიწვია საზოგადოების გარკვეული ნაწილის დაბნეულობა და სკეპტიციზმი. სოციალური მედიის უნარმა, გაავრცელოს როგორც ზუსტი ინფორმაცია, ასევე გახდეს დეზინფორმაციის წყარო, მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა

საზოგადოებრივ პოზიციაზე, როგორც ვაქცინის ეფექტურობის, ასევე მთავრობისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის პოლიტიკაზე. ეს ყველაფერი კი იქცა რეალობად როგორც საქართველოს მასშტაბით, ასევე გლობალურად. თუმცა უნდა ითქვას ისიც, რომ სოციალურმა მედიამ დადებითი გავლენა იქონია ბევრი ადამიანისათვის საკუთარი თავისა რეალიზებაში. სოციალური დისტანცირების დროს მათ შეძლეს ეს პლატფორმები საკუთარი შესაძლებლობების გასასაჯაროებლად გამოეყენებინათ, ამით კი სოციალიზაციის აუცილებლობა ჩაენაცვლებინათ.

სოციალური მედიის როლზე საუბრისას შეგვიძლია დავაკვირდეთ საქართველოს ბოლოდროინდელ მოვლენებს, რომელიც შეეხებოდა კანონპროექტს უცხოელი „აგენტების“ შესახებ. იგი სოციალურ მედიაში გარკვეული პერიოდის მანძილზე გახდა განხილვის მთავარი თემა, მნიშვნელოვნად შეცვალა და ჩამოაყალიბა საზოგადოებრივი აზრი, მათ შორის მასობრივი საპროტესტო გამოსვლები. კანონპროექტის ორივე ვარიანტი უცხოეთის აგენტებად დარეგისტრირებას ავალდებულებდა არასამთავრო ორგანიზაციებს, კერძო პირებს, რომლებიც ფინანსდებოდნენ/ფინანსდებიან უცხოური ორგანიზაციების მიერ. ერთი მხრივ კანონპროექტის მხარდამჭერები ამტკიცებდნენ, რომ იგი უზრუნველყოფდა გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებას, ხოლო მეორე მხრივ კრიტიკოსები ამტკიცებდნენ, რომ იგი ზღუდავდა სიტყვის თავისუფლებას და მიზნად ისახავდა ხელისუფლების მიერ არაკონტროლირებად ორგანიზაციებზე მართვის ბერკეტის შექმნას. აღნიშნულ საკითხზე არაერთი დებატი გაიმართა სოციალური მედიის სხვადასხვა პლატფორმაზე, სადაც ვრცელდებოდა მოსაზრებები, ქვეყნდებოდა ახალი ამბები საკითხის ირგვლივ და იმართებოდა ონლაინ დისკუსიები. ეს კონკრეტული ფაქტი თვალსაჩინო მაგალითია იმისა, რომ დღეს სოციალური მედია იქცა იმ ძლიერ იარაღად, რომელსაც შეუძლია საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბება და მისი გავლენა, მუდმივად ზრდადია.

ზოგადი დასკვნები

სოციალური მედია იქცა იმ ციფრულ ინსტრუმენტად, რომელიც მომხმარებელს აძლევს საშუალებას სწრაფად შექმნას ამბავი და გაუზიაროს იგი საზოგადოებას, გამოეთქვას საკუთარი შეხედულებები და მოახდინოს კონკრეტულ მიზანზე კონცენტრირება. გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს სოციალური მედიის პლატფორმებზე გაზიარებული ინფორმაციის კრიტიკულად შეფასება და საწინააღმდეგო პოზიციის პატივისცემა, რაც მნიშვნელოვანია ობიექტური მოსაზრების ჩამოყალიბებისთვის.

საკითხის ანალიზმა გვიჩვენა, რომ თითოეულ სოციალურ სივრცეს ინფორმაციის გავრცელების განსხვავებული მიდგომა აქვს. თუმცა აქტუალური ხდება ინფორმაციის გადამოწმება, რაც დეზინფორმაციის გავრცელების პრევენცია უნდა გახდეს. სოციალური მედია პლატფორმები კი ნაკლებად კონტროლდება, რაც ინფორმაციის სანდოობას ხშირ შემთხვევაში ეჭვქვეშ აყენებს.

ტექნოლოგიური პროცესების განვითარებამ, დიגיტალიზაციამ შეცვალა რეალობა, ინფორმაციის აღქმის სპეციფიკა და მისი განალიზების პროცესი. სოციალური მედია ერთგვარ მოდერატორად იქცა, რომელმაც ერთი მხრივ შეძლო კონკრეტული საკითხების ირგვლივ გაერთიანებინა საზოგადოების სხვადასხვა სეგმენტი და მეორე მხრივ, კი მათი დაყოფა განახორციელა. ინფორმაციის უწყვეტი ნაკადის საჯაროობამ გამჭირვალე და ხელმისაწვდომი გახადა მსოფილო პროცესები, რაც საზოგადოების თითოეულ წევრს აძლევს შესაძლებლობას თავად იყოს ამ პროცესების უშუალო მონაწილე, თავად გახდეს კონკრეტულ მომხმარებელზე ორიენტირებული კონტენტის შემქმნელი და მოახდინოს საკუთარი პოზიციის სოციალიზაცია.

ლიტერატურა:

1. სოციალური მედიის ანალიზი; პრაქტიკული გზამკვლევი ჟურნალისტებისა და სხვა მედია მედიაპროფესიონალებისთვის.

[DWA Social Media Analytics-Georgian-Guidebook 11082021-1.pdf](#)

2. ფილაკი, ვ. (2023). კონვერგენტული ჟურნალისტიკა (შესავალი); წერა და პროდიუსირება მედიაში. ბათუმი.
3. ჯორბენაძე, ს. (2019). სოციალური მედიის სამართალი. თბილისი.

The role of social media in shaping public opinion

Shamilishvili Inga

Sabashvili Gvantsa

Shota Rustaveli State University, Batumi

Abstract

Mass communication plays an important role in shaping public opinion. Journalism aims to collect, process, and distribute information through various mass communications. Even in the early years, predecessors tried to spread information through various means.

Modern approaches have allowed us to change the ways of information dissemination. The modern world has led to the formation of digital media. Digitization has simplified the acquisition, study, processing and analysis of information. The above mentioned processes have formed the social media platform.

Digitalization has led to the popularity of social media platforms. The research of the Georgian media space showed us that objective approaches still remain a big challenge. Basically, the Georgian social media space is busy with propaganda, disinformation, hate speech, exposure of personal life and various challenges.

Social media allows us to understand and analyze the real world more.

Through social media, each individual becomes a communicator who, by spreading information, creates a new story and allows society to evaluate the said news itself.

Of course, the purpose of social media is to find a target audience.

Social media has somehow blurred the line between freedom of expression and media ethics.

The digital space allows each media organization to convey information openly and objectively.

During the study of the research topic, a modern approach to information reporting, which contradicts the principles of media ethics, was clearly identified.

Mass communication, whose unconditional purpose is to inform the public with accurate and unbiased information, is often criticized because it can be subject to bias, manipulation and the spread of disinformation. Developing media literacy skills, knowledge of information sources, and engaging in diverse media consumption play a critical role in the effective advancement of mass communication.

Based on the above, mass communication is presented as a link between society and individuals, providing a platform for sharing ideas, raising awareness and public advocacy.

Keywords: Mass communication, Social Media, Media Ethics, Disinformation, Propaganda, Objectivity, Digitalization.

ინფორმაცია vs დეზინფორმაცია: გლობალური გამოწვევები

ძამუკაშვილი ლალი

იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი

DOI: <https://doi.org/10.52340/idw.2023.88>

აბსტრაქტი. ციფრული რევოლუციის ეპოქაში სოციალური მედიის დაწინაურებამ გლობალური გამოწვევები წარმოშვა და ტრადიციული მედიის ერთგვარი ეროზია გამოიწვია. ყველა პასუხისმგებლიანი მედია საერთო პრობლემის წინაშე დადგა, რაც უკავშირდება ყალბი ამბებისა და დეზინფორმაციის გავრცელებას. მედიის მთავარი ფუნქცია - სიმართლის მსახურება, კითხვის ნიშნის ქვეშ აღმოჩნდა.

ყალბი ამბების გასავრცელებლად სოციალური მედია ნოყიერ ნიადაგს ქმნის. ტექნოლოგიურად გამართული პროგრამული უზრუნველყოფა საშუალებას იძლევა რეალურის მსგავსი საიტების შექმნისათვის. ეს პლატფორმა თავის საინფორმაციო ველზე ახალ ამბებს გვთავაზობს. სოციალური მედიის უამრავი ანგარიში კი დეზინფორმაციის გასავრცელებლად გამოიყენება. ინტერნეტ სივრცეში არსებული საინფორმაციო წყაროების სიმრავლე ართულებს გაგებას, რომელი მათგანია ფაქტებზე დაფუძნებული, ნახევრად სიმართლე თუ ტყუილი. სწორედ აქ ხდება ყალბი ამბების რეალური შეფუთვა იმგვარად, რომ მომხმარებელს გაუჭირდეს სწორი ლავირება. გაზიარების სერვისი ხელს უწყობს დეზინფორმაციის ტირაჟულობას და მის ვირუსულ გავრცელებას, რასაც მოსდევს უარყოფითი ტალღოვანი ეფექტი.

გაყალბებული ან ცრუ ინფორმაცია შეფუთულია, როგორც „ნამდვილი“ და მიზნად ისახავს საზოგადოებრივ აზრზე მანიპულირებას. ყალბი ამბების ფაბრიკაცია დაკავშირებულია კონკრეტულ ჯგუფებთან ან ინდივიდებთან, რომლებიც მოქმედებენ საკუთარი თუ სხვათა ინტერესებით. ყალბი ამბების ტირაჟირება, ხშირად, გამოწვეულია პოლიტიკურ-ეკონომიკური საბაბით. თავისი ფორმით ძალიან წააგავს ტრადიციული მედიის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას, თუმცა, დარღვეულია ყოველგვარი ეთიკა სიზუსტესთან მიმართებაში. ასეთი ტიპის ინფორმაცია განსხვავებულ სფეროებს მოიცავს. ეს შეიძლება ეხებოდეს პოლიტიკას, ეკონომიკას, უცხოპოლანეტელებს, მასონურ შეთქმულებს, საკვებს, საფონდო ბირჟებს და სხვა.

სოციალური მედიის პლატფორმებმა, თავის მხრივ, მიიღეს არაერთი დამატებითი ღონისძიება ყალბ ინფორმაციასთან და დეზინფორმაციასთან საბრძოლველად. დემოკრატიული სიტყვის ძალა დღეს უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ოდესმე. ყალბი ამბების წინაშე, საზოგადოებას სჭირდება კომუნიკაციის კულტურის ახლებური მოდელი. ეს არის კრიტიკული აზროვნების განვითარება, რომელიც წარმოადგენს საუკეთესო საყრდენს ყალბი ამბების წინააღმდეგ.

საკვანძო სიტყვები: სოციალური მედია; ტრადიციული მედია; დეზინფორმაცია; ყალბი ამბები; რეგულაციები; მედიაწიგნიერება.

ტერმინი, "ყალბი ამბები" მედიისთვის კარგად ნაცნობი სიტყვაა. "fake news"-ი, ინგლისური ენიდან მომდინარეობს და მოტყუების მიზნით აგებულ "ცრუ ინფორმაციას" ნიშნავს. ოქსფორდის ლექსიკონის მიხედვით, ტერმინი - „ყალბი ამბები“ დაკავშირებულია სიცრუესთან, მანიპულაციასთან, დეზინფორმაციასთან, პროპაგანდასთან, შეთქმულების თეორიებსა და ჭორებთან (Kalsnes, 2018). ყალბ ამბებს იყენებენ სხვადასხვა ინტერესებისთვის. მათ შორის, პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სხვა. ყალბი ამბების მიზანმიმართული თუ

უნებლიე გამავრცელებლები საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას მათთვის საინტერესო ფორმით ცვლიან, ახდენენ სხვადასხვა ინტერესების დისკრედიტაციას და დღის წესრიგის შეცვლას.

"Fake news", დეზინფორმაცია, პროპაგანდა ახალი ფენომენი არ არის. თუმცა, დამაფიქრებელია მისი მასშტაბები და სიჩქარე, რითაც ასეთი ტიპის ინფორმაცია ვრცელდება (Saldago, 2017). იმ ფონზე, როცა ტრადიციული მედია ნელ-ნელა კარგავს თავის სანდოობას და დამოკიდებული ხდება ინტერნეტზე. ყალბი ამბების ცირკულირების თემა უფრო მეტ აქტუალობას იძენს. ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით მარტივად ხდება სკანდალური ან ყალბი ინფორმაციის გაზიარება. სარეკლამო ბაზარი ალგორითმებით ამუშავებს ინტერნეტსა და სოციალურ მედიას. ის ეფუძნება ძლიერი ემოციების გამომწვევ მასალებს, რაც თავის მხრივ ანმტიციებს და აძლიერებს ამ ემოციებს სასურველი მიმართულებით და აგროვებს მეტ "მოწონებებსა" და "გაზიარებებს". მომხმარებლისათვის ძნელია, განასხვავოს ხარისხიანი და უხარისხო ინფორმაცია ერთმანეთისაგან (Pomeransev, 2019).

კვლევები მოწმობს, რომ ტროლებისა და ბოტების საპირწონედ ამოქმედებული იარაღი არც თუ ისე ეფექტურად მუშაობს. (ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი, 2020). პროპაგანდისტული კამპანიების წყაროებისა და ყალბი ინფორმაციის უკან დგას ტექნოლოგიურად გამართული ორგანიზებულად სისტემა, რომელთანაც გამკლავება კვლავ გადაუჭრელ პრობლემად რჩება.

"Fake news"-ებთან ბრძოლა სხვადასხვა ტექნოლოგიური მეთოდებით ხორციელდება, მათ შორის, დაპორტირებით, თუმცა არც ისე მარტივადაა საქმე. „დარეპორტების“ ფუნქციით თავს იჩენს ახალი პრობლემა, რამაც შესაძლოა, გამოიწვიოს სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა. მაგალითად, საქართველოში, აზრის გამოხატვის თავისუფლება კონსტიტუციითაა გარანტირებული და ზღუდავს ცენზურას. ყველას აქვს ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების უფლება. ამასთან, კანონში „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ ნათქვამია, რომ ცილისწამებასთან დაკავშირებით შესაძლებელია სასამართლოში სარჩელის შეტანა. თუმცა, „მტკიცების ტვირთი მოსარჩელეს ეკისრება და თუ სათანადო არგუმენტებით ვერ დაამტკიცებს სარჩელის მიზეზს, სასამართლო სიტყვის თავისუფლების სასარგებლო გადაწყვეტილებას გამოიტანს.“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე). ეს მოცემულობა ცხადყოფს, რომ ყალბი ინფორმაციის გავრცელების პრობლემას კანონი ბოლომდე ვერ არეგულირებს, რადგან ზღვარი გამოხატვისა და სიტყვის თავისუფლებაზე გადის. ეს კი დემოკრატიული საზოგადოების შენებას აფერხებს.

ყალბი ამბების გავრცელების ძირითადი საშუალება სოციალური მედიაა. სოციალური მედიის გიგანტების თვითრეგულირების საკითხი კი მთელი მსოფლიოს პრობლემაა და არა მხოლოდ რომელიმე, ლოკალური მედიის, რადგან „მათი ძირითადი ბიზნესი მოგების მიღებაა და არა კონტენტის ზომიერება, რამაც შეიძლება მათი ფინანსური მდგომარეობა რისკის ქვეშ დააყენოს“ (Gamba, 2018). ამიტომ, პლატფორმები კმაყოფილებიან მინიმუმით. ერთი მხრივ, არ მოხდეს საზოგადოებრივ აზრზე მკვეთრი გავლენა და მეორე მხრივ, თავიდან აიცილონ სახელმწიფო მხრიდან შემზღუდველი რეგულირებები, რაც მათი ბიზნესისთვის კატასტროფის ტოლფასი იქნება.

გერმანიამ 2018 წლიდან შემოიღო ღონისძიება, რომელიც 50 მილიონ ევრომდე სანქციებს უწესებს იმ სოციალურ ქსელებს, რომლებიც არ წაშლიან სიძულვილის შემცველ პუბლიკაციებს ან ცრუ ინფორმაციას. საფრანგეთი გეგმავს ამ საკითხზე კანონის მიღებას. განსხვავებულია ზოგიერთი ქვეყნის მიდგომა ამ საკითხისადმი, რომელიც თვლის, რომ ვერც ერთი კანონი ვერ მოაგვარებს პრობლემას. ყალბი ამბების საპირწონედ რჩება მხოლოდ დემოკრატია და განათლება, კრიტიკული აზროვნებისა და დამოუკიდებელი მედიის გაძლიერება.

ყალბი ამბების გავრცელებასთან დაკავშირებით არანაკლებ საფიქრალს აჩენს ხელოვნური ინტელექტის მიერ წარმოებული პროდუქცია. როგორ განასხვავოს მომხმარებელმა ხელოვნური ინტელექტის მიერ შექმნილი მასალები ნამდვილისგან? პრობლემის მოგვარებას, ევროკავშირში, საგანგებო ზომების მიღებით ხედავენ. ეს

გულისხმობს ტექნოლოგიურად მსხვილი კომპანიების - Google, Facebook და TikTok, ხელოვნური ინტელექტის მიერ შექმნილი მასალების მარკირებას, რაც თავის მხრივ, გააადვილებს ნამდვილის გარჩევას შექმნილი მასალისგან. რეგულაციამ, შესაძლოა, ინტერნეტში დეზინფორმაციისა და ყალბი ამბების გავრცელების პრევენცია მოახერხოს. თუმცა, დაეწევა თუ არა საკანონმდებლო ბაზა ტექნოლოგიურ პროგრესს, ხელოვნური ინტელექტის უსაფრთხო გამოყენებისთვის, კიდევ სამჯელო თემადაა ქცეული.

ყალბი ამბები ცვლის რეალობას და სერიოზული გამოწვევების წინაშე აყენებს, როგორც პასუხისმგებლიან მედიას, ასევე მის მომხმარებელს, რამდენადაც ყოველთვის ადვილი არ არის სიმართლის გარჩევა ყალბისაგან. ეს გამოწვევა კიდევ ერთხელ ადასტურებს ჟურნალისტიკის ტრადიციულ მისიას - იყოს სიმართლის სადარაჯოზე და უზრუნველყოს მომხმარებელი ობიექტური და ნამდვილი ინფორმაციით.

„ჟურნალისტიკის ელემენტებში“, სახელმძღვანელოს ავტორები, კოვაჩი და როზენსტილი ჟურნალისტიკის მთავარ პრინციპზე მსჯელობისას განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებენ შემდეგ პრინციპებზე: ჟურნალისტი ვალდებულია ემსახუროს სიმართლის გაშუქებას; იყოს მოქალაქეებისადმი ერთგული; გადამოწმების გარეშე არ გაავრცელოს ინფორმაცია; შეინარჩუნოს დამოუკიდებლობა მათგან, ვისაც აშუქებს; დამოუკიდებლად აკონტროლოს ხელისუფლება; საზოგადოებრივი კრიტიკისათვის შექმნას პლათფორმა; ინფორმაცია, რომელსაც აშუქებს, იყოს მნიშვნელოვანი; საზოგადოებას მიაწოდოს აქტუალური ინფორმაცია; წარმოაჩინოს ინფორმაცია ყოველმხრივი და დაბალანსებული სახით და საკუთარი სინდისის წინაშე იყოს სუფთა. მედიის ლეგიტიმაცია ეყრდნობა სამართლებრივ, ეთიკურ და მორალურ საფუძვლებს. სწორედ ამ პრინციპების საფუძველზე განისაზღვრება ის, როგორც რეალური მედია. ყალბი ამბები და დეზინფორმაცია დიამეტრალურად ცვლის აღნიშნულ პრინციპებს.

ცრუ ინფორმაციის გავრცელება ისეთივე ძველია, როგორც თავად ჟურნალისტიკა. [I საუკუნეში რომის იმპერატორი იულიუს კეისარი თავის დიდების წარმოსაჩენად იგონებდა ამბებს. მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა, მაგრამ ინტერნეტის ეპოქამ ეს პრობლემა ახალი, ბევრად კომპლექსური ფორმით წარმოაჩინა; უფრო დააჩქარა ყალბი ინფორმაციის გავრცელების არეალი. მას ვერ ხვდება საკმარისი წინაღობა. ამიტომ, ყალბ ინფორმაციას დღეს ბევრად სახიფათო სახე აქვს, ვიდრე 2000 წლის წინ.](#)

ინფორმაციის დამახინჯება ან მიზანმიმართული დეზინფორმაცია ადამიანის ბუნებიდან გამომდინარეობს. ცრუ ინფორმაციის გავრცელება ინტერნეტისა და სოციალური ქსელების წყალობით აჩქარებული კადრივითაა დღევანდელი ტექნოლოგიური რიტმის ფონზე, რასაც მომხმარებელთან ერთად ტრადიციული მედია ამლიერებს ამ ჭორებზე კომენტარების გაკეთებით (Gamba, 2018). ის, რომ აღნიშნული პრობლემის საფუძვლები წარსულში უნდა ვეძებოთ, დასტურდება ბერძენი ფილოსოფოსის, თუკიდიტეს სიტყვებით, რომელიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე, მე-5 საუკუნეში სიმართლისადმი ერთგულებას ადასტურებს პენელოპეს ომის მიმოხილვაში და ამბის გადმოსაცემად ზედმიწევნით სიფრთხილეს იჩენს. იგი ასე აღწერს საკუთარ გამოცდილებას ამბის გადაცემასთან დაკავშირებით: “მოვლენათა შესახებ ჩემი ანგარიშების... პრინციპად გავიხადე, არ ჩამეწერა პირველი ამბავი, რომელსაც წავაწყდებოდი, და არც პირადი შთაბეჭდილებებით მეხელმძღვანელა. ან თავად მე ვიყავი იმ მოვლენების მომსწრე, რომლებიც აღვწერე, ან ისინი მოსმენილი მქონდა თვითმხილველთაგან, რომელთა ცნობებს შემდეგ ძალზედ დეტალურად ვამოწმებდი. სიმართლე მაინც არ იყო ადვილი მისაგნები: სხვადასხვა თვითმხილველი განსხვავებულად განიხილავდა ერთსა და იმავე მოვლენას და ლაპარაკობდა ერთი, ან მეორე მხარის ინტერესებიდან გამომდინარე, ან ხშირად თავს იჩენდა ცუდი მეხსიერება” (კოვაჩი, როზენსტილი, 2006). აქედან კარგად იკვეთება, რომ სიმართლის გადაცემასთან დაკავშირებული სიფრთხილე ჯერ კიდევ ძველი დროიდან იღებს სათავეს.

მე-16 საუკუნეში, ჰოლანდიელი ფილოსოფოსი ერაზმუსი აღნიშნავდა, რომ ტყუილს ბევრად მეტი გავლენა აქვს ადამიანზე, ვიდრე სიმართლეს. ეს ეხმიანება ციფრულ მედიაში არსებულ ვითარებას, რასაც დღეს ვაწყდებით. ყოველდღე ოთხ მილიარდზე მეტი შინაარსის

გაზიარება და გაცვლა ხდება სოციალური ქსელების საშუალებით. ეს არის ინფორმაციისა და ინტოქსის ნარევი. ფრანგულ ენაში სწორად დამკვიდრდა ამ ვითარების შესაფერისი ტერმინი „ინფოქსი“, ანუ „ინფო და ინტოქსი“.

ობიექტურობისა და ბალანსის სტანდარტების დაცვა, რაც ციფრულეპოქამდელი მედიისთვის მნიშვნელოვანი გამოწვევა იყო, ახალმა საინფორმაციო ტექნოლოგიებმა საფრთხის წინაშე დააყენა. ინტერნეტმა, ახალი ამბების საიტის წარმოების ხარჯების შემცირებით, ხელი შეუწყო ახალი კონკურენტების ზრდას, რომლებიც მიზანმიმართულად არღვევენ იმ სტანდარტებს, რომლებზეც დაფუძნებულია ტრადიციული მედია.

დღეს, ახალ ამბებს თითქმის იმდენი მწარმოებელი ან გადამცემი ჰყავს, რამდენიც სოციალური ქსელების მომხმარებელია. ამას ემატება ისიც, რომ ტრადიციული მედიის ნდობის კოეფიციენტი საზოგადოებაში უფრო და უფრო კლებულობს. მიზეზები შეიძლება ბევრი იყოს. მათ შორის საზოგადოების ზედმეტი პოლარიზება; საჯარო დებატების ფრაგმენტულობა და სხვა. საკმარისი პირობაა შექმნილი, რათა ცრუ ინფორმაცია თუ მიზანმიმართული დეზინფორმაცია გავრცელდეს. პოლიტიკოს ალენ ბერსეტის აზრით, „თუ დემოკრატიას პოტენციურად საფრთხე ემუქრება, ეს იმიტომ ხდება, რომ გარკვეული აქტორები ახდენენ მედიის დისკრედიტაციას და დეზინფორმაციას დესტაბილიზაციის იარაღად იყენებენ. მათ ამოცანას აადვილებს ის ფაქტი, რომ როგორც ჩანს, ინტერნეტს ცრუ ინფორმაცია ურჩევნია ჭეშმარიტს. თავად ტექნოლოგია შეიძლება იყოს დისკრიმინაციის ინსტრუმენტი“ (Press release, 2023).

ბოლო კვლევა, რომელიც ჩატარდა სოციალურ ქსელ Twitter-ზე აჩვენებს, რომ უსაფუძვლო ჭორები უფრო სწრაფად ვრცელდება, ვიდრე ნამდვილი ამბები. როგორც ცნობილია, საზოგადოებამდე სიმართლის მიტანას ექვსჯერ მეტი დრო სჭირდება, ვიდრე ცრუ ინფორმაციას. აქედან გამომდინარე, ადვილი წარმოსადგენია, რა რეზონანსი შეიძლება ჰქონდეს საზოგადოებაში ცრუ ინფორმაციისა თუ დეზინფორმაციის გავრცელებას.

საინფორმაციო ველი დერეგულაციის პროცესშია. ჟურნალისტიკა, როგორც ავტორიტეტი, ვირტუალურ ინფორმაციულ ქაოსში ისე ვეღარ ასრულებს თავის ფუნქციას. ამ პროცესში გამარჯვებას ჯერჯერობით ცდილობენ ის ონლაინ გიგანტები, რომლებიც თავიანთი ალგორითმული ფილტრები ინფორმაციის ნაკადებზე ახდენენ მონოპოლიზაციას.

დეზინფორმაციული კამპანიის განსახორციელებლად, ტროლები აწარმოებენ შეტყობინებებს, რომლებიც განხეთქილებასა და უთანხმოებას იწვევს. მათი მთავარი ვექტორები ემოციასა და სენსაციაზე ახდენენ აპელირებას და ვირტუალურ სივრცეში დეზინფორმაციის გასაძლიერებლად სულ უფრო და უფრო დახვეწილი ტექნიკას იყენებენ.

საკანონმდებლო რეგულაციები, რომელთაც უნდა მოახდინონ ყალბი ამბების პრევენცია, შეზღუდულია, რათა არ გამოიწვიოს მედიის თავისუფლების რეპრესიები განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, სადაც არსებული რეჟიმები ყალბ ამბებს განსხვავებული ხმების ჩასახშობად იყენებენ. პასუხისმგებლიან ჟურნალისტიკას შესწევს იმის ძალა, რომ ინფორმაციის მოპოვებისა და წყაროების გადამოწმებისას იხელმძღვანელოს ეთიკური სტანდარტებით, რაც აუცილებელია სოციალურ ქსელებში საჯარო დებატების სიცოცხლისუნარიანობისათვის.

ამ საკითხებთან დაკავშირებით სამეცნიერო კვლევების სიმწირის გამო, ძნელია იმსჯელო, თუ რა გავლენას ახდენს რეალურად ყალბი ამბები საზოგადოებრივ აზრზე, თუმცა ცხადია, რომ დემოკრატიისათვის აუცილებელია ყალბი ამბების ჩახშობა. ყალბი ამბების საუკეთესო პასუხი დემოკრატიული ღირებულებების დაცვა და დამოუკიდებელი და ძლიერი მედიის მხარდაჭერაა, რომელიც პროფესიული სტანდარტებით ახდენს საზოგადოებამდე სიმართლის მიტანას, ფაქტისა და კომენტარის გამიჯვნას და ინფორმაციის გადამოწმებისას იჩენს მაქსიმალურ სიფრთხილეს.

დეზინფორმაცია, პროპაგანდა, ყალბი ამბები საზოგადოებრივი აზრის ფორმირების საუკეთესო საშუალებაა და დარწმუნების გავრცელებული მეთოდი, რომელიც ხშირად პოლიტიკური სარგებელზეა გათვლილი. შერჩევით ან გაყალბებით მიზანმიმართული პროპაგანდა სასურველი შედეგის მიღებას და საზოგადოებრივ აზრზე გავლენის მოხდენას

ისახავს მიზნად. შეიძლება ითქვას, რომ დეზინფორმაციას, შესაძლოა, განსაკუთრებით დამანგრეველი შედეგები მოჰყვეს და საფრთხე შეუქმნას დემოკრატიას, მაშინ, როდესაც ის ორკესტრირდება უცხო ძალების მიერ.

ყალბი ამბების წინააღმდეგ ბრძოლის მრავალი გზა და ინიციატივა არსებობს, თუმცა, თითოეულ მათგანს აქვს თავისი საზღვრები. საინფორმაციო ქაოსის შემცირება, ყალბი ამბების გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლა მოიცავს ისეთ ძალისხმევებს, როგორცაა მარეგულირებელი პროცედურების გამკაცრება, ალგორითმების გამჭვირვალობა, ეკონომიკური სანქციები; ტრადიციული მედიის პროფესიონალიზმის ზრდა. ასევე, საზოგადოების განათლება მედიაწიგნიერების კუთხით, შეიძლება გახდეს ამ ბრძოლასთან გამარჯვების საფუძველი.

ბიბლიოგრაფია:

ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი. (2020). დეზინფორმაციის კვლევა და გაუვნებლყოფა საქართველოში. სოციალური მედიის მონიტორინგი და ანალიზი. საბოლოო მოხსენება. (მომიებულია: 02.05.2023). https://eprc.ge/wp-content/uploads/2022/02/georgian_a5_size-up.pdf

კოვაჩი ბ., როზენსტილი ტ. (2006). ჟურნალისტიკის ელემენტები. თბილისი.

საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. (2022). საქართველოს კანონი სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ. (მომიებულია: 02.25.2023).

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/33208?publication=7>

პოზეტი, ჯ., ირეტონი, ნ., უორდლი, კ., დერაქშანი, ჰ., მეთიუსი, ე., აბუ-ფადილი, ბ. (2021).

ჟურნალისტიკა, „ყალბი ამბები“ და დეზინფორმაცია. გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია. (მომიებულია: 02. 05.23).

<https://unesdoc.unesco.org/ark:/48223/pf0000375682>

Gamba, F. (2018). *La mécanique du mensonge*. Les magazine scientifique del'Unige. Geneve. (მომიებულია: 21.04.23) <https://www.unige.ch/campus/numeros/133/dossier1/>

Kalsnes, B. (2018). *Fake News*. Oxford Research Encyclopedia of Communication (p.1).

Pomeransev, (2019). *Breaking the Polarization Spiral*. (მომიებულია: 28.04.23). <https://www.the-american-interest.com/2019/07/10/breaking-the-polarization-spiral/>

Saldago, C. (2017). *Mensonges dans les réseaux sociaux*. Unesco Courier. (მომიებულია: 25.04.23).

<https://fr.unesco.org/courier/july-september-2017/fake-news-ce-quen-pensent-journalistes>

Press release. (2023). *Global Community Must Tackle Potential Misuse, Abuse of Emerging Technologies, Deputy Secretary-General Stresses in Remarks at Digital Dilemmas Exhibition*. (მომიებულია: 25.04.2023)

<https://press.un.org/en/2023/dsgsm1852.doc.htm>

<https://fr.wikipedia.org/wiki/Infox>

Information vs Misinformation: Global Challenges

Dzamukashvili Lali

Iakob Gogebashvili State University, Telavi

Abstract

In the era of the digital revolution, the advancement of social media has created global challenges and caused a kind of erosion of traditional media. All responsible media have faced the common problem of spreading fake news and disinformation. The main function of the media - to serve the truth - has been called into question.

Social media creates fertile ground for spreading fake news. Technologically straightened software allows creation of real-life sites. This platform offers news in its news field. And many

social media accounts are used to spread misinformation. The abundance of information sources on the Internet makes it difficult to know which ones are based on facts, half-truths or lies. This is where the actual packaging of fake news takes place in such a way that it is difficult for consumers to identify this type of information. The sharing service facilitates the circulation of misinformation and its viral spread, which is followed by a strong negative ripple effect.

Fake or false information is packaged as "authentic" and is intended to manipulate opinion. The fabrication of fake news is associated with specific groups, individuals acting in their own, or others' interests. The circulation of fake news is often motivated by political-economic pretexts. In its form, it is very similar to the information distributed by the traditional media; however, all ethics regarding accuracy have been violated. This type of information covers different areas. It can be about politics, economics, aliens, masonic conspiracies, food, stock markets, and more.

Social media platforms, in turn, have taken a number of additional measures to combat fake news and disinformation. The power of democratic speech is more important today than ever. Faced with fake news, society needs a new model of communication culture. It is developing critical thinking that is the best defense against fake news.

Keywords: Social media; traditional media; disinformation; fake news; regulations; media literacy.

შულავერის ნეოლითური კულტურა აღმოსავლეთ საქართველოში

ციფშიძე შორენა

საქართველოს სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი

DOI: <https://doi.org/10.52340/idw.2023.89>

აბსტრაქტი. მოცემულ კვლევაში საუბარია საზოგადოების განვითარების ნეოლითის ეპოქაზე, რომელსაც არქეოლოგიაში „ნეოლითურ რევოლუციას“ უწოდებენ, იგი მოიცავს ძველი წელთაღრიცხვით VI-IV საუკუნეებს. განსაკუთრებული ყურადღება გავამახვილეთ აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ადრესამიწათმოქმედო ძეგლების, შულავერისა და იმირის გორაზე გამოვლენილ კომპლექსებზე, რომელიც შულავერის კულტურით არის ცნობილი. შევისწავლეთ ზემოაღნიშნული კულტურისთვის დამახასიათებელი ნიშნები და ზოგადად მისი მნიშვნელობა საზოგადოებრივ განვითარებაში. განვიხილეთ ის მოსაზრებები, რომელთა საფუძველზეც ეს კულტურა საზოგადოების ნეოლითურ-ენეოლითურ ეპოქებს ასახავს.

აღმოსავლეთ საქართველოში მძლავრი ადრესამიწათმოქმედო კულტურის ჩამოყალიბებამ თავისი დასახლებებითა და მთელი რიგი დამახასიათებელი ნიშნებით, მეცნიერებში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. შულავერისა და იმირის გორები, ფენებითა და არტეფაქტებით, სომხეთსა და აზერბაიჯანში არსებულ კულტურებთან საერთოს პოულობს.

ნაშრომში განხილულია რამოდენიმე მეცნიერის კონცეფცია ნეოლითური კულტურის თავისებურებებთან დაკავშირებით, ვნახეთ განვითარების თვალსაზრისით, როგორი განსხვავებული ვითარებაა საქართველოში, სადაც დაფიქსირებულია ადრესამიწათმოქმედო კულტურასა და სამი განსხვავებული კულტურის, ასევე გარკვეულ ეტაპზე მათი თანაარსებობა. მათგან შულავერ-შომუთეფესა და სიონი-წოფის წრის ძეგლებს განვითარების შედარებით გრელი გზა აქვთ განვლილი, ხოლო ფინალურ ეტაპზე, როგორც ვარაუდობენ თანაარსებობს ბერიკლდეები-ლეილათეფეს კულტურა.

ძირითადად ყურადღება გავამახვილეთ ამ ეპოქის სოციუმზე, მათ შორის ქალის კულტზე. შულავერის გორა და სხვა ნამოსახლარები იმის მანიშნებელია, რომ ქალს, საზოგადოებაში წამყვანი ადგილი ეკავა. ქალის როლის წინ წამოწევას ხელი შეუწყო წარმოებით მეურნეობაზე გადასვლამ. (მიწათმოქმედებამ, მესაქონლეობამ და მეთუნეობამ).

დღეისათვის შულავერ-შომუთეფეს კულტურა არ არის ბოლომდე შესწავლილი და საფიქრებელია, რომ ახალი არტეფაქტების აღმოჩენამ და შესწავლამ მისი დათარიღება კიდევ უფრო დააზუსტოს და მნიშვნელოვნად შეცვალოს მეცნიერთა შეხედულებები.

ნეოლითელი საზოგადოების განვითარების შედეგად მივიღეთ ქვა-სპილენძისა და ბრინჯაოს უმნიშვნელოვანესი ეპოქები.

საკვანძო სიტყვები: ადრესამიწათმოქმედო კულტურა, შულავერის გორა, იმირის გორა, აღმოსავლეთ ამიერკავკასია, მიწათმოქმედება, ნეოლითური კულტურა.

შესავალი

ახალი ქვის ხანა იმდენად მნიშვნელოვანი ეპოქაა კაცობრიობის ისტორიაში, რომ მას ძირეული გარდატეხის ხანას, „ნეოლითურ რევოლუციას“ ან „აგრარულ რევოლუციას“ უწოდებენ. ნეოლითური პერიოდის შესწავლა, მიმთვისებლური მეურნეობიდან მწარმოებლურზე გადასვლა, მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის ჩასახვა-ჩამოყალიბებისა და განვითარების პრობლემის კვლევა ზოგადი არქეოლოგიის ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ პრობლემათა რიგს განეკუთვნება.¹ [კილურაძე, 2011;]

შეიძლება ითქვას, რომ ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო ძეგლების შესწავლის საქმეში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა შულავერისა და იმირის გორის გათხრებს და ამ

მეგლებზე, მოპოვებული მასალის განზოგადებას,² [ჯაფარიძე, ჯავახიშვილი, 1965-1966;] რომელმაც მეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია.

როგორც ვიცით, აღმოსავლეთ საქართველოში ჩამოყალიბდა მძლავრი ადრესამიწათმოქმედო კულტურა თავისი დასახლებებითა და მთელი რიგი დამახასიათებელი ნიშნებით, რამაც მეცნიერებში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. ეს კულტურა შულავერისა და იმირის, გორებს მოიცავს და მთელი რიგი აღმოჩენებიდან გამომდინარე სხვა კულტურებისგან სრულიად განსხვავებულია.

ძირითადი ნაწილი

შულავერისა და იმირის გორა მდებარეობს მდინარე ხრამის მარჯვენა ნაპირზე, თანამედროვე მარნეულის მუნიციპალიტეტში, რკინიგზის სადგურ შულავერიდან 4 კილომეტრის დაშორებით, ჩრდილო-დასავლეთით. ორივე შედის ქვემო შულავერის უძველეს ნასოფლართა ჯგუფში. ახლა ეს ხელოვნური ბორცვებია, რომლებიც დროთა განმავლობაში წარმოიშვა, როცა სამოსახლოს ერთ ფენას მეორე ცვლიდა. მათ შორის მანძილი დაახლოებით ორი კილომეტრია. ამ ნასოფლარებს აკუთვნებენ უძველეს მიწათმოქმედ მოსახლეობას საქართველოს ტერიტორიაზე და უკავშირებენ ახალ ქვის ხანას, გვიან ნეოლითს.

ეს ის პერიოდია, როცა ადამიანი შეგროვებითი მეურნეობიდან (ნადირობა, ნაყოფთა მოგროვება) წარმოებით მეურნეობაზე - მიწათმოქმედება, მესაქონლეობასა და მეთუნეობაზე გადავიდა. ამას ემატება არქეოლოგიების მიერ აღმოჩენილი ყურძნის წიპწა, რომელიც მიგვანიშნებს, რომ ვაზის კულტურა ნეოლითელ მოსახლეობას უკვე ათვისებული ჰქონია. ამ საფეხურთან არის დაკავშირებული მკვიდრი სამოსახლოების გაჩენა და ალიზის სახლების შენება.

შულავერის გორის ნამოსახლარს ძველი წელთაღრიცხვით V ათასწლეულით ათარიღებენ, იმირის ფენებს IV ათასწლეულით. შულავერის გორის გათხრა 1964 წელს დაიწყო. იმირის გორისა კი 1966 წელში. კვლევა-ძიებას აწარმოებდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიური ექსპედიცია. შულავერის გორის გათხრისას, აღმოჩნდა ორმოცზე მეტი ალიზის შენობა. აქედან საცხოვრებელი 24 იყო. მაგრამ ეს შენობები სხვადასხვა სამშენებლო ფენას მიეკუთვნება და ერთმანეთზეა დაშენებული (ზოგან 5 ფენაა წარმოდგენილი). „ადრეული ხანის“ ძირითად საცხოვრებელ ერთეულს შეადგენდა რამდენიმე ნაგებობის ჯგუფი, რომელსაც დასახლების სიმჭიდროვე და ინტენსიურობა ახასიათებდა.³[ბერიძე, 1974;]

საინტერესოა, ამ დროს სოციუმი როგორ იყო განვითარებული. შულავერის გორაზე აღმოჩენილი ქალის ქანდაკება მიანიშნებდა იმაზე, რომ ქალის პრიორიტეტი მაღალ დონეზე იდგა. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ქალს ოჯახში წამყვანის როლი ეკავა. ეს ის პერიოდია, როცა ხელსაყრელი პირობების არსებობამ წარმოშვა მეურნეობის ახალი პროგრესული ფორმა და ადამიანი შეგროვებითი მეურნეობის საფეხურიდან (ნადირობა, ნაყოფთა მოგროვება) წარმოებით მეურნეობაზე. ე.ი. მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობაზე გადადის, რამაც გაზარდა ქალის როლი საზოგადოებაში.

შულავერის კულტურა მნიშვნელოვანი და განსხვავებული სხვა კულტურებისგან იმით, რომ მას განსხვავებული დაგეგმარებისა და მშენებლობის თავისებური სტილი ახასიათებს, მისი შენობები მერცხლის ბუდეცხვით ერთმანეთზე არის გადაბმული, ჩნდება მკვიდრი გორა-დასახლებები. რაც გამოწვია მოსახლეობის რიცხოვნობა ზრდამ და სავარაუდოდ იმირის გორის გაჩენამ, რაც სავარაუდოდ შულავერის გორიდან ჭარბი მოსახლეობის გადასახლების შედეგს უნდა წარმოადგენდეს.

შულავერისა და იმირის გორაზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი დასახლების ტიპები და საშენი მასალა თითქმის იდენტურია და ერთიან დასახლების ტიპს ქმნიან, სახლები ძირითადად ალიზით არის აშენებული. ყალიბდება მძლავრი კულტურა თავისი დასახლებებითა და მთელი რიგი დამახასიათებელი ნიშნებით.


ო. ჯაფარიძისა და ა. ჯავახიშვილის 1971 წელს დაბეჭდილ ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის 1968-1969 წლების ანგარიშში, სადაც იმირის გორის ზედა

ფენების მასალებია განხილული, ადრე სტრატეგრაფიულ თხრილში მოპოვებულ მასალაზე დაყრდნობით გამოთქვამენ ვარაუდს, რომ ქვემო ქართლის ძეგლებიდან უადრესად მიაჩნიათ შულავერის გორა; იმირის გორა ასახავს შულავერის გორის მომდევნო სტადიას ხოლო მათგან დანგრეული გორა იძლევა შულავერისა და იმირის გორების იდენტურ მასალას.⁴[Джапаридзе, Джавахишвили,1971;]

შულავერის გორასთან შედარებით, აქ ნაგებობები ბევრად მოწესრიგებულადაა განლაგებული და მათ შორის ფართობიც მეტია. საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები მორკალული კედლებით, უკავშირდება რომლის საფუძველზე ერთიანი კომპლექსია წარმოდგენილი.⁵[Джавахишвили,1973;]

შულავერის გორის მონაცემების შესწავლის შედეგად აშკარა ხდება, რომ ეს ნამოსახლარი ბევრად უფრო არქაულად გამოიყურება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამშენებლო დონეების შესწავლამ დაგვანახა, რომ მნიშვნელოვანი განსხვავება შეინიშნება არა მარტო ამ ძეგლსა და სხვა გორანამოსახლარებს შორის, არამედ თვით შულავერის გორის სხვადასხვა სამშენებლო ჰორიზონტებშიც.

თუმცა ამიერკავკასიაში გამოვლენილი ძეგლების ქრონოლოგიის შესახებ ერთიანი აზრი არ არსებობს. მკვლევართა ერთი ნაწილი მათ ერთ კულტურაში ერთიანებს, მეორე ნაწილი კი ცალკეული კულტურების გამოყოფას თვლის შესაძლებლად. მკვლევარების ერთი ნაწილის მიერ ყველა ძეგლი ენელითურადაა მიჩნეული, რასაც სხვები არ იზიარებენ. გარკვეული სხვადასხვაობა ჩანს ძეგლთა აბსოლუტურ დათარიღებაშიც.



ურ. 3. იმირის გორა. ძველი წელთაღრიცხვის IV ათასწლეული. აღმოსავლეთი სექტორის გენერალური გეგმა. ალ. ჯავახიშვილის მიხედვით.

მკვლევარების აზრით, ენეოლითის ეპოქის კულტურები მრავალ ნეოლითურ ნიშანს შეიცავს, ხასიათით ნეოლითურია, ამიტომ ძნელია განისაზღვროს გვიანნეოლითურია თუ ენეოლითური ესა თუ ის ძეგლი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აღმოსავლეთ საქართველოში გამოვლენილი შულავერის კულტურა თავისი ხასიათით უფრო ნეოლითურია, ვიდრე ენეოლითური.

კილურაძის აზრით, ამ კულტურის ადრეული საფეხურები მაინც ნეოლითურია, ვიდრე ენეოლითური; ზემოაღნიშნულზე მიგვანიშნებს ის, რომ შულავერ-შომუთეფეს კულტურის მასალებს „მთელი რიგი პარალელები ეძებნება წინა აზიის ადრეკერამიკულ, ზოგ შემთხვევაში კი უკერამიკო ნეოლითის კომპლექსებში“. ამ კულტურის ადრეული საფეხურის ძეგლები (შულავერისა და იმირის გორის ქვედა ფენებში დადასტურებული კერამიკის მცირე რაოდენობა და პრიმიტიული ფორმები;) ნეოლითურობაზე მიგვანიშნებს. იერთი ოდიშისა და ანასეული II თიხის ნაწარმზე უფრო არქაული ჩანს.

ამ კულტურის ნეოლითურობის ხასიათის შესახებ აზრი გამოთქმული აქვს ოთ. ჯაფარიძეს და ალ. ჯავახიშვილს, შ. დედაბრიშვილს და სხვებს. თ. კილურაძის მიხედვით შულავერ-შომუთეფეს კულტურის პირველი სამი საფეხური, ნეოლითის განვითარებულ პერიოდს უნდა ასახავდეს; მომდევნო ორი საფეხური კი – ადრენეოლითს; მკვლევარის ვარაუდით შედარებით მოგვიანო წოფი-სიონის ტიპის ძეგლებმა კი განვითარებული ენეოლითის ადგილი უნდა დაიკავოს. მისი აზრით შულავერ-შომუთეფეს კულტურის განვითარების ბოლო საფეხურზე ზემოაღნიშნული ეს ორი კულტურა სავარაუდოდ თანაარსებობდა კიდეც.

შულავერ-შომუთეფეს კულტურის კომპლექსები მიუხედავად იმისა, რომ წინა და მცირე აზიის სინქრონული ძეგლების გარკვეულ ზეგავლენას განიცდიდა დამოუკიდებელ, ადგილობრივ ჩამოყალიბებულ კულტურას წარმოადგენდა. ამაზე მიგვანიშნებს ენდემური მარცვლეული კულტურების ფართო გავრცელება (ფეტვი, ღომი, კულტურული ვაზი); დასახლებებში წრიული არქიტექტურა, მოხატული კერამიკის გაუვრცელებლობა და სხვა.

ჩვენი აზრით, ეს კულტურა ხასიათით მთლიანობაში ნეოლითური ტრადიციების მატარებელია, ამიტომ არის საქართველოს ნეოლით-ენეოლითის დასახასიათებლად ტერმინი ე.წ. „ადრესამიწათმოქმედო კულტურა“ შემოთავაზებული. ⁶[სადრამე, ხოხობაშვილი, ძნელაძე, ლილვაშვილი, 2022;]

ადრესამიწათმოქმედო კულტურის რიგ საკითხებთან დაკავშირებით საყურადღებო, მაგრამ საკამათო აზრი გამოთქვა ვ. როსტუნოვმა. მისი შეხედულებით, აღმოსავლეთ საქართველოს ბარში ამ პერიოდის დასაწყისში ხელსაყრელი პირობები ყოფილა დამჯდარი მიწათმოქმედებისა და მეურნეობის განვითარებისათვის. შესაბამისად ყალიბდება შულავერ-შომუთეფეს კულტურა, რომლის დასასრული ემთხვევა აცივებასა და კლიმატის სიმშრალეს. ამიტომ ძველი წელთაღრიცხვის V ათასწლეულის დასასრულიდან აღნიშნული კულტურის მატარებელი მოსახლეობის ადგილას იკავებს წოფი-გინჩის წრის ერთობის შემქმნელი მიწათმოქმედების მიმდევარი მოსახლეობა, რომელიც ასევე ითვისებს მთიანი ზოლის ნოყიერ ჭალისპირა ტერასებს.

ო. ჯაფარიძე, როდესაც განიხილავს აღმოსავლეთ საქართველოში ადრესამიწათმოქმედო კულტურათა არეალს, აღნიშნავს, რომ სიონის კულტურის გავრცელების უკიდურესი მხარე აღმოსავლეთით, როგორც ჩანს, ქვემო ქართლი იყო, სადაც იგი ერთხანს შულავერ-შომუთეფეს კულტურასთან თანაარსებობდა.⁷[ჯაფარიძე, 1992;]

აღსანიშნავია, რომ ადრესამიწათმოქმედო კულტურის განვითარების თვალსაზრისით, რამდენიმე განსხვავებული ვითარებაა საქართველოში, სადაც დაფიქსირებულია სამი „კულტურის“ არსებობა და გარკვეულ ეტაპზე თანაარსებობაც. შულავერ-შომუთეფესა და სიონი-წოფის წრის ძეგლებს განვითარების შედარებით გრელი გზა აქვთ განვლილი, ხოლო ფინალურ ეტაპზე მათთან მცირე ხნით თანაარსებობს ბერიკლდეები-ლეილათეფეს კულტურა ან ამ კულტურის წინამორბედი კომპლექსთა ერთობა.

სამეცნიერო ლიტერატურაში არქეოლოგიურ არტეფაქტებზე მეცნიერული დაკვირვების შედეგად, მიღებულია შულავერ-შომუთეფეს კულტურის ფუნქციონირების ზოგადი ქრონოლოგიური ჩარჩო, რომელიც მიაწინებს ამ კულტურის არსებობის პერიოდს ძველი წელთაღრიცხვით VI ათასწლეულის მეორე ნახევარსა და IV ათასწლეულის პირველი ნახევარს. აღმოჩენილი იარაღებიდან აღსანიშნავია შომუ-თეფეს ტიპის ნამგლის ჩასართი, რომელიც დადასტურებულია ალაზნის ველზეც. წოფის მასალების ქვის ინვენტარი ჰგავს შულავერ-შომუთეფეს კულტურისას და შესაბამისად უნდა განვიხილოთ ამ კულტურის ფარგლებში, რაც შეეხება შულავერ-შომუთეფეს ტიპის ნამგლის ჩასართს, ის სიონის ნასახლარზეც გვხვდება, რაც აღნიშნული აქვთ ძეგლის მკვლევარებს.⁸[მენაბდე, კილურაძე, 1981;]

რამ გამოიწვია შულავერის კულტურის ძეგლებზე ცხოვრების დაახლოებით ერთდროულად შეწყვეტა, ძნელი ასახსნელია. სამოსახლო ბორცვზე არ დადასტურებულა ბუნებრივი კატასტროფის, მომხდურის შემოსევის ან სხვა ნიშნების არსებობა, რასაც შეიძლება მოსახლეობის მიერ სოფლის მიტოვება გამოეწვია.

დასკვნა

დასასრულს უნდა აღვნიშნოთ, რომ არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად აღმოჩენილმა არტეფაქტებმა ცხადყო, რომ შულავერის კულტურა განვითარების მხრივ სხვა ნეოლითურ კულტურებს წინ უსწრებს. ამას ადასტურებს იმირისა და შულავერის გორაზე დიდი რაოდენობით აღმოჩენილი ცხოველების ძვლები და სხვადასხვა მასალისგან დამზადებული სამუშაო და საბრძოლო იარაღები. მიუხედავად იმისა, რომ ნეოლითის კულტურამ სულ ცოტა 3 ათასი წელი იარსება, ნეოლითურმა საზოგადოებამ შექმნა მეტად მნიშვნელოვანი და საკაცობრიო და კულტურის საგანძურში ბევრად უფრო მეტი და ფასეული შეიტანა, ვიდრე წინამორბედმა საზოგადოებებმა ერთად.

ნეოლითური ნამოსახლარების არქეოლოგიური მასალების მიხედვით, საქართველოს ტერიტორია შედიოდა აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის ნეოლითური კულტურის ზონაში, რომელიც წარმოადგენს წინააზიური ახალი ქვის ხანის ცივილიზაციის ნაწილს.

ლიტერატურა:

1. კილურაძე, თ. (2011). აღმოსავლეთ საქართველოს ნეოლითური და ენეოლითური კულტურები: საქართველოს ეროვნული მუზეუმი.
2. ჯაფარიძე, ო. ჯავახიშვილი, ა. (1965-1966). ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები.
3. ბერიძე, ვ. (1974). ძველი ქართული ხუროთმოძღვრება, თბილისი: "ხელოვნება".
4. Джапаридзе, О. Джавахишвили, А. (1971). Результаты работ Квемо-Картлийской археологической экспедиции (1968-1969гг.), სსმე, II, თბილისი.
5. Джавахишвили, А. (1973). Строительное дело и архитектура поселений Южного Кавказа V-III тыс. до н. Э., Тбилиси.
6. სადრაძე, ვ. ხოხოზაშვილი, თ. ძნელაძე, მ. ლიღვაშვილი, ე. (2022). არქეოლოგიის საფუძვლები. თბილისი.
7. ჯაფარიძე, ო. (1992). საქართველოს არქეოლოგია, ტ. II, ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანა, თბილისი: მეცნიერება
8. მენაბდე, მ. კილურაძე, თ. (1981). სიონის არქეოლოგიური ძეგლები, თბილისი

Shulaveri Neolithic Culture in Eastern Georgia

Khipshidze Shorena

Georgian Technical University, Tbilisi

Abstract

The research is about society's development in the Neolithic Age, which is called "Neolithic Revolution" in archeology, it consists of VI-IV centuries B.C.. We paid special attention to the pre-farming monuments, Shulaveri and Imiri hills complexes in the Eastern Transcaucasia, known for the Shulaveri culture. We studied the features of the aforementioned culture and its significance in society's development. We discussed the opinions based on which this culture depicts society's Neolithic-Eneolithic ages.

The establishment of the powerful pre-farming culture in Eastern Georgia, with its titles and range of characteristics, resulted in the controversies in scientists' opinions. Shulaveri and Imiri hills, with layers and artefacts, have commonalities with Armenian and Azerbaijanian cultures.

Several scientists' concepts are discussed regarding the peculiarities of the Neolithic culture in the research, in terms of development we saw how different the situation is in Georgia, where the coexistence of pre-farming culture and three different cultures, also at certain levels, is

identified. From those, Shulaver-Shomutepe and Sioni-Tsopi circle monuments have taken longer for development, while in the final level, how it is assumed, coexists Berikldeebi-Leilatepe culture.

Primarily we paid special attention to this era's society, including women's cult. Shulaveri hill and other settlements signify that women held the leading position. The prioritisation of women's role was encouraged by the transition to farming production (farming, cattle breeding and pottery).

Today Shulaveri-Shomupete culture is not completely studied and it is to be considered that discovering and studying new artefacts will confirm its dating and significantly change scientists' views.

The most important Stone-coppers and Bronze Ages developed as the result of the Neolithic society.

Key words: pre-farming culture, Shulaveri hill, Imiri hill, Eastern Transcaucasia, farming, Neolithic culture.

საერთაშორისო მობილობის მონაწილე პერსონალის თვისებრივი კვლევა თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში

გიგილაშვილი ნინო
თათულიშვილი სალომე
ყურაშვილი ნინო

იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი

DOI: <https://doi.org/10.52340/idw.2023.90>

აბსტრაქტი. უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფისათვის და მის გასაუმჯობესებლად საჭიროა მჭიდრო კავშირი ეროვნული ხარისხის უზრუნველყოფის სისტემებს შორის. სტუდენტების, პერსონალისა და კურსდამთავრებულების თავისუფალი გადაადგილება უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის მნიშვნელოვანი განზომილებაა. ჩვენს სტატიაში თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალზე ვისაუბრებთ, რომლებმაც საერთაშორისო მობილობის ფარგლებში სხვადასხვა ქვეყანაში იმყოფებოდნენ. გამომდინარე იქიდან, რომ თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში (სიმცირის გამო) მობილობით წასული პერსონალის რაოდენობა არც თუ ისე ბევრია, ვარჩიეთ ჩაგვეტარებინა კვლევა, სადაც გამოვიყენებდით თვისებრივ მეთოდებს, რათა მიგველო სიღრმისეული ინფორმაცია საზღვარგარეთ მობილობის თითქმის ყველა ასპექტზე და შესაბამისად გვემსჯელა მის გავლენაზე პირებისათვის ევროპული ხედვების ჩამოყალიბებაზე.

საკვანძო სიტყვები: უნივერსიტეტი, ინტერნაციონალიზაცია, მობილობა, განათლება, პერსონალი

მაღალი ხარისხის და ხელმისაწვდომი განათლება უდიდესი მნიშვნელობის მქონეა ევროპის დემოკრატიული საზოგადოებისათვის. ევროპული განათლების სისტემის საფუძველს ყოველთვის წარმოადგენდა მრავალფეროვნება და როგორც უკვე ავლნიშნეთ ხელმისაწვდომობა. უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფისათვის და მის გასაუმჯობესებლად საჭიროა მჭიდრო კავშირი ეროვნული ხარისხის უზრუნველყოფის სისტემებს შორის.

უმაღლესი განათლების ერთიანი სივრცე მართალია, ხელს უწყობს ამ სფეროში თანამშრომლობასა და ურთიერთობათა სრულყოფას, თუმცა ამასთანავე, სივრცეში სრულფასოვანი ინტეგრაციისათვის მოითხოვს სტუდენტთა, მასწავლებელთა, მეცნიერთა და ადმინისტრაციული პერსონალის ფიზიკურ მობილობას.

ევროპის ქვეყნების უმაღლეს განათლებაზე პასუხისმგებელი მინისტრების შეხვედრის კომუნიკეზე, 2001 წლის 19 მაისს პრაღაში, მინისტრებმა დაადასტურეს მობილობის უდიდესი სოციალური მნიშვნელობა და აღნიშნეს, რომ გადალახავენ ყველა იმ წინააღმდეგობას, რაც ხელს უშლის სტუდენტების, მასწავლებლების, მეცნიერებისა და ადმინისტრაციული პერსონალის თავისუფალ გადაადგილებას.

სტუდენტების, პერსონალისა და კურსდამთავრებულების თავისუფალი გადაადგილება უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის მნიშვნელოვანი განზომილებაა. საერთაშორისო მობილობა ინტერნაციონალიზაციის ერთ ერთი ცენტრალური კომპონენტია. მობილობით მოსარგებლე პირებს შესაძლებლობა ეძლევათ შეიძინონ ის მნიშვნელოვანი კომპეტენციები, რომლებიც აუცილებელია თანამედროვე სამუშაო ბაზარზე თავის დამკვიდრების, პროფესიული განვითარებისა და კონკურენტუნარიანობისათვის.

ჩვენს სტატიაში თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალზე ვისაუბრებთ, რომლებმაც საერთაშორისო მობილობის ფარგლებში სხვადასხვა ქვეყანაში იმყოფებოდნენ. საინტერესოა და დიდი მნიშვნელობა აქვს საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში მობილობის ეფექტების კვლევას სტუდენტ-ლექტორთა ევროპული ხედვების ჩამოყალიბებაზე.

გამომდინარე იქიდან, რომ თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში (სიმცირის გამო) მობილობით წასული პერსონალის რაოდენობა არც თუ ისე ბევრია, ვარჩიეთ ჩაგვეტარებინა კვლევა, სადაც გამოვიყენებდით თვისებრივ მეთოდებს, რათა მიგველო სიღრმისეული ინფორმაცია საზღვარგარეთ მობილობის თითქმის ყველა ასპექტზე და შესაბამისად გვემსჯელა მის გავლენაზე პირებისათვის ევროპული ხედვების ჩამოყალიბებაზე.

აქვე აღვნიშნავთ, რომ თვისებრივი მეთოდების საშუალებით მოპოვებული მონაცემები სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ ექვემდებარება რაოდენობრივ ანალიზს; მათ აკლია მათემატიკური სიზუსტე და პროცენტულად ვერ ვიღებთ ინფორმაციას, თუმცა ამ მეთოდის გამოყენებით მოგვეცა საშუალება - აგვეხსნა ადამიანების ქცევის ისეთი ნიუანსები, რომელიც აუცილებლად შეუმჩნეველი დარჩებოდა რაოდენობრივი მეთოდების გამოყენებისას. მივიღეთ უფრო ღრმა ინფორმაცია ჩვენი რესპოდენტების შესახებ და რაც მთავარია საკვლევ საკითხთან დაკავშირებით. მათ მივეცით იმის შესაძლებლობა რომ აეხსნათ საკუთარი პოზიცია ჩვენთვის საინტერესო საკითხის ირგვლივ და ემსჯელათ თუ რატომ ფიქრობენ ისე, როგორც ფიქრობენ.

გამომდინარე იქიდან, რომ თვისებრივ მეთოდებზე დამყარებული სავსე ეტაპი და ასევე აღნიშნული მეთოდით შეგროვებული ინფორმაცია გაცილებით მეტ დროს მოითხოვს სხვა მეთოდებთან შედარებით, კვლევა რომელზეც ამ სტატიაში ვსაუბრობთ, 3 თვის განმავლობაში მიმდინარეობდა და განხორციელდა სამ ეტაპად:

- ჩვენთვის საინტერესო რესპოდენტების შერჩევა;
- პირველადი ინფორმაციის შეგროვება „სიღრმისეული ინტერვიუს“ მეშვეობით;
- პირველადი ინფორმაციის შეგროვება „ფოკუს ჯგუფის“ მეთოდით
- მიღებული ინფორმაციის ანალიზი
- კვლევის ანგარიშის მომზადება და პუბლიკაცია.

კვლევაში მონაწილეობა მიიღო იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორების იმ კატეგორიამ რომლებიც 2006 წლიდან დღემდე მიიღო მონაწილეობა გაცვლით პროგრამებში, რომელიც ფარგლებშიც ისინი იმყოფებოდნენ ევროპის სხვადასხვა უნივერსიტეტებში სწავლებისა და/ან კვლევების წარმართვისათვის.

ცნობილია, რომ თვისებრივი მეთოდების გამოყენებისას მკვლევარი იმდენად ჩართულია სავსე ეტაპის განხორციელებისას, რომ ძალაუფლებურად ახდენს გავლენას რესპოდენტებზე, თუმცა მაქსიმალურად შევეცადეთ მოგვეხდინა ამ გავლენის მინიმუმაცია, გამომდინარე იქიდან რომ მისი სრულად გამორიცხვა შეუძლებელია.

კვლევა ჩატარდა შემდეგი მიზნების განხორციელებისათვის:

- შევისწავლოთ საერთაშორისო მობილობის მონაწილე თელავის უნივერსიტეტის პერსონალის გამოცდილება და მოსაზრებები ევროპული საგანმანათლებლო სივრცის შესახებ;
- დადგინოთ იქნეს საერთაშორისო მობილობის პოზიტიური პარამეტრები და მისი პირდაპირი კავშირი(გავლენა) პირების ევროპეიზაციაზე .

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კვლევის ჩასატარებლად გამოვიყენეთ თვისებრივი მეთოდები, კერძოდ კი მეთოდის ერთ-ერთი „სავიზიტო ბარათი“ სიღრმისეული ინტერვიუ.

ასეთი ინტერვიუ გულისხმობს რესპოდენტისაგან ღრმა ინფორმაციის მიღებას და ჩვენს მიზანსაც სწორედ მაქსიმალურად მრავალფეროვანი ინფორმაციის მიღება წარმოადგენდა რეალური დასკვნების გამოსატანად. კვლევის დაგეგმვის კვალდაკვალ, წინასწარ შევადგინეთ სადისკუსიო გეგმა, რომლის საშუალებითაც ხდებოდა ინტერვიუს კონტროლი ანუ, არ გამოვტოვეთ მნიშვნელოვანი საკითხები და შევეცადეთ მიგველო მაქსიმალური ინფორმაცია რესპოდენტისაგან.

უნდა აღვნიშნოს, რომ ინტერვიუების მიმდინარეობისას გამოიკვეთა ისეთი საკითხებიც

რომელიც აქტუალური იყო გამოკვლევისათვის, თუმცა წინასწარ არ მოხდა მისი გათვალისწინება მაშინ, როდესაც დაიგეგმა კვლევის განხორციელება. და ვინაიდან სადისკუსიო გეგმა არ მოითხოვს ზედმიწევნით დაცვას წინასწარი გაწერილი შეკითხვების შესამღებელი გახდა ინტერვიუს პროცესში წამოჭრილი ახალი თემების განვითარებაც.

ბუნებრივია, რომ ინტერვიუები ღია კითხვებზე დაყრდნობით წარიმართა და ასეთ კითხვებზე პასუხის გაცემისას რესპოდენტები მაქსიმალურად თავისუფლები იყვნენ საკუთარი აზრის გამოხატვისას.

ასევე აღნიშნული კვლევის ფარგლებში ჩავატარეთ ფოკუს ჯგუფიც, რომელიც ერთ ერთი ფართოდ გამოყენებადი მეთოდია ემპირიულ კვლევებში. აღნიშნული მეთოდის გამოყენებით თვალი მივადევნეთ რესპოდენტების აზრთა ჩამოყალიბების პროცესს, და ყველა რესპოდენტს მივეცით საკუთარი აზრის გამოხატვის საშუალება.

რესპოდენტებთან ვისაუბრეთ ისეთ საკითხებზე როგორცაა:

- პოზიტიური გამოცდილება, რაც შეიძინეს საზღვარგარეთ სწავლებისა და/ან კვლევის პერიოდში
- მიღებული გამოცდილების საკუთარ უნივერსიტეტში გაზიარება-გამოყენება
- მნიშვნელოვანი ასპექტების გამოყოფა მობილობის პერიოდიდან.

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ კვლევაში მონაწილე პერსონალი მაქსიმალურად გულახდილად საუბრობდა საკუთარ გამოცდილებაზე, საზღვარგარეთ მობილობის მნიშვნელოვან ასპექტებზე. ყველა რესპოდენტი მზად იყო საუბრისათვის. კვლევაში მონაწილე პერსონალს მიაჩნია, რომ საერთაშორისო მობილობა უნივერსიტეტისათვის სასარგებლოა მრავალმხრივი მიმართულებით.

მათ ჰქონდათ საშუალება გაცნობოდნენ მასპინძელ უნივერსიტეტში სწავლების მეთოდოლოგიას, ბიბლიოთეკებს, თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილ აუდიტორიებს, ლაბორატორიებს; „აქვთ სამაგალითო სწავლების სისტემა, თანამედროვე ტექნიკით (სმარტ დაფებითა და პროექტორებით) აღჭურვილი აუდიტორები, ფართო მასშტაბის პროექტები, მუდმივად მიმდინარეობს კვლევები, იმართება ნამუშევრების გამოფენა, სადაც გამოფენილია სტუდენტების ყველა პატარა წარმატება, ყველა სპეციალობას აქვს საკუთარი სამეცნიერო ჟურნალი და საკუთარი გამომცემლობა“.

კვლევაში მონაწილე ყველა რესპოდენტი თანხმდება იმ ფაქტზე, რომ ჰქონდათ ძალიან დიდი ხელშეწყობა ეკეთებინათ საკუთარი საქმე; დახვდნენ კოორდინატორები, რომლებიც ეხმარებოდნენ მიზნების განხორციელებაში. მათი მეშვეობით, ახერხებდნენ შეხვედროდნენ მათთვის საინტერესო ხალხს, „დამხვდა კულტურული საზოგადოება, მიჩვენებდნენ გზას, რომელი რგოლიდან რომელ რგოლზე უნდა გადავსულიყავი და მიმემართა ისეთი ხალხისათვის, ვინც ფლობდა გამოცდილებას, ცოდნას იმ საკითხზე, რომელიც ჩემი კვლევისათვის მნიშვნელოვანი იყო.“

ძალიან საინტერესოა ჩვენი რესპოდენტებისეული შეფასებები, იმ საზოგადოებაზე რომელშიც ისინი ტრიალებდნენ თვეების განმავლობაში. ამ შემთხვევაშიც მათი აზრი ერთმანეთს ემთხვევა და აფასებენ როგორც, კოლეგიალურ, საერთო საქმისათვის მებრძოლ, ჯანსაღ კონკურენციულ საზოგადოებას. ეხმარებოდნენ დაუზარებლად და გვერდში ედგნენ ყოველ ახალ ინიციატივასა და წამოწყებას. ხვდებოდნენ ყოველთვის პოზიტიურად , ღიმილით და ეს ყველაფერი პროექტში მონაწილეებს კულტურულ გარემოს უქმნიდათ საკუთარი საქმის საკეთებლად.

„არიან პროფესიონალები თუმცა თავმდაბლები. შეკითხვებისათვის არიან მზად და არ გაგრძნობინებენ იმას რომ რამე არ იცი“.

საგულისხმოა ის ფაქტია, რომ მიუხედავად იმისა, რომ მასპინძელ უნივერსიტეტებში ხვდებათ არაჩვეულებრივი სამუშაო გარემო, რესურსი, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ხელმისაწვდომი ბიბლიოთეკა და სხვა ისეთი საშუალებები რომლებიც კომფორტულ სამუშაო პირობებს ქმნის, რესპოდენტები ფიქრობენ, რომ საჭიროა ძალიან დიდი მონდომება და ძალისხმევა თავად აქედან წასული პერსონალის მხრიდან. ეს უნდა იყოს ორმხრივი პროცესი, მაქსიმალურად უნდა მოხდეს ყველანაირი სარგებლის მიღება აქედან ჩასული მკვლევარის

მხრიდან და რათა იქ მიღებული გამოცდილება საკუთარ უნივერსიტეტში გამოიყენოს.“ შენი ინიციატივაც თუ არ არის, შენი მზაობა , თუ არ ხარ ჩართული თავიდან ბოლომდე და ვერ ითავისებ რა დიდი შანსი, რესურსი მოგეცა რომ შექმნა რაიმე ღირებული, მაშინ მხოლოდ ის, რომ იქ წახვიდე, არაფერს ნიშნავს. ბევრი მიდის, თუმცა იქიდან რა გამოცდილებით ჩამოხვალ, რას ჩამოიტან, ეს უკვე სხვა საქმეა“.

„შევეცადე მიმეღო მაქსიმალურად ყველანირი სარგებელი, გავიარე ენის კურსები, ასევე თვისებრივი კვლევის კურსი, ვესწრებოდი ლექციებს, მოვახერხე ფეხი ამეწყო იმ აქტიური საზოგადოებისათვის, რომელშიც ვტრიალებდი და მალევე გავიარე ადაპტაციის პერიოდი.“

თითქმის ყველა გამოკითხული რესპოდენტი აღნიშნავს, რომ როდესაც დაბრუნდნენ საკუთარ უნივერსიტეტში, პრეზენტაციების გზით გააცნეს კოლეგებს იქ მიღებული გამოცდილება და საერთოდ აუხნეს მასპინძელი უნივერსიტეტში არსებული სწავლის მეთოდები, პროცესი, ფორმა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.

ბუნებრივია ვრცლად ვისაუბრეთ მასპინძელ უნივერსიტეტში მიღებული გამოცდილების შესახებ. ჩვენთვის საინტერესო იყო, რა გავლენას ახდენს მობილობა რესპოდენტის ევროპული მენტალობის ჩამოყალიბებაზე და რამდენად ხდება ამ ყველაფრის რეალიზება მშობლიურ უნივერსიტეტში.

„აქ რომ ჩამოვედი მივხვდი რომ მქონდა ძლიერი Background-ი. თამამად შემეძლო მეხელმძღვანელა დოქტორანტებისათვის , შემეძლო მეწერა უფრო მაღალი დონის სტატიები, პუბლიკაციები გამოსაქვეყნებლად. გავიზარდე როგორც პროფესიონალი; ჩამომიყალიბდა განსხვავებული ხედვები, რომელიც მიმართულია ერთიან ევროპული სივრცეში სრულფასოვანი ინტეგრაციისათვის და მომავალი თანამშრომლობის გაძლიერებისაკენ.“

აღსანიშნავია, რომ კვლევის მონაწილეები(მასპინძელ უნივერსიტეტებში) ესწრებოდნენ ლექციებსაც, აკვირდებოდნენ მეთოდოლოგიას, ლექტორსა და სტუდენტს შორის ურთიერთობებს, და უკვე დაბრუნებულები ცდილობენ საკუთარ სტუდენტებს იქ მიღებული გამოცდილება გაუზიარონ. თუმცა პრობლემა რაც კვლევის მონაწილეებმა დააფიქსირეს, ესაა აუდიტორია, ანუ სტუდენტების ნაკლები აქტიურობა ლექციების პერიოდში (რაც ძლიერი განმასხვავებელი ფაქტორია ევროპულ და ადგილობრივ სასწავლო პროცესებს შორის).

როგორც კვლევის მონაწილეებმა დაადასტურეს, ეს ყველაფერი ძალიან მოქმედებს ლექტორის მოტივაციაზე. „რომ შევადაროთ ჩვენი უნივერსიტეტის ლექტორები, მასპინძელი უნივერსიტეტის ლექტორებს, უნდა ითქვას რომ არანაკლები ცოდნის გამოცდილების და ასევე შრომისმოყვარეობით გამორჩეული ლექტორები გვყავს, თუმცა განხვავება აუდიტორიაშია. სტუდენტები არიან იქ მეტად აქტიურები, მხოლოდ ცოდნაზე ორიენტირებულები. ცდილობენ მიიღონ მაქსიმალურად მეტი ცოდნა, სვამენ კითხვებს, მსჯელობენ და მოდიან ლექციებზე მომზადებულები“.

გამოკითხულ ლექტორთა უმეტეს ნაწილი ესწრებოდა ლექციებს და მათი თქმით სურდათ საკუთარი სტუდენტებისთვისაც გაეზიარებინათ უახლესი სწავლების მეთოდები, დახარჯულიყვნენ ისე, როგორც მასპინძელი უნივერსიტეტის ლექტორები თუმცა ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს თავად სტუდენტების მიდგომას, და როცა ლექტორი ხედავს, რომ სტუდენტი არ აქტიურობს, ეს მოქმედებს ლექტორის მოტივაციაზე და გარკვეული სახის კომპლექსიც იჩენს თავს.

საინტერესო ინფორმაცია მოგვაწოდა ერთ-ერთმა რესპოდენტმა, როგორც თავად აღნიშნავს მობილობის პერიოდში, მასპინძელ უნივერსიტეტში იმდენად დაინტერესდნენ მისი საკვლევი საკითხით, რომ მის შესახებ დაიწერა სტატია და გამოქვეყნდა.

საუბრის ბოლოს კვლევის მონაწილეებს ვთხოვეთ, შეეფასებინათ საერთაშორისო მობილობის პერიოდი. „ესაა გზა და ფანჯარა, ეზიარო ევროპულ განათლებას, მიეჩვიო პროფესიულ და ცხორებისეულ დამოუკიდებლობას, გაიზარდო პროფესიულად, კულტურულად, გაიფართოვო თვალსაწიერი.“

მათივე თქმით, კარგი იქნება, რაც შეიძლება მეტმა განათლების სისტემაში ჩართულმა ადამიანმა მიიღოს მონაწილეობა სხვადასხვა მიზნობრივ ჯგუფში, რომ გაეცნოს თანამედროვე ევროპულ განათლების სისტემას, აიმაღლოს პროფესიული კომპეტენციები და შემდეგ

მობილობით მიღებული გამოცდილება საკუთარ უნივერსიტეტში გამოიყენოს.

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი კვლევის მონაწილე პერსონალი ნათლად აცნობიერებს ინტერნაციონალიზმის მნიშვნელობას, როდესაც საუბრობს მობილობის სარგებელზე. მათთვის ამ პროგრამაში მონაწილეობა წარმოადგენდა სწავლების თანამედროვე მეთოდებთან ზიარების, აკადემიური კონტაქტების გაფართოების საუკეთესო საშუალებას და რაც მთავარია, ჯანსაღი, თანამედროვე ევროპული ხედვების ჩამოყალიბების საუკეთესო საშუალებას.

ლიტერატურა:

1. ზურაბიშვილი, თ. (2006) თვისებრივი მეთოდები სოციალურ კვლევაში. თბილისი.
2. კოჭენი, ლ., მანიონი, ლ, მორისონი, კ. (2007) კვლევის მეთოდები განათლებაში. ლონდონი, ნიუ-იორკი.

**Qualitative Survey of International Mobility Participant Staff
at Telavi State University**

**Gigilashvili Nino
Tatulishvili Salome
Kurashvili Nino**

Iakob Gogebashvili Telavi State University, Telavi

Abstract

For ensuring the highest quality assurance of higher education close connection between national quality assurance systems is needed. Free movement of students, staff, and graduates is an important dimension of the European area of higher education. In our article, we will talk about the staff of Telavi State University, who were in different countries within the framework of international mobility. Considering the fact that the amount of the University staff who took part in International Exchange Programs (due to university size) is not very large, we decided to conduct a survey where we would use qualitative methods to obtain in-depth information on almost all aspects of the mobility in abroad and conformably to discuss its impact on the formation of European visions for individuals.

Key words: University, internationalization, mobility, education, staff

სამეცნიერო სტილის ტექსტების შექმნის სწავლების მეთოდები მაგისტრატურის სტუდენტებისთვის

დგებუაძე მარინე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი

DOI: <https://doi.org/10.52340/idw.2023.91>

აბსტრაქტი. აკადემიური წერა არის სავალდებულო საგანი სწავლების სამაგისტრო საფეხურზე. ამ საგნის ათვისების შედეგად სტუდენტს უნდა განუვითარდეს ანალიტიკური და სამეცნიერო ტექსტების შექმნის უნარ-ჩვევები. შესაბამისად აკადემიური წერის სწავლება სამეცნიერო საზოგადოების წესების გაცნობასაც გულისხმობს. აღნიშნული უნარის განვითარება ეტაპობრივად მიმდინარეობს: როგორც ტექსტების შექმნით და სხვადასხვა მკითხველთან განხილვით, ასევე უკუკავშირის გაცემით და მიღებით.

სამეცნიერო ტიპის ტექსტების შექმნის პროცესი მოიცავს უკვე ჩატარებული კვლევების მიმოხილვას. შესაბამისი სტატიების ძიებისას სტუდენტებმა უნდა გამოიყენონ სამეცნიერო ნაშრომების მოძიების მეთოდები და შეძლონ წყაროებში არსებული ინფორმაციის კრიტიკულად შეფასება.

სამაგისტრო საფეხურზე აკადემიური წერის სწავლების მიზანია, ხარისხის დასაცავად წარმოდგენილი კვლევითი ნაშრომების მაღალი ხარისხის მიღწევა და შენარჩუნება.

პროგრამების მთავარი ამოცანაა ასევე სტუდენტებში კვლევის უნარების განვითარება, მათთვის საჭირო ინფორმაციის მოძიების სწავლება, როგორცაა: საკვლევ თემაზე თანამედროვე ლიტერატურის მოძიება; ბიბლიოთეკების სამეცნიერო ბაზებში საგანთან დაკავშირებული კვლევების და სტატიების მოძიება; მოძიებული კვლევითი ლიტერატურის ცნობებიდან ინფორმაციის საინტერესო წყაროების შერჩევა.

ინფორმაციის მოძიების, დახარისხების, კრიტიკულად შეფასების გარდა, მნიშვნელოვანი არის სტუდენტმა შეძლოს აღნიშნული ინფორმაციის გამოყენება საკუთარ ნაშრომში, პლაგიატის ნორმების, ციტირების წესების, რეფერირების და ბიბლიოგრაფიის შედგენის სტანდარტების გათვალისწინებით.

არანაკლებ მნიშვნელოვანია სტუდენტი იცნობდეს იმ სტილს, რომელშიც ნდა შესრულდეს ნაშრომი.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა გამოიყენა სწავლების ორი მეთოდი მაგისტრანტებისთვის: პროექტის მეთოდი და „რეცენზირების“ (peerreview) შეფასების მეთოდი.

შემოთავაზებული სტატია დეტალურად აღწერს კვლევის შედეგებს, რომელიც ადარებს სწავლების ორ მეთოდს, მათ ეფექტურობასა და უპირატესობას, ასევე ადარებს ხარისხის დასაცავად წარდგენილი წერილობითი ნაშრომების ხარისხს, ორივე მეთოდის გამოყენებით სწავლების ფაზის შემდეგ.

საკვანძო სიტყვები: ინოვაცია, აკადემიური წერა, სამაგისტრო ნაშრომი, სამეცნიერო სტილი, კვლევითი პროექტები.

შესავალი

თანამედროვე უმაღლესი განათლება წარმოუდგენელია კვლევითი საქმიანობის გარეშე, რომლის შედეგადაც სტუდენტმა უნდა შეძლოს აკადემიურ სივრცეში ადგილის დამკვიდრება.

სამეცნიერო კომუნიკაციაში წერილობითი მეტყველება, რომლის ძირითადი ერთეული ტექსტია, რჩება კომუნიკაციის ძირითად ფორმად. სამეცნიერო ტექსტი განიხილება კომპლექსურ ინტეგრაციულ ობიექტად, რომელიც არის არა მხოლოდ კონკრეტული საგნობრივი სფეროს სპეციალური სამეცნიერო ნაშრომი, არამედ სამეცნიერო საზოგადოების წარმომადგენლების კულტურის ნაწილიც (*Bailey, St., 2015, 79*). სამეცნიერო ტექსტის კონსტრუქციის თავისებურებების განსაზღვრა, მისი სტრუქტურის მოდელირება, სამეცნიერო კომუნიკაციის ეროვნული და კულტურული სპეციფიკის იდენტიფიცირება და სტაბილური კულტურული სტერეოტიპების დაძლევა თანამედროვე განათლების მნიშვნელოვანი ამოცანაა.

თითქმის ყველა შესწავლილი დისციპლინის ფარგლებში სტუდენტები ასრულებენ დავალებებს, რომლებიც მოითხოვს სხვადასხვა სახის ინფორმაციის მოძიებისა და შეფასების უნარს; წაკითხულის გაანალიზებას და კრიტიკულად გააზრებას; ძირითადი იდეების მონიშვნას და დავალების ტექსტის კორექტირებას. უნარებისა და შესაძლებლობების ერთობლიობა, რომელიც ყალიბდება ამ ამოცანების შესრულების პროცესში, ხაზს უსვამს წიგნიერების განსაკუთრებულ ტიპს, რომელიც განათლების თანამედროვე პარადიგმაში განისაზღვრება, როგორც „აკადემიური წიგნიერება“, რომლის ძირითადი კომპონენტია „აკადემიური წერა“.

სამაგისტრო თუ სადოქტორო სამუშაოების ხარისხის ამაღლების აუცილებლობა, მაღალი რანგის ჟურნალებში წარდგენილი სამეცნიერო პუბლიკაციები მოითხოვს ახალი ეფექტური პედაგოგიური ტექნოლოგიების ძიებას.

უმეტეს ცნობილ უნივერსიტეტებში „აკადემიური წერა“, როგორც კარგად განვითარებული სამეცნიერო და მეთოდოლოგიური ბაზის მქონე აკადემიური დისციპლინა, არსებობს 1960-70 წლიდან და ცენტრალურ ადგილს იკავებს სხვა დისციპლინების კომპლექსში, რომელიც მიმართულია აკადემიური უნარებისა და შესაძლებლობების განვითარებაზე. ბოლო ათწლეულების განმავლობაში, წერილობითი კომუნიკაციების სწავლების საკითხებმა მკვლევართა დიდი ყურადღება მიიპყრო. კოფინის, ტომპსონ გრ. (*Coffin et al., Thompson Gr.*) და მრავალი სხვა მეცნიერის ნაშრომებში განიხილება სამეცნიერო კომუნიკაციისა და სამეცნიერო მეტყველების კულტურის განვითარების საკითხები; მკვლევარების ნაშრომებში გაანალიზებულია უცხოური გამოცდილება და მისი თანამედროვე უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროცესში გამოყენების შესაძლებლობა; განხილულია აკადემიური წერის კურსის სწავლების სხვადასხვა კონცეფცია.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში, ისევე როგორც ბევრ თანამედროვე უნივერსიტეტში, აქტიურად მუშაობს აკადემიური წერის ცენტრი; ონლაინ საგანმანათლებლო პლატფორმებზე იქმნება სპეციალური კურსები, ეწყობა ვებინარები, რაც ეხმარება სტუდენტებს და მკვლევრებს.

„აკადემიური წერის“ შესწავლა მოიცავს არა მხოლოდ სამეცნიერო ტექსტის წერისა და აგების მეთოდებს, არამედ სამეცნიერო ლიტერატურის ძიებას, მისი გამოყენების მეთოდებს, ციტირების მეთოდებს და სამეცნიერო ბიბლიოთეკის სამეცნიერო ბაზებით სარგებლობას. კურსი მოიცავს მთელ რიგ დეტალებს, რომლებიც ახალგაზრდა მკვლევარებმა უნდა გაითვალისწინონ და მოიცავს ორ კომპონენტს: აკადემიური წერის ტექნიკის ათვისებას და კონკრეტულ თემაზე კვლევის ჩატარების უნარებს.

აკადემიური წერის კურსის ფარგლებში სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მოდელი მოიცავს სახელმძღვანელოს, საცნობარო სალექციო მასალებს და ვიდეო-გაკვეთილებს. ეს რესურსები საშუალებას აძლევს სტუდენტებს დამოუკიდებლად გაეცნონ თეორიულ მასალებს და დაუთმონ ლექციები და სემინარები სხვადასხვა კითხვებისა და პრობლემური საკითხების განხილვას, სტუდენტებში წერის პრაქტიკული უნარების განვითარებას, კრიტიკული წერის და ანალიტიკური აზროვნების უნარების ჩამოყალიბებას.

ერთობლივად ნაშრომის მიმოხილვა, როგორც სასწავლო მიდგომა, ასევე ეფექტურია, რადგან ის აწვდის უკუკავშირის გაცემის და თანამშრომლობის უნარებს. ბევრ აკადემიურ საზოგადოებაში ტექსტები იწერება თანაავტორობით, ხოლო სამეცნიერო პუბლიკაციები

გადიან რეცენზიის პროცესს, რომლის დროსაც დარგის ექსპერტები კითხულობენ და კომენტარს აკეთებენ ხელნაწერებზე.

აკადემიური წერა მოითხოვს ადრე ჩატარებული კვლევის მიმოხილვას. არსებული კვლევების საფუძველზე არსებული სტატიების ძიებისას სტუდენტებმა უნდა გააცნობიერონ სამეცნიერო ნაშრომების მოძიების მეთოდები და შეძლონ ინფორმაციის წყაროების კრიტიკულად შეფასება. კვლევის საგანი და დისციპლინა განსაზღვრავს, თუ რომელი წყაროები უნდა გამოიყენონ სტუდენტებმა თავიანთ კვლევით ნაშრომში.

უმთავრესი ამოცანაა ასევე სტუდენტებისთვის კვლევითი უნარ-ჩვევების გამომუშავება, ინფორმაციის სფეროში მოძიების სწავლება, მაგალითად:

- ა) საკვლევ თემაზე ახალი ლიტერატურის მოძიება, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის მონახულება და კატალოგში საინტერესო თემის მოძიება;
- ბ) უნივერსიტეტის ბიბლიოთეკების სამეცნიერო ბაზებში საგანთან დაკავშირებული ინფორმაციის მოძიება;
- გ) სამეცნიერო ბაზებში მოძიებული კვლევითი ლიტერატურის ცნობებიდან ინფორმაციის საინტერესო წყაროების შერჩევა;
- დ) კონკრეტულ პროგრამაში მიღებული ციტირების სტილის გაცნობა.

სხვადასხვა მიმართულებას შეიძლება ჰქონდეს საკუთარი ციტირების წესი ან სტანდარტი, რომელსაც სტუდენტებს აცნობებენ პროგრამის ხელმძღვანელები ან ბიბლიოთეკის თანამშრომლები.

მეთოდები და შედეგები

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა გამოიყენა სწავლების ორი მეთოდი მაგისტრატურის სტუდენტებთან:

1) პროექტის მეთოდი - სემესტრის განმავლობაში სტუდენტი თანდათან ეცნობოდა სამეცნიერო ტექსტის თავების შექმნის სტანდარტსა და წესებს. წესების ათვისების პარალელურად სტუდენტები გაეცნენ აკადემიური წერის პრინციპებს, როგორცაა სამეცნიერო სტილის დაცვა, ლიტერატურის მიმოხილვა, ბიბლიოგრაფიის შექმნა, სამეცნიერო სტატიების ძიება, რაც თავისთავად გულისხმობდა სტუდენტების მჭიდრო თანამშრომლობას ბიბლიოთეკის თანამშრომლებთან. კონკრეტული თავების წერის პრინციპების დაუფლების შემდეგ, სტუდენტები ქმნიდნენ სიმულაციური სამუშაოს - დამოუკიდებლად წერენ და წარადგენენ სამაგისტრო ნაშრომის პრინციპებით აგებულ ტექსტს, რომლის თემასაც თავად ირჩევენ. ეს მეთოდი გულისხმობს უფრო მეტი დროის დათმობას, თეორიული მასალის განხილვაზე სემინარებზე და ლექციებზე.

2) „რეცენზირების“ მეთოდი - ბიბლიოთეკის თანამშრომლების დახმარებით მოპოვებულია შეთანხმება, არსებული ავტორების ნაშრომის გამოყენების სასწავლო მიზნებისთვის. აღნიშნული ავტორები არიან სტუდენტები, რომლებსაც უკვე აქვთ დაწერილი სამაგისტრო ნაშრომი წინა წელს. ავტორების თანხმობის მიღების შემდეგ მუშავდება სამაგისტრო ნაშრომის ძირითადი ტექსტი, თითოეულ თავში თვალსაჩინო შეცდომების შექმნის მიზნით. სემესტრის განმავლობაში სტუდენტები ეცნობიან სამეცნიერო ნაშრომის კონკრეტული თავის დაწერის პრინციპებს, მათი ამოცანაა გაეცნონ ბიბლიოთეკის მიერ შემოთავაზებულ ნაშრომს, აღმოაჩინონ შეცდომები და დაწერონ დეტალური მიმოხილვა - „რეცენზია“, რომელშიც აღწერილია შეცდომები და მათი გამოსწორების გზები. ეს მეთოდი მოიცავს უფრო მეტ მულტიმედიაურ მასალას, როგორცაა ვიდეო სემინარები ან სახელმძღვანელო ბიბლიოთეკიდან.

კვლევა განიხილავს ერთი ფაკულტეტის 200 მაგისტრატურის სტუდენტის აკადემიურ მოსწრებაზე დაკვირვებას. 100 სტუდენტი სწავლობდა აკადემიური წერის კურსს „პროექტის მეთოდით“, ხოლო დანარჩენი ასი სტუდენტი სწავლობდა ამ კურსს „რეცენზირების მეთოდით“. ნაშრომში შედარებულია შედეგები და შეფასებები კურსის კონკრეტულ კომპონენტებში.

სტუდენტთა ჯგუფმა, რომელიც მეორე მოდელით სწავლობდა კურსს, საშინაო დავალებებში შედარებით მაღალი ქულა მიიღო. სტუდენტების ამ ჯგუფს ასევე ნაკლები

პრობლემები და სირთულეები ჰქონდა საშინაო დავალების შესრულებისას, რადგან ლექტორმა უფრო მეტი სემინარის დრო დაუთმო პრაქტიკულ სამუშაოს, შეცდომების განხილვას თეორიული მასალის ახსნის ნაცვლად, როგორც ეს იყო სტუდენტების სხვა ჯგუფის შემთხვევაში, რომლებიც კურსს სწავლობდნენ „პროექტის მეთოდით“.

ქვემოთ მოყვანილი ცხრილები (ცხრილი 1 და ცხრილი 2) აჩვენებს სტუდენტთა შეფასების შედეგების გადანაწილებას სემესტრის განმავლობაში, პროცენტულად:

%	საშინაო დავალება	შუალდური გამოცდა	დასკვნით გამოცდა
91-100	8	16	14
81-90	12	18	16
71-80	52	26	32
61-70	8	13	11
51-60	6	9	7
Less Than 51	14	18	20

ცხრილი 1. „პროექტის მეთოდით“ სწავლის სტუდენტების ქულების განაწილება


%	საშინაო დავალება	შუალდური გამოცდა	დასკვნით გამოცდა
91-100	21	14	17
81-90	34	34	29
71-80	24	24	21
61-70	9	11	15
51-60	8	9	7
Less Than 51	4	6	11

ცხრილი 2. „რეცენზირების მეთოდით“ სწავლის სტუდენტების ქულების განაწილება


დასკვნითი გამოცდის შეფასების შედარებამ აჩვენა, რომ სტუდენტები, რომლებმაც გაიარეს კურსი „რეცენზირების მეთოდით“, მიიღეს საშუალო შეფასებაზე მაღალი ქულა ყველა კრიტერიუმით, მაშინ როცა სტუდენტების მხოლოდ 62%-მა, რომლებმაც გაიარეს კურსი „პროექტის მეთოდით“, აჩვენა შესრულება მინიმალურ კომპეტენციაზე მაღალი. .

გასათვალისწინებელია, რომ საშინაო დავალებების რაოდენობა, მოცულობა და სირთულე ორივე ჯგუფში ერთნაირი იყო, მხოლოდ მათი შესრულების მიდგომა იყო განსხვავებული. გამოცდის ტიპი არ განსხვავდებოდა.

დიაგრამებიდან (დიაგრამა.1 და დიაგრამა.2) ჩანს, რომ მეორე ჯგუფის მოსწავლეებს აქვთ უმაღლესი ქულები შუალედურ და დასკვნით გამოცდებში, რაც ნასწავლი მასალის ათვისების მაღალ ხარისხზე მიუთითებს, ვინაიდან გამოცდები იდენტურად ჩატარდა.



დიაგრამა 1. სტუდენტების შედეგების შედარება საშუალოზე მაღალი ქულების % ორივე მეთოდით



დიაგრამა 2. სტუდენტების შედეგების შედარება საშუალოზე დაბალი ქულების % ორივე მეთოდით

ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგი არის სამაგისტრო ნაშრომების ხარისხი, რომელიც დაწერილია სტუდენტების ამ კურსის დასრულების შემდეგ.

ჯგუფებში, სადაც მეორე მეთოდი იყო გამოყენებული, სტუდენტებს ნაკლები კითხვები და პრობლემები ჰქონდათ სამაგისტრო ნაშრომის წერისას. ამ ნაშრომების მიმოხილვით, ცალსახად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მათი ხარისხი სამეცნიერო და აკადემიური მაჩვენებლებით ბევრად აღემატება მათ პარალელურ ჯგუფების მიერ შექმნილი ნაშრომების მონაცემებს. საუბარია აგრეთვე მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში ტრანსფერზე, რაც განათლების უმნიშვნელოვანესი საკითხია.

შედეგები

შედეგად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ აღნიშნული ნაშრომი არ ცდილობს დაუპირისპიროს ერთმანეთს „პროექტის“ და „რეცენზირების“ სწავლების მეთოდები, არამედ ხაზს უსვამს „რეცენზირების მეთოდის“ უპირატესობებს და მის ეფექტურობას სტუდენტების შემოქმედებითი აზროვნების, ანალიტიკური და არგუმენტირებული უნარების განვითარებაში; საუბრის, დებატების, გუნდური მუშაობისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარების გაუმჯობესებაში, რადგან ემოციური კონტაქტი, რომლებიც წარმოიქმნება შეცდომების აღმოჩენის ერთობლივი ამოცანების ამოხსნის მეშვეობით, აიძულებს სტუდენტებს ჩაერთონ აკადემიური კომუნიკაციაში ერთმანეთთან.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ აკადემიური წერის სწავლება „რეცენზირების“ სწავლების მოდელის გამოყენებით ბევრად ეფექტური და პროდუქტიულია, როგორც სტუდენტებისთვის, ასევე ლექტორებისთვის, ვიდრე ტრადიციული მიდგომით სწავლება.

ლიტერატურა:

Bailey, St., (2015). *Academic Writing. A Handbook for International Students*. Fourth edition. – Routledge, 222 11.

Coffin, C., Curry, M.J., Goodman, Sh., Hewings, A., Lillis, Th., and Swann, J., (2003). *Teaching Academic Writing: A toolkit for higher education*, Routledge, 12. *Writing an Abstract. Writing Centre Learning Guide*. - The University of Adelaide – Writing Thesis Statements: <http://www.adelaide.edu.au/writingcentre/docs/learningguidewritinganabstract.pdf> (12.05.2023)

Coxhead, A., (2002) A new academic word list, *TESOL quarterly*, 34 (2). Pp.213-238. <https://www.tesol.org> (accessed: 02.04.2023).

Gardner, D., A New Academic Vocabulary List., *Applied Linguistics* 35(3), 2014 Pp.305-327. <https://www.researchgate.net/publication/277541863> (accessed: 12.02.2022). DOI: 10.1093/applin/amt015

Graham, S. (2022). *Teaching writing in the digital age*. Educational psychology section; D. Fisher (Ed.). Routledge encyclopedia of education (Online). Taylor & Francis.

Gugin, D., (2014). A paragraph-first approach to the teaching of academic writing. *English Teaching Forum*, 52(3), 24-29 (36).

Haryono, A., and Adam, C. (2021). *The Implementation of Mini-Research Project to Train Undergraduate*

Students' Scientific Writing and Communication Skills. *Journal of Biological Education Indonesia (Jurnal Pendidikan Biologi Indonesia)*, 7(2), 159-170.

Huawei, S., & Aryadoust, V. (2022). A systematic review of automated writing evaluation systems. *Education and Information Technologies*, 1-25.

Jensen, B., (2020) Equity in Teaching Academic Language—An Interdisciplinary Approach., Br., *Theory into Practice* 59(1):1-7, DOI: 10.1080/00405841.2019.1665417

Silveira, E. A., de Sousa Romeiro, A. M., & Noll, M. (2022). Guide for scientific writing: how to avoid common mistakes in a scientific article. *Journal of Human Growth and Development*, 32(3), 341-352.

Thompson, Gr. (2021). Academic language: is this really (functionally) necessary? *Gr. Thompson, Language and Education* 35(19):1-17, <https://www.researchgate.net/publication/350590912> (accessed: 12.04.2022). DOI: 10.1080/09500782.2021.1896537

Zarlis, M., Astuti, S., & Salamuddin, M. (2018). Analysis of Reading, Reference and Information Management on the Quality of Scientific Writing. *Aptisi Transactions on Management (ATM)*, 2(1), 63-69.

Teaching methods of creating scientific style texts for master students

Dgebuadze Marine

Ilia State University, Tbilisi

Abstract

Academic writing is an obligatory discipline of study in master's and doctoral studies. The assimilation of this subject should develop the student's skills to create analytical and scientific texts.

Therefore, studying academic writing is part of the study of rules of the scientific community. These rules are learned step by step, by writing texts and discussing them with different readers, giving and receiving feedback.

Academic writing requires a review of previously done research. When searching for existing articles based on existing research, students should understand the methods of finding scientific works and be able to critically evaluate sources of information. The subject of the study and discipline largely determine which sources students should use in their work.

The aim of teaching academic writing at the master's or doctoral level is to achieve a high quality of research papers submitted for the defense of the degree.

The main task of the programs is also the development of research skills in students, teaching them to search for the information they need, such as:

- a) Viewing new literature on the subject (limiting the search to novelties) or visiting the library and locating the theme of interest in the catalogue;
- b) Performing a search for information related to the subject in the databases of libraries;
- c) Selection of interesting sources of information from references in the research literature that were found in databases;
- d) Acquaintance with the style of citation adopted in a particular program.

The Ilia State University used two teaching methods for master and PHD Students: Project method and Peer review method.

The proposed article details the results of a study that compares the two teaching methods, their effectiveness and preference, as well as a comparison of the quality of written papers submitted for defense of the degree, after the training phase of both methods.

Keywords: Innovation, academic writing, master's thesis, scientific style, research projects.

პროექტზე დაფუძნებული სწავლება, მისი როლი და მნიშვნელობა

ვაყელიშვილი ნინო

იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი
სსიპ N5 საჯარო სკოლა, თელავი

DOI: <https://doi.org/10.52340/idw.2023.92>

აბსტრაქტი. განათლების სისტემა უდიდეს როლს ასრულებს თანამედროვე გლობალიზაციის ეპოქაში, ცივილიზებული საზოგადოების ფორმირებასა და განვითარების პროცესში. თანამედროვე განათლება, მაღალხარისხიანი სწავლა და სათანადო ცოდნის შეძენა სოციალური მოთხოვნაა. ამ მოთხოვნის დაკმაყოფილება ყოველ საფეხურზე სხვადასხვა სახის პროსგრესული მეთოდების გამოყენებით ხდება. თანამედროვე სწავლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, პროგრესული, აქტუალური მეთოდია პროექტზე დაფუძნებული სწავლება. გარკვეული ევოლუცია გაიარა აღნიშნულმა მეთოდმა წლების განმავლობაში, მაგრამ მისი ძირითადი არსი კვლავ უცვლელია: ამ მეთოდით სწავლების პროცესში ხდება მოსწავლეთა ინტერესების გაღვივება, კონცენტრირება და სტიმულირება კონკრეტულ პრობლემებთან და მის გადაწყვეტასთან მიმართებაში. მას საფუძვლად უდევს მოსწავლეთა შემეცნებითი უნარისა და თანამედროვე საინფორმაციო სივრცეში ორიენტირების მეშვეობით კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების დონის განვითარება.

თანამედროვე სასწავლო მეთოდის, პროექტით სწავლების მეთოდის უკეთ შესასწავლად და დასაწერად სასწავლო წლის განმავლობაში ჩატარდა კვლევა აღნიშნულ თემაზე. შესწავლილი იქნა შესაბამისი ლიტერატურა. საკანონმდებლო ბაზის და არსებული კვლევების გამოცდილების განხილვა. მოხდა დაკვირვება. ფოკუსჯგუფის შერჩევა, გამოკითხვა. დაკვირვების დროს მოგროვდა მონაცემები. არსებული მონაცემები, გამოკითხვის და დაკვირვების შედეგები დახარისხდა, დამუშავდა. მოხდა შედეგების გაანალიზება და ამის საფუძველზე ინტერვენცია. გამოიკვეთა პრიორიტეტები. კვლევის პროცესში აქტიური თანამშრომლობა იყო სკოლის პედაგოგებს შორის. მიმდინარეობდა განხილვა საგნობრივ კათედრებზე. იყო ნათელი, სპეციფიკური და ადვილად გასაგები გამოხმაურებები. საინტერესო დისკუსია წარიმართა პროექტით სწავლების მეთოდის ნაკლოვანებაზეც.

კვლევაზე მუშაობის პროცესმა და შედეგმა კიდე ერთხელ აჩვენა, რომ ასეთი მეთოდით სწავლების მთავარი მიზანია მოსწავლეთა შემოქმედებითი, ინტელექტუალური უნარის განვითარება, იმისთვის, რომ მათ ჰქონდეთ თვითრეალიზაციის, დამოუკიდებელი აზროვნების უნარი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მისაღებად.

როგორც ჩინური ანდაზა ამბობს: „მითხარი რამე და დამავიწყდება, მაჩვენე და მე შევძლებ გახსენებას, ჩამრთე და მე ყველაფერს გავიგებ.“

საკვანძო სიტყვები: პროექტებით სწავლება, თანამედროვე მეთოდი, კრიტიკული აზროვნება, კვლევა, ინფორმაცია, ძიება, უპირატესობა, სკოლა, მოსწავლე.

პროექტის მეთოდით სწავლება არის განათლებისადმი თანამედროვე მიდგომა, რომელიც მომდინარეობს ჯონ დიუის საგანმანათლებლო ფილოსოფიიდან და მთლიანად მოსწავლეზეა ორიენტირებული. მას დიდი წვლილი შეაქვს თანამედროვე სასწავლო თეორიასა და პრაქტიკაში.

პროექტის მეთოდით სწავლების ზოგიერთი განმარტება შეიძლება დაგვეხმაროს მის

უკეთ გაგებაში. მისი ინიციატორის პროფესორ უილიამ კილპატრიკის თქმით „პროექტის მეთოდი მიზანმიმართული აქტივობაა, რომელიც მიმდინარეობს სოციალურ გარემოში“.

სტივენსონის მიხედვით:

„პროექტი არის პრობლემური პროცესი, რომელიც დასრულებამდე მიდის ბუნებრივ გარემოში“.

სნედენის მიხედვით: „პროექტი არის საგანმანათლებლო სამუშაოს ერთეული, რომელიც ყველაზე თვალსაჩინო მახასიათებელია რაიმე სახის პოზიტიური და კონკრეტული მიღწევის“.

პროექტული სწავლების დროს მოსწავლეებს უვითარდებათ სხვადასხვა უნარები, როგორცაა:

- კრიტიკული აზროვნების;
- ინფორმაციის მოძიების უნარი თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით;
- კომუნიკაციის;
- პრობლემის გადაჭრის;
- გადაწყვეტილების მიღების;
- ძიების;
- შემოქმედებითობის და სხვ.

პროექტის მეთოდი არის პრობლემური აქტი, რომელიც ხორციელდება და სრულდება ბუნებრივ პირობებში. ის დიდ როლს თამაშობს მოსწავლის თავდაჯერებულობაზე, მის დამოუკიდებლობაზე. მოსწავლე იღებს პასუხისმგებლობას სამუშაოზე. შესრულების შინაარსი და ტექნიკა განიხილება მოსწავლის კუთხით. ასე რომ, ეს მეთოდი არის მთლიანად მოსწავლეზე ორიენტირებული, სადაც ის სწავლობს გამოცდილებით, როგორც სწავლა კეთებით.

დაკვირვებამ და ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა შემდეგი: აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული, რომ პროექტით სწავლების მეთოდის ეფექტიანობა და ხარისხი მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული თითოეული პედაგოგის ძალისხმევაზე და დაინტერესებაზე. კერძოდ, მასწავლებელმა პროექტით სწავლების მეთოდის გამოყენებისას უნდა უზრუნველყოს საგანმანათლებლო გარემოს შექმნა და მოსწავლეთა მოტივაცია; განსაზღვროს, კონკრეტულად რა უნდა ისწავლონ ბავშვებმა პროექტზე მუშაობის შედეგად. შემდგომ რთული მოვლენების ასახსნელად მარტივი მაგალითების გამოყენება. საკვლევი პრობლემების გააზრების მიზნით წარმოადგინოს სიტუაციის პრეზენტაციის შესაძლო მეთოდები. მოახდინოს სამუშაოს ორგანიზება ინდივიდუალურად და მცირე ჯგუფებში. მასწავლებელი უნდა ფლობდეს განხილვის ორგანიზების მეთოდებს, ახდენდეს დასკვნების არგუმენტირებას, ეწეოდეს კონსულტაციებს, გააჩნდეს ობიექტური შეფასების კრიტერიუმები. აქედან გამომდინარე შეიძლება ჩამოვყალიბოთ მასწავლებლის როლის რამდენიმე მუხლი, პროექტით სწავლების მეთოდის გამოყენების დროს: მასწავლებელი

- ეხმარება მოსწავლეებს ინფორმაციის ახალი წყაროს მოძიებაში;
- თვითონ არის ინფორმაციის წყარო;
- კოორდინაციას უწევს მთელ პროცესს;
- წახალისებს მოსწავლეებს;
- აძლევს უწყვეტ უკუკავშირის მთელი პროცესის განმავლობაში, პროექტის წარმატებით განხორციელებისთვის.

პროექტის მეთოდით სწავლების განსახორციელებლად აუცილებელია გავიაზროთ:

- მისი განხორციელების ნაბიჯები;
- უპირატესობები;
- პრინციპები;
- სახეები;
- ნაკლოვანებები.

პროექტით სწავლების მეთოდს აქვს რამდენიმე ნაბიჯი:

- პროექტის შერჩევა;
- სწორი დაგეგმვა;
- პროექტის განხორციელება;
- შეფასება;
- ჩაწერა.

პროექტის შერჩევა

პირველი ნაბიჯი არის საპროექტო სამუშაოს შერჩევა. მოსწავლეებს ეძლევათ რაიმე პრაქტიკული პრობლემა. რომელსაც აქვს პრაქტიკული საჭიროება. ამ პროცესში მასწავლებელი ადგენს მოსწავლეთა მოტივაციის გაღრმავებას.

დაგეგმვა

პროექტის მეთოდის შემდეგი ნაბიჯი არის სწორი დაგეგმვა. მოსწავლეებმა უნდა დაგეგმონ, მასწავლებელი ეხმარება მათ დაგეგმვაში. ის მიუთითებს ამ პროექტთან დაკავშირებულ პრობლემებზე. შეიძლება ჩატარდეს დისკუსია და მოსწავლეებმა გამოთქვან თავიანთი აზრი.

პროექტის განხორციელება

ამ საფეხურზე მოსწავლე ახორციელებს საპროექტო სამუშაოს მათი გეგმის მიხედვით. მოსწავლეები ანაწილებენ სხვადასხვა მოვალეობას ერთმანეთში ინდივიდუალური ინტერესებისა და შესაძლებლობების მიხედვით. თითოეულ მოსწავლეს შეაქვს წვლილი ამ პროექტის შესრულებასა და დასრულებაში. ისინი აგროვებენ მონაცემებს, ინფორმაციას და სხვ. მასწავლებელი კი ხელმძღვანელობს და მიაწვდის საჭირო ინფორმაციას და ეხმარება მათ სწორი მიმართულებით სვლაში.

შეფასება

ამ საფეხურზე მოსწავლეები განიხილავენ და შეაფასებენ განახორციელებს თუ არა პროექტი დაგეგმილის მიხედვით. რა შეცდომები დაუშვეს მათ ამ აქტივობების პროცესში. ამავე ნაბიჯზე ხდება ნამუშევრის შეფასება.

ჩაწერა

შეფასების შემდეგი ნაბიჯები არის გადაკოდირება. აქ უნდა ჩაიწეროს პროექტთან დაკავშირებული ყველა აქტივობა მოსწავლეების მიერ დაგეგმილი, მათი დისკუსია, მოვალეობები, საკუთარი ნამუშევრების კრიტიკა. რა თქმა უნდა მნიშვნელოვანი პუნქტები ამ პროექტთან დაკავშირებით.

პროექტის მეთოდის უპირატესობები:

1. პროექტის მეთოდი აქცენტი არის სწავლა კეთებით. მოსწავლეები თავად ერთვებიან აქტივობაში, რაც ხელს უწყობს მათი აზროვნების უნარის ამაღლებას.
2. პროექტის მეთოდით მასწავლებელი მუშაობს მეგზურად და მთელ აქტივობას თავად მოსწავლეები ახორციელებენ, რაც ზრდის მოსწავლეთა თვითდაჯერებულობას და პასუხისმგებლობას.
3. პროექტის მეთოდი ასევე ხელს უწყობს თვითსწავლის ჩვევის ჩამოყალიბებას.
4. ამ მეთოდით მოსწავლეები მუშაობენ თავიანთ ჯგუფთან ერთად, რაც სწავლას საინტერესოსა და მნიშვნელოვანს ხდის.
5. ეს მეთოდი თანამშრომლობითი დამოკიდებულების და სხვა სოციალური თვისებების განვითარებას უწყობს ხელს.
6. ის ავითარებს კომუნიკაციის უნარებს, რადგან მოსწავლეებს ეძლევათ შესაძლებლობა გამოხატონ საკუთარი თავი სრულად და თავისუფლად.
7. ავითარებს მოსწავლის კრიტიკული აზროვნების უნარს.

პროექტის მეთოდის პრინციპები:

განსაზღვრული მიზნის პრინციპი

პროექტის მიზანი უნდა იყოს დაფიქსირებული და გასაგები.

თავისუფლების პრინციპი

აქტივობის სურვილი სპონტანური უნდა იყოს. მოსწავლეები თავისუფალი უნდა

იყვნენ ყოველგვარი შეზღუდვისგან, დაწესებისგან და ა.შ. რათა შეძლონ საკუთარი თავის სრულად და თავისუფლად გამოხატვა.

საქმიანობის პრინციპი

აქტივობა პროექტის მეთოდის კიდევ ერთი პრინციპია. პროექტი თავისთავად მიზანმიმართული აქტივობაა. ამ აქტივობის შემდეგ მოსწავლეებმა უნდა ისწავლონ რაიმე (სწავლა კეთებით).

გამოცდილების პრინციპი

გამოცდილება დიდი მასწავლებელია. აქ მოსწავლეებმა გამოცდილებით უნდა ისწავლონ ახალი ფაქტები ან ინფორმაცია.

სარგებლობიანობის პრინციპი

ცოდნა ღირებულია მაშინ, როდესაცის სასარგებლოა ყოველდღიურ ცხოვრებაში. პროექტი, რომელიც უნდა განხორციელდეს, სასარგებლო უნდა იყოს, როგორც მოსწავლეებისთვის, ასევე საზოგადოებისთვის.

რეალობის პრინციპი

პროექტი უნდა იყოს რეალური და უნდა ჰქონდეს ბმული რეალურ ცხოვრებაში, რათა მოსწავლეებმა განახორციელონ პროექტი და დაასრულონ ის ბუნებრივ გარემოში.

სოციალური გამოცდილების პრინციპი

ბავშვები სოციალური არსებები არიან და მათ ვამზადებთ აქტიური სოციალური ცხოვრებისთვის. პროექტი ორიენტირებული უნდა იყოს მოსწავლეებში სოციალური თვისებები განვითარებაზე. კარგია პროექტი, რომელიც აქცენტს აკეთებს როგორც საზოგადოების, ასევე მისი ხალხის სოციალურ საჭიროებებზე, განვითარებასა და სარგებლიანობაზე.

პროექტის მეთოდის სახეები

განიხილავენ პროექტის მეთოდის ოთხ სახეს:

1. საწარმოს ტიპის პროექტს:

იგი ასევე ცნობილია, როგორც კონსტრუქციული პროექტი. ამ პროექტის მიზანია მასალების ან ნივთების წარმოება. ამ პროექტში მოსწავლეები იზიკურად მუშაობენ ისინი ქმნიან სქემას, მოდელს და ა.შ.

2. სამომხმარებლო პროექტი:

სამომხმარებლო პროექტს ასევე უწოდებენ ესთეტიკურ პროექტს. ამ პროექტის მეშვეობით ვითარდება სტუდენტების მაღლიერების უნარი. ამ პროექტის მთავარი მიზანია სიხარული და გამოცდილება. მაგ.: მუსიკის პრეზენტაცია, დარბაზის გაფორმება და ა.შ.

3. პრობლემური პროექტი:

ამ ტიპის პროექტი ხელს უწყობს პრობლემის გადაჭრის გარკვევას. აქ სტუდენტები სწავლობენ ცხოვრებასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრას. მაგალითებისთვის, როგორ დავიცვათ გარემო და სხვა.

4. ჩაძიების (ბურღვის) პროექტი:

ამ ტიპის პროექტის მთავარი მიზანია ცოდნისა და უნარების მიწოდება. ავითარებს და გამოავლენს მოსწავლის შესაძლებლობებსა და უნარებს. მაგალითად აღრმავებს მოსწავლის ცოდნას და უნარებს სიმღერაში, ცურვაში და ა.შ.

პროექტული სწავლების შემოტანა საგაკვეთილო პროცესში, მოსწავლეებს საშუალებას აძლევს გახდნენ დამოუკიდებელი პიროვნებები და კრიტიკულად მოაზროვნეები. მასწავლებლის მუშაობა მხოლოდ საგაკვეთილო პროცესს არ გულისხმობს. წარმატებული პედაგოგი აქტიურად თანამშრომლობს, როგორც მოსწავლეებთან, ასევე ადმინისტრაციასთან, კოლეგებთან, მშობლებთან და თემთან. საგანმანათლებლო პროექტი მსგავსი თანამშრომლობის საუკეთესო საშუალებაა. პროექტული სწავლება არის ერთობლივი მუშაობის ფორმა, რომლის დროსაც გარკვეული ჯგუფის მუშაობა წარმართება წინასწარ განსაზღვრული მიზნის მისაღწევად და გარკვეული ფუნქციების დელეგირების პროცესში ყველა თავისი საქმის აღსრულების ხარისხზე პასუხისმგებელი. მიღებულ შედეგში კი ყველას თანაბარი წვლილი მიუძღვის და თითოეული მოსწავლისთვის საამაყოა.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რაც უფრო სწორად გამოიყენებს მასწავლებელი პროექტზე დაფუძნებულ სწავლებას, მით უფრო წარმატებული იქნება პროექტი და მოსწავლეები შეიძენენ ახალ უნარებს, განიმტკიცებენ უკვე არსებულ ცოდნას, პრაქტიკაში გამოიყენებენ ნასწავლს, შეძლებენ მოახდინონ ნასწავლის ტრანსფერი და მოემზადონ თანამედროვე ცხოვრებისთვის.

ლიტერატურა:

- ეროვნული სასწავლო გეგმა [shesavali.doc \(live.com\)](http://shesavali.doc.live.com)
- პროექტზე დაფუძნებული სწავლება და მოსწავლეთა მოტივაცია - mastsavlebeli.ge
<https://www.google.com/url?sa=i&rct=j&q=&esrc=s&source=web&cd=&cad=rja&uact=8&ved=0CAIw7AJahcKEwjoxd2cnMjAhUAAAAAHQAAAAAQAw&url=http%3A%2F%2Fgesj.internetacademy.org.ge%2Fdownload.php%3Fid%3D2743.pdf%26t%3D1&psig=AovVaw1IeeNph9uSuF7IOPQvaVvc&ust=1687019418252448&opi=89978449>
- განწყობის თეორია. Mes.gov.ge/uploads/gegmebi/shesavali.doc.
- <https://www.slideshare.net/MandeepGill1/project-method-of-teaching>
- [Project Method of Teaching – A Guide \(teachmint.com\)](http://ProjectMethodofTeaching-AGuide.teachmint.com)
- <https://www.google.com/url?sa=t&rct=j&q=&esrc=s&source=web&cd=&cad=rja&uact=8&ved=2ahUKEwjnmpm2ncjAhUR4aQKHUepBKAQFnoECAwQAQ&url=http%3A%2F%2Fgesj.internet-academy.org.ge%2Fdownload.php%3Fid%3D2743.pdf%26t%3D1&usg=AovVaw0zdXFY1ZQQGIMzCU0EL3U&opi=89978449>

Project-based learning, its role and importance

Vakelishvili Nino

Iakob Gogebashvili Telavi State University, Telavi
N5 public school, Telavi

Abstract

The education system plays a major role in the era of modern globalization, in the process of formation and development of a civilized society. Modern education, high-quality learning and acquisition of appropriate knowledge is a social requirement. This requirement is met at each step using various progressive methods. Project-based teaching is one of the important, progressive, and relevant methods of modern teaching. This method has undergone a certain evolution over the years, but its main essence remains unchanged: in the process of teaching with this method, students' interests are aroused, concentrated and stimulated in relation to specific problems and their solutions. It is based on the development of students' cognitive ability and the level of critical and creative thinking through orientation in the modern information space.

In order to better study and implement the modern teaching method, project teaching method, research was conducted on the mentioned topic during the academic year. Relevant literature was studied. Discussion of the legal framework and the experience of existing studies. An observation was made. Focus group selection, survey. Data were collected during observation. Available data, survey and observation results were sorted and processed. The results were analyzed and based on that intervention was made. Priorities were outlined. During the research process, there was active cooperation between the teachers. The discussion on subject chairs was in progress. Feedback was clear, specific and easy to understand. An interesting discussion was also held on the shortcomings of the project teaching method.

The process and result of the research showed once again that the main goal of teaching with such a method is to develop the creative and intellectual ability of students, so that they have more self-realization, independent thinking ability, to make important decisions.

As the Chinese proverb says: "Tell me and I'll forget, show me and I'll remember, turn on and I'll understand."

Key words: project teaching, modern method, critical thinking, research, information, search, advantage, school, student.

Civil and Intercultural Education in the Conditions of Martial Law in Ukraine: Experience of a Master's Educational Program

Yuryeva Kateryna

H. S. Skovoroda Kharkiv National Pedagogical University, Ukraine, Kharkiv

DOI: <https://doi.org/10.52340/idw.2023.93>

Abstract. *Currently, in the context of large-scale military aggression by the Russian Federation against Ukraine, the activities aimed at national-patriotic upbringing of the young generation of Ukrainians are becoming increasingly relevant. Special attention is given to laying the foundations of civic and intercultural competencies among children of middle and senior preschool age. To prepare future masters of preschool education for the implementation of these objectives, an original academic discipline called “Conceptual Principles of Preschool Education in a Multicultural Society” has been developed. In the conditions of martial law, the study of this discipline at H. S. Skovoroda Kharkiv National Pedagogical University is conducted in a distance learning mode, utilizing a wide range of synchronous and asynchronous communication forms and methods with the master's level students. Online resources, services, and tools serve not only as means but also as elements of the content of professional pedagogical training. Future masters of preschool education acquire numerous digital instruments and learn how to use them pedagogically effectively in working with children of preschool age, their parents, and the wider community. Special attention is paid to the communication between future preschool teachers and managers and the families of displaced persons residing in other regions of Ukraine and beyond its borders. In order to maintain an emotional connection with their homeland and stimulate joint activities of children and parents, future masters of preschool education create virtual parent corners, interactive online games and exercises related to Ukrainian studies and local history, as well as interactive online educational events for the parents of preschoolers and members of the community.*

Keywords: *civil and intercultural education, master's degree students, preschool education, children of middle and senior preschool age, martial law, distance education.*

The full-scale invasion of Russia into Ukraine has shattered the entire fabric of Ukrainian life and, in particular, fundamentally changed the education system. Now, on the eve of a new academic year, debates are still ongoing regarding the feasibility of returning to at least a blended form of face-to-face and distance learning in regions that remain dangerous due to constant artillery and missile attacks, minefields, and destroyed infrastructure. The liberated territories face particular challenges, as they have often not only lost educational institutions completely due to extensive destruction but also grapple with a shortage of educational personnel, as many teachers have become displaced persons in other regions or even abroad, while others tragically lost their lives.

Therefore, it is evident that distance education in Ukraine will remain relevant in the near future.

Many educators ironically joke that they are grateful for the years of quarantine due to the COVID-19 pandemic, which taught them how to work remotely and facilitated the mastery of numerous tools and services for synchronous or asynchronous online communication with students.

We have already written about the peculiarities of distance education, including in the

context of martial law in Ukraine [Shlenova, Konoplenko, Yuryeva, Korneiko, Hlukhovska, 2023; Yalovskyi, Lotsman, Yurieva, Parfentieva, Sokolova, 2023].

The active military operations on Ukrainian soil also highlight the importance of civil and intercultural education. This is evidenced, among other things, by the update on June 6, 2022, of the “Concept of National-Patriotic Education in the Ukrainian Education System” by the Ministry of Education and Science [Ministry of Education and Science of Ukraine, 2022, June 6]. The concept defines the goal of national-patriotic education as “the formation of a self-sufficient citizen-patriot of Ukraine, a humanist and democrat, prepared to fulfill civic and constitutional duties, to inherit the spiritual and cultural heritage of the Ukrainian people, and to achieve a high level of interpersonal culture” [Ministry of Education and Science of Ukraine, 2022, June 6].

We have also previously addressed the peculiarities of national-patriotic education during a period of martial law [Yuryeva, Harrison, 2022, November 30].

At one of the previous conferences, we have already presented new educational technologies and tools that are proposed, theoretically grounded, and successfully used at G. S. Skovoroda Kharkiv National Pedagogical University to prepare future educators for professional activities in a multicultural society [Boyчук, Berezhna, Yuryeva, 2021]. Currently, the focus needs to be shifted in the academic disciplines that provide such preparation: “Conceptual Foundations of Professional Education in a Multicultural Educational Environment” (the third (educational-scientific) level of higher education); “Conceptual Foundations of Preschool Education in a Multicultural Society” (the second (master’s) level of higher education); “Educational Event Management in the Ukrainian Multicultural Society”; “Polycultural Education of Primary School Children”; “Cultural Diversity of the Educational Space of the Kharkiv Region” (the first (bachelor’s) level of higher education).

For example, let’s consider the curriculum of the academic discipline “Conceptual Foundations of Preschool Education in a Multicultural Society”, which is part of the educational program for the second (master’s) level of education.

The aim of studying the academic discipline “Conceptual Foundations of Preschool Education in a Multicultural Society” is to prepare master's degree students for professional activities in the context of cultural diversity in contemporary society and the educational environment of a preschool institution.

The objectives of studying the academic discipline are as follows: to cultivate in students a values-based attitude and respect for diversity and multiculturalism, to develop a positive motivation for professional activities in a multicultural society and the educational environment of a preschool institution, to prepare them for the formation of civic and intercultural competence, socialization, and national-patriotic upbringing of children of middle and senior preschool age in the multicultural social and educational space of Ukraine, and to prepare them for organizing collaboration between preschool institutions and the community, representatives of national-cultural societies, and partnership with parents.

As a result of studying the academic discipline according to the educational program, the following program competencies are developed:

Integrated Competence: The ability to competently solve complex tasks and problems in organizing and monitoring the educational process in the system of preschool education or in the process of training specialists in preschool education in higher education institutions. This competence involves conducting research and/or implementing innovations in situations characterized by uncertain conditions and requirements.

General Competencies:

- ✓ The ability to act socially responsibly and consciously.
- ✓ Appreciation and respect for diversity and multiculturalism.

Specialized (Professional) Competencies:

✓ The ability to carry out educational activities aimed at enhancing the psychological and pedagogical competence of educators, parents, and the community.

✓ The ability to organize cooperation between preschool institutions and various social institutions, professional categories, and partnership with parents.

As a result of mastering the content of the academic discipline, students are expected to achieve the following program learning outcomes:

➤ Critically analyze the conceptual foundations, goals, objectives, and principles of preschool education in Ukraine.

➤ Establish interactions with various social institutions, professional categories, and parents to ensure the quality of preschool education and implement research and innovative projects.

➤ Organize methodological support for educational activities in a multicultural environment of a preschool institution to cultivate respect for different nationalities and promote interaction among children.

➤ Acquire knowledge and utilize the legislative framework of preschool education in practical activities.

➤ Apply modern didactic and methodological principles in teaching psychological and pedagogical disciplines in professional practice, selecting appropriate technologies and methodologies.

The content of the academic discipline is concentrated in two content modules: theoretical-methodological and methodological.

The theoretical-methodological module includes the following topics:

Topic 1: Normative and Legal Framework of Preschool Education in a Multicultural Society: International and National Context.

During independent work, students are required to analyze and compare a range of international and national documents regarding the reflection of multiculturalism issues in contemporary Ukrainian society and the educational environment of educational institutions. The suggested international documents for analysis include the Universal Declaration of Human Rights, the Convention on the Rights of the Child, and the Reference Framework of Competences for Democratic Culture. The national documents include the Laws of Ukraine “On Education” and “On Preschool Education”, as well as the “Concept of National-Patriotic Education in the Education System of Ukraine”.

Topic 2: Issues of Multiculturalism and National-Patriotic Upbringing in Current Programs for the Development, Education, and Learning of Preschool Children.

In this topic, students are encouraged to independently analyze and compare four current programs for the development, education, and learning of preschool children of their choice (such as “Child in the Preschool Years”, “Child”, “World of Childhood”, “Confident Start”, “I in the World”, “Ukraine – My Homeland”, “Ukrainian Preschool”, “Joy of Creativity”, “Learning to Live Together”, “Sunflower”, “Treasury of Morality”, etc.) in terms of addressing the issues of civic and intercultural education for children of middle and senior preschool age.

Topic 3: Program of Intercultural and Civic Education for Preschool Children – “Ukrainian Wreath. Region” of the Integrated Course “Culture of Good Neighborhood”: Objective, Conceptual Basis, Tasks, Specifics, Structure.

Based on comparative analysis, students should independently conclude that the program “Ukrainian Wreath. Region” fully corresponds to the fundamental provisions of the state standard – the Basic Component of Preschool Education and can be successfully used in laying the foundations of civic and intercultural competence in children of middle and senior preschool age.

Topic 4: Socio-Psychological Foundations of Personality Development in a Multicultural Environment. Identity. Stereotypes. Gender and Cultural Sensitivity. Attitudes towards People with Disabilities. Tolerance.

The independent work of students on this topic revolves around complex socio-psychological concepts. Students not only need to comprehend their content but also gather relevant theoretical information and multimedia materials on the topic for conducting discussions with children of middle and senior preschool age, taking into account their age-specific characteristics. They also need to engage in educational work with parents of preschool children and the community.

Topic 5: Andragogical Foundations of Work with Parents and the Community. Media

Education and the Development of Critical Thinking.

The topic concludes the first semester of studying the discipline “Conceptual Foundations of Preschool Education in a Multicultural Society”. The mastery of the subtopic “Andragogical Foundations of Work with Parents and the Community” should find reflection in the development of interactive educational events scenarios for parents of preschoolers and the community, as well as in creating virtual information booth for parent on interactive boards, such as Padlet or Jamboard.

The modern state standard for preschool education – the Basic Component of Preschool Education – pays great attention to the work of preschool educational institutions with families of their students. The issue of collaboration between preschool educational institutions and families of preschoolers is addressed in many graduation qualification works. Students explore the content, forms, and methods of such collaboration. One of the most popular forms of communication with parents of preschoolers lately, starting from the period of quarantine restrictions due to the COVID-19 pandemic, has been the creation of virtual information booth for parents based on the Padlet service. These corners contain useful information for parents, as well as unique reports on educational work.




Figure 1. Virtual information booth for parents. Virtual interactive whiteboard Padlet



Figure 2. Virtual information booth for parents. Virtual interactive whiteboard Padlet

Independent work on the subtopic “Media Education and Development of Critical Thinking” involves developing discussions with children based on three animated films chosen

by the students from the list provided by the instructor. These films mainly focus on tolerance towards diversity, attitudes towards people with disabilities, and introduce preschoolers to Ukrainian culture and the cultures of other nations.

A separate task for independent work involves developing three interactive online games for older preschool children using the Wordwall service, based on the materials from the “Culture of Good Neighborhood” workbooks.

In the context of wartime, where the children's familiar way of life has undergone radical changes, and many families have become displaced within their own country or even across its borders, restoring and preserving the psychological well-being of preschoolers is of utmost importance. Students, using the Wordwall service, develop interactive online games for children and their parents to engage in enjoyable and meaningful activities that not only entertain and distract but also help broaden the children’s horizons. These activities aim to bring different generations of a family closer together.

At the same time, master’s students strive to create games that help families of their students maintain a connection with Ukraine and their hometowns. Therefore, the themes of the games often revolve around Ukrainian history and culture, with the students choosing illustrations depicting significant places in the Kharkiv region.




Figure 3. Online game “Artisans and their products”




Figure 4. Online game Ukrainian folk toys and tableware



Figure 5. Online game “Bread products of different nations”




Figure 6. Online game “Favorite places of Kharkiv”

In the second semester of their master's degree program, students focus on the methodological content module of the course, which consists of two topics:

Topic 1: Methodology for implementing tasks related to the content line “Nature of the Native Region”. Implementation of tasks related to the content block “History of People and Landmarks of the Region”.

Topic 2: Specifics of working with children based on the content line “Child in the Diversity of Cultures” in the “Ukrainian wreath. Region” program. Conflict resolution aspect in “Ukrainian wreath”. Implementation of the content line “Playing Together”.

Independent work within the methodological content module involves gathering information, exercises, games, and developing lesson plans for children of middle and upper preschool age, focusing on the specified content lines and blocks.

Therefore, in the conditions of martial law in Ukraine, educational activities, both in preparing future preschool education masters and in laying the foundations of civic and intercultural competencies for children of middle and senior preschool age, are largely carried out in a distance format. The focus shifts towards working with parents of preschoolers, uniting families, as well as maintaining an emotional connection with Ukraine, its culture, and homeland.

References:

- Boychuk, Yu., Berezhna S., & Yuryeva, K. (2021).** New Educational Technologies and Tools in Future Teachers' Preparing for Professional Activities in a Multicultural Society // Transactions: Collection of scientific works of the participants of the VI International scientific-practical conference “Intercultural dialogues”, pp. 305–312. Iakob Gogebashvili Telavi State University, Telavi. <https://doi.org/10.52340/idw.2021.535>
- Ministry of Education and Science of Ukraine. (2022, June 6).** Concept of National-Patriotic Education in the Education System of Ukraine // Order of the Ministry of Education and Science of Ukraine № 527.

<https://zakon.rada.gov.ua/rada/show/v0527729-22#top> (in Ukrainian)

Shlenova M., Konoplenko N., Yuryeva, K., Korneiko Yu. & Hlukhovska M. (2023). Comparative analysis of the distance learning implementation in Ukrainian system of higher education during the COVID-19 pandemic and martial law // *Interactive Learning Environments*, Vol. 31.

<https://doi.org/10.1080/10494820.2023.2207196>

Yalovskyi, P., Lotsman, R., Yurieva, K, Parfentieva, I., & Sokolova, A. (2023). Alternative ways of organizing distance practical classes for future music art teachers // *Amazonia Investiga*, Vol. 12, № 61, pp. 276–286.

<https://doi.org/10.34069/AI/2023.61.01.28>)

Yuryeva, K., & Harrison, P. (2022, November 30). Andragogic aspects of functioning home guards of Denmark // Tarasov, V. M , Palamar, M. I. , Oliynyk, L. V. (Eds.), *Improving the theoretical and methodological foundations of professional military education in the security and defense sector: Materials of the international scientific and practical conference on November 30, 2022*, pp. 285–290. The National Defense University of Ukraine, Kyiv.

საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკების როლი უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი დარგის განვითარებაში

კენკებაშვილი ქეთევან

ალტე უნივერსიტეტი, საქართველო, თბილისი

DOI: <https://doi.org/10.52340/idw.2023.94>

აბსტრაქტი. სტატიაში განხილულია საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკების როლი სამეცნიერო კვლევითი და სამაგისტრო ნაშრომების შექმნისას. ბიბლიოთეკის ტრადიციული ფუნქციების და თანამედროვე სერვისების, რომლებიც განპირობებულია ტექნოლოგიების განვითარებით. აღწერილია ბიბლიოთეკის როლი, სამეცნიერო კვლევითი ტიპის ნაშრომების ხარისხის გაუმჯობესებაში.

ბიბლიოთეკის მხარდაჭერა და შეთავაზებული სერვისები გადამწყვეტ როლს თამაშობს ხარისხიანი კვლევითი ნაშრომის შექმნაში.

ინფორმაციული წიგნიერება, არის ბიბლიოთეკების მთავარი საზრუნავი. ხშირად ბიბლიოთეკის მიერ უზრუნველყოფილი მხარდაჭერა სამაგისტრო ან სადოქტორო ნაშრომის შექმნისას, აღემატება ლექტორების მიერ გაწეულ დახმარებას.

გარდა სამეცნიერო სტილის, წყაროების სანდოობის და უახლესი სამეცნიერო ინოვაციების გაცნობის, ბიბლიოთეკის ერთ ერთი სერვისი ემსახურება აკადემიური კეთილსინდისიერების კულტურის დანერგვას ახალგაზრდა მკვლევრებთან, რაც გამოიხატება პლაგიატთან ბრძოლის სისტემის გამოყენებაში და მის დანერგვაში საუნივერსიტეტო სივრცეში.

სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისათვის ბიბლიოთეკის მიერ, ჩატარებული ტრენინგები, ზრდის ინფორმაციულ წიგნიერებას და მომხმარებელს აძლევს საშუალებას სწორად შეძლონ საჭირო ინფორმაციის მოძიება, დახარისხება და ასახვა მათ ნაშრომებში.

სტატიის მიზანია შეისწავლოს და წარმოაჩინოს საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკების როლი და მათ წინაშე მდგარი გამოწვევები თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების პარალელურად.

სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით წარმოჩენილია ცვლილებები, რომლებიც მოხდა უნივერსიტეტში, ბიბლიოთეკის დამატებითი სერვისების შეთავაზების შედეგად.

განხილულია საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის მუშაობის რამდენიმე მიმართულება: არსებული ფონდის გაზრდა, ბეჭდური ფონდის დიგიტალიზაციის პროცესი, სამეცნიერო ბაზების შექმნა, უნივერსიტეტის აკადემიური წრის ბაზებზე წვდომით უზრუნველყოფა, აკადემიური და კვლევითი საქმიანობის კულტურის დანერგვა, სტუდენტებისთვის ტრენინგების ჩატარება და სხვა.

ნაშრომში მოყვანილია წლების მიხედვით, ბიბლიოთეკის განახლებული პრინციპით მუშაობის შედეგი. შედეგი რაოდენობრივად არის შეფასებული და მიზნობრივად წარმოდგენილია დიაგრამებზე განაწილების სახით. აღსანიშნავია, არა მხოლოდ მომხმარებელთა რაოდენობის ზრდის ტენდენცია, არამედ მათ მიერ შესრულებული აკადემიური ნაშრომების გაუმჯობესებული ხარისხი, გაზრდილია აკადემიური კეთილსინდისიერების და პასუხისმგებლობის მაჩვენებელიც.

საკვანძო სიტყვები: საინფორმაციო წიგნიერება, კვლევა, საბიბლიოთეკო რესურსები, ციფრული წიგნიერება.

შესავალი

სამუელ ჯონსონის თქმით: „ორგვარი ცოდნა არსებობს. ჩვენ თავად ვიცით საგანი, ან ვიცით სად მოვიძიოთ ინფორმაცია მის შესახებ“ ბოლო დრომდე ვიცოდით, სად შეგვეძლო ინფორმაციის მოძიება ჩვენთვის საინტერესო საკითხებზე. ბიბლიოთეკაში, რომლებმაც შეაგროვეს, შეინარჩუნეს და ხელმისაწვდომი გახადეს მთელი რიგი საჭირო რესურსები. ეს რესურსები ძირითადად ბეჭდური სახით ინახებოდა ბიბლიოთეკებში.

დღეს, როდესაც ინფორმაციის მოძიების და მიღების უამრავი საშუალება არსებობს, მნიშვნელოვანია სანდო ინფორმაციის მოძიების ცოდნა. მნიშვნელოვანია ისეთი უნარის ფლობა, რომლის მეშვეობით შესაძლებელია განისაზღვროს, როგორც მოძიებული ინფორმაციის სანდოობის ხარისხი, მისი თანამედროვეობა, ასევე მოცემულ თემაზე ყველაზე მნიშვნელოვანი ინოვაციური მეცნიერული სიახლის აღმოჩენა.

სამეცნიერო და კვლევითი მუშაობისათვის საჭიროა მაღალი ხარისხის აკადემიური ხარისხის მქონე წყაროებთან მუშაობა. საუნივერსიტეტო - აკადემიურ სივრცეში კვლევა განათლების მიღების შემადგენელი და წამყვანი კომპონენტია. სტუდენტები, რომლებიც მუშაობენ სამაგისტრო ან სადოქტორო ნაშრომებზე, ეცნობიან მათთვის საინტერესო თემაზე არსებულ უამრავ კვლევას, რომლებსაც იყენებენ საკუთარი ნაშრომების დაწერისას.

საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკების როლი მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო პროცესში. სწორედ ბიბლიოთეკა არის უნივერსიტეტის ის სტრუქტურული ერთეული, რომელიც ახდენს აკუმულირებას სხვადასხვა საინფორმაციო რესურსებისა და წყაროების და ათავსებს მათ საერთო სივრცეში.

მეცნიერთა აზრით, კაცობრიობამ თავისი არსებობის მთელი ისტორიის მანძილზე განიცადა რამდენიმე ინფორმაციული რევოლუციური გადასვლა. პირველი საინფორმაციო რევოლუცია იყო სიტყვის გამოჩენა - აზრიანი მეტყველების ბგერები, როგორც ინფორმაციის გაცვლის საშუალება. მეორე საინფორმაციო რევოლუცია ასოცირდება სიმბოლოების - წერილობითი მეტყველების გამოგონებასთან. განვითარების ამ ფუნდამენტურმა ნახტომმა განაპირობა პირველი ინფორმაციული ტექნოლოგიების გაჩენა თანამედროვე გაგებით - ინფორმაცია დაშორდა მის მატარებელს, გახდა მატერიალიზებული. მესამე ინფორმაციულ რევოლუციად შეიძლება ჩაითვალოს ციფრული კოდის შექმნა, რომელიც არსებობს კომპიუტერის მეხსიერებაში. გარკვეული გაგებით, დღეს ინტელექტის ევოლუციამ დაასრულა თავისი განვითარების რაუნდი: აზრი, რომელიც წარმოიშვა ტვინის ელექტრონული იმპულსების მოძრაობიდან, ხდებოდა ბგერა, შემდეგ ნიშანი ქაღალდზე, დაუბრუნდა პირვანდელ ელექტრონულ მდგომარეობას - ხელოვნური კომპიუტერული კოდის სახით. ტექსტის ავტომატური დამუშავება გახდა ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების საფუძველი. ევოლუციური უპირატესობა მიიღეს ქვეყნებმა, რომლებიც პირველებმა გადავიდნენ ინფორმაციის შენახვის, დამუშავებისა და გადაცემის ელექტრონულ მეთოდებზე.

თუ აქამდე ბიბლიოთეკის მომხმარებლებს მუშაობა უწევდათ ბეჭდურ რესურსებთან, ციფრული ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად, შეიცვალა საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკების რესურსების ფორმატიც. აუცილებელი გახდა არსებული ბეჭდური რესურსების გაციფრულება. მათზე წვდომის გამარტივება მკითხველისთვის, ნებისმიერი წერტილიდან. ბიბლიოთეკებში დაიწყო არსებული ფონდების დიגיტალიზაციის პროცესი.

თუ აქამდე საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკების ფონდის ძირითად თემატიკას წარმოადგენდნენ ამ უნივერსიტეტში არსებული სპეციალობების შესაბამისი წიგნები, ახლა შესაძლებელია უნივერსიტეტის ფონდი იყოს მეტად მრავალფეროვანი და ამისათვის არ არის აუცილებელი ახალი სივრცეების მოწყობა ან დამატებითი ნაბეჭდი პროდუქციის შექმნა.

დადგა აუცილებლობა გაზრდილიყო ბიბლიოთეკების დაფინანსება, ამისთვის საჭირო გახდა ბიბლიოთეკების ღირებულების წარმოჩენა საგანმანათლებლო სივრცეში. ბიბლიოთეკები აღარ წარმოადგენენ ადგილს, სადაც დაცულია მხოლოდ ძველი გამოცემები. ელექტრონულ რესურსებზე წვდომამ განაპირობა ბიბლიოთეკების მრავალპროფილოზობა.

კიდევ ერთი გამოწვევა, რომელიც ჰქონდათ უნივერსიტეტების ბიბლიოთეკებს, იყო

სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისათვის თავისუფალი წვდომის უზრუნველყოფა ელექტრონულ სამეცნიერო ბაზებზე.

ერთი სამეცნიერო პლატფორმის შესყიდვით, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა ერთდროულად იღებს წვდომას მეცნიერების თითქმის ყველა კვლევით დარგზე. ერთი სამეცნიერო ბაზაში გაერთიანებულია რესურსები სამედიცინო, ბიზნესის, ლიტერატურის, ენათმეცნიერების, ანთროპოლოგიისა და კიდევ ვმრავალი მიმართულებით. შეიცვალა მომხმარებლის ტიპებიც, ბიბლიოთეკის მომხმარებლები დღეს უკვე აღარ არიან ერთი კონკრეტული საგნით დაინტერესებული სტუდენტები, მაგალითად სტუდენტს რომელიც მუშაობს სამაგისტრო ნაშრომზე ბიზნესის მიმართულებით, ასევე შეუძლია მიიღოს ინფორმაცია სხვა ნებისმიერ სფეროზე, ან ჰქონდეს წვდომა თანამედროვე მხატვრულ ლიტერატურაზე.

მობილური აპლიკაციები კიდევ ერთი რესურსია რომელიც სტუდენტებისათვის სრულიად უფასოდ ხელმისაწვდომი გახდა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკამ. ასეთია საბას ელექტრონულ ბიბლიოთეკაზე წვდომა, სადაც დაცულია ელექტრონული და ხმოვანი, როგორც ქართულენოვანი ისე უცხოენოვანი წიგნები.


მეთოდები და შედეგები

შეიცვალა ბიბლიოთეკის ფუნქციები, საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკები აღარ წარმოადგენენ სივრცეს სადაც ხდებოდა მხოლოდ წიგნის გაცემა. ბიბლიოთეკებმა დაიწყეს სტუდენტებისათვის მრავალფეროვანი სერვისების დანერგვა.


პირველი და მნიშვნელოვანი გახდა ბიბლიოთეკის წარმომადგენლებს ესწავლებინათ მომხმარებლებისათვის ინფორმაციის სწორად მოძიება და დახარისხება. მომზადდა ინფორმაციური წიგნიერების ტრენინგ კურსები. ტრენინგ კურსის ფარგლებში მსმენელები ეცნობიან საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის სერვისებს, ბიბლიოთეკის სამიუბო სისტემებს და მათში მუშაობის ტექნიკებს. ხსენებული ტრენინგები ასევე დაინერგა აკადემიური წერისა და კვლევის მეთოდების საგნების ფარგლებში სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურის სტუდენტებისათვის, სემესტრის განმავლობაში 2 აკადემიური საათი დაეთმო ბიბლიოთეკის თანამშრომლებს, რომლებიც აცნობენ სტუდენტებს ინფორმაციის მოპოვების ტექნიკებს, წყაროების სანდოობის განსაზღვრას და მათ სწორად გამოყენებას.

ხსენებული ტრენინგების შედეგად, გაიზარდა მომხმარებელთა რიცხვი საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკების მიერ შესყიდულ ელექტრონულ სამეცნიერო ბაზების.

მოცემულ დიაგრამებზე (დიაგრამა 1; დიაგრამა 2) ნაჩვენებია მომხმარებლების ზრდა წლების მიხედვით ორი სამეცნიერო ბაზის მაგალითზე (scopus და Science Direct) :



დიაგრამა 1. მომხმარებლის რაოდენობის ზრდის ტენდენცია „სკოპუსი“-ს ბაზის მოხმარებისას



დიაგრამა 2. მომხმარებლის რაოდენობის ზრდის ტენდენცია „საინს დირექტის“-ს ბაზის მოხმარებისას


2020 წლის გაზაფხულის სემესტრში პირველად ჩატარდა ინფორმაციული წიგნიერების ტრენინგები. 2021 წლიდან ბიბლიოთეკის სამსახურმა ტრენინგების ჩატარება დაიწყო შემოდგომის სემესტრიდან და სავალდებულო გახადა მაგისტრატურის დამამთავრებელი საფეხურის სტუდენტებისათვის. ტრენინგების შედეგად გაიზარდა ბიბლიოთეკის ელექტრონული სამეცნიერო ბაზების გამოყენება, რაც რაოდენობრივად ასახულია ზემოდ მოყვანილ დიაგრამებზე.

მრავალფეროვანი ციფრული რესურსების შეთავაზებამ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკები გადაიყვანა ახალ საფეხურზე, ბიბლიოთეკა აღარ წარმოადგენს ერთ კონკრეტულ სივრსეც, ბიბლიოთეკა უკვე სტუდენტის მობილურშია და პორტატულ კომპიუტერშია, ეს შესაძლებლობას აძლევს სტუდენტებს 24/7 ისარგებლონ ბიბლიოთეკის რესურსების.

კიდევ ერთი სერვისი რომელსაც გასცემს ალტე უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა არის ანტიპლაგიატის პროგრამა Turnitin-ის ადმინისტრირება და მომხმარებლებისათვის მასში მუშაობის ტექნიკები. აკადემიურ პერსონალს და სტუდენტებს უტარდებათ ტრენინგები პროგრამაში მუშაობასთან დაკავშირებით.

სამეცნიერო წყაროების სწორად მოძიების სწავლებამ, პლაგიატის პრევენციის ტრენინგებმა ბოლო სამი წლის განმავლობაში გაზარდა სტუდენტების ნაშრომებში აკადემიური კეთილსინდისიერების მაჩვენებლის შემცირების მაჩვენებელი.

დიაგრამაზე (დიაგრამა 3) გამოსახულია 2020-2022 წლებში სტუდენტთა ნამუშევრებში მსგავსების მაღალი პროცენტული მაჩვენებლების კლება, რაც განპირობებული ინფორმაციული წიგნიერებისა და ანტიპლაგიატის პროგრამაში მუშაობის ტექნიკების შესახებ ჩატარებული ტრენინგებით.



დიაგრამა 3. პლაგიატის პროცენტული მაჩვენებელი აკადემიურ ნაშრომებში, წლების მიხედვით

დასკვნა

ამრიგად, საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკების მოღვაწეობა და ბიბლიოთეკების მიერ შეთავაზებული სერვისები მნიშვნელოვან როლს ასრულებს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო და კვლევით საქმიანობაში.

ბიბლიოთეკების დაფინანსების ზრდა ხელს უწყობს მათ განვითარებას ციფრული მიმართულებით და ზრდის ბიბლიოთეკების როლს და მათ მომხმარებლის მხარდაჭერას.

ლიტერატურა:

Phillips, J. C., & Atwood, T. A. (2010). Transferring skills, transferring students: a call to academic libraries. *College & Undergraduate Libraries*, 17(4), 331–348

Whang, L., Tawatao, C., Danneker, J., Belanger, J., Weber, S. E., Garcia, L., & Klaus, A. (2017). Understanding the transfer student experience using design thinking. *Reference Services Review*, 45(2), 298–313

Nicholas D. Rowlands I. 'Social Media use in the Research Workflow,' *Information Services and Use* 31(1–2, 2011):pp.

Darling-Hammond, L., Flook, L., Cook-Harvey, C., Barron, B., & Osher, D. (2020). Implications for educational practice of the science of learning and development. *Applied Developmental Science*, 24(2), 97–140

The role of university libraries in the development of the scientific and research field of the university

Kenkebashvili Ketevan
Alte University, Georgia, Tbilisi

Abstract

The article discusses the role of university libraries in the creation of scientific research and master theses. Traditional functions of the library and modern services due to the development of technology. The role of the library in improving the quality of scientific research papers is described.

Library support and services offered play a crucial role in producing a quality research paper.

Information literacy is a major concern of libraries. Often, the support provided by the library in creating a master's or doctoral thesis exceeds the support provided by lecturers.

In addition to learning about scientific style, reliability of sources and the latest scientific innovations, one of the services of the library serves to introduce a culture of academic integrity to young researchers, which is manifested in the use of the anti-plagiarism system and its implementation in the university space.

The trainings conducted by the library for students and academic staff increase information literacy and enable users to correctly find, sort and reflect the necessary information in their papers.

The purpose of the article is to study and present the role of university libraries and the challenges they face in parallel with the development of modern technologies.

Based on statistical data, the changes that occurred in the university as a result of offering additional library services are presented.

Several areas of the university library's work were discussed: increasing the existing fund, the process of digitizing the printed fund, acquiring scientific bases, providing access to the bases of the academic circle of the university, introducing the culture of academic and research activities, conducting trainings for students, and others.

The paper presents the results of the library's work according to the updated principle, according to the years. The result is quantitatively evaluated and purposefully presented in the form of distribution on diagrams. It is worth noting, not only the trend of increasing the number of users, but also the improved quality of the academic works performed by them, the indicator of academic honesty and responsibility has also increased.

Keywords: information literacy, research, library resources, digital literacy.

მედიაწიგნიერება ფორმალურ განათლებაში-მედიაწიგნიერება და სხვადასხვა ტიპის ისტორიული წყაროების კრიტიკული ანალიზი

კობიაშვილი ეკა

სსიპ №6 საჯარო სკოლა, ქ.თელავი

DOI: <https://doi.org/10.52340/idw.2023.95>

აბსტრაქტი. გლობალური ინფორმაციის ეპოქაში დიდი როლი ეკისრება მედიაწიგნიერების კულტურის განვითარებას. დამოუკიდებლად და კრიტიკულად შეაფასოს პროდუქტი, დააღაგოს და გაფილტროს ინფორმაციის ნაკადი, ეს მხოლოდ მედიაწიგნიერების დახმარებით არის შესაძლებელი. სტუდენტებმა, მოსწავლეებმა უნდა დასვან კითხვები, რომელიც მათ დაეხმარებათ საკითხის კრიტიკულ შესწავლაში. მათ აქვთ ცოდნა იმის, როგორ მოიძიონ საჭირო ინფორმაცია ქსელში, მაგრამ ყოველთვის არ იციან, როგორ გაფილტროს ინფორმაცია. სწორედ ამ პროცესში დაეხმარებათ მათ მედიაწიგნიერების უნარების განვითარება.

როგორ შეიძლება დავეხმაროთ ჩვენს მოსწავლეებს? ვასწავლოთ მათ კითხვის დასმა. ხშირად დასვან კითხვა - რატომ? მედიაწიგნიერება უნდა დამკვიდრდეს, როგორც არაფორმალურ, ისე ფორმალურ განათლებაში (უნდა მოიცავდეს ყველა სასწავლო დისციპლინა), რაც შეუწყობს ხელს იყენენ ჩვენი მოსწავლეები უფრო კრიტიკულნი და მედიაწიგნიერი.

ჩემი მოხსენება ეხება მედიაწიგნიერების კითხვების გამოყენებით ერთ-ერთი ისტორიული საკითხის - ვიეტნამის ომის განხილვას, როგორ შევაფასოთ სხვადასხვა ტიპის ისტორიული წყაროები მედიაწიგნიერების კითხვების გამოყენებით. ეს ერთ-ერთი თანამედროვე მეთოდია, რომელიც შეიძლება გამოიყენოს მასწავლებელმა გაკვეთილზე საკითხის კრიტიკული განხილვისათვის და სწორი შეფასებისათვის.

საკვანძო სიტყვები: მედიაწიგნიერება, კრიტიკული აზროვნება, ვიეტნამის ომი, ისტორიული წყარო, მოკავშირეთა ბანაკი, დაპირისპირებული სახელმწიფოები.

„ჩვენ უნდა მოვამზადოთ ახალგაზრდა თაობა მკვეთრი გამოსახულებების, ხმამაღალი სიტყვებისა და ჟღერადი ზგერების სამყაროში ცხოვრებისათვის“
იუნესკო, 1982 წელი

გლობალური ინფორმაციის ეპოქაში, საჭიროა თაობა, რომელსაც შეუძლია, დამოუკიდებლად და კრიტიკულად შეაფასოს, დააღაგოს და გაფილტროს ინფორმაციის ნაკადი, შექმნას საკუთარი მაღალი ხარისხის საინფორმაციო პროდუქტი. ეს ეხება როგორც სტუდენტებს, ასევე მოსწავლეებს. მათ აქვთ ცოდნა იმისა, როგორ მოიძიონ საჭირო ინფორმაცია ქსელში, მაგრამ ყოველთვის არ იციან, როგორ გაფილტროს ინფორმაცია, პრობლემის გადასაჭრელად როგორ შეაფასონ და შექმნან მაღალი ხარისხის პრაქტიკულად საჭირო რესურსი.

მედიაწიგნიერების ამაღლება საქართველოში 2017 წლის ბოლოს ერთ-ერთი პრიორიტეტი გახდა საკანონმდებლო დონეზე. (ბასიალაია, დანელია, 2022). საქართველოში ჩატარდა რამდენიმე კვლევა, მედიაწიგნიერების როლზე. ერთ-ერთი ბოლო კვლევის

შედეგად გამოვლინდა, რომ „საქართველოში მედიაწიგნიერების დონის ასამაღლებლად მუშაობს სხვადასხვა დონის ექსპერტული ცოდნისა და გამოცდილების მქონე ორგანიზაცია, რომელიც ხელს უწყობენ მოქალაქეებში მედიაწიგნიერების უნარების განვითარებას. თუმცა, ქვეყანაში არ არსებობს სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ შეთანხმებული ერთიანი სტრატეგიული მიდგომა, რომელიც მიმართული იქნება საზოგადოების მედიაწიგნიერების დონის გაუმჯობესებასა და არსებული გამოწვევების გამკლავებაზე“. (ბასიალაია, დანელია, 2022).

ამჟამად, უფრო და უფრო აქტუალური ხდება სწავლების სტრატეგიები და მეთოდები, რომლებიც ქმნის ახალი ცოდნის დამოუკიდებლად მიღების, საჭირო ინფორმაციის შეგროვების, ჰიპოთეზების წამოყენების და დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას. მედიაწიგნიერების უნარების განვითარება: როგორცაა ინფორმაციის ანალიზი და შეფასება, ფაქტების გადამოწმება და შინაარსის შექმნა ღია წყაროთა ინსტრუმენტებით სტუდენტებს და მოსწავლეებს დაეხმარება რთულ მედიაგარემოში უკეთ გარკვევაში და ასევე ხელს შეუწყობს დემოკრატიის განვითარებას ჩვენს ქვეყანაში.

მედიაწიგნიერების ერთ-ერთ სახელმძღვანელოში ვითხულობთ: „მთავარ მიზანს მედიის შეფასება რომ წარმოადგენდეს, მთავარი შეკითხვა იქნებოდა: რა მოგეწონათ? მაგრამ მედიაწიგნიერების განათლება ბევრად უფრო ფართო სფეროა, ვიდრე მედიის დეკოდირება და შეფასება.“ (შაიბი, როგოვი, 2021). ავტორები გვირჩევენ მედიაწიგნიერების განათლების ეროვნული ასოციაციის მიერ შექმნილი შემდეგი პრინციპების გათვალისწინებას:

„ძირითადი პრინციპი 4. მედიაწიგნიერების განათლება ადამიანებში ავითარებს ცოდნის, ფიქრისა და კვლევის უნარებს, რაც აუცილებელია დემოკრატიული საზოგადოებისათვის.

ძირითადი პრინციპი 5. მედიაწიგნიერების განათლება აღიარებს, რომ მედია კულტურის ნაწილია და ფუნქციონირებს, როგორც სოციალიზაციის აგენტი“. (შაიბი, როგოვი, 2021)

მედიაწიგნიერების კომპეტენციის მნიშვნელოვანი ფაქტორია მისი ფორმალურ განათლებაში-სასწავლო პროცესში გამოყენება. (მოსიაშვილი, 2019). ამ მიმართებით ბოლო დროს შემოთავაზებულია რეკომენდაციები, რჩევები, როგორც მკვლევარებისაგან, მეცნერებისაგან, ასევე პრაქტიკოსი პედაგოგებისაგან.

მედიაწიგნიერების კომპეტენცია დაკავშირებულია ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სხვა გამჭოლ კომპეტენციებთან და ხელს უწყობს მათი გამოყენების ხარისხის ამაღლებას. (ესგ, 2018-2024)

“როდესაც პედაგოგი გაკვეთილზე იყენებს სატელევიზიო გადაცემების მოკლე სიუჟეტებს, აუდიო და ვიდეოფაილებს, რათა მოსწავლეებამდე მიიტანოს შეტყობინების კონკრეტული შეინაარსი, დედააზრი, - ამით ის ავითარებს ინფორმაციის აღქმისა და სწორად გაგების უნარ-ჩვევებს” (Hobbs, 2011).

როგორ გამოვიყენოთ მედიარესურსები, მულტიმედია საშუალებები ისტორიის გაკვეთილზე?

გთავაზობთ, როგორ შეიძლება გამოიყენოს მასწავლებელმა მულტიმედია საშუალებები: ილუსტრაცია, ისტორიული წყარო, ფილმი, მუსიკა, რომ მოსწავლეს დაეხმაროს მედიაწიგნიერების უნარის განვითარებაში. მაგალითისთვის გთავაზობთ ერთ გაკვეთილის გეგმას:

თემა-საქართველო და გარესამყარო მსოფლიო ომებისა და ცივი ომის პერიოდში

საკითხი - ცივი ომის ცხელი წერტილი - ვიეტნამის ომი

ცნება: წყარო / ინტერპრეტაცია (შედეგი : ისტ.საბ.1,2,5,6)

გაკვეთილის მიზანი:

მოსწავლეებმა გააცნობიერონ არსებული საერთაშორისო ვითარება ვიეტნამის ომის დროს, იმსჯელონ ომის დაწყების და დასრულების მიზეზებზე, შეაფასონ აშშ-სა და სსრკ-ს მიზნები ვიეტნამის ომში. მოსწავლეებს განუვითარდეთ კრიტიკული აზროვნების, არგუმენტირებული მსჯელობის უნარ-ჩვევები, სოციალური უნარები.

მედიაწიგნიერების მიზნები:

- მედიაარესურსის კრიტიკული ანალიზი და სინამდვილის რეპრეზენტაციის შეფასება;
- სიტყვების ძალის გაცნობიერება მედიაპროდუქტში;
- გამოყენებული ვიზუალური ხატების აუდიტორიაზე ზეგავლენის შეფასება.

შენიშვნა: გაკვეთილის ჩასატარებლად სასურველია მასწავლებელი წინასწარ გაეცნოს დამატებით მასალას ცივი ომის ცხელი წერტილის - ვიეტნამის ომის შესახებ. (დანართი №1: მასწავლებლის საკითხავი მასალა- მოკლედ ააღწერილი ვიეტნამის ომის წარმოშობის მიზეზებისა და მსვლელობის შესახებ, სასურველია ასევე გაეცნოს მოსწავლის საკითხავს დანართი #3).

https://drive.google.com/file/d/1kCTK_wnxsrBOaWV03Ry_Mi9q9tKgnlH_/view?usp=sharing

გაკვეთილის მსვლელობა

აქტივობა 1. წინარე ცოდნის გააქტიურება:

(მასწავლებელი წინარე ცოდნის გასააქტიურებლად სვამს კითხვებს)

კითხვა	სავარაუდო პასუხი
გაიხსენეთ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, მოკავშირეთა ბანაკის რომელ სახელმწიფოებს შორის დაიწყო დაპირისპირება?	სსრკ, აშშ, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი
როგორ დასრულდა ეს დაპირისპირება?	„ცივი ომით“/ „რკინის ფარდა ჩამოშვება ბალტიის ზღვიდან ადრიატიკის ზღვამდე/ მსოფლიო ორ დაპირისპირებულ მხარედ გაიყო დასავლურ და აღმოსავლურ ბანაკად
რომელი სახელმწიფოები გამოიკვეთა დაპირისპირებულ მხარეთა სათავეში?	აშშ, სსრკ
რა სახელით არის ცნობილი დაპირისპირებული სახელმწიფოთა მიერ შექმნილი ბლოკები?	„ნატო“/ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსი, „ვარშავის პაქტი“
თუ გახსოვთ ცივი ომის პირველი პეროდის კონფლიქტების შესახებ?	კორეის ომი/გერმანიის კრიზისი
როგორ დასრულდა დაპირისპირება კორეაში?	კორეა ორ ნაწილად გაიყო 38-ე პარალელზე, ჩრდილოეთის მხარეს აკონტროლებდა სსრკ, სამხრეთს - აშშ.

აქტივობა 2. ლექცია/მინი ლექცია

(მასწავლებელი აწვდის მოსწავლეებს ინფორმაციას ვიეტნამის ომის შესახებ წინასწარ მომზადებულს Power Point-ის გამოყენებით)

(პრეზენტაციაში განხილულია ინდოჩინეთის პირველი ომი, ომის შემდგომ ვიეტნამის გაყოფა მე-17 პარალელზე. განხილულია ინდოჩინეთის მეორე ომი-ვიეტნამის ომი. პრეზენტაციაში არის სურათები და ინფორმაცია ვიეტნამის ომის შესახებ და მტავარი მიზეზი, თუ რატომ გადაწყვიტა აშშ-მ ომის დასრულება და „ძალის უძლურების დემონსტრირება“)

(იხილეთ დანართი №2)

<https://drive.google.com/file/d/0B2LhRvtT3ZdiUzRkV0N5cVZZTE1GMDZCLWZlZk1lQUh0dno>

[0/view?usp=sharing](#)


აქტივობა 3. ვიზუალური წყაროს ანალიზი. (მუშაობა ჯგუფებში) (იხილე დანართი #4;5)

ინსტრუქცია: დააკვირდით ვიზუალურ წყაროებს და უპასუხეთ კითხვებს:

(მოსწავლეები დააკვირდებიან ილუსტრაციებს და უპასუხებენ წინასწარ შედგენილ კითხვებს მედიაწიგნიერების კითხვების გამოყენებით)

ჯგუფი 1 (სურ 1)

ჯგუფი 2 (სურ 2)



კითხვები- ჯგუფი 1 (სურ.1.)	სავარაუდო პასუხები	კითხვები- ჯგუფი-2 (სურ.2.)	სავარაუდო პასუხები
რომელი მოვლენის დროს შეიქმნა მოცემული ილუსტრაციები?	ვიეტნამის ომის	რომელი კონკრეტული ისტორიული მოვლენის დროს შეიქმნა წარმოდგენილი ილუსტრაციები?	ვიეტნამის ომის
საიდან გააკეთეთ დასკვნა?	ილუსტრაციაზე გამოსახულია ვიეტნამის რუკა/ილუსტრაციაზე გამოსახულია რიჩარდ ნიქსონი, რომელიც აწარმოებდა ამ ომს	მასზე არსებული რა ინფორმაციაზე დაყრდნობით გააკეთეთ დასკვნა?	პირველ ილუსტრაციაზე ამერიკელი ჯარისკაცები დაბომბილი ვიეტნამური სოფლისკენ მიემართებიან, ხოლო მეორე პლაკატი ვიეტნამის ომის წინააღმდეგაა მიმართული
რა თანამდებობა ეკავა ამ მოვლენის დროს პირველ ილუსტრაციაზე გამოსახულ პირს?	იგი იყო აშშ-ს პრეზიდენტი	რომელ ისტორიულ პერიოდში მიმდინარეობდა ეს მოვლენა?	ცივი ომის
რა იყო აღნიშნული	უამრავი ამერიკელი იხოცებოდა ბრძოლაში	რომელ სახელმწიფოში	საბჭოთა კავშირში

ილუსტრაციის შქმნის მიზანი?	და ასე აღარ უნდა გაგრძელებულიყო, ნიქსონს დროულად უნდა დაესრულებინა ომი	შეიქმნა პლაკატი?	
რისი გადმოცემა უნდოდა ამ გზავნილის ავტორის?	იმედი ჰქონოდათ არჩევნების, რომ ნიქსონი ომს მალე დაასრულებდა	საიდან გააკეთეთ ეს დასკვნა?	გაზეთის წარწერა და სათაური რუსულადაა და ვიეტნამელების დახმარებისკენაა მიმართული, ამავე დროს ინგლისური წარწერა აშშ-ს საწინააღდეგოა.
რას გამოხატავს მეორე ილუსტრაცია?	ვიეტნამში გარდაცვლილთა საფლავს, რომელზეც აწერია, რომ 1968 წელს უკვე 20000 გარდაცვლილია ამერიკიდან/ საფლავის მნახველი ამერიკელი მეორეს ემოციურად ატყობინებს ომის შედეგს (1968 წლისთვის).	რისი გადმოცემა უნდოდა ამ გზავნილის ავტორს?	დაენახებინა საბჭოთა მოსახლეობისთვის და ვიეტნამელთათვის ამერიკელთა „ბოროტი ზრახვები“ და თავისი „კეთილგანწყობა“.
ვინ იყო გზავნილის ადრესატი?	ამერიკელი ხალხი	ვინ არიან გზავნილის ადრესატები?	ვიეტნამელები/ ჩრდილოვიეტნამელები

აქტივობა 4. სიუჟეტის განხილვა

<https://www.youtube.com/watch?v=3j-3Xi5BcKs>

კითხვები	პასუხები
რის შესახებ არის ვიდეო სიუჟეტი?	ფილმის; „ვიეტნამის ომის შესახებ“
ვისთვის შეიქმნა ეს გზავნილი? რა მიზანი აქვს ამ სიუჟეტის შექმნას?	ეს ფილმი შეიქმნა საზოგადოებისათვის, რათა უფრო ინფორმირებული გახადოს საზოგადოება ამერიკელთათვის მეტად მტკივნეულ თემაზე.
ვინ შეიძლება ისარგებლოს ამ ფილმით?	დაინტერესებულმა ადამიანებმა/ ვიეტნამის ომით დაინტერესებულებმა/ ისორიით დაინტერესებულებმა
თქვენ უკვე გაეცანით ტექსტს ვიეტნამის ომის შესახებ. ვიდეოსიუჟეტის ყურების დროს, სადაც ომის შესახებ ყვებიან ფილმის შემქმნელები, თუ აღმოაჩინეთ მსგავსება ტექსტსა და ვიდეოში მონათხრობს შორის?	გამახსენდა ტექსტში აღწერილი მოვლენები

ინსტრუქცია მე-5 და მე-6 აქტივობისთვის. ყურადღებით უყურეთ სიუჟეტს. მოისმინეთ მუსიკას და გადმოეცით თქვენი დამოკიდებულება. უპასუხეთ კითხვებს:

აქტივობა 5.

www.youtube.com/watch?v=5v1KHHre-8g მუსიკა, რომელიც ვიეტნამის ომს მიეძღვნა (4:58-6:53 წთ).

აქტივობა 6.

www.youtube.com/watch?v=5v1KHHre-8g მუსიკა, რომელიც ვიეტნამის ომს მიეძღვნა (4:58-6:53 წთ).

- რა მიზანი ჰქონდა მუსიკის შექმნას?
- ვის და რის წინააღმდეგ იყო მუსიკა მიმართული?
- რა არის ამ სიუჟეტის ქვეტექსტი?

აქტივობა 7. შეჯამება-მსჯელობა

როგორ შეაფასებთ აშშ-ს და სსრკ-ს მიზნებს ვიეტნამის ომში?

მოსწავლეები დაასახელებენ სხვადასხვა მოსაზრებას შესაფასებლად. მაგალითად: აშშ-სთვის და დასავლეთ ევროპისთვის სსრკ იყო საფრთხე; სსრკ და აშშ სხვადასხვა უარყოფითი მეთოდებით ცდილობდნენ გავლენის გავრცელებას მსოფლიოზე; ამერიკა და სსრკ ერთმანეთს ეცილებიან მსოფლიოს გაყოფაში; მათ ერთნაირი ზრახვები ჰქონდათ; სსრკ გააწითლებდა ირგვლი სახელმწიფოებს; აშშ და სსრკ ქმნიდნენ პროპაგანდისტულ კარიკატურებს და პლაკატებს, რითაც საზოგადოებას ამცნობდნენ მოსალოდნელი საფრთხის საშიშროებაზე; სსრკ-ს და აშშ-ს მტრული დამოკიდებულება ჰქონდათ და სხვა სახელმწიფოებსაც თავს ახვევდნენ და ა.შ.

დასკვნა - მეტად მნიშვნელოვანია მედიაწიგნიერების გამოყენება და მისი ფორმალურ განათლებაში დანერგვა. მედიაწიგნიერება ადრეული ასაკიდან უნდა დაინერგოს საგანმანათლებლო დაწესებულებებში. ასეთი მეთოდით ჩატარებული გაკვეთილი ხელს შეუწყობს მოსწავლეთა მედიაწიგნიერების დონის ამაღლებას, მათ სააზროვნო უნარების განვითარებას. ნებისმიერი საგნის მასწავლებელმა შესაძლოა ადაპტირება მოახდინოს მის საგანთან მიმართებით. გაკვეთილზე ხორციელდება მედიაწიგნიერების კითხვების გამოყენებით წყაროს ანალიზი (სხვადასხვა ტიპის წყარო: დოკუმენტური წყარო, ვიზუალური წყარო, ვიდეო რესურსი). მოსწავლეები შეძლებენ ტრანსფერის გაკეთებას სხვადასხვა საგანში. გაკვეთილზე შეძენილი უნარები მოსწავლეებს გამოადგებათ ცხოვრებაში, რომელიც თავისთავად ხელს შეუწყობს ქვეყანაში დემოკრატიის განვითარებას.

ბიბლიოგრაფია:

1. ბასიალაია, ე., დანელია, ნ. (2022). საქართველოში მედიაწიგნიერების პრაქტიკის კვლევა და საჭიროებების შეფასება. ევროპის საბჭო, 2022, იანვარი
2. შაიბი, ს., როგოვი, ფ. (2021), მედიაწიგნიერება, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.
3. ეროვნული 2018-2024 - ეროვნული სასწავლო გეგმა.
4. მოსიაშვილი, თ. (2019) - „მედიაწიგნიერება და სხვა გამჭოლი კომპეტენციები“- <http://ncp.ge/ge/curriculum/general-part/generalpart/chapter-viii-cross-cultural-competencies>
5. აბდალაძე, გ., კუპატაძე, ბ., ახმეტელი, ნ., მურღულია, ნ. (2012) - ისტორია-12. გამომცემლობა: საქართველოს მაცნე. გვ.287-289.
6. კიდურაძე, ნ., გაჩეჩილაძე, რ., სანიკიძე, გ.(2012) - ისტორია-12. გამომცემლობა: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა. გვ.205-207.
7. ახმეტელი, ნ., ლორთქიფანიძე, ბ., (2021) - ისტორია-9. გამომცემლობა: დიოგენე. გვ.350-352.

Media literacy in formal education- Media literacy and critical analysis of different types of historical sources

Kobiashvili Eka

Public School N6, Telavi , Georgia

Abstract

In the era of global information, a great role is played by the development of the culture of media literacy. Evaluating the product independently and critically as well as sorting and filtering the flow of information is possible only with the help of media literacy. Students should ask questions, that will help them critically study the issue. They know how to find the

information they need on the web but they don't always know how to filter the information. It is in this process that you will help them develop media literacy skills.

How can we help our students? Let's teach them to ask questions. They often ask the question - why? Media literacy should be established in both informal and formal education (should include all academic disciplines), which will help our students to be more critical and media literate.

My report is about using media literacy questions to discuss one historical issue - the Vietnam War, how to evaluate different types of historical sources using media literacy questions. This is one of the modern methods that can be used by the teacher at the lesson for critical discussion of the issue and correct assessment.

Key words: media literacy, critical thinking, Vietnam War, historical source, Allied camp, opposing states.

New Language Acquisition for Refugees: A Key to Effective Transitioning

McLoughlin Shirley Wade

PHD in Educational Leadership. Keene State College.

Full Professor; USA Keene, New Hampshire

DOI: <https://doi.org/10.52340/idw.2023.96>

ABSTRACT: *Acquiring a second language has economic, educational, and social impact on individuals and families. When considering the rapid expansion of individuals identifying as refugees in today's world, learning a new language takes on a new role; it is a critical component of refugees' lives. For refugees, acquisition of the new language in their new country goes far beyond the aforementioned benefits; it is a crucial part of positive transitioning to their resettlement in a new country. While there are many components for refugees' successful integration into a new society, learning and using a second language is interwoven into many of these components as a means of attaining effective resettlement. Using Ager and Strang's (2008) domains for refugee integration, this article highlights the role language acquisition plays in some key domains, especially in acquiring employment, in educational opportunities, in healthcare, in development of social connections, and, if desired, in citizenship. In addition to examining these areas, this paper explores the impact of strong second language development and factors that impact the learning of the new language, including those occurring prior to coming to the refugees' new country, experiences occurring during their flight from their native homes, and in their experiences in their native homes prior to becoming refugees.*

Key Words : *Refugees, Language Acquisition, Integration, Resettlement*

Introduction

In the past few years, many countries in the world have experienced a multitude of refugees seeking asylum within their borders. Furthermore, the number of refugees and displaced persons in the world is significantly increasing by a much larger percentage than in prior years. In 2022, there were 100 million refugees, which was an increase of nearly 11 million from the previous year (United Nations High Commissioner for Refugees [UNHCR], 2022). In fact, 3.6 percent of the world population is not living in their native countries (International Organization for Migration [IOM], 2022). This figure includes migrants and immigrants, i.e. individuals who **chose** to leave their native country, often for economical or educational reasons. The other group in this data is refugees, that is, individuals who were **forced** to leave their native countries due to war, conflict, famine, etc. (UNHCR 2016, Edwards, 2016). The UNHCR (2023) highlights the importance of clear definitions of the words of refugee and immigrant, because refugees are afforded specific rights and legal protections. However, Hynie (2009) notes that it can be difficult sometimes to delineate between the two. Often, poor governance may be the underlying cause for both groups leaving the country, although in the case of refugees, significantly worse conditions usually exist. Nonetheless, one of the most important things to take into account when reviewing this data is the actualities of personal change that is occurring with this creation of new homes and new realities. Individuals and families moving into new country face immersion in new societies and new cultures, all of which require a substantial amount of change in their lives. Moreover, this may include experiencing trauma throughout this process. Once they arrive in their new country, there are usually significant efforts to help them, including offering instruction for a new language. The acquisition of new language skills provides an intellectual challenge for

refugees, but also requires serious consideration by the host countries as to how to best provide these language learning opportunities for refugees.

Second Language Acquisition: Foundational Considerations

While it certainly is advantageous for refugees to learn the language of their new country, there are clearly some foundational premises that must be considered before engaging in the provision of lessons for refugees. While some of these considerations may apply to all refugees, other components demonstrate the need for some individualization of curriculum and resources specific to the individuals being taught.

First and foremost, care must be taken to avoid language oppression, that is, the eradication of native languages by “physical, mental, social and spiritual coercion” (Roche, 2019). Historically, colonializing countries have used language eradication as part of gaining power and destroying native culture in foreign countries. Examples of this exist in the British banning of the use of Gaelic in Ireland and the use of native languages in African countries (Brent, 2019; Paulson, 2019). This was a dedicated approach to dominating a country and destroying its inherent culture, since language provides the cement for communication and sustenance for a culture. Another example of this can be obtained by looking through history, wherein there are far too many examples of eradication of indigenous peoples’ language as part of a systemic destruction of their culture (Margolis. & Rowe, 2004; Ryser et al, 2020).

While not necessarily referring to colonialization, when refugees resettle in a new country, there are lessons we can learn from errors in the past. Preservation of opportunities and spaces for use of refugees’ native languages should be maintained in order to help with their transitioning to a new home and country. This allows refugees and immigrants to become integrated into a new culture and society as opposed to becoming assimilated. Berry (2001) describes four potential strategies different cultural groups can face when placed in a new society - integration, assimilation, separation, or marginalization. Of the four, marginalization causes the most negative mental health outcomes for immigrants (Choy, et al, 2020). Many societies aim for assimilation but refugees do much better in societies that are more geared towards integration. Integration into a society implies that the refugees are able to maintain components of their native culture while also learning, working, building community, and navigating their new lives within a different society. On the other hand, assimilation entails complete immersion into the new society, and can lead to loss of identity due to gradual eradication of their native culture (Choy, et al, 2020; Hamilton, 2016). Choice of language to be used and learning a new language are intricately interwoven within these concepts.

Whether intentionally or unintentionally, refugee children in the United States are taught with a primary focus of having them become proficient in English as quickly as possible. No doubt, this approach is also taken in many other countries as well. However, this often has a devaluing effect on their native language, and thereby diminishes important links to their family, community, and native culture, as well as impacting some of their other educational development. This could be described as a practice leading towards assimilation. Instead, teachers should encourage students to continue to speak their native languages at home (Hamilton, 2016). This does not negate some use of the second language at home, but encourages continued use of the native language here, an important component of integration (vs. assimilation) for refugees.

Language and Refugee Integration

Indeed, there are many components that assist in successful integration of refugees into their new countries, and it can be argued that language plays a key role in these. In their seminal work on refugee integration, Ager and Strang (2008) identify nine domains that have been shown to be critical components to successful integration. These domains are divided into four categories. A few specific areas will be highlighted that are impacted by solid language acquisition of the new language.

One category that impacts all nine domains is facilitators for integration. Only two domains are in this category – *language and cultural knowledge*, and *safety and stability*. Learning a language has been shown to enhance the acquisition of cultural knowledge (Cherion, 2016). It

can also be argued that learning the language of the new country plays a part in safety and stability, and in doing so, becomes intertwined with helping support some other following domains.

In the category of marker and means, language plays an important role in *employment*, *education*, and *health*, and perhaps a smaller role in *housing*. It is not uncommon for well-educated refugees to have to take lower paying jobs initially because a lack of new language skills in the country where they are resettling. Moreover, there may exist problems providing documentation of education and employment experience from their native countries. Not knowing the language of the new country can make it difficult to receive effective, timely healthcare, and may require use of interpreters. Safe, affordable housing may be more easily obtained if fluent in the language of the new country.

Clearly, use of the native language, as well as acquisition of the language in the new country strengthen the domains included in the category of social connections. These domains included *social bridges*, *bonds*, and *links*. This involves connections with friends and family in their community and perhaps in other countries when separated from friends and family through the displacement process. For this domain, maintaining fluency in their native language is critical, especially for younger refugees. Not only does this help the youngsters maintain their connections with extended family members and others in their community, but it also helps to preserve the culture from which they came. Within this category, there are components of building a network of not-so-well-known individuals who can help each other out as problems arise. This type of communication may be on-line, and may be in their native language or the language of the new country. There is also an element of being able to contact governmental structures and resources – knowledge of the new country’s language would be helpful here, but perhaps not critical if translators are available.

Ager & Strang’s (2008) final category, foundation, may or may not be reached or even desired by refugees, for this involves rights and citizenship. Certainly, knowing their rights is important and knowledge of the new country’s language is most helpful. In most countries, knowing the national language is a component of citizenship, but not all refugees have a desire for citizenship in their new country – they did not choose to leave their home country, and may harbor hopes to eventually return there as regimes change.

Unique Considerations for Refugee Second Language Education

Most nations who accept refugees have assistance programs set up to help with resettlement. Of course, these cannot meet all the individuals needs of refugees, but they can provide a foundation to begin their resettlement. Local agencies in resettlement countries are often key in providing services, including access to language classes (Fike & Androff, 2016; Dubus, 2018). For those who are coordinating or teaching the language classes, there are a variety of factors that should be considered in order to best meet the needs of the students.

Many refugees have experienced much trauma before arriving at their resettlement location. Some of this may have occurred in their homeland, and some as part of their journey to the resettlement country. The trauma may include the death of loved ones and friends, sexual abuse, and lack of family continuity with displacement of family members, and, of course, being forced to leave their homeland often with little warning (McLoughlin, 2020). Moreover, many may be experiencing post migration living difficulties (PMLD) and may need mental health services to help lower stress and anxiety (Chiess, et al, 2021). Stress has been shown to impact memory and learning (Whiting et al., 2021; Willis, 2014), and thereby may make it more difficult to learn a new language. Access to resources to aid in lowering stress can help improve this situation. In addition, as with all students, a thorough assessment of past experiences with language instruction can not only give teachers more knowledge as to placement levels, but also give them insights to determine if there are stressors present from past experiences that need to be considered as well (Kartel et al, 2019).

Often, when immigrants enter a new country, they have had some exposure and/or language lessons for the language in which they will be immersed; immigrants have had time to plan their

relocation. This frequently is not the case for refugees, since they have little, if any, time to prepare for their journey, and may not know what resettlement country will become their home. There are gender implications with this as well. Often women are being resettled into countries with less patriarchal societies, and may be fleeing countries that did not value women's education as much as their new country does (Arvanitis & McLoughlin, 2023; Kosyakova, et al, 2022). Beiser and Feng Hau (2000) found that men frequently arrive with better language skills. However, even if both men and women are new to the language, they will make similar progress in language acquisition for the first few years, when most resettlement countries provide lessons, but when ten years pass, women are significantly behind in language acquisition.

Some of the rationale for this is basic – men may be out using the language at work, whereas women who remain in traditional roles, staying at home and doing childrearing. Thus, they may not be immersed in a second language environment; they live at home, perhaps in a community of speakers of their native language (Beiser & Feng Hau, 2000). Certainly, being immersed in an environment that uses the new language helps with acquisition, but there must be a balance between use of both languages. Interestingly, Posse and Nerghes (2020) note that while refugees were speaking the newly acquired language with others who were not native speakers in their communities, it did not increase integration into the mainstream society – they still encountered “Othering.” Surely, it eased their transitioning and ability to communicate with native speakers much more than if they had no new language acquisition. However, there was a clear sense of being seen as the “other” within the new society.

Since exposure to the new language does help with the development of fluency, having opportunities for women to be employed can support their language acquisition. With some refugee women being thrust into the role of primary breadwinner, learning the new language is critical. Moreover, by learning the new language, women may have a greater opportunity to take on vocational courses and other non-traditional courses taught in the new language that have the potential to improve their economic status, and continue to improve their fluency (Arvanitis & McLoughlin, 2023).

When examining traditional dos and don'ts of helping school aged children learn the language of the new country, consideration must be given to the goal of “integration” versus “assimilation” into a society. As mentioned earlier, a goal of integration as opposed to assimilation is more beneficial for the refugee. Integration encourages that refugees move freely and thrive in both cultures – that of their native country, and their new resettlement home. Assimilation essentially wipes out the vestiges of the culture of native country, and recreates the refugee as a member of the new country, embracing the culture, mores, values, and sometimes religion and leaving their old cultural components behind. It can be argued that a society is much richer and vibrant if composed of groups from a variety of cultural backgrounds.

How does this relate to teaching a second language to refugees? Traditionally, school teachers are inclined to encourage the use of the second language at home; in fact, this often happens – especially between siblings. However, for refugee children, Horgan et al (2022) note that languages can provide both connection to their native culture (birth language), and creation of opportunities and education in their new culture (second language). They have found that younger refugee/migrant children are more inclined to lose the ability to speak their native language especially if not using it regularly at home. Hence, it is very important to provide strong new language programs in the school, so younger children, especially, can listen, speak, and establish fluency primarily through what is occurring outside of home. Careful attention to balanced language speaking at home is needed through use of both the new and the native language, especially for young children, to prevent loss of fluency in the native language, an important part of the child's heritage.

Conclusion

Teaching a new language to individuals is a daunting task, requiring good teachers who understand their students' backgrounds, have a strong knowledge of best practices for excellent language pedagogy, and a willingness to flexible and adaptable as the occasions arise. This is

especially true for teachers of refugee adults and children. Many of these students have suffered trauma, but show great strength in taking on the stresses of relocation. Their unique backgrounds require teachers to be especially cognizant of the importance of second language acquisition in helping with successful resettlement and integration, not assimilation, into their new society. This process may be unique to each of the refugees, but with proper support and educational opportunities, the benefits for both the refugees and the country where they have resettled will soon become apparent.

References:

Ager, A. & Strang, A. (2008, June), "Understanding Integration: A Conceptual Framework," *Journal of Refugee Studies*, Vol 21 No. 2, pp. 166–19. <https://doi.org/10.1093/jrs/fen016>

Arvanitis, E., & McLoughlin, S.W. (2023) "Reimagining Refugees' Lifelong Education: Towards a New Social Contract," In K. Evans, W.O. Lee, J. Markowitsch, & M. Zukes (eds), *Third International Handbook of Lifelong Learning: Springer International Handbooks of Education*. Springer. Cham. https://doi.org/10.1007/978-3-030-67930-9_66-2

[Beiser, M. & Feng Hau. \(2000\). "Gender Difference in Language Acquisition and Employment Consequences Among Southeast Asians," *Canadian Public Policy*, Vol. 26 No.3, pp. 311- 32. https://doi-org.keenestate.idm.oclc.org/10.2307/3552403](https://doi.org/10.2307/3552403)

Brent, H. (2021, April 19), "On This Day in 1367: Britain Passes 'Statue of Kilkenny' Which Banned Irish Language and Culture in Ireland," *Irish Post*. <https://www.irishpost.com/history/on-this-day-in-1367-britain-passes-statue-of-kilkenny-which-banned-irish-language-and-culture-in-ireland-209985>

Cherion, M. (2016 Feb 22), "Seven Benefits of Learning a New Language," *Global Citizen: Demand Power*. <https://www.globalcitizen.org/en/content/7-benefits-of-learning-another-language/#:~:text=The%20way%20languages%20are%20formed,cultures%20different%20from%20your%20own.>

Choy B, Arunachalam K, S G, Taylor M, Lee A. (2020. Dec 21), "Systematic Review: Acculturation Strategies and Their Impact on the Mental Health of Migrant Populations," *Public Health Pract (Oxf)*. doi: 10.1016/j.puhip.2020.100069. PMID: 36101596; PMCID: PMC9461568.

Dubus, N. (2018), "Integration or Building Resilience: What Should the Goal Be in Refugee Resettlement?" *Journal of Immigrant and Refugee Studies*, Vol.16 No. 4, pp. 413-429. <https://doiorg.keenestate.idm.oclc.org/10.1080/15562948.2017.1358409>

Fike, D. C., Androff, D. K. (2016), "The Pain of Exile: What Social Workers Need to Know about Burmese Refugees," *Social Work*, Vol. 61 No. 2, pp. 127-135. <https://org.keenestate.idm.oclc.org/10.1093/sw/sww005>

Hamilton, T.B. (2016, May), "Losing Identity During the Refugee Crisis," *The Atlantic*. <https://www.theatlantic.com/education/archive/2016/05/balancing-integration-and-assimilation-during-the-refugee-crisis/482757/>

Horgan, D., Martin, S., O’Riordan, J. , & Maier, R. (2022), "Supporting Languages: The Socio-Educational Integration of Migrant and Refugee Children and Young People," *Children & Society*, Vol.36. No.3, pp.369-385. <https://doi-org.keenestate.idm.oclc.org/10.1111/chso.12525>

Hynie, M. (2019), National Academies of Sciences, E. and M., Division of Behavioral and Social Sciences and Education, Committee on Population, Malay K. Majmundar, & Steve Olson. "Forced Migration Research: From Theory to Practice in Promoting Migrant Well-Being: Proceedings of a Workshop." National Academies Press. <https://www.ncbi.nlm.nih.gov/books/NBK552826/>

International Organization for Migration (IOM) UN Migration (2022), *World Migration Report*. <https://worldmigrationreport.iom.int/wmr-2022-interactive/>

Kartel, D., Alkemade, N., Kiropoulos, L. (2019), "Trauma and Mental Health in Resettled Refugees: Mediating Effect of Host Language Acquisition on Posttraumatic Stress Disorder, Depressive, and Anxiety Symptoms," *Transcultural Psychiatry*, Vol. 56 No.3, pp. 3-23. <https://doiorg.keenestate.idm.oclc.org/10.1177/1363461518789538>

- Kosyakova, Y., Kristen, C. & Sporlein, C. (2022), "The Dynamics of Recent Refugees' Language Acquisition: How Do Their Pathways Compare to Those of Other New Immigrants?," *Journal of Ethnic and Migration Studies*, Vol. 48 No. 5, pp. 999-1012. <https://doi-org.keenestate.idm.oclc.org/10/1080/136918X2021.1988845>
- Margolis, E. & Rowe, J. (2004), "Images of Assimilation: Photographs of Indian Schools in Arizona," *History of Education*, Vol. 33 No.2, pp. 199-203. <https://doi-org.keenestate.idm.oclc.org/10.1080/004670032000151456>
- McLoughlin, S. (2020), "Softening Borders: Reconceptualizing the Role of Education for Inclusiveness of Refugees and Immigrants," *Journal of Higher Education Theory and Practice*, Vol.20 No.1, <https://doi.org/10.33423/jhetp.v20i1.2778>
- Paradis, J., Soto-Corominas, A., Chen, X. & Gottardo, A. (2020), "How Language. Environment, Age, and Cognitive Capacity Support Bilingual Development of Syrian Refugee Children Recently Arrived in Canada," *Applied Psycholinguistics*, Vol. 41 No.6, pp.1255-1288. doi:10.1017/S014271642000017X
- Paulson, S. (2019, March 20), "Never Write in the Language of the Colonizer," *To the Best of Our Knowledge: Wisconsin Public Radio*. <https://www.wpr.org/never-write-language-colonizer>
- Pozzo, M., & Nerghe, A. (2020), "Dutch Without the Dutch Discourse: Discourse, Policy, and Program Impacts on the Social Integration and Language Acquisition of Young Refugees (Ages 12-23), *Social Identities*, Vol. 26 No.6, pp. 842-860. <https://doi-org.keenestate.idm.oclc.org/10/1080/13504630.2020.1814721>
- Roche, G. (2019), "Articulating Language Oppression: Colonialism, Coloniality, and the Erasure of Tibet's Minority Languages," *Patterns of Prejudice*, Vol. 53 No. 5, pp.487-514. <https://doi-org.keenestate.idm.oclc.org/10.1080/0031322X2019.1662074>
- Ryser, R.C., Marchand, A.A.M., & Parker, D. (2020), "Cultural Genocide: Destroying Fourth World People," *Fourth World Journal*, Vol.25 No.1, pp. 79-108.
- Schiess-Jokanovic, J., Knefel, M., Kantor, V., Weindl, D., Schafer, I., & Lueger-Schuester, B. (2021), "Complex Post-traumatic Stress Disorder and Post-migration Living Difficulties in Traumatized Refugees and Asylum Seekers: The Role of Language Acquisition and Barriers," *European Journal of Psychotraumatology*. Vol. 12 No. 1, pp. 1-11. Doi-10.1018/20008198.2021190. <https://search-ebsohost-com.keenestate.idm.oclc.org/login.aspx?direct=true&db=a9&AN=154320355&site=ehost-live&scope=site>
- United Nations High Commissioner Report (2022) Refugee Data Finder. <https://www.unhcr.org/Refugee-statistics/UNHCR>
- United Nations High Commissioner Report (2016) Viewpoint; Refugee or Migrant; Which is Right? Retrieved <https://www.unhcr.org/news/stories/unhcr-viewpoint-refugee-or-migrant-which-right>
- [USA for UNHCR \(2023\) What is a Refugee? https://www.unrefugees.org/refugee-facts/what-is-a-refugee/](https://www.unrefugees.org/refugee-facts/what-is-a-refugee/)
- Whiting SB, Wass SV, Green S, Thomas MSC. (2021 May), "Stress and Learning in Pupils: Neuroscience Evidence and Its Relevance for Teachers," *Mind, Brain, and Education*, Vol. 15 No. 2 pp. 177-188. <https://www.ncbi.nlm.nih.gov/pmc/articles/PMC8248342/>
- Willis, J., 2014 July 18), "The Neuroscience Behind Stress and Learning," *Edutopia: Brain Based Learning*, <https://www.edutopia.org/blog/neuroscience-behind-stress-and-learning-judy-willis>

„ახალი სკოლის მოდელისა“ და კომპლექსური დავალებების ისტორიიდან

მაღლაკელიძე ნათელა

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი

DOI: <https://doi.org/10.52340/idw.2023.97>

აბსტრაქტი. მოხსენებაში განხილულია ქართული ენის სწავლების საკითხები რეფორმირებულ ქართულ სკოლაში, გავლებულია პარალელები 100 წლის წინანდელ რეალობასთან. როგორც ცნობილია, გასული საუკუნის 20-იანი წლები გახლდათ სწავლების უცხოური მეთოდებით ზედმეტად გატაცების წლები. ენის სწავლებისას კი აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ 2 ფაქტორი: ა) რომელ ენას ვასწავლით (მშობლიურსა თუ მეორე/უცხო ენას), ბ) შესასწავლი ენის ფონოლოგიური და სტრუქტურული თავისებურებანი. სამწუხაროდ, უცხოური მეთოდებით ბრმად კოპირების შემთხვევები დღესაც გვხვდება ქართულ სკოლაში.

საკვანძო სიტყვები: წერა-კითხვის სწავლების მეთოდები, საანბანო წიგნები, შესასწავლი ენა, ორთოგრაფიის პრინციპები, განათლების რეფორმა

სასკოლო განათლება ბოლო ორი ათეული წელია, მუდმივი რეფორმირებისა და განახლების რეჟიმში იმყოფება. როგორ აისახა ეს სიახლეები მოსწავლეთა ცოდნასა და უნარ-ჩვევებზე, რამდენად ეფექტური აღმოჩნდა რეფორმირებული სკოლის მოდელი რეალობაში, ეს ცალკე კვლევის თემაა. ჩვენ მხოლოდ შევეცდებით გავანალიზოთ, რა გზა გაიარა ქართული ენის სწავლებამ რეფორმიდან რეფორმამდე, გავავლოთ პარალელები ჩვენი სასკოლო განათლების არც თუ შორეულ წარსულთან; ვუჩვენოთ, რამდენად დამკვიდრდა და მისაღები აღმოჩნდა ჩვენი სკოლისათვის ის სიახლეები, რომლებსაც რეფორმატორები გვთავაზობდნენ ჯერ კიდევ 100 წლის წინ. არცთუ იშვიათად ხომ რეფორმის საბურველით შეფუთული სიახლეები კარგად დავიწყებული ძველია.

ამჯერად შევეხებით გასული საუკუნის 20-იან წლებში დანერგილ ე.წ. „ახალი სკოლის“ გამოცდილებას, კომპლექსებითა და პროექტებით სწავლებას, დაახლოებით იმავე პერიოდში გამოცემულ ქართული ანბანის სახელმძღვანელოებს. პარალელების გავლება კი დღევანდელობასა და 100 წლის წინანდელ რეალობას შორის მკითხველისათვის მიგვინდვია.

ეს პერიოდი ძალიან ჰგავს დღევანდელობას. გასული საუკუნის 20-30-იან წლებში გაუქმდა ქართველი განმანათლებლების მიერ დიდი რუდუნებითა და ძალისხმევით შექმნილი ეროვნული დაწყებითი სკოლა, ხოლო ახალი - საბჭოური - ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული. ისიც უნდა ითქვას, რომ ამ პერიოდის (1920-1930-იანი წლების) სასწავლო პროგრამებსა და ანბანის სახელმძღვანელოებზე ბევრი არაფერია ცნობილი. ვიცით მხოლოდ ის, რომ ი. გოგებაშვილის „დედა ენას“ მაინცდამაინც აღარ სწყალობდნენ - ის მხოლოდ 1925 წლამდე გამოიცემოდა. უფრო მეტიც - **განათლების რეფორმა პირველ კლასში დაიწყო საანბანო წიგნების, სახელმძღვანელოების უარყოფით.** 1922-1926 წლებში ანბანის სახელმძღვანელო განსახკომის მიერ შეთავაზებულმა პლაკატებმა და მასწავლებლის მიერ შექმნილმა სასწავლო რესურსებმა ჩაანაცვლა. „მიზეზი ამისა გახლავთ ის, რომ სასწავლო პროგრამები ახალია, საანბანო წიგნები კი „გაცვეთილი წესით“ გახლავთ შედგენილი.“ (წერაკითხვის 1925: 3). აქ ალბათ იგულისხმება ი. გოგებაშვილისეული ანალიზურ-

სინთეზური მეთოდი, რომელიც უკვე დამკვიდრებული და მიღებული იყო ქართული სკოლის მიერ. მეორე მიზეზი კი საანბანო წიგნების უარყოფისა, გახლდათ შემდეგი: „ცხოვრებით და ბუნებით მრავალფეროვან საბჭოთა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გარემო სულ სხვადასხვაგვარია, ამიტომ შეუძლებელია არსებობა ერთი საერთო სახელმძღვანელოსი, რომელიც გამოსადეგი იქნება ყველა კუთხისათვის“. (ახალი1923: 7).

ამ მხრივ ძალზე საყურადღებოა 1925 წელს სახალხო განათლების კომისარიატის მიერ გამოცემული მეთოდური მითითებები სახელწოდებით „წერაკითხვის სწავლება პლაკატებით – ძირითადი დებულებანი“. ეს კრებული ფაქტიურად წარმოადგენს იმ სიახლეების განხილვას, რაც განათლების მაშინდელმა რეფორმამ მოიტანა და დანერგა სკოლაში. პირველად აქ ვხვდებით ტერმინებს **„ახალი სკოლა“, კომპლექსური დავალებები, პროექტებით სწავლება...** „ახალი სკოლის“ პრინციპების მიუხედავად დაკავშირებით მოხდა ცვლილებები სწავლების სისტემასა და მეთოდებშიც. შემოღებულ იქნა ე.წ. **სწავლების კომპლექსური სისტემა**, რომელიც ყველა საგნის სწავლებას ერთ თემას – **„ბუნებას, შრომასა და საზოგადოებას“** – უკავშირებდა. კომპლექსურმა სისტემამ განსაზღვრა ჯერ ანბანის სახელმძღვანელოთა არსებობა/არარსებობა, ცოტა მოგვიანებით კი – საანბანო წიგნების აგების საკითხი.

რაც შეეხება ე.წ. „კომპლექსურ დავალებებს“ წერა-კითხვის შესწავლის პროცესში – აი, რას წერენ ამის შესახებ მაშინდელი რეფორმატორები: „კომპლექსურ პროგრამებში წერაკითხვის სწავლება ბუნებრივად შეირწყმება ჩვეულებრივ მასალასთან... მაგალითად, **შემოდგომაზე (თემა)** ვამუშავებთ **ქვეთემას „მუშაობა ბაღში“** და ამ ქვეთემაში უნდა გავაცნოთ **ღ და შ**. მუშაობა სკოლის ბაღში გადაგვაქვს; თუ ასეთი არა გვაქვს, ვახდენთ ექსკურსიას ბაღში, სადაც მუშაობენ, ხილს კრეფენ. ბავშვები აკვირდებიან, მუშაობაში მონაწილეობას იღებენ, აგროვებენ სხვადასხვა ხილს და მოაქვთ სკოლაში. ხატავენ და ძერწავენ ბაღს, ვაშლს, კომშს... ბავშვების წინ მოვათავსებთ **ბაღის** სურათს, ქვემოთ მივაკრავთ პლაკატს დიდრონი ასოებით დაბეჭდილს – **ბაღი**. ბავშვები პლაკატს კითხულობენ, აკვირდებიან **ასო ღ-ს**, ადარებენ **ღ-სა და დ-ს**, სწერენ, სჭრიან, ძერწავენ ახალ ასოს...“ (წერაკითხვის 1925: 5).

წერა-კითხვის სწავლების მეთოდებიდან ავტორები ასახელებენ შემდეგს:

- ა) **ბგერითი მეთოდი,**
- ბ) **მთელი სიტყვების მეთოდი,**
- გ) **მთლიანი წარმოდგენების მეთოდი,**
- დ) **ერუსულ-ამერიკული მეთოდი...**

„საკითხს მეთოდების არჩევის შესახებ ღიად ვტოვებთ: ვინ რომელს იცნობს კარგად და რომელი ეხერხება, იმას იყენებს... მასწავლებელს უნდა დავეხმაროთ შესაფერისი ლიტერატურის შექმნითა და მიწოდებით“ (წერაკითხვის 1925: 14).

თითქოს განსახკომი უფლებას აძლევს მასწავლებელს, მეთოდი თავად შეარჩიოს, მაგრამ **„ბგერითი მეთოდი“** ფაქტიურად უკუაგდეს, როგორც მოძველებული და „გაცვეთილი“; უფრო მეტიც – ამ მეთოდით შედგენილი ი.გოგებაშვილის სახელმძღვანელოები საერთოდ გააძევეს სკოლიდან, თუმცა მის ეფექტურობაში ეჭვი რევოლუციამდე და „კომპლექსებით“ სწავლებამდე არავის შეუტანია,

არადა ამ მეთოდის უპირატესობა პირველ რიგში ჩვენს ენასთან მისმა სრულმა შესაბამისობამ განაპირობა. თანამედროვე ქართულში 33 ბგერაა და თითოეულ ასოს თავისი საკუთარი წერითი ნიშანი – ასო – აქვს. ყოველი ბგერა სიტყვაში ძირითადად ერთგვარად წამოითქმის და წერაშიც ერთი გრაფიკული ნიშანი აქვს. ეს ფაქტი „... დიდი ღირსებაა ჩვენი ანბანისა და ამ მხრივ იგი მრავალ უცხო ენაზე მაღლა დგას“ (შანიძე 1973: 8). როგორც პროფ. ლ. კვაჭაძე აღნიშნავს, „ქართული ანბანი ერთ-ერთი სრულყოფილი ანბანთაგანია, რომელიც საკმაოდ ზუსტად ასახავს ქართული ენის ბგერით შედგენილობას... ქართულში ყოველ ასოს ჩვეულებრივ ერთი ბგერითი მნიშვნელობა აქვს... თითო ბგერას თითო ასო გამოხატავს, რაც აადვილებს ქართული წერა-კითხვის შესწავლას“ (კვაჭაძე 1981: 88). ჩვენი ენის ეს თავისებურება ჯერ კიდევ დიდი ხნის წინ შეამჩნიეს ჩვენმა მკვლევარებმა და ცდილობდნენ, იგი წარმატებით გამოეყენებინათ ქართული ქართული წერა-კითხვის სწავლებისას. ჯერ

კიდევ 1878 წელს წერდა „ივერია“, რომ „ქართული ანბანი სათითაოდ შეიცავს ყველა იმ ხმას, რომელთა წარმოთქმაც კი შეუძლია ქართველს და ყოველ შემთხვევაში ერთი ხმის გამოსახატავად აქვს ერთი და იგივე ნიშანი“. (ივერია 1878: 7). ამავე კუთხით აფასებს ქართულ ანბანს ცნობილი მკვლევარი პ. უსლარი, რომელიც მიუთითებს, რომ ქართული ანბანის ეს თავისებურება დიდად ამარტივებს ქართული ორთოგრაფიის შესწავლას: „ყოველ ევროპულ ენაში არსებობს დაბრკოლება – ორთოგრაფია. ქართველებისათვის მათი ანბანის სისრულის მეოხებით, ეს სიმძნელე თითქმის არ არსებობს“ (Услар 1887: 48). მართლაც, ქართულში არ გვაქვს ისეთი დაცილება წარმოთქმასა და წერას შორის, როგორც ეს სხვა ენებშია.

„რეფორმირებული სკოლისთვის“ ახალი მეთოდებით შედგენილი საანბანო წიგნების გამოცემა დაიწყო დაიწყო მხოლოდ 1926 წლიდან. ეს ახალი მეთოდი კი გახლდათ ე.წ. „მთლიან სიტყვათა“, იგივე „ამერიკული“ მეთოდი.

ეს მეთოდი საოცრად პოპულარული გახლდათ იმდროინდელ საბჭოთა რესპუბლიკებში. ჩვენ ვერ მივაკვლიეთ სპეციალურ საკავშირო-სამთავრობო დადგენილებას ამ მეთოდის გამოყენების შესახებ, თუმცა იგი ალბათ არსებობდა, რადგანაც ამ მეთოდს პოპულარიზაციას უწევდნენ მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით, განურჩევლად იმისა, მართლწერის რომელ პრინციპებს ეყრდნობოდა ამ რესპუბლიკების ენა. ეს იყო საბჭოეთში ამ მეთოდის აყვავების წლები. იგი მეცნიერული შესწავლისა და დასაბუთების გარეშე დანერგეს ქართულ საბჭოთა სკოლაშიც.

ამ მეთოდს საკმაო ხნის ისტორია აქვს ჩვენში. მიუხედავად იმისა, რომ ქართული ფონეტიკური დაწერილობის ენაა და არ გვჭირდება მთლიანი სიტყვის დამახსოვრება, დაზეპირება, როგორც ეს ინგლისურშია, მაინც იყო და დღესაც არის გატაცება ამ მეთოდით.

ჯერ კიდევ 1914 წელს გამოცემულ ი. როსტომაშვილის მეთოდურ სახელმძღვანელოში „როგორ უნდა ვასწავლიდეთ ქართულ წერა-კითხვას სოფლებსა და ოჯახებში“ წერა-კითხვის სწავლების საუკეთესო მეთოდად მთლიან სიტყვათა მეთოდი იყო მიჩნეული. თუმცა ეს მეთოდი მაშინ არ გამოიყენა ქართულმა სკოლამ და ბოლოს თვით ავტორმაც უარყო იგი.

მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ კვლავ მიუბრუნდნენ ამ მეთოდს. 1926 წელს გამოიცა ვ. ძიმიგურისა და ალ. გვახარიას „პირველი წიგნი“, შედგენილი ე.წ. „მთლიან სიტყვათა“ მეთოდით. ეს წიგნი ფაქტიურად ერთადერთი სასკოლო სახელმძღვანელო იყო. მისი ღირსება მხოლოდ ის გახლდათ, რომ ისევ დაიწყო წერა-კითხვის სწავლების დაფუძნება სახელმძღვანელოზე და არა პლაკატებსა და ცალკეული მასწავლებლების მიერ შექმნილ საექვო რესურსებზე. მასწავლებელთა დიდი ნაწილი კმაყოფილებით შეხვდა ამ წიგნის გამოსვლას, თუმცა აღნიშნავდნენ იმ ნაკლოვანებებსაც, რომლებიც „მთლიან სიტყვათა“ მეთოდიდან და კომპლექსური სწავლებიდან გამომდინარეობდა.

ამავე პერიოდში (1927-1933 წ.წ.) გამოიცემოდა ამავე მეთოდით შედგენილი სხვა სახელმძღვანელოებიც: ნ. ბოცვაძის, რ. ჩიხლაძის, ე. ბურჯანაძის „ახალი წიგნი“; ტ. ზაალიშვილის „ვისწავლოთ“; პ. ჭანიშვილის „შრომა და ცოდნა“. „მთლიან სიტყვათა“ მეთოდით შედგენილი სასკოლო სახელმძღვანელოები გვხვდება 1935 წლამდე. ამ მეთოდს ქართული პედაგოგიური საზოგადოება თავიდანვე მიუღებლად თვლიდა და სწავლების პროცესში ისევ ბგერით-ანალიზურ-სინთეზურ მეთოდს იყენებდა (ქართული 1957 : 62).

მთლიან სიტყვათა მეთოდი დღესაც გამოიყენება ზოგიერთი ავტორის მიერ. ამისი მთავარი და არსებითი მიზეზი გახლავთ ის გარემოება, რომ დღეს ამ მეთოდს წარმატებით წარმატებით იყენებენ ამერიკაში ინგლისური ენის სწავლებისას. ინგლისურში კი მოგეხსენებათ, რომ ორთოგრაფიის განსხვავებული პრინციპებია წამყვანი. რამდენად მოხერხებული და მისაღებია ეს მეთოდი ფონეტიკური დაწერილობის ენისათვის, რამდენად ამოკლებს და ამარტივებს იგი ქართული წერა-კითხვის შესწავლას, ამის შესახებ სპეციალური კვლევები არც ადრე გამოქვეყნებულა და არც ახლა არ არსებობს.

რაც შეეხება ანბანის სახელმძღვანელოების შედგენისას სხვა ქვეყნებისა თუ სხვა ენების გამოცდილებას, მხოლოდ იმას დავამატებდით, რომ შეუძლებელია ანბანის

სახელმძღვანელოთა სრული მსგავსება ამ მხრივ. „როდესაც ამ ერთი წლის წინათ ერთმა ჩვენმა ახალგაზრდამ გერმანიიდან მოიტანა ნემეცურს ენაზე რამდენიმე სახელმძღვანელო წიგნი და ჩვენ ისინი გადავსინჯეთ, განცვიფრებულნი დავრჩით: **ჩვენ წიგნსა და ამ სახელმძღვანელოს შორის ვიპოვეთ სრული მსგავსება**“ (გოგებაშვილი 1881:166). მაგრამ აქვე დიდი პედაგოგი იმასაც აღნიშნავს, რომ **მსგავსების გარდა ამ წიგნებს შორის დიდი განსხვავებაც იყო**: „ჩვენს წიგნში პირველივე ნორმალური სიტყვის ანალიზის შემდეგ ბავშვი შესწავლილი ორი ასოდან ადგენს და კითხულობს სიტყვებსა. ფრაზას ნემეცურს სახელმძღვანელოებში კიდევ უფრო გვიანა ვხედავთ. „დედა ენაში“ კი პირველსავე გაკვეთილში, პირველსავე დღეს ბავშვი კითხულობს ფრაზას. ნემეცურს წიგნში უაზრო მარცვლები ვერ აუცილებიათ, ჩვენს წიგნში კი არც ამ ნაკლოვლოვანებასა აქვს ადგილი. მარცვლების მაგიერ ჩვენ მოვძებნეთ და ჩავრთეთ ორასოიანი სიტყვები, რომლებიც მარცვლებით ადვილნი არიან საკითხავად და ამასთან უაზრობას მოკლებულნი, რადგანაც თითოეული მათგანი რაიმე ნივთს, საგანს აღნიშნავს და წარმოუდგენს გონებაში ბავშვსა“ (გოგებაშვილი:167). ი. გოგებაშვილი წერდა, რომ „დედა ენის“ შედგენისას იგი მისდევდა „საკუთარ მოსაზრებასა, საკუთარ აზრსა“, რაც საბოლოოდ წერა-კითხვის სწავლების პროცესში ქართული ენისათვის მისაღები და მორგებული მეთოდის შერჩევას გულისხმობდა.

კიდევ ერთი საკითხი, რომელსაც ასევე აუცილებლად უნდა შევეხოთ ამჟამად რეფორმირებულ ქართულ სკოლაში ქართული წერა-კითხვის სწავლებისას. მშობლიური და უცხო/მეორე ენების სწავლების მეთოდთა რომ არსებითად განსხვავდება ერთმანეთისაგან, დღეს ამაზე არ უნდა გვიხდებოდეს წერა. ასე რომ, წინასაანბანო პერიოდის გაზრდა 6 თვემდე, კითხვისა და წერის ერთმანეთისაგან დაცილება, „ამერიკული“ მეთოდით სწავლება, რასაც დღეს განათლების ზოგიერთი ექსპერტი თუ რეფორმატორი მოითხოვს, არ მიგვაჩნია სწორად.

მიზანშეუწონლად მიგვაჩნია სხვა ენებიდან ენის სწავლების მეთოდთა ბრმად კოპირება. ენის სწავლებისას აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ორი ფაქტორი: რომელი ენაა (მშობლიური, მეორე, უცხო) და შესასწავლი ენის ორთოგრაფიის პრინციპები. **დღეს „სიახლეებით“ ხშირად გახლავთ შეფუთული ქართული სკოლის მიერ დიდი ხნის წინ განვლილი გზა; მეთოდები, რომლებიც ერთხელ უკვე მოსინჯა ჩვენმა სკოლამ და თავადვე უარყო იგი.**

ლიტერატურა:

1. ახალი 1923: „ახალი სკოლისაკენ“, განსახკომი, 1923
2. გოგებაშვილი 1881: ი. გოგებაშვილი, უმეცრების ამაყობა, „ივერია“, 1881, # 6,
3. კვაჭაძე 1981: ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენა, თბ. 1981
4. ივერია 1878: რამდენიმე სიტყვა რიგიანის საწერი დედნის უქონლობაზე, „ივერია“, 1878, #7
5. ქართული 1957: ქართული საანბანო წიგნის ბიბლიოგრაფია, საქართველოს განათლების სამინისტროს პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტი, თბ. 1957 წ
6. შანიძე 1973: ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, ტ. 1, თბ. 1973
7. წერაკითხვის 1925: წერაკითხვის სწავლება პლაკატებით, განსახკომი, ტფილისი, 1925 წ
8. Услар 1887: П. Услар, Этнография Кавказа, Абхазский Язык, 1887

About Modern Methods of Georgian Language Teaching

Maglakeridze Natela
Ilia State University, Tbilisi

Abstract

The 20s of the previous century for Georgian school were the era of great novelty. This was the period of fascination and overstated with foreign methods. This was the only reason why in the process of language teaching wasn't taken into consideration the specificity of target

languages. We do not consider it inappropriate to blindly copy language teaching methods from other languages. When teaching a language, we must take into account two factors: which language it is (native, second, foreign) and the principles of orthography of target language. Today, the path traveled by the Georgian school a long time ago is often covered with "modern methods"; Methods that our school has already tried and rejected.

Key words: Teaching methods, Alphabet books, Target language, Principles of orthography, Reform of the educational system.

ქართული წერა-კითხვის სწავლებასთან დაკავშირებული ზოგიერთი სირთულე

მაღლაკელიძე ელენე

წმ. ილია მართლის სახელობის საპატრიარქოს

სკოლა-გიმნაზია, თბილისი

DOI: <https://doi.org/10.52340/idw.2023.98>

აბსტრაქტი. მთავარი სირთულე, რომელიც ჩვეულებრივ იჩენს ხოლმე თავს ე.წ. დადმავალ-აღმავალი (ანალიზურ-სინთეზური) მეთოდით სწავლებისას, შემდეგია: მოსწავლე ახერხებს შესასწავლი ასოს იდენტიფიცირებას სიტყვაში, მაგრამ უჭირს შერწყმით, გაბმულად ასოების კითხვა, წაკითხული ასოების გამთლიანება სიტყვებად. ბავშვი ცნობს სიტყვაში თითოეულ ასოს, წარმოთქვამს მის შესაბამის ბგერას, მაგრამ ვერ ამთლიანებს მათ, რაც ხელს უშლის წაკითხული მასალის გააზრებას. სწორედ ამ სირთულის თავიდან ასაცილებლად გამოიყენება მარცვლებით კითხვა. სიტყვის მარცვლებად დაყოფის დაუფლება ნიშნავს იმის შეგნებას, რომ სიტყვა შედგება მცირე ნაწილებისაგან. მარცვლის დახმარებით მოსწავლე ახდენს პირველ ორიენტაციას სიტყვაში.

საკვანძო სიტყვები: წერა-კითხვის სწავლების მეთოდები, მარცვლებით სწავლება, ფონოლოგიური უნარ-ჩვევები, მეთოდთა კოპირება, კითხვის უნარი

ქართული წერა-კითხვის სწავლების მეთოდთა იდენტიფიკაციის საკითხი არაერთხელ დამდგარა სპეციალისტთა ყურადღების ცენტრში. როგორ ვასწავლოთ ქართული ანბანი, როგორ გამოვუმუშაოთ მოსწავლეებს გაწაფული კითხვის ჩვევები, რა რესურსები და რა დამხმარე მასალა გამოვიყენოთ ამ დროს ... ესა და სხვა საკითხები ქართული წერა-კითხვის სწავლებისა დიდი ხანია აწუხებს ჩვენს პედაგოგიურ საზოგადოებას. სხვადასხვა დროს გამოცემულ წერა-კითხვის სახელმძღვანელოებში ანბანის სწავლების განსხვავებული მეთოდებია გამოყენებული.

ნაბეჭდი ქართული ანბანის სახელმძღვანელოების ისტორია შეიძლება დავიწყოთ 1629 წელს იტალიაში, რომში, გამოცემული „ქართულ-იტალიურ ლექსიკონზე“ დართული „ქართული ანბანით“, რომელსაც სასწავლო დანიშნულება უნდა ჰქონოდა. ამის შემდეგ უამრავი ანბანის სახელმძღვანელო გამოიცა, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდება როგორც სწავლების მეთოდით (როგორ ვასწავლოთ), ისე საკითხავი მასალის შერჩევით და დალაგების პრინციპით (რა ვასწავლოთ). თანამედროვეობა კიდევ უფრო მდიდარია ამ მხრივ. მიუხედავად იმისა, რომ ი. გოგებაშვილის „დედა ენის“ გამოცემის შემდეგ თითქოს ამ საკითხის ირგვლივ არსებულ ყველა კითხვას გაეცა პასუხი, დღესაც არ არსებობს ერთიანი აზრი სპეციალისტთა შორის ამის შესახებ.

ი. გოგებაშვილის მიერ შემოთავაზებული და მომდევნო წლებში აპრობირებული წერა-კითხვის სწავლების დადმავალ-აღმავალი (ანალიზურ-სინთეზური) მეთოდი მთლიანად არის მორგებული ქართული ენის ფონეტიკურ თავისებურებაზე: სიტყვა ისე იწერება, როგორც წამოითქმის, სიტყვაში იმდენი ბგერაა, რამდენი ასოც იწერება, თითო ასოს ფონოლოგიურად ღირებული მხოლოდ ერთი ბგერა შეესატყვისება. მაგრამ არსებობს ერთი სირთულე, რომელიც ამ მეთოდის გამოყენებისას იჩენს თავს: **მოსწავლეებს უჭირთ შერწყმით, გაბმულად**

ასოების კითხვა, წაკითხული ასოების გამოლიანება სიტყვებად. ბავშვი ცნობს სიტყვაში თითოეულ ასოს, წარმოთქვამს მის შესაბამის ბგერას, მაგრამ ვერ ამთლიანებს მათ, რაც ხელს უშლის წაკითხული მასალის გააზრებას. სწორედ ამ სირთულის თავიდან ასაცილებლად გამოიყენება მარცვლებით კითხვა. სიტყვის მარცვლებად დაყოფის დაუფლება ნიშნავს იმის შეგნებას, რომ სიტყვა შედგება მცირე ნაწილებისაგან. მარცვლის დახმარებით მოსწავლე ახდენს პირველ ორიენტაციას სიტყვაში. ამას ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმაც, სადაც მითითებულია, რომ „პირველკლასელი მოსწავლე სიტყვებში გამოყოფს და წარმოთქვამს მარცვლებს, მარცვლებში – ბგერებს; ასოებს ამთლიანებს მარცვლებად, მარცვლებს - სიტყვებად“..

ბავშვი მარცვლის შემჩნევას ჯერ კიდევ 3-4 წლის ასაკში ახერხებს, თუმცა, როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, საბოლოოდ ფონოლოგიური უნარ-ჩვევების გამომუშავება მხოლოდ წერა-კითხვის შესწავლის პროცესში მთავრდება (მიუხედავად იმისა, რა ასაკიდან იწყებს ბავშვი წერა-კითხვის შესწავლას).

საინტერესოა ბოლო წლებში ამ მიმართებით სხვადასხვა ქვეყნებში ჩატარებული ცდის შედეგები. ცდები ჩატარდა იმ ბავშვებთან, რომლებმაც ჯერ კიდევ არ იცოდნენ ანბანი. ბავშვს ერთმარცვლიანი/ერთბგერიანი სიტყვის მოსმენისას ერთხელ უნდა დაეჭირა ხელი ღილაკზე, ორმარცვლიანი/ორბგერიანი სიტყვის მოსმენისას – 2 ჯერ, სამმარცვლიანი/სამბგერიანის მოსმენისას – 3-ჯერ... ცდები ჩატარდა ამერიკაში, იტალიაში, საბერძნეთში, თურქეთში, ინგლისში. ცდის შედეგები საკმაოდ საინტერესო აღმოჩნდა. გამოირკვა, რომ 4-წლიანებმა საერთოდ ვერ შეძლეს სიტყვებიდან ბგერების გამოყოფა, 5-წლიანებთან 17%-მა გაართვა თავი ამ ამოცანას, 6 წლიანებთან კი – 70%-მა. რაც შეეხება სიტყვებში მარცვლების დაფიქსირებას, ამ ამოცანისათვის თავის გართმევა შეძლო 4-წლიანთა 67%-მა, 5-წლიანთა 80%-მა, 7-8- წლიანთა 100%-მა. ე. ი. მოსწავლეებს გაცილებით უადვილდებათ სიტყვიდან მარცვლის გამოყოფა, ვიდრე – ბგერისა. ამ ფაქტზე დაყრდნობით ავტორები აკეთებენ დასკვნას, რომ სიტყვის ფონემატური სტრუქტურის დასაუფლებლად და გასაცნობიერებლად ამოსავალია მარცვალი (და არა ბგერა), ამიტომაც **წერა-კითხვის სწავლება უმჯობესია დავიწყოთ მარცვლებით (არა ასო-ბგერებით)**. ამ დროს ასოების შესწავლამდე ეცნობა მოსწავლეს მარცვლები. მარცვლების დამახსოვრების შემდეგ კითხულობენ იმ სიტყვებს, რომლებშიც ეს მარცვლები შედის; მხოლოდ ამის შემდეგ აცნობიერებენ ასო-ბგერას, როგორც უმცირეს სამეტყველო ნაწილაკს (Reading Acquisition, Developmental Dyslexia and Skilled Reading Across Languages: A Psycholinguistic Grain Size Theory Johannes C. Ziegler, Centre National de la Recherche Scientifique and Universite´ de Provence, Usha Goswami, University of Cambridge, Psychological Bulletin 2005, Vol. 131, No. 1, 3–29, Copyright 2005 by the American Psychological Association , 0033-2909/05/\$12.00 DOI: 10.1037/0033-2909.131.1.3).

აღსანიშნავია, რომ ზემოთჩამოთვლილ ენებში ბგერასა და ასოს შორის არ არსებობს სისტემატური შესატყვისობა. ალბათ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ამ ასაკის ბავშვებს ამ ენებში უჭირთ სიტყვაში ბგერის დაფიქსირება და მისი პოზიციის განსაზღვრა. ქართული ენის მაგალითზე კი, სადაც ასოსა და ბგერას შორის სრული შესატყვისობაა, მსგავსი ცდების მონაცემები არ გვაქვს (გამონაკლისია ალ. მოსიავასა და ზ. ხოჯავას კვლევები, რომლებიც გასული საუკუნის 50-იან წლებში ჩატარდა).

როდესაც ქართული წერა-კითხვის პროცესში მარცვლების გამოყენებაზე ვსაუბრობთ, ერთმანეთისაგან უნდა გავარჩიოთ ორი შემთხვევა:

1. მარცვლებით სწავლება ერთ-ერთი **ეტაპია**, ერთ-ერთი **სტრატეგიაა** აღმავალი (სინთეზური) ან აღმავალ-დაღმავალი (ანალიზური-სინთეზური) მეთოდით წერა-კითხვის სწავლებისას. ამ შემთხვევაში მარცვალი ერთგვარი გარდაღმავალი საფეხურია ასო-ბგერასა და სიტყვას შორის და ეხმარება მოსწავლეს დაამყაროს მათ შორის მიმართება;

2. მარცვლებით სწავლება **მეთოდია** და ამოსავალ მომენტად წერა-კითხვის სწავლებისას მიიჩნევა არა ასო-ბგერას, არამედ მარცვალს.

შევეცდებით განვიხილოთ ორივე შემთხვევა, რადგანაც ქართული წერა-კითხვის სწავლების ისტორიაში ორივე გვხვდება.

1.მარცვლებით სწავლება ერთ-ერთი **ეტაპია, სტრატეგიაა** (და არა მეთოდი) წერა-კითხვის სწავლებისას – ამ დროს სიტყვის დამარცვლა ჯერ კიდევ წინასაანბანო პერიოდში ხდება სიტყვის ბგერითი ანალიზისა და სინთეზის პირველი ჩვევების გამოსამუშავებლად, აქტიურად გამოიყენება საანბანო პერიოდშიც სიტყვის ფონემატური შედგენილობის გასაცნობიერებლად და შერწყმით კითხვის ჩვევის გამოსამუშავებლად.

ამ ხერხის გამოყენებას საქართველოში საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვს. იგი პირველად **პლ. იოსელიანმა** გამოიყენა თავის ანბანის სახელმძღვანელოში „ანბანი სასარგებლოდ ქართველთა ახალმოსწავლეთა ყრმათა“ მეექვსე (1849 წ) და შემდგომ გამოცემებში. აქ მასალა ამგვარად გახლავთ წარმოდგენილი: მოცემულია ქართული ანბანი ხუცურად და მხედრულად სხვადასხვა შრიფტით, რასაც მოსდევს ცალკეული სიტყვების კითხვა მარცვლებით. მარცვლებიც ორგვარად არის წარმოდგენილი: მხედრულით და ნუსხურით. მოცემულია ჯერ ორასოიანი, შემდეგ კი – სამასოიანი მარცვლები.

მარცვალთშეერთებას იყენებს **ივ. კერესელიძეც** თავის ანბანის სახელმძღვანელოში – „ანბანი ახალ-მოსწავლეთა ყრმათა“ (1856-1862 წლის გამოცემები). აქაც ჯერ მოცემულია ანბანი და მარცვლები, შემდეგ – მარცვლებად დაყოფილი სიტყვები, რასაც მოსდევს საკითხავი ტექსტები.

ანბანის სწავლებისას მარცვლების გამოყენებას მიმართავდა მე-19 საუკუნის თითქმის ყველა ავტორი, მათ შორის **ი. გოგებაშვილიც**, რომელმაც მალე უარი თქვა უაზრო მარცვლების კითხვაზე; ხოლო რაც შეეხება საანალიზო სიტყვების დამარცვლასა და შემდგომ მარცვლების შეერთებით სიტყვების მიღებას, ის კვლავაც ძალაში დატოვა, როგორც სიტყვის ბგერითი ანალიზისა და სინთეზის ერთ-ერთი ხერხი. მარცვლებით სწავლების ხერხი აქტიურად გამოიყენება .

სიტყვის მარცვლებად დაყოფის სწავლებისათვის სავსებით გამოდგება მეთოდიკაში უკვე ცნობილი ხერხები: ა) მარცვლის რაოდენობის დათვლა, ბ) სიტყვაში მარცვლთა რიგის აღნიშვნა (რომელია პირველი მარცვალი, მეორე მარცვალი...), გარდა ამისა. **ა. ხოჯავასა და ზ. მოსიავას** (ა. ხოჯავა, ზ. მოსიავა, საანბანო წიგნის შედგენის პრინციპები 1955, გვ. 9) შემოაქვთ აგრეთვე **მარცვლის იდენტიფიკაციის ხერხი** (სიტყვიდან გამოყოფილი მარცვლის სხვა სიტყვაში ცნობა). აქვე ავტორები მიუთითებენ, რომ ამ ხერხის უსისტემოდ გამოყენება არ არის მიზანშეწონილი. წინასაანბანო პერიოდში იგი უნდა ჩატარდეს ამგვარი თანმიმდევრობით:

- ა) სიტყვიდან მარცვლის გამოყოფა და მისი იდენტიფიკაცია;
- ბ) სიტყვის წარმოთქმის პროცესში ყოველ მარცვალზე შეჩერება;
- გ) სიტყვის შემადგენელ მარცვალთა დათვლა და მისი რიგობითი ადგილის აღნიშვნა.

ავტორები მიიჩნევენ, რომ ეს ამზადებს ბავშვს სიტყვის ფონემატური ანალიზისათვის – გამოყოს სიტყვაში ცალკეული ბგერა.

წინასაანბანო პერიოდში სიტყვის დამარცვლასა და მის გამოყოფაზე ვარჯიშს წერა-კითხვის სწავლების ერთ-ერთ აუცილებელ მომენტად მიიჩნევენ პროფ. **ვ. რამიშვილიც**: „წინასაანბანო პერიოდში კითხვისათვის მზადება შემდეგს გულისხმობს: ...სიტყვათა დაყოფას მარცვლებად, მარცვლის დაყოფას ბგერებად, ბგერათა შეერთებით მარცვლის მიღებას, მარცვლების შეერთებით სიტყვის მიღებას“ (ვ. რამიშვილი, ქართული ენის სწავლების მეთოდიკის საფუძვლები, თბ. 1987 გვ. 89). აღსანიშნავია, რომ ვ. რამიშვილი, ისევე, როგორც მისი წინამორბედები (ნ. ბოცვაძე, ე. ბუჯანაძე), აქტიურად იყენებდა ამ ხერხს თავისი „დედაენის“ ყველა გამოცემაში (ვ. რამიშვილი, დედაენა, თბ. 1990 წ).

მარცვლების გასაცნობიერებლად პირობითი ნიშნების რკალების გამოყენებას გვთავაზობს სასწავლო მეთოდური რესურსების კრებული „კითხვისა და წერის სწავლება დაწყებით საფეხურზე“, Georgian Primary Education Project (G-PRIED), Tb. 2015 წ, გვ. 45). მიზანი არის სიტყვის ფონემატური შედგენილობის დაუფლება, სიტყვის დამარცვლა კი ამ მიზნის მიღწევის საშუალებად მიაჩნიათ: ამ ეტაპზე ერთმარცვლიან სიტყვას ბავშვი წარმოადგენს ერთი რკალით, ორმარცვლიან სიტყვას – ორი რკალით... ამავე ეტაპზე მან უნდა შეძლოს მითითებული რკალის ამოცნობა სიტყვაში და მისი გაფერადება. ამ მიზნით ისინი

გვთავაზობენ სხვადასხვა აქტივობას: სიტყვების დამარცვლას ტაშის გამოყენებით, სიმღერის ტექსტის გამოყენებას ამ მიზნით - სიმღერისას ბავშვები მარცვლავენ მასწავლებლის მიერ მითითებულ სიტყვას, იყენებენ მარცვლებად დაჭრილ ბარათებს სიტყვის ასაწყობად, სიტყვაში გამოტოვებული მარცვლის ჩამატებას, არეული მარცვლების დაკავშირებას, მოცემული მარცვლებით სიტყვების შედგენას, სიტყვაში მარცვლის იდენტიფიცირებას...

2. მარცვლებით სწავლება წერა-კითხვის სწავლების მეთოდია: საწყის ეტაპზე, ანბანის შესწავლის შემდეგ, მოსწავლეს ჯერ კიდევ არა აქვს სწორი კითხვის ჩვევები. ტექსტები, სიტყვები კი, რომლებიც ჩვენს საანბანო წიგნებშია წარმოდგენილი, კითხვის ტექნიკის თვალსაზრისით ერთნაირი არ არის. ცნობილია, რომ თანხმობადაჯგუფებული, დახურულმარცვლიანი, მრავალმარცვლიანი სიტყვის წაკითხვა უფრო ძნელია, ვიდრე ერთ-და-ორმარცვლიანი, თანხმობადაუჯგუფებელი სიტყვებისა. ამასთანავე, ხშირად თანხმობების წაკითხვისას მოსალოდნელია არა ასოს შესაბამისი ბგერის ფონაცია, არამედ - ფონეტიკური პროცესების გავლენით შეცვლილი მსგავსი ბგერისა : ერთგული - ერდგული, მისდევს - მიზდევს, კარგი - კარქი... ასევე, ძალიან ხშირია წაკითხვისას სიტყვის ბოლოკიდური თანხმობის დაყრუება: კარგად - კარგათ, ავად - ავათ... ყველაზე დიდი სირთულე კი, როგორც სტატიის დასაწყისში აღვნიშნეთ, არის წაკითხული ასოების გამთლიანება ჯერ მარცვლებად, შემდეგ კი - სიტყვებად. სწორედ ამის გამო მასწავლებელთა და სახელმძღვანელოს ავტორთა ერთი ნაწილი გვერდს უვლის მარცვლის ანალიზს ასო-ბგერებად (სიტყვის ანალიზისას ჩერდება მარცვალზე) და წერა-კითხვის სწავლებისას ამოსავალ ელემენტად მიიჩნევს მარცვალს.

ამ მხრივ საინტერესოა გასული საუკუნის დასაწყისში გამოცემული **ი. ზედგინიძის** მეთოდური ნაშრომი: „წერა-კითხვის სწავლება მთლიანი სახმო ელემენტის გამოყენებით“, სადაც ავტორი წერს: „უძნელესი მომენტი წერა-კითხვის სწავლებაში, როგორც ვიცით, არის ბგერათა გადაბმა მოცემული სიტყვის წასაკითხად“ (კრებ. „მასწავლებლის თანამგზავრი“, 1928 წ, გვ. 105). იგი მიიჩნევს, რომ ეს მომენტი „გარდაუვალ სიძნელედ აწვება“ ბავშვს. მასწავლებელი კი ვერანაირ დახმარებას ვერ სთავაზობს ამ სირთულის დასაძლევად. ბავშვს მისი გადალახვა უხდება საკუთარი ძალ-ღონით. „ამ სიძნელეს აჩენს სიტყვის ბგერებად დაშლა მორიგი ბგერის გამოსაყოფად... თუმცა ისიც ცნობილია, რომ თანხმობანი ბგერის გამოყოფა სიტყვიდან არის ბგერის ბუნების წინააღმდეგი ცდა და დაუშვებელია: იგი აჩვევს ბავშვს არაბუნებრივ გამოთქმას ბგერისას, რაც შემდეგ ხელს უშლის ასოთა გადაბმას სიტყვის მისაღებად, აჩვევს ჩათვლით კითხვას. ე. ი. ასო-ასო კითხვას“.

ამის გამო ავტორი გვთავაზობს, რომ აღარ გამოვეყოთ ბგერა სიტყვიდან, ამოსავალი წერა-კითხვის სწავლებაში გახდეს არა ცალკეული ასო-ბგერა, არამედ მარცვალი, როგორც „მთლიანი სახმო ელემენტი“. ამ თეორიის პრაქტიკულ ხორცშესხმას წარმოადგენს **ი. ზედგინიძის** „ახალი ქართული ანბანი“(თბილისი, წიგნის გამ-ბა ალ. არაბიძისა და ამხანაგობისა, 1919 წ). წიგნი შედგენილია მარცვლების მეთოდით: კითხვის უმცირეს ერთეულად წარმოდგენილია მარცვალი და მისგან ასო-ბგერის გამოყოფა ხდება რამდენიმე მარცვლის „დაზეპირების“ შემდეგ. წერა და კითხვა აქ დაშორებული ერთმანეთს და წერა ისწავლება მხოლოდ რამდენიმე მარცვლისა და ასო-ბგერის გაცნობის შემდეგ.

მარცვლებით სწავლების მეთოდის გამოყენება შერწყმით კითხვით ჩვევის გამოსამუშავებლად გვხვდება ბოლო წლებშიც. ეს არის ე. წ. „ფერადი მარცვლების“ მეთოდი, რომელიც გვხვდება ნ. კუპრავას, დ. ნაზირიშვილის... „დედაენაში“ (ნ. კუპრავა, დ. ნაზირიშვილი, მ. ფოფხაძე, მ. ხაზიური, „დედაენა“, გამომცემლობა დიოგენე, თბ. 2009) და ანაცვლებს ი. გოგებაშვილის მიერ დამკვიდრებულ ბგერით-ანალიზურ მეთოდს.

დასკვნა: მიზანშეუწონლად მიგვაჩნია მარცვლათმეერთების მეთოდის კოპირება და ბრმად გადმოტანა იმ ენებიდან, სადაც ასო და ბგერა ერთმანეთს არ ემთხვევა. რაც შეეხება სიტყვის ფონემატური ანალიზისათვის მის გამოყენებას ქართული წერა-კითხვის სწავლებისას, მას დიდი ხნის ისტორია აქვს და დღეისთვის აღარავისთვის არ არის სადავო.

ლიტერატურა:

1. ეროვნული სასწავლო გეგმა, დაწყებითი კლასები, 2018
2. ი. ზედგინიძე, ახალი ქართული ანბანი, თბილისი, წიგნის გამ-ბა ალ. არაბიძისა და ამხანაგობისა, 1919 წ
3. ი. ზედგინიძე, წერა-კითხვის სწავლება მთლიანი სახმო ელემენტის გამოყენებით, „მასწავლებლის თანამგზავრი“, 1928 წ
4. პლ. იოსელიანი, ანბანი სასარგებლოდ ქართველთა ახალმოსწავლეთა ყრმათა“ მეექვსე გამოცემა, 1849 წ
5. ი. კერესელიძე, ანბანი ახალ-მოქსწავლეთა ყრმათათვის, ტფილისი, ნამესტნიკის კანცელარიის გამოცემა, 1856 წ
6. ნ. კუპრავა, დ. ნაზირიშვილი, მ. ფოფხაძე, მ. ხაზიური, „დედაენა“, გამომცემლობა დიოგენე, თბ. 2009
7. ვ. რამიშვილი, ქართული ენის სწავლების მეთოდის საფუძვლები, თბ. 1987 წ
8. ვ. რამიშვილი, დედაენა, გამომცემლობა „განათლება“, 1990 წ
9. სასწავლო მეთოდური რესურსების კრებული „კითხვისა და წერის სწავლება დაწყებით საფეხურზე“, Georgian Primary Education Project (G-PRIED), Tb. 2015 წ
10. ა. ხოჯავა, ზ. მოსიავა, საანბანო წიგნის შედგენის პრინციპები 1955 წ
11. Reading Acquisition, Developmental Dyslexia and Skilled Reading Across Languages: A Psycholinguistic Grain Size Theory Johannes C. Ziegler, Centre National de la Recherche Scientifique and Universite de Provence, Usha Goswami, University of Cambridge, Psychological Bulletin 2005, Vol. 131, No. 1, 3–29, Copyright 2005 by the American Psychological Association , 0033-2909/05/\$12.00 DOI: 10.1037/0033-2909.131.1.3

Some Problems of Teaching the Georgian Literacy

Maglakelidze Elene

St. Ilia the Righteous School of the Georgian Patriarchy, Tbilisi

Abstract

The main problem arising in teaching reading /writing skills in the Georgian language includes following difficulties: students have trouble while spelling, reading or *mixing up words* and while *combining letters* to meaningful *words*. Although a child recognizes each letter in a word and expresses its corresponding sounds, however it is impossible for him/her to understand and interpret the reading material. Therefore, *techniques for reading syllable words is targeted* at preventing this difficulty. Understanding how to *divide words into syllables* means awareness, that each word consists of small parts. Those with the help of a syllabic method the pupil makes the first orientation and understanding of the word.

Key words: Literacy teaching methods, Syllables methods, Reading skills, Phonological skills.

აუდიო ტექსტების გაგებისა და რეპროდუცირების ტექნიკები

მუჯირი სოფიო

ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი; თბილისი

DOI: <https://doi.org/10.52340/idw.2023.99>

აბსტრაქტი. სტატიაში განხილულია აუდიო ტექსტის გაგებისა და რეპროდუცირების ტექნიკები, "მოსმენის" მეთოდები და უახლესი ტენდენციები. აღნიშნულია, რომ თანამედროვე ეტაპზე უპირატესობა ენიჭება კომუნიკაციურ, ალტერნატიულ მეთოდებს, მოსმენის სხვადასხვა სტილების და იმიტაციური მიდგომის გამოყენებას. ყურადღება გამახვილებულია მოსმენილი ავთენტური ტექსტის შინაარსის გაგებაზე და მისი ზეპირი, ასევე წერითი სახით რეპროდუცირებაზე, აუდიოტექსტის თანმხლები სავარჯიშოების დახმარებით. სასწავლო მასალა ორიენტირებულია როგორც საერთო ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს, ასევე უახლეს მეთოდიკურ-დიდაქტიკურ მოთხოვნებზე. სხვადასხვა ტიპის ზეპირ აუდიო-ტექსტში თემატიზებულია ენის შემსწავლელთა ინტერესები და ინტერკულტურული პრობლემები. ენის შემსწავლელთა ენობრივი აქტივობის, მათი სუბიექტური ემოციებისა და ასოციაციების ვერბალიზაციის სტიმულად გამოყენებულია მუსიკალური ნაწარმოების ფრაგმენტთა რეცეფცია და რეფლექსია.

საკვანძო სიტყვები: აუდიო ტექსტის გაგებისა და რეპროდუცირების ტექნიკები, "მოსმენის" მეთოდები

უცხოენოვანი ტექსტის საბაზისო უნარ-ჩვევაა, რომლის გარეშე შეუძლებელია უცხო ენის შესწავლა. ეს რეცეფციული უნარი წარმოადგენს წინაპირობას პროდუქტიული უნარ-ჩვევების, პირველ რიგში, მეტყველებისა და წარმოთქმის უნარ-ჩვევების განვითარებისათვის. თუ გადავხედავთ მოსმენის უნარ-ჩვევების განვითარების ისტორიას, დავინახავთ, რომ გერმანულის როგორც უცხო ენის სწავლების სხვადასხვა მეთოდში, უცხოენოვანი ზეპირი ტექსტის მოსმენასა და გაგებას ყოველთვის არ ეთმობოდა ჯეროვანი ყურადღება. ასე მაგალითად, "გრამატიკისა და თარგმნის" მეთოდში (XIX ს.) მოსმენის უნარ-ჩვევის განვითარება უტოლდებოდა მასწავლებლის მიერ ხმამაღლა წაკითხული უცხოენოვანი ლიტერატურული ტექსტის მოსმენასა და მიბადვას. მასწავლებელი ენობრივი მიბადვის ნიმუშს წარმოადგენდა "პირდაპირი" მეთოდის დროსაც (XIX ს. 80-იანები წლები). ამ მეთოდის ყურადღების ცენტრში მოექცა ზეპირი, ყოფითი მეტყველების მოსმენა და გამეორება. "აუდიო-ლინგვალურ" მეთოდში (XX ს. 40-იანები წლები) მოსმენის, წარმოთქმისა და მეტყველების უნარ-ჩვევათა განვითარებას დომინანტური მნიშვნელობა მიენიჭა. ტექნიკური საშუალებების გამოყენება ზეპირმეტყველების ლაბორატორიაში ენის შემსწავლელებს საშუალებას აძლევდა მოესმინათ სხვადასხვა დიქტორის მიერ წარმოთქმული ავთენტური ტექსტები, მიუხედავად ენობრივი მოდელისათვის და გაეცნობიერებინათ ენობრივი მასალის სტრუქტურული ნიმუშები გასამეორებელი და საწარმოთქმო სავარჯიშოების დახმარებით. "კომუნიკაციურმა დიდაქტიკის" (XX ს. 70-იანი წლები) მეთოდის თანახმად, ენის შემსწავლელებს მოეთხოვებოდათ ენობრივად მიზანშეწონილი კომუნიკაციური ქმედება ყოფით და პროფესიულ სიტუაციებში. ამ მოთხოვნის შესაბამისად ყურადღება გამახვილდა სხვადასხვა თემატიკისა და ტიპის ავთენტური ზეპირი ტექსტის მოსმენაზე (Neuner/Hunfeld, 2007: 37).

როგორც ცნობილია, ერთიან ევროპულ სარეკომენდაციო ჩარჩოში მოცემულია ენობრივი

კომპეტენციის ცალკეული აქტივობებისა და პარამეტრების სკალები. მათ შორის უცხოური ენის შემსწავლელთათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ზეპირი მეტყველების მოსმენისა და გაგების კომპეტენცია, რადგან მოსმენილი ზეპირი მეტყველების აღქმა-გაგებისა და მასთან დაკავშირებული ფონეტიკურ-ფონოლოგიური კომპეტენციის გარეშე, ისინი ვერ გაართმევენ თავს უცხოენოვან სამყაროში ელემენტარულ დონეზე კომუნიკაციასაც კი, რადგან: მოსმენა, პერცეფცია წარმოადგენს საფუძველს პროდუქციისათვის, მეტყველებისათვის, ენის რეცეფციული აღქმა წარმოადგენს ენის შესწავლის უმთავრეს წინაპირობას. გამოკვლევებით დადასტურებულია, რომ „მოსმენას“ წამყვანი ფუნქცია აკისრია ენის ყოველდღიური გამოყენების დროს – 42%. მას მოსდევს „მეტყველება“ – 32%, „კითხვა“ – 15% და „წერა“ – 11%. (Brückner, 2010:17; Solmecke, 2001:893; Neuer/Hunfeld, 2007:37). ის ფაქტი, რომ ზეპირი მეტყველების რეცეფციული აღქმისა და გაგების უნარი წარმოადგენს კომუნიკაციაში წარმატებული მონაწილეობის წინაპირობას, განსაკუთრებითაა გასათვალისწინებელი უცხო ენის გაკვეთილზე. უცხო ენის გაკვეთილზე, ერთი მხრივ, საჭიროა ვიზრუნოთ მოსმენის უნარ-ჩვევის ჩამოყალიბებისათვის აუდიო- და კომპიუტერული ტექნიკისა და უახლესი მეთოდოლოგია-დიდაქტიკის გამოყენებით, მეორე მხრივ კი, აუცილებელია ზეპირი მეტყველების გაგებასთან დაკავშირებული სირთულეების გათვალისწინება როგორც სწავლების პროცესში, ასევე „მოსმენის“ ტესტის შედგენისა და შეფასების დროს. ეს სირთულეები მრავალფეროვან ხასისთს ატარებს:

1. *მოსმენილი ტექსტის გაგება აქტიური და სუბიექტური პროცესია.* ენის სხვადასხვა შემსწავლელმა მოსმენილი ტექსტი შეიძლება სხვადასხვაგვარად გაიგოს, რაც დამოკიდებულია მის ინდივიდუალურ მიზნებზე, თეზაურუსზე და მოტივაციაზე. უცხო ენის შემსწავლელთა მიერ მოსმენილის გაგება მრავალრიცხოვან ფაქტორებზეა დამოკიდებული, როგორცაა: *დისტანცია მშობლიურ და უცხოენოვან ქვეყანას შორის, და ამ ქვეყნების კულტურათა ფონური ცოდნა*, ტექსტის ტიპებისა და სუპერსტრუქტურების მეტაკოგნიტიური ცოდნა, გაგების კომპეტენცია მშობლიურ ენაში, ზოგადი ენობრივი და სტრატეგიული კომპეტენციები, და ა.შ.
2. თუ მოსმენელმა ტექსტის ნაწილი არაადეკვატურად გაიგო (მაგალითად, სპონტანური მეტყველებისათვის ტიპური ლექსიკის გამო), მას გაუჭირდება შემდეგი ტექსტის გაგება, ვინაიდან აუდიტორული/აკუსტიკური არხის სპეციფიკა ზღუდავს მოსმენილის კოგნიტიურ აღქმას (განსხვავებით ვიზუალური არხისაგან, სადაც მაგ. კითხვის დროს შესაძლებელია ტექსტის ვერ გაგებული მონაკვეთის ხელახლა წაკითხვა). *მოსმენილი და გაგებული ინფორმაციები, რომლებიც უნდა დავიმახსოვროთ, წარმოადგენენ ბაზისს ტექსტის მომდევნო ნაწილის გაგებისათვის.*
3. უცხო ენის შემსწავლელებს მოსმენის დროს უმთავრესად აქვთ უფრო ცუდი გაგებისა და დამახსოვრების უნარი, ასევე *დამახსოვრების ოპტიმალური გამოყენების უნარი*, ვიდრე ეს მათ თავიანთ მშობლიურ ენაში აქვთ. ლიტერატურაში აღინიშნება, რომ ენის შემსწავლელთა 65%-ს აქვს დამახსოვრების პრობლემები მოსმენილი ინფორმაციის მენტალური გადამუშავების პროცესში. რაც უფრო მეტი ლექსიკური და გრამატიკული კომპეტენცია გააჩნია უცხო ენის შემსწავლელს, მით უფრო მეტი დამახსოვრების უნარი აქვს მას ტექსტის შინაარსობრივი დამუშავების პროცესში.
4. ბგერითი სტიმულის აღქმა-გაგებისათვის შემსწავლელს უნდა ჰქონდეს განვითარებული *პერცეფციული აღქმის უნარი*. უცხო ენის შემსწავლელები ამ სფეროში ხშირად ჩამორჩებიან ამის შედეგად მათ ნაცნობი სიტყვების იდენტიფიკაციაც კი უჭირთ.
5. გასათვალისწინებელია *აუდიო-ტექსტისა და თანმხლები დავალებების სირთულე* (მაგ. შინაარსობრივად პოლივალენტური ტექსტები არ უნდა შევარჩიოთ მოსმენის უნარ-ჩვევის შესამოწმებლად).
- ა). მოსმენის *თანმხლები დავალებების სირთულეს განაპირობებს ტექსტის შინაარსის კონცეპტუალური სირთულე*. ბრაუნის ასახელებს მოსამენი ტექსტების კოგნიტიურ-კონცეპტუალური სირთულის მახასიათებელ თვისებებს. ტექსტები კანდიდატისათვის შედარებით ადვილი გასაგებია, თუ ამ ტექსტებში:

- რეფერენტების (ინდივიდების, ობიექტების) მცირე რაოდენობაა მოცემული;
 - რეფერენტები ერთმანეთისაგან მკაფიოდ არიან გამიჯნული;
 - ლოკალური მიმართებები ნაკლებად კომპლექსურია.
 - რეალური თხრობის თანმიმდევრობა მოვლენათა თანმიმდევრობას შეესაბამება;
 - მოსმენილის გაგებისათვის არაა საჭიროა რთული ლოგიკური დასკვნებიდან გამომდინარე „გაგება“;
 - შინაარსი ფორმულირებულია მკაფიოდ და ტექსტში მოცემული ინფორმაციები ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია.
- ბ). მოსმენილის გაგების თანმხლები დავალებების სიმწელეს განაპირობებს ასევე შემდეგი ფაქტორების ურთიერთქმედება: ტექსტისა და აკუსტიკური სტიმულის მახასიათებლები, ინსტრუქციების სპეციფიკა და პიროვნებისათვის ტიპური თვისებები.
- ტექსტისა და მისი თანმხლები დავალებების დამახსოვრება აუცილებელია ტექსტის გამიზნული სტილით მოსმენის და დავალებათა შესრულებისათვის. იმ შემთხვევაში, როდესაც დავალებები ტექსტის მოსმენის შემდეგაა გასაკეთებელი, უცხო ენის შემსწავლელის მეხსიერება შეიძლება ძალიან გადაიტვიროს. ასეთ შემთხვევაში გარდა თავად მოსმენის უნარ-ჩვევის შემოწმებისა და შეფასებისა, ფაქტობრივად ჩვენ *ვამოწმებთ ამ პირის დამახსოვრების უნარსაც*.
6. *მოსმენის დროს აუდიტორული შთაბეჭდილება ხანმოკლე და სწრაფად წარმავალია, უწყვეტი აკუსტიკური სიგნალის დროში შეზღუდვის გამო. ეს იწვევს მოსმენილი ინფორმაციის გადამუშავების პროცესში ენის შემსწავლელის კოგნიტიურ გადატვირთვას. ამასთან, ტექსტის ნაკადის ავთენტური სისწრაფე, რომელიც დამოკიდებულია აუდიო სიგნალზე/მეტყველ პირზე, ართულებს მსმენელის მიერ აუდიო ტექსტზე კონტროლის განხორციელებას.*
7. ენის შემსწავლელთა მიერ მოსმენილი ტექსტის ადეკვატურ გაგებას მნიშვნელოვნად ართულებენ *ზეპირი, სპონტანური მეტყველების სპეციფიკური თავისებურებები*. სპონტანურობის მზარდი ხარისხის მიხედვით განასხვავებენ: არასპონტანურ ყოფით მეტყველებას, მომზადებულ ყოფით მეტყველებას, სპონტანურ ყოფით მეტყველებას. სპონტანური ყოფითი მეტყველების მაგალითია საუბარი ლუდხანაში. არასპონტანურ ყოფითი მეტყველების კატეგორიას მიეკუთვნებიან მოსასმენი ტექსტები, რომლებიც ჯერ წერილობით არიან ფორმულირებული, შემდეგ კი სიტყვა-სიტყვით წაკითხული ან ზეპირად გადმოცემული (ე.წ. ტექსტების ტრანსკრიფცია). მომზადებულ ყოფით მეტყველებას შესაძლოა მივაკუთვნოთ ლექცია ან პოლიტიკური კომენტარი რადიოსა და ტელევიზიაში. სპონტანური ყოფითი მეტყველება ხასიათდება პარატაქსებით, ელიფსებით, შეწყვეტილი წინადადებებით, გამეორებებით, “შევსებული” პაუზებით, კავშირების (weil, obwohl) გამოყენების დროს ზმნის არაფინალური პოზიციით, ვულგარიზმებით, დიალექტური გამონათქვამებით, კოარტიკულაციის ტენდენციით, რედუქციით, ხმოვანთა რედუცირებით და სხვ. ბევრი აუთენტური აუდიო ტექსტი ავლენს ზეპირი მეტყველების თვისებებს, რაც ტექსტის მოსმენისა და გაგების, ასევე ტესტირების დროს, გასათვალისწინებელია როგორც პოტენციური სირთულის ფაქტორი.
8. განსხვავებით წერითი ტექსტისაგან, რომელიც წარმოადგენს დისკრეტული ერთეულებისაგან (ასოებისაგან, სიტყვებისაგან და ა. შ.) შემდგარ სისტემას, მოსასმენი ტექსტი გარკვეულ დროში რეალიზებული ბგერათა ნაკადია, რომელსაც *მსმენელი ანაწევრებს პაუზების მეშვეობით*. წერილობითი ტექსტისაგან განსხვავებით, ზეპირ ტექსტში *სიტყვათა საზღვრები ნაკლებადაა გამოკვეთილი*. ამიტომ ტექსტის გაგებისათვის მსმენელი იძულებულია ბგერათა ნაკადში გამოყოს ცალკეული სიტყვები და ფრაზები. *უცხოენოვანი აუდიო ტექსტის სიტყვებად და ფრაზებად დანაწევრება* მოსმენის პროცესში ასევე ერთ-ერთ სირთულეს წარმოადგენს, განსაკუთრებით მაშინ, თუ მოსასმენ ტექსტში აღინიშნება კოარტიკულაციის, რეგრესული ან პროგრესული ასიმილაციის, რედუქციის თუ ხმოვნის რედუცირების ტენდენცია. ემპირიული გამოკვლევები ცხადყოფს, რომ ძალიან გრძელმა პაუზებმა წინადადებებს შორის, ან წინადადებათა ნაწილებს შორის,

ისევე როგორც ძალიან ნელი მეტყველების ტექსტმა შეიძლება შეაფერხოს მოსმენილის გაგება.

9. უცხო ენის შემსწავლელს განსაკუთრებულ სირთულეს უქმნის *აუდიოტექსტის თანმხლები ფონური ხმაური* მოსმენის პროცესში.
10. ზეპირი მეტყველების გაგების დროს *შეუძლებელია ენის შემსწავლელის აღქმა-გაგების პროცესზე უშუალო დაკვირვება*. ეს ფაქტი მოსმენას ძირეულად განასხვავებს მეტყველებისა და წერის უნარ-ჩვევებისაგან, რომლებზე დაკვირვებაც შესაძლებელია. მოსმენის უნარ-ჩვევის ტესტირების დროს, ჩვენი დაკვირვება ენის შემსწავლელზე უმთავრესად მდგომარეობს მხოლოდ მისი რეაქციის გაკონტროლებაში, მაგ. შემოხაზავს თუ არა იგი მოსმენილი ტექსტის თანმხლებ დავალებაში რამდენიმე მოცემული ალტერნატივიდან სწორ ვარიანტს.

ჩამოთვლილი პრობლემების გამო, ბუნებრივია, რომ უცხო ენის შემსწავლელებს უჩნდებათ მოსმენილი უცხო ტექსტის გაგებისადმი სპეციფიკური შიში, რომელიც გაგების პროცესის ბლოკირებას იწვევს.

კომუნიკაციურმა დიდაქტიკის და სხვადასხვა ალტერნატიული მეთოდის დანერგვამ, შეცვალა სასწავლო მასალის ფორმატი და სწავლების პარადიგმა, რომლის მიხედვითაც:

მოსმენის პროცესში პედაგოგს შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა მიზანი: მაგ. ტესტის გლობალური, სელექციური გაგება ან ტექსტის დეტალურ ინფორმაციებზე ყურადღების გამახვილება. ყოველი მოსმენის მიზანი განსაზღვრავს მოსმენის ტექსტის გაგებისა და დამუშავების რავგარობას. ამიტომ სწავლებისა და ტესტის შედგენის პროცესში, მხედველობაშია მისაღები მოსმენის სტილის შერჩევა: დეტალური მოსმენა, სელექციური მოსმენა თუ გლობალური მოსმენა (გარდა მოცემული ტერმინებისა, ხმარობენ ასევე ტერმინებს: ორიენტაციული მოსმენა, კურსორული მოსმენა, ტოტალური მოსმენა, იხ. Brückner, 2010: 57).

მოსმენის ეტაპები მჭიდროდაა დაკავშირებული აუდიოტექსტის თანმხლები დავალებების სპეციფიკურ გამოყენებასთან. მაგალითად, *მოსმენის წინ უნდა გამოვიყენოთ*: ასოციოგრამა, ილუსტრაცია, ტექსტისა და სურათის მისადაგება და სხვ.; *მოსმენის პროცესში*: ანტიციპაცია, სურათებით და ბარათებით მუშაობა, ვიზუალური კარნახი, ინფორმაციის ცხრილში შეტანა, საკვანძო სიტყვების მარკირება და ა. შ.; *მოსმენის შემდეგ*: აუდიოტექსტის გაგებასთან დაკავშირებული შეკითხვები, ვერბალური და არავერბალური დავალებები, შეცდომებიანი ტექსტის გასწორება და სხვ.). მოსმენა იქცა კომპლექსური ქმედებების მომცველ ასპექტად, ენის შემსწავლელთა "აქტიური და კრეატიული კომუნიკაციური ქმედებების სტიმულად." *ალტერნატიულ* მეთოდებში, როგორცაა *სუგესტოპედია* და *სუპერლერნინგი*, პრიორიტეტი ენიჭება მოსმენის უნარ-ჩვევის განვითარებას სხვა უნარ-ჩვევებთან (წარმოთქმა, მეტყველება, წერა) ინტეგრაციაში. სუგესტოპედიური მეთოდის მიზანია ენის შემსწავლელთა აქტიური კომუნიკაციური ქმედება "თავით, ხელითა და გულით", ტვინის ორივე ნახევარსფეროს კოგნიტიური და ემოციური შესაძლებლობების გამოყენებით (Solmecke, 2001:893).

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მონოლოგური და დიალოგური, სხვადასხვა ტიპის აუთენტური ზეპირი ტექსტების მოსმენა-გაგებას, ემოციური ფაქტორების მხედველობაში მიღებით, მუსიკალური ფაზებისა და ფონური ხმაურის თანხლებით, რაც უცხო ენის გაკვეთილზე როლური თამაშების ინიცირებისათვისაა გამოყენებული. რეალური კომუნიკაციური სიტუაციის ასეთი სიმულაცია ენის შემსწავლელს ეხმარება ზემოთ ჩამოთვლილი მეთოდების ათვისებაში, გერმანულენოვან სამყაროში ზეპირი ტექსტის უკეთ აღქმასა და დამახსოვრებაში და აქტიური კომუნიკაციური ქმედების განხორციელებაში.

ბუნებრივი მიდგომის მეთოდს საფუძვლად უდევს ექვსი პრინციპი (პერცეფციული სწავლების, გაცნობიერებული აღქმის, ინტერაქციული, ემოციური, ინტერკულტურული და ლექსიკური), რომელთა შორის პერცეფციული სწავლების პრინციპს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. ზეპირი მეტყველება უნდა ისწავლებოდეს მხოლოდ ავთენტური ზეპირი ტექსტებით, რომელთა მოსმენის სტრატეგიები უზრუნველყოფენ სტიმულის

სემანტიკურ გადამუშავებას. ეს კი ხელს უწყობს უცხო ენის ბუნებრივ შესწავლას. მოსმენის უნარ-ჩვევების განვითარება ითვალისწინებს როგორც იმიტაციურ, ასევე კოგნიტიურ მიდგომას. იმიტაციური მეთოდი მოსმენის სფეროში დღესაც დომინირებს გერმანული ენის თანამედროვე სახელმძღვანელოებში. როგორც ჩანს, ეს იმით აიხსნება, რომ უცხო ენაში ვერბალური კომუნიკაციის ყველაზე მნიშვნელოვანი საშუალებების ათვისება, პირველ რიგში, მოსმენითა და მიბაძვით უნდა მოხდეს.

მეტი ყურადღება უნდა გავამახვილოთ მოსმენილი ავთენტიკური ტექსტის შინაარსის გაგებაზე. შესრულებული სამუშაოს კონტროლის ფორმად სასურველია შემოვიღოთ ტექსტში გამოტოვებული ინფორმაციის შევსება და მოსმენილი ტექსტის ზეპირი ან წერითი სახით კომენტირება. სავარჯიშოებში გათვალისწინებული უნდა იყოს მოსმენის სტილები და მოსმენის კომპეტენციის ინტეგრაცია სხვა უნარ-ჩვევებთან (მეტყველება, კითხვა, წერა). მოსასმენ ტექსტებში წარმოდგენილი უნდა იყოს ყოფითი მეტყველების, მისი სტილისტიკური და ემოციური კონოტაციების, ასევე სხვადასხვა სოციოლექტების ნიმუშები, ანუ ის ენა, რომელიც ენის შემსწავლელებს ესმით გერმანულენოვან სამყაროში. გათვალისწინებული უნდა იყოს ასევე ზეპირი მეტყველების თანმხლები ფაქტორები: მეტყველების ტემპი, ყოფითი მეტყველების თავისებურებები, ემფაზა და ა.შ. უახლესი მეთოდიკა-დიდაქტიკის თანახმად, სასურველია, სავარჯიშოებს ფონად ახლდეს აუთენტიკური მუსიკა ან ზეპირი მეტყველების თანმხლები ხმაური. ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაზე დიდ ზეგავლენას ახდენს მედიალური აკუსტიკა, კომპიუტერი, ფილმები. ბუნებრივ, ზეპირ კომუნიკაციას თან ახლავს ფონური ხმაური, რომელიც ჩვენი გარესამყაროს მნიშვნელოვან მახასიათებელს წარმოადგენს. შესაბამისად, საჭირო ხდება მოსმენის, როგორც მედიალური აღქმის კომპეტენციის განმავითარებელი ტრენინგები. ბადშტიუბნერი-კიზიკი მიუთითებს მოსმენის პროცესში ინსტრუმენტალური მუსიკისა და აუთენტიკური ფონური ხმაურის საჭიროებაზე. მისი აზრით, მუსიკის მოსმენის პროცესში ყალიბდება სტრატეგიები უცხო კულტურასთან მიმართებაში. მუსიკას აქვს უნარი შექმნას პოზიტიური განწყობა მოსასმენი ტექსტის აღქმისათვის, გაზარდოს ენის შემსწავლელთა ფანტაზია, კრეატიულობა და ვერბალური აქტივობა. მუსიკალური ნაწარმოების რეცეფცია და რეფლექსია, ბადშტიუბნერის მიხედვით, უცხო კულტურის აუთენტიკური აღქმის საშუალებას წარმოადგენს. მუსიკა ენობრივი აქტივობის სტიმულატორია, რადგან "მუსიკალური ნაწარმოების მოსმენის დროს აქტუალიზდება ენის აღქმისა და გადამუშავების ინდივიდუალური პროცესები, რომლებიც სუბიექტურად აღქმული ემოციების, მოგონებების, ასოციაციების ბაზაზე, ახალი ტექსტების პროდუცირების წინაპირობას ქმნიან" (Badstübner-Kizik, 2004:11-12).

გარდა ზემოთქმულისა, მოსმენის უნარ-ჩვევის ჩამოყალიბების პროცესში უნდა გამოვიყენოთ ისეთი ზეპირი აუთენტიკური ტექსტის ტიპები, რომელთა თემატიკა ითვალისწინებს როგორც გერმანული ენის მატარებლის, ასევე გერმანული ენის შემსწავლელის პერსპექტივიდან დანახულ გერმანული კულტურის თავისებურებებს, პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრების წესს. ეს ინტერკულტურული შედარების და კონფლიქტურ სიტუაციათა მოსმენა-გაგებისა და ვერბალიზაციის საშუალებას მოგვცემდა. სასურველია, ზეპირი ტექსტები შეიცავდნენ როგორც გერმანულ, ასევე არაგერმანულ პერსონაჟთა, სხვადასხვა ასაკისა და სქესის დიქტორთა საწარმოთქმო ნიმუშებს. მოსასმენი ტექსტები და მათი თანმხლები სავარჯიშოები სირთულის პროგრესიის მიხედვით უნდა დალაგდეს და მიესადაგოს საერთო ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს მოთხოვნებსა და დონეებს.

ლიტერატურა:

1. Badstübner-Kizik, Camilla (2004). Wortschatzarbeit, Schreiben, Hörverstehen und was noch? Anmerkungen zur Rolle von Kunst und Musik im Fremdsprachenunterricht. Cytowane przez 13. In: ÖDaF-Mitteilungen 1:6-18.
2. Brückner, Maria (2010). Zur Mehrdimensionalität literarästhetischer Erfahrungsräume im Deutschunterricht. Norderstedt: GRIN Verlag.

3. Neuner, Gerhard; Hunfeld, Hans (2007). Methoden des fremdsprachlichen Deutschunterrichts. Eine Einführung, Berlin: Fernstudieneinheit 4.
4. Solmecke, Gert (2001). Hörverstehen. Berlin, New York: Helbig, Gerhard u.a. (Hrsg.), Deutsch als Fremdsprache.

Techniques of comprehension and reproduction of audio texts

Mujiri Sophie

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Tbilisi

Abstract

The paper analyzes methods of listening and latest trends in this field. It is mentioned that at this stage priority is given to communicative, alternative methods and the use of diverse styles of listening as well as imitation. Special emphasis is made on the comprehension of the content of authentic texts and their oral and written reproduction, using the exercises accompanying audio-texts. The teaching material envisages common European recommendation framework and latest methodological-didactic requirements. The oral audio texts embrace the themes reflecting the fields of interests of language learners. Intercultural issues are viewed from diverse perspectives. Reception and reflection of fragments of musical pieces are used as a stimulus for linguistic activity of language learners as well as verbalization of their subjective emotions and associations.

Key words: comprehension, reproduction, audio text, methods of listening.

კულტურათაშორისი მიმართულებანი ძველი საქართველოს განათლებაში

მახარაშვილი გიორგი

სსიპ წმ. ტბელ აბუსერიძის სახელობის ხიჭაურის სასწავლო უნივერსიტეტი

DOI: <https://doi.org/10.52340/idw.2023.100>

აბსტრაქტი. კონფერენცია დაფიქსირების, გაკეთებულის შეფასების, გამოცდილების გაზიარების, ახალი იდეების საშუალებად მიმაჩნია. ამ თვალთახედვით გავეცანი თელავის კონფერენციის თემას, თემატიკას და უპირველესი, რაც გამახსენდა, ეს იყო გაიოზ რექტორის მიერ საგანმანათლებლო რეფორმასთან დაკავშირებით უცხოური გამოცდილების შესწავლა და მორგება მისი სასწავლებლის საჭიროებებზე. ერთი მაგალითია: სასწავლო წლის დასასრულს სემინარიელს ევალუბოდა წარმოდგინა ზეპირი მოხსენება საჯაროდ, ღიად ეპასუხა შეკითხვებზე, მხოლოდ ამის შემდეგ ითვლებოდა მომდევნო კურსზე გადასულად. როგორ ჰგავს ეს ფორმა დღევანდელ საკურსო ნაშრომის დაცვას და უფრო უკეთესიცაა.

განცდილმა ვითარებამ გადამაწყვეტინა გამომეკვლია კულტურათაშორის მიმართებათა მემკვიდრეობა ძველი საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში. დასაწყისში ჩავატარე კვლევა კულტურათაშორისი დიალოგების მიმართ სასკოლო საზოგადოების დამოკიდებულების შესასწავლად. კვლევამ მოიცვა ზემო აჭარა: ხულო, ქედა, შუახევი. კვლევის შედეგები მოსალოდნელზე უკეთესი გამოდგა: საოჯახო ტურიზმის განვითარებამ მოითხოვა კულტურათაშორისი ურთიერთობების შესწავლა. ამ მიმართებით დადებით მაგალითად წარმოჩინდა ჩვენს უნივერსიტეტში დაგეგმილი სასწავლო კურსი: „ინტერკულტურული განათლების“ (2012 წლიდან), ხიჭაურის წმინდა გრიგოლ ხანძთელის სკოლის მასწავლებლის ჯ. აბაშიძის პირადი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა: ინტერკულტურული განათლების პრობლემები. სასწავლო პროექტები „ალ. დიუმს აჭარაში ერთ ოჯახში ოთხი თაობის ცხოვრების შესახებ“.

საკვანძო სიტყვები: კულტურათაშორისი მიმართულებანი ძველი საქართველოს განათლებაში

კვლევის შედეგების რესპოდენტებთან გაცნობის შემდეგ მკაფიოდ გამოვლინდა საჭიროება, „საიდან მოვდივართ“, რათა სწორი გზით ვიაროთ. ეს შემთხვევითი არ ყოფილა. მასწავლებლის დარგობრივი მახასიათებელია: გაცნობიერება იმისა, რომ განათლების მეცნიერებაში დაგროვილი ცოდნა მისი პედაგოგიური საქმიანობის ამოსავალია. ამ მიმართებით კულტურათაშორისი მიმართებების შესახებ დაგროვილი ცოდნის თანამედროვე გადასახედიდან წარმოჩენა სასარგებლოა კეთილგანწყობილი, მშვიდობიანი სასწავლო გარემოს შესაქმნელად, განსაკუთრებით იმ რეგიონში, სადაც სხვადასხვა აღმსარებლობის, სხვადასხვა კულტურის ადამიანები ცხოვრობენ და სწავლობენ.

ძველ საქართველოში კულტურათაშორისი მიმართებების შესწავლისა და ანალიზისთვის სამაგიდე კვლევის მეთოდის გამოყენებით განვიხილეთ მოსაზრებანი, რომელთაც გვთავაზობენ შალვა ნუცუბიძე, კორნელი კეკელიძე, სვიმონ ყაუხჩიშვილი, გიორგი თავიშვილი, სვიმონ გამსახურდია და სხვები.

კვლევის შედეგები დავაჯგუფეთ პრობლემების მიხედვით და კონფერენციის მოხსენების ფორმატის შესაბამისად წარმოვადგინეთ მოკლე მიმოხილვით.

სამეცნიერო ხარისხი ძველ საქართველოში. აკადემიკოსი შალვა ნუცუბიძე იკვლევდა ამ პრობლემას საბერძნეთთან მიმართებაში, სადაც არსებობდა სამეცნიერო ხარისხის წოდება: „ფილოსოფოსი“ (მაღალი კვალიფიკაცია, „იპატოსი“ (ფრიად წარმატებული) „იპატოსი

ფილოსოფოსთა“ (წარმატებული ფილოსოფოსი). ეს ბოლო წოდება. ხარისხი ჰქონდა უნივერსიტეტის ხელმძღვანელს. წმინდა მეფე დავით აღმაშენებელი იცნობდა ბერძენთა გამოცდილებას, მაგრამ გელათის აკადემიის სათავეში მყოფი პირისთვის უმაღლესი წოდება/ ხარისხის მიკუთვნების ქართული გზა აირჩია და დააწესა წოდება-ხარისხი „მოჭივართა მოჭივარი“ (მისი დაბალი საფეხური იყო „მოდღვარი“). საგულისხმოა, რომ ტერმინი „მოდღვარი“ სამეცნიერო წოდებიდან შეიცვალა, მაგრამ დღემდე დიდ განათლებას აღნიშნავს.

საქართველოს უნივერსიტეტის დაარსების მეთაურის აკად. ივანე ჯავახიშვილის მიერ შედგენილ საუნივერსიტეტო დებულებაში პროფესორები იწოდებიან „მოდღვართ-მოდღვრებად“.

მოდღვართ-მოდღვარი სამეფო კარზე საპატივცემულო პირი იყო. ვიზიარებთ აკადემიკოს კორნელი კეკელიძის მოსაზრებას, რომ მოდღვართ-მოდღვარი თანამედროვე ტერმინით რომ ვიხმართ, განათლების მინისტრი იყო სახელმწიფოში. ეს მოსაზრება დამადასტურებელია იმისა, რომ ქვეყანაში განათლების საქმეს მაღალი განათლების ხარისხის მქონე პიროვნება განაგებდა.

უცხოური ენების შესწავლა

IV-XI საუკუნეებში ძირითად სასწავლო საგნებში: ქართული მწიგნობრობა, აგიოგრაფია, ფილოსოფია, ჰიმნოგრაფია, ლიტურგიკა, მშობლიური ქვეყნის და უცხოური ქვეყნების მცირე ისტორია, მოძღვრება ადამიანის ბუნების შესახებ შედიოდა უცხო ენა/ენები. (ბერძნული, ლათინური, არაბული, სპარსული). ქართული განათლება ბერძნულ ენას და ბერძნულ ენაზე დაწერილი წიგნების ცოდნასაც მოიცავდა. შალვა ნუცუბიძის კვლევით ბერძნული ენა საერთაშორისო ენად ითვლებოდა და სამონასტრო სკოლებში აუცილებელ შესასწავლელად იყო გათვალისწინებული (დასავლეთ ევროპას რომ შევადართო, იქ არ იციან და არ ასწავლიან უცხო ენას). ცნობილია, რომ ქართულად აღზრდილ იოანე საბანისძეს შეეძლო საუბარში გამოეწვია ბერძნები და საქართველოს სახელით ელაპარაკა.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ უცხოურ ენაზე სწავლა, უცხოური ფილოსოფიისა და მწერლობის შესწავლა და გადმოღება განურჩევლად არ ხდებოდა. წმინდა გრიგოლ ხანძთელმა, რომელმაც შეისწავლა „სიბრძნენი ამ ქვეყნისანი და გარეშე ფილოსოფოსთა სწავლანი“, „მწიგნობრობაი სწავლა მრავალთა ენისა“, „მირკვალი განაგდის“ ე.ი. რაც მისაღები არ იყო ეცნობოდა, მაგრამ განზე სტოვებდა, სწავლობდა და ასწავლიდა მხოლოდ კეთილსა. რა მოტივიც არ უნდა ყოფილიყო ამის მიზეზი სერიოზულ გამოცდილებად მოჩანს.

უცხოური სკოლის გამოცდილება

ორატორული ხელოვნების დაუფლება უცხოეთში განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ იყო. ცნობილია ციცერონის შეხედულებანი და კვინტილიანეს 12 ტრაქტატი. რიტორიკულ ხელოვნებაში გაწვრთნა სიტყვაკაზმულობის, ლიტერატურაში, ფილოსოფიაში, იურიდიულ საკითხებზე განსწავლულობას, მსმენელზე ზეგავლენის მოპოვებას გულისხმობდა. გამოიყენებოდა სახალხო კრებაზე, ჯარში, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, სადაც სიტყვის ძალის გამოყენება აუცილებელი ხდებოდა.

კოლხეთში ფაზისის (ფოთი) მახლობლად არსებული რიტორიკული სკოლის შესახებ ერთადერთი ცნობა ეკუთვნის თემისტოსს (317-388), რომლის მიხედვით მას და მის მამას იქ მიუღიათ რიტორიკული განათლება. თემისტოსის წერილის მიხედვით კოლხეთის სკოლა თავისი შინაარსით და დანიშნულებით დიდად არ განსხვავდებოდა რომაული რიტორიკული სკოლისგან. ისწავლებოდა ლიტერატურა, ისტორია, მათემატიკის ელემენტები, ფილოსოფია, სასამართლოს საფუძვლები.

აკადემიკოსი სიმონ ყაუხჩიშვილი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ფოთის მახლობლად ისეთი რიტორიკული სკოლის არსებობას, სადაც უცხო ქვეყნის ახალგაზრდებიც სწავლობდნენ.

სახელმძღვანელოები

იოანე ბატონიშვილის „სწავლანის“ წინასიტყვაობაში აღნიშნულია, რომ ასეთი სახის წიგნები საქართველოში მრავლად იყო. (მაგალითად VI საუკუნეში შიო მღვიმელის „სწავლანი მის მიერი“.

VII-X ს ცოდნის მოცულობის, ორგანიზაციის, რომელშიც სახელმძღვანელოებიც შედიოდა არსებობის ხარისხი ეფუძნება იმ პერიოდის ცნობილ პიროვნებათა განათლების დონის მაჩვენებელს.

ვახტანგ VI -ისა და სულხან-საბას თაოსნობით დაწყებული კულტურული საქმიანობის ერთ-ერთი შემაღენელი ნაწილია ახალი სახელმძღვანელოების შექმნა. გამოვეყოფთ სახელმძღვანელოთა თარგმანის საკითხს: ვახუშტი ბატონიშვილს ლათინურიდან უთარგმნია „მსოფლიო გეოგრაფია“, მაგრამ არ მოსწონებია და მეორედ უთარგმნია რუსულიდან. უწოდა „მსოფლიო გეოგრაფია განწყობილი დახმარებისთვის ღიმნაზიისა და აკადემიისთვის“. წიგნს დაურთო თავისი ხელით შედგენილი რუკები. იწყებოდა ევროპის საერთო აღწერით.

პროფესორ მიხ. შენგელიას კვლევით გელათის აკადემიაში, ასევე როდესაც ევროპაში ისწავლებოდა მედიცინა. გამოიყენებოდა ნათარგმნი „წიგნი სააქიმო“, რომელსაც სავარაუდოდ სახელმძღვანელოს დანიშნულება ჰქონდა.

ქალთა განათლება

წყაროების ანალიზი ცხადყოფს, რომ ძველ საქართველოში ქართველ ქალთა მონასტრებში კულტურულ საგანმანათლებლო საქმიანობას ეწეოდნენ როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ. პალესტინაში კაპაბათა, რომელიც ბაგრატ მეფის, მეუღლე ბორენას და ქალიშვილს მართას დაუარსებიათ. ასევე განთქმული იყო დელტავას ქართველ დედათა მონასტრები. სადაც კორნელი კეკელიძის გამოკვლევით გადაწერდნენ და ავრცელებდნენ წიგნებს, ეწეოდნენ სააღმზრდელო საქმიანობას. დაცულია წიგნის გადამწერ ბასილის წერილი დელტას მონასტრების მიმართ: „დანო პატიოსანო, გევედრები გაზრდილი თქვენი ბასილი“.

გამოცდილების გატანა უცხოეთში

მრავალთაგან შევჩერდებით ერთ ინფორმაციაზე, რომელიც მოიპოვა სვიმონ გამსახურდიამ. მონათმფლობელურ საზოგადოებაში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა სხეულის ფიზიკურ ვარჯიშს. II საუკუნის პირველ ნახევარში რომის კეისარს ანტონიუს პიუსს ქართველთა მეფე ფარსმანმა, მისმა შვილმა და მხლებელმა თავყრილობაზე წარუდგინეს ფიზიკური ვარჯიში, სანახაობით აღტაცებული ანტონიუსს ფარსმანის ცხენიანი ქანდაკების აღმართვა უბრძანებია.

სამეცნიერო წყაროებში კიდევ სამიველია კულტურათაშორისი მემკვიდრეობა, რომელზეც თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემა დაფუძნებული. განსაკუთრებით ამ მიმართებით ზემო აჭარა, მთლიანად აჭარაში არსებული ვითარების შესწავლა მისი გეოფიზიკური მდგომარეობის გამო არის საშური საქმე. ამჯერად კი წარმოდგენილი მასალების საფუძველზე შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა იმ კულტურათაშორისი მიმართებების მემკვიდრეობით ღირებულებებზე, რომელიც თანადროულობისთვის ღირებულია.

- კულტურათაშორისი მიმართებები საგანმანათლებლო საქმიანობაში ძველ საქართველოში აისახება ქართული ლიტერატურის ისტორიის, ფილოსოფიის მკვლევარ-მეცნიერთა ნაშრომებში.
- უცხოური მწიგნობრობის, ფილოსოფიის, ზოგადად სხვადასხვა შეხედულებების გაცნობა, შესწავლა საჭიროა, მაგრამ იქედან გადმოსაღები და გასაზიარებელია ის, რაც ქვეყნის კულტურის, ტრადიციის ღირებულებების შესაბამისი კეთილად სასარგებლოა.
- უცხო ენის შესწავლა კომუნიკაციისათვის იმ დონეზე, რომ შესაძლებელი იყოს სიტყვიერ პაექრობაში ჩაბმა ერის და ქვეყნის საჭიროების ზნეკეთილი საქმისთვის.
- საკუთარი გამოცდილების გატანა უცხოეთში ისეთი სახით, რომ მკაფიოდ ჩანდეს ეროვნული განათლების წარმატებული შედეგი.
- იცნობდე და სწავლობდე უცხოური სასწავლებლების გამოცდილებას, მაგრამ გადმოიტანო არა სავსებით, არამედ ქართული საგანმანათლებლო საჭიროებებზე მორგებული სიახლით. (მოდვართ-მოდვარის წოდება/ხარისხი გელათის აკადემიის ხელმძღვანელისთვის, ნაცვლად ბერძნული „იპატიოსი ფილოსოფოსთა“.

- ძველ საქართველოს განათლების მეცნიერებაში დაგროვილი გამოცდილება კულტურათაშორისი მიმართებით არის მემკვიდრეობა, რომელიც ხელს უწყობს თანამედროვე საქმიანობას მიზანმიმართულად, ეროვნული ინტერესებით წარმართვას.

ლიტერატურა:

- ს. ყაუხჩიშვილი - ბერძნულ ლიტერატურის ისტორია ტ. II თბილისი 1949.
 შ. ნუცუბიძე - ქართული ფილოსოფიის ისტორია ტ. I თბილისი 1956
 კ. კეკელიძე - ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია ტ. I თბილისი 1960
 ს. გამსახურდია - სწავლა-განათლება ძველ საქართველოში თბილისი 1975
 მ. დარჩია - გაიოზ რექტორი

Intercultural relations in the education of ancient Georgia

Makharashvili Giorgi

LSI St. Khichauri Educational University named after Tbel Abuserisdze

Abstract

I consider the conference to be a means of recording, evaluating what has been done, sharing experience, and new ideas. From this point of view, I got acquainted with the theme of the Telavi conference, and the first thing that I remembered was the study of foreign experience related to educational reform by Gaios the Rector and adapting it to the needs of his school.

The experienced situation made me decide to investigate the heritage of intercultural relations in the educational space of ancient Georgia. At the beginning, I conducted a study related to the attitude of the school community towards intercultural dialogues. The study covered Upper Adjara: Khulo, Keda, Shuakhevi. The results of the research turned out to be better than expected: the development of family tourism required the study of intercultural relations.

Key words: Intercultural relations in the education of ancient Georgia

სსსმ მოსწავლეების ტრანზიციის მხარდამჭერი მექანიზმები სკოლაში და დირექტორის როლი ამ პროცესში

ნახუცრიშვილი ნინო

იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი

DOI: <https://doi.org/10.52340/idw.2023.101>

აბსტრაქტი. სწავლა-სწავლების შედეგიანობა და მოსწავლის აკადემიური მიღწევები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული. ცხადია, ყველა წარმატებას თუ წარუმატებლობას თავისი გამომწვევი მიზეზები და წინა პირობა გააჩნია. თუმცა, როდესაც საუბარია დაწყებით საფეხურზე მოსწავლის წარუმატებლობაზე, ამ შემთხვევაში ზოგჯერ ყურადღების მიღმა რჩება ტრანზიციის პროცესი, რაც მოსწავლის წარმატებული სასწავლო საქმიანობის განმსაზღვრელი მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

ტრანზიცია ინდივიდუალურად სხვადასხვაგვარად აისახება თითოეული ბავშვის ფსიქიკაში. მართალია მას გარკვეულწილად განმავითარებელი ფუნქციაც აკისრია, მაგრამ ამავდროულად ერთგვარ სტრესულ ფონსაც ქმნის და არ არის ადვილი პროცესი ბავშვისთვის. ამიტომ აუცილებლად საჭიროებს მხარდამჭერი ქმედითი ღონისძიებების გატარებას, შესაბამისი დამოკიდებულებების და პირობების შექმნას სკოლაში. როდესაც საქმე ეხება სსსმ მოსწავლეს, ბევრად მეტია გამოწვევები და ტრანზიციის ყოველი კომპონენტის სათანადოდ განხორციელების საჭიროება. ამ პროცესის დაგეგმვა-წარმართვაში და სკოლის სწორი სტრატეგიის შემუშავებაში მთავარი მისია აკისრია სკოლის ხელმძღვანელს. ამ მიმართულებით საჯარო სკოლების სტრატეგიის და არსებული რეალობის შესაფასებლად ნაშრომში წარმოდგენილია თელავის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების დირექტორთა კვლევის შედეგები, რამაც ნათელყო, რომ მიუხედავად მათი პოზიტიური განწყობისა და სკოლაში ბავშვთა ტრანზიციის ხელშეწყობის მნიშვნელობის გააზრებისა, მაინც არსებობს ხარვეზები, რაც ახლავს ტრანზიციის პროცესს და რაც დროულ გამოსწორებას საჭიროებს. ეს ეხება სკოლის მიერ სსსმ ბავშვების ტრანზიციის ხელშეწყობის შიდა პოლიტიკის (შესაბამისი რეგულაციებით) და სსსმ ბავშვების ტრანზიციის პროგრამის შემუშავებას, მშობლებთან კომუნიკაციის მრავალფეროვანი და ტრანზიციის ხელშეწყობი ეფექტიანი აქტივობების განხორციელებას, ქმედითი ღონისძიებების გატარებას სკოლის გარემოს და ინფრასტრუქტურის მოწესრიგება-მორგებისთვის მოსწავლეთა საჭიროებებზე (მათ შორის სსსმ მოსწავლეზე), სკოლამდელ დაწესებულებასთან თანამშრომლობის ეფექტური მექანიზმების ამუშავებას და სხვ.

თუნდაც ერთი მუნიციპალიტეტის მაგალითზე ჩატარებული კვლევის შედეგები გვაძლევს იმის უფლებას, რომ ვისაუბროთ არსებულ რეალობაზე და დავსკვნათ, რომ ტრანზიციის თვალსაზრისით ჯერ კიდევ ბევრია საკეთებელი და ამ მიმართულებით საქმიანობა სკოლების ერთ-ერთ მთავარ სტრატეგიულ მიმართულებად უნდა იქცეს.

საკვანძო სიტყვები: ტრანზიცია, გამოწვევები, სსსმ ბავშვი, მხარდამჭერი მექანიზმები, სკოლის დირექტორი.

სწავლა-სწავლების შედეგიანობა და მოსწავლის აკადემიური მიღწევები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული. ცხადია, ყველა წარმატებას თუ წარუმატებლობას თავისი გამომწვევი მიზეზები და წინა პირობა გააჩნია.

თუმცა, როდესაც საუბარია დაწყებით საფეხურზე მოსწავლის წარმატებლობაზე, ამ შემთხვევაში ზოგჯერ ყურადღების მიღმა რჩება ტრანზიციის პროცესი, რაც მოსწავლის წარმატებული სასწავლო საქმიანობის განმსაზღვრელი მნიშვნელოვანი წინაპირობაა. ამავდროულად, ის ფაქტიც, რომ დღეს ბავშვი სკოლაში შედის საშუალოდ 6 წლის ასაკში, მნიშვნელოვნად ზრდის ტრანზიციის როლს ბავშვის ცხოვრებაში. შესაბამისად, დიდ დატვირთვას იძენს ტრანზიციის ხელშეწყობა და სათანადოდ განხორციელება, რაც სკოლის საქმიანობის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება უნდა იყოს. აღნიშნულიდან გამომდინარე, აქტუალურია ამ მხრივ საჯარო სკოლებში არსებული სიტუაციის შესწავლა-გაანალიზება, რაც დაფუძნებული იქნება კვლევის შედეგად მოძიებულ უტყუარ ინფორმაციაზე ამ საკითხის მიმართ სკოლის ხელმძღვანელ პირთა დამოკიდებულებების, მოსაზრებების შესახებ. ეს მოგვცეს ტრანზიციის ხელშეწყობის მიზნით სკოლების სტრატეგიის შეფასების რეალურ სურათს, გამოვლინდება ამ მიმართულებით დაგეგმილი თუ განხორციელებული აქტივობების ძლიერი და სუსტი მხარეები, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს არსებული პრობლემების გადაწყვეტის ოპტიმალური გზების, საშუალებების, სტრატეგიების მოძიებას და განხორციელებას.

ბავშვის ცხოვრებაში სკოლაში შესვლა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპია, რასაც ახლავს გარკვეული ცვლილებები: ერთი სისტემიდან (მაგალითად სკოლამდელი დაწესებულებიდან, ოჯახიდან და სხვ), მნიშვნელოვნად განსხვავებულ სისტემაში, სკოლაში გადასვლა, გარემო პირობების შეცვლა, განსხვავებულ გარემოში ახალი მოთხოვნების შეგუება და ა. შ. ერთი სისტემიდან, პირობიდან მეორეში გადასვლა, ანუ ტრანზიცია ინდივიდუალურად სხვადასხვაგვარად აისახება თითოეული ბავშვის ფსიქიკაში. მართალია მას გარკვეულწილად განმავითარებელი ფუნქციაც აკისრია, მაგრამ ამავდროულად ერთგვარ სტრესულ ფონსაც ქმნის და არ არის ადვილი პროცესი ბავშვისთვის. ამიტომ აუცილებლად საჭიროებს მხარდამჭერი ქმედითი ღონისძიებების გატარებას, შესაბამისი დამოკიდებულებების და პირობების შექმნას სკოლაში.

რა გამოწვევების წინაშე შეიძლება აღმოჩნდეს ბავშვი სკოლაში ტრანზიციისას? სფეროს სპეციალისტები განიხილავენ არაერთ გამოწვევას, რაც დაკავშირებულია ნაცნობი და ჩვეული გარემოს დატოვება/შეცვლასთან და ახალ, განსხვავებულ ფიზიკურ თუ სოციალურ გარემოს „მიღებასთან“, ახალ ურთიერთობებთან, განსხვავებულ დღის რეჟიმთან და რუტინასთან, გარკვეულ ვალდებულებებთან, განსხვავებულ და მნიშვნელოვნად გაზრდილ მოთხოვნებთან, პასუხისმგებლობებთან, თვისებრივად განსხვავებულ აქტივობებთან, სადაც საკუთარი სურვილით შერჩევის და განხორციელების ნაკლები შესაძლებლობა ეძლევათ და სხვ. (წულაძე, მ., 2020).

როგორც ვხედავთ სკოლაში ტრანზიცია არაერთი გამოწვევის წინაშე აყენებს ბავშვს, მაგრამ თუ მას სპეციალური საჭიროებები გაჩნია, ეს პროცესი ბევრად კომპლექსური და რთული ხდება, რაც შესაძლოა გამოწვეული იყოს სხვადასხვა მიზეზებით: სსსმ ბავშვს, შესაძლოა არ ჰქონდეს საკმარისი სკოლამდელი გამოცდილება; შეზღუდული შესაძლებლობიდან გამომდინარე, არ შეეძლოს დამოუკიდებლად ფუნქციონირება, უჭირდეს თვითმომსახურება, კომუნიკაცია, არ გააჩნდეს სოციალური და რიგი უნარები, რაც საჭიროა ახალ გარემოში ადაპტაციისთვის და სხვა. და თუ ბავშვთან ერთად სპეციფიკური საჭიროებები გააჩნია ოჯახსაც, (ინფორმაციის დეფიციტი და „მოუმზადებლობა“ ტრანზიციის პროცესისადმი, ბავშვის მხარდამჭერი სტრატეგიების არასაკმარისი ფლობა, ბავშვის მდგომარეობის „მიუღებლობა“, „არ აღიარება“, ტრანზიციის პროცესში ჩართული სკოლის წარმომადგენლებთან ურთიერთთანამშრომლობის უგულვებელყოფა და სხვ.), მაშინ მდგომარეობა უფრო რთულიდება.

გამოწვევების წინაშე შეიძლება აღმოჩნდეს ასევე სკოლაც. მას შეიძლება არ ჰქონდეს სწორი ხედვა, თუ როგორ შეუწყოს ხელი სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვს, არასაკმარისი ინფორმაცია ჰქონდეს კონკრეტული ბავშვის შესაძლებლობებისა და საჭიროების შესახებ, არ ჰქონდეს ბავშვის საჭიროებებზე მორგებული ფიზიკური გარემო, არ გააჩნდეს კონკრეტული საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვის ხელშეწყობის

კომპეტენციები, შესაბამისი ადამიანური/პროფესიული და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, და სხვა. (წულაძე, მ., ხვადაგიანი მ., 2018).

ამდენად, როდესაც ტრანზიციის ეხება სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვს, საკითხი ბევრად სენსიტიური ხდება და ეს მეტი პასუხისმგებლობის წინაშე აყენებს შესაბამის ინსტიტუციას, სტრუქტურას თუ ტრანზიციის პროცესში ჩართულ პირებს, რომ ქმედითი და დროული ღონისძიებებით უზრუნველყონ ეფექტური მხარდაჭერა ბავშვისთვის, რათა პროცესი სტრესული არ იყოს მისთვის, არ შეაფერხოს ბავშვის განვითარება და არ დათრგუნოს პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბება სკოლისა თუ სწავლისადმი.

ცხადია, სკოლაში ტრანზიციის დამოკიდებულება რიგ წინაპირობებზე: თუ რა მზაობა გაჩნია ბავშვს ახალ პირობებთან, გარემოსთან შესაგუებლად, რა გარემოდან მოდის ბავშვი სკოლაში? და სხვ. რაც ნაკლები მზაობა აქვს ბავშვს და რაც მეტად განსხვავდება „ძველი“ და „ახალი“ გარემო ერთმანეთისგან, მით მეტი გამოწვევები წარმოიქმნება ტრანზიციისას და ბევრად აქტუალური ხდება ბავშვის მხარდაჭერის საჭიროება სკოლის მხრიდან.

ყველა ბავშვი უნიკალურია და ის ხასიათდება კონკრეტული მახასიათებლებით. ეს თავისთავად ქმნის საჭიროებას, რომ მისთვის ინდივიდუალურად შეიქმნას მხარდაჭერი გარემო სკოლაში. რა როლი აკისრია ამის უზრუნველყოფაში სკოლის ხელმძღვანელს?, რა ქმედითი ღონისძიებებით უნდა უზრუნველყოს მან სკოლის ეფექტური მართვა, რომ მაქსიმალურად შეუწყოს ხელი სკოლაში სსსმ მოსწავლის ტრანზიციას? ცხადია, ღონისძიებების განხორციელებამდე უპირველესად საჭიროა სრული ინფორმაციის მოპოვება ბავშვის შესახებ და შემდეგ მის საფუძველზე, ბავშვის საჭიროებების შესაბამისი აქტივობების დაგეგმვა და განხორციელება, მხარდამჭერი გარემოს შექმნა და ტრანზიციის ხელშეწყობა. ამიტომ, ამ პროცესის ეფექტიანად წარმართისათვის მნიშვნელოვანია სკოლის მიერ კონკრეტული აქტივობებით გაწერილი ტრანზიციის ხელშეწყობის პროგრამის შემუშავება. როგორც სფეროს სპეციალისტები მიიჩნევენ შესაძლოა ზოგიერთ ბავშვს ინდივიდუალურად მის საჭიროებებზე მორგებული დამატებითი, სპეციფიკური მხარდაჭერა და პროცედურები დასჭირდეს. ესეც აუცილებლად უნდა აისახოს პროგრამაში, რომ ინკლუზიურობის პრინციპის დაცვით მოხდეს ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებების შესაბამისი ქმედითი ღონისძიებების დაგეგმვა, შემუშავება და განხორციელება. (წულაძე, მ., 2020).

ცხადია, ტრანზიციასთან დაკავშირებული თითოეული კომპონენტის განხორციელება და სსსმ მოსწავლისათვის სკოლაში ტრანზიციის პროცესის ხელშეწყობა დიდი გამოწვევების და ვალდებულებების წინაშე აყენებს სკოლას და სკოლის ადმინისტრაციას:

- უპირველესად უნდა აღვნიშნოთ ინფრასტრუქტურის მოწყობა მოსწავლის საჭიროებების შესაბამისად და სათანადო პირობების შექმნა, რაზედაც შესაძლოა სკოლის დირექციას დასჭირდეს სხვა ინსტიტუციების, ადგილობრივ მთავრობის, მერიის და სხვათა დახმარება; ამიტომ წინასწარ უნდა განისაზღვროს თუ რამდენად აკმაყოფილებს სკოლის არსებული ფიზიკური გარემო და ინფრასტრუქტურა მოსწავლის საჭიროებებს;
- უნდა შემოწოდეს რამდენად შეესაბამება სკოლის ინვენტარი როგორც რაოდენობრივად, ისე ფუნქციურად მოსწავლეთა საჭიროებებს, მაგალითად, საკმარისია თუ არა, ან შესაძლებელია თუ არა მისი გამოყენება რაიმე კონკრეტული დანიშნულებით, რომ ყველა მოსწავლეს ქონდეს თანაბარი წვდომის და საჭიროების შესაბამისად მისი გამოყენების შესაძლებლობა და ა. შ. აქედან გამომდინარე შესაძლოა საჭირო გახდეს ფიზიკური გარემოს ადაპტაცია, სხვადასხვა სახის აკომოდაციის განხორციელება, და სხვა;
- სკოლის დირექციისთვის ასევე მნიშვნელოვანი საზრუნავია ადამიანური რესურსის მზაობაც. დროულად უნდა გაირკვეს ფლობენ თუ არა პედაგოგები კომპეტენციებს, რომ სხვადასხვა სტრატეგიების, მიდგომების, რესურსების ეფექტური გამოყენებით გაუმკლავდნენ გამოწვევებს და სათანადო მხარდაჭერა გაუწიონ მოსწავლეს მისი საჭიროების შესაბამისად. სკოლის დირექცია სისტემატურად უნდა ზრუნავდეს საჭირო ადამიანური რესურსების გამოყოფაზე და მათ პროფესიულ ზრდაზე. რეალობიდან გამომდინარე, შესაძლოა საჭირო გახდეს სპეციალური მასწავლებლის დაქირავება, საჭიროების შემთხვევაში, მისი პროფესიული გადამზადება;

- დირექციამ ასევე უნდა იზრუნოს სსსმ მოსწავლისათვის საჭირო დამატებითი მომსახურების უზრუნველყოფაზე და ამ მიზნით ქმედითი ღონისძიებების გატარებაზე. ამ მიზნით დირექტორის/სხვა ხელმძღვანელი პირის მიერ დროულად უნდა მოხდეს სათანადო ზომების მიღება და განხორციელება;
- სსსმ მოსწავლეთათვის მხარდამჭერი ქმედითი გადაწყვეტილებების მისაღებად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მოსწავლის მშობლებთან, აღმზრდელ პირებთან, ასევე, მულტიდისციპლინურ გუნდთან კოორდინირებულ თანამშრომლობას. ამ უკანასკნელთან თანამშრომლობით სკოლამ, მშობელმა, საჭიროების შემთხვევაში შეუძლიათ მიიღონ კვალიფიციური მხარდაჭერა სკოლაში საჭირო მომსახურების უზრუნველყოფის საკითხებზე.

კვლევებით დასტურდება, რომ ტრანზიციის ითვლება წარმატებულად, თუ ის კონცენტრირებულია ყველა საჭირო და დაინტერესებული მხარის ეფექტიან ურთიერთთანამშრომლობაზე, როდესაც ხდება პასუხისმგებლობების გადანაწილება მხარეებს შორის, ფოკუსირებულია ძლიერ მხარეებზე დაფუძნებულ პერსპექტივაზე, საჭირო რესურსების მოძიებაზე, ეფექტურ დაგეგმვასა და შეფასებაზე, კონცეპტუალურ ცვლილებებზე. (BOB PERRY., 2007).

ამდენად, ტრანზიციის პროგრამის ეფექტიანობა და ხარისხი დამოკიდებულია პროცესში ჩართული ყველა მხარის კომუნიკაციასა და ურთიერთშეთანხმებულ საქმიანობაზე. უნდა აღინიშნოს სკოლისა და სკოლამდელი დაწესებულების ურთიერთთანამშრომლობითი აქტივობების როლის შესახებაც ბავშვთა ტრანზიციის ხელშესაწყობად.

ზოგადად, ტრანზიციასთან მიმართებაში სკოლის მზაობა და ხელშეწყობა მნიშვნელოვანია როგორც ბავშვის სკოლაში ტრანზიციის პროცესამდე წინა პერიოდში, ისე პროცესის დროს. ამიტომ სკოლამ მუშაობა ამ ორივე მიმართულებით უნდა წარმართოს. წინა პერიოდში გამორჩეულად უნდა იზრუნოს იმისათვის, რომ წინასწარ მოხდეს ბავშვისთვის, მისი მშობლისთვის სასკოლო გარემოს გაცნობა, სადაც მას მოუწევს ტრანზიციის პროცესის გატარება, დაგეგმოს და განახორციელოს ქმედითი ღონისძიებები. მშობელი ინფორმირებული უნდა იყოს თუ მომსახურების რა სერვისებს სთავაზობს სკოლა მოსწავლეს მისი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად; რამდენად შეძლებენ მასწავლებლები და/ან სპეციალისტები ბავშვის მიმდინარე აქტივობებში ჩართვას, რა რესურსები აქვს სკოლას მისი შვილის სწავლის მხარდასაჭერად, რამდენად კომფორტულად და უსაფრთხოდ იქნება ბავშვი სკოლაში, რამდენად შედეგიანი იქნება სკოლაში სწავლა მისი შვილისთვის და სხვა;

სკოლებში ბავშვების ტრანზიციის ხელშეწყობის არსებული სიტუაციის დასადგენად და ამ საკითხის მიმართ სკოლის ხელმძღვანელ პირთა დამოკიდებულებების, მოსაზრებების შესწავლა-განალიზების მიზნით განვახორციელეთ საჯარო სკოლების დირექტორთა კვლევა თელავის მუნიციპალიტეტის მასშტაბით და სადაც მოქმედი 27 საჯარო სკოლიდან, მონაწილეობა მიიღო 26 სკოლის დირექტორმა. კვლევისთვის შეირჩა 14 კითხვისგან შედგენილი კითხვარი. კვლევის შედეგად გამოიკვეთა რიგი აქტუალური საკითხები, რაც უკავშირდება სსსმ ბავშვების ტრანზიციას სკოლაში და ამ პროცესის ხელშეწყობას საჯარო სკოლებში.

პასუხების შედეგად გამოვლინდა, რომ გამოკითხულ რესპოდენტთა 96,2% ახორციელებს ქმედით ღონისძიებებს სკოლაში სსსმ მოსწავლეების ტრანზიციის ხელშეწყობისა და ეფექტიანი პრაქტიკის დამკვიდრების მიზნით. რესპოდენტებმა მიუთითეს შეთავაზებულიდან კონკრეტული პასუხები, თუ რას მოიცავდა მათ მიერ განხორციელებული ღონისძიებები. გამოკითხვით დადგინდა, რომ მიუხედავად მათი უმრავლესობის პასუხისა, რომ ახორციელებენ ქმედით ღონისძიებებს, სსსმ ბავშვების ტრანზიციის ხელშეწყობის შიდა პოლიტიკა შესაბამისი რეგულაციებით შემუშავებული აქვს მხოლოდ 34,6% -ს, ხოლო სსსმ ბავშვების ტრანზიციის პროგრამა- 30,8% -ს.

რაც შეეხება მშობლებთან თანამშრომლობას, შესაბამის აქტივობებს სისტემატურად ახორციელებს 96,2%. ამ შემთხვევაში მხოლოდ ერთმა რესპოდენტმა დაფიქსირდა უარყოფითი პასუხი (3,8%). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ მითითებულ სამივე

ლონისძიებას ახორციელებს რესპოდენტთა მხოლოდ 19,2%, რაც საკმაოდ დაბალი მაჩვენებელია.

კვლევაში მონაწილე დირექტორთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ, 92,3%-მა, დააფიქსირა, რომ მოსწავლეთა საჭიროებებზე, მათ შორის სსსმ მოსწავლეზე, სკოლის გარემო და ინფრასტრუქტურა მოწყობილი აქვთ. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უფრო დაზუსტებული პასუხები არ ადასტურებს ამ მაჩვენებელს: სკოლების 34,6 %-ს აქვს შშმ პირზე მორგებული შესაბამისი სასწავლო რესურსით და ტექნიკით აღჭურვილი რესურს ოთახი, 15,4 %-ს - რესურს ოთახი და შშმ პირის საჭიროებებზე მორგებული გარემო (მაგალითად, პანდუსი, ან ადაპტირებული სველი წერტილი), თუმცა არ უთითებენ არის თუ არა რესურსოთახი აღჭურვილი შესაბამისი სასწავლო რესურსით და ტექნიკით; 30,8 %-ს კი აქვს რესურს ოთახი, მაგრამ ის არ არის მორგებული შშმ პირზე შესაბამისი სასწავლო რესურსით და ტექნიკით აღჭურვილი, ხოლო 15,4 არ აქვს რესურს ოთახი, 3,8 %-ს კი, მართალია არ აქვს რესურს ოთახი, თუმცა აქვს ვიზუალური მასალები, პანდუსი და ადაპტირებული სანიტარული კვანძი. ამდენად, უმრავლეს შემთხვევაში სკოლების ინფრასტრუქტურა სრულად ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

შედარებით უკეთესი მაჩვენებლები დაფიქსირდა მოსწავლეთა მშობლებთან კომუნიკაციის თავსაზრისით. როგორც რესპოდენტთა პასუხებიდან იკვეთება, სკოლების უმრავლესობას 92,3 %-ს შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლეების მშობლებთან კომუნიკაციის გარკვეული სტრატეგია/ფორმა, როგორც მოსწავლეთა სკოლაში ტრანზიციის ხელშემწყობი საშუალება. ყველა რესპოდენტი მიუთითებს, რომ სკოლის ადმინისტრაცია, საგნის მასწავლებლები და სპეციალური მასწავლებელი, აქტიურად თანამშრომლობენ სსსმ პირის მშობლებთან, რომ ურთიერთობები არის სხვადასხვა სახის და ჯანსაღი.

რაც შეეხება კადრის პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვას სსსმ მოსწავლეების ტრანზიციის ხელშემწყობი კომპეტენციების დაუფლების მიზნით, რესპოდენტთა 96,2 %-მა დადებითად უპასუხა ამ კითხვას. აქვე მოხდა დაკონკრეტება, თუ რა სახის აქტივობებით და როგორ უწყობენ ხელს კადრის განვითარებას ამ მიმართულებით. პასუხები გადანაწილდა ასე:

- ტრენინგების ორგანიზების და მასში პედაგოგთა აქტიური ჩართულობის ხელშეწყობა- 76,9%;
- შესაბამისი რესურსების მოძიება-შემენაზე ზრუნვა- 76,9% ;
- სხვადასხვა ქმედითი აქტივობების განხორციელება ურთიერთთანამშრომლობით გამოცდილების გაზიარების მიზნით- 69,2 %;
- სისტემატური თანამშრომლობითი კავშირები მულტიდისცილინურ გუნდთან და შესაბამის ინსტიტუციებთან- 88,5%;
- სხვა -7,7% მიუთითა ეს პასუხი, თუმცა არ დააკონკრეტა რას მოიცავდა ის;
- არ ვაკეთებთ ზემოთ დასახელებულ აქტივობებს- ამ კითხვაზე პასუხი არ დაფიქსირებულა, მიუხედავად იმისა, რომ წინა კითხვაზე ერთ-ერთმა რესპოდენტმა აღნიშნა, რომ არ ზრუნავდნენ კადრის განვითარებაზე.

კითხვაზე, იყენებენ თუ არა სკოლამდელ დაწესებულებასთან თანამშრომლობის ეფექტურ მექანიზმებს სსსმ მოსწავლეების ტრანზიციის პროცესის ხელშესაწყობად, დაფიქსირდა 23 - დადებითი პასუხი-88,5% ხოლო 3 -უარყოფითი-11,5%

კვლევით ასევე დადგინდა, რომ რესპოდენტთა 96,2 %-ს შემუშავებული აქვს გარკვეული მექანიზმები სსსმ პირველკლასელთა უკეთ გაცნობის მიზნით. განხორციელებული ღონისძიებებიდან რესპოდენტებმა მიუთითეს კონკრეტულად შემდეგი ღონისძიებები:

- კავშირები სკოლამდელ დაწესებულებებთან შესაბამისი ინფორმაციის მოძიების მიზნით- 92,3%;
- მშობლებთან/აღმზრდელებთან სისტემატური კავშირები-88,5%;
- ინდივიდუალურ საინფორმაციო ბარათების წარმოება მოსწავლეთა საჭიროებების და პერსონალური ინფორმაციის მოსაძიებლად - 42,3%;
- სხვა- 8, თუმცა არ დაუსახელებიათ კონკრეტულად რას მოიცავდა ეს ღონისძიება;

□ არ ვაკეთებთ ზემოთ დასახელებულ აქტივობებს- 2 რესპოდენტი, 7,7%. რესპოდენტთა ეს რაოდენობა წინააღმდეგობაში მოდის „მექანიზმების შემუშავებაზე“ კითხვის პასუხების რაოდენობასთან, სადაც 96,2 % -მა დააფიქსირა, რომ შემუშავებული აქვს ეს მექანიზმები.

რაც შეეხება სსსმ მოსწავლის ტრანზიციის პროცესში ყველა ჩართული პირის/მხარის მონაწილეობით შეხვედრების ორგანიზების უზრუნველყოფა, აქ ყველა რესპოდენტმა, დადებითი პასუხი დააფიქსირა.

ყურადსაღებია რესპოდენტთა პასუხები კითხვაზე, დგას თუ არა გამოწვევის წინაშე თქვენი სკოლა სსსმ მოსწავლის ტრანზიციის განხორციელებისას?. დაახლოებით 58 %-მა დადებითად უპასუხა ამ შეკითხვას, ხოლო 42% მიიჩნევს, რომ სკოლა არ დგას გამოწვევების წინაშე, მიუხედავად რიგი პრობლემებისა, რომელიც გამოიკვეთა კვლევის შედეგად, მაგალითად ინფრასტრუქტურის მოწყობის აუცილებლობა.

და ბოლოს, კომენტარის სახით, უმრავლესმა რესპოდენტმა აღნიშნა, რომ ეს სფერო არის მნიშვნელოვანი, სენსიტიური და სკოლისთვის მნიშვნელოვანია სსსმ მოსწავლეებზე ზრუნვა მათი საჭიროებების შესაბამისად და სსსმ მოსწავლის ტრანზიციის განსახორციელების პროცესში ყველა ჩართული პირის, მხარის მონაწილეობაა საჭირო.

ამდენად, ჩატარებულმა კვლევამ ნათლად გამოავლინა სკოლების დირექტორთა პოზიცია საკითხისადმი, თუმცა, მათი პოზიტიური განწყობისა და სკოლაში ბავშვთა ტრანზიციის ხელშეწყობის მნიშვნელობის გააზრებისა, მაინც გამოიკვეთა ის ხარვეზები რაც ახლავს ტრანზიციის პროცესს და გამოვლინდა ის აუცილებელი ღონისძიებები, რაც უნდა განხორციელდეს არსებული ხარვეზების მოსაგვარებლად:

ტრანზიციის ხელშესაწყობად ერთობ მნიშვნელოვანია ყველა სკოლამ შეიმუშაოს სსსმ ბავშვების ტრანზიციის ხელშეწყობის შიდა პოლიტიკა შესაბამისი რეგულაციებით, სსსმ ბავშვების ტრანზიციის პროგრამა, რაშიც სასურველია აქტიური მონაწილეობა მიიღონ ბავშვთა ტრანზიციის პროცესში ჩართულმა პერსონალმა, ხოლო, ამ პოლიტიკის განხორციელების მთავარი სტრატეგია უნდა იყოს თავად სკოლის ხელმძღვანელი პირი; სკოლის შინაგანაწესი უნდა შეიცავდეს ტრანზიციასთან დაკავშირებულ საკითხებს, მნიშვნელოვანია შემუშავდეს ბავშვის ტრანზიციის მხარდამჭერი მექანიზმები და მათი განხორციელების ვალდებულებები გადანაწილდეს კონკრეტულ პირებზე, ასევე, შეიმუშავდეს სკოლის, მშობლების, სკოლამდელი დაწესებულების, ტრანზიციის პროცესში ჩართული სხვა ინსტიტუციების თუ პირების ურთიერთთანამშრომლობის მექანიზმები, დაიგეგმოს და განხორციელდეს ტრანზიციის მხარდამჭერი ღონისძიებები, სკოლამ უნდა მოიძიოს და დანერგოს ტრანზიციის პროცესში მონაწილე ყველა სუბიექტთან ინფორმაციის დროული მიღება-გაცემის ეფექტიანი სტრატეგიები;

ასევე, ღირებულია გაძლიერდეს მშობლებთან კომუნიკაცია და გამრავალფეროვნდეს ტრანზიციის ხელშეწყობ ღონისძიებებში მათი ჩართულობის სხვადასხვა აქტივობები. მნიშვნელოვანია მშობელთა ინფორმირებულობაც ტრანზიციის საკითხებზე, რაც გაზრდის მათ დაინტერესებას და აქტიურობას, გააძლიერებს სკოლასთან ურთიერთთანამშრომლობას.

სერიოზული სამუშაოებია ჩასატარებელი სკოლების გარემოსა და ინფრასტრუქტურის მოწესრიგება-მორგებისთვის მოსწავლეთა საჭიროებებზე (მათ შორის სსსმ მოსწავლეზე), კვლევით დადგინდა, რომ სკოლების მხოლოდ მესამედს აქვს შშმ პირზე მორგებული შესაბამისი სასწავლო რესურსით და ტექნიკით აღჭურვილი რესურს ოთახი, რაც იძლევა სერიოზული დაფიქრების საფუძველს. მიგვაჩნია, რომ ამ მიმართულებით უნდა გაძლიერდეს ყველა იმ ინსტიტუციის ხელშეწყობა და დახმარება სკოლებისადმი, რომელთაც ევალებათ და ხელეწიფებთ ამ საკითხის მოგვარება. სახელმწიფო ინსტიტუციებთან ერთად ეს შესაძლოა იყოს სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციები, ფონდები, ბიზნესმენები, მეცენატები და სხვ.

რაც შეეხება სკოლამდელ დაწესებულებასთან თანამშრომლობის ეფექტურ მექანიზმებს, მართალია უარყოფითი პასუხები დიდი პროცენტით არ დაფიქსირებულა, მაგრამ დირექტორთა პასუხებიდან გამოიკვეთა ამ მიმართულებით მუშაობის გამრავალფეროვნების საჭიროება. ვფიქრობთ ეფექტიანი იქნება ამ ორი ინსტიტუციის

წარმომადგენელთა პერიოდული სამუშაო შეხვედრები, სადაც მოხდება რიგი აქტუალური საკითხების განხილვა, გამოწვევების გადასაწყვეტად სამოქმედო გეგმების დასახვა ორივე ინსტიტუციის მონაწილეობით. ეს ამავდროულად წაადგება ტრანზიციის სათანადოდ განხორციელების ხელშეწყობის მიზნით სკოლის და სკოლის ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის გაზრდას, საკითხის მეტად გათავისებებს, რომ ნათლად დაინახონ და სწორად შეაფასონ არსებული რეალობა, დასახონ და განახორციელონ ქმედითი ღონისძიებები ამ მიმართულებით.

ამ პროცესში არანაკლებ მნიშვნელოვანია ერთგვარი თვითშეფასების მექანიზმების დანერგვა და საქმიანობის ცალკეული მიმართულებების პერიოდული შემოწმება-შეფასება, რომლის შედეგების განხილვა-გაანალიზება, არსებული გამოწვევების სწორი შეფასება და მათი დაძლევის ეფექტიანი სტრატეგიების შემუშავება უნდა გახდეს ყოველი შემდგომი ეტაპის წარმატებული განხორციელების საწინდარი.

და ბოლოს, შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ თუნდაც ერთი რაიონის მაგალითზე ჩატარებული კვლევის შედეგები გვაძლევს უფლებას დავაფიქსიროთ, რომ ტრანზიციის თვალსაზრისით ჯერ კიდევ ბევრია საკეთებელი, რომ ამ მიმართულებით საქმიანობა სკოლების საქმიანობის ერთ-ერთ მთავარ სტრატეგიულ მიმართულებად იქცეს, სადაც ამ პროცესში მონაწილე ყველა პირს, ინსტიტუციას ექნება გათავისებული ის ფუნქციები, რაც უნდა განახორციელოს ბავშვის წარმატებული ტრანზიციისთვის სკოლაში. მიღწეული წარმატებები კი იქნება მაჩვენებელი იმისა, რომ სკოლაში ეფექტიანად განხორციელდა მოსწავლეთა ტრანზიციის პროცესი და ბავშვმა მიიღო ყველა საჭირო მხარდაჭერა ამ მიმართულებით.

ლიტერატურა:

1. ბაგრატიონი-გრუზინსკი, მ., ბარქაია, ც., წულაძე, მ., ხვადაგიანი, მ., კვაჭაძე, ჟ., ზაქარეიშვილი, მ., მიდელაური, ვ. (2019) ადრეული ბავშვობა და ტრანზიციის სკოლაში გზამკვლევი ტრანზიციის პროცესში ჩართული სპეციალისტებისა და ოჯახებისათვის გზამკვლევი შექმნილია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს კოორდინაციით. ღია საზოგადოების ფონდი;

2. წულაძე, მ., ხვადაგიანი მ. (2018). სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვთა სკოლაში ტრანზიციის ხელშეწყობა, დამხმარე სახელმძღვანელო, გზამკვლევი მომზადდა არასამთავრობო ორგანიზაციების „განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრი“ და „ინოვაციები ინკლუზიური საზოგადოებისთვის“ თანამშრომლობით; განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრი;

3. წულაძე, მ. (2020). მზად ვართ პირველკლასელების დასახვედრად ბავშვების სკოლაში ტრანზიციისმხარდაჭერის სახელმძღვანელო; სახელმძღვანელო შექმნილია არასამთავრობო ორგანიზაციის „ინოვაციები ინკლუზიური საზოგადოებისათვის“ მიერ, „საქართველოს ღია საზოგადოების ფონდის“ მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში - „ტრანზიციის პრაქტიკის მდგრადად ინტეგრირება ადრეული და დაწყებითი განათლების სისტემაში - III ფაზა“;

3. PERRY, B. (2007) The Role of Schools and Communities in Children’s School Transition SUE DOCKETT., [The role of schools and communities in children’s school transition \(transitontoschool.net\)](http://transitontoschool.net)

Mechanisms to support transition to pupils with special educational needs (SEN) at school and the role of headmaster in this process

Nakhutsrishvili Nino
Iakob Gogebashvili State University, Telavi

Abstract

Effectiveness of learning and teaching and pupil’s academic achievement in general educational school is relied on various factors. It’s obvious that every success or failure has its

own causes and preconditions. Though, in the case of failure of primary level pupil transition process sometimes stays out of focus which is an essential determinant precondition of successful learning of a pupil.

Transition is reflected individually in each pupil's psyche. It's true that it carries developmental function, but at the same time it creates stressful background and isn't an easy process for a child. That's why it really requires the implementation of certain supportive and effective mechanisms and accordingly creation of conditions and relationships at school. When the case refers to SEN pupil we face more challenges and there is greater need to implement each component of transition appropriately. In planning and implementation of this process as well as creation correct strategy of a school its headmaster bears major role. To evaluate public school strategies in this direction and to investigate existing reality at schools we have presented research results of headmasters of Telavi municipality public schools which made clear that besides their positive attitude and deep understanding to support transition process there still exists some gaps which needs to be improved on time. It refers to development of inner policy to support SEN pupils transition (with appropriate regulations) as well as creation SEN pupils transition program, implementation effective activities to communicate with parents and to support transition, activities to create and adjust school environment and infrastructure to pupils' needs (among them SEN pupils), implementation effective mechanism to cooperate with pre - school institutions, etc.

Even the research in one of the schools in the municipality allows us to talk about existing reality and conclude that there is still a lot of work to do in the transition process and the work in this direction should become one of the strategic directions at schools.

Key words: transition, challenges, SEN pupil, supportive mechanisms, school headmaster

სკოლამდელ დაწესებულებებში თამაშის ხელმძღვანელობისას აღმზრდელის მზაობა გენდერული მიდგომებისადმი

ორჯონიკიძე ნინო

ახვლედიანი მაია

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი

აბდალაძე ლალი

შოთა მესხიას სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ზუგდიდი

DOI: <https://doi.org/10.52340/idw.2023.102>

აბსტრაქტი. საბავშვო ბაღში თამაში სხვადასხვა ფუნქციას ასრულებს: საგანმანათლებლოს, ორგანიზაციულს, აღმზრდელობითს. თამაშის ხელმძღვანელობისას აღმზრდელი ბავშვის პიროვნების ყველა მხარეზე ზემოქმედებს. თამაშის პროცესში საკმაოდ მკაფიოდ იკვეთება განსხვავებები სკოლამდელი ასაკის ბიჭებსა და გოგონებს შორის. თამაში გენდერული აღზრდის ეფექტიან საშუალებად რომ იქცეს, საჭიროა როლური თამაშის შინაარსის წარმართვა ბიჭებისა და გოგონების ერთობლივი თამაშებით, რომლის პროცესშიც ბავშვები ერთად იმოქმედებენ თავიანთი გენდერული თავისებურებების გათვალისწინებით. საკითხთან დაკავშირებით ჩატარდა კვლევა ქ. ქუთაისის აიპ ბაღების გაერთიანების №4 ფილიალის ბაზაზე. გამოვლინდა საინტერესო მიგნებები. მიზანი ბავშვებში გენდერული თავისებურებების ჩამოყალიბების დონის დიაგნოსტიკა იყო; მიღებული მონაცემების ბაზაზე ვფიქრობთ კვლევის გაგრძელებას. რომ დავადგინოთ თუ როგორ უნდა დაიგეგმოს სწორად თამაშების ორგანიზაცია გენდერული მიდგომის გათვალისწინებით.

საკვანძო სიტყვები: ბაღი, თამაში, აქტივობა, გენდერი, აღმზრდელი.

სკოლამდელ ასაკში თამაში - ძირითადი, წამყვანი აქტივობაა, რომელიც ბავშვთა განვითარებაში, კერძოდ, მათ ფსიქიკაში ხარისხობრივ ცვლილებებს იწვევს. გართობასთან ერთად, თამაში - სკოლამდელთა აღზრდა-განვითარების, მათი, როგორც პიროვნების, ინდივიდის ჩამოყალიბების უმნიშვნელოვანესი საშუალებაა. მაგრამ ეს მხოლოდ მაშინ ხდება, როდესაც თამაში ჩართულია მართულ, მიზანმიმართულ პედაგოგიურ პროცესში. თამაშით განვითარება მნიშვნელოვანწილად ხდება მისი, როგორც აღმზრდელობითი საშუალების გამოყენებისას.

პედაგოგი ხელმძღვანელობს სახელმწიფო მოთხოვნებით სკოლამდელი განათლების ძირითადი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურისადმი და მათი გათვალისწინებით არჩევს და გეგმავს პროგრამულ შინაარსს, რომელიც უნდა იქნას ათვისებული ბავშვების მიერ თამაშებით, განსაზღვრავს თამაშის დიდაქტიკურ ამოცანებს, მის წესებს და მოსალოდნელ შედეგებს.

პედაგოგიურ პროცესში თამაშის ჩართვით აღმზრდელი ასწავლის ბავშვებს თამაშს, კარგი, სასარგებლო თამაშის შექმნას. ასეთი თამაშისთვის დამახასიათებელია შემდეგი თვისებები:

- ✓ შინაარსის აღმზრდელობით-შემეცნებითი ღირებულება;
- ✓ მიზანმიმართულობა და აქტიურობა;
- ✓ სათამაშო მოქმედებების ორგანიზებულობა და შემოქმედებითი ხასიათი;
- ✓ თამაშისას წესების დაცვა თითოეული ბავშვისა და ყველა მოთამაშის ინტერესების გათვალისწინებით;

- ✓ სათამაშოებისა და თამაშისთვის საჭირო სხვა მასალების მიზანიმართული გამოყენება;
- ✓ ბავშვების კეთილგანწყობილი ურთიერთობები და მხიარული განწყობა.

ვიდრე ვისაუბრებთ სკოლამდელი ასაკის ბავშვებში თამაშის სპეციფიკაზე გენდერული მიდგომის თვალსაზრისით, უფრო დაწვრილებით განვიხილავთ საკითხს, რომელიც უშუალოდ თამაშს ეხება.

თამაში - ადამიანის არსებობის განუყოფელი ნაწილია. ადამიანი ყოველთვის თამაშობდა, მთელი ცხოვრების განმავლობაში. საზოგადოების, სოციალური ინსტიტუტების განვითარებასთან ერთად, იცვლებოდა თამაშიც, კერძოდ კი, მისი შინაარსი და ატრიბუტები. ამჟამად საბავშვო თამაშები უფრო მრავალფეროვანია, ისინი მრავალმხრივ ასახავენ რეალურ სინამდვილეს. დღესდღეობით თამაში - საზოგადოებრივი გამოცდილების შეთვისების თავისებური, მხოლოდ სკოლამდელი ასაკისათვის დამახასიათებელი საშუალებაა.

საბავშვო ბაღში თამაში სხვადასხვა ფუნქციას ასრულებს: საგანმანათლებლოს, ორგანიზაციულს, აღმზრდელობითს. დაუშვებელია, თამაშისათვის გამოყოფილი დრო რაიმე სხვა ტიპის აქტივობით იქნას ჩანაცვლებული. პედაგოგი თამაშს სერიოზულად უნდა მოეკიდოს, ყურადღებით ადევნოს თვალი თამაშის მსვლელობას და არ გაუშვას ხელიდან იმის შესაძლებლობა, რომ გამოიყენოს თამაშის პროცესი საგანმანათლებლო-აღმზრდელობითი მუშაობისათვის.

მასწავლებელმა თამაშის ორგანიზატორის ფუნქცია სრულად საკუთარ თავზე არ უნდა აიღოს. მან უნდა შექმნეს ისეთი პირობები, რომ ბავშვები თვითონ იქცნენ თამაშის ორგანიზატორებად, უნდა წახალისონ მათი დამოუკიდებლობა, რასაც ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს მათი განვითარებისთვის.

ამ ასაკის ბავშვებისთვის თამაშების მთელი მრავალფეროვნებიდან ყველაზე პოპულარული და სასურველია სიუჟეტური, როლური თამაშები, რომლებიც თავისი არსით დამოუკიდებელი თამაშია, თუმცა ეს დამოუკიდებლობა პირობითია, რადგან ისინი პედაგოგის არაპირდაპირი, ირიბი ხელმძღვანელობით მიმდინარეობს.

სიუჟეტურ-როლური თამაშის განხორციელებაში რამდენიმე საფეხური გამოიყოფა: დაწყებული პედაგოგის უშუალო მუშაობით, ბავშვების ცოდნითა და გამოცდილებით გამდიდრებაზე და დამთავრებული აღსაზრდელთა დამოუკიდებელი თამაშით. თამაშის პირდაპირი ხელმძღვანელობის (ჩვენება, ახსნა) ნაცვლად მასწავლებელი არაპირდაპირ, ირიბ მეთოდებს იყენებს, რომლებიც ააქტიურებენ ბავშვის ფსიქიკურ პროცესებს, მის გამოცდილებას (კითხვები, რჩევები, შეხსენება და სხვ.).

თამაშის ხელმძღვანელობისას აღმზრდელი ბავშვის პიროვნების ყველა მხარეზე ზემოქმედებს: მის ცნობიერებაზე, გრძნობებზე, ქცევაზე. იგი იყენებს თამაშს ბავშვის გონებრივი, ზნეობრივი, ესთეტიკური და ფიზიკური განვითარებისათვის. თამაშის პროცესში ხდება ბავშვების ცოდნისა და წარმოდგენების დაზუსტება და გაღრმავება. ამა თუ იმ როლის შესასრულებლად ბავშვმა თავისი წარმოდგენები უნდა გადაიტანოს თამაშის მოქმედებებში. ზოგჯერ ბავშვების ცოდნა და წარმოდგენები ადამიანების ურთიერთობებზე, მათ შრომაზე, საქმიანობაზე, მათ კონკრეტულ ქმედებებზე არასაკმარისი აღმოჩნდება ხოლმე, და წარმოიქმნება მათი შევსების, გამდიდრების აუცილებლობა. ახალი ცოდნის საჭიროება ვლინდება ბავშვების მიერ დასმულ კითხვებში, აღმზრდელი პასუხობს კითხვებს, ყურს უგდებს ბავშვების საუბარს თამაშის დროს, ეხმარება მოთამაშეებს ურთიერთგაგების მიღწევაში.

უნდა აღინიშნოს, რომ თამაშის პროცესში საკმაოდ მკაფიოდ იკვეთება განსხვავებები სკოლამდელი ასაკის ბიჭებსა და გოგონებს შორის. მკვლევარები აღნიშნავენ განსხვავებულ შინაარსსა და თამაშის სტილს. გოგონებისათვის უფრო დამახასიათებელია მშვიდი თამაშები საოჯახო, ყოფით თემატიკაზე. ბიჭების თამაშები ხმაურიანი და მოძრავია. ამ თავისებურებების გათვალისწინება აუცილებელია ჯგუფში საგნობრივ-განმავითარებელი გარემოს ორგანიზების დროს. გოგონებისათვის საკმარისია ერთი კუთხის გამოყოფა. იქვე დაილაგებენ მთელ თავის „სიმდიდრეს“ - თოჯინებს, სათამაშო ჭურჭელს, თოჯინების ტანსაცმელს და შემოსაზღვრულ, მცირე სივრცეში თამაშობენ. ბიჭებს, როგორც წესი, დიდი

სივრცე სჭირდებათ, რადგან ისინი დარბიან, ისვრიან მიზანში სხვადასხვა საგნებს, შლიან და აწყობენ სათამაშოებს და ა.შ. და მათთვის გამოყოფილ მთელ სივრცეს იკავებენ.

იმისთვის, რომ თამაში გენდერული აღზრდის ეფექტიან საშუალებად იქცეს, საჭიროა როლური თამაშის შინაარსის წარმართვა ბიჭებისა და გოგონების თავისებურებების გათვალისწინებით, როგორც ბაღში, ასევე ოჯახში, აგრეთვე ბავშვის ჩართვა თამაშის ისეთი სუბიექტის პოზიციაში, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება მის გენდერულ მიდრეკილებებს და ინტერესებს.

აუცილებელია, რომ ბიჭებსა და გოგონებს შორის გადაილახოს გამიჯნულობა, უნდა მოეწყოს ერთობლივი თამაშები, რომლის პროცესშიც ბავშვები ერთად იმოქმედებენ თავიანთი გენდერული თავისებურებების გათვალისწინებით. ბიჭები მამაკაცის როლს ირგებენ, გოგონები - ქალის როლს. მაგალითად, თოჯინა - შვილი - ავად გახდა, საჭიროა სასწრაფო დახმარების გამოძახება: ექიმი (ეს როლი შეიძლება ბიჭებმაც შეასრულონ და გოგონებმაც) ავადმყოფთან მოჰყავს მძღოლს - ბიჭს, წამალს ყიდულობენ აფთიაქში, სადაც კონსულტანტი არის გოგონა, მედდა არის გოგონა და ა.შ.

თამაშის ორგანიზებისას მნიშვნელოვანია, აღმზრდელს ახსოვდეს, რომ გოგონებსჭირდებათ სტიმულები, რომლებიც მეტწილად სმენით აღქმას ეფუძნება, ხოლო ვაჟებისათვის უმჯობესია ვიზუალური საშუალებების გამოყენება, რომლებიც მხედველობით აღქმას ემყარება.

სკოლამდელი ასაკის ბავშვების თამაშს ერთი სერიოზული ნაკლი აქვს - ერთი და იგივე მოქმედებების გამეორება. თუ დავაკვირდებით, აუცილებლად შევნიშნავთ, რომ ბიჭები, მაგალითად, მანქანებით თამაშის დროს ხშირად გადაადგილებენ სათამაშოს ერთი და იმავე მიმართულებით და ძრავის ხმას ბაძავენ. გოგონების თამაშებში მონოტონურობა და ერთფეროვნება იმაში გამოიხატება, რომ თოჯინით თამაშისას ერთი და იმავე მოქმედებებს იმეორებენ: უკეთებენ ვარცხნილობას, ხდიან/აცმევენ, აჭმევენ და ა.შ. აღმზრდელი, რომელიც ყოველდღიურად აკვირდება და ფაქტობრივად მონაწილეობს ამ თამაშებში, უნდა ცდილობდეს, გაამრავალფეროვნოს ასეთი სათამაშო მოქმედებები, უბიძგოს იმისკენ, რომ ბავშვებმა რაღაც სიახლეები შემოიტანონ თამაშში, ან მათ სიუჟეტში ან დეტალებში. გარდა ამისა, აღმზრდელს შეუძლია თამაშებში მონაწილეობის მისაღებად ბავშვების მშობლებიც მოიწვიოს.

სკოლამდელი ასაკი ის პერიოდია, როდესაც პედაგოგები და მშობლები უნდა დაეხმარონ ბავშვს საკუთარი უნიკალურობის, მთელი მისი ნიჭისა და იმ შესაძლებლობების გახსნაში, რომელიც მას, როგორც გარკვეული სქესის ადამიანს აქვს მინიჭებული. ეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პერიოდია გენდერული სიმყარის ფორმირებაში, როდესაც გოგონებიც და ვაჟებიც უპირატესად ქალების გავლენის ქვეშ იმყოფებიან - როგორც წესი, აღმზრდელები, ძიძგები, ბაღის სხვა თანამშრომლები სწორედ ქალებია.

სკოლამდელთა თამაშის ხელმძღვანელობისას უნდა გვახსოვდეს, რომ თამაშის პროცესში გენდერული თავისებურებების გამოვლენა შემდეგში მდგომარეობს:

✓ ბავშვების თამაში შინაარსობრივად ასახავს მშობლებთან და სხვა მოზრდილებთან მათი ურთიერთობის შედეგებს, რომლებიც წარმოადგენს სოციალური როლების მინიჭების საფუძველს;

✓ თამაშის პროცესში სქესობრივი მიდრეკილებები ვლინდება არა მხოლოდ სიუჟეტებში, არამედ სხვადასხვა ატრიბუტების, სიმბოლოების, სათამაშოების გამოყენებაში;

✓ თამაში ხელს უწყობს ნეგატიური როლური სტერეოტიპების გადალახვას.

ჩვენი კვლევის პრაქტიკული ექსპერიმენტული ნაწილი განხორციელდა ქ.ქუთაისის აიპ ბაღების გაერთიანების №4 ფილიალის ბაზაზე. დაკვირვების მიზანი იყო სკოლამდელი ასაკის ბავშვებში გენდერული თავისებურებების ჩამოყალიბების დონის გაანალიზება და ბავშვთა თამაშის ორგანიზაციის გეგმის შემუშავება.

კვლევაში მონაწილეობა მიიღო სკოლამდელი ასაკის 15 ბავშვმა (5 გოგონა და 10 ვაჟი).

კვლევა ორი ეტაპისაგან შედგება:

I ეტაპი - აღწერისა და ანალიზის ეტაპი. ჩატარდა პირველადი დიაგნოსტიკა ბავშვებში გენდერული თავისებურებების ჩამოყალიბების დონის განსაზღვრის თვალსაზრისით;

II ეტაპი - მაფორმირებელი. ამ ეტაპის ფარგლებში იგეგმება თამაშის ორგანიზაციის პედაგოგიური ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება გენდერული მიდგომის გათვალისწინებით.

საკითხთან დაკავშირებული სამეცნიერო ლიტერატურის შესწავლის საფუძველზე შერჩეულ იქნა ბავშვების იმ გენდერული წარმოდგენების ჩამოყალიბებულობის დონის კრიტერიუმები, რომლებიც გავლენას ახდენენ თამაშის ფორმირებაზე სკოლამდელ ასაკში:

1. ბავშვთა ცოდნის დონე ვაჟებისა და გოგონების მიერ საგნების ფუნქციური დანიშნულებით გამოყენების შესახებ;

2. აღსაზრდელთა წარმოდგენების დონე მოზრდილების სამუშაო და საყოფაცხოვრებო საგნების დაყოფაზე დედების (ქალების) და მამების (მამაკაცების) საგნებად და ამ საგნების გამოყენების სპეციფიკაზე;

3. სკოლამდელთა წარმოდგენების დონე ბიჭების (მამაკაცების) და გოგონების (ქალების) თავისებურებების შესახებ.

გენდერული თავისებურებების ჩამოყალიბებულობის თითოეული კრიტერიუმის მიხედვით დიაგნოსტიკის შედეგად შემდეგი სურათი გამოიკვეთა.

- ბავშვების ცოდნის დონე საგნების ფუნქციური დანიშნულებით გამოყენების შესახებ. მიღებული მონაცემებით გამოვლინდა, რომ მხოლოდ 4 ბავშვს (2 ვაჟსა და 2 გოგონას) აქვს ცოდნის მაღალი დონე გოგონებისა და ვაჟების მიერ სხვადასხვა საგნების გამოყენების თავისებურებების შესახებ, დანარჩენ 11 ბავშვს საშუალო და დაბალი დონე აქვთ ამ ტიპის ცოდნის მხრივ.

- აღსაზრდელთა წარმოდგენების დონე მოზრდილების სამუშაო და საყოფაცხოვრებო საგნების დაყოფაზე დედების (ქალების) და მამების (მამაკაცების) საგნებად და ამ საგნების გამოყენების სპეციფიკაზე. ამ კრიტერიუმით შედეგებმა აჩვენა, რომ 4 აღსაზრდელს (2 ვაჟსა და 2 გოგონას) აქვს ცოდნის მაღალი დონე ქალებსა და მამაკაცებს შორის შრომისა და საყოფაცხოვრებო საგნების განაწილების შესახებ, 7 ბავშვის წარმოდგენების დონე საშუალოა, ხოლო 4 ბავშვის წარმოდგენები - დაბალ დონეზეა.

- სკოლამდელთა წარმოდგენების დონე ბიჭების (მამაკაცების) და გოგონების (ქალების) თავისებურებების შესახებ. ამ დაკვირვებამაც აჩვენა, რომ მხოლოდ 4 აღსაზრდელი გამოირჩევა წარმოდგენების მაღალი დონით, 8 სკოლამდელის წარმოდგენების დონე საშუალოა, ხოლო 3-ის - დაბალი.

კვლევის შედეგად შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა, რომ მხოლოდ 4 სკოლამდელს (27%) აქვს გენდერული თავისებურებების ჩამოყალიბებულობის მაღალი დონე, მათ შორის 2 ვაჟს და 2 გოგონას. ეს ბავშვები ამჟღავნებენ ასაკის შესაბამის ღრმა ცოდნას ვაჟებისა და გოგონების მიერ საგნების ფუნქციური გამოყენების სპეციფიკის შესახებ, აქვთ მკაფიო წარმოდგენა სამუშაო და საყოფაცხოვრებო ნივთების დაყოფის შესახებ, აგრეთვე იციან ვაჟების (მამაკაცების) და გოგონების (ქალების) როგორც სხვადასხვა სქესის ადამიანების ზოგადი თავისებურებების შესახებ. დაკვირვებამ აჩვენა, რომ ეს ბავშვები ავლენენ ინტერესს თანატოლებთან ურთიერთობისას, მათ სჭირდებათ საუბრები სათამაშოების შესახებ, ერთობლივი თამაშის, საერთო საქმიანობის შესახებ, მათ მოწესრიგებული აქვთ მეგობრული ურთიერთობები.

გენდერული წარმოდგენების ჩამოყალიბებულობის საშუალო დონე აქვს კვლევაში ჩართულ სკოლამდელს (40%), მათ შორის 3 ვაჟი და 3 გოგონაა. მათ იციან სხვადასხვა სქესის წარმომადგენელთა მიერ საგნების ფუნქციური დანიშნულებით სპეციფიკური გამოყენების შესახებ, საკმარისი წარმოდგენა აქვთ მოზრდილთა სამუშაო და საყოფაცხოვრებო ნივთების განსხვავებულობის შესახებ, მაგრამ ხშირად ერევათ ქალებისა და მამაკაცებისთვის დამახასიათებელი სახეობრივი თავისებურებები. ამ ბავშვებს არ ახასიათებთ მაღალი შემეცნებითი აქტივობა, მათ ხშირად უჭირთ დაწვრილებით გადმოსცენ, თუ რა საქმიანობას ეწევიან დედა და მამა ოჯახში.

შესწავლილი კრიტერიუმებით დაბალ დონეს ავლენს 5 ვაჟი (33%). აღმზრდელის და პედაგოგის ერთობლივ ძალისხმევას მოითხოვს ის ფაქტი, რომ ეს ბავშვები რთულად ერთვებიან ერთობლივ თამაშებში თანატოლებთან. თამაშის დროს იმეორებენ ერთფეროვან სიუჟეტურ ეპიზოდებს. ამ ბავშვების პრობლემაა აგრეთვე ის, რომ მათ უჭირთ საყვარელი თამაშის დასახელება, ჩამოთვლა და გოგონებისა და ვაჟების თამაშების დიფერენცირება.

განხორციელებული კვლევის პირველმა ეტაპმა აჩვენა, რომ ბავშვების მხოლოდ 27%-ს აქვს გენდერული თავისებურებების ჩამოყალიბებულობის მაღალი დონე, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ისინი თამაშის პროცესში იყენებენ მრავალფეროვან სიუჟეტებს, ინტერესით ერთვებიან თამაშის დიალოგში თანატოლებთან, ავლენენ შემოქმედებითობას სათამაშო გარემოს შექმნაში, განასხვავებენ მამაკაცებისა და ქალების თავისებურებებს; სკოლამდელთა 73%-ს კი გენდერული თავისებურებების ფორმირების საშუალო და დაბალი დონე აქვს, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ისინი საჭიროებენ აღმზრდელის დახმარებას თანატოლებთან სათამაშო ურთიერთმოქმედების დასამყარებლად.

ამრიგად, კვლევის მეორე ეტაპი დაეფუძნება პირველი ეტაპის შედეგებს, რომლის მიზანიც ბავშვებში გენდერული თავისებურებების ჩამოყალიბების დონის დიაგნოსტიკა იყო; სწორედ მიღებული მონაცემების ბაზაზე ვაგრძელებთ მუშაობას და კვლევის დასრულების შემდეგ წარმოვადგენთ ჩვენს მოსაზრებებს, თუ როგორ უნდა დაიგეგმოს სწორად თამაშების ორგანიზაცია გენდერული მიდგომის გათვალისწინებით.

ლიტერატურა:

1. ბარბაქაძე თ. (2012).. ბარბაქაძე თ., ჯიჯავაძე ნ., ჯანელიძე ა. თამაშები და აქტივობები სკოლამდელი ბავშვებისთვის მშობლისა და აღმზრდელის წიგნი. – 2012. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.
2. ბერძენიშვილი თ. (2010). ბერძენიშვილი თ., ხერხეულიძე მ., კანდელაკი ე., ლაბარტყავა ნ., აფთარაშვილი ი. ადრეულ ასაკში სწავლისა და განვითარების სტანდარტები. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.
3. ბერნი შ. (2002). გენდერული ფსიქოლოგია, „პრაიმ ევროპიან“, 320. Берн, Ш. Гендерная психология / Ш. Берн. - СПб.: Прайм-Еврознак, 2002. - 320 с.
4. ვიგოტსკი ლ. (1996). თამაში და მისი როლი ბავშვის ფსიქოლოგიური განვითარებისათვის. მოსკ. აკადემია. 1996. – 127 Выготский, Л.С. Игра и ее роль в психическом развитии ребенка / Л.С. Выготский.- М.: Академия, 1996. – 127 с.
5. კაგანი ვ. (2000). გენდერული დამოკიდებულების შემეცნებითი და ემოციური ასპექტები 3-7 წლის ბავშვებში, ჟურნ., „ვაპროსი ფსიქოლოგი“, №2. - 65-69 . Каган, В.Е. Когнитивные и эмоциональные аспекты гендерных установок у детей 3-7 лет / В.Е. Каган // Журнал «Вопросы психологии».- 2000.- №2. - 65-69 с.

Educator's readiness for gender approaches in leading the game in preschool institutions

Nino Orjonikidze

Maia Akhvlediani

Tsereteli State University, Kutaisi

Lali Abdaladze

Shota Meskhia State University, Zugdidi

Abstract

Playing in kindergarten performs various functions: upbringing, organizational, educational. When leading the game, the educator affects all aspects of the child's personality. Differences between pre-school boys and girls are quite clear in the game process. For the game to become an effective means of gender education, it is necessary to guide the content of the role-playing game with joint games of boys and girls, in the process of which children will act together taking into account their gender characteristics. In connection with the issue, a study was conducted at the

base of Kutaisi Kindergartens Union No. 4 branch. Interesting findings were revealed. The aim was to diagnose the level of formation of gender characteristics in children; Based on the received data, we are thinking of continuing the research. To determine how to properly plan the organization of the games, taking into account the gender approach.

Key words: kindergarten, game, activity, gender, educator.

საშინაო დავალების მოცულობა მათემატიკაში და მისი გავლენა აკადემიურ მოსწრებაზე

ფიროსმანაშვილი თამარ
ტყებუჩავა მიმოზა

სსიპ N89 საჯარო სკოლა, თბილისი

DOI: <https://doi.org/10.52340/idw.2023.103>

აბსტრაქტი. მოსწავლეთათვის მათემატიკაში საშინაო დავალების მიცემა როგორც სირთულეებთან, ასევე სარგებელთანაცაა დაკავშირებული. ჩატარებულმა კვლევებმა და ჩვენმა სასკოლო პრაქტიკამ ცხადად გამოავლინა, რომ დიდი მოცულობის დავალება უარყოფით გავლენას ახდენს მოსწავლის მოტივაციაზე, ინტერესსა და აკადემიურ მოსწრებაზე. აქედან გამომდინარე, განვხორციელეთ კვლევა საშინაო დავალებების მოცულობის სიმცირესა და მის ეფექტურობაზე. ჩვენი რესპონდენტები იყვნენ სსიპ - ქალაქ თბილისის N89 საჯარო სკოლის VII-X კლასის მოსწავლეები. ჩატარებული კვლევის მიზანი იყო მოსწავლეთა დაბალი აკადემიური შედეგების გამომწვევი მიზეზების დადგენა, შესაბამისი ინტერვენციების განხორციელება და მიღწეული შედეგების შეფასება. გავეცანით საერთაშორისო კვლევებსა და გამოცდილებას, რაც დაგვახმარა ინტერვენციების შერჩევასა და დაგეგმვაში. კვლევის ფარგლებში ჩატარდა ფოკუსირებული დაკვირვება, რომლის მიზანი იყო გამოეკვლია, მოქმედებდა თუ არა მოსწავლეთა აკადემიურ მოსწრებაზე საშინაო დავალებების შესრულება. გაანალიზდა კვლევის დაწყებამდე შემაჯამებელი სამუშაოები, რომლის მიზანიც იყო მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების დადგენა. აგრეთვე, მოხდა მშობელთა ანკეტირება მათი შვილების სასწავლო პროცესში ჩართულობის დადგენის მიზნით. პრაქტიკული კვლევის საფუძველზე, დადგინდა, რომ დავალების მცირე მოცულობა დადებითი გავლენა იქონია მათ აკადემიურ მოსწრებაზე, მოსწავლეებს მოეხსნათ სტრესი, რაც ბევრი დავალებებით იყო გამოწვეული და საგანი მათთვის უფრო საინტერესო გახდა. ასევე რჩებათ მეტი თავისუფალი დრო, რასაც წინა მასალის გამეორებას ახმარენ, რაც მათი აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებას უწყობს ხელს. ჩვენს მიერ შემოთავაზებული რეკომენდაციები სასარგებლო იქნება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის სხვა პედაგოგებისთვისაც. წარმოგიდგინებ ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე შემუშავებულ რეკომენდაციებს, რომელიც სასარგებლოა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის სხვა პედაგოგებისთვისაც.

საკვანძო სიტყვები: დავალება, მოცულობა, ეფექტიანობა, მოსწრება, სიმცირე.

მოსწავლეთათვის მათემატიკაში საშინაო დავალების მიცემა როგორც სირთულეებთან ასევე სარგებელთანაცაა დაკავშირებული. ჩატარებულმა კვლევებმა (ნეფარიძე, 2014) და ჩვენმა სასკოლო პრაქტიკამ ცხადად გამოავლინა, რომ დიდი მოცულობის დავალება უარყოფით გავლენას ახდენს მოსწავლის მოტივაციაზე, ინტერესსა და აკადემიურ მოსწრებაზე. აქედან გამომდინარე, **აქტუალურად** მივიჩნით, განვხორციელებინა კვლევა საშინაო დავალებების მოცულობის სიმცირეზე და მის ეფექტურობაზე.

მსოფლიოს მრავალი ქვეყნის სასწავლო სისტემაში საშინაო დავალება სწავლების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. საშინაო დავალების შესრულება მოსწავლეთა ყოველდღიური პასუხისმგებლობაა. (ლომიძე, 2015)

საშინაო დავალება სწავლა-სწავლების ნაწილია, ეს იქნება წერილობითი

შესასრულებელი თუ ზეპირად სასწავლო. საშინაო დავალებამ შეიძლება მოახდინოს მოსწავლის დაინტერესება, აუმაღლოს მას მოტივაცია, ჩამოუყალიბოს დამოუკიდებლად მუშაობის უნარი, პასუხისმგებლობის გრძნობა, კლასგარეშე მუშაობის უნარი. საშინაო დავალებამ უარყოფითი შედეგიც შეიძლება მოახდინოს მოსწავლეებში. საშინაო დავალების უარყოფითი გავლენა შეიძლება გამოიხატოს მოსწავლეების მიერ გადაწერასა და პლაგიატში. (ლომიძე, 2015)

მსოფლიოში არაერთი კვლევა ჩატარებულა, თუ რა სირთულეებთან-სარგებლობასთან არის მოსწავლისათვის საშინაო დავალების მიცემა დაკავშირებული. ჩატარებული კვლევების შედეგები განსხვავებულია. ერთნი თვლიან, რომ საშინაო დავალება მოსწავლეთა შორის უთანასწორობის გამძაფრებას უწყობს ხელს, რადგან დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენელ ბავშვებს იმის შესაძლებლობა არ აქვთ, რომ მშობლები დაიხმარონ დავალების შესრულებაში, არ აქვთ იზოლირებული და კომფორტული სამუშაო სივრცე სახლში, ტექნოლოგიური საშუალებები (კომპიუტერი, ინტერნეტი), რომელთა გამოყენებასაც, დღეს ხშირად ითვალისწინებს საშინაო დავალების ფორმატი. ექსპერტთა მეორე ნაწილი კი მიიჩნევს, რომ საშინაო დავალება მოსწავლეების ინდივიდუალური შესაძლებლობების გამოვლენას უწყობს ხელს. მათი აზრით საშინაო დავალება მოსწავლეს და მასწავლებელს საშუალებას აძლევს, უფრო ახლოს იყვნენ ერთმანეთთან. იგი ასევე აახლოებს ოჯახის წევრებს, მშობელს ეძლევა საშუალება უფრო მეტად ჩართული იყოს ბავშვის განვითარებაში. საშინაო დავალების შესრულების დროს მოსწავლეს ეძლევა საშუალება გამოცდილება მიიღოს და სკოლაში უფრო წარმატებული გახდეს. საშინაო დავალების შესრულება ასევე საუკეთესო გზაა პასუხისმგებლობის გრძნობის განვითარებისთვის, თუმცა ამ ყველაფრის დადებითობა სწორად შერჩეულ საშინაო დავალებაზე დამოკიდებული. (ნეფარიძე, 2014)

რა თავისებურებებს ვხვდებით სხვადასხვა ქვეყანაში?

ინგლისში ეროვნული სასწავლო გეგმით არის განსაზღვრული საშინაო დავალებისთვის რეკომენდებული საათები. უელსში თვლიან, რომ საშინაო დავალების მოცულობა ეროვნული პოლიტიკით რეგულირებული კი არ უნდა იყოს, არამედ უნდა შემუშავდეს თითოეული სკოლის მიერ. საფრანგეთში ახალი საგანმანათლებლო სტრატეგიის მიხედვით, იგეგმება 5-დღიან სწავლაზე გადასვლა და საშინაო დავალების გაუქმება. ამ გადაწყვეტილების მიზეზად ხელისუფლება მოსწავლეების უთანასწორო მდგომარეობას ასახელებს. იმ ბავშვებისთვის, რომელთაც სახლში სამუშაო პირობები ან მშობლის დახმარება არ აქვთ, საშინაო დავალება არა ცოდნის გაღრმავების, არამედ აკადემიური რეგრესის წყარო ხდება. ამდენად, საფრანგეთში, ახალი გადაწყვეტილების მიხედვით, დავალებებს მოსწავლეები სკოლაშივე, აკადემიური საათების დასრულების შემდეგ, დამხმარე გაკვეთილებზე შეასრულებენ. (ნეფარიძე, 2014)

ბევრ ქვეყანაში დაწყებით კლასებში საშინაო დავალებას არ აძლევენ. კვლევის შედეგები გვიჩვენებს, რომ უმცროსკლასელი მოსწავლეები დავალებისგან ვერ იღებენ სარგებელს (კუპერი, 2001). ამ გავრცელებული მიდგომისაგან განსხვავებით, გერმანიაში პირველივე დღიდან აქვთ ბავშვებს საშინაო დავალება შესასრულებელი. თუმცა აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ რამდენიმე სკოლამ გერმანიაში საშინაო დავალება აკრძალა. იაპონელ მოსწავლეებს დავალება ყოველდღიურად აქვთ შესასრულებელი, არადადეგების პერიოდის ჩათვლით. ა.შ.შ-ში საშინაო დავალება მხოლოდ 1950-იან წლებში გახდა სავალდებულო. საშინაო დავალების სავალდებულო ხასიათი დღემდე შენარჩუნებულია. 2007 წლის კვლევამ გამოავლინა, რომ საშინაო დავალების მოცულობა იზრდება და ამჟამად მისი შესრულება საშუალოდ, დღეში სამ საათზე მეტ დროს მოითხოვს. (ნეფარიძე, 2014)

ზოგიერთ ქვეყანაში საშინაო დავალებებს იმ მოსწავლეებს აძლევენ, რომლებიც ამას ყველაზე მეტად საჭიროებენ. სხვა ქვეყნებში ბავშვებს საშინაო დავალება დამატებითი ვარჯიშისათვის ეძლევათ. ამის გამო, კვლევები საშინაო დავალების ეფექტურობის შესახებ შერეულ შედეგებს გვაწვდის. (ლომიძე, 2015)

მკვლევრების აზრით, საშინაო დავალების ეფექტურობა დამოკიდებულია მოსწავლეების ასაკზე. კარგად არის ცნობილი, რომ ასაკის მატებასთან ერთად იზრდება მოსწავლის ყუ-

რადღების კონცენტრაციისა და დამოუკიდებლად სწავლის უნარი. საშინაო დავალების ეფექტურობა მოსწავლეთა ასაკთან ერთად მატულობს. TIMSS-ის მიხედვით, მასწავლებლები მოსწავლეთა შეფასებას დროის საკმაოდ დიდ ნაწილს უთმობენ. შეფასების სიხშირე და სწავლების ფორმატი სასკოლო პედაგოგიკის მნიშვნელოვან ინდიკატორებს წარმოადგენს. (ლომიძე, 2015)

საშინაო დავალების ეფექტურობის განსაზღვრაში დიდ როლს ასრულებს მასწავლებლის მომზადება და საშინაო დავალებების შედგენის, გამოკითხვის და შეფასების მეთოდოლოგიის ცოდნა. საშინაო დავალების ეფექტიანობისთვის მნიშვნელოვანია სასკოლო პოლიტიკის არსებობა რომელიც დაარეგულირებს საშინაო დავალების ტიპებს და მოცულობას, ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რადგან ჩატარებულმა კვლევებმა ცხადად გამოავლინა რომ დიდი მოცულობის დავალება უარყოფით გავლენას ახდენს მოსწავლის მოტივაციაზე, ინტერესსა და აკადემიურ მოსწრებაზე. (ლომიძე, 2015) საშინაო დავალებების შესრულება ყველაზე შედეგიანია უფროსკლასელებისთვის, განსაკუთრებით მაშინ როდესაც მას კვირაში 5-10 საათს უთმობენ, ანუ რეკომენდებული დავალება დღიურად არაუმეტეს 2 საათისა ყველა საგანში ერთად, იმავეს თქმა შეიძლება საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებზეც. (რომელ კლასში რამდენ საათს უნდა უთმობდეს მოსწავლე მეცადინეობას, 2013)

პენსილვანიის უნივერსიტეტის პროფესორი ჯერალდ კეი ლიტენდრე (Gerald K.Letendre) კოლეგებთან ერთად ბოლო ათწლეულის განმავლობაში სწავლობდა თუ როგორ აისახება ბავშვის განათლების დონესა და მოსწრებაზე საშინაო დავალების მოცულობა. კვლევის ერთ-ერთი მთავარი შედეგი: ყველაზე ბევრ საშინაო დავალებას ბავშვებს აძლევდნენ სუსტი ეკონომიკისა და აშკარად გამოხატული სოციალური უთანასწორობის მქონე ქვეყნებში. თანაც არ არის არანაირი მტკიცებულება იმისა, რომ დატვირთვის ასეთი დონე პოზიტიურად აისახება მოსწავლეთა აკადემიურ მოსწრებაზე. ჩინელი მეცნიერები მიიჩნევენ, რომ საშინაო დავალებაზე დახარჯული ორი საათი დღეში აუცილებლად იწვევს მოსწავლეებში სტრესს. კვლევებისთვის ინფორმაციის წყარო იყო TIMSS-ის (სკოლებში მათემატიკური და საბუნებისმეტყველო განათლების ხარისხის საერთაშორისო მონიტორინგული კვლევა) მონაცემები. TIMSS-ის მონაცემებით მაგალითად, აზიის ქვეყნებში ჰონგ-კონგში, ტაივანსა და იაპონიაში მათემატიკის კუთხით მსოფლიოში ყველაზე მაღალი მაჩვენებელია თუმცა საშინაო დავალებებს ამ ქვეყნებში მცირე მოცულობით აძლევენ. ასევე ნიდერლანდებში მოსწავლეებს აძლევენ მცირე მოცულობის დავალებებს მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია ჰოლანდიელი მოსწავლეებისთვის მათემატიკის ცოდნით მსოფლიო ტოპ ათეულში შესულიყვნენ. (კუტალაძე, 2012)

არის თუ არა მცირე მოცულობის საშინაო დავალება ეფექტური? მცირე მოცულობის დავალება ეფექტურობისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია რომ მასწავლებელი ინდივიდუალურად მიუდგეს თითოეულ მოსწავლეს, გაითვალისწინოს მათი ასაკი, ინტერესები. უნდა ვეცადოთ, საშინაო დავალებები იყოს მრავალფეროვანი. სახლში შესრულებული დავალება უნდა შევამოწმოთ და შევაფასოთ. დავალებად მივცეთ მხოლოდ ისეთი სამუშაო, რომლის შესრულების მეთოდებსაც უკვე ფლობენ. (ნეფარიძე, 2014)

ჩვენს მიერ სსიპ - ქალაქ თბილისის N89 საჯარო სკოლაში ჩატარდა კვლევა, რომლის მიზანი იყო მოსწავლეთა დაბალი აკადემიური შედეგების გამომწვევი მიზეზების დადგენა, შესაბამისი ინტერვენციების განხორციელება და მიღწეული შედეგების შეფასება. კვლევის რესპონდენტები იყვნენ ამავე სკოლის VII-X კლასის მოსწავლეები.

კვლევის ფარგლებში ჩატარდა ფოკუსირებული დაკვირვება, რომლის მიზანი იყო გამოეკვლია, მოქმედებდა თუ არა მოსწავლეთა აკადემიურ მოსწრებაზე საშინაო დავალებების შესრულება. გაანალიზდა კვლევის დაწყებამდე შემაჯამებელი სამუშაოები, რომლის მიზანიც იყო მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების დადგენა. ასევე

- ჩატარდა მოსწავლეებთან ფოკუს ჯგუფი, რომლის მიზანიც იყო, დაედგინა მათი დაბალი აკადემიური მოსწრების მიზეზი, გამოერკვია, მოქმედებდა თუ არა ამაზე დიდი მოცულობის დავალება;

- ჩატარდა მშობელთა ანკეტირება, რომლის მიზანიც იყო მათი ჩართულობის დადგენა მოსწავლეთა სასწავლო პროცესში;
- ჩატარდა მოსწავლეთა ანკეტირება, რომლის მიზანიც იყო საშინაო დავალების მოცულობისა და მისი ეფექტურობის განსაზღვრა.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ მოსწავლისთვის დაბალი აკადემიური მოსწრების გამომწვევი მიზეზებია:

- საშინაო დავალების რაოდენობა;
- საშინაო დავალების მიცემის დროს ყველა ნომრის შესაბამისი ინსტრუქციის არქონა;
- საშინაო დავალების არადროული და არასრულყოფილი შემოწმება.

კვლევის შედეგების ანალიზმა აჩვენა :

- მე-7 მე-10 კლასებში ფოკუსირებული დაკვირვებისას აღმოჩნდა , რომ მოსწავლეთა უმეტესობა იწერდა ან არ ასრულებდა საშინაო დავალებას, რაც აისახებოდა მათ მიმდინარე აკადემიურ მოსწრებაზე;
- შემაჯამებლის ანალიზმა აჩვენა, რომ მოსწავლეთა უმეტესობას ჰქონდა „6“ ან მასზე დაბალი შეფასება;
- ფოკუს ჯგუფის შედეგების ანალიზისას გამოირკვა, რომ დიდი მოცულობის დავალება მოსწავლეებისთვის არის პრობლემა, რადგან მათემატიკის გარდა სხვა საგნებშიც აქვთ სამეცადინო. ამავე დროს დიდი მოცულობის დავალების ყველა ნომერზე ინსტრუქციის მიცემა შეუძლებელია საგაკვეთილო პროცესიდან გამომდინარე. მოსწავლეებმა აღნიშნეს, რომ როცა აქვთ დიდი მოცულობის დავალება, ეზარებათ მისი შესრულება, თან ყველა ნომერს კარგად ვერ იგებენ. სწორედ ამიტომ იწერენ თანაკლასელებისგან. მათი აზრით, მცირე მოცულობის დავალების შემთხვევაში, უფრო სრულყოფილად და ეფექტურად მოახერხებენ დავალების შესრულებას და ეს კიდევ აისახება მათ აკადემიურ მოსწრებაზე.

მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეებიც ეთანხმებიან მცირე მოცულობის დავალებების მიცემას სახლში, მაგრამ მათი აზრით, საჭიროა, დავალებების დიფერენცირება. ყველა მოსწავლეს მიეცეს განსხვავებული სირთულის დავალება. დაბალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეებს თავიდან მიეცეს მარტივები და შემდეგ ნელ-ნელა გართულდეს, ან ასევე შეიძლება მიეცეთ სავალდებულოდ მცირე რაოდენობის დავალება და რამდენიმე ამოცანის არჩევის უფლება. ამ შემთხვევაში უფრო მონდომებით მუშაობენ მოსწავლეები. მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეების აზრით, მათ უნდა მიეცეთ არასტანდარტული (მაღალი კოგნიტური დონის) ამოცანები;

- მშობელთა უმეტესობა ესწრებოდა მშობელთა კრებებს, მაგრამ ისინი იშვიათად ესაუბრებოდნენ თავიანთი შვილების მასწავლებლებს, უმეტესობა არასოდეს ესწრებოდა ღონისძიებებს, არ უმოწმებდა საშინაო დავალებებს, რადგან დაკავებულები არიან სამსახურით და საოჯახო საქმეებით. ამით სარგებლობდნენ მოსწავლეები და არასრულყოფილად ასრულებდნენ დავალებებს, რაც შესაბამისად აისახებოდა მათი შვილების აკადემიურ მოსწრებაზე;
- ყველა მოსწავლის აზრით, აუცილებელი არის საშინაო დავალების მიცემა. საშინაო დავალება უღრმავებს ცოდნას, აუმჯობესებს მათ დამოკიდებულებას სწავლისადმი და ავითარებს სწავლის უნარ-ჩვევებს, მაგრამ მოსწავლეებმა აღნიშნეს, რომ დიდი მოცულობის დავალება მათთვის პრობლემა არის უმეტესწილად, მშობლები იშვიათად ან არასდროს უმოწმებენ დავალებას, ვერ ეხმარებიან, შესაბამისად, არასრულყოფილად შესრულებული დავალება უარყოფითად მოქმედებს მათ აკადემიურ მოსწრებაზე. მოსწავლეებმა გამოთქვეს მოსაზრება , რომ მასწავლებელი მათ თუ მისცემდა მირე მოცულობის დავალებას და გაიგებდა აითვისა თუ არა შესრულებული დავალება, მაშინ მოსწავლეების დამოკიდებულება სწავლისადმი გაუმჯობესდებოდა, რაც შესაბამისად აისახებოდა მათ აკადემიურ მოსწრებაზე.

საერთო ანალიზისას გამოიკვეთა, რომ მოსწავლეები დიდი მოცულობის საშინაო დავალებას შესრულებაზე დიდ დროს ხარჯავენ, ურთულდებათ მისი შესრულება, რაც იმის საფუძველი ხდება, რომ მოსწავლე ან არ ასრულებს დავალებას, ან უხარისხოდ ასრულებს ან იწერს. არასრულყოფილად ან არ შესრულებული დავალების შემდეგ მოსწავლეებს უქრებათ მოტივაცია, რაც აისახება მათ აკადემიურ მოსწრებაზე.

კვლევის პროცესში ინფორმაციისა და მონაცემთა ანალიზის საფუძველზე დაიგეგმა ინტერვენციები, მოხდა მათი შეფასება და შედეგების გაანალიზება. მოსწავლეების დამოკიდებულებების დასადგენად ჩავატარეთ მოსწავლეთა ანკეტირება ისინი აცხადებენ, რომ მცირე მოცულობის საშინაო დავალებამ დადებითი გავლენა იქონია მათ აკადემიურ მოსწრებაზე. მცირე დავალებების არ გაგების შემთხვევაში სრულყოფილად ხდება კლასში გარჩევა, შესაბამისად იგივე შეცდომას აღარ უშვებენ, არ ცდილობენ დავალების გადაწერას და სრულყოფილად ითვისებენ მასალას. მოსწავლეთა აზრით მოეხსნათ სტრესი, რაც ბევრი დავალებებით იყო გამოწვეული და საგანი მათთვის უფრო საინტერესო გახდა. ასევე რჩებათ მეტი თავისუფალი დრო, რასაც წინა მასალის გამეორებას ახმარენ. ყოველივე ამან გამოიწვია მათი აკადემიური მოსწრების გაუმჯობესება.

რეკომენდაციები შემდეგი სახით ჩამოყალიბდა:

- მასწავლებელმა მოსწავლეებს მისცეს ისეთი დავალებები, რომლის მსგავსი სავარჯიშოებიც მათ კლასში გააკეთეს;
- მასწავლებელმა საშინაო დავალების მიცემის დროს გასცეს ყველა სავარჯიშოსთვის შესაბამისი ინსტრუქცია;
- მასწავლებელმა დროულად და სრულყოფილად შეამოწმოს საშინაო დავალება;
- საშინაო დავალების მიცემის დროს მასწავლებელმა გაითვალისწინოს დავალების რაოდენობა ისე, რომ მოსწავლის პოტენციური მაქსიმალურად გაითვალისწინოს, რათა მიაღწიოს შედეგს. ყოველი ახალი დავალება მოსწავლეში უნდა ზრდიდეს მისი ცნობისმოყვარეობის სურვილს ისე, რომ საშინაო დავალების შესრულება მოსწავლეს ჩვევაში გადაეზარდოს.

ამრიგად, პრაქტიკული კვლევის საფუძველზე, დადგინდა, რომ დავალების მცირე მოცულობა დადებითი გავლენა იქონია მათ აკადემიურ მოსწრებაზე, მოსწავლეებს მოეხსნათ სტრესი, რაც ბევრი დავალებებით იყო გამოწვეული და საგანი მათთვის უფრო საინტერესო გახდა. ასევე რჩებათ მეტი თავისუფალი დრო, რასაც წინა მასალის გამეორებას ახმარენ, რაც მათი აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებას უწყობს ხელს. ჩვენს მიერ შემოთავაზებული რეკომენდაციები სასარგებლო იქნება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის სხვა პედაგოგებისთვისაც.

ლიტერატურა:

- კუტალაძე, ი. (2012). *საერთაშორისო საგანმანათლებლო კვლევები საქართველოში*. საგანმანათლებლო პოლიტიკისა და კვლევების ასოციაცია.
- ლომიძე, ნ. (2015, თებერვალი 4). *საშინაო დავალება დასჯა არ არის(რეკომენდაციები მშობლებსა და მასწავლებლებს)*. Retrieved from mastsavlebeli.ge: <http://mastsavlebeli.ge/?p=1779>
- მასწავლებლის სახლი*. (n.d.). Retrieved from (<http://mastsavlebeli.ge/?p=1779>)
- ნეფარიძე, თ. (2014, ივნისი 20). *საშინაო დავალების გავლენა სწავლის ეფექტიანობაზე*. Retrieved from mastsavlebeli.ge: <http://mastsavlebeli.ge/?p=1986>
- რომელ კლასში რამდენ საათს უნდა უთმობდეს მოსწავლე მეცადინეობას*. (2013, მარტი 9). Retrieved from rcs.ge: (<http://rcs.ge/?p=288#sthash.Z2ShdEXC.dpuf>)
- სწავლებისა და სწავლის ახალი მიდგომები*. (2004). თბილისი.

The amount of homework in mathematics and its effect on academic performance

Firosmanashvili Tamar

Tkebuchava Mimoza

Tbilisi Public School N89, Tbilisi

Abstract

Giving students homework in mathematics has both difficulties and benefits. Conducted research and our school practice have clearly revealed that a large volume of assignments has a negative impact on student motivation, interest and academic performance. Therefore, we conducted a study on the small amount of homework and its effectiveness. Our respondents were the VII-X graders of Public School N89 of Tbilisi City. The purpose of the conducted research was to determine the causes of low academic results of students, to implement appropriate interventions and to evaluate the achieved results. We got acquainted with international studies and experiences, which helped us in the selection and planning of interventions. Within the framework of the study, a focused observation was conducted, the purpose of which was to investigate whether the performance of homework had an effect on the academic performance of students. The summative works before the beginning of the research were analyzed, the purpose of which was to determine the academic performance of the students. Parents were also surveyed in order to determine their children's involvement in the educational process. Based on practical research, it was determined that a small volume of assignments had a positive effect on their academic performance, students were relieved of stress caused by many assignments and the subject became more interesting for them. They also have more free time, which they use to revise the previous material, which helps to improve their academic performance. The recommendations offered by us will be useful for other teachers of the general education school. We present to you the recommendations developed on the basis of the research conducted by us, which are useful for other teachers of the general education school.

Key word: task, capacity, efficiency, performance, scarcity.

ავთენტური ვიდეომასალების გამოყენების ზოგიერთი ასპექტი დარგობრივი ინგლისური ენის სწავლების პროცესში

შაშვიაშვილი ქეთევან

იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი

DOI: <https://doi.org/10.52340/idw.2023.104>

აბსტრაქტი. მიუხედავად იმისა, რომ ავთენტური ვიდეომასალების გამოყენება ინგლისური ენის სწავლების პროცესში უკვე აღარ წარმოადგენს სიახლეს, აღნიშნული დამხმარე საშუალებების საბოლოოდ დამკვიდრებისათვის, გასაკუთრებით კი, დარგობრივი უცხო ენის სწავლების პროცესში, ჯერ კიდევ არაერთი საკითხი საჭიროებს კვლევას და დაზუსტებას. ავთენტური ვიდეომასალების ინტენსიური გამოყენება დღემდე არ ხდება, რაც ამ კუთხით გარკვეული პრობლემების არსებობაზე მიუთითებს. სწორედ ამიტომ მივიჩნევთ აქტუალურად დარგობრივი უცხო ენის სწავლების პროცესში ავთენტური ვიდეომასალების გამოყენების პრაქტიკისა და გამოცდილების კვლევას საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში და არსებული პრობლემების გადაჭრის იმ გზების ძიებას, რომლებიც ხელს შეუწყობს აღნიშნული დამხმარე საშუალებების სწავლების პროცესში ინტეგრაციას. სტატიაში განხილულია უცხო ენის სწავლების პროცესში გამოყენებული ვიდეომასალების ტიპები და სახეები და თითოეული მათგანის უპირატესობები თუ ნაკლოვანი მხარეები. ასევე, წარმოდგენილია ჩვენ მიერ ჩატარებული ანკეტირების შედეგების ანალიზი. ჩატარებული კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნა კვლევის შემდეგი მეთოდები: საკვლევ თემაზე არსებული ლიტერატურისა და გამოცდილების შესწავლა-ანალიზი; ინგლისური ენის მასწავლებლების ანკეტირება საქართველოს რამდენიმე უნივერსიტეტში. წინამდებარე სტატია საინტერესოა როგორც დარგობრივი ენის სწავლების საკითხებით დაინტერესებული მკვლევრებისათვის, ისე მასწავლებლებისათვის, რომელთაც სურთ უფრო ეფექტური გახადონ დარგობრივი ენის სწავლების პროცესი.

საკვანძო სიტყვები: ავთენტური ვიდეომასალები, დარგობრივი უცხო ენა, ინგლისური სპეციალური მიზნებისათვის, ინგლისური ენის სწავლების მეთოდოლოგია.

შესავალი

დღევანდელი გლობალური სამყაროს პრობებში უკვე დიდი ხანია, მნიშვნელოვნად გაიზარდა ინგლისური ენის როლი და მნიშვნელობა. ყოველ წელს სულ უფრო იზრდება ინგლისური ენის შესწავლის მსურველთა რიცხვი, მაგრამ უზრუნველყოფს კი ინგლისური ენის სწავლების არსებული მეთოდოლოგია ენის შემსწავლელებს ისეთი ცოდნით, რომ ისინი კონკურენტუნარიანი აღმოჩნდნენ დღევანდელ გლობალურ მსოფლიოში?! ეს ის საკითხია, რომელიც აქტუალობას არ კარგავს უკვე წლებია როგორც ჩვენი ქვეყნის საგანმანათლებლო სივრცეში, ისე მთელ რიგ ქვეყნებშიც. ქვეყნის მომავალი განვითარებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მაღალკვალიფიციური და საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისი კადრების მომზადებას. ამისთვის კი აუცილებელია მათი თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი განათლებით უზრუნველყოფა, რასაც შეიძლება მივაღწიოთ ყველა იმ სიახლის დანერგვით, რომელიც განაპირობებს სასწავლო პროცესის ეფექტურობას. რა თქმა უნდა მას შემდეგ, რაც აღნიშნული სიახლეები ჩვენი ქვეყნის განათლების სისტემაში დანერგვისთვის საჭირო კვლევებს გაივლის.

ავთენტური ვიდეომასალების გამოყენება ინგლისური ენის სწავლების პროცესში უკვე

ადარ წარმოადგენს სიახლეს საქართველოს განათლების სისტემისთვის. თუმცა, აღნიშნული დამხმარე საშუალებების საბოლოოდ დამკვიდრებისთვის, გასაკუთრებით დარგობრივი უცხო ენის სწავლების პროცესში, ჯერ კიდევ არაერთი საკითხი საჭიროებს კვლევას და დაზუსტებას. მიუხედავად იმისა, რომ ვიდეომასალების გამოყენება უცხო ენის სწავლების პროცესში დიდი ხანია ნაცნობია ქართული საგანმანათლებლო სივრცისათვის, მისი ინტენსიური გამოყენება დღემდე არ ხდება, რაც ამ კუთხით გარკვეული პრობლემების არსებობაზე მიუთითებს. სწორედ ამიტომ მივიჩნევთ **აქტუალურად** დარგობრივი ენის სწავლების პროცესში ავთენტური ვიდეომასალების გამოყენებასთან დაკავშირებით არსებული მდგომარეობის კვლევას უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში და პრობლემების გადაჭრის იმ გზების ძიებას, რომლებიც ხელს შეუწყობს აღნიშნული დამხმარე საშუალებების ინგლისური ენის, კერძოდ, დარგობრივი ენის სწავლების პროცესში ინტეგრაციას. ავთენტური ვიდეომასალების გამოყენება ინგლისური ენის სწავლების პროცესში კიდევ უფრო მნიშვნელოვანი და აქტუალური გახდა მას შემდეგ, რაც ენის შემსწავლელებში ინტერკულტურული ცნობიერების ამაღლების საკითხიც დადგა.

ჩვენი **კვლევის მიზანს** წარმოადგენს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში დარგობრივი უცხო ენის სწავლების პროცესში ავთენტური ვიდეომასალების გამოყენების პრაქტიკისა და გამოცდილების კვლევა და პრობლემების გაანალიზება. ასევე, უცხო ენის სწავლების პროცესში გამოყენებული ვიდეომასალების ტიპებისა და სახეების გამოკვეთა და მათ სასწავლო პროცესში გამოყენებასთან დაკავშირებული დადებითი და უარყოფითი მხარეების ანალიზი.

კვლევის პროცესში გამოყენებულია **კვლევის შემდეგი მეთოდები**:

- საკვლევ თემაზე არსებული ლიტერატურისა და გამოცდილების შესწავლა-ანალიზი;
- საქართველოს რამდენიმე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ლექტორების ანკეტირება დარგობრივი ენის სწავლების პროცესში როგორც ავთენტური ვიდეომასალების გამოყენების მხრივ არსებული გამოცდილების, ისე პრობლემების გამორკვევის მიზნით.

ვიდრე უშუალოდ ავთენტური ვიდეომასალების გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვაზე გადავალთ, მნიშვნელოვანია განვმარტოთ, თუ რა მოიაზრება ტერმინში: დარგობრივი ინგლისური ენა ან ინგლისური სპეციალური მიზნებისათვის.

ლონგმენის ენის სწავლებისა და გამოყენებითი ლინგვისტიკის ლექსიკონის განმარტებით, ინგლისური სპეციალური მიზნებისათვის (ESP) წარმოადგენს სასწავლო კურსს, რომლის შინაარსი და მიზნები განსაზღვრულია ენის შემსწავლელთა კონკრეტული ჯგუფის სპეციალური საჭიროებებიდან გამომდინარე. მაგალითად, ეს არის ინგლისური ენის კურსი აკადემიური მიზნებისათვის, ინგლისური მეცნიერებისა და ტექნოლოგიებისათვის და ინგლისური საექთნო საქმისათვის (Richards, & Schmidt, 2002, გვ. 181). კიდევ რამდენიმე ცნობილი ლექსიკონის მიხედვით, ინგლისური სპეციალური მიზნებისათვის (ESP) მოიაზრებს ინგლისური ენის სწავლებას ადამიანის საქმიანობის რომელიმე კონკრეტულ სფეროში გამოსაყენებლად (Cambridge dictionary online; Collins dictionary online).

ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად არაერთი ინოვაცია შემოვიდა განათლების დარგში და რა თქმა უნდა არც ინგლისური ენის სწავლების მეთოდოლოგია გამონაკლისი. კოვიდპანდემიის პერიოდში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და აქტუალური გახდა სხვადასხვა აუდიო-ვიზუალური საშუალებების გამოყენება ლექციისა თუ გაკვეთილის ეფექტურად წარმართვისათვის. ავთენტური ვიდეომასალები სწორედ ერთ-ერთია ამ დამხმარე საშუალებებს შორის. მნიშვნელოვანია, განვიხილოთ დღეს არსებული ვიდეომასალების ტიპები და სახეები და თითოეული მათგანის უცხო ენის სწავლების პროცესში გამოყენების როგორც დადებითი, ისე ნაკლოვანი მხარეები.

სასწავლო პროცესში გამოსაყენებელი ვიდეომასალების ტიპები და სახეები

ვიდეომასალები, უდავოდ, მნიშვნელოვანი აუდიო-ვიზუალური საშუალებებია უცხო ენის სწავლების პროცესში. სასწავლო პროცესში გამოსაყენებელი ვიდეომასალები ზოგადად ორ დიდ ჯგუფად შეიძლება დავყოთ: ავთენტურ ვიდეომასალებად (authentic videos) და

სასწავლო გარემოსთვის შედგენილ ვიდეომასალებად (instructional videos).

ავთენტური ვიდეომასალები ისეთი მასალებია, რომლებიც გამიზნულია შესასწავლ ენაზე მოსაუბრე საზოგადოებისათვის. იგი შეიცავს სინამდვილის ამსახველ, გაუმარტივებელი მეტყველების ფორმებს, რაც გულისხმობს მეტყველების ისეთ ფორმას და ტემპს, რომელიც ამ საზოგადოებისთვის არის დამახასიათებელი ერთმანეთთან ინტერაქციის დროს. ასეთი ტიპის ვიდეომასალებში ხშირად გვხვდება ფრაზების რედუცირებული ფორმები, იდიომები, ჟარგონული გამონათქვამები, რაც სამეტყველო ენას ახასიათებს.

ავთენტური ვიდეომასალების ტიპებს მიეკუთვნება მხატვრული და დოკუმენტური ფილმები, სატელევიზო გადაცემები და რეპორტაჟები, სარეკლამო განცხადებები, სიმღერების ვიდეო რგოლები და სხვა. მსგავსი სახის თვალსაჩინოების გამოყენებას მრავალი დადებითი თვისება გააჩნია:

- ენის შემსწავლელი ეცნობიან ნამდვილი მეტყველების ფორმებს (ისეთს, როგორც რეალურ გარემოშია. სახელმძღვანელოებში მსგავს ინფორმაციას ნაკლებად ვხვდებით);
- ავთენტური ვიდეომასალები ხელს უწყობს ენის არა მარტო შესწავლას, არამედ ათვისებასაც;
- შესაძლებელია ერთი ვიდეომასალის სხვადასხვა მიზნებისთვის გამოყენება, იმის მიხედვით, მასწავლებელი როგორი სახის დავალებებს გამოიყენებს. ერთი და იგივე ვიდეომასალა შესაძლოა გამოიყენოს მასწავლებელმა კითხვის ან მეტყველების, ანდა, სულაც, ორივე უნარ-ჩვევის განვითარებისთვის;
- შინაარსის მრავალფეროვნება. მასწავლებლებს ფართო არჩევანი აქვთ ჟანრის თვალსაზრისით. სასწავლო თემატიკასთან დაკავშირებული ნებისმიერი ვიდეომასალის მოძიება შესაძლებელია;
- საინტერესოა ენის შემსწავლელისთვის;
- მნიშვნელოვნად ზრდის მოტივაციის დონეს ენის შემსწავლელებში.

რა თქმა უნდა აღნიშნულ აუდიო-ვიზუალურ საშუალებებს გარკვეული სუსტი მხარეები თუ ნაკლოვანებებიც გააჩნია, რომელთა გათვალისწინებაც აუცილებელია ვიდეომასალების გამოყენებით ჩატარებული მეცადინეობის წარმატებისათვის. ავთენტური ვიდეომასალები, სწორედ იმიტომ, რომ შესასწავლ ენაზე მოსაუბრე საზოგადოებაზე გათვლილი, შეიძლება, რთული აღსაქმელი აღმოჩნდეს ენის შემსწავლელისათვის. განსაკუთრებით ენის ფლობის დაბალ დონეზე. მასწავლებლის მხრიდან ძალიან დიდ დროსა და ძალისხმევას მოითხოვს მსგავსი საშუალებების დახმარებით ჩატარებული უცხო ენის მეცადინეობების მომზადება.

სასწავლო გარემოსათვის შედგენილი ვიდეომასალები ენის შემსწავლელისთვის უკვე თავიდანვე არის გათვლილი. მსგავსი სახის ვიდეომასალებს ხშირად თან ახლავს ვიდეომასალის შინაარსის და დიალოგების ბეჭდური ვერსიები და შესასრულებელი სავარჯიშოები. აგრეთვე, მასწავლებლისთვის განკუთვნილი სახელმძღვანელო შეიცავს ყველა საჭირო ინფორმაციას და სასარგებლო რჩევებს. აღნიშნული სახის ვიდეომასალების დადებითი თვისება ისიც არის, რომ იგი ენის შემსწავლელის ენობრივი კომპეტენციის დონის შესაბამისია და, როგორც წესი, რთული არ არის მისი შინაარსის აღქმა-გაანალიზება. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი საშუალებები მოკლებულია ავთენტურობას, რაც ძალზე მნიშვნელოვანია ენის შემსწავლელის კომუნიკაციური კომპეტენციის ჩამოყალიბება-განვითარებისათვის.

უიდოუსონი (Widdowson, 1990) ერთმანეთისგან განასხვავებს ავთენტურ (authentic) და სინამდვილის ამსახველ (genuine) მასალებს. ერთი შეხედვით ორივე მათგანი თითქმის მსგავსი ჩანს, მაგრამ მისი აზრით, ავთენტურია ისეთი მასალები, რომლებიც შესასწავლი ენის საზოგადოებისთვის არის განკუთვნილი და იგი ასეთი ფორმით, უცვლელადვე გამოიყენება სააუდიტორიო მეცადინეობაზე. რაც შეეხება ნამდვილ მასალებს, ისინიც ავთენტური მასალებია, მხოლოდ გამარტივებული და ადაპტირებული სპეციალურად მეცადინეობაზე გამოსაყენებლად. მაგალითად, ფილმები სუბტიტრებით უკვე ადაპტირებულია.

დღეს ავთენტური ვიდეომასალების მოპოვების მრავალი წყარო გააჩნიათ მასწავლებლებს. ინტერნეტის დახმარებით შესაძლებელია თითქმის ყოველგვარ თემატიკასთან დაკავშირებით ვიდეომასალების მოძიება. საკმაოდ მდიდარ წყაროს ამ თავსლსაზრისით Youtube, TED ვებ-გვერდები წარმოადგენს. გარდა ამისა, დღეს ყველა ცნობილ ინგლისურენოვან სამაუწყებლო კომპანიას აქვს ვებ-გვერდი, მაგალითად, CNN-ს და BBC-ს, სადაც შესაძლებელია ადამიანის საქმიანობის სხვადასხვა სფეროში ვიდეო რეპორტაჟების, გადაცემების თუ ინტერვიუების მოძიება, რომლებიც სალექციო თემატიკის რელევანტურია. დღეს მასწავლებლებს დიდი არჩევანი აქვთ ამ მხრივ. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ არჩევანის მრავალფეროვნება გარკვეულწილად ართულებს კიდევ მასწავლებლის საქმეს. ძალიან დიდი დრო სჭირდება ვიდეომასალის შერჩევას. რთულია ისეთი მასალის შერჩევა, რომელიც ზუსტად ასახავს მასწავლებლის მიზნებს და სურვილებს. სააუდიტორიო გარემოში ვიდეომასალების გამოყენების ამ სირთულეს უსვამენ ხაზს სხვა მეცნიერებიც (Jurkovič, & Mertelj, 2015) და აღნიშნავენ, რომ ლექციის თემატიკასთან თავსებადი ვიდეომასალის მოძიება საკმაოდ დროტევადია (გვ. 26). ასევე, ვიდეომასალების გამოყენებისას აუცილებელია მასწავლებელი კარგად გაეცნოს საავტორო უფლებებსაც.

კვლევის შედეგების ანალიზი

ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევა მიზნად ისახავდა დარგობრივი ენის სწავლების პროცესში ავთენტური ვიდეომასალების გამოყენების მხრივ არსებული გამოცდილებისა და პრობლემების კვლევას. ამ მიზნით, ანკეტირების მეთოდით გამოვკითხეთ საქართველოს 5 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სულ 12 ლექტორი. აქედან, 11 მდებარეობითი და 1 მამრობითი სქესის. გამოკითხვაში მონაწილე ლექტორებიდან 8 გახლდათ დოქტორის, ხოლო 4 მაგისტრის ხარისხის მქონე. რაც შეეხება მათი სწავლების გამოცდილებას, იგი 5-დან 20 წლამდე მერყეობს. აღნიშნული გამოკითხვის შედეგების ანალიზისას გამოიკვეთა შემდეგი:

გამოკითხულთა დიდი უმრავლესობა (9 გამოკითხული) მიიჩნევს, რომ დარგობრივი ენის სწავლების პროცესში ავთენტური ვიდეომასალების გამოყენება ძალიან მნიშვნელოვანია, ხოლო დანარჩენი 3 მათგანი თვლის, რომ მნიშვნელოვანია.

მიუხედავად ლექტორთა დიდი ნაწილის სურვილისა და ინტერესისა, როგორც აღმოჩნდა, ავთენტური ვიდეომასალების გამოყენება ნაკლებად ხდება სწავლების პროცესში. გამოკითხულთაგან მხოლოდ 3-მა აღნიშნა, რომ იყენებს ავთენტურ ვიდეომასალებს, როგორც დამხმარე საშუალებებს დარგობრივი ენის სწავლებისას.

ჩვენი კითხვარის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა, ასევე, გახლდათ ავთენტური ვიდეომასალების გამოყენებასთან დაკავშირებული სირთულეების გამოვლენა. როგორც კვლევის შედეგების ანალიზიდან ირკვევა, ვიდეომასალების გამოყენებისას ლექტორები უმეტესად აწყდებიან შემდეგ სირთულეებს:

- ავთენტური ვიდეომასალების ენობრივი სირთულე და შესაბამისად, ვიდეომასალის შინაარსის აღქმის პრობლემა ენის შემსწავლელელებში (7 გამოკითხული);
- ვიდეომასალის შესაბამისი დავალებების შედგენა რთული და დროტევადი პროცესია (7 გამოკითხული);
- სასწავლო კურსის თემატიკის შესაბამისი ვიდეომასალების მოძიების და შერჩევის სირთულე (3 გამოკითხული);
- სათანადო ტექნიკური მოწყობილობის არ ქონა მეცადინეობაზე (1 გამოკითხული);
- სასწავლო კურსის თემატიკის შესაბამისი ვიდეომასალების არ არსებობა (1 გამოკითხული).

რომ შევაჯეროთ, კვლევის შედეგებმა გვიჩვენა, რომ ინგლისური ენის მასწავლებლები აცნობიერებენ ვიდეომასალების გამოყენების აუცილებლობას, თუმცა, მათი გამოყენება მაინც ვერ ხდება აქტიურად, ვინაიდან ვიდეომასალების გამოყენება საკმაოდ დროტევადია და გარდა ამისა, შრომატევადია სათანადო სავარჯიშოებისა და აქტივობების შედგენა.

დასკვნის სახით აღვნიშნავთ, რომ შემდგომ ეტაპზე, მნიშვნელოვანია, ჩატარდეს უფრო ფართომასშტაბიანი კვლევა, რათა კიდევ უფრო ზუსტი სურათი მივიღოთ საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში დარგობრივი ენის სწავლების პროცესში

ავთენტური ვიდეომასალების გამოყენების თვალსაზრისით არსებული მდგომარეობის შესახებ. კვლევების შედეგად მიღებული ინფორმაცია შესაძლებლობას მოგვცემს, შევარჩიოთ ისეთი ვიდეომასალები და შევიმუშაოთ მათი გამოყენების ისეთი მეთოდოლოგია, რომელიც დაგვეხმარება არსებული პრობლემებისა და სირთულეების დაძლევაში და ამავე დროს, ხელს შეუწყობს დარგობრივი ენის სწავლების პროცესის ეფექტურობას.

ლიტერატურა:

1. Jurković, V. & Mertelj, D. (2015). Pedagogical uses of authentic video in ESP classrooms for developing language skills and enriching vocabulary. *Scripta Manent*, 9 (2): 15-33
2. Richards, J. C. and Schmidt, R. (2002). *Longman Dictionary of Language Teaching and Applied Linguistics*. (Third Edition). London: Pearson Education Limited.
3. Widdowson, H. (1990). *Aspects of language teaching*. Oxford: Oxford University Press.
4. Cambridge Dictionary online: <https://dictionary.cambridge.org/dictionary/english/esp>
5. The Collins English Dictionary online: <https://www.collinsdictionary.com/dictionary/english/esp>

Some Aspects of Using Authentic Video Materials in ESP Courses

Shashviashvili Ketevan

Iakob Gogebashvili Telavi State University, Telavi

Abstract

Despite the fact that the use of authentic video materials in the process of teaching English is no longer a novelty, for the full-scale implementation of the aforementioned teaching aids, a number of issues still need to be researched and clarified especially, in the process of teaching ESP courses. Authentic video materials are not still used intensively which indicates the existence of certain problems in this regard. Therefore, we consider it relevant to research the current situation in Georgian higher educational institutions regarding the use of authentic video materials in the process of teaching ESP courses and to search for the solutions to the problems that will contribute to the integration of these audio-visual aids in the English language teaching process. The purpose of our research is to study and analyze the problems of the existing practice and experience of using authentic video materials in the process of teaching ESP courses in higher educational institutions. The article also explores the different types of video materials used in the process of teaching a foreign language and examines the advantages and disadvantages of each of them. The following research methods were used in our study: literature review on the research topic; survey research of English language teachers. The given paper is interesting for both researchers interested in ESP-related issues and teachers who want to make the process of teaching ESP courses even more effective.

Keywords: authentic video materials, ESP, English language teaching methodology.

სკოლაში ტრანზიციაზე პასუხისმგებელი პირის როლი და სამუშაოს კვლევა

ძამუკაშვილი შორენა
მიქელაძე თამარ

იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი

DOI: <https://doi.org/10.52340/idw.2023.105>

აბსტრაქტი. სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებისათვის ტრანზიციის პერიოდი სტრესულია და მათი ოჯახებისათვის შემაშფოთებელი, როდესაც სკოლის ან ბაღის მხრიდან ნაკლები მხარდაჭერაა. მასწავლებლებიც გამოხატავენ ხოლმე ღელვას, შიშს ამ პროცესებთან დაკავშირებით, რაც განპირობებულია ბარიერების შეხვედრით და შეიძლება არ იციან როგორ დაეხმარონ სხვადასხვა მოსწავლეს თავიანთ კლასში. იმისათვის, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების გადასვლა - შესვლის პროცესი მაქსიმალურად უმტკივნეულოდ რომ წარიმართოს დიდი მნიშვნელობა აქვს სკოლას გააჩნდეს ტრანზიციის ხელშეწყობის პროგრამა და სპეციფიკურ მხარდაჭერებს ახორციელებდეს. სკოლის მხრიდან ტრანზიციაზე პასუხისმგებელ პირთა დამოკიდებულებების, მოქმედებების კვლევა და მათი როლის გამოკვეთა სსსმ მოსწავლეების ტრანზიციის პროცესში განხორციელდა 2023-23 წლებში „სსმ ბავშვების სკოლაში ტრანზიციის კვლევა (თელავის მუნიციპალიტეტის მაგალითზე)“ პროექტის ფარგლებში (იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევითი პროექტი, რომელიც განხორციელდა „სახელმწიფო უნივერსიტეტების მონიტორინგის შესაძლებლობების განვითარება საქართველოს პარლამენტის მიერ ბავშვებისთვის ინფორმირებული გადაწყვეტილებების მისაღებად და კვლევების ჩატარების კუთხით). შედეგებმა აჩვენა, რომ სკოლაში სსსმ მოსწავლეების ტრანზიციის პროცესი ეფექტურად არ მიმდინარეობს და ამ კუთხით სკოლის მხრიდან ჩართული პერსონალი გადამზადებას საჭიროებს. სკოლა უმეტეს შემთხვევაში ტრანზიციაზე პასუხისმგებელი პირის ფუნქციებს სპეციალურ მასწავლებელს ანიჭებს მისი გამოცდილებიდან გამომდინარე. გამოვლინდა რომ საკლასო გარემო არ არის სათანადო რესურსით აღჭურვილი, ხოლო ტრანზიციაში ჩართული მხარეების თანამშრომლობაც არაა სისტემური.

საკვანძო სიტყვები: სსმ ბავშვის ტრანზიცია, ტრანზიციაზე პასუხისმგებელი პირი, ტრანზიციის ეტაპები, პასუხისმგებელი პირის როლი, ინდივიდუალური ტრანზიციის გეგმა.

ყოველწლიურად ათასობით ბავშვს უწევს ტრანზიცია ადრეული განათლების ერთი ტიპის პროგრამიდან მეორეზე. მიუხედავად იმისა, რომ გადასვლა ნორმალურია, მოსალოდნელია და თითოეული ბავშვის ცხოვრების ნაწილია, მაინც არის სტრესული და შემაშფოთებელი პერიოდი სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვების მშობლებისთვის და მათი ოჯახებისათვის. განსაკუთრებით გარდამავალ პერიოდში გარემოს, მხარდაჭერის და სერვისების ცვლილებებმა, შესაძლოა გაართულოს ბავშვის წარმატებული გადასვლა. რთულ ტრანზიციაში მოიაზრება ნაკლები მხარდაჭერა ბაღის ან სკოლის მხრიდან. ამ სირთულეების გამო, მშობლები, რომლებსაც ჰყავთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები, ხშირად გრძნობენ ადვოკატირების საჭიროებას სკოლაში გადასვლისას. მასწავლებლებიც გამოხატავენ ხოლმე ღელვას, შიშს ამ პროცესებთან დაკავშირებით, რაც განპირობებულია ბარიერების შეხვედრით და შეიძლება არ იციან როგორ დაეხმარონ სხვადასხვა მოსწავლეს თავიანთ

კლასში. ტრანზიცია მოიცავს გარდამავალი კოორდინირებული აქტივობების ნაკრებს, რომლის მიზანი ბავშვის შეუფერხებელი გადაყვანაა ერთი სერვისის მიწოდების სისტემიდან მეორეზე. სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვების ტრანზიცია საბავშვო ბაღიდან სკოლაში ერთ-ერთი სენსიტიური ეტაპია ბავშვების ცხოვრებაში. გამოწვევები მრავალფეროვანია, ეს შეიძლება იყოს სსმ ბავშვის სკოლაში მართო დარჩენა, სკოლის პერსონალის ბავშვის მიმართ მხარდაჭერა და სკოლაში მიმდინარე აქტივობებში ჩართულობა, სკოლის მხარდაჭერა რესურსებსა და გარემოს ადაპტირებასთან, მისი უსაფრთხოება, მიმღებლობა და სწავლის შედეგიანობასთან მიმართება.

გამოწვევები, რომ შემცირდეს და მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი, მნიშვნელოვანია ტრანზიციის პროცესი დაგეგმილი იყოს ტრანზიციის ხელშემწყობი პროგრამების შესაბამისად. ერთ-ერთი ასეთი მექანიზმი სკოლაში ტრანზიციის ხელშემწყობის პროგრამაა. რადგან ტრანზიციის პრაქტიკა ინდივიდუალურია თითოეული ბავშვისათვის, ის უნდა ეფუძნებოდეს ინკლუზიურობის პრინციპს და ეხმიანებოდეს ყველა ბავშვისა და ოჯახის სკოლაში ტრანზიციასთან დაკავშირებულ უნიკალურ საჭიროებებს. „ყოველი სსმ ბავშვის ტრანზიციის შემთხვევა უნიკალურია, სხვადასხვა მდგომარეობასა და საგანმანათლებლო საჭიროებასთან ტრანზიციის მხარდაჭერ გარკვეულ პროცედურებთან ასოცირდება. გასათვალისწინებელია, რომ სხვადასხვა მდგომარეობასთან დაკავშირებული ხელშემწყობების ზოგადი ნუსხის არსებობის მიუხედავად, ცალკეული ბავშვის ტრანზიციის პროცესში, აუცილებლად კონკრეტული ბავშვისთვის შესაბამისი ხელშემწყობა უნდა განისაზღვროს, შესაბამისი სპეციალისტების ჩართულობით“ (წულაძე & ხვადაგიანი, 2010).

სსმ ბავშვის წარმატებული გადასვლისათვის შესაძლოა დაგჭირდეს დამატებითი პერსონალის ჩართვაც, რომელსაც შეუძლია ოჯახის მხარდაჭერა და ტრანზიციის უზრუნველყოფა. ეს, ის პერიოდია, როდესაც სხვადასხვა სტრატეგიების გამოყენებამ შეიძლება ხელი შეუწყოს ბავშვისა და ოჯახის ახალ გარემოსთან შეგუებას და პოზიტიურ შედეგებამდე მიყვანას. მკვლევარები ვარაუდობენ, რომ გარდამავალი თანამშრომლობა და მხარდაჭერა უნდა დაიწყოს მაშინ, როდესაც ბავშვი ჯერ კიდევ სკოლამდელ დაწესებულებაშია, და შემდეგ გაგრძელდეს, როდესაც ბავშვი დაიწყებს სკოლას და მას შემდეგაც კი, როცა ბავშვი რამდენიმე კვირას ატარებს ახალ კლასში. „იმისათვის, რომ ბავშვების სკოლაში გადასვლა-შესვლის პროცესი მაქსიმალურად უმტკივნეულოდ და მომზადებულად წარიმართოს, სკოლას ბავშვების ტრანზიციის ხელშემწყობის პროგრამა უნდა გააჩნდეს, რომელიც ყველა ბავშვისთვის განსაზღვრულ გარკვეულ სტანდარტულ პროცედურებთან ერთად, ცალკეული ბავშვისთვის გაფართოებულ და სპეციფიკურ მხარდაჭერასაც გაითვალისწინებს“. ზემოთ აღნიშნული ცხადად წარმოაჩენს, რომ სკოლას შესაძლოა დასჭირდეს ხანგრძლივი დრო და სპეციფიკური მომზადება გარემოს ადაპტაციასთან, მასწავლებლების თუ დამხმარე სპეციალისტების გადამზადებასთან დაკავშირებით. სკოლამ უნდა განსაზღვროს მომავალი პირველკლასელების ტრანზიციაზე პასუხისმგებელი პირი /ჯგუფი, რომელიც იქნება მთავარი საკონტაქტო სუბიექტი როგორც სკოლის ადმინისტრაციისა და პერსონალისთვის, ასევე მშობლებისთვის. ტრანზიციაზე პასუხისმგებელი პირი კოორდინირებას უწევს ბავშვის სკოლაში გადასვლასთან დაკავშირებულ სხვადასხვა პროცედურას. აღნიშნული პირის/ჯგუფის ფორმირება შესაძლოა ხდებოდეს ყოველწლიურად ან ერთიდაიგივე პირი/ჯგუფი სკოლას უფრო ხანგრძლივი დროით ჰყავდეს განსაზღვრული (წულაძე, 2020).

სახელმძღვანელოში: „მზად ვართ პირველკლასელების დასახვედრად“ (წულაძე, 2020) ტრანზიციის ხელშემწყობი პირის შესახებ აღნიშნულია რა შეიძლება იყოს მისი ფუნქციები. გარდა მშობლების, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების და იმ სოციალური რეაბილიტაციის სერვისის თანამშრომლების, რომელშიც ჩართულია ბავშვი, ბავშვის თერაპევტი, სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდი და ბავშვთან დაკავშირებული სხვა მნიშვნელოვან პირები, რომელთაც საკუთარი წვლილის შეტანა შეუძლიათ ბავშვის სკოლაში ტრანზიციის ხელშემწყობის პროცესში, მთავარ საკონტაქტო პირს წარმოადგენს სკოლის ადმინისტრაცია და დამრიგებელი. ასევე, ხაზგასმულია ბავშვისა და ოჯახის შესახებ

მნიშვნელოვანი ინფორმაციის შეგროვება სხვა დაკავშირებული დოკუმენტაციის მობილიზება, აღნიშნულის გაცნობა სკოლის დანარჩენი წარმომადგენლებისთვის - დამრიგებელისთვის, ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტებისთვის, სკოლის ადმინისტრაციისთვის; ინდივიდუალური ტრანზიციის გეგმის შეხვედრების და მონიტორინგის ორგანიზება და გეგმის განხორციელება; ინიცირება და მონიტორინგი სკოლის მიერ ბავშვის დასახვედრად და სასწავლო პროცესში აუცილებელი ღონისძიებების ჩასართავად.

პრაქტიკა აჩვენებს, რომ სკოლაში ბავშვების ტრანზიციის პროცესი ყოველთვის სათანადოდ არ არის მხარდაჭერილი და საქართველოში ტრანზიციის ნაკლებად გამართული სისტემა სხვადასხვა ფაქტორებს უკავშირდება, თუმცა სტანდარტებში მკაფიოდაა განმარტებული, რას გულისხმობს ტრანზიცია, რაც თავისთავად აყენებს ჩართულ მხარეებს ამ პროცესების ეფექტურად განხორციელების პასუხისმგებლობის წინაშე და იკვეთება მათი მნიშვნელოვანი როლი.

დღეს, როდესაც ხარისხიანი ინკლუზიური განათლების პროცესები აქტიურად ინერგება და ვითარდება საჯარო სკოლებში, სსმ ბავშვების ტრანზიცია და ადაპტაცია ფორმალურ გარემოში მაინც კითხვის ნიშნის ქვეშაა. მნიშვნელოვანია ადგილობრივი პრაქტიკის კვლევა და ისეთი საკითხების, გარემოებების ანალიზი, როგორცაა მაგალითად, პრაქტიკაში რამდენად ჰყავს სკოლას გამოყოფილი ამ პროცესებისათვის პირი, ან ეს ფუნქციები თუ აქვს ვინმეს შეთავსებული, როგორ ხდება ტრანზიციის პროცესებზე ზრუნვა, დაგეგმვა და განხორციელება, რამდენად ეფექტურია მათი თანამშრომლობა ოჯახთან და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებასთან.

სკოლაში ტრანზიციის კვლევისათვის (თელავის მუნიციპალიტეტის სკოლების მაგალითზე) მნიშვნელოვანი იყო მოგვესმინა ტრანზიციაზე სკოლის მხრიდან პასუხისმგებელ პირთა აზრი და გაგვერკვია, როგორ ახორციელებენ სსმ მოსწავლეების ტრანზიციას, როგორია სკოლის როლი და არსებული პრაქტიკა.

კვლევა ჩატარდა ერთ ფოკუს-ჯგუფთან, თელავში. მონაწილეობა მიიღო შემთხვევითობის პრინციპით შერჩეულმა ექვსი საჯარო სკოლის ექვსმა სპეციალურმა მასწავლებელმა, რომლებიც თავად სკოლებმა წარმოადგინეს, როგორც სსმ მოსწავლეების ტრანზიციაზე პასუხისმგებელი პირები. შესაძლებლობა მოგვეცა შეგვეჩია ქალაქის და სოფლის სამ-სამი სკოლიდან.

კვლევის მიზანი იყო რესპოდენტთა(სკოლის მხრიდან ტრანზიციაზე პასუხისმგებელ პირთა) სსმ მოსწავლეების ტრანზიციის პროცესში გარკვეული საკითხებისადმი დამოკიდებულებების, მოქმედებების აღწერა და მათი როლის გამოკვეთა. კვლევისთვის შემუშავდა ფოკუს-ჯგუფთან ინტერვიუს შეკითხვები.(შეკითხვები იხილეთ ქვეთავის ბოლოში.) ინტერვიუ მიმდინარეობდა 1სთ და 45 წთ. დისკუსიაში ყველა მონაწილე აქტიურად იყო ჩართული.

კვლევის შედეგები

ფოკუს - ჯგუფის ანალიზის შედეგად ჩანს, რომ მონაწილეთა უმრავლესობა აღიარებს, რომ არ აქვს სკოლას შემუშავებული ტრანზიციის პროგრამა, რომელიც ცალკეული ბავშვისთვის გაფართოებულ ან სპეციალურ მხარდაჭერას ითვალისწინებს (მაგალითად პირველკლასელი სსმ მოსწავლეებისათვის), და არც საბავშვო ბაღიდან მოდის ბავშვი ინდივიდუალური ტრანზიციის გეგმით.

„არა დოკუმენტაცია მაგაში რომ დაწეროთ არ გვაქვს. თორე ზეპირად კი გვაქვს გაწერილი.“

„ტრანზიციის გეგმა არაფერი არ გვაქვს...არ ვიცი და თუ რამე არის ფორმა ეგეც არ ვიცი..“

„ტრანზიციის გეგმის შაბლონები კი დევს, მაგრამ ..სკოლას არ აქვს.“

„ბაღიდანაც არაფერი არ მოაქვთ.“

„აღბათ ეს ახალი და ახლად არის დაგეგმილი და აღბათ ამის შემდეგ შეიძლება გამოაყოლონ ბაღიდან ან დღის ცენტრიდან. ზუსტად ამ ეტაპზე ნამდვილად შემიძლია ვთქვა რომ კონკრეტულად არავის არაგვაქვს“.

რესპოდენტები თანხმდებიან იმაზე რომ, შესაძლოა სკოლას არ აქვს შემუშავებული ზოგადად ტრანზიციის პროგრამა, მაგრამ ეს პროცესი ხორციელდება. ყველა პირველკლასელი ბავშვისთვის წინასწარ ხდება სასკოლო გარემოს გაცნობა პედაგოგთან ერთად და სხვადასხვა აქტივობების შეთავაზება. **თუმცა, რამდენად შეესაბამება სტანდარტებით აღწერილ პროცესებს,** ამაზე პასუხი არ აქვთ, რადგან როგორც მათივე პასუხებიდან ჩანს, არ ფლობენ ინფორმაციას ტრანზიციის როგორი ეტაპები უნდა განხორციელდეს, რა პასუხისმგებლობა აქვს ჩართულ მხარეებს და თავად ინდივიდუალური ტრანზიციის პროგრამის კონკრეტული ეტაპის შემუშავებაშიც კი არ მიუღიათ მონაწილეობა. მონაწილეთა მცირე ნაწილმა აღნიშნა რომ, სკოლა წლიურ სასკოლო სამოქმედო გეგმაში აღნიშნავს მოვალეობებს და პასუხისმგებლობებს გარემოსთან დაკავშირებით, რაც სსსმ მოსწავლეების ტრანზიციისათვის არის საჭირო.

„სასკოლო გეგმა ყოველწელს ახალი იწერება. სასწავლო ნაწილი და დირექტორი შეთანხმებით დამატებით მასწავლებლების და სპეც.მასწავლებლებთან ერთად ვქმნით ჩვენ კითხვარებს, როგორ რა უნდა გავაკეთოთ, განკუთვნილია სსსმ მოსწავლეებისთვისაც და გამოკრული გვაქვს დერეფანში. სამოქმედო გეგმა.“

„ყველა სკოლას აქვს სამოქმედო გეგმა და ყველას მოსდის, რაც უნდა შეივსოს, შესავსები გვერდია სადაც არის განყოფილებები სსსმ მოსწავლეებისათვისაც რაც უნდა აღნიშნოს და შეივსოს. ეს არის სკოლას რაც აქვს თავის ისინი ვალდებულებები.“

რადგან თავად საუბრობენ სსსმ მოსწავლის ტრანზიციის სირთულეებზე, შეკითხვაზე, თუ როგორ ემზადება სკოლა სსსმ მოსწავლეების ტრანზიციისათვის, რა ცვლილებები გაატარეს სკოლაში სსსმ მოსწავლეთა საჭიროებების მიხედვით, კვლევის მონაწილეებმა ძირითადად ზოგადად ისაუბრეს. კონკრეტული ღონისძიებები შემთხვევის მაგალითზე განსაკუთრებული ცვლილებებით ვერ გაიხსენეს, გარდა იმისა, რომ მცირე რაოდენობამ აღნიშნა საჭიროებიდან გამომდინარე როგორ მოემზადნენ.

„ჩვენ მოვეზადეთ და ყველა მასწავლებელი თეორიულადაც გადაემზადა, კლასის ხელმძღვანელიც. ძალიან რთული იყო დაუნის მქონე მოსწავლის მდგომარეობა, ვერ მეტყველებდა, ქცევა ჰქონდა ისეთი, რომ არა ეს ტრანზიციის პროცესი და წინასწარ ამდენი აზრთა გაცვლა-გამოცვლა, ისე რომ მოსულიყო ძალიან გაგვიჭირდებოდა.“

„იცით რა არის, განსაკუთრებული ცვლილება რომ გითხრათ, ტყუილი გამომივა, არა არანაირი, მაგრამ მერე და მერე ამ ბავშვის საჭიროებიდან გამომდინარე დღემდე, ახლა გარკვეული, ასე ვთქვათ, შედეგიც კი დავდეთ იმ კუთხით“

„გავამრავლებინეთ დასკვნა, რაც ბალიდან გამოჰყვა და ყველა მასწავლებელს დაუფრთხეთ და შემდგომ დავავალეთ, როგორ შეგვეცვალა - კონკრეტულად რა ღონისძიებები უნდა გაგვეტარებინა და რეკომენდაციები გაგვეთვალისწინებინა, სანამ უშუალოდ ბავშვს გავიცნობდით. შეძლებისდაგვარათ ვცდილობდით გაგვეთვალისწინებინა.“

„ჩვენთანაც პირველად შემოვიდნენ და ნამდვილად არ გვეყოლია ასეთი ბავშვები, თუმცა ვიცოდი რომ გარემო გადატვირთული, მრავალფეროვანი არ უნდა ყოფილიყო. არც კედლებზე არც, გავითვალისწინეთ. დანარჩენი, რა ვიცი, ცოტა რთულია იმ კუთხით“

აღსანიშნავია, რომ მონაწილეთა აბსოლუტური უმრავლესობა ტრანზიციის პროცესის აუცილებლობას მხოლოდ მაშინ ხედავს, თუ მოდის ბავშვი, რომელსაც სპეციალური საჭიროება აქვს და თუ სასკოლო გარემოს წინასწარ გაცნობს და რამდენიმე დაგეგმილ აქტივობასაც განახორციელებს, ამობენ რომ ტრანზიციის განხორციელება.

„წელს გვქონდა ტრანზიციის საჭიროება, იმიტომ რომ სამი პირველი კლასის მოსწავლე მოვიდა სკოლაში, და შესაბამისად მათი მოსვლა სკოლაში ვერ იქნებოდა ადვილი.“

„მე ვთვლი, რომ წელს სკოლამ განახორციელა ტრანზიციის პროცესი.“

შეკითხვაზე: არის თუ არა სათანადო კომუნიკაცია დაინტერესებულ მხარეებს შორის და როგორ მიმდინარეობს, ფოკუსს ჯგუფის მონაწილეების უმრავლესობა ხაზს უსვამს, რომ მშობლებთან და სპეციალისტებთან (ქცევის თერაპევტი) თანამშრომლობა ეხმარებათ სსსმ მოსწავლის სკოლასთან ადაპტაციაში; აღნიშნავენ ერთხმად კლასის ხელმძღვანელებთან თანამშრომლობას. აგრეთვე აღნიშნავენ, რომ მშობლები, ნაცვლად კლასის ხელმძღვანელთან

ან საგნის პედაგოგებთან, მათთან, უფრო მეტად თანამშრომლობენ, და საგნის პედაგოგებიც კი მათ იყენებენ დამაკავშირებელად მშობლებთან. რაც შეეხება მათი თანამშრომლობის ფორმატს, ძირითადად სკოლაში პირისპირ შეხვედრების სახითაა, ხანდახან ადრეული განვითარების ცენტრშიც. თუ საჭიროა ქცევის თერაპევტის კონსულტაცია, ასევე ტელეფონითაც ხშირად ახორციელებენ მშობლებთან კომუნიკაციას.

“საკმაოდ აქტიურად ვთანამშრომლობთ. სკოლაშიც გვექონდა შეხვედრები. საუბრებიც გვაქვს ხოლმე პირადი სკოლაში. დამრიგებელი სახლშიც კი იყო ოჯახში მშობელთან.”

“პირველკლასელების მშობლები ისედაც ყოველდღე სკოლაში არიან. რესურს ოთახი და პირველი კლასის ოთახი გვერდი გვერდზეა და თითქმის ყოველდღე შეგვიძლია მშობელს გავესაუბროთ, ვნახოთ, შევხვდეთ.”

“დიახ ეს თანამშრომლობა აუცილებელია და ჩართულები ვართ ყველანი.”

„მჭიდრო კონტაქტი გვაქვს მშობლებთან, ყოველ წვრილმანს ყოველთვის ვუყვებით და ვაცნობთ ყველაფერს.“

შეკითხვაზე თუ როგორ არის ჩართული პროცესის უწყვეტობისათვის საბავშვო ბაღი, რესპოდენტებმა ინტერვიუს დასაწყისშივე აღნიშნეს, რომ ბაღის ჩართულობა ამ პროცესებში შემოიფარგლება ძირითადად იმით, რომ ბავშვები მოჰყავთ ხოლმე წინასწარ სასკოლო გარემოს გასაცნობად. ხშირ შემთხვევაში არის, რომ სსსმ მოსწავლე არც დადის ბაღში, ან ბაღი არ ფლობს ზუსტ ინფორმაციას ბავშვის საჭიროებების შესახებ. ასევე აღნიშნეს, რომ არასდროს არ მოსულა ინდივიდუალური ტრანზიციის გეგმით მოსწავლე და არც ამ მიზნით უთანამშრომლია ბაღს მათთან. მათივე თქმით, თავად უფრო ცდილობენ ხოლმე ბაღთან დაკავშირებას ინფორმაციის მოპოვების მიზნით სსსმ მოსწავლეზე.

„საბავშვო ბაღში წავედით კლასის ხელმძღვანელი, მე, ადმინისტრაციის წარმომადგენელი, ექიმიც წამოვბრძანდა და გავესაუბრეთ ყველას. დაწყებული აღმზრდელიდან, გამგეს, თუ ვინც ემსახურებოდა ამ ბავშვს და რისი გაგებაც შეიძლებოდა მაქსიმალურად ვეცადეთ.“

„უმრავლეს შემთხვევაში ჩემი კონტიგენტი, ვისთანაც მექონდა ურთიერთობა, ბაღში არ დადიან.“

მოდიან ბაღიდან და შესაძლოა დაზუსტებულადაც არ იცოდნენ ბაღის მდგომარეობა.“

„არა და არც გვექონია მიზეზი ბაღის პედაგოგებს გავესაუბრებოდით, რადგან მგონია, ამ ბავშვებს საერთოდ არ უვლიათ კარგად. უფრო ქცევის თერაპევტისგან, ადრეული განვითარების ცენტრიდან გვექონდა ყველა ინფორმაცია.“

შეკითხვაზე, რა გამოწვევები არსებობს ტრანზიციის პროცესში, ფოკუსს ჯგუფის მონაწილეების უმეტესობამ ორი ძირითადი საკითხი გამოკვეთეს: გარემოს მოწყობა, რესურსი და სსსმ ბავშვის გაკვეთილებზე ჩართულობა. კერძოდ, მათი აზრით მრავალფეროვანი რესურსით აღჭურვილი გარემო იქნებოდა სკოლაში სსსმ მოსწავლეების ინტერესისა და მოტივაციის აღმძვრელი. ასევე, სწავლების უნივერსალური დიზანის პრინციპით ჩატარებული გაკვეთილები კი ბავშვებს მეტად ჩართავდა სასწავლო პროცესში. მათი აზრით, ხშირად რთულია სსსმ მოსწავლეების გაკვეთილებზე გაჩერება და ამ მიზეზით, მასწავლებლის დამახილზე, იძულებულები არიან გამოიყვანონ გაკვეთილებიდან.

„ახლა, მაგალითად გვეუბნებიან რომ თერაპევტთან ძალიან უყვართ, იქ არის სენსორული ოთახი, გვეუბნებიან იქ აუზი გვიდგა ძალიან დიდო, ბურთების სავსეო და რა თქმა უნდა ძალიან უყვართ. რა თქმა უნდა ეს ყველაფერი რესურსებზეცაა დამოკიდებული, თუკი ჩვენც გვექნება მასეთი აღჭურვილობა, გარემო გადასარევად იქნებიან ჩვენი ბავშვებიც. იმ რაღაცა მოკლე დროში რომ გინდა, ყველაფერი მოასწრო იქით გაკვეთილსაც დაასწრო რაღაცა გაიგონოს, კლასთან იყოს და გამოიყვანო თან ჭირვეულობის გამო რესურს ოთახში ძნელია.“

„კლასისთვის უნდა იყოს აღჭურვილი მასე, არა მარტო სსსმ მოსწავლეებისათვის, არამედ ტიპური მოსწავლეებისათვისაც და აღარ გაუძნელდებათ ამ ბავშვებს გარემო.“

„მგონი ყველა სკოლაშია ეგ პრობლემა.“

„რომ ვუყურებ საზღვარგარეთ, რესურს ოთახები როგორ აქვთ მოწყობილი, რას

აკეთებინებენ, სუბთლად, საერთოდ ჩვენ იმ დონეზე ალბათ ათი წლის შემდეგ თუ მივალთ. და ჩვენ მოსწავლეებსაც მერე ექნებათ უფრო ბევრი წინსვლა. ჩვენ ძალიან ჩამორჩენილები ვართ და ძალიან გვიჭირს, ზუსტად იმის ძიებაში ვართ, რა გავაკეთოთ, რომ ელემენტარული რაღაცა შევუქმნათ ბავშვებს.“

რესპოდენტთა მცირე ნაწილი კი მშობლების მხარდაჭერას ასახელებს გამოწვევად და მათგან იმის აღიარებას, რომ ბავშვი საგანმანათლო საჭიროების მქონეა.

„გამოწვევაა ჩემთვის ისიც, რომ არის მშობელი რომელიც გათვითცნობიერებულია და არის მშობელი, რომელიც არ იღებს თავის შვილის პრობლემებს, არ აღიარებს, ამბობს რომ ძალიან ნიჭიერია თავის შვილი, როგორ აბა და სკოლამ უნდა ასწავლოს, მე არ მიჯერებს და თქვენ უნდა ასწავლოთ, მაგრამ თუ თანამშრომლობა არ არის და მშობელმა არ გაიზიარა და არ მიიღო თავისი შვილი ისეთი, როგორც არის ისეთი და არ იმუშავა და რაღაც ისეთი ილუზიები შეიქმნა, რთულია“...

კვლევის მიგნებები:

- სსსმ მოსწავლეების ტრანზიციის პროცესს სკოლა შესაბამისად ვერ ახორციელებს და არც აქვს ინფორმირებულობა ტრანზიციის ეტაპებისა და პროცედურების შესახებ; ეს განაპირობებს იმას, რომ სკოლის მომზადება ამ პროცესებისათვის არამცთუ ეფექტურად, ფაქტობრივად არ ხდება.
- სსსმ მოსწავლის ტრანზიციის პასუხისმგებელი პირები, როგორც სკოლებმა წარმოადგინეს, ფლობენ ამ პროცესებზე მწირ ინფორმაციას და ცდილობენ ის სირთულე, რაც უკავშირდება ხშირად სსსმ მოსწავლის ახალ გარემოში შესვლას, სპეციალისტების რეკომენდაციების დახმარებით გადაჭრან.
- კვლევამ აჩვენა, რომ ბავშვები, რომლებსაც დახმარება სჭირდებათ, ბალიდან აბსოლუტურად ყოველგვარი მხარდაჭერის გარეშე მოდიან და იკვეთება ისიც, რომ უმეტესი სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვი ბაღშიც არ თუ, ვერ დადის.
- ტრანზიციის პასუხისმგებელი მხარეების კომუნიკაცია არ არის სისტემური და მიზანმიმართული ტრანზიციის საკითხებთან მიმართებაში.
- სკოლას არ აქვს შესაბამისი რესურსი და გარემო, რომელიც გაუმარტივებს და გაუწევს მხარდაჭერას სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებს სკოლაში ტრანზიციას და გაკვეთილებზე ჩართულობას. სპეც.მასწავლებლების მოსაზრებით, სენსორული განვითარების ოთახების სასკოლო გარემოში მოწყობა იქნებოდა სსსმ/შშმ მოსწავლის სკოლაში ინტეგრაციისა და ეფექტური ტრანზიციის საშუალება.

შევიმუშავეთ შემდეგი დასკვნები:

- ჩატარებული ფოკუს ჯგუფის ანალიზი საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ სსსმ მოსწავლის ტრანზიციის განხორციელება ეფექტიანად არ ხდება;
- სკოლა უმეტეს შემთხვევაში ტრანზიციის პასუხისმგებელი პირის ფუნქციებს ანიჭებს სპეციალურ მასწავლებელს, რომელიც მიუხედავად მისი სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის პრაქტიკისა, ტრანზიციის მართვის საკითხებში საჭიროებს გადამზადებას.
- კვლევა ადასტურებს, რომ საკლასო გარემო არ არის სათანადო რესურსით აღჭურვილი, რაც ხელს შეუწყობდა გაკვეთილებზე სსსმ მოსწავლის მაქსიმალურ ჩართულობას. მასწავლებლებს უძნელდებათ მათი ინტერესის გამოწვევა გაკვეთილებზე, რაც შესაბამისად გამოიხატება ხანდახან მოსწავლის მხრიდან არასათანადო ქცევით და სრულდება მისი გაკვეთილებიდან გაყვანით. სპეც.მასწავლებელთა მოსაზრებით ასეთ გარემოში რთულდება სსსმ მოსწავლის ტრანზიციის ხელშეწყობა.
- ტრანზიციის ჩართული მხარეების თანამშრომლობა არ არის სისტემური. იკვეთება მშობელთა დაბალი ცნობიერებაც ამ კუთხით, რაც ხელს უშლის სსსმ მოსწავლის ეფექტურ ტრანზიციას.

ლიტერატურა:

1. აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტი (2017).
2. ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები. (2017).
3. გრუზინსკი-ბაგრატიონი. მ., ბარქაია, ც., წულაძე, მ., ხვადაგიანი, მ., კვაჭაძე, ჟ., ზაქარეიშვილი, მ., მიდელაური, ვ.(2019). ადრეული ბავშვობა და ტრანზიციის სკოლაში.
4. რუხაძე, ნ. (2016). ინკლუზიური პროფესიული განათლების გზამკვლევი.
5. წულაძე, მ. (2020). მზად ვართ პირველკლასელების დასახვედრად.
6. წულაძე,მ., ხვადაგიანი, მ.(2010). სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვთა სკოლაში ტრანზიციის ხელშეწყობა.
7. ვოგლერი, პ., კრიველო, ჯ., ვუდჰედი, მ. (2008). ადრეული ბავშვობის ტრანზიციების კვლევა: ცნებების, თეორიისა და პრაქტიკის მიმოხილვა.

The Study of the Role and Work of the School Transition Responsible Person in Supporting Students with Special Educational Needs

Dzamukashvili Shorena

Mikeladze Tamar

Iakob Gogebashvili Telavi State University, Telavi

Abstract:

The transition period can be a source of stress and concern for families with children who have special needs, particularly when there is limited support from schools or kindergartens. Teachers, too, may experience anxiety and uncertainty when faced with these processes, often due to encountering various obstacles and not knowing how to effectively assist diverse students in their classrooms. To ensure the transition process for students with special educational needs is as seamless as possible, schools must implement a well-designed transition promotion program and specific support measures.

This study

investigates the attitudes and actions of individuals responsible for facilitating school transitions and assesses their role in the process for students with special educational needs. The research took place in 2022-2023 as part of the "Study of the Transition of SEN Children to School (within Telavi Municipality)" project conducted by the Faculty of Education Sciences at Iakob Gogebashvili Telavi State University. This project was part of the UNICEF initiative "Development of Monitoring Capabilities of State Universities for the Children of the Parliament of Georgia to Facilitate Informed Decision-Making and Research."

The study findings revealed that the transition process for students with special needs in schools is often not as effective as desired. In light of these findings, it is recommended that school staff involved in these transitions undergo retraining. Additionally, although schools commonly assign the role of transition coordinator to a special education teacher based on their experience, it was also observed that the classroom environment lacks the necessary resources, and there is a lack of systematic cooperation among the parties involved in the transition process.

Keywords: The Study of the Role and Work of the School Transition Responsible Person in Supporting Students with Special Educational Needs.

დისტანციური სწავლების დანერგვის სოციო-კულტურული ასპექტები

ჯოხაძე ხათუნა

ბუგეულის საჯარო სკოლა

DOI: <https://doi.org/10.52340/idw.2023.106>

აბსტრაქტი. 2020 წლის გაზაფხულზე, COVID-19 – გლობალური პანდემიის შედეგად სკოლების დახურვამ მილიარდი მოსწავლე დატოვა სკოლის მიღმა. მასწავლებლები გადავიდნენ გადაუდებელ დისტანციურ სწავლებაზე. ქვეყნები და ოჯახები მძიმე ეკონომიკურ კრიზისში აღმოჩნდნენ, რამაც კიდევ უფრო გააღრმავა უთანასწორობა განათლების მიღების შესაძლებლობებში. აღნიშნული გამოწვევების დაძლევის მიზნით, მთავრობებმა დაიწყეს სასწავლო დანაკარგების შეჯამება რემედიალური ინიციატივების განხორციელებისათვის, რაც რიგი მკვლევარებისა და ორგანიზაციების მიერ სკოლების დახურვის ეფექტის შემცირების უალტერნატივო გზად მიიჩნევა. გლობალური პანდემიის შედეგები საქართველოს განათლების სისტემაზეც აისახა და 2020 წლის მარტს სასწავლო პროცესი შეწყდა, ხოლო მოგვიანებით დისტანციურ რეჟიმში გაგრძელდა. თუმცა, მოსალოდნელი სასწავლო დანაკარგების მონიტორინგი და კვლევა ახალი სასწავლო წლისთვის არ განხორციელებულა, შესაბამისად, სკოლების დახურვის პირველი ტალღის შემდგომ სისტემამ მუშაობა რემედიაციის სტრატეგიის გარეშე დაიწყო. გადაუდებელი დისტანციური სწავლება (ERT), რომელიც არის სწავლების დროებითი გადასვლა ალტერნატიულ მიწოდების რეჟიმზე. კრიზისის ფონზე მასწავლებლები ცდილობდნენ გამკლავებოდნენ მოცემულობას, რომელსაც არასოდეს ელოდნენ, ყველაფერი კეთდებოდა ადმინისტრაციის მითითებით. მოცემულობამ გამოიწვია პროფესიონალიზმისა და ეფექტურობის დაქვეითება. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ უმოკლეს დროში შეძლო სასწავლო პროცესის დისტანციურ ფორმატში აღდგენა, თუმცა მოსწავლეთა უნივერსალური და ინკლუზიური ჩართულობის უზრუნველყოფასთან მიმართებით სახელმწიფოს მიერ გაწეული ძალისხმევა არაეფექტური აღმოჩნდა ყველაზე მოწყვლადი და მაღალი რისკის ჯგუფის მოსწავლეებისათვის, განსაკუთრებით ციფრული უთანასწორობის შემცირების კონტექსტში.

ჩვენი კვლევის მიზანია ემპირიულ მასალებზე დაყრდნობით განვიხილოთ რა გამოცდილებით შეხვდნენ საშუალო სკოლის მასწავლებლები ERT-ის COVID-19 პანდემიის დროს.

საკვანძო სიტყვები: დისტანციური სწავლება, გლობალური პანდემია, საშუალო სკოლა, პედაგოგები, მოსწავლეები, თვითეფექტურობა.

შესავალი

21-ე საუკუნე მოიაზრება, როგორც ციფრული სამყაროს ეპოქა, ამიტომაც გასაკვირი არ არის, რომ ამ წლებში საფუძველი ჩაეყარა დისტანციური სწავლების მოდელს. დისტანციური სწავლება არის სწავლების ისეთი ფორმა, რომელიც საშუალებას აძლევს მოსწავლესა და ხელმძღვანელს სწავლა-სწავლება გადაიტანონ „ციფრულ“ ან „არაციფრულ“ „პლატფორმებზე“. იგი შეიძლება იყოს როგორც სინქრონული, ასევე ასინქრონულიც და შერეული ტიპის მოდელის მქონე. მისი არჩევა დამოკიდებულია მოსწავლისა და მასწავლებლის სურვილებიდან და შესაძლებლობიდან გამომდინარე. დისტანციური სწავლების დადებით მხარედ ითვლება ამ სწავლების მოქნილობა, მისი მიღება

შესაძლებელია სასურველ დროსა და ადგილას, ამ სწავლებით ასევე შესაძლებელია დროისა და ტრანსპორტირების ხარჯების შემცირება. საქართველოს მაგალითზე დაყრდნობით, რომ განვიხილოთ 2016 წლის 16 დეკემბერს საქართველოს კანონში ზოგადი განათლების შესახებ შევიდა ცვლილება და დაემატა მუხლი დისტანციური სწავლების შესახებ. საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ, (04.05.2005 წ., საქართველოს საკანონმდებლო მაცნე N 20, მუხლი 6.1) მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოს ბევრ ქვეყანას დისტანციური სწავლების ათეულობით წლის გამოცდილება აქვს, საქართველო ამ კუთხით მეტწილად ვერ განვითარდა. ეს კი გამოიწვია იმან, რომ დისტანციურ სწავლებასთან დაკავშირებით, საზოგადოებას ჰქონდა დიდი უნდობლობა. მოსახლეობა ფიქრობდა, რომ დისტანციურად მიღებული განათლება იყო ნაკლებად ეფექტური; შესაბამისად, არც სტუდენტებისა და არც მოსწავლეების მხრიდან არ ყოფილა მოთხოვნა მსგავსი სერვისის მიწოდებაზე. 2020 წლის დასაწყისში არა მხოლოდ საქართველოში, არამედ ლოკალიზებულად მოხდა (ბაქრადე, 2020). ფიზიკური დისტანციის დაცვის გამო საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები იძულებულნი გახდნენ მოსწავლეებისა და სტუდენტების განათლებისა და მათი განვითარების ხარისხის შესანარჩუნებლად ისინი ფიზიკური სივრციდან ციფრულ სამყაროში გადაენაცვლებინათ. მიუხედავად იმისა, რომ ციფრული სამყარო უზარმაზარ შესაძლებლობას აძლევს მოსწავლეებს განვითარებისათვის, იგივე დოზით უზარმაზარ შესაძლებლობას აძლევს მოსწავლეებს განვითარებისათვის, იგივე დოზით შეიძლება იყოს რისკის შემცველიც. არამედ მთელი მსოფლიო დადგა დისტანციური სწავლების საჭიროების წინაშე. პანდემიასთან ბრძოლის პარალელურად, ხარისხიანი განათლების მიღება ერთ-ერთი რთული გამოწვევა აღმოჩნდა საქართველოსთვის. „საკოორდინაციო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, საქართველოც შეუერთდა მსოფლიოს და სწავლება დისტანციურ რეჟიმში განაგრძო. განათლების სისტემა აღმოჩნდა დილემის წინაშე; 2020 წელი ან აკადემიურ წლად უნდა გამოცხადებულიყო ან კიდევ სიახლე უნდა დაწერულიყო საკმაოდ მოკლე დროში განათლების სიტემაში, დისტანციური სწავლების სახით“. (ჯანაშია, 2021).

მსჯელობა

სასწავლო დროის დანაკარგის თვალსაზრისით, თითქმის ხუთიორჯერ შემცირდა ცალკეული საგნების შემთხვევაში. კიდევ უფრო მოიკლო საკონტაქტო საათების რაოდენობამ სწავლა-სწავლების პროცესში, რამაც ხელი შეუწყო საგნობრივი და გამჭოლი კომპეტენციების კუთხით სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ჩამორჩენის გაღრმავებას. ამასთან, ონლაინ სწავლების დროს ხშირი იყო ტრადიციული სასწავლო პროცესის ონლაინ სივრცეში უცვლელად გადმოტანის შემთხვევები, რაც საკონტაქტო საათების შემცირებასთან ერთად ნეგატიურად აისახა მოსწავლეების დისციპლინაზე, მოტივაციაზე და დამოუკიდებლად სწავლის უნარებზე. აღსანიშნავია, რომ მოსწავლეები და მასწავლებლები ამ სწავლების მსვლელობისას წააწყდნენ რიგ პრობლემებს, კერძოდ, მათ არ ჰქონდათ ინტერნეტი და შესაბამისი ტექნიკა, რომლითაც შეძლებდნენ სწავლა-სწავლების განხორციელებას. დისტანციური სწავლება (E-learning) არის სწავლების ფორმა შექმნილი სპეციალურად მოსწავლეებისთვის, ან მოსწავლეთა ჯგუფისთვის, რომლებიც ტრადიციულ აუდიტორიაში ან კლასში ფიზიკურად არ იმყოფებიან. ეს არის პროცესი, რომელიც ხელმისაწვდომს ხდის სწავლა-სწავლებას, როდესაც ინფორმაციის წყარო და მიმღები ერთმანეთისგან დროით, სივრცით ან ორივე შემთხვევაში დაშორებულნი არიან (Heng 2021).

საინტერესოა, რომ საქართველოს დისტანციური სწავლების კუთხით აქვს მცირე გამოცდილება და ეს გამოცდილება დაეხმარა განათლების სისტემას იმაში, რომ სწავლის პროცესი გაგრძელდა და სემესტრმა მთლიანობაში წარმატებით ჩაიარა. ზოგადად, დისტანციური სწავლის ისტორიას არც თუ ისე დიდი ხნის წინ ჩაეყარა საფუძველი. ტერმინი „ონლაინ სწავლება“ პირველად 1999 წელს წარმოიშვა. თუმცა მიუთითებენ ფაქტებზე, რომ ონლაინ სწავლება მე-19 საუკუნეში უკვე არსებობდა, კერძოდ, ცნობილია, რომ სანამ ინტერნეტი შეიქმნებოდა, ისააკ პიტმენი 1840 წელს, მოსწავლეების

განათლების პროცესს ფოსტის მეშვეობით წარმართავდა. მე-20 საუკუნეში, როცა კომპიუტერული ტექნოლოგიები დაიხვეწა, ონლაინ სწავლებას კიდევ უფრო მასშტაბური ხასიათი მიეცა. „არსებობენ ადამიანები, რომელთაც სურვილი აქვთ საკუთარი ცოდნის გაღრმავების, მაგრამ ამას ვერ ახერხებენ დროის, გეოგრაფიული ადგილმდებარეობის, ან შესაძლებლობებიდან გამომდინარე. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, საუკეთესო გზა დისტანციური სწავლებაა“ (Carlsen, Holmberg , Neghina, 2019).

დისტანციური სწავლებისთვის განათლების მეცნიერების კულტურის და სპორტის სამინისტრომ საჯარო სკოლებს შესთავაზა Microsoft office 365-ის პროგრამა Teams-ი. ამ პროგრამისთვის სამინისტრომ 600 000-ზე მეტი მოსწავლე და 55 000-მდე მასწავლებლის პროფილი გაააქტიურა და სამინისტროს მხარდაჭერით შესაძლებლობა ჰქონდათ, რომ სრულყოფილად ესარგებლათ შეთავაზებული ონლაინ ინსტრუმენტებით. აღსანიშნავია, რომ ეს პლატფორმა, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემამ პანდემიის დროს უმოკლეს ვადებში გააქართულა. თუმცა ზოგადად სკოლები იყენებდნენ სხვა ალტერნატიულ საკომუნიკაციო საშუალებებსაც, როგორებიცაა: Zoom, Feedc, Skype, ასევე, სოციალურ ქსელებს: Facebook, Messenger, WhatsApp და სხვ (Carlsen, Holmberg , Neghina, 2019).

დისტანციურმა სწავლებამ გამოაშკარავა, რომ ძალიან მნიშვნელოვანია მშობელთა ჩართულობა, განსაკუთრებით დაწყებით საფეხურზე, სადაც მშობლის დახმარების გარეშე შეუძლებელია სწავლების ამ ფორმის გახორციელება. მშობლებმა დიდი წვლილი შეიტანეს იმაში, რომ ონლაინ სწავლა-სწავლება გამართული ყოფილიყო. მათი დახმარებით მოსწავლეებმა მიიღეს ონლაინ სწავლებაში მონაწილეობა. აღსანიშნავია, რომ მშობელთა ნაწილს არ ჰქონდა უწყვეტი ინტერნეტი თავიანთი შვილების სწავლის პროცესში ჩასართავად, ისინი მასწავლებლებთან დასაკავშირებლად შეძლებისდაგვარად იყენებდნენ სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალებებს. ონლაინ სწავლების სოციო-კულტურული კონტექსტი განისაზღვრება სწორედ იმ სიტუაციური გარემოებით - ფაქტებით, რაც ეხება საზოგადოებას, რომელიც მზად იყო ეცხოვრათ იმავე წესების მიხედვით, რაც პანდემიას ახლდა. საგანმანათლებლო დაწესებულება, სადაც ბავშვი სწავლობს, არის ფუნდამენტური სოციოკულტურული კონტექსტი. სწორედ ამ დროს სწავლობს მოსწავლე მორალურ - ეთიკურ ფასეულობებს და საზოგადოების ნორმების პატივისცემას. ფსიქოლოგ ლევ ვიგოტსკის მიაჩნდა, რომ სოციალური კომუნიკაცია მნიშვნელოვან როლს თამაშობს ბავშვის განვითარებაში. მისი შეხედულებით. ბავშვების აზროვნება ვითარდება სხვა ადამიანებთან კომუნიკაციის შედეგად. უფრო მცოდნე და გამოცდილ ადამიანებთან კომუნიკაციის დროს ისინი იძენენ ისეთ ცოდნას, რომლის შეძენასაც დამოუკიდებლად ვერ შეძლებდნენ (ვიგოტსკი,1926/27). თავისთავად, დისტანციურ პლატფორმაზე გადასვლა ამორებდა მასწავლებლებს მოსწავლეებისგან და ამავდროულად აძლიერებდა მასწავლებლებთა გრძნობებს. ბავშვებისგან იზოლაციით მათ აკლდათ პირადი ურთიერთობა. თუმცა მსოფლიო პანდემიამ კიდევ უფრო აქტუალური გახადა სწავლების ეს ფორმა, შესაბამისად დიდ განსჯის საგანია დისტანციური სწავლების დადებითი და უარყოფითი მხარეები. იმისათვის, რომ კარგად გავაანალიზოთ სუსტი და ძლიერი მხარეები, კარგად უნდა დავინახოთ იგი სკოლისა და სტუდენტების დისტანციურ სასწავლო პროცესებს შორის. სკოლის შემთხვევაში როცა მოსწავლე სწავლის დაწყებით საფეხურზეა, მისი ასაკიდან გამომდინარე დისტანციურად სწავლა შედეგის მომტანი ვერ იქნება, რადგან მითსვის სკოლა უცხო გარემოა, რომლის გაცნობაც უწევს ვირტუალურ გარემოში. ასეთ შემთხვევაში, მოზარდის ფსიქოლოგიური მდგომარეობა წნეხის ქვეშ არის, რადგან სწავლების დაწყებით საფეხურზე მას სჭირდება, როგორც მასწავლებელთან ისე თანაკლასელებთან უშუალო კომუნიკაცია და შეგუება. უფრო მოზარდილ ასაკში, როცა უკვე მოსწავლე ფლობს ტექნოლოგიას და დამოუკიდებლად იყენებს მას, ამ შემთხვევაში გაზრდილი ონლაინ აქტივობა საფრთხის ქვეშ აყენებს მოზარდს, მიუხედავად იმისა რომ ყველა რისკი ვერ მოიაზრება ცუდი შედეგის მომტანად. მან შეიძლება სხვადასხვა სახის პრობლემები გამოიწვიოს და აუცილებელია მშობლების მაქსიმალური ჩართულობა, რათა დაიცვან თავიანთი შვილები და იზრუნონ იმაზე, რომ ინტერნეტით სარგებლობა მათთვის

წარმოადგენდეს უსაფრთხო გარემოს სადაც შეძლებენ მიიღონ განათლება. კომპიუტერულ ტექნიკასთან მუდმივი ყოფნა, მიჯაჭვულობა აღნიშნული ფორმატით სწავლების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემად შეიძლება ჩაითვალოს. თან ამას ერთვის მოზარდებში გაურკვევლობა რადგან, თუ ამ დრომდე მშობლები ნებას რთავდნენ განსაზღვრული საათით გაეტარებინათ დრო კომპიუტერთან, ამის ასახვად კი განმარტავდნენ, რომ იცავდნენ შვილს ტექნიკის უარყოფითი გავლენისგან. ახლა თავად სთხოვენ მათ დაესწრონ ონლაინ გაკვეთილებს და ასევე, კომპიუტერის დახმარებით მოამზადონ დავალებები. გარკვეული პერიოდის შემდეგ, ტექნიკის ხანგრძლივი დროით გამოყენება აუცილებლად აისახება მოზარდების ფიზიკურ, ემოციურ, თუ ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საინფორმაციო გარემოს სწრაფი განვითარება უპირველეს ყოვლისა მოზარდებმა აითვისეს, რადგან ვირტუალური კომუნიკაცია და გენდერული თვითპრეზენტაცია ემთხვევა ამ ასაკის მთავარ სოციალურ ამოცანებს: თანამედროვე ახალგაზრდობის ღირებულებების გაზიარება და საკუთარი თავის მოთხოვნილება. ბუნებრივია, დისტანციური სწავლების ფორმატი სრულად ვერ ჩაანაცვლებს სწავლა-სწავლების სასკოლო ფორმატს, მოსწავლეებს შორის კომუნიკაციას, საგაკვეთილო პროცესს, მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის ინტერაქციას, თუმცა დისტანციურ სწავლა-სწავლებაზე გადასვლა ძირითადად მალე გახორციელდა. საჯარო სკოლებთან შედარებით, კერძო სკოლების დიდმა ნაწილმა უფრო სწრაფად მოახერხა ორგანიზება, რადგან მათ მეტი რესურსი და ანგარიშვალდებულება გააჩნდათ მშობლების წინაშე. მასწავლებელთა ნაწილმა დისტანციური გაკვეთილების ჩატარების გარდა დაიწყო კოლეგების აქტიური დახმარება. დამოუკიდებელი ინიციატივებით ჩაიწერა არაერთი ვიდეო-ინსტრუქცია ამა თუ იმ ელექტრონული პლატფორმის გამოყენების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ონლაინ სწავლებაზე გადართვა ძალიან სწრაფად მოუწიათ მასწავლებლებს - მოსწავლეებს და შესაძლოა ბევრი მოსწავლისთვის ახალი იყო ამგვარი სწავლების ფორმატი.

დასკვნა

ამრიგად, შეგვიძლია დავძინოთ, როგორც კერძო, ასევე საჯარო სკოლაში, სასწავლო პროცესი წარიმართა წარმატებით და მოსწავლეებმა გაიარეს პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო მასალა. კვლევამ გვიჩვენა, რომ ეკონომიურად და სოციალურად მაღალი ფენის წარმომადგენლებით დაკომპლექტებულ სკოლებში, ნაკლებად დადგა დისტანციური სწავლა-სწავლების პროცესის ტექნიკური უზრუნველყოფა. ტექნიკური პრობლემები თვალსაჩინოდ გამოიკვეთა მაღალმთიან რეგიონებში და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისათვის; ძალიან ბევრ მოსწავლეს არ ჰქონდა წვდომა ინტერნეტთან სხვადასხვა მიზეზის გამო: ტექნიკური აღჭურვა, ინტერნეტის არქონა და ა.შ. ასევე ზოგიერთ მასწავლებელსაც ჰქონდა ტექნიკური პრობლემა და უფრო მეტიც, ვერ ერკვეოდა კომპიუტერულ პროგრამებში.

დისტანციურმა სწავლებამ გამოაშკარავა იმის აუცილებლობა, რომ მასწავლებლები უნდა იყვნენ მზად, რათა ასწავლონ მრავალფეროვან ფორმატში – პირისპირ თუ დისტანციურად. მეორე მხრივ, მასწავლებლებმა აღმოაჩინეს, რომ საინფორმაციო ტექნოლოგიების კარგად ფლობა სჭირდებათ. და ბოლოს: საგულისხმოა, რომ დისტანციური სწავლების თითქმის ერთ წლიანი ციკლის შემდგომაც კი დაბალია სასწავლო დანაკარგების მნიშვნელობის აღქმა, რეფლექსიური პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული მსჯელობა, რაც დამაბრკოლებელი ფაქტორია მაკომპენსირებელი ღონისძიებების დაგეგმვისთვის.

ლიტერატურა:

ბაქრაძე ლ., 2020. ახალი საგანმანათლებლო რეალობა. ტერმინები, გამოწვევები, რეკომენდაციები. თბილისი
კუპატაძე ქ., 2009. ელექტრონული სწავლება, თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“

ჯანაშია ს., 2021. დისტანციური განათლების არსი და თეორიული საფუძვლები (დისტანციური სწავლების მართვა (პრაქტიკული სახელმძღვანელო სკოლის ადმინისტრატორთათვის) - ავტ.საქართველოს სკოლის ადმინისტრატორთა ასოციაცია“

arsen A., Holmberg C., Neghina C., 2016. Owusu-Boampong A., Closing the Gap Opportunities for distance education to benefit adult learners in higher education Opportunities for distance education to benefit adult learners in higher education. UNESCO Institute for Lifelong Learning.

eng K., Sol K., 2020. Cambodian Education Forum, -Online learning during COVID-19: Key challenges and suggestions to enhance effectiveness

ВГОТСКИЙ Л., 1926/27. Новое видение и мнение в психоанализе

ნორმატიული აქტები:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 22 აგვისტოს №114/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება №94/ნ, 2020

Modern teaching methods; Language teaching methodology and information technologies in research and teaching

Socio-cultural aspects of the introduction of distance learning

Jokhadze Khatuna

Bugeuli Public School

Abstract

In the spring of 2020, school closures as a result of the global COVID-19 pandemic left a billion students out of school. Teachers were transferred to the emergency of distance learning. Countries and families found themselves in a severe economic crisis, which further deepened inequality in access to education. In order to overcome the mentioned challenges, the governments have started to evaluate the educational losses for the implementation of remedial initiatives, which is considered by a number of researchers and organizations as an alternative way to reduce the effect of closing schools. However, monitoring and research of the expected learning losses for the new school year was not carried out, therefore, after the first wave of school closures, the system began to work without a remediation strategy. Emergency distance learning (ERT), which is a temporary transition of teaching to an alternative delivery mode. In the background of the crisis, teachers tried to cope with the situation., which they never expected, everything was done according to the instructions of the administration. The situation led to a decrease in professionalism and efficiency. The Ministry of Education and Science was able to restore the learning process in a distance format in the shortest time, however, the efforts made by the state to ensure universal and inclusive participation of students turned out to be ineffective for the most vulnerable and high-risk group of students, especially in the context of reducing digital inequality.

The purpose of our research is to consider, based on empirical materials, what experiences did secondary school teachers encounter during the ERT's COVID-19 pandemic?

Key words: distance learning, global pandemic, secondary school, teachers, students, self-efficacy.

საბჭოთა რეჟიმის მასობრივი რეპრესიების მსხვერპლი იურისტები აჭარიდან

გორგოშაძე მურმან

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი

DOI: <https://doi.org/10.52340/idw.2023.107>

აბსტრაქტი. სახელმწიფოსა და საზოგადოებაში იურისტები არსებით ფუნქციებს ასრულებენ, მათ სხვადასხვა ხელმძღვანელი თანამდებობები ეჭირათ და უჭირავთ დღესაც, არაა გამორიცხული, რომ იურისტები, როგორც საბჭოთა რეჟიმის რეპრესიების ერთ-ერთი მთავარი სამიზნე, მათი იმ როლიდან გამომდინარეობდეს, რომელსაც ისინი ასრულებენ სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებაში: საზოგადოებრივი ურთიერთობების იურიდიზაცია, განვითარებული სამართლებრივი სისტემის შექმნა და სხვა.

საბჭოთა რეჟიმის მიერ განხორციელებული პოლიტიკური რეპრესიები, რომელიც აჭარაში შეეხო საზოგადოების თითქმის ყველა ფენას: სახელმწიფო ორგანოებს, კომუნისტურ პარტიას, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, ინტელიგენციას, სასულიერო პირებს, სამეურნეო-საწარმოო კადრებს და სხვა, თავისი ხასიათით, მასშტაბით, ფორმებით და მეთოდებით უპრეცედენტო იყო. სხვა საბჭოთა რესპუბლიკებისაგან განსხვავებით, საქართველოში საბჭოთა რეჟიმის მიერ განხორციელებულ რეპრესიებს უფრო დიდი მასშტაბი და მწვავე ხასიათი ჰქონდა. აჭარაში ეს რეპრესიები, საქართველოს სხვა რეგიონებთან შედარებით, უფრო ფართო და უფრო სასტიკი იყო. ამას განაპირობებდა ის გარემოება, რომ საბჭოთა კავშირისა და საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების ლიდერები ბოროტად იყენებდნენ აჭარის ბედუკუდმართობით გამოწვეულ მძიმე ხვედრს – აჭარაში ოსმალეთის სამსაუკუნოვანი ბატონობიდან გამომდინარე შედეგებს და აჭარლების მიმართ დაუსაბუთებელ უნდობლობას ავლენდნენ, ეჭვობდნენ მათ პოლიტიკურ საიმედოობაში და ხშირად მათ თურქეთის სასარგებლოდ ჯაშუშობას აბრალებდნენ.

ნაშრომში გაშუქებულია მე-20 საუკუნის დასაწყისში აჭარაში მოღვაწე რეპრესირებული, შეთითხნილი ბრალდებების საფუძველზე დახვრეტილი აჭარის მკვიდრი იურისტების რეჟებ დედეს-ძე ნიჟარაძის (1873-1937), ხასან ისმაილის-ძე ლორთქიფანიძის (1888-1937), ოსმან ხუსეინის-ძე თავდგირიძის (1889-1938), დურსუნ ემინის ძე ქარცივაძის (1865-1937), ოსმან ეუბის ძე მიქელაძის (1894-1937), თემურ-ბეგ მამუდის ძე შერვაშიძის (1884-1937), მემედ გულიას-ძე კაიკაციშვილის (1898-1937), რიზა დავითაძის (1864-1937) საქმიანობა. მითითებულია მათ დამსახურებაზე კუთხის, ერის, ქვეყნის წინაშე, მათი ხსოვნის უკვდავყოფაზე, რათა ჩვენი მომავალი კიდევ უფრო დაცული იყოს სახელმწიფოს მხრიდან უსამართლო ძალმომრეობისაგან.

საკვანძო სიტყვები: რეჟებ დედეს-ძე ნიჟარაძე, ხასან ისმაილის-ძე ლორთქიფანიძე, ოსმან ხუსეინის-ძე თავდგირიძე, დურსუნ ემინის ძე ქარცივაძე, ოსმან ეუბის ძე მიქელაძე, თემურ-ბეგ მამუდის ძე შერვაშიძე, მემედ გულიას-ძე კაიკაციშვილი, რიზა დავითაძე.

იურიდიული განათლება განათლების ერთ-ერთი უძველესი დარგია. ძველი რომიდან მოყოლებული არსებობდა იურიდიული სასწავლებლები, შუა საუკუნეებიდან იურიდიული ფაკულტეტი წამყვანი ფაკულტეტი იყო იმდროინდელ ევროპულ უნივერსიტეტებში. გამონაკლისს არც საქართველო წარმოადგენდა: კოლხეთის უმაღლეს რიტორიკულ სკოლაში ([ფაზისის](#) აკადემია), გელათისა და იყალთოს აკადემიებში ისწავლებოდა სამართალი (აბაშმაძე, 1990: 39).

ქართველთა შორის იურისპრუდენციით დაინტერესება ყოველთვის საგრძნობი იყო, ეს არც არის გასაკვირი რადგან სახელმწიფოსა და საზოგადოებაში იურისტები არსებით ფუნქციებს ასრულებენ, საგრძნობია მათი მონაწილეობა მნიშვნელოვან პროფესიონალურ სფეროებში.

ჩვენი სტატიის მიზანია ხელი შევუწყოთ იმ რეპრესირებული იურისტების ხსოვნის უკვდავყოფას, რომლებიც იმსხვერპლა საბჭოთა რეჟიმმა. ვაჩვენოთ თუ როგორ გაუსწორდნენ 1937-1938 წლების მასობრივი რეპრესიების დროს ქართველ იურისტთა თვალსაჩინო წარმომადგენლებს აჭარის მკვიდრთაგან, ვინ იყვნენ ისინი და რა დამსახურება მიუძღვით მათ კუთხის, ერის, ქვეყნის წინაშე, რათა ჩვენი მომავალი კიდევ უფრო დაცული იყოს სახელმწიფოს მხრიდან უსამართლო ძალმომრეობისაგან.

იურისტებს აჭარაში, ისევე როგორც დანარჩენ საქართველოსა და მსოფლიოში, სხვადასხვა ხელმძღვანელი თანამდებობები ეჭირათ და უჭირავთ დღესაც, ეს განპირობებულია იურიდიული განათლების იმ თავისებურებით, რომელიც უნივერსალური კვალიფიკაციის მიღების შესაძლებლობას იძლევა (გრავერტი, 1991: 52). არაა გამორიცხული, რომ იურისტები, როგორც საბჭოთა რეჟიმის რეპრესიების ერთ-ერთი მთავარი სამიზნე, მათი იმ როლიდან გამომდინარეობდეს, რომელსაც ისინი ასრულებენ სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებაში. როგორც ცნობილია, სხვა პროფესიებისაგან განსხვავებით, ისინი უფრო მეტად არიან დაკავებული საზოგადოებრივი ურთიერთობების იურიდიზაციით, განვითარებული სამართლებრივი სისტემის შექმნითა და სხვა, რაც, ბუნებრივია, მათ უქმნის უზარმაზარ გავლენას და მაღალ რეპუტაციას საზოგადოებაში (მუთჰორსტი, 2019: 36).

ზოგადად რეპრესიები გლობალური მოვლენაა და არაერთი ქვეყნისთვის იყო დამახასიათებელი, მაგრამ საბჭოთა რეჟიმის მიერ განხორციელებული პოლიტიკური რეპრესიები თავისი ხასიათით, მასშტაბით, ფორმებით და მეთოდებით უპრეცედენტო იყო. სხვა საბჭოთა რესპუბლიკებისაგან განსხვავებით, საქართველოში საბჭოთა რეჟიმის მიერ განხორციელებულ რეპრესიებს უფრო დიდი მასშტაბი და მწვავე ხასიათი ჰქონდა. აჭარაში ეს რეპრესიები, საქართველოს სხვა რეგიონებთან შედარებით, უფრო ფართო და უფრო სასტიკი იყო. ამას განაპირობებდა ის გარემოება, რომ საბჭოთა კავშირისა და საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების ლიდერები ბოროტად იყენებდნენ აჭარის ბედუკუდმართობით გამოწვეულ მძიმე ხვედრს - აჭარაში ოსმალეთის სამსაუკუნოვანი ბატონობიდან გამომდინარე შედეგებს და აჭარლების მიმართ დაუსაბუთებელ უნდობლობას ავლენდნენ, ეჭვობდნენ მათ პოლიტიკურ საიმედოობაში და ხშირად მათ თურქეთის სასარგებლოდ ჯაშუშობას აბრალდებდნენ (სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს, 2012: 182).

აჭარაში პოლიტიკური რეპრესიები შეეხო საზოგადოების თითქმის ყველა ფენას: სახელმწიფო ორგანოებს, კომუნისტურ პარტიას, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, ინტელიგენციას, სასულიერო პირებს, სამეურნეო-საწარმოო კადრებს და სხვა. წინამდებარე სტატიაში წარმოგიდგენთ მე-20 საუკუნის დასაწყისში აჭარაში მოღვაწე აჭარის მკვიდრ რამდენიმე თვალსაჩინო იურისტს, რომლებსაც შეთითხნილი ბრალდებებით სასჯელის უმაღლესი ზომა დახვრეტა შეეფარდათ.

რეჯებ დედეს-ძე ნიჟარაძე (1873-1937) დაიბადა ქობულეთის რაიონის სოფელ ალაშბარში. მამა, დედე ნიჟარაძე, შედიოდა აჭარიდან თბილისში წარდგენილ იმ 16 კაციან დელეგაციაში, რომელიც 1878 წლის ნოემბერში თბილისს ეწვია და იმდროინდელ საქართველოს ინტელიგენციას შეხვდა. რეჯებმა დაწყებითი განათლება ფოთში მიიღო, შემდეგ, 1888 წელს, ილია ჭავჭავაძის დახმარებით გახდა თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიის ერთ-ერთი პირველი მოსწავლე სამუსლიმანო საქართველოდან. შემდგომ გადავიდა სტავროპოლის გიმნაზიაში, რომლის დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა ოდესის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, რომელიც 1901 წელს მეორე ხარისხის დიპლომით დაამთავრა. მუშაობდა თბილისის საოლქო სასამართლოში, ბაქოს საოლქო სასამართლოში, იყო ბაქოს მაზრის მომრიგებელი მოსამართლე. 1911 წელს საცხოვრებლად გადავიდა ბათუმში. იყო ბათუმის საქალაქო გამგეობის წევრი, ბათუმის ქალაქის თავის მოადგილე (თურმანიძე, 2019: 389-392).

რეჯებ ნიჟარაძემ გარკვეული წვლილი შეიტანა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებაში, იგი აჭარაში სათავეში ჩაუდგა თსუ-სთვის შემოწირულობების შეგროვებას (მისირელი, 2005: 142). იყო საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრი მემედ აბაშიძესთან და ჯემალ-ბეგ ხიმშიაშვილთან ერთად. ამ საბჭოში რეჯებ ნიჟარაძე ხელმძღვანელობდა სამაჰმადიანო საქართველოს სექციას. ინგლისელთა აჭარაში ყოფნის დროს იგი ქობულეთის

მაზრის უფროსად აირჩიეს. 1921-1922 წლებში არის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის სახალხო კომისარი. 1924 წელს არჩეული იქნა აჭარის ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდენტი, რომელმაც პირველ თავმჯდომარედ აირჩია იგი (კომახიძე, 1974: 17). კითხულობდა ლექციებს სამართლის საკითხებზე ერთ-ერთ სასწავლებელში (მისირელი, 2005: 178).

მონაწილეობდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბაქოს სექციის, ქართული დაწყებითი ორ კლასიანი სკოლის, სამკითხველოს, წიგნის მაღაზიისა და გაზეთ "მარცვალის" დაარსებაში. ზრუნავდა მუსლიმი ქართველების განათლებასა და მათ ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრაციაზე. პირველი მსოფლიო ომის ბოლოს იყო სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის წევრი, 1918 წელს კი სამუსლიმანო საქართველოს წარმომადგენელი საქართველოს ეროვნულ საბჭოში, იყო ქობულეთის მაზრის უფროსი. მას თურქეთთან ურთიერთობის საკითხზე საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასთან კონფლიქტი მოუხდა, რის გამოც ერთი პერიოდი დაპატიმრებულიც იყო. 1921 წლის მარტში, საქართველოში წითელი არმიის შემოჭრის შემდეგ, საბჭოთა ხელისუფლების სამსახურში ჩადგა; იყო ბათუმის რევოლუციური კომიტეტის წევრი, შემდეგ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის სახალხო კომისარი; მონაწილეობდა აჭარის პირველი კონსტიტუციის და კანონმდებლობის შედგენაში. 1930-იან წლებში იყო აჭარის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის თანაშემწე. 1937 წლის რეპრესიების დროს დააპატიმრეს და დახვრიტეს. რეაბილიტირებული იქნა 1956 წელს. 2019 წელს ბათუმში ერთ-ერთ ქუჩას რეჯებ ნიჟარაძის სახელი მიენიჭა.

ხასან ისმაილის-ძე ლორთქიფანიძე (1888-1937), დაიბადა ბათუმში. სწავლობდა ბათუმის ვაჟთა გიმნაზიაში. 1913 წელს დაასრულა პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. დაბრუნდა ბათუმში მუშაობდა ადვოკატად, იყო ბათუმის საკრებულოს წევრი (ხმოსანი). იგი თანამემამულეებს შორის მნიშვნელოვან აგიტაციას ეწეოდა მუჰაჯირობის წინააღმდეგ, იბრძოდა თურქი ოკუპანტების წინააღმდეგ. თურქებმა რამდენიმე ხნით ტრაპიზონის ციხეშიც ჩასვეს, საიდანაც ნოე ჟორდანიას მთავრობის ძალისხმევით გათავისუფლდა. ხელი მოწერილი აქვს 1918 წლის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტზე. განსაკუთრებულია მისი ღვაწლი აჭარის ავტონომიის შექმნასა და სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრაში. იყო ბათუმის ოლქის მეჯლისის თავმჯდომარე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის იურიდიული განყოფილების გამგე, შედიოდა იუსტიციის სახალხო კომისარიატის კოლეგიის შემადგენლობაში. იყო აჭარის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე. იყო 1925 წლის 25 ნოემბრის დადგენილებით შექმნილი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის შემმუშავებელი კომისიის თავმჯდომარე. მას ეკუთვნის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პირველი კონსტიტუციის პროექტი (თურმანიძე, 2019: 389), რომელიც 1929 წლის მარტში განსახილველად წარედგინა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბჭოების მე-7 ყრილობას, მაგრამ ცენტრალური ხელისუფლების რჩევის შედეგად არ იქნა მიღებული, რადგან მისი ზოგიერთი მუხლი ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციას (იმ მუხლების შესახებ, რომლებიც ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციას, იხილეთ: გორგოშაძე, 2016: 62). ამ პროექტის მიხედვით ადგილობრივი საკითხების საკანონმდებლო წესით გადაწყვეტისას, თუ იგი წინააღმდეგობაში მოვიდოდა საქართველოს ძირითად სახელმწიფო კანონთან, პრიორიტეტი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციას ენიჭებოდა. 1933 წლიდან დაპატიმრებამდე მუშაობდა აჭარის ცაკთან არსებულ ბავშვთა კომისიის პასუხისმგებელ მდივნად. ეს კომისია უპატრონო და ობოლი ბავშვების აღზრდის, სწავლისა და დასვენების საკითხებს ხელმძღვანელობდა. ხასან ლორთქიფანიძეს 1937 წელს კონტრევოლუციონერ-ტროცკისტობა დააბრალეს, ხალხის მტრად შერაცხეს, დააპატიმრეს, აჭარის შინსახკომის სარდაფში ჩასვეს და გვემითა და არაადამიანური წამებით მოკლეს. საქართველოს პარლამენტის 1997 წლის 11 დეკემბრის კანონით ხასან ლორთქიფანიძე აღიარებულია პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად (თურმანიძე, 2015).

ოსმან ხუსეინის-ძე თავდგირიძე (1889-1938), დაიბადა ბათუმში, სამუალო განათლება ბათუმში მიიღო, უმაღლესი განათლება ოდესის უნივერსიტეტში, დაამთავრა ამ

უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. მუშაობდა აჭარის სასამართლოს, პროკურატურისა და იუსტიციის ორგანოებში, იყო ბათუმის პირველი უზნის სახალხო მოსამართლე.

1925 წლის 10 აპრილს ოსმან თავდგირიძე დანიშნეს აჭარისწყლის მაზრის სახალხო მოსამართლედ. იყო აჭარის რესპუბლიკის პროკურორის თანაშემწე ვაჭრობის, კოოპერაციის და საფინანსო სექტორში. 1928-1929 წლებში ოსმან თავდგირიძე ხულოს მაზრის სახალხო მოსამართლეა, ხოლო აქედან ქ. ბათუმის პირველი უზნის სახალხო მოსამართლედ გადმოჰყავთ.

1934 წლის 31 მარტიდან ოსმან თავდგირიძე რამდენიმე თვის განმავლობაში ასრულებდა აჭარის ასსრ იუსტიციის სახალხო კომისრის მოადგილის მოვალეობას. იმავე 1934 წლის 31 მარტს ოსმან თავდგირიძე აჭარის ასსრ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედ დანიშნეს, სადაც 1937 წლის ბოლომდე, დაპატიმრებამდე დაჰყო.

1937 წლის დეკემბრის დასაწყისში ოსმან თავდგირიძე დააპატიმრეს და სასჯელის უმაღლესი ზომა დახვრეტა მიუსაჯეს.

ამიერკავკასიის სამხედრო ტრიბუნალის 1956 წლის 27 ივლისის #1601 განაჩენით სისხლის სამართლის საქმე ოსმან ხუსეინის ძე თავდგირიძის მიმართ წარმოებით შეწყდა, მის ქმედებაში დანაშაულის შემადგენლობის არარსებობის გამო და იგი რეაბილიტირებულია (სურმანიძე, 2014: 167-168).

დურსუნ ემინის ძე ქარცივაძე (1865-1937), დაიბადა ზემო აჭარის სოფელ ზემოხევში. სასულიერო განათლების მისაღებად სწავლა დაიწყო ბათუმში, შემდეგ განაგრძო სტამბოლში და მიიღო უმაღლესი იურიდიული და თეოლოგიური განათლება. მშობლიური ენის გარდა კარგად დაეუფლა არაბულ, რუსულ და ინგლისურ ენებს. სამშობლოში დაბრუნებულმა თავისი პროფესიით სამუშაო ვერ იშოვა, რის გამო 1910-იანი წლებიდან ხელი მიჰყო ვაჭრობას, რაშიც ხელი შეუწყო ენების ცოდნამ. მალე იმდენად დიდი ქონება დააგროვა, რომ მას ბეგს უწოდებდნენ. ცხოვრობდა ბათუმში, სადაც ჰქონდა სავაჭრო დუქნები, აგრეთვე დუქანი ჰქონდა ჭვანაში, მეჩეთის ტერიტორიაზე. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ იძულებული გახდა სოფელ ზემოხევში დაბრუნებულიყო, მაგრამ უმაღლესი განათლების მქონემ აქ ვერ მოიპოვა თავისი ადგილი, როგორც ირკვევა, ფარულად თუ აშკარად ეწეოდა ხელისუფლების საწინააღმდეგო აგიტაციას, ემხრობოდა 1929 წლის ანტისაბჭოთა გამოსვლების მეთაურებს, იბრძოდა კოლექტივიზაციის წინააღმდეგ. 1937 წლის რეპრესიების დაწყებისთანავე ხელისუფლებაზე ჩაბარება გადაწყვიტა. უშიშროების ადგილობრივ აგენტებს თხოვდა არ დაეპატიმრებინათ, სამაგიეროდ მთელი უძრავ-მომრავი ქონების გადაცემას დაპირდა, მაგრამ უკვე გვიანი იყო. იმავე დღეს ცხენოსანმა რაზმმა დურსუნის სახლს ალყა შემოარტყა. იგი დააპატიმრეს და ბათუმში დახვრიტეს. სახლის გაჩხრეკისას ერთ ოთახში არსებული დიდი რაოდენობის ქსოვილი ცხენებს აჰკიდეს და წაიღეს (სურმანიძე, 2014: 243).

ოსმან ეუბის ძე მიქელაძე (1894-1937). ოცდაათიანი წლების პერიპეტეების მსხვერპლთა შორის გამორჩეული ადგილი უკავია ოსმან მიქელაძეს, იგი დაიბადა 1894 წელს, სოფელ დანისპარაულში. საშინაო განათლების მიღების შემდეგ იგი მამამ სტამბოლში წაიყვანა. აქ გაიარა მოსამზადებელი კურსები და ჩაირიცხა უნივერსიტეტის თეოლოგიის ფაკულტეტზე, რომლის დამთავრების შემდეგ მიიღო როგორც თეოლოგის, ასევე იურისტის დიპლომი, 1917 წლის დასაწყისში სამშობლოში დაბრუნდა და აქტიურად ჩაება დიდ პოლიტიკურ საქმიანობაში (სურმანიძე, 2014: 201).

თემურ-ბეგ მამუდის ძე შერვაშიძე (1884-1937), შერვაშიძეთა გვარის ერთ-ერთი გამორჩეული პიროვნებაა. იგი დაიბადა 1884 წელს. მიღებული ჰქონდა კლასიკური განათლება. დაამთავრა ჯერ ბათუმის გიმნაზია, ხოლო შემდეგ პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. თემურ-ბეგის ნამსახურობის ზუსტი სია უცნობია. ვიცით, რომ ის 1909 წელს უკვე ბათუმში მსახურობდა, ჰქონდა კოლეგიის რეგისტრატორის სამოქალაქო ხარისხი და იყო ბათუმის პოლიცემისტერის სამმართველოს მე-4 უზნის საქმეთა მმართველი. მომდევნო წლებშიც თემურ-ბეგ შერვაშიძე სხვადასხვა თანამდებობებზე ინიშნებოდა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველივე წლებიდან, სხვა წარჩინებულ გვარებთან ერთად, ხელისუფლება შეუდგა შერვაშიძეთა ოჯახის შევიწროებასაც. 1922 წელს დაბა ქედაში საცხოვრებელი სახლი, ხოლო სოფელში მიწები

ჩამოართვეს თემურ-ბეგ შერვაშიძეს, 1937 წელს თემურ-ბეგ შერვაშიძე დააპატიმრეს სამეულმა სიკვდილი მიუსაჯა, რაც ბათუმში მოიყვანეს სისრულეში (სურმანიძე, 2014: 255-256).

მემედ გულიას-ძე კაიკაციშვილი (1898-1937), დაამთავრა ოდესის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. წლების განმავლობაში მუშაობდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სასამართლო სისტემაში. 1934-1937 წლებში იყო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს საკასაციო კოლეგიის წევრი, პრეზიდიუმის წევრი, მოკლე დროით თავმჯდომარეც. ცრუ ბრალდებით, რომ თითქოს იყო კონტრრევოლუციური მემარჯვენე მემბოხე-ჯაშუშური ორგანიზაციის წევრი, რომელიც მიზნად ისახავდა შეიარაღებული აჯანყების გზით საბჭოთა ხელისუფლების დამხობას და აჭარის თურქეთთან შეერთებას, რომ თითქოს კონტრრევოლუციური ორგანიზაციის დავალებით იბირებდა ხალხს, 1937 წელს დახვრიტეს (თურმანიძე, 2019: 393-394).

რიზა დავითაძე (1864-1937) ტბეთის მკვიდრი. სასულიერო და საერო განათლება მიიღო სტამბულში, სპეციალობით იურისტი. მასწავლებლობდა ქობულეთში, დღვანსა და ქიძინიძეებში (მარეთის ..., 2011: 286). 1924 წელს რიზა დავითაძის თაოსნობით სოფ. ტბეთში, მისი ბიძაშვილის იუსუფ დავითაძის კერძო სახლში გაიხსნა სკოლა. რიზა ამ სკოლაში ლათინურ და თურქულ ენებს ასწავლიდა (სურმანიძე, 2014: 159). 1937 წელს, ცრუ ბრალდებებზე დაყრდნობით სამეულმა სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა განუსაზღვრა. განაჩენი, იმავე წელს, სისრულეში მოიყვანეს ბათუმში.

მამასადაძემ, საბჭოთა რეჟიმის მასობრივი რეპრესიები საკუთარ თავზე იწვნის სამართლისა და სამართლიანობის დარაჯებმა – იურისტებმა, რომლებიც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრებით ერთგულად ემსახურებოდნენ სამშობლოს, ერთიანი საქართველოს ინტერესებს.

Victim lawyers of massive repressions of the Soviet regime from Adjara

Gorgoshadze Murman

Shota Rustaveli State University, Batumi

Abstract

Lawyers perform essential functions in the state and society, they held and still hold various leadership positions, it is possible that lawyers, as one of the main targets of the repressions of the Soviet regime, derives from the role they play in the implementation of state authority: legislation of public relations, creation of developed legal system and so forth.

The political repressions carried out by the Soviet regime, which affected almost all classes of society in Adjara: government agencies, state authority, the Communist Party, public organizations, intellectuals, clergy, agricultural and industrial personnel, and so on, was unprecedented with their nature, extent, forms and methods. Unlike other Soviet republics, the repressions carried out by the Soviet regime in Georgia had a larger scale and acute character. These repressions in Adjara, compared to other regions of Georgia, were more brutal. This was due to the fact that the leaders of the Soviet Union and the Soviet government of Georgia misused the bad luck of Adjara caused by the consequences of three centuries of Ottoman rule and showed unreasonable mistrust towards Adjarian people, doubted their political reliability and often accused them of spying for Turkey.

The article covers the activities of the repressed lawyers working in Adjara at the beginning of the 20th century who were shot on the basis of fabricated charges: Rezheb Nizharadze (1873-1937), Khasan Lortkiphanidze (1888-1937), Osman Tavdgiridze (1889-1938), Dursun Kartsivadze (1865-1937), Osman Mikeladze (1894-1937), Temur-Beg Shervashidze (1884-1937), Memed Kaikatsishvili (1898-1937), Riza Davitadze (1864-1937). Their merit is indicated in front of the region, the nation, the country, the immortalization of their memory, so that our future is even more protected from the unjust use of force by the state.

Key words: Rezheb Nizharadze, Khasan Lortkiphanidze, Osman Tavdgiridze, Dursun Kartsivadze, Osman Mikeladze, Temur-Beg Shervashidze, Memed Kaikatsishvili, Riza Davitadze.

ცივილიზაციების დიალოგის მნიშვნელობა მსოფლიოში

ფარემიშვილი გიორგი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, თბილისი

DOI: <https://doi.org/10.52340/idw.2023.108>

აბსტრაქტი. ზოგადად „დიალოგი“ უძველესი დროიდან ითვლებოდა ადამიანთა შორის გავრცელებულ იდეად, ზოგადად „ცივილიზაციათა დიალოგი“ კი გახდა აუცილებელი და საჭირო აქტი, რაც გაანპირობა არაერთმა გარემოებამ და ფაქტმა. მსოფლიო ზოგადად აქტიურად იყენებს ურთიერთობების ფორმად კულტურათა დიალოგს. ირანის ყოფილი პრეზიდენტის ხათამის აზრით, აუცილებელი იყო, ჩამოყალიბებულიყო დიალოგის ინსტიტუტები, სადაც შეიქმნებოდა არაერთი წიგნი და კვლევა, აკადემიური ინსტიტუციების შექმნა, საერთაშორისო კონფერენციების გამართვა დასავლეთსა და აღმოსავლეთში, მუსულმანურ და ქრისტიანულ სამყაროში. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ გაეროს წევრმა მხარდამჭერმა ყველა მთავრობამ დაამტკიცა ეს წინადადება და, რაც მთავარია, სამეცნიერო, ადამიანის უფლებათა, აკადემიურმა, სოციალურმა და პოლიტიკურმა საზოგადოებებმა საკმაოდ დიდი ყურადღება დაუთმეს, რასაც აუცილებლად უნდა გაესვას ხაზი. ცივილიზაციებს შორის დიალოგი კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდა ცივი ომის, რეგიონალური ომების, სამხედრო და რევოლუციური კონფლიქტების, ოკუპაციისა და ორი მსოფლიო ომის ფონზე. როგორც მუჰამედ ხატამი ამბობს, ის არ ცდილობდა ცივილიზაციების დიალოგის ფილოსოფიური და თეორიული საფუძვლის ახსნას, რამდენადაც ამბობდა, რომ დღევანდელ მსოფლიოში, განსაკუთრებით ოცდამეერთე საუკუნეში ურთიერთობების გაბატონებული პარადიგმა და მოდელი ძალზე საშიშია. ჩვენს საზოგადოებაში, გარდა ცივილიზაციათა დიალოგისა, არსებობს თეორია „ცივილიზაციათა შეჯახების შესახებ“, რომლის მთავარ იდეას, წარმოადგენს აზრი, რომ ხალხის კულტურული და რელიგიური იდენტობა იქნება კონფლიქტის მთავარი წყარო ცივი ომის შემდგომ მსოფლიოში. ამერიკელი პოლიტოლოგი სემუელ პ. ჰანტინგტონი ამტკიცებდა, რომ მომავალი ომები უნდა ყოფილიყო არა ქვეყნებს, არამედ კულტურებს შორის. უნდა აღინიშნოს, რომ ცივილიზაციათა კონფლიქტის რეალობად ქცეული პერსპექტივა თანაბრად მიუღებელია როგორც დასავლელთათვის, ასევე არადასავლელთათვის. ამიტომ, ორივე მხარემ სცადა სხვაგვარად აეხსნა მიმდინარე მოვლენები და შემოეთავაზებინა მომავლის ნაკლებ კონფრონტაციული ხედვა. მნიშვნელოვანია, რომ მეცნიერებისაგან განსხვავებით პოლიტიკოსებმა ცივილიზაციათა კონფლიქტის თემა, ჩაანაცვლეს საერთაშორისო ტერორიზმის თემით. ზოგი მეცნიერი ასევე თვლის, რომ საერთაშორისო ტერორიზმი არ შეიძლება აიხსნას რელიგიური ან ცივილიზაციური ფაქტორებით. ცივილიზაციათა დიალოგის ფორმების მოძებნა გაცილებით ძნელია, ვიდრე საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლის ფორმების.

საკვანძო სიტყვები: დიალოგი, ცივილიზაციათა დიალოგი, ცივილიზაციათა შეჯახება, კონფლიქტი, საერთაშორისო ტერორიზმი, რელიგიური იდენტობა.

ყველასთვის ცნობილია, რომ ზოგადად „დიალოგი“ უძველესი დროიდან ითვლებოდა ადამიანთა შორის გავრცელებულ იდეად, ზოგადად „ცივილიზაციათა დიალოგი“ კი გახდა აუცილებელი და საჭირო აქტი, რაც გაანპირობა არაერთმა გარემოებამ და ფაქტმა. საინტერესოა ის ფაქტი, რომ სწორედ 2001 წლის 11 სექტემბერს, იმ დროს როდესაც ყველაზე

ცნობილი ტერორისტული თავდასხმა მოხდა, აღნიშნული წელი გამოცხადებული იყო სწორედ ცივილიზაციათა დიალოგის წლად. სამწუხაროდ, ძალადობის და ომის აქტუალობამ თითქოს დაჩრდილა მშვიდობისა და კომპრომისის მნიშვნელობა, მაგრამ დიალოგის შინაარსმა და აუცილებლობამ მაინც არ დაკარგა აქტუალობა. მსოფლიო ზოგადად აქტიურად იყენებს ურთიერთობების ფორმად კულტურათა დიალოგს. როდესაც გვიწევს ყოფნა ომის, ძალადობის და იმპერიალისტურ რეალობაში, მსოფლიოში აუცილებლად უნდა ისმოდეს მშვიდობის, დიალოგისა და კომპრომისის ხმა. საკმაოდ დიდ მნიშვნელობას იძენს გაეროს მიერ 2001 წლის ცივილიზაციათა დიალოგის გამოცხადების ფართო გამოხმაურება. ის, რომ ეს ინიციატივა კონსესუსით იქნა მიღებული, მიუთითებდა რომ ყველა მხარე, მჩაგვრელი თუ დაჩაგრული, კარგად იაზრებდა თუ რამხელა საშიშორების წინაშე ვიდექით და რამდენად აუცილებელი იყო საზოგადოებას დაეწყო ფიქრი დიალოგის გზით სამშვიდობო შედეგების მისაღებად. მიუხედავად იმისა, რომ 2001 წლიდან 20 წელზე მეტი გავიდა, ფაქტია დღესაც ვხედავთ სწორედ მის მნიშვნელობას და ვუყურებთ, ყოველდღიურად რამდენი ადამიანის სიცოცხლე ეწირება ომს და აგრესიას ევროპის გულში. თამამად შეიძლება მივიჩნიოთ, რომ ცივილიზაციების დიალოგი იყო იმ მცირერიცხოვან ინიციატივებს შორის, რომელმც მოახერხა და შექმნა საკმაოდ მნიშვნელოვანი ტალღის შექმნა ბოლო ათწლეულების განმავლობაში.

ირანის ყოფილი პრეზიდენტის ხათამის (ხათამი, 2012) აზრით, აუცილებელი იყო, ჩამოყალიბებულიყო დიალოგის ინსტიტუტები, სადაც შეიქმნებოდა არაერთი წიგნი და კვლევა, აკადემიური ინსტიტუციების შექმნა, საერთაშორისო კონფერენციების გამართვა დასავლეთსა და აღმოსავლეთში, მუსულმანურ და ქრისტიანულ სამყაროში.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ გაეროს წევრმა მხარდამჭერმა ყველა მთავრობამ დაამტკიცა ეს წინადადება და, რაც მთავარია, სამეცნიერო, ადამიანის უფლებათა, აკადემიურმა, სოციალურმა და პოლიტიკურმა საზოგადოებებმა საკმაოდ დიდი ყურადღება დაუთმეს, რასაც აუცილებლად უნდა გაესვას ხაზი. საზოგადოების მხრიდან საკითხების აქტუალურობის გამო პირველ ეტაპზე საკმაოდ დიდი იყო გამოხმაურება, რადგან სამართლიანად თვლიდნენ, რომ აუცილებელი იყო დაწყებულიყო ატიური დიალოგი ცივილიზაციათა შორის. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მიუხედავად იმისა რომ დროც საკმაოდ გავიდა, დღესაც ისევე აქტუალურია ცივილიზაციათა დიალოგის საკითხი და ის განაგრძობს თავის სვლას. როგორც ხათამი (ხათამი, 2012) ამბობს, ეს არის შუქი, რომელიც არასოდეს უნდა ჩაქრეს ჩვენს საზოგადოებაში.

„ორმა მთავრობამ, ერთმა დასავლურმა და მეორე აღმოსავლურმა, ესპანეთმა და თურქეთმა, მოგვიანებით დააყენეს საკითხი "ცივილიზაციათა ალიანსის" შესახებ. ამ დროს მე გამოვაცხადე, რომ ცივილიზაციების დიალოგი არ დასრულებულა და რომ ცივილიზაციათა ალიანსი ვერ შეცვლის დიალოგს მნიშვნელობას. მიმაჩნია, რომ ცივილიზაციებს ჯერ უნდა შეეძლოთ ლაპარაკი და იპოვონ საერთო მხარეები და აუცილებლად შეინარჩუნონ საკუთარი იდენტობა.“

ცივილიზაციებს შორის დიალოგი თავისთავად არ არის ფილოსოფიური ან პოლიტიკური თეორია. ეს არის გარკვეულწილად ადამიანთა, საზოგადოებებსა და სხვადასხვა ჯგუფებს შორის ურთიერთობის სასურველი მოდელი და მაგალითი. მიმდინარე ეპოქაში, მაგრამ განსაკუთრებით მეოცე საუკუნეში, დომინანტური პარადიგმა იყო ომი. ერთის მხრივ, იყო ცივი ომი, რეგიონალური ომები, სამხედრო და რევოლუციური კონფლიქტები მიუღებელი რეჟიმებით, ხოლო მეორეს მხრივ, იყო ოკუპაციის, ჩაგვრის და ორი მსოფლიო ომი. არსებული პარადიგმა ასახავს რეალურად მომხდარს.

ის ფაქტი, რომ ცივილიზაციებს შორის დიალოგი ეწინააღმდეგება ცივილიზაციების შეჯახებას, მსჯელობის საგანია. იდეა, რომ კულტურებსა და ცივილიზაციებს შორის შეტაკებები ჩაანაცვლებს პოლიტიკურ და სამხედრო დაპირისპირებებს, როგორც ადამიანის ბედის ნაწილს, ბოლო დროს შეემატა „ისტორიის დასასრულის“ თეორია.

როგორც ხათამი (ხათამი, 2005) ამბობს, ის არ ცდილობდა ცივილიზაციების დიალოგის ფილოსოფიური და თეორიული საფუძვლის ახსნას, რამდენადაც ამბობდა, რომ დღევანდელ

მსოფლიოში, განსაკუთრებით ოცდამეერთე საუკუნეში ურთიერთობების გაბატონებული პარადიგმა და მოდელი ძალზე საშიშია. შეიძლება დაინერგოს ალტერნატიული კრიტერიუმი და მოდელი ბევრი არსებული პრობლემის გადაჭრისა.

ისეთ რელიგიებს, როგორცაა ისლამი და ქრისტიანობა, სჯერათ წმინდა დოგმატური საკითებისა, მაგრამ რელიგიის სოციალურად და ისტორიულად კონსტრუქციული წარმოდგენისას რადიკალური მიდგომები პროგრესული აზროვნების შეფერხებას რაც შემდეგ სხვა სირთულეებში გადაიზრდება. აუცილებელია ვიყოთ მოქნილები, რათა შევძლოთ საუბარი დანარჩენ სამყაროსთან და ამავე დროს, დავრჩეთ ერთგული ჩვენი დოგმატური მიდგომებისა და რწმენისა. ეს იქნება მაგალითი, რომ ჩვენ შეგვიძლია თანამედროვე სამყაროთან კონტაქტი ისე, რომ არ უარვყოთ წარსული, რადგან სწორედ ეს წარსულია შემადგენელი თანამედროვეობისა და კაცობრიობასაც მოეთხოვება, განვითარდეს და არ გაიყონოს ერთ საფეხურზე.

უნდა აღინიშნოს, რომ ძალადობის დონე თანამედროვე სამყაროში ძალიან გაიზარდა 11 სექტემბრის ტერორისტული აქტის შემდეგ და თითქოს ამან დაჩრდილა დიალოგის მნიშვნელობა. მიუხედავად ამისა უნდა გვქონდეს იმედი, რომ თავისუფლების სული და შემართება ბევრად მეტია და დამლევს ძალადობას. დიალოგისთვის აუცილებელია საერთო მიზნის განსაზღვრა, რომელიც არის ბრძოლა ექსტრემიზმის და ცრურწმენების წინააღმდეგრომელიც ყველა რელიგიაშია, როგორც აღმოსავლეთში ისე დასავლეთში.

ჩვენს საზოგადოებაში, გარდა ცივილიზაციათა დიალოგისა, არსებობს თეორია „ცივილიზაციათა შეჯახების შესახებ“, რომლის მთავარ იდეას, წარმოადგენს აზრი, რომ ხალხის კულტურული და რელიგიური იდენტობა იქნება კონფლიქტის მთავარი წყარო ცივი ომის შემდგომ მსოფლიოში. ამერიკელი პოლიტოლოგი სემუელ პ. ჰანტიგტონი (ჰანტიგტონი, 1996) ამტკიცებდა, რომ მომავალი ომები უნდა ყოფილიყო არა ქვეყნებს, არამედ კულტურებს შორის. მოგვიანებით ჰანტიგტონმა გააფართოვა თავისი დისერტაცია 1996 წლის წიგნში „ცივილიზაციების შეჯახება და მსოფლიო წესრიგის გარდაქმნა“.

ჰანტიგტონის (ჰანტიგტონი, 1996) აზრით, ხალხების დაყოფა ცივილიზაციებად კულტურული ნიშნით და ერებად-ფიზიკური ნიშნით, მნიშვნელოვნად ემთხვევა ერთმანეთს. ცივილიზაციები და რასები არ არის ერთნაირი. ერთი და იგივე ხალხს შესაძლოა ჰქონდეს გამიჯვნა ცივილიზაციური თვალსაზრისით. განსაკუთრებით დიდი რელიგიები, ქრისტიანობა და ისლამი, სწორედ სხვადასხვა რასებზე გავრცელდნენ. ძირეული ცვლილებები ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფს შორის, წარმოდგენილია სხვაობით სწორედ ფასეულობებს, სარწმუნოებას, სოციალურ სტრუქტურებს შორის და არა თავის ფორმასა, კანის ფერსა თუ სხვა ფიზიკურ მახასიებლებზე, ცივილიზაციები ესაა ყოვლისმომცველი რამ და არ შეიძლება განხილვა განცალკევებულად, რომლის ნაწილსაც ის წარმოადგენს.

ჰანტიგტონის (ჰანტიგტონი, 1996) აზრით, დასავლელ პოლიტიკოსებს მიაჩნიათ, რომ დასავლეთს პრობლემები აქვს არა ისლამთან, არამედ მძვინვარე მუსლიმ ექსტრემისტებთან მიმართებაში. აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ისტორია საპირისპიროს ამტკიცებს. ურთიერთობა ისლამსა და ქრისტიანობას, როგორც დასავლურს, ისე აღმოსავლურს შორის უმეტესად არეულობით ხასიათდებოდა. აღნიშნული რელიგიები ერთმანეთისთვის სხვა იყვნენ, სხვა ნებისმიერი კონფლიქტი ძალიან ზედაპირულია, სწორედ ისლამურ და ქრისტიანულ კონფლიქტთან მიმართებაში. რა თქმა უნდა იყო მშვიდობიანი პერიოდებიც, მაგრამ ძირითადად ურთიერთობა იღებდა მეტოქეების ან ხანდახან ომის სახეს. მეცნიერები წერდნენ, რომ ისტორიული განვითარება ხშირად აყენებდა ამ ორ მხარეს კონკურენტის მდგომარეობაში, დროდადრო კი მათ შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა მიდიოდა ძალაუფლების, მიწისა და სულებისათვის. კონფლიქტებზე ისლამსა და ქრისტიანობას შორის გავლენას ახდენდა დემოგრაფიული აღმავლობა-დაქვეითება, ეკონომიკური განვითარება, ტექნოლოგიური ცვლილებები და რელიგიური მრწამსის ინტენსივობა.

ჰანტიგტონი (ჰანტიგტონი, 1996) ამტკიცებს, რომ ცივი ომის დასრულების შემდეგ გლობალური კონფლიქტის ტენდენციები სულ უფრო და უფრო ვლინდება ამ ცივილიზაციურ განყოფილებებში. მას მიაჩნია, რომ ომები, მაგალითად, იუგოსლავიის

დამლის შემდეგ, ჩეჩნეთში, ინდოეთსა და პაკისტანს შორის, ცივილიზაციათაშორისი კონფლიქტის მტკიცებულება იყო. იგი ასევე ამტკიცებს, რომ დასავლეთის ფართო რწმენა დასავლეთის ფასეულობებისა და პოლიტიკური სისტემების უნივერსალურობის შესახებ, ძალიან ზედაპირულია და აუცილებელია მისი დემოკრატიზაცია, რადგან ამგვარი „შეუცვლელი“ ნორმები სხვა ცივილიზაციებს აღიზიანებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ცივილიზაციათა კონფლიქტის რეალობად ქცეული პერსპექტივა თანაბრად მიუღებელია როგორც დასავლელთათვის, ასევე არადასავლელთათვის. ამიტომ, ორივე მხარემ სცადა სხვაგვარად აეხსნა მიმდინარე მოვლენები და შემოეთავაზებინა მომავლის ნაკლებ კონფრონტაციული ხედვა.

უნდა აღინიშნოს, რომ მეცნიერებისაგან განსხვავებით პოლიტიკოსებმა ცივილიზაციათა კონფლიქტის თემა, ჩაანაცვლეს საერთაშორისო ტერორიზმის თემით. ეს დასავლელ პოლიტიკოსებს ხშირად საშუალებას აძლევს აღმოსავლელი მოწინააღმდეგეები გამოაცხადონ ტერორისტებად და არ წავიდნენ ამ კონფლიქტების ძირეულ სიღრმეებში. ზოგი მეცნიერი ასევე თვლის, რომ საერთაშორისო ტერორიზმი არ შეიძლება აიხსნას რელიგიური ან ცივილიზაციური ფაქტორებით. ტერორიზმი იმ უსამართლობის და უთანასწორობის გამოვლინებაა რაც როგორც ცალკეულ ქვეყნებში, ისე მთელს

XXI საუკუნეში ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა საერთაშორისო პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორი იქნება. ცივილიზაციათა დიალოგის ფორმების მოძებნა გაცილებით ძნელია, ვიდრე საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლის ფორმების.

უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ ცივილიზაციათა დიალოგის მიღწევა ტერორიზმთან დაპირისპირების ყველაზე ეფექტური საშუალებაა დღევანდელ რეალობაში.

ლიტერატურა:

1. ჰანტინგტონი, ს (2017) „ცივილიზაციათა შეჯახება და მსოფლიო წესრიგის გარდაქმნა“ თბილისი: თსუ-ს გამომცემლობა
https://elearning.tsu.ge/pluginfile.php/291510/mod_resource/content/1/Hantington-
2. მაცაბერიძე, დ (2003) ცივილიზაციათა შეჯახება თუ ცივილიზაციათა დიალოგი, ცივილიზაციური ძიებანი. თბილისი
3. ხათამი, მ (2005) ისლამი, ცივილიზაციათა დიალოგი და კაცობრიობის მომავალი.
4. Huntington, S (1996) Clash of Civilizations and the Remaking of World Order.
5. Khatami, M (2012) Dialogue Among Civilizations: Contexts and Perspectives.
<https://www.un.org/en/chronicle/article/dialogue-among-civilizations-contexts-and-perspectives>

The importance of the dialogue of civilizations in the world

Pareshishvili Giorgi

Caucasus International University, Tbilisi

Abstract

Everyone knows that in general "dialogue" has been considered a common idea among people since ancient times, and in general "dialogue of civilizations" has become a necessary and necessary act, which was determined by a number of circumstances and facts. The world in general actively uses the dialogue of cultures as a form of relations. According to Khatami, the former president of Iran, it was necessary to establish institutions of dialogue, where many books and studies would be created, academic institutions would be created, and international conferences would be held in the West and East, in the Muslim and Christian worlds. It is worth noting the fact that all the supporting UN member governments have approved this proposal and, most importantly, the scientific, human rights, academic, social and political communities have paid a lot of attention, which must be underlined. Dialogue between civilizations has become

even more important in the background of the Cold War, regional wars, military and revolutionary conflicts, occupation and two world wars. As Khatami says, he did not try to explain the philosophical and theoretical basis of the dialogue of civilizations, as much as he said that the prevailing paradigm and model of relations in today's world, especially in the twenty-first century, is very dangerous. In our society, in addition to the dialogue of civilizations, there is a theory of "clash of civilizations", the main idea of which is the idea that people's cultural and religious identity will be the main source of conflict in the post-Cold War world. American political scientist Samuel P. Huntington argued that the future wars should not be between countries, but between cultures. It should be noted that the reality of the conflict of civilizations is equally unacceptable to both Westerners and non-Westerners. Therefore, both sides tried to explain current events in a different way and offer a less confrontational vision of the future. It is important that unlike scientists, politicians replaced the topic of the conflict of civilizations with the topic of international terrorism. Some scholars also believe that international terrorism cannot be explained by religious or civilizational factors. It is much more difficult to find forms of dialogue between civilizations than forms of fighting international terrorism.

Key words: dialogue, dialogue of civilizations, clash of civilizations, conflict, international terrorism, religious identity.

ნეოპატრიმონიალიზმის კვლევის მეთოდოლოგიური პრობლემები

ქარელი თეიმურაზ

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი

DOI: <https://doi.org/10.52340/idw.2023.109>

აბსტრაქტი. ნაშრომი ეძღვნება ნეოპატრიმონიალიზმის კვლევის მეთოდოლოგიურ პრობლემებს. შესავალ ნაწილში ახსნილია პრობლემის კვლევის აქტუალობა. ნეოპატრიმონიალიზმის კონცეფციას სხვა კონცეფტებთან შედარებით გაცილებით მეტი წინასწარხედვის ძალა გააჩნია იმის თქმით, რომ პოლიტიკური გადასვლებით დემოკრატიული ინსტიტუტების თანდათანობითი კონსოლიდაცია არ ჩანს. პირიქით, ნეოპატრიმონიალიზმის სახელმწიფოებში იქმნება ჰიბრიდული რეჟიმები, რომელშიც დემოკრატიული დასავლური ტიპის ინსტიტუტები (ხელისუფლების დანაწილება, საარჩევნო უფლება, კონსტიტუცია) მხოლოდ ის გარსია, რომლითაც იჩრდილება რეალური პოლიტიკური პროცესები. მათი შინაგანი ლოგიკა კი პოლიტიკური ბატონობის დამკვიდრებულ ტრადიციულ ტიპს ექვემდებარება. ამ თეორიის მართებულობას ადასტურებს პოლიტიკური პროცესები ე.წ. „პოსტსაბჭოთა“ სივრცეში, სადაც, დროთა განმავლობაში, აშკარა ხდება სწორედ ასეთი (მხოლოდ გარეგნულად დემოკრატიული) ჰიბრიდული რეჟიმების კონსტრუირება. ავტორის აზრით, ნეოინსტიტუციური თეორიის გამოყენებით შესაძლებელია ნეოპატრიმონიალიზმის რეჟიმების ფუნქციონირების როგორც სტრუქტურული, ასევე დინამიკური ასპექტებით ახსნა. ნაშრომში ჩამოთვლილია კვლევის პრობლემები: კერძოდ, დღემდე არ არსებობს ერთიანი აზრი ზოგიერთი საბაზო საკითხის გაგებაში: რას ნიშნავს წინდებული „ნეო“ ნეოპატრიმონიალიზმის ტერმინში; რა მიმართებაა ნეოპატრიმონიალიზმის რეჟიმებში ლეგალურ-რაციონალურ და ტრადიციულ დომინირებას შორის; რა არის საერთო ამ ტერმინსა და პატრიმონიალიზმის ცნებას შორის; როგორ შეიძლება მოხდეს ნეოპატრიმონიალიზმის ოპერაციონალიზაცია; როგორ უნდა გაიმიჯნოს ის ისეთი მოვლენებისაგან როგორც კლიენტელიზმი, ნეპოტიზმი, კლანურობა. საკვლევი ქართულ პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ სისტემაში არაფორმალური ურთიერთობების ძალა და განმსაზღვრელი ხასიათი („სატელეფონო სამართალი“, ბლატი, ნეპოტიზმი, კლიენტურ-პატრონაჟული ქსელი და ა.შ.). დასკვნით ნაწილში აღნიშნულია, რომ ნეოპატრიმონიალიზმის კონცეფციას დიდი პოტენციალი აქვს ნეოინსტიტუციურ თეორიაში. ნეოპატრიმონიალიზმი გულისხმობს ტრადიციული ბირთვის და ლეგალური გარსის შერწყმას. ამდენად, აუცილებელია ტრადიციული ინსტიტუტების ინსტიტუციონალიზაციის არააშკარა ფორმების, არაფორმალური პრაქტიკების კვლევა. ამ მიზნებისთვის ნეოინსტიტუციონალიზმი ინსტიტუტებისა და ინსტიტუციური ცვლილებების ყველაზე შესაფერის გაგებას გვთავაზობს. ჩვენი თვალთახედვით, ნეოპატრიმონიალიზმის კონცეფციის შემდგომი განვითარება, მჭიდროდ უნდა უკავშირდებოდეს ახალი ინსტიტუციონალიზმის მიღწევებს და მეთოდოლოგიურ აპარატს.

საკვანძო სიტყვები: ნეოპატრიმონიალიზმი; პოლიტიკური რეჟიმი; კლიენტელიზმი; ნეოინსტიტუციონალიზმი; ნეპოტიზმი; საისტორიო ნეოინსტიტუციონალიზმი.

შესავალი

ნეოპატრიმონიალიზმის კონცეფცია ერთგვარი პასუხია დემოკრატიული ტრანზიციის იდეის ძირითადი დებულებებზე უარისთქმასა და პოლიტიკურ სინამდვილესთან მის

შეუსაბამობაზე. ეს კონცეფცია უდავოდ პერსპექტიულია იმ ქვეყნების პოლიტიკური სინამდვილის გასაანალიზებლად, რომელთა განვითარება არსებითად განსხვავდება დასავლური ტიპის დემოკრატიული პატერნებისგან. თუმცა, კონცეფციის მიმართ დიდმა ინტერესმა მას ცუდი სამსახური გაუწია. მკვლევრებმა ნეოპატრიმონიალიზმის კონცეფციის გამოყენებით დაიწყეს ერთმანეთისგან არსებითად განსხვავებული აფრიკული, ლათინური ამერიკის და აზიის სახელმწიფოების ფართო სპექტრთა გაანალიზება, გარეშე დამკვირვებელს კი ერთიანი ტერმინით მათი აღწერის აღქმა უცნაურად ეჩვენებოდა. ყოველ ჯერზე ამ კონცეფციის გამოყენება კონცენტრირდებოდა სრულიად სხვადასხვა მახასიათებლების ნაერთზე და ასე, თანდათან ფართოვდებოდა მისი კონცეფტური დახვეწის პროცესი. შეიქმნა ერთგვარი თეორიული ჩიხი, მასთან გასამკლავებლად დამუშავდა რამდენიმე კვლევითი პროექტი, რომლებიც ნეოპატრიმონიალიზმის კონცეფციას იკვლევდნენ. გაჩნდა ზოგიერთი კითხვა, მათზე პასუხი კი კონცეფტუალიზაციის პროცესის დაწყებას ნიშნავდა, თანდათანობით იკვეთებოდა იმ მოვლენათა არსი, რაც აღიქმებოდა სიტყვით „ნეოპატრიმონიალიზმი“.

ნეოპატრიმონიალიზმის კონცეფციას სხვა კონცეფტებთან შედარებით გაცილებით მეტი წინასწარხედვის ძალა გააჩნია იმის თქმით, რომ პოლიტიკური გადასვლები ვერ წარმოაჩენენ დემოკრატიული ინსტიტუტების თანდათანობით კონსოლიდაციას. უფრო კი ასეთ სახელმწიფოებში იქმნება რეჟიმული ჰიბრიდი, რომელშიც დემოკრატიული დასავლური ტიპის ინსტიტუტები (ხელისუფლების დანაწილება, საარჩევნო უფლება, კონსტიტუცია) მხოლოდ ის გარსი იქნება, რომელიც რეალურ პოლიტიკურ პროცესებს დაჩრდილავს. მათი შინაგანი ლოგიკა კი დაექვემდებარება პოლიტიკური ბატონობის დამკვიდრებულ ტრადიციულ ტიპს. ამ თეორიის მართებულობის დასტურია და შესაბამისად ნეოპატრიმონიალიზმის კონცეფციისადმი ინტერესის ახალ ტალღას უკავშირდება პოლიტიკურ პროცესები ე.წ. „პოსტსაბჭოთა“ სივრცეში, სადაც დროთა განმავლობაში აშკარა ხდება სწორედ ასეთი (მხოლოდ გარეგნულად დემოკრატიული) ჰიბრიდული რეჟიმების კონსტრუირება. ნაშრომში სწორედ ეს პრობლემებია განხილული.

რა არის ნეოპატრიმონიალიზმი?

ნეოპატრიმონიალიზმის კონცეფციის კვლევასთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას შემდეგი: ნეოპატრიმონიალიზმი განუვითარებლობის, ჩამორჩენილობის, არაეფექტიანობის სინონიმი როდია. ბევრმა სახელმწიფომ თავი გაართვა უამრავ გამოწვევას და ამით თავი დააღწია ფრაგმენტაციის პროცესებს (კენია, კოტ დ'ივუარი), შეძლო სწრაფი ეკონომიკური ზრდის დემონსტრირება (სამხრეთ კორეა, სინგაპური). ამიტომ, ანალიზისთვის მნიშვნელოვანია ნეოპატრიმონიალიზმი რეჟიმების გამიჯვნის აუცილებლობა. ამ მიმართებით მცდელობების განზოგადებისას საყურადღებოა დ. ბახის იდეა ნეოპატრიმონიალიზმის *რეგულირებადი* (neopatrimonialism within state) და *მტაცებლური* (neopatrimonialism of the entire state) ფორმების შესახებ. (Bach D. 2011). ამგვარი ტიპოლოგიის განვითარებისთვის სასარგებლო იქნებოდა პოლიტიკური კვლევების მომიჯნავე სფეროებში ჩამოყალიბებულ კონცეფტებისთვის მიგვემართა, მაგალითად, „სახელმწიფო-მტაცებლის“ (predatory state) კონცეფტის დამუშავება იწყება 1970-იან წლებში, მისი თავდაპირველი თეორიული საფუძველია იდეალურ ვებერისეული ტიპი - სულთანობი (Beber M. 2016). კონცეფცია ამდიდრებს ჩვენს ცოდნას ნეოპატრიმონიალიზმის მტაცებლური ფორმების ფუნქციონის შესახებ, სახელდობრ, ამგვარ სახელმწიფოებში მმართველის უახლოეს გარემოცვაზე დამოკიდებულების, იძულების მექანიზმების, კოოპტაციის, ელიტის ფარგლებში შეკავშირების ნაწილში. კონცეფტში „სახელმწიფო-მტაცებელი“ ეს კითხვები ძირითადია, რადგან ნეოპატრიმონიალიზმის კვლევებისთვის ისინი დღემდე ჩრდილშია მოქცეული და შესასწავლია.

ნეოპატრიმონიალიზმის რეგულირებად ფორმებთან მიმართებით ნაყოფიერია, მაგალითად, საკუთრების უფლებების საიმედო გარანტიების უზრუნველყოფის ნეონსტიტუციური დილემა. სწორედ ამ თეორიით არის შესაძლებელი აიხსნას მდგრადი საპარლამენტო ინსტიტუტების, დამოუკიდებელი სასამართლო სისტემის, სამოქალაქო

საზოგადოების ინსტიტუტების (დამოუკიდებელი მასმედია და არაკომერციული ორგანიზაციები) არმქონე სახელმწიფოები როგორ ახერხებენ საკუთრების უფლებების გარანტიების მდგრადობის და მაღალი ხარისხის უზრუნველყოფას და იმავდროულად ნეოპატრიმონიალიზმის პრაქტიკაზე დაყრდნობას.

ნეოპატრიმონიალიზმი და პოლიტიკური რეჟიმი

ნეოპატრიმონიალიზმის მეორე მნიშვნელოვანი კონცეფტური პრობლემაა მისი მიმართება პოლიტიკური რეჟიმის კატეგორიასთან. დადგინდა, რომ ნეოპატრიმონიალიზმი არ არის პოლიტიკური რეჟიმის, როგორც ასეთის, სახესხვაობა. უფრო კი ის პოლიტიკური დომინირების სხვა ტიპია, რომელიც შესაძლოა არსებობდეს არა მხოლოდ ავტორიტარულ, არამედ დემოკრატიულ რეჟიმებშიც. ამდენად, ნეოპატრიმონიალიზმის კონცეფტი მოიაზრება პოლიტიკური რეჟიმის კლასიკური ტიპოლოგიის ჩარჩოებს მიღმაც და პოლიტიკური სისტემების რამდენადმე სხვაგვარ განზომილებას იძლევა, რომელიც საჯარო სფეროს კერძო მითვისებას უკავშირდება.

შეიძლება მსჯელობა ნეოინსტიტუციური თეორიის აპარატის გამოყენებისას ნეოპატრიმონიალიზმის კონცეფციების პოტენციალზე. ამ მიმართებით საყურადღებოა შეზღუდვები, რომლებიც შესაძლოა ასეთ გამოყენებას მოჰყვეს. ჯერ ერთი, მნიშვნელოვანია ნეოინსტიტუციონალიზმის სხვადასხვაგვარობის გათვალისწინება. ნეოინსტიტუციონალიზმის სხვადასხვა განშტოებები სოციალური რეალობის გაგებაში არსებითად განსხვავდებიან, ზოგჯერ კი მისი ანალიზისას საპირისპირო მიდგომებს იყენებენ. ამიტომ აუცილებელია კონცენტრირება ნეოინსტიტუციონალიზმის ყველა განშტოებისთვის კონვენციალური არაფორმალური ინსტიტუტების პრობლემატიკაზე. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ამ, ასე ვთქვათ, „მკაცრი ბირთვის“ მიღმა პოლიტიკური სახის ბევრ კითხვაზე კვლევითი პოზიციები განსხვავებულია, ეს სხვადასხვაობა შესაძლოა ნეოპატრიმონიალურ კვლევებზე აისახოს.

მეორე, ნეოპატრიმონიალიზმი მხოლოდ ნეოინსტიტუციურ ინტერპრეტაციაზე არ დაიყვანება. ამ კონცეფტით ახსნები უფრო დამაჯერებელია, ვიდრე პოლიტიკური რეჟიმის თეორიის დახმარებით, თუმცა არ არის გამორიცხული სხვაგვარი ინტერპრეტაციაც.

მესამე, ნეოინსტიტუციური თეორია თავისთავად კრიტიკის ობიექტია და ეს კრიტიკა ასევე შესაძლოა ნეოპატრიმონიალიზმის კვლევებზეც აისახოს. ეს საკითხები ნეოპატრიმონიალიზმის ნეოინსტიტუციური ინტერპრეტაციისას გასათვალისწინებელია და კიდევ უნდა განვითარდეს.

ნეოინსტიტუციონალიზმი

პოლიტიკის მეცნიერებაში ნეოინსტიტუციონალიზმი ეყრდნობა შემდეგ პოსტულატებს:

1) პოლიტიკური ინსტიტუტები და სახელმწიფო მთლიანობაში პოლიტიკის სრულუფლებიან აქტორად განიხილება იმ აზრით, რომ მათ გააჩნიათ თავისი საკუთარი, განსაკუთრებული ინტერესები და, ამდენად „რეალური“ პოლიტიკის ნაწილს წარმოადგენენ (ტ. სკოჩპოლი, ტ. მიტჩელი);

2) ინსტიტუტები ძირითად და განმსაზღვრელ ზემოქმედებას ახდენენ ადამიანის ინდივიდუალურ ქცევაზე, ადგენენ ინდივიდუალური არჩევანის ფარგლებს მჯობინებათა ფორმირებისა და გამოხატვის მეშვეობით (ჯ. მარჩი და ი. ოლსენი; კ. შეპელი და ბ. ვეინგასტი);

3) ინსტიტუტები არიან ძირითადი დეტერმინანტები, რომლებიც პოლიტიკის შედეგებს განსაზღვრავენ; აქტორთა მიერ თავისი მიზნების თუნდაც ნაწილობრივ გაცნობიერების უნარი განისაზღვრება ინსტიტუციური კონტექსტით, რომლებშიც ისინი მოქმედებენ (ფ. შარპფი; ა. ლეიპჰარტი).

ნეოინსტიტუციური თეორიის გამოყენების შეზღუდვების გათვალისწინებით

ნეოპატრიმონიალიზმის კონცეფციას მაინც მნიშვნელოვანი პერსპექტივები აქვს. მას შეუძლია არაერთი კონცეფტის ინტეგრირება, რომლებიც პოლიტიკის მეცნიერებაში ნეოინსტიტუციური მიმართულების ფარგლებში ჩამოყალიბდნენ. საუბარია ისეთ არაფორმალურ ინსტიტუტებზე როგორცაა კლიენტელიზმი, ნეპოტიზმი, ჩრდილოვანი

უფლებამოსილებები. ეს კონცეფტები, რომლებიც ხშირად ნეოპატრიმონიალიზმის კონცეფციაში მათი გამოყენებისას ცალკეულად პოლიტიკურ სისტემების ცალკეულ ნიშნებს ახასიათებენ, განვითარების ერთი მთლიანი ლოგიკის ნაწილია და რაციონალურ-ლეგალურ გარემოში ტრადიციული დომინირების აღწარმოებას უკავშირდება. კლიენტელიზმი სახელისუფლებო ურთიერთობების მასტრუქტურირებელი ცენტრალური ინსტიტუტია როგორც პოლიტიკურ, ასევე ადმინისტრაციულ დონეებზე.

კლიენტელიზმი

კლიენტელიზმი, ინარჩუნებს სხვადასხვაგვარი რესურსების ფლობაში მოტივაციის ყველანაირ ფორმას, არსებითად ამოფარებულია რაციონალურ-ლეგალურ გარემოს და აგენერირებს კლიენტური დამოკიდებულების ახალ ფორმებს. ნეოპატრიმონიალური ბატონობისთვის უნიკალურია ისეთი საშუალება როგორცაა *კომპრომატი და შანტაჟი*. ეს მოვლენები იმ პოლიტიკური სისტემების საფუძველია, რომლებსაც ნეოპატრიმონიალურ სისტემებს მიაკუთვნებენ. ამ მხრივ ძალზე მნიშვნელოვანია ლონდონის აუნივერსიტეტო კოლეჯის პროფესორის ალენა ლედენევა (**Ledeneva A.V. 2006.**) მოსაზრებები, რომელიც კომპრომატის ოთხ იდეალურ ტიპს გამოყოფს.

პირველი ტიპი წარმოადგენს ცნობებს კომპრომეტირებულის პოლიტიკურ საქმიანობაზე, მაგალითად, პოლიტიკური არალოიალურობა, ხელისუფლების ბოროტად გამოყენება, უცხოეთის სპეცსამსახურებთან ან დიპმისიებთან ურთიერთობები, სახელმწიფო საიდუმლოებების გათქმა.

მეორე ტიპი უკავშირდება პოლიტიკოსის ან მოხელის არაკანონიერ ეკონომიკურ საქმიანობას. ეს შეიძლება იყოს ცნობები ჩრდილოვან საბანკო გარიგებებზე, საბიუჯეტო თანხების არაკანონიერ მითვისებაზე, დატაცებებზე, დარღვევებზე პრივატიზაციის პროცესში, ოფშორულ ანგარიშებზე. კომპრომატის ობიექტი შეიძლება იყოს საარჩევნო კამპანიის არაკანონიერი დაფინანსება, პრეფერენციალური რეჟიმი საქმიანი გარიგებებისას და, რაც ყველაზე საყურადღებოა, ქრთამის აღება ან შეთავაზება.

მესამე ტიპი მოიცავს კრიმინალურ საქმიანობას. ეს შეიძლება იყოს კავშირები დანაშაულებრივ დაჯგუფებებთან, მონაწილეობა შეკვეთილ მკვლელობებში, ძალადობა, მოსმენები, შანტაჟი, შპიონაჟი.

მეოთხე ტიპი ეხება ღია პრივატულ ცხოვრებას, მათ შორის არაკანონიერი შემოსავლების, ქონების, ექსტრავაგანტური მომხმარებლური ჩვევების, სექსუალური ორიენტაციის, სექსუალური ქცევის, საექვო ნაცნობობის, კლულტურული და რელიგიური წარმოშობის, რწმენების და იდეოლოგიის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, ოჯახის წევრების ქცევების დეტალებს.

კომპრომატი და შანტაჟი თავისთავად არ არის დამახასიათებელი არც ტრადიციული და არც რაციონალურ-ლეგალური ბატონობისთვის, ნეოპატრიმონიალიზმში მათი შერწყმისას კი ეს მოვლენა პიროვნების დაყმევების ახალ ფორმად წარმოგვიდგება. ამასთან დაკავშირებით ნეოპატრიმონიალიზმის კონცეფციისთვის ძალზე საინტერესოა შანტაჟის სახეობების, ფორმების, თავისებურებების კვლევისადმი მიძღვნილი კვლევითი პროექტების ინტეგრაცია.

ნეპოტიზმი

ელიტების ფორმირება ნეოპატრიმონიალურ სისტემებში გასააზრებელია ნეპოტიზმის ცნებითაც. არსებული კვლევითი პროექტებიდან ჩანს მისი მთავარი როლი სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ფორმირებაში. მეტიც, ნეოპატრიმონიალიზმის კონცეფტი არ იქნებოდა სრული, უარი რომ გვეთქვა ტრადიციული ბატონობის ისეთ მახასიათებელზე როგორცაა საჯარო უფლებამოსილებების და *შესაბამისი ეკონომიკური შესაძლებლობების* აპროპრიაცია.

ლეგალური გარემოთი შემოფარგლული ნეოპატრიმონიალიზმი ტრადიციული ბატონობის რეკონსტრუქციის ფორმებს პოულობს. მაგალითად, სახელმწიფო თანამდებობების და სამეწარმეო/ბიზნეს საქმიანობის შეთავსებაზე შეზღუდვების არსებობა, საკანონმდებლო ჩარჩოში ინტერესების კონფლიქტის მოქცევა, ხელს არ უშლის ნეოპატრიმონიალურ რეჟიმებში საკუთრებაში ხელისუფლების კონვერტირებას. ნეპოტიზმი

სწორედ ასეთი კონვერტაციის, ეკონომიკური შესაძლებლობების აპროპრიაციის არხია და გულისხმობს მეგობრებისთვის, ნათესავებისთვის, თანაკლასელებსა და სხვა პირებისთვის თანამდებობების და პრივილეგიების ჩამორიგებას [„ქართულ-ჯიგრული პონტია“], რომლებთანაც სახელისუფლებო რესურსების მფლობელი ბიოგრაფიის ამა თუ იმ ეტაპს უკავშირებს. ასე რომ, ნეპოტიზმი და კლიენტელიზმი ძალზე მჭიდრო ურთიერთკავშირშია. ამ მხრივ აუცილებელია საქართველოს ნეოპატრიმონიალური სახელმწიფოს ფარგლებში ქართული პატრონაჟის თავისებურებების სიღრმისეული ისტორიულ-პოლიტოლოგიური კვლევა (ჯონსი სტივენს. 2012).

საისტორიო ნეოინსტიტუციონალიზმი

ფორმალური წესების არსებითი ცვლილებების მიუხედავად პატრიმონიალური ინსტიტუტები მდგრადობას და აღწარმოებას ინარჩუნებენ. რატომ ხდება ასე? რა არის ამის მიზეზი? პატრიმონიალური მემკვიდრეობის დაძლევა მხოლოდ ფორმალური კანონების შეცვლით ვერ მოხდება, არაფორმალური პოზიციები, განწყობები აგუებს ამ კანონებს საკუთარ თავთან, ხშირად, ის როგორც მინიმუმი, ამ მემკვიდრეობასთან მებრძოლი რეფორმატორების ჩანაფიქრისგან დაშორებულ ფენომენებს წარმოშობს. ამდენად პატრიმონიალური მემკვიდრეობის კვლევისას ნეოპატრიმონიალიზმის კონცეფციისთვის ძალზე სასარგებლო იქნებოდა პოლიტოლოგიური და საისტორიო ცოდნის ინტეგრაცია.

საისტორიო ნეოინსტიტუციონალიზმში ინსტიტუტები წარმოდგენილია პოლიტიკურ სისტემაში დაფესვიანებული ფორმალური და არაფორმალური ნორმების, პროცედურების და პრაქტიკების სახით. ეს არის კონსტიტუციური წესებიდან, ბიუროკრატიული რეგლამენტებიდან მომდინარე ნორმების, პროცედურების და პრაქტიკების თუ ბიზნეს-პარტნიორების არჩევის „არააშკარა ცოდნის“ მთელი სპექტრი. ამ მიმართულებით მომუშავე მკვლევრები ყურადღებას ამახვილებენ პოლიტიკური სისტემის რომელიმე ელემენტის ან მთლიანად პოლიტიკური სისტემისადმი მიმართებით ინსტიტუციური არჩევანის პრობლემაზე. მათი მტკიცების დედააზრია ის, რომ ერთხელ გაკეთებული არჩევანი სამომავლოდ არსებით ზეგავლენას იქონიებს ინსტიტუციურ ცვლილებების პროცესზე. სწორედ საისტორიო ინსტიტუციონალიზმის ფარგლებში ჩამოყალიბდა გზა-დამოკიდებულების (path-dependency) კონცეფცია. ამავდროულად, მნიშვნელოვანია ითქვას, რომ ნეოპატრიმონიალიზმის კონცეფცია, მისი უფრო უნივერსალური ხასიათის გამო path-dependency კონცეფციის ეროვნულ-თვითმყოფად დებულებებს ეწინააღმდეგება, ამდენად, ასეთი სინთეზის პერსპექტივებში საინტერესო იქნებოდა ინსტიტუციური განვითარების უფრო ფართოდ შესწავლა, კერძოდ ისეთი საკითხებისა როგორც კოლონიური მემკვიდრეობა - აფრიკული ნეოპატრიმონიალური რეჟიმებისთვის, პორტუგალიური და ესპანური მემკვიდრეობა - ლათინური ამერიკის რეჟიმებისთვის, პოსტსაბჭოთა კოლონიალიზმის მემკვიდრეობა კავკასიაში, სახელდობრ საქართველოში და ა.შ.

საყურადღებოა ისიც, რომ ნეოპატრიმონიალური რეჟიმების ფუნქციონირების დინამიკური ასპექტების უფრო ღრმა გაგება შესაძლებელია ეკონომიკური მოდელების გამოყენებითაც. მაგალითად ინსტიტუციური ხაფანგების თეორია გვთავაზობს ინსტიტუციური მდგრადობის მექანიზმებს, რომლებიც ცხადყოფენ ნეოპატრიმონიალური პრაქტიკებისადმი ამ თეორიის გამოყენების მართებულობას.

დასკვნა

ნეოპატრიმონიალიზმის კონცეფციას სხვა კონცეფტებთან შედარებით გაცილებით მეტი წინასწარხედვის ძალა გააჩნია იმის თქმით, რომ პოლიტიკური გადასვლები ვერ წარმოაჩენენ დემოკრატიული ინსტიტუტების თანდათანობით კონსოლიდაციას. უფრო კი ასეთ სახელმწიფოებში იქმნება ჰიბრიდული რეჟიმი, რომელშიც დემოკრატიული დასავლური ტიპის ინსტიტუტები (ხელისუფლების დანაწილება, საარჩევნო უფლება, კონსტიტუცია) მხოლოდ ის გარსი იქნება, რომელიც რეალურ პოლიტიკურ პროცესებს დაჩრდილავს. მათი შინაგანი ლოგიკა კი დაექვემდებარება პოლიტიკური ბატონობის დაფესვიანებულ ტრადიციულ ტიპს. ამ თეორიის მართებულობას ადასტურებს და შესაბამისად ნეოპატრიმონიალიზმის კონცეფციისადმი ინტერესის ახალ ტალღას

უკავშირდება პოლიტიკურ პროცესები ე.წ. „პოსტსაბჭოთა“ სივრცეში, სადაც, დროთა განმავლობაში, აშკარა ხდება სწორედ ასეთი (მხოლოდ გარეგნულად დემოკრატიული) ჰიბრიდული რეჟიმების კონსტრუირება. ნეონსტიტუციური თეორიის გამოყენებით კი შესაძლებელია ნეოპატრიმონიალური რეჟიმების ფუნქციონის როგორც სტრუქტურული, ასევე დინამიკური ასპექტებით ახსნა.

საკვლევი და შესასწავლი კი უდავოდ ბევრია.

მაგალითად, გერმანელი მკვლევრები ჯირო ერდმანი და ულფ ენგელი (**Erdmann G., Engel U. 2007**). აღნიშნავენ, რომ დღემდე არ არსებობს ერთიანი აზრი ზოგიერთი საბაზო საკითხის გაგებაში: რას ნიშნავს წინდებული „ნეო“ ნეოპატრიმონიალიზმის ტერმინში; რა მიმართებაა ნეოპატრიმონიალიზმის რეჟიმებში ლეგალურ-რაციონალურ და ტრადიციულ დომინირებას შორის; რა არის საერთო ამ ტერმინსა და პატრიმონიალიზმის „გვარეობით“ ცნებას შორის; როგორ შეიძლება მოხდეს ნეოპატრიმონიალიზმის ოპერაციონალიზაცია; როგორ უნდა გაიმიჯნოს ის ისეთი მოვლენებისაგან როგორცაა კლიენტელიზმი, ნეპოტიზმი, კლანურობა. საკვლევი ქართულ პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ სისტემაში არაფორმალური ურთიერთობების ძალა და განმსაზღვრელი ხასიათი („სატელეფონო სამართალი“, ბლატი, ნეპოტიზმი, კლიენტურ-პატრონაჟული ქსელი და ა.შ.)

ამრიგად, ნეოპატრიმონიალიზმის კონცეფციას დიდი პოტენციალი აქვს ნეონსტიტუციურ თეორიაში. ნეოპატრიმონიალიზმი გულისხმობს ტრადიციული ბირთვის და ლეგალური გარსის შერწყმას, ამდენად, აუცილებელია ტრადიციული ინსტიტუტების ინსტიტუციონალიზაციის არააშკარა ფორმების კვლევა. ამ მიზნებისთვის ნეონსტიტუციონალიზმი ინსტიტუტებისა და ინსტიტუციური ცვლილებების ყველაზე შესაფერის გაგებას გვთავაზობს. ამიტომ, ჩვენი თვალთახედვით, ნეოპატრიმონიალიზმის კონცეფციის შემდგომი განვითარება, მჭიდროდ უნდა უკავშირდებოდეს ახალი ინსტიტუციონალიზმის მიღწევებს და მეთოდოლოგიურ აპარატს.

ლიტერატურა:

- კიკაბიძე კობა. "პატრონ-კლიენტელიზმი არჩვენებს არჩვენებამდე იგებს" <https://www.radiotavisupleba.ge/a/24419172.html> [19.03.2019]
- კიკაბიძე კობა, ლოსაბერიძე დავით. (2000). ინსტიტუციონალიზმი და კლიენტელიზმი საქართველოში. სადისკუსიო წერილების სერია 3. გამ-ბა „ნეკერი“.
- კუჭუხიძე ვასო. ნეპოტიზმიდან კლიენტელიზმამდე. <http://netgazeti.ge/opinion/17174/> [19.03.2019]
- მამრადე პეტრე. მორატორიუმი, კონსტიტუცია და კლიენტელიზმი. http://resonancedaily.com/index.php?id_rub=11&id_artc=20757 [19.03.2019]
- მაქს ვებერი. სოციოლოგია. (ფრანკ პარკინის მიხედვით). გვ.34-37 <http://socium.ge/downloads/klasikurisocetoriebi/maqs%20veberis%20sociologia.pdf>
- ქარელი თეიმურაზ. (2022). არჩვენების პატიოსნება, ამომრჩეველთა აქტივობა და კლიენტელიზმი ავტორიტარულ პირობებში: თეორიული ნარკვევი. *იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი. სამეცნიერო შრომების კრებული* N 1 (35) ISSN: 1512-0600 E-ISSN: 2667-9949 <https://journals.4science.ge/index.php/TUW> ჟურნალის DOI: <https://doi.org/10.52340/tuw.2021.07.28> გამ-ბა „პრინტჯეო“. გვ. 224-230.
- ქარელი თეიმურაზ. (2023). ნეოპატრიმონიალური სახელმწიფოს ცნება. *ყოველკვარტალური რეფერირებადი და რეცენზირებადი საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი*. N1-2, 2023. <http://scholar.bpengi.com>. DOI: <https://doi.org/10.36073/1512-0538> გვ. 145-147.
- ქარელი თეიმურაზ. (2021) პატრიმონიალური მმართველობის ფორმა საქართველოში. - „პოლიტიკა“. სამეცნიერო ანალიტიკური ჟურნალი. სპმა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. პოლიტიკის მეცნიერებათა დეპარტამენტი. 2021. № 3.
- ჯონსი სტივენს. (2012). საქართველო. პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან დღემდე. სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი. გვ.189-192
- ჩარკვიანი თამარ. (2014). ნეოპატრიმონიალური და მერიტოკრატიული მართვის სტრატეგიები ტრანსფორმირებად საჯარო სამსახურში. სადისერტაციო ნაშრომი. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი. 208 გვ. <http://iliauni.edu.ge/uploads/other/1/1483.pdf>
- Bach D. (2011). Patrimonialism and Neopatrimonialism: Comparative Trajectories and Readings [Text] / D. Bach // Commonwealth & Comparative Politics. — Vol. 49. — № 3. — P. 275-294.

Erdmann G., Engel U. (2007). Neopatrimonialism Reconsidered: Critical Review and Elaboration of an Elusive Concept [Text] / G. Erdmann, U. Engel // *Commonwealth & Comparative Politics*. – 2007. – Vol. 45. – № 1. – P. 95-119.

Kuzio T. (2001). Transition in Post-Communist States: Triple or Quadruple? // *Politics*. 2001. Vol.21. N.3. P.171. http://www.taraskuzio.com/Economic%20Transition_files/economics-transition.pdf

Ledeneva A.V. 2006. How Russia Really Works: The Informal Practices That Shaped Post-Soviet Politics and Business [Text] / A.V. Ledeneva. – Ithaca: Cornell University Press, 2006. – 270 p

Вебер М. (2016). Хозяйство и общество: очерки понимающей социологии [Текст]: в 4 т. / Макс Вебер; [пер. с нем.]; сост., общ. ред. и предисл. Л.Г. Ионин; НИУ «Высшая школа экономики». – М.: Изд. дом Высшей школы экономики. Т. I. – С. 252-334

Карозерс Т. Конец парадигмы транзита. – *Политическая наука*. № 2. – 2002. С. 42-65

Сартори Дж. Искажение концептов в сравнительной политологии (II). – *Полис. Политические исследования*. № 4. 2003.

Эйзенштадт Ш. Революция и преобразование обществ. Сравнительное изучение цивилизаций. М., Аспект Пресс, 1999. 435 с. <http://abuss.narod.ru/Biblio/eizenshtadt1.htm>

Methodological problems of neopatrimonialism research

Kareli Teimuraz

Ilia State University, Tbilisi

Abstract

The paper is devoted to the methodological problems of neopatrimonialism research. The relevance of the problem research is explained in the introductory part. The concept of neopatrimonialism has much more predictive power than other concepts in saying that political transitions do not show a gradual consolidation of democratic institutions. On the contrary, hybrid regimes are created in neo-patrimonial states, in which democratic Western-type institutions (separation of power, electoral rights, constitution) are only the shield that overshadows real political processes. Their internal logic is subject to the established traditional type of political domination. The validity of this theory is confirmed by the so-called political processes. In the "post-Soviet" space, where, over time, the construction of such (only outwardly democratic) hybrid regimes becomes obvious. According to the author, using neo-institutional theory, it is possible to explain the functionality of neo-patrimonial regimes with both structural and dynamic aspects. The research problems are listed in the paper: in particular, there is still no unified opinion in the understanding of some basic issues: what does the prefix "neo" mean in the term neopatrimonialism; What is the relationship between legal-rational and traditional dominance in neopatrimonialism regimes; What is common between this term and the concept of patrimonialism; How can neopatrimonialism be operationalized; How to distinguish it from such phenomena as clientelism, nepotism, clanism. The power and defining character of informal relations in the Georgian political-administrative system ("telephone law", Blatt, nepotism, client-patronage network, etc.) is researched. In the concluding part, it is mentioned that the concept of neo-patrimonialism has great potential in neo-institutional theory. Neopatrimonialism refers to the fusion of the traditional core and the legal shell. Thus, it is necessary to research non-obvious forms of institutionalization of traditional institutions, informal practices. For these purposes, neo-institutionalism offers the most appropriate understanding of institutions and institutional change. From our point of view, the further development of the concept of neopatrimonialism should be closely related to the achievements and methodological apparatus of new institutionalism.

Key words: *neopatrimonialism; political regime; clientelism; neo-institutionalism; nepotism; historical neo-institutionalism.*

შეპირისპირებითი ანალიზი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტების უფლებებზე საქართველოსა და ევროპის რამდენიმე ქვეყნის მაგალითზე

ხატიაშვილი ხატია

ჭანტურია გვანცა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი; თბილისი

DOI: <https://doi.org/10.52340/idw.2023.110>

აბსტრაქტი. სტატიაში განვიხილავთ შშმ სტუდენტების უფლებებს საქართველოსა და ევროპის ქვეყნებში, საკანონმდებლო ცვლილებებსა და საერთაშორისო პოლიტიკურ დოკუმენტებს. დღევანდელ დღეს შშმ პირების უფლებები ერთ-ერთი იმ სფეროთაგანია, რომელზეც ყურადღება გამახვილებულია თითქმის ყველა განვითარებულ ქვეყანაში და მათი უფლებების დაცვა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, პრიორიტეტული და ყურადსაღები საკითხია. ყველა თანამედროვე მკვლევარი ეყრდნობა საერთაშორისო ნორმებს და აღიარებს მათ გავლენას შშმ პირების განათლების საკითხებში. ყველა პოლიტიკურ დოკუმენტში საუბარია შშმ პირთა თანაბარ უფლებებზე და მათ დაცვაზე. უმაღლეს სასწავლებლებში ინკლუზიური განათლების ნაკლოვანებები გამოწვეულია ისეთი პრობლემების არებობით, როგორცაა პირველ რიგში შშმ სტუდენტებისათვის ადაპტირებული სასწავლო პროგრამების შემუშავების სირთულე, მეორე მხრივ, არასაკმარისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით და ასევე პროფესორ-მასწავლებელთა მომზადების დაბალი დონით. პრობლემები, რომლებიც თავს იჩენს ინკლუზიური განათლების დანერგვის თვალსაზრისით, მაგრამ არსებობს ასევე მათი აღმოფხვრის რეკომენდაციები.

საკვანძო სიტყვები: ინკლუზიური განათლება, უმაღლესი განათლება, სსსმ პირი, შეზღუდული შესაძლებლობები

განათლების მიღება ადამიანის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სოციოკულტურული უფლებაა. იგი ხორციელდება ყველა ადამიანის თანასწორობის, აღიარების და დაცვის პრინციპის საფუძველზე. ზოგადად იმ ქვეყნებში, სადაც უზრუნველყოფილია ინკლუზიური განათლება, აღიარებენ, რომ ნებისმიერ ბავშვს თანაბრად აქვს განათლების მიღების უფლება (1961 წლის ევროპის სოციალურმა ქარტია, 1989 წლის გაეროს ბავშვთა უფლებების კონვენცია, სალამანკას დეკლარაცია, 1996).

დღევანდელ დღეს შშმ სტუდენტების უფლებები ერთ-ერთი იმ სფეროთაგანია, რომელზეც ყურადღება გამახვილებულია თითქმის ყველა განვითარებულ ქვეყანაში და ეს წარმოადგენს ერთ-ერთი მნიშვნელოვან, პრიორიტეტულ და ყურადსაღებ საკითხს. პოლიტიკის დოკუმენტებს ამ სფეროში ზოგადად არეგულირებს გაეროს 2006 წლის კონვენცია. იგი ამ საკითხების მარეგულირებელი ფუნდამენტური ინსტრუმენტია, რადგან შშმ პირთა მიმართ არსებული მიდგომებისადმი პარადიგმის შეცვლას ხელს უწყობს, რომლის გარეშე შეუძლებელია მათი ეფექტური დაცვა.

ყველა თანხმდება იმაზე, რომ უმაღლესი განათლების მიღება ყველა შშმ პირისთვის არის სამუშაო ადგილის მიღების მნიშვნელოვანი წინაპირობა (ტინკლინი, 2004; კორნბი, 2021).

ჩვენს მიერ განხილულ სტატიებში კარგად ჩანს, რომ ყველა ავტორი ეყრდნობა საერთაშორისო ნორმებს და აღიარებს მათ გავლენას შშმ პირების განათლების საკითხებში

(კალინიკოვა-მაგნუსონი, 2019; ორი, 2014; ორტიზი, 2018).

ზოგადად მიღებულია ძალიან ბევრი დოკუმენტი შშმ პირთა უფლებების დაცვის სფეროში, რომელთა ჩამოთვლას არ შევუდგებით. ყველა ამ დოკუმენტში საუბარია შშმ პირთა თანაბარ უფლებებზე და მათ დაცვაზე. თუმცა, 1994 წლის სალამანკას დეკლარაცია არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომელიც აყალიბებს შშმ პირების უფლებებს. სწორედ სალამანკას მსოფლიო კონფერენციაზე განისაზღვრა ინკლუზიური განათლების ძირითადი პრინციპები. იგი წარმოადგენს დისკრიმინაციასთან ბრძოლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან იარაღს. ბევრ ბავშვს აქვს სწავლასთან დაკავშირებული სირთულეები და შესაბამისად განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებები; საგანმანათლებლო დაწესებულებებმა უნდა იპოვონ გზები და კომპრომისები მათი საჭიროებების უზრუნველყოფისათვის. უნდა განვითარდეს ბავშვზე ორიენტირებული პედაგოგიკა.

ჩვენი დაკვირვებიდან გამომდინარე შევდეთი იყო ერთ-ერთი პირველი, რომელმაც 1842 წელს მიიღო კანონი დაწყებით განათლებასთან დაკავშირებით (კალინიკოვა-მაგნუსონი, 2016; ბერკანუ, 2014; ბერგრენი, 2014; ორი, 2014), სადაც მხედველობაში იღებდნენ ღარიბ ბავშვებს და იმათ, ვისაც არ გააჩნდათ განათლების მიღების შესაძლებლობა. შევდეთის სპეციალური განათლების სისტემა იმეორებს ნორვეგიის განათლების მოდელს. შევდეთმა ხელი მოაწერა გაეროს კონვენციას ბავშვთა უფლებების შესახებ (1989), ასევე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების და შესაძლებლობების გათანაბრების სტანდარტულ წესებს (1993), იუნესკოს სალამანკას დეკლარაციასა და სამოქმედო ჩარჩოს (იუნესკო, 1994). ყველა ეს დოკუმენტი თავისთავად ძალიან მძლავრი იარაღია ამ სექტორში. ეს დოკუმენტები საფუძვლად დაედო მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ დოკუმენტებსა და კანონებსა, რათა ინკლუზიური განათლება მყარად დამდგარიყო დღის წესრიგში.

საქართველოში ინკლუზიური განათლების ცალკე კანონი არ არსებობს, ის შედის საქართველოს კანონში ზოგადი განათლების შესახებ. თუმცა არსებობს სხვადასხვა ნორმატიული დამატებითი აქტები, მათ შორისაა, 2020 წლის კანონი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ, 1995 წლის კანონი შშმ პირთა სოციალური დაცვის შესახებ, რომელშიც ნათქვამია „განათლების ორგანოები ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის ორგანოებთან ერთად ვალდებული არიან უზრუნველყონ ამ კატეგორიის ბავშვთა სკოლამდელი და სკოლის გარეშე აღზრდა მათთვის ჯეროვანი სარეაბილიტაციო დახმარების გაწევის ხელსაყრელი შესაძლებლობების შექმნის მიზნით, აგრეთვე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის საშუალო-სპეციალური და უმაღლესი განათლების მიღება რეაბილიტაციის ინდივიდუალური პროგრამის შესაბამისად“ (შშმ პირთა სოციალური დაცვის შესახებ, 1995).

საქართველოში არსებობს კანონი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დაცვის შესახებ, რომელიც შემუშავდა 1995 წლის 14 ივნისს, თუმცა 2020 წლის 14 ივლისს მოქმედმა პრეზიდენტმა გამოსცა ახალი კანონი, რომელიც ითვალისწინებს ყველა დაწესებულების ჩართულობას შშმ პირების ცხოვრებში, სადაც განათლების ნაწილში (მე-8 მუხლი) აღნიშნულია, რომ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს „ხელმისაწვდომი და ხარისხიანი ინკლუზიური განათლების სისტემის დანერგვა, ასევე შშმ პირის მიერ უწყვეტი განათლების მიღების შესაძლებლობა“.

ყველა მკვლევარმა აღიარა (რიჩარდსონი, 2009; ჰაჯიკაკუ, 2010; დენჰარტ, 2008), რომ მნიშვნელოვანია, დადებითი დამოკიდებულების ქონა ინკლუზიური განათლების მიმართ; პროფესორ-მასწავლებლებს უნდა ჰქონდეთ რეგულარული ტრენინგის საშუალება ინკლუზიური განათლების სფეროში, ასევე მნიშვნელოვანია სხვა მასწავლებლების მხარდაჭერა, სტუდენტების მხარდაჭერა, კოლექტიური მხარდაჭერის ქსელების არსებობა და მათი უსაფრთხოება, ინოვაცია კლასში, ოჯახებთან თანამშრომლობა, ინკლუზიური განათლებისათვის საგანმანათლებლო ბიუჯეტის უზრუნველყოფა, შშმ პირების საზოგადოებასთან ურთიერთობა, ინოვაციების სფეროში ლიდერად ყოფნა.

ზოგიერთ სტატიაში ჩანს (ლოუ, 1996), თუ რა პრობლემებს აწყდებიან შშმ სტუდენტები უნივერსიტეტის კამპუსში. სტუდენტებს მრავალ სხვა პრობლემას შორის,

ექმნებათ პრობლემები წიგნებთან დაკავშირებით, ლიფტის მოხმარებასთან დაკავშირებით, კორიდორებში მოძრაობასთან დაკავშირებით.

ზოგიერთ სტატიაში (*ორტიზი, 2018; ჰარვი, 2018; ჰელსი, 1993; მოსუელა, 2010; პაუელი, 2016; ბოშაძი, 2012*) იკვეთება ტენდენცია, რომ შშმ სტუდენტების ერთადერთი სურვილი არის ის, რომ მათ ისე ექცეოდნენ, როგორც ნორმალურ სტუდენტებს. ავტორები პრობლემის დაძლევისათვის კონკრეტულ რეკომენდაციებს არ იძლევიან, რადგან ამბობენ, რომ ამ საკითხს უფრო ჩაღრმავება და განსხვავებული მიდგომები სჭირდება.

რაც შეეხება დიდი ბრიტანეთის უმაღლეს სასწავლებლებს, კ.ბოშან-პრაიორი აცხადებს, რომ შშმ პირების სწავლების თვალსაზრისით დიდ ბრიტანეთში წლების განმავლობაში ხორციელდებოდა ცვლილებები. ავტორი აცხადებს, რომ უთანასწორობა, რომელიც ვლინდება უსდ-ში არა მხოლოდ ეთნიკური და გენდერული თვალსაზრისით, არამედ შშმ პირების მიმართაც. ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში პოლიტიკური დამოკიდებულება შშმ პირების მიმართ შეიცვალა დიდ ბრიტანეთში: ადრე ყურადღება ფოკუსირებული იყო მათ კეთილდღეობაზე და გარკვეულ საჭიროებებზე და დღეს დიდ მნიშვნელობას აქცევენ მათ უფლებებს. მსგავსი ცვლილებები შეიმჩნევა სხვა ევროპულ ქვეყნებშიც. თუმცა შესწავლილი მასალებიდან კარგად ჩანს, რომ ზოგიერთ ქვეყანაში მიდგომა იყო პოზიტიური, რაც გულისხმობს შშმ პირების ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას (აშშ, შვედეთი, ავსტრალია) და ზოგიერთ ქვეყანაში, პირიქით, ეს გამოიხატა უმოქმედობაში და უგულვებელყოფაში, მაგალითად ჩინეთში.

და ბოლოს აღსანიშნავია, რომ აღნიშნული მასალების შესწავლის შედეგად გამოვლინდა ტენდენცია, რომელიც გვიჩვენებს, რომ თითქმის ყველა ქვეყანაში არსებობს პრობლემები უმაღლეს სასწავლებელში შშმ პირების შეღწევადობის კუთხით და ბევრი რამ არის დასახვეწი ამ სფეროში. მნიშვნელოვანია ასევე საკანონმდებლო სფერო, რომელიც ყველა ქვეყანაში განსხვავებულად არის მოწყობილი.

ლიტერატურა:

ბერგრენი: U.J.Berggrenn,D.Rowan,E.Bergback,B.Blomberg, 2016, Disabled students experiences of higher education in Sweden, the Czech Republic and the United States-a comparative institutional analysis, Disability and society- vol13, #3, 339-356

კალინიკოვა-მაგნუსონი: Magnusson-Kalinnikova.L., 2019, obtaining inclusion in higher education instrumentally: Swedish university experience, 1º Congreso Internacional de Ciencias Humanas - Humanidades entre pasado y futuro. Escuela de Humanidades, Universidad Nacional de San Martín, Gral. San Martín

ლოუ: Low.J., Negotiating identities, negotiating environments: an interpretation of the experiences of students with disabilities, Disability & Society, Vol. 11, No. 2, 1996, pp. 235±248

მორინია: Morina.A.,Inclusive education in higher education: challenges and opportunities, European journal of special needs education, 2016, [Inclusive education in higher education: challenges and opportunities: European Journal of Special Needs Education: Vol 32, No 1 \(tandfonline.com\)](#)

მოსუელა: Moswela.M.E., 2011, Asking too much? The voices of students with disabilities in Botswana, Disability and society, Routledge

პაუელი: Powell.J.W.J., 2016, Barriers to inclusion: Special education in the United States and Germany, Routledge, Taylor and Francis

ტომე ფერნანდესი: Tome Fernandez.M., Attitudes toward inclusive education and practical consequences in final year students of educational degree, Science direct, 7th International Conference on Intercultural Education “Education, Health and ICT for a Transcultural World”, EDUHEM 2016, 15-17 June 2016, Almeria, Spain

კონვენციები, კანონები

კონვენცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ, 27 ოქტომბერი, 2017
კონვენცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ, 2006

შვედეთის კანონი უმაღლესი განათლების შესახებ - The Swedish Higher Education Act (1992:1434)
Issued: 17 December 1992

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია

საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ, 2010

ევროპის სოციალური, ქარტია, სტრასბურგი, 3.V. 1996

კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ (1989 წლის 20 ნოემბერი)

შვედეთის კანონი უმაღლესი განათლების შესახებ - The Higher Education Ordinance (1993:100),
Department/Agency: Ministry of Education and Research, Sweden Issued: 4 February 1993

სალამანკას დეკლარაცია - The Salamanca Statement and the framework for action on special needs
education, World conference Special needs education:access and quality, Salamanca, 7-10 june, 1994

საქართველოს კანონი შშმ პირთა სოციალური დაცვის შესახებ, 1995

Comparative Analysis of the Rights of Students with Disabilities on the Examples of Georgia and Some European Countries

Khatiashvili Khatia

Chanturia Gvanca

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Tbilisi

Abstract

In this article we discuss the rights of students with disabilities in Georgia and European countries, legislative changes and international political documents. Today the rights of persons with disabilities are one of the areas on which attention is focused in almost all developed countries and the protection of their rights is one of the important, priority and noteworthy issues. All modern researchers rely on international norms and recognize their influence in the issues of education of people with disabilities. All political documents talk about the equal rights of disabled people and their protection. The disadvantages of inclusive education in higher education institutions are caused by the absence of such problems as, first of all, the difficulty of developing educational programs adapted for students with disabilities, on the other hand, with the insufficient material and technical base and also with a low level of training of professors and teachers. There are many problems that appear in terms of implementation of inclusive education in higher education institutions, but there are also recommendations for their elimination.

Key-words: Inclusive education, Higher education, Persons with special educational needs, Disabilities

გამომცემლობა „მერიდიანი“,
ალ. ყაზბეგის გამზ. №47
E – mail: meridiani777@gmail.com ტ. 239-15-22